ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

VII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

DEDICATED TO THE 100TH ANNIVERSARY OF THE FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS

4 ნოემბერი, 2022
თბილისი, საქართველო
NOVEMBER 4, 2022
GEORGIA, TBILISI

შრომების კრებული

Proceedings

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economics and Business Faculty

VII International Scientific Conference

Dedicated to the 100th Anniversary of

the Faculty of Economics and Business

Challenges of Globalization in Economics and Business

Proceedings

November 4, 2022

Georgia, Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის

100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

შრომების კრებული

4 ნოემბერი, **2022**

თბილისი, საქართველო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უკვე მეშვიდედ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის პროცესის გამოწვევებზე, ასევე ეძებენ ახალი ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესების ქმედითუნარიან მექანიზმებს. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებში აქტუალური და პრობლემური საკითხებია განხილული. გლობალური პროცესების თანამდევი მოვლენები სულ უფრო მეტ ასახვას პოვებს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაზე, ამიტომ ისეთი საკითხები, როგორიცაა: განათლების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ეკონომიკური მოდელი, უმუშევრობის დაძლევის მექანიზმები, საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებები, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, კლასტერული პოლიტიკის ფორმირებისა და სახელმწიფო საწარმოთა მართვის აქტუალური საკითხები, ინოვაციური პროცესების დანერგვის თავისებურებები სხვადასხვა სფეროში, ტურისტული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები, სოციო-კულტურული გამოწვევები და სხვა. არამხოლოდ თეორიულ ინტერესის სფეროს განეკუთვნება, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული ასპექტების ანალიზს. აღსანიშნავია, რომ კონფერენცია ბოლო ორი წელი დისტანციურად ტარდებოდა. წელს განახლდა კონფერენციის არადისტანციური რეჟიმი და ადგილობრივ და უცხოელ მეცნიერებს საშუალება ჰქონდათ აუდიტორიებში პირისპირ გაეზიარებინათ თავიანთი სამეცნიერო სტატიები და შედეგები.

გიორგი ღაღანიძე – თსუ პროფესორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

It is already the seventh year that Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business hosts the international conference on the "Challenges of Globalization in Economics and Business". Both local and foreign scientists, as well as young researchers focus on the challenges of globalization processes; in addition, they seek to identify effective mechanisms for solving new economic problems. The scientific papers presented at the international scientific conference deal with the pressing and problematic issues. The consequences of global processes are more and more reflected on the development of any country, therefore, the issues like the improvement of education system, the economic model of Georgia, the unemployment reduction mechanisms, the peculiarities of the impact of fiscal and monetary instruments on the aggregate demand of Georgia, the foreign direct investments implemented in Georgia, important issues of formation of cluster policy and management of state enterprises, peculiarities of the introduction of innovative processes in different areas, perspectives of utilization of tourism potential, socio-cultural challenges and others belong not only to the area of theoretical interest, but they represent the practical analysis of the aspects of economic development. It should be noted that the conference was held remotely for the last two years. This year, the non-distance mode of the conference was renewed, and local and foreign scientists had the opportunity to share their scientific articles and results face-to-face in the auditoriums.

Giorgi Gaganidze – TSU Professor
Dean of the Faculty of Economics and Business, TSU

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

ISBN 978-9941-36-063-3 (pdf)

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ღაღანიძე – თსუ პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
ვლადიმერ პაპავა – თსუ პროფესორი, აკადემიკოსი;
ავთანდილ სილაგაძე – თსუ პროფესორი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;
ელგუჯა მექვაბიშვილი – თსუ პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორი;
რევაზ გოგოხია – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;
რამაზ აბესაძე – ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
იური ანანიაშვილი – თსუ პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თეიმურაზ ბერიძე – თსუ პროფესორი;
სიმონ გელაშვილი – თსუ პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
რევაზ გველესიანი – თსუ პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
ნუგზარ თოდუა – თსუ პროფესორი, მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;
ირაკლი კოვზანაძე – თსუ პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;
დავით ნარმანია – თსუ პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;
ლევან საბაური – თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;
დემურ სიჭინავა – თსუ პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;
მირიან ტუხაშვილი – თსუ პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თემურ შენგელია – თსუ პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;
ეთერ ხარაიშვილი – თსუ პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
იოსებ ხელაშვილი – თსუ პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
ელინა გაილე-სარკანე – პროფესორი, ლატვია;
ინტა ოსტროვსკა – პროფესორი, ლატვია;
ტალაიბეკ კოიჩუმანოვი – პროფესორი, ყირგიზეთი;
იაცეკ სტროინი – პროფესორი, პოლონეთი;
გიუნტერ ჰოფბაუერი – პროფესორი, გერმანია;
რაინერ ვენერი – პროფესორი, გერმანია;
ტატიანა სობოლიევა – ასოცირებული პროფესორი, უკრაინა;
ნატიკ გურბანოვი – ასოცირებული პროფესორი, აზერბაიჯანი;
მანანა ლობჟანიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მარინა ჩავლეიშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მერაბ ხოხობაია – თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გიორგი ღაღანიძე – თსუ პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
მანანა ლობჟანიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
მერაბ ხოხობაია – თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
ლალი ჩიკვილაძე – თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ლობჟანიძე – თსუ ასისტენტ პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
უჩა გოგრიჭიანი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
აკაკი მიქაბერიძე – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;
ზვიად სიგუა – თსუ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავით ნერგაძე – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ბონდო კაკუბავა – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
რუსუდან მაისურაძე – თსუ დოქტორანტი.

Conference Editorial Board:

Giorgi Gaganidze – TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business; Chairman;
Vladimer Papava – TSU Professor, Academician;
Avtandil Silagadze – TSU Professor, Academician, Head of the Department of International Economics and History of Economic Thought;
Elguja Mekvabishvili – TSU Professor, Head of the Department of Theoretical Economics, Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
Revaz Gogokhia – TSU Professor, Deputy Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
Ramaz Abesadze – Doctor of Economic Sciences, Director of the Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Iuri Ananiashvili – TSU Professor, Head of the Department of Econometrics;
Teimuraz Beridze – TSU Professor;
Simon Gelashvili – TSU Professor, Head of the Department of Economic and Social Statistics;
Revaz Gvelesiani – TSU Professor, Head of the Department of Economic Policy;
Nugzar Todua – TSU Professor, Head of the Department of Marketing;
Irakli Kovzanadze – TSU Professor, Head of the Department of Finance and Banking;
Davit Narmania – TSU Professor, Head of the Department of Management and Administration;
Levan Sabauri – TSU Professor, Head of the Department of Accounting and Auditing;
Demur Sitchinava – TSU Professor, Head of the Department of Information Technologies in Economics and Business;
Mirian Tukhashvili – TSU Professor, Head of the Department of Macroeconomics;
Temur Shengelia – TSU Professor, Head of the Department of International Business;
Eter Kharaishvili – TSU Professor, Head of the Department of Microeconomics;
Ioseb Khelashvili – TSU Professor, Head of the Department of Tourism and Hospitality Management;
Elina Gaile-Sarkane – Professor, Latvia;
Inta Ostrovska – Professor, Latvia;
Talaibek Koichumanov – Professor, Kyrgyzstan;
Jacek Strojny – Professor, Poland;
Gunter Hofbauer – Professor, Germany;
Rainer Wehner – Professor, Germany;
Tetiana Sobolieva – Associate Professor, Ukraine;
Natik Gurbanov – Associate Professor, Azerbaijan;
Manana Lobzhanidze – TSU Associate Professor, Deputy Dean of TSU Faculty of Economics and Business;
Marina Chavleishvili – TSU Associate Professor, Deputy Dean of TSU Faculty of Economics and Business;
Merab Khokhobaia – TSU Associate Professor, Head of Scientific Research and Development Department.

Conference Organizing Committee:

Giorgi Gaganidze – Professor, Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman;
Manana Lobzhanidze – Associate Professor, Deputy Dean, faculty of Economics and Business;
Merab Khokhobaia – Associate Professor, Head of the Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;
Lali Chikviladze – Main Specialist, Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;
Nino Lobzhanidze – Assistant Professor, Main Specialist, Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;
Ucha Gogrichiani – Head of Public Relations Department, faculty of Economics and Business;
Akaki Mikaberidze – Financial Manager, Faculty of Economics and Business;
Zviad Sigua – Main Specialist, Educational Service Management Department, faculty of Economics and Business;
David Nergadze – Main Specialist, Public Relations Department, faculty of Economics and Business;
Bondo Kakubava – Head of Material Resources Management Department, faculty of Economics and Business;
Rusudan Maisuradze – Doctoral Student, faculty of Economics and Business.

ს ა რ ჩ ე ვ ი
Contents

ნინო აბესაძე, სიმონ გელაშვილი, მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური – დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე
Nino Abesadze, Simon Gelashvili, Marine Mindorashvili, Lia Dzebisauri – Employment Statistics in the Business Sector of Georgia Against the Backdrop of Pandemic Shocks 17

იური ანანიაშვილი – საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი
Iuri Ananiashvili – Econometric Model for Estimating the Georgian Labour Market Equilibrium 28

ნონა ახვლედიანი, ალეკო ბაკურაძე, მარიამ ახვლედიანი – საქართველოს საგარეო ვაჭრობა კოვიდ-19-მდე და მის შემდეგ
Nona Akhvlediani, Aleko Bakuradze, Mariam Akhvlediani – Georgia's Foreign Trade Before and After Covid-19 36

თამარი ბარბაქაძე – საგარეო სახელმწიფო ვალით დაფინანსებული პროექტების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე
Tamari Barbakadze – The Impact of Projects Financed by Foreign State Debt on the Economic Stability of the Country 48

გივი ბედიანაშვილი – კულტურული ფაქტორის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და სამეწარმეო საქმიანობაზე: თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევები
Givi Bedianashvili – Impact of the Cultural Factor on Economic Growth and Entrepreneurial Activity: Challenges of Modern Globalization 53

მაია ბენია, ლევან გაგვიშვილი – ევროკავშირთან ასოცირების გამოწვევები საქართველოს აგროსექტორისათვის
Maia Benia, Levan Gagvishvili – Challenges of Association with the European Union for the Agricultural Sector of Georgia 59

ხათუნა ბერიშვილი, მარიამ არნაძე – ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში
Khatuna Berishvili, Mariam Arnadze – The Role of Corporate Social Responsibility in Modern Global Business 65

ინეზა გაგნიძე – გერი ნორთი და მისი წიგნი „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“
Ineza Gagnidze – Gary North and his Book "An Economic Commentary on the Bible" 73

ნესტან გაფრინდაშვილი – გარემოსდაცვითი ეკონომიკა საქართველოს მდგრადი განვითარების და ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგში
Nestani Gaprindashvili – Environmental Economics in the Agenda of Georgia's Sustainable Development and Association Agreement with the European Union 80

მადონა გელაშვილი – „მწვანე" განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში
Madona Gelashvili – „Green" Development in the context of Sustainable Development 90

სიმონ გელაშვილი, თეონა ხაბეიშვილი – ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების მაჩვენებელთა სექტორული სტატისტიკური ანალიზი
Simon Gelashvili, Teona Khabeishvili – Sectoral Statistical Analysis of Labor Compensation Indicators in the Field of Business 97

ნაზი გვარამია – კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლის სტრატეგია
Nazi Gvaramia – Corporation Governance Style and Internal Control Strategy 106

რევაზ გველესიანი, ირინა გოგორიშვილი – ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები
Revaz Gvelesiani, Irina Gogorishvili – Industrial policy development directions in European Union and Contemporary challenges 112

რევაზ გველესიანი, ეკა ლეკაშვილი – ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი)
Revaz Gvelesiani, Eka Lekashvili – Experience of the European Industrial Policy (Case of South-East European countries) 118

ირინა გოგორიშვილი – უფალი არის უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული
Irina Gogorishvili – The Lord is Infinite Knowledge Illumined by Love 125

ნინო გრიგოლაია, ცირა მიქატაძე – გლობალიზაცია და წარმოების გამოწვევები
Nino Grigolaia, Tsira Mikatadze – Globalization and Manufacturing Challenges 131

ბექა გურგენიძე – გლობალიზაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ზრდა: ემპირიული ანალიზი
Beka Gurgenidze – Globalization and Post-Soviet Countries' Economic Growth: Empirical Analysis 135

ნინო დამენია – რისკის გამოვლენის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი აგრარულ სექტორში

Nino Damenia – Some Economic Aspects of Risk Detection in the Agricultural Sector 143

გულნაზ ერქომაიშვილი – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის
მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში
Gulnaz Erkomaishvili – Stimulating Economic Policy for Attracting
Direct Foreign Investments in Georgia 149

მარიამ ვარდიაშვილი, მარინა მაისურაძე, ხალიანა ჩიტაძე – ფასს 15-ის გავლენის
ანალიზი სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებაზე
Mariam Vardiashvili, Marina Maisuradze, Khaliana Chitadze – Analysis of the
Impact of IFRS 15 on the Recognition of Assets from Construction Contracts 156

შოთა ვეშაპიძე – ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური პროცესების
კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტებისა და თანამედროვეობის შესახებ
Shota Veshapidze – Ilia Chavchavadze on the Methodological
Aspects of Economic Processes Research and Modernity 164

ნინელი თევდორაშვილი, ნელი სესაძე, ლია პიტიურიშვილი –
თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და საქართველო
Nineli Tevdorashvili, Neli Sesadze, Lia Pitiurishvili – Free Industrial Zone and Georgia 174

სალომე თვალოძე – კლიმატის ცვლილება, როგორც მონეტარული
პოლიტიკის ახალი გამოწვევა
Salome Tvalodze – Climate Change as a New Challenge for Monetary Policy 180

ნია თოდუა – ციფრული მარკეტინგის კონცეპტუალური მიმოხილვა
Nia Todua – A Conceptual Review of Digital Marketing 188

ნუგზარ თოდუა, ნინო გოგიტიძე – ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების
მარკეტინგული ასპექტები საქართველოს ბანკებში
Nugzar Todua, Nino Gogitidze – Marketing Aspects of the Use of
Digital Technologies in Georgian Banks 196

ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში – დიდი მონაცემების გამოწვევები
და შესაძლებლობები ციფრულ მარკეტინგში
Nugzar Todua, Charita Jashi – Oppotunities and Challenges of Big Data in Digital Marketing 203

ნატო კაკაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე – აგროდაზღვევა: სახელმწიფოს მიერ
განხორციელებული პოლიტიკის მიღწევები და გამოწვევები

Nato Kakashvili, Khatuna Barbakadze – Agroinsurance:
Achievements and Challenges of State-Implemented Policies 212

ნაზირა კაკულია, თეა ლაზარაშვილი – რუსეთ-უკრაინის ომის
გავლენა საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე
Nazira Kakulia, Tea Lazarashvili – The impact of the Russia-Ukraine
War on the Macro-economic Indicators of Georgia 217

ნათია კახნიაშვილი – საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების
მიმართულებები საქართველოში
Natia kakhniashvili – Directions for Improving the Investment Environment in Georgia 227

თამარ ლაზარიაშვილი – საქართველოს აგროტურისტული ბაზრის პოტენციალის
შეფასება (კახეთის მაგალითზე)
Tamar Lazariashvili – Assessment of the Potential of the Agrotourism
Market in Georgia (on the example of Kakheti) 234

მანანა ლობჟანიძე – უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის
მნიშვნელობა
Manana Lobzhanidze – Youth Unemployment and Importance of Professional Orientation 241

მურთაზ მაღრაძე, დემურ სიჭინავა – კრიპტოვალუტა ბიტკოინის ეკოსისტემის
არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები
Murtaz Maghradze, Demur Sichinava – Cryptocurrency Bitcoin Ecosystem, Existing
Condition and Development Prospects 246

ნინო მაღრაძე – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების მიმოხილვა
Nino Maghradze – An Overview of Foreign Direct Investment Theories 255

მარიამ მელიქიძე – საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსების როლი
საქართველოს უმაღლესი განათლების გლობალიზაციაში
Mariam Melikidze – The Role of Financing by International Donor Organizations in the
Globalization of Georgian Higher Education 263

დავითი მელუა – ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ინსტიტუციური
გამოწვევები საქართველოში და მათი დაძლევის გზები
David Melua – Institutional Challenges of Local Economic Development in
Georgia and ways of mitigation 276

თინა მელქოშვილი, მაია გიორგობიანი, მზია ტიკიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება
Tina Melkoshvili, Maia Giorgobiani, Mzia Tikishvili – Teaching Process Estimate by Graduates of Ivane Javakhishvili Tbilisi State University 285

ელგუჯა მექვაბიშვილი – ეკონომიკის ფინანსებიზაცია: ბოროტება თუ სიკეთე?
Elguja Mekvabishvili – Financialization of the Economy: Evil or Good? 293

მერაბ მიქელაშვილი – „ლიდერი მსახურის“ ზოგიერთი ასპექტი ბიბლიის მიხედვით
Merab Mikelashvili – Some Aspects based on The Bible 302

მარინე მინდორაშვილი, ლია ძებისაური – სექტორული ანგარიშების როლი ევროპულ სტატისტიკურ სისტემასთან საქართველოს თანდათანობით დაახლოებაში
Marine Mindorashvili, Lia Dzebisauri – The Role of Sector Accounts in the Progressive Alignment of Georgia with the European Statistical System 309

ნინო მიქიაშვილი – სიღარიბე, როგორც სოციალური პრობლემა
და მისი შეფასების სირთულეები
Nino Mikiashvili – Poverty as a Social Problem and the Difficulties of its Assessment 314

ბაბულია მღებრიშვილი, ეკატერინე უროტაძე, მაია ვეშაგური – ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში
Babulia Mghebrishvili, Ekaterine Urotadze, Maia Veshaguri – The Role of Social Responsibility of Business in the Development of Georgian Economy 321

გივი ნადირაძე – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აქტუალური საბიუჯეტო პრობლემები და გამოწვევები საქართველოში
Givi Nadiradze – Actual Budgetary Problems and Challenges of Local Self-Governing Units in Georgia 330

ზუმრუდ ნაჯაფოვა – აზერბაიჯანის ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია
Zumrud Nadjafova – Digital Transformation of Azerbaijan’s Economy 339

ნანული ოქრუაშვილი, ნინო ფარესაშვილი – ორგანული ბაზრის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა: გერმანული გამოცდილება და ქართული რეალობა
Nanuli Okruashvili, Nino Paresashvili – The Modern State of Organic Market Development: German Experience and Georgian Reality 346

კახაბერ პაიჭაძე – ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები:
არსი, შემუშავება და დანერგვა
Kakhaber Paichadze – Human Resources Management in the Conditions of Modern
Achievements of Information Technology 357

ნუგზარ პაიჭაძე – ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები:
არსი, შემუშავება და დანერგვა
Nugzar Paichadze – Strategies of Human Resource Development 362

ვლადიმერ პაპავა – გლობალიზაციის ფუნქციონალური ტიპების შესახებ
Vladimer Papava – ON THE FUNCTIONAL TYPES OF GLOBALIZATION 368

ოლენა რიბეირო რამოსი, შოთა შაბურიშვილი – აგროსამრეწველო წარმოების
განვითარების საინოვაციო და საინვესტიციო პროგრამის ფინანსური ასპექტები
Olena Ribeiro Ramos, Shota Shaburishvili – Financial Aspects of the Innovation and Investment
Program of Agro-Industrial Production Development 374

ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე – ხელშეკრულების მნიშვნელობა ფინანსური
ანგარიშგების სამართლიან წარდგენაში
Levan Sabauri, Nadezhda kvatashidze – Significance of the Contract for the Fair Presentation of
Financial Statements 383

დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, თეა მუნჯიშვილი,
ზვიად სიგუა – საქართველოს სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) ექსპორტის
კონკურენტუნარიანობის ანალიზი
Davit Sikharulidze, Shota Shaburishvili, Leila Kadagishvili, Tea Munjishvili, Zviad Sigua –
Analysis of the Competitiveness of the Export of Industrial Goods (production) of Georgia 391

ნანა სრესელი, ლია კოზმანაშვილი – კრიპტოგრაფიული აქტივების სამართლებრივი
რეგულირებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები
Nana Sreseli, Lia Kozmanashvili – Legal Regulation of Cryptographic Assets and Taxation Issues 409

მარინა ტაბატაძე – ეკონომიკის პოსტკრიზისული რეგულირების
სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია
Marina Tabatadze – Socio-Eeconomic Strategy of Post-crisis Regulation of Economy 420

ნინო ტალიკაძე – აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის
განმსაზღვრელი მახასიათებლები გლობალიზაციის პირობებში
Nino Talikadze – Determining Characteristics of Competitiveness of Agro-food
Products in the Conditions of Globalization 428

მაცაცო ტეფნაძე – ეკონომიკური ღირებულებები სოციალურის
საპირწონედ სამეწარმეო პოლიტიკაში
Matsatso Tepnadze – Economic VS Social Values in Entrepreneurial Policy 438

მირონ ტულუში – სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული მენეჯმენტის არსის
მართებულად გაგებისათვის
Miron Tugushi – For Correctly Understanding of the Essence of Strategic
Planning and Strategic Management 447

მირიან ტუხაშვილი – მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნის
პირველ ნახევარში
Mirian Tukhashvili – Migration Processes in Georgia in the First Half of the 20th Century 452

რამაზ ფუტკარაძე – ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოწვევები
გლობალიზაციის პირობებში
Ramaz Putkaradze – Challenges of China's Economic Development in Terms of Globalization 457

ნინო ქავთარაძე, მზევინარ ნოზაძე, მედეა ჭელიძე – ფულადი ბაზარი და მისი
ფუნქციონირების თავისებურებები (ქართული და უცხოური გამოცდილება)
Nino Kavtaradze, Mzevinar Nozadze, Medea Chelidze – Money Market and Characteristics of its
Functioning (Georgian and Foreign Experience) 464

თამარ ღამბაშიძე – ორგანიზაციული კულტურის თავისებურებებზე
მოქმედი ფაქტორები
Tamar Ghambashidze – Factors affecting the Regularities of Organizational Culture 469

ლეილა ღუდუშაური – ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები:
გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები
Leila Ghudushauri – Innovative Banking Technologies and Products:
Challenges and Development Prospects 473

თეიმურაზ შენგელია – ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე მულტიკულტურული
ფაქტორების ზეგავლენა
Teimuraz Shengelia – Influence of Multicultural Factors on Innovative
Development of the Country 483

გიორგი შიხაშვილი – „შეიცან თავი შენი“ – საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სწავლებანი საზოგადოების
სინერგიული განვითარებისა და მართვის შესახებ

Giorgi Shikhashvili – „Get to know yourself“– the Teachings of Catholicos-Patriarch Ilia II of Georgia on the Synergistic Development and Management of Society 491

მარინა ჩავლეიშვილი – პანდემიის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე: გამოწვევები და შესაძლებლობები
Marina Chavleishvili – The Impact of the Pandemic on Georgian Agriculture – Challenges and Opportunities 499

მალხაზ ჩიქობავა – მონეტარული თეორიის ახალი პარადიგმა და თანამედროვე გამოწვევები
Malkhaz Chikobava – A New Paradigm of Monetary Theory and Contemporary Challenges 506

ნიკოლოზ ჩიხლაძე, პაატა კოღუაშვილი – კრიზისული მოვლენების თეოლოგიურ-ეკონომიკური გააზრების საკითხისათვის
Nikoloz Chikhladze, Paata Koguashvili – On the Question of Theological-Economic Understanding of Crisis Phenomena 519

მურმან ცარციძე – მინიმალური ხელფასი საქართველოში
Murman Tsartsidze – Minimal Wage in Georgia 526

ლია ძებისაური – რუსეთზე დამოკიდებულება – სტატისტიკურად კრიტიკული საქონელი
Lia Dzebisauri – Dependence on Russia – Statistically Critical Goods 537

იზოლდა ჭილაძე – საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების ურთიერთკავშირის ასპექტები
Izolda Chiladze – Aspects of Correlation between the Weighted Average Cost of Capital and Profitability Indicators 542

ეთერ ხარაიშვილი – საჯარო შესყიდვების ბარიერები მცირე და საშუალო ბიზნესში: მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივა
Eter Kharaishvili – Public Procurement Barriers in SMEs: Service Improvement Perspective 549

მედეა ხარაიშვილი – უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგების შესაბამისობა საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ბალტიისპირეთის ქვეყნებში
Medea Kharaishvili – Compliance of Higher Education Reform Results with International Labor Market Requirements in the Baltic Countries 558

ლალი ხიხაძე – გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19 პანდემიის კრიზისის შესამცირებლად
Lali Khikhadze – Contemporary Trends in Global Business Development and Georgia's Opportunities to Mitigate the Covid-19 Pandemic Crisis 563

მერაბ ხმალაძე – შობადობის და მოკვდაობის სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში
Merab Khmaladze – Birth and Death Statistics in Post-Soviet Georgia 574

ლალი ხურცია, ვანო ცერცვაძე – თამბაქოს პოლიტიკისა და კონტროლის ფინანსური საკითხები
Lali Khurtsia, Vano Tsertsvadze – Financial Issues of Tobacco Policy And Control 580

მამუკა ხუსკივაძე, ლია თოთლაძე – ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება
Mamuka Khuskivadze, Lia Totladze – Environmental Security as a Factor of Sustainable Development: The Experience of the Benelux Countries 592

დავით ჯალაღონია, იური პაპასქუა, ლევან თეზიაშვილი – დამატებული ღირებულების გადასახადის რეგულირება საქართველოში: ცვლილებების ანალიზი, გამოწვევა
David Jalagonia, Iuri Papaskua, Levan Teziashvili – Regulation of Value Added Tax in Georgia: Analysis of Changes, Challenge 600

მიხეილ ჯიბუტი – ბიზნესის მასობრივი კრიმინალიზაციის ნიშნები საქართველოში
Micheil Jibuti – Signs of Mass Criminalization of Business in Georgia 607

მერაბ ჯიქია – ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდის გამოყენების უპირატესობები მმართველობით ანალიზში
Merab Jiqia – Advantages of Using the Integral and Logarithmic Method in Management Analysis 615

მერაბ ჯულაყიძე – ეკონომიკური მოდელების თეორიული საფუძვლები
Merab Julakidze – The Theoretical Foundations of Economic Models 627

დასაქმების სტატისტიკა საქართველოს ბიზნეს სექტორში პანდემიური შოკების ფონზე[1]

ნინო აბესაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სიმონ გელაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარინე მინდორაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლია ძებისაური
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში მოცემულია ბიზნეს სექტორში დასაქმების სტატისტიკური ანალიზი საწარმოთა საკუთრების ფორმის, ზომის, სამართლებრივი ფორმისა და რეგიონული ნიშნების მიხედვით. მთავარი აქცენტი მიმართულია მაჩვენებლების გაანგარიშებისადმი დასაქმებულთა კატეგორიების მიხედვით. კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური დაჯგუფების, მონაცემთა პრეზენტირების, შეფარდებითი და საშუალოების, დროითი მწკრივების, ვარიაციული ანალიზისა და სხვა მეთოდები.

ბიზნეს სექტორში დასაქმების მაჩვენებლები მეტად არაერთგვაროვანი იყო წლების, რეგიონების, საკუთრების ფორმებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით. საანალიზო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა, თუმცა, 2020 წელს მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით 7%-ით შემცირდა; ბიზნეს სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია მრეწველობაში, ვაჭრობაში, ავტომობილების რემონტის სფეროში და ასევე მშენებლობაში; ყველაზე მეტი დასაქმებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, მაგრამ დინამიკაში იზრდება სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დასაქმებულთა რიცხოვნობაც; სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა კერძო სტრუქტურები, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაა. ადმინისტრაციული რეგიონებიდან ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია თბილისში; აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ბიზნეს სექტორში არსებული სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ და მცირე ბიზნესზე მოდის.

საკვანძო სიტყვები: *დასაქმების სტრუქტურა, ბიზნეს სექტორი, ადმინისტრაციული რეგიონი, ტენდენცია, სტატისტიკური ანალიზი.*

ეკონომიკის ზრდისა და კერძო სექტორის მაღალი ტემპებით განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სრულყოფილი ბიზნესგარემო. ფაქტია, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციაზე იმყოფება. ეს იმას ნიშ-

[1] სტატია მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგრანტო კვლევითი პროექტის - **„Covid-19 პანდემიის პირობებში ბიზნესის სექტორული აქტიურობის შედარებითი სტატისტიკური კვლევა“** - ფარგლებში.

ნავს, რომ ბიზნესის კეთება საქართველოში შედარებით გამარტივებულია. ყოველივე აღნიშნული დადებით გავლენას ახდენს ბიზნეს სექტორში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. თუმცა, ქვეყნის განვითარებული და წარმატებული ბიზნეს გარემოს ფორმირებისათვის აუცილებლია ძლიერი საჯარო ინსტიტუტების, სამართლიანი და სტაბილური საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმებისა და ბიზნესის ოპერირების მაღალი კულტურის არსებობა. ეს პროცესები გარკვეული ზომით შეფერხდა პანდემიისა და მასთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრების პირობებში. ფაქტობრივად, COVID-19 პანდემიის გავრცელებიდან 2-წლიან პერიოდში საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საგრძნობლად შეიცვალა ქვეყნის განვითარების ეკონომიკური პარამეტრების მნიშვნელობები, დამძიმდა მოსახლეობის სოციალური ფონი, შესამჩნევად ტრანსფორმირდა ადამიანური ურთიერთობები როგორც ოჯახში, ისე სამსახურში, შეიცვალა დასაქმების მასშტაბები, მისი პარამეტრები და ა. შ. [Gelashvili and etc., 2021].

დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს და ის კიდევ უფრო გამწვავდა COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიის დროს, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუარესება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ვირუსის გავრცელების არეალის გაფართოებასა და ეპიდვითარების დამძიმების პარალელურად, ღრმავდებოდა სოციალური კრიზისი და იზრდებოდა უმუშევრობის მაჩვენებლები [აბესაძე და სხვ., 2022]. შედეგად მივიღეთ ის, რომ უფრო გამწვავდა ქვეყნის დემოგრაფიული, ეკონომიკური, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობა. ყოველივე აღნიშნულს კიდევ უფრო ამწვავებს საქართველოს მცირე და სუსტი ეკონომიკა და მეტად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები [გელაშვილი და სხვ., 2021].

დიაგრამა 1.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა (2010-2020 წწ., ათასი)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

საქართველოში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2010 წლიდან COVID-19 პანდემიამდე, ანუ 2020 წლამდე, ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2010-2019 წლებში ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 107% შეადგინა, თუმცა, 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა 7%-ით შემცირდა.

საქართველოში პანდემიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მთლიანად ბიზნეს სექტორზე. ვირუსის უკონტროლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლების მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა, მასთან დაკავშირებულმა გამკაცრებულმა რეგულაციებმა და არაერთმა ლოკდაუნმა, კომპანიების ნაწილის საქმიანობის შეზღუდვა და ხშირ შემთხვევაში შეჩერებაც გამოიწვია. რა თქმა უნდა, ყოველივე აღნიშნულმა დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირება გამოიწვია.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა სტატისტიკური მონაცემებიდან გაირკვა, რომ ყველაზე მეტი დასაქმებულია მრეწველობაში, ვაჭრობაში, ავტომობილების რემონტის სფეროში და ასევე მშენებლობაში.

ცხრილი 1.

დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და პერიოდის მიხედვით (ათასი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სოფლის მეურნეობა	6.5	6.5	8.2	10.3	11.1	12.3	12.7	12.7	12.3	12.8	12.3
მრეწველობა	100.3	114.5	118.2	116.3	115.5	123.4	125.9	130.7	131.0	130.0	129.8
მშენებლობა	40.5	65.3	70.2	66.1	68.9	71.1	75.0	76.2	74.2	70.0	66.1
ვაჭრობა და ავტომობილების რემონტი	67.7	107.2	113.7	119.6	138.4	156.1	169.7	183.9	196.9	210.0	197.3
ტრანსპორტირება და დასაწყობება	40.2	39.7	43.0	44.7	46.3	48.7	52.8	56.5	58.1	61.2	56.8
სასტუმროები და რესტორნები	16.1	24.0	27.8	30.3	31.3	33.9	37.4	42.2	45.7	48.6	31.8
ინფორმაცია და კომუნიკაცია	16.7	18.9	20.6	19.4	19.2	19.3	19.7	21.4	22.4	24.8	24.5
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	10.1	16.3	14.0	14.9	16.3	16.5	17.3	17.7	18.6	19.3	18.2
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	10.1	19.5	21.0	19.3	23.4	23.4	23.7	25.0	26.4	27.0	23.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	11.4	15.1	17.2	19.4	24.4	20.0	23.3	25.3	26.6	27.7	20.2
განათლება	14.7	16.4	17.0	19.4	21.2	21.8	22.1	22.6	23.0	23.3	22.2
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	56.5	48.0	49.4	56.9	58.2	61.2	65.5	69.4	72.3	74.9	75.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	4.4	8.3	10.0	10.1	11.6	13.0	14.4	17.1	18.4	19.0	17.8
სხვა სახის მომსახურება	2.7	3.4	4.1	4.1	6.3	6.1	7.1	7.5	8.2	8.4	7.8

წყარო: ცხრილი აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით.

2020 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში ყველაზე მეტი, ანუ 29%, დასაქმებული იყო საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის სფეროში, 9,3% – მშენებლობაში, 18,4% – მრეწველობაში. 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, საბითუმო და საცალო ვაჭრობასა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის სფეროში 0,6%-ით, მშენებლობაში 0,1%-ით, ხოლო მრეწველობაში 1,3%-ით შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების განხილვისას სამართლებრივი ფორმების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებშია (შპს). 2020 წელს შპს-ში დასაქმებულთა წილი მთლიანად ბიზნეს სექტორში დასაქმებულების 78,5%-ს შეადგენდა. საერთოდ, უკანასკნელ წლებში აღნიშნული სამართლებრივი ფორმის სუბიექტებში დასაქმებულთა პროცენტული წილის მაჩვენებელი 78-80%-ს შორის მერყეობდა.

ცხრილი 2.

დასაქმებულთა რაოდენობა სამართლებრივი ფორმებისა და კვარტლების მიხედვით

	სულ	მათ შორის						
		შპს	სააქციო საზოგად.	სოლიდ. პასუხის. საზოგ.	კომანდ. საზოგად.	კოოპერა-ტივი	ინდივ. მეწარმე	კერძო სამართლ. სხვა ორგ. ფორმა
2021-I	622 746	493 541	78 797	447	101	449	40 060	9 350
2021-II	659 718	523 091	83 033	428	121	467	42 689	9 889
2021-III	678 037	544 728	82 938	538	101	528	38 487	10 717
2021-IV	693 389	563 946	81 052	548	106	521	36 937	10 278

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ დინამიკაში იზრდება სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დასაქმებულთა რაოდენობაც. ზოგადად, კოოპერატივებში მკვეთრი ზრდა ფიქსირდებოდა პანდემიამდეც. სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის დაწესებულებებში დასაქმებულთა პროცენტული წილი ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა 10-11%-ს შეადგენს. თუმცა, 2020 წელს ასეთ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა უმნიშვნელოდ (1,3%-ით), მაგრამ მაინც შემცირდა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წელთან შედარებით, 1,4%-ითაა გაზრდილი სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის ობიექტებში დასაქმებულთა რიცხვი.

რაც შეეხება კოოპერატივებს, 2020 წელს, ანუ პანდემიის დაწყების პირველივე წელს, 17%-ით შემცირდა აქ დასაქმებულთა რაოდენობა. მაგრამ დინამიკაში 2014 წლიდან შეინიშნებოდა კოოპერატივებში დასაქმებულთა რიცხვის პერმანენტული ზრდის ტენდენცია. ამ პერიოდში დასაქმებულების რიცხვი ყოველწლიურად საშუალოდ 59%-ით გაიზარდა. როგორც ჩანს, პანდემიამ ძალიან ძლიერი დარტყმა მიაყენა კოოპერატივებს, რადგან საგრძნობლადაა შემცირებული მათში დასაქმებულთა რაოდენობა. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით, მთლიანად ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა 38%-ით შემცირდა.

საინტერესოა ასევე, თუ როგორია დასაქმებულთა სტატისტიკა საკუთრების ფორმებისა და პერიოდის მიხედვით.

ცხრილი 3.

დასაქმებულთა რაოდენობა საკუთრების ფორმისა და პერიოდის მიხედვით

	სულ (კაცი)	მათ შორის			
		სახელმწიფო	კერძო	კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები)	კერძო (უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები)
2010	397806	80332	317473	255705	61768
2011	503236	64299	438937	363228	75709
2012	534397	54581	479817	390095	89722
2013	550885	58645	492240	396396	95844
2014	592147	55437	536709	429302	107407
2015	626739	55454	571284	457557	113727
2016	666790	57760	609030	481700	127330
2017	708165	57732	650433	517803	132630
2018	734215	56677	677538	532048	145490
2019	756852	56975	699877	567942	131935
2020	703874	56435	647439	526755	120684
2021-I	622746	56221	566526	455356	111170
2021-II	659718	56080	603639	490322	113317
2021-III	678037	56983	621054	504849	116205
2021-IV	693389	58794	634595	514391	120204

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, საქართველოში შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით ძირითადად იკვეთება კერძო სტრუქტურების სიჭარბე. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2020 წლის მონაცემებით, კერძო სექტორში დასაქმებულია მთლიანად ბიზნეს სექტორში დასაქმებულების 92%. დასაქმებულთა ვარიაციის დიაპაზონი საანალიზო პერიოდში 11%-ია და იცვლება 79,9-დან და 92%-მდე.

ცხრილი 4.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილის
დინამიკა საკუთრების ფორმების მიხედვით, %

წლები	სახელმწიფო	კერძო	კერძო (ადგილობრივი ფიზიკ. ან იურიდ. პირი)	კერძო (უცხოელი ფიზიკ. ან იურიდ. პირი)
2010	20.2	79.8	64.3	15.5
2011	12.8	87.2	72.2	15.0
2012	10.2	89.8	73.0	16.8
2013	10.6	89.4	72.0	17.4
2014	9.4	90.6	72.5	18.1
2015	8.8	91.2	73.0	18.1
2016	8.7	91.3	72.2	19.1
2017	8.2	91.8	73.1	18.7
2018	7.7	92.3	72.5	19.8
2019	7.5	92.5	75.0	17.4
2020	8.0	92.0	74.8	17.1

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

კერძო ბიზნეს სუბიექტებს შორის დიდი ნაწილი ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაა. 2020 წელს ასეთი სუბიექტების პროცენტული წილი 74.8%-ს შეადგენდა. 2015 წელს კი ის 73%-ს უდრიდა, ხოლო 2010 წელს ბიზნეს სექტორის საწარმოების 64,3% ადგილობრივი პირების კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. შესაბამისად, დანარჩენი პროცენტული წილი, ანუ 35,7%, წარმოადგენდა უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებას. როგორც სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების შექმნას საქართველოში ძირითადად კერძო სექტორი უზრუნველყოფს.

რა თქმა უნდა, მეტად საინტერესოა, თუ როგორია დასაქმების მდგომარეობა ქვეყნის ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემთა ანალიზიდან ირკვევა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ანუ დაახლოებით 60%, დასაქმებული იყო თბილისში. მართალია, წლების მიხედვით თბილისში დასაქმებულთა პროცენტული წილის მაჩვენებელი განსხვავებულია, მაგრამ ის ძირითადად მერყეობს 59,5-სა და 63%-ს შორის. აბსოლუტური მონაცემებიც ადასტურებს, რომ დასაქმებულთა რაოდენობის მხრივ თბილისის შემდეგ წამყვან პოზიციებს იკავებს აჭარა და იმერეთი, სადაც დინამიკაში იზრდებოდა ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

ქვემოთ მოცემულ მე-5 ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილის მაჩვენებლების დინამიკა რეგიონულ ჭრილში.

ცხრილი 5.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ხვედრითი წილის დინამიკა რეგიონების მიხედვით, %

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
თბილისი	59.5	61.6	62.8	62.6	62.8	63.1	61.8	61.8	62.6	61.3	63
აჭარის ა. რ.	8	7.9	8.4	9	9.2	9.2	10	9.9	9.6	9.9	9.7
გურია	1	1.1	0.9	0.8	0.8	0.9	1.2	1.2	1.2	1.3	1.2
იმერეთი	8.9	8	8.2	7.8	7.9	7.5	7.4	7.3	7.2	7.7	7.5
კახეთი	3.7	3.1	3	3.2	3.1	3.1	3.3	3.3	3.3	3.3	2.9
მცხეთა-მთიანეთი	1.2	1	1.3	1.2	1.3	1.3	1.4	1.5	1.6	1.6	1.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.5	0.4	0.4	0.4	0.3	0.4	0.4	0.3	0.3	0.3	0.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5	5	4.4	4.4	4.5	4.4	4.3	4.2	4.1	4.2	3.8
სამცხე-ჯავახეთი	1.9	1.6	1.6	1.7	1.3	1.4	1.6	1.6	1.7	1.9	1.6
ქვემო ქართლი	7.1	6.4	6.3	6.2	5.9	5.8	6	5.9	5.7	5.8	5.6
შიდა ქართლი	2.9	3.7	2.6	2.5	2.6	2.7	2.5	2.6	2.6	2.6	2.7

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დასაქმების მაჩვენებლები საკმაოდ მცირეა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთსა და ასევე სამცხე-ჯავახეთში.

მდგომარეობა უცვლელია 2021 წლის კვარტალური მონაცემების მიხედვითაც. 2021 წლის მეოთხე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა გაიზარდა 2,3%-ით. მათ შორის თბილისში 1%-ით, აჭარაში 4%-ით და იმერეთში 3,9%-ით. მაჩვენებლების მატება შეინიშნებოდა ქვემო და შიდა ქართლშიც, როდესაც დასაქმებულების 5%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა. მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის.

რაც შეეხება დასაქმების მაჩვენებლებს საწარმოთა ზომის მიხედვით, ანალიზმა აჩვენა, რომ საანალიზო პერიოდში მაღალია მაჩვენებლები მცირე საწარმოებისათვის. ასე, მაგალითად, 2010 წლიდან 2019 წლამდე სისტემატურად იზრდებოდა ბიზნეს სექტორის მცირე საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა. ამ პერიოდში დასაქმებულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა 8,5%-ით (საშუალო წლიური ზრდის ტემპი იყო 108,5%). შესაბამისად, მცირე საწარმოებში დასაქმებულების ხვედრითი წილის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 101% შეადგინა.

ცხრილი 6.

დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომისა და პერიოდის მიხედვით (2010-2021წწ., %)

	მსხვილი	**საშუალო**	**მცირე**
2010	33.1	26.2	40.6
2011	30.5	23.6	46.0
2012	31.7	22.1	46.2

2013	32.4	22.9	44.8
2014	31.5	21.4	47.2
2015	31.7	21.9	46.4
2016	32.7	21.4	46.0
2017	33.0	20.5	46.5
2018	33.1	21.8	45.1
2019	35.0	20.2	44.8
2020	37.2	21.7	41.2

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

2021 წლის მონაცემებით, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილი დაფიქსირდა მსხვილ და მცირე ბიზნესში.

დიაგრამა 2.

დასაქმებულთა განაწილება საწარმოთა ზომის მიხედვით, 2021 წელს



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ, საქსტატის მონაცემების მიხედვით.

დასკვნა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ბიზნეს სექტორში დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებლები მეტად არაერთგვაროვანია წლების, რეგიონების, სექტორების, საკუთრების ფორმების, საწარმოთა ზომისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

- 2010-2019 წლებში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა, თუმცა, 2020 წელს მათი რიცხვი წინა წელთან შედარებით 7%-ით შემცირდა;
- ბიზნეს სექტორში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია შემდეგ დარგებში: მრეწველობაში, ვაჭრობაში, ავტომობილების რემონტის სფეროში და მშენებლობაში;
- ბიზნეს სექტორში დასაქმებულ პირთა 78,5%, დასაქმებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, თუმცა, დინამიკაში იზრდება სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში დასაქმებულთა რაოდენობაც;
- სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა კერძო სტრუქტურები. 2020 წლის მონაცემებით, კერძო სექტორში დასაქმებულია ბიზნეს სექტორში დასაქმებულების

92%, რომლის ვარიაციის დიაპაზონი საკვლევ, 2010-2020 წლების პერიოდში, 11%-ია და იცვლება 79,9-დან და 92%-მდე;

- კერძო ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი ადგილობრივი ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაა.
- ბიზნეს სექტორში დასაქმებული მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი საკვლევ პერიოდში დასაქმებული იყო თბილისში, შემდეგ კი აჭარასა და იმერეთში. დასაქმების მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში და სამცხე-ჯავახეთში.
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წელს ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ და მცირე ბიზნესზე მოდის.

ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ., მინდორაშვილი მ., ქუცურუა ქ. (2021). პანდემიის პერიოდში სტუდენტთა დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური კვლევა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ – შრომების კრებული. თსუ, თბილისი.
2. გელაშვილი, ს., აბესაძე, ნ., მინდორაშვილი, მ. (2022). მრეწველობაში დასაქმების თანამედროვე ტენდენციები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“. ბათუმი.
3. გელაშვილი ს., თოდრაძე გ. (2020). დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
4. სტუდენტების მშობლების დასაქმებასა და უმუშევრობაზე COVID-19 პანდემიის გავლენის სტატისტიკური კვლევა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „შრომის ბაზრის ახალი გამოწვევები: COVID-19 პანდემიის კონტექსტი“ – შრომების კრებული. ქუთაისი, 2022, გვ. 12-23.
5. Abesadze N., Mindorashvili M., Paresashvili N. (2018). Tourist expenses of foreign visitors in Georgia. Monograph, Tbilisi, TSU.
   https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/ucxoeli.pdf
6. Gelashvili S. (2020). On the formation of a system of coronastatistics indicators. Journal. "Globalization and Business", №10, Tbilisi, pp. 63-69.
7. Gelashvili, S., Mindorashvili M., Abesadze N. (2021). Journal „Transformacje/Transformations“, 3 (110), pp. 122-133, E-Issn 2719-715.
8. Mindorashvili M., Abesadze N., Giorgobiani M. (2019). Statistical analysis of students' socio-demographic characteristics. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business, IV International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business." Proceedings, Tbilisi, November 1-2, pp. 265-269. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf
9. Mindorashvili M., Abesadze N., Gelashvili S. (2021). Program-methodological issues of the statistical study of the impact of COVID-19 on the standard of living of the population. Proceedings of the Paata Gugushvili

Institute of Economics International Scientific Conference "Economic, Social, Ecological and Technological Challenges of the XXI Century".

10. Mindorashvili M. (2019). Statistics of revenue components in Georgia. Theory and practice of statistics in Georgia. Jubilee Scientific Edition. Dedicated to the 100th anniversary of the National Statistics Office of Georgia, National Statistics Office of Georgia, Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Tbilisi, Universal Publishing House, pp. 173-184.
11. Mindorashvili M. (2018). Micro and macro aspects of household statistics. III International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economics and Business." The conference is dedicated to the 100th anniversary of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Proceedings, TSU, October 26-27, pp. 263-267. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konference.pdf
12. Mindorashvili M. (2018). The role of key indicators of the household sector in macroeconomic analysis. Scientific publication "Teaching Statistics and Statistical Studies in Georgia", Universal Publishing House, Tbilisi, pp. 122-130, ISBN 978-9941-26-270-8.
13. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/statistika_61265.pdf
14. Simon Gelaschwili, Matthias Theodor Vogt (2015/16). Aspects of Armor in Modern Georgia. GÖRLITZ-ZGORZELEC JG. XIX, BEITRAG 1.
15. Demographic mood of Georgian student youth (2020). Monograph, Collective of Authors. Tbilisi, TSU, ISBN 978-9941-13-937.
16. https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/demografia.pdf
17. Higher education https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba
18. Household incomes https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi

Employment Statistics in the Business Sector of Georgia Against the Backdrop of Pandemic Shocks

Nino Abesadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Simon Gelashvili
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Marine Mindorashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lia Dzebisauri
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article provides a statistical analysis of employment in the business sector according to the form of ownership of enterprises, size of enterprises, organizational-legal form and regional cut. Emphasis is made and indicators are calculated according to the category of employees, as well as hired employees. Based on the analysis conducted according to each classification sign, appropriate conclusions are made.

In the research process are used: statistical grouping, data presentation, time series, variation analysis and other methods.

The indicators of employment in the business sector were highly heterogeneous according to years, regions, forms of ownership and size of enterprise. During the analysis period, the number of employees increased by 7% on average every year, but in 2020, their number decreased by 7% compared to the previous year; In the business sector, the largest number of people are employed in industry, wholesale and retail trade, automobile and motorcycle repair and construction; Most are employed in the limited liability companies, however, the number of employees in joint-stock companies and cooperatives is also increasing dynamically. According to the number of workplaces, private structures are distinguished, most of which are owned by local individuals or legal entities. Most people are employed in Tbilisi. In 2021, significant part of the jobs in business sector will come from the large and small business sector.

Keywords: employment structure, business sector, administrative region, trend, statistical analysis.

საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის შეფასების ეკონომეტრიკული მოდელი

იური ანანიაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში შემოთავაზებულია შრომის ბაზრის რეგრესიული განტოლებებისგან შემდგარი მოდელის შეფასების მეთოდი, რომელიც, ბაზრის მექანიზმის სპეციფიკის გათვალისწინებით, შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების ფუნქციების ნაწილობრივი ან სრული იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელმისაწვდომია მხოლოდ რეალური ხელფასისა და დასაქმებულთა რაოდენობის მონაცემები. ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებით შემოთავაზებული მეთოდი ეფუძნება დაშვებას, რომ მონაცემთა მოცემულ შერჩევაში შემავალი ხელფასისა და დასაქმებულთა რაოდენობის ყოველი წყვილი შეიძლება ბაზრის წონასწორობას არ ასახავდეს.

მოდელის განტოლებების შეფასება ორ ეტაპად ხდება. პირველ ეტაპზე რეალური ხელფასისა და დასაქმებულთა რაოდენობის მონაცემებისაგან შემდგარი შერჩევით ვაფასებთ დასაქმების წირს (მრუდს) და ვსაზღვრავთ მისი მაქსიმუმის წერტილს, რომელიც ბაზრის წონასწორობის წერტილს შეესაბამება. მეორე ეტაპზე, წონასწორობის წერტილის მდებარეობის გათვალისწინებით, მონაცემების მთლიან შერჩევაში გამოვყოფთ შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების განმსაზღვრელ ქვეშერჩევებს და ვაგებთ მათ შესაბამის განტოლებებს.

მეთოდის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა სტატიაში ილუსტრირებულია საქართველოს შრომის ბაზრის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზრის მოდელი, შრომის მიწოდების ფუნქცია, შრომაზე მოთხოვნის ფუნქცია, სამუშაო ძალის დასაქმების წირი, წონასწორობის წერტილი.*

მიუხედავად იმისა, რომ შრომის აგრეგირებული ბაზარი გარკვეული სპეციფიკის მქონეა, მთლიანობაში ჯდება იმ ზოგად ჩარჩოში, რაც დამახასიათებელია რესურსებისა და საქონელთა ბაზრებისთვის. ეს ნიშნავს, რომ შრომის ბაზრის ფორმალიზებული აღწერისთვის, ზოგად შემთხვევაში, საჭიროა მინიმუმ ორი განტოლებისაგან შემდგარი მოდელი, რომელშიც ერთი განტოლება უნდა გამოსახავდეს შრომაზე მოთხოვნის, მეორე – შრომის მიწოდების კანონზომიერებას. უმარტივეს შემთხვევაში, როცა მოთხოვნასა – L^D და მიწოდებაზე -L^S ზემოქმედი ყველა ფაქტორი, რეალური ხელფასის გარდა, დაფიქსირებულია ასეთი მოდელის ვარიანტს შემდეგი სახე აქვს:

$$L^D = L^D(w), \quad dL^D/dw < 0; \tag{1}$$

$$L^S = L^S(w), \quad dL^S/dw > 0, \tag{2}$$

სადაც w რეალური ხელფასია. ეს უკანასკნელი შრომის ბაზარზე ისეთივე როლს ასრულებს, როგორსაც ფასი საქონლის ბაზარზე, ამასთან, w ნომინალური ხელფასის, W-ს, ფასების დონესთან, P -სთან, შეფარდებით განისაზღვრება: $w = W/P$. აღსანიშნავია, რომ $L^D(w)$ და $L^S(w)$ ფუნქციების (1) და (2) სახით გამოსახვას საფუძვლად უდევს ფირმებისა და შინამეურნეობების ქცევის რაციონალიზმი, რომლის თანახმადაც რეალური ხელფასის ყოველი კონკრეტული მნიშვნელობისას ფირმები, როგორც დამქირავებლები, ესწრაფვიან მოგების მაქსიმიზაციას, შინამეურნეობები კი ცდილობენ, ბაზარს მიაწოდონ იმ რაოდენობის შრომა, რომელიც მათი კეთილდღეობის მაქსიმიზირებას განაპირობებს [მაგ. *Williamson, S. D.,* 2014] . (1)-(2) ჩანაწერი გვიჩვენებს, რომ რეალური

ხელფასის მიმართ შრომაზე მოთხოვნა L^D არის კლებადი, შრომის მიწოდება L^S კი – ზრდადი ფუნქცია.

როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში $L^D(w)$ და $L^S(w)$, ფუნქციების კონკრეტული სახე უცნობია და მათ შესაფასებლად პრაქტიკაში უნდა მივმართოთ ეკონომეტრიკულ მოდელირებას, რომელიც თავისთავად გულისხმობს ორ გარემოებას:

- (1)-(2) სისტემის გარდაქმნას რეგრესიული განტოლებებისგან შემდგარ მოდელად;
- მოდელში შემავალი L^D , L^S და w ცვლადების შესახებ დაკვირვების L_i^D, L_i^S, w_i, $i = 1,2,\cdots,n$, მონაცემების მიღებას.

ამ გარემოებებიდან პირველი – რეგრესიულ სისტემად გარდაქმნა, მარტივად წყდება ნულოვანი ლოდინის მქონე შემთხვევითი ε_i^D და ε_i^S წევრების ჩართვით შესაბამის განტოლებებში:

$$Q^D = D(P) + \varepsilon^D, \quad i = 1,2,\cdots,n, \tag{3}$$

$$Q^S = S(P) + \varepsilon^S, \quad i = 1,2,\cdots,n. \tag{4}$$

შინაარსობრივად ε_i^D და ε_i^S არაიდენტიფიცირებადი ფაქტორების გავლენას ასახავენ შედეგობრივ L^D და L^S ცვლადებზე და, დამატებით, გარკვეულ ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, რომელებსაც აქ არ განვიხილავთ [Greene, W., 2012]. გაცილებით რთული გადასაწყვეტია მეორე გარემოება – L^D , L^S და w ცვლადების შესახებ დაკვირვების მონაცემების განსაზღვრა. პრობლემა ის არის, რომ შრომის ბაზრის მოდელის ანალიზისას, თუ სპეციალურად არ ტარდება ბაზრის სუბიექტების გამოკვლევა, იშვიათად მიგვიწვდება ხელი უშუალოდ შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების განცალკევებულ L_i^D და L_i^S მნიშვნელობებზე. არსებული სტატისტიკური სისტემა, როგორც წესი, ხელფასის მნიშვნელობებთან ერთად, ინფორმაციას იძლევა დასაქმებულთა ფაქტობრივი რიცხვისა (L) და რეალური ხელფასის, w-ს შესახებ და არა იმის შესახებ, როგორი იყო ამა თუ იმ ხელფასის პირობებში კონკრეტულად მოთხოვნა L_i^D და მიწოდება L_i^S. ასეთ სიტუაციაში, თუ სხვა დამატებითი ინფორმაცია მოცემული არ არის, შრომის ბაზრის მოდელის როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების ფუნქციები ერთობლიობაში არაიდენტიფირებადად ითვლება. პრობლემის გადაწყვეტის სტანდარტული მიდგომა, რომელიც ფართოდ გამოიყენება, გულისხმობს: ერთი მხრივ, შრომის ბაზრის მოდელის სპეციფიკაციის ცვლილებას განტოლებებში დამატებითი ფაქტორული ცვლადების ჩართვის გზით; მეორე მხრივ, დაშვების შემოღებას, იმის შესახებ, რომ დასაქმებულთა დაკვირვებადი ფაქტობრივი L_i მნიშვნელობები, რეალური ხელფასის შესაბამის მნიშვნელობებთან ერთად, შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობებს შეესაბამება, ანუ ადგილი აქვს ტოლობებს: $L_i^D = L_i^S = L_i$, $i = 1,2,\cdots,n$. [Wooldridge J. 2012; Кейн Э., 1977]

სტატიაში შემოთავაზებულია შრომის ბაზრის (3)-(4) რეგრესიული განტოლებებისგან შემდგარი მოდელის შეფასების განსხვავებული მეთოდი, რომელიც, ბაზრის მექანიზმის სპეციფიკის გათვალისწინებით, შრომაზე მოთხოვნისა და შრომის მიწოდების ფუნქციების ნაწილობრივი ან სრული იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხელმისაწვდომია მხოლოდ რეალური ხელფასისა და დასაქმებულთა რიცხვის მონაცემები. ტრადიციული მიდგომებისაგან განსხვავებით შემოთავაზებული მეთოდი ეფუძნება დაშვებას, *რომ მონაცემთა მოცემულ შერჩევაში შემავალი დასაქმებულთა რაოდენობისა და რეალური ხელფასის ყოველი წყვილი L_i, w_i შეიძლება ბაზრის წონასწორობას არ ასახავდეს.*

მეთოდის იდეა ეფუძნება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის მონაცემების განსაზღვრას სამუშაო ძალის **დასაქმების წირის (მრუდის)** გამოყენებით [ანანიაშვილი ი., 2022].. ჩვენი განმარტების თანახმად, სამუშაო ძალის დასაქმების წირი

გამოსახავს ეკონომიკაში ფაქტობრივად დასაქმებულთა რაოდენობის, L-ის, დამოკიდებულებას რეალურ ხელფასზე, w -ზე (იხ. ნახ. 1). საქმე ისაა, რომ დასაქმებულთა რაოდენობის L ცვლადის დაკვირვების მნიშვნელობათა სიმრავლე $\{L_i,\ i = 1,2,\cdots,n\}$ სამი შესაძლო კომბინაციიდან ერთ-ერთით შეიძლება იყოს წარმოდგენილი: 1) მთლიანად ემთხვეოდეს შრომაზე მოთხოვნის მნიშვნელობებს, ე.ი. $L_i = L_i^D,\ i = 1,2,\cdots,n$; 2) მთლიანად ემთხვეოდეს შრომის მიწოდების მნიშვნელობებს, ე.ი. $L_i = L_i^S,\ i = 1,2,\cdots,n$; 3) ნაწილი შეესაბამება მოთხოვნის, ნაწილი კი მიწოდების მნიშვნელობებს. ცხადია, წინასწარ ჩვენთვის უცნობია ამ კომბინაციებიდან რომელთან გვაქვს საქმე, თუმცა მიახლოებით შეიძლება ამის დადგენა. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა შევარჩიოთ რაიმე უწყვეტი ფუნქცია, რომელსაც შევაფასებთ მოცემული $\{L_i,\ w_i,\ i = 1,2,\cdots,n\}$ შერჩევით. ამ პროცესში შეიძლება მოგვიწიოს რამდენიმე ფუნქციის განხილვა და, შესაბამისი ეკონომეტრიკული ტესტებისა და სტატისტიკების გამოყენებით, მონაცემებზე მაქსიმალურად „კარგად მორგებული“ ვარიანტის არჩევა. თუ აღმოჩნდება, რომ ასეთს წარმოადგენს რაიმე ***მკაცრად მონოტონური*** (მაგალითად, წრფივი, ხარისხოვანი, ექსპონენციალური ან ლოგარითმული) ფუნქცია, მაშინ სრულიად მართებულია ჩავთვალოთ, რომ შერჩევაში მოცემული დასაქმების l_i მნიშვნელობები შრომის ბაზრის მხოლოდ ერთი მახარის – მოთხოვნის ან მიწოდების, მახასიათებლებია. კონკრეტულად, თუ დასაქმების შეფასებული ფუნქცია ხელფასის მიმართ ზრდადია, მაშინ ის შრომის მიწოდების იდენტიფიცირებული ფუნქციის როლში უნდა განვიხილოთ და დასაქმების მნიშვნელობათა $\{L_i,\ i = 1,2,\cdots,n\}$ შერჩევა მთლიანად შრომის მიწოდების დაკვირვებად მნიშვნელობათა სიმრავლედ ჩავთვალოთ: $L_i = L_i^S,\ i = 1,2,\cdots,n$. პირიქით, როცა შეფასებული ფუნქცია ხელფასის მიმართ კლებადია, მაშინ ის მოთხოვნის იდენტიფიცირებული ფუნქციაა, ხოლო $\{L_i,\ i = 1,2,\cdots,n\}$ შერჩევა მთლიანად მოთხოვნის დაკვირვებად მნიშვნელობათა სიმრავლეა: $L_i = L_i^D,\ i = 1,2,\cdots,n$.

ზოგადად დასაქმების წირს აქვს აღმავალი და დაღმავალი ნაწილები და ექსტრემუმის (მაქსიმუმის) წერტილი. ნახ. 1-ზე აღმავალი OE ნაწილი შეესაბამება შრომაზე ჭარბი მოთხოვნის სიტუაციას და ამიტომაც დასაქმების წირის ამ ნაწილის მნიშვნელობები შრომის მიწოდების მნიშვნელობების შესაბამისია; პირიქით, დაღმავალი Ew_U ნაწილი შრომის ჭარბი მიწოდების სიტუაციისას ყალიბდება, რის გამოც ამ ნაწილზე დასაქმების წარმოდგენილი მნიშვნელობები მთლიანად შრომაზე მოთხოვნის მნიშვნელობების შესაბამისია. რაც შეეხება E წერტილს, ის შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობას შეესაბამება და იმავდროულად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკაში დასაქმება მაქსიმუმს მაშინ აღწევს, როცა შრომაზე მოთხოვნა შრომის მიწოდებას ემთხვევა[1]. მაშასადამე, მაქსიმუმის E წერტილის კოორდინატებიდან w_E არის წონასწორული რეალური ხელფასი, ხოლო L_E – დასაქმებულთა რაოდენობა წონასწორობის შემთხვევაში. ერთ-ერთი საინტერესო გარემოება, რაზეც ცხადად მიგვანიშნებს დასაქმების წირი, არის ის, რომ ეკონომიკაში დასაქმების ერთი და იგივე დონე შეიძლება არსებობდეს რეალური ხელფასის ორი განსხვავებული მნიშვნელობის პირობებში. თანაც, ეს მნიშვნელობები აუცილებლად უნდა იმყოფებოდნენ წონასწორული რეალური ხელფასის სხვადასხვა მხარეს.

[1] ნახ. 1-ის აგებისას დავუშვით, რომ რომ w-ს მნიშვნელობათა არეს წარმოადგენს [0, w_U], სადაც 0 არის რეალური ხელფასის ქვედა ზღვრული მნიშვნელობა, რომლის დროსაც ბაზარს შრომა არ მიეწოდება; w_U არის რეალური ხელფასის რაიმე ზედა ზღვრული მნიშვნელობა. ასეთად შეიძლება ჩავთვალოთ, მაგალითად, w-ს ის უკიდურესი მნიშვნელობა, რომლისთვისაც ფირმები სამუშაო ძალის დაქირავებაზე საერთოდ უარს იტყვიან და შეწყვეტენ ფუნქციონირებას.

ნახაზი 1.

შრომის ბაზრის მოდელი და სამუშაო ძალის დასაქმების წირი



დასაქმების წირის შესაბამისი ფუნქციის შესაფასებლად გამოვიყენეთ საქართველოს ეკონომიკის 2010-2021 წლების კვარტალური მონაცემები მთლიანად დასაქმებულთა რაოდენობის, ნომინალური ხელფასისა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) შესახებ. შესაბამისი ინფორმაცია ავიღეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საიტიდან [https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba]. ნომინალური ხელფასისა და სფი-ის დროითი მწკრივების საფუძველზე წინასწარ შევადგინეთ რეალური ხელფასის დროითი მწკრივი. ამ უკანასკნელის დინამიკის ამსახველი გრაფიკი, დასაქმებულთა დინამიკის გრაფიკთან ერთად, მოცემულია დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა 1.

დასაქმებულთა რაოდენობა და რეალური ხელფასი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების მიხედვით

სამუშაო ძალის დასაქმების წირის იდენტიფიცირებისათვის შევაფასეთ არაწრფივი რეგრესიის ორი ვარიანტი: ჩვეულებრივი კვადრატული

$$L = \alpha_0 + \alpha_1 w + \alpha_2 w^2 + \varepsilon. \quad (5)$$

და კომბინირებული ლოგარითმული,

$$lnL = \beta_0 + \beta_1 lnw + \beta_2 w^2 + \varepsilon. \quad (6)$$

ორივე მათგანის თეორიულ ფუნქციას დადებითი β_1-ისა და უარყოფითი β_2-ის შემთხვევაში გააჩნია მაქსიმუმის წერტილი. კერძოდ, (5)-ის მაქსიმუმის წერტილის კოორდინატებია

$$w^* = -\frac{\alpha_1}{2\alpha_2}, \quad L^* = \alpha_0 + \alpha_1 w^* + \alpha_2 w^{*2},$$

(6)-ის თეორიული ფუნქციის მაქსიმუმის წერტილის კოორდინატებს კი შემდეგი სახე აქვს:

$$w^* = \sqrt{-\frac{\beta_1}{2\beta_2}} \quad L^* = \exp(\beta_0 + \beta_1 lnw^* + \beta_2 w^{*2}).$$

თავდაპირველად, ორივე ფუნქციის შესაფასებლად გამოვიყენეთ ჩვეულებრივი უმცირეს კვადრატთა მეთოდი. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებული კოეფიციენტები და მთლიანად მიღებული განტოლებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, დარბინ-უოტსენის ტესტმა ორივე განტოლების შეცდომის წევრისათვის ავტოკორელაციის არსებობა დაადასტურა. ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში პრობლემა არსებითად რეგრესიის კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომების არასწორ გამოთვლას უკავშირდება, ხოლო თვითონ შეფასებული რეგრესიის კოეფიციენტები კი გადაუადგილებელია [Wooldridge J., 2012]. პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა კოეფიციენტების სტანდარტული შეცდომების ე.წ. HAC შეფასებების გამოთვლას გულისხმობს. ქვემოთ მოცემული (7) და (8) განტოლებების სტანდარტული შეცდომები და ტესტის სტატისტიკები სწორედ ამ წესით არის მიღებული.

$$\hat{L} = -1248{,}5 + 740{,}8w - 50{,}53w^2, \tag{7}$$
$$(s.e.)\ (666{,}5)\quad (179{,}9)\quad (11{,}8)$$
$$R^2 = 0{,}323;\ F = 10{,}72;\ n = 48;$$

$$\widehat{lnL} = 4{,}323 + 2{,}0005\, lnw - 0{,}0189w^2, \tag{8}$$
$$(s.e.)\ (0{,}6932)\quad (0{,}4645)\quad (0{,}0041)$$
$$R^2 = 0{,}32;\ F = 10{,}58;\ n = 48.$$

პირველი, რაც ყურადღებას იქცევს ამ განტოლებების ანალიზიდან არის ის, რომ ორივეს კოეფიციენტების ნიშნები სამუშაო ძალის დასაქმების წირის მაქსიმუმის წერტილის (ანუ შრომის ბაზრის წონასწორობის წერტილის) არსებობაზე მიუთითებს. უფრო მეტიც, მიუხედევად იმისა რომ ფორმალური თვალსაზრისით მოყვანილი ფუნქციები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, ორივე ფუნქციაში წონასწორობის წერტილის კორდინატები თითქმის ერთნაირია. შესაბამისი გამოთვლებით მივიღებთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ 12 წლიან (2010-2021 წლები) პერიოდში საქართველოს შრომის ბაზრის წონასწორობის მდგომარეობის (w^*, L^*) წერტილის კოორდინატები შემდეგი სახით განისაზღვრებოდა:

კვადრატული ფუნქციის მიხედვით –

$$w^* = -\frac{\alpha_1}{2\alpha_2} = 7{,}3302;\quad L^* = \alpha_0 + \alpha_1 w^* + \alpha_2 w^{*2} = 1466{,}6;$$

კომბინირებული ლოგარითმული ფუნქციის მიხედვით –

$$w^* = \sqrt{-\frac{\beta_1}{2\beta_2}} = 7{,}2728;\quad L^* = \exp(\beta_0 + \beta_1 lnw^* + \beta_2 w^{*2}) = 1467{,}8$$

როგორც ვხედავთ, წონასწორობის შესაბამისი დასაქმებულთა რაოდენობა ორივე მოდელის მიხედვით, ფაქტობრივად, ერთიდაიგივეა და დაახლოებით 1467 ათას კაცს შეადგენს. რაც შეეხება წონასწორულ რეალურ ხელფასს – w^*-ს, ის მცირეოდენ განსხვავდება მოდელების მიხედვით. კერძოდ, კვადრატული ფუნქციის შემთხვევაში $w^* \approx 733$ ლარს, ხოლო კომბინირებული ლოგარითმული ფუნქციის შემთხვევაში $w^* \approx 727$ ლარს. განხილული ორი მოდელის შედეგების მსგავსების მიუხედავად, შემდეგში უპირატესობას მივანიჭებთ კომბინირებულ ლოგარითმულ ფუნქციას. ამის მიზეზია ის, რომ კვადატულისაგან განსხვავებით, კომბინირებული ლოგარითმული ფუნქციის შტოები ექსტრემუმის წერტილის მიმართ მკაცრად სიმეტრიულს არ წარმოადგენს და მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციების დახრილობაში შესაძლო განსხვავების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

ახლა როცა ჩვენთვის ცნობილია დასაქმების წირის მაქსიმუმის წერტილის (ანუ შრომის ბაზრის წონასწორობის წერტილის) მნიშვნელობა $(w^* = 7{,}2728, L^* = 1467{,}8)$, შეგვიძლია გადავიდეთ შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის ფუნქციების აგებაზე. ამისათვის დასაქმებულთა შერჩევის მთლიან მონაცემებში უნდა გამოვყოთ მიწოდების მიხედვით დასაქმებულთა ქვეშერჩევა და მოთხოვნის მიხედვით დასაქმებულთა ქვეშერჩევა [ანანიაშვილი ი., 2022]. უნდა ითქვას, რომ ზოგადად მთლიანი შერჩევიდან ქვეშერჩევების გამოყოფის პრობლემა შედარებით მარტივად გადაწყვეტადია, როცა საქმე ჯვარედინი მონაცემების შერჩევასთან გვაქვს. დროითი მწკრივების მონაცემების შემთხვევაში კი მთლიანი შეჩევის ქვეშერჩევებად გამიჯვნისას გარკვეულ სირთულეს შეიძლება წავააწყდეთ. საქმე ისაა, რომ დროითი მწკრივის დაკვირვების წერტილები მკაცრი თანმიმდევრობითაა დაფიქსირებული და მათი გადაჯგუფება და მოწესრიგება ზოგადად არამიზანშეწონილია. საბედნიეროდ, ჩვენი კვლევის ობიექტის შესაბამისი რეალური ხელფასისა და დასაქმებულთა დროითი მწკრივების სპეციფიკა ისეთია, რომ კომბინირებული (8) მოდელით შეფასებულ წონასწორობის $(w^* = 7{,}2728, L^* = 1467{,}8)$ წერტილის დასაქმებულთა რაოდენობას, L^*-ს, საკმარისი სიზუსტით შეესაბამება 2013 წლის 4 კვარტლის საშუალო (1462 ათასი კაცი), ხოლო წონასწორული რეალური ხელფასი, w^*, ფაქტობრივად ემთხვევა იმავე წლის პირველი სამი კვარტლის საშუალოს, 727 ლარს. ეს გარემოება იმის საფუძველს იძლევა, რომ წონასწორობის მდგომარეობის პერიოდად ავირჩიოთ 2013 წელი და მთლიანი $\{(w_t, L_t), t = 1,2,\ldots,48\}$ შერჩევა ამის მიხედვით გავმიჯნოთ შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის ფუნქციების შესაფასებელ ქვეშერჩევებად.

უფრო კონკრეტულად, იმისათვის, რომ ძირითადად დაცული ყოფილიყო ქვეშერჩევებად გამიჯვნის ზოგადი პრინციპი (ანანიაშვილი ი, 2022) , 2010-2021 წლების კვარტალური მონაცემების $\{(w_t, L_t), t = 1,2,\ldots,48\}$ შერჩევიდან შრომის მიწოდების ფუნქციის შესაფასებლად გამოვიყენეთ მონაცემები 2010 წლის პირველი კვარტლიდან 2013 წლის მე-3 კვარტლამდე ჩათვლით, დარჩენილი მონაცემებით კი შევაფასეთ შრომაზე მოთხოვნის ფუნქცია. ამასთან, როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის ფუნქციის შეფასებისას დამატებით გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ მათი გადაკვეთის წერტილი (ანუ შრომის ბაზრის წონასწორობის წერტილი) უნდა ემთხვეოდეს დასაქმების მრუდის შეფასებით მიღებულ წონასწორობის წერტლის მნიშვნელობას, $(w^* = 7{,}2728, L^* = 1467{,}8)$ -ს. ამ ყველაფრის შედეგად, ხელმისაწვდომი უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით მივიღეთ შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის შემდეგი განტოლებები:

$$\widehat{\ln L^S} = 6{,}91391 + 0{,}05193w, \quad LR = 877{,}7, \; p = 0{,}0000; n = 16; \tag{9}$$
$$(z) \quad (174{,}92) \quad (9{,}5777)$$

$$\widehat{lnL^D} = 7{,}70196 - 0{,}05636\,w, \qquad LR = 378{,}9, \quad p = 0{,}0000, \; n = 33 \tag{10}$$
$$(z)\ (65{,}394)\ (-3{,}4754)$$

ორივე განტოლების ყველა კოეფიციენტი და მთლიანობაში თვით განტოლებებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. შინაარსობრივადაც ორივე გატოლება გამართულია, რაც იმას ნიშნავს, რომ w-ს მიმართ შრომის მიწოდება – L^S, ზრდადია, მოთხოვნა – L^D, კი კლებადია. დამოკიდებული ცვლადების ლოგარითმული ფორმა თვალსაჩინოს ხდის დახრის კოეფიციენტების, 0,0519-ისა და -0,0564-ის, ინტერპრეტაციას. კერძოდ, შეფასებული განტოლებების მიხედვით, საანალიზო პერიოდში საქართველოს შრომის ბაზარზე რეალური ხელფასის 100 ლარით ზრდას, (9)-ისა და (10)-ის თანახმად, შეესაბამებოდა შრომის მიწოდების 5,2%-ით ზრდა, ხოლო შრომაზე მოთხოვნის 5,6%-ით კლება. მაშასადამე, საქართველოს შრომის ბაზარზე რეალური ხელფასის ცვლილებაზე შრომაზე მოთხოვნა ოდნავ უფრო ძლიერად რეაგირებდა, ვიდრე შრომის მიწოდება.

დასასრულს ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე. აქამდე, შრომის ბაზრის ანალიზისას, ვიხილავდით მოდელს, რომელშიც მიწოდებასა და მოთხოვნას მხოლოდ ერთი საერთო ამხსნელი ცვლადი განსაზღვრავდა. ცხადია, ასეთ სიტუაციაში აპრიორულად ვგულისხმობდით, რომ მოცემული ამხსნელი ცვლადი – რეალური ხელფასი, შრომის ბაზრის მოდელში კორელაციაში არ იმყოფება მიწოდებისა და მოთხოვნის შესაბამისი განტოლებების შეცდომის ε^S და ε^D წევრებთან. ეს დაშვება უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, შეფასებების გადაუადგილებლობას, მეორე მხრივ, იმას, რომ შეცდომის ε^S და ε^D წევრებიდან შრომის მიწოდებასა და მოთხოვნაზე მოქმედი სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ცხადი სახით გამოყოფა და წყვილურის ნაცვლად მრავლობითი რეგრესიების აგება და შეფასება, გავლენას არ იქონიებს რეალური ხელფასის შესაბამის დახრის კოეფიციენტებზე[1]. უფრო მეტიც, ამ დაშვების პირობებში მნიშვნელოვნად მარტივია ბაზრის ახალ წონასწორობაში გადასვლის ვარიანტების განხილვა, რომლებიც ეკონომიკურ თეორიაში „სხვა თანაბარი პირობების ცვლილებისნ შედეგის სახელწოდებით არის ცნობილი. მაგრამ თუ აღნიშნული დაშვების მართებულობას ეჭვის ქვეშ დავაყენებთ და ჩავთვლით, რომ შრომის მიწოდებასა და მოთხოვნას რეალურ ხელფასთან *კორელაციაში მყოფი* სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც განსაზღვრავენ, მაშინ ბაზრის მოდელის შეფასების ზემოთ განხილული მიდგომა შესაბამის მოდიფიცირებას უნდა დაექვემდებაროს [მაგ. Варшавский А.Е., Кочеткова Е.В., 2018; Ananiashvili I., 2018].

ლიტერატურა:

1. *Williamson*, *S. D*. (2014). *Macroeconomics.* 5th Edition, Pearson Education; – 720 p.
2. Greene, W. (2012) Econometric Analysis. 7th Edition, Prentice Hal.
3. Wooldridge J. (2012). Introductory Econometrics: A Modern Approach. 5th edition, Cengage Learning, – 912 p.
4. Кейн Э. (1977). Экономическая статистика и эконометрия. Введени в количественный экономический анализ. Перевод с английского. Москва, Статистика. Выпуск. 1 и 2.

[1] განხილული მოდელის ფარგლებში, რეალური ხელფასის შეცდომის წევრებისაგან დამოუკიდებლობა ფორმალურად ნიშნავს, რომ არის ეგზოგენური ცვლადი და ის კორლაციაში არ იმყოფება შრომის მიწოდებისა და შრომაზე მოთხოვნის განმსაზღვრელ სხვა ცვლადებთან, რომლებიც ცხადად არ ფიგურირებენ მოდელის განტოლებებში, მაგრამ ასახული არიან შეცდომის და წევრებში [Магнус Я.Р., Катышев П.К., Пересецкий А.А., 2005].

5. ანანიაშვილი ი. (2022). ბაზრის მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში. //ეკონომიკა და ბიზნესი. ტომი XVIV, №4.
6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
7. Магнус Я.Р., Катышев П.К., Пересецкий А.А. (2005). Эконометрика. Начальный курс: Москва, Издательский дом «Дело» , 504 с
8. Варшавский А.Е., Кочеткова Е.В. (2018). Моделирование показателей спроса и предложения инженерно-технических специалистов // Экономический анализ: теория и практика. – 2018. – Т. 17, № 5. – С. 886 – 905.
9. Ananiashvili I. (2018). Dependence of Aggregate Supply on the Main Factors Prices of Production. Bulleten of the Georgian National Academy of sciences. Vol. 12, no. 1.

Econometric Model for Estimating the Georgian Labour Market Equilibrium

Iuri Ananiashvili
Doctor of Economic Sciences, Profeessor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

This article proposes a method to estimate the labor market model consisting of regression equations. It takes into account the specifics of the market mechanism and makes it possible to fully or partially identify the functions of labor supply and demand, even when the only data available is on the real wages and the number of employees. Unlike the traditional approach, the proposed method is based on the assumption that not every pair of real wages and the number of employees included in the data sample corresponds to the market equilibrium.

The estimation of equations of this model involves a two-step process. First, using the sample of data on real wages and the number of employees, the **employment line (curve)** is estimated, and the point of its maximum, which corresponds to the point of market equilibrium, is defined. Then, given the location of the equilibrium point, subsamples that define the demand for labor and the labor supply are identified from the total sample, and their respective equations are constructed.

The article demonstrates how to apply this method, using the Georgian labor market as an example.

Keywords: labor market model, labor supply function, labor demand function, workforce employment line, equilibrium point.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

კოვიდ-19-მდე და მის შემდეგ

ნონა ახვლედიანი
ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
ალეკო ბაკურაძე
ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
მარიამ ახვლედიანი
ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს
ადმინისტრირების მაგისტრანტი

საქართველოს აქტიური ჩართულობა საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში, ჩვენი ქვეყნის წინაშე პერმანენტულად აყენებს ეროვნული სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის საკითხს. აქედან გამომდინარე საგარეო ვაჭრობა, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძალზედ აქტიური და სწრაფად მზარდი სეგმენტი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება სახელისუფლო ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესის სფეროდ. იგი არის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი ეკონომიკური ბერკეტი, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც მისი დახმარებით იზრდება ეკონიმიკაში გამოყენებული რესურსების მოცულობა. საგარეო ვაჭრობა იძლევა კონკურენტუნარიან დარგებში წარმოების განვითარებას. პრაქტიკული ინტერესი კი თავისთავად იწვევს მოცემული სფეროს მეცნიერული შესწავლის, არსებული ტენდენციების გამოვლენის, უპირატესობებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენის, მათი გაუმჯობესების გზების ძიების, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გამოტანისა და მდგომარეობის გამაჯანსაღებელი პრაგმატული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას მითუმეტეს დღევანდელი პანდემიის პირობებში.

2020 წლიდან მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დგება. მანამდე არნახული ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე ქვეყნებს უწევთ არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება. COVID-19 უპრეცედენტო სტრესის ქვეშ აყენებს ქვეყნებს სიცოცხლის გადასარჩენად. მისი აფეთქება მოხდა მზარდი გლობალური ვაჭრობის ფონზე, რომლის სწრაფმა გავრცელებამ და მთავრობების მიერ მის აღსაკვეთად მიღებულმა ზომებმა სერიოზული ზარალი მოიტანა, როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მსოფლიო ეკონომიკისთვის. ყოველივე აქედან გამომდინარე კვლევის მიზანად დასახულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკისა და ტენდენციების შესწავლა COVID-19 მდე და მის შემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: *COVID-19, ვაჭრობა, სტატისტიკა, ანალიზი, ექსპორტი, იმპორტი, სალდო.*

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპებმა და განსაკუთრებით ეროვნული ეკონომიკის აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისაკენ, რომელიც აძლიერებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლისადმი. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სიღრმისეულმა ცვლილებებმა და განვითარების სწრაფმა ტემპებმა მოითხოვა სტატისტიკის თეორიული საკითხების ახლებურად გააზრება და მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკასთან თავსებადი მეთოდო-

ლოგიური პრინციპების ჩამოყალიბება. ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რაოდენობრივი შესწავლა, მათი სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება მითუმეტეს დღევანდელი პანდემიის პირობებში, ქვეყნის საგარეო ეკონომიკური და სავალუტო-საფინანსო პოლიტიკის გატარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, მოცემული სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური შესწავლა მეტად აქტუალური საკითხია და ნებისმიერი ქვეყნის ინტერესის საგანს წარმოადგენს COVID-19-ის გავლენის პირობებში.

2020 წლიდან მსოფლიო ახალი რეალობის წინაშე დგება. მანამდე არნახული ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე ქვეყნებს უწევთ არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღება. COVID-19-ის აფეთქება მოხდა მზარდი გლობალური ვაჭრობის ფონზე, რომელიც ვითარდებოდა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ, რაც უპრეცედენტო სტრესის ქვეშ აყენებს ქვეყნებს სიცოცხლის გადასარჩენად. პანდემიის სწრაფმა გავრცელებამ და მთავრობების მიერ მის აღსაკვეთად მიღებულმა ზომებმა სერიოზული ზარალი მოიტანა, როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე საერთაშორისო ეკონომიკისთვის. მსოფლიო მასშტაბით კოვიდ პანდემიის გავრცელების დროს საგარეო ვაჭრობაში სტატისტიკის როლი და კვლევის მეთოდები კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. რადგან უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება COVID-19-ის შედეგად გამოწვეული საგარეო ვაჭრობის კრიზისული მდგომარეობის სწორ ეკონომიკურ სტატისტიკურ ანალიზს.

საგარეო ვაჭრობა რთული და დინამიურად განვითარებადი სისტემაა, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს და მომსახურების მთელ კომპლექს. ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკისა და ტენდენციების შესწავლა COVID-19 მდე და მის შემდგომ პერიოდში, კერძოდ COVID-19-ის გავლენის შესწავლა საგარეო ვაჭრობაზე ეკონომიკურ სტატისტიკური ანალიზის ჭრილში.მცირე ზომის ქვეყნებისათვის და მათ შორის, საქართველოსათვის საგარეო ვაჭრობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ასტიმულირებს ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც მისი დახმარებით იზრდება ეკონიმიკაში გამოყენებული რესურსების მოცულობა. საგარეო ვაჭრობა იძლევა კონკურენტუნარიან დარგებში წარმოების განვითარებას, იმაზე მეტი საქონლის წარმოების საშუალებას, რაც საჭიროა ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის. ამას თან ახლავს დასაქმების დონის ზრდა. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის მეშვეობით შესაძლებელი ხდება თვისებრივად ახალი რესურსების, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკისა და ტექნოლოგიების, მოზიდვა, რაც თავის მხრივ, ასტიმულირებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და შიდა ბაზარზე მიწოდება-მოთხოვნის დაბალანსებაში. ამ კუთხით COVID-19-ის გლობალურმა აფეთქებამ და მთავრობების მიერ გამოყენებული შეზღუდვის ზომებმა არასასურველი შედეგები გამოიწვია როგორც გლობალური ისე საქართველოს ეკონომიკისათვის. საზღვრების ფართოდ დახურვამ, მოგზაურობის შეზღუდვებმა და წარმოებების შეჩერების პოლიტიკამ, რომელიც პანდემიის დროს იქნა მიღებული, გლობალური ინფექციის შესანელებლად, ჩაშალა პროდუქტიული საქმიანობა, გრძელვადიანი ეკონომიკური შედეგები. ბოლო წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა COVID-19-მდე, თუმცა იმპორტის წილი ექსპროტზე ბევრად მეტი იყო ყოველთვის. ამის გამო ქვეყანას მუდმივად უარყოფითი სავაჭრო სალდო ქონდა, რაც კიდევ უფრო დამძიმდა პანდემიის პირობებში. ცხრილში ნაჩვენებია (ცხრილი 1) COVID-19-მდე და მის შემდეგ საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა და სალდო თუ რა ტრენდით ვითარდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის იანვარ-სექტემბრის ჩათვლით საქართველოდან მსოფლიო მასშტაბით 4097 მილიონი დოლარის ექსპორტი განხორციელდა.

ცხრილი 1.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2016-2022 წლებში
(მლნ.აშშ.დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022* იანვარი-სექტემბერი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9 459.0	10 802.7	12 741.1	13 317.9	11 398.3	14 342.4	13 612.0
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 117.1	2 745.7	3 379.7	3 798.4	3 344.5	4 242.7	4 097.0
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	7 341.9	8 057.1	9 361.4	9 519.5	8 053.8	10 099.8	9 515.0
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 224.7	-5 311.4	-5 981.7	-5 721.1	-4 709.4	-5 857.1	-5 418.0
ადგილობრივი ექსპორტი	1 620.4	2 006.4	2 224.1	2 323.8	2 409.1	3 127.1	2 813.8

წყარო: geostat.ge

ცხრილში წარმოდგენლია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2016 წლიდან 2022 წლის სექტემბრის მაჩვენებლებზე დაყრდნობით. 2020 წლამდე მოცემული მაჩვენებლები მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა თუმცა 2019 წლის ბოლოს დაფიქსირებულმა კოვიდ პანდემიამ საერთო სურათი რადიკალურად შეცვალა. COVID-19-მდე საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დახასიათებისთვის უნდა აღვნიშნოთ რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოხდა საქართველოს ეკონომიკის ეფექტური ინტეგრაცია ევროკავშირის საერთო ბაზარზე, რაც აისახა განსაკუთრებულად 2019 წლის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, რომელმაც მაქსიმუმს მიაღწია. მომსახურების სექტორის წილმა მთლიან შიდა პროდუქტში 70% შეადგინა და სამუშაო ძალის 47% აითვისა. 2019 წელს ევროკავშირი შეადგენდა საქართველოს ექსპორტის უდიდეს წილს (21,6%), შემდეგ მოსდევს აზერბაიჯანი (13,4%), რუსეთის ფედერაცია (13,1%) და სომხეთი (11,4%) ევროკავშირის რეგიონული ბლოკი ასევე წარმოადგენდა მომარაების მთავარ წყაროს და შეადგენდა საქართველოს იმპორტის უდიდეს სეგმენტს 2019 წელს (25%). მეორე ადგილზეა თურქეთი (17%), მოსდევს რუსეთის ფედერაცია (10%) და ჩინეთი (9%). საწარმოთა დიდ დამოკიდედბულებას საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის მოპოვების თვალსაზრისით, ამ ვიწრო საექსპორტო მიზიდულობამ განაპირობა ის, რომ იმპორტმა განაგრძო ზდა, ხოლო დეფიციტი 5.7 მილიარდი აშშ დილარი იყო 2019 წელს. ამავე წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 825.7 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 13.0%-ით აღემატებოდა წინა წლის შსაბამის მაჩვენებლს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 21.9%-ს შეადგენდა. იმპორტის მოცულობამ 2 321.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (7.4%-ით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.6% შეადგინა. სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3 147.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 2.8%-ით ჩამორჩება.

2019 წელს საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 2 003.1 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 20.0%-ით არემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 53.1%-ს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 2 438.6 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (9.5%-ით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 26.9%-ია. სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან

4 441.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.8%-ით მეტია. 2019 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 73.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: აზერბაიჯანი (498.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (497.1 მლნ. აშშ დოლარი) და სომხეთი (412.2 მლნ. აშშ დოლარი).

დიაგრამა 1.

2019 წელს 10 უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა



წყარო: geostat.ge

2019 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 65.8 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 613.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (975.9 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (858.7 მლნ. აშშ დოლარი).

დიაგრამა 2.

2019 წელს 10 უდიდესი საიმპორტო ქვეყანა



წყარო: geostat.ge

2019 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა 686.7 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთლიანი ექსპორტის 18.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 651.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 17.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები 303.0 მლნ. აშშ დოლარით (8.0 პროცენტი).

დიაგრამა 3.



წყარო: geostat.ge

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2019 წელს წარმოდგენილი იყო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სახით, რომლის იმპორტმა 757.0 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.4 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა მსუბუქი ავტომობილები 653.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 603.7 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 6.7 პროცენტი).

დიაგრამა 4.



წყარო: geostat.ge

2019 წელი, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივ რომ ჩვენს ქვეყანაში დაფიქსირდა პროდუქციის ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაც მანამდე გვქონია და 2 297 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის 85% მოდის იმ ქვეყნებზე სადაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს. ასეთი ქვეყნების საექსპორტო ბაზარი მსოფლიო სამომხმარებლო ბაზრის 1/3-ია და ჯამში 2.3 მილიარდზე მეტ მომხმარებელს მოიცავს.

2019 წლის რეექსპორტმა, ექსპორტის მსგავსად, გასული წლების მაჩვნებლებს გადააჭარბა, გაიზარდა 66%-ით და 1 065.1 მლნ. აშშ დოლარის ნიშნულს მიაღწია. 2019 წლის რეექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 32%-ია. მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ რეექსპორტისთვის ძირითადი სამომხმარებლო ბაზარი დსთ-ის ქვეყნებია, რომლებშიც მთლიანი რეექსპორტის 79% გადის.

დიაგრამა 5.

საქართველოს ძირითადი რეექსპორტი პროდუქციისა, ქვეყნების მიხედვით 2019 წელი

წყარო: geostat.ge

COVID-19-მდე საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დახასიათებისთვის მოყვანილია 2013-2019 წლის მონაცემები. 2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12 834.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე 2.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 771.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9 063.2 მლნ. აშშ დოლარს (0.8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წელს, 5 291.8 მლნ. დიაგრამა 6.) აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წელთან შედარებით 5.7 პროცენტით გაიზარდა და 2 352 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 6.

საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2013-2019 წლებში



წყარო: geostat.ge

დიაგრამა 7.



წყარო: geostat.ge

დიაგრამა 8.



წყარო: geostat.ge

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის წევრ ქყვეყნებთან წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 17.7%-ით გაიზარდა და 3 359.4 მლნ აშშ დოლარის ნიშნულს მიაღწია. მოცემული მაჩ-ვენებელი ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 26.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

დიაგრამა 9.

იმპორტის წილი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით 2013-2019წ.



წყარო: geostat.ge

- ექსპორტი – 730.3 მლნ. აშშ დოლარი, 11.5%-ით გაზრილი და ქვეყნის ექსპორტის წილის 21.7%. წმინდა ექსპორტი 637 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 87.3%. რეექსპორტი 93.3 მლნ. აშშ დოლარით და 12.7%.
- იმპორტი 2 629.1 მლნ. აშშ დოლარი, 19.5%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 28.8%.

2019 წელს ევროკავშირში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის წილმა, ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 77.9% შეადგინა. სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებთან 2019 წლის მონაცემებით გაიზარდა 25%-ით და მან 4 347.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 35%-ია. 2019 წელს დსთ- ქვეყნებში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ჯამმა 1 125.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში მთლიანი ექსპორტის 67% შეადგინა. რაც შეეხება სავაჭრო ბრუნვას დანარჩენ ქვეყნებთან გაიზარდა 65%-ით, 4 750.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 38.1% დაიკავა. 2019 წელს სხვა ქვეყნებში 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ჯამმა 673.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 70.5% შეადგინა.

2020 წლის პირველ კვარტალში საქონელსა და მომსახურებაზე ვაჭრობის ზრდა შემცირდა, პანდემიის ადრეული შედეგები დაიწყო. მეორე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით ბევრად უფრო დრამატული ვარდნა დაფიქსირდა. შეფასებულია, რომ მეორე კვარტალში წლიური საქონლით ვაჭრობის ღირებულება შემცირდა 18 პროცენტით, ხოლო იმავე პერიოდში მომსახურებით ვაჭრობა 21 პროცენტით. მესამე კვარტლის პერსპექტივა გაუმჯობესდა, საქონლისთვის -5 პროცენტით და მომსახურებისთვის -9 პროცენტით, რაც ზრდის პოტენციურ გაჯანსაღებას მეორე კვარტლის დანაკარგებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის პირველ კვარტალში მომსახურებით ვაჭრობის ღირებულება 7,6 პროცენტით შემცირდა. COVID-19-თან დაკავშირებული სამედიცინო საქონლით ვაჭრობამ, როგორიცაა: პირადი დამცავი აღჭურვილობა, ვენტილატორები, თერმომეტრები, გამწმენდები და სხვა მსგავსი საშუალებები, ძალიან მაღალი ზრდა განიცადეს 2020 წლის მეორე კვარტალში. მაგალითად, 2020 წლის მაისში, ღნიშნული საქონლით ვაჭრობა 186 პროცენტით გაიზარდა, ვიდრე 2019 წელს ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. COVID-19-თან დაკავშირებული სხვა არასამედიცინო პროდუქტებმაც, როგორიცაა სახლის აღჭურვილობა, მათ შორის Wi-Fi როუტერები, ლეპტოპები, პორტატული საცავი და ა.შ. მეორე კვარტალში ასევე ძლიერი ზრდა განიცადეს.

დიაგრამა 10.



წყარო: geostat.ge

დიაგრამა 11.



წყარო: geostat.ge

2021 წლისიანვარ-აპრილის მონაცემებით საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების წილმა ექსპორტში 78.2 პროცენტი შეადგინა. ამ ქვეყნებიდან პირველ სამ პოზიციას იკავებენ: ჩინეთი (198.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (159.6 მლნ. აშშდოლარი) და აზერბაიჯანი (152.2 მლნ. აშშ დოლარი).

დიაგრამა 12.

ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყანა 2020-2021 წწ.
იანვარ-აპრილში (მლნ. აშშდოლარი)



წყარო: geostat.ge

2021 და 2022 წლებში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები ხოლო მესამე ადგილზეა ფეროშენადნობები ლიდერ პოზიციებზეა ნედლეული და მანქანების რეექსპორტი. სოფლის მეურნეობის პროდუქციიდან ღვინო და ალკოჰოლური სასმელებია მთავარი საექსპორტო საქონელი.

2021 წლის იანვარ-აპრილში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველო სმთლიან იმპორტში 70.6 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (490.5 მლნ. აშშდოლარი), რუსეთი (316.6 მლნ. აშშდოლარი) დაჩინეთი (227.0 მლნ. აშშდოლარი).

დიაგრამა 13.





წყარო: geostat.ge

საბოლოოდ როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე მკვეთრი ვარდნა 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდა. გლობალური ნაწარმით ვაჭრობა 20 პროცენტზე მეტით ვარდება 2019 წლის ანალოგიურ კვარტალთან შედარებით. მეორე ნახევარი, მიუხედავად იმისა, რომ წლიდან წლამდე მაინც უარყოფითია, პირველ ნახევარზე უკეთესია. 2020 წლის მესამე კვარტალში ქვეყნები თანდათანობით გამოჯანმრთელდნენ კორონავირუსული პანდემიისგან (შემდგომში, COVID-19) ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) გამოავლინა COVID-19 პანდემია 2020 წლის 11 მარტს. ამის შემდეგ, კორონავირუსის გავრცელების შენელების მიზნით, ბევრმა ქვეყანამ დააწესა გარკვეული სახის შეზღუდვები ადამიანებსა და ბიზნესებზე. რამდენიმე ქვეყანამ გამოაცხადა ქვეყნის მასშტაბით ჩაკეტვა. გარდა ამისა, ბევრმა ქვეყანამ დააწესა უცხოელებზე შემოსვლის აკრძალვა. მკაცრი შეზღუდვები დაფიქსირდა 2020 წლის მეორე კვარტალში, კერძოდ, ეს იყო პანდემიის პირველი ტალღა. ამის შემდეგ, ქვეყნების უმეტესობამ დაიწყო ამგვარი შეზღუდვების მოხსნა. შედეგად, ეკონომიკებმა ასევე დაიწყეს ზრდა – მაგალითად, მესამე კვარტალში მშპ-ს პოზიტიური ზრდა დაფიქსირდა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანაში პირველი ტალღის დასრულების თარიღის ზუსტად დადგენა რთულია, უმეტეს ქვეყნებში დაფიქსირებული შემთხვევების ან გარდაცვალების პირველი პიკი დაფიქსირდა დაახლოებით 2020 წლის აპრილში. ექსპორტიორ ქვეყნებში COVID-19 ზიანი გამოიკვეთა, როგორც წარმოების მასშტაბის შემცირებით, ისე ამ ქვეყანაში ექსპორტის შემცირებით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დისტანციური მუშაობა / ოპერაცია ნაკლებად შესაძლებელია. COVID-19-ის ზიანის გავლენა იმპორტიორ ქვეყანაში ძირითადად განპირობებულია ამ ქვეყანაში მთლიანი მოთხოვნის შემცირებით. ჩვენ ემპირიულად გამოვიკვლიეთ, თუ როგორ შეიცვალა

COVID-19-ის ეს უარყოფითი ეფექტები დროთა განმავლობაში. ველოდით, რომ პირველი ტალღის შემდეგ COVID-19-ის უარყოფითი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე შემცირდებოდა. ჩვენი დასკვნების შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება: COVID-19-ის გავრცელებამ გამოიწვია სოციალური დისტანცირებისა აუცილებლობა, რაც ამცირებს ხალხის მობილობას სამუშაო ადგილებთან,ასევე სიკვდილი და ხანგრძლივი ავადმყოფობა პირდაპირ ამცირებს სამუშაო ძალას. ეს ცვლილებები კი ამცირებს საქონლის მიწოდებას და მათ ფასებს ნაკლებად ელასტიურს ხდის. საქონლის მიწოდების მრუდი ზემოთ გადააქვს და უფრო დახრილს ხდის მას. ჯამში, ბუნებრივია, რომ COVID-19-ის ზიანი ექსპორტიორ ქვეყანაში ამცირებს წარმოების მასშტაბებს, რაც თავის მხრივ ამ ქვეყანაში იწვევს ექსპორტის მიწოდების შემცირებას. იქმნება ინდუსტრიული ჰეტეროგენულობა მიწოდების შოკის ხარისხის მიხედვით. სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს თუ დავაჯგუფებთ აქაც დავინახავთ, რომ იმპორტში და ასევე ექსპორტში ლიდერი არის დსთ-ს ქვეყნები. უშუალოდ ექსპორტის წილი დსთ-ს ქვეყნებში 44.5%-ია ხოლო ევროკავშირის წილი 17.7%.

როგორც ვნახეთ COVID-19-მდე პერიოდში 2013-2019 წლებში საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ მაქსიმუმს მიაღია 2019 წელს. 2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12 834.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე 2.7 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 3 771.5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 9 063.2 მლნ. აშშ დოლარს (0.8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წელს, 5 291.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წელთან შედარებით 5.7 პროცენტით გაიზარდა და 2 352 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2020 წლის აპრილიდან საქართველოში მკაცრი ლოქდაუნი მოქმედებდა და შესაბამისად წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი 222 მლნ აშშ დოლარიანი ექსპორტი გვქონდა. საერთაშორისო ვაჭრობის ყველაზე მკვეთრი ვარდნა 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდა. გლობალური ნაწარმით ვაჭრობა 20 პროცენტზე მეტით ვარდება 2019 წლის ანალოგიურ კვარტალთან შედარებით. მეორე ნახევარი, მიუხედავად იმისა, რომ წლიდან წლამდე მაინც უარყოფითია, პირველ ნახევარზე უკეთესია. 2020 წლის მესამე კვარტალში ქვეყნები თანდათანობით გამოჯანმრთელდნენ კორონავირუსული პანდემიისგან (შემდგომში, COVID-19) ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით.

2021 წლის პირველ ოთხ თვეში ექსპორტის თითქმის 20%-იანი ზრდა, ხოლო უშუალოდ აპრილში 70%-იანი მატება, გარკვეულ წილად, საბაზრო ეფექტითაა გამოწვეული, ბაზრების დივერსიფიკაციასთან ერთად ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც ერთ-ერთი გამოწვევაა ჩვენი ეკონომიკისთვის. ამდენად ექსპორტში აღდგენის ნიშნები აშკარაა. 2021 წლის პირველი კვარტალი გვაჩვენებს რომ ეკონომიკა ცოცხლდება. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად ეკონომიკის მოცულობა წინა წლის აპრილთან შედარებით 44.8%-ით გაიზარდა.

პანდემიისგან გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამსუბუქებლად და სამომავლო რისკების პრევენციისთვის სასურველია ვაჭრობისა და გლობალური ბაზრებისადმი ნდობის ამაღლება. ვაჭრობასთან დაკავშირებული ღონისძიებების და განზრახვების გამჭვირვალობის გაზრდით, უნდა გავატაროთ პრევენციული ღონისძიებები რათა თავიდან ავიცილოთ საექსპორტო შეზღუდვები და სხვა სავაჭრო ბარიერები, სამედიცინო პროდუქციისა და სურსათის სასაზღვრო შემოწმების დაჩქარება, საბაჟოსა და საზღვრის სხვა ოფიციალურ პირებსა და ვაჭრებს შორის ფიზიკური ურთიერთქმედების საჭიროების შემცირება, პროცესების მაქსიმალურად ციფრული გზით. ასევე მნიშვნელოვანი იქნება რისკების მართვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, ვირუსის დაძლევისა და საქონლის გადაადგილების ხელშესაწყობად. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საქონელზე ტარიფების შემცირებით და ციფრული შესაძლებლობების ხელმისაწვდომობაზე მოქმედი ზომებით.

ლიტერატურა:

1. https://forbes.ge/pandemiisgan-dazaralebuli-sagareo-vatchroba/
2. https://unece.org/fileadmin/DAM/trade/StudiesRegulatoryProceduralBarriersTrade/ThematicPublications/Impact_COVID-19_Georgia.pdf
3. https://www.geostat.ge/media/28994/saqonlit-sagareo-vachroba-saqartveloshi-20.01.2020-%28geo%29.pdf
4. www.geostat.ge

Georgia's Foreign Trade before and after Covid-19

Nona Akhvlediani
Associate Professor, Department of
Economics, Akaki Tsereteli State University of Kutaisi
Akaki Bakuradze
Associate Professor, Department of Economics,
Akaki Tsereteli State University of Kutaisi
Mariam Akhvlediani
Master of Business Administration at
A. Tsereteli State University of Kutaisi

SUMMARY

Georgia's active involvement in international integration processes permanently raises the issue of harmonization of national standards with international standards. From 2020, the world will face a new reality. Countries on the brink of unprecedented economic crisis have to make extraordinary decisions. COVID-19 puts countries under unprecedented stress to save lives, exploding amid growing global trade, the rapid spread of which and measures taken by governments to curb it have had serious consequences for the world's major economies. Therefore, the aim of the study is to study the dynamics and trends of Georgia 's foreign trade before and after COVID-19.

საგარეო სახელმწიფო ვალით დაფინანსებული პროექტების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობაზე

თამარი ბარბაქაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

2020 წელს მსოფლიოში განვითარებულმა COVID-19-ის პანდემიის მოვლენებმა მნიშნელოვანი როლი ითამაშა საერთაშორისო ეკონომიკის ფორმირებაში, დაამკვიდრა ახალი დღის წესრიგი და გამოწვევები.

პანდემიის საპასუხოდ, როგორც განვითარებულმა, ისე განვითარებადმა ქვეყნებმა განახორციელეს დიდი ფისკალური სტიმულირების პროგრამები. რამაც სახელმწიფო ვალი ისტორიულად მაღალ დონემდე აიყვანა. უფრო მაღალი ვალისა და რთული ეკონომიკური პირობების ერთობლიობამ გაზარდა დეფოლტის რისკები, გამკაცრდა სესხის აღების შეზღუდვები და გამოიწვია ვალის შემცირების ტალღა, განსაკუთრებით განვითარებადი ბაზრის ეკონომიკებში. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის და ვალით დაფინანსებული პროექტების გონივრული მართვა.

სტატიაში განხილულია სახელმწიფო ვალის არსი, საქართველოში სახელმწიფო ვალით დაფინანსებული პროექტები, მათი მიმდინარეობა და გავლენა ეკონომიკურ გარემოზე. ასევე სავალო წნეხი და დეფოლტის რისკები.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო ვალი, ვალის ტვირთი, ფისკალური სისტემა, დეფოლტი*

Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად, მნიშნელოვანი ვარდნა განიცადა მსოფლიო ეკონომიკამ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც ამ კრიზისში წარმოიშვა არის სახელმწიფო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა.

საქართველოს საგარეო ვალი ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2020 წლამდე საგარეო ვალი სტაბილურად იზრდებოდა, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე ქვეყანას მოუხდა გაუთვალისწინებელი ხარჯების ვალით დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ ფუნქციას წარმოადგენდა ეკონომიკური ვარდნის მაქსიმალურად შემცირება და ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნება. პანდემიის დროს ბევრ ქვეყანას მოუხდა სავალო პორტფელის გადახედვა და მისი სტრუქტურის შეცვლა, მათ შორის საქართველოსაც. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ ფუნქციას წარმოადგენდა ეკონომიკური ვარდნის მაქსიმალურად შემცირება და ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნება.

სახელმწიფოები ყოველთვის ცდილობდნენ მოიზიდონ გარე სახსრები თავიანთი ეკონომიკის განვითარებისთვის და, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ უმკლავდებოდნენ აღებულ ვალდებულებებს. თუმცა, ბოლო 20-30 წლის სავალო კრიზისები ხარისხობრივად განსხვავდება. გლობალური ფინანსური სისტემის განვითარება და მზარდი სახელმწიფოთა ეკონომიკურმა ურთიერთკავშირმა და ურთიერთდამოკიდებულებამ გამოიწვია განვითარებულ ქვეყნებში სუვერენული კრიზისების ციკლი, რომელიც შემდგომში გავრცელდა სხვა სახელმწიფოებში. უფრო მეტიც, ვალის პრობლე-

მების გადასაჭრელად მთავრობებმა უნდა ჩართონ არა მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, არამედ კერძო ფინანსური ბაზრის მონაწილეებიც, რომელთა საქმიანობა ასევე ექვემდებარება მკაცრ ზედამხედველობას.

სახელმწიფოს მზარდმა სესხებმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ვალის მდგრადობასა და მომსახურებას. თუმცა, სავალო ურთიერთობების სპექტრი, რომელშიც სახელმწიფოები არიან ჩართული ბევრად უფრო ფართოა, კერძოდ: სახელმწიფოებს შეუძლიათ გაზარდონ სახსრები სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით, უშუალოდ სესხების აღებით, გარანტიების მიცემით და ა.შ. სესხის აღება მაინც ქმნის სახელმწიფოთათვის სავალო ტვირთს, რაც ნიშნავს რომ ვალების მომსახურების ყოვლისმომცველი მიდგომა აუცილებელია. ვალის ტვირთი, ქვეყნის კრედიტუნარიანობის შეფასების ერთერთი მთავარი მაჩვენებელია.[1]

Covid-19 პანდემიამდე სახელმწიფო ვალი ძირითადად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი სოციალური და საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, პანდემიის პირობებში კი პრიორიტეტად საზოგადოებრივი ჯანდაცვა იქცა. შესაბამისად, ქვეყანას მოუხდა გაუთვალისწინებელი ხარჯების ვალით დაფინანსება.

განვიხილოთ სახელმწიფო ვალის დინამიკა 2018-2022* წლებში, დიაგრამის მიხედვით ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალი. სავალო პორტფელში საგარეო ვალი წილი 80 % შეადგენს, ლარის კურსის დევალვაციის შემთხვევაში კი გაიზრდება ვალის მომსახურებაც[2] და შესაბამისად ბიუჯეტის დეფიციტი.

დიაგრამა 1.

სახელმწიფო ვალი და მისი მომსახურების დინამიკა



წყარო: www.mof.ge

2020-2021 წლებში სახელმწიფო ვალმა მიაღწია რეკორდულ დონეს პანდემიასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარად იმ დროს, როდესაც გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მკვეთრად დაეცა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საგარეო წყაროებიდან მობილიზებულ რესურსებში მთლიანი საგარეო ვალის 16%-ს ბიუჯეტის ხარდამჭერი სესხები შეადგენს, 5%-ს კი მოიცავს საინვესტიციო სესხები.[3] სახელმწიფო ვალის მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 5.1 მლრდ ლარი, გაწეუ-

[1] ვალის ტვირთს განსაზღვრავს, სახელმწიფო ვალის მოცულობის ფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან, რომლის ზღვარიც IMF-ის მიხედვით შეადგენს 60%-ს

[2] ვალის მომსახურება არის გრძელვადიან ვალზე ყოველწლიურად გადასახდელი პროცენტის ოდენობა

[3] www.budgetmonitor.ge

ლი ხარჯების უდიდესი ნაწილი კი (57.3%) საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯებზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ ვალის მომსახურების მაკროეკონომიკური გავლენა არის ის, რომ მას ნეგატიური გავლენა ექნება ქვეყნის ეკონომიკაზე როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამან კი შეიძლება გამოიწვიოს საგარეო სესხებზე დამოკიდებულება და ვალის მუდმივი ზრდა.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ საგარეო საკრედიტო რესურსების ფარგლებში დაფინანსებული პროექტები, მათი შესრულების მდგომარეობა და მიზნობრიობა. 2021 წელს წინა წლებთან შედარებით შეიცვალა საგარეო ვალის პორტფელი, მისი დიდი ნაწილი მიმართულია ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებზე და ფასიანი ქაღალდების ბაზრისთვის.

დიაგრამა 2:

2021 წელს საგარეო ვალის ფარგლებში ათვისებული ტანხა სექტორების მიხედვით



წყარო: www.mof.gov.ge

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში 2021 წელს დაგეგმილი იყო სულ 55 პროექტი, მათგან წლის ბოლოს 7 პროექტს ათვისების დაბალი მაჩვენებელი აქვს (50%-ზე ნაკლები), ხოლო 6 პროექტს 0%-იანი შესრულება.

საკრედიტო რესურსის სახით მობილიზებული სახსრების დროული ათვისება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის სესხებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს ვალდებულების გადასახადის გადახდას კრედიტის აუთვისებელ ნაწილზე. პროექტის დაგეგმილზე დაგვიანებით განხორციელება იწვევს კრედიტის მომსახურების ხარჯების ზრდას. ქვეყნის განსავითარებლად კი არსებითია, აღებული თანხის ეფექტიანადდ დაბანდება და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისას ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა. ამიტომ სახელმწიფო ვალით განხორციელებული ეკონომიკური ღონისძიებებისგან მიღებული გრძელვადიანი სარგებელი უნდა აჭარბებდეს იმ დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ვალის აღებასთან.

დასკვნა

სახელმწიფო ვალის პროექტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ეფექტური მართვის შემთხვევაში, მოზიდული თანხები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტიმულია და მაშინ როცა არაეფექტური მართვით ქვეყანა ეკონომიკური ზრდის ნაცვლად შესაძლოა კრიზისამდე მიიყვანოს.

სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, საგარეო საკრედიტო რესურსის ხარჯზე გაცემული სესხების ნაწილში ძირითად გამოწვევას საკრედიტო რისკი წარმოადგენს, რომლის რეალიზების ეფექტი განსაკუთრებით გაიზარდა პანდემიის პერიოდში. საკრედიტო რისკების რეალიზება, ერთი მხრივ, სესხების რესტრუქტურიზაციაში, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასესხებების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების არაპირდაპირი ფორმით გაწევაში ვლინდება.

ბოლო წლებში სახელმწიფო ვალის ხარჯების დიდი ნაწილი მიმართულია სოციალური უზრუნველყოფისთვის, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტები შემცირებულია, რაც პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამასთან მნიშვნელოვანია სახელმწიფო ვალის ინვესტირება ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი წარმოებას, რათა მიღებული სარგებელი აჭარბებდეს ვალის ტვირთის მოცულობას. მნიშვნელოვანია სათანადოდ შეფასდეს და გამოვლინდეს ისეთი პროექტები რომლებიც დაფინანსდება საგარეო სახელწიფო ვალით. ეს საშუალებას მისცემს ქვეყანას თავიდან აიცილოს გადაჭარბებული ვალები და მისი მომსახურების ხარჯები. პროექტების შეფასებისა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და კრედიტუნარიანობას.

გრძელვადიან პერსპექტივაში ინვესტიციების ზრდა, შეამცირებს საგარეო სახელმწიფო ვალს, უზრუნველყოფს მაკროეკონომიკური პარამეტრების სტაბილურობას და ეკონომიკურ ზრდას.

ლიტერატურა:

1. მოხსენება „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ – სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021 წელი; https://www.sao.ge/ka/მოხსენება-საქართველოს-2021-წლი2021102004336114ka.html
2. „საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა Covid-19 – ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში“ – ვ. პაპავა, ვ. ჭარაია – ექსპერტის აზრი გამოცემა N152. 2021;
3. „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2019-2021“ – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2019 წელი, https://www.mof.ge/images/File/DMS-GEO-2019-2021.pdf ;
4. Nyekachi N. Amadi "Public Debts Stock And Economic Growth", 2021;
5. World Economic Outlook – International Monetary Found – 2021 Jan. https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2022/01/25/world-economic-outlook-update-january-2022
6. F. Roch: "Debt and Fiscal Commitment", IMF Analytical Series, 2022.
7. Data for Georgia, Upper Middle Income." The World Bank, 2020. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.KD.ZG?locations=GE
8. David, A., J. Guajardo, and J. Yepez. "The Rewards of Fiscal Consolidations: Sovereign Spreads and Confidence Effects." *Journal of International Money and Finance* 123 (May): 102602. 2022.

The Impact of Projects Financed by Foreign State Debt on the Economic Stability of the Country

Tamari Barbakadze
PhD student in Economics

SUMMARY

A large part of public debt spending is directed to social security, and infrastructure projects are reduced, which directly affects the economic situation of the country. At the same time, it is important to invest public debt to finance such measures that will promote local production, so that the benefits obtained exceed the debt burden.

For the state budget, the main challenge in terms of loans issued at the expense of foreign credit resources is credit risk, the effect of which has increased especially during the pandemic period. Realization of credit risks is manifested, on the one hand, in the restructuring of loans, and on the other hand, in the indirect payment of service and repayment costs of loans from the state budget.

It is important to properly evaluate and identify such projects, that will be financed by foreign government debt. This will allow the country to avoid excessive debt and its service costs. The economic situation and creditworthiness of the country are of decisive importance for project evaluation.

Impact of the Cultural Factor on Economic Growth and Entrepreneurial Activity: Challenges of Modern Globalization

Givi Bedianashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctor of Economic Sciences, Associate Professor

The modern world is characterized by a high degree of uncertainty. The processes taking place in various spheres of society, which with their scope of action go beyond the borders of one sphere and in many cases are the cause of significant, sometimes crisis shock effects in other spheres, leading to the growth of insecurity in the future as well. Under these conditions, the most important thing for any state is to ensure the sustainability of the functioning of the socio-economic system of its country. In this regard, the systematic presentation of the cultural factors of the country's economic growth and entrepreneurial activity based on modern challenges and its effective use is relevant today. In the paper, based on a systematic approach, such factors as cultural and value characteristics are distinguished. Their modern features and possible directions of modernization are presented for Georgia.

Keywords*. cultural factor, globalization, the socio-economic concept of the country, uncertainty, long-term view on economic growth, entrepreneurship and culture*

A number of well-known scientific works of both foreign and Georgian scientists are devoted to the topic of culture research in economy and business (see, for example, Allport et al., 1979; Auzan, 2011; Baratashvili et al., 2016; Barnett, 1953; Barry J.& Tomalin, 2013; Bedianashvili, 2014; 2016; 2017; 2018; 2020; 2021; 2022; Didero et al., 2008; England et al., 1974; Geertz, 1973; Gesteland, 2003; Gladwin et al., 1978; Gvelesiani & Veshapidze, 2016; Hall, 1976; Harris & Moran1979; Hofstede, 2000; 2011; Hofstede & Hofstede, 2011; Holden, 2002; Inglehart & Welzel, 2011; Jamagidze et al., 2011; Kaklauskas & Kaklauskiene, 2022; Khizanishvili et al., 2007; Krasilnikova & Sevastyanova, 2015; Kroeber & Kluckhohn, 1952; Lewis, 2012; Matsumoto, 1996; Moran et al., 2014; Murdock, 1965; Paresashvili, 2011; Robertson, 1988; Rokeach, 1973; Ronen & Shenkar, 1985; Royd & Richerson, 1988; Schwartz, 2008; Shengelia, 2016; 2018; 2019; Sumbadze, 2012; Tambovtsev, 2014; 2018; Veshapidze, 2017; Zoidze & Veshapidze, 2022).

There are also interesting studies devoted to economic growth (Acemoglu, 2002; Agarwal, 2022; Aghion & Howitt, 2009; Chikobava, 2012; Helman, 2004; Kakulia & Zhghenti, 2019; Konya, 2018; Papava, 2012; 2014; 2019; 2022b). ; Ros, 2013; Rodrick, 2013; 2019; Schumpeter, 1934; Sengupta, 2011; Weil, 2012). However, the issue of reflecting the cultural factor is not presented in the above approaches. The cultural component is underrepresented in the studies dedicated to the topic of the entrepreneurial activity itself, which is probably due, on the one hand, to the complexity of the problem and on the other hand to the relative underestimation of the relevance of the sociocultural aspect of entrepreneurship.

The modern world is characterized by a high degree of uncertainty (Baker et al., 2016; Bedianashvili, 2021). The processes taking place in various spheres of society, which with their scope of action go beyond the borders of one sphere and in many cases are the cause of significant, sometimes crisis shock effects in other spheres. It is leading to the growth of uncertainty in the future as well (Bedianashvili, 2022). Under these conditions, the most important thing for any state is to ensure the sustainability of the functioning of the socio-economic system of its country (Bedianashvili, 1995). In this regard, the systematic presentation of the cultural factors of the country's economic

growth and entrepreneurial activity based on modern challenges and its effective use is relevant today. This is especially important in conditions of modern confrontational globalization (Papava, 2022).

In a practical context, the famous Geert Hofstede's concept of the concept of culture is interesting, which defines culture as a collective mental programming of the brain, a part of our predetermined perception of the world, which is common to other representations of our nation, region, or group (Hofstede, 2000). In essence, culture is considered by the author through the prism of values and norms as their total unity. According to the well-known Shalom Schwartz culture is the basis of the dominant beliefs, rules, customs, and symbols of the people. As he points out**,** culture is a latent, hypothetical variable that can be only measured by its specific detection, and in this sense (the author specifies), culture is not localized in the minds and actions of individuals. It (culture) is, moreover, outside the individual and is related to the pressure the individual experiences because of living in a certain social system (Schwartz, 2008). In our opinion, these definitions quite adequately characterize culture as an informal institution.

As for the modeling and quantitative measurement of culture and values directly, one of the first and recognized approaches in this regard was developed by G. Hofstede. In the Hofstede model, quantitatively measurable separate blocks of culture are allocated, which systematically represent community values in unity. In the most recent version of this model the following five blocks and the corresponding index are represented: PDI – Power distance index – It reflects the willingness of human beings to adopt the hierarchical structure of power in society and institutions and its unequal distribution; Individualism Individualism (IDV – Individualism vs. Collectivism) represents the choice of people (preferential attributes of society) between activities of independence and interdependence (prioritizing the interests of relevant groups); Unacceptance of uncertainty (avoidance, uncertainty avoidance, UAI – Uncertainty avoidance index) shows the level of tolerance (uncertainty) of the individual and society as a whole towards uncertain (Indefinable) situations. Masculinity (Femininity, MAS – Masculinity vs. Femininity) is an assessment of individuals and society as a whole according to such properties as Purposefulness, advancement of interests, rigor, and focus on success. Long-term orientation (short-term orientation. LTO – Long-term orientation vs. short-term orientation) is an indication of how people and society are focused on the long-term, strategically pragmatic future, as opposed to traditional short-term (operational) orientation.

In the author's model of recent years, this assessment is mentioned as Pragmatism and the indicator Indulgence is also added, which indicates the level of restraint and forgiveness – the lower the index is, the greater the impact on society, people's behavior, traditions and norms, and vice versa, the great value of the indicator points to a relatively high level of personal impulsive behavior. According to the concept discussed, the comparative layout of values by country is interesting (Diagram).

Diagram



Source: https://www.hofstede-insights.com

Undoubtedly, in conditions of high uncertainty, the cultural factor is of decisive importance for economic growth, as well as for the progressive development of entrepreneurial and innovative activities. A comparative analysis shows that the transformation of cultural values, such as the strengthening of long-term orientation (pragmatism), reduction of power distance, and development of individualism qualities, is most important for Georgia (Bedianashvili, 2016).

It is known that the quality of Indicators of culture and values themselves change slowly over time, sometimes over generations will change proportionately in the period that it grants their long-term nature (Bedianashvili 2014). Along with this, it is also clear that the specific identification of value orientations and socio-economic of countries' development is affected continuously in the current process (about the statistical substantiation of the mentioned hypothesis on the example of individual countries of the world see Inglehart & Welzel, 2011).

Thus, based on the specifics of the socio-economic system of the country (Bedianashvili, 1995), it is very important systematically monitor indicators of business culture, as well cultural values. It is important to reveal, evaluate and take into account both positive and negative features, and if necessary, smart to perform purposeful correction (transformation) by forms acceptable to society.

References:

1. Acemoglu, D. (2002). *Introduction to Modern Economic Growth*. Department of Economics, Massachusetts Institute of Technology.
2. Agarwal, P. (February 25, 2022). Economic Growth. *Intelligent Economist.*
3. Aghion P., Peter Howitt, P. (2009). *The economics of Growth.* Cambridge, Massachusetts London, England.
4. Baker, S., Bloom, N. & S. J. Davis, S., J. (2016). Measuring Economic Policy Uncertainty. *Quarterly Journal of Economics*. 131, 1593–1636.
5. Bedianashvili, G. (1995). *State, Power Structure and Socio-Economic Reform of Society*. Tbilisi, Mecniereba.
6. Bedianashvili, G. (2014). Culture as an Institution in the Context of the Country's Socio-Economic Development and International Business. Journal „Economisti", Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics, 6 (In Georgian).
7. Bedianashvili, G. (2016). Global Business Environment, European Integration and Cultural Potential of Socio-Economic Development of Georgia. *Globalization and Business*, 1, 19-25 (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2016.01.002
8. Bedianashvili, G. (2017). The Culture as an Informal Institute and the Factor of Social-Economic Development and Business in the Context of European Integration. *CONFERENCE PROCEEDINGS 1 ISCBE'17 BUILDING BRIDGES BETWEEN BUSINESS RESEARCH AND INDUSTRY NEEDS CONFERENCE PROCEEDINGS*. At: South East European University, Tetovo, Republic of Macedonia. 147-153.
9. Bedianashvili, G. (2018). Knowledge Economy, Entrepreneurial Activity and Culture Factor in Modern Conditions of Globalization: Challenges for Georgia. *Globalization and Business*. 5, 32-37. https://doi.org/10.35945/gb.2018.05.004
10. Bedianashvili, G. (2020). *Culture as an Institution in Economics and Business: Macroeconomic System Approach*. Universali. – 226 p.
11. Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 15(2), 191-197.

12. Bedianashvili, G. (2022). The COVID-19 Pandemic, Globalization and the Socio-Economic System of the Country (Macro Aspect). Materials of International Scientific Conference: *Covid-19 Pandemic and Economics*. Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. 38-42.
13. Chikobava, M. (2012). Possibilities of convergence from the point of view of neoclassical and endogenous models of growth. *Economics and Business*, 4, 11-24. http://eb.tsu.ge/doc/jurnali4_ivl_agv_2013.pdf
14. Culture Matters. How Values Contribute to Social Progress (2002. Edited by L. Harrison and S. Huntington. M., (In Russian).
15. Didero, M., Gareis, K., Marques, P., &Ratzke, M. et al. (2008). Differences in Innovation Culture across Europe, Discussion paper, TRANSFORM project report, URL: http:// www.transformeu.org/publications/documents/Differences in Innovation Culture.pdf (retrieved 10. 7. 2008).
16. Dobler, C. (2009). The Impact of Institutions, Culture, and Religion on Per Capita Income. University of Hohenheim. Stuttgart. No. 28. P. 1-3.
17. England, G. W., Dhingra, O. P., &Agarwal, N. C. (1974). The Manager and Man: A Cross-Cultural Study of Personal Values. K. OH.
18. Geertz, C. (1973). *The Interpretation of Cultures*. New York, Basic Books.
19. Gesteland, R. (2003). Cross-Cultural Behavior in Business. Marketing Research, Negotiation, and Management in Various Cultures. Dnepropetrovsk (In Russian).
20. Gladwin, T. N., &Terpstra V. (1978). Introduction in the cultural environment of international business / Ed. by V. Terpstra, Cincinnati: Southwestern, p. xiv.
21. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, 1, 35-39. (In Georgian).
22. Helman, E. (2004). *The Mystery of Economic Growth. Cambridge*. Massachusetts, and London, England: The Belknap Press of Harvard University Press.
23. Hall, E. (1976). Beyond culture. N. Y.
24. Harris, P.R., &Moran R.T. (1979). Managing Cultural Differences. Houston.
25. Hofstede G. (2000). *Cultures and Organizations: Software of the Mind*. New York.
26. Hofstede G., &Hofstede G.I. (2011). Cultures and Organizations. Mind software. Tbilisi (In Georgian).
27. Hofstede, G. (2011). Dimensionalizing Cultures: The Hofstede Model in Context. Online Readings in Psychology and Culture, 2(1). https://doi.org/10.9707/2307-0919.1014
28. Holden, N. (2002). Cross-cultural Management. A Knowledge Management Perspective. Harlow; New York: Financial Times Prentice Hall.
29. Inglehart, R., & Welzel, K. (2011). Modernization, Cultural Change, and Democracy. The sequence of Human Development. M.: New Publishing House (In Russian).
30. Jamagidze,L., Papachashvili, N., Shaburishvili, Sh., &Sikharulidze, D. (2011). Socio-Cultural Environment of Business in Georgia. (In Georgian).
31. Kakulia, N., Zhghenti, T. (2019). Institutional Determinants of Economic Growth in Georgia and in Other Post-Communist Economies. *World Academy of Science, Engineering and Technology.* 13 (5), 642-645.
32. Kaklauskas, A., Kaklauskiene, L. (2022). Analysis of the impact of success on three dimensions of sustainability in 173 countries. Sci Rep 12, 14719. https://doi.org/10.1038/s41598-022-19131-6
33. Khizanishvili, S., Kulijenashvili, A., &Tsikaridze, L. *The Culture of Business Relationships*. Tbilisi, 2007 (In Georgian).
34. Konya, I. (2018). *Economic Growth in Small Open Economies. Lessons from the Visegrad Countries.* Centre for Economic and Regional Studies Budapest, Hungary

35. Krasilnikova, M.B., & Sevastyanova, S.K. (2015). To the Question of modern approaches to the definition of the concept of “Culture” // Observatory of Culture. (In Russian).
36. Kroeber, A.L., &Kluckhohn C. (1952). Culture: a Critical Review of Concepts and Difinitions //Papers Peabody Mus. Am. Archeol. Etnol. 47, N 1.
37. Lewis, D. (2012). When Teams Collide: Managing the International Team Successfully. Nicholas Brealey Publishing.
38. Matsumoto, D. (1996). Culture and Psychology. Pacific Grove, CA: Brooks/Cole.
39. Moran, R., Abramson N., & Moran S. (2014). *Managing Cultural Differences*.
40. Murdock, G. (1965). *Culture and Society. Pittsburgh*.
41. North, D. (1990). Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge, CUP. http://www.scribd.com/doc/52858859/Institutions-Institutional-Change-and-Economic-Performance-NORTH-Douglass-C
42. Papava, V. (2012). Economic Growth in the Central Caucaso-Asian Countries Adjusted for the Catch-Up Effect. *CENTRAL ASIA AND THE CAUCASUS.* 13(4), 120-128.
43. Papava, V. (2014). The Catch-Up Effect and Regional Comparisons of Growth Indicators (With the Eastern Partnership Countries as an Example). *Problems of Economic Transition*, 57(3), 3–12.
44. Papava, V. (2018). Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States). *European Journal of Economic Studies*, 7(2), 109-125.
45. Papava, V. (2019). On the economic growth in post-communist countries of Eastern Europe. *Economics and Mathematical Methods,* 56(1), 34-43. https://doi.org/10.31857/S042473880006769-4
46. Papava, Vladimer. (2022a). “Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization.” *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I
47. Papava, V. (August 04, 2022b). On Economic Growth in G20 Countries in 2022, Adjusted for Catch-Up Effect. *Eurasia Review*.
48. Petrakis, E. P. 2014. *Culture, Growth and Economic Policy*. Springer Heidelberg New York Dordrecht London
49. Paresashvili, N. (2011). The dynamism of organizational culture in the context of continuous change. Economics and Business, No. 3, pp. 184-197 (In Georgian).
50. Robertson, R. (1985). The relativization of society: Modern religion and globalization. In: Shepherd, William C. and Robbins, Thomas (eds) New Religious Movements and the Law. New York: Crossroads Books.
51. Robertson, R. (1988). The Sociological Significance of Culture: Some General Considerations. Theory, Culture & Society. V. 5 issue: 1, pp. 3-23.
52. Rokeach, M. (1973). The Nature of Human Values. N. Y.
53. Ronen, S., & Shenkar O. (1985). Clustering Countries on Attitudinal Dimensions: A Review and Synthesis // Academy of Management Review, July. pp. 435-454.
54. Royd R., & Richerson P.J. (1988). Culture and the Evolutionary Process. The University of Chicago, London.
55. Rodrick, D. (2013). The Past, Present, and Future of Economic Growth.
56. Rodrik, D. (2019). Where are we in the Economics of Industrial Policy? VoxEU.org, 21 January https://voxdev.org/topic/public-economics/where-are-we-economics-industrial-policies
57. Ros, J. (2013). *Rethinking Economic Development, Growth, and Institutions*. Oxford University Press.
58. Schumpeter, J. A. (1934). *The Theory of Economic Development: An Inquiry into Profits, Capital, Credit, Interest, and the Business Cycle*. Cambridge: Harvard Business Press.

59. Schwartz, S. (2008). Cultural Value Orientations: Nature and Consequences of National Differences. Psychology. Journal of the Higher School of Economics. V. 5, No. 2. C.37-67. (In Russian).
60. Sengupta, J. (2011). *Understanding Economic Growth: Modern Theory and Experience*. The University of California, Santa Barbara College of Letters & Science.
61. Shengelia, T. (2016). Multiculturalism as a Socio-Economic Event and the Determinant of Business. Tbilisi (In Georgian).
62. Shengelia, T. (2018). Social capital of dominant ethnic groups and its impact on business.
63. Shengelia, T. (2019). Research methodology and the impact of social entrepreneurship on the solution of social problems in Georgia.
64. Sumbadze, N. (2012). *Generations and Values*. Tbilisi (In Georgian).
65. Tambovtsev, V. L. (2014). Economic Theory of Informal Institutions. M., (In Russian).
66. Tambovtsev, V. L. (2018). Innovations and culture: Importance of the analysis methodology. Voprosy ekonomiki. 9, 70-94. (In Russian).
67. Veshapidze, S. (2017). The Traditions Orientated on European Values in Georgia. *Sciences of Europe*, (13-4), 14-18.
68. Weil, David, N. 2012. *Economic Growth*. New York: Pearson. https://www.pdfdrive.com/economic-growth-3rd-edition-e188958246.html
69. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125.*

კულტურული ფაქტორის გავლენა ეკონომიკურ ზრდასა და სამეწარმეო საქმიანობაზე: თანამედროვე გლობალიზაციის გამოწვევები

გივი ბედიანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიო გაომოირჩევა განუზღვრელობის მაღალი ხარისხით. საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები, რომლებიც თავისი მოქმედების არეალით სცილდებიან კონკრეტული ერთი სფეროს საზღვრებს და უკვე ხშირ შემთხვევაში არაიან სხვა სფეროებში მნიშვნელოვანი, ზოგჯერ კრიზისული შოკური ეფექტების გამომწვევი მიზეზი, განაპირობებენ განუზღვრელობის ზრდას პერსპექტივაშიც. ამ პირობებში ნებისმიერი სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი ხდება პირველ რიგში თავისი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნციონირების მდგრადობის უზრუნველყოფა. ამ მიმართებით დღეს აქტუალურია თანამედროვე გამოწვევებიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და სამეწარმეო საქმიანობის კულტურული ფაქტორის სისტემური წარმოდგენა და მისი ეფექტიანი გამოყენება. ნაშრომში სისტემური მიდგომის საფუძველზე გამოყოფილია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კულტურურის და ფასეულობების მახასიათებლები. წარმოდგენილია საქართველოსთვის მათი თანამედროვე თავისებურებები და შესაძლო მოდერნიზაციის მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: *კულტურული ფაქტორი, გლობალიზაცია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კონცეფცია, გაურკვევლობა, ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი ხედვა, მეწარმეობა და კულტურა.*

ევროკავშირთან ასოცირების გამოწვევები საქართველოს აგროსექტორისათვის

მაია ბენია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ლევან გაგვიშვილი
აგრარული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი

ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო 1992 წლიდან სარგებლობს საყოველთაო პრეფერენციების სისტემით, რომლის უკეთ ასამოქმედებლად გაწეულ იქნა მთელი რიგი სამუშაოები. აღმოსავლეთ პარტნიორობის საფეხურზე გადასვლამ უფრო გააფართოვა და გაამრავალფეროვნა საბაჟო მოსაკრებელის გარეშე ნულოვანი ტარიფით ევროკავშირის ბაზარზე გასატანი ეროვნული ნაწარმის ნუსხა. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების DCFTA ფარგლებში ევროკავშირმა განახორციელა არაერთი რეფორმა ეკონომიკის მდგრადი განვითარების კუთხით, დაეხმარა აგრარულ სექტორს ENPARD პროგრამის მეშვეობით 235 მილიონი ევროთი, საიდანაც 179,5 მილიონი ევრო უკვე ათვისებულია მუნიციპალიტეტების მიერ. ევროსტრუქტურების მიერ რეკომენდირებული კოოპერირების პრინციპის საყოველთაოდ დანერგვა, რომელმაც ჯეროვნად ფეხი ვერ მოიკიდა ქართულ გარემოში, ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის მოდერნიზაციას, რესურსების დაზოგვას, გაამარტივებს გრანტების მიღებას და სინერგიის ეფექტით ხელს შეუწყობს ფერმერთა გაძლიერებას, რაც თავის მხრივ ევროკავშირის ბაზარზე გასასვლელად საუკეთესო ინსტრუმენტია.

საკვანძო სიტყვები: *ევროკავშირი, სამეზობლო პოლიტიკა, აღმოსავლეთ პარტნიორობა, კოოპერირება, აგრარული სექტორი.*

საქართველოს ნიადაგებისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, თუმცა, საქართველოში წარმოებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას კონკურენციის გაწევა უჭირს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ ბაზრებზე. არაკონკურენტუნარიანობის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ დაბალი მოსავლიანობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულებათა სუსტი ჯაჭვი, მაღალი საკრედიტო განაკვეთი, ფერმერთა კომპეტენციის დეფიციტი, მიწის მაღალი ფრაგმენტაცია და მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. გარდა ამისა, პროდუქციის დაბალი ხარისხი, არასტანდარტულობა და შესაბამისი სერთიფიკატების უქონლობა. არასტაბილური და არაპროგნოზირებადი პოსტსაბჭოთა ბაზრების ნაცვლად გვეთავაზება ევროკავშირის სტაბილური ბაზარი, სადაც ბარიერები მოიხსნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების დადების შემდეგ. სხვა გარე მიმწოდებლებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას გვანიჭებს, თუმცა, ევროკავშირის ბაზარი მომწოდებლისგან ელოდება მაღალი ხარისხის სერტიფიცირებულ პროდუქციას, აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მწარმოებლებს წარმოების ხარჯებს უზრდის და უმცირებს კონკურენტუნარიანობის შანსებს ევროკავშირის ბაზარზე.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მუშაობს დასაქმებულთა 43.1%, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობის სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 7.7%-ია, რაც ნიშნავს სექტორის დაბალ პროდუქტიულობას და სოფლის მცხოვრებ მოქალაქეთა დაბალ შემოსავლებს. რეალურ შემოსავლებთან ერთად სექტორის დაბალი პროდუქტიულობა და ზრდის დაბალ ტემპები განაპირობებს იმასაც, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობა (ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 42%) უფრო ღარიბია, ვიდრე ქალაქად მცხოვრები. უარყოფითი ტენდენციაა როდესაც სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით გაწეული ხარჯები 2010 წლიდან მოყოლებული საგრძნობლადაა გაზრდილი. ხარჯებმა პიკს 2016 წელს მიაღწია და 330,3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წლის მიხედვით 338.9 მილიონ ლარს.

სექტორის სუსტ ეკონომიკურ მაჩვენებლებისა და სექტორში მწარმოებლურობის დაბალი დონის მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ: სასოფლო სამეურნეო მიწების დანაწევრება და საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც იწვევს მიწის რესურსის არაეფექტიან განკარგვას. ასევე, პრობლემურია სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვთან დაკავშირებული საკითხები, როგორიცაა რგოლებს შორის კავშირის სისუსტე, საკონსულტაციო და საექსტენციო მომსახურება, განათლება, სტანდარტების დაცვა. მწირია ინვესტიციები რაც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და შესაბამისად პროდუქტიულობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შედეგად სექტორის გამოწვევად რჩება დაბალი მწარმოებლურობის დონე. ასევე, საქართველოში პროდუქტიულობა მეზობელ ქვეყნებთან შედარებითაც (სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი) საკმაოდ დაბალია, რაც პრობლემებს შორის თითქმის გამორიცხავს გეოგრაფიულ ფაქტორებს (ცუდი კლიმატური პირობები, სტიქია და ა.შ.).საქართველოში მიწების არსებული განაწილების პირობებში. კერძოდ, 2014 წლის აღწერის მიხედვით სახნავი მიწების მფლობელი ოჯახური მეურნეობების 87% ფლობს 1 ჰექტარზე ნაკლებ მიწას, ხოლო 50 ჰექტარზე მეტს ფლობს მეურნეობების მხოლოდ 0,1%. ასევე, საშუალოდ ერთი მეურნეობა (ოჯახური მეურნეობა ან სასოფლო სამეურნეო საწარმო) ფლობს 1,37 ჰექტარ სასოფლო სამეურნეო მიწას, საიდანაც 0,71 ჰექტარი მოდის სახნავ-სათეს, ხოლო 0,4 ჰექტარი მრავალწლოვან ნარგავებზე. ფრაგმენტაციასთან ერთად საქართველოში პრობლემურია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის განკარგვა და კერძო პირების მიერ მიწის რეგისტრაციის საკითხიც. შესაბამისად, სოფლის მეურნეობისათვის ფუნდამენტურ რესურსთან დაკავშირებით ფერხდება საბაზრო მექანიზმების მუშაობა, რაც იწვევს აღნიშნული რესურსის არაეფექტიან განკარგვას. სოფლის მოსახლეობა დარგს ნაკლებად აღიქვამს როგორც სერიოზული ბიზნესის წყაროდ, ძირითადი ფუნქცია რასაც აღნიშნული სექტორი დღეს-დღეობით ასრულებს არის ე.წ. საარსებო ეკონომიკის – Subsistence economy ფუნქცია, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება სექტორის მიმართ არსებული მოლოდინებისგან.

ევროკავშირის ქვეყნების EU27 ლიდერულ ათეულში საიმპორტო პროდუქტებს შორის ლიდერობს ყავა, რომლის იმპორტმაც 2013-2017 წლებში თითქმის 50 მილიარდიდოლარი შეადგინა. საყურადღებოა სიმინდისა და თამბაქოს ნედლეულის მაღალი საექსპორტო პოტენციალი ევროკავშირში. დამატებით, ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტზე ორიენტირება ქვეყანაში პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა და დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობაა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის სესატანად, რითიც საქართველომ მიიღო გარკვეული უპირატესობები სხვა იმპორტიორებთან შედარებით. შედეგად, ევროკავშირის მიმართულებით დინამიკა მზარდია, მაგრამ ნელი. ბევრი რეფორმა იმპლემენტაციის ფაზაშია და დიდხანს გრძელდება, შედეგები აგვიანებს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2016 წლის ივნისიდან

და ქვეყნებს მიეცათ 10 წელი, როგორც გარდამავალი პერიოდი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ჩამოსაყალიბებლად.საქართველოს, რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებთანაც აქვს სავაჭრო შეთანხმებები 8, თუმცა DCFTA სხვა შეთანხმებებისგან განსხვავებულია იმით, რომ იგი მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას ვაჭრობაში შეღავათების გზით, არამედ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას და საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ჰარმონიზაციისთვის რეკომენდაციების შემუშავების დროს ევროკომისიის მიერ გამოიყო ოთხი პრიორიტეტული სფერო:

1. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში
2. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ღონისძიებები (სურსათის უვნებლობა)
3. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები
4. კონკურენცია

რადგან კვლევის ძირითადი ფოკუსი სოფლის მეურნეობის პროდუქტებზეა, მოცემული სფეროებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ორი: ბარიერები და სურსათის უვნებლობა. ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას პროდუქტი ხვდება ორი ტიპის -სატარიფო და არასატარიფო ბარიერს. ქართული წარმოშობის პროდუქტები, სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაჟო ტარიფის გარეშე შედის ევროკავშირის ბაზარზე, თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისი.

წლიურ უბაჟო სატარიფო კვოტას დაქვემდებარებული პროდუქტები: მხოლოდ ნიორი, რომელზეც დაწესებულია 220 ტონის ოდენობის კვოტა.

ბაზარზე შესვლის ფასს დაქვემდებარებული პროდუქტები: ამ სიაში შედის 28 სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რომელზეც დაწესებულია „შესვლის ფასი", რაც გულისხმობს ამ პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვარის დადგენას.

გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს ექვემდებარება სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სახეობა. ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე შეთანხმებაში მოცემულია წლიური ფიქსირებული რაოდენობები, რომელთა შეცვლა შესაძლებელია მოთხოვნის საფუძველზე, თუ საქართველო დაამტკიცებს რომ, ეს მოთხოვნა ეფუძნება ადგილობრივ წარმოებაში ცვლილებებს. თუ ადგილობრივი წარმოება გაიზარდა, შესაძლებელია შეთანხმებაში მითითებული რაოდენობების გაზრდა. თუ საექსპორტო ერთეული ჩამოთვლილთაგან არცერთ სიაში არ ხვდება და აკმაყოფილებს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებს, მაშინ შესაძლებელია მისი ევროკავშირისბაზარზე ყოველგვარი ბარიერების გარეშე შეტანა. თუმცა, ცხადია, ევროკავშირში ექსპორტის პროცესი არც ისე მარტივია და უამრავ შიდა და გარე ფაქტორების გამართულ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული. ამის გათვალისწინებით, სანამ კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგმება, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამა თუ იმ პროდუქტის პოტენციალი.

ღირებულებათა ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლის, ფერმერების, გასაძლიერებლად 2013 წელს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ (რომელიც 2013 წლის 12 ივლისს დამტკიცდა) აწესრიგებს კოოპერატივების ოპერირების პროცედურებს. შესაბამისად, 2013 წლიდან შეიქმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ბაზა, რათა ფაქტობრივად მოხდეს კოოპერატივების და შედეგად მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა. 1200 ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული. 2023 წლის 1 იანვრამდე კოოპერატივები რომლებიც აწარმოებენ პირველად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გათავისუფლებული არიან ქონების გადასახადისგან და დივიდენდის გადასახადისგან. ასევე, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება მოგება, რომელიც მიღებულია კოოპერატი-

ვის წევრების მიერ კოოპერატივისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და მომსახურების მიწოდებიდან, რომელიც კავშირშია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასთან.

სოფლის მეურნეობის სექტორის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა დაბალპროდუქტიულობა, რაც მეტწილად თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის ნაკლებობის შედეგია. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შექმნა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს. ჯამში 54 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი 300-მდე თანამშრომლით27. ექსტენციის ცენტრების ძირითად ფუნქციაა ფერმერებს და გლეხებს უფასოდ მიაწოდოს ინფორმაცია მიწის დამუშავების, სხვადასხვა კულტურების და ცხოველების მოვლის და ამ პროცესში თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ. ასევე, მათი მოვალეობაა მოქალაქეებს მიაწოდონ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფოს ხელშემწყობი და წამახალისებელი პროგრამების და პროექტების შესახებ. თუმცა მოსახელობის ცნობიერების დონე ამ მხრივ მაინცდამაინც არაა სახარბიელო. ნაკლებად არიან ინფორმირებული ევროკავშირის გრანტების შესახებ.

სურსათის უვნებლობის საკითხები უკვე ყველა საწარმოს შეეხო სურსათის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც უფრო მკაცრ კონტროლს გულისხმობს როგორც პირველად წარმოებაში, ასევე გადამუშავების სექტორშიც. შესაბამისად, კონტროლი გამკაცრდება, რაც განაპირობებს პროდუქციის წარმოების გაძვირებას.

უნდა დაკმაყოფილდეს წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნები – ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო ტარიფის გარეშე შესასვლელად უნდა იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოებული საქართველოში. წარმოშობასთან დაკავშირებულ სერტიფიკატს – EUR.1-ს (პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი) გასცემს საქართველოს შემოსავლების სამსახური.

სოფლის მეურნეობის სექტორში პროდუქტიულობის ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას. ყველაზე ოპტიმალური შესაძლებლობაა პროფესიული განათლების პროგრამები, კოლეჯები, რომელსაც სახელმწიფომ (უფასო) და კერძო სასწავლებლები (ნაწილობრივ უფასო) სთავაზობენ დაინტერესებულ მსურველებს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზემდაშვების მინიმალურ წინაპირობას წარმოადგენს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური(9 კლასი), თუმცა პროგრამის ტიპიდან გამომდინარე შეიძლება საჭირო იყოს სრული საშუალო განათლება. პროგრამებზე მიღება წარმოებს წელიწადში ორჯერ გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

საქართველოში, სოფლის მეურნეობის დაფინანსების მთავარ წყაროს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენენ. აღნიშნული ორგანიზაციები ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს სთავაზობენ როგორც სესხებს, ასევე სხვადასხვა საბანკო მომსახურებას, მიმდინარე ანგარიშების და დეპოზიტების გახსნას. თუმცა საპროცენტოი განაკვეტები მაღალია და ეს ართულებს ფერემრისთვის წარმოების მარალეფექტიანობას. მიზნობრივად სოფლის მეურნეობაზე 2018 წელს გაცემული სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 10%-ია. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალურ შემთხვევებში საპროცენტო განაკვეთები შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს, მათ შორის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კანონით დაწესებულ 50%-იან ზღვარსაც მიუახლოვდეს. „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამა მიჩნეულია, როგორც კრედიტის ერთ-ერთი იაფი წყარო, რომელსაც ბევრი ფერმერი მიმართავს. მცირე და საშუალო მეურნეობებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დარჩა.

სახელმწიფო პროგრამების გარდა სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერას ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები. აღსანიშნავია „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის განვითარებისათვის“ ENPARD III-ის შეთანხმება,

რომელსაც ხელი 2017 წელს მოეწერა, დამატებითი 77.5 მილიონი ევრო გამოიყოფა მუნიციპალიტეტების მიერ ასათვისებლად.

საქართველოს სოფლის მეურნეო ბის ძლიერ მხარედ ჩაითვლება ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური პირობები, ასევე მთავრობის და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა. სუსტი მხარეებია – პროდუქტიულობის დაბალი დონე; არასტაბილური გასაღების ბაზრები; პროდუქციის ექსპორტზე გატანის გამოცდილების ნაკლებობა; სერტიფიკატებზე ხელმისაწვდომობა; პროდუქციის მოვლა--მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის დაბალი დონე; კაპიტალის სიმცირე; სუსტი ლოჯისტიკური სისტემა; მიწის ფრაგმენტაცია; მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები; ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებში არასაკმარისი კავშირი; ხარისხიანი ნედლეულზე ხელმისაწვდომობა; გამართული სანიაღვრე და ირიგაციის სისტემების სიმცირე.

კარგ შესაძლებლობად ვთვლით ამ ფაქტორებს: მოსავლიანობის ზრდა; შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმების არსებობა პოტენციურ ბაზრებთან; ქვეყანაში ტურისტული ნაკადების ზრდა; იმპორტის ჩანაცვლება; თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების დანერგვა; მიწების რეგისტრაციის პრობლემების მოგვარება და კონსოლიდაციის მხარდაჭერა; გლეხების/ფერმერების განათლების ხელშეწყობა; ახალგაზრდების დაინტერესება; იაფი რესურსები არის გარკვეული საფრთხეები, როგორიცაა: უარყოფითი სტიქიური მოვლენები; დაავადებების და მავნებლების გავრცელება.

სარეკომენდაციოდ შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია: წარმოების დაწყებამდე ნიადაგის ანალიზის გაკეთება; მოსავლის მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე ცოდნის მიღების საშუალებების გამოყენება; საგანმანათლებლო პროგრამებში აქტიური ჩართვა და მიღებული რეკომენდაციების პრაქტიკაში დანერგვა; მიწის რეგისტრაცია; მიწის გამსხვილება; დაშვებული შხამქიმიკატების მიზნობრივად გამოყენება; სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების დაცვა; ერთგვაროვანი, მაღალი ხარისხის პროდუქტების მოყვანა; სტანდარტის მაჩვენებელი სერთიფიკატების აღება; სწორი სასესხო პროდუქტის შერჩევა; ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან დონორების დაფინანსებით მიღებული დაბალპროცენტიანი მიზნობრივი სასესხო პროდუქტების ათვისება (მაგ. ქალი მეწარმეებისთვის); მთავრობის მხრიდან გამოცხადებული სპეციალური მხარდამჭერი პროგრამების გამოყენება, მათ შორის კოოპერატივებისათვის არსებული შეღავათების ათვისება; დაზღვევის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის აქტიური გამოყენება; დონორი ორგანიზაციების მიზნობრივი გრანტების ათვისება; დონორი ორგანიზაციების შემოთავაზებული ცოდნისა და უნარების ასამაღლებელი კურსების გავლა; პროდუქციის ტრანსპორტირებისას შესაბამისი რეჟიმის დაცვა; ტრანსპორტირებისას შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგება.

ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge/ka
2. https://mepa.gov.ge/
3. http://www.economy.ge/
4. http://cooperatives.arda.gov.ge/programs/read/3
5. https://eu4georgia.eu/ka/enpard/
6. https://www.undp.org/ka/georgia/projects/enpard-3
7. https://vet.ge/ge
8. https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia_en?s=221

Challenges of Association with the European Union for the Agricultural Sector of Georgia

Maia Benia
Associate professor
of the Georgian Technical University
Levan Gavgvishvili
Doctor of Economic Sciences
Georgian Agrarian University

SUMMARY

Since 1992, Georgia has been using a system of general preferences within the framework of the neighborhood policy with the European Union, for the better implementation of which a number of works have been carried out. The transition to the Eastern Partnership stage has further expanded and diversified the list of national goods that can be exported to the EU market without customs duties and at a zero tariff. Under the DCFTA Deep and Comprehensive Free Trade Area Agreement, the European Union has implemented a series of reforms in terms of sustainable economic development, supporting the agricultural sector through the ENPARD program in the amount of 235 million euros, of which 179.5 million euros have already been allocated. used by municipalities. The widespread implementation of the principle of cooperation recommended by European structures, which has not yet taken root in the Georgian environment, will contribute to the modernization of the agricultural sector, save resources, simplify the receipt of grants and, due to the synergy effect, will help strengthen farmers, which in turn is the best tool for entering the market EU.

Kay words: European Union, neighborhood policy, Eastern Partnership, cooperation, agricultural sector.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის
როლი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში

ხათუნა ბერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
მარიამ არნაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

თანამედროვე გლობალურ გარემოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მეტად აქტუალური პრობლემაა. ნებისმიერი ფორმის კომპანიისაგან საზოგადოება მთელ მსოფლიოში მოითხოვს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გაზიარებას. სულ უფრო მატულობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისადმი მოთხოვნა მომხმარებლების, ინვესტორების, მომწოდებლებისა და თანამშრომლების მხრიდან. ეს კი იწვევს სოციალური პასუხისმგებლობის კვლევის საჭიროებას. გაძლიერებული კონკურენციის პირობებში, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გახლავთ ერთგვარი ინსტრუმენტი ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად, რადგან პროდუქცია იძენს დამატებით სოციალურ ღირებულებას. კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა დადებით ზეგავლენას ახდენს კომპანიის ბიზნეს საქმიანობაზე, რადგანაც ხელს უწყობს მისი იმიჯის ფორმირებას და ამაღლებას, ასევე ეხმარება კომპანიას შეინარჩუნოს გრძელვადიანი ურთიერთობები თანამშრომლებთან, კლიენტებთან და მთლიანად საზოგადოებასთან.

ექსპერტთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის არა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულებების შესრულება, არამედ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის საფუძვლიანი გაუმჯობესების წყაროც.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია,ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კომპანიების იმიჯი, მომხმარებელი.*

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მრავალწლიან ისტორიას და განვითარების მრავალ საფეხურს ითვლის, ამ პრობლემის აქტუალობა თავდაპირველად XIX საუკუნეში ჩნდება. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა წიგნი „სიმდიდრის სახარება“, რომელიც ამერიკელ ბიზნესმენს ენდრიუ კარნეგს ეკუთვნის, მან საკუთარი ქონების უმრავლესობა ქველმოქმედებას მოახმარა, ჩამოაყალიბა მრავალი ფონდი, შექმნა ათასობით უფასო ბიბლიოთეკა, ჩამოაყალიბა თავისი სახელობის ინსტიტუტი, აფინანსებდა სხვადასხვა სამეცნიერო კვლევებს, რისი მეშვეობითაც მოხერხდა დნმ-ს გამოკვლევა, ინჟინერთა მიერ რადარის შექმნა და სხვა მრავალი. თავდაპირველად როგორც ვხედავთ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ასოცირდებოდა ქველმოქმედებასთან. XX საუკუნის დასაწყისიდან კი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გასცდა ქველმოქმედების ჩარჩოებს და ამ კონცეფციამ სხვა დატვირთვა შეიძინა, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ამერიკელი ბიზნესმენი ჰენრი ფორდი, რომელიც თვლიდა, რომ ქველმოქმედება ადამიანებზე დადებით ზეგავლენას არ ახდენდა და თითოეულ ადამიანს ჰქონდა შესაძლებლობა იმისა, რომ მათ გა-

მოემუშავებინათ საკუთარი არსებობისათვის საჭირო შემოსავალი, მან დაასაქმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, უსინათლოები, ხეიბრები. ფორდმა ასევე განახორციელა მრავალი ცვლილება საწარმოში: შეამცირა დასაქმებულთათვის სამუშაო საათები, ასევე ბონუსთა სისტემა შემოიღო და დაიწყო ზრუნვა თანამშრომელთა ჯანმრთელობაზე. [http://www.scn.ge/ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მოიაზრებს კომპანიათა პასუხისმგებლობას იმ თვალსაზრისით, რომ მათ დაიცვან კონკრეტული სოციალური ნორმები, იგი დაფუძნებულია ადამიანთა ქცევების სოციალურ ბუნებაზე და ღირებულებათა დაცვაზე, ასევე ხელშემწყობ ღონისძიებათა ჩატარებაზე გარემოს გასაუმჯობესებლად. სოციალური პასუხისმგებლობა ნებაყოფლობითი ხასიათის არის, თუმცაღა მისი განხორციელება ან უგულებელყოფა იწვევს სწორედ კომპანიის იმიჯის ჩამოყალიბებას დიდწილად. დღევანდელ ეპოქაში ორგანიზაციები აღარ არიან ორიენტირებული მხოლოდ მოგების მიღებასა და ეკონომიკური მიზნების შესრულებაზე, ბიზნესში ერთ-ერთი წამყვანი როლი უკვე სოციალურ მხარეს ენიჭება, რაც შედეგია თვალსაზიერის გაფართოებისა და საქმიანობათა მასშტაბის ზრდის ბიზნესის სფეროში. გლობალიზაციის პირობებში თითოეული კომპანიის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც იგი ატარებს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მომხმარებლებიც ცალსახად მოითხოვენ კომპანიებისგან სხვადასხვა ვალდებულებების აღებას გარემოს დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხებზე, შესაბამისად მომხმარებელთა ლოიალობის მოპოვებაც არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ჩართულია კომპანია ამა თუ იმ სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხებში. დღევანდელ პერიოდში ფაქტობრივად წარმოუდგენელია ორგანიზაციის წარმატება, თუ მას არ აქვს სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი. ორგანიზაცია უკვე ბევრად მეტს გულისხმობს, ვიდრე ეკონომიკურ სისტემას, იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სოციუმში ფუნქციონირებს, ისინი არიან პასუხისმგებლები იმ საზოგადოების წინაშე სადაც ფუნქციონირებენ. აქედან გამომდინარე, მათ აქვთ მორალური ვალდებულება საკუთარი რესურსების ნაწილი სოციალური საჭიროებების კუთხით მიმართონ და იზრუნონ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაზე, ისინი უნდა იყვნენ ჩართულნი ისეთ სფეროებში, როგორიც არის: გარემოს დაცვა, სამოქალაქო უფლებებისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვა, ჯანდაცვა და სხვა. თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა შეიტანოს პოზიტიური წვლილი საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაჭრაში. დღეისათვის მრავალი კომპანია იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას, რომ თავისი წარმოებით არ მიაყენოს ზარალი გარემოს, მაღალგანვითარებული ქვეყნები ძალიან დიდ თანხებს ხარჯავენ ბუნებისდაცვითი ღონისძიებების ჩატარებაზე, ასევე ტექნიკის დახვეწაზე, რომ მაქსიმალურად ნაკლებად დაზიანდეს გარემო, ხოლო თუ მაინც ხდება გარემოს დაბინძურება, მათ ძალიან მაღალი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რომ მოაგვარონ არსებული პრობლემა. განვითარებად ქვეყნებში კი სიტუაცია ასე არ არის, ისინი მაქსიმალურად ერიდებიან თანხების დახარჯვას ბუნებისდაცვით ღონისძიებებში, მაშინაც კი, როდესაც ისინი საკუთარი წარმოებით ზიანს აყენებენ გარემოს, მეტიც ბევრ განვითარებად ტიპის ქვეყნებში მთავრობა იმისათვის, რომ მოიზიდოს ინვესტიციები, ნებას რთავს სხვადასხვა მსხვილ კომპანიას აწარმოოს გარემოსდაცვითი სტანდარტების გარეშე პროდუქცია ისე, რომ არ დაეკისროს არანაირი პასუხისმგებლობა. **[**Berishvili Kh, BSU; 2018 p.12-28.**]** ერთის მხივ ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას მრავალი სარგებლის მოტანა შეუძლია, მომხმარებლის ლოიალობის მოპოვების, კაპიტალზე ხელმისაწვდომობის, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების, კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის ამაღლების და ა.შ. თუმცა მეორეს მხრივ არსებობს გარკვეული რისკები, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სწორად იყოს განხორციელებული, რადგან ყალბმა სოციალურმა პასუხისმგებლობამ, რომელიც არ არის გულწრფელი, შეიძლება კომპანიის იმიჯი დააზარალოს. ასევე სწორად უნდა

იყოს განსაზღვრული ის რესურსები, რაც იხარჯება სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, რადგან ზედმეტად დახარჯული რესურსები შეიძლება ფუჭი იყოს და მისი დაბანდება უკეთესი ყოფილიყო მეტად მომგებიან სფეროში მაგ: ტექნოლოგიებზე, კვლევებზე და ა.შ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ანალიზი და განსაზღვრა იმისა, თუ რას მოუტანს ესა თუ ის განხორციელებული ღონისძიება კომპანიას. [www.scn.ge/geo/main/index/]

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციას საფუძველი დასავლეთ ნაწილის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ჩაეყარა, თუმცაღა დღევანდელ ეპოქაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა აღარ არის განვითარებული ქვეყნების პრივილეგია. გლობალიზაციის პირობებში იგი აქტიურად ვითარდება ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის განვითარებად, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა განსაკუთრებით საყურადღებოა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის საწარმოებს თავიანთი წვლილი აქვთ ამა თუ იმ საერთო მიზნის განხორციელებაში, მაგ: ბუნებრივ რესურსთა რაციონალურად გამოყენება, მეცნიერულ და ინოვაციურ ტექნოლოგიათა განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა და პირობათა გაუმჯობესება, მომუშავეთა უფლებების დაცვა და ა.შ. ევროკავშირი მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს იმისათვის, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტები დაინერგოს. ევროპაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა რეგულირდება შესაბამისი კანონებით, ნორმებითა და სტანდარტებით, დიდწილად კი მრავალი ასპექტი საკანონმდებლო ხასიათს ატარებს და შესაბამისად მათი დაცვა ყველა კომპანიისთვის სავალდებულოა, მაგ: კომპანიის საქმიანობა გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტებით, საპენსიო რეგულაციები, ჯანმრთელობის დაზღვევა. [www.makemyassignments.com/blog/]

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს აქაც ბიზნესის წარმოების ისეთი სტანდარტები, როგორიც არის მაგალითად: ადამინის უფლებათა დაცვა, გარემოს დაცვა და სხვა. რეგულირდება კანონმდებლობით, ხოლო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით ყურადღება მეტწილად გამახვილებულია ქველმოქმედებასა და სოციალურ მარკეტინგზე. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა უკანასკნელ პერიოდში დიდწილად ვითარდება აზიის ქვეყნებში, სადაც მრავალი მულტინაციონალური საწარმო ფუნქციონირებს. ცალსახაა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ბევრი ასპექტი ნაკლებად არის განვითარებული აზიის რეგიონში დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, თუმცაღა აზიის ყველა ქვეყანაზე ამის თქმა არ შეიძლება, გამომდინარე იქიდან, რომ აზიაში ქვეყნები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან დამოკიდებულებით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ. იაპონია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყანაა რეგიონში, იგი ევროპის ქვეყნების რიგებშიც კი დგება ამ კუთხით, განსაკუთრებით კი იაპონიაში აქცენტი კეთდება გარემოს დაცვაზე და რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე. [www.CSR InTheUnited StatesAndEurope]

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ქართულ კომპანიებში

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხმა აქტუალობა 2005 წლიდან შეიძინა, ამ პერიოდში ქართული ბიზნეს სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები შეხვდა ერთმანეთს, რის შედეგადაც „სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მიიღეს პირველი მემორანდუმი, ხოლო უკვე 2007 წელს ჩამოყალიბდა გაეროს პროგრამის „გლობალური შეთანხმების“ წარმომადგენლობა საქართველოში „გლობალური შეთანხმება საქართველო“. საქართველოში მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორი არსებობდა მუდმივად იმისათვის, რომ ბიზნესის სოცი-

ალური პასუხისმგებლობა სათანადოდ განვითარებულიყო, ბევრი წლის მანძილზე საქართველოში ეკონომიკური სირთულეები და პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, რასაც თან ერთვოდა სამოქალაქო ომები და სხვა ბევრი სირთულე, აქედან გამომდინარე ქართულ კომპანიებს არ ჰქონიათ იმის შესაძლებლობა, რომ ეფიქრათ სოციალურ პასუხისმგებლობაზე და მითუმეტეს ამ მიმართულებით განეხორციელებინათ ღონისძიებები. უკანასკნელ პერიოდში კი იმ რეფორმებმა, რომელიც საქართველოში განხორციელდა, ასევე ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ განაპირობა სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და საზოგადოების ერთიანი მოქმედებების დაწყება, ერთმანეთთან თანამშრომლობა, რაც საერთო სიკეთის მომტანია ქვეყანაში. ბიზნესის გარემოს ლიბერალიზაცია მოხდა, მაქსიმალურად შემცირდა ის ბარიერები, რომელიც ხელს უშლიდა ბიზნესის წარმოებას, დაკორექტირდა საგადასახადო განაკვეთები, მოხდა შრომის კანონმდებლობის ფორმირება. ამ ყველაფერს კი ქვეყანაში ინვესტიციების ზრდა მოჰყვა, რის შედეგადაც წარმოიქმნა აქტუალური საკითხი, კომპანიების ჩართულობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებაში, ეს გახდა ის ინსტრუმენტი, რითიც კონკურენტული უპირატესობის მოპოვება არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ცნების დამკვიდრება აქტიურად 2005 წლიდან დაიწყო, მრავალი ქართული კომპანიისათვის მაინც სიახლეს წარმოადგენს მისი დანერგვა საკუთარ კომპანიაში და პერიოდთან ერთად უფრო მეტად იკიდებს ფეხს ეს კონცეფცია ქართულ ბიზნესში, მითუმეტეს, რომ დღევანდელ პერიოდში, გლობალიზაციის ასეთ ტემპებში ქართული კომპანიები უკვე აანალიზებენ, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების გარეშე წარმატებით არსებობა წარმოუდგენელი ხდება, მომხმარებლებიც უკვე დიდწილად აქცევენ ყურადღებას კომპანიების ჩართულობას სოციალური კეთილდღეობის ასპექტებში და შესაბამისად მეტად ლოიალურები ხდებიან იმ კომპანიებისადმი, რომელიც დიდ რესურსს დებს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. **[**CDCS, 2017 „სოციალური ინტეგრაციის ახალი სტრატეგია“გვ. 8**]**

Covid 19 პანდემიამ, რომელიც გამოწვევა იყო მთელი მსოფლიოსთვის, ნათლად დაგვანახა სოციალური პასუხისმგებლობის როლი და საჭიროება ბიზნესის მხრიდან. პანდემიის პერიოდში მრავალი გადაფასება მოხდა სამყაროში, რის შედეგადაც ადამიანმა თავისი სოციალური როლის მკაფიოდ გაანალიზება მოახერხა. ეს იყო პერიოდი, სადაც ადამიანთა სიცოცხლე თითოეული ჩვენგანის სოციალურ პასუხისმგებლობაზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის პერიოდს დიდი ეკონომიკური სიდუხჭირე ერთვოდა, რომელიც არ იყო პროგნოზირებადი თუ რა ვადით გაგრძელდებოდა და ზოგიერთ კომპანიას უკვე თვითგადარჩენისთვის უწევდა ბრძოლა, მრავალმა ქართულმა კომპანიამ შეძლო და სწორად გაიაზრა თავისი როლი და საჭიროება საზოგადოებრივ ყოფაში და მათ გადაწყვიტეს, რომ ამ ურთულეს მომენტში საზოგადოების კეთილდღეობაში შეეტანათ თავიანთი წვლილი, რაც მომხმარებელთა მხრიდანაც წახალისდა და საზოგადოებაში ამ კომპანიების იმიჯი გაუმჯობესდა. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „თიბისი დაზღვევა“, რომელმაც ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ექიმებისთვის, რომლებიც ებრძოდნენ Covid19 დაავადებას, შექმნა ფონდი რომლის ბიუჯეტიც 300000 ლარს შეადგენდა. **[**forbes.ge/blog/**]** ქართველი ექიმების დასახმარებლად ასევე ფონდი ჩამოაყალიბა კომპანია „გალფმა“. **[**tbcinsurance.ge**].** „თიბისი ბანკმა“ პროგრამის „თიბისი შენთვის“ ფარგლებში საზოგადოების მხარდასაჭერად გამოყო 5 მილიონი ლარი, მან ასევე ხელი შეუწყო დისტანციური განათლების სისტემას, შერჩეულ სტუდენტებს გადასცა ლეპტოპები, რათა სასწავლო პროცესი არ გაეჩერებინათ, ასევე ისინი მუდმივად ზრუნავდნენ ციფრულ ტექნოლოგიათა გავრცელებაზე. **[**bm.ge**]** პანდემიის რთულ პერიოდში სოციალური პასუხისმგებლობა გამოიჩინა კომპანია „ნოვამ“, რომელმაც შეიძინა სამედიცინო აპარატურა რესპუბლიკური საავადმყოფოსათვის ბათუმში და მან უზრუნველყო კათარზისთან თანამშრომლობის დამყარება, რათა მოხერხებულიყო ხანდაზ-

მულთა სათანადოდ გამოკვება. [/bm.ge/ka/article/nova] „ტერასა ჯგუფი“ ეხმარებოდა სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახებს, ამათთან ერთად სხვა მრავალმა კომპანიამ აიღო სოციალური პასუხისმგებლობა და დადგა საზოგადოების გვერდით, რათა ამაღლებულიყო საზოგადოებრივი კეთილდღეობა. [terrassagroup.ge]

მნიშვნელოვანია კვლევა იმ საკითხებთან მიმართებაში, თუ რა როლი აქვს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას ამა თუ იმ კომპანიის წარმატებაში. (იხ.დიაგრამა1;2). კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა სხვადასხვა კომპანიათა 50 თანამშრომელი, რომელთა 62% წარმოადგენდა მამრობითი სქესის ადამიანი ხოლო 38% – მდედრობითი. ასაკობრივი კატეგორია კი შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა უმრავლესობა, 47% 25-50 წლის ასაკის კატეგორიას წარმოადგენს, 20% წარმოადგენს 50-70 წლის კატეგორიას, ხოლო 33% – 18-25 წლის კატეგორიას.

გამოკითხულთა 57% ამბობს, რომ მათი კომპანია მეტნაკლებად ცდილობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესრულებას და მაქსიმალურად ერთვება ამა თუ იმ აქტივობაში, რომელიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას უზრუნველყოფს, რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სწორედ სოციალური პასუხისმგებლობაა ის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბიზნესს კარგი იმიჯის შექმნაში, გაყიდვების ზრდაში, მომხმარებლის ლოიალობის მოპოვებაში და საზოგადოების მხრიდან ნდობის ამაღლებაში ამა თუ იმ კომპანიის მიმართ. გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიების გატარება უშუალოდ იწვევს კომპანიის იმიჯის ამაღლებას და შესაბამისად მოგების მოცულობის მატებას.

დიაგრამა 1; 2





წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორების მიერ

ამდენად, ნებისმიერ ბიზნეს ორგანიზაციამ უნდა გაატაროს სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებები და მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია, რათა შეძლონ გრძელვადიანი ფუნქციონირება.

დასკვნა

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მრავალწლიან ისტორიას და განვითარების მრავალ საფეხურს ითვლის. ამ პრობლემის აქტუალობა თავდაპირველად XIX საუკუნეში ჩნდება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მოიაზრებს კომპანიათა პასუხისმგებლობას იმ თვალსაზრისით, რომ მათ დაიცვან კონკრეტული სოციალური ნორმები, იგი დაფუძნებულია ადამიანთა ქცევების სოციალურ ბუნებასა და ღირებულებების დაცვაზე. გლობალიზაციის პირობებში თითოეული კომპანიის წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც იგი ატარებს სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მომხმარებლებიც ცალსახად მოითხოვენ კომპანიებისგან სხვადასხვა ვალდებულებების აღებას გარემოს დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხებზე.

ლიტერატურა:

1. ბერიშვილი ხ. 2018 „საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა. თბ, გამომც. „უნივერსალი“ .
2. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (2018), „თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა“ (დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება), თბილისი.
3. სოციალური ინტეგრაციის ევროპული კომიტეტი (CDCS) (2017), „სოციალური ინტეგრაციის ახალი სტრატეგია“, გამომცემელი საქართველოში ევროპის საბჭოს საინფორმაციო ბიურო გვ. 8
4. ხოფერია ლ. (2018), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საჯარო სექტორის როლი“, თბილისი. გვ.101-107
5. მენეჯმენტი, VI გამოცემა / სტივენ რობინსი, მერი კოულტერი/ გამომცემლობა „ვილიამსი“ 2004.
6. Berishvili Kh. (2018) Conception of corpoerative social responsibility: problems and evaluation. Batumi, BSU, p.12-28.
7. Berishvili Kh. (2017) Condradictory character of the process of liberalization and integration ofeconomic relations and influence of this process on the countries with small economi. 6th Business & Management Conference, Geneva, p. 3-10.
8. Berishvili Kh. (2017) Identification of integration processes in Conditions Economic Turbulance and Their Use in development of The Countries With Small Economi. Ecoforum Journal, Volume 6, Issue 2, pp.108-115.
9. Berishvili Kh. (2014) Possibilities for Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6 (4), 277 .
10. Berishvili Kh. (2014) Liberalization of Economy and Possibilities of Development of Foreign Trade Potential in Georgia. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University pp. 124-129.
11. Berishvili Kh. (2013) Globalization end Georgia’s Integration Into World Economic Space. Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University pp.125-128.
12. Business For Social Responsibility Education Fund, “Guide to Engaging with NGOs”, United States San.16-18

13. Bhattacharya, C.B., Sankar Sen and Daniel Korschun (2008), "Using Corporate Social Responsibility to Win the War for Talent," MIT Sloan Management Review, 49 (2), 37-44;
14. Gray, Fr. R.H D.L.Owen & K.T.Maunders, Corporate Social Reporting: Accounting and accountability (Hemel Hempstead: Prentice Hall, 1987) p. IX.ancisco , 2001, 9-10 pp.)
15. Habisch André Corporate Social Responsibility across the Europe - Heidelberg: Springer, 2005.
16. Kytle, Beth; paramveer singh Corporate Social Responsibility as Risk Management: A Model for Multinationals (PDF). Social Responsibility Initiative Working Paper No. 10.. Cambridge, MA: John F. Kennedy School of Government, Harvard University (2005).
17. Lauer R. "Defining Social Problems: Public and Professional Perspectives" , Oxford University Press, 1976 , 122 p.
18. Williams Cynthia A. Corporate Social Responsibility in a Comparative Perspective // The Oxford Handbook of Corporate Social Responsibility / Crane, A., et.al. - Oxford: Oxford University Press, 2008.
19. Orlitzky, Marc; Frank L. Schmidt, Sara L. Rynes (2003). «Corporate Social and Financial Performance: A Meta-analysis» (PDF). Organization Studies 24 (3): 403-441.
20. Stoun R.Culture of corporation. London, 2016
21. Shengelia T. (2017) The role of state regulation of investment in the Georgia business development. International business in the world economic system. Universal, Tbilisi. ISBN 9789941175986.
22. Shengelia T. (2014) Business Aticiphobia and the Terms For Overcaming in Georgia. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 4, Nova Science Publishers, Inc. PP. 331-337.
23. Shengelia T., Berishvili Kh. (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences, Volume 3, Issue 2, International Institute of Social and Economic Sciences. PP. 81-87.
24. Shengelia T., Berishvili Kh. (2014). Evaluation of the Global Position of Georgia and its Role In the Development of Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 6, Issue 1, Nova Science Publishers, Inc. PP. 57-65.
25. Shengelia T., Berishvili Kh. (2013). Globalization and Place of Georgia in International Business. Georgian International Journal of Scince, Tecnology and Medicine, Volume 5, Issue 3/4, Nova Science Publishers, Inc. PP. 229-238.
26. http://www.scn.ge/geo/main/index/.7-9 pp.
27. https://www.makemyassignments.com/blog/disadvantages-of-csr/ 10-13pp
28. https://www.researchgate.net/publication/336148742_The_Stage_of_Corporate_Social_Responsibility_in_EU-_CEE_Countries 24-27pp
29. www.CSR InTheUnited StatesAndEurope]18-24pp
30. https://asiancenturyinstitute.com/environment/494-csr-in-japan 1-3pp
31. (http://forbes.ge/blog/
32. https://tbcinsurance.ge/ka/blog/article/190-300-000-lari-covid19-tan-mebrdzoli-ekimebisa-da-ektnebis-dasazghvevad
33. https://bm.ge/ka/article/quotgalfiquot-covid-19-tan-mebrdzoli-eqimebis-mxardacheras-agrdzelebs/65726/
34. https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/covid-19-challenges.
35. https://bm.ge/ka/article/nova-pandemiis-gamowvevis-dasadzlevad-65-000-lars-gamoyofs/53004/
36. https://terrassagroup.ge/ka/news/page-/

The Role of Corporate Social Responsibility in Modern Global Business

Khatuna Berishvili
Doctor of Economics, Associate professor of
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Mariam Arnadze
PhD student of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

SUMMARY

The social responsibility of business has a long history and many stages of development, the relevance of this problem first appeared in the 19th century. Corporate social responsibility includes the responsibility of companies to comply with specific social norms, It is based on the social nature of human behavior and the protection of values. In the conditions of globalization, the success of each company depends to a large extent on the measures it carries out within the framework of social responsibility.

გერი ნორთი და მისი წიგნი „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“

ინეზა გაგნიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართველი მეცნიერებისა და დაინტერესებული მკითხველისთვის ნაკლებადაა ცნობილი გერი ნორთის ნაშრომი „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“. სამხრეთ კალიფორნიაში დაბადებული გერი ნორთი არის 8825 გვერდიანი წიგნის ავტორი, რომელზეც ის 37 წელი მუშაობდა. ჩვენი ნაშრომი მოიცავს მოკლე ინფორმაციას ავტორისა და თავად წიგნის შესახებ. გერი ნორთმა დოქტორის ხარისხი მიიღო კალიფორნიაში რივერსაიდის უნივერსიტეტში. ის ასევე სწავლობდა ავსტრიის ეკონომიკურ სკოლაში და შეეცადა მოეხდინა აქ მიღებული ცოდნისა და თეოლოგიის სინთეზი. ავტორი ასაბუთებს, რომ არსებობს მხოლოდ ქრისტიანული ეკონომიკის თეორია. ვფიქრობთ, გერი ნორთის წიგნის გაცნობა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებისა და დაინტერესებული მკითხველისთვის კიდევ მრავალი საინტერესო კვლევის საფუძველი გახდება.

საკვანძო სიტყვები: *ბიბლია, ქრისტიანული ეკონომიკა, ეკონომიკური კომენტარები*

გერი ნორთი გაიზარდა სამხრეთ კალიფორნიაში. 1961-1963 წლებში ბაკალავრიატში სწავლის დროს ნორთი გაეცნო ავსტრიული სკოლის ეკონომისტების ნაშრომებს, მათ შორის ლუდვიგ ფონ მიზესის, ფრიდრიხ ჰაიეკისა და მიურეი როტბარდის. იმავე პერიოდში ის გაეცნო კონსერვატორი თეოლოგის რუსას ჯონ რაშდუნის ნაშრომებს. ნორთმა ცხოვრების მიზნად დაისახა ავსტრიული სკოლისა და კონსერვატორი თეოლოგის რაშდუნის ნაშრომების სინთეზი. 1972 წელს გერი ნორთმა კალიფორნიის რივერსაიდის უნივერსიტეტში მოიპოვა ისტორიაში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მისი დისერტაცია მიეძღვნა საკუთრების საკითხს 1630-1720 წლების პურიტანულ ახალ ინგლისში.

გერი ნორთმა თავის ნაშრომზე „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“ 37 წელი იმუშავა და საბოლოოდ ნაშრომის მოცულობა 8825 გვერდია. ეკონომიკური კომენტარები გაკეთებულია როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაზე. ეს დიდტანიანი ნაშრომი შედგება ავტორის მიერ წლების მანძილზე შექმნილი პუბლიკაციებისგან. ავტორი წერს, რომ ნაშრომში მსჯელობის, ინტერპრეტაციის მცდელობაა იმის ასახსნელად, თუ როგორ გამოიყენებოდა ძველი აღთქმის ეპოქის კანონები და მოცემულია იმის მაგალითები, თუ როგორ გამოვიყენოთ ისინი თანამედროვე პერიოდში თეორიასა და პრაქტიკაში. ავტორის სურვილი იყო მის ნაშრომს გაეძლო წლებისა და საუკუნეებისთვისაც კი და დარჩენილიყო, როგორც ეკონომიკასა და იურისპუდენციაში ბიბლიური კანონის კონკრეტული გამოყენების მაგალითი.

გერი ნორთის ნაშრომი დიდი მოცულობისაა. ის აღნიშნავს, რომ შემოკლებული ტექსტი საკითხავად რთულია, იოლია რომელიმე არგუმენტზე გამოგრჩეს მნიშვნელოვანი ნაწილი და შესაძლოა მკითხველი არასწორ ინტერპრეტაციამდე მივიდეს. მეორე მხრივ, მისი აზრით გრძელი, ჩანართებიანი არგუმენტების დამახსოვრება რთულია. ამიტომ ავტორმა გრძელი არგუმენტაცია დაყო მართვად ნაწილებად, განყოფილებებად და ქვეგანყოფილებებად. ასევე, ყველა თავის ბოლოს მოცემულია შეჯამება.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი სვამს კითხვას – თუ რატომ უნდა წავიკითხოთ წიგნის ერთი ან მეტი ტომი? საამისოდ ის მკითხველს შეკითხვითვე პასუხობს – სურს თუ არა ინდივიდს იცოდეს სწორი პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- რას ასწავლის ბიბლია ეკონომიკის შესახებ?
- რატომაა აუცილებელი ბიბლიური ეკონომიკის თეორიის ცოდნა სამყაროს სწორად გასაგებად?
- რატომაა აუცილებელი ბიბლიური ეკონომიკის თეორიის ცოდნა თავად ბიბლიის სწორად გასაგებად?
- რატომ უთმობს ბიბლია ასე დიდ ადგილს ეკონომიკას?
- როგორ უნდა მართოს ქრისტიანულმა საზოგადოებამ ეკონომიკა სწორად?
- რისი გაკეთება სურს ღმერთს თქვენი ქონებით?
- რატომ გგონიათ რომ არ გაქვთ სიმდიდრე, როცა სინამდვილეში მას ფლობთ?
- გაქვთ ღმერთის ვალი?
- რას შეიძლება კანონიერად მოელოდეთ ღმერთისგან?
- როგორ უნდა გადაწყვიტოთ, როგორ მოექცეთ თქვენს სიცოცხლეს?

მოსეს კანონების შესწავლისას ქრისტიან მკვლევარს ესაჭიროება ჰერმენევტიკა[1] – ბიბლიის განმარტების პრინციპი. ეს უპირველესად საჭიროა იმის გამო, რომ: განისაზღვროს, რომელი კანონები შეიცვალა ქრისტეს სიკვდილით, აღდგომით და ამაღლებით და რომელი – არა. როდესაც ნორთმა დაასრულა მუშაობა ლევიტელთა წიგნის კომენტარების ოთხტომეულზე, ის მივიდა დასკვნამდე, რომ მოსეს კოდექსში იყო უფლების ოთხი დამოუკიდებელი კატეგორია:

1. მიწის კანონმდებლობა (ისრაელი);
2. კანონები საოჯახო მეურნეობაზე (ოჯახები/ტომები);
3. სამღვდელმთავრო კანონები;
4. ტრანსსასაზღვრო კანონები.

ახალ აღთქმაზე მხოლოდ მეოთხე კატეგორია ვრცელდება. ნორთი შეეცადა ყოველი ეკონომიკური კანონის კლასიფიცირება მოეხდინა ამ ოთხმაგ სისტემაში. ამგვარად, მან დასვა ორი შეკითხვა:

1. როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კანონი ძველ აღთქმასთან შესაბამისობით?
2. როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კანონი ახალ აღთქმასთან შესაბამისობით, თუ ის კიდევ სადმე გამოიყენება?

ავტორი თავის თითოეულ კომენტარს იწყებდა ასე: განსაზღვრავდა ბიბლიის მონაკვეთის თეოცენტრულ მიმართულებას. ღმერთს ეკავა ცენტრალური ადგილი, ადამიანს – არა. ის მიუთითებდა – ანალიზი უნდა დავიწყოთ იმით, თუ რას ელის უფალი და რატომ, და არა იმით, თუ რას ელოდება ადამიანი და რატომ?

ავტორი საინტერესოდ აღნიშნავს, რომ მისი ეკონომიკური კომენტარებისა და ქრისტიანული ეკონომიკის კრიტიკოსებს დიდი შრომის გაწევა მოუწევთ ეგზეგეტიკურად[2] დასაბუთებული ალტერნატივის შესაქმნელად. ის არ ელოდებოდა, რომ რომელიმე მათგანი ამას შეძლებდა. ის წერდა – მათ უნდა შექმნან ალტერნატივა. როგორც ძველი ანდაზა ამბობს – „თქვენ ვერ გაიმარჯვებთ

[1] ჰერმენევტიკა - ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული და უნივერსალური თეორია ტექსტის ინტერპრეტაციისა და გაგებისთვის. შუა საუკენეებში მას ბიბლიის განმარტებისთვისაც იყენებდნენ.

[2] ეგზეგეტიკა - (ძვ. ბერძნ. „განმარტება“, „გადმოცემა“) - სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც მიზნად ისახავდა ბიბლიური ტესტების ახსნა-განმარტებას.

რაიმეზე, არაფრის გამოყენებითნ. მაგრამ რა იქნება მათი „რაიმე“? ჯერ-ჯერობით ასეთი „რაიმე“ არ არსებობს. ავტორის აზრით, ნიშნავს ეს თუ არა რომ – „ქრისტიანული ეკონომიკის დასაფუძნებლად ყველა წინამორბედი მცდელობა არასრულყოფილი იყო? დიახ. უფრო იმედისმომცემი, ვიდრე ეგზეგეტიკური? დიახ. როგორც ნაადრევი? დიახ. როგორც უმისამართო? არა“ (North, 2012, xv).

გერი ნორთი გაქრისტიანდა 17 წლის ასაკში. მან 20 წლის ასაკში უკვე იცოდა, რომ უნდა დაეწყო წერა ქრისტიანული ეკონომიკის შესახებ. მაშინ მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ასეთი დიდი მოცულობის მასალაზე მოუწევდა ინტელექტუალური შრომა. მას ასევე უნდა ეზრუნა ნაშრომის გამოსაცემად საჭირო თანხის მოძიებაზეც. როდესაც მას ეკითხებოდნენ, რომ არსებობს კი ქრისტიანული ეკონომიკის თეორია, საერო თანამედროვე ეკონომიკის თეორიის გარდა? ის პასუხობდა რომ – მხოლოდ ქრისტიანული ეკონომიკა არსებობს და არა სხვა. მას ხშირად უმეორებდნენ, რომ არ არსებობს ქრისტიანული ეკონომიკა. მას ამას უმტკიცებდნენ დოქტორის ხარისხის მქონე ათეისტი ეკონომისტები. გერი ნორთი კი ამბობდა, რომ აუცილებელი იყო ისეთი ფუნდამენტური, ყოვლისმომცველი ნაშრომის შექმნა ქრისტიანულ ეკონომიკაზე, როგორიც ადრე არ არსებობდა.

არსებობს წიგნები, მათ შორის ნორთის ავტორობით „ქრისტიანული ეკონომიკა“ (1973), რომელშიც მან სცადა ზოგიერთი ასპექტის შესწავლა და არა ყოვლისმომცველი ტრაქტატის შექმნა, როგორიცაა ადამ სმითის „გამოკვლევა ერთა სიმდიდრის შესახებ“ ან ლუდვიგ ფონ მიზესის „ადამიანთა ქცევა“ (1949). ნორთის აზრით, ზოგიერთ ნაშრომში, თითქოსდა იცავენ ქრისტიანულ ეკონომიკას, მაგრამ სინამდვილეში ისინი პოპულარობას უწევენ თავისუფალ ბაზარს ან კეინზიანურ ეკონომიკას რამდენიმე ბიბლიური ციტატის გამოყენებით.

ვიდრე ვინმე დაწერდეს ყოვლისმომცველ ტრაქტატს ქრისტიანულ ეკონომიკაზე, მას სჭირდება ბიბლიაზე სისტემატური კომენტარები, რომელშიც ბიბლია განხილულია, როგორც ეკონომიკური განხილვებისა და პრაქტიკული მიდგომის გზამკვლევი. რატომ წუხდა ასე გერი ნორთი? იმიტომ, რომ ის ფიქრობდა, როცა ვიწყებთ რთული ეკონომიკური თეორიების აგებას ბიბლიის სახელით და არ ვიცით, რომ ბიბლია ეკონომიკას ეხება, მაშინ ჩვენ „ბრმად მივფრინავთ“. გერი ნორთი აღნიშნავს, რომ ეს ნაშრომი საიმისოდ შექმნა, რომ უპირველესად საკუთარი თავისთვის გაეცა პასუხი კითხვაზე: არსებობს თუ არა უნიკალური ბიბლიური ეკონომიკის თეორია? მან იცოდა, რომ ვიდრე თავად არ შექმნიდა ასეთ ნაშრომს, კითხვას ზუსტ პასუხს ვერ გასცემდა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნორთმა 1973 წელს დაიწყო მცირე ფორმატის ნაშრომზე მუშაობა, რომელიც, როგორც თავად ფიქრობდა მიიყვანდა ქრისტიანული ეკონომიკის შესახებ ტრაქტატის შექმნამდე.

გერი ნორთი იმედოვნებდა, რომ მკითხველი გაისიგრძეგანებდა შრომის იმ ამპლიტუდას, რაც მან გასწია დასახული მიზნის მისაღწევად, როცა ის გაეცნობოდა ბიბლიის პირველ თავზე „დაბადება“ გაკეთებულ მის ეკონომიკურ კომენტარებს. ის აღნიშნავდა – არავინ უნდა დაეჭვდეს, რომ ბიბლია ბევრს გვეუბნება ეკონომიკაზე. შეიძლება მკითხველი ჯერ კიდევ არ არის დარწმუნებული, რომ არსებობს ქრისტიანული ეკონომიკა, მაგრამ ის კი უნდა აღიაროს, რომ ბიბლიაში ბევრი ეკონომიკური მონაცემია.

გერი ნორთისთვის პირველი დასტამბული ნაშრომი იყო „მარქსის რევოლუციის რელიგია“ (1968) – მარქსის მოსაზრებების კრიტიკული ანალიზი, მის ეკონომიკურ თეორიასთან ერთად. ნორთი ადრევე მიხვდა, რომ „ადამიანთა გონებისთვის ბრძოლა XX საუკუნეში, უპირველეს ყოვლისა იყო ბრძოლა კომუნიზმსა და ქრისტიანობას შორის, და რომ ეს ომი შეეხო ცხოვრების ყველა სფეროს“ (North, 2012, xvii). ის წერდა – „ესაა ომი, რომელიც აღარ გრძელდება – კომუნიზმი დამარცხდა ყველაზე სანახაობრივი კოლაფსით, რაც კი მომხდარა ინტელექტუალურ და ინსტიტუციურ ისტორიაში“ (North, 2012, xvii). ეს ნორთმა ნახა წინა საუკუნის 90-იანი წლების და-

საწყისში, როდესაც, ერთი მხრივ, მეორადი წიგნების მაღაზიაში მარქსის ნაშრომები 1$-დ იყიდებოდა (ვინაიდან დაინტერესებული მყიდველი უკვე აღარ იყო). და მეორე მხრივ, ერთი გასროლის გარეშე, 1991 წლის დეკემბერში დაიშალა მსოფლიოში ყველაზე დიდი იმპერია.

ვფიქრობთ, გერი ნორთის წიგნის „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები" გაცნობა ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებისა და დაინტერესებული მკითხველისთვის კიდევ მრავალი საინტერესო კვლევის საფუძველი გახდება.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა" წლების მანძილზე ცხრაჯერ ჩატარებით (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წმ გიორგი მთაწმინდელის სახელობის გორის გიმნაზიაში, ბოლნისისა და მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიებში) და შემდგომ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" დამოუკიდებელი სექციური მუშაობით საქართველოში აქტიურად დაიწყო და მიმდინარეობს კვლევები ქრისტიანული სწავლების, ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხების ერთობლივად განხილვის მიმართულებით. აღნიშნულ პერიოდში საკონფერენციო მოხსენებები მზადდებოდა როგორც ქართველი და უცხოელი სასულიერო პირების (აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), 2015; არქიმანდრიტი იაკობი (იაკობიშვილი), 2009; დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი), 2009; დეკანოზი ბიძინა (გუნია), 2016; დეკანოზი ნიკოლოზი (ნიკოლაიშვილი), 2015; Deacon Konstantin (Golubev), 2019), ასევე უცხოელი (Haupt, 2015; Haydanka and Tokar, 2016; Larionov, 2015; Lukin, 2015; Petrauskiene and Spukiene, 2015) და ქართველი (ბაკურაძე, 2016; გაგნიძე, 2013; გოგორიშვილი, 2013; გოგოხია, 2016; გრძელიშვილი, 2013; გულუა, 2015; მიქელაშვილი 2015; მღებრიშვილი, 2016; პაპაჩაშვილი, 2013; სურმანიძე, 2016; შავიანიძე, 2016; შიხაშვილი, 2013; ჩიხლაძე და კოღუაშვილი, 2016; ცეცხლაძე, 2016; ჭანიძე, 2016; ჭილაძე, 2015) მეცნიერ-ეკონომისტების მიერ.

სამწუხაროა, რომ ისეთ დიდ მეცნიერთან როგორიც გერი ნორთი იყო ჩვენმა გუნდმა დაკავშირება ვერ მოვასწარით, მიმდინარე წლის თებერვალში მისი გარდაცვალების გამო. თუმცა, მის თანამოაზრეებთან კომუნიკაცია შესაძლებელია მისი სახელობის ვებ-გვერდზე უფასოდ გაწევრიანებით (https://www.garynorth.com/members/login.cfm). თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები თანამოაზრეთა იოლად მოძიების საშუალებას ნამდვილად იძლევა, რაც ქრისტიანული ეკონომიკის კვლევის მიმართულებით ახალი სამეცნიერო კავშირების დამყარების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ლიტერატურა:

1. აბბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე) (2015), „მიწათ მოქმედება – ანი და ჰოე", VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, გვ.11-16 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/-105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
2. არქიმანდრიტი იაკობი (2009) „მეცხვარეობის განვითარება სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში", V სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა" მოხსენებათა კრებული, თბილისი, თსუ, გვ. 21-23
3. ბაკურაძე ა. (2016) „ქორწინება და განქორწინება – შედეგები და რელიგიური ხედვა", IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა", მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 25-30. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf

4. გაგნიძე ი. (2013), „მართლმადიდებლობა და ეკონომიკა“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2013. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/1370
5. გოგორიშვილი ი. (2013) „მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობის იდეა“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, გვ. 35-40 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
6. გოგოხია რ. (2016) „საკუთარი თავის შეცნობიდან უფლის შეცნობამდე“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 49-58. https://unik.edu.ge/PagePDF/conf/konf16.pdf
7. გრძელიშვილი ნ. (2013) „რელიგიური ტურიზმი, როგორც მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ფაქტორი“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, გვ. 41-48 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
8. გულუა ე. (2015) „ერთიანობია მართვის აქტუალურობა და მისი ბიბლიური საფუძვლების გააზრება“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, გვ. 45-49. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
9. დეკანოზი ბასილი (ახვლედიანი) (2009) ეკონომიკის განვიტარების პერსპექტივები ბოლნისის ეპარქიაში“, V სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თბილისი, თსუ, გვ. 24-29.
10. დეკანოზი ბიძინა (გუნია) (2016) „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იციან,...“ (ტიტე 1,16), IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 11-14. https://unik.edu.ge/PagePDF/conf/konf16.pdf
11. დეკანოზი ნიკოლოზი (ნიკოლაიშვილი) (2015) ბაბუნაშვილი, ე. „ვინ, რატომ და რისთვის“ თანაფარდობა „რა, როგორ და ვისთვის“-თან“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, გვ.17-24 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
12. მიქელაშვილი მ. (2015) „ბიბლია და გადასახადები, როგორც მორალური კატეგორია“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, გვ. 74-81 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
13. მღებრიშვილი ბ. (2016) „ქრისტიანობა და ფიტოთერაპიის განვითარება საქართველოში“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 102-105 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
14. პაპაჩაშვილი ნ. (2016)„შრომისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულების ასპექტები“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, გვ. 86-89. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
15. სურმანიძე ზ. (2016)„ინტერნეტეკონომიკა და ქრისტიანობა“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 148-151 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
16. შავიანიძე დ. (2016) „რელიგიურობა – ქართველი მეურნის მენტალობის მთავარი ნიშანი (დასავლეთ საქართველოს ახალი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“ IX საერთაშორისო

სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 152-156 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf

17. შიხაშვილი გ. (2013) „თეოლოგიური ეკონომიკის არსი, მიზანი და ამოცანები“, VII სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-გორი, გვ. 107-112 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf13.pdf
18. ჩიხლაძე ნ., კოღუაშვილი პ. (2016) „რესურსების შეზღუდულობა – თეოლოგიურ–ეკონომიკური გააზრებისათვის“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 70-75. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
19. ცეცხლაძე მ. (2016)„ქრისტიანული თავისუფლება და ბაზრის უხილავი ხელი“ IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 176-181. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
20. ჭანიძე ქ. (2016) „მევახშეობა – უძველესი დროიდან დღემდე, მისი ტრანსფორმაცია და გავლენა საზოგადოებაზე“, IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ქუთაისი, გვ. 183-187 https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf16.pdf
21. ჭილაძე ი. (2015) „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ქრისტიანობა“, VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქრისტიანობა და ეკონომიკა“, მოხსენებათა კრებული, თსუ, თბილისი-ბათუმი, გვ. 169-175 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
22. Golubev, K., “PRIVATE AND PUBLIC PROPERTY IN CHRISTIAN SOCIETY” Proceedings of the 4th International Scientific Conference Papers “Challenges of Globalization in Economics and Business”, TSU, Tbilisi, 2019, pp. 68-72.
23. Haupt, R., “Business and Christian Faith: a Contradiction?” Proceedings of the 8th International Scientific Conference Papers, Batumi 5-6 September, 2015”, pp. 187-190. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
24. Haydanka, E. and Tokar, M., The Peace Treaty between Byzantine and the Kievan Rus in the light of the Development of Christianity and Sociopolitical Institutes on the Ancient Ukrainian Lands”, Proceedings of the 8th International Scientific Conference Papers, Batumi 5-6 September, 2016”, pp. 191-193. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf
25. Larionov, D., “The Main Tendencies in the Catholic Economic Thought” Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers, Kutaisi, 5-6 September, 2015”, pp. 215-217. https://unik.edu.ge/PagePDF/conf/konf16.pdf
26. Lukin, S., “Formation of The Orthodox Doctrine of Social Responsibility of Business”, Proceedings of the 9th International Scientific Conference Papers, Kutaisi, 5-6 September, 2015”, pp. 218-227. https://unik.edu.ge/PagePDF/conf/konf16.pdf
27. North, G., “An Economic Commentary on the Bible”, A multi-volume exposition, 2012, Third Edition, Point Five Press, https://www.garynorth.com
28. Petrauskiene, R., and Spukiene, R., “Situation of Small and Medium Business in Lithuania and Support for Religious Communities” Proceedings of the 8th International Scientific Conference Papers, Batumi 5-6 September, 2015”, pp. 195-202, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/105327/1/Qristianoba_Da_Ekonomika_2015.pdf

Gary North and his Book

“An Economic Commentary on the Bible”

Ineza Gagnidze
TSU, PhD, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Gary North grew up in southern California. He made it his life's work to synthesize Austrian Economics with theological conservatism. We think that getting acquainted with Gerry North's book “Economic Commentaries of the Bible” will become the basis for many more interesting studies for Georgian economists and interested readers.

Keywords: The Bible, Christian economics, economic commentaries.

გარემოსდაცვითი ეკონომიკა საქართველოს მდგრადი განვითარების და ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგში

ნესტან გაფრინდაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორი

გარემოსდაცვითი ეკონომიკის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მსოფლიოში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის პარალელურად. საქართველოში გარემოსდაცვითი ეკონომიკის მნიშვნელობა იზრდება იმ საერთაშორისო დღის წესრიგის შესაბამისად, რის ფარგლებშიც ქვეყანას აქვს მიზნები დასახული და შესაბამისად, მიიღწვის მდგრადი განვითარებისკენ. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვა სამი ძირითადი მიმართულებით: გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტებსა და სახელმწიფო პრიორიტეტებში; ეკონომიკური ინსტრუმენტების (დაფინანსების მექანიზმები, ბიზნეს-მოდელები) განვითარება მწვანე ეკონომიკის შესაბამისად; ცნობიერების ამაღლება (ტრენინგები, ინსტიტუციური გაძლიერება). ნაშრომში განხილულია გარემოსდაცვითი ეკონომიკის დღის წესრიგის საკითხები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე საქართველოსთვის. დამატებით თავში განხილულია მსოფლიოსა და საქართველოში პანდემიის შედეგად დამდგარი ძირითადი გარემოსდაცვითი გავლენები, რომლებმაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა მდგრადი განვითარების საკითხები. საბოლოოდ მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნება გარემოსდაცვითი ეკონომიკის მეცნიერული და პრაქტიკული განვითარებისთვის საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *გარემოსდაცვითი ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება*

გარემოსდაცვითი ეკონომიკის[1] მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მსოფლიოში მდგრადი განვითარების დღის წესრიგის პარალელურად. განვითარებული ქვეყნები სხვადასხვა ეკონომიკური ინსტრუმენტების საშუალებით ცდილობენ, შეადარონ პოლიტიკის ალტერნატივების ხარჯები და სარგებელი არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური განზომილების მიხედვით, არამედ გარემოსდაცვით ჭრილშიც. აქედან გამომდინარე, გარემოსდაცვითი ეკონომიკის მიზანია, დაეხმაროს ქვეყნებს, აირჩიონ ის მარეგულირებელი მიზნები და მიდგომები, რომლებიც მაქსიმალურად გაზრდის წმინდა სარგებელს საზოგადოებისთვის სამივე განზომილების გათვალისწინებით. სარგებელი განისაზღვრება „გადახდისათვის მზადყოფნის“ (WTP) და „მიღებისთვის მზადყოფნის“ (WTA) თვალსაზრისით, ანუ ყველა იმ პირის უპირატესობების გათვალისწინებით, რომლებზეც გავლენას ახდენს კონკრეტული პოლიტიკის გადაწყვეტილებები გარემოსდაცვით სფეროში.

საქართველოში გარემოსდაცვითი ეკონომიკის მნიშვნელობა იზრდება იმ საერთაშორისო დღის წესრიგის შესაბამისად, რის ფარგლებშიც ქვეყანას აქვს მიზნები დასახული და შესაბამი-

[1] მოკლე განმარტებით, გარემოსდაცვითი ეკონომიკა არის ეკონომიკის პრინციპების გამოყენება იმის შესასწავლად, თუ როგორ ხდება გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების განვითარება და მართვა. სხვადასხვა ეკონომიკური ინსტრუმენტები (მაგალითად, Cost-Benefit Analysis/CBA) იძლევა პოლიტიკის სხვადასხვა ალტერნატივის ხარჯებისა და სარგებლის შედარების საშუალებას. ბევრი ორგანიზაცია განვითარებულ ქვეყნებში ახორციელებს კვლევებს გარემოსდაცვითი შედეგების ეკონომიკური შედეგების გაზომვის გაუმჯობესებული მეთოდების შესამუშავებლად.

სად, მიიღწვის მდგრადი განვითარებისკენ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგი, სადაც საერთო ჯამში მნიშვნელოვანი ყურადღება არის გამახვილებული მწვანე ეკონომიკის[1] განვითარებაზე – ეს კი გულისხმობს „ბუნების კაპიტალის“ აღქმას, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური აქტივი და საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი, განსაკუთრებით ღარიბი ადამიანებისთვის, რომელთა საარსებო წყარო ხშირად ბუნებრივ რესურსებზე არის დამოკიდებული.

საერთო ჯამში, საერთაშორისო დღის წესრიგი გარემოსდაცვითი საკითხების სფეროში ითვალისწინებს აქტივობების განხორციელებას შემდეგი ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

1. გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტებსა და სახელმწიფო პრიორიტეტებში.
2. ეკონომიკური ინსტრუმენტების (დაფინანსების მექანიზმები, ბიზნეს-მოდელები) განვითარება მწვანე ეკონომიკის შესაბამისად.
3. ცნობიერების ამაღლება (ტრენინგები, ინსტიტუციური გაძლიერება).

მწვანე ეკონომიკის ცნება არ ანაცვლებს მდგრადი განვითარების ცნებას, არამედ ჰქმნის ახალ აქცენტებს ეკონომიკაზე, კაპიტალსა და ინფრასტრუქტურაზე და შესაბამისად, დადებით სოციალურ და ეკოლოგიურ შედეგებზე. იგი წარმოგვიდგენს მდგრადი ეკონომიკური ზრდის ისეთ მაკროეკონომიკურ მიდგომას, სადაც ცენტრალური აქცენტი კეთდება შესაბამის ინვესტიციებზე, დასაქმებასა და უნარებზე.

1. გარემოსდაცვითი ეკონომიკის დღის წესრიგი საქართველოსთვის

1.1. საერთაშორისო შეთანხმებები და ვალდებულებები

2014 წელს ხელი მოეწერა და 2016 წლის 1-ელი ივლისიდან ძალაში შევიდა ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის[2]. შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეეწყოს მხარეებს შორის ეკონომიკურ ინტეგრაციას და ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით დაბალანსებულ მდგრად განვითარებას. შეთანხმებაში ცალკე თავი (თავი 3. გარემო დაცვა) არის დათმობილი გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ და აღნიშნულია, რომ *„მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითიც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში“*. ამავე თავში მითითებულია ის სპეციფიკური საკითხები გარემო დაცვის სფეროში, რომლებზეც შეთანხმება განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს:

a. გარემოსდაცვითი მმართველობა და ჰორიზონტალური საკითხები (მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, განათლება და ცნობიერების ამაღლება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და სხვ.);

---

[1] მწვანე ეკონომიკა (green economy) განისაზღვრება, როგორც დაბალი ნახშირბადის შემცველი, რესურსულად ეფექტიანი და სოციალურად ინკლუზიური. მწვანე ეკონომიკაში დასაქმებისა და შემოსავლების ზრდას განაპირობებს სახელმწიფო და კერძო ინვესტიციები ისეთ ეკონომიკურ აქტივობებში, ინფრასტრუქტურასა და აქტივებში, რომლებიც საშუალებას იძლევა შემცირდეს ნახშირბადის ემისიები და დაბინძურების დონე, გაუმჯობესდეს ენერგეტიკული და რესურსული ეფექტიანობა ეკონომიკაში და თავიდან იყოს აცილებული ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის დანაკარგები („გაეთიანებული ერების ორგანიზაციის“ გარემოსდაცვითი პროგრამა, UNEP).
https://www.unep.org/regions/asia-and-pacific/regional-initiatives/supporting-resource-efficiency/green-economy

[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

b. ჰაერის ხარისხი;
c. წყლის ხარისხი და წყლის რესურსების მართვა, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვა, წყლის რესურსების სიმწირე და გვალვები, ასევე საზღვაო გარემო;
d. ნარჩენების მართვა;
e. ბუნების დაცვა, მათ შორის, სატყეო მეურნეობა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
f. ინდუსტრიული დაბინძურება და ინდუსტრიული საფრთხეები; და
g. ქიმიური ნივთიერებების მართვა;

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეთანხმება მიუთითებს, რომ თანამშრომლობა მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხების ინტეგრირებას არა მხოლოდ გარემოსდაცვით პოლიტიკაში, არამედ პოლიტიკის სხვა სფეროებშიც. შეთანხმება მიუთითებს კონკრეტულად „გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული გეგმის“ (NEAP) შემუშავების აუცილებლობასა და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსების განსაზღვრაზე. დამატებით შეთანხმების დანართებში წარმოდგენილია ათობით დირექტივა გარემო დაცვის სფეროში, რომელთა მიღებაც უნდა მოხდეს შესაბამის ვადებში. შეთანხმება ასევე ამახვილებს ყურადღებას სტატისტიკის და მათ შორის, გარემოს დაცვის სტატისტიკის მიმართულებით აქტივობების განხორციელებაზე.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარალელურად 2015 წელს საქართველო შეუერთდა გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს[1], რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა. ეროვნულ დონეზე მორგებული მდგრადი განვითარების მიზნები[2] ეხება მდგრადი განვითარების სამივე განზომილებას – ეკონომიკურს, სოციალურს და გარემოსდაცვითს. ამის შესაბამისად, საქართველომ დაისახა მიზანდ, უზრუნველყოს ეროვნული და სექტორული პოლიტიკის დაგეგმვა მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად. ზემოაღნიშნულ 17 მიზანს შორის უმრავლესობა უშუალოდ გარემოსდაცვითი სფეროს სხვადასხვა საკითხს ეხება, როგორც ეს არის წარმოდგენილი

[1] 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი (Agenda 2030) მიღებულია გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ 2015 წელს. ის მოიცავს 17 მდგრადი განვითარების მიზანს (SDGs), რომლებიც თანაბრად ეხება ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს.
https://sdgs.un.org/goals

[2] https://sdg.gov.ge/main

ცხრილი 1.

გარემოსდაცვითი მიზნები და ინდიკატორები
საქართველოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგში

საქართველოს მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030
მიზანი / ინდიკატორ(ებ)ი
მიზანი 6 - სუფთა წყალი და სანიტარია
6.1 2030 წლისთვის ყველა ადამიანისთვის უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სასმელ წყალზე საყოველთაო და თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა.
6.5 2030 წლისთვის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის დანერგვა ყველა დონეზე, მათ შორის, შესაძლებლობების ფარგლებში, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გზით.
მიზანი 7 - ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია
7.2 2030 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოში არსებულ სხვადასხვა ენერგიებს შორის განახლებადი ენერგიის წილი.
7.3 2030 წლისთვის საქართველოში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად გაზრდა.
მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების მდგრადი განვითარება
11.6 2030 წლისთვის დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, მათ შორის ჰაერის ხარისხისთვის და მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.
მიზანი 12 - გონივრული მოხმარება და წარმოება
12.8 2030 წლისთვის, საქართველოში მყოფი ადამიანებისთვის შესაბამისი ინფორმაციისა და ცოდნის უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების და ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრების წესის შესახებ.
მიზანი 13 - კლიმატის მდგრადობის მიღწევა
13.2 კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში.
მიზანი 14 - წყალქვეშა რესურსები
14.4 2020 წლისთვის თევზის რეწვის ეფექტურად რეგულირება და ჭარბი, უკანონო, აღურიცხავი და არარეგულირებული თევზჭერის და თევზჭერის მავნე პრაქტიკის აღმოფხვრა.
14.გ ოკეანეებისა და მათი რესურსების კონსერვაციისა და მდგრადი მოხმარების გაზრდა, საერთაშორისო სამართლის განხორციელებით.
მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები
15.1 2030 წლისთვის სახმელეთო და შიდა წყალსატევების ეკოსისტემების და მათი სერვისების კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა.
15.2 2030 წლისათვის ყველა სახის ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა.
15.3 ბრძოლა გაუდაბნოების წინააღმდეგ, დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა.
15.4 2030 წლისთვის მთის ეკოსისტემების, მათ შორის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის უზრუნველყოფა.
15.5 დაუყოვნებელი და მნიშვნელოვანი ზომების მიღება ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შესამცირებლად.

1.2. სტრატეგიული და პოლიტიკის მიმართულებები ეროვნულ დონეზე

ზემოაღნიშნული შეთანხმებებისა და ვალდებულებების ფარგლებში გასულ პერიოდში ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ეროვნულ პრიორიტეტებში ასახვისთვის განხორციელდა აქტივობები საკანონმდებლო და აღმასრულებელ დონეზე სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის, მოხდა ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო-დოკუმენტებისა და სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტების მიღება, როგორიც არის:

- საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა (2017[1])
- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (2017[2])
- საქართველოს ტყის კოდექსი (2020[3])
- გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონი (2021[4])
- მწვანე ბიუჯეტის პროექტის სარეკომენდაციო სახელმძღვანელო (2021[5])
- საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია (2021[6])
- საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი (NDC) (2021)[7]
- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამები (NEAP)[8]

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის საშუალოვადიანი დაგეგმარების ჩარჩო (ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი/BDD 2023-2026 წლებისთვის[9]) მიუთითებს გარემოს დაცვის კუთხით ისეთი აქტივობების მნიშვნელობაზე, როგორიც არის, მათ შორის, გარემოსდაცვითი სტანდარტების დაახლოება ევროპულ მოთხოვნებთან; ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება; ტყის მრავალმიზნობრივი სარგებლობის განვითარება; ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოება, ასევე ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა; ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა; გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, მათ შორის, სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში. BDD დოკუმენტში ასევე გაკეთებულია ჩანაწერი მწვანე ეკონომიკის განვითარების მნიშვნელობაზე, მწვანე ეკონომიკის ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ; მითითებულია, რომ დაგეგმილია *„მდგრადი დაფინანსების ქართული ტაქსონომიის შემუშავება, რომლის მიზანი იქნება, ნათლად განსაზღვროს, რომელი ბიზნესსაქმიანობა, პროგრამა თუ პროექტი შეიძლება იქნეს მიჩნეული რესურსეფექტიან, ენერგოეფექტურ, მწვანე ეკონომიკის, მდგრადი, ინკლუზიური განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებად“.* გარემოსდაცვითი მონაცემები და ინდიკატორები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს როგორც საშუალოვადიანი დაგეგმარების დოკუმენტის, ასევე ცალკეული მიმდინარე და კაპიტალური პროგრამების დონეზე, რომლებიც წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული აქტივობებისთვის. ამ მონაცემების გარეშე არსებული (საბაზისო) მდგომარეობის და შემდეგ მიღწეული შედეგების შე-

[1] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=0
[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981?publication=10
[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4874066?publication=2
[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5109151?publication=0
[5] https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/garemo/samush-jgufebi/mcvane-biuj/mcvane-biuj-proeqt.pdf
[6] https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/32027
[7] https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50125
[8] https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047
[9] https://mof.ge/5593

ფასება ვერ იქნება რეალისტური. ამ მონაცემების ასახვისთვის კი აუცილებელია მათი მოპოვებისა და მართვის სისტემის განვითარება შესაბამისი სტატისტიკური სამსახურების დონეზე.

გარემოსდაცვითი ეკონომიკის როგორც პრაქტიკული, ასევე მეცნიერული განვითარებისთვის საქართველოში უმნიშვნელოვანესია, პირველ რიგში, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოება, განსაკუთრებით პირველადი მონაცემების დონეზე. სწორედ შესაბამის მონაცემებს უნდა დაეყრდნოს მწვანე ეკონომიკის ზრდის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტებიც, რომელთა შემუშავებაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნის საშუალოვადიანი გეგმით უკვე არის გათვალისწინებული. დღესდღეობით მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება საქართველოსთვის გარემოსდაცვითი სტატისტიკის სფეროში. რიგი საკვანძო საკითხების შესახებ ოფიციალური მონაცემები ჯერ კიდევ არ იწარმოება[1]. ამ გამოწვევაზე საპასუხოდ აუცილებელია, პირველ რიგში, გარემოსდაცვითი სტატისტიკის მეთოდოლოგიის მიღება საუკეთესო პრაქტიკისა და ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით[2]. ოფიციალური უწყებების მიერ მოწოდებული გარემოსდაცვითი სტატისტიკური მონაცემების გარდა, აუცილებელია სტატისტიკის სამსახურის მიერ ჩატარდეს სტატისტიკური გამოკითხვებიც მოსახლეობის, საოჯახო მეურნეობების, საწარმოების დონეზე. გარკვეული საკითხების შესახებ ოფიციალური სტატისტიკის რეალობასთან შესაბამისობა (მაგალითად ტყის რესურსების მოხმარებისა და უკანონო ჭრების შესახებ) ხშირად ბევრ კითხვას აჩენს და სადავო ხდება. გარემოსდაცვითი სტატისტიკის განვითარება აუცილებელი და მნიშვნელოვანია სფეროს ანალიზის და მომდევნო განვითარებისთვის. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, დროით ჭრილში შეფასდეს გარემოს დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა სხვადასხვა მიმართულებით და ამავე დროს, გავიგოთ მოსახლეობის, საწარმოთა და სხვა ჯგუფების აღქმები, უპირატესობები მწვანე ეკონომიკის საკითხების მიმართ.

2. პანდემიის გარემოსდაცვითი გავლენები

როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც პანდემიის წლებმა მნიშვნელოვანი გავლენები გამოიწვია როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და გარემოსდაცვითი მიმართულებით. პანდემიის გარემოსდაცვიითი გავლენები იყო საკმაოდ მრავალმხრივი და არაერთგვარი (EEA, 2020)[3] და დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა მდგრადი განვითარება. გავლენები, ერთი მხრივ, დადებითი იყო, ვინაიდან ეკონომიკური აქტივობის შეზღუდვამ მნიშვნელოვანწილად იმოქმედა გარემოში ჰაერის ხარისხზე. თუმცა, მეორე მხრივ, მაგალითად, სამედიცინო პირბადეების მოხმარება და მათი გარემოში მოხვედრა რადიკალურად გაიზარდა და ეს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგია. გავლენების მდგრადობა და განგრძობადობა დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე (OECD, 2021), როგორიც არის ეკონომიკის სტრუქტურა (რამდენად ენერგო-ინტენსიურ სექტორებზე არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარება), ეკონომიკის აღდგენის სიჩქარე და თუნდაც ქვეყნის გეოგრაფიული და რეგიონული მდებარეობა.

---

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika

[2] „გაეროს“ გარემოსდაცვითი სტატისტიკა: https://unstats.un.org/unsd/envstats/qindicators.cshtml
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) გარემოსადაცვითი სტატისტიკა: https://www.oecd-ilibrary.org/environment/data/oecd-environment-statistics_env-data-en
"ევროსტატის" გარემოსდაცვითი სტატისტიკა: https://ec.europa.eu/eurostat/web/products-statistical-books/-/ks-32-10-283

[3] https://www.eea.europa.eu/highlights/impact-of-covid-19-lockdown

დიაგრამა 1.

პანდემიის გარემოსდაცვითი გავლენები



2020 წლის სექტემბრის კვლევა (Rume & Islamb, 2020) პანდემიის გარემოზე გავლენების შესახებ მიუთითებს, რომ წინა წელთან შედარებით, 2020 წელს მსოფლიოს ქვეყნებში ატმოსფეროს დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, ნიუ-იორკში ჰაერის დაბინძურების დონე თითქმის 50%-ით შემცირდა, ჩინეთში კი N2O[1]-ისა და CO[2]-ის რაოდენობა ასევე 50%-ით შემცირდა მძიმე მრეწველობის გაჩერების შედეგად. გარდა ამისა, NO2[3]-ის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა ე.წ. „ლოქდაუნების“ შედაგად მსოფლიოში. პანდემიის შეზღუდვებმა გავლენა იქონია, თავისთავად, ხმაურის შემცირებაზე. განსაკუთრებით დაეტყო ეს დიდ ქალაქებს. გაუმჯობესდა წყლის ხარისხი, ვინაიდან მძიმე მრეწველობის, ტრანსპორტის და კონკრეტული ბუნების დაცულ ადგილებში ნაკლები ტურისტული აქტივობის შედეგად წყლის ფერი, სისუფთავე და ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

მეორე მხრივ, პანდემიის შეზღუდვებს შესაძლოა უარყოფითი გავლენაც ჰქონოდა ველურ ბუნებაზე (Huizen, 2021) იქ, სადაც მაგალითად შემცირდა შესაბამისი დაცული ტერიტორიების შენარჩუნების და კანონის აღსრულების სამუშაოები. ასევე ეკოტურიზმის შემცირება ბევრი ორგანიზაციისთვის გამოწვევა გახდა, ვინაიდან მათ ცხოველებზე ზრუნვა და კვება ხშირად სწორედ ვიზიტორი ადამიანების მიერ ხდება. გარემოზე უარყოფითი გავლენების მაგალითი, რაც პანდემიამ მოიტანა, ასევე უკავშირდება ზოგადად გაზრდილ სამედიცინო ნარჩენებს. მათ შორის, აღსა-

[1] აზოტის ოქსიდი, ჰაერის ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელი.
[2] ნახშირბადის მონოქსიდი, ჰაერის ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელი.
[3] აზოტის დიოქსიდი, ჰაერის ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელი.

ნიშნავია უშუალოდ სამედიცინო პირბადეების, ხელთათმანების, ანტისეპტიკური საშუალებებისა და სხვა უსაფრთხოების ნივთების მოხმარების ზრდა, რომლებიც, თავის მხრივ, გარემოში მიკროპლასტიკური ბოჭკოების წყაროს წარმოადგენს. ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოებში ვირუსის გავრცელების საფრთხის გამო ზოგიერთ ქვეყანაში ნარჩენების გადამუშავების აქტივობაც შენელდა, რაც ასევე უარყოფითი შედეგია გარემოსთვის.

საქართველოში გარემოს დაცვის და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლის შესახებ სტატისტიკა პანდემიის გავლენის შესაფასებლად შეგვიძლია წარმოვადგინოთ ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე. მაგალითად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე[1] ხელმისაწვდომია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ავტომატური სადგურების მონაცემები საქართველოს იმ ქალაქებში, სადაც განთავსებულია აღნიშნული ავტომატური სადგურები: თბილისი, რუსთავი, ბათუმი და ქუთაისი. სადგურები ამოწმებს ექვსი ძირითადი დამაბინძურებლის კონცენტრაციას ჰაერში (NO2, SO2[2], PM2.5, PM10[3], O3[4], CO). აღნიშნული ანგარიშები წარმოდგენილია ყოველდღიური მონაცემების ჭრილში 2020 წლის 16 ივლისამდე[5] და წინა პერიოდში. შესაბამისად, თუ შევადარებთ აღნიშნული დღის მონაცემებს 2019 წლის იმავე პერიოდს[6], თბილისსა და ბათუმში NO2-ის საშუალოწლიური კონცენტრაციები 37%-ით შემცირდა, PM10-ის საშუალოწლიური კონცენტრაციები თბილისში და ქუთაისში შემცირდა 6%-ით და 31%-ით შესაბამისად, ბათუმში ეს მაჩვენებელი იგივე დარჩა, ხოლო PM2.5-ის საშუალოწლიური კონცენტრაციები ქუთაისში 11%-ით შემცირდა, თუმცა თბილისსა და ბათუმში 2%-ით და 6%-ით გაიზარდა, შესაბამისად. დამატებით, პანდემიის გავლენებზე გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებით მიუთითებს რიგი ანგარიშები. მაგალითად, ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის შესრულების საბოლოო ანგარიშის[7] მიხედვით, covid 19-ის პანდემიისგან გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, გარემოს დაცვის მიმართულებით საჭირო გარკვეული პროექტების განხორციელებისთვის საკმარისი რესურსის მობილიზება ვერ მოხერხდა, ან შეიზღუდა მათი განხორციელება და გაჭიანურდა. ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის (2020-2022) 2021 წლის იანვარი-ივნისის პროგრეს-ანგარიშში[8] ასევე აღნიშნულია, რომ დაგეგმილი მწვანე ინფრასტრუქტურული სამუშაოების შეფერხება მოხდა პანდემიის გამო.

3. დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომში განხილულია გარემოსდაცვითი ეკონომიკის მნიშვნელობა საქართველოსთვის მდგრადი განვითარებისა და ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში. საქართველო იწყებს მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვას პოლიტიკის დონეზე, თუმცა, თანაბრად მნიშვნელოვანია ამ პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება. პროცესის გაუმჯობესებისთვის რეკომენდებულია:

---

1 https://mepa.gov.ge/Ge/TheQualityofAirPollution?page=1&pageSize=1

2 გოგირდის დიოქსიდი. ჰაერის ერთ-ერთი მთავარი დამაბინძურებელი.

3 PM10 და PM2.5 არიან მტვრის მყარი ნაწილაკები და ჰაერის დამაბინძურებლები.

4 ოზონი / ოზონის დამაბინძურებელი.

5 https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/37524

6 https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/19716

7 https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/47465

8 https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/50586

- საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ზრდა ზოგადად გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ;
- გარემოსდაცვითი სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული გაუმჯობესება;
- გარემოსდაცვითი ინდიკატორების ასახვა სტრატეგიისა და პოლიტიკის გეგმებში;
- მწვანე ბიუჯეტირების პრინციპების პრაქტიკაში განხორციელება;
- დისტრიბუციული (გადანაწილებითი) გავლენების შეფასება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის (ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები, საზოაგდოების მოწყვლადი ჯგუფები და ა.შ.) და ეკონომიკური სუბიექტების (დიდი, საშუალო, მცირე ბიზნესები, სექტორული საწარმოები და ა.შ.) მიხედვით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით.

აღნიშნული ქმედებების განხორციელება მიზანშეწონილია საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და მასშტაბიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს ყველა სექტორში, მით უმეტეს, როდესაც ეს გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ადამიანის ქცევებზე, განწყობებსა და გრძელვადიან კეთილდღეობაზე.

ლიტერატურა:

1. EEA. (2020, November 5). *COVID-19 measures have mixed impacts on the environment*. Retrieved December 27, 2021, from https://www.eea.europa.eu/highlights/impact-of-covid-19-lockdown
2. Huizen, J. (2021, April 22). How COVID-19 has changed the face of the natural world. *Medicalnewstoday*. Retrieved December 27, 2021, from https://www.medicalnewstoday.com/articles/how-covid-19-has-changed-the-face-of-the-natural-world
3. IFC, MIGA, WB. (2010). *Regulatory Governance in Developing Countries.* International Finance Corporation, Multilateral Investment Guarantee Agency, World Bank. Retrieved December 27, 2021, from https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/27881
4. OECD. (2021, May 31). *The long-term environmental implications of COVID-19*. Retrieved December 27, 2021, from https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/the-long-term-environmental-implications-of-covid-19-4b7a9937/
5. Ortiz-Ospina, E., & Roser, M. (2016). Government Spending. *Our World in Data*. Retrieved December 27, 2021, from https://ourworldindata.org/government-spending#endnotes
6. Renda, A. (2011). *Law and Economics in the RIA World.* Erasmus University Rotterdam , Intersentia, Mortsel (Belgie). Retrieved December 27, 2021, from hdl.handle.net/1765/22920
7. Rume, T., & Islamb, S. D.-U. (2020, September 17). Environmental effects of COVID-19 pandemic and potential strategies of sustainability. *US National Library of Medicine / National Institutes of Health*. Retrieved December 27, 2021, from https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7498239/
8. Weigel, W. (2000). *Why "Regulatory Impact Analysis" and not "Economic Analysis of Law"? Reflections on recent OECD Policy.* University of Vienna, Department of Economics. Retrieved December 27, 2021, from https://homepage.univie.ac.at/wolfgang.weigel/Lehre/Downloads/EAL_versus_RIA.pdf

https://ec.europa.eu/eurostat
https://www.geostat.ge/ka
https://www.matsne.gov.ge/
https://mepa.gov.ge/
https://www.mof.ge/
https://www.oecd-ilibrary.org/

https://parliament.ge/
https://sdg.gov.ge/main
https://sdgs.un.org/goals
https://www.unep.org/
https://unstats.un.org/unsd/envstats/index.cshtml

Environmental Economics in the Agenda of Georgia's Sustainable Development and Association Agreement with the European Union

Nestani Gaprindashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

The importance of environmental economics has grown especially in parallel with the world's sustainable development agenda. The importance of environmental economics in Georgia is increasing in accordance with the international agenda, within which the country has set goals and, accordingly, aims to strive for sustainable development. International experience shows that it is important to introduce green economy principles in three main directions: integration of environmental issues into policy documents and state priorities; development of economic instruments (financing mechanisms, business models) in accordance with the green economy; awareness raising (trainings, institutional strengthening). The article discusses the agenda issues of environmental economy at the international and national level for Georgia. In a separate chapter, the main environmental impacts of the pandemic in the world and in Georgia are discussed, which have put the issues of sustainable development in front of significant challenges. Finally, recommendations are given, the consideration of which will be important for the scientific and practical development of the environmental economics in Georgia.

„მწვანე“ განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში

მადონა გელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, სსუ-ის ასოცირებული პროფესორი

მდგრადი განვითარება მოიცავს სამ კომპონენტს შორის ყოვლისმომცველ კავშირს: ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი. ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, მიზნად ისახავს უფრო ჰარმონიული შეთანხმების მიღწევას ამ კომპონენტებს შორის, რაც მისაღები იქნებოდა ქვეყნების ყველა ჯგუფისთვის – განვითარებული, განვითარებადი და დაბალი განვითარების მქონე ქვეყნებისთვის.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია სულ უფრო მეტ გამოხმაურებას იძენს საზოგადოების მხრიდან. მას აქტიურად განიხილავენ ექსპერტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები.

„მწვანე“ ეკონომიკის კონცეფცია მჭიდროდ უკავშირდება მდგრად განვითარებას. გლობალური გამოწვევების ფონზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება და მიმდინარე გლობალური ეკონომიკური კრიზისი, გამოიკვეთა ეკონომიკური განვითარების ისეთი ახლებურად აღქმის საჭიროება, რაც ყველასათვის სარგებლის მომტანი იქნება. ამ თვალსაზრისით მდგრადი განვითარება, ანუ დაბალანსებული პროგრესის მიღწევა ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებში თანადროულად, – სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ეკონომიკური ზრდის ახალმა შესაძლებლობებმა, რომელიც ამ ახალმა გარემოებებმა შექმნა, საფუძველი დაუდო მწვანე ეკონომიკის კონცეფციას. ეს კონცეფცია გულისხმობს ისეთ მომგებიან სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც იმავდროულად ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევას.

საკვანძო სიტყვები: *მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება, ბუნებრივი გარემო, გლობალური გამოწვევები, ეკოლოგიური უსაფრთხოება.*

მწვანე ეკონომიკა არის მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელიც ჩამოყალიბდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში და რომლის ფარგლებშიც მიჩნეულია, რომ ეკონომიკა არის ბუნებრივ გარემოზე დამოკიდებული კომპონენტი, რომელშიც ის არსებობს და არის მისი შემადგენელი. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია მოიცავს ეკონომიკურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში არსებული სხვადასხვა მიმართულების იდეებს, როგორიცაა ფემინისტური ეკონომიკა, პოსტმოდერნიზმი, ეკოლოგიური ეკონომიკა, გარემოს ეკონომიკა, ანტიგლობალიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია და ა.შ.

მწვანე ეკონომიკის თეორია ემყარება სამ ძირითად აქსიომას:

- შეუძლებელია გავლენის სფეროს უსასრულოდ გაფართოება შეზღუდულ სივრცეში;
- შეუძლებელია უსაზღვროდ მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეზღუდული რესურსების პირობებში;
- ყველაფერი დედამიწის ზედაპირზე ურთიერთკავშია.

აღნიშნული კონცეფციის განსაზღვრა და გაგება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება. მიუხედავად მრავალი განსაზღვრებისა, მწვანე ეკონომიკის ზოგადი განმარტება გულისხმობს, რომ ეკონომიკის გამწვანება შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის მექანიზმი.

„მწვანე ეკონომიკასთან“ დაკავშირებული ტერმინები და განსაზღვრებები არის სულ მცირე ორი სახის: ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავენ პროცესს („ეკონომიკის გამწვანება“, „მწვანე

ზრდა“) და ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია შედეგთან („მწვანე ეკონომიკა“). გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა მწვანე ეკონომიკას ფართო ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვის დღის წესრიგში შემდეგნაირად განსაზღვრავს: „მწვანე ეკონომიკის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ დეფიციტს“.

მწვანე განვითარების ძირითადი პრინციპები, ინსტრუმენტები და მექანიზმები

„მწვანე ეკონომიკის“ კონცეფცია, შექმნილია სწორედ იმისთვის, რომ უზრუნველყოს ჰარმონიზაცია სამ კომპონენტს შორის – სოციალური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური. და ეს მისაღებია ყველა ჯგუფის ქვეყნებისათვის – განვითარებული, განვითარებადი და დაბალ განვითარებული ქვეყნები. „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ არსებული ეკონომიკური სისტემა, ე.წ. „ყავისფერი ეკონომიკა“ არასრულყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული შედეგი გამოიღო ზოგადად ადამიანების და განსაკუთრებით მისი ცალკეული ჯგუფების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, ამ სისტემის ფუნქციონირების უარყოფითი შედეგები სახეზეა: ეს არის ეკოლოგიური პრობლემები (კლიმატის ცვლილება, გაუდაბნოება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა); ბუნებრივი კაპიტალის ამოწურვა; სიღარიბე; მტკნარი წყლის, საკვების, ენერგიის დეფიციტი; ხალხისა და ქვეყნების უთანასწორობა. ეს ყველაფერი საფრთხეს უქმნის დღევანდელ და მომავალ თაობებს.

გარემოზე ზემოქმედება მხოლოდ ათწლეულების შემდეგ იქნა გათვალისწინებული. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომისტებმა დაიწყეს მასზე საუბარი, როგორც მთავარ აქტივზე, რომელიც წარმოშობს სიმდიდრეს, მაგრამ მშპ-ში გათვალისწინებულია როგორც უცვლელი რეალობა. შემდეგ გაჩნდა ტერმინი „ბუნებრივი კაპიტალი“ – კაპიტალი, რომელიც ფაქტობრივად არ ექვემდებარება ამორტიზაციას. მხოლოდ 1970-იან წლებში გაკეთდა პირველი მცდელობები ბუნებაზე მიყენებული ზიანის შესაფასებლად, რის შემდეგაც ბუნებას მიყენებული კატასტროფული ზიანი სრულად ხელშესახები გახდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროგნოზები აჩვენებს, რომ წარმოებისა და მოხმარების ამჟამინდელი მეთოდებით, 2050 წლისთვის 21-ე საუკუნის დასაწყისთან შედარებით, მსოფლიო დაკარგავს ფლორა და ფაუნის ორ მესამედს (61-დან 72%-მდე), ხოლო ბუნებრივი ტერიტორიების 7,5 მილიონი კვ. კმ.შეუქცევადად დაზიანდება.

კაცობრიობის გადარჩენა და განვითარება მოითხოვს გადასვლას „მწვანე ეკონომიკაზე“ – ეს არის ეკონომიკური საქმიანობის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან, რაც იწვევს ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას გრძელვადიან პერსპექტივაში და არ დააყენებს მომავალ თაობებს მნიშვნელოვანი ეკოლოგიური კატასტროფებისა ეკოლოგიური დეფიციტის წინაშე. თუ ჩვენი ცხოვრების წესს საფრთხე ემუქრება, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ადაპტაციით. მეცნიერები თანხმდებიან, რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ საბრძოლველად, გვჭირდება ენერგეტიკული რევოლუცია, სრულფასოვანი ცვლილებები. ეკონომისტები ასევე თანხმდებიან, რომ ამჟამად ენერგიის ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგიის წარმოება. სწორედ ამ ინდუსტრიაში უკვე იქმნება მომავლის სამუშაო ადგილები, სადაც ხდება ტექნოლოგიური ინოვაციების შექმნა, რომელიც გამოიწვევს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ახალ ეპოქას.

ბიზნეს გარემოში მწვანე ეკონომიკის კონცეფცია ყურადღების ცენტრშია. ფინანსური ფონდები, ვენჩურული კაპიტალისტები, მოწინავე მთავრობები, ბიზნესმენები და მომხმარებლები უკ-

ვე აშენებენ მწვანე ეკონომიკას. ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და ბუნებრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები იძლევა ადეკვატურ შემოსავალს.

ყურადღების ღირსია თუ რა ინტესივობით ახდენს დანია ინვესტირებას მწვანე ზრდაში. 1980 წლიდან მშპ გაიზარდა 78%-ით ენერგიის მოხმარების მხოლოდ მინიმალური ზრდით. პოლონეთმა თავისი ეკონომიკური ბუმის პერიოდში, მოახერხა მავნე ნარჩენების მესამედით შემცირება ბოლო 20 წლის განმავლობაში. დღეს, მწვანე ტექნოლოგიების სექტორის ევროპული კომპანიები სარგებლობენ მნიშვნელოვანი პიონერული უპირატესობებით: ისინი შეადგენენ მსოფლიოს მზარდი მწვანე ტექნოლოგიების ბაზრის მესამედს.

მწვანე ეკონომიკის სტიმულირების გზაზე ლიდერია სამხრეთ კორეა, რომელმაც მწვანე ზრდა ეროვნულ სტრატეგიად აღიარა. OECD-ის მონაცემებით, სამხრეთ კორეის ინვესტიციებმა აღნიშნულ სფეროში 9,3 მილიარდი ევრო შეადგინა. ისინი წავიდნენ ტრანსპორტის „მწვანე“ გზების, მტკნარი წყლის ალტერნატიული წყაროების, ნარჩენების დამუშავების ტექნოლოგიების შემუშავების გზით. კორეის რესპუბლიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც გამოაცხადა „მწვანე“ ზრდის კონცეფციის, როგორც ეროვნული სტრატეგიის განხორციელება. ეს სტრატეგია ფოკუსირებულია სამ ელემენტზე: მრეწველობა, ენერგია და ინვესტიცია. სტრატეგია მიზნად ისახავს პროდუქტიული ეკონომიკური აქტივობის მასშტაბის შენარჩუნებას ენერგიისა და სხვა რესურსების გამოყენების მინიმიზაციით; გარემოზე ზეწოლის მინიმუმამდე შემცირება ყველა ენერგიისა და რესურსის გამოყენებისას და ზომების მიღება, რათა ინვესტიციები გარემოს დაცვისა და ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელად იქცეს.

შვედეთი 20-30-იანი წლებისთვის ნავთობის, ქვანახშირისა და გაზის ეტაპობრივად შეწყვეტას და განახლებად ენერგიაზე გადასვლას გეგმავს. ბრაზილია გეგმავს ტრანსპორტის 80% გადაიყვანოს შაქრის ლერწმიდან ბიოსაწვავზე. ტაივანი აქტიურად ნერგავს მზის პანელებს. ქვეყნები იბრძვიან ნათელი მომავლისთვის, იყენებენ რა ყველა შესაძლებლობას და მხარს უჭერენ მათ, ვინც წარმატებულ მცდელობებს ახორციელებენ ეკონომიკის გამწვანებისკენ. მაგალითად, Newton-ის ელექტრო სატვირთო მანქანები, რომლებიც აშშ-ის არმიას ემსახურება, წარმოადგენს Smith Electric-ის ადაბტირებულ ელექტროსატვირთო მანქანებს, რომლებიც თავდაპირველად იწარმოებოდა შიდასაქალაქთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვებისათვის და მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას ამ საქმეში მიიღო რა 32 მილიონი დოლარის გრანტი მთავრობისგან. მნიშველოვანი დახმარება განახოროციელეს საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკურმა და სოციალურმა კომისიამ (ESCAP), რომლის წევრები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და თურქმენეთი, დიდი როლი ითამაშა. „მწვანე ეკონომიკის“ კონცეფციის პოპულარიზაციაში. ESCAP-ის ინიციატივით 2005 წელს მიღებულ იქნა მწვანე ზრდის სტრატეგია, რომელიც თავდაპირველად მოიცავდა ოთხ პრიორიტეტულ სფეროს:

- მოხმარებისა და წარმოების რაციონალური მოდელები;
- საწარმოებისა და ბაზრების „გამწვანება“;
- მდგრადი ინფრასტრუქტურა და „მწვანე“ საგადასახადო და საბიუჯეტო რეფორმები.

შემდგომში დაემატა კიდევ ორი მიმართულება :

- ინვესტიცია ბუნებრივ კაპიტალში;
- ეკოლოგიური ეფექტიანობის მაჩვენებლები.

„მწვანე ეკონომიკაზე“ გადასვლისთვის შემოთავაზებულია ინსტრუმენტების ფართო სპექტრი:

- ✓ მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისი ფასები, მათ შორის არაეფექტური სუბსიდიების აღმოფხვრა, ბუნებრივი რესურსების შეფასება ფულადი თვალსაზრისით და გადასახადების დაწესება იმ ნივთებზე, რომლებიც აზიანებენ გარემოს;
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას და მდგრადი წარმოების მეთოდების გამოყენებას;
- ✓ „გარემოსდაცვითი“ დაბეგვრის სისტემების რეფორმირება, რაც გულისხმობს აქცენტის გადატანას შრომის გადასახადიდან დაბინძურების გადასახადებზე;
- ✓ გაზრდილი სახელმწიფო ინვესტიციები მდგრად ინფრასტრუქტურაში (მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, განახლებადი ენერგია, ენერგოეფექტური შენობები) და ბუნებრივი კაპიტალი აღდგენის, შენარჩუნებისა და სადაც შესაძლებელია, ბუნებრივი კაპიტალის გაზრდის მიზნით;
- ✓ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნასთან დაკავშირებული კვლევებისა და განვითარების მიზნობრივი სახელმწიფო მხარდაჭერა;
- ✓ სოციალური სტრატეგიები, რომლებიც შექმნილია სოციალურ მიზნებსა და არსებულ ან შემოთავაზებულ ეკონომიკურ სტრატეგიებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კრიზისების თავიდან აცილება, გარემოს დაცვა და ადამიანთა ცხოვრების დონის გაუმჯობესება შეიძლება მიღწეული იქნას ეკონომიკის გამწვანებისა და სხვადასხვა სფეროსთან აქტიური დაკავშირებით. მაგალითად, კინოში კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებამ გააუქმა მანქანების განადგურება და ტონობით საწვავის აფეთქება გადაღების დროს, ვინაიდან დღეს ამ ყველაფრის ვირტუალური მოდულაციაა შესაძლებელი. ენერგოეფექტური შენობების „მწვანე“ მშენებლობა პოპულარობას იძენს. 200 000 ბინის „მწვანე“ მოდერნიზაციამ შექმნა 25 000 ახალი სამუშაო ადგილი და შეინარჩუნა 116 000 ძველი. მწვანე სამუშაო ადგილები სულ უფრო სწრაფი ტემპით იქმნება. საერთო ჯამში, მსოფლიოში ახლა 2,3 მილიონი ასეთი სამუშაო ადგილია. კერძოდ, ქარის ენერგია უზრუნველყოფს დაახლოებით 300 ათასი ადამიანის დასაქმებას, მზის ენერგია – 600 ათასის, ბიოსაწვავის წარმოების ინდუსტრია – 1 მილიონ 250 ათასზე მეტის. მთლიანობაში, დაახლოებით 8 მილიონი ადამიანია დასაქმებული. ეკონომიკის სექტორი დაახლოებით მსოფლიოში წარმოებული ფოლადის 40% და ალუმინის 25% აწარმოებს ნარჩენების გადამუშავებით, რაც შესაძლებელს ხდის დასაქმდეს დაახლოებით 250 000 ადამიანი.

მწვანე ეკონომიკის კიდევ ერთი მიმართულებაა ნაგვის კონტროლი, რომელიც ასევე სახელმწიფო დონის ამოცანაა. რამდენიმე წლის წინ ჩინეთის ყველაზე დიდი პოლიეთინელის ჩანთების ქარხანა დაიხურა. მასში ოცი ათასი ადამიანი იყო დასაქმებული. ჩინელები ყოველდღიურად სამ მილიარდამდე პოლიეთინელის ჩანთას იყენებდნენ. ამიტომ მთავრობა იძულებული გახდა დაეხურა ქარხანა ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ჟოუ შენგსიანმა თქვა: „ეკონომიკური განვითარების მიზნების განხორციელებასთან ერთად, ჩინეთი ყველაზე მეტად ზრუნავს თავისი 1,3 მილიარდი ადამიანისთვის სუფთა სასმელი წყლით მიწოდებაზე, სუფთა ჰაერით, უსაფრთხო საკვებითა და ბუნებრივი სილამაზით უზრუნველყოფაზენ. ევროკავშირმა აკრძალა არარეციკლირებადი პლასტიკური პარკების წარმოება და ბიოჩანთებით ჩაანაცვლა ის. ერთხელ ლონდონში მყოფ ტურისტს სურდა საუზმეზე რამდენიმე იოგურტი ეყიდა და ამანათი სთხოვა. ამ დროს რიგში სიჩუმე სუფევდა და გამყიდველმა, რომელმაც თვალებით გაზომა, პაკეტი გაყიდა. ხალხი იქ თითქმის გამონაკლისის გარეშე მიდის თავისი ეკო-ჩანთებით. სხვათა შორის, იმისათვის, რომ შეუერთდეთ ამ გლობალურ მწვანე ეკონომიკის სქემას, არ გვჭირდება ჩვენი ცხოვრების რადიკალურად შეცვლა. უბრალოდ შესაძლებელია პირველი ნაბიჯები გადავდგათ თუნდაც ენერგო დამზოგავი ნათურების შეძენით და უმარტივესად – პოლიეთილენის პარკებზე უარის თქმით. ჩვენი პლანეტა ერთია და მისი თითოეული მოსახლის ამოცანაა დაიცვას იგი, როგორც უნიკალური და საერთო პლანეტა.

მწვანე ეკონომიკის ძირითადი ტენდეციები საქართველოში

საქართველოს განვითარების წინაშე არსებული გამოწვევებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სწორედ ინკლუზიური და მწვანე ზრდის პოტენციალის ამოქმედება ქვეყანაში, რომელიც უხვადაა დაჯილდოვებული კულტურული, ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით, და რომელიც, ინოვაციებით გაძლიერების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს მწვანე ეკონომიკის რეგიონალური ცენტრი. მწვანე ზრდა საქართველოსთვის ნიშნავს მისი მდიდარი ბუნებრივი, კულტურული და ადამიანური კაპიტალის გახსნას ახალი ბიზნეს-შესაძლებლობებისთვის, რომლებიც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და იმავდროულად უზრუნველყოფს, რომ ეს აქტივები არ შეწყვეტენ იმ რესურსებისა და მომსახურების მოწოდებას, რასაც ემყარება ჩვენი კეთილდღეობა.

მწვანე ზრდის ინიციატივა წარმოადგენს შემდგომ ნაბიჯს მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ეკონომიკურ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, ასევე გლობალური საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას. მისი განხორციელება მოხდება არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებს კერძო სექტორზე ორიენტირებულ პოლიტიკას, არა-პროტექციონისტული საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკასა და არა-დისკრიმინაციულ მიდგომას. მწვანე ზრდის განხორციელება უნდა მოხდეს არსებული სახლემწიფო პროგრამებსა და პოლიტიკის ჩარჩოებში. მწვანე ეკონომიკა მიჩნეულია ეკონომიკური თეორიის იმ კომპონენტად, სადაც იგი ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკა სახელმწიფო და კერძო სექტორს ერთმანეთისაგან არ მიჯნავს. იგი ცდილობს მოძებნოს ეკონომიკური გადაწყვეტილების პოზიტიური ალტერნატივა. საქართველოს მთვარობის როლი ამ პროცესში არის არა მარტო როგორც მარეგულირებელი ან დონორი, არამედ როგორც ამ პროცესების ლიდერი.

საქართველოს 2020 წლის სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიში ავტორები მნიშვნელოვან ცვლილებებს გეგმავდნენ, აქედან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ „ინოვაციისა და ტექნოლოგიური დონის განვითარების პოლიტიკას – მწვანე ეკონომიკას“ ეხებოდა. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ უნდა წაახალისოს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა, განსაკუთრებით, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარება იქნება. ეს საკითხები აქტუალური იყო ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს, როცა 2010 წელს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განხორციელებული რეფორმის შედეგად შეიქმნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ხოლო 2010 წლის ოქტომბერში ამავე სამინისტროში შეიქმნა მდგრადი განვითარების დეპარტამენტი. მოცემული დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები იყო: 1. მდგრადი განვითარების სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ღონისძიებების ხელმძღვანელობაჰ და ხელშეწყობა; 2. კერძო სექტორის ინფორმირებულობის დონის ამაღლება მწვანე ბიზნეს-შესაძლებლობებთან დაკავშირებით; 3. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორთა ქსელის შექმნა სახელმწიფო სააგენტოებს, ბიზნეს-ასოციაციებს, სამინისტოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და სხვა ერთეულებს შორის.

საქართველო ამჟამად რამდენიმე მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულების და მათი ოქმების მონაწილეა, მათ შორისაა: გაერთიანებული ერების ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC), გაერთიანებული ერების 13 ორგანიზაციის კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD) და ბიომრავალფეროვნების დაცვის კონვენცია. ამ შეთანხმებების ზოგიერთი დებულება აისახა ერვონულ კანონმდებლობაშიც.

„მწვანე დღის წესრიგთან“ დაკავშირებით უცხოელ დონორებთან თანამშრომლობის დიდი ნაწილი დახმარების ხასიათს ატარებს. ამ დახმარების სტრუქტურა მოტივირებულია როგორც დონორის ისე ბენეფიციარის დღის წესრიგით, ასეთ შემთხვევაში გარემოს დაცვა არ წარმოადგენს პრიორიტეტს. და მაინც, განხორციელდა ძალიან ბევრი გარემოსდაცვითი პროექტი, ზოგიერთი მათგანი მიმდინარეა და ზოგიერთიც დაგეგმილი.

დასკვნა

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინტერესი საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების მიმართ შესამჩნევად პოზიტიური ზეგავლენის მქონეა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სექტორის მიმართ დაბალი ინტერესის პირობებში, ეს გავლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა. 90-იან წლებში, უცხოური დახმარების საშუალებით გარემოსდაცვითი ინსტიტუტების ფორმაში მოყვანა გახდა შესაძლებელი (როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში), ასევე მოხდა მათი დღის წესრიგის ჩამოყალიბება სხვადასხვა სწავლებების და ცოდნის ამაღლების ინიციატივებით. მოგვიანებით, ყურადღება დაეთმო საპილოტე პროექტებს, რომლებიც წარმოადგენდნენ შესაძლებლობებს და ადგილობრივი ინსტიტუტებისთვის იქმნებოდა სავარაუდო მოქმედების მონახაზებიც იქმნებოდა.

ლიტერატურა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა. განვითარებული ქვეყნების მაგალითები(2010). http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf
2. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://greeneconomics.org.uk
3. საერთააშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ. http://www.inderscience.com/ijge
4. მწვანე ეკონომისტი. ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.greeneconomist.org/
5. Gelashvili M., “State Regulation of Investment Activities in Georgia.” Nova Science Publishers. Georgian International Journal of Science and Technology. ISSN: 1939-5825 https://www.novapublishers.com/catalog/index.php?cPath=125; USA 2013; v. 5-9.
6. Gelashvili M., „Human resources and its Development Tendencies in Georgia“. „Ekonomisti” №1, 2018; p.55.
7. Gelashvili M., D. Burlachenko, „The strategy of growth of green economy in Georgia“. World Economy and International Economic relations International Scientific; Collection; Volume 4, CUL – 2021. p.11.

"Green" Development in the Context of Sustainable Development

Madona Gelashvili
Academic Doctor of Economy, Associated ProfessorSokhumi State University

SUMMARY

The sustainable development means such kind of form of economic growth, which provides the well-being of the society with short, medium and, which is most important long term time. It is based on the principle according to which the demands of today should be satisfied so that it shouldn't make any danger for the future generations. The sustainable development means creation of the terms for the long-term economic development taking into account maximal issued of the environmental protection. With sustainable development is in tight connection the conception of "Green Economy", which was implemented in the frame of the plan of strategic development of the country. The conception of "Green" economy – is new vector of sustainable development. In particular "Green" is economy which not only will rise the well-being of humans and approves the social justice, but also decreases the human risks and deficit of ecological resources. Georgia recognizes the environmental protection, as integral part of human rights. Exactly for this issue the government of Georgia set up as most important priority environmental protection and issues of the management of natural resources. Use of biological resources with such way and speed which will not cause decrease of the biological diversity and will maintain taking into account needs of the future generations.

ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღურების მაჩვენებელთა სექტორული სტატისტიკური ანალიზი

სიმონ გელაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თეონა ხაბეიშვილი
დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს ბიზნეს სექტორში შრომის ანაზღაურების შედარებითი სტატისტიკური ანალიზი (მათ შორის Covid-19 პანდემიის პერიოდისათვის) და გაანგარიშებულია მრავალი ადეკვატური მაჩვენებელი. სტატიის მიზანია სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით შეფასდეს პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის მიმართ საშუალო ხელფასის ელასტიურობა და გაანალიზდეს მისი გავლენა საშუალო ხელფასის სიდიდის ცვლილების ტენდენციებზე.

სტატიაში გაანალიზებულია საშუალო ხელფასის ცვლილების ტენდენციები 2010-2021 წლების მონაცემებზე დაყრდნობით; შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეფასებულია პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში ბიზნეს სექტორებში გამოვლენილი თავისებურებები, რყევები და შეცვლილი ტენდენციები.

სტატიაში ფართოდაა გამოყენებული არაერთი სტატისტიკური მეთოდი, როგორიცაა: შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის მაჩვენებლები, ასევე დროითი მწკრივები და მონაცემთა პრეზენტირების მეთოდები.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეფასებულია Covid-19 პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში ბიზნესის ცალკეულ სექტორში შრომის საშუალო ანაზღაურების მიმართულებით გამოვლენილი თავისებურებები, რყევები და შეცვლილი ტენდენციები; დადგენილია ის სექტორები, სადაც მაღალი და დაბალი შრომის ანაზღაურების მაჩვენებლებია და ასევე მათ შორის უთანაბრობის ზომა.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნეს სექტორი, შრომის ანაზღაურება, სტატისტიკური ანალიზი, Covid-19 პანდემია, ვარიაციის დიაპაზონი.*

ბიზნესის სფერო წამყვანია სამუშაო ძალის პოტენციალის გამოყენების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ამ სფეროში შრომის საშუალო ანაზღაურების სტატისტიკური ანალიზის საჭიროებას სხვადასხვა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორით, მათ შორის COVID-19 პანდემიით, გამოწვეული ცვლილებების გამოსავლენად. მნიშვნელოვანია შეფასდეს პანდემიის დროს შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციებით განპირობებული აქტივობების გავლენა პანდემიამდე არსებულ ტენდენციებსა და სახელფასო მაჩვენებლებზე.

შედარებითი სტატისტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ლოგიკური კავშირები ბიზნესის მხრიდან შრომის ღირებულების შეფასებაში ცვლილებებსა და პანდემიით გამოწვეულ ეფექტებს შორის, როგორც სექტორულ, ისე სხვა ნიშნების მიხედვით.

წინამდებარე სტატიაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით შეფასებულია მთლიანად ბიზნესის სფეროს საშუალო ანაზღაურება ცალკეულ სექტორებთან მიმართებაში და გამოვლენილია წამყვანი სექტორები, შესწავლილია შრომის ანაზღაურების დისბალანსი ცალკეულ სექტო-

რებს შორის, იდენტიფიცირებულია პანდემიის შემდგომ არსებული ძირითადი გამოწვევები, პრობ-ლემები და ტენდენციები.

დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკური განვი-თარების ერთ-ერთი ინდიკატორია. ბიზნესის მიერ სამუშაო ძალისთვის შეთავაზებული შრომის ღირებულება კი ამ სფეროს მიმზიდველობასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე მიუ-თითებს.

ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო მეტ-ნაკლებად განაპირობებს საწარმოთა მსყიდველუნა-რიანობას შრომის ღირებულების განსაზღვრის მიმართულებით (მენქიუ, 2008). საქართველოს ბიზნეს გარემო, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით,[1] 2020 წლის მდგომა-რეობით, შეფასებული იყო 83.7 ქულით (მე-7 პოზიცია 190 ქვეყანას შორის) Fitch-ისა[2] და S&P Global[3]-ის საკრედიტო რეიტინგის მიხედვით კი ქვეყანა შეფასებულია BB რეიტინგით, რაც შოკე-ბისადმი შედარებით მდგრადობისა და სტაბილურობის მაჩვენებელია. აღნიშნულიდან გამომდინა-რე, ბიზნესის სფეროს საშუალო ანაზღაურების მაჩვენებელი სტაბილურობითა და, მეტწილად, მა-ტების ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს. რეალური სიტუაციის დასადგენად, შრომის საშუალო ანაზღაურების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი ჩატარებულია 2010-2021 წლების პერიოდი-სათვის.

2021 წლის მდგომარეობით, ბიზნესის სფეროში შრომის საშუალო ანაზღაურება 3 210.1 ლა-რით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,17-ჯერ (ანუ 117%-ით), 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით კი 2,4-ჯერ (ანუ 240%-ით) არის გაზრდილი (გელაშვი-ლი და თოდრაძე, 2020).

გრაფიკი 1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი

წარმოდგენილი გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ 2010-2021 წლებში, მიუხედავად კოვიდ-19 პანდემიის შედეგად შექმნილი ფორს-მაჟორული პირობებისა, ბიზნეს სექტორში დაქირავებულთა საშუალო ხელფასის რაოდენობრივი მაჩვენებლის ყოველწლიური უწყვეტი ზრდის ტენდენცია არ

[1] წყარო: https://archive.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia

[2] წყარო: https://www.fitchratings.com/entity/georgia-85877873

[3] წყარო: https://cbonds.com/news/1685067

დარღვეულა: 2020 წელს, წინა წელთან შედარებით, ბიზნეს სექტორში დაქირავებულთა შრომის საშუალო ანაზღაურება 60.2 ლარით, 2021 წელს კი 208,7 ლარით გაიზარდა. მთელ საანალიზო პერიოდში (2010-2021 წლები) ბიზნესის სფეროს შრომის ანაზღაურების საშუალო აბსოლუტურმა მატებამ 76,26 ლარი შეადგინა.

რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღაურების ტენდენციების ანალიზი სექტორულ ჭრილში. ქვემოთ მოცემული გრაფიკი 2 აჩვენებს, რომ 2021 წლის ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელი 2010 წელთან შედარებით გაზრდილია ბიზნესის ყველა სექტორში, თუმცა, საყურადღებო ცვლილებები დაფიქსირდა სექტორების რანჟირებულ სიაში. ასე, მაგალითად: თუ 2010 წელს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები მეოთხე ადგილს იკავებდა შრომის საშუალო ანაზღაურების სიდიდის მიხედვით, 2021 წელს მერვე პოზიცია დაიკავა ბიზნესის 10 დამოუკიდებელ სექტორს შორის. საპირისპირო სურათია მშენებლობის სექტორში: თუკი 2010 წელს მშენებლობა მაღალი საშუალო ანაზღაურების მიხედვით მეექვსე ადგილს იკავებდა, 2021 წლის საშუალო სახელფასო მაჩვენებლის 192%-იანი ზრდით, მეორე, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საშუალო ანაზღაურების მქონე სექტორია.

გრაფიკი 2.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი.

2019 წელთან შედარებით, კორონაპანდემიის პერიოდში, სექტორულ რანჟირებაში პოზიციის ცვლილება ყველაზე მეტად უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმიანობებს შეეხო. 2019 წელს აღნიშნული საქმიანობა შრომის საშუალო ანაზღაურების მაჩვენებლით მეექვსე ადგილზე იყო,

2021 წლის მდგომარეობით კი მერვე ადგილზე გადაინაცვლა. შრომითი დანახარჯების მიმართულებით მცირედ გაძლიერდა საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ასევე დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2010 წლიდან ბიზნეს სექტორში შრომის საშუალო ანაზღაურება ხასიათდება უწყვეტი ზრდის ტენდენციით, რაც, თავის მხრივ, მართებულია ზრდის ტემპის მაჩვენებელთან მიმართებაშიც. საინტერესოა, რომ ზრდის ტემპის დადებითი ტენდენცია ნარჩუნდება როგორც 2010, ისე 2017 წელთან შედარებით. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს სექტორში, 2010 საბაზისო წელთან შედარებით, ყოველწლიურად ფიქსირდება შრომის საშუალო ანაზღაურების სტაბილურად მზარდი ტენდენცია (გელაშვილი და თოდრაძე, 2020).

საბაზისო წესით გაანგარიშებული ზრდის ტემპებთან შედარებით, მატების ტენდენციები განსხვავებულია, ანუ: თუ შრომის საშუალო ანაზღაურებას გავაანალიზებთ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში და გავიანგარიშებთ დაქირავებულთა საშუალო ანაზღაურების ჯაჭვური მატების ტემპებს, აღმოჩნდება, რომ აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალი დაფიქსირდა 2012, 2015, 2017 და 2021 წლებში. პანდემიის პერიოდში დაფიქსირებული მატების ტემპი კი თითქმის უტოლდებოდა საანალიზო პერიოდში გამოვლენილ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს (2016 წელს – 4,6%). საანალიზო პერიოდში ყველაზე მაღალი, ანუ 17.06%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა 2021 წელს, რაც ბიზნეს სექტორის პანდემიის რეჟიმზე წარმატებული ადაპტაციის მაჩვენებელია.

2019 და 2021 წლებში ბიზნესის სფეროში შრომის ანაზღაურების საშუალო მაჩვენებელს სოფლის მეურნეობის სექტორის საშუალო ხელფასი, შესაბამისად, 40 და 34%-ით, ხოლო განთავსების საშუალებების (სასტუმროები და რესტორნები) საშუალო ხელფასი, შესაბამისად, 27 და 31%-ით ჩამორჩება. ანალოგიური განსხვავება 2010 წელთან შედარებით შემცირებულია (48% სოფლის მეურნეობა და 36% განთავსების საშუალებები), რაც დადებითად შეიძლება შეფასდეს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის პერიოდში ბიზნესის სფეროს საშუალო ხელფასის მაჩვენებელთან მიმართებაში, სახელფასო უთანასწორობა გაზრდილია განთავსების საშუალებების, ხოლო შემცირებულია სოფლის მეურნეობის სექტორში.

გარდა იმისა, რომ 2010 წლიდან დღემდე ყველაზე მაღალ და დაბალანაზღაურებად სექტორებს შორის სახელფასო მაჩვენებელში სხვაობა გაზრდილია, ასევე გაზრდილია სექტორული უთანასწორობა მთლიანად სფეროს მიხედვითაც. ასე, მაგალითად, 2019-2021 წლებში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სექტორი იყო სამშენებლო, 2010 წელს კი ენერგეტიკის სექტორი ლიდერობდა (10).

ცალკეული სექტორების მიხედვის საშუალო ხელფასის ანალიზისას უწყვეტი ზრდის ტენდენცია შეინიშნება 2014-2018 წლებში, ხოლო პანდემიის პერიოდში ენერგეტიკის, განთავსების საშუალებებისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების საშუალო ხელფასის ანალიზისას დაფიქსირდა მატების ჯაჭვური ტემპის უარყოფითი მაჩვენებელი.

გრაფიკი 3.



წყარო: მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორთა მიერ, საქსტატის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მატების ტემპი კვლავ დაუბრუნდა დადებით ნიშნულს. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ კორონაპანდემიის პერიოდში ნაკლებ მერყევი აღმოჩნდა ანაზღაურება სამშენებლო სექტორში. 2021 წელს კი თითქმის ყველა სექტორში, გარდა სამთო მოპოვებითი მრეწველობისა, შეინიშნება მატების ტემპის მაჩვენებლის შესამჩნევად მკვეთრი ზრდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბიზნესმა წარმატებით მოახერხა შრომის ანაზღაურების პოლიტიკის ადაპტირება პანდემიის გამო დაწესებულ სხვადასხვა რეგულაციების პირობებში.

2021 წელს, 2010 და 2017 წლებთან შედარებით, ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა ბიზნესის ყველა სექტორის მიხედვით. ზრდა სახეზეა როგორც 2010 წლის, ისე 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ამრიგად, შრომის საშუალო ანაზღაურების ცვლილების ტენდენციები კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში აჩვენებს, რომ ბიზნეს სექტორების უმეტესობა საშუალო ხელფასის სიდიდის მიმართულებით, შედარებით მდგრადი და შესამჩნევად მოქნილი იყო.

შრომის ანაზღაურების ოდენობით, 2010 წლიდან დღემდე, საწარმოთა ყველა კატეგორიაში ვლინდება საშუალო ხელფასის ზრდის ტენდენცია: მცირე ზომის საწარმოების შემთხვევაში საშუალო ხელფასის აბსოლუტური მაჩვენებელი 183%-ით, საშუალო ზომის საწარმოებში 177%-ით, ხოლო მსხვილ საწარმოებში 92%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 4.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი

კორონაპანდემიის წინა, 2019 წელს, საშუალო ხელფასის მატების ყველაზე მაღალი ტემპი, ანუ 11% დაფიქსირდა საშუალო საწარმოებში, ყველაზე დაბალი კი – 0,1% მცირე საწარმოებში. თუმცა, 2021 წელს 2018 წელთან შედარებით, მცირე საწარმოებში საშუალო ხელფასის ზრდის ტემპმა 34, საშუალო საწარმოებში 31 და მსხვილ საწარმოებში კი 21 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წლის შემდეგ საშუალო ხელფასის კლება არ დაფიქსირებულა არცერთი კატეგორიის საწარმოს შემთხვევაში (გელაშვილი და ოქრუაშვილი). ეს ტენდენცია მართებულია პანდემიის რთული ვითარების პერიოდშიც: 2019-20 წლებში საწარმოები ახერხებდნენ საშუალო ხელფასის მცირედით მაინც ზრდას, პანდემიის პერიოდში კი ზრდის ტემპის მაჩვენებლებმა გადააჭარბა წინა წლებში არსებულ მაჩვენებლებს, რაც დადებით მოვლენად და პანდემიის პირობებთან წარმატებული ადაპტაციის ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს.

საინტერესოა საშუალო ხელფასის ანალიზი სხვადასხვა ზომის საწარმოთა მიხედვით. უფრო კონკრეტულად, თუ მცირე და საშუალო ან საშუალო და მსხვილი საწარმოების დასაქმებულთა საშუალო ხელფასებს შორის დიაპაზონს გავაანალიზებთ, შევამჩნევთ, რომ ყველაზე მაღალი უთანაბრობა მსხვილი და მცირე ზომის საწარმოებს შორის ფიქსირდება. 2017 წლამდე მართებული იყო ტენდენცია, რომ რაც უფრო დიდია საწარმოს ზომა, მით უფრო მაღალ საშუალო ანაზღაურებას სთავაზობდა იგი დასაქმებულს. თუმცა, 2017 წლის შემდეგ აღნიშნული ტენდენცია შეიცვალა და 2017 წლიდან საშუალო ზომის საწარმოებში საშუალო ხელფასის სიდიდემ გადააჭარბა მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურებას (გელაშვილი და თოდრაძე).

როგორც ანალიზით დადგინდა, დასაქმებულთა საშუალო ხელფასების უთანაბრობა საწარმოთა ზომის მიხედვით ბოლო 5 წელიწადში არ შემცირებულა, მაგრამ შეიცვალა ლიდერული პოზიცია საშუალო და მსხვილ საწარმოებს შორის. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ტენდენცია მცირე და

საშუალო ბიზნესის ხელშემწყობმა პროგრამებმა [1], სწორად დაგეგმილი განვითარების სტრატეგიის შემუშავებამ[2] და საგადასახადო პოლიტიკის შემსუბუქების კუთხით შეღავათიანი რეჟიმების არსებობამ [3] განაპირობა.

რა თქმა უნდა, საინტერესოა ისიც, თუ რა სიდიდით განსხვავდება საშუალო ხელფასის მაჩვენებლები ცალკეულ წლებში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

საშუალო ხელფასის ვარიაციის დიაპაზონი, ლარი					
2010	**2015**	**2017**	**2019**	**2020**	**2021**
432.7	592.2	658.0	684.0	640.0	557.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი

როგორც ცხრილიდან ჩანს, პანდემიის განვლილ წლებში (2020-2021) წინა, 2019 წელთან შედარებით, საშუალო ხელფასებს შორის ვარიაციის დიაპაზონი შემცირდა, რაც განსხვავდება პანდემიამდე არსებული მდგომარეობისაგან. 2010-2021 წლების პერიოდში ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი 2010, ხოლო ყველაზე მაღალი იყო 2019 წელს.

დასკვნა

Covid-19 პანდემიის პირობებში საქართველოს ბიზნეს სექტორში შრომის ანაზღაურების სტატისტიკური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო საკითხი, კერძოდ:

- კოვიდ-19 პანდემიამდე, ისევე, როგორც პანდემიის პერიოდში, ბიზნესის არცერთ სექტორში არ დაფიქსირებულა საშუალო ხელფასის შემცირება;
- პანდემამდე და პანდემიის პერიოდში ფიქსირდება საშუალო ხელფასის არათანაბარზომიერი განაწილება ბიზნეს სექტორებისა და საწარმოთა სიდიდის მიხედვით;
- პანდემიამ შრომის ანაზღაურების ზრდის მიმართულებით დადებითი ეფექტი მოახდინა სამშენებლო სექტორზე;
- კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში სახელფასო უთანასწორობა შემცირებულია სოფლის მეურნეობის სექტორში;
- პანდემიის პერიოდში საშუალო ხელფასის მატების ტემპი წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მეტწილად პანდემიის პირობებში ბიზნესის წარმატებული ადაპტაციის შედეგია;
- 2017 წლამდე რაც უფრო დიდი იყო საწარმოს ზომა, მით მეტ ანაზღაურებას სთავაზობდა იგი დასაქმებულს; 2017 წლის შემდგომ კი ამ მხრივ ლიდერი სექტორი საშუალო ბიზნესი გახდა;
- საშუალო ხელფასის მაჩვენებელი შედარებით დიდია მაღალმწარმოებლურ სექტორებში.

[1] წყარო: https://www.oecd-ilibrary.org/; https://www.enterprisegeorgia.gov.ge
[2] SME Development Strategy წყარო: http://www.economy.ge/
[3] წყარო: https://old.rs.ge/5393

საბოლოოდ, ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ Covid-19 პანდემიის პირობებში საქართველოში ბიზნეს სექტორმა მოახერხა საშუალო ხელფასის აბსოლუტური მაჩვენებლის უწყვეტი ზრდის ტენდენციის შენარჩუნება, როგორც სექტორულ, ისე საწარმოთა ზომების ჭრილში. პანდემიის საწყის პერიოდში არსებულ შოკზე, ბიზნესის პასუხი ზრდის ტემპის შემცირება იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში (2021 წელი) მოხერხდა მატების ტემპების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასევე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შრომის ანაზღაურებაში უთანაბრობის შემცირების ტენდენციისა, ბიზნესის სფეროსათვის ცალკეულ სექტორებსა და საწარმოთა განსხვავებულ ზომებს შორის ხელფასის განაკვეთის დაახლოვება კვლავაც პრობლემად რჩება.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ. (2020). შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
2. გელაშვილი ს., თოდრაძე გ. (2020). დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
3. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. (2020). სოციალური სტატისტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
4. მენქიუ, გ. (2008). ეკონომიკის პრინციპები. გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი.
5. მსოფლიო ბანკი. წლიური ანგარიში (2020). IBRD. IDA. The World Bank Group.
6. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში და მათი ხელშეწყობის პროგრამები [ვებ პორტალი Geoeconomic.ge].
7. „საქართველოში თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის დანერგვის მოდელების შეფასება“. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://iset-pi.ge/ka/publications/research-reports
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/ khelfasebi
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნესის სტატისტიკა [მონაცემთა ბაზები].
11. საქართველოს მთავრობის ვებ პორტალი. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის.
12. შემოსავლების სამსახურის ვებ პორტალი. განსაკუთრებული რეჟიმები და საგადასახადო პოლიტიკა.
13. cbonds.com. S&P Global Ratings revised outlook on Georgia to stable and affirmed at "BB" (Local Currency LT) credit rating. 2022.

14. Daniel S. Hamermesh. Overtime penalties, payroll taxes, and other labor policies alter costs and change employment and output. IZA WORLD OF LABOR [ვებ პორტალი].
15. PERSPECTIVES ON LABOUR ECONOMICS FOR DEVELOPMENT. International Labor Office, 2013.
16. Archive.doingbusiness.org. Ease of doing business in Georgia [ვებ საიტი].
17. fitchratings.com. Georgia Ranking [ვებ საიტი].
18. Oecd.org. Monitoring Georgia's SME Development Strategy 2016-2020 [ვებ პორტალი].

Sectoral Statistical analysis of labor compensation indicators in the field of Business

Simon Gelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Teona Khabeishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article presents a comparative statistical analysis of wages in the business sector of Georgia (including for the period of the Covid-19 pandemic) and calculates many adequate indicators. The purpose of the article is to evaluate the elasticity of the average salary to the economic shock caused by the pandemic using different statistical methods and to analyze its influence on the trends of the average salary change.

The article analyzes average salary change trends based on 2010-2021 data; Based on the comparative analysis, the peculiarities, fluctuations and changed trends in the business sectors before and during the pandemic have been evaluated.

A number of statistical methods are widely used in the article, such as: relative, mean and variance indicators, as well as time series and data presentation methods.

Based on the comparative analysis, the peculiarities, fluctuations and changed trends in the direction of the average salary of labor in a separate business sector before the Covid-19 pandemic and during the pandemic have been evaluated; The sectors with high and low wages are determined, as well as the extent of inequality between them.

Keywords: Business sector, labor compensation, statistical analysis, Covid-19 pandemic, range of variation.

კორპორაციული მართვა და შიდა კონტროლის სტრატეგია

ნაზი გვარამია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ნაშრომში მოცემულია თანამედროვე ეტაპზე რისკების გამოვლენისა და შეფასების საკითხები აუდიტორულ საქმიანობაში. წარმოდგენილია ზოგადი განმარტებები რისკების შესახებ და განხილულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის საერთო სტრატეგია და აუდიტის გეგმა. გაანალიზებულია რისკის შეფასება და აუდიტი, როგორც რისკების შეცნობის ის სისტემური გზა, რომელსაც კომპანიები აწყდებიან თავიანთ საქმიანობაში. მოცემულია რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდა ფუნქციის უპირატესობა, რომელიც კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებული შეფასებაა. ნაშრომში გაანალიზებულია რისკის აუდიტის ოთხი სტადია. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ავტორისეული ხედვა თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკის შეფასების სტრუქტურა.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტი, სტანდარტები, რისკები, შეფასება, მართვა.*

თანამედროვე ეტაპზე დიდ ინტერესს იწვევს კომპანიებში რისკების შეფასებისა და აუდიტის საკითხები. თეორიულ დისციპლინებში, რომლებიც ორგანიზაციის მართვის საკითხებს ეხება, რისკს ზოგადად განკერძოებულად განიხილავენ, თუმცა ამავე დროს ხორციელდება კვლევები იმ მიმართულებით, თუ როგორ უკავშირდება რისკი ორგანიზაციის შიდა საქმიანობას. აქედან გამომდინარე, რისკის მართვა შიდა კონტროლის მართვის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო შიდა კონტროლი, თავის მხრივ კორპორაციული მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუ ჩვენ მხოლოდ სინანულით, უმოქმედოდ ვაკვირდებით წარსულში მომხდარ მოვლენებს და არაფერს ვცვლით, შიდა კონტროლის სისტემამ შეიძლება ვერ შეძლოს რისკების სათანადოდ გაკონტროლება. ამიტომ ცხადია ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციამ შეიცნოს და რაოდენობრივად შეაფასოს ის რისკები, რომლებსაც აწყდება თავის საქმიანობაში.

ზემოთ აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში ყურადღებას დავუთმობთ სწორედ რისკების შეფასების ძირითად ასპექტებს.

როგორც ცნობილია, არსებობს ზოგადი წარმოდგენა რისკის შესახებ და შესაბამისად, საზოგადოებაც შემოიფარგლება გარკვეული ცოდნით აღნიშნული საკითხის გარშემო. კერძოდ, რისკის ერთ-ერთი ქმედითი და პრაქტიკული განმარტება შემდეგია: „რისკი არის არარეალიზებული სამომავლო ზარალი, რომელიც წარმოიქმნება მიმდინარე პერიოდის რომელიმე ქმედებიდან ან უმოქმედობიდან.“ საშუალოდ, უკუგება (მოგება) არის რისკის ფუნქცია. „რისკის წილი“ ფულადი საშუალებები ის საშუალებებია, რომელთაც დიდი რაოდენობის შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ყველაზე დიდი უკუგების მიღების შესაძლებლობა უნდა იყოს საუკეთესო სცენარი, რომელიც მოცემულ სიტუაციაში შეიძლება გათამაშდეს (მაგალითად, ინვესტიციის დაბანდება კომპანიებში). რისკი აუდიტის მნიშვნელოვანი ფაქტორია და იგი ორ კატეგორიად იყოფა: [1]

- კონკრეტული დავალების რისკი (ე.წ. აუდიტორული რისკი);
- ბიზნესის (კომპანიის) რისკი, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ დამკვეთთან და შეიძლება თანდაყოლილი რისკის ნაწილი იყოს, აქედან გამომდინარე, კი გავლენას იქონიებს აუდიტზე.

რისკი აუდიტორულ საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი საკითხია. აუდიტის ჩატარების ყველაზე მეტად გავრცელებული მიდგომა გულისხმობს ამ რისკების შეცნობას.

უდიტის საერთაშორისო სტანდარტებში (ასს 300) „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა“ – აღნიშნულია: „აუდიტორის მიზანია იმგვარად დაგეგმოს აუდიტი, რომ იგი რაც შეიძლება ეფექტიანად ჩატარდეს.“ აღნიშნული სტანდარტი ეხება ორ დოკუმენტს: აუდიტის საერთო სტრატეგიას და აუდიტის გეგმას. უდიტის საერთო სტრატეგიის დოკუმენტში ზოგად ასპექტებშია ჩამოყალიბებული, თუ როგორ ჩატარდება აუდიტი. შესაბამისად, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: [2]

გარიგების (დავალების) სპეციფიკა;

- ❖ მოცემული გარიგების საანგარიშგებო მიზნები, აუდიტის ვადები და საჭირო ინფორმირების ხასიათი;
- ❖ მნიშვნელოვანი ფაქტორები, გარიგების გაფორმებამდე ჩასატარებელი წინასწარი სამუშაოების შედეგები და მოცემული დამკვეთისათვის შესრულებული სხვა გარიგებებიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება;
- ❖ მოცემული გარიგების შესასრულებლად საჭირო რესურსების ხასიათი, მოცულობა და მათი გამოყენების დროის განსაზღვრა.

აუდიტის გეგმაში დეტალიზებულია კონკრეტული პროცედურები, რომლებიც უნდა შესრულდეს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და აუდიტის ჩასატარებლად. შედარებით მცირე მასშტაბის კომპანიებში, სავარაუდოდ აუდიტის სტრატეგია წარმოდგენილი იქნება მოკლე ჩანაწერების სახით, ხოლო აუდიტის გეგმა – აუდიტის რამდენიმე სტანდარტული ადაპტირებული პროგრამით. უდიტის სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტში აღწერილი იქნება აუდიტის ჩატარების მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება მტკიცებულებების შესაკრებად. ერთ-ერთ ძირითად ასპექტს ამ მიმართულებით წარმოადგენს რისკზე დაფუძნებული აუდიტი, რაც თავის მხრივ გულისხმობს აუდიტის ჩატარების ისეთი მეთოდიკის შემუშავებას, რომელიც განკუთვნილია აუდიტში რისკის ფაქტორებზე რეაგირებისათვის. ამ შემთხვევაში აუდიტორები პროფესიულ განსჯას მიმართავენ იმის დასადგენად, თუ რა დონის რისკი უკავშირდება დამკვეთის სისტემის სხვადასხვა სფეროს, რის საფუძველზეც გეგმავენ შესაბამის აუდიტორულ ტესტებს.

ზემოთ აღნიშნულმა მიდგომამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ აუდიტორების განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იქნება ფინანსური ანგარიშგების ისეთ სფეროებზე, სადაც ყველაზე მეტად არის მოსალოდნელი უზუსტობების არსებობა, რაც ცხადია შეცდომების გამოვლენის ალბათობას ზრდის და ამავე დროს ამცირებს ზედმეტი დროის ხარჯვას „უსაფრთხო“ სფეროების ტესტირებაზე. რისკზე დაფუძნებული აუდიტის ტექნიკის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი:

- ❖ სამეწარმეო გარემოს მნიშვნელოვანი და მუდმივად მზარდი ტენდენცია თავის მხრივ ზრდის თაღლითობისა და უზუსტობების წარმოქმნის შესაძლებლობებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კომპიუტერული სისტემების ფართოდ გამოყენება და კომპანიების ინტერნაციონალიზაციის ზრდა;
- ❖ აუდიტის დამკვეთების ზეწოლის გაძლიერება აუდიტორებზე, რაც გულისხმობს პროფესიული მომსახურებისათვის ანაზღაურების დაბალ ტარიფებს, ხოლო მომსახურების ხარისხის მაღალ დონეს.

შიდა კონტროლი არის პროცესი, რომელსაც აპროექტებს და ნერგავს კომპანიის ზედა რგოლების ხელმძღვანელი პერსონალი, რომლებიც სწორედ იმ მიზნით არიან დანიშნულნი, რომ ეფექტიანად მართონ კომპანია. დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად, მენეჯერებმა უნდა წარმოადგინონ იმის გარანტია, რომ კომპანიაში მოქმედებს კორპორაციული მართვის მკაცრი

პრინციპები და მათ აქვთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია მუშაობს შეთანხმებული სტრატეგიის ანუ დასახული მიზნების შესაბამისად. მაგალითად, კორპორაციული მართვის პრინციპების ერთ-ერთი მოთხოვნა მდგომარეობს შემდეგში: კომპანიის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს იმის გარანტია, რომ:

- ❖ კომპანიაში არსებობს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საიმედო პროცესი და ეს პროცესი ეფექტიანად მუშაობს;
- ❖ მიღწეული იქნება მომსახურების დასახული დონეები;
- ❖ ყველა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნა შესრულდება.

შიდა კონტროლის დანიშნულებაა მინიმუმადე დაიყვანოს რისკები, რომელსაც კომპანია ექვემდებარება და თუ რისკები მაინც წარმოიქმნება, ეს ხელს ვერ შეუშლის კომპანიას სტრატეგიული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს 315) – „არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლის გზით“ – აღნიშნულია: „აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგების დონეზე, ასევე მტკიცების დონეზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რისი საშუალებითაც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკების მიმართ საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის.“ ამ მიზნის მისაღწევად აუდიტორს მოეთხოვება რისკის შესაფასებელი პროცედურების ჩატარება, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- ❖ ხელმძღვანელობის გამოკითხვას;
- ❖ ანალიზურ პროცედურებს;
- ❖ დაკვირვებასა და დათვალიერებას.

შიდა კონტროლი მოიცავს კონტროლის ყველა სფეროს და მოითხოვს რომ აუდიტორმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას სამეურნეო სუბიექტის შიდა კონტროლის გარემოს შესახებ. სტანდარტში გამოყენებული ტერმინოლოგიის თანახმად, შიდა კონტროლი ხუთი ელემენტისგან შედგება:

- ❖ კონტროლის გარემო;
- ❖ სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული რისკის შესაფასებელი პროცესი;
- ❖ საინფორმაციო სისტემა, მათ შორის მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი ბიზნეს – პროცესები და ინფორმირება;
- ❖ მაკონტროლებელი საქმიანობა;
- ❖ კონტოლის პროცედურების მონიტორინგი.

სამეურნეო სუბიექტის შესახებ ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, აუდიტორმა უნდა შეისწავლოს ერთის მხრივ, შიდა კონტროლის სტრუქტურა, რათა გაიგოს, რომ ის ეფექტურია არსებითი უზუსტობის თავიდან აცილების და/ან გამოვლენის თვალსაზრისით; მეორეს მხრივ, ხორციელდება თუარა პრაქტიკულად მაკონტროლებელი საქმიანობა, რათა დარწმუნდეს, რომ მოცემული პერიოდის მანძილზე სათანადოდ მუშაობდა კონტროლის სისტემა. [6]

რისკის შეფასება და აუდიტი არის იმ რისკების შეცნობის სისტემური გზა, რომელსაც კომპანია აწყდება თავისი საქმიანობის პერიოდში. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობის და მრავალი ტიპის რისკები არსებობს, ლოგიკურია რისკის შეფასება და მისი აუდიტი რთული და კომპლექსური პროცესი იყოს. ფინანსური აუდიტისგან განსხვავებით რისკის აუდიტის ჩატარება კომპანიებისათვის სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ მაღალ დონეზე რეგულირებად სექტორებში (მაგალითად, როგორიცაა საბანკო საქმე და საფინანსო მომსახურება), ბევრ ქვეყანაში გარკვეული ფორმით, რისკის შეფასება და აუდიტი სავალდებულოა. ზოგიერთი კომპა-

ნია იწვევს შიდა რისკების სპეციალისტებს რისკის „შიდა“ აუდიტის ჩასატარებლად, სხვა შემთხვევაში ამ ფუნქციას გარე კონსულტანტები ასრულებენ. ცხადია, ორივე მიდგომას გააჩნია როგორც უპირატესობები, ასევე ნაკლოვანებები.

რისკის აუდიტის, როგორც კომპანიის შიდა ფუნქციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ აუდიტორები სავარაუდოდ კარგად იცნობენ აღნიშნულ კომპანიას, მის სისტემებს, პროცედურებს, მარეგულირებელ გარემოსა და კულტურას, რაც გულისხმობს კომპანიის მოლოდინისა და ნორმების შესაბამისად, საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, სათანადო ტექნიკური ენის გამოყენებით ჩატარებულ შეფასებას. ნაკლოვანება კი გამოიხატება ისეთი საფრთხეების წარმოქმნაში, როგორიცაა: დამოუკიდებლობის შელახვა და ზედმეტი ინფორმირებულობით განპირობებული თავდაჯერილობა. ამ მიზეზით კომპანიები ამჯობინებენ რისკის შეფასება და აუდიტი გარე მხარეებს მიანდონ.

რისკის ნებისმიერი ტიპის აუდიტს (შიდას თუ გარეს) ოთხი სტადია ახასიათებს:

- რისკის დადგენა;
- შეფასება;
- მიმოხილვა;
- ანგარიშის მომზადება.

რისკის აუდიტის პირველი ეტაპია რისკების დადგენა. რისკების წარმოშობასა და არსებობას განაპირობებს კომპანიების საქმიანობის ცვალებადი ბუნება, ასევე იმ გარემოს მუდმივი ცვალებადობა, რომელშიც კომპანია საქმიანობს. ახალი რისკები ჩნდება და ძველი ქრება, ამიტომ ცხადია რისკების დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომპანიებისათვის, რომლებიც ცვალებად და არაპროგნოზირებად გარემოში ფუნქციონირებენ. [5]

შემდეგი ეტაპი რისკის შეფასებაა. ნებისმიერი გამოვლენილი რისკი უნდა შეფასდეს ორ ცვლადთან მიმართებაში: რისკის რეალიზების (მატერიალიზების) ალბათობა და რისკის გავლენა, ანუ რა შედეგი ან საფრთხე მოჰყვება, თუ რისკი რეალიზდება. ეს არის ორი საინტერესო კოორდინატთა ღერძი, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ალბათობის/გავლენის წერტილების კოორდინატების დასადგენად და ინდივიდუალური რისკის ქცევის შესახებ თეორიული წარმოდგენის შესაქმნელად. „თეორიული“, რადგან ზოგჯერ შეუძლებელია საკმარისი ინფორმაციის მოპოვება რისკის შესახებ, რათა მისი გავლენის და/ან ალბათობის ზუსტი სურათი მივიღოთ. რისკის შეფასების ასეთი სტრატეგია გამოიყენება მრავალ სიტუაციაში, აქციების პორტფელის მართვით დაწყებული ინტერნაციონალურ სტრატეგიულ კურსზე რისკების გავლენის შესაცნობად. რისკის აუდიტის ჩატარებისას აუდიტორი განიხილავს ყველა ღონისძიებას, რომელიც კომპანიამ გაატარა თითოეულ გამოვლენილ და შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

მიმოხილვის სტადიაზე აუდიტორი აანალიზებს კონტროლის იმ საშუალებებს, რომლებიც კომპანიას აქვს იმ შემთხვევისათვის, თუ რისკი მატერიალიზდება. მაგალითად, როდესაც აუცილებელია, აუდიტორმა შეიძლება შეამოწმოს დაზღვევა და მისი პირობები, თუ რა დონეზეა რისკის პორტფელი დივერსიფიცირებული და ნებისმიერი სხვა კონტროლის საშუალება, რომელიც რისკთან არის დაკავშირებული. რისკებისათვის, რომელიც კომპანიას თავის თავზე აქვს აღებული, აუდიტორი ამოწმებს იმ ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტიანობას (როგორიცაა მაგალითად, ევაკუაცია, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და ა.შ.), რომლებიც მაშინ გატარდება, როდესაც რისკი მატერიალიზდება. მიმოხილვა უნდა იყოს არსებითი ამოცანა, რადგან თითოეულ შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის გატარებული ღონისძიება მიმოხილვის ნაწილია და შეიძლება პრაქტიკაში ბევრი რისკი იყოს განსახილველი.

ფინალურ ეტაპზე მიმოხილვის შედგების მიხედვით დაიწერება ანგარიში და გადაეცემა დამკვეთს, რომელიც ხშირად წარმოადგენს ხოლმე თავად იმ კომპანიის საბჭოს, რომლის აუდიტიც

ტარდება. ხელმძღვანელობას სჭირდება ინფორმაცია, ძირითადი რისკების დონის შესახებ (კერძოდ: რისკები, რომელთაც წარმოშობის დიდი ალბათობა გააჩნიათ; რისკები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ და განსაკუთრებით ისეთი რისკები, რომელთაც გააჩნიათ დიდი ალბათობაც და გავლენაც), რისკების შეფასება და სახეზე არსებული კონტროლის საშუალებების ეფექტიანობა. ნათელია, რომ ნებისმიერი არაეფექტური კონტროლის საშუალება ანგარიშის ძირითადი კომპონენტი იქნება და მათ დაუყონებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება ხელმძღვანელობამ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო ნაშრომში შევეცადეთ გადმოგვეცა რისკების შეფასების და აუდიტის ზოგადი მიმოხილვა, საკვანძო საკითხები და წარმოგვედგინა წინადადებები, თუ როგორ უნდა აიგოს კომპანიებში რისკების შეფასების სტრუქტურა მათი საქმიანობის შესაბამისად. ჩვენი აზრით, გონივრული იქნება სეგმენტირება კომპანიების სპეციფიკიდან გამომდინარე. აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, კერძოდ რისკების შეფასების და აუდიტის სფეროში დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესის სფეროში კომპანიების საქმიანობის სწორად დაგეგმვას, რისკების სწორად შეფასებას, შიდა კონტროლის სისტემის დახვეწას, რაც ცხადია იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

ლიტერატურა:

1. ნ. გვარამია, ნ. ძიმცეიშვილი. აუდიტორულ საქმიანობაზე ზედამხედველობის ზოგიერთი ასპექტი. ევროპის სამეცნიერო ფონდის ინოვაციის ინსტიტუტი, XII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება და ეკონომიკა“, პირველი პოლონურ-უკრაინული ფორუმი. ორგანიზატორები – პოლონეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო, კუიავო-პომორსკის ვოევოდსტვოს, ევროპული ინტეგრაციის რეგიონული ცენტრი და ქ. ვლოცლავეკის მერია. 21-24 მაისი, ვლოცლავეკ-კანიევი, პოლონეთი, 2015.წ. გვ. 291-295
2. ACCA წიგნი P7. აუდიტი და მარწმნებელი მომსახურება (საერთაშორისო პროგრამა, უმაღლესი დონე). სახელძღვანელო, თარგმნილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) მიერ, 2010 წ.
3. ნ. გვარამია. აუდიტის მსოფლიო კონცეფციები და განვითარების ტენდენციები საქართველოს საბანკო სექტორში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 6-7 აპრილი, თბილისი, 2012 წ.
4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია. ჟ. ბუღალტრული აღრიცხვა, №11, თბილისი, 2010 წ.
5. საქართველოს კანონი შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ. 2010 წ. 26 მარტი, თბილისი.
6. საქართველოსრკანონი ბუღალტრულირაღრიცხვის,რანგარიშგებისარდარაუდიტისრშესახებ. ქუთაისი, 8 ივნისი 2016 წ. N5386-IIს
7. А. Кушнареев. Журнал «Аудит»; №2-3, 2011 г.

Corporation Governance Style and Internal Control Strategy

Nazi Gvaramia
Sokhumi State University
Associate Professor

SUMMARY

The scientific work presents the issues of identifying and evaluating the main development risks in audit activity of the modern world. General definitions of risks, overall audit strategy, and audit plan are discussed in accordance with international auditing standards. Risk assessment and auditing are analyzed as a method of risk awareness determination throughout the corporate workflow. The paper also contains the advantages of control audit as an internal process of the company, that delivers a final assessment document according to the company's expectations and norms, using crucial field-specific technical language. Four stages of risk audit are analyzed in the paper as well. The paper's conclusion states the author's vision of building an evaluation structure in companies.

Keywords: audit, standards, risks, assessment, management.

ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების მიმართულებები და თანამედროვე გამოწვევები

რევაზ გველესიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ირინა გოგორიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილულია ინდუსტრიული განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის გატარება ევროკავშირში. იგი დამოკიდებულია ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია შემდეგ მიმართულებებზე:

- *რამდენიმე სახის სამრეწველო-ინოვაციური პერსპექტიული აქტივების გათვალისწინება. ზოგიერთზე ყურადღების ფოკუსირება არ გვაძლევს საფუძველს ცვლილებათა შესაძლებლობების შესაფასებლად;*
- *სამეცნიერო ბაზის მოდერნიზაცია კრიტიკული პირობაა მსოფლიო დონის კვლევითი ცენტრების ფორმირებისთვის გამრღვევი სამრეწველო ინოვაციების პროცესში;*
- *პროფესიული უნარებისა და თვითგანვითარების როლის უპირატესი გაზრდა სამრეწველო ინოვაციების მხარდასაჭერად;*
- *ინოვაციების მხარდასაჭერად საჭირო ცოდნის გაზრდის პირობების შექმნა და მათი დაჩქარებული განვითარება;*
- *ბიზნესის განვითარების მონიტორინგი სამრეწველო ინოვაციების შესაფასებლად, ვინაიდან ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მასობრივი უმუშევრობა. ასეთი საფრთხის საპირისპირო ღონისძიებაა თანამედროვე საპროგნოზო კვლევების რეგულარულად ჩატარება.*

კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების ხელმისაწვდომობის სწრაფი ცვლილებების პირობებში, იზრდება ადეკვატური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ჩამოყალიბების როლი და მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს გამრღვევი სამრეწველო ინოვაციების დაგროვებას, ზრდას და გავრცელებას.

მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსახლეობის მიერ ინოვაციების მიღების ხარისხს, რადგან ისინი ახდენს გავლენას ადამიანთა ცხოვრების პირობებზე. ამავე დროს სამრეწველო ინოვაციების დაჩქარებული გავრცელება, მოითხოვს მოსახლეობის პირდაპირ ფართო მონაწილეობას მათ დიზაინსა და განვითარებაში, რაცრშეუძლებელია საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის არსებობისა და გაფართოების გარეშე.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაცია, ინდუსტრიული პოლიტიკა, ევროკავშირი.*

განვითარებულ ქვეყნებში ახალი ინოვაციური სამრეწველო-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება დღეს ხდება თვისობრივად განსხვავებულ პირობებში (ეკონომიკური კონიუნქტურის მზარდი გრძელი ტალღის ფორმირების წინა პერიოდებისგან განსხვავებულად). ამ პირობების გათვალისწინება საინოვაციო ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში აუცილებელია, რადგან მათი უგულებელყოფა მნიშვნელოვნად ზღუდავს მიღწეული სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის გამოყენების შესაძლებლობებს და ზრდის უარყოფითი შედეგების რისკს. რამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მოცემულ საკითხებს ახლა დიდი ყუ-

რადღება ექცევა. რევროკავშირის ქვეყნებში ამ მიმართულებით საგულდაგულო კვლევები ჩატარდა (თუმცა არასაკმარისად რის შედეგადაც თვითდაჯერებულობის მახეში აღმოჩნდნენ როგორც ეს რუსეთ-უკრაინის ომმა გამოავლინა), „ახალი პირობების" გამოსავლენად, ასევე, ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის შესაძლებლობებისა და რისკების შესაფასებლად.

ევროკავშირის ინდუსტრიული პოლიტიკის **მიზანს წარმოადგენს იმ ღონისძიებების დროული შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ევროპის რეგიონის ინოვაციური სამრეწველო პოტენციალის შენარჩუნებას, ზრდასა და განვითარებას.**

დღეს იცვლება თავად ინდუსტრიული ინოვაციების ხასიათი. მათი სასიცოცხლო ციკლი მკვეთრად მცირდება. სირთულეს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ტექნოლოგიების დაახლოების პროცესი. სამრეწველო ინოვაციებიდან მიღებული მოგების კონცენტრაცია ხდება მსოფლიო ბაზარზე დომინანტური ცალკეული კომპანიების ხელში, რომლებმაც მოახერხეს ინოვაციების შექმნისა და განაწილების მონოპოლიზება მათი უნიკალური თვისებების გამოყენების გამო. რინოვაციები სულ უფრო მეტად ფოკუსირდება მომხმარებელზე, რომელიც ეძებს არა პროდუქტს ან მომსახურებას, არამედ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტას. ის დღეს მოქმედებს როგორც პროგრესის ინიციატორი და შემქმნელი და არა როგორც მიღწეულის მომხმარებელი. მეცნიერთა კვლევები ცხადყოფს, რომ თანამედროვე სამრეწველო ინოვაციები ხასიათდება შედარებით დაბალი საოპერაციო ხარჯებით ტრადიციულთან შედარებით.

რა არის ინდუსტრიული პოლიტიკა?

ინდუსტრიული პოლიტიკა არის ტერმინი, რომელიც ხშირად განსხვავებულად არის განმარტებული (აუდიტორიის მიხედვით). ინდუსტრიული პოლიტიკა წყვეტს თუ როგორ და როდის გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები (დაწყებული ვაჭრობიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და ინოვაციებით დამთავრებული), რაც საკითხს კიდევ უფრო ართულებს. ინდუსტრიული პოლიტიკა ხშირად მისი არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს. თუმცა, კონცეფცია თავის არსში ეფუძნება ორ ფუნდამენტურ ელემენტს (კონცეფციას):

1) წარმოების ზრდა ზოგიერთ სექტორში უფრო სასურველია, ვიდრე სხვებში; და ამის გამო, 2) მთავრობამ უნდა განახორციელოს აქტიური ძალისხმევა, რომ შეცვალოს წარმოების სტრუქტურა ნაციონალური ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის მიმართულებით. რაც შეეხება პირველ კონცეფციას, არსებობს რამდენიმე მიზეზი იმის დასაჯერებლად, რომ ეს ასეა. დასაწყისისთვის, აკადემიურმა ლიტერატურამ აჩვენა, რომ „მნიშვნელოვანია ის, რაც ექსპორტში გააქვთ". მეცნიერები (Hausmann, Hwang და Rodrik (2007) აჩვენებენ, რომ ზოგიერთი სავაჭრო საქონელი ასოცირდება უფრო მაღალ პროდუქტიულობის დონესთან, ვიდრე სხვა და რომ ქვეყნები, რომლებიც აწარმოებენ უფრო მაღალი პროდუქტიულობის დონის მქონე საქონელს, უკეთეს პოზიციას ფლობენ ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით (საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში). (1)

ანალიტიკურად, ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი სექტორი მომავალში გაქრება, განსაკუთრებით, თუ ისინი მიჰყვება განმეორებადი ამოცანების მაღალ ხარისხს, ხოლო სხვები, სავარაუდოდ, ფუნდამენტური გახდება მომავალში (იხ. მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018). დაბოლოს, გარკვეულ სექტორებში ლიდერობას შეიძლება ჰქონდეს გეოპოლიტიკური, უსაფრთხოებისა და სამხედრო გავლენა, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის, 5G, სამრეწველო ნივთების ინტერნეტის, მიკროჩიპების, კვანტური გამოთვლის ან კოსმოსური ინდუსტრიის კონტექსტში. იგივე ეხება ზოგიერთ კრიტიკულ ნედლეულს, რომელზედაც დაფუძნებულია ეს ტექნოლოგია. არსებობს საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ უბრალოდ ინოვაციური ეკოსისტემის ხელშეწყობა, ინვესტიცია ინფრასტრუქტურაში, ადამიანურ კაპიტალსა და უნარებში, სულაც არ უზრუნველყოფს ამ

ძირითადი სტრატეგიული სექტორების ზრდას. ამის მიზეზები შეიძლება მოიცავდეს იმ ფაქტს, რომ სხვა სისტემური კონკურენტები ამახინჯებენ ან არ იცავენ დადგენილ თამაშის წესებს (მათ სასარგებლოდ). მაგალითად, მხარს უჭერენ თავიანთ შიდა სახელმწიფო საწარმოებს მათ საგარეო ოპერაციებში (როგორც ამას ხშირად აკეთებს ჩინეთი). უფრო მეტიც, ინდუსტრიულ პოლიტიკას გარკვეულ პირობებში შეიძლება ჰქონდეს როგორც ძლიერი ეკონომიკური, ასევე (გეო)პოლიტიკური მოტივები. თავის არსში, ის გულისხმობს: „ნებისმიერი ტიპის შერჩევით ჩარევას ან საჯარო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია წარმოების სტრუქტურის შეცვლაზე იმ სექტორების გაძლიერების მიმართ, რომლებშიც მოსალოდნელია ეკონომიკურად უკეთესი პერსპექტივა“. Nordhaus W., (2019) . Aghion et al (2016). Rodrik et al (2014). Aghion et al (2022). **(2, 3, 4, 5)**

თანამედროვერსამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სულ უფრო დისკრეტული ხდება. ის აღარ მოითხოვს სამრეწველო ინოვაციების დაუფლებისთვის განვითარების სრული ტრადიციული ციკლის განხორციელებას. მას ძალუძს შედეგის მოტანარმიმართულების ნებისმიერ ეტაპზე:რსამეცნიერო კვლევა-გამოყენებითი კვლევა-დანერგვა და განვითარება. ხდება ღირებულების შექმნის მაკროეკონომიკური მექანიზმის სრული ცვლილება, ღრუბლის პლატფორმის ეკონომიკის საფუძველზე. მასში ბაზრების მუშაობა ქსელური ურთიერთქმედების გავრცელების გავლენით გადადის მენეჯმენტის ახალ პრინციპზე, რომელიც რეალიზდება ღრუბლის პლატფორმებისა და ეკოსისტემების ურთიერთქმედების შედეგად.

პროდუქტებისა და მომსახურების (სერვისების) ჩვეულებრივი მიწოდებისგან განსხვავებით, ტექნოლოგიური კომპანიები ქმნიან ტექნოლოგიურ პლატფორმებს, რომლებიც ბაზრის სხვადასხვა მოთამაშეებს საშუალებას აძლევს შექმნან ახალი პროდუქტები, სერვისები და ერთობლივად გაცვალონ ღირებულებები. სხვა კომპანიებისთვის სარგებელი არის წვდომა ტექნოლოგიურ პლატფორმის გადაწყვეტებებზე და მათთან დაკავშირებულ ეკოსისტემებზე, რომლებსაც ისინი არ ფლობენ ან ვერ აკონტროლებენ. არის ცვლილებები სამრეწველო განვითარების მამოძრავებელ ძალებში, რომლებიც ქმნიან თანამედროვე ინოვაციებს. ბუნება, მექანიზმები და მათი გავლენა ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე მკვეთრად იცვლება, კერძოდ, დემოგრაფიის ახალი ტენდენციების გავლენით, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის დაბერებასთან (შობადობის შემცირებასთანაც), ასევე კლიმატურ ცვლილებებთან და გლობალიზაციის პროცესებთან. ამავე მიმართულებით მუშაობს სწრაფად განვითარებადი ციფრიზაციის პროცესი. ყალიბდება ეგრეთ წოდებული ციფრული ეკონომიკა, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული ყველა სახის ეკონომიკური საქმიანობის მთლიანობა. დღეს ის წარმოადგენს სამრეწველო ინოვაციური სისტემის ეკონომიკური ავანგარდის დომინანტურ ნაწილს, რომელიც ამჟამად ფორმირების ეტაპზეა ევროკავშირში. აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები არა მხოლოდ განვითარების ახალ შესაძლებლობებს ქმნის, არამედ პოტენციურ რისკებსაც წარმოშობს. ციფრული ტექნოლოგიების ფეთქებადმა განვითარებამ, მაგალითად, გამოიწვია ცვლილებები სამრეწველო დარგებში (ინოვაციებში), რამაც შექმნა რეალური საფრთხე დასაქმებისთვის. თანამედროვე მრეწველობაში ინოვაციური ცვლილებები, დღეს სულ უფრო მეტად ასოცირდება სინერგიის ეფექტის გამოყენებასთან, რომელიც გამოწვეულია რამდენიმე ტექნოლოგიის დაახლოებით. მრეწველობის განვითარების ციკლის ბოლო ეტაპზე ინოვაციურ ცვლილებათა ტრადიციული დანერგვით, ასეთი ეფექტი არ გამოვლენილა. ასეთი პერსპექტიული სამრეწველო ინოვაციები, რომლებიც გააერთიანებდა „ციფრულ“ და მატერიალურ სფეროებს, დაფუძნებული იქნებოდა რამდენიმე ტექნოლოგიაზე, რომლებიც ადრე ძალიან რთული შესამუშავებელი და/ან შესაძენი იყო. თუმცა, ასეთი სამრეწველო ინოვაციების უპირატესობების სრულად გამოყენება მოითხოვს: ახალ ბიზნეს მოდელებს, ახალი მენეჯერული და ორგანიზაციული კომპე-

ტენციების განვითარებასა და ენერგიის ახალ წყაროებზე გადასვლას (რომელთა ჩამოყალიბება ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს და მაღალ ეკონომიკურ პოტენციალს). ამ პირობების არსებობისას, მეწარმეები, რომლებმაც აითვისეს ამ ტიპის ცვლილებები, იღებენ შესაძლებლობას სწრაფად შევიდნენ ბაზარზე, შეცვალონ მასზე ქცევის წინა სცენარები წარმოებისა და ბაზრების კონვერგენციის გაძლიერების მიმართულებით. ეს იწვევს ახალი გლობალური მოწინავე კომპანიების გაჩენას.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა აშშ-ს მაგალითი, სადაც კომპანიები კაპიტალიზაციის კუთხით წამყვან პოზიციას იკავებს. ამ ინდიკატორის მიხედვით 15 უმსხვილეს გლობალურ კომპანიას შორის ორი – Facebook და Alibaba, არც კი არსებობდა ათი წლის წინ, ხოლო სხვებმა, როგორიცაა Apple და Amazon, გაზარდეს თავიანთი კაპიტალიზაცია 8 – 12-ჯერ. ამავდროულად, ინტერნეტ-კომპანიებმა Amazon-მა და Alibaba-მ „გადააფორმეს“ ბაზრის შექმნის კონცეფცია, „მოთხოვნისა და მიწოდების გაერთიანება კომპიუტერის გასაღების ერთი „დაწკაპუნებით“. **(6)**

ინოვაციების სარგებელი სულ უფრო მეტად კონცენტრირდება კომპანიებსა და სამრეწველო დარგებში, რომლებიც იკავებენ წამყვან პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე. ბოლო კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ 2001-2013 წწრმწარმოებელი მრეწველობისა და მომსახურების სექტორის ყველაზე ინოვაციური სამრეწველო კომპანიების 5%-ში დაფიქსირდა შრომის პროდუქტიულობის სტაბილური ზრდა, მთელ პერიოდში – 30-40%-ით, ხოლო დანარჩენებში – 10%-ზე ნაკლები (Kenny Ching, Joshua Gans and Scott Stern 2019). აშკარაა, რომ დაფიქსირებული ცვლილებების პირობებში აუცილებელია ინდუსტრიულ-ინოვაციური პროცესების ანალიზისა და შეფასების ახალი მიდგომები.(7)

აუცილებელია გამოვლინდეს როგორც ფაქტორები, რომლებიც კრიტიკულად მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და განაპირობებს მრეწველობაში მიმდინარე ცვლილებათა გავრცელების სიჩქარეს, ასევე შემაფერხებელ გარემოებებს. და რა თქმა უნდა, სტიმულირებისა და მეთოდების ძიება, რომლებიც საშუალებას მისცემს დააჩქაროს სამრეწველო ინოვაციების დანერგვა და მათი ფართო გავრცელება, რაც დამოკიდებულია ადეკვატური ჩარჩო პირობების (წესრიგის პოლიტიის) არსებობაზე. იგი განსხვავებულად იმოქმედებს ეფექტიანი ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურიდან ეფექტურად მოქმედ ბაზრებამდე.რმისი (ასეთი წესრიგის პოლიტიკის) ამოცანაა რესურსების გადანაწილება სამრეწველო-ინოვაციური განვითარების სასარგებლოდ. ევროკავშირში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფუნდამენტურ დებულებებსა და პრინციპებს, რომელთა გათვალისწინებაც, ევროპელი ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია.

დასკვნები

ინდუსტრიული განვითარების ეფექტიანი პოლიტიკის გატარება ევროკავშირში. იგი დამოკიდებულია ძალისხმევაზე რომელიც მიმართულია შემდეგ მიმართულებებზე:

- **რამდენიმე სახის სამრეწველო-ინოვაციური პერსპექტიული აქტივების გათვალისწინება.** ზოგიერთ მათგანზე ყურადღების ფოკუსირება ყოველთვის არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი ცვლილებათა პროცესის მხარდაჭერის შესაძლებლობების შესაფასებლად;
- **სამეცნიერო ბაზის მოდერნიზაცია კრიტიკული პირობაა** მსოფლიო დონის კვლევითი ცენტრების ფორმირებისა და გამრღვევი სამრეწველო ინოვაციების განვითარებისა და გააქტიურების პროცესში;

- შესამჩნევად იზრდება **პროფესიული უნარებისა და თვითგანვითარების როლი** სამრეწველო ინოვაციების მხარდასაჭერად და მათი გამოყენების სარგებლის მიწოდებაში;
- იზრდება ინოვაციების მხარდასაჭერად საჭირო **ცოდნის ნაკადის გაზრდის პირობების შექმნის როლი** და მათი დაჩქარებული და ფართო განვითარება;
- ბიზნესის განვითარების ტრადიციული ინდიკატორების მნიშვნელობის შენარჩუნებასთან ერთად, მათი მონიტორინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრეწველობის დარგობრივი ინოვაციური ფორმების შესაფასებლად. კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების ხელმისაწვდომობის სწრაფი ცვლილებების პირობებში, მაგალითად, მონაცემებზე, იზრდება ადეკვატური წესრიგის პოლიტიკის ჩარჩო პირობების ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს გამღრღვევი სამრეწველო ინოვაციების დაგროვებას, ზრდას და გავრცელებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

- სარისკო (ვენჩურულ) კაპიტალთან დაკავშირებით სამრეწველო ინოვაციების ციკლის ყველა ეტაპზე;
- რეგულირება, რომელიც ხელს უწყობს და არა ხელს უშლის ცვლილებათა (სიახლეთა) გაცვლას ეკონომიკის სექტორებს შორის;
- რესურსების სწრაფი და შეუფერხებელი გადანაწილების უზრუნველსაყოფად შექმნილი ბაზრების ფუნქციონირება. ასევე ერთიანი შემოქმედებითი „სათამაშო მოედნის“-კონკურენტული სივრცის ფორმირება ეფექტური კონკურენციის პოლიტიკის შედეგად.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **მოსახლეობის მიერ ინოვაციების მიღების ხარისხს**, რადგან ისინი სულ უფრო მეტად ახდენს ტრანსფორმაციულ გავლენას ადამიანთა ცხოვრების პირობებზე.

ამავე დროს ღია სამრეწველო ინოვაციების დაფიქსირებული დაჩქარებული გავრცელება, თავის მხრივ, მოითხოვს **მოსახლეობის პირდაპირ ფართო მონაწილეობას მათ დიზაინსა და განვითარებაში** (Sandra Broszeit, Ursula Fritsch, Holger Görg, and Marie-Christine Laible 2016). გამოდის, რომ ეს შეუძლებელია საზოგადოებაში სოციალური კაპიტალის არსებობის გარეშე. **(8)**

ლიტერატურა:

1. Dani Rodrik, Margaret MCmillan and Igo Verduzco-Gallo 2014. Globalization, Structural Change, and Productivity Growth, with an Update on Africa. (4) https://drodrik.scholar.harvard.edu/files/dani-rodrik/files/globalization_structural_change_productivity_growth_with_africa_update.pdf
2. Kenny Ching, Joshua Gans and Scott Stern 2019. Control versus execution: endogenous appropriability and entrepreneurial strategy. Industrial and Corporate Change, 2019, Vol. 28, No. 2, 389–408. doi: 10.1093/icc/dty040 (7)
3. Nordhaus William (2019). Climate Change: The Ultimate Challenge for Economics. American Economic Review 2019, 109(6): 1991–2014 https://doi.org/10.1257/aer.109.6.1991 (2) https://williamnordhaus.com/files/williamdnordhaus/files/p157-2019-nordhaus--nobellecture-aer.pdf
4. Philippe Aghion, Antoine Dechezleprêtre, David Hemous, Ralf Martin, John Van Reenen, 2016. CARBON TAXES, PATH DEPENDENCY AND DIRECTED TECHNICAL CHANGE: EVIDENCE FROM THE AUTO INDUSTRY. Working Paper 18596. (3) http://www.nber.org/papers/w18596 https://dash.harvard.edu/bitstream/handle/1/27759048/SSRN-id2186325.pdf
5. Philippe Aghion, Antonin Bergeaud, Timo Boppart, Peter J. Klenow, Huiyu Li 2022. A Theory of Falling Growth and Rising Rents (5); http://www.klenow.com/ABBKL_Falling_Growth_Rising_Rents.pdf

6. Ricardo Hausmann, Jason Hwang, Dani Rodrik, 2005. WHAT YOU EXPORT MATTERS. Working Paper 11905; http://www.nber.org/papers/w11905 (1)
7. Sandra Broszeit, Ursula Fritsch, Holger Görg, and Marie-Christine Laible 2016. MANAGEMENT PRACTICES AND PRODUCTIVITY IN GERMANY. Kiel Institute for the World Economy ISSN 2195–7525; https://d-nb.info/1128315815/34 (8)
8. Total market capitalisation of the Global Top 100 companies. Bloomberg Finance L.P. with PwC analysis 2022. (6) https://www.pwc.com/gx/en/audit-services/publications/top100/pwc-global-top-100-companies-by-market-capitalisation-2022.pdf

Industrial Policy Development Directions in European Union and Contemporary Challenges

Revaz Gvelesiani
Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irina Gogorishvili
Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article considers an effective industrial development policy in the European Union. It depends on efforts directed in the following directions: Consideration of several types of industrial and innovative promising assets. Focusing on a few is useless for evaluating change; the formation of research centers is the most important condition for the modernization of the scientific base; a noticeable increase in the role of professional skills and self-development; creation and development of conditions for the growth of the flow of knowledge; and Monitoring of business development.

Keywords: Innovation, industrial policy, European Union.

ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ევროპული გამოცდილება (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი)

რევაზ გველესიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ეკა ლეკაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

ნაშრომში გაანალიზებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების თავისებურებები, რაც განპირობებულია ეროვნული ეკონომიკის განვითარების და ევროკავშირთან ინტეგრირების ინტერესებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინდუსტრიული პოლიტიკის განვითარების ეტაპებში განხილულია ვერტიკალური ინდუსტრიული პოლიტიკიდან ჰორიზონტალურ, ხოლო დარგობრივი ინდუსტრიულ პოლიტიკიდან დეცენტრალიზებულ ტერიტორიულ პოლიტიკაზე გადასვლის თავისებურებები,. ანალიზის საფუძველზე მოხდა იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც დაკავშირებულია „ჭკვიანი სპეციალიზაციის“ მრავალდონიან მართვასთან. მათ შორისაა: არაეფექტიანი კოორდინაციის მექანიზმები; ხელისუფლების წევრებსა და აქტორებს შორის ნდობის ნაკლებობა და ტერიტორიული განსხვავება; ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების სირთულე; დღის წესრიგი და მოლოდინები ტერიტორიულ დონეებზე; ცხადი პოლიტიკური ვალდებულების არარსებობა აქტიური ჩართულობის მისაღწევად, ურთიერთგამომრიცხავი ზომების მიღება და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *ვერტიკალური, ჰორიზონტალური, დარგობრივი და დეცენტრალიზებული ინდუსტრიული პოლიტიკა; ახალი ინდუსტრიული პოლიტიკა; ეროვნული ეკონომიკა; სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა.*

პრობლემის აქტუალურობა: თანამედროვე პირობებში საბაზრო ჩავარდნების დასაძლევად, ადგილობრივი დარგების დაცვისა და რეგიონული განვითარების სტიმულირების უზრუნველსაყოფად, ასევე ციფრული მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ახალი დარგების ხელშეწყობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა საზოგადოების გრძელვადიანი მიზნების მხარდამჭერი ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის გატარება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროკავშირშიც მომწიფდა აზრი, რომ ევროგაერთიანების სამრეწველო პოლიტიკა გადახედვას მოითხოვს: ნაცვლად ტრადიციულ კონცეფციებზე დაყრდნობილი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა, საინვესტიციო ნაკადები უნდა წარიმართოს ისეთი ინდუსტრიებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგრად კეთილდღეობას, კლიმატზე მავნე ზეგავლენის შემცირებას და ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას. მრეწველობის გაციფრულება და მასთან დაკავშირებული „კარგი სამუშაო ადგილების“ შექმნა, ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომების პრიორიტეტულობა „ჭკვიანი მრეწველობის“ განვითარების გზით, დეკარბონიზაციის მხარდამჭერი პოლიტიკის ამოქმედება, ევროპის ყოვლისმომცველი სამრეწველო სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა გახდეს. ევროპის რეინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა გაიწერა შესაბამის დოკუმენტებში (ლისაბონის სტრატეგია 2000; ევროპის სტრატეგია 2020).

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ქვეყნების გამოცდილება ინდუსტრიული პოლიტიკის მიმართულებით საქართველოსთვის აქტუალურია, რადგან რიგი მაჩვენებლებლის მიხედვით, როგორებიცაა ბაზრის სიდიდე, სოციალისტურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება, ტრანსფორმაცია, ევროკავშირთან ინტეგრირების სტრატეგია და ა.შ. მათთან მსგავსება მკაფიოა. ამასთან, სლოვაკეთში და სლოვენიაში ინდუსტრიალიზციის პოლიტიკის მიღწევები და წარმატებები, ამ ქვეყნების გამოცდილების შესწავლას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამრეწველო პოლიტიკის შემუშავების, ავროკავშირთან კოორდინირებისა და იმპლემენტაციის გამოცდილების გაანალიზება წარმატების ხელშემწყობი ფაქტორების და თანამედროვე გამოწვევების გამოვლენის მიზნით.

კვლევის მეთოდები. კვლევისას გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარებისა და სტატისტიკური (დაკვირვების, შერჩევითი, დაჯგუფების) მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები.

ძირითადი ნაწილი:

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ევროპის ქვეყნების მთავრობების უმრავლესობამ ომის შემდგომი ეკონომიკის აღდგენისათვის აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკა გაატარა, რომელიც გამოყენებული იქნა პრიორიტეტული ინდუსტრიების მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

გვიანი 1980-იანი წლების პერიოდში, ევროპის ერთიანი ბაზრის შექმნისთანავე, „ვერტიკალურმა“[1] ინდუსტრიულმა პოლიტიკამ უპირატესობა დაკარგა, რამდენადაც რეიგან-ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკა ხაზს უსვამდა სახელმწიფოს როლის შემცირებას ეკონომიკის მართვაში, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების პრივატიზების მნიშვნელობას, საბაზრო ძალებზე მეტად დაყრდნობასა და ბიზნესთან მეგობრული „საინვესტიციო კლიმატის“ შექმნას. შესაბამისად, ბაზრის სპონტანური ძალები იქნებოდა ინდუსტრიის წარმატების ან წარუმატებლობის განმსაზღვრელი. ახალმა „ჰორიზონტალურმა“ მიდგომამ სახელმწიფოს ბიზნესის ზრდისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის როლი დააკისრა (Bartlett, 2014).

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კომუნისტური სისტემის პირობებში მეტად ინდუსტრიალიზებული იყვნენ, ვიდრე ეს მათი ეკონომიკური განვითარების დონეს შეესაბამებოდა, თუმცა, 1990-იან წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებისთანავე, ამ ქვეყნების ინდუსტრიული ბაზა ჩამოიშალა. ეს იყო გარდამავალი რეცესიისა და რესტრუქტურიზაციის ფენომენი, რომელიც ყველა გარდამავალ ქვეყანას შეეხო, მაგრამ, უფრო მკაფიოდ გამოიხატა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილი იუგოსლავიის დაშლისა და კონფლიქტების გამო. 1990-იანი წლების დააწყისში რეგიონში მკვეთრად შემცირდა წარმოებული პროდუქციისა და ინდუსტრიულ სფეროში დასაქმებული მუშების წილი, თუმცა 1996 წლიდან ამ ქვეყნების მრეწველობის სფეროში დასაქმების სტაბილიზაცია დაიწყო. გარდა ამისა, საერთაშორისო დახმარებებმა და მასთან დაკავში-

[1] ინდუსტრიული პოლიტიკის განხილვისას აქცენტი კეთდება ეკონომიკური აქტივობის სტრუქტურის ცვლილებაზე. თუ ამ ცვლილებებს პოლიტიკა ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებით, ანუ ფუნქციონალურ-ჰორიზონტალური ინდუსტრიული პოლიტიკით აღწევს, სახეზე გვაქვს ზოგადი ნეიტრალურ-ინტერვენციონისტული პოლიტიკა, ხოლო სექტორების შერჩევით მოცემული მიზნის მიღწევისას - სელექციური, ანუ ვერტიკალური ინდუსტრიული პოლიტიკა.

რებულმა პოლიტიკამ ეკონომიკაში სახელმწიფო ინტერვენციის შემცირების მოთხოვნა განმსაზღვრელი გახადა.

ზოგიერთი ქვეყანა ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია ამ ტენდენციისათვის. პრივატიზაციისა და მარკეტიზაციის ტემპი მართლაც უფრო ნელი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ვიდრე ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში და ბალტიისპირეთში. სლოვენია, პრივატიზაციის გრადუალისტურ მიდგომას ავითარებდა, რამაც საბოლოოდ გამოიწვია კაპიტალიზმის „კორპორატისტული“ მრავალფეროვნების შექმნა. სერბეთმა, ასევე, წინააღმდეგობა გაუწია ტრანსფორმაციის ამგვარ პოლიტიკას, თუმცა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი საბოლოოდ ინდუსტრიული პოლიტიკის გატარების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა (Filipe, 2015).

ევროკავშირში „ჰორიზონტალური“ ინდუსტრიული პოლიტიკა თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ ერთსულოვნად არ იქნა მიღებული. ინდუსტრიული პოლიტიკის ლიბერალური მიდგომა გახდა ერთ-ერთი პირობა აღმოსავლეთ ევროპის პოტენციური წევრი ქვეყნების ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ამრიგად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში თანდათანობით განხორციელდა ინდუსტრიული პოლიტიკის ევროპეიზაციის პროცესი. თუმცა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ლიბერალური პოლიტიკის მიდგომა ნაკლებად იყო მოწონებული და სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში გაგრძელდა უფრო დიდხანს.

1995-2008 წლების ინდუსტრიალიზაციის პერიოდი ეკონომიკური საქმიანობის კონსოლიდაციითა და რეგიონის ქვეყნების რეინდუსტრიალიზაციით ხასიათდება. რეინდუსტრიალიზაცია მოიცავდა არა მხოლოდ დამამუშავებელი მრეწველობის აბსოლუტური და ფარდობითი წილის ზრდას მსპ-ში, არამედ ცვლილებებს წარმოების სფეროში, დასაქმებაში, წარმოების სტრუქტურაში – გადასვლას უფრო მაღალტექნოლოგიური წარმოებისაკენ და შრომის პროდუქტიულობის ამაღლებას. მეტიც, საგრძნობლად გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის საქონლის ექსპორტი და, ასევე, მაღალტექნოლოგიური სამრეწველო საქონლის წილიც. ეს მიღწევები დიდწილად განპირობებული იყო დასავლეთ ევროპიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ახალი ტექნოლოგიების შეძენით. რეინდუსტრიალიზაციის ეს ნიმუში შეჯამებულია გამონათქვამში: „აწარმოე აღმოსავლეთით, გაიტანე დასავლეთით“ (Bartlett, 2014). (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

სამრეწველო დამატებული ღირებულება მსპ-ში (%)

წელი	საქართველო	სლოვაკეთი	სლოვენია
2021	9.2	19	**22.6**
2020	8.9	18.5	22
2019	8.3	21	21.7
2018	8.6	20.1	20.7
2017	8.7	18.7	21
2016	8.9	19	20.4
2015	8.9	19.6	19.9
2014	10.5	18.3	19.8

2013	10.5	15.7	19.5
2012	10.1	15.9	19.4
2011	9.5	16.1	19.5
2010	8.8	15.9	19
2009	8.4	13.1	18.1
2008	8.6	14.6	19.9
2007	9.1	14.9	20.3
2006	8.8	15	20
2005	8.3	14.5	19.8
2004	8	13.7	19.8

ცხრილი 1 შედგენილია UNIDO-ს მონაცემებზე დაყრდნობით

გვიანი 1990-იანი წლებიდან ჰორიზონტალური ინდუსტრიული პოლიტიკის შინაარსიც შეიცვალა: მოხდა დარგობრივი ინდუსტრიული პოლიტიკიდან დეცენტრალიზებულ ტერიტორიულ პოლიტიკაზე გადასვლა. ამასთან, ქვეყნები ჩაერთვნენ ევროკავშირის რეგიონულ პოლიტიკასა და ევროპული რეგიონული განვითარების ფონდის აქტივობებში (Naude et al. 2019). აღნიშნულმა მიდგომამ წინ წამოწია „რეგიონული კონკურენტუნარიანობის" გაძლიერების სტრატეგია და ხელი შეეწყო რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავებას.

ახალი ჰორიზონტალური ინდუსტრიული პოლიტიკის შინაარსი გულისხმობს:

1) მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას ლოკალურ დონეზე დეცენტრალიზებული ბიზნეს-კავშირებისა და სამრეწველო კლასტერების შექმნის საფუძველზე;
2) საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების და ბიზნეს-სექტორის აქცენტირებას „რეგიონულ ინოვაციურ სისტემებზე", „ცოდნის ეკონომიკასა" და „ცოდნის გადაცემაზე" (Bartlett, 2014).

პოლიტიკის გამტარებლებმა ევროპის ბევრ ქვეყანაში მხარი დაუჭირეს კლასტერების იდეას. აღსანიშნავია, რომ 2001 წელს კლასტერის პოლიტიკის ჩამოყალიბება დაიწყო სლოვენიაში, რომელიც მოგვიანებით მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ევროკავშირის პროგრამების მხარდაჭერით. იმავდროულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ ხელი შეუწყო სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრირებას გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში. 2004 წელს ევროკავშირში გაერთიანებამ სტიმული მისცა დელოკალიზაციის ტემპის ზრდას ძველ წევრ სახელმწიფოებში, რადგან ინდუსტრიებმა დაიწყეს გაერთიანებული სამეფოდან, საფრანგეთიდან და გერმანიიდან აღმოსავლეთ ევროპის ახალ წევრ ქვეყნებში გადასვლა (Naude et al., 2019).

2004 წელს გაწევრიანების შემდეგ, სლოვენიამ მოახერხა კვლევასა და განვითარებაზე მთლიანი შიდა დანახარჯების დაახლოებით 2%-ით დაახლოება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან. სლოვენიამ განსაზღვრა მხარდამჭერი და გრძელვადიანი ხედვა და გაატარა ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობდა ინოვაციების განვითარებას. გაწევრიანების პროცესშიც კი, სახელმწიფო ფლობდა ბანკებს და არ იყო პრივატიზებული. ფაქტობრივად, სლოვენაში პრივატიზაციამ გამოიწვია უფრო დიდი სახელმწიფო კონტროლი, რადგან ფირმების უმეტესობა, რომლებიც თით-

ქოს პრივატიზებული იყო, გამოსყიდულ იქნა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საპრივატიზაციო საინვესტიციო ფონდების მიერ. ევროკავშირში გაწევრიანების წინ, სლოვენიის პოლიტიკა შეიცვალა ჰორიზონტალურ ინდუსტრიულ პოლიტიკაზე მეტად კონცენტრირებით ევროკავშირის კანონმდებლობისა და მოთხოვნების შესაბამისად. ევროკავშირში გაწევრიანებამდე, ევროკავშირის ყოვლისმომცველი მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით გაიცა ინდუსტრიულ პოლიტიკასთან მიმართებით უმთავრესი რეკომენდაცია სლოვენიისთვის, რომ შეეჩერებინათ „სლოვენიური განვითარების კორპორაცია“, ორგანო, რომელიც ფლობდა სახელმწიფო კომპანიებს (EC, 2003).

2005 წელს ევროკომისიამ ხელახლა წამოიწყო ლისაბონის დღის წესრიგი, როგორც „ზრდისა და სამუშაო ადგილების სტრატეგია“, რომელიც ეფუძნებოდა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ინოვაციების მხარდაჭერის გაზრდის გზით. ევროკომისიის ახალი მიდგომა, აკადემიურ კვლევებთან ერთად, ჰარმონიულად აკავშირებდა ინოვაციებსა და ცოდნის ეკონომიკას რეგიონალურ ინოვაციურ სისტემებთან. პოლიტიკის შემმუშავებლებმა დაიწყეს პროგრამების მხარდაჭერა მაღალი ტექნოლოგიების კომპანიებსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის კავშირების გასამარტივებლად. ლისაბონის სტრატეგია უნივერსიტეტებს მოუწოდებდა შეექმნათ პროგრამები, რის საფუძველზეც მკვლევარებს და სტუდენტებს შეეძლოთ დაეფუძნებინათ მაღალტექნოლოგიური „სპინ-ოფ“ კომპანიები, თავიანთი სამეცნიერო გამოგონებების კომერციალიზაციისთვის.

2010 წელს ევროპულმა კომისიამ წამოაყენა ინდუსტრიული პოლიტიკის „ახალი მიდგომა“ (EC, 2010). შედეგად, არსებული ჰორიზონტალური ზომების გაუმჯობესებასთან ერთად, კომისიამ თავის „ახალ ინდუსტრიულ პოლიტიკაში“ გამოყო სექტორების სპეციფიკური განზომილება, როგორიცაა კოსმოსური ტექნოლოგია, სუფთა და ენერგო-ეფექტიანი ტრანსპორტი, სატრანსპორტო აღჭურვილობები, ჯანდაცვა, გარემოსდაცვითი საქონელი, ენერგიის მიწოდების და უსაფრთხოების ინდუსტრიები, ქიმიური ნივთიერებები, ინჟინერია, აგრარული სურსათი და ბიზნეს მომსახურება. „ინდუსტრიული პოლიტიკა აერთიანებს ჰორიზონტალურ მიდგომას და მიზნად ისახავს სტრატეგიული სექტორების სინერგიულ ურთიერთქმედებას, სექტორული მიდგომებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.“ [1]

იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ინდუსტრიები იყოს მხარდაჭერილი, საჭიროა ფოკუსირება ინოვაციებზე, რაც გულისხმობს ბიზნეს და ორგანიზაციულ ინოვაციებს. გლობალურ კონკურენტებთან დაკავშირებით ევროკავშირმა ჩამოაყალიბა შეთავაზება, რომ პირდაპირ და არაპირდაპირ მხარდაჭერა გამოუცხადოს მიზნობრივ ინდუსტრიებს ევროკავშირის ქვეყნებში. „არაპირდაპირი ინდუსტრიული პოლიტიკის“ ფარგლებში კერძო ფინანსური ინსტიტუტების როლი მხარდასაჭერი კანდიდატების პოვნაა. შემდეგ, მთავრობები არეგულირებენ წახალისების დონეს, რათა რისკის დადგენის შესაბამისად განსაზღვრონ გარანტიების მინიმალური და მაქსიმალური დონე. აღნიშნულს ადასტურებს ევროკავშირის ლისაბონის სტრატეგიის ფარგლებში საწარმოებისა და მეწარმეობის მრავალწლიანი პროგრამა; ევროპის საინვესტიციო ფონდის სხვადასხვა საკრედიტო გარანტიის პროგრამა. არაპირდაპირი ინდუსტრიული პოლიტიკა მუშაობს მხოლოდ კონკურენტულ გარემოში (6).

[1] http://europa.eu/legislation_summaries/enterprise/industry/n26109_en.htm

დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ გვაჩვენა, რომ მცდარია მოსაზრება, რომ განვითარებული ეკონომიკის, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები აღარ ატარებენ ინდუსტრიულ პოლიტიკას. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამომხმარებლო ბაზრის შექმნით, საერთო სტანდარტებისა და ევროკავშირის შიდა კონკურენციის კანონის მეშვეობით ევროკავშირმა გააძლიერა შიდა ღირებულებების ჯაჭვი და აამაღლა სამრეწველო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა. იმავდროულად, შეიმუშავა და აამოქმედა კანონმდებლობა და ინიციატივები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს უკეთ დაცვასთან და მდგრად, უსაფრთხო და ხელმისაწვდომ ენერგიასთან.

ახალი მიდგომით, ევროკავშირის კომისიამ არსებული ჰორიზონტალური ზომების გაუმჯობესებასთან ერთად, თავის ახალ ინდუსტრიულ პოლიტიკაში გამოყო სპეციფიკური სექტორები და მიზნად დაისახა სტრატეგიული სექტორების სინერგიული ურთიერთქმედება სექტორული მიდგომებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. გლობალურ კონკურენტებთან დაკავშირებით, ევროკავშირმა ჩამოაყალიბა შეთავაზება, რომ მხარი დაუჭიროს ინდუსტრიულ პოლიტიკას და მის განხორციელებას ევროკავშირის ქვეყნებს შორის მიზნობრივი ინდუსტრიების შესაბამისად. ამ პროცესში ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის წევრი სახელმწიფოები.

ლიტერატურა:

1. EUROPE 2020. A strategy for smart, sustainable and inclusive growth /*COM/2010/2020 final / Brussels, 3.3.2010;
2. European Commission (2010, 2011, 2012, 2017) OECD (2012);
3. Bartlett, W., (2014). Shut out? South-East Europe and the EU's New Industrial Policy, European Institute, London School of Economics and Political Science.
4. Naude, W., Surdej, A., Cameron, M. (2019). The past and Future of Manufacturing in Central and Eastern Europe: Ready for 4.0, IZA Institute of Labor Economics.
5. Filipe, J. (2015). Development and Modern Industrial Policy in Practice, Issues and Country Experiences, Asian Development Bank.
6. Development and Modern Industrial Policy in Practice, CO-PUBLICATION OF THE ASIAN DEVELOPMENT BANK AND EDWARD ELGAR PUBLISHING, Cheltenham, UK • Northampton, MA, USA, © Asian Development Bank 2015. 10-11.
7. Putting the EU Industrial Strategy into action, KPIs for tracking progress and benchmarking competitiveness, European Round Table for Industry, November 2020
8. General Principles of EU Industrial Policy, European Parliament, www.europarl.europa.eu/factsheets/en

Experience of the European Industrial Policy
(Case of South-East European countries)

Revaz Gvelesiani
TSU Professor, Doctor of Economic Sciences
Eka Lekashvili
TSU Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

The paper analyzes the features of the industrial policy development of the South-Eastern European countries, which were caused by the need to coordinate the interests of the development of the national economy and integration with the European Union. In the stages of development of the industrial policy of the South-East European countries, the features of the transition from vertical industry to horizontal, sectoral industrial policy to decentralized territorial policy, the problems of reindustrialization after the 2008 global financial crisis are discussed. Based on the analysis, the challenges related to the multi-level management of "smart specialization" were identified, including: ineffective coordination mechanisms; lack of trust and territorial differences between government members and actors; Difficulty in forming a unified vision; agenda and expectations at territorial levels; Absence of clear political commitment to achieve active engagement, adoption of mutually exclusive measures, etc.

Keywords: Vertical, Horizontal, Sectoral and Territorial Industrial policies; New Industrial Policy; National Economy; South-East Europe.

უფალი არის უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული

ირინა გოგორიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კვლევა წარმოადგენს ავტორის მიერ მათეს სახარების იგავში „ტალანტები“ მოცემული ნიჭის, ცოდნის გაცნობიერებისა და ცნობიერების-ჭკუის შესახებ ინფორმაციის სუბიექტურად გაანალიზების მცდელობა. ნაშრომში განხილულია ნიჭის, ცოდნისა და კრისტალიზებული ინტელექტის თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებები და თეორიები. ინტელექტის თეორიის მიხედვით ინტელექტი შეიძლება დაიყოს მოძრავ ინტელექტად – ლოგიკურად აზროვნების, ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის უნარი, რომელიც სცილდება წინა გამოცდილებას, ხოლო კრისტალიზებული ინტელექტი – დაგროვილი გამოცდილება და შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენების უნარი. მობილური ინტელექტი ეხება აღმასრულებელ ფუნქციებს. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ნიჭისა და მასთან დაკავშირებული შედეგებისა და სუბიექტური ვალდებულებების თავდაპირველი ანალიზი სახარებაშია მოცემული. თანამედროვე კვლევებში მოძრავი ინტელექტი, ყველაზე მეტად ეხება სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებს, მათემატიკასა და პროგრამირებას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მათეს სახარების იგავზე: ტალანტების შესახებ და მის კავშირზე ლუკას სახარების იგავ მინაზე. აქ იგულისხმება ღვთის მიერ მოცემული შესაძლებლობების ცოდნით დატვირთვა და გაფართოება რაც გვიჩვენებს, რომ ყველა გონებრივი შესაძლებლობა და ნიჭი უდიდესი საჩუქარია, რომელიც ადამიანს ღვთისგან ეძლევა. ქონება ამ იგავში გონებრივი გაცნობიერების შესაძლობებია, რომელსაც განსხვავებულად ანაწილებს უფალი, მაგრამ იგი დროებითია მათი გაფართოებისა და სიყვარულით გამსჭვალვის გარეშე.

ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია ცალკეული სიტყვები მათი შინაარსისა და კავშირების გათვალისწინებით.

უფალი წარმოდგენილია როგორც უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული რომელსაც მისი ძის (სიყვარულის) რწმენით ვღებულობთ და მისი გაცნობიერება (ჭკუის სიდიდე) რწმენით განმსჭვალვის ხარისხით განისაზღვრება. განათლება კი არის სიყვარულით გასხივოსნებული (განათებული) და განსაზღვრული (ადამიანის შესაძლებლობებითა და დროით ამ სამყაროში) ცოდნა.

***საკვანძო სიტყვები**: მათეს სახარება, ტალანტები, ინტელექტი.*

ტალანტი – ნიჭი განაპირობებს უნარების განვითარების მაღალ დონეს, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს წარმატებით, დამოუკიდებლად და ორიგინალურად შეასრულოს გარკვეული საქმიანობა. უნარების ასეთი ერთობლიობა შესაძლებელს ხდის აქტივობით ისეთი პროდუქტის მიღებას, რომელიც გამოირჩევა სიახლეებით, შესრულების მაღალი დონით და სოციალური მნიშვნელობით.

ნიჭის – ტალანტის პირველი ნიშნები შესაძლოა უკვე სუბიექტის ბავშვობაში შევნიშნოთ, თუმცა ნიჭი შესაძლოა მოგვიანებითაც გამოჩნდეს. იგი შეიძლება გამოიხატოს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მაგალითად, მუსიკის, ლიტერატურის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, სპორტის სფეროში, ორგანიზაციულ და პედაგოგიურ საქმიანობაში, ან წარმოების სხვადასხვა სახეობაში. შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც ნიჭის საფუძველია, თითოეულ შემთხვევაში განსაკუთრებულია, თანდაყოლილი მხოლოდ გარკვეული ადამიანისათვის.

არსებობს გარკვეული ტიპის ნიჭი, რომელსაც ადამიანები ფლობენ სხვადასხვა ხარისხით. 1980-იანი წლების დასაწყისში ჰოვარდ გარდნერმა (Gardner, Howard 1983) დაწერა გონების სტრუქტურა: მრავალჯერადი ინტელექტის თეორია (Theory of Multiple Intelligences), რომელშიც მან გამოავლინა რვა სახის ნიჭი, ინტელექტი:

1. ვერბალურ-ლინგვისტური (პასუხისმგებელია წერისა და კითხვის უნარზე, რომელიც თან ახლავს ჟურნალისტებს, მწერლებსა და იურისტებს);
2. ციფრული (ტიპური მათემატიკოსებისთვის);
3. სივრცითი (დამკვიდრებული დიზაინერებისა და მხატვრებისთვის);
4. ფიზიკური (სპორტსმენები და მოცეკვავეები ამით არიან დაჯილდოვებულნი, ეს ადამიანები უფრო ადვილად სწავლობენ პრაქტიკაში);
5. მუსიკალური (რიტმის, ტონალობის, ჟღერადობისა და ხმის ტემბრის);
6. ინტრაპერსონალური (პირადი) (მას ასევე უწოდებენ ემოციურს; ის პასუხისმგებელია იმაზე, თუ რას ეუბნება ადამიანი საკუთარ თავს);
7. ინტერპერსონალური (ამ ნიჭის მქონე ადამიანები ხშირად ხდებიან პოლიტიკოსები, მომხსენებლები, მოვაჭრეები, მსახიობები);
8. გარემოს ნიჭი (მოთვინიერები, ფერმერები ამ ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი.(1)

რაიმონდ კეტელას ინტელექტის თეორიის მიხედვით (Cattell, R. B. 1971) ინტელექტი პირობითად შეიძლება დაიყოს მოძრავ ინტელექტად – ლოგიკურად აზროვნების, ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის უნარი, რომელიც სცილდება წინა გამოცდილებას, ხოლო კრისტალიზებული ინტელექტი – დაგროვილი გამოცდილება და შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენების უნარი. მობილური ინტელექტი ეხება აღმასრულებელ ფუნქციებს. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ ნიჭისა და მასთან დაკავშირებული შედეგების, ვალდებულებებისა და სუბიექტური ვალდებულებების ანალიზი სახარებაშია მოცემული. (2)

მოძრავი ინტელექტი, თეორიის მიხედვით, ვლინდება ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ ყველაზე მეტად ეხება სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროებს, მათემატიკასა და პროგრამირებას. იგი მოიცავს სწავლის უნარს, ინდუქციურ და დედუქციურ აზროვნებას, აბსტრაქტულ აზროვნებას, კავშირებისა და შაბლონების ამოცნობას. მოძრავი ინტელექტი იყენებს სამუშაო მეხსიერებას და ხშირად მისი დონე ადამიანებში ზოგადად მჭიდრო კავშირშია სამუშაო მეხსიერების ზომასთან. ამასთან დაკავშირებით, წარმოიშვა თეორია მოძრავი ინტელექტის განვითარების შესაძლებლობის შესახებ სამუშაო მეხსიერების განვითარების გზით, ისეთი ტექნიკის გამოყენებით, როგორიცაა n-backward.(3) ადამიანის მობილური ინტელექტი იზრდება დაახლოებით 30-40 წლამდე, რის შემდეგაც იგი იწყებს კლებას.(4) მაგალითად, აუტიზმის მქონე პაციენტებში ჭარბობს მოძრავი ინტელექტი.(5)

კრისტალიზებული ინტელექტი პასუხისმგებელია გრძელვადიანი მეხსიერებიდან ცოდნისა და უნარების ამოღებაზე და მათ ნაცნობ პირობებში გამოყენებაზე, სადაც მოძრავი ინტელექტის ჩართვა არ არის საჭირო. კრისტალიზებული ინტელექტი განისაზღვრება დაგროვილი ცოდნის, ლექსიკის მოცულობითა და სიღრმით, იგი მოიცავს ვერბალურ შესაძლებლობებს და ხშირად იზომება ზუსტად ვერბალური შესაძლებლობების დონით. როგორც წესი, ადამიანის კრისტალიზებული ინტელექტის დონე ცხოვრების სხვადასხვა სფეროში განსხვავებულია. ადამიანის კრისტალიზებული ინტელექტი სიბერემდე იზრდება, რის შემდეგაც ის ჩვეულებრივ იწყებს დაქვეითებას.

კრისტალიზებული ინტელექტი არ არის მობილური ინტელექტის „კრისტალიზებული“ ფორმა – ეს არის ფუნქციურად განსხვავებული პროცესები, თუმცა კრისტალიზებული ინტელექტის დონე დამოკიდებულია მობილური ინტელექტის დონეზე, რადგან მაღალი მობილური ინტელექტის

მქონე ადამიანები, რომლებიც უფრო სწრაფად სწავლობენ, უფრო სწრაფად აგროვებენ კრისტალიზებულ ინტელექტს, რაც დადასტურებულია IQ ტესტებით.

იგავი ტალანტებზე

მათეს იგავი ტალანტებზე და ლუკას იგავი მინაზე (მათე 25:20-29 ; ლუკა 19:16-26) ერთი და იმავე იგავის ვარიანტი იყო. (6),(7). ორივე იგავის იდენტურობას ბევრი სერიოზული მკვლევარი აღიარებს. ამავდროულად, მათეს სახარების მიმოხილვა, როგორც უფრო „ერთგვაროვანი და კომპაქტური“, აღიარებულია ორიგინალურად, ხოლო ლუკა, მკვლევართა თქმით, ტალანტების იგავთან აერთიანებს კიდევ ერთ იგავს – აღშფოთებულ მოქალაქეებს. გამოთქმებში განსხვავების გათვალისწინებით, უფრო სავარაუდოა, რომ ორივე ცალკეული იგავი იყო, წარმოთქმული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებებში. სწორედ აქ უნდა გავჩერდეთ, რადგან არ არის საკმარისი მასალები შემდგომი განსჯისთვის. მარკოზის სახარებაში (მარკოზი 13:34-35) (8) ჩვენ მხოლოდ მცირე მინიშნებას ვპოულობთ მათესა და ლუკას იგავებში მოყვანილი გარემოებების შესახებ.

სიტყვა „ტალანტი“ მომდინარეობს წონის საზომიდან. „ტალანტი“ – ბერძნული ზომების სისტემის უმაღლესი წონის ერთეულია. ახალი აღთქმა შეიცავს ტალანტების იგავს, რომელშიც საუბარია სამ მონაზე, რომლებმაც მიიღეს ვერცხლის ტალანტები თავიანთი ბატონისგან შესანახად. ერთმა თავისი ტალანტი მიწაში ჩამარხა, მეორემ და მესამემ კი გაამრავლა.

ვინაიდან ეს იმ კაცივით იქნება, რომელმაც გამგზავრებისას მოუხმო თავის მონებს და ჩააბარა თავისი ქონება (მათ. 25,14; ლუკ. 19, 12)

მათე 25:15. და ერთს მისცა ხუთი ტალანტი, მეორეს ორი, მეორეს ერთი, თითოეულს თავისი შესაძლებლობების მიხედვით; და მაშინვე დაიძრა. (9)

მაშასადამე, უცხო ქვეყანაში წასული ადამიანის მთელი ქონება შედგებოდა რვა ტალანტისაგან. ეს ტალანტი, როგორც ჩანს მე-18 და 27 მუხლებიდან, იყო გარკვეული წონის ვერცხლი. სულიერი გაგებით, ტალანტი (ნიჭი) გაგებული იყო, როგორც ღმერთის მიერ ადამიანისთვის მინიჭებული სხვადასხვა უნარი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ღვთის სამსახურში და სახელმწიფოს (სამეფოს) წინსვლისთვის. ამ იგავიდან ნასესხები გამოთქმები – ტალანტი – ნიჭიერი, ნიჭს ნუ დამარხავ და ა.შ – სტერეოტიპად იქცა. ნებისმიერი საჩუქარი, რომელსაც ადამიანი ღმერთისგან იღებს აღქმულია როგორც ტალანტი – ნიჭი. მაგრამ არსებობს გარკვეული განსხვავება ამ ზოგადი კონცეფციის კონკრეტულ განმარტებებში. „ნიჭიერების ქვეშ, – ამბობს იოანე ოქროპირი, – აქ გასაგებია ის, რაც ყველას ძალაშია (შესაძლებლობებშია): ან მფარველობა, ან ქონება, ან **სწავლება,** ან მსგავსი რამ“. ძალის ქვეშ **იგულისხმება გონება და ცნობიერება** რომლითაც ღმერთმა ადამიანი ცხოველისგან განასხვავა. შეიძლება გავიგოთ ადამიანის მზადყოფნაც, მისი განწყობილება, ნებაყოფლობითი თუ უნებლიე, თავისი გონების საზღვრებში ემსახუროს **ქრისტეს სამეფოს საქმეს – სიყვარულით განათებულ ცოდნას.** ყველა გონებრივი შესაძლებლობა და ნიჭი უდიდესი საჩუქარია, რომელიც ადამიანს ღვთისგან ეძლევა. ქონება ამ იგავში გონებრივი შესაძლობებია, რომელსაც განსხვავებულად ანაწილებს უფალი, მაგრამ ადამიანს კრეატიული აზროვნების უნარი აქვს რის საფუძველზე მას ძალუძს გააფართოვოს თავისი შესაძლებლობები.

მათე 25:16. ვინც ხუთი ტალანტი მიიღო, წავიდა, დაამუშავა და კიდევ ხუთი ტალანტი შეიძინა;

მათე 25:17. ისევე, ვინც ორი ტალანტი მიიღო, დანარჩენი ორიც შეიძინა;

მათე 25:18. მაგრამ ვინც ერთი ტალანტი მიიღო, წავიდა, მიწაში ამოთხარა და თავისი ბატონის ფული დამალა.

აქ იგულისხმება ღვთის მიერ მოცემული შესაძლებლობების ცოდნით დატვირთვა და გაფართოება რაც (ნაჩუქარი შესაძლებლობები დროებითია მათი გაფართოებისა და სიყვარულით გაცნობიერების გარეშე, რასაც ქართულ ენაში სიტყვა „ჭკუა“ შეესაბამება, ხოლო ეკონომიკაში – სუბვენცია და არა სუბსიდია). მათეს სახარებაში აღწერილი მესამე მონის ქმედება მიჩნეულია ძველთა შორის ფულის დაზოგვის ჩვეულ მეთოდად (ჩვენს სოფლებშიც გამოიყენებოდა), როდესაც ფული იმარხებოდა საიდუმლო ადგილებში, რომელსაც მხოლოდ დამმალავი ან რამდენიმე სანდო პირი იცნობდა. ის ადამიანი ვინც ღვთისგან მოცემულ საჩუქარს ვერ გამოიყენებს და არ გაამრავლებს ვინც „დამარხავს“ თავის შესაძლებლობებს იგი საბოლოოდ ყველაფერს კარგავს. **მათე 25, 29 – ვინაიდან მქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს (მათ. 13, 12; მარ. 4, 25; ლუკ. 8, 18; 19, 26;). (10)**

მონების ბატონი უცხო ქვეყანაში წავიდა ისე, რომ მონებს რაიმე მითითება არ მისცა მის მიერ მიცემული ტალანტების შესახებ. ეს მათ თავად უნდა გამოეცნოთ, როგორც ეს იგავიდან ჩანს. ის, რომ ადამიანმა შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს და ცოდნით გაამდიდროს ეს კაცობრიობისთვის ტექნიკური პროგრესის სახელწოდებითაა ცნობილი. თუმცა ტექნიკური პროგრესი კაცობრიობის პროგრესის ტოლფასი არ არის თუ იგი სიყვარულით არ იქნება განათებული რაც თავის მხრივ ცოდნის გაცნობიერებაა (ასეთი უნდა იყოს პასუხი კაცობრიობის ცნობილი კითხვის მესამე ნაწილზე – სად მივდივართ?).

მათე 25:19. დიდი ხნის შემდეგ მოდის იმ მსახურების ბატონი და ანგარიშს ითხოვს.

მათე 25:20. მივიდა ის, ვინც მიიღო ხუთი ტალანტი, მოიტანა კიდევ ხუთი ტალანტი და თქვა: ბატონო! შენ მომეცი ხუთი ტალანტი; აჰა, ხუთი სხვა ტალანტი მათთან ერთად შევიძინე.

მათე 25:21. მისმა ბატონმა უთხრა: კარგი, კეთილო და ერთგულო მსახურო! ცოტაში ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ; შედი შენი ბატონის სიხარულში.

„ცოტაში ერთგული იყავი, ბევრზე დაგაყენებ“ ცათა სასუფეველში მიღების შესაძლებლობის მიცემაა. მნიშვნელოვანია, რომ ბატონის პასუხი ორივე მონისთვის ერთი და იგივე სიტყვებია რადგან ბატონმა (უფალმა) თავად განასხვავებული შესაძლებლობები შესძინა მათ. ამ იგავში არ არის განმარტებული თუ რატომ ასხვავებს ბატონი მონებს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანები დროში იღებენ თავიანთი აქტივობის შედეგებს, უფლისთვის დრო არ არსებობს და მან წინასწარ იცის შედეგები ამიტომაც იგი შესაძლებლობათა ეკონომიისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით, აგრეთვე შედარებითი უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობათა ჩვენებით შემოიფარგლება და ტალანტების არათანაბარი განაწილების განმარტებას არ გვაძლევს.

„კეთილი“ და „ერთგული“ ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ მათ მაიც გულთან აქვთ კავშირი. პირველ სიტყვაზე არსებობს მითითება – მოანიჭე შენს მორჩილს გული გონიერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისაგან (3 მეფეთა 3,9) (11). გულის სიბრძნე მცნებათა დაცვით მოიპოვება: მაგრამ უმთავრესი მათ შორის არის შიში უფლისა. „შიში უფლისაი – დასაბამი სიბრძნისაი“ (ფსალმუნი 110,10) (12). „შიში უფლისაჲ – დასაბამი სიკეთისაჲ (წმ. ისააკ ასური), – წმინდანთა აღქმაში უფლის შიში დასაბამია სიბრძნისა და სიკეთისა. სრულიად ნათელია, რომ უფლის შიშის შეზღუდვა ამცირებს როგორც სიბრძნეს ასევე სიკეთეს ამდენად მხოლოდ უფლის მოშიში ადამიანია როგორც ბრძენი ასევე კეთილი. არც ერთი უცოდინარი და უმეცარი ადამიანი არ შეიძლება უფლის მოშიში იყოს და თუ იგი აცხადებს რომ მორწმუნეა და უფლის მოშიში იგი ფარისეველია და ბოროტების მსახური. სიტყვა „ერთგული“ განიმარტება როგორც ადამიანის გული რომელშიც უფლის შიშია დასადგურებული შესაბამისად სიბრძნე, სიკეთე და სხვა ნიჭები.

ორმა მონამ გამოიცნო, რომ მათ მოეთხოვებოდათ ანგარიში და მოიქცნენ გონივრულად. მესამე სხვანაირად ფიქრობდა. გამოთქმაში „დიდი ხნის შემდეგ“ იგულისხმება, უფლის მეორედ მოსვლის უეცარობა და სიჩქარე. უფალს ადამიანებისთვის მოცემული აქვს „დიდი ხანი“ ანუ სააქაოში

განსაზღვრული დრო, რომლის გამნავლობაში კაცობრიობამ უნდა შეძლოს გამრავლებული და დაგროვილი ცოდნის სიყვარულით გაცნობიერება და უფლისთვის მისი დაბრუნება (სიკვდილით ცათა სასუფეველში მოხვედრა).

მათე 25, 26: **მიუგო მისმა ბატონმა მას პასუხად : „ბოროტო და ზარმაცო მონავ! შენ იცოდი, რომ ვიმკი, სადაც არ დამითესავს და ვკრეფ, სადაც არ დამიბნევია** (ანუ ცოდნას კი არ გვაძლევს უფალი არამედ მხოლოდ ნიჭს, მაგრამ ცოდნის სიყვარულით გაცნობიერებას ითხოვს – ჭკუას ითხოვს). კონფლიქტი რომელიც ომამდე მიდის ტექნიკური პროგრესის ამქვეყნიური სარგებლით გაცნობიერების შედეგია და არა სიყვარულით გაცნობიერებისა (ორი ტალანტის მიცემა ნიშნავს შედარებით მცირე შესაძლებლობების მიცემას, ხოლო 5 ტალანტი – იგულისხმება მეტი შესაძლებლობებით დასაჩუქრება სავარაუდოდ სიყვარულის უნარის გაცნობიერებაც). სწორედ აქ ძევს განსხვავება ხუთსა და ორ ტალანტს შორის.

ტალანტების იგავის გაცნობიერებისა და განხილვის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ:

განათლება არის სიყვარულით გასხივოსნებული (განათებული) და განსაზღვრული (ადამიანის შესაძლებლობებითა და დროით ამ სამყაროში) ცოდნა; ხოლო

უფალი არის უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული რომელსაც მისი ძის (სიყვარულის) რწმენით ვღებულობთ და მისი გაცნობიერება (ჭკუის სიდიდე) რწმენით განმსჭვალვის ხარისხით განისაზღვრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 56-57; (6)

2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 158-159; (7)
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 99; (8)
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 56; (9)
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1991. გვ. 27, 76, 129, 159; (10)
6. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989. გვ.298; (11)
7. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989. გვ. 548. (12)
8. Cattell, R. B. (1971). *Abilities: Their structure, growth, and action*. New York: Houghton Mifflin; ISBN 0395042755. (2)
9. Gardner, Howard (1983), Frames of Mind: The Theory of Multiple Intelligences, Basic Books; ISBN 978-0133306149 (1)
10. Kendra Cherry, David Susman, Aaron Johnson, (2021). Fluid Intelligence vs. Crystallized Intelligence; https://www.verywellmind.com/fluid-intelligence-vs-crystallized-intelligence-2795004 (4)
11. Kirchner, W. K. (1958), *Age differences in short-term retention of rapidly changing information.* Journal of Experimental Psychology, 55(4). 352–358; (3)
12. Mika Hayashi; Kato, Motoichiro; Igarashi, Kazue & Kashima, Haruo (2007). Superior fluid intelligence in children with Asperger's disorder, Brain and Cognition (Elsevier). Pp.306–310; doi:10.1016/j.bandc.-2007.09.008; https://web.archive.org/web/20190430081851/http://www.freewebs.com/adiscussion/Superior%20fluid%20intelligence%20in%20children%20with%20Asperger%27s%20disorder.pdf (5)

The Lord is infinite knowledge illumined by love

Irina Gogorishvili
Associate Professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the opinions and theories of modern researchers of talent, knowledge, intelligence and crystallized intelligence. It also analyzes the sacred texts given in the Gospels of the authors of the Gospels – Matthew, Mark and Luke. Among them, attention is focused on the parable of the talents in the Gospel of Matthew and its connection with the parable of Mina in the Gospel of Luke. The paper presents the author's views on talent, knowledge, awareness and mind-intelligence. Separate words are also analyzed taking into account their content and connections.

Keywords: Gospel of Matthew, talents, intelligence.

გლობალიზაცია და წარმოების გამოწვევები

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ალტე უნივერსიტეტი
ცირა მიქატაძე
ეკონომიკის დოქტორი

სტატიაში განხილულია გლობალიზაციის პირობებში წარმოების განვითრება, რაც მის ფრაგმენტაციაში გამოიხატება. განსაზღვრულია, რომ წარმოების ფრაგმენტაციის ხარისხი დამოკიდებულია, არამარტო გეოგრაფიულ დაშორებაზე, არამედ იმ დარგებზეც, რომელშიც ფუნქციონირებს ფირმა. გაანალიზებულია გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობით ქვეყნების მიერ სხვადასხვა სარგებლის მიღების შესაძლებლობები. ღირებულების გლობალური ჯაჭვის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია საწარმოო პროცესის ორგანიზაციის რეგიონალური ხასიათი.

ნაშრომის დასკვნაში აღნიშნულია, რომ წარმოების გლობალიზაციის თავისებურება მის ფრაგმენტაციაში ვლინდება, რომელშიც მონაწილე ქვეყნები (განვითრებული და განვითარებადი) მათი ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე არიან ჩართულნი. ამასთან ისინი გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვის წარმოქმნის და წარმოების ფრაგმენტაციის პირობებში სხვადასხვა ეტაპზე წარმოდგენილნი.

საკვანძო სიტყვები: *წარმოების ფრაგმენტაცია, ღირებულების გლობალური ჯაჭვი, წარმოების გლობალიზაცია, საწარმოო სიმძლავრეების ინტეგრირება*

წარმოების გლობალიზაცია გულისხმობს, რომ კომპანია ახდენს სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებული საწარმოო სიმძლავრეების ინტეგრირებას ერთიან სისტემაში, რის შედეგადაც პროდუქცია იმ კომპონენეტებისაგან შედგება, რომელიც მთელ მსოფლიოშია დამზადებული. ეს თავისებურება ცნობილია როგორც წარმოების ფრაგმენტაცია.

წარმოების ფრაგმენტაცია ნიშნავს წარმოების განთავსებას იმ ქვეყნებსა და რეგიონალურ ლოკაციებში, რომლებიც თავაზობენ მაქსიმალურ ეკონომიას. ამ პროცესს თან ახლავს ღირებულებათა ჯაჭვის ფართო გავრცელება.

ფრაგმენტაცია უკავშირდება გლობალიზაციას, ვინაიდან კომპანიები ცდილობენ იმ მომწოდებლების გამოყენებას, რომლებიც მეტად რენტაბელურნი არიან, თუნდაც ეს საზღვარგარეთ იყოს.

წარმოების ფრაგმენტაციის წინაპირობებია: გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე, კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა, მონაწილეთა დიდი რაოდენობა, საწარმოს სურვილი გაზარდოს მოგება, ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირი, ინოვაციების გავრცელება. ფრაგმენტაცია გამოიყენება აუთსორსინგის და ოფშორინგის ფორმაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ განახორციელა კვლევა დასახელებით „წარმოებულია მსოფლიოში“, სადაც ზოგიერთი საქონლის (კომპიუტერი, ავტომობილი) წარმოება ადვილად შესამჩნევს ხდის ქვეყნების ურთიერთკავშირს.

წარმოების გლობალური ფრაგმენტაციის პირობებში ხდება ვაჭრობის გაფართოება მზა და შუალედური პროდუქციით (შუალედური სამრეწველო საქონლის იმპორტის წილმა 50 პროცენტზე მეტი შეადგინა, ხოლო მომსახურების 70 პროცენტს შუალედური მომსახურება წარმოადგენს).

გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვის წარმოქმნის და წარმოების ფრაგმენტაციის პირობებში ხდება ძირითადი და დამხმარე საქმიანობის სახეების შეუღლება.

უპირტესობა ამა თუ იმ საქმიანობისა, იმ დარგის სპეციფიკაზეა დამოკიდებული, რომელშიც ფირმა ფუქციონირებს. თანამედროვე წარმოების პროცესი, კვლევებიდან დაწყებული კლიენტების მომსახურებით დამთავრებული, ყველა ეტაპს მოიცავს და მისი ეფექტიანად განხორციელებისთვის თითოეული რგოლი მნიშვნელოვანია.

ქვეყნები და კომპანიები ღირებულების სხვადასხვა სტადიებზე არიან განთავსებული მათი სპეციალიზაციის შესაბამისად მოიპოვებენ ნედლეულს თუ აწარმოებენ კომპონენტებს, ანუ აწყობენ, თუ ეწევიან დისტრიბუციას და კლიენტების მომსახურებას. ამასთან მაღალი დამატებული ღირებულებით გამოირჩევა გლობალური ჯაჭვის საწყისი (კვლევა) და საბოლოო რგოლები (კლიენეტების მომსახურება), ხოლო ყველაზე დაბალი დამატებული ღირებულებით პროდუქციის წარმოების ეტაპი.

მეცნიერთა აზრით, ფირმის არჩევანზე განახორციელონ წარმოების ფრაგმენტაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეპუტაცია და ურთიერთდამოკიდება, ტრანზაქციების სიხშირე. (შაბურიშვილი, 2018)

ღირებულების გლობალური ჯაჭვის შექმნის თავისებურებებს სწავლობენ მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. ისინი ამტკიცებენ, რომ ღირებულების გლობალური ჯაჭვი ქვეყნებს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობებს, გადაინაცვლონ დამატებული ღირებულების უფრო მაღალ საფეხურზე ქვეყნის შიგნით ხელსაყრელი პირობების შექმნით საერთაშორისო ბიზნესისათვის და უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის. (Bart, 2017)

გლობალური წარმოება სულ უფრო ფრაგმენტირდება და წარმოების სხვადასხვა ეტაპები სხვადასხვა ქვეყნებში რეგულარულად ხორციელდება.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვებში მონაწილეობით ქვეყნები იღებენ სხვადასხვა სარგებელს:

- ✓ უფრო მეტ სარგებელს ვაჭრობიდან;
- ✓ თავიანთი შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებას ეროვნული წარმოების განვითარებისათვის;
- ✓ ექსპორტის დახვეწას;
- ✓ თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას;
- ✓ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ✓ ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და წარმოების სრულყოფას;
- ✓ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას;

ამ სიკეთეებს იღებენ არა მხოლოდ მსხვილი კომპანიები, არამედ მცირე და საშუალო საწარმოებიც, რომლებსაც შეუძლიათ მოქნილობით და სისწრაფით გლობალურ ბაზარზე ნიშის დაკავება. (iset-pi.ge/ka/publications/research-reports)

მაღალი ფრაგმენტაციის დარგებს მიეკუთვნება: ტელეკომუნიკაციის მოწყობილობა, საავტომობილო წარმოება, მეტალურგია, ელექტროტექნიკური მრეწველობა (Кацер, 2019)

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ შეიმუშავა სავაჭრო ნაკადების შეფასების მეთოდიკა, რომლის დროსაც გამოყენებულ იქნა ქვეყანათაშორისი ბალანსები და ორმხრივი ვაჭრობის მატრიცები. ამგვარად მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა შეფასდეს იმ ღირებულების სიდიდე, რომელსაც თითოეული ქვეყანა ამატებს საერთაშორისო საქონელს და წარმოადგენა ვიქონიოთ მათი ინტეგრაციის ხარისხსა და პოზიციაზე გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში და საერთაშორისო საწარმოო ქსელებში.

ეს მეთოდიკა საშუალებას იძლევა შემუშავდეს მაჩვენებელთა ნაკრები ეროვნული კონკურენტუნარიანობისათვის, სავაჭრო პოლიტიკისათვის, ეკონომიკური ზრდის, ინოვაციებისა და განვითარებისათვის, აგრეთვე გლობალური რისკების განსაზღვრისათვის.

ქვეყნის როლის და მონაწილეობის ხარისხის განსზღვრის შემდეგ საჭიროა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოვლენა, ინსტრუმენტების შემუშავება პოზიტიური ეფექტის მისაღებად.

ISET ჯგუფმა განახორციელა კვლევა გლობალურ და რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვებში ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) წევრი ქვეყნების და მათ შორის საქართველოს მონაწილეობის შესახებ. მათ გამოთვალეს გლობალურ და რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვებში მონაწილეობის ინდექსი (RVC/CVC INDEX) CAREC-ს ქვეყნებისა და საქართველოსთვის. ინდექსით განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყნის შიდა და უცხოური დამატებული ღირებულების წილის საერთო ოდენობით კონკრეტული ქვეყნის ექსპორტში. თუ ინდექსი 30 პროცენტია, ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 30 პროცენტი სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონლისგან ან შუალედური საქონლისგან შედგება, რომელიც ქვეყნის შიგნით იქნა წარმოებული და მოგვიანებით სავაჭრო პარტნიორის ექსპორტის წილი გახდა. რაც მეტია ინდექსი, მით მეტია ქვეყნის მონაწილეობის ინტენსივობა გლობალურ ან რეგიონალურ ღირებულებათა ჯაჭვებში.

მათი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველო და CAREC-ის სხვა ქვეყნები ერთმანეთთან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან არ არიან მჭიდროდ ინტეგრირებულნი. ამასთან, CAREC ქვეყნების და საქართველოს მონაწილეობა 2006-2019 მზარდია, მხოლოდ კლებადია 2015 წელს.

კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთი მთავარი პარტნიორი ქვეყანა იყო საქართველოსთვის ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილეობის კუთხით (არა ვაჭრობის მთლიანი მოცულობით, რომლის მიხედვით, თურქეთი იყო მთავარი სავაჭრო პარტნიორი). ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველო უფრო ინტეგრირებულია ევროკავშირის ქვეყნებთან, იტალიასთან და გერმანიასთან, ვიდრე თურქეთთან. იტალია საქართველოდან უფრო მეტი დამატებული ღირებულების იმპორტს ახდენს და იყენებს შემდგომ ექსპორტში, ვიდრე რუსეთი.

ღირებულებათა ჯაჭვში ინტეგრაციისათვის ყველაზე მაღალი პოტენციალის მქონე მრეწველობის დარგების კვლევისას აღმოჩნდა, რომ საქართველოს ტექსტილის და ტანსაცმლის ინდუსტრია თურქეთის გავლით უკავშირდება გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვს. თურქეთი მთავარ როლს ასრულებს რეგიონში ტექსტილის იმპორტის და ექსპორტის კუთხით. ხის ავეჯის ღირებულებათა ჯაჭვში საქართველო და აზერბაიჯანი მტკიცედ ყალიბდებიან, როგორც ავეჯის რეგიონალური მწარმოებლები. საქართველო ასევე ხის ნედლეულის მომწოდებელიცაა (iset-pi.ge/ka/publications/research-reports). უდავოდ საინტერესო იქნება პანდემიისა და შემდგომი პერიოდის გაანაწილებაც.

წარმოების გლობალიზაციის თავისებურება მის ფრაგმენტაციაში ვლინდება, რომელშიც მონაწილე ქვეყნები (განვითარებული და განვითარებადი) მათი ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე არიან ჩართულნი. ამასთან ისინი გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვის წარმოქმნის და წარმოების ფრაგმენტაციის პირობებში სხვადასხვა ეტაპზე წარმოდგენილნი. გლობალური ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზით დაინტერესებული არიან მსოფლიო ორგანიზაციები და მკვლევარები, რომლებიც ღირებულებათა ჯაჭვში ქვეყნის ჩართულობის ფაქტორებს იკვლევენ ქვეყნისათვის პოზიტიური ეფექტების მისაღებად.

ლიტერატურა:

1. შაბურიშვილი მ., (2018) წარმოების პროცესის ფრაგმენტაციის თავისებურებები თანამედროვე ბიზნესში, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 2018
2. გლობალურ და რეგიონულ ღირებულებათა ჯაჭვებში CAREC-ის ქვეყნების მონაწილეობის შეფასება, iset-pi.ge/ka/publications/research-reports/1874
3. Bart l, M, (2017) Timmer, P. How Global Awe Global Ualue chuns? A.new approach Tomeaswe international Fragmentation//Joournal of regional science-2015 №1 p66-95
4. International Bank for reconstruction and Dewelopmen. Global Ualue chuns Developmentr Report. Waschington: The ward bank.
5. Lichenstein; N. (2009) the retal revolution. How Wal-mart vreated. A. Brove New ward of Business /N. Lichenstein-New York. Metropolitan books
6. А.Кацер, М.П.Мишкова, Рол Всемирной торговой организации во фрагментации производства, беларусь.

Globalization and Manufacturing Challenges

Nino Grigolaia
Alte University
Doctor of Economics, Professor
Tsira Mikatadze
Doctor of Economics

SUMMARY

The article examines the development of production in the context of globalization, which manifests itself in its fragmentation. It is determined that the degree of fragmentation of production depends not only on the geographical distance, but also on the sectors in which the company operates. The possibilities of countries to benefit from participation in global value chains are analyzed. Based on the analysis of the global value chain, the regional nature of the organization of the production process is determined.

The paper concludes that the peculiarity of the globalization of production is manifested in its fragmentation, in which the participating countries (developed and developing) are involved in different stages of the formation of the global value chain and fragmentation of production, depending on the level of macroeconomic development.

Keywords: fragmentation of production, global value chain, globalization of production, integration of production capacities.

გლობალიზაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ზრდა: ემპირიული ანალიზი

ბექა გურგენიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში ემპირიულად გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე გლობალიზაციის გავლენის შედეგები. გლობალიზაციის დონის შესაფასებლად გამოყენებულია შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ინდექსი (KOFGI). პანელურ ანალიზზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს პოსტსაბჭოთა 14 ქვეყანას 1996 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში, ნაჩვენებია, რომ გლობალიზაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დადებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ამავდროულად, ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის ინდექსის შემადგენელი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ინდექსების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. დროითი მწკრივის ანალიზის მიხედვით, ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი დადებით და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაციის ინდექსების გავლენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ზრდა, გლობალიზაციის ინდექსი*

გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია, რომელიც, ძირითადად, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ განზომილებებს მოიცავს. ხშირად გლობალიზაციას ინტერნაციონალიზაციის სინონიმადაც გამოიყენებენ (Van der Hoek, 2001). თუმცა ინტერნაციონალიზაციამ საფუძველი მოუმზადა გლობალიზაციის დაწყებას. ეკონომიკის გლობალიზაცია კი, წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის კანონზომიერი შედეგი და უფრო მაღალი სტადიაა (მექვაბიშვილი, 2021). აღნიშნული, თავის მხრივ, საქონლისა და მომსახურეობის, საერთაშორისო კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ქვეყნებს შორის შეუზღუდავ მიმოსვლას მოიცავს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით (WTO), მე 19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, გლობალიზაციის სულ მცირე ორი ეპიზოდი დაფიქსირდა. აღნიშნული ეპიზოდებიდან უახლესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, რასაც სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და, შედეგად, ეკონომიკისა და ვაჭრობის გახანგრძლივებული ზრდა მოყვა (WTO, 2008).

თეორიული თვალსაზრისით გლობალიზაცია ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად უნდა აისახოს, რადგან, მაგალითად, სატრანსპორტო სისტემების განვითარებისა და სავაჭრო ბარიერების შერბილების კვალდაკვალ, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულმა ქვეყნებმა, რომელებიც ფლობენ შეფარდებით უპირატესობას, უნდა ნახონ სარგებელი, რაც თავის მხრივ, მათი ეკონომიკის დამატებითი მასტიმულირებელია. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის კომპლექსური შინაარსიდან გამომდინარე, მისი ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის რაოდენობრივი შეფასება დიდი ხნის განმავლობაში სირთულეს წარმოადგენდა. 2006 წელს დრეჰერმა შემოგვთავაზა გლობალიზაციის ინდექსი (KOF Index of Globalization), რომელიც ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ განზომილებებს მოიცავს. ამავე ავტორმა, გლობალიზაციის საკუთარ ინდექსზე დაყრდნობით, 123 ქვეყანაზე ჩაატარა ანალიზი, რომელიც 1970 წლიდან 2000 წლამდე მონაცემებს მოიცავდა.

აღნიშნული ანალიზის მიხედვით, გლობალიზაცია ეკონომიკურ ზრდაზე დადებით გავლენას ახდენს (Dreher, 2006). შედარებით მოგვიანებით, 2010 წელს, ჩანგმა და ლიმ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნებისათვის შეისწავლეს გლობალიზაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ავტორებზე დაყრდნობით, განვითარებული ქვეყნებისათვის, გლობალიზაციას მოკლევადიან პერიოდში მცირე გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო ეფექტი გრძელვადიან პერიოდში გაცილებით დიდია (Chang & Lee, 2010). ევროკავშირის ქვეყნებზე ჩატარებული კვლევის მიხედვით, გლობალიზაცია აღნიშნული რეგიონის საშუალო ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება (Polask & Sellner, 2011). 74 ქვეყანაზე ჩატარებული ანალიზის მიხედვით, კილიჩმა აღმოაჩინა, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაცია ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად მოქმედებს, ხოლო სოციალური გლობალიზაცია უარყოფითად. ამავე ავტორზე დაყრდნობით, ეკონომიკურ ზრდასა და პოლიტიკურ და სოციალურ გლობალიზაციას შორის ორმხრივი მიზეზ-შედეგობრივი კავშირია (Kilic, 2015). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ განხორციელებულ კვლევაზე დაყრდნობით, კიჩარსლანმა და დუმრულმა დაასკვნეს, რომ პოლიტიკური გლობალიზაცია უარყოფით გავლენას ახდენს თურქეთის ეკონომიკურ ზრდაზე (Kılıçarslan & Dumrul, 2015). საინტერესოა ისლამური კოოპერაციის ორგანიზაციის (OIC) წევრ ქვეყნებზე ჩატარებული ანალიზი, რომლის მიხედვითაც, გლობალიზაციის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე განსხვავებულია ქვეყნების შემოსავლების დონის მიხედვით. კერძოდ, გლობალიზაცია მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება, ხოლო დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად (Samimi & Jenatabadi, 2014).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლიდან, პოსტსაბჭოთა ქვეყნების დიდი ნაწილი მსოფლიო გლობალიზაციაში აქტიურად ჩაერთო. მოცემულ ნაშრომში ემპირიული კვლევის გამოყენებით ვაჩვენებთ თუ რა ეფექტი აქვს გლობალიზაციას პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. გარდა ამისა, დროითი მწკრივებით აგებული მოდელის საფუძველზე შევაფასებთ საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენის დონეს.

მონაცემები და მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული მონაცემები მოიცავს 1991 წლიდან 2019 წლამდე პერიოდს. გლობალიზაციის ცვლადის როლში ვიხილავთ შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ ინდექსს (The KOF Globalisation Index – revisited, 2019). აღნიშნული ინდექსი აერთიანებს გლობალიზაციის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ქვე-ინდექსებს. თავის მხრივ, ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს სავაჭრო და ფინანსურ გლობალიზაციის ინდექსებს. პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსი შეიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა ქვეყანაში საელჩოების რაოდენობა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა და გაერთიანებული ერების მშვიდობისმყოფელთა მისიების შეფასება. სოციალური გლობალიზაციის ინდექსი, თავის მხრივ, აერთიანებს კულტურული გლობალიზაციის, საინფორმაციო გლობალიზაციისა და ინტერპერსონალური გლობალიზაციის ინდექსებს. ნაშრომში გამოყენებული სხვა მონაცემების წყაროა მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლიდან, პოსტსაბჭოთა ქვეყნების გლობალიზაციის ინდექსის მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო. წლების მიხედვით დათვლილ მედიანურ ინდექსზე დაყრდნობით (იხ. დიაგრამა 1), გლობალიზაციის დონე აღნიშნულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესამ-

ჩნევია ის ფაქტიც, რომ გლობალიზაციის ზრდა ცენტრალური აზიის ქვეყნებში შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა და გლობალიზაციის ინდექსის მედიანური მაჩვენებელი სხვა რეგიონების მაჩვენებელთან შედარებით დაბალია (იხ. დიაგრამა 1, მარჯვენა გრაფიკი). გამოსაყოფია 2014 წლიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნების მედიანური ინდექსის ზრდის შენელება. მოცემულ დინამიკას, ძირითადად, ის განაპირობებდა, რომ, მაგალითად, საქართველოში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში, უკრაინაში, ყაზახეთსა და სომხეთში სოციალური გლობალიზაციის ინდექსმა შეწყვიტა ზრდა. ამავდროულად, შესამჩნევია ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსების შემცირებაც. უნდა აღინიშნოს, რომ დიაგრამა 1-ის მიხედვით (მარცხენა გრაფიკი), 2006 წლიდან, საქართველოსთვის დათვლილი გლობალიზაციის ინდექსი აღემატება პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის ინდექსის მედიანურ მაჩვენებელს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2006 წლიდან საქართველოში გლობალიზაციის გაუმჯობესების ტენდენცია უკეთესი იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნების ცენტრალურ მაჩვენებელთან შედარებით.

დიაგრამა 1.

გლობალიზაციის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის



წყარო: შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტი, ავტორის გამოთვლები.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლიდან საქართველოს გლობალიზაციის ინდექსმა კლება დაიწყო, რასაც განაპირობებდა პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაციის ინდექსების შემცირება (იხ. დიაგრამა 2, მარცხენა გრაფიკი). ყურადღებას იქცევს დიაგრამა 2-ის მარჯვენა გრაფიკზე წარმოდგენილი დინამიკაც. კერძოდ, მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (GDP per Capita), რომელიც გამოსახულია დოლარში, 2015 წლის მუდმივი ფასით, მზარდი ტრენდით ხასიათდება. თუმცა გამოსაყოფია ის ფაქტი, რომ 2005 წლიდან საქართველოს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის დათვლილ ანალოგიურ მედიანურ მაჩვენებელს.

დიაგრამა 2.

გლობალიზაციის ინდექსის დეკომპოზიცია საქართველოსათვის (მარცხენა გრაფიკი). მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (მარჯვენა გრაფიკი)



შენიშვნა: KOFGI, KOFEcGI, KOFScGI და KOFPoGI აღნიშნავს აგრეირებულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გლობალიზაციის ინდექსებს, შესაბამისად.

წყარო: შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტი, მსოფლიო ბანკი.

იმისათვის, რომ შეგვეფასებინა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე გლობალიზაციის გავლენა, გამოვიყენეთ პანელური მონაცემების ანალიზის ეკონომეტრიკული მოდელი, რომლსაც შემდეგი სახე აქვს:

$$gr_gdp_{it} = \alpha_1 * gr_KOFGI_{it} + \alpha_2 * gr_cap_form_{it} + \beta X_{it} + v_{it},$$

სადაც, gr_gdp_{it} არის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის წლიურ ზრდა; gr_KOFGI_{it} – გლობალიზაციის ინდექსის წლიურ ზრდა; $gr_cap_form_{it}$ – მთლიანი კაპიტალის ფორმირების წლიურ ზრდა. ინდექსები i და t პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და დროის აღმნიშვნელია, შესაბამისად. X_{it} ვექტორი შეიცავს დამატებით ცვლადებს, რომელთა ჩართვა შესაძლოა მოდელისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს (უმუშევრობის დონე, სამუშაო ძალის მაჩვენებელი, მოსახლეობის ის წილი, რომელსაც სკოლის განათლება აქვს მიღებული); **β-კოეფიციენტების** ვექტორია, ხოლო v_{it}-კომპოზიტური შეცდომის აღმნიშვნელია.

ზემოთ მოყვანილ პანელურ მოდელთან ერთად, დამატებით, საქართველოს ეკონომიკისთვის, შევაფასეთ დროითი მწკრივების საფუძველზე აგებული ეკონომეტრიკული მოდელი იმ მიზნით, რომ გაგვერკვია რა როლი ითამაშა საანალიზო პერიოდში გლობალიზაციამ საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე. მოდელის თეორიული ვარიანტი შემდეგი სახისაა:

$$gr_gdp_t = \alpha_1 * gr_KOFEcGI_t + \alpha_2 * gr_KOFPoGI_t + \alpha_3 * gr_KOFSoGI_t + \alpha_4 * gr_cap_form_t + \beta X_t + v_t.$$

სადაც, $gr_KOFEcGI_t$, $gr_KOFPoGI_t$ და $gr_KOFSoGI_t$ აღნიშნავს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაციის ინდექსების წლიურ ზრდას, შესაბამისად. დანარჩენი ცვლადები იმავე შინაარსისაა, როგორც მათ ზემოთ მოყვანილი პანელური მოდელის შემთხვევაში გააჩნდათ.

შედეგები

ჰაუსმანის ტესტზე დაყრდნობით, რომელიც შემთხვევითი ეფექტებისა (RE) და ფიქსირებული ეფექტების (FE) შეფასებებს შორის არჩევანის გაკეთებაში გვეხმარება, ზემოთ აღწერილი პანელური მოდელის შეფასება ფიქსირებული ეფექტების (FE) მიდგომით უნდა განხორციელდეს. აღნიშნული ტესტის შედეგს ამყარებს ასევე საღი აზრი იმის შესახებ, რომ თითოეულ ქვეყანას შესაძლოა გააჩნდეს დროში უცვლელი მახასიათებელი (მაგალითად მმართველობის ფორმა), რომელიც, გარკვეულწილად, შესაძლებელია კავშირში იყოს, როგორც მთლიანი კაპიტალის ფორმირებასთან, ისე გლობალიზაციის დონესთან. შესაბამისად FE შეფასების არჩევა გამართლებულია. გარდა ამისა, რაც არ უნდა ფილოსოფიურად მივუდგეთ დროში ფიქსირებული ინდივიდუალური ცვლადის ბუნებას, აგრეგირებული მონაცემებით პოლიტიკის ანალიზისას, FE თითქმის ყოველთვის უფრო დამაჯერებელია, ვიდრე RE (Wooldridge, 2013). შეფასების შედეგები მოცემულია ცხრილი 1-ში. როგორც მოსალოდნელი იყო, გლობალიზაციის ინდექსის კოეფიციენტი დადებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, სრული საფუძვლი გვაქვს ჩავთვალოთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე გლობალიზაციამ დადებითი გავლენა მოახდინა.

ცხრილი 1.

პანელური მოდელის შეფასება FE მეთოდით

gr_gdp	Coef.	Std. Err.	t	P>|t|	[95% Conf.	Interval]
gr_KOFGI	.323451	.1168501	2.77	0.006	.0935195	.5533824
gr_cap_for	.0789583	.0161814	4.88	0.000	.0471175	.1107991
_cons	.0417312	.0034368	12.14	0.000	.0349684	.0484939

წყარო: ავტორის გამოთვლები

დროითი მწკრივის ანალიზზე დაყრდნობით, საქართველოსათვის შეფასებული მოდელის შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 2-ში. უნდა აღინიშნოს, რომ, დიკი-ფულერის ტესტის მიხედვით, მოდელში გამოყენებული ყველა ცვლადი სტაციონალურია. ამავდროულად, ბროშ-გოდფრისა და ბროშ-პაგანის ტესტების მიხედვით მოდელში არ შეინიშნება სერიული კორელაცია და ჰეტეროსკედასტურობა. მოდელის შეფასებით მიღებული შედეგი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი 10%-იანი მნიშვნელოვნების დონით დადებითად ზემოქმედებდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. აღნიშნულ ფაქტს დიდ წილად განაპირობებს ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან, საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგარეო სავაჭრო ბრუნვა, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების მოცულობა, სავაჭრო და საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების რაოდენობა. გარდა ამისა, შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და გადასახადები. სწორედ ჩამოთვლილი ფაქტორებია გაერთიანებული ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში და, შესაბამისად, ამ უკანასკნელის დადებითი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე სავსებით საფუძვლიანია. პოლიტიკურ და სოციალურ გლობალიზაციის ინდექსებსაც დადებითი გავლენა აქვთ ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა მათი ეფექტი სტატისტიკურად არ არის მნიშვნელოვანი (იხ. ცხრილი 2). უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური გლობალიზაციის ინდექსი, ერთი მხრივ, შეიცავს ისეთ ცვლადებს (აეროპორტების რაოდენობა, საერთაშორისო სტუ-

დენტების რაოდენობა, კაბელური და მობილური ტელეფონების გამომწერთა რიცხვი, ინტერნეტისა და ტელევიზიის ხელმისაწვდომობა, პრესის დამოუკიდებლობა და სხვა) რომლებიც, წესით, ეკონომიკურ ზრდაზე არ უნდა მოქმედებდნენ მოკლევადიან პერიოდში. ხოლო, მეორე მხრივ, ზემოთ ხსენებულში დამატებით გაერთიანებულია ცვლადები (ფულადი ტრანსფერები, საერთაშორისო ტურიზმი, ადამიანური კაპიტალი, გენდერული ბალანსი და სხვა), რომელთა გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე დადებითი უნდა იყოს. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოციალური გლობალიზაციის ინდექსი დროში მზარდია (დიაგრამა 2, მარცხენა გრაფიკი), აღნიშნული, ძირითადად, იმ ცვლადების ზრდით არის განპირობებული, რომლებსაც ეკონომიკურ ზრდაზე მოკლევადიან პერიოდში გავლენა არ აქვთ. რაც შეეხება პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსს, მასში გაერთიანებულია ისეთი ცვლადები (საელჩოების რაოდენობა, საერთაშორისო ორგანიზაციების, ხელშეკრულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა და სხვა), რომლებსაც, სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ ზრდაზე გავლენა არ აქვთ მოკლევადიან პერიოდში. აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ, როცა ხდება გლობალიზაციის მოკლევადიანი გავლენის ანალიზი ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსის ცალკეულ ამხსნელ ცვლადად განხილვა სრულიად საკმარისია. თუმცა, საინტერესოა, რომ რუმინეთისათვის ჩატარებული ანალიზის მიხედვით, ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსები დადებით და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რუმინეთის ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო სოციალური გლობალიზაციის ინდექსი უარყოფითად მოქმედებს ამ უკანასკნელზე (Olimpia & Stela, 2017). ამავდროულად, თურქეთისათვის ჩატარებული კვლევის მიხედვით, პოლიტიკური გლობალიზაცია თურქეთის ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება და ეს შეფასებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (Kılıçarslan & Dumrul, 2015).

ცხრილი 2.

მოდელის შეფასება საქართველოსთვის

gr_gdp	Coef.	Std. Err.	t	P>|t|	[95% Conf.	Interval]
gr_KOFEcGI	.3883213	.217672	1.78	0.090	-.0672715	.843914
gr_KOFPoGI	.0511711	.1462331	0.35	0.730	-.2548983	.3572405
gr_KOFSoGI	.0834065	.2907002	0.29	0.777	-.525036	.691849
gr_cap_for	.0201329	.009723	2.07	0.052	-.0002176	.0404835
_cons	.0490051	.0113534	4.32	0.000	.025242	.0727681

წყარო: ავტორის გამოთვლები

დასკვნა

გლობალიზაცია კომპლექსური პროცესია, რომელიც ქვეყნებს შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთდამოკიდებულებას ზრდის. წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია, ერთი მხრივ გლობალიზაციის აგრეგირებული ინდექსის გავლენა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე, მეორე მხრივ კი – გლობალიზაციის შემადგენელი სამი ქვე-ინდექსის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე. პანელური მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ

გლობალიზაცია დადებითად აისახება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. ცალკეულ ქვეყნებთან მიმართებით გლობალიზაციის როლი შეიძლება არაერთგვაროვნად შეფასდეს. მაგალითად, საქართველოს შემთხვევაში, ჩვენი კვლევის მიხედვით, ეკონომიკის ზრდაზე დადებითად მხოლოდ ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი მოქმედებს. არსებული დროითი მწკრივების მონაცემები პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაციის ინდექსების საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე გავლენის ეფექტის შესახებ საკმარის სტატისტიკურ მტკიცებულებას არ იძლევა.

ლიტერატურა:

1. მექვაბიშვილი, ე. (2021). ეკონომიკის გლობალიზაციის პარადოქსები. *VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“*, (გვ. 215-221).
2. Chang, C. P., & Lee, C. C. (2010). Globalization and Economic Growth: A Political Economy Analysis for OECD countries. *Global Economic Review, 39*, 151-173.
3. Dreher, A. (2006). Does Globalization Affect Growth? Evidence from a new Index of Globalization. *Applied Economics, 38*, 1091-1110.
4. Gygli, S., Haelg, F., Potrafke, N., & Sturm , J. E. (2019). The KOF Globalisation Index – revisited. *Review of International Organizations*.
5. Kilic, C. (2015). Effect of globalization on economic growth: a panel data analysis for developing countries. *Economic Insights-Trends and Challenges, 14*, 1-14.
6. Kılıçarslan, Z., & Dumrul, Y. (2015). The Impact of Globalization on Economic Growth: Empirical Evidence from the Turkey. *International Journal of Economics and Financial Issues*, 115-123.
7. Olimpia, N., & Stela, D. (2017). IMPACT OF GLOBALISATION ON ECONOMIC GROWTH IN ROMANIA: AN EMPIRICAL ANALYSIS OF ITS ECONOMIC, SOCIAL AND POLITICAL DIMENSIONS. *DE GRUYTER*, 29-40.
8. Polask, W., & Sellner, R. (2011). Does Globalization Affect Regional Growth? Evidence for NUTS-2 Regions in EU-27. *DANUBE, 4*, 23-65.
9. Samimi, P., & Jenatabadi, H. S. (2014). Globalization and Economic Growth: Empirical Evidence on the Role of Complementarities. *PLoS ONE*.
10. Van der Hoek, M. (2001). Post-Soviet Globalization. *South African Journal of Economic and Management Sciences*.
11. Wooldridge, J. M. (2013). *Introductory Econometrics: A Modern Approach.*
12. World Trade Organization (WTO), (2008). World Trade Report 2008 Trade in A Globalizing World, World Trade Report.

Globalization and post-Soviet Countries'

Economic Growth: Empirical analysis

Gurgenidze Beka
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

Globalization is a complicated process, which is not a new phenomenon. It has three main dimensions: political, social and economic. Considering a complex content of globalization, an important problem of researchers was related to quantitatively express the effect of globalization on economic growth. After the construction of different indexes measuring globalization in different countries, many authors estimated the impact of globalization on economic growth. This article empirically analyzes the effects of globalization on the economic growth of post-Soviet countries. The index developed by the Swiss Economic Institute (KOFGI) is used to assess the level of globalization. Based on a panel data analysis covering 14 post-Soviet countries in the period from 1996 to 2019, it is shown that the impact of globalization on economic growth is positive and statistically significant. In addition, the paper discusses the influence of the economic, political and social indices, which are included in the globalization index, on the Georgian economy. According to the time series analysis, the economic globalization index has a positive and statistically significant effect on the economic growth in Georgia, while the influence of the political and social globalization indices is statistically insignificant.

რისკის გამოვლენის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი აგრარულ სექტორში

ნინო დამენია
ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოსათვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსათვის, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია აგრარული სექტორის განვითარება. რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკთან.

რისკისა და გაურკვევლობის პირობებში გადაწყვეტილების მიღების ანალიზი შესაძლებლობას იძლევა უკეთ შევიცნოთ ეკონომიკური გარემო და გავაკეთოთ ოპტიმალური არჩევანი. საკითხის სიღრმისეული ანალიზი შესაძლებელს ხდის არსებული ალტერნატივებიდან მიღებული იქნას საუკეთესო გადაწყვეტილება.

რისკი დაკავშირებულია მოსალოდნელ დანაკარგებთან და მისი მინიმუმამდე შემცირების მიზნით მეწარმეს/ფერმერს უნდა შეეძლოს მოსალოდნელი რისკების პროგნოზირება, მეტნაკლები სიდიდით შედეგების განსაზღვრა და რისკის რეგულირება. ეკონომიკური გარემოს ცვალებადობის პირობებში აგრარულ ბიზნესში რისკის საფრთხე კიდევ უფრო მზარდია. მოსალოდნელი რისკების გამოვლენა, ანალიზი და მართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

საკვანძო სიტყვები: *აგრარული რისკი, სპეციფიკური რისკი აგრარულ სექტორში, რისკის შეფასება.*

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც დარგის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში ცვლილებას განიცდიდა. თანამედროვე პირობებში, სფეროს მნიშვნელობა განისაზღვრება სოფლის მეურნეობის წილით მშპ-ში და დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობით აგრარულ სექტორში.

თანამედროვე მსოფლიოში პირველადი წარმოების (სოფლის მეურნეობა) პროცენტულმა წილმა მთლიან შიდა პროდუქტში დროის მსვლელობასთან ერთად თანდათან დაიკლო განვითარებულ ქვეყნებში. დღევანდელ რეალობაზე დაყრდნობით, რაც უფრო მაღალია ქვეყნის განვითარების დონე, მით უფრო დაბალია სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში და პირიქით. ამას ამტკიცებს ზოგადი სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც მაღალი GDP-ს მქონე ქვეყნებში სოფლის მეუნეობის წილი 4%-ზე დაბალია, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში კი ამ დარგის წილი 30%-ის ტოლია. რაც შეეხება საქართველოს, 2021 წელს, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 7%-ს შეადგენდა [2].



განსხვავებულია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით, რაც თავისთავად ამ დარგის მნიშვნელობას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად წარმოაჩენს. 2022 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 40,3% სოფლად ცხოვრობს და მათი უმეტესობა თვითდასაქმებულია. აღსანიშნავია ისიც, რომ გაეროს მსოფლიო ურბანიზაციის პერსპექტივების პროგნოზით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი კლებადია და 2050 წლისთვის მათი პროცენტული წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან 27%-მდე შემცირდება [1; გვ.8].

ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით საქართველოში იდეალური პირობებია სოფლის მეურნეობის და აგრობიზნესის წარმატებით განვითარებისთვის, თუმცა არსებობს მთელი რიგი ფაქტორები და რისკები, რომლებიც დარგის სრულყოფილად მუშაობას აფერხებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წლის მეორე კვარტალში, სოფლად დასაქმების დონე 41,4%-ია, ხოლო 2021 წლის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება 5697,9 მლნ. ლარია.

საქართველოში ითვლებოდა, რომ თუ პიროვნება ცხოვრობს სოფელში და საოჯახო მეურნეობაში აწარმოებს საკვებ პროდუქტს, მაშინ იგი თვითდასაქმებულია და ჩართულია სოფლის მეუნეობის საქმიანობაში. აღნიშნული იწვევდა საერთო სტატისტიკურ უზუსტობებს და დარგის არასწორ შეფასებას. 2020 წლიდან საქსტატმა დანერგა მე-19 და მე-20 კონფერენციაზე მიღებული სტანდარტები და მეთოდოლოგია. შსო-ს ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად საკუთარი მოხმარებისათვის [4, გვ.85].

რისკის თეორიისა და მეთოდოლოგიის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია აგრარულ სექტორში რისკისათვის დამახასიათებელი ტიპებისა და მათი წარმოშობის მიზეზების დადგენა, რისკის გამოვლენის ფორმების, გამაძლიერებელი და შემარბილებელი ფაქტორებისა და შესაძლო დანაკარგების პროგნოზირების მეთოდების შემუშავება. ასეთი მეთოდოლოგიის ცოდნით შესაძლებელია დიდი და მნიშვნელოვანი დანაკარგებისაგან თავის არიდება.

აგრარულ სექტორში რისკის გამოვლენის რამოდენიმე წყარო არსებობს. მათ შორის უპირველესია წარმოების ფაქტორთა ხარისხისა და რაოდენობის არასასურველი ცვლილება. იგი დაკავშირებულია სათესლე მასალის, სასუქის, კომბინირებული საკვების შემცირებასთან, დაბალი ხარისხის ტექნიკასთან, საწვავ-საცხები მასალების დროულად მიუწოდებლობასთან და სხვა. ცნობი-

ლია, რომ არასაიმედო და დაზიანებული ტექნიკა წარმოადგენს რისკის წარმოქმნის მიზეზს მოსავლის აღებისას, დანახარჯების ზრდის წყაროს ტექნიკის რემონტზე და ა.შ. რაც შეეხება მინერალურ სასუქებსა და შხამქიმიკატებს, მათი რაოდენობის შემცირება იწვევს მოსავლიანობის შემცირებასაც [7].

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ჩართული თითოეული ფერმერის მიზანი ისეთი პროდუქციის წარმოებაა, რომელზე მოთხოვნაცაა ბაზარზე, რაც მეტი შემოსავლის მიიღების გარანტია. შემოსავლების მაქსიმიზება, კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულ სუბიექტს შესაძლებლობა აქვს სრულად გამოიყენოს ყველა ის საჭირო ფაქტორი, რომელიც წარმოებას ესაჭიროება, მათ შორის ტექნოლოგიაც. ფერმერებისთვის და მეწარმეებისთვის დროულად და სრულყოფილად მიწოდებული ინფორმაცია დარგში ტექნოლოგიების შესახებ დადებითად ზემოქმედებს წარმოების ეფექტიანობასა და შემოსავლებზე.

საქართველოში სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებულია, რადგან ჩვენი წარმოება და სოფლის მეურნეობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ არის მცდლეობა გარკვეული პროდუქტების შექმნის. საქართველოში 1 ჰექტარზე საშუალოდ 2-3 ტონა ხორბალი იწარმოება. ამ მაჩვენებლს თუ შევადარებთ ხორბლის ექსპორტიორი ქვეყნების მაჩვენებელს, ვნახავთ, რომ დიდი სხვაობაა, ვინაიდან ექსპორტიორი ქვეყნები 1 ჰექტარზე საშუალოდ 8-9, საუკეთესო შემთხვევაში კი 12 ტონა ხორბალსაც აწარმოებენ. ამ სხვაობის გამო ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე იყიდება დიდი რაოდენობით იმპორტირებული ხორბალი, ვინადან ადგილობრივი წარმოება და სოფლის მეურნეობა კონკურენციას ვერ უწევს მას. ასეთი შედეგების ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი არის წარმოების მაღალი თვითღირებულება. თუმცა, ეს პრობლემა მაღალი ტექნოლოგიური პირობების არსებობის შემთხვევაში არ იქნებოდა აქტუალური. ამიტომ სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ ფაქტორი სწორედ ტექნოლოგიებია, ვინაიდან მათი სიმწირის გამო წარმოება და ზოგადად დარგი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგება [5].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სათანადო ტექნოლოგიური ბაზა ნიშნავს მავნებლების, ამინდით გამოწვეული უარყოფითი შედეგების, დაავადებათა მიმართ მცენარეთა და ცხოველთა მოწყვლადობის და სხვა უამრავი რისკის ალბათობის შემცირებასაც.

თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად აუცილებელია საჭირო ინფორმაციის დროულად ფლობა. ინფორმირებულობა და ცოდნა სოფლის მეურნეობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ფერმერისთვის. სოფლის მეურნეობაში ჩართულ მოსახლეობას წარმატებისთვის ისევე ესაჭიროებათ მენეჯმენტის, თანამედროვე მიდგომების, მარკეტინგის საკითხების ცოდნა, როგორც დიდი კორპორაციების წარმომადგენლებს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით აგრარულ სექტორში რეგისტრირებული 8004 სუბიექტიდან, მხოლოდ 34% არის აქტიური, ანუ სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა უმეტესობას წარმოადგენენ მცირე ფერმერები, რომლებიც მსხვილი ფერმერებისგან განსხვავებით არ ფლობენ იმ რაოდენობის ფინანსებს, რომლითაც უზრუნველყოფენ საკუთარი ცოდნისა და ინფორმირებულობის ამაღლებას. ეს კი თავისთავად იწვევს უამრავ გაუგებრობას, არასწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს და რისკებისადმი მოუმზადებლობას. შესაბამისად, ცოდნის და ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოს აგრარულ სექტორში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა [6].

გარდა აღნიშნულისა, სოფლის მეურნეობაში არსებობს რისკის გამოვლენის სპეციფიკური მიზეზები. მათგან ერთ-ერთია – უამინდობის რისკი. ცუდი ამინდი პირდაპირ მოქმედებს სასოფლო--სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე, შესაბამისად წარმოების დანახარჯებზე, პროდუქციის რეალიზაციის მოცულობაზე, მოგებაზე. ისეთი ბუნებრივი მოვლენები, როგორიცაა ქარბუქი,

სეტყვა, წყალდიდობა, დიდი რაოდენობის ნალექი წვიმისა და თოვლის სახით კოლოსალურ ზიანს აყენებს მემცენარეობას, მეხილეობას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს.

მეორე სპეციფიკური თავისებურება – ეს არის აგრარულ სექტორში გამოყენებული საწარმოო რესურსებისა და პროდუქციის ბიოლოგიური ბუნება. ამ ბუნებით განსაზღვრულია ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულების ვადები და თანმიმდევრობა, ხოლო მათი დარღვევა აძლიერებს შემოსავლისა და პროდუქციის დანაკარგების რისკს. დაგვიანებული ან ადრეული თესვა, მოსავლის აღების პროცესის გაწელვა, პროდუქციის შენახვის ცუდი პირობები, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები დაკავშირებულია პროდუქციის დანაკარგების რისკთან, ხარჯების ზრდასა და მოგების შემცირებასთან.

აგრარულ სექტორში ერთმანეთშია გადაჯაჭვული საერთო და სპეციფიკური რისკის წყაროები. წარმოებაზე მათმა ერთობლივმა ზემოქმედებამ კი შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს საწარმოს, უარეს შემთხვევაში კი გააკოტროს. რისკის გაზომვა, მისი ეკონომიკური შეფასება საკმაოდ რთული საქმეა და ამ სფეროში მათემატიკური გათვლების გარდა მნიშვნელოვანია ინტუიცია და გამოცდილება. აგრარულ სექტორში რისკის ეკონომიკური შეფასების ორი მეთოდი გამოიყენება: ხარისხობრივი და რაოდენობრივი.

რისკის ხარისხობრივი განსაზღვრა ითვალისწინებს რისკის წყაროებისა და მიზეზების გამოვლენას, რისკის წარმოქმნის ეტაპების გამოყოფას, ყველა შესაძლო რისკების იდენტიფიკაციას (დადგენას), პრაქტიკული მოგებისა და შესაძლო ნეგატიური შედეგების გამოვლენას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველა შესაძლო რისკის გამოვლენისა და იდენტიფიკაციის მეთოდები, რადგან გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რომელი სახეობის რისკთან აქვს საქმე მეწარმეს.

ხარისხობრივი ანალიზის პროცესში მნიშვნელოვანია არა მარტო იმ სახეობის რისკების გამოვლენა, რომელიც ემუქრება მოცემულ საქმიანობას, არამედ, შესაძლებლობის ფარგლებში, სარისკო მოვლენისადმი თანდართული შესაძლო დანაკარგების გამოვლენაც.

რისკის ხარისხობრივი ანალიზის შედეგები წარმოადგენს მნიშვნელოვან საწყის ინფორმაციას რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად.

რისკის რაოდენობრივი ანალიზი ითვალისწინებს რისკის რიცხობრივ განსაზღვრას. საწყის ეტაპზე რიცხობრივად განისაზღვრება სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობა და ხდება რისკის ხარისხის რაოდენობრივი შეფასება. განისაზღვრება აგრეთვე კონკრეტულ ვითარებაში დასაშვები რისკის დონე.

რისკის რაოდენობრივი შეფასება საშუალებას იძლევა გამოიყოს წარმოშობის მიხედვით ყველაზე ალბათური და დანაკარგების მიხედვით ყველაზე წონადი რისკები.

როგორც აღინიშნა, რისკი ალბათური კატეგორიაა და მეცნიერული თვალსაზრისით მისი განსაზღვრა მიზანშეწონილია გარკვეული სახის დანაკარგების წარმოშობის ალბათობით.

რისკის ეკონომიკური შეფასებისას უპირველესად უნდა იქნას განხილული მისი რამოდენიმე ძირითადი მაჩვენებელი. ამისათვის საჭიროა რისკის ზონების გამოყოფა დანაკარგების სიდიდის მიხედვით.

რისკის ალბათური შეფასება მათემატიკურად საკმაოდ კარგად არის შემუშავებული, მაგრამ სამეწარმეო საქმიანობაში მარტო მათემატიკურ გამოთვლებზე დაყრდნობა ყოველთვის არ არის საკმარისი.

გამომდინარე იქედან, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში რისკი გარდაუვალია, მეწარმის მთავარ ამოცანას წარმოადგენს არ გაექცეს რისკს, არამედ წინასწარ განჭვრიტოს იგი, რადგან ადამიანის არანაირ შესაძლებლობას, უნარს არ შესწევს რისკის მოსპობა, შესაძლებელია მხოლოდ მისი შედეგების შემარბილებელი მექანიზმის შემუშავება.

ცოდნა მოსალოდნელი რისკის შესახებ მეწარმისათვის აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. მნიშვნელოვანია თუ რა გავლენას მოახდენს მოცემული სახეობის რისკი და როგორი შედეგი ექნება მას. თავდაპირველად აუცილებელია იმ მოვლენათა ალბათობის შეფასება, რომელიც მოხდება, შემდეგ კი დასკვნის გაკეთება, თუ როგორ იმოქმედებს იგი საწარმოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე [8].

რისკი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მეთოდებით, რთული ალბათური ანალიზიდან დაწყებული, ინტუიციით დამთავრებული. ამჟამად მეწარმეთა უმეტესობა ინტუიციას ეყრდნობა. მხოლოდ ხელმძღვანელთა უმცირესობას შეუძლია რისკის მათემატიკური მეთოდებით განსაზღვრა.

წარმატებას აღწევს ის მეწარმე, რომელსაც შეუძლია ერთდროულად გამოთვალოს ან ინტუიციურად განსაზღვროს რისკის ხარისხი და შესაძლო წარუმატებლობის მიუხედავად წავიდეს რისკზე.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობაში რისკის პრობლემას მრავალნაირი ხასიათი გააჩნია. იგი მიეკუთვნება არა მარტო სახელმწიფო ან რეგიონული აგრარული პოლიტიკის გატარებას, არამედ უშუალოდ წარმოებაში მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას. სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური რისკის შეფასება მეცნიერთა კვლევის საგანია. აუცილებელია სარეკომენდაციო ხასიათის გამოცემები, პუბლიკაციები, რომლებშიც ობიექტურად იქნება განსაზღვრული და შეფასებული ის რისკი, რომელიც ხელს შეუშლის გათვლილ ვადებში, შეზღუდული რესურსების პირობებში დასახული მიზნის მიღწევას და წარმოდგენი;ლი იქნება ამ რისკის აღმომფხვრელი ან შემარბილებელი მექანიზმი.

საჭიროა ფერმერთა მხარდაჭერა და მათთვის სათანადო ტექნოლოგიისა და ცოდნის მიწოდება, რათა უკეთ შეძლონ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და შემდგომში განხორციელებაც. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შეუძლებელია კონკურენტუნარიანი დარგის შექმნა მცირე მეწარმეების არსებობის პირობებში და ჭარბი დივერსიფიკაციის არსებობისას. შესაბამისად, საჭიროა მსხვილი წარმოებების შექმნისკენ მიმართული ღონისძიებები, რომლებიც დარგს მისცემს საშუალებას განვითარდეს სწორი გზით.

რისკების მინიმალიზებაში აღნასიშნავია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამნისტროს მიერ განხორციელებული სხვადასხვა პროექტები: „დანერგე მომავალი"; „აგროდაზღვევა"; „შეღავათიანი აგროკრედიტი" და სხვ. საეთაშორისო პროექტები: „ENPARD სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა, III ფაზან და სხვ. [3]

ასეთი ქმედებები მიმართულია რისკების მინიმიზებისკენ სახელმწიფოს მხრიდან, თუმცა, ეს გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაში მცირედია და საჭიროებს გაცილებით ფართომასშტაბიანი ქმედებების ერთობლიობას, რომელშიც ჩართული უნდა იყოს არა მარტო სახელმწიფო, არამედ საზოგადოებაც.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2027
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – geostat.ge
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო -https://mepa.gov.ge/
4. შრომის ეკონომიკა, (2022) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
5. რ.ვაშაკიძე, ა.გოგოლი, „საქართველოს სოფლის მეურნეობა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილია", (10/2019)

https://forbes.ge/news/7270/soflis-meurneoba-saxelmwifos-socialuri-politikis-nawilia
6. ე.ზვიადაძე, საჯარო პოლიტიკის ნარკვევი „საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემის შექმნა“
7. 7. ნ.დამენია აგრარული რისკები და დაზღვევა, (2015) საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი – აგრარულ–ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები №1; თბილისი http://www.gaas.dsl.ge/pdf/o_kesh/O_Kesh_Referat_2015-1.pdf
8. N.DAMENIA A ROLE OF AGRICULTURAL SECTOR IN GEORGIAN ECONOMY, (2017) Ivane Javakhishvili Tbilisi State University Kyiv National Economic University named after Vadym Hetman, International collective monograph „FORESIGHT MANAGEMENT: FORMATION AND TRANSFORMATION ADAPTIVE BUSINESS ORGANIZATIONS“, Tbilisi-Kherson.

Some Economic Aspects of Risk

Detection in the Agricultural Sector

Nino Damenia
Doctor of Business Management, Associated Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State Yniversity

SUMMARY

For Georgia, as a country with a developing economy, the development of the agricultural sector is strategically important. Which, in turn, is associated with various types of risks.

Analysis of decision-making under conditions of risk and uncertainty provides an opportunity to better understand the economic environment and make optimal choices. An in-depth analysis of the issue makes it possible to make the best decision from the available alternatives.

Risk is related to expected losses, and in order to minimize it, the entrepreneur/farmer must be able to predict expected risks, determine the consequences of a greater magnitude and adjust the risk. In the conditions of changing economic environment, the threat of risk in agricultural business is increasing even more. Detection of expected risks, analysis and development of effective management mechanisms is an important challenge of the agricultural sector.

Key words: agrarian risk, specific risk in the agrarian sector, risk assessment.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

გულნაზ ერქომაიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში გადმოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული მდგომარეობა და მისი მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია, რომ 2019-2020 წლებში საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი სამშენებლო სექტორზე მოდიოდა, ინვესტიციები ნაკლებად იყო მიმართული ისეთი სექტორების ხელშეწყობისათვის, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და დამამუშავებელი მრეწველობა, რისთვისაც საქართველოს გააჩნია სანედლეულო ბაზა და სამეურნეო ტრადიციები. 2022 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 40,9%-ით აღემატება პანდემიამდელ პერიოდს (2019 წ.). ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ენერგეტიკის, საფინანსო და აგრარულ სექტორებში, რაც უდაოდ მისასალმებელია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული დონე მიღწეულია საქართველოში სტაბილური სიტუაციით, ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი ფისკალური და საინვესტიციო გარემოთი და ხელისუფლების მიერ გარე ნეგატიური ფაქტორების მაქსიმალური ნეიტრალიზაციის მეშვეობით.

გაანალიზებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები. აღნიშნულია, რომ ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები, საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ინვესტიციური პროექტები.*

თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ვინაიდან იგი პროგრესთან და ეკონომიკურ ზრდასთან ასოცირდება. იგი საშუალებას აძლევს ასეთ ქვეყნებს დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც თავის მხრივ იწვევს ადგილობრივი კომპანიების გაძლიერებას, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ზრდას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უცხოელ ინვესტორებს აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს, ხოლო ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებს უკეთესი ტექნოლოგიის ათვისების, საერთაშორისო წარმოების და სავაჭრო პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობს (Athukorala, 2003).

საქართველოში დღეისათვის არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია (ერქომაიშვილი, 2019). თუმცა ყურადსაღებია უცხოელ ინვესტორთა საქმიანობასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგებიც, კერძოდ,

უცხოურმა ინვესტიციამ შეიძლება ადგილობრივი ინვესტიცია გამოდევნოს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომელი დარგებისკენ მიემართება ინვესტიციები.რიქ სადაც ადგილობრივ ბიზნესს ინვესტირება შეუძლია, არ არის საჭირო უცხოური ინვესტიციის მოზიდვა. კონკურენტული უპირატესობების მქონე უცხოურ კორპორაციებს შეუძლიათ ეროვნული კომპანიების შევიწროვება საქონლის ბაზრებზე. მეორეც, ეს კორპორაციები თვითონ იღებენ ეროვნულ ბაზრებზე არსებული რესურსების, მათ შორის ფინანსების, საგრძნობ ნაწილს და შესაბამისად, ამოსავალი ყოველთვის უნდა იყოს ეროვნული ინტერესების დაცვა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში პუი-ების მოზიდვის მიმართულებით რეკორდული აღმოჩნდა 2014 წელი (იხ. დიაგრამა 1), როდესაც მისმა წლიურმა მაჩვენებელმა 1 მლრდ 837 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 2007 წლის შემდეგ საუკეთესო მაჩვენებელია და 2013 წლის მონაცემებს 87%-ით აღემატებოდა. პუი მკვეთრად არის შემცირებული 2020 წელს (616,9 მლნ აშშ დოლარი), რაც კოვიდ-19 პანდემიით არის გამოწვეული. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი ასე გამოიყურება: გაერთიანებული სამეფო – 49.9%, ნიდერლანდები – 27.9%, თურქეთი – 17.5%, დანარჩენი ქვეყნები – 4.7% (www.geostat.ge).

დიაგრამა 1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2014-2021 წწ.
მლნ. აშშ დოლარი



შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით /www.geostat.ge/

2021 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2020 წლის მაჩვენებელს ორჯერ აღემატება. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტის – სააქციო კაპიტალის, რეინვესტიციისა და სავალო ვალდებულებების მაჩვენებლის გაზრდით.

2021 წელს პუი-ს ყველაზე დიდი წილი გაერთიანებულ სამეფოზე მოდის -596.6 მლნ აშშ დოლარი (51.7%), შემდეგია ნიდერლანდები – 125.9 მლნ აშშ დოლარი (10.9%) და ჩეხეთის რესპუბლიკა -81.8 მლნ აშშ დოლარი (7.1%).

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2022 წლის პირველ კვარტალში 568.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 435.7 მლნ. აშშ დოლარით (4.3-ჯერ) აღემატება 2021 წლის პირველი კვარტალის წინასწარ მონაცემებს. ზრდა ძირითადად განპირობებულია სააქციო კაპიტალის და რეინვესტიციის მაჩვენებლების გაზრდით.

2022 წლის პირველ კვარტალში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 236.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (41.6%), მეორე ადგილზეა საფინანსო სექტორი – 111.1 მლნ. აშშ დოლარით (19.5 პროცენტი), ხოლო მესამეზე – უძრავი ქონების სექტორი 81.3 მლნ. აშშ დოლარით (14.3 პროცენტი).



წყარო: www.economy.ge

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა: პირველ ადგილზეა ესპანეთი – 196.1 მლნ. აშშ დოლარი (34.5%), მეორეზე – გაერთიანებული სამეფო – 87.2 მლნ. აშშ დოლარით (15.3 პროცენტი), ხოლო მესამეზე თურქეთი – 67.1 მლნ. აშშ დოლარით (11.8 პროცენტი).

საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2022 წლის მეორე კვარტალში 351.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს (322.5 მლნ. აშშ დოლარი) – 9.1 პროცენტით, ხოლო პანდემიამდელი, 2019 წლის მეორე კვარტლის მაჩვენებელს (249.6 მლნ. აშშ დოლარი) – 40.9 პროცენტით. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოში განხორციელებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 922.9 მლნ. აშშ დოლარი – 2021 წლის პირველი ნახევარის ანალოგიურ მაჩვენებელზე (456.8 მლნ. აშშ დოლარი) 2.0-ჯერ (102.0%-ით) მეტი და 2019 წლის პირველი ნახევრის ინვესტიციებზე (568.1 მლნ. აშშ დოლარი) 62.5%-ით მეტი.

აღსანიშნავია, რომ წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდით 2022 წლის მაჩვენებელი ბოლო 14 წლის (2008 წლის შემდეგ) მაქსიმუმის დონეზეა (2008 წ. – 1147.8 მლნ. აშშ დოლარი).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2/3-ზე მეტი (240.3 მლნ. აშშ დოლარი) მოდის რეინვესტირებაზე, რაც ადასტურებს უცხოელი ინვესტორების მზაობას, გააგრძელონ ბიზნესი და გააფართოონ თავიანთი სამეწარმეო აქტიურობა საქართველოში.

ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ენერგეტიკის სექტორში, სადაც ინვესტიციების მოცულობამ (76.6 მლნ. აშშ დოლარი) 1.6-ჯერ გადააჭარბა ინვესტიციებს საქართველოს საფინანსო სექტორში (47.6 მლნ. აშშ დოლარი). აღსანიშნავია ინვესტიციების ზრდა აგრარულ სექტორშიც, სადაც ინვესტიციების მოცულობამ მეორე კვარტალში (3.2 მლნ. აშშ დოლარი) უკვე გადააჭარბა მის მოცულობას მთელი 2021 წლის მანძილზე (1.9 მლნ. აშშ დოლარი).

ქვეყნების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით 2019 წლიდან პირველ ადგილზეა გაერთიანებული სამეფო, რომლის წილმა საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებში 18.9 პროცენტი შეადგინა. ამასთან, ინვესტიციების სიდიდით პირველ სამ ადგილზე მყოფი ქვეყნებზე (გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, იაპონია) მოდის უცხოური ინვესტიციების 43.0 პროცენტი (2021 წ. – 63.1%), რაც ცალსახად მიუთითებს საქართველოთი დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების გეოგრაფიის გაფართოებაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უფრო მაღალ ზრდას ხელი შეუშალა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში განვითარებულმა ნეგატიურმა პროცესებმა, მათ შორის ეკონომიკის რეცესიამ. ამასთან, გაუარესებული საგარეო ეკონომიკური კონიუნქტურის ფონზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული დონე მიღწეულია საქართველოში სტაბილური სიტუაციით, ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი ფისკალური და საინვესტიციო გარემოთი და ხელისუფლების მიერ გარე ნეგატიური ფაქტორების მაქსიმალური ნეიტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯებით.

წლების მანძილზე თითქმის არ შეცვლილა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, თუმცა ხელისშემშლელ ფაქტორებს დაემატა კოვიდპანდემია.

პუი-ს მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორებია: ბიზნესის დაწყების სიმარტივე, გეოპოლიტიკური მდებარეობა, დაბალი გადასახადები, კრედიტის მიღების სიმარტივე, საკუთრების დარეგისტრირების სიმარტივე, ბუნებრივი რესურსები, რეგულაციების დაბალი ტვირთი, კორუფციის და კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი.

პუი-ს მოზიდვის ხელისშემშლელი ფაქტორებია: მცირე ბაზარი, მომუშავეთა დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად უმუშევრების დიდი რაოდენობისა დამსაქმებლებს უჭირთ მათთვის საჭირო სპეციალობისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება), მაღალი საპროცენტო განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსის არასტაბილურობა, ქვეყანაში კონფლიქტური ზონების არსებობა, კოვიდპანდემია და სხვ.

პოსტპანდემიურ პერიოდში უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. შეღავათებში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა შეღავათები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე და სხვადასხვა სახის შეღავათები არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. Gგადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუ-

შაო ძალის კვალიფიკაციას და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინვესტიციების მიმართულების მიცემის დროს.

საქართველო დღეს ცდილობს რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყანაში არსებული სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნით და ასევე იაფი მუშახელის შეთავაზებით, თუმცა შეთავაზებულ იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, მომსახურების გაწევა, რემონტი, გზების დაგება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ასევე ქვეყანაში პრობლემურია თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ამიტომ მანამდე, სანამ ქვეყანაში სისტემურად არ შეიცვლება მიდგომა და არ მოხდება კვალიფიცირებული კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად მომზადება და ინვესტორებისთვის მიწოდება, ვერ მოხერხდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ცვლილება. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა ქვეყანა ცდილობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ამიტომ ინვესტორს დიდი არჩევანი აქვს, შესაბამისად, ამ მიმართულებით მაღალია კონკურენციაც.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ინფრასტრუქტურულ მოწყობას – ამ ფაქტორს ინვესტორი ითვალისწინებს ქვეყანაში ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. აუცილებელია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფა. რაც უკეთ იქნება განვითარებული საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ინფრასტრუქტურა, მით მეტად გაუჩნდებათ ინვესტორებს ქვეყანაში შემოსვლის სტიმულები.

საკანონმდებლო დონეზე, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში ინვესტიციების სტიმულირებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნა მიღებული: საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ (1996 წ.), საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ (2006 წ.), კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (2020 წ.), რომლის მიზანია საქართველოში საინვესტიციო ფონდების ბაზრის განვითარება, ამ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა და ინვესტორთა ინტერესების დაცვა.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი (საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი), დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ხშირად ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩავარდნასაც კი იწვევს (ერქომაიშვილი, 2019).

ინვესტიციური პროექტების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ასევე რეგიონების ბუნებრივი, ისტორიული, ეთნოკულტურული და და ეკონომიკური თავისებურებები და მოთხოვნები. ამ მიზნით საჭიროა ინვესტიციების სტიმულირების რეგიონული მექანიზმების შემუშავება საგადასახადო და საბიუჯეტო პრეფერენციული ბერკეტების გამოყენებით.

ლიტერატურა:

1. Athukorala P. (2003), The Impact of Foreign Direct Investment for Economic Growth. www. researchgate.net
2. Erkomaishvili G., Kobalava M., Lazariashvili T.,. Damenia N. (2018). Stimulating Policy for Attracting Foreign Direct Investment in Georgia. International Journal of Economics and Management Engineering Vol:12, No:10.
3. ერქომაიშვილი გ. (2019). რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა – ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.
4. ერქომაიშვილი გ. (2017). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ მასალების კრებული, თბილისი, თსუ გამომცემლობა.
5. ერქომაიშვილი გ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“ მასალების კრებული. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.
6. საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ (1996). http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13
7. საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ (2006) http://www.economy.ge/?page=ecoleg&s=13
8. საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (2020), https://matsne.gov.ge/ka/-document/view/4924135?publication=2
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010), თბილისი.
10. ჭარაია ვ. (2014), პირდაპირი უცხოური ინვესიტიციების გაზრდის შესაძლებლობები საქართველოში, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია.
11. www.parliament.ge
12. www.economy.ge
13. www.geostat.ge
14. www.rs.ge
15. www.mof.ge

Stimulating Economic Policy for Attracting

Direct Foreign Investments in Georgia

Gulnaz Erkomaishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper presents the current situation of foreign direct investments and economic policies promoting their attraction in Georgia. It is noted that most of the investments in Georgia in 2019-2020 were made in the construction sector, the investments were less aimed at boosting sectors like agriculture and manufacturing, for which Georgia has a food base and agricultural traditions . Foreign direct investment made in the second quarter of 2022 is 40.9% higher than in the pre-pandemic period (2019). Most investments have been made in the energy, financial and agricultural sectors, which is undoubtedly to be welcomed. The current level of foreign direct investment in Georgia was achieved thanks to a stable situation, a favorable tax and investment environment for doing business and maximum neutralization by the government of external negative factors. In the post-pandemic period, the main direction of stimulating the inflow of foreign investment is the establishment of various benefits. This is used by both foreign and local investors. Benefits include fiscal, financial and other benefits. However, it should be noted that the decision of a foreign investor to invest in a country depends on a number of factors, and different types of incentives are not an important factor. Political and economic stability, existing legislation in the country, infrastructure, proper functioning of financial institutions, labor force qualifications, etc. are critical. These criteria determine the political and economic ratings of all countries of the world, which are of great importance for foreign investors when making investments.

The study identified factors that promote and hinder the attraction of foreign direct investment.

The development of investment projects should be based on national interests, as well as on natural, historical, ethnocultural and economic characteristics and needs of the regions. To do this, it is necessary to develop regional mechanisms for stimulating investment using tax and budget preferential levers.

Keywords: *Foreign direct investment, Economic Policy stimulating the attraction of direct foreign investments, Investment projects.*

ფასს 15-ის გავლენის ანალიზი სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარებაზე

მარიამ ვარდიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
მარინა მაისურაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
ხალიანა ჩიტაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

სამშენებლო კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოების ბუნება ისეთია, რომ როგორც წესი, მათი დაწყებისა და დამთავრების თარიღები სცილდება ერთ საანგარიშგებო პერიოდს. აქედან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების აღრიცხვის მთავარი საკითხია ამ სამუშაოებიდან მიღებული ამონაგებისა და გაწეული დანახარჯების განაწილება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა მშენებლობა. ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შემოღებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ამონაგების აღიარების წესი გრძელვადიან პერიოდში სამუშაოს მიმდინარეობისას. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე სტატიაში განხილულია ფასს 15-ის ძირითადი პრინციპების გავლენა სამშენებლო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ამონაგების აღიარებაზე.

სამშენებლო კონტრაქტებზე ფასს 15-ის პრინციპების გამოყენების შეფასება ეფუძნება ამონაგების აღიარების ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: კლიენტთან დადებული კონტრაქტების იდენტიფიკაცია; საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიკაცია; გარიგების ფასის განსაზღვრა; კონტრაქტის ფასის განაწილება საკონტრაქტო ვალდებულებებზე; ამონაგების აღიარება ვალდებულებების შესრულებისას. ამონაგების აღიარების ეტაპები სამშენებლო კონტრაქტებთან მიმართებაში წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითებით.

საკვანძო სიტყვები: *ამონაგები; სამშენებლო კონტრაქტები; ხუთსაფეხურიანი მოდელი; შედეგების მეთოდი; გამოყენებული რესურსის მეთოდი.*

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, შემოღებით მნიშვნელოვნად შეიცვალა ამონაგების აღიარების წესი გრძელვადიან პერიოდში სამუშაოს მიმდინარეობისას.

„ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლების აღიარებისა და შეფასების ძირითად პრინციპებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამონაგები უნდა შეფასდეს მიწოდებული საქონლისა და მომსახურებისათვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით“. (მაისურაძე მ, ვარდიაშვილი მ. , 2016)

საერთოდ, სტანდარტი გრძელვადიან კონტრაქტს ცალკე არ განიხილავს (ტერმინი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხელშეკრულებები მხოლოდ ერთხელაა გამოყენებული), შესაბამისად

არც გრძელვადიანი კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგების აღრიცხვის წესია ცალკე განსაზღვრული. (Sabauri L., Vardiashvili M., Maisuradze M., 2022)

კვლევის მიზანია განიხილოს ფასს 15-ის ის ძირითადი კონცეფციები და თავისებურებები, რაც უკავშირდება სამშენებლო პროექტების სირთულეს, კომპლექსურობას, ხანგრძლივობას და დინამიურობას.

გრძელვადიანი კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების თარიღები, როგორც წესი, სცილდება ერთ საანგარიშგებო პერიოდს. ამ ტიპის კონტრაქტებიდან მიღებული ამონაგებისა და გაწეული დანახარჯების განაწილება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა საქონლისა და მომსხაურების მიწოდება, აღრიცხვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. (Sabauri L., Vardiashvili M., Maisuradze M., 2022)

სამშენებლო კონტრაქტებზე ფასს 15-ის პრინციპების გამოყენების შეფასება

სამშენებლო კონტრაქტებზე ფასს 15-ის პრინციპების გამოყენების შეფასება ეფუძნება ამონაგების აღიარების ხუთსაფეხურიან მოდელს.

კლიენტთან დადებული კონტრაქტების იდენტიფიკაცია. ამონაგების აღიარებისთვის საჭიროა კლიენტთან დადებული იყოს სამართლებრივი ნორმებით უზრუნველყოფილი კონტრაქტი. სტანდარტით „კონტრაქტი“ არსებობს მხოლოდ შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- მხარეებს უნდა ჰქონდეთ დამტკიცებული ხელშეკრულება (წერილობითი, ზეპირი ან სხვა მიღებული წესებით) და მკვეთრად განსაზღვრული თავიანთი შესასრულებელი ვალდებულებები;
- საწარმოს უნდა შეეძლოს გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- საწარმოს უნდა შეეძლოს გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებას აქვს კომერციული შინაარსი, რაც ნიშნავს რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება საწარმოს სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკი;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ხელშეკრულების იდენთიფიკაცია არ შეიცავს კრიტერიუმებს უშუალოდ სამშენებლო კონტრაქტებისთვის, რაც ადასტურებს ფასს 15-ის ზოგად კონცეფციას – ერთიან მიდგომას ამონაგების აღიარების პროცესის მიმართ ყველა სახის ხელშეკრულებისთვის.

ხელშეკრულებების გაერთიანება. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ხელშეკრულება ზოგადად ცალ-ცალკე აღირიცხება, საწარმომ უნდა გააერთიანოს კონტრაქტები თუ ისინი ერთსა და იმავე მომხმარებელთან (ან ერთი და იმავე მომხმარებლის დაკავშირებულ მხარეებთან) ერთდროულად, ან თითქმის ერთსა და იმავე დროს არის გაფორმებული და თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთი ან რამდენიმე:

- მოლაპარაკების მსვლელობისას ხელშეკრულების პირობები განიხილებოდა როგორც ერთი კომერციული მიზნის მისაღწევი პაკეტი;
- ერთი ხელშეკრულებით ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია სხვა ხელშეკრულების ფასზე, ან შესრულებაზე; ან

● ხელშეკრულებით დაპირებული საქონელი ან მომსახურება (ან თითოეული ხელშეკრულებით დაპირებული ზოგიერთი საქონელი ან მომსახურება) კონტრაქტორის ერთიანი ვალდებულებაა.

კონტრაქტების გაერთიანებისას არ არის სვალდებულო ყველა ჩამოთვლილი კრიტერიუმის დაკმაყოფილება, არამედ საკმარისია ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

სამშენებლო კონტრაქტები ხშირ შემთხვევაში მომხმარებლისთვის რამდენიმე სახის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას ითვალისწინებს. მაგალითად, სამშენებლო კომპანიამ მშენებლობასთან ერთად შეიძლება მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურებაც გაუწიოს. მშენებლობა თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე კომპონენტს, როგორიცაა ტერიტორიის გაწმენდა, მილსადენების და ელექტროსადენების გაყვანა და სხვა. იმის დასადგენად უნდა გაერთიანდეს თუ არა სამშენებლო ხელშეკრულებები, კონტრაქტორებმა უნდა იხელმძღვანელონ ზემო აღნიშნული პუნქტით – ხელშეკრულებების გაერთიანება. აღნიშნული საკითხი წარმოვადგინოთ სიტუაციურად, რომელიც ეფუძნება აუდიტური და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია BDO-ს პრაქტიკულ რეკომენდაცებს სამშენებლო კონტრაქტებიდან ამონაგების აღიარების შესახებ.

კონტრაქტების კომბინაცია. მომხმარებელი სამშენებლო კომპანიას უკვეთავს, სახლისა და ავტოფარეხის მშენებლობას, რომლის დამოუკიდებელი გასაყიდი ფასებია, შესაბამისად 750,000 ფულადი ერთეული(ფე) და 120,000 ფე.

ამ ორი ობიექტისთვის ცალ-ცალკე ხელშეკრულება არსებობს, მაგრამ მოლაპარაკების შედეგად ფასდაკლება გაკეთდა ავტოფარეხის მშენებლობაზე, რადგან შესაძლოა ორივე ობიექტის საძირკვლის ერთად აშენება. საკონტრაქტო ფასები შემდეგნაირად განისაზღვრა სახლის – 750,000 ფე, ხოლო ავტოფარეხის – 75,000 ფე.

სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული დანახარჯები შეადგენს შენობის – 600,000 ფე-ს, ხოლო ავტოფარეხის – 96,000 ფე-ს. საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრისთვის, სახლთან დაკავშირებით გაწეული ხარჯია 300,000 ფე, ხოლო ავტოფარეხთან დაკავშირებით 7,500 ფე.

თუ კონტრაქტები ცალ-ცალკე აღირიცხებოდა, შემოსავალი აღიარებული იქნებოდა 380, 859 ფე, მათ შორის სახლის მშენებლობიდან – 375,000 ფე, ავტოფარეხიდან – 5,859 ფე.

ცხრილი 1

ამონაგების შეფასება

კომპონენტები	საკონტრა-ქტო ფასი	დამოუკიდებელი გასაყიდი ფასი	კონტრაქტის სავარაუდო ხარჯები	საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის გაწეული ხარჯი	საანგარიშგებო წლის შემოსავალი
სახლი	750,000	750,000	600,000	300,000	375,000 750,000(300,000/600,000)
ავტოფარეხი	75, 000	120,000	96,000	7,500	5,859 75,000(7,500/96,000)
სულ	**825,000**	**870,000**	**696,000**	**307,500**	**380,859**

მიუხედავად იმისა რომ ორი, ცალ-ცალკე შესასრულებელი ვალდებულებაა, რადგანაც კონტრაქტები ერთი და იმავე მომხმარებელთან არის დადებული, და ამავე დროს ერთი ხელშეკრულე-

ბის ფასი დამოკიდებულია მეორეზე, კონტრაქტები უნდა გაერთიანდეს და ორივე შესასრულებელი ვალდებულება უნდა აღირიცხოს როგორც ერთი კონტრაქტი.

ცხრილი 2

ამონაგების შეფასება გაერთიანებული კონტრაქტიდან

კომპონენტები	საკონტრაქტო ფასი	შედარებით დამოუკიდებელი გასაყიდი ფასი	დამოუკიდებელი გასაყიდი ფასი	კონტრაქტის სავარაუდო ხარჯები	საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის გაწეული ხარჯი	საანგარიშგებო წლის შემოსავალი
სახლი	750,000	750,000	711,206 (750,000/870,000 ×825,000)	600,00	300,000	355,603 711,206 × (300,000/600,000)
ავტოფარეხი	75, 000	120,000	113,794 (120,000/870,000 ×825,000)	96,000	7,500	8890 113,794 × (7,500/96,000)
სულ	**825,000**	**870,000**	**825,000**	**696,000**	**307,500**	**364,493**

კონტრაქტების გაერთიანებისას ამონაგების თანხა უფრო ნაკლებია ვიდრე იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტები ცალ-ცალკე აღირიცხებოდა.

ხელშეკრულების მოდიფიკაცია. ხშირად, სამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასები ან ვალდებულებები, სამუშაოს მოცულობის ცვლილების ან საქონლისა და მომსახურების დამატების გამო, გადაიხედება მხარეების მიერ. ფასს 15 -ის განმარტებით ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების საგნის ან ფასის (ან ორივეს) ცვლილება ნიშნავს ხელშეკრულების მოდიფიკაციას.

საწარმომ ხელშეკრულების მოდიფიკაცია უნდა ასახოს, როგორ ცალკე ხელშეკრულება, თუ ორივე ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) ხელშეკრულების ცვლილება ქმნის ცალკე შესასრულებელ ვალდებულებას;

ბ) ხელშეკრულების ფასის ცვლილება შეესაბამება საწარმოს მიერ დამატებით დაპირებული საქონლის ან მომსახურების განცალკევებით გასაყიდ ფასებს. (ფასს15,პ.20)

სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების მოდიფიკაციის გავლენა გარიგების ფასსა და საწარმოს მიერ შეფასებულ, შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხზე, უნდა აღიარდეს, როგორც ამონაგების კორექტირება ხელშეკრულების მოდიფიკაციის თარიღისთვის.

კონტრაქტის მოდიფიკაცია. 20□0 წელს სამშენებლო კომპანია დამკვეთთან აფორმებს ხელშეკრულებას სახლის მშენებლობაზე 500,000 ფე-ის ფარგლებში, სახლის სავარაუდო თვითღირებულებაა 300,000 ფე.

20□1 წლის 1 იანვარს კონტრაქტორები შეთანხმდნენ, რომ შეცვალონ ხელშეკრულება და საცურაო აუზისათვის დაემატოს 50,000 ფე, რომლის სავარუდო თვითღირებულებაა 40,000 ფე. კომპანია რეგულარულად აშენებს საცურაო აუზებს, და მისი სტანდარტული ფასია 60,000 ფე. 20□1 წლის 1 იანვრისათვის შესრულდა ხელშეკრულების საწყისი ღირებულების 50%. ვინაიდან საცურაო აუზი ცალკე ობიექტია ქმნის ცალკე შესასრულებელ ვალდებულებას, ხოლო კონტრაქტის ფასი 50,000 ფე-ია, რაც ნაკლებია განცალკევებით გასაყიდ ფასზე 60,000 ფე-ზე, ცვლილება განიხილება როგორც თავდაპირველი ხელშეკრულების შეწყვეტა და იქმნება ახალი

კონტრაქტი. ძველი კონტრაქტის ნებისმიერი შეუსრულებელი სამუშაოს (500,000 × 50%) და ახალი კონტრაქტის მთლიანი ანაზღაურება იქნება 300,000 ფე(250,000 + 50,000). ამის შემდეგ შემოსავალი გაიყოფა ორ შესასრულებელ ვალდებულებაზე.

ცხრილი 3

შემოსავლის გაყოფა ორ შესასრულებელ ვალდებულებაზე

კომპონენტები	საქონტრაქტო ფასი	შედარებით დამოუკიდებელი გასაყიდი ფასი	შემოსავალი
სახლი	250,000	250,000	241,935 250,000×(300,000/310,000)
აუზი	50,000	60,000	58,065 60,000×(300,000/310,000)
სულ	300,000	310,000	300,000

ამრიგად, კონტრაქტის ცვლილებამდე აღიარებული ამონაგებია 250,000(500,000 × 50%) ფე.

კონტრაქტის ცვლილების საფუძველზე აღიარებული შემოსავალი იქნება 300,000 ფე, მათ შორის: სახლიდან – 241,935 ფე; საცურაო აუზიდან – 58,065 ფე.

საკონტრაქტო ვალდებულებების იდენტიფიკაცია. სამშენებლო ხელშეკრულებების უმეტესობა მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას, მაგალითად შენობის აშენებას. მაგრამ ზოგიერთი ხელშეკრულება, გარდა ამისა მოიცავს როგორც აღჭურვილობის მიწოდებას, ასევე მის ტექნიკურ მხარდაჭერას და პროგრამულ უზრუნველყოფას. აქ მომხმარებელი სარგებელს იღებს თითოეული პროდუქტიდან და ეს პროდუქტები განსხვავებულია. შესაბამისად არსებობს სამი განსხვავებული ვალდებულება: შენობის აშენება, აღჭურვილობის მიწოდება და პროგრამული უზრუნველყოფა.

ფასს 15 მოითხოვს, რომ ხელშეკრულების დაწყებისას, შემოსავლის აღიარების მიზნით, საწარმომ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დაპირებული საქონელი ან მომსახურება შეაფასოს და დაადგინოს თითოეული დაპირება.

გარდა ამისა სტანდარტი მოითხოვს, რომ როდესაც დაპირებული საქონელი ან მომსახურება განსხვავებული არ არის, საწარმომ ეს საქონელი ან მომსახურება გააერთიანოს სხვა დაპირებულ საქონელთან ან მომსახურებასთან და განიხილოს როგორც ერთი შესასრულებელი ვალდებულება. (ფასს 15, პ.30)

გარიგების ფასის განსაზღვრა და კონტრაქტის ფასის განაწილება საკონტრაქტო ვალდებულებებზე. გარიგების ფასის განსაზღვრისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები: ცვალებადი ანაზღაურება, კონტრაქტში მნიშვნელოვანი კომპონენტის არსებობა; არაფულადი ანაზღაურება; მომხმარებლისთვის გადასახდელი ანაზღაურება (ფასს15, პ.48**).** კონტრაქტის ფასის განაწილება არის თითოეული ცალკეული საქონლის ან მომსახურების ფასის იდენტიფიცირება, ამ საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემიდან, მოსალოდნელი სარგებელის შესაძლებელი ოდენობით.

სტანდარტი არ შეიცავს კონკრეტულად სამშენებლო კონტრაქტების კომპონენტებს შორის გარიგების ფასების განაწილების მექანიზმს, მაგრამ ფასის განსაზღვრისა და განაწილებასთან დაკავშირებული სპეციფიკური მიდგომები შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას სამშენებლო კონ-

ტრაქტებზე. ეს ნაბიჯი ვრცელდება იმ სამშენებლო კონტრაქტებზე, რომლებიც შეიცავს ერთზე მეტ შესრულების ვალდებულებას.

ამონაგების აღიარება ვალდებულებების შესრულებისას. საწარმომ მაშინ უნდა აღიაროს ამონაგები, როდესაც საწარმო შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით.(ფასს 15, პ 31)

შესასრულებელი ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როდესაც მომხმარებელი საქონელზე და მომსახურებაზე მოიპოვებს კონტროლს, რომელიც განიმარტება როგორც „უნარი მართოს აქტივის გამოყენება და მიიღოს არსებითად ყველა დარჩენილი სარგებელი“.

ამონაგების, დროის გარკვეულ მომენტში ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღიარების გადაჭრის მიზნით, ფასს 15-ს შემოაქვს ერთიანი ახალი მიდგომა.

შესასრულებელი ვალდებულება შესრულებულად ითვლება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თუ ქვემოთ განხილული კრიტერიუმებიდან ერთ-ერთი დაკმაყოფილდება:

● მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, საწარმოს მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე;

● საწარმოს მიერ თავისი შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შედეგად იქმნება ან უმჯობესდება აქტივი, რომელზეც მომხმარებელი კონტროლს მაშინვე მოიპოვებს, როგორც კი აქტივი შეიქმნება ან გაუმჯობესდება; ან

● საწარმოს მიერ შესასრულებელი ვალდებულების შესრულება არ იწვევს ისეთი აქტივის შექმნას, რომლის გამოყენებაც საწარმოს შეუძლია სხვა მიზნებისთვის და, ამასთან, საწარმოს გააჩნია ანაზღაურების მიღების იურიდიული ძალის მქონე უფლება ვალდებულების იმ ნაწილისთვის, რომელიც შესრულებულია მოცემული თარიღისთვის.

(IFRS 15, პ. 35).

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან, ერთ-ერთი ნებისმიერი კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში ამონაგები აღიარდება კონტრაქტის შესრულების პერიოდში. თუ, ჩამოთვლითაგან, არცერთი კრიტერიუმი არ დაკმაყოფილდა, მაშინ მიიჩნევა, რომ შესასრულებელ ვალდებულებას სრულდება დროის გარკვეულ მომენტში, ე.ი. კონტრაქტიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღიარდეს დროის ერთ მომენტში, მხოლოდ ხელშეკრულებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ. ამ შემთხვევაში ამონაგები აღიარდება ერთიანად ვალდებულების შესრულებისა და დამკვეთის მიერ აქტივზე კონტროლის უფლების მიღების მომენტში. (Sabauri L., Vardiashvili M., Maisuradze M., 2022)

გრძელვადიანი კონტრაქტებიდან, ამონაგების შეფასება და აღიარება, დამოკიდებულია შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხზე. (Sabauri l; Vardiashvili M; Maisuradze M, 2022)

შესრულების პერიოდში საწარმომ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ხარისხის განსაზღვრისათვის ისეთი მეთოდი უნდა შაეარჩიოს, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა. სტანდარტით ნება დართული მეთოდებია:

● შედეგების მეთოდი;

● გამოყენებული რესურსების მეთოდი.

შესასარულებელი ვალდებულების შესრულების ხარისხის შესაფასებლად სათანადო მეთოდის შერჩევისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს იმ საქონლის ან მომსახურების ხასიათი, რომლის გადაცემასაც დაჰპირდა მომხმარებელს ხელშეკრულების მიხედვით. (Sabauri L., Vardiashvili M., Maisuradze M., 2022)

შედეგების მეთოდით ამონაგების აღიარება ხდება ანგარიშგების თარიღისათვის შესრულებული სამუშაოს შედეგად მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურების ღირებულების პირდაპირი შეფასებით. ამ შემთხვევაში შესრულებასა და შემოსავალს შორის არის პირდაპირი კავშირი და მისი უპირატესობა ის არის, რომ პირდაპირ იზომება მომხმარებელზე

გადაცემული საქონლისა და მომსახურების ღირებულება. შემოსავლის აღირება ხდება მთლიანი შემოსავლიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულების %-ის ოდენობით.

გამოყენებული რესურსის მეთოდით ამონაგები აღიარდება გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად გაწეული ან ამისთვის მოხმარებული რესურსების თანაფარდობის საფუძველზე, მოცემული შესასრულებელი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მთლიან მოსალოდნელ რესურსებთან მიმართებით. (Sabauri L., Vardiashvili M., Maisuradze M., 2022)

დასკვნა

დასასრულს, შეიძლება ითქას რომ ამონაგების აღიარების ხუთ ეტაპიანი მოდელის ყველა ეტაპი ლოგიკურობით და თანმიმდევრლულობით ავსებს წინა სტანდარტებს. იგი უზრუნველყოფს შესაბამის ჩარჩოს სამშენებლო კონტრაქტებიდან წარმოქმნილი ამონაგების აღიარებისათვის. ამასთან, სტანდარტის გამოყენება ეფუძნება სამშენებლო კონტრაქტებით განსაზღვრულ უფლებებისა და ვალდებულებების სწორ ინტერპრეტაციას. შემოსავლების აღიარების ხუთეტაპიანი მოდელი მოითხოვს პროფესიული განსჯის გამოყენებას, შეთანხმებას კომპანიის აუდიტორებთან და იურისტებთან, განსაკუთრებით ობიექტზე კონტროლის გადაცემის ეტაპზე, რამაც, შეიძლება, აღიარების პროცედურაში გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილება.

ლიტერატურა:

1. მაისურაძე მ., ვარდიაშვილი მ. (2016). ამონაგებთან დაკავშირებული კონტრაქტების აღრიცხვის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; http://eprints.tsu.ge/988/
2. კვატაშიძე ნ., გოგრიჭიანი ზ. (2016). შემოსავლების აღიარების ახალი მოდელი – ფასს 15 ამონაგები კონტრაქტებიდან, http://eprints.tsu.ge/932/
3. ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, (2022) https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/580
4. Vardiashvili M., Maisuradze M. (2017) ON RECOGNITION AND MEASUREMENT OF THE REVENUES ACCORDING TO IFRS 15; https://www.researchgate.net/publication /319644520
5. Sabauri l., Vardiashvili M., Maisuradze M.(2022) Methods for Measurement of Progress of Performance Obligation under IFRS 15; Ecoforum; http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/issue/view/31
6. IFRS 15 for the construction industry – Multiple contracts that should be combined; (2018) https://www.bdo.com
7. Асадова Е. В. (2022). МСФО (IFRS) 15 «Выручка по договорам с клиентами»: краткий обзор положений нового стандарта, https://www.ipbr.org/about/archive/accounting
8. Илышева Н. Н., Савостина О. В., Молдобаев Т. Ш. (2018) Особенности учета договоров подряда в строительных организациях по требованию МСФО; https://cyberleninka.ru/
9. Сресели Н., Сресели Р. НОВЫЙ СТАНДАРТ ПРИЗНАНИЯ ДОХОДОВ – ИЗМЕНЕНИЯ,ВЫЗОВЫ, НОВШЕСТВА; 2016. pp 148-154, https://www.researchgate.net/publication/321105489
10. КМСФО выпустил новый стандарт по признанию выручки; (2014) https://www.iasplus.com

Analysis of the Impact of IFRS 15 on the Recognition of Assets from Construction Contracts

Mariam Vardiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Marina Maisuradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Khaliana Chitadze
Gori State University
Associate Professor

SUMMARY

The main issue in accounting for construction contracts is the allocation of the proceeds and expenses incurred from these works to the reporting periods during which the construction was carried out.

The assessment of the application of the principles of IFRS 15 to construction contracts is based on a five-step model for the recognition of surpluses, which fully provides an appropriate framework for the recognition of surpluses arising from construction contracts.

Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity

Shota Veshapidze
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

For the true knowledge of socio-economic events and processes, it is of great importance to study and establish a clear system of precise rules for the processing of scientific theory. The purpose of this article is to investigate and analyze how appropriate methodology was developed in Georgian economic thought, how its scientific principles were formed. A century and a half ago, Ilia Chavchavadze established the methodological aspects of the research of economic processes based on the analysis of the past and the vision of the future. His views have a pragmatic, applied meaning even today. It contributes to the current theoretical research and the practical realization of the results of this research. By developing and using appropriate methodology, it is possible to create scientific theories that reflect the objective foundations of Georgia's national interests, its security protection and sustainable economic development, current challenges, contradictions and ways to overcome them.

Keywords*: economic research process steps, systematic research, optimal synthesis, analyzing events and processes in relativity.*

1. Introduction

The spiritual and economic life of human society can be characterized in many ways. If we consider it systematically, we will find many sides in it, not all of which are universally acceptable. Due to its relational nature, what we liked and accepted before may not like us anymore and may turn out to be unacceptable today. And what we like today may not deserve our approval tomorrow, or vice versa. It is important to understand life as a whole in order to correctly assess the past and see in advance where we are going. Only in this way can we correctly define what we should want in the future. With such an approach, it is possible to acquire the necessary knowledge and the ability to increase the use of this knowledge.

This is served by the methodology of research of economic processes, which includes how to study and establish a clear system of precise rules for the processing of scientific theory.

Important aspects of economic processes research methodology were concentrated in Ilia Chavchavadze's views (Abesadze & Veshapidze, 2017). November 8 of this year marks the 185th anniversary of Ilia Chavchavadze's birth. The role of Ilia Chavchavadze in preserving the national identity of Georgia is great. Throughout his life, Ilia Chavchavadze actively created and shaped a true worldview, was directly involved and encouraged in the creation and management of public institutions, promoted the consideration of each person's opinion in order to achieve welfare goals, established true public values. Ilia Chavchavadze's economic views currently have an applied purpose, which is reflected in the researches of Georgian economists.

2. Results and Discussion.

Ilia Chavchavadze considered economic knowledge to be the main prerequisite for people to get out of poverty. During the opening of the agricultural school in the village of Tsinamdriantkari, he addressed the peasantry: "There are many kinds of knowledge. And from here, our children, your children, will bring the knowledge that will make us look into the heart of the earth, will show us where the wealth is, and with what kind of method, with what kind of skill, we can reach that wealth, extract it and use it for the prosperity of the

country and ours. He deeply believed that "a man should be for others as well as for himself" (Chavchavadze, 2005b). In this thought, it is clearly presented that economic knowledge should solve three main issues: what, how and for whom to produce? Ilia Chavchavadze made a significant contribution to the development of education. He constantly tried to open higher educational institutions in Transcaucasia (Zoidze, 2021a). Although he could not personally witness the opening of the university in Tbilisi, he contributed significantly to the preparation of its foundations (Gabashvili, 1996; Chavchavadze, 2007c).

Based on the observation of the material and spiritual existence of people, Ilia Chavchavadze believed that in reality "what was yesterday, is no longer today." Everything that characterizes life changes: "rules, customs, thoughts, feelings, language." Often, what we thought yesterday was an indestructible truth and a necessary necessity, today we consider it a gross error. We are also surprised that our predecessors could not choose between what is acceptable and what is unacceptable. And this is not entirely because we are smarter. If we had found ourselves in the situation and circumstances at that time, we would not have been able to avoid such a "public error". The reason for this is that "the wave of life hides from man the meaning of the thing." What is hidden in life itself. "In it is the whole present of its times and the theory of the future." And science explains to us the bad and the good, ...scientific thought should serve to reflect the truth, which indicates its eternity. "Everything can die, but the thought never."

Life itself produces geniuses to illuminate life, which will move life towards a new, progressive future. "This giant with the arm of his mighty mind will surpass the work of all life; collects together what life has shown; With his discerning eye, he sees through everything, enlightens that collected, and gives a suitable answer to every question of life, to every fact – the true meaning, to every direction – belonging to the path and event, – with one word, he explains, brings to knowledge what was between us and we did not understand. Then he will tear down the foundation of the old and lay a stone in the foundation of the new" (Chavchavadze, 1991b). Science is the coffers where truth is deposited, "the whole hope of mankind's immortality," and the "endless desire of immortality." It renews life, changes it, and if life is healthy, advances knowledge and science. Science explains and realizes a new situation, opens the way to a new, more better. In order to appreciate the fruits of the old life and pave the way for the new life, we need to understand how time changes, where life is going, what fruits the old life brought. With such an approach, we can see our work to be done. It was in this way that Ilia Chavchavadze defined the most important task and doctrine of his time: "Our work is the life of the people of Georgia; Its improvement is our first and last desire" (Chavchavadze, 1991b).

Ilia Chavchavadze believed that in order to understand good and evil, sin and grace, it is necessary to evaluate the epoch first. For this, we need to understand what is the demand of the time, what determines the priorities of the era, what the time demands and act accordingly. The reason for this is that it is impossible for us to want to live life on our own terms. Life itself sometimes creates a rule for itself, sometimes defines its own law, only this law needs to be understood, exposed to the world and, as far as possible, open a way so that nothing can interfere with its production. "Business is the test of everything. We cannot say more than this in advance that we want to enter the circle of the afterlife, call out a deaf cry from her, make her aware of her situation, open the way for the movement." With this, Ilia Chavchavadze did not only describe the task of the scientific journal "Georgia Moambe" that "the magazine should To be undoubtedly in today's circle of life, the eye of not every intelligent journal is often directed towards the future. "The present, born of the past, is the parent of the future," says one philosopher. The farther the eye of the magazine reaches, the better and longer the magazine is, in our opinion." This is the guiding principle of action in the present, based on the analysis of the past and the vision of the future, which Ilia Chavchavadze considered as an action rule (formula) (Chavchavadze, 1991b).

The methodology of step-by-step research of economic processes elaborated by Ilia Chavchavadze, using which he carried out scientific research, is clearly visible in the above-mentioned thinking. According to this methodology, at the first stage of the research, the subject of the research is defined, therefore, what we are researching is determined (Shengelia, 2017). This step is important. It allows to set the paths, to find out at the initial stage of the research, where to look for the causes of the research event, its challenges, and to work out the research tasks. In the next step, the materials available in the specific historical conditions around the subject of the research are searched. It becomes clear how satisfactory and consistent the level of problem solving is with the tasks set. Then the research is carried out according to the set main parameters, and it is substantiated with arguments. After that, a systematic study of the research question is carried out through comparative research, criticism, analysis and synthesis according to all parameters. For this, Ilia Chavchavadze approves the theories of Mill, Bacon, Freeman about "comparative method and criticism" and attached special importance to their use and wrote: "So, How can we straighten up if we don't know our crookedness?" Finally, the key is the conclusion step, in which recommendations are also made on what should be given "priority attention" to solve the problem. With such an approach, we can understand the event systematically, as a whole (Chavchavadze, 1991a; Chavchavadze, 2007d; Chavchavadze, 2007e; Chavchavadze, 2007f; Chavchavadze, 2007g; Veshapidze, 1999, p. 77-85).

Ilia Chavchavadze established the main value bases of the Georgian variety of liberalism model. His views were diametrically different from those of his time and contemporary ultraliberals. Ilia Chavchavadze believed that the source of human dignity is not liberality or retrogradeness, but whether a man is true or a liar. The main thing is the truth, not ideologies (Chavchavadze, 1991d; Chavchavadze, 1997d).

Using such an approach, Ilia Chavchavadze developed the main value foundations, the first of which is the creation of opportunities for free economic development. Based on the discussion of Meissner's project, Ilia argued that it is important to create a competitive environment for the economic development of the country, to find the necessary investments (Bedianashvili, 2020). The general economic well-being of monopolies is hindered by the insecurity of private property, bureaucracy, corruption, improper reforming of the economy, lack of professionalism, neglect of local peculiarities. Ilia Chavchavadze believed that the country should use its absolute and relative advantages in such a way as not to threaten the stability of its economy and make the necessary funds for people's existence easy and cheap. It is important to fully reveal and use the economic potential of the country to the maximum benefit (Chavchavadze, 2005a; Chavchavadze, 2006a).

Ilia Chavchavadze systematically worked out the ways of economic activity success in Georgia. Ilia Chavchavadze believed that the true benefit of a country is based on the fact that others are doing well. The more good the country brings to others, the more it will benefit itself. It is worth noting that Ilia did not consider the "usefulness" of all countries, including the most developed country of his time, England, its "well-being" independently, but in a regional, global context.It was considered as a connecting door between Georgia, Europe and Asia, through which we are always needed to strengthen mutually beneficial cooperation between Asia and Europe (Zoidze, 2021b). One of the necessary ways of economic success, Ilia considered openness of the economy (open economy), establishment of foreign economic ties with other countries. Ilia considered it necessary to include the country in the world processes of economic integration (Chavchavadze, 1997e).

Over the past year, our world has experienced major upheavals: a growing food security crisis; Record heat, floods and droughts; COVID-19; inflation (Zoidze and Abuselidze, 2021); And a cruel, senseless war – a war chosen by one man, very brutal (The White House, 2022; Kakulia, 2022; Papava, 2021).

Living in the conditions of confrontational globalization has put Georgia in front of difficult challenges. The consequences of the Covid-19 pandemic have not yet been fully overcome (Zoidze and Veshapidze, 2022b). The war started by Russia against Ukraine on February 24, 2022 is still going on. The world community imposed economic sanctions on Russia. The world is becoming increasingly turbulent and unpredictable. The conflict between geopolitical players for resources and transport routes has a significant impact on the interests of Georgia (Papava, 2022a; 2022b; 2022c). In such conditions, it is important to adapt the aspects of the methodology of research of economic processes based on the analysis of the past and the vision of the future to the present. It will contribute to the protection of national economic interests and the preservation of its identity.

According to the concept of Ilia Chavchavadze, the main goal of society is "the happiness of every person". Ilia believed that it is the duty of a person to establish as the main principle of action a rule of continuous self-evaluation in order to benefit from our work for each individual and the whole society. We are needed not only for ourselves, but also for others (Chavchavadze, 2006b; 2007b; 2007h).

A century and a half ago, Ilia Chavchavadze realized the kinship of Georgian and European spirituality and the good that Georgia can receive by sharing advanced European values. These values allow us to make progress irreversible. This is not a way of studying and using unjustified experiments, but of civilized experience, of "European science" as a "measure" or "source", a standard that has already been tested and used elsewhere. Ilia Chavchavadze noted: "Here is the object and here is the way to achieve it. Young manhood should be prepared with thorough and thorough knowledge, should, as far as possible, study European science thoroughly, start the work of our country. At the same time, the way to achieve the main goal for Georgia should not be "imitating someone else", but "adjusted to our own needs", based on the national soil, to conduct the affairs of our country. Without it, conveying someone else's experience will be useless. These priorities are based on Ilia Chavchavadze's vision of introducing the advanced experience of Europe and others so that we do not lose our traditions, customs, and habits, and thus gain success, i.e. achieve it through optimal synthesis (Chavchavadze, 1997a; Veshapidze, 2017).

It is important that Ilia Chavchavadze considered the events and processes of life in relativity, i.e. in realism, he studied the national interests of Georgia, his place in the world (geostrategic situation), environmental conditions and historical situation (time), according to their dependence, he presents economic processes not as events, but as understanding the ratio. Ilia Chavchavadze noted: "Every time has its own pain, and understanding this pain is the fate of only excellent men, and a true master of history, like a reader, must first sit in the crust of those times and then judge the children of the times themselves. If this were not the case, a person would not find a document, nor an idea, even for the entire crusade wars, because of which the whole of Europe almost lost its life. This is the alphabet of the philosophy of history" (Chavchavadze, 2007e).

Ilia Chavchavadze argued that universal and national economic values condition each other, and "universal" ideals, in their meaning, are "national value" raised to world value. Ilia Chavchavadze also analyzed and argued that the optimal ratio between private and public forms of ownership is when labor is free both in time and space (Chavchacadze, 1991c; 1997b; 2007a).

Ilia Chavchavadze determined the importance of the ratio of common national and regional interests and revealed the feasibility of establishing self-government. In relation to its functions, it was determined that "local trifles" should be resolved by local self-governments, while the state should consider "production of universal legislation" (general law-making activity), "general revenue and expenditure" (finances of the country) and "providing a general army" at the general national level” (defense of the country) (Chavchavadze, 1997c).

Ilia Chavchavadze attributed the determining importance for the economic development of Georgia to the establishment of true local governance, which means the optimal separation of local state governance and self-government, taking into account the "European experience". Ilia Chavdzavadze properly assessed the priority importance of maintaining a reasonable ratio of liberal and protectionist foreign economic policy, which has no alternative to ensure "self-existence" and "self-development" (Chavchavadze, 2006a).

As a result of the analysis, Ilia Chavchavadze revealed that it will not be useful for all countries to solve the same issue in the same way, and moreover, not to transfer each other's experience as a shadow. Solving such problems requires different approaches in different countries. Based on the examples of solving the problems of workers' unemployment in England, Germany and France, Ilia offered us an important conclusion. The path already taken by others, their experience is of inestimable value, and we should definitely use it (without distorting its bottom line) based on the study of local characteristics and decisions that are justified in every way.

Ilia Chavchavadze considered "European education, governance of the country, European rule and order" to be exemplary. He demanded that we should open the door to European civilization, because it was the most advanced, progressive. He also believed that advanced experience should be taken into account in all countries. His main conclusion is as follows: in general, we should take from the advanced states everything that is required for the good and happiness of the country.

Based on historical facts and analysis, Ilia Chavchavadze argued that the level of state intervention in the economy depends on specific historical, political, and economic conditions. Its size should be derived from the main task of achieving the highest goal of the well-being of every person in the society, which is "the happiness of every person". Such an approach shows that political paradigms, economic theories – mercantilist, classical liberal, Keynesian, social democratic, ordoliberal (West German) or neoliberal, etc. They should not be considered as universal programs that can be used anywhere and anytime.

The correct answer to any question regarding various economic policies will be: "depending on the circumstances". We need economic facts and analysis to get the details on which the desired outcome depends. The really useful keywords in economic science are non-foreseeable circumstances, contextuality and non-universality. Economics teaches us that there are times of fiscal expansion and times of fiscal restraint. There are times when government should intervene in the value chain and times when it should leave markets alone (Papava and Ckuaseli, 2021; Veshapidze and Zoidze, 2022a; 2022b). Sometimes taxes should be high and sometimes low. Trade should be freer in some directions and regulated in others. Making connections between real-world circumstances and the desirability of certain types of government intervention is what good economics is all about (Rodrik, 2021; Winck, 2021).

The path set by Ilia Chavchavadze is not a path of unjustified experiments, but of civilized experience, the path of studying "European science" and its victory, which has already been tested and used elsewhere. This way has no alternative because it is the most reliable. In this way it is possible to achieve the equality of every person. European teaching and receiving European education (Veshapidze and Zoidze, 2021), European governance, rule and order should be the highest priority for us, because only in this way we will be able to correctly evaluate everything, make a correct diagnosis and help our pain with its medicine (Veshapidze et al, 2021a; Veshapidze et al, 2021b). In order to establish European education and science, governance, rule and order, along with education, it is necessary to implement legislative and economic reforms, to strengthen industry, and to improve people's well-being (Silagadze, 2011).

We can talk about the scientific novelty of economic research methodology in Georgian economic thinking, only in connection with the modern scientific-historical interpretation of the development of this research problem in the scientific community. An approach without "magic" words, "but", and "other things being

equal" is of fundamental importance in the study and justification of economic methods (Papava, 2022e; Papava, 2020a; Papava, 2018).

Georgian economists, well-known academicians, professors of leading universities, scientific-economists, teachers make a collective contribution to the annals of modern economic thinking. They create scientific theories by developing and using appropriate methodology. These theories reflect the objective foundations of Georgia's national interests, its security protection and sustainable economic development, current challenges, contradictions and alternative ways to overcome them.

3. Conclusions

In modern conditions, Georgia has existential challenges. Finding a way out of the current difficult situation in the world requires new economic approaches and important political experiments. Therefore, acting according to the guiding principle of action in the present, based on the analysis of the past and the vision of the future developed by Ilia Chavchavadze, is still relevant today. By using it, it is possible to analyze local features, make reasonable alternative decisions and determine the correct priorities for overcoming modern challenges of Georgia.

Ilia Chavchavadze's research methodology of economic processes has an applied purpose, which is based on the separation of the following steps: definition of the research subject, determination of research tasks, study of the level of compliance of the achieved level of problem processing and solution with the set tasks, conducting a new (own) research according to the main parameters set, conclusion and recommendations . Such an approach allows us to find out both the cause of the problem and ways to overcome it.

Today, when the consequences of the Covid-19 pandemic have not yet been fully overcome, the Russia-Ukraine war continues, the economic sanctions imposed on Russia by the world community are getting stronger, the world is becoming more and more disorderly. The conflict between geopolitical players for resources and transport routes has a significant impact on the interests of Georgia. In such conditions, it is important to adapt the aspects of the methodology of research of economic processes based on the analysis of the past and the vision of the future to the present. It will contribute to the strengthening of state thinking in Georgia, the protection of the country's economic interests and the preservation of national identity.

References:

1. Abesadze, R. and Veshapidze, S. (2017). Development of economic science in Georgia. “Ekonomisti” №4, vol. XIII. Pp. 6–11.
2. Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 15(2):191-197.
3. Bedianashvili, G. (2020). Culture as an Institution in Economics and Business: Macroeconomic System Approach. Tbilisi, Universal. P. 226.
4. Bedianashvili, G. (2018). Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context. *Globalization & Business*.
5. Bedianashvili, G. (2016). The Global Business Environment, European Integration and the Cultural Potential of Social-economic Development of Georgia. *Globalization & Business*.
6. Chavchavadze, I. (1991a). A few words... on Kazlov's translation of "The Madman". A complete collection of works in twenty volumes, volume V. "Metsniereba", Tb., p. 11–31.

7. Chavchavadze, I. (1991b). "Sakartvelos Moambezed". A complete collection of works in twenty volumes, volume V. "Metsniereba", Tb., p. 119–134.
8. Chavchavadze, I. (1991c). Private and community land ownership. A complete collection of works in twenty volumes, Volume V. "Metsniereba", Vol., p. 406–410.
9. Chavchavadze, I. (1991d). Denial in us. A complete collection of works in twenty volumes, volume V. "Metsniereba", Tb., p. 451–458.
10. Chavchavadze, I. (1997a). Domestic review (...the example of the Slavs. What should our boyhood be prepared for?...) Complete collection of works in twenty volumes, Vol. VI, "Ilias Fund", Tb., p. 459-473.
11. Chavchavadze, I. (1997b). About the economic structure of ancient Georgia. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume VI. "Metsniereba", vol., p. 336-339.
12. Chavchavadze, I. (1997c). Life and Law. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume VI. "Metsniereba", vol., p. 340-421.
13. Chavchavadze, I. (1997d). Domestic Review (of the Early Rejecter...) The Complete Essays in Twenty Volumes, Volume VI. "Metsniereba", Tb., p. 459–473.
14. Chavchavadze, I. (1997e). Domestic review (Eastern affairs and us. – We are something for others or not....) A complete collection of essays in twenty volumes, Volume VI. "Metsniereba", Tb., p. 241–262.
15. Chavchavadze, I. (2005a). Domestic review. Mr. Meissner's project. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume VII. "Ilias Fund", p. 46 – 79.
16. Chavchavadze, I. (2005b). Domestic review, 1883, August (... – Economic school in Tsinamdsvriantkari. Words by I. Tsinamsdvarishvili and I. Chavchavadze.) A complete collection of writings in twenty volumes, Volume VII. "Ilias Fund", p. 157 – 177.
17. Chavchavadze, I. (2006a). Customs policy in Europe, free trade and protectionism. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume IX. "Ilias Fund", p. 385-401.
18. Chavchavadze, I. (2006b). for self-action. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume IX. "Ilias Fund", p. 652-657.
19. Chavchavadze, I. (2007a). Khizani's case. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume VIII. "Ilias Foundation", p. 269-316.
20. Chavchavadze, I. (2007b). Equality of ranks. A complete collection of works in twenty volumes, Volume X. "Ilias Fund", p. 371-373.
21. Chavchavadze, I. (2007c). Lack of higher education institutions in Transcaucasia. A complete collection of works in twenty volumes, Volume X. "Ilias Fund", p. 315-318.
22. Chavchavadze, I. (2007d). nation and history. A complete collection of works in twenty volumes, Volume X. "Ilias Fund", p. 385-390.
23. Chavchavadze, I. (2007e). Here's the history. A complete collection of works in twenty volumes, Volume X. "Ilias Fund", p. 140-274.
24. Chavchavadze, I. (2007f). Nineteenth century. A Complete Collection of Writings in Twenty Volumes, Volume XIV. "Ilias Foundation", p. 324-327.
25. Chavchavadze, I. (2007g). Disadvantages of public life and its economic reasons. A complete collection of writings in twenty volumes, Volume XIII. "Ilias Foundation", p. 414-453.
26. Chavchavadze, I. (2007h). what can I say? What will make you happy? A complete collection of writings in twenty volumes, Volume XIII. "Ilias Foundation", p. 492-496.
27. Chinchaladze, N. (2017). By Ilia. *The New Economist*, *48*(5), 95-100.
28. Chkhikvadze, G. (2017). Ilia Chavchavadze's economy and the state. *The New Economist*, *48*(5), 101-104.

29. Gabashvili, R. (1996). On the economic activity of Ilia Chavchavadze. Ilia through the eyes of immigrants, I. Tbilisi, *"Lomisi",* p. 199–207.
30. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. *(1).* 40-46. (In Georgian).
31. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, *(1).* 35-39. (In Georgian).
32. Kakulia, N. (2022). Georgian economists on the challenges of Georgian economy. *Tsu media.*
33. Karchava, L. (2017). Ilia Chavchavadze's views about foreign investments and modernity. *The New Economist*, *48*(5), 81-83.
34. Kharitonashvili, J. (2017). Ilia chavchavadze's opinion about Economic principles of Liberalism and Protectism. *The New Economist*, *48*(5), 73-80.
35. Kvaratskhelia, M. (2017). Ilia and modernity. *The New Economist*, *48*(5), 89-91.
36. Mchedlishvili, Z. (2017). Ilia Chavchavadze about the international specialization of Georgian economy. *The New Economist*, *48*(5), 84-88.
37. Mekvabishvili, E. (2009). Globalization of the economy: directions, challenges, prospects. *Innovation*. Tbilisi. (In Georgian).
38. Papava, V. (2016). Georgia's Choice: The European Union or the Eurasian Economic Union. GFSIS, Expert Opinion, 57, https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/57-expert-opinion-eng.pdf
39. Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108.
40. Papava, V. (2018). The Crisis of Economics and for Search of the New Paradigm. *Globalization & Business*.
41. Papava, V. (2020a). Unconventional economics: methodology and methods. Tbilisi, Publishing House of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, 420 p. (In Georgian).
42. Papava, V. (2020b). Becoming European: Challenges for Georgia in the Twenty-First Century. *iUniverse.* Bloomington.
43. Papava, V. (2020c). Georgia's European Way During the Period of Pandemic Deglobalization. Rondeli Blog, August 6, https://gfsis.org.ge/blog/view/1091
44. Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains and Role of Georgia. *Eurasia Review*, October 18, https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/.
45. Papava, V. (2022a). „Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." Eurasia Review, May 23, Available at: https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/.
46. Papava, V. (2022b). On Economic Growth in the G20 Countries in 2022, Adjusted for the Catch-Up Effect. *Eurasia Review,* August 4. Available at: https://www.eurasiareview.com/04082022-on-economic-growth-in-g20-countries-in-2022-adjusted-for-catch-up-effect-analysis/.
47. Papava, V. (2022c). On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31, Available at: https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/?fbclid=IwAR1Q-caff-BiPLQh121S5SVHxXZiJG0ALCBAiSptdq5pNjduMmqtZPvcal0
48. Papava, V. (2022d). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23, https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/.
49. Papava, V. (2022e). On Sanctionomics. *Eurasia Review,* March 14. Available at:

https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped .
50. Papava, V. (2022f). Cold War vs. Hot War in 2022. *Eurasia Review,* February 28. Available at: https://www.eurasiareview.com/28022022-cold-war-vs-hot-war-in-2022-oped
51. Papava, V., Ckuaseli M. (2021). Coronomics, Financial Support for the Economy and its Zombie-ing (In the Context of the Fifth Factor of Production). *Finance: Theory and Practice*, 25(5), 6-23, DOI: 10.26794/2587-5671-2021-25-5-6-23, https://financetp.fa.ru/jour/article/view/1319/869.
52. Rodrik, D. (2021). Beware Economists Bearing Policy Paradigms. *Project Syndicate*. https://consiusa.org/wp-content/uploads/2021/05/COUNCIL-PS-II-May-2021.pdf
53. Shanava, Z. (2022a). Conflict in Ukraine and Global Challenges. *Scientific Collection «InterConf»*, (114), 406-414.
54. Shanava, Z. (2022b). BLACK SEA REGION AND ECONOMIC SECURITY WITHIN THE FRAME OF DEVELOPING NATIONAL DEFENSE CAPABILITIES. *InterConf*, 888-892.
55. Shanava, Z. (2021). INTEGRATION POLICY OF GEORGIA IN THE EUROPEAN UNION INTO TRANSPORT NETWORK DEVELOPMENT. *InterConf*, 13-18.
56. Shengelia, T. (2017). Fundamental Methodological Issues of Ilia Chavchavadze's Doctrine and Modernity. *The New Economist*, *48*(5), 68-73.
57. Shengelia, T., Berishvili, K., & Jganjgava, K. (2022). IMPROVING THE METHODOLOGY OF MEASURING SOCIAL CAPITAL IN INTERNATIONAL COMPANIES. *Sciences of Europe*, (97), 15-18.
58. Shengelia, T. (2019). Research methodology and the impact of social entrepreneurship on the solution of social problems in Georgia.
59. Shengelia, T. (2018). Social capital of dominant ethnic groups and its impact on business.
60. Sichinava, A., Chikava, M., Veshapidze, S., Sekhniashvili, D., & Pailodze, N. (2013). Realities of internationalization of higher education in Georgia.
61. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(1).
62. Silagadze, A., Atanelishvili, T. (2010). Aspects of economic doctrines in Georgia. Peninsula University of Technology, Business and Informatics. San Francisco (USA).
63. Silagadze, A. (2011). Economic Teachings, Ilia Chavchavadze and Modernity– "Actual problems of Historical and economic Teachings ". "VZFEI", pp.71 -77.
64. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. – International Scientific Collection – Vol. 5.* Kyiv – CUL. https://doi.org/10.5281/zenodo.5807500.
65. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. DOI: https://doi.org/10.5281/zenodo.6373197
66. Veshapidze, S., Chiabrishvili, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G. (2021a). On the relationship between education and economic security. *Ecoforum Journal*, *10*(3).
67. Veshapidze, S., & Zoidze, G., & Berishvili K. (2021b). The economic determinant of the education system. Sciences of Europe, (81-2), 6–12. DOI: https://doi.org/10.24412/3162-2364-2021-81-2-6-12
68. Veshapidze, S., & Sekhniashvili, D. (2021). The importance of capital market development for improving the investment ecosystem in Georgia. World economy and international economic relations, Vol. 4. Pp. 64-72.
69. Veshapidze, S., & Mchedlishvili, Z. (2021). Ilia Chavchavadze about competition. World economy and international economic relations, Vol. 4. Pp. 91-95.
70. Veshapidze, S., & Zubiashvili, T. (2021). About population growth and global problems.
71. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1–1. DOI: https://doi.org/10.36962/NEC6102202133

72. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003
73. Veshapidze, S. (2017). THE TRADITIONS ORIENTATED ON EUROPEAN VALUES IN GEORGIA. *Sciences of Europe*, (13-4), 14-18.
74. Veshapidze, S. (1999). Ilia Chavchavadze's economic research methodology and current issues of modern economic development. Tbilisi Socio-Economic Institute. P. 296. ISBN: 99928-0-015-1.
75. Winck, B. (2021). Nobel prize-winning economist Paul Krugman explains why he's more left-wing than the Modern Monetary Theory crowd. *Businessinsider.*
76. Zoidze, G. (2021a). Basic Paradigms of Institutional Economics. *Publishing House "Universal*, *202*.
77. Zoidze, G. (2021b). Importance of Euro-Atlantic Integration: Democracy, Security and Economic Development. *Three Seas Economic Journal*, *2*(3), 1-7.
78. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125.*
79. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022b). TRANSFORMATION OF ECONOMIC POLICY PRIORITIES UNDER COVID-19. *Three Seas Economic Journal*, *3*(2), 35-43.
80. Zoidze, G., & Tkhilaishvili, G. (2021). Prospects of Intermodal Transportation and Logistics Channels Development for Georgia. In *Proceedings of 25th International Scientific Conference. Transport Means*.
81. Zoidze, G. (2020a). Risks Caused by Pandemics and Anti-crisis Management. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Paata Gugushvili Institute of Economics. In *Proceedings of Materials of International Scientific Conference Dedicated to the 115th Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili* (pp. 190-195).
82. Zoidze, G. (2020b). Georgian agro-sphere development priorities and ways of carrying out some improvements. *Myśl Ekonomiczna i Polityczna*, *2*(69), 55-71.
83. Zoidze, G., & Abuselidze, G. (2021). COVID-19 pandemic and currency risk analysis in Georgia. *Entrepreneurship*, *9*(2), 33-46.
84. The White House. (2022). Remarks by President Biden Before the 77th Session of the United Nations General Assembly. September 21. Available at: https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches%-20remarks/2022/09/21/remarks-by-president-biden-before-the-77th-session-of-the-united-nations-general-assembly/

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და საქართველო

ნინელი თევდორაშვილი
სეუ, ასოცირებული პროფესორი
ნელი სესაძე
სეუ, ასოცირებული პროფესორი
ლია პიტიურიშვილი
სეუ, ასისტენტ პროფესორი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა – ქვეყნის (რეგიონის, რეგიონების) სამეურნეო განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ეკონომიკური მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ეროვნული მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას. იგი წარმოადგენს რეგიონალური ეკონომიკის ერთ-ერთ სერიოზულ მექანიზმს, რომლის გამოყენების (ამოქმედების) მიზანია მოცემულ ტერიტორიაზე ეკონომიკის განვითარება, უმუშევრობის აღმოფხვრა, აქ მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, აღნიშნულ ტერიტორიაზე კაპიტალის დაბანდების მსურველნი მნიშვნელოვანი შეღავათებით (დაბალი გადასახადები, ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე გაადვილებული წვდომა და სხვ.) სარგებლობენ. წინამდებარე სტატიის მიზანია რეგიონის განვითარების პროცესში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მნიშვნელოვანი როლის წარმოსახვა.

საკვანძო სიტყვები: *თავისუფალი ინდუსტრიული ზონა; შეღავათები და გადასახადები; ეკონომიკის განვითარება; რეგიონის (ქვეყნის) კონკურენტუნარიანობის გაზრდა.*

როგორც საუკუნოვანმა პრაქტიკამ, ასევე თანამედროვე პირობებში სხვა ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა და ეს შემდგომმა მეცნიერულმა კვლევებმაც დაადასტურა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (მისი მრავალსახეობები: აგრარული, ტურისტული, სამეცნიერო და ა.შ.), როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონის სამეურნეო განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი და მექანიზმია. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დაფუძნება სტიმულს მისცემს ქვეყნებსა და რეგიონებში ეკონომიკის გამოცოცხლებას. მისი ამოქმედება მით უფრო ხელსაყრელი იქნება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების და მათ შორის, საქართველოს ეკონომიკის წახალისებისა და შემდგომი წინსვლისათვის; კერძოდ, იგი ხელს უწყობს ქვეყანაში ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური თუ სამეურნეო გარემოს შექმნას და შესაბამისად, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას, უმუშევარი მუშა-ხელის დასაქმებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების წახალისებას და საბოლოო ჯამში, აქ მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლებას. განსაკუთრებით გამოსაყოფია ამ ტერიტორიაზე უმუშევარი სამუშაო ძალის დასაქმება. ყოველივე ამის შედეგად მაღლდება მოცემული რეგიონის კონკურენტუნარიანობა.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კეთილმყოფელი გავლენა მხოლოდ იმ ტერიტორიაზე (რეგიონზე) როდი ვრცელდება, სადაც ის ინერგება და ფუნქციონირებას იწყებს, არამედ, აქ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, მის საწარმოებლად ნედლეულისა და მასალების მიმდებარე რეგიონებიდან მოზიდვის შედეგად, ვითარდებიან მისი მეზობელი რეგიონებიცა და მთელი ქვეყანაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ წინაპირობებსაც. კერძოდ, რეგიონს, გარდა იაფი მუშა-ხელისა, უნდა გააჩნდეს პოლიტიკურად სტაბილური, უსაფრთხო გარემო, ფლობდეს მაღალ ინსტიტუციონალურ ფაქტორებს, ინფრასტრუქტურის გარკვეულ დონეს და სხვ. მაგრამ, განსაკუთრებით მთავარი, რაც უცხოელ ინვესტორებს აინტერესებთ, სხვა შეღავათებთან ერთად, ესაა დაბალი გადასახადები და მოგების გატანის პროცესში რაიმე დაბრკოლების არარსებობა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების წარმოშობა თავის დროზე განპირობებული იყო მრავალი პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური ფაქტორით. შესაბამისად, მსგავსი ზონები თავს იჩენდნენ და ვითარდებოდნენ საუკუნეთა განმავლობაში. თავდაპირველად მათ პრიმიტიული, ემბრიონული სახე ჰქონდა.

კერძოდ, ადრეულ ეპოქებში ვაჭრებს (სოვდაგრებს) ათავისუფლებდნენ ბაჟისა და გადასახადებისაგან. მათ შეეძლოთ თავიანთ განკარგულებაში მიეღოთ ასევე ნავსადგური. იმ ეპოქაში ვაჭრებისათვის გადაცემული ნავსადგურებიდან შეიძლება დასახელდეს, მაგალითად, რეგიოს (Reggio), (ერთ-ერთი უძველესი, 1547 წელს დაარსებული ნავსადგური), ბაქრეინის, ჰამბურგის, ბრემენის, ჰონკონგის ნავსადგური და ა.შ. საინტერესოა, რომ ზოგიერთ თავისუფალ ნავსადგურს, მაგალითად, ჰონკონგის, პოლიტიკური ავტონომიაც კი ჰქონდა მინიჭებული.

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული (ინდუსტრიული, სავაჭრო, ტურისტული და ა.შ.) ზონების შექმნის პროცესი, განსაკუთრებით 1989 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურმა სისტემამ ტრანსფორმაცია მოითხოვა, დაჩქარდა. ქვეყნის რეგიონებში (ბათუმში, ფოთში, ქუთაისში და ა.შ.) მისი შექმნის მიზანი იყო უკვე არსებული სამრეწველო თუ სხვა სახის პოტენციალის, ინფრაქტრუქტურის შენარჩუნება, მოვლა და ამოქმედება, ამ რეგიონების რეცესიული მდგომარეობიდან გამოყვანა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

***აღსანიშნავი და საინტერესოა, რომ პორტო-ფრანკოს ბათუმში დიდი ხნის ისტორია აქვს. იგირგამოცხადდა ბრიტანელთა ინიციატივით და წარმოადგენდა უბაჟო (თავისუფალი) საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ადგილს. აღნიშნული რეჟიმი ფუნქციონირებდა 1878-1886 წლებში. ხსენებული მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის წყალობით, მაშინდელი რუსეთის იმპერიის ამ ნაკლებდასახლებული განაპირა პროვინციით დაინტერესდნენ ცნობილი ნავთობმრეწველი ინვესტორები – ლუდვიგ ნობელი, ალექსანდრე მანთაშევი, როთშილდების დინასტია და სხვ. მნიშვნელოვანწილად აღნიშნულის შედეგად, გაჩნდა მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე გრძელირბაქო-ბათუმისრნავთობსადენიც. ფრანკო რეჟიმის მოქმედების მცირე ინტერვალის მიუხედავად, ბათუმი სწრაფად მზარდი ევროპული ტიპის ქალაქად იქცა, თუმცა, ახალ პირობებში მოქმედების გამოუცდელობის გამო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის გაღარიბების პროცესების შეჩერება და იმრავლარკორუფციამარდა კონტრაბანდამ, რის შესახებაც გულისტკივილით წერდა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე – ილია ჭავჭავაძე. 1920 წელს, ბრიტანელთა ინიციატივით, ისევ დაიწყო ბათუმში ფრანკო რეჟიმის პროექტზე მუშაობა, რასაც, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, აქტიურად უჭერდა მხარს მაშინდელი ერთა ლიგა (ინგლ. League of Nations), მაგრამ 1921 წელს კომუნისტური ხელისუფლების მოსვლამ საქართველოში შეაჩერა აღნიშნული პროექტის რეალიზება. ბათუმის პორტო-ფრანკოს გამოცდილების გათვალისწინებით, თანამედროვე პირობებში თავისუფალი ზონალური პოლიტიკის ოპტიმალური გავრცელების მიზანშეწონილობას ბევრი ქართველი ეკონომისტირასაბუთებს.**

ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ქართული კანონმდებლობის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების უმთავრესი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება. მან ამ მიზანს უნდა მიაღწიოს შემდეგი გზების საშუალებით: არჩეული რეგიონის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის სწრაფი განვითარება; რეგიონის ტექნიკური და ტექნელოგიური დონის ამაღლებითა და მისი გამოყენებით ეროვნულ მეურნეობაში; ნაწარმის ხარისხის ამაღლებით და მისი კონკურენტიულობის გაზრდით; ექსპორტის გაზრდით; სამრეწველო და ინფრასტრუქტურული სახის აქტივების მოვლა-შენარჩუნებითა და ამოქმედებით; გარემოს დაცვის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებით.

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები: საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ გამოქვეყნდა 2007 წლის 3 ივლისს. რომლის მიხედვით იგი არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ეკონომიკური რეგულირების გამარტივებული რეჟიმი მოქმედებს. შესაძლებელია თავისუფალი ინდუსტრიული ზონა დაწესდეს არა ტერიტორიული, არამედ დარგობრივი პრინციპით, ანუ შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმი გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობებს დაუწესდეს. გამარტივებული ეკონომიკური რეჟიმი შეიძლება გულისხმობდეს გამარტივებულ საბაჟო წესებს, სავაჭრო, წარმოების, სასაწყობო, რეგისტრაციის წესებსა და სხვა. შესაბამისად არსებობს თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი სავაჭრო ზონები, სამრეწველოდსაწარმოო ზონები, სავაჭრო-სასაწყობო ზონები, სამეცნიეროდტექნიკური ზონები (მაგალითად, ტექნოპოლისი, ტექნოპარკი და სხვ.), სერვისული ზონები, ოფშორული ზონები, მრავალეროვნული ზონები (მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, ევროკავშირი და სხვ), რეგიონული ზონები, კომპლექსური ზონები, სპეციალიზებული ზონები, წერტილოვანი ზონები.

შესაძლო შეღავათები მოიცავს:

საგარეო სავაჭრო შეღავათებს:

- საბაჟო-სატარიფო შეღავათები: საბაჟო გადასახადების შემცირება ან მოხსნა, ექსპორტ-იმპორტზერდღგ-სა და აქციზური გადასახადის შეღავათიანი სისტემის დაწესება და სხვა;
- არასატარიფო შეზღუდვების (კვოტები, ლიცენზირება, რეგისტრირება) მოხსნა ან შერბილება;
- ფისკალური შეღავათები (შემცირებული გადასახადები);
- საფინანსო შეღავათები (სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტები, შენობებითა და მიწით სარგებლობის შეღავათიანი პირობები);
- შეზღუდვების არ არსებობა სავალუტო ოპერაციებზე;
- ადმინისტრაციული შეღავათები (რეგისტრაციის, ანგარიშგების, სავიზო სისტემის გამარტივება).

თავისუფალი პორტირ (porto franco), ნიშნავს პორტს ან ტერიტორიას, სადაც ქვეყნისრიურისდიქციარშერბილებულია. ხშირად აქ ეკონომიკური შეღავათებიც მოქმედებს. ადრეულ თავისუფალ პორტებს (მაგალითადრჰონკონგი) პოლიტიკური ავტონომიაც ჰქონდათ. დღეს თავისუფალი პორტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა საბაჟო პუნქტების მიმდებარე ზონები თავისი „დუთიდფრი“ (უბაჟო) მაღაზიებით. ასეთი ზონები უმეტეს საერთაშორისო აეროპორტს აქვს.

საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს ასევე სხვა შესაბამისი კანონებიც; კერძოდ, „საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრულია იმისათვის, რომ ქვეყანასა თუ მის ცალკეულ რეგიონში (რეგიონებში) შეიქმნას ისეთი საგადასახადო, სამართლებრივი და ადმინისტრაციული გარემო, რათა მოიჯარე კომპანიებმა მაღალი რენტაბელობით საქმიანობა შეძლონ. „საქართველოს კანონი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ“; „საქართველოს კანონი თავისუფალი ტურისტული ზონის შესახებ“ (2010 წლის 17 დეკემბრის) და სხვ.

კანონის „თავისუფალი ტურისტული ზონის შესახებ“ მიზანია ქვეყანაში ტურიზმის განვითარება და მეწარმოების ხელშეწყობა. ამისათვის კანონი ადგენს სათანადო პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და თავისუფალი ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს.

საგადასახადო შეღავათებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე მომუშავე ფირმების მუშაკთა განთავისუფლება მაგალითად, საშემოსავლო გადასახადისაგან, ასევე აქ მომუშავე ფირმის აქტივების განთავისუფლება ქონების გადასახადისაგან და ა.შ. თუ აქ მომუშავე ფირმის მუშაკთა საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლება ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა, ფირმის აქტივების განთავისუფლება ქონების გადასახადისაგან უკვე ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას წარმოადგენს.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ-ი), მათგან ორი არის ქუთაისში, ხოლო თითო-თითო თბილისსა და ფოთში. როგორც სართაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, თიზ-ი წარმატებული პროექტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. თუმცა ამასთან მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ინიციატორის მხრიდან მოხდეს მისთვის სათანადო პირობების შექმნა.

ჯერჯერობით, 2010 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც ქვეყანაში პირველმა თიზ-ი დარეგისტრირდა, ვერც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა და ვერც თიზ-ის ოპერატორებმა შეძლეს სოლიდური ინვესტიციების დაბანდება. მათ ვერც ჩვენი საბანკო სისტემა მოემსახურა სათანადოდ. ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ თიზ-ში დარეგისტრირებულ ფირმებს ეკრძალებათ ადგილობრივ კომპანიებთან კავშირის დამყარება.

თავისუფალ ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების ეფექტი: თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის დაინტერესების საგანს უნდა შეადგენდეს, რადგან მათთვის იგი შეიძლება გახდეს ამ ტერიტორიაზე ინვესტორების მოზიდვის, უმუშევრობის შემცირების (როგორც არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების, ისე ახალი ადგილების შექმნით) ინფრასტრუქტურის სრულყოფის, საბოლოო ჯამში ეკონომიკის გაჯანსაღებისა და რეგიონის მკვიდრთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების შანსი.

თიზ-ს ფუნქციონირების ეფექტი შეიძლება გაიზომოს, როგორც რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდით, რეგიონის ეკონომიკის ხვედრითი წილის მატებით ქვეყნის ეკონომიკაში, რეგიონის მიმზიდველობის გაზრდით ქვეყნის დანარჩენს რეგიონებთან შედარებით და ა.შ. ისე ერთ ჰექტარზე წარმოებული პროდუქციის ზრდით, ერთი მუშაკის შრომის ნაყოფიერების ამაღლებით და სხვ. როგორც მიახლოებითი გამოთვლებით მტკიცდება, რეგიონში, სადაც თიზ-ი იწყებს საქმიანობას, ერთი ადამიანის დასაქმებას 30 ათასი აშშ დოლარი სჭირდება, მაშინ, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში გაცილებით მაღალია.

თიზ-ის ფუნქციონირების ეფექტის უფრო ნათლად წარმოსადგენად შეგვიძლია გავითვალისწინოთ ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მაგალითით. ის შეიქმნა 2012 წლის 7 ივლისს. კერძოდ, ამ დღეს თბილისის ზღვის მიმდებარედ საფუძველი ჩაეყარა თბილისის ზღვის ახა-

ლი უბნის მშენებლობას. უბანი დაიყო საცხოვრებელ და კომერციულ ნაწილებად. ამ უკანასკნელის მშენებლობის დასრულების შემდეგ, აქცენტი გადატანილი იქნება საინვესტიციო, კომერციულ პროექტებზე და ეს ზონა გადაიქცევა რეგიონალური მნიშვნელობის, საერთაშორისო ლიჯისტიკისა და ვაჭრობის ცენტრად. პროექტი კაპიტალდაბანდების რაოდენობით არის ყველაზე დიდი ჩინური პროექტი საქართველოში. ამჟამად განხორციელებულია 300 მილიონი დოლარის ინვესტიცირება. პროექტმა 3000 ადამიანი დაასაქმა. მშენებლობის მიმდინარეობისას და შემდგომ ეტაპზე შექმნილმა დასაქმებულმა ადგილებმა ხელი შეუწყო ძალიან ბევრი მოქალაქის, ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე რ. – თავისუფალი ზონალური პოლიტიკით ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფის თეორიული საფუძვლები. – თბ., 1997.
2. ლორთქიფანიძე რ. – ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. – თბ.; 2005.
3. პაპავა.ვ. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, ეკონომიკის სერია; თბ.; 1999, ტომი 7 N 1-2.
4. პაპავა.ვ. თავისუფალი ეკონომიკური ზონა „უკვდავი იდეა“ თბ.; 2007, ექსპერტის აზრი.
5. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე-საქარეთველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ. თბ.; 2007
6. Veshapidze, S., & Sekhniashvili, D. (2021). The importance of capital market development for improving the investment ecosystem in Georgia. World economy and international economic relations, Vol. 4. Pp. 64-72.
7. Veshapidze, S., & Zubiashvili, T. (2021). About population growth and global problems.
8. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003
9. http://hualing.ge/language/ka/%E1%83%B0%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%94/
10. https://www.google.com/search?q=%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98+%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90

Free Industrial Zone and Georgia

Nineli Tevdorashvili
Doctor of Economics, Georgian National University SEU
Associate Professor
Neli Sesadze
Doctor of Economics, Georgian National University SEU
Associate Professor
Lia Pitiurishvili
Doctor of Economics, Georgian National University SEU
Assistant Professor

Free industrial zone – one of the important factors of economic development of the country (region, regions)

It has been established by economic science that a special economic zone can make a particularly large contribution to the development of the national economy. Free industrial zone is one of the serious mechanisms of the regional economy, the use (activation) of which is aimed at developing the economy in the area, eliminating unemployment, increasing the welfare of the population living here, those wishing to invest in the area with significant benefits (Low taxes, easy access to local infrastructure, etc.) enjoy. The purpose of this article is to illustrate the important role of Free industrial zone in the development process of the region. Key terms: Free industrial zone; Benefits and taxes; economic development; Increase the competitiveness of the region (country); Improving the well-being of the inhabitants of the region.

Keywords: free industrial zone; benefits and taxes; development of the economy; increasing the competitiveness of the region (country).

კლიმატის ცვლილება, როგორც

მონეტარული პოლიტიკის ახალი გამოწვევა

სალომე თვალოძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

კლიმატის ცვლილება დღევანდელი გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. კლიმატის ცვლილება ეკონომიკურ შედეგებზე მრავალი არხის საშუალებით ახდენს გავლენას. მოსალოდნელია, რომ კლიმატთან დაკავშირებული რისკები მიწოდებისა და მოთხოვნის შოკების გზით მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე მოახდენს გავლენას და შესაბამისად, ცენტრალური ბანკების ფასების სტაბილურობის მანდატზე იმოქმედებს. ამასთან, უკვე საერთაშორისოდაა აღიარებული, რომ კლიმატის ცვლილება ფინანსური რისკების წყაროა და მნიშვნელოვან ფინანსურ რისკებს უქმნის შინამეურნეობებს, ბიზნესსა და ფინანსურ ინსტიტუტებს. დამატებით, კლიმატის ცვლილება და დაკავშირებული რისკები მნიშვნელოვან არასტაბილურობასა და გაურკვევლობას მატებს ეკონომიკურ მოლოდინებს. შესაბამისად, კლიმატის ცვლილება ახალ გამოწვევებს უქმნის მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. კლიმატის ცვლილებამ შეიძლება მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმზეც მოახდინოს გავლენა და გადაცემის არხები შეასუსტოს. თუმცა, კვლევები კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული რისკების მონეტარულ პოლიტიკასა და მისი გადაცემის მექანიზმზე გავლენის შესაფასებლად ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და უფრო საფუძვლიანი ანალიზისთვის დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

საკვანძო სიტყვები: *მონეტარული პოლიტიკა, კლიმატის ცვლილება, კლიმატთან დაკავშირებული რისკები.*

კლიმატის ცვლილება დღევანდელი გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა. მოსალოდნელია, რომ კლიმატის ცვლილება ფართო სტრუქტურულ ცვლილებებს გამოიწვევს და მნიშვნელოვან ფინანსურ რისკებს შეუქმნის შინამეურნეობებს, ბიზნესსა და ფინანსურ ინსტიტუტებს.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები უპრეცედენტოა. კლიმატის ცვლილებები ეკონომიკურ შედეგებზე მრავალი არხის საშუალებით ახდენს გავლენას. ტემპერატურის ზრდა, ზღვის დონის მატება, ნალექების ცვალებადობა და ექსტრემალური მოვლენები (წყალდიდობა, გვალვა, ხანძრები) ეკონომიკაზე მრავალი მიმართულებით მოქმედებს. მათ შორის სიმდიდრის განადგურებით, შემოსავლების და ეკონომიკური ზრდის შემცირებითა და მერყეობის ზრდით (Deryugina & Hsiang, 2014; Mersch, 2018) და შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებაზე ზემოქმედებით (IMF, 2017; Bathiany et al, 2018). ამასთან, ამ არხებს შორის კომპლექსური ურთიერთკავშირი არსებობს, რაც მათ შესწავლასა და მოდელირებას ართულებს (Schneider, 1997). უფრო მეტიც, კლიმატის ცვლილების გავლენა არაერთგვაროვანია როგორც გეოგრაფიული (Tol, 2018), ასევე შემოსავლის დონის (Hsiang 2019) თვალსაზრისით.

ამასთან, უკვე საერთაშორისოდაა აღიარებული, რომ კლიმატის ცვლილება ფინანსური რისკების წყაროა (Carney, 2015; NGFS, 2019). ამასთან, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ადამიანის კეთილდღეობასა და გლობალური სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური

სისტემების მართვაზე. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკისთვის (NGFS, 2020; IMF, 2019). შესაბამისად, ბოლო პერიოდში, ცენტრალური ბანკები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იმის შეფასებას, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კლიმატის ცვლილებას მონეტარული პოლიტიკაზე, მათ შორის „პოლიტიკის სივრცეზე" (policy space), პოლიტიკის გადაცემის არხებზე და პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებაზე (Coeuré 2018; NGFS, 2020). წარმოდგენილი ნაშრომის ძირითად მიზანს სწორედ კლიმატის ცვლილების, როგორც მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ახალი გამოწვევის, ანალიზი წარმოადგენს.

კლიმატის ცვლილება – ახალი გამოწვევა მონეტარული პოლიტიკისთვის?

კლიმატის ცვლილება უპრეცედენტო გამოწვევას უქმნის გლობალური სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური სისტემების მართვას. მსოფლიოში დაფიქსირებული საშუალო ტემპერატურა პროგრესულად იზრდება. მოსალოდნელია, რომ გლობალური დათბობის ეს პროგრესული ზრდა გაგრძელდება და ისეთ ცვლილებებს გამოიწვევს, რაც გავლენას ყველა ქვეყანის ეკონომიკაზე მოახდენს.

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიზიკური საფრთხეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში განაგრძობს განვითარებას და მოიცავს ზღვის დონის მატებას (IPCC, 2019); ნალექების ცვალებადობის ზრდას (Allen & Ingram, 2002) და შესაბამისად, მეწყერული მოვლენების უფრო მაღალ სიხშირეს (IPCC, 2012); გვალვის ტენდენციების ზრდას (IPCC, 2018); უფრო ხშირ ხანძრებს (Jones et al, 2020; Abatzoglou et al, 2019); ექსტრემალური ტემპერატურის უფრო მაღალ სიხშირეს (IPCC, 2018); და სულ უფრო ხშირ და მწვავე წყალდიდობებს (IPCC, 2018). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის ცვლილების მიტიგაციისთვის დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლა ქვეყნებისთვის შესაძლოა შოკების წყარო აღმოჩნდეს. რეგულაციების, ტექნოლოგიების, მომხმარებლებისა და ბაზრის განწყობის ცვლილებებმა შესაძლოა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის შეფერხება გამოიწვიოს. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში თუ ეს ცვლილებები მოულოდნელად მოხდება და წინასწარ მომზადებული და დაგეგმილი არ იქნება.

შესაბამისად, კლიმატის ცვლილების რისკები შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური შოკის წყარო, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც მოთხოვნაზე, ისე მიწოდების მხარეზე.მოთხოვნის შოკი არის ის, რაც გავლენას ახდენს მთლიან მოთხოვნაზე – კერძო (შინამეურნეობები) ან საჯარო (მთავრობა) მოხმარება და ინვესტიციები, ბიზნეს ინვესტიციები და საერთაშორისო ვაჭრობა. კლიმატის ცვლილებით გამოწვეულმა ზარალმა შეიძლება შეამციროს მოხმარება, ხოლო ბიზნესის ინვესტიციები შეიძლება შემცირდეს სამომავლო მოთხოვნისა და ზრდის პერსპექტივების შესახებ გაურკვევლობის გამო (Hallegatte, 2009). კლიმატის ცვლილებამ შესაძლოა სავაჭრო ნაკადები შეაფერხოს (Gassebner et al, 2010) და შინამეურნეობების სიმდიდრე შეამციროს. თუნდაც კლიმატის მიმართ ნაკლებად მოწყვლად ქვეყნებს, რომელთაც კავშირები აქვთ გლობალურ ბაზრებთან, შესაძლოა ექსტრემალური კლიმატური შოკის გავლენის ქვეშ აღმოჩდნენ.

მიწოდების მხრიდან შოკმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკის პროდუქტიულობაზე, მიწოდების კომპონენტებზე ზემოქმედების გზით: შრომა, ფიზიკური კაპიტალი და ტექნოლოგია. მაგალითად, მაღალი ტემპერატურა ამცირებს სამუშაო ძალისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობას (IPCC, 2019). უფრო მეტიც, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება მოსახლეობის მასიური გადაადგილება გამოიწვიოს (Opitz Stapleton et al, 2017), რაც ხანგრძლივად მოქმედებს შრომის ბაზრის დინამიკასა და ხელფასების ზრდაზე. მიწოდების შოკმა შეიძლება ასევე გა-

მოიწვიოს რესურსების გადანაწილება პროდუქტიული კაპიტალიდან და ინოვაციებიდან კლიმატის ცვლილების ადაპტაციისთვის საჭირო კაპიტალში (Batten, 2018). აქტივების დაზიანება გავლენას ახდენს ფიზიკური კაპიტალის ხანგრძლივობაზე, კაპიტალის ცვეთის დაჩქარებით (Fankhauser & Tol, 2005). მაშინაც კი, თუკი შესაბამისი კაპიტალის მარაგი გადარჩება, ეფექტიანობა შეიძლება შემცირდეს და ზოგიერთი ტერიტორიის დატოვება გახდეს საჭირო (Batten, 2018).

კლიმატთან დაკავშირებული რისკები მიწოდებისა და მოთხოვნის შოკების გზით მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე მოახდენს გავლენას და შესაბამისად, ცენტრალური ბანკების ფასების სტაბილურობის მანდატზე იმოქმედებს. თუ მიწოდების შოკებს განვიხილავთ, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ენერგიის მიწოდება განსაკუთრებით მოწყვლადია ფასების მკვეთრი კორექტირებისა და გაზრდილი მერყეობისკენ (McKibbin et al, 2017)). ასეთი მოვლენების სიხშირე და სიმძიმე შეიძლება გაიზარდოს და სხვადასხვა კომპლექსური არხებით მიწოდებაზე მოახდინოს გავლენა. ჯერ კიდევ შედარებით მცირე რაოდენობის კვლევებია, რომლებიც ინფლაციაზე კლიმატთან დაკავშირებული შოკების გავლენას აანალიზებს. მაგრამ ზოგიერთი კვლევის თანახმად, ბუნებრივი კატასტროფებისა და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების შემდეგ ადგილი აქვს სურსათის ფასების ზრდას მოკლევადიან პერიოდში (Parker, 2018; Debelle,2019).

ფასებზე ამ მოკლევადიანი ზეწოლის გარდა, მიწოდების შოკებს ასევე შეუძლიათ ეკონომიკის პროდუქტიულობა შეამცირონ. მაგალითად, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება ხანგრძლივი გავლენა იქონიოს სოფლის მეურნეობის მოსავლიანობაზე, გამოიწვიოს რესურსების ხშირი დეფიციტი ან სამუშაო საათების გაცდენა მაღალი ტემპერატურის გამო. ამ ეფექტებს, თავის მხრივ, შეუძლია ფიზიკური და ადამიანური კაპიტალის მარაგი შეამციროს და შედეგად, გამოშვების კლება მოხდეს (Batten, 2018; McKibbin et al, 2017). მაგრამ კლიმატის ცვლილება ასევე შეიძლება მოთხოვნის შოკების წყარო გახდეს, მაგალითად, შინამეურნეობების სიმდიდრისა და მოხმარების შემცირების გზით (Batten, 2018). ასევე კლიმატის მიტიგაციის პოლიტიკამ შეიძლება გავლენა იქონიოს ზოგიერთ სექტორში ინვესტიციებზე, სხვადასხვა არაპირდაპირი ზემოქმედებით.

თუმცა კლიმატის ცვლილების საერთო გავლენა ინფლაციაზე გაურკვეველია. კლიმატის მიწოდებისა და მოთხოვნის შოკებმა შეიძლება ინფლაციისა და გამოშვების საპირისპირო მიმართულებებით ცვლილება გამოიწვიოს და ცენტრალური ბანკები ინფლაციის სტაბილიზაციასა და გამოშვების რყევების სტაბილიზაციას შორის არჩევანის წინაშე დააყენოს (Debelle, 2019). უფრო მეტიც, თუ კლიმატთან დაკავშირებული რისკები პროდუქტიულობასა და ზრდაზე მოახდენს გავლენას, ამან შეიძლება რეალური საპროცენტო განაკვეთის გრძელვადიან დონეზე იმოქმედოს, რაც მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია (Brainard, 2019).

როგორ უნდა უპასუხოს მონეტარულმა პოლიტიკამ კლიმატის რისკებიდან მომდინარე მოთხოვნისა და მიწოდების შოკებს? მონეტარული პოლიტიკა ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. შესაბამისად, მოთხოვნის შოკის პოლიტიკაზე რეაგირება აშკარაა. თუმცა მიწოდების შოკის შემდეგ, ცენტრალური ბანკები, ინფლაციური წნეხისა და შენელებულ ზრდას შორის არჩევანის წინაშე დგებიან. შეიძლება რთული აღმოჩნდეს მიწოდების შოკის მიმართ მონეტარული პოლიტიკის სათანადო რეაგირების განსაზღვრა, იმის გამო, რომ რთულია შოკის ეფექტების ხანგრძლივობის დადგენა. რადგან მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკაზე ასახვა დროითი ლაგით ხდება, შოკი, რომელიც დროებითად მიიჩნევა, სავარაუდოდ არ საჭიროებს პოლიტიკის რეაგირებას. თუმცა, თუ შოკის ეფექტები უფრო ხანგრძლივია, ამ შემთხვევაში სათანადო პოლიტიკის რეაგირების განსაზღვრა შედარებით რთულია. რადგან ფასების საწყისმა ზრდამ შესაძლოა მეორე-რიგის ეფექტები გამოიწვიოს ინფლაციის მოლოდინების კორექტირებისა და ხელფასების ზრდის გზით. ეს ეფექტები გათვალისწინებული უნდა იქნას მონეტარული პოლიტიკის გამტარებლების მიერ ადეკვატური პოლიტიკის რეაგირების შემუშავებისას, რადგან მათ შეუძლიათ გავლენა მოახ-

დინონ მომავალ ინფლაციაზე. ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთების შემცირება გამოშვების სტიმულირების მიზნით, ინფლაციურ წნეხს ზრდის. მეორეს მხრივ, საპროცენტო განაკვეთების ზრდამ ინფლაციური ეფექტის შესამცირებლად შეიძლება ეკონომიკური ზრდის შენელება გააძლიეროს. ხანგრძლივი ეფექტების მქონე მიწოდების შოკზე საპასუხო რეაქცია დამოკიდებულია ცენტრალური ბანკების მიზნებზე. თუმცა, სავარაუდოდ, მოკლევადიან პერიოდში საპროცენტო განაკვეთის ზრდას ექნება ადგილი, რადგან ცენტრალური ბანკების უმრავლესობა აქცენტს ფასების სტაბილურობაზე აკეთებს. გრძელვადიან პერიოდში კი, ხანგრძლივი ეფექტების მქონე მიწოდების შოკი წონასწორობის საპროცენტო განაკვეთის შემცირებას გამოიწვევს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკის განაკვეთები თანდათანობით წონასწორულ დონემდე შემცირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შოკის ბუნების დადგენა ყოველთვის ადვილი არ არის. ეს არის დროებითი თუ მუდმივი ფასების ცვლილება და ამასთან, ექნება თუ არა ფასების მოძრაობას ინფლაციაზე მეორე რიგის ეფექტი ხშირ შემთხვევაში რთული განსასაზღვრია. ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვანია მონეტარული პოლიტიკის ადეკვატური და ეფექტიანი რეაგირებისთვის. დამატებით, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შემთხვევაში, გარკვეული კლიმატური პროცესების და მათი ზემოქმედების შეუქცევადობა მინიმუმ სამ ახალ გამოწვევას ქმნის მონეტარული პოლიტიკისთვის (Olovsson, 2018; BIS, 2020):

- მიუხედავად იმისა, რომ ციკლური ინსტრუმენტების გამოყენება მიზნად ისახავს ეკონომიკაში აქტივობის სტიმულირებას ან შენელებას შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში, კლიმატის ცვლილების გავლენა სავარაუდოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნდება (Coeuré, 2018). ამ სიტუაციამ შეიძლება სტაგფლაციური მიწოდების შოკები გამოიწვიოს, რომელთა სრულად შეტრიალება შეიძლება მონეტარულმა პოლიტიკამ ვერ შეძლოს (Villeroy de Galhau, 2019).
- კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა, რომელიც გლობალურ გადაწყვეტას მოითხოვს, ხოლო მონეტარული პოლიტიკის კოორდინაცია, დღესდღეობით, ქვეყნებს შორის რთულია (Pereira da Silva, 2019). მხოლოდ ცალკეული ქვეყნის მიერ კლიმატურ ინფლაციურ შოკებზე რეაგირება კი შეიძლება უშედეგო იყოს.
- მაშინაც კი, თუ ცენტრალურმა ბანკებმა კლიმატური ინფლაციური შოკის შემდეგ ფასების სტაბილურობის აღდგენა შეძლეს, რჩება კითხვა, შეძლებენ თუ არა ცენტრალური ბანკები წინასწარი მიიღონ ზომები, რომ თავიდან აიცილონ ექსტრემალური თუმცა მაღალი ალბათობის (‘fat-tail’) კლიმატის რისკები, ე.წ „მწვანე გედის“ (Green Swan) მოვლენები (Coeuré, 2018).

ამასთან, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება მონეტარული პოლიტიკის გადაცემის არხებზეც იმოქმედოს (NGFS, 2020) (იხ. **Error! Reference source not found.**). კლიმატის ცვლილებამ შეიძლება ფინანსური შუამავლების საბალანსო უწყისებზე, აქტივების შეფასებასა და ეკონომიკური აგენტების მოლოდინებზე მოახდინოს გავლენა. შედეგად, მონეტარული პოლიტიკის გადაცემის არხები შეიძლება შესუსტდეს გაუფასურებული აქტივების (“stranded assets”) ზრდისა და საკრედიტო რისკების გაზრდის ფონზე, რაც თავის მხრივ კლიმატთან დაკავშირებული მოვლენების ინტენსიურობის ზრდის შედეგია. უფრო მეტიც, ვინაიდან ფინანსური სისტემა გადაცემის მექანიზმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, აქტივების მკვეთრმა გადაფასებამ შეიძლება ზეწოლა მოახდინოს ბანკების საბალანსო უწყისებზე და შეზღუდოს მათ შესაძლებლობები ეკონომიკისთვის კრედიტის მიწოდება უზრუნველყონ. ამ არხების გარდა, კლიმატის ცვლილების გამძაფრების ფონზე შესაძლოა მოლოდინების არხიც შესუსტდეს.

დიაგრამა 1.

კლიმატის რისკების გავლენა მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმზე



წყარო: NGFS, 2020[1]

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევები კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული რისკების მონეტარულ პოლიტიკასა და მისი გადაცემის მექანიზმზე გავლენის შესაფასებლად ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და უფრო მეტი და სიღრმისეული კვლევების ჩატარებაა საჭირო.

დასკვნები და რეკომენდაციები

მსოფლიო მასშტაბით უარყოფითი ზემოქმედება ეკოსისტემებსა და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე, ფართო სტრუქტურული ცვლილებები და დაკავშირებული რისკები კლიმატის ცვლილებას გლობალური ეკონომიკისთვის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად აქცევს. ყოველივე ეს მნიშვნელოვან ფინანსურ რისკებს წარმოშობს შინამეურნეობების, ბიზნესისა და ფინანსური ინსტიტუტებისთვის. შესაბამისად, კლიმატის რისკების შეფასება და ანალიზი ცენტრალური ბანკების მანდატის ნაწილი ხდება.

მთელს მსოფლიოში ცენტრალური ბანკები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კლიმატის ცვლილებას, აცნობიერებენ რა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა რისკებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ მონეტარული და ფინანსური სტაბილურობის მიზნების მიღწევაზე.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი უჩვენებს, რომ კლიმატის ცვლილებამ მონეტარულ პოლიტიკაზე სხვადასხვა გზით შეიძლება მოახდინოს გავლენა. პირველ რიგში, კლიმატის ცვლილების ფიზიკურმა და გარდამავალმა რისკებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე და ინფლაციის მოლოდინებზე. მეორე, კლიმატის ცვლილებამ, ეკონომიკურ ზრდასა

[1] https://www.ngfs.net/en/climate-change-and-monetary-policy-initial-takeaways

და გამოშვებასთან დაკავშირებით შინამეურნეობებისა და ფირმების მოლოდინებზე გავლენის შედეგად, შეიძლება არაპირდაპირი გზით მოახდინოს გავლენა მონეტარულ პოლიტიკაზე.

ამასთან, კლიმატის ცვლილებები გამოწვევებს უქმნის მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რადგან იგი მნიშვნელოვან არასტაბილურობასა და გაურკვევლობას მატებს ეკონომიკურ პერსპექტივებს. კლიმატის ცვლილებები და კლიმატის პოლიტიკა ქმნის დროებით და მუდმივ მიწოდების შოკებს, რაც გავლენას ახდენს როგორც გამოშვებაზე, ასევე ფასებზე. ამასთან, კლიმატის ცვლილება მოთხოვნის შოკებსაც ქმნის, რომელიც სხვადასხვა არხების საშუალებით მოხმარებაზე, ინვესტიციებსა და ვაჭრობაზე ზემოქმედებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის მიწოდებისა და მოთხოვნის შოკებმა შეიძლება ინფლაციისა და გამოშვების საპირისპირო მიმართულებებით ცვლილება გამოიწვიოს და ცენტრალური ბანკები ინფლაციის სტაბილიზაციასა და გამოშვების რყევების სტაბილიზაციას შორის არჩევანის წინაშე დააყენოს.

ამასთან, როგორც კვლევები აჩვენებს, კლიმატის ცვლილებამ შეიძლება მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმზეც მოახდინოს გავლენა და გადაცემის არხები შეასუსტოს. თუმცა, კვლევები კლიმატის ცვლილების და მასთან დაკავშირებული რისკების მონეტარულ პოლიტიკასა და მისი გადაცემის მექანიზმზე გავლენის შესაფასებლად ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და უფრო საფუძვლიანი ანალიზისთვის დამატებითი კვლევების ჩატარებაა საჭირო.

ლიტერატურა:

1. Abatzoglou, J, A Williams and R Barbero. (2019). Global emergence of anthropogenic climate change in fire weather indices. *Geophysical Research Letters*, vol 46, no 1, pp 326–36,
2. Allen, M and W Ingram. (2002). Constraints on future changes in climate and the hydrologic cycle. *Nature, vol 419*, September, pp 228–32.
3. Bathiany, S., V. Dakos, M. Scheffer, and T. M. Lenton. (2018). Climate Models Predict Increasing Temperature Variability in Poor Countries. *Science Advances* 4(5):EAAR5809.
4. Batten, S. (2018). Climate Change and the Macro-Economy: A Critical Review. *Bank of England Staff Working Paper* No. 706.
5. Bolton, P., Despres, M., Da Silva, L. A. P., Samama, F., & Svartzman, R. (2020). *The Green Swan*. BIS Books.
6. Brainard, Lael. (2019. Why Climate Change Matters for Monetary Policy and Financial Stability. Speech delivered at "The Economics of Climate Change", a research conference sponsored by the Federal Reserve Bank of San Francisco, San Francisco, California, 8 November 2019.
7. Carney, M. (2015). Breaking the tragedy of the horizon – climate change and financial stability. Speech given at Lloyd’s of London, 29 September,
8. Coeuré, B. (2018). Monetary Policy and Climate Change. Speech at a conference on "Scaling up Green Finance: The Role of Central Banks", organized by the Network for Greening the Financial System, the Deutsche Bundesbank and the Council on Economic Policies, Berlin, 8 November 2018.
9. Debelle, Guy. (2019). Climate Change and the Economy. Speech at the Public Forum hosted by the Centre for Policy Development, Sidney, 12 March 2019.
10. Fankhauser, Samuel, and Richard Tol. (2005). On Climate Change and Economic Growth. *Resource and Energy Economics* 27 (1): 1–17.
11. Gassebner, Martin, Alexander Keck, and Robert Teh. (2010). Shaken, Not Stirred: The Impact of Disasters on International Trade. *Review of International Economics* 18 (2): 351–68.

12. Hallegatte, Stéphane. (2009). Strategies to Adapt to an Uncertain Climate Change. *Global Environmental Change* 19 (2): 240–47.
13. Hsiang, S, M Burke and E Miguel. (2013). Quantifying the influence of climate on human conflict. *Science*, vol 341, no 6151.
14. IMF. 2017. "The Effects of Weather Shocks on Economic Activity," in World Economic Outlook, Chapter 3, International Monetary Fund, October.
15. IMF. (2019). Macroeconomic and Financial Policies for Climate Change Mitigation: A Review of the Literature. IMF Working Paper, International Monetary Fund.
16. Intergovernmental Panel on Climate Change, IPCC. (2012). Managing the risks of extreme events and disasters to advance climate change adaptation.
17. IPCC.(2018). Global warming of 1.5°C: an IPCC Special Report on the impacts of global warming of 1.5°C above pre-industrial levels and related global greenhouse gas emission pathways, in the context of strengthening the global response to the threat of climate change, sustainable development, and efforts to eradicate poverty.
18. IPCC. (2019). Special report on the ocean and cryosphere in a changing climate.
19. Jones, M, A Smith, R Betts, J Canadell, I Prentice and C Le Quéré. (2020). Climate change increases risk of wildfires. *Science Brief Review*.
20. McKibbin, Warwick, Adele Morris, Augustus J. Panton, and Peter J. Wilcoxen. (2017). Climate Change and Monetary Policy: Dealing with Disruption. *CAMA Working Paper*, no. 77/201.
21. Mersch, Y. (2018). Climate change and central banking. Speech at the Workshop discussion "Sustainability is becoming mainstream," Frankfurt am Main, November 27.
22. NGFS. (2019). A call for action: climate change as a source of financial risk.
23. NGFS. (2020). Climate Change and Monetary Policy – Initial Takeaways.
24. Olovsson, Conny. (2018). Is Climate Change Relevant for Central Banks? *Sveriges Riksbank Economic Commentaries*.
25. Opitz Sapleton, Sarah, Rebecca Nadin, Charlene Watson, and Jan Kellett. (2017). Climate Change, Migration, and Displacement: The Need for a Risk-Informed and Coherent Approach. *The Encyclopedia of Global Human Migration*.
26. Parker, Miles. (2018). The Impact of Disasters on Inflation. *Economics of Disasters and Climate Change* 2 (1): 21–48.
27. Schneider, S. (1997). Integrated assessment modeling of global climate change: Transparent rational tool for policy making or opaque screen hiding value-laden assumptions? *Environmental Modeling & Assessment* 2(4):229–249.
28. Tol, R. S. J. (2018). The Economic Impacts of Climate Change. *Review of Environmental Economics and Policy* 12(1):4–25.
29. Villeroy de Galhau, François. (2019). Climate Change: Central Banks Are Taking Action. *Banque de France Financial Stability Review*, no. 23: 7–16.

Climate Change as a New Challenge for Monetary Policy

Salome Tvalodze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

Climate change is one of the biggest challenges facing the global economy today. Climate risks affect macroeconomic factors through supply and demand shocks. It is a source of financial risks and poses significant financial risks to households, businesses, and financial institutions. Consequently, climate change creates new challenges to the design and implementation of monetary policy. It may also affect and weaken monetary policy transmission channels. However, studies to assess the impact of climate change on monetary policy are still lacking, and more in-depth analyses are needed.

ციფრული მარკეტინგის კონცეპტუალური მიმოხილვა

ნია თოდუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნაშრომში შესწავლილია ციფრული მარკეტინგის როლი ბიზნესში. ჩამოყალიბებულია ციფრული მარკეტინგის თანამედროვე ხედვა და სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებები მარკეტინგში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ. აქვე აღწერილია ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტები და მათი გამოყენების თავისებურებები მომხმარებელთა ქცევის ცვლილების გათვალისწინებით. სხვადასხვა სტატისტიკური მასალების გაანალიზების შედეგად ნაშრომში მოყვანილია მსოფლიოში და საქართველოში ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობის, აგრეთვე საქართველოში სოციალური მედიაში ჩართული მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა ბოლო ათწლეულის მანძილზე. ნაჩვენებია, რომ ქართულ კომპანიებში ციფრული მარკეტინგის სტრატეგიების აქტიური გამოყენება ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ბაზარზე აქტიურ წინსვლას.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული მარკეტინგი, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება, ციფრული მარკეტინგული სტრატეგიები.*

სწრაფადგანვითარებადი ტექნოლოგიისა და ინფორმაციის მნიშვნელოვანი ხელმისაწვდომობის ხანაში არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, გამალებით იცვლება. მეცნიერების განვითარების მაღალი ტემპები, გლობალიზაცია, ინფორმაციულ საზოგადოებაზე და ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლა ხელს უწყობს პოტენციური მომხმარებლებისა და მათი ქცევის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ასეთი ცვლილებები კი იწვევს კლასიკური მარკეტინგული ინსტრუმენტების მიმართ მომხმარებელთა უნდობლობას და მარკეტოლოგებისათვის მარკეტინგული კომუნიკაციების ეფექტური კომპლექსის განსაზღვრის პროცესის გართულებას. სხვადასხვა კომუნიკაციური ინსტრუმენტები ყოველდღიურად ეჯიბრება ერთმანეთს მომხმარებელთა მოსაზიდად. დიჯიტალიზაციამ შეცვალა საწარმოს მიერ ბაზარზე პროდუქტის გატანის გზა, ხოლო კომუნიკაციები რეალურიდან ვირტუალურ სამყაროში გადავიდა. შესაბამისად, ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა მარკეტინგში გაიზარდა, ვინაიდან ისინი ეხმარება კომპანიებს, ადამიანებს შორის უფრო მეტად ეფექტიანი კომუნიკაციები დაამყარონ (Ryan, 2014). შეიძლება ითქვას, რომ დიჯიტალიზაციის გამოყენება მარკეტინგში წარმოადგენს რევოლუციას, განსაკუთრებით, მომხმარებელთა ქცევის თვალსაზრისით (Kingsnorth, 2016). ზემოთქმულიდან გამომდინარე, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება თანამედროვე ბიზნესში მეტად აქტუალურია. მართალია, საქართველოში ციფრული მარკეტინგის ცალკეული საკითხების გარშემო შესრულებულია გარკვეული სამუშაოები (Todua & Jashi, 2018: Todua, 2019; Todua & Gogitidze, 2021), მაგრამ, საკითხის მნიშვნელობის მიუხედავად, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ციფრული მარკეტინგის შესახებ ნაშრომები მწირია. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია ციფრული მარკეტინგის შესახებ კონცეპტუალური შეხედულებების გაანალიზება.

ლიტერატურის მიმოხილვა. დღეისათვის შეიმჩნევა ციფრული კომუნიკაციების როლის მნიშვნელოვანი ზრდა და ციფრულ მარკეტინგზე გადასვლა, რამაც კარდინალურად გარდაქმნა ტრადიციული მარკეტინგის კომპლექსი, მისი ძირითადი მიმართულებები და ინსტრუმენტები. ამის შე-

დეგად ციფრული მარკეტინგის შესაძლებლობებისა და ონლაინგარემოში საქონლისა და მომსახურების ეფექტური პრომოციის თავისებურებების ცოდნა აუცილებელი გახდა.

ბრიტანული ორგანიზაცია IDM (Institute of Direct and Digital Marketing)-ის განმარტებით, ციფრული მარკეტინგი მოიცავს მარკეტინგის მართვას მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა, ინტერაქტიული ტელევიზია, უკაბელო მედია, რომელთანაც შეხამებულია მომხმარებელთა მახასიათებლებისა და ქცევის შესახებ ციფრული მონაცემები (Bhatia, 2017). საკმაოდ საინტერესოა აგრეთვე მარკეტინგის ამერიკული ასოციაციის განმარტება, რომლის თანახმადაც, ციფრული მარკეტინგი ესაა მყიდველებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის ფასეულობების შექმნასთან, კომუნიკაციისა და მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობა, ინსტიტუტები და პროცესები, რომლებიც ხორციელდება ციფრული ტექნოლოგიების ხელშეწყობით (Kannan & Li, 2017). ზოგიერთი ავტორი ციფრულ მარკეტინგს აიგივებს ონლაინრეკლამასთან, რომლის მიზანია აუდიტორიისათვის შეტყობინებების მიწოდება (Smith, 2011). ვფიქრობთ, ასეთი განმარტება ძალიან შეზღუდულია, რადგან ციფრული მარკეტინგი უზრუნველყოფს მარკეტინგული საქმიანობის რეალიზაციას ციფრული საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით. შესაბამისად, ესაა ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მარკეტინგი, რომელიც კომპანიასა და მის კლიენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობის საშუალებას იძლევა (Skudiene et al., 2015). აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის ციფრული მარკეტინგი განიხილება, როგორც ახალი მარკეტინგული ინიციატივა და მარკეტინგული მიზნების მიღწევისათვის ციფრული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის ტრადიციული არხების ინტეგრაცია (Chaffey et al., 2016; Järvinen et al., 2012; Liu et al., 2011; Taiminen & Karjaluoto, 2015).

ციფრული მარკეტინგის ევოლუცია მჭიდრო კავშირშია ტექნოლოგიების განვითარების ისტორიასთან, მაგრამ მის ამოსავალ წერტილად მიიჩნევა ის მომენტი, როდესაც ტექნოლოგიები საკმაოდ რთული გახდა ინფორმაციის დიდი რაოდენობით შესანახად (Olson et al., 2021). ციფრული მარკეტინგის განვითარება პრაქტიკულად ემთხვევა ინტერნეტის ისტორიას. შეიძლება ითქვას, რომ ციფრული მარკეტინგის სათავე იწყება მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა მომხმარებლებმა თავიანთ სახლებში პირველად დაიწყეს კომპიუტერის და ინტერნეტის გამოყენება (Kingsnorth, 2016). ციფრული მარკეტინგის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ინტერნეტ-კომუნიკაციების ევოლუციას, ე.ი. Web 1.0-ს, Web 2.0-ს და Web 3.0-ს. ინტერნეტის განვითარების საწყის ეტაპს ჩვეულებრივ Web 1.0-ს უწოდებენ. Web 1.0 მიეკუთვნება იმ დროს, როდესაც ინტერნეტში განთავსებული იყო სტატიკური ვებგვერდები, რომლებთანაც მომხმარებლებს ურთიერთქმედება არ შეეძლოთ. Web 2.0 არის არა სტატიკური, არამედ ინტერაქტიული, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს, შექმნას ვებგვერდები. ამიტომაც იუზერები არიან საიტის მამოძრავებელი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ, საიტში დამატებითი ინფორმაცია შეიტანონ და გაამდიდრონ იგი. Web 2.0 ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა ისეთი ფენომენის შექმნა, როგორიცაა სოციალური ქსელები, რომლებიც გათვალისწინებულია მომხმარებლებთან კომუნიკაციისათვის. ზოგიერთი ავტორი სოციალურ ქსელებს და Web 2.0-ს სინონიმებადაც კი იყენებს და ამტკიცებს, რომ ეს ტერმინები შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც ურთიერთშემცვლელები (Constantinides, 2008; Constantinides & Fountain, 2008; Cox et al., 2008). ამის საწინააღმდეგოდ, ავტორების უმეტესობა თვლის, რომ ეს ორი ტერმინი განსხვავებულია. კერძოდ, Web 2.0 უფრო ფართო კონცეფციაა, რომელიც უკავშირდება არა მარტო ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ტენდენციებს, არამედ აპლიკაციების უფრო მრავალფეროვან სპექტრს (Musser & O'Reilley, 2007; McKinsey, 2009; O'Reilly, 2007; O'Reilly & Battelle, 2009; Kaplan & Haenlein, 2010). ცნება Web 3.0 გაჩნდა რამდენიმე წლის წინ, როგორც სოციალური ქსელების

ეპოქის გაგრძელება და Web-ის ახალი თაობა. იდეები, რომლებიც ამ კონცეფციის ფორმირებას ახდენენ, ერთი შეხედვით, ფანტასტიკური ჩანს, თუმცა, დღეისათვის მიმდინარეობს მათი აქტიური პრაქტიკული რეალიზაცია, როგორც ზოგადად ინტერნეტის, ასევე ელექტრონული კომერციის სფეროში. WEB 3.0 განიხილება, როგორც სემანტიკური ქსელის აბსოლუტური გავრცელება ინტერნეტში, როცა ინფორმაცია გლობალურ ქსელში არა უბრალოდ აკუმულირდება, არამედ გასაგებიც ხდება (Chaffey et al., 2016; Kingsnorth, 2016).

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ მარკეტინგისა და ტრადიციული მარკეტინგის კომუნიკაციური მიზნები, მიზნობრივი მომხმარებლებისათვის მესიჯების მიწოდების განსხვავებული გზების მიუხედავად, ერთმანეთის მსგავსია (Wei-nian, 2007). ამასთან, ციფრულ მარკეტინგს ხშირად უწოდებენ ონლაინ მარკეტინგს, ინტერნეტ მარკეტინგს ან ვებ მარკეტინგს, თუმცა, სინამდვილეში ეს ასე არ არის (Shaltoni, 2017). პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია ციფრული და ინტერნეტ მარკეტინგის ერთმანეთთან შედარება. ბევრი მათ ერთმანეთთან აიგივებს, მაგრამ ისინი სინონიმები როდია. ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ციფრული მარკეტინგი და ინტერნეტ მარკეტინგი ერთი და იგივე არ არის (Atshaya & Rungta, 2016). ინეტერნეტ მარკეტინგი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ინტერნეტ კავშირს მარკეტინგული მიზნების მისაღწევად (Zahay & Roberts, 2018). მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინტერნეტი წარმოადგენს ციფრული მარკეტინგის ერთადერთ ინსტრუმენტს, არასწორია, ვინაიდან ციფრული მარკეტინგის ყველა არხს არ სჭირდება ინტერნეტთან დაკავშირება. ციფრული ტელევიზია, მობილური მოწყობილობა, სოციალური მედია და სხვა ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ინფორმაციის გავრცელების ციფრულ არხებს (Chaffey & Ellis-Chadwick, 2012). ციფრული მარკეტინგი მოიცავს ინტერნეტ მარკეტინგს, მაგრამ იგი საშუალებას იძლევა, განვახორციელოთ კომუნიკაცია არა მარტო ონლაინ, არამედ ოფლაინ გარემოშიც (ქუჩის სარეკლამო დისპლეი, QR კოდები, მობილური აპლიკაციები, SMS/MMS, ვიდეო კედლები, ინტერაქტიული კიოსკები). რეკლამის ამ ფორმების გამოყენებით მიზნობრივი აუდიტორია ოფლაინგარემოს საშუალებით აღწევს ონლაინგარემოში. ამ თვალსაზრისით, ციფრული მარკეტინგი მოიცავს ინტერნეტში არსებულ რეკლამის ან პრომოციის ნებისმიერ ფორმას (Kannan, 2017).

ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ლიტერატურაში განსხვავებულადაა აღწერილი. მათი შეჯერების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ციფრულ მარკეტინგთან დაკავშირებული რამდენიმე მსხვილი კატეგორია (არხი), რომლებიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი და გავრცელებული. ესენია: საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია, საძიებო სისტემის მარკეტინგი, კონტენტ მარკეტინგი, სოციალური მედია მარკეტინგი, E-mail მარკეტინგი, ონლაინ რეკლამა, პარტნიორული მარკეტინგი, მობილური მარკეტინგი, ვირუსული მარკეტინგი, პარტიზანული მარკეტინგი და გავლენის მარკეტინგი (Stokes, 2013; Kingsnorth, 2016; Charlesworth, 2018; Chaffey & Ellis-Chadwick, 2019). ქვემოთ მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია ანუ SEO (Search Engine Optimization, SEO) -ესაა ჩვენთვის სასურველი ვებ-გვერდის ისეთნაირად დარეგულირება, რომ იგი ბუნებრივად ანორგანულად გამოჩნდეს Google-ის ან სხვა რომელიმე საძიებო სისტემაში ძიების შედეგად.

საძიებო სისტემის მარკეტინგი ანუ SEM (Search Engine Marketing, SEM)-ესაა ბიზნესში ტრაფიკის მოზიდვის კომპლექსური სტრატეგია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, დაფუძნებულია გადახდის ძალისხმევაზე. ამიტომ ასეთ მარკეტინგს ხშირად ფასიანი ძიების მარკეტინგსაც უწოდებენ. ბიზნესის სტრუქტურის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ SEM-ის შემდეგი მოდელები: PPC (pay-per-click), CPC (cost-per-click) და CPM (cost-per-thousand impressions). ამასთან, არსებობს SEM-ის სხვადასხვა პლატფორმა, რომელთა შორის ყველაზე უფრო პოპულარულია Google Ad Words (Google-ის ქსელში) და Bing Ads (Yahoo Bing-ის ქსელში).

კონტენტ მარკეტინგი (Content Marketing) შეგვიძლია აღვწეროთ როგორც მარკეტინგული ტექნიკა, რომელიც მიზნობრივ მომხმარებლებს აწვდის საჭირო და რელევანტურ ინფორმაციას, რათა მართოს მათი ქცევა. კონტენტის წარმოდგენა შესაძლებელა სხვადასხვა გზით: სტატიებით, ფოტოებით, აუდიო, ვიდეო საშუალებებით, ინტერაქტიული კვლევებით და ა.შ. კონტენტ მარკეტინგი იზიდავს მომხმარებელს, განსხვავებით რეკლამისგან, რომელიც ცდილობს, რომ გაყიდოს პროდუქტი მომხმარებელზე.

სოციალური მედია მარკეტინგი (Social Media Marketing, SMM) ესაა სოციალური პლატფორმების მეშვეობით ბრენდის ან პროდუქტის ყურადღების მიქცევის პროცესი.

E-mail მარკეტინგი (E-mail Marketing) ესაა პოტენციური მყიდველებისათვის კომერციული შეტყობინებების გაგზავნა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მისი მიზანია კომპანიის პროდუქტების პრომოცია ელექტრონული წერილების გამოყენებით. E-mail მარკეტინგი ზრდის განმეორებითი ყიდვის რაოდენობას. ასევე, იგი წარმოადგენს მყიდველების შენარჩუნების ყველაზე უფრო ეფექტიან მარკეტინგულ ინსტრუმენტს.

ონლაინ რეკლამა (Online Advertising) გულისხმობს ინტერნეტში რეკლამის განთავსებას, რომლის მიზანია, მომხმარებლებს მიაწოდოს კომპანიის მთავარი მესიჯი. არსებობს ონლაინ რეკლამის რამდენიმე სახე: ტექსტური რეკლამა, მედია რეკლამა (ბანერები და ვიდეო რეკლამა), ტარგეტირებული რეკლამა, იმეილ რეკლამა და სოციალურ მედიაში რეკლამა.

პარტნიორული მარკეტინგი (Affiliate Marketing) არის მოდელი, რომლითაც კომპანია თავისი პროდუქციის ინტერნეტ სივრცეში პრომოციისათვის პარტნიორს უხდის საკომისიო თანხას. პარტნიორული მარკეტინგი ჰგავს ონლაინ რეკლამას, მაგრამ, მისგან განსხვავებით, კომპანია საკომისიოს იხდის მხოლოდ მაშინ, თუ მისი პროდუქტი გაიყიდა.

მობილური მარკეტინგი (Mobile Marketing) გულისხმობს კომპანიასა და მომხმარებლებს შორის კომუნიკაციას მობილური აპლიკაციების გამოყენებით. მობილური მარკეტინგის სახეებიდან ყველაზე უფრო პოპულარულია SMS რეკლამა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას, მიზნობრივ ჯგუფებს მიაწოდოს ინფორმაცია სპეციალური შეთავაზების, ფასდაკლებისა და აქციების შესახებ.

ვირუსული მარკეტინგი (Viral Marketing) ითვალისწინებს კომპანიის სარეკლამო მესიჯების (ტექსტის, ფოტოს ან ვიდეოს) სწრაფად გავრცელებას ინტერნეტში. ასეთი აქტივობის მიზანია სარეკლამო მესიჯების საინტერესოდ, ემოციურად და დამაინტრიგებლად წარმოდგენა, რომ ინტერნეტ მომხმარებლებს მათი დაუყონებლივ გაზიარების სურვილი გაუჩნდეთ, რაც ამ მესიჯების ვირუსულად გავრცელებას განაპირობებს.

პარტიზანული მარკეტინგი (Guerrilla Marketing) – ესაა კომპანიის საქონლის ან მომსახურების პრომოცია, აგრეთვე ბრენდის ცნობადობის ამაღლება არასტანდარტული, კრეატიული და დასამახსოვრებელი მეთოდებითა და მინიმალური ფინანსური დანახარჯებით. ეს არის ფარული რეკლამის მეთოდი, რომელიც დახვეწილად ყიდის საქონელს ან მომსახურებას.

გავლენის მარკეტინგი (Influencer Marketing) – ეს არის სოციალურ ქსელებში საქონლის ან მომსახურების პრომოცია აზრის ლიდერების საშუალებით. მოსაზრებების ლიდერებად გამოდიან ცნობილი სახეები, ინდუსტრიის ექსპერტები, კონტენტის შემქმნელები და ბლოგერები.

მარკეტინგის სფეროში პროგრამული პროდუქტების შემმუშავებელი უმსხვილესი კომპანია HubSpot-ის ანგარიშში „State of Inbound“ ნათქვამია, რომ მარკეტინგის სპეციალისტების 63%-ს ციფრული მარკეტინგის დანერგვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად მიაჩნია. ამიტომ, თანამედროვე კომპანიებისთვის გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ პასუხის გაცემა კითხვაზე, საჭიროა თუ არა ციფრული მარკეტინგი, არამედ ის, თუ როგორ შეიძლება შევქმნათ, მოვარგოთ და შევინარჩუნოთ ციფრული მარკეტინგის სწორი სტრატეგია ბაზარზე (HubSpot, 2018).

ანალიტიკური სააგენტო We Are Social-ის და უმსხვილესი SMM პლატფორმა Hootsuite-ის მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლისათვის მსოფლიოში ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ შეადგინა 4,95 მლრდ ადამიანი, რაც წინა წელთან შედარებით 4%-ით მეტია (We Are Social & Hootsuite, 2022a). მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა 2012-2022 წლებში ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული მაჩვენებლები ზრდის მაღალი ტემპებით ხასიათდება.

ნახ.1.

მსოფლიოში ინტერნეტ მომხმარებელთა
რაოდენობის ცვლილების დინამიკა 2012-2022 წლებში



წყარო: We Are Social & Hootsuite (2022a)

საქართველოში ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა 2012-2021 წლებში საგრძნობლად იზრდებოდა, ხოლო 2022 წლისათვის 0,3%-ით შემცირდა (We Are Social & Hootsuite, 2022b). საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა 2012-2022 წლებში ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე. სამაგიეროდ, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ 2022 წელს საქართველოში სოციალურ მედიაში ჩართული მომხმარებელთა რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 8,1%-ით გაიზარდა და 3,35 მლნ-ს მიაღწია, რაც ჩვენს ქვეყანაში ციფრული ტექნოლოგიებით დაინტერესების მაღალ დონეს მიანიშნებს (იხ. ნახ. 3).

ნახ. 2.

საქართველოში ინტერნეტმომხმარებელთა
რაოდენობის ცვლილების დინამიკა 2012-2022 წლებში



წყარო: We Are Social & Hootsuite (2022b)

ნახ. 3.

საქართველოში სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობის ცვლილების დინამიკა 2012-2022 წლებში



წყარო: Datareportal (2022)

დასკვნა

ზემოთ მოყვანილი მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ციფრული მარკეტინგის ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება. ციფრული მარკეტინგის კონცეფციის შექმნის დღიდან, როდესაც ინტერნეტში პირველი ბანერი გამოჩნდა, გრძელმა გზამ გაიარა. ციფრული მარკეტინგის გარემო საქართველოშიც მუდმივად ვითარდება ისეთი თანამედროვე მარკეტინგული საშუალებების წყალობით, როგორიცაა საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია, სოციალური მედიის პლატფორმები და ვიდეო რესურსები. სწორედ, ამიტომ საქართველოს ბაზარზე მომუშავე კომპანიებმა თავიანთ საქმიანობაში უნდა დანერგონ ციფრული მარკეტინგის სტრატეგიები, რათა მისდიონ მიმდინარე ტენდენციებს. ციფრული მარკეტინგის მეთოდების რაციონალური გამოყენების გარეშე არცერთ ქართულ კომპანიას არ შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ დღევანდელ მაღალკონკურენტულ ბაზარზე წარმატებას მიაღწევს.

ლიტერატურა:

1. Atshaya, S., & Rungta, S. (2016). Digital Marketing vs. Internet Marketing: A Detailed Study. *International Journal of Novel Research in Marketing Management and Economics*, *3*(1), 29-33.
2. Bhatia Puneet Singh (2017). *Fundamentals of Digital Marketing.* Published by Pearson India Education Services Pvt. Ltd.
3. Chaffey, D., & Ellis-Chadwick, F. (2019). *Digital Marketing : strategy, implementation and practice*. 6th ed. Pearson UK.
4. Chaffey, D., & Ellis-Chadwick, F. (2012). *Digital Marketing: Strategy, Implementation and Practice*. Harlow: Pearson Education.
5. Chaffey, D., Ellis-Chadwick, F., Mayer, R., & Johnston, K. (2016). *Internet marketing: Strategy, implementation and practice.* London: Pearson Education.

6. Charlesworth, A. (2018). *Digital Marketing: A Practical Approach*. 3rd ed. New York, NY: Routledge.
7. Constantinides, E. and Fountain, S., 2008. Web 2.0: Conceptual foundations and marketing issues. *Journal of Direct, Data and Digital Marketing Practice*, *9* (3), 231-244.
8. Constantinides, E., 2008. The empowered customer and the digital myopia. *Business Strategy Series*, 9 (5), 215-223
9. Cox, C., Burgess, S., Sellitto, C. and Buultjens, J., 2008. *Consumer-Genereated Web-based Tourism Marketing*. Queensland, Australia: Sustainable Tourism Cooperative Research Centre.
10. Datareportal (2022). Social Media Users Over Time (Georgia). Retrieved from https://datareportal.com/reports/digital-2022-georgia
11. HubSpot (2018). State of Inbound 2018. Global Report. Retrieved from https://cdn2.hubspot.net/hubfs/3476323/State%20of%20Inbound%202018%20Global%20Results.pdf
12. Järvinen, J., Tollinen, A., Karjaluoto, H., & Jayawardhena, C. (2012). Digital and social media marketing usage in B2b industrial section. *Marketing Management Journal, 22*(2), 102–117.
13. Kannan, P. K. (2017). Digital marketing: A framework, review and research agenda. *International Journal of Research in Marketing*, *34*(1), 22-45.
14. Kannan, P. K., & Li, H. A. (2017). Digital marketing: A framework, review and research agenda. *International Journal of Research in Marketing*, *34*(1), 22-45.
15. Kaplan, A. M., & Haenlein, M. (2010). Users of the world, unite! The challenges and opportunities of Social Media. *Business horizons*, *53*(1), 59-68.
16. Kingsnorth, S. (2016). *Digital Marketing Strategy: An integrated approach to online marketing*. Philadelphia, PA : Kogan Page.
17. Kingsnorth, S. (2016). *Digital marketing strategy: An Integrated approach to online marketing.* London and Philadelphia: Kogan Page Publishers
18. Liu, Q. B., Karahanna, E., & Watson, R. T. (2011). Unveiling user-generated content: Designing websites to best present customer reviews*. Business Horizons, 54*(3), 231–240.
19. McKinsey (2009). *How companies are benefiting from Web 2.0.* [online]. New York: McKinsey & Company. Retrieved from: https://www.mckinsey.com/business-functions/mckinsey-digital/our-insights/how-companies-are-benefiting-from-web-20-mckinsey-global-survey-results
20. Musser, J., & O'reilly, T. (2007). *Web 2.0: Principles and best practices*. O'Reilly Media, Sebastopol, CA
21. Olson, E. M., Olson, K. M., Czaplewski, A. J., & Key, T. M. (2021). Business strategy and the management of digital marketing. *Business horizons*, *64*(2), 285-293.
22. O'reilly, T. (2007). What is Web 2.0: Design patterns and business models for the next generation of software. *Communications & strategies*, *65*(1), 17-37.
23. O'Reilly, T., & Battelle, J. (2009). *Web squared: Web 2.0 five years on*. Sebastopol, CA: O'Reilly Media.
24. Ryan, D. (2014). *Understanding digital marketing: Marketing strategies for engaging the digital generation.* 3rd ed., London, Philadelphia and New Delhi: Kogan Page Publishers.
25. Shaltoni, A. M. (2017). From websites to social media: exploring the adoption of internet marketing in emerging industrial markets. *Journal of Business & Industrial Marketing*.
26. Skudiene, V., Auruskeviciene, V., & Sukeviciute, L. (2015). Internationalization model revisited: E-marketing approach*. Procedia-Social and Behavioral Sciences, 213,* 918–924.
27. Smith, K. T. (2011). Digital marketing strategies that Millennials find appealing, motivating, or just annoying. *Journal of Strategic marketing*, *19*(6), 489-499.
28. Stokes, R. (2013). *eMarketing: The Essential Guide to Marketing in a Digital World. 5th ed*. Red & Yellow.

29. Taiminen, H. M., & Karjaluoto, H. (2015). The usage of digital marketing channels in SMEs. *Journal of Small Business and Enterprise Development, 22*(4), 633–651.
30. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business, 7,* 39-48.
31. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. *The New Economist,16* (3/4), 7-15.
32. Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of social marketing on the behavior of Georgian consumers regarding healthy nutrition. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *12*(2), 183-190.
33. We Are Social & Hootsuite (2020a). *Digital 2022*: Global Overview Report. Retrieved from https://wearesocial.com/uk/blog/2022/01/digital-2022-another-year-of-bumper-growth-2/
34. We Are Social & Hootsuite (2022b). Internet Users Over Time (Georgia). Retrieved from https://datareportal.com/reports/digital-2022-georgia
35. Zahay, D. L., & Roberts, M. L. (2018). *Internet marketing: Integrating online & offline strategies*. Boston, MA: Cengage Learning.
36. Zhang, W. N. (2007). Online marketing and its strategy. *China-USA Business Review*, *6*(3), 67-71.

A Conceptual Review of Digital Marketing

Nia Todua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

The paper examines the role of digital marketing in business. The modern vision of digital marketing and the opinions of various scientists about the use of digital technologies in marketing are formulated. Digital marketing tools and their usage features are described here considering the change in consumer behavior. As a result of the analysis of various statistical materials, the paper presents the dynamics of changes in the number of Internet users in the world and in Georgia, as well as the number of users engaged in social media in Georgia over the last decade. It has been shown that the active use of digital marketing strategies in Georgian companies will help increase their competitiveness and actively advance in the market.

Keywords: *Digital Marketing, Consumer Behavior Change, Digital Marketing Strategies.*

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების

მარკეტინგული ასპექტები საქართველოს ბანკებში

ნუგზარ თოდუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო გოგიტიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში განხილულია ციფრული საბანკო ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებები და გამოწვევები ფინანსურ ბაზარზე ორი უმსხვილესი პროვაიდერის, თიბისი ბანკის და საქართველოს ბანკის მაგალითზე. ნაჩვენებია, რომ საქართველოში ეს კომპანიები ციფრული მარკეტინგის ერთგვარ პიონერებადაც ითვლებიან და მომხმარებელს ინოვაციური პროდუქტებით და მომსახურებით გლობალური პანდემიის დაწყებამდეც ამარაგებდნენ. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ამ ბანკებს შორის კონკურენცია საფინანსო ბაზარზე ყველაზე მკვეთრადაა გამოხატული, ამიტომ ნაშრომში წარმოდგენილია მოცემული ბანკების ციფრული განვითარების სპეციფიკა, ინოვაციური პროდუქტები და მომსახურება, ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენების უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მარკეტინგული ასპექტების შესასწავლად აუცილებლად განსახილველ ინფორმაციას წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული საბანკო მარკეტინგი, მარკეტინგული ასპექტები.*

21-ე საუკუნეში საბანკო მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბდა ძლიერი კონკურენცია. საფინანსო ბაზრის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ მომხმარებლებთან ეფექტიანი პირადი კომუნიკაციის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია პროფესიული საბანკო მარკეტინგის გამოყენება. საბანკო პროდუქტები, სხვა საქონელსა და მომსახურებასთან შედარებით, მეტად რთული და აბსტრაქტულია. საბანკო პროდუქტების უმეტესობა ინტეგრირებულია, რაც გულისხმობს იმას, რომ მომხმარებელი აქტიურ მონაწილეობას იღებს მათ შექმნაში (Catalina, 2010).

ინოვაციის განვითარებამ ციფრულ ერაში საბანკო სექტორზეც იმოქმედა და მომხმარებელთან ურთიერთობის ფორმები შეცვალა (Kitsios et al., 2021). ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ გაზარდა კონკურენციის ხარისხი და მომხმარებელთა მოთხოვნები გარდაქმნა. ეს კი გულისხმობს იმას, რომ დღეს მომხმარებლებს მეტად სურთ, საბანკო მომსახურება ციფრული პლატფორმების დახმარებით მიიღონ (Capgemini, 2022). ტექნოლოგიური პროგრესი ბანკებისგან უახლესი და სრულყოფილი სერვისების ნაკრებს მოითხოვს, რომელიც ტრადიციულ შეთავაზებებს წინ უსწრებს. ელექტრონული ბანკინგის კონცეფცია ინტერნეტის საშუალებით ფინანსური სერვისების შემუშავებასა და დანერგვას ეფუძნება (Todua & Gogitidze, 2021). ელექტრონული ბანკინგი მომხმარებლის მიერ ინტერნეტის საშუალებით საბანკო ანგარიშებთან წვდომას უზრუნველყოფს (Sathye,1999). ელექტრონული საბანკო სერვისები მომხმარებლისთვის სარგებლის მომტანია, ვინაიდან სახლიდან გაუსვლელად სხვადასხვა ფინანსური პროცესის განხორციელება შესაძლებელია ნაკლები დროითი დანახარჯებით. ციფრულ მარკეტინგში წარმატების გასაღებია მომხმარებელთა ქცევის გაანალიზება (Vinerean et al., 2013). ციფრული სამყაროს ცვალებადი ტექნოლოგიური გარემო მომხმარებელთა მყიდველობით ქცევას ცვლის, რაც ინდივიდებისა და ორგანიზა-

ციების მიერ საქონლის ან მომსახურების შერჩევის, ყიდვის, გამოყენებისა და კმაყოფილების მიღწევის საშუალებაა (Madni, 2014).

კონკურენტებთან გასამკლავებლად ბანკებისთვის აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სტრუქტურის პერსონალიზება და მეტი ციფრული პროდუქტების დამატება. დღეს ორგანიზაციებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების დახვეწა სტრატეგიული დაგეგმვის პრიორიტეტია. ციფრული მარკეტინგის სტრატეგია მოიცავს კომპანიის ციფრულ ხედვას, რომელიც გვიჩვენებს, რა რაოდენობის ინვესტიცია უნდა ჩავდოთ ციფრულ ტექნოლოგიებში და როგორ მოვერგოთ არსებულ ბიზნესს (Bharadwaj et al., 2013). ეფექტიანი ციფრული სტრატეგიის შესაქმნელად კი ბანკებმა, უპირველესად, თავიანთი საქმიანობა ციფრულად უნდა გარდაქმნან, რაც სტრუქტურისა და ბიზნესპროცესების ციფრულ ცვლილებებს გულისხმობს. ეს ნიშნავს ინფორმაციის გადაცემას ციფრული მოწყობილობების დახმარებით. ციფრული ინტეგრაცია ამცირებს ხარჯებს და პროცესების, არხების და პროდუქტების ავტომატიზებულ ოპტიმიზაციას ახდენს (Tran, 2021).

ელექტრონული საბანკო მომსახურების უპირატესობების და ბანკების მიერ განხორციელებული უზარმაზარი ინვესტიციების მიუხედავად, ბევრ მომხმარებელს ელექტრონული სერვისების გამოყენება არ სურს (Chaouali et al., 2016; Tarhini et al., 2016). მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ბანკებმა უნდა მართონ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებელთა მიერ ინტერნეტ ბანკინგის გამოყენებაზე, რადგან ელექტრონული სერვისები უსაფრთხო, კომფორტული და სწრაფია (Anouze & Alamro, 2019). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო სექტორში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მარკეტინგული საკითხების კვლევა აქტუალურია. ამიტომ წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს წამყვან ბანკებში (თიბისი ბანკში და საქართველოს ბანკში) ციფრულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში მარკეტინგული ასპექტების შესწავლა.

ტექნოლოგიური გამოწვევები საბანკო სექტორში. ელექტრონული კომერციის განვითარებამ ინტერნეტში ტრანსაქციების მრავალმხრივი გამოყენება გამოიწვია. ელექტრონულ კომერცია ხელს უწყობს გამყიდველს მონაცემების შეგროვებაში, აგრეთვე საქონლისა და მომსახურების წარდგენაში. *Amazon.com* ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მაღაზიების არსებობის გარეშე გაყიდვების დიდი მოცულობის გენერირება (Piriyakul et al., 2015). თავდაპირველად მონეტარული ადმინისტრაციის მთავარი სირთულე იყო მრავალი განსხვავებული კლიენტის არსებობა. ზოგ ადამიანს, უბრალოდ, ფინანსური ანგარიშგება სჭირდება, სხვები ეძებენ სესხს კერძო საწარმოს შესაქმნელად, მომხმარებელთა არსებით ნაწილს სურს ანგარიშებთან მუდმივი წვდომა და ა.შ. ციფრული მარკეტინგი, ძვირადღირებული სატელევიზიო და რადიო რეკლამების გარეშე, მიზნად ისახავს ყველა სპეციალური მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ბანკების სარეკლამო მიმართვა მხოლოდ სპეციფიკურ მომხმარებლებზე არ იყოს ორიენტირებული. იმისთვის, რომ დღევანდელ სამყაროში ბანკმა აქტუალურობა შეინარჩუნოს, აუცილებელია ციფრული მარკეტინგის ისეთი გეგმის შემუშავება, რომელიც არააქტიურ ვებგვერდებს, სოციალურ მედია მარკეტინგს, ელექტრონული ფოსტის მარკეტინგს, მობილურზე მორგებულ საბანკო აპლიკაციებს და ონლაინ ბანკინგს ურთიერთინტეგრირებულს გახდის (Soniya, 2018).

ალტერნატიული საბანკო პროვაიდერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაჩენამ, როგორიცაა, მაგალითად, მობილური საფულეები და ბლოკჩეინი, ბაზარი ძირეულად შეცვალა. მომხმარებლები ფინანსური მომსახურების მისაღებად არატრადიციულ პროვაიდერებს სულ უფრო მეტად მიმართავენ. შესაბამისად, მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილებების შესწავლის გარეშე გარეგანი გამოწვევების შესწავლა შეუძლებელია (Vetrivel, 2020).

მარკეტინგის წვლილის დადგენა ბანკებისათვის ყოველთვის გამოწვევას წარმოადგენდა, მაგრამ ციფრულ ერაში ეს ოცნება რეალობად იქცა. ფინანსურ მარკეტოლოგებს ონლაინსტრატეგიების ეფექტიანობის გაზომვა, აგრეთვე ოპტიმალური ინვესტიციებისა და მომგებიანი არხების გამოვლენა რეალურ დროში შეუძლიათ. ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტები ახალი კონკურენტების მხრიდან (მაგალითად, კრიპტოვალუტის სტარტაპებისგან) ზეწოლას განიცდიან, რომლებიც სრულ ციფრულ გარემოში დაიბადნენ და ტრადიციული მოდელებით დამძიმებულნი არ არიან. ციფრული გამოწვევების საპასუხოდ ბანკები ცვლიან ძირითად ინფრასტრუქტურას, ყველა არხისთვის ქმნიან ციფრულ პლატფორმას, აყალიბებენ ციფრულ პარტნიორობას (ციფრული პარტნიორები იქმნება ბანკის ბრენდის ქვეშ, რათა უზრუნველყონ ციფრული მომსახურება) და გახსნილ არქიტექტურას (არ არის აუცილებელი, პირველადი ურთიერთობის დაწყებისთანავე, მომხმარებელს ეცნობოს იმ დაწესებულების შესახებ, საიდანაც ხორციელდება მომსახურება. მომხმარებლები ირჩევენ წვდომის მეთოდს და მიდგომას) (Nso, 2018).

შაჰის და კლარკის მიხედვით (Shah & Clarke, 2009) ელექტრონული საბანკო მომსახურების ბირთვი შემდეგია: ანგარიშზე წვდომა, კონსულტაცია, გადარიცხვები, ბიზნესსაბანკო მომსახურება, იურიდიული პირების მომსახურება, გადახდები, ელექტრონული ფოსტის მოწინავე სისტემები, ელექტრონული შეტყობინებების და ქვითრების მიღება, ანგარიშის წარდგენა, ელექტრონულ ტექსტური განცხადებების მიწოდება, შეტყობინებები მომხმარებლებისთვის მათ ანგარიშებზე განსახორციელებელი მოქმედებების შესახსენებლად, სესხის დასაფარად, სარგებლის მისაღებად, კომუნალური გადასახადების დროულად გადასახდელად ან იმის დასტურად, რომ გადარიცხვები განხორციელდა. როგორც წესი, ელექტრონული შეტყობინებები ბანკებისგან ძალიან მოკლე და ინფორმაციულია.

კრიპტოვალუტის გამოყენება ტრანსაქციების და ინვესტირების პროცესს განსხვავებულს ხდის იმ ტრადიციული მეთოდებისგან, რასაც ბანკები ათწლეულების განმავლობაში იყენებდნენ. 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ საბანკო სისტემაც ცვლილებების მიმართ მგრძნობიარეა. ფინანსურმა ინსტიტუტებმა მაქსიმალური მობილიზებით მომხმარებელთა ნაკადი უნდა შეინარჩუნონ. ტრანსაქციების განხორციელებისას კრიპტოვალუტის გამოყენების მაჩვენებელი დღითიდღე იზრდება და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2024 წლისთვის 12%-იანი ზრდა იქნება. ტრადიციული საბანკო სისტემის გამოყენებისას ტრანსაქციები გაცილებით უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე კრიპტობანკების შემთხვევაში (Bhadeshiya, 2021).

ციფრული საბანკო მარკეტინგის განვითარების ტენდეციები საქართველოს ბანკებში. საქართველოში დისტანციური საბანკო მომსახურება 2000 წლიდან დაინერგა, რომლის გამოყენების ზრდა ინტერნეტის მომხმარებელთა გაზრდილმა რაოდენობამ, ელექტრონული ბანკინგის ეფექტიანობამ და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ყოველდღიურობაში უცხო ქვეყნების საბანკო მომსახურების მოდელები პირდაპირი ფორმით არ დამკვიდრებულა. საბანკო სექტორში ტექნოლოგიურმა წინსვლამ (განსაკუთრებით, პანდემიურ გარემოში) მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას ხელი შეუწყო. ქვემოთ განვიხილავთ საქართველოს ორი უმსხვილესი ბანკის (თიბისი ბანკის და საქართველოს ბანკის მიერ განხორციელებულ ციფრულ საბანკო მარკეტინგულ სტრატეგიებს).

თიბისი ბანკი საქართველოში წამყვანი უნივერსალური ფინანსური ჯგუფია, რომელიც მთლიანი სესხებისა და დეპოზიტების მიხედვით, ბაზრის წილის 39.0%-ს და 37.2%-ს ფლობს. თიბისი ბანკი ლიდერია კორპორაციული ბანკინგის მიმართულებით. ასევე მას წამყვანი პოზიცია უჭირავს მიკრო, საცალო, მცირე და საშუალო საწარმოებში. ის ბაზარს, ტრადიციულ ფინანსურ მომსახურებასთან ერთად, ინოვაციური ციფრული შეთავაზებების ფართო სპექტრს სთავაზობს, რაც მომსახურების მაღალი დონის შექმნაზე აისახება. როგორც ბანკის 2020 წლის ანგარიშიდან ჩანს,

გლობალურმა პანდემიამ ციფრული პროცესების შეთავაზების და დისტანციური მომსახურების დანერგვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები წარმოშვა. თიბისი ბანკმა გააფართოა და დახვეწა ინტერნეტპლატფორმები ფუნქციურად და ისინი მეტად მიმზიდველი გახადა საცალო და ბიზნეს კლიენტებისთვის. მობილური აპლიკაციები შეივსო ახალი ელემენტებით და დაინერგა ციფრული დაკრედიტების პლატფორმა, რომელიც მომხმარებლლებს სესხის სწრაფად და მარტივად მიღებაში ეხმარება. კორპორაციულ სეგმენტში შეიქმნა ციფრული პლატფორმა ფაქტორინგისთვის, რომელიც მონაწილე მხარეებისთვის პროცესებს ამარტივებს. გაუმჯობესდა ციფრული გადახდების სერვისი, რაც საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ციფრულ არხებთან მეტი ინტეგრირებით გახდა შესაძლებელი. თიბისი ბანკმა შექმნა ისეთი მოდელი, რომელიც მომხმარებლებს, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაფერის პროდუქტებს შესთავაზებს. მსგავს მიდგომას იყენებენ Netflix და Amazon. თიბისი ბანკმა შეიმუშავა სისტემა, რომელიც თითოეული მომხმარებლის მოთხოვნაზე მორგებულ შეთავაზებას ქმნის. ეს პროცესი აქტიურია ციფრული და მობილური ბანკების საშუალებითაც. ახალმა სისტემამ გაყიდვების ზრდა გამოიწვია, რაც მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდაშიც აისახა. თიბისი ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისების პაკეტებს ფიქსირებული ყოველთვიური გადასახადით, რაც ხელს უწყობს ბანკის სტაბილურობას და კლიენტებთან გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. თიბისი ბანკი საქართველოს ბაზარზე ლიდერი ციფრული არხების კომპანიაა, რომელიც მომხმარებლებს მოქნილ ციფრულ მომსახურებას სთავაზობს. ამასთან, რეგისტრაციის პროცესი სრულიად ციფრულია, რომელიც 90 წამში საქართველოს რეზიდენტებს საშუალებას აძლევს, გახდნენ თიბისის მომხმარებლები. გამარტივებულია კომპანიებისთვის ანგარიშის ელექტრონული გახსნაც.ტრადიციული ბარათის ალტერნატივა, ვირტუალური ციფრული ბარათი, კომპანიის სიახლეა. გადარიცხვებისა და კომუნალური გადახდის სისტემა გამარტივებულია, ასევე შესაძლებელია მობილური ბანკინგის გამოყენება ინტერნეტთან წვდომის (ბალანსის) გარეშე. თიბისი ბანკმა განავითარა ალტერნატიული ონლაინ პლატფორმა (www.Tbccredit.ge), იპოთეკური პლატფორმა (www.tbcmortgage.ge) და განვადების პლატფორმა (www.tbcganvadeba.ge), რომელიც მომხმარებელს, სახლიდან გაუსვლელად, სხვადასხვა პროდუქტების განვადებით შეძენის საშუალებას აძლევს. ახალგაზრდა თაობაზე მორგებული ციფრული საბანკო პლატფორმა სფეისის განვითარება გრძელდება, რომელიც მომხმარებლებს სრულიად განსხვავებულ, არატრადიციული საბანკო ფორმის მომსახურებას სთავაზობს, როგორიცაა ფასდაკლებები რესტორნებში, ქეშბექი ელექტრო სკუტერებით მგზავრობისას და სხვა. სფეისის მომხმარებლების ასაკი 25-34 წელს შორის მერყეობს. ციფრული მოდელი, რომელიც 2019 წელს თებერვლის თვეში გააქტიურდა, მოსახლეობის მხრიდან დიდ ინტერესს იწვევს. 2020 წელს ციფრული სერვისების მომხმარებელთა რაოდენობამ 44770-ს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 26.9%-იან ზრდას ნიშნავს. კორპორაციული საბანკო საქმიანობის ფარგლებში თიბისი ბანკმა შეიმუშავა კომერციული წარმატების მიღწევის პროექტი, რომლის მიზანი საბაზრო პოზიციების გაძლიერებაა. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ახალი ანალიტიკა, რომელიც მონაცემების სანდოობას აძლიერებს, ამცირებს ნაკლებად პრიორიტეტულ დავალებებზე დახარჯულ დროით რესურსს, იძლევა წარმოდგენას ნებისმიერ მომხმარებელზე. ეს ხელს უწყობს ბანკის კლიენტების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, მათი ღირებულებების გაანალიზებას და ყველაზე ოპტიმალური შეთავაზებების გაკეთებას. თიბისი გუნდმა გაყიდვების პროცესი მის შემდგომ მხარდაჭერამდე განაახლა, რაც ხელს უწყობს კომპანიას, მომხმარებლებს ეფექტიანი მომსახურება გაუწიოს (თიბისი ბანკი, 2020).

საქართველოს ბანკი ორიენტირებულია ციფრულობის ზრდის და მონაცემთა ტექნოლოგიური ანალიტიკის შესაძლებლობების გაფართოებაზე. პანდემიის დაწყებიდან საქართველოს ბანკი კონცენტრირდა საბანკო პროდუქტების გაციფრულებაზე და მობილური ბანკის გამოყენების სტი-

მულირებაზე. ბანკმა შექმნა ონლაინპლატფორმა, რომლის საშუალებითაც ბიზნესს ლოქდაუნის პერიოდში საქმიანობა მომხმარებელზე მომავალი კუპონების გაყიდვით უნდა გაეგრძელებინა; შესაძლებელი გახდა მობილური ბანკინგის სერვისებზე წვდომა ინტერნეტის გარეშე; შემუშავდა საგანმანათლებლო ვიდეორგოლები, რათა საბანკო ინსტრუმენტები უფრო მეტ მომხმარებელს გამოეყენებინა.

საქართველოს ბანკი მობილური აპლიკაციების და ლოიალურობის მრავალფეროვანი პროგრამების კუთხით ლიდერია. ბანკი, მომსახურების გაციფრულებით და მუდმივი ანალიტიკით, მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე ახდენს კონცენტრირებას, რათა მათ უფრო პერსონალიზებული მომსახურება შესთავაზოს. მომხმარებელთა კმაყოფილებაზე დადებითი ზემოქმედება საქართველოს ბანკის სტრატეგიული მიზანია. ბოლო წლებში საქართველოს ბანკი პროდუქტზე ორიენტირებულიდან მომხმარებელზე ორიენტირებულ ბიზნესმოდელად გარდაიქმნა. ბანკის მთავარი სტრატეგიული მიზანია ციფრული ეკოსისტემის საშუალებით გადაწყვეტაზე დაფუძნებული შეთავაზება, სადაც მომხმარებლებს სხვადასხვა მოთხოვნების შესრულება ერთი ინტეგრირებული მომსახურებით შეეძლებათ. ამ მხრივ, mBank და iBank საბანკო მომსახურებას ამარტივებს და კომფორტულს ხდის. ბანკის ციფრული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, 2020 წელს, საქართველოს ბანკმა მსოფლიოს წამყვან მომხმარებლებთან თანამშრომლობა დაიწყო. საქართველოს ბანკი ცდილობს, მობილური ბანკინგი გაყიდვების მთავარ არხად გადააქციოს. საქართველოს ბანკში 2019 წელს დაინერგა მომხმარებელთა კმაყოფილების მართვის პლატფორმა Medallia, რომლის დახმარებით ყოველდღიურად იზომება მომხმარებელთა კმაყოფილება და მისი გამომწვევი ფაქტორები. საქართველოს ბანკის ძირითადი პრიორიტეტია მობილური და ინტერნეტ ბანკის ციფრული პლატფორმები. საქართველოს ბანკი ციფრულ პროდუქტებს და მომსახურებას მუდმივად აუმჯობესებს. 2020 წელს ციფრულ არხებს დაემატა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ციფრული ბარათი, სრულად ციფრული სამომხმარებლო სესხების გაცემის პროცესი, შეცვლილი ელექტრონული ბანკი, ონლაინ ჩატი და სხვა. 2020 წელს ბანკი დაჯილდოვდა საუკეთესო ციფრული პროდუქტების შეთავაზებისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (საქართველოს ბანკი, 2020). 2022 წლისთვის ბანკმა პრიორიტეტული ინიციატივები გამოყო, როგორიცაა: ღია ბანკინგი, სტრატეგია Cloud, მონაცემთა თანამედროვე საცავი და ორგანიზაციის მასშტაბით ხელმისაწვდომი მონაცემები, მიკროსერვისების არქიტექტურა (მასშტაბური და უსაფრთხო პლატფორმების შექმნა), ორგანიზაციის მასშტაბით მონაცემების ხელმისაწვდომობა, მონაცემებზე ორიენტირებული კამპანიის მართვის პლატფორმა, რომელიც ორიენტირებულია ციფრული გაყიდვების ზრდაზე (საქართველოს ბანკი, 2022).

დასკვნები და რეკომენდაციები. ბანკებისა და მომხმარებლების ურთიერთობის პროცესში ტექნოლოგიების როლი მზარდია. დღესდღეობით, ბაზარი ინფორმაციული ტექნოლოგიების დიდ არჩევანს გვთავაზობს, რაც მომხმარებლებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურების გამოყენების საშუალებას აძლევს. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ინტერნეტი ცვლის ბანკებისა და მომხმარებლების პირისპირ ურთიერთობის სისტემას და გავლენას ახდენს ურთიერთობების მარკეტინგზე. ის ამცირებს პირდაპირ ინტერაქციას, თუმცა, იძლევა შანსს მეტად ლოიალური და მრავალმხრივი კავშირების ჩამოსაყალიბებლად. ამასთან, ტექნოლოგიების გამოყენებისას ინფორმაცია კიბერსივრცეში მეტად კრეატიული მეთოდებით გადაიცემა.

ბანკებისთვის ციფრული მარკეტინგული სტრატეგიის ეფექტიანი მამოძრავებელი ძალაა დემოგრაფიული, გეოგრაფიული და ცხოვრების სტილის მიხედვით გაანალიზებული მონაცემები, რაც მომხმარებელთა მოლოდინების გამართლების შანსებს ზრდის. ამასთან, შესაძლებელია მომხმარებელთან უფრო ახლო დიალოგის წარმართვა, რითიც მიმწოდებლების და მომხმარებლების ურთიერთობის ხარისხი უმჯობესდება. ეს ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი კმაყოფილია და

მეტი პერსონალური ინფორმაციის გაცემის მიმართ მობილიზებულია. შესწავლილი მასალებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, ერთი მხრივ, შესაძლოა, გაზარდოს ურთიერთობების და კავშირების მაჩვენებელი, მეორე მხრივ კი შეამციროს პირდაპირი კომუნიკაციები.

ბოლო წლებში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საბანკო ინდუსტრიის გაციფრულება აუცილებელია. საქართველოს ბანკების მუშაობის მაგალითებიდანაც ჩანს, რომ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის პროდუქტიულობას, პერმანენტულობას, გამჭვირვალობას. ის არ არის შეზღუდული დროსა და სივრცეში და მომხმარებელზე მეტად მორგებულია. ბოლო პერიოდის საბანკო ინდუსტრია დიდი გამოწვევების წინაშე დგას. პროდუქტის ან მომსახურების შესათავაზებლად მრავალი ციფრული არხის გამოყენება მომხმარებლების მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მარტივად მიღებას განაპირობებს. ციფრულმა ტექნოლოგიებმა საბანკო სექტორში რევოლუციურ ცვლილებებს მისცა დასაბამი, რაც, სავარაუდოდ, მომავალშიც მზარდ ტენდენციას შეინარჩუნებს.

ლიტერატურა:

1. თიბისი ბანკი (2020). *თიბისი ბანკის მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგებები.* https://www.tbcbank.ge/web/documents/10184/0/JSC+TBC+Bank+Annual+Report+2020_GEO.pdf/05242731-2f5f-4f87-a320-20a00db4f94f
2. საქართველოს ბანკი (2020). *საქართველოს ბანკის მმართველობითი და ფინანსური ანგარიში.* https://bankofgeorgia.ge/files/96738e3e-a584-407f-82c4-29a654865cd0.pdf
3. საქართველოს ბანკი (2022). *ონლაინ გადახდის სისტემების მომავალი,* https://fintech.ge/
4. Anouze, A. L. M., & Alamro, A. S. (2019). Factors affecting intention to use e-banking in Jordan. *International Journal of Bank Marketing*, *38*(1), 86-112.
5. Bhadeshiya, H. B. (2021). Role of Cryptocurrency in Digital Marketing. In *Blockchain Technology and Applications for Digital Marketing* (pp. 64-83). IGI Global.
6. Bharadwaj, A., El Sawy, O. A., Pavlou, P. A., & Venkatraman, N. V. (2013). Digital business strategy: toward a next generation of insights. *MIS quarterly*, *37*(2), 471-482.
7. Catalina, T. V. M. (2010). Concept and evolution of bank marketing. *Annals of the University of Oradea: Economic Science*, *1*(2), 1165-1168.
8. Capgemini (2022). World Retail Banking Report 2022. Retrieved from https://www.capgemini.com/news/press-releases/world-retail-banking-report-2022-incumbent-banks-must-embrace-data-centric-capabilities-to-drive-personalized-customer-experiences/#
9. Chaouali, W., Yahia, I. B., & Souiden, N. (2016). The interplay of counter-conformity motivation, social influence, and trust in customers' intention to adopt Internet banking services: The case of an emerging country. *Journal of Retailing and Consumer Services*, *28*, 209-218.
10. Kitsios, F., Giatsidis, I., & Kamariotou, M. (2021). Digital Transformation and Strategy in the Banking Sector: Evaluating the Acceptance Rate of E-Services. *Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity*, *7* (3), 1-14.
11. Madni, G. R. (2014). Consumer's behavior and effectiveness of social media. *Global Journal of Management and Business Research: E Marketing*, *14*(8), 56-62.
12. Nso, M.A. (2018). The role of e-banking as a marketing tool. *Innovative Marketing, 14*(4), 56-64.

13. Piriyakul, M., Piriyakul, R., Chuachareon, O., Boonyoung, M., Piriyakul, P., & Piriyakul, I. (2015). Effects of Trust, Satisfaction and Factors Corresponding to TAM on Intention to Reuse Internet Business Transaction. *International Review of Management and Business Research 4*(3),344-358.
14. Shah, M., & Clarke, S. (2009). E-Banking Management: An Introduction. In *E-Banking Management: Issues, Solutions, and Strategies* , IGI Global, 1-8.
15. Soniya, D. (2018). K., Mr. Santhosh Raja. R. Digital Marketing in Banking: Evolution and Revolution. *International Journal of Scientific Development and Research*, *3*(7), 169-175.
16. Sathye, M. (1999). Adoption of Internet banking by Australian consumers: an empirical investigation. *International Journal of bank marketing*, *17,* 324-334.
17. Tarhini, A., El-Masri, M., Ali, M., & Serrano, A. (2016). Extending the UTAUT model to understand the customers' acceptance and use of internet banking in Lebanon: A structural equation modeling approach. *Information Technology & People*, *29*(4), 830-849.
18. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. *The New Economist,16* (3/4), 7-15.
19. Tran, N. A. (2021). Intention to Use Digital Banking Services of Young Retail Customers in Vietnam. *The Journal of Asian Finance, Economics and Business*, *8* (8), 387-397.
20. Vetrivel, S. C., Rajini, J., & Krishnamoorthy, V. (2020). Influence of internet banking service quality on customer satisfaction-An Indian experience. *Journal of Critical Reviews*, *7* (2), 546-551.
21. Vinerean, S., Cetina, I., Dumitrescu, L., & Tichindelean, M. (2013). The effects of social media marketing on online consumer behavior. *International Journal of Business and Management*, *8*(14), 66-79.

Marketing aspects of the use of digital technologies in Georgian banks

Nugzar Todua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor
Nino Gogitidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

The article discusses the features and challenges of using digital banking technologies on the example of the two largest providers in the financial market, TBC Bank and Bank of Georgia. It has been shown that these companies in Georgia are considered digital marketing pioneers and were supplying customers with innovative products and services even before the global pandemic. The article emphasizes that the competition between these banks is the most pronounced in the financial market. Therefore the paper presents the specifics of the digital development of these banks, innovative products and services, and the advantages and disadvantages of using digital marketing tools, which are essential information for studying the marketing aspects of using new digital technologies.

Keywords: *Digital technologies, digital banking marketing, marketing aspects.*

დიდი მონაცემების გამოწვევები და შესაძლებლობები ციფრულ მარკეტინგში

ნუგზარ თოდუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
ჩარიტა ჯაში
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანოტაცია. *ნაშრომში შესწავლილია დიდი მონაცემების როლი ეკონომიკის, ბიზნესისა და ჯანდაცვის სფეროებში, აგრეთვე მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებაში. ხაზგასმულია, რომ დიდი მონაცემებისა და მარკეტინგული ინსტრუმენტების ერთობლივ კომბინაციას უდიდესი წვლილი შეაქვს ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიების განხორციელებაში. განსაკუთრებით წარმოჩენილია დიდი მონაცემების გავლენა მარკეტინგულ აქტივობებსა და COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული რისკების მართვის პროცესებზე. ლიტერატურული მასალების ანალიზმა დაადასტურა დიდი მონაცემების განუსაზღვრელი შესაძლებლობები კომპანიების ეფექტიან მართვასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. ნაჩვენებია, რომ დიდი მონაცემების სისტემატური გაანალიზება ხელს შეუწყობს პოსტკოვიდის შემდგომი ეფექტების შესახებ ახალი კვლევების ჩატარებას და პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფას.*

საკვანძო სიტყვები: *დიდი მონაცემები, ციფრული მარკეტინგი, COVID-19-ის რისკების მართვა, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება.*

ჩვენს ცხოვრებაში, ინტერნეტისა და ციფრული მედიის გამოჩენასთან ერთად, ბიზნესის ფუნქციონირება რადიკალურად შეიცვალა. დღეისათვის მსოფლიოში 5 მლრდ-ზე მეტი ადამიანი რეგულარულად იყენებს ინტერნეტს პროდუქტების შერჩევის, სიამოვნების მიღების, მეგობრებთან ურთიერთობისა და სხვა მიზნებისათვის (Statista, 2022a). მომხმარებლები თავიანთი ცხოვრების დიდ ნაწილს ციფრულ გარემოში ატარებენ, რაც მათ მყიდველობით ქცევას და, შესაბამისად, ბიზნესში მარკეტინგული მიდგომების ძირეულ ცვლილებებს იწვევს (Chaffey & Ellis-Chadwick, 2019). ციფრული ტექნოლოგიების განვითარება განაპირობებს იმას, რომ კომპანიების მარკეტინგული საქმიანობა ყოველდღე ტრანსფორმირდება. ციფრული გარემო მყიდველების სთავაზობს სხვადასხვა მომწოდებლის პროდუქტებს, მომსახურებას და ფასებს უფრო სწრაფად და მარტივად, ვიდრე ტრადიციული მარკეტინგი. ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მზარდმა რაოდენობამ და სხვადასხვა ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობებმა ინტერნეტში მარკეტინგის ახალ მიდგომებს ჩაუყარა საფუძველი. შესაბამისად, გამოჩნდა ახალი, მომხმარებლებზე ორიენტირებული, უფრო გაზომვადი და ინტერაქტიული ციფრული მარკეტინგის კონცეფცია (Piñeiro-Otero and Martínez-Rolán, 2016).

ბიზნესოპერაციების თითქმის ყველა ასპექტის დიჯიტალიზაცია საწარმოებს უბიძგებს, შეიმუშაონ ღონისძიებები მდგრადი განვითარების, ეფექტიანობის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, რაც შესაძლებელია დიდი მონაცემებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით (Wamba et al., 2017). ციფრული ტრანსფორმაციის წყალობით მომხმარებ-

ლები სულ უფრო მეტ ციფრულ ინსტრუმენტებს ღებულობენ. მომხმარებლების მიერ ასეთი ინსტრუმენტების მეშვეობით განხორციელებული ყველა ოპერაცია რეგისტრირდება და ინახება. მონაცემთა ნაკრები, რომელიც შემოდის ვებგვერდებიდან, სოციალური ქსელებიდან, მობილური პლატფორმებიდან და სხვადასხვა ინტერნეტ ოპერაციებიდან, ქმნის ე.წ. „დიდი მონაცემების" კონცეფციას (Chen & Zhang, 2014). ტერმინი „დიდი მონაცემები" ასახავს მონაცემთა უზარმაზარ მასივს, რომლებიც მომხმარებლების მიერ ციფრულ გარემოში განხორციელებული ოპერაციების შედეგად მიიღება. მონაცემთა რაოდენობის მატებასთან ერთად, მარკეტოლოგებმა დაიწყეს არა მხოლოდ ტრადიციული ოპერაციული მონაცემების, არამედ სტატისტიკური მოდელირების მოწინავე მეთოდების გამოყენება. ასეთი მეთოდები სპეციალურად შემუშავებულია მონაცემების გასაანალიზებლად, რომლებიც სულ უფრო რთულდება და მოიცავს არასტრუქტურირებულ მონაცემებსაც, როგორიცაა ციფრული და სოციალური მედიიდან აღებული გამოსახულებები, სურათები, აუდიო და ვიდეო მასალები (Erevelles et al., 2016). სოციალური ქსელები დიდ გავლენას ახდენს მყიდველობით ქცევაზე, ამიტომ წამყვანი კომპანიები ცდილობენ, ამ პლატფორმებიდან მიღებული მონაცემები თავიანთ მარკეტინგულ გადაწყვეტილებებში ასახონ (Moro et al., 2016). დიდი მონაცემების სარგებლიანობა მარკეტინგის ინსტრუმენტების უფრო ეფექტიანად და ინოვაციურად გამოყენების საშუალებას იძლევა. წარმატებული კომპანიები რეგულარულად აანალიზებენ მომხმარებელთა მომსახურებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებს, თვალყურს ადევნებენ მარკეტინგულ გარემოს, რათა შეაგროვონ მონაცემები თავიანთი პროდუქტებისა და ბრენდების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების შესახებ (Amado et al., 2018).

დიდი მონაცემების განვითარებასთან ერთად ტრადიციული მარკეტინგული სტრატეგიები დღითიდღე იცვლება (Fu et al., 2020). ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ციფრული მარკეტინგული გარემოდან მიღებული დიდი მონაცემების გამოყენება ბიზნესში, რაც სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს (Saura, 2021). მართალია, ახალი ტექნოლოგიების გავრცელება სულ უფრო ართულებს თანამედროვე მომხმარებლების ქცევის გაგებას, მაგრამ იგი ასევე ეხმარება მარკეტოლოგებს, დიდი მოცულობის მრავალფეროვანი მონაცემები მოიძიონ. ეს კი საშუალებას აძლევს მათ, არ გამორჩეთ მომხმარებელთა ქცევასთან დაკავშირებული ელემენტები, რომლებიც ადრე გამოტოვეს ან ვერ გაიგეს. რაც უფრო მდიდრდება მონაცემები, მით მეტად შეუძლიათ მარკეტოლოგებს, შეამჩნიონ მომხმარებელთა ქცევის შესწავლაში არსებული ფარული ხარვეზები და შეიმუშაონ მათი აღმოფხვრის ახალი მიდგომები (Erevelles et al., 2016). დღეისათვის მომხმარებლები ცხოვრობენ ციფრულ სამყაროში, სადაც უამრავი მონაცემია, ხოლო ტექნოლოგიური მიღწევები სწრაფად ხორციელდება. ამიტომ მრავალი კომპანია უკვე აცნობიერებს დიდი მონაცემების პოტენციალს და თვლის, რომ მათი ანალიზი მარკეტინგული სტრატეგიის ფორმირებას და კონკურენტული უპირატესობის მიღწევას გააუმჯობესებს (Saura et al., 2021). დიდი მონაცემების მეშვეობით კომპანიებს შეუძლიათ, მყიდველების ქცევის ცვლილებებს დააკვირდნენ და ამ ცვლილების მიზეზები გაიგონ, აგრეთვე ფასწარმოქმნის საუკეთესო სტრატეგიები შეიმუშაონ, კლიენტების გამოხმაურებები სწრაფად შეაფასონ და, დანახარჯების შემცირების ხარჯზე, წარმოების ეფექტიანობა აამაღლონ (Lee, 2017). შეიძლება ითქვას, რომ დიდი მონაცემები მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ამიტომაც მრავალი კვლვა ცხადყოფს ციფრული მარკეტინგის დიდი მონაცემების გამოყენების მნიშვნელობას. მკვლევარები თვლიან, რომ დიდ მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომებს შეუძლია ბიზნესი მომხმარებლებზე ორიენტირებულ მარკეტინგად გარდაქმნას (Wamba et al., 2015; Camilleri, 2020; Sivarajah et al., 2020). დიდი მონაცემების ანალიტიკა ბიზნესის მომგებიანობას ზრდის და მის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს (Saura et al., 2021).

მიუხედავად იმისა, რომ დიდი მონაცემები ციფრული მარკეტინგის მნიშვნელოვანი სფეროა, საქართველოში კვლევები ამ მიმართულებით შეზღუდულია. ამ ხარვეზის შევსების ერთგვარი მცდელობას წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი, რომლის მიზანია ციფრულ მარკეტინგში დიდი მონაცემების როლის წარმოჩენა.

დიდი მონაცემების ტრანსფორმაცია ბიზნესში და მარკეტინგში. დიდი მონაცემების გამოყენება ხელს უწყობს გრძელვადიან და სტაბილურ კომუნიკაციას საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან. ამ თემასთან დაკავშირებით ინტერესი გაჩნდა გასული საუკუნის 90-იანი წლებში, ხოლო მის მნიშვნელობაზე პირველი მოხსენება მოამზადა კომპანია McKinsey-მა 2011 წელს (De Mauro et al., 2016). **დიდ** მონაცემთა ნაკრების ზომა აღემატება ტიპურ მონაცემთა ბაზის უნარს, აღბეჭდოს, შეინახოს, მართოს და გააანალიზოს დინამიკური ინფორმაციები. მისი განვითარება და წინსვლა ხდება იმის მიხედვით, თუ რა სახის პროგრამული ინსტრუმენტებია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და რა ზომის მონაცემთა ნაკრები გამოიყენება კონკრეტულ ინდუსტრიაში (Mayer-Schönberger & Cukier, 2013). დიდი მონაცემების მართვა და დამუშავება შეუძლებელია ბიზნესის კვლევის ტრადიციული ინსტრუმენტების გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ კი გამოიწვია მონაცემებისადმი ხელმისაწვდომობის მკვეთრი აღმავლობა, რომელმაც დიდი მონაცემების ანალიტიკაზე დანახარჯები მნიშვნელოვნად გაზარდა. 2023 წლისათვის დიდი მონაცემების გლობალური ბაზრიდან წლიური შემოსავალი, სავარაუდოდ, 77 მლრდ დოლარს მიაღწევს, ხოლო შემოსავლის უდიდესი ნაწილი ანალიტიკური პლატფორმა იქნება, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის შედეგების პროგნოზირებას მონაცემთა მოპოვების გზით (Statista, 2022b). ამიტომ ყველა ბიზნესკომპანია ცდილობს, ჰქონდეს რელევანტური და ფასეული ინფორმაციული ბაზა, რომელიც დაეხმარება მას სტრატეგიული ანალიტიკური კვლევების წარმართვაში.

დიდი მონაცემების გამოყენება ხელს უწყობს კონსოლიდირებული და უფრო მეტად ინტეგრირებული ფირმის მენეჯმენტში ზუსტი პროგნოზების გაკეთებას და ოპერაციების სტაბილურობას (Akter & Wamba, 2019; Piccarozzi & Aquilani, 2022). დიდი მონაცემების საშუალებით ბევრად უფრო იოლია მომხმარებელთა მოთხოვნილებების გაგება და მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღება მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით (Saidali et al., 2019). მარკეტინგული მიქსის ჩარჩო დიდ მონაცემთა ანალიტიკისთვის შედგება ხუთი P-ისგან (ადამიანი, პროდუქტი, პრომოცია, ფასი და ადგილი). დიდი მონაცემების ანალიტიკური აპლიკაციები უზრუნველყოფს ისეთი მარკეტინგული ქმედებების განხორციელებას, როგორიცაა: მომხმარებელთა სეგმენტაცია და პროფილირება, პროდუქტის იმიჯის ფორმირება, სარეკლამო საქმიანობის ანალიზი, ფასების სტრატეგიის შემუშავება, კონკურენტების ანალიზი, მომხმარებელთა დინამიკური ანალიზი და სხვა (Pinarbasi & Canbolat, 2019). დიდი მონაცემების ფორმირების, ინტეგრაციისა და შეფასების პროცესები რთულია და მოითხოვს დახვეწილ დამხმარე IT ინფრასტრუქტურას (Lukosius & Hyman, 2019). **ის** ახალი ტექნოლოგიების ევოლუციური შერწყმაა მონაცემთა შენახვისა და დამუშავების მოცულობასთან, სიჩქარესთან და მრავალფეროვნებასთან (Buhl et al., 2013). მონაცემების უწყვეტი მიწოდება უზრუნველყოფილი ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ. საინფორმაციო სისტემებისა და მარკეტინგის მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე ფუნდამენტურ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ დიდი მონაცემების ეფექტიან გამოყენებას, როგორც ეკონომიკასა და ბიზნესში, ასევე სოციალურ და ჯანდაცის სფეროებში (Atun, 2012). დიდი მონაცემების უმნიშვნელოვანეს მახასიათებლად მიჩნეულია ე.წ. 6V (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

დიდი მონაცემების უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები

მოცულობა (Volume) – ესაა მონაცემთა რაოდენობის სიდიდე სექტორში, რომელიც მიუთითებს დიდი მონაცემების გამოყენების პოტენციალს ანალიტიკისათვის. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ პოტენციური მონაცემების სიდიდეზე, არამედ იმაზე, თუ მონაცემთა რა რაოდენობაა ციფრული**.**
მრავალფეროვნება (Variety) – წარმოგვიდგენს იმას, რომ რაც უფრო მეტია სექტორში ხელმისაწვდომი სხვადასხვა ფორმა (მაგალითად, სოციალური მედია, ვიდეო კონტენტი და სტრუქტურირებული მონაცემები), მით მეტი პოტენციური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მათ გაერთიანებას უნიკალური ცნობების შესაქმნელად.
სიზუსტე (Vercity) – გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია ან ზუსტია მონაცემების ხარისხი, მით მეტია პოტენციური შესაძლებლობები კვლევისათვის.
ღირებულება (Value) – ასახავს, თუ რამდენად არის ფასეული კონკრეტული აპლიკაციები იმ სექტორში, რომლებსაც შეუძლია ღირებულების მიწოდება.
სიჩქარე (Velocity) – ესაა მონაცემთა დროებითი მნიშვნელობის საზომი. დიდი მონაცემები სწრაფად იცვლება. ამიტომ სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემთა ნაკადები სწრაფად უნდა დამუშავდეს.
ცვალებადობა (Variability) – გულისხმობს იმას, თუ რამდენად სწრაფად იცვლება მონაცემთა საცავის სტრუქტურა.

წყარო: Lukosius & Hyman (2019)

დიდი მონაცემების კვლევაში ჩართული დისციპლინების სფერო ფართოა, მაგრამ დისციპლინური განაწილება დაბალანსებული არაა. დისციპლინებს შორის საერთო თანამშრომლობა კონცენტრირებულია რამდენიმე ძირითად სფეროში. ქსელის ინდიკატორების მიხედვით, კომპიუტერული მეცნიერება, ინჟინერია, ბიზნესი და ეკონომიკა, მათი პოზიციისა და როლის გათვალისწინებით, ყველაზე აქტიურადაა ჩართული დიდი მონაცემების კვლევაში (Hu & Zhang, 2017).

დიდი მონაცემების კვლევასთან დაკავშირებული ყველა სფერო გაერთიანებულია კონკრეტულ თემებად, რის შედეგადაც ყალიბდება მონაცემთა კვლევის მიმართულები (Piccarozzi & Aquilani, 2022). მკვლევარების მიერ შემოთავაზებულია ასეთი ჩარჩო: დიდი მონაცემები, ანალიტიკა და გადაწყვეტილებები (Big Data, Analytics and Decisions). ეს ჩარჩო აერთიანებს მონაცემების შენახვის, მართვისა და დამუშავების სხვადასხვა ინსტრუმენტებს, ანალიტიკურ მეთოდებს, ვიზუალიზაციისა და შეფასების მეთოდებს და მაჩვენებლებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ამრიგად, ანალიტიკასთან დაკავშირებული ცვლილებები აისახება სამ ძირითად სფეროზე, როგორიცაა: დიდი მონაცემების შენახვა და არქიტექტურა, დიდი მონაცემების დამუშავება და მონაცემთა ანალიზი, რომლებიც, საბოლოოდ, გამოიყენება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად (Elgendy & Elragal, 2014). ეს ყველაფერი კი სისტემატურ გავლენას ახდენს ბიზნესკომპანიების სტრატეგიულ განვითარებაზე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიდი მონაცემების კვლევებისა და ანალიტიკასთან დაკავშირებული სისტემებისა და პროცესების თანმიმდევრულ განვითარებას (Wamba, 2017). დღეისათვის სოციალური მედიის მონიტორინგსა და ონლაინანალიტიკაზე დანახარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა. შეიქმნა მრავალი

ახალი მონაცემთა წყარო, რომლებიც იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმარენ მომხმარებლები რეალურად პროდუქტებს და როგორია მათი დამოკიდებულება ბრენდებისადმი (Todua & Jashi, 2013; Todua & Jashi, 2018). დიდი მონაცემების ანალიზმა ხელი შეუწყო კომუნიკაციის ახალ ფორმებს, განსაკუთრებით, მარკეტინგულ კვლევებში (მაგალითად, სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ინტერაქციის დასადგენად). სოციალური მედიის პლატფორმებზე მომხმარებლების კომუნიკაციების ანალიზი იძლევა მნიშვნელოვან მარკეტინგულ ინფორმაციებს (Nuseir, 2018). ამიტომ კომუნიკაცია კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილია და დიდი მონაცემების გამოყენება ხელს უწყობს სტრატეგიების გაუმჯობესებას (Wiencierz & Röttger, 2017). სოციალურ მედიაში მომხმარებელთა ჩართულობა საკმაოდ გაზრდილია, რაც ინტერაქციის შესაძლებლობებს აძლიერებს (Todua & Gogitidze, 2021; Matin et al., 2022).

დიდი მონაცემების როლი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში. დიდი მონაცემების მულტიდისციპლინური ბუნება ადასტურებს მის მრავალფეროვნებას და უნარს, მხარი დაუჭიროს გადაწყვეტილების მიღების მრავალ პროცესს ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (Sheng et al., 2017; Mosconi et al., 2013). დიდი მონაცემები იქმნება სხვადასხვა ჰეტეროგენული წყაროებიდან, როგორიცაა ლაბორატორიული და კლინიკური მონაცემები, დისტანციური სენსორებიდან ატვირთული პაციენტების სიმპტომები, საავადმყოფოების ოპერაციებისა და ფარმაცევტული კომპანიების მონაცემები (Ababneh et al., 2021). ისინი გამოიყენება დაავადების ნიშნებისა და რისკის ფაქტორების გამოსავლენად, აგრეთვე ექიმების მიერ პაციენტებისათვის სამედიცინო დიაგნოსტიკის დასადგენად. გარდა ამისა, ელექტრონული ჯანდაცვის ჩანაწერებიდან, სოციალური მედიის საიტებიდან, ინტერნეტიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების ერთობლიობა ჯანდაცვის ორგანიზაციებს და სამთავრობო უწყებებს უახლეს ინფორმაციას აძლევს ინფექციური დაავადებების საფრთხეებისა და ეპიდემიების შესახებ (Dong et al., 2021). დიდი მონაცემების ტექნოლოგიას შეუძლია შეინახოს უზარმაზარი ინფორმაცია COVID-19-ის ვირუსით ინფიცირებული ადამიანების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ვირუსის ბუნების დეტალურად გააზრებაში. მიღებული მონაცემების გაანალიზება აუცილებელია შემდგომი პრევენციული მეთოდების შემუშავებისთვის. ეს ტექნოლოგია გამოიყენება COVID-19-ით დაზარალებული ყველა ტიპის შემთხვევის შესასწავლად (Bragazzi et al., 2020). პანდემიის პირობებში დიდი მონაცემები გამოიყენება გლობალურად ვირუსებზე მუდმივად თვალყურის დევნებისა და სამედიცინო სფეროში ინოვაციების შესაქმნელად, აგრეთვე COVID-19-ის გავლენის პროგნოზირებისა და მკურნალობისათვის საჭირო პროცედურების სწორად წარმართვისათვის, რაც მხოლოდ ტრადიციული საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით შეუძლებელია. დიდი მონაცემების მეშვეობით ხორციელდება ინფიცირებულ ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების დამუშავება, რაც ხელს უწყობს ვირუსის გავრცელების ბუნების ახსნას, მისი გავრცელების შესაჩერებლად სათანადო პროფილაქტიკური მეთოდის ჩამოყალიბებას, აგრეთვე რესურსების გამოყენებისა და კრიზისების მართვის პროცესების აქტიურად წარმართვას. დიდი მონაცემები ეფექტიანდ გამოიყენება დაავადებების ახალი შემთხვევების იდენტიფიცირების, ადამიანთა სიკვდილიანობის შემცირებისა და გამოჯანმრთელებისათვის. დიდი მონაცემების დანერგვამ გაამარტივა მომხმარებელთა შესახებ მაქსიმალური, ზუსტი ინფორმაციის მოპოვება და მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა (Wu et al., 2020; Jashi, 2020; Jashi & Urotadze, 2021; Todua & Jashi, 2021; Todua, 2022). გლობალური პანდემიის კონტექსტში დიდი მონაცემების დროულ გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათი დახმარებით შეიძლება დამუშავდეს უზარმაზარი, უპრეცედენტო მოცულობის მონაცემები, რომლებიც მიღებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემიდან, ასევე ჩატარდეს დროული მონიტორინგი, არსებულ ვითარებაზე ბრიფინგი, რესურსების გამოყენების შესახებ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება და სხვა (Bragazzi et al., 2020). ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის კომბინირებით

იქმნება მრავალფეროვანი ინიციატივები პანდემიის წინააღმდეგ. ასეთ ძირითად აქტივობებს მიეკუთვნება: ინფექციის სკრინინგი, კლინიკური მენეჯმენტი, კლინიკური კვლევები, დაკვირვება/მიყურადება, საჯარო ადმინისტრირება, ინფორმაციის გავრცელება, ახლო კონტაქტები, საგარანტიო პირობები (Mehta & Shukla, 2022). უნდა აღინიშნოს, რომ დიდი მონაცემების ბაზაზე შემუშავებული ასეთი ინიციატვები ბევრმა ქვეყანამ ეფექტიანად გამოიყენა პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასკვნები და რეკომენდაციები. ლიტერატურის მიმოხილვიდან ნათლად წარმოჩინდა, რომ დიდმა მონაცემებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს იმ გამოწვევებისა და სირთულეების მოგვარებაში, რომლებიც ბოლო ხანებში წარმოიქმნა როგორც ბიზნესსექტორში, ასევე ჯანდაცვაში. ახალი ტექნოლოგიის საშულებით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი ინფორმაციების მოპოვება და დამუშავება მომხმარებელთა ქცევის ცვლილების ანალიზისთვის. მკლევარები მიიჩნევენ, რომ ბიზნესში და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ჯერ კიდევ სათანადოდ არაა გამოყენებული დიდი მონაცემების პოტენციური სარგებელი. მიუხედავად იმისა, რომ ანალიტიკაზე მუდმივად მზარდი აკადემიური კვლევები, ძირითადად, ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული, მონაცემთა სტრატეგიული შედეგების მეცნიერულ გამოყენებას უზარმაზარი პოტენციალი აქვს. დიდი მონაცემების როლისა და მნიშვნელობის შესახებ გამოქვეყნებულია უამრავი მასალა, სტატისტიკური და სამეცნიერო ნაშრომი, თუმცა, საქართველოში შესაბამისი სამეცნიერო პუბლიკაციები და კვლევები, მარკეტინგთან და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან მიმართებით, ნაკლებად მოიპოვება. ყოველივე ეს მოითხოვს განსაკუთრებულ აქტიურობას აღნიშნული მიმართულებით ლიტერატურის შესწავლისა და მარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად.

დიდი მონაცემები, რომლებიც ინტეგრირებულია თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებში, განსხვავდება ძველად არსებული ინფორმაციის შეგროვებისგან მოცულობისა და ანალიტიკური პოტენციალის თვალსაზრისით. დღეისათვის საქართველოშიც შექმნილია მონაცემთა მრავალი ახალი წყარო, რომლებშიც ასახულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმარენ ადამიანები რეალურად პროდუქტებს და როგორია მათი კმაყოფილების დონე. ამასთან, ახალი ტექნოლოგიები და მონაცემთა ბაზა ვერ შეასრულებს გადამწყვეტ როლს სამამულო ბიზნესში, თუ საქართველოს ბაზარზე მომუშავე კომპანიების ორგანიზაციული კულტურა მომხმარებლებზე ორიენტირებული არ გახდება. საჭიროა, რომ ქართული კომპანიების მიერ დიდი მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ქმედითი ხედვის ფორმირება უზრუნველყოფდეს ისეთი კავშირების ჩამოყალიბებას, რომელშიც გარანტირებული იქნება მომხმარებელთა მაქსიმალური ჩართულობა. ამასთან, დიდი მონაცემების ბაზა ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული საქართველოში მომუშავე კომპანიების საერთო ინტერესებთან და შეესაბამებოდეს ადგილობრივი მომხმარებლების ფასეულობებს.

ლიტერატურა:

1. Ababneh, A., Al-shanableh, N., & Alzyoud, M. (2021). A Review of Algorithms and Techniques for Analyzing Big Data. *International Journal*, *9*(6), 695-702.
2. Akter, S., & Wamba, S. F. (2019). Big data and disaster management: a systematic review and agenda for future research. *Annals of Operations Research*, *283*(1), 939-959.
3. Amado, A., Cortez, P., Rita, P., & Moro, S. (2018). Research trends on Big Data in Marketing: A text mining and topic modeling based literature analysis. *European Research on Management and Business Economics*, *24*(1), 1-7.
4. Atun, R. (2012). Health systems, systems thinking and innovation. *Health policy and planning*, *27*, iv4-iv8.

5. Bragazzi, N. L., Dai, H., Damiani, G., Behzadifar, M., Martini, M., & Wu, J. (2020). How big data and artificial intelligence can help better manage the COVID-19 pandemic. *International journal of environmental research and public health*, *17*(9), 3176.
6. Buhl, P. D. H. U., Roglinger, D. M., Moser, D. K. F., & Heidemann, D. J. (2013). Big Data. Business & Information Systems Engineering, 5 (2), 65-69.
7. Camilleri, M. A. (2020). The use of data-driven technologies for customer-centric marketing. *International Journal of Big Data Management*, *1*(1), 50-63.
8. Chaffey, D., & Ellis-Chadwick, F. (2019). *Digital marketing: strategy, implementation & practice*. Pearson.
9. Chen, C. P., & Zhang, C. Y. (2014). Data-intensive applications, challenges, techniques and technologies: A survey on Big Data. *Information sciences*, *275*, 314-347.
10. De Mauro, A., Greco, M., & Grimaldi, M. (2016). A formal definition of Big Data based on its essential features. *Library review*. 65(3), 122-135.
11. Dong, J., Wu, H., Zhou, D., Li, K., Zhang, Y., Ji, H., ... & Liu, Z. (2021). Application of big data and artificial intelligence in COVID-19 prevention, diagnosis, treatment and management decisions in China. *Journal of Medical Systems*, *45*(9), 1-11.
12. Elgendy, N., & Elragal, A. (2014, July). Big data analytics: a literature review paper. In *Industrial conference on data mining* (pp. 214-227). Springer, cham.
13. Erevelles, S., Fukawa, N., & Swayne, L. (2016). Big Data consumer analytics and the transformation of marketing. *Journal of business research*, *69*(2), 897-904.
14. Erevelles, S., Fukawa, N., & Swayne, L. (2016). Big Data consumer analytics and the transformation of marketing. *Journal of business research*, *69*(2), 897-904.
15. Fu, H., Manogaran, G., Wu, K., Cao, M., Jiang, S., & Yang, A. (2020). Intelligent decision-making of online shopping behavior based on internet of things. *International Journal of Information Management*, *50*, 515-525.
16. Hu, J., & Zhang, Y. (2017). Discovering the interdisciplinary nature of Big Data research through social network analysis and visualization. *Scientometrics*, *112*(1), 91-109.
17. Jashi, Ch. (2020). The New Context of Marketing in Social Media (Conceptual review). *Economics and Business* , *1*, 152-164.
18. Jashi, Ch., & Urotadze, E. (2020). Marketing Aspect of COVID-19 Epoch. In *Proceedings of the 5th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business",* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 397-405.
19. Lee, I. (2017). Big data: Dimensions, evolution, impacts, and challenges. *Business horizons*, *60*(3), 293-303.
20. Lukosius, V., & Hyman, M. R. (2019). Marketing theory and big data. *The Journal of Developing Areas*, *53*(4), 217-228.
21. Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2022). The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users. *International Journal of Marketing, Communication and New Media*, *10*(18), 88-114.
22. Mayer-Schönberger, V., & Cukier, K. (2013). *Big Data: A Revolution That Will Transform How We Live,Work and Think*. London: John Murray.
23. Mehta, N., & Shukla, S. (2022). Pandemic analytics: how countries are leveraging big data analytics and artificial intelligence to fight COVID-19?. *SN Computer Science*, *3*(1), 1-20.
24. Moro, S., Rita, P., & Vala, B. (2016). Predicting social media performance metrics and evaluation of the impact on brand building: A data mining approach. *Journal of Business Research*, *69*(9), 3341-3351.

25. Mosconi, E. M., Silvestri, C., Poponi, S., & Braccini, A. M. (2013). Public policy innovation in distance and on-line learning: reflections on the Italian case. In *Organizational Change and Information Systems* (pp. 381-389). Springer, Berlin, Heidelberg.
26. Nuseir, M. T. (2018). How big data is used in expanding marketing activities. *International Journal of Economics and Business Research*, *16*(4), 466-475.
27. Piccarozzi, M., & Aquilani, B. (2022). The role of Big Data in the business challenge of Covid-19: a systematic literature review in managerial studies. *Procedia Computer Science*, *200*, 1746-1755.
28. Piccarozzi, M., & Aquilani, B. (2022). The role of Big Data in the business challenge of Covid-19: a systematic literature review in managerial studies. *Procedia Computer Science*, *200*, 1746-1755.
29. Pinarbasi, F., & Canbolat, Z. N. (2019). Big data in marketing literature: a Bibliometric Analysis. *International Journal of Business Ecosystem & Strategy (2687-2293)*, *1*(2), 15-24.
30. Piñeiro-Otero, T., & Martínez-Rolán, X. (2016). Understanding digital marketing—basics and actions. In *MBA* (pp. 37-74). Springer, Cham.
31. Saidali, J., Rahich, H., Tabaa, Y., & Medouri, A. (2019). The combination between big data and marketing strategies to gain valuable business insights for better production success. *Procedia Manufacturing*, *32*, 1017-1023.
32. Saura, J. R. (2021). Using data sciences in digital marketing: Framework, methods, and performance metrics. *Journal of Innovation & Knowledge*, *6*(2), 92-102.
33. Saura, J. R., Ribeiro-Soriano, D., & Palacios-Marqués, D. (2021). From user-generated data to data-driven innovation: A research agenda to understand user privacy in digital markets. *International Journal of Information Management*, *60*, 102331.
34. Sheng, J., Amankwah-Amoah, J., & Wang, X. (2017). A multidisciplinary perspective of big data in management research. *International Journal of Production Economics*, *191*, 97-112.
35. Sivarajah, U., Irani, Z., Gupta, S., & Mahroof, K. (2020). Role of big data and social media analytics for business to business sustainability: A participatory web context. *Industrial Marketing Management*, *86*, 163-179.
36. Statista (2022a). Number of internet and social media users worldwide as of July 2022. Retrieved from https://www.statista.com/statistics/617136/digital-population-worldwide/
37. Statista (2022b). Global Big Data Industry Market Size 2011-2027. Retrieved from https://www.statista.com/statistics/254266/global-big-data-market-forecast/
38. Todua, N. (2022). Impact of the COVID-19 Pandemic on Social Media Marketing. In *Proceedings of the International Scientific Conference „Covid-19 Pandemic and Economics“,* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 155-160.
39. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. *The New Economist,16* (3/4), 7-15.
40. Todua, N., & Jashi, C. (2018). Influence of social marketing on the behavior of Georgian consumers regarding healthy nutrition. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *12*(2), 183-190.
41. Todua, N., & Jashi, Ch. (2021). Paradoxes of Social Marketing in Healthcare (In the Context of COVID-19 Pandemic). In *Proceedings of the 6th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“,* Ivane Javakhishvili Tbilisi State University, pp. 163-168.
42. Todua, N., & Jashi, Ch. (2013). Challenges of Social Marketing. *TSU Science, 5*, 59-62.
43. Wamba, S. F. (2017). Big data analytics and business process innovation. *Business Process Management Journal*, *23*(3), 470-476.

44. Wamba, S. F., Akter, S., Edwards, A., Chopin, G., & Gnanzou, D. (2015). How 'big data'can make big impact: Findings from a systematic review and a longitudinal case study. *International Journal of Production Economics*, *165*, 234-246.
45. Wamba, S. F., Gunasekaran, A., Akter, S., Ren, S. J. F., Dubey, R., & Childe, S. J. (2017). Big data analytics and firm performance: Effects of dynamic capabilities. *Journal of Business Research*, *70*, 356-365.
46. Wiencierz, C., & Röttger, U. (2017). The use of big data in corporate communication. *Corporate communications: An international journal*, *22*(3), 258-272.
47. Wu, J., Wang, J., Nicholas, S., Maitland, E., & Fan, Q. (2020). Application of big data technology for COVID-19 prevention and control in China: lessons and recommendations. *Journal of medical Internet research*, *22*(10), e21980.

Opportunities and Challenges of Big Data in Digital Marketing

Nugzar Todua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Professor
Charita Jashi
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Associate Professor

SUMMARY

Business companies are constantly striving to have competitive advantages, role of Big Data is very valuable for predicative analysis and well-informed decisions. Big Data made revolutionary changes in the fields of economics, business and healthcare. It should be noted that Big Data is impressive in volume, intensity, and complexity, which remarkably exceeds standard analytical capabilities. That is why the joint combination of information technology and marketing tools provide a significant contribution to the implementation of an effective marketing strategy.

The aim of the paper is to clarify the essence of Big Data, demonstrate it`s role in marketing activities, as well as in the risk management processes caused by the Covid-19 pandemic. The conducted marketing studies have clearly confirmed immense contribution of Big Data in marketing strategies. As for, COVID -19 Big Data has been used to target the identification of virus cases and allocate appropriate resources to better protect public health. Processing and analyzing Big Data against the effects of COVID -19 and post-COVID will help to conduct new researches and provide preventive measures. Ample of scientific publications have been published in the recent period related to the issue all over the world, although there is still a lot to be done in this direction in Georgia.

Keywords: *Big Data, Digital Marketing, Risk Management of COVID -19 Change of Consumer Behavior.*

აგროდაზღვევა: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიღწევები და გამოწვევები

ნატო კაკაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
ხათუნა ბარბაქაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აგროდაზღვევა არის დაცვის ინსტრუმენტი, საქართველოს გააჩნია აგროდაზღვევის თითქმის რვა წლიანი გამოცდილება. აგროდაზღვევის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები როგორც, დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობის ზრდას, ასევე რისკების მართვისა და ზარალის შეფასების ახალი მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს.

ნებისმიერ ქვეყანაში აგროდაზღვევა ერთ-ერთი ყველაზე რთული დარგია. სახელმწიფო აგროდაზღვევა საქართველოში 2014 წლიდან დაიწყო, თუმცა ბევრი ელემენტი შეიცვალა, დაიხვეწა. 2014-2020 წლებში დაახლოებით გაცემულია 115 ათასი სადაზღვევო პოლისი, დააზღვიეს 100 ათას ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო ამ პერიოდში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 69.7 მლნ.ლარი, სახელმწიფოს თანადაფინანსებამ კი 48 მლნ. ლარი შეადგინა. დღეს, უკვე ფერმერებს სადაზღვევო მომსახურების სარგებლობის წარმატებული გამოცდილება აქვთ. მათ მიეცათ საშუალება მიღებული ნამატი შემოსავალი გამოიყენონ რისკების დაზღვევისათვის.სახელმწიფო დაზღვევის პროგრამით სარგებლობისას, ფერმერებს მინიმუმამდე შეუმცირდებათ ზარალი, ამასთან თანადაფინანსება მცირე მეურნეობებისათვის შეადგენს 70%-ს, ხოლო ვაზზე 50%-ს. სადაზღვევო პოლისით იფარება ისეთი სადაზღვევო რისკები, რომელიც გამოწვეულია სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხალის ან საშემოდგომო ყინვის მიერ. აგროდაზღვევის პროგრამით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც ფლობს ან სარგებლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით. დამზღვევი ან მიწის მესაკუთრე ასევე რეგისტრირებული უნდა იყოს ფერმერთა/ფერმათა რეესტრში. ფერმერს უფლება აქვს დააზღვიოს ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მარცვლოვანი კულტურა-.აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართული არის შვიდი სადაზღვევო კომპანია, მათ შორის: ალდაგი, ჯიპიაი ჰოლდინგი, ევროინს ჯორჯია, არდი, ალფა, თიბისი დაზღვევა, ნიუვიჟენ დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიასთან ფერმერი აფორმებს ხელშეკრულებას, იხდის სადაზღვევო პრემიას, სადაზღვევო პოლისი ძალაშია ოთხი დღის შემდეგ.

საკვანძო სიტყვები: *სადაზღვევო რისკი; აგროდაზღვევა; სეტყვა; ქარიშხალი; წყალდიდობა.*

არასასურველი ამინდი, სხვადასხვა კლიმატური მოვლენა განსაკუთრებით ცუდად ზემოქმედებს სოფლის მეურნეობაზე, რაც თავისთავად ამცირებს მისაღებ შემოსავალს. მითუმეტეს საქართველო განსხვავებულია კლიმატური ზონებით, თითოეული მათგანი სპეციფიკური რისკით ხასიათდება. აღნიშნული რისკების თავიდან აცილება დამოუკიდებლად თითქმის შეუძლებელია, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგროსექტორში რისკების დაზღვევას. არსებული სისტემა მხოლოდ მოსავალს აზღვევს ცალკეული რისკებისაგან, როგორიცაა: სეტყვა, ქარიშხალი,წყალდიდობა და ა.შ. თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია ნერგის დაზღვევაც დაემატოს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სადაზღვევო პოლისის უმეტეს ნაწილს ასუბსიდირებს, ფერმერების მხოლოდ 3%-ი აზღვევს საკუთარ მოსავალს.განახლებული პირობებით 5-დან 10 ჰექტარამდე გაიზარდა ერთ ბენეფიციარზე დაზღვევას დაქვემდებარებული მიწის ფართობი, ხოლო მარცვლეული კულტურის შემთვევაში 30 ჰექტარიდან 50 ჰექტარამდე გაიზარდა. აღნიშნული პროგრამით ფერმერს სადაზღვევო პოლისის 30%-ის დაფარვა უწევს, ხოლო ვაზის კულტურის შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს 50%-ს. თუ ფერმერი არ დაეთანხმა ზარალის ანაზღაურებისთვის განკუთვნილ თანხას, სადაზღვევო კომპანია მოითხოვს ვიდეოგადაღებას, ხოლო ფერმერს აქვს შესაძლებლობა მიმართოს დამომუკიდებელ ექსპერტს.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, ფერმერთა ფინანსური დაცულობა, რათა სოფლად მცხოვრები ადამიანები იყვნენ სოციალურად უზრუნველყოფილები.ამ მიზნით განახორციელოს ინვესტიციები, ჩამოაყალიბოს ეფექტური, მდგრადი და მოქნილი სისტემა, რომელიც განავითარებს და წარმატებულ სფეროდ აქცევს აგროდაზღვევას და სოფლის მეურნეობას, ფერმერებს კი შესაძლებლობას მისცემს მშვიდად აწარმოონ სოფლის პროდუქცია, რაც პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ, თუ ფინანსურ ზრდაზე.

აგროდაზღვევაში მოზიდული სადაზღვევო პრემია

აგროდაზღვევაში ჯამური სადაზღვევო პრემიის ოდენობა და ანაზღაურებული ზიანის ოდენობა 2010 წლიდან 2020 წლამდე, თითქმის 175-ჯერ არის გაზრდილი. სახელმწიფოს წილი დაფინანსებაში საკმაოდ მაღალია და შეადგენს დაფინანსების 70%-95%-ს.

აგროდაზღვევის განვითარების მიზეზებია:

- ✓ სახელმწიფოს ნება – ქვეყანაში ყველანაირი პრობლემის მოგვარების შესაძლებლობები და ბერკეტები გააჩნია სახელმწიფოს;
- ✓ სამინისტროს და მისი უწყებების კომპეტენცია და კომპლექსურობა;
- ✓ რვა წლიანი გამოცდილება;
- ✓ სადაზღვევო კომპანიებთან და სადაზღვევო ასოციაციებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა;
- ✓ ფერმერებთან უშუალო და ხშირი ურთიერთობა.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ნაკლოვანებებად კი შეიძლება განვიხილოთ:

- ✓ პროგრამის ჩარჩოები, რომელიც საკმაოდ მცირეა, იგი მხოლოდ ოთხი რისკის დაზღვევას გულისხმობს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვადასხვა რისკის დამატება, მაგალითად, აქტუალური რისკია ყინვა, რასაც ამ ეტაპზე პროგრამა არ ითვალისწინებს. აუცილებელია ჩარჩოს გაფართოება, რათა პროგრამა გახდეს უფრო მიმზიდველი და მოთხოვნადი ფერმერებში.
- ✓ კვალიფიკაციური კადრების სიმცირე.

აგროდაზღვევის განუვითარებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს მცირე ზომის ბაზარი; გახშირებული სტიქიური მოვლენები და კლიმატური ცვლილება; ფერმერებში ინფორმირების დაბალი დონე; კოვიდ 19-ის პანდემია – შესაძლებელია ყველას და ყველაფერს არაპროგნოზირებული საფრთხე დაემუქროს. პანდემიამ სერიოზული დარტყმები მიაყენა ქვეყნის მთელ ეკონომიკას, თუმცა მთავრობამ, აქაც სერიოზული ნაბიჯები გადადგა მოცემული პრობლემის გადასაჭრელად.

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ზრუნვას ფერმერებზე და სოფელზე. პროგრამა კონკრეტულად ითვალისწინებდა სუბსიდი-

რებას, რაც გამოიხატებოდა შემდეგში – იმ პირებს, ვისაც საკუთრებაში ჰქონდათ მიწის ნაკვეთი 1 ჰექტარ მიწაზე ერიცხებოდა 200 ქულა, რომელიც უდრიდა 200 ლარს, დარიცხული ქულებით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეეძლო მცენარეთა დაცვის, მოვლის ბიოლოგიური/ქიმიური საშუალებების; ,ნერგის, თესლის და სასუქების შეძენა

აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 200 000-მდე ფერმერმა, ხოლო მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 37 000 000 ლარს. პროგრამაში მონაწილეობა შეეძლო იმ ფერმერს, რომელსაც ჯამურად ჰქონდა რეგისტრირებული არანაკლებ 0.25 ჰექტარი მიწა და არაუმეტეს 10 ჰექტარი მიწა. მთავრობის მიერ შეთავაზებულმა გეგმამ უდიდესი გავლენა იქონია პანდემიის პროცესში აგრო სექტორისთვის, რადგან აგრარულმა სექტორმა ამ დიდ გამოწვევას გაუძლო. ურთულესი პერიოდის (პანდემიის პერიოდი) მიუხედავად მთავრობამ არ შეწყვიტა 2014 წელს დაწყებული პროექტი ფერმერებისთვის და ამ პროგრამასთან ერთად შესთავაზა ახალი გეგმა, რომელიც ასევე საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა აღნიშნული სფეროსთვის.

აგროდაზღვევის მიზანს წარმოადგენს ფერმერთა შემოსავლის სტაბილიზაცია და აგროწარმოების უწყვეტობა. სახელმწიფო სუბსიდირებას უმეტეს შემთხვევაში ახდენს სადაზღვევო პრემიაში, სადაც სახელმწიფოს მონაწილეობა სრული ან ნაწილობრივია, სუბსიდირების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ფერმერებს მიაწოდონ დაზღვევა ხელმისაწვდომ ფასში.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა არის ახალი სისტემა, რომელიც განხორციელების პროცესში თანდათანობით იხვეწება. საქართველოს მოსახლეობის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფის, ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, ეკონომიკური უსაფრთხოების და ქვეყნის ფინანსური შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ მყარ გარანტს და საფუძველს წარმოადგენს აგრობიზნესით დაკავებული ფერმერების დაცვა და აგროსექტორის განვითარება.

სახელმწიფომ აგროდაზღვევის კუთხით პროგრამის ფარგლებში ყველაზე დიდი ოდენობით დააფინანსა კახეთის რეგიონი, კერძოდ აქ გაცემული პოლისების რაოდენობა იყო, 44 903, ხოლო დაფინანსება შეადგენდა 23 851 523 ლარს, რადგან კახეთის რეგიონი გამორჩეულია სასოფლო სამეურნეო სექტორის განვითარებით, შედარებით საქართველოს სხვა რეგიონებთან.

აგროდაზღვევის განვითარება და პოპულარიზაცია უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია ქვეყნის მთავრობაზე, სწორედ სახელმწიფოს მიერ გატარებული პროგრამებით გახდა სხვადასხვა ქვეყნებში აგროდაზღვევა წარმატებული დარგი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფომ აგროდაზღვევის განვითარებისთვის გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ:

- ✓ სახელმწიფომ სადაზღვევო კომპანიებთან ერთად უნდა შეიმუშაოს საინფორმაციო გეგმა (კამპანია), რაც ხელს შეუწყობს ფერმერებში და მცირე მეწარმეებში ცოდნის დონის ამაღლებას. კამპანიაში მონაწილეები აუცილებლად უნდა იყვნენ პროფესიონალები, რათა ფერმერებში გამოიწვიონ მაღალი დაინტერესების დონე აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მხრივ;
- ✓ სადაზღვევო პროდუქტის კიდევ უფრო გაიაფება – საქართველოს მთავრობამ აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში ნამდვილად უპრეცედენტო შეთავაზება გაუკეთა სოფლად მცხოვრებ ადამიანებს, თუმცა სადაზღვევო პროდუქტი ფერმერებისთვის მაინც ძვირია, რაც გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკური თუ ფინანსური მდგომარეობით. სახელმწიფომ

კიდევ უფრო უნდა გააიაფოს და სადაზღვევო პროდუქტი ფერმერებისთვის გახადოსხელ-მისაწვდომი;

- ✓ სადაზღვევო რისკების დამატება – ამჟამად აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა აზღ-ვევს მხოლოდ ოთხ რისკს (წყალდიდობა, სეტყვა, საშემოდგომო ყინვა, ქარიშხალი), დარ-გის განვითარებისთვის საჭიროა დაემატოს კიდევ სხვა რისკები, კერძოდ ყინვა სეზონის ზამთრის პერიოდშიც, ხანძარი და მიწისძვრა. მოცემული რისკების დამატებით აგრო-დაზღვევა უფრო მომხიბვლელი გახდება მცირე მეწარმეებისთვის და ფერმერებისთვის, რადგან მათი დაცულობის დონე უფრო მეტად აიწვს მაღლა.
- ✓ აგროდაზღვევის ნაწილობრივი სავალდებულო დაზღვევა – აგროდაზღვევის ნაწილობრივ-მა სავალდებულო დაზღვევამ ბევრ ქვეყანაში (ახალ ზელანდიაში, ინდოეთში, იაპონიაში, ბრაზილიაში, არგენტინაში და საბერძნეთში) წარმატებით იმუშავა. საქართველოს მთავ-რობამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უნდა შეიმუშაოს გეგმა, რის ფარგლებშიც დაზღვევა, რაღაც კრიტერიუმებიდან გამომდინარე იქნება სავალდებულო, მაგალითად ფერმერი, რომელიც ამუშავებს 10 000 ჰექტარზე მეტს, მისთვის აგროდაზღვევა სავალ-დებულო უნდა იყოს. მოცემული პროექტი ხელს შეუწყობს, როგორც ფერმერს, რომელ-საც მოსავალი ექნება დაზღვეული ასევე აგროდაზღვევას, რომელიც უფრო მოხმარებადი გახდება.

ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი. საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2019;
2. ნონიაძე ა. როგორ გავხადოთ სოფლის მეურნეობა პერსპექტიული დარგი საქართველოში-აგროსექტორის დაზღვევის საერთაშორისო გამოცდილება. 15.08.2019;
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს განკარგულება №1462 „აგროდაზღვევის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, თბ., 2014;
4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის განკარგულება №306 „აგროდაზღვე-ვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2015;
5. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2020;
6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018-2019-2020 წლის წლიური ანგარიში;
7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, აგროდაზღვევის განვითარების სტრატეგია 2021-2024;
8. http://census.ge/files/results/agriculture/AG%20Census%20Release.pdf
9. https://www.atlas-mag.net/en/article/agricultural-insurance-products-and-schemes
   https://agroseguro.es

Agroinsurance: Achievements and Challenges of State-Implemented Policies

Nato Kakashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor
Khatuna Barbakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

We consider it expedient for the more complete development of agro-insurance:

- ✓ The state should develop an information plan (campaign) together with insurance companies, which will help raise the level of knowledge among farmers and small entrepreneurs. The participants in the campaign must be professionals in order to generate a high level of interest among farmers in terms of the state agro-insurance program;
- ✓ Making the insurance product even cheaper – making the insurance product available to farmers;
- ✓ Addition of insurance risks – for the development of the industry, it is necessary to add other risks, namely frost in the winter season, fire and earthquake;
- ✓ Partial compulsory insurance of agro insurance – the government of Georgia should develop a plan within the framework of the state program, within the framework of which insurance will be mandatory based on some criteria, for example, a farmer who cultivates more than 10,000 hectares should have agro insurance for him.

Keywords: insurance risk; agricultural insurance, hail; the storm flood.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე

ნაზირა კაკულია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
თეა ლაზარაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სტატიაში განხილულია ის ეკონომიკური საფრთხეები, რაც უკრაინაში რუსეთის ომის შედეგად შესაძლოა განვითარდეს. საქართველოს, რომელიც პატარა, თუმცა სტრატეგიულად და ისტორიულად მნიშვნელოვანი რეგიონია, თავისი მცირე ღია ეკონომიკით შესაძლოა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება დასჭირდეს.

დასკვნის სახით მოცემულია რჩევები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთთან ვაჭრობის შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ უფრო აქტიურად და დაჩქარებულად უნდა დაიწყოს მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებაზე ყველა სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელთანაც ჯერ არ გვაქვს ასეთი შეთანხმება. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველომ უფრო აქტიურად უნდა მოითხოვოს სტრატეგიული პარტნიორებისგან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დაჩქარება.

საკვანძო სიტყვები: *რუსეთ-უკრაინის ომი, კრიზისი, დამოკიდებულება იმპორტზე.*

რუსეთი, ისევე, როგორც უკრაინა საქართველოს საექსპორტო ქვეყნების ხუთეულშია. 2022 წლის იანვარში საქართველოს ექსპორტის 9.5% უკრაინაზე, 12.9% კი რუსეთზე მოდიოდა. თუმცა ყველაზე დიდი კავშირები არა საქონლის, არამედ სერვისების (მაგ. ტურიზმის) ექსპორტზე მოდის.

რაც შეეხება საქართველოში იმპორტს, რუსეთზე მთლიანი იმპორტის 11% (მე-2 ადგილი, თურქეთის შემდეგ), უკრაინაზე კი 4.3% (მე-7 ადგილი) მოდის.

ნახაზი N 1

საქართველოში საგარეო შემოდინების სტრუქტურა ქვეყნებისა და ტიპების მიხედვით, 2021 წელი



წყარო: www.geostat.ge , www.nbg.gov.ge ავტორთა გამოთვლები

რუსეთი კვლავ ლიდერად რჩება საგარეო შემოდინებების კუთხით ცალკეულ ქვეყნებს შორის. 2021 წელს საგარეო შემოდინებები ჯამურად მთლიანი შიდა პროდუქტის 61.8%-ს შეადგენდა. შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის ომი და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები აუცილებლად გამოიწვევს რუსეთიდან საგარეო შემოდინებების შემცირებას, რასაც ნეგატიური გავლენა ექნება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპზე (რეალური ზრდის ტემპი ვეღარ მიაღწევს დაგეგმილ 6%-ს). ამასთანავე, შემცირებულმა საგარეო შემოდინებებმა შესაძლებელია გარკვეული დანაკლისი გააჩინოს საგადასახდელო ბალანსში და პერიოდულად წნეხი წარმოქმნას გაცვლით კურსზე.

ნახაზი N 2

დამოკიდებულების მატრიცა – 2021

2021					
ქვეყნები	**ექსპორტი**	**იმპორტი**	**FDI**	**ფულადი გზავნილები**	**ტურიზმი**
რუსეთი	14%	10%	5%	18%	12%
აზერბაიჯანი	13%	6%	0%	4%	5%
სომხეთი	6%	4%	1%	1%	10%
უკრაინა	7%	4%	1%	4%	8%
ჩინეთი	15%	9%	2%	0%	0%
ევროკავშირი	17%	24%	28%	41%	7%
თურქეთი	8%	18%	6%	4%	19%
აშშ	5%	6%	1%	12%	1%

წყარო: www.geostat.ge , www.nbg.gov.ge ავტორთა გამოთვლები.

დიაგრამაზე ვხედავთ საქართველოს პარტნიორი ქვეყნების წილს საგარეო შემოდინებების კომპონენტების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ რუსეთზე დამოკიდებულება განსაკუთრებით მაღალია გზავნილების, ექსპორტისა და ტურიზმის შემთხვევაში (წილი მნიშვნელოვნად მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში). ასევე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის წილი ყველა კატეგორიაში აღემატება რუსეთის წილს გარდა ტურიზმისა.

ნახაზი N 3

ევროკავშირისა და რუსეთის წილის დინამიკა ექსპორტში



წყარო: www.nbg.gov.ge

აღნიშნულ დიაგრამაზე დატანილია რუსეთისა და ევროკავშირის წილი ექსპორტში 1995 წლიდან 2021 წლის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის წილი 30%-ს აჭარბებდა და თითქმის 6-ჯერ აღემატებოდა ევროკავშირის წილს, თუმცა, რუსეთის წილი განუხრელად მცირდებოდა და ევროკავშირის წილი კი იზრდებოდა. სტუქტურის ასეთი ცვლილება კიდევ უფრო დააჩქარა 2006 წელს რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ. რის შემდეგაც რუსეთის წილი 0-ს დაუახლოვდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ემბარგოს მოხსნის შემდეგ რუსეთის წილმა სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა და 2015 წლის რეგიონალური კრიზისის ფონზე შემცირებული ევროკავშირის წილის პირობებში დაუახლოვდა ევროკავშირის მაჩვენებელს. პანდემიამ ეს ორი წილი კიდევ უფრო დაუახლოვა ერთმანეთს. იმის მიუხედავად, რომ პანდემიის ხანგრძლივობის და მომავალი განვითარების ირგვლივ არსებობს უპრეცედენტო გაურკვევლობა, მოკლევადიანი უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე უკვე ასახულია როგორ მშპ-ს წინასწარი ზრდის მაჩვენებლებში, ასევე საგარეო სექტორისა და ფულადი შემოსულობების სტატისტიკაში[1]

ნახაზი N 4

უკრაინაში ექსპორტი პროდუქტების მიხედვით, 2021



წყარო: www.geostat.ge

პროდუქტების მიხედვით ჩაშლილი მაჩვენებლის მიხედვით, უკრაინისთვის, ყველაზე მსხვილ კატეგორიებს სასმელები, ავტომობილების რეექსპორტი და მინერალური სასუქები ქმნიან.

[1] www.mof.ge

ნახაზი N 5

რუსეთში ექსპორტი პროდუქტების მიხედვით, 2021



წყარო: www.geostat.ge

პროდუქტების მიხედვით ჩაშლილი მაჩვენებლის მიხედვით, რუსეთისთვის, ყველაზე მსხვილ კატეგორიებს სასმელები, რკინისა და ფოლადის და თხილის ექსპორტი ქმნის.

ნახაზი N 6

ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში



წყარო: www.geostat.ge

განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვინის სექტორი. რომელიც კცლავ დამოკიდებული ხდება რუსულ ბაზარზე. ემბარგოს გაუქმების შემდეგ რუსეთის წილი სწრაფი ტემპით გაიზარდა და 2021 წლისთვის ღვინის ექსპორტის ნახევარზე მეტი რუსეთზე მოდიოდა.

ნახაზი N 7

ევროკავშირისა და რუსეთის წილის დინამიკა იმპორტში



წყარო: www.nbg.gov.ge

რაც შეეხება იმპორტის მაჩვენებელს. აქ რუსეთი უმსხვილეს პარტნიორად რჩება. თუმცა მისი წილი მცირდებოდა 2016 წლის შემდეგ (სამაგიეროდ იზრდებოდა ევროკავშირისა და ჩინეთის წილი).

ნახაზი N 8

რუსეთისა და უკრაინის წილები იმპორტში, პროდუქტების მიხედვით, 2021



წყარო: UN Comtrade (https://comtrade.un.org/data/

აღნიშნულ ნახაზზე წარმოდგენილია პროდუქტები, რომელთათვისაც რუსეთის და უკრაინის წილი მნიშვნელოვნად მაღალია.

ნახაზი N 9

საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირი



წყარო: www.geostat.ge

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბუნებრივი აირის ექსპორტი. სადაც რუსეის წილი მნიშვნელოვნად იყო შემცირებული 2014 წლის შემდეგ და 2.8%-ს უტოლდებოდა 2018 წელს. 2019 წლიდან რუსეთის წილმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლისთვის 23.1%-საც კი გაუტოლდა.

ნახაზი N 10

საქართველოს მონაწილეობა ღირებულების ჯაჭვებში, 2015



წყარო: Eora MRIO (https://www.worldmrio.com/)

აღსანიშნავია რუსეთის მაღალი წილი ღირებულების ჯაჭვებში მონაწილეობის კუთხით. როგორც ჩვენთვის ცნობილია ღირებულებათა ჯაჭვი აერთიანებს ნედლეულის მწარმოებლებს, შუამავლებს, გადამამუშავებელ საწარმოებს, სარეალიზაციო ბაზრებს, სერვისების მიმწოდებლებსა

და სხვადასხვა მხარეეებს, რომელთა საქმიანობაც ხელს უწყობს ერთმანეთის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე და მის შენარჩუნებას ღირებულებათა ჯაჭვის პროცესში ინოვაციების დანერგვის გზით. ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტი წარმოადგენს სტრატეგიული ბიზნეს ანალიზისა და დაგეგმვის ინსტრუმენტს, რომელიც გამოიყენება ღირებულებათა ჯაჭვის კომპონენტებისა და რესურსების კოორდინაციისთვის. მისი ეფექტიანი მართვა პირდაპირ გავლენას ახდენს მასში ჩართული რგოლების საქმიანობის მომგებიანობასა და პროდუქტის საბოლოო მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

ნახაზი N 11

ფულადი გზავნილების სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით



წყარო: www.nbg.gov.ge

2012 წლისთვის რუსეთზე მთიანი გზავნილების 56% მოდიოდა. ეს მაჩვენებელი განუხრელად მცირდებოდა 2021 წლამდე. შემცირებაში თავისი როლი ითამაშა ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციამ, რუსეთის ბაზრის არასტაბილურობამ (მათ შორის რუბლის არასტაბილურობამ) და პოლიტიკურმა ფაქტორებმა (მაგალითად, საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციამ რუსეთიდან).

ნახაზი N 12

დამოკიდებულების მატრიცა – ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, 2021

2021	მლნ. ლარი	ლარი	%
ქვეყნები	ტურიზმის მთლიანი დანახარჯები	ტურიზმის საშუალო დანახარჯები ერთი ვიზიტისას	ტურიზმის მთლიანი დანახარჯების პროცენტული განაწილება
აზერბაიჯანი	689	395	8%
თურქეთი	1,134	928	13%
რუსეთი	2,120	1282	25%

სომხეთი	751	589	9%
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები	1,091	1792	13%
სხვა ევროპული ქვეყნები	1,224	1938	14%
სხვა ქვეყნები	1,503	2538	18%
სულ	8,512		

წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (https://gnta.ge/ge/)

აღსანიშნავია, რომ რუსეთი კვლავ ყველაზე მსხვილ პარტნიორად რჩება ტურისტების ნაკადების შემოდინებისა და ტურიზმის მთლიანი დანახარჯების კუთხით.

2021 წლის ბოლოსთვის საქართველო-რუსეთს შორის არსებული ვაჭრობის, რუსეთიდან შემოსული ტურისტების, ფულადი გზავნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და რუსული კომპანიების საქართველოში რეგისტრაციის შესახებ არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შემდეგი სურათი იკვეთება:

2022 წლის სამი კვარტლის მონაცემებით საქართველომ რუსეთიდან ფულადი გზავნილებით, ტურიზმით და საქონლის ექსპორტით დაახლოებით 1.2 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2021 წლის იგივე პერიოდის რუსეთიდან ამავე წყაროებით მიღებულ შემოსავალზე 2.5-ჯერ მეტია. პანდემიამდე, 2019 წლის იგივე პერიოდის რუსეთიდან მიღებულ შემოსავალს კი 36%-ით აჭარბებს. ეს ნიშნავს, რომ გასულ წლებთან შედარებით საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება იზრდება.

კვლევის საფუძველზე შესწავლილი იქნა, რომ მიმდინარე წლის პერიოდში საქართველოში დაახლოებით 6,400-მდე რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 2021 წლის წლიურ მაჩვენებელზეც კი 7-ჯერ მეტია. საქართველოში სულ 13,500-მდე რუსული კომპანიაა რეგისტრირებული და მათი ნახევარი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ დარეგისტრირდა;[1] დარეგისტრირებულ კომპანიების უმეტესი ნაწილი – 93% ინდივიდუალური საწარმოა. ეს იმას მიანიშნებს, რომ რუსეთის მოქალაქეების ნაწილი საქართველოში საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად გადმოვიდა; 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი რუსეთში 2.8%-ით შემცირდა და 256 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ომის დაწყების შემდეგ, კი ექსპორტი 16%-ით არის შემცირებული, რაც ძირითადად ღვინის და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტის კლებამ განაპირობა;

ტრადიციულად, რუსულ ბაზარზე მაღალი დამოკიდებულებით ღვინის ექსპორტი გამოირჩევა. 2022 წლის სამი კვარტლის მონაცემებით რუსეთში ექსპორტირებული 58 მლნ აშშ დოლარის ღვინო საქართველოს ჯამური ღვინის ექსპორტის 58% იყო;

2022 წლის იგივე პერიოდში რუსეთიდან იმპორტი 51%-ით გაიზარდა და 706 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთიდან იმპორტის წილი საქართველოს ჯამური იმპორტის 11.9% იყო, რაც ბოლო 15 წლის მაქსიმუმია;

ომის დაწყების შემდეგ რუსეთიდან ყველაზე მეტად ნავთობპროდუქტების (საწვავი) იმპორტი გაიზარდა – 280%-ით (118 მლნ აშშ დოლარით). ელექტროენერგიის იმპორტი 4-ჯერ (9 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა. იმპორტის ზრდის მიუხედავად, რუსულ ელექტროენერგიას საქართველოს შიდა მოხმარებაში მხოლოდ 3.5% უჭირავს. 8%-მდეა რუსეთის წილი ბუნებრივი აირის შიდა მოხმარებაშიც;

[1] https://justice.gov.ge/

კვლავ მაღალია რუსულ ხორბალსა და ფქვილზე საქართველოს დამოკიდებულება. 2022 წლის სამი კვარტლის მონაცემებით რუსული ხორბლის და ხორბლის ფქვილის წილი საქართველოს ხორბლის და ხორბლის ფქვილის მთლიან იმპორტში 95% იყო;

მნიშვნელოვნად გაზრდილი რუსული საქონლის იმპორტი, ფულადი გზავნილები და საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მიერ კომპანიების დაფუძნება ზრდის რისკს, რომ საქართველო რუსეთზე დაწესებული სანქციების გვერდის ასავლელად იყოს გამოყენებული.[1]

დასკვნის სახით შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე რჩევა, რომელსაც სარეკომედაციო ხასიათი ექნება:

რუსეთთან ვაჭრობის შესამცირებლად საქართველოს მთავრობამ უფრო აქტიურად და დაჩქარებულად უნდა დაიწყოს მუშაობა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმებაზე ყველა სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელთანაც ჯერ არ გვაქვს ასეთი შეთანხმება. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს შეუძლია, უფრო აქტიურად მოითხოვოს სტრატეგიული პარტნიორებისგან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების დაჩქარება; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიები, შეღავათიანი კრედიტი და სხვა არ უნდა გაიცეს ისეთ ბიზნესზე, რომელიც რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ზრდის. აღნიშნული წესის დანერგვა საქართველოს ეკონომიკის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს, რაც საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებას აამაღლებს.

ლიტერატურა:

1. ხადური ნ. „საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები“., ჟ. ეკონომისტი, №1, 2009
2. ხადური ნ. „ეკონომიკური ზრდა – რეალობა და პერსპექტივები“., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. მასალების კრებული, თბილისი, 2010
3. N. Kakulia – The Characteristics of Transformation of Institutional Changes and Georgia, Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Economics and Management Engineering Vol:11, No:5, 2017;
4. International Monetary Fund. World Economic Outlook Update: Tentative Stabilization, Sluggish Recovery? Washington, DC, January 2020;
5. Gambacorta L., (2009). “Monetary policy and the risk-taking channel”, BIS Quarterly Review.
6. Borio, Claudio EV, Leonardo Gambacorta, and Boris Hofmann
7. The influence of monetary policy on bank profi tability.BIS Working Paper No. 514.
8. Brunnermeier, M. K. & Sannikov, Y. (2014). A Macroeconomic Model with a Financial Sector. American Economic Review 104 (2), pp. 379-421.
9. https://www.worldbank.org/en/research
10. https://www.geostat.ge/
11. https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency
12. https://gnta.ge/ge/
13. https://justice.gov.ge/

[1] https://justice.gov.ge/

The impact of the Russia-Ukraine War on the Macro-economic Indicators of Georgia

Nazira Kakulia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Tea Lazarashvili
Caucasus International University
Associate Professor

SUMMARY

The article discusses the economic dangers that may develop as a result of the Russian war in Ukraine. Georgia, which is a small, though strategically and historically important region, may require important decisions with its small open economy.

The conclusion is the advice, which is important that the Georgian government should start working on the signing of free trade agreements with all the strategic partners with whom we have not yet such an agreement to reduce trade with Russia. Depending on the situation, Georgia should be more actively demanding a free trade agreement from strategic partners.

Key words: Russia-Ukraine war, crisis, dependence on imports

საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების მიმართულებები საქართველოში

ნათია კახნიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკაზე დადასტურებულია პრაქტიკული და თეორიული მიდგომებით. უცხოურ ინვესტიციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში, რადგან ქვეყანაში დაბალი შემოსავლები ვერ ასტიმულირებს ეკონომიკურ განვითარებას და შესაბამისად საჭირო ხდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა,

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე მოქმედი ფაქტორები განსახვავებულია ქვეყნების მიხედვით. სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ვინაიდან, აღნიშნული მნიშვნელოვანი ეფექტის მატარებელია. იგი იწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლის ზრდას, ასევე სავალუტო კურსის სტაბილურობას, რაც საქართველოს ეკონომიკისათვის სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია, რისკი, კონკურენტუნარიანობა, ბიზნესი ვალუტის კურსი.*

დღესდღეობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. პუი უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციური ტექნოლოგიების, მმართველობითი უნარების, ცოდნის და სხვა მნიშვნელოვანი აქტივების შემოღებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყოველთვის იყო ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ბერკეტი. შესაბამისად ინვესტიციების ანალიზი აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ განვითარებადი ქვეყნები უმეტესად მიმართულია ინვესტიციების გაზრდისკენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის შესაბამისი გარემოს ფორმირება და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

საინვესტიციო პოტენციალის შეფასება შესაძლებელია მაკროეკონომიკური მახასიათებლებით. იგი მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოების ფაქტორებს, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შედეგს, სამომხმარებლო მოთხოვნას, მეცნიერულ მიღწევებს და სხვა.

საინვესტიციო რისკების შეფასება ხდება შემოსავლებისა და ინვესტიციების დანაკარგის ალბათობიდან, რომელთაც განეკუთვნება: ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა რისკები. აღნიშნული მაჩვენებლებით ხდება საინვესტიციო პოტენციალის შეფასება დადგინდება რეიტინგი რისკებისა და იმ ელემენტების მიხედვით, როგორიცაა: ფინანსური, მწარმოებლური, ნედლეულის, ინოვაციური, ინფრასტრუქტურული და სხვა.

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია წარმოებასთან დაკავშირებული ინვესტიციები, სწორედ ამ კუთხით მიმდინარეობს საქართველოში ახალი მიმართულების ძებნა, სადაც ქვეყანას მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს.

საქართველოს კონკურენტუნარიანობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: იაფი წარმოების ფაქტორები, გამოცდილება სამრეწველო დარგში, კარგი გეოგრაფიული მდებარეობა, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, დაბალი გადასახადები და სხვა. აღნიშნული ფაქტორების არსებობა ამცი-

რებს წარმოების ხარჯებს და შესაბამისად უფრო მიმზიდველია ინვესტორთათვის ქვეყანა. საქართველოს პოტენციალს კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის ლიბერალური ეკონომიკა, ღია ვაჭრობა, ევროკავშირთან დადებული ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და სხვა.

ასევე, საქართველოს აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, რომ მოიპოვოს კონკურენტუნარიანობა. მათ შორის არის ენერგო რესურსები. საინტერესოა საქართველო აგრობიზნესის კუთხითაც და შესაბამისად გააჩნია მნიშვნელოვანი საინვესტიციო პოტენციალი.

გლობალიზაციის პროცესში სულ უფრო მეტად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები და უფრო მეტად აქტუალური თემაა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. საქართველოში 2004 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს რიგი რეფორმები ეკონომიკის ლიბერალიზაციისთვის. აღნიშნული რეფორმების განხორციელებამ კი ხელი შეუწყო ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრასა და საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების მონაცემების მიხედვით, საქართველო პირველ ადგილზე იმყოფება ქონების რეგისტრაციის სიმარტივით. აღნიშნული სულაც არ არის საკმარისი, რადგან ქვეყანაში საკუთრების უფლება კარგად არ არის დაცული.

მნიშვნელოვანია „ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის". რომელიც ახალ შესაძლებლობას სთავაზობს საქართველოს ინვესტიციების გაზრდისთვის. საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები.

ასევე აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის განვითარებაზე ზრუნავს „აწარმოე საქართველოში", რომელიც ფინანსურად ეხმარება ქართულ კომპანიებს და შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სავაჭრო გამოფენებში. ფინანსური დახმარება კი მოიცავს ხარჯების 75-80% ის თანადაფინანსებას.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, პროგრამას „აწარმოე საქართველოში" გააჩნია პროგრამა „გადაიღე საქართველოში", რომლის მიზანიცაა კინოწარმოების სტიმულირება. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ხარჯების 20%-მდე დაბრუნება. იმ შემთხვევაში, როდესაც კინოწარმოება განაპირობებს ქვეყნის პოპულარიზაციას, შესაძლებელია დამატებით ხარჯების 2-5% მდე უკან დაბრუნება.

„აწარმოე საქართველოში" მნიშვნელოვანი სახელწიფო უწყებაა ქვეყნისთვის და მის ძირითად მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ექსპორტის განვითარება და კერძო სექტორის ხელშეწყობა. სააგენტო აერთიანებს 3 მნიშვნელოვან ელემენტს: ბიზნესს. ინვესტიციებსა და ექსპორტს.

ინვესტიციების მოზიდვისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საპარტნიორო ფონდის არსებობა. იგი საინვესტიციო ფონდის მეწარმეს უცხადებს ფინანსურს მხარდაჭერას და უცხოური ინვესტორებს დამატებით რისკის შემცირებაში ეხმარება.

ინვესტიციების მოსაზიდად მნიშვნელოვანია გაგვაჩნდეს ხელსაყრელი ბიზნესგარემო. ქვეყნების ბიზნესგარემოს იკვლევს და ინდექსებს აქვეყნებს რამდენიმე ორგანიზაცია. ამ მონაცემზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ დიდ წარმატებას მიაღწია ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, რომელიც ბევრ საერთაშორისო რეიტინგშიც ჩანს. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს საქართველოში ბიუროკრატიულ სიმარტივესა და მიმზიდველ ბიზნეს გარემოს არსებობაზე. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების" რეიტინგში ნაჩვენებია, რომ საქართველო 2020 წლის მდგომარეობით მე-7 ადგილს იკავებს 192 ქვეყანას შორის. 2012 წლიდან ეს მაჩვენებელი ხუთი ადგილით გაუმჯობესდა და სარეიტინგო ქულა კი 7.97 პუნქტით. ბიზნესის კეთების რეიტინგის მიხედვით საქართველო ლიდერობს და 190 ქვეყანას შორის საუკეთესო ათეულს იკავებს. საგულისხმოა რომ 2012 წლიდან 2021 წლამდე შეინიშნება რეიტინგში მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ. კერძოდ: თავისუფალი საინვესტიციო გარემოს კომპო-

ნენტის მიხედვით 36 ადგილიდან გადმოინაცვლა 18 ადგილზე, ხოლო ბიზნესის თავისუფლება – 23-ე ადგილიდან მე-12 ადგილზე.

იმისათვის, რომ ქვეყანაში შეინიშნებოდეს ეკონომიკური ზრდის ტენდენცია საჭიროა მინიმუმ 3 მილიარდი ამერიკული დოლარის ინვესტიციის განხორციელება. ყოველივე ეს რომ განხორციელდეს აუცილებელია იმ ფაქტორების გაუმჯობესება, რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს ბიზნესგარემოს. ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას არის რუსეთის ფაქტორი. ამ ეტაპზე შესაძლოა სხვა გარემოებების გამოსწორება რომელთა შორისაცაა: საკუთრების უფლება, დემოკრატია და განათლება. დღესდღეობით უამრავი ქვეყანა უწევს კონკურენციას ერთმანეთს, რათა მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამ კონკურენციაში კი მნიშვნელოვანია ხელსაყრელი ბიზნესგარემოს არსებობა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ყოველივე ეს განპირობებულია ქვეყნის ღიაობით და შეზღუდვების არ არსებობით უცხოური კაპიტალისთვის.

საქართველოს არ აქვს შეზღუდვა შემდეგ სექტორში: სოფლის მეურნეობა, სამთო მრეწველობა, ენერგეტიკა, საბანკო სექტორი, მშენებლობა, ტურიზმი, ტრანსპორტი, ჯანდაცვა, ნავთობი და კავშირგაბმულობა. სხვა ქვეყნებს გააჩნია გარკეეული სახის შეზღუდვები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ. მაგალითად, საფრანგეთი, ბელორუსი და უკრაინა თავისი გავლენის ქვეშ აქცევს – მედიის სექტორს, სომხეთი-სოფლის მეურნეობის სექტორს და თურქეთი – ელექტროენერგიის სექტორს.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველო ლიდერია არარეზიდენტი საწარმოების რეგისტრაციის სიმარტივის კუთხითაც. ასევე, მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს რეგისტრაციის ხანგრძლივობა, რეგისტრაციისთვის საჭიროა მხოლოდ ოთხი დღე, სხვა ქვეყნებში კი შესაძლოა ეს პროცესი 3 თვეც კი გაგრძელდეს. აღმოსავლეთ ევროპა ერთი-ერთი ლიდერია ბიზნესის რეგისტრაციის მიმართულებით. მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნებს შორის სწორედ აღმოსავლეთ ევროპის 5 ქვეყანაა წარმოდგენილი, ეს ქვეყნებია: საქართველო, თურქეთი, მაკედონია, ალბანეთი და ბელორუსი.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაძლო უარყოფითი შედეგიც. აღნიშნულს წარმოადგენს ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის შესაძლებლობა. იმ ქვეყნებში, სადაც ინვესტიციები მიემართება ადგილობრივი ქვეყნის ასათვისებლად ადგილობრივი კომპანიები დიდ კონკურენციას უწევენ. უცხოური ინვესტიციებს აქვთ დაბალი ზღვრული დანახარჯები, რის გამოც შეუძლიათ წარმოების ზრდა და მომხმარებლების მოზიდვა. ყოველივე ეს კი განაპირობებს ადგილობრივი ინვესტორების მიერ წარმოების შემცირებას, ვინაიდან შემცირებულია მოთხოვნა ბაზარზე და მათი დანახარჯი ერთ ერთეულზე უფრო იზრდება. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ტიპის ინვესტიცია ორიენტირებულია საექსპორტო წარმოებაზე ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნა ნაკლებად არის შესაძლებელი.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგ შემაფერხებელ ფაქტორს, ეს არის არის საფონდო ბირჟის განუვითარებლობა. განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სწორედ საფონდო ბირჟას. მაგალითად, აგვისტოში საქართველოს საფონდო ბირჟაზე (GSE) ორი გარიგება შედგა, რომელიც „ლიბერთი ბანკს“ უკავშირდება და მოცულობა 944 ლარს შეადგენს. თვის განმავლობაში დაფიქსირებული ორი ტრანზაქციის წყალობით, ბირჟის დღიურმა საშუალო ბრუნვამ 43 ლარს მიაღწია, რაც გასული თვეების მაჩვენებლებთან შედარებით პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ივნისსა და ივლისში საქართველოს საფონდო ბირჟაზე არცერთი გარიგება არ შემდგარა, შესაბამისად, დღიური საშუალო ბრუნვა ნულ ლარს შეადგენდა. ზოგადად, ნულოვანი ბრუნვა გასული წლისთვის დამახასიათებელი იყო – 2021 წელს, მაისში, აპრილში,

ივნისსა და ივლისში არცერთი გარიგება არ შემდგარა. საერთო ჯამში, გასულ წელს ბირჟაზე 104 077 ლარის გარიგებები განხორციელდა. GSE ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარია საქართველოში, სადაც 23 კომპანიის ფასიანი ქაღალდია განთავსებული. მათი საერთო საბაზრო კაპიტალიზაცია 748 მილიონ დოლარს შეადგენს. მიზეზი იმისა თუ რატომ არის საფონდო ბირჟის ბრუნვა ასეთი დაბალი, არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასრულყოფილება საქართველოში.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ცუდად მოქმედებს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე არის კონფლიქტური რეგიონი. კერძოდ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ქვეყანაში დაფიქსირდა ინვესტიციების კლების ტენდენცია. კონფლიქტების მოგვარება მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის და ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება არის ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა. აღნიშნული ფაქტი ინვესტორებს დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ქვეყანაში, სადაც ვალუტა არასტაბილურობით ხასიათდება ინვესტორებისთვის არამიმზიდველია, ვინაიდან იგი მაღალ რისკთან არის დაკავშირებული. ეროვნული ვალუტის კურსის სწრაფი ზრდა ფიქსირდება 2014 წლიდან. 2022 წლის მაისის მდგომარეობით, ლარი დოლართან მიმართებაში გამყარდა 2,8668 ერთეულით, ხოლო ევროსთან მიმართებაში 3,0706 ერთეულამდე. როგორც ვიცით, ვალუტის კურსზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის: ინვესტიციები, გადმორიცხვები, სავაჭრო ბალანსი, ფულის მასა, ტურიზმი, უცხოური კრედიტები და მოლოდინები. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემსუბუქება. ვინაიდან მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მნიშვნელოვნად ამცირებს ინვესტიციების რაოდენობას. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს რეფორმების გატარება ამ კუთხითაც საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად;

ინვესტიციების მოსაზიდათ საჭიროა მცირე და საშუალო სექტორების ფუნქციონირება. ამ მიმართულების ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, რათა გააძლიეროს აღნიშნული სექტორები.

მნიშვნელოვანია მომსახურების სექტორშიც ინვესტიციების მოზიდვა. ამისათვის კი საჭიროა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. ამ კუთხით უკვე აქტიურად მუშაობენ და ნერგავენ 5G-ზე გადასვლას, რაც უცხოური სტარტაპებისთვის სტიმულს წარმოადგენს რომ შექმნან ინოვაციური ბიზნეს პროექტები. 21-ე საუკუნეში, როდესაც აქტიურად ვითარდება და ინერგება ინოვაციური ტექნოლოგიები, უმნიშვნელოვანესია ამ გამოწვევებსაც ეფექტურად ვუპასუხოთ.

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს დიდი დრო დასჭრდა, რათა გაეანალიზებინა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ქვეყანაში. 2003 წლიდან დღემდე 50 რეფორმა არის გატარებული. რეფორმები უკავშირდება პიდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირებას და მათ დაცვას.

დღესდღეობით პიდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია. გლობალიზაციის პირობებში ბევრი ქვეყანა ცდილობს შექმნას შესაბამისი საინვესტიციო გარემო და შეძლოს კაპიტალის მოზიდვა, რადგან ეს დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ინვესტიციები რეციპიენტი ქვეყნის-

თვის კარგი შედეგის მომტანია, ვინაიდან იგი განაპირობებს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სხვა.

საქართველოს გააჩნია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალი და ამ გზით ხელს შეუწყობს ქვეყნის ეროვნული ვალუტის სტაბილურობას. აღსანიშნავია, რომ საქართველო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიო რეიტინგებში. მონაცემების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პუი მნიშვნელოვნად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე.

როგორც უკვე განვიხილეთ, წლების დინამიკაში ნათლად ჩანს ის შემაფერხებელი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ საქართველოში ინვესტიციების შემოდინებაზე. საქართველო მიმზიდველია ევროკავშირის ქვეყნებისათვის. სწორედ ამ ქვეყნებიდან ფიქსირდება ინვეტიციების შემოდინება. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოზიდვას, ხელს უწყოებს შემდეგი ფაქტორები: სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემა, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი, გეოგრაფიული მდებარეობა და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია შემდეგი ფაქტორები: მაღალი საპროცენტო განაკვეთი, სიღარიბის დონე, საფონდო ბირჟის განუვითარებლობა, კონფლიქტური რეგიონი და სხვა.

საგულისხმოა, ის ფაქტიც, რომ არა გლობალური პადემია, საქართველო შემდეგ წლებშიც გააუმჯობესებდა ინვესტიციების მოცულობას, რისი თქმის საშუალებასაც იძლევა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ასოცირების ხელშეკრულება, რომელმაც ახალი გზა გაუხსნა საქართველოს კაპიტალის მოსაზიდად. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს. იგი სპეციფიკური და განმასხვავებელი მახასიათებელია ქვეყნისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისგან მეტი სარგებლის მისაღებად, საჭიროა გაინისაზღვოს ის მიმართულებები რომლებსაც შეუძლია მეტის გავლენის მოხდენა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაზე. აღნიშნულისათვის მიზანშეწონილია დაფინანსდეს კვლევები. ვინაიდან კვლევებსა და განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია მეტი ცოდნის შესაძლებლობას იძლევა.

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით, ბოლო ათწეულში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა რამდენიმე საკითხი კიდევ დასახვეწია. ამ ეტაპზე საქართველოში არ არის სტაბილური საკანონმდებლო ბაზა. ასევე, ქვეყანაში არ არსებობს კაპიტალის მოზიდვის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროებთან.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ უმჯობესია ყურადღება გავამახვილოთ აქციონერთა ინტერესების დაცვაზე, რადგან საქართველოში არ არის სრულყოფილი საფონდო ბირჟა და შესაბამისად აქციონერთა უფლებები არ არის სათანადო დონეზე დაცული. ასევე, მნიშვნელოვანია ინოვაციური განვითარება, რადგან ამ მიმართულებით დიდი პრობლემებია ქვეყანაში;

უნდა გაგრძელდეს რეფორმების გატარება საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად;

ინვესტიციების მოსაზიდათ საჭიროა მცირე და საშუალო სექტორების ფუნქციონირება. ამ მიმართულების ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, რათა გააძლიეროს აღნიშნული სექტორები;

მნიშვნელოვანია მომსახურების სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. ამისათვის კი საჭიროა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. ამ კუთხით უკვე აქტიურად მუშაობენ და ნერგავენ 5G-ზე გადასვლას, რაც უცხოურ სტარტაპებისთვის სტიმულს წარმოადგენს რომ შექმნან ინოვაციური ბიზნეს პროექტები;

აღნიშნული რეკომენდაციები არ წარმოადგენს სრულ სიას იმ ფაქტორების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე, თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე და არსებული გამოწვევების ფონზე რეკომენდაციები შედგენილია იმ ძირითადი მიმართულებების მიხედვით, რომელიც მნიშვნელოვანია საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად.

ლიტერატურა:

წიგნები:

1. გელაშვილი.მ. „საინვესტიციო პოლიტიკა“; თბ, 2012;
2. კაკულია ე. ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა. თბილისი 2010;
3. სიხარულიძე დ, ჭარაია ვ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება. თბ., 2018;
4. ქოქიური ლ, საინვესტიო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თსუ, თბ., 2012;
5. John H. Dunning, The ecleetic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE activity, International Business Review 9 (2000)p.p 163-190;
6. Cheng, L.K, and Y.L. Kwan, 2000, “what Are the Determinats of the Location of Foreign Direct investment? The Chines Experience,” Journal of International Econimics, vol.51, No.2 (August). PP. 379- 400.

ინტერნეტ წყაროები:

7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო-https://mof.ge/News/8726
8. სახელწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახური-https://www.geostat.ge/
9. საქართველო საერთაშორისო რეიტინგში http://www.economy.ge/uploads/publications/economy_6079862260fa6b33358960.32473667.pdf
10. საქართველოს საფონდო ბირჟა-https://gse.ge/
11. საქართველოს ეროვნული ბანკი-https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data
12. კორუფციის აღქმის ინდექსი- http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/cpi_2018_geo_.pdf
13. გაცვლითი სავალუტო კურსები-https://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD
14. http://www.economy.ge/uploads/publications/economy_6079862260fa6b33358960.32473667.pdf Investopedia-https://www.investopedia.com/

Directions for Improving the Investment Environment in Georgia

Natia kakhniashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Associate Professor

SUMMARY

Today, direct foreign investments are important for the economic development of Georgia. In the conditions of globalization, many countries are trying to create an appropriate investment environment and be able to attract capital, as it is related to the economic development of the country. We can say that Georgia has implemented important reforms in the country. Since 2003, 50 reforms have been carried out. The reforms are related to stimulation of foreign direct investments and their protection. Georgia has the potential to attract foreign direct investments and in this way will contribute to the stability of the country's national currency. It should be noted that Georgia occupies an important place in the world rankings. As a result of the data analysis, we can conclude that Foreign Direct Investments significantly affects the stability of the country's economy. In the dynamics of the years, the hindering factors affecting the inflow of investments in Georgia are clearly visible. Georgia is attractive for EU countries. It is from these countries that the inflow of investments is recorded. Also, the following factors contribute to the attraction of foreign direct investments: stable political and economic environment, flexible and efficient tax system, free trade regime, geographical location and others. It is significant that, if not for the global pandemic, Georgia would have improved the volume of investments in the following years as well, as the dynamics of foreign direct investments allows. It is important to mention the Association Agreement, which opened a new way for Georgia to attract capital. The geographical situation of Georgia is an important advantage. It is a specific and distinguishing feature of the country.

In order to get more benefits from foreign direct investments, it is necessary to determine the directions that can have a greater impact on the health of the country's economy. It is advisable to finance research for this. Because investment in research and development allows for more knowledge.

საქართველოს აგრორურისტული ბაზრის პოტენციალის შეფასება (კახეთის მაგალითზე)

თამარ ლაზარიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

საქართველოში აგროტურისტულ ბაზარს განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, აგროსასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ სფეროს განვითარებისადმი ინტერესს და მნიშვნელობას.

სტატიაში შესწავლილია აგროტურისტული ბაზრის პოტენციალი კახეთის რეგიონში, გამოვლენილია აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, შესწავლილია ბაზრის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები, შეფასებულია სახელმწიფოს როლი აგროტურიზმის განვითარებაში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ნაჩვენებია აგროტურისტული პროდუქტების წარმოების ზრდის სტიმულირების ბერკეტები. ნარომში შემუშავებელია აგროტურისტული ბაზრის განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები.

ნაშრომში გაკეთებულია დასკვნები აგროტურისტული ბაზრის განვითარების ტენდენციებისა შესახებ, შემოთავაზებულია რეკომენდაციები პოსტპანდემიურ პერიოდში ამ ბაზრის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების გზებზე.

საკვანძო სიტყვები: *აგროტურისტული ბაზარი, ბაზრის განვითარების ტენდენცია, აგროსასურსათო წარმოება, ბაზრის პოტენციალი.*

საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანაა. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია აგრობიზნესის განვითარება. მდიდარი კულტურული თუ აგრარული მემკვიდრეობა, მრავალფეროვანი ტრადიციები და სოფლის ყოფა-ცხოვრება აგროტურიზმის განვითარების შესანიშნავი საფუძველია. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ქვეყანა ხასიათდება კარგი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით, რაც, თავის მხრივ, განსაკუთრებულ გავლენას იქონიებს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით. სასურველია სახელმწიფოს მხრიდან შემუშავდეს შესაბამისი პროექტები, წახალისდეს აგრობიზნესის სფეროს საქმიანობები, შეიქმნას სასაწყობო მეურნეობები. აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს აგროსფეროში არსებულ რისკებს და ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.[1]

ქვეყნის თითოეულ რეგიონს გამოარჩევს საკუთარი, განსაკუთრებული ადათ-წესები და სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოების თავისებურებანი. კახეთის ბუნებრივი მრავალფეროვნება ქმნის აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობას ყველა მუნიციპალიტეტში. ისტორიული ძეგლების ტერიტორიული კონცენტრაცია, მეღვინეობის კერები, ბუნებრივი რესურსები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და გეოგრაფიული მდებარეობა რეგიონში ტურიზმის განვითა-

[1] თ. ლაზარიაშვილი., აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 10-11 ივლისი, 2015

რების უდიდეს პოტენციალს განაპირობებს. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება მომსახურების სფეროს განვითარება, რათა შეიქმნას ტურიზმის განვითარების ფუნდამენტური საფუძველი.

ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აგროტურიზმის განვითარების მიმართულებით კახეთს გააჩნია მთელი რიგი რეგიონალური უპირატესობები. მაგალითად, ისეთი ტრადიციული დარგები, როგორიცაა: მევენახეობა, მეღვინეობა, ტრადიციული კურკოვანი კულტურები და სხვა. თუმცა, პარარელურად, მნიშვნელოვანია ახალი კულტურების განვითარების ხელშეწყობა. საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ კახეთს ღვინის ტურიზმის განვითარების მხრივ საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია, რომლის რეალიზების პირველი ელემენტები უკვე სახეზეა. ამავდროულად, შესაძლებელია ეკოტურისტული ობიექტების განვითარება, როგორც დაცული ტერიტორიების ფარგლებში, ასევე მათ მიღმა. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელება ადგილობრივი მოსახლეობისათვის შექმნის დამატებიით შემოსავლის წყაროს მიღების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, იკვეთება აგროტურიზმის განვითარების მნიშველოვნება როგორც ქვეყნის, ასევე კახეთის რეგიონალურ დონეზე.

აგროტურიზმი და მისი განვითარების შესაძლებლობები კახეთის რეგიონში

მიმდინარე პერიოდში, მსოფლიო ტურიზმის დღის წესრიგში მთავარ საკითხს ტურიზმის გადაზრება წარმოადგენს. კაცობრიობის ისტორიაში ახალ სიმაღლეზე ადის პროგრესისა და განვითარების პროცესი. ბოლო წლებში საქართველოში აგრობიზნესის ზრდის ტენდენციები შედარებით გამოიკვეთა, თუმცა, ზრდის ტემპები დაბალია და საკმარისი არ არის მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის მისაღწევად.[1]

ამ ფონზე, იზრდება გლობალური მოთხოვნა აგროტურიზმზე, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე. ამიტომ, მნიშვნელოვანია ვპახუხობდეთ საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვებს და ხელი შევუწყოთ მოცემული სექტორის განვითარებას, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონალურ დონეზე.

თავდაპირველად, იმისათვის, რომ შეგვექმნას ზოგადი წარმოდგენა, რა საბაზისო მაჩვენებელზე ვიმყოფებით აგროტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, განვიხილოთ ტურისტების საერთო რაოდენობა და მათი ვიზიტის განხორციელების ძირითადი მიზნები (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1.

ტურისტების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი კაცი (საქსტატი)[2]

	დასვენება, გართობა, რეკრეაცია	მეგობრების/ნათესავების მონახულება	მკურნალობა, გაჯანსაღება	შოპინგი	ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	სხვა	**სულ**
2015	137.3	103.1	18.7	41.5	82.9	47.4	7.1	**438.0**
2016	152.2	104.5	17.1	42.2	82.0	45.5	6.0	**449.4**
2017	203.9	120.2	14.6	51.6	97.8	44.3	7.8	**540.2**
2018	256.3	121.9	16.4	41.5	99.1	52.0	13.0	**600.3**
2019	280.0	122.4	11.3	43.6	103.6	69.3	13.5	**643.8**

[1] Kharaishvili E. Challenges for sustainable food security in Georgia, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy, 29 August – 1 September 2017.

[2] საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატის უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევის საველე სამუშაოები დროებით შეჩერებული იყო. შესაბამისად, 2020 წლის II კვარტალიდან 2021 წლის IV კვარტალის ჩათვლით მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, ტურისტების საერთო რაოდენობა 2015-2019 წლის პერიოდისათვის ზრდადია (Covid 19-ის პანდემიამ 2020-2021 წელს ტურიზმის შეფერხება/შეჩერება განაპირობა, ამიტომ მოცემული პერიოდი არ არის განხილული). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე იზრდება საქართველოთი დაინტერესების მაჩვენებელი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ტურისტთა მესამედი ძირითადად შემოდის დასვენება, გართობისა და რეკრეაციის მიზნით. აგროტურიზმის განვითარება კი სწორედ მოცემული სეგმენტის ზრდის დამატებით საშუალებას წარმოადგენს.

ამ ფონზე, საინტერესოა კახეთის რეგიონის კონკურენტული მდგომარეობა სხვა რეგიონებთან მიმართებაში. ამ მიზნით, განვიხილოთ ტურისტების განაწილება რეგიონების მიხედვით (იხ. გრაფიკი 2).

გრაფიკი 2.

ტურისტების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, ათასი კაცი (საქსტატი)[1]

	თბილისი	აჭარა	ა/რ იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	სხვა რეგიონები	**სულ**
2015 წელი	194.1	131.0	11.7	24.3	43.0	33.7	80.4	23.7	**541.9**
2016 წელი	211.9	139.3	20.5	29.5	60.8	43.1	86.8	28.0	**619.7**
2017 წელი	258.2	159.9	28.4	42.0	91.1	60.6	100.3	38.8	**779.3**
2018 წელი	302.0	175.4	28.8	49.5	112.3	47.0	95.8	40.1	**851.0**
2019 წელი	342.0	189.1	30.4	40.8	105.8	41.5	106.2	46.5	**902.3**

როგორც გრაფიკი გვიჩვენებს, ვიზიტები ძირითადად ხორციელდება თბილისში, აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში. მათთან მიმართებით დაბალია კახეთის რეგიონის მაჩვენებელი. იგი შეადგენს 40.8 ათას კაცს. აღნიშნული სტატისტიკური მონაცმიც კი ცხადყოფს, რომ რეგიონის პოტენციალიდან გამომდინარე აუცილებელია ტურიზმის, კერძოდ კი აგროტურიზმის განვითარება. მსოფლიო გამოცდილებით დადასტურებულია, რომ სახელმწიფო უდიდეს როლს ასრულებს აგროტურიზმის განვითარებაში. მაგალითად, სახელმწიფო ღებულობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს აგროტურიზმის, როგორც მომსახურების სფეროს შესახებ, ასევე, სახელმწიფო ახორციელებს აგროტურიზმისათვის ორგანიზაციულ მხარდაჭერას სოციალური სტრუქტურების შექმნის სახით, სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურები ქმნიან აგროტურიზმის სუბიექტთა გაერთიანებებს ამ სექტორისათვის მონაცემთა ბაზის შექმნისა და მართვისათვის, ახდენენ აგროტურიზმის სამართლებლივ, ინფორმაციულ და სარეკლამო უზრუნველყოფას, ახორციელებენ აგროტურიზმის ფინანსურ მხარდაჭერას შეღავათიანი დაკრედიტებისა და დოტაციების სისტემების საშუალებით, ქმნიან ფერმერთა სპეციალური გადასამზადებელ კურსებს ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აგროტურიზმით დაინტერესებული პირებისათვის ცოდნის მისაწოდებლად და სხვა.

საყურადღებოა, რომ მთავრობამ აგროტურიზმის განვითარების შესახებ კანონი ცოტა ხნის წინ შეიმუშავა. იმის გამო, რომ გასული წლების განმავლობაში არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, საქართველოში არ არის განვითარებული აგროტურისტული ბაზარი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციულ ბაზაზე დაყ-

[1] საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატის უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევის საველე სამუშაოები დროებით შეჩერებული იყო. შესაბამისად, 2020 წლის II კვარტალიდან 2021 წლის IV კვარტალის ჩათვლით მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

რდნობით, მხოლოდ 16 ფერმერული მეურნეობა სთავაზობს ტურისტებს ღამის გათენებასა და აგროტურისტულ მომსახურებას. ეს უკანასკნელი მოიცავს: რთველში მონაწილეობას, ჩურჩხელების ამოვლებას, ყველის ამოყვანას, ყურძნის დაწურვას და სხვა. ამასთან, დამატებით 130 საწარმოა დაინტერესებული იმით, რომ მომხმარებლებს შესთავაზონ აგროტურისტული მომსახურება, რაც ბაზრის განვითარების კარგ პერსპექტივას ქმნის. მათი 22 % მდებარეობს იმერეთში, 15 % – რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, 13 % კი გურიაში (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3.

აგროტურიზმით დაინტერესებული საწარმოების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (გალდავა მ., ცინცაბაძე ჯ., მოლაშვილი ნ., 2020)



აგროტურიზმით დაინტერესების მაჩვენებელი შედარებით დაბალია კახეთის რეგიონში, მაგრამ საწყისი ეტაპისათვის 10 საწარმოს დაინტერესებამაც შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი აგროტურიზმის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ აგროტურისტული ობიექტების რაოდენობის ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, ვინაიდან გასული პერიოდის განმავლობაში ოფიციალურად არ იყო განსაზღვრული აგროტურისტული ობიექტი.

ამჟამად, აგროტურიზმის განვითარების მიზნით, ევროპის რეკონსტუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) არიან შემდეგი ადგილობრივი ორგანიზაციების პარტნიორები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას აგროტურიზმის განვითარებისათვის, როგორც ქვეყნის, ასევე კახეთის რეგიონისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის უნიკალური ბუნებრივი პირობები განაპირობებს მის კონკურენტუნარიანობას ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რეგიონში მდებარეობს დაცული ტერიტორიები (ვაშლოვანის, თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურისა და ლაგოდეხის), რომელნიც დამატებით მოიზიდავენ ტურისტებს ეკო და სათავგადასავლო მიმართულებით. ეტაპობრივად ვითარდება აგროტურიზმის პირობებიც, რაც კახეთში უპირველესად ღვინის ტურიზმის მიმართულებას მიიღებს. ამ მიმართულებით განსავითარებლად კახეთს გააჩნია კარგი

სასტარტო პირობები, ვინაიდან ცენტრალურმა მთავრობამაც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა რეგიონის ისტორიული იერსახის აღსადგენად.

აგროტურიზმის განვითარების გამოწვევები

დასაწყისშივე აღვნიშნოთ, რომ აგროტურისტული გარემო სოციო-ეკონომიკური მოთხოვნილებების რთული კომპლექსია. აგროსაწარმოო ძალების ზრდა და ბუნებრივ გარემოზე მოქმედი ტურისტულ-რეკრეაციული ზეგავლენა წარმოშობს როგორც დადებით, ასევე უარყოფით ცვლილებებს.

2002 წელს საქართველოში იმყოფებოდა ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მუშაობდა ანგარიშზე ქართული ურბანული კულტურისა და ტურიზმის პოლიტიკის შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებში მწვავედ წარმოჩნდა მთიანი და მაღალმთიანი ტერიტორიების, ლანდშაფტური მიწათსარგებლობის მიზნობრივი დანიშნულების, ეკოკულტურისა და აგროტურისტული მეურნეობების პოლიტიკის არასწორი მართვის პრობლემა. მოცემული საკითხი ამ დრომდე წარმოადგენს გამოწვევას და გარკვეულწილად, აფერხებს აგროტურიზმის განვითარებას.

გამოწვევათა რიგს, ასევე, მიეკუთვნება მაღალი ხარისხის საგზაო რუკის, მრავალფეროვანი პროდუქტებისა და სერვისების განვითარება ქვეყანაში, რაც ადგილობრივ აგროტურიზმს უფრო მიმზიდველსა და კონკურენტუნარიანს გახდის, ხოლო მის გამოცდილებებს – დასამახსოვრებელს.

აგროტურიზმის განვითარების პროცესი ავტომატურად მოიაზრებს მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას. უდაოა, მისი ეკონომიკური მნიშვნელობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოცემულ სექტორში ფინანსური ინვესტიციების განხორციელება. აღნიშნულიც შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც გამოწვევა, ვინადიან ქვეყნას არ გააჩნია სტაბილური საინვესტიციო გარემო, სადაც უცხოელი ინვესტორები მასშტაბური სახის პროექტებს განახორციელებენ.

ამ და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების აღმოფხვრა ან მაქსიმალური შეზღუდვა სამომავლოდ ხელს შეუწყობს როგორც საქართველოს, ასევე კახეთის რეგიონის აგროტურიზმის სექტორის განვითარებას. აღნიშნული კი, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება ქვეყნის საერთო ეკონომიკურ სურათზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

გლობალური მასშტაბით აგროტურიზმის მიმართ ინტერესი მუდმივად იზრდება, რასაც მოწმობს ევროპის ტურისტული ბაზრის შესწავლა. მისი საერთაშორისო ხასიათი სულ უფრო ფართოვდება, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ სოფლები თავისი უნიკალური თვისებებით, სტუმარმასპინძლობითა და წეს-ჩვეულებებით ადგილს დაიმკვიდრებენ მსოფლიო აგროტურისტულ ბაზარზე. ამასთან საქართველოსთვის ამ მიმართულებით განვითარება პრიორიტეტულია, რადგან ტურიზმის ამ სახეობის სისტემაში მოქცევა მსგავსი განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსათვის იოლია და შედარებით ნაკლებ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

აგროტურიზმის განვითარება კახეთის რეგიონში, მრავალი მიზნობრივი ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვს, რამაც საბოლოო ჯამში უნდა შექმნას აგროტურიზმის ერთიანი, ცენტრალიზირებული სისტემა და სამსახური, რომლის წარმატებული რეალიზაციაც აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პოტენციალს. მიზანშეწონილია ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული დარგების მდგრადი განვითარებისათვის რეგულირება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწი-

ნებით წარიმართოს, განსაკუთრებით საგადასახადო თვალსაზრისით. უპირველესად მხედველობაში გვაქვს გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვა ეკოგადასახადების საშუალებით. აღნიშნულ გადასახადებს არაერთი სახელმწიფო იყენებს, შედეგად კი ახალისებს ინოვაციურობას.

ეკო-გადასახადების (eco-taxes) გამოყენების შემთხვევაში ეკონომიკური აგენტები ცდილობენ ახალ და უფრო ეკოლოგიურად სუფთა მეთოდების დანერგვას. კონკრეტულად კი გადასახადები მიზანმიმართულია ეკო-ინვესტიციების წახალისებისაკენ და ხელს უწყობს ენერგიისა და წყლის ეფექტიან გამოყენებას, მავნე ზეგავლენის შემცირებას და სხვა[1].

აგროტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია შემდეგი სახის რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ✓ აგროტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადება;
- ✓ აგროტურიზმის მიმართულებით ინვესტიციების განხორციელება;
- ✓ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების ფართო ქსელის შექმნა;
- ✓ ტურიზმის უსაფრთხოების დაცვა, მოწესრიგებული საბანკო და სადაზღვევო სისტემის შექმნა;
- ✓ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება;
- ✓ აგროტურიზმის მიმართულებით აქტიური არასამთავრობო სექტორი და სხვა.

ამ და სხვა რეკომენდაციების გათვალიწინება ხელს შეუწყობს აგროტურიზმის სამომავლოდ განვითარებას.

ლიტერატურა:

1. გალდავა მ., ცინცაბაძე ჯ., მოლაშვილი ნ. (2020), *„აგროტურიზმი საქართველოში“* – https://iset-pi.ge/ka/blog/82-agroturizmi-sakartveloshi;
2. კახეთის რეგიონების განვითარების სტრატეგია 2014-2021 – https://www.gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%931.pdf;
3. ლაზარიაშვილი თ. (2015), *აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები საქართველოში.* საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი;
4. მაზიაშვილი ნ. (2016), „საქართველოს აგროტურისტული პერსპექტივები და საერთაშორისო ტურისტული ბაზრის მოთხოვნები“;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა* - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika;
6. ტურიზმის რეგულირება (2017), გვ. 26. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf
7. ხარატიშვილი ლ. (2020), *„საქართველოს აგროტურისტული ბაზრის პოტენციალის შეფასება და ანალიზი“* – https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/29136;
8. FAO in Georgia (2021), Article *‘Georgia eyes becoming a sustainable agritourism destination’.* Article retrieved from – https://www.fao.org/georgia/news/detail-events/en/c/1460929/;

[1] ტურიზმის რეგულირება (2017), გვ. 26. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf

9. Kharaishvili E. (2017), *Challenges for sustainable food security in Georgia*, XV EAAE Congress in Parma: Towards Sustainable Agri-Food Systems: Balancing between Markets and Society, Parma, Italy;
10. Kharaishvili E., Lazariashvili T., Natsvlishvili I. (2019), *Agro Tourism for Economic Development of Related Sectors and Sustainable Well-being (Case of Georgia*). BORDERS WITHOUT BORDERS: Systemic frameworks and their applications for sustainable well-being in the global era. 6th Business Systems Laboratory International Symposium. UNIVERSITÀ DEGLI STUDI DI PAVIA– pp. 200-202.

Assessment of the Potential of the Agro-tourism Market in Georgia (on the example of Kakheti)

Tamar Lazariashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor

SUMMARY

The agro-tourism market in Georgia has significant development potential. The trend of increasing consumption of agro-food products by the population makes the interest and importance of the development of this area even more relevant.

The article examines the potential of the agro-tourism market in the Kakheti region, identifies the opportunities for the development of agro-tourism, examines the factors hindering the development of the market, evaluates the role of the state in the development of agro-tourism, using appropriate methods, shows the levers for stimulating the growth of agro-tourism products. The work develops economic, legal and organizational mechanisms for the development of the agro-tourism market.

The article draws conclusions about the trends in the development of the agro-tourism market, offers recommendations on ways to effectively use the potential opportunities of this market in the post-pandemic period.

Keywords: agrotourism market, market development trend, agro-food production, market potential.

უმუშევრობა ახალგაზრდებში და
პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა

მანანა ლობქანიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

უმუშევრობა ახალგაზრდებში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული. ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვლათს, რისი მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

ახალგაზრდები მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევრობა, ახალგაზრდები, სასწავლო მიგრაცია, განათლება.*

ნებისმიერი ერის წარმატებული მომავალი, დამოკიდებულია განათლების სისტემის სწორ მოწყობასა და ფუნქციონირების მაღალ ხარისხზე. იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა ეფექტიანია, შესაბამისად ჯანსაღია სახელმწიფოს ყველა წამყვანი ინსტიტუტი.

სახელმწიფოს კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე განათლებულ ადამიანებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

განათლება და საგანმანათლებლო თანამშრომლობა გადამწყვეტი ფაქტორია სტაბილური, მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

ბოლონიის პროცესი და მისი შედეგი, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, უმაღლეს განათლებაში რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის უპრეცენდენტო მაგალითია.

საქართველოში განათლების მიღების სურვილი, განსაკუთრებით ki უმაღლესი განათლების, ტრადიციულად მაღალია და რიგ შემთხვევაში რაციონალურობის საზღვრებსაც სცილდება. თუმცა, ამ პროცესს საფუძვლად სრულიად ობიექტური გარემოება უდევს. საქართველოში საზოგადოება კვლავ სოციალურ სტატუსზეა ორიენტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სტატუსი არსებითად განსაზღვრავს პიროვნებისადმი დამოკიდებულებას, პიროვნებისა და ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას.

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, უმუშევრობა ახალგაზრდებში მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ცხოვრების დონის დაქვეითებასთან ერთად უფასურდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც სახელმწიფოს ან ოჯახის მიერ არის ინვესტირებული. ახალგაზრდა ადამიანი მორალურად ტრავმირებულია, საზოგადოება კი კარგავს იმ ეკონომიკურ დოვ-

ლათს, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა მათი შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით.

ახალგაზრდები მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდები დამოუკიდებლები არიან და შეიცვალა პრიორიტეტები გადაწყვეტილებების მიღებაშიც. ოჯახური ტრადიცია ნაკლებად განმსაზღვრელი გახდა და ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კარიერის შექმნის პერსპექტივას და შრომის მაღალ ანაზღაურებას.

ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია, მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესი. ვინაიდან საშუალო (20-24 წელი) და უფროსი (25-29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის.

ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის შედარებით დაბალი დონე იმითაც არის განპირობებული, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლითაა დაკავებული. არასწორი პროფესიული ორიენტაცია, რაც გამოიხატება ძირითადად უმაღლესი განათლების მიღებაში, მნიშვნელოვნად ართულებს მათ დასაქმებას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შრომის ბაზარზე მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები გამოდიან.

ახალგაზრდების უმუშევრობის ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირში განხილვა, განათლებისა და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

შრომის ბაზრის მკვლევარები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რეფორმები განათლების სფეროში.

სწორედ განათლების რეფორმის შედეგია სახელმწიფო პოლიტიკის გააქტიურება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა: პროფესიული სწავლების პოპულარიზაცია და უმაღლესი პროფესიული პროგრამების განხორციელება.

პროფესიული განათლების რეფორმის მიზანია: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გავლენას იქონიებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, თავსებადი იქნება საერთო ევროპულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან და ხელს შეუწყობს პიროვნების თვითრეალიზაციას. პროფესიული ორიენტაციის არქონის გამო ახალგაზრდები ძირითადად უმაღლეს განათლებას იღებენ.

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების მიხედვით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელების უფლება 29 362 აბიტურიენტმა მოიპოვა[1].

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, 2022 წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრირებული აბიტურიენტებისრ 76% უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. აბიტურიენტთა პირველი არჩევნის მიხედვით, სხვა წლების მსგავსად, სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია და ჯანდაცვის მიმართულება ლიდერობს. წელს გამოიკვეთა განსხვავებული ტენდენციაც. მოთხოვნად მიმართულებებს შორის ასევე შეიძლება აღინიშნოს გრაფიკული დიზაინი, საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება, ვეტერინარია, კომპიუტერული მეცნიერებები.

[1] naec.ge

პროფორიენტაციული სამუშაოების ჩატარება სტუდენტებთან, სამეცნიერო სამუშაოების კოორდინაცია შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით, ინფორმირებულობა შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რეკომენდაციების შემუშავება და სასწავლო პროგრამებში კორექტივების შეტანა და სპეციალისტებზე მოთხოვნის ცვლილებების გათვალისწინებით.

როგორც ახალგაზრდები, ასევე დამსაქმებლები ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი კომპეტენციები: ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ პირობებში ადაპტაციის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე, რომელთა კავშირი ტრადიციულ აკადემიურ განათლებასთან აუცილებელია.

ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი გამოცდილების უქონლობის, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნოებას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს დანაშაულებების ზრდას, ოჯახების რღვევას და სხვა ნეგატიურ შედეგებს, რომ არაფერი ითქვას მთლიანი სამამულო პროდუქტის იმ დანაკარგებზე, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა ახალგაზრდების დასაქმების პირობებში.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან სწორედ ახალგაზრდობაა საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი, რომელიც მძაფრად რეაგირებს სოციალურ უსამართლობაზე და ერთვება კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში.

ახალგაზრდები ქვეყნის შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსია. ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში შესამჩნევად ცვლის არა მხოლოდ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, არამედ შრომითი პოტენციალის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას.

ახალგაზრდების უმუშევრობის შესწავლისას, აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირით განხილვა, განათლების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

ახალგაზრდების უმუშევრობა უმწვავესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოში მკვეთრი დისბალანსია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას შორის. პრობლემის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, განათლების სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი რეფორმების გატარებას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILO) 2017 წელს მიიღო დასაქმების სტატისტიკის აღრიცხვის განახლებული მეთოდოლოგია, რომელიც თვითდასაქმებულებს ავტომატურად დასაქმებულებად აღარ აღრიცხავს. არაერთი ქვეყანა უკვე გადავიდა მის წარმოებაზე, 2020 წელს კი მას საქართველოც შეუერთდა. 2020 წლის პირველი და მეორე კვარტლების მაჩვენებლების დათვლა ერთდროულად ძველი და ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით მოხდა, მესამე კვარტლის უმუშევრობის მაჩვენებელი კი უწყებამ მხოლოდ ახალი მეთოდოლოგიით დაითვალა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ახალგაზრდებში უმუშევრობი მაჩვენებელი მკვეთრად გაიზარდა.



წყარო: მომზადებულია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

დასკვნები და რეკომენდაციები:

ახალგაზრდების უმუშევრობაზე ობიექტურთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორები:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური);
- არასაკმარისი საგანმანათლებლო მომზადება;
- არასაკმარისი გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);
- სუსტი პროფესიული ორიენტაცია;
- არასაკმარისი შრომითი ჩვევები;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა პროფესიული შრომისათვის;
- მაღალი მოთხოვნა და მოლოდინი მომავალი სამუშაოსადმი;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სამუშაო ადგილის დასაკავებლად კონკურენტული ბრძოლისათვის;
- ეკონომიკური სტიმულის უქონლობა.

უმუშევრობის მაღალი დონე ახალგაზრდებში, გამოწვეულია შრომის ბაზარზე დამკვიდრების სირთულით და ნახევარ განაკვეთზე დასაქმების შესაძლებლობის არ ქონა, ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია სწავლასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობის. ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული სამსახურები დაბალანაზღაურებადია და არადამაკმაყოფილებელი პირობებით გამოირჩევა, რაც ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ახალგაზრდების დასაქმებისათვის.

რახალგაზრდებში უმუშევრობის დონის სწრაფი ზრდა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ უმეტეს შემთხვევაში ახალგაზრდებს არა აქვთ გამოცდილება, რაც მათ შედარებით დაუცველს ხდის. ამასთან, ახალგაზრდები, ხშირად იცვლიან სამუშაო ადგილებს. რაც, დამატებითი მიზეზია მათი უმუშევრობის შედარებით მაღალი დონის.

ლიტერატურა:

1. E. Kharaishvili, M. Chavleishvili, M. Lobzhanidze, N. Damenia, N. Sagareishvili. Problems of Youth Employment in Agricultural Sector of Georgia and Causes of Migration. World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:11, No:10, 2017.
2. Tukhashvili M., Labor Potential of Georgia, Tbilisi, TSU Publishing, 1998.
3. Lobzhanidze M., Youth Employment Problems and Economic Sustainability Problems in Georgia, proceedings of the international scientific an practical conference Innovative Economy and the problems of its Formation in Post-communist Countries, p. 279.
4. Tukhashvili Mirian, Tsartsidze Murman, Latsabidze Natela, Lobzhanidze Manana, Shelia Mzia European Journal of Humanities and Social Sciences Scientific journal, No 3 2018, ISSN 2414-2344 https://ppublishing.org/upload/iblock/239/EJH-3_2018.pdf
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.

Youth Unemployment and Importance of Professional Orientation

Manana Lobzhanidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

Unemployment among young people is an acute socio-economic problem. As the standard of living decreases, the human capital invested by the state or the family depreciates. A young person is morally traumatized, and society loses the economic wealth that could be obtained by effective use of their labor potential.

Young people are distinguished from other socio-demographic groups of the population by their health, level of education, professional training, mobility, high demands placed on work, etc. All this determines their behavior in the labor market.

Keywords: unemployment, youth, educational migration, education.

კრიპტოვალუტა ბიტკოინის ეკოსისტემის არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები

მურთაზ მაღრაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ემერიტუსი
დემურ სიჭინავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

სტატიაში განხილულია ბიტკოინის აღმოცენების ისტორია, მოპოვებისა და გამომუშავების ხერხები. განმარტებულია ტერმინი ბიტკოინის ეკოსისტემა. მოცემულია მიზეზები, რამაც გამოიწვია ფიატნური ვალუტის კრიპტოვალუტით შეცვლის აუცილებლობა. შესწავლილია მსოფლიოში ეროვნული კრიპტოვალუტების შემუშავების არსებული მდგომარეობა. მოცემულია სხვადასხვა ქვეყნებში ბიტკოინ-ბანკომატების გავრცელების სტატისტიკა. განხილულია კრიპტოვალუტის შენახვისა და მიმოქცევისთვის საჭირო კრიპტოსაფულეების შექმნის აუცილებლობა და მათი ნაირსახეობები. განხილულია კრიპტოვალუტის ბაზარზე გამოჩენილი ახალი კრიპტოვალუტები. სტატიაში მოყვანილია ინფორმაცია მსოფლიოში კრიპტოვალუტის რეგულირების შესახებ. ჩამოთვლილია ქვეყნები სადაც კრიპტოვალუტის გამოყენება რეგულირდება სრულად, კრიპტოვალუტის გამოყენება აკრძალულია და ქვეყნები სადაც მისი გამოყენება არც აკრძალულია და არც ნებადართული. გაკეთებულია დასკვნები და რეკომენდაციები კრიპტოვალუტის ეკოსისტემის არეალის გაფართოებისა და სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ბიტკოინის ეკოსისტემა; ბიტკოინის საფულე; ბიტკოინის ბირჟები; ბიტკოინის მოპოვება; ეროვნული კრიპტოვალუტები; კრიპტოვალუტის რეგულირება.*

სტატიის მიზანია კრიპტოვალუტის ეკოსისტემის არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, კრიპტოვალუტის გამოყენების დადებითი მხარეების გამოვლენა, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ფიატნური ფულის ნაკლოვანებების აღმოფხვრა, ეკონომიკის გაციფრულების მოთხოვნების რეალიზაცია და სხვ. აღნიშნული კვლევის მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელია მსოფლიო მასშტაბით შესწავლილ იქნეს კრიპტოვალუტის მიმოქცევისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები, ბირჟები და კრიპტოვალუტის რეგულირების არსებული მდგომარეობის ანალიზი.

კრიპტოვალუტის პრობლემებზე მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მკვლევარების მიერ (ვ. პაპავა, დ. სიჭინავა, მ. მაღრაძე გ. ტომარაძე, ნ. ჭყოიძე ე. ლეკაშვილი, ლ. მამალაძე და სხვ.). თუმცა პრობლემა კვლევის პროცესშია, კვლავაც აქტუალურია და საჭიროებს უფრო ღრმა შესწავლას.

ზოგირთი ენციკლოპედიური ლექსიკონის მიხედვით განმარტების თანახმად ტერმინი „კრიპტოვალუტის ეკოსისტემა“ განმარტებულია ტერმინის „ბიოლოგიური ეკოსისტემა“ ანალოგიით, თუმცა ეს ორი სისტემა პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგნ. ერთ-ერთი ასეთი განსხვავება ისაა, რომ თუ ბიოლოგიური სისტემის გარემო შემოსაზღვრულია კრიპტოვალუტის ეკოსისტემას არ გააჩნია შემოსაზღვრული გარემო. (Научно-Технический Энциклопедический Словарь). ბიტკოინის ეკოსისტემის გარემო მისი ფუნქციონირების არეალია, რომელიც მოიცავს

მის მოპოვებას, გამომუშავებას, ყიდვა-გაყიდვას, გადაცვლას, შენახვას და ამ პროცესებში ადამიანისეული რესურსების, ტექნიკური საშუალებებისა და ტექნოლოგიების ერთობლობას.

ბიტკოინის ეკოსისტემა შეიძლება განვიხილოთ მაკრო და მიკრო დონეზე. მაგალითად, ბიტკოინის მაკროეკოსისტემად შეიძლება ჩავთალოთ მთელი მსოფლიო, მიკროსისტემად კი ნებისმიერი სახელმწიფო, დარგი, ადამიანთა ჯგუფი და პიროვნება. ბიტკოინის ეკოსისტემა განიცდის ცვლილებას, რომელიც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: არსებული ფინანსური ურთიერთობები, ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია, ბიტკოინის პოპულარიზაცია, ბიტკოინის ეკოსისტემასთან დაკავშირებული პროცესების სრულყოფის აუცილებლობა და სხვ.

კრიპტოვალუტის ეკოსისტემის გაფართოებისათვის აუცილებელი და გადაუდებელი სამუშაოა ციფრული ფულისა და ბლოკჩეინტექნოლოგიის გამოყენების დადებითი მხარეების ადამიანთა ფართო მასებამდე დაყვანა, რათა გაიზარდოს მათი ნდობა ვირტუალური ვალუტისადმი.

სახელმწიფოს მხრიდან კრიპტოვალუტის აღიარება საყოველთაო საგადამხდელო საშუალებად (სიჭინავა, მაღრაძე, 2019), ხელს შეუწყობს არსებული ეროვნული ეკონომიკის ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარებას, ფიატნური ვალუტის გამოშვებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ხარჯების მნიშვნელოვნად შემცირებას. გარდა აღნიშნულისა, ვირტუალური ვალუტის შემოღება დააჩქარებს საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ბლოკჩეინტექნოლოგიის დანერგვის პროცესს, ახალი ინვესტიციების მოზიდვას, მეწარმეობის განვითარებას, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ახალი სამუშაო ადგილების აღმოცენებას, სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ვალუტების გადაცვლის დროის შემცირებას და მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის იმიჯის მნიშვნელოვან გაზრდას.

ბიტკოინი – ელექტრონული ფულის სახეობა

დღეისათვის კრიპტოვალუტის ბაზარზე, გარდა ბიტკოინისა, მიმოიქცევა 6000-ზე მეტი სახეობის კრიპტოვალუტა-ალტკოინი (ბიტკოინის გარდა ყველა სხვა კრიპტოვალუტას ალტკოინს უწოდებენ). თუმცა მათი უდიდესი ნაწილი არაა ფართოდ აღიარებული. ალტკოინები შეიქმნა იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც გამოვლინდნენ ბიტკოინის მიმოქცევის პროცესში. ასევე, როგორც ბიტკოინის ალტერნატივა და, ზოგიც კიდევ, კონკრეტულად ბლოკჩეინის ტექნოლოგიაზე დაფუძნებული რომელიმე სფეროში გამოსაყენებლად. მაგალითად, „დოგიკონი“ არის ალტკოინი, რომელიც გამოიყენება სპორტში, კულტურაში და ა.შ. სხვადასხვა ფონდების ორგანიზაციისთვის. დღითიდღე ფართოვდება კრიპტოვალუტის გამოყენების არეალი. მისი გამოყენება დაიწყეს ასევე საქონლისა და მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

კრიპტოვალუტით ვაჭრობის საერთო მოცულობაში ბიტკოინის წილად 2018 წელს მოდიოდა 50% (Петров, 2019).

2022 წლის დასაწყისისათვის ბიტკოინის ფასი აგრძელებდა ვარდნას და კაპიტალიზაციამ აღნიშნულ სფეროში შეადგინა 2 ტრილიონი აშშ დოლარი (Новые минимумы: как для криптовалют начался, 2022).

ბიტკოინის მომხმარებლებს აინტერესებთ, როდის დადგება ბიტკონის ბოლო მონეტის ემისიის თარიღი და იარსებებს თუ არა ამ თარიღის დადგომამდე ბიტკოინი? აღნიშნულ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. დასმული კითხვის პირველ ნაწილზე მკვლევართა შეხედულება თითქმის ერთგაროვანია. ბოლო ბლოკი, რომელიც მოახდენს ბიტკოინის მონეტების გენერაციას, იქნება ბლოკი ნომრით 6229999, რომლის მაინინგი მოხდება 2140 წელს (Майнинг не умрет долгие годы. Что будет после добычи всех биткоинов, 2021) და ამ დროისთვის მოპოვებული ბიტკოინის

მონეტების რაოდენობა სავარაუდოდ მიაღწევს – 20 999 999 9769 მონეტას (Количество Биткоинов на данный момент – сколько осталось добыть?, 2017).

კითხვის მეორე ნაწილზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალიწინოთ შემდეგი გარემოებები: ბიტკოინების მოპოვების სირთულის გაზრდა (იგულისხმება პროგრამული მხარე), მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, ტექნოლოგიის განვითარება და სხვ. თუ მომავალში ევროკავშირში შემავალი ქვეყნები მოილაპარაკებენ ბიტკოინის აკრძალვის შესახებ, ხოლო აშშ მკვეთრად შეამცირებს ბიტკოინის მიმოქცევას, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიწვევს ბიტკოინის ფასის დაცემას. შესაბამისად, ბიტკოინის ბაზრის მონაწილეთა ინტერესის დაკარგვასაც ბიტკოინისადმი. აღნიშნულის გამო შესაძლებელია ბიტკოინის საბოლოო ემისიის დრო გაიწელოს და არ დასრულდეს 2140 წელს. ან კიდევ შესაძლებელია დარჩენილი 118 წლის განმავლობაში გამოჩნდეს უკეთესი კრიპტოვალუტები ან მნიშვნელოვანად შეიცვალოს მისი მოპოვების ტექნოლოგია. ამით ბიტკოინის ემისიის საბოლო დრო შეიძლება კიდევ უფრო გახანგრძლივდეს.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბიტკოინის ემისიის დასრულების დროის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებლია.

ბიტკოინის ეკოსისტემაში მისი მოპოვებისა და გამომუშავების ხერხები

ბიტკოინის ეკოსისტემაში ცნობილია კრიპტოვალუტის მოპოვების (მაინინგის) (სიჭინავა, მაღრაძე, 2018) ორი ხერხი: საკუთარი (სოლო) აპარატურული მაინინგი და ღრუბლოვანი მაინინგი.

პირველ შემთხვევაში, კრიპტოვალუტის მოპოვება ხდება საკუთარი აპარატურული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო მეორე შემთხვევაში, სხვისი აპარატურული საშუალებების დაქირავებით.

ბლოკების მოპოვებისთვის მაინერები ჯილდოს სახით ღებულობენ გარკვეული რაოდენობის ბიტკოინის მონეტას (ჯილდოს რაოდენობა ყოველ ოთხ წელიწადში ნახევრდება. მაგალითად, 2009 წელს ერთი ბლოკის მოპოვებისთვის ჯილდო იყო 50 ბიტკოინი, 2013 წლისთვის 25 ბიტკოინი, 2017 წლისთვის 12,5 ბიტკოინი. დღეისთვის ის 6,25 ბიტკოინის ტოლია და ა.შ. ბიტკოინების ემისია დასრულდება 2140 წელს, ხოლო 2140 წლის შემდეგ მოხდება ბიტკოინების მხოლოდ მიმოქცევა და მათი ტრანზაქციისათვის საკომისიო გადასახადის გადახდა. თუმცა ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი ეპარება ამ რიცხვის სიზუსტეში, რამდენადაც ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს ამ რიცხვის ცვლილება.

კრიპტოვალუტის მოპოვების თითოეულ ხერხს გააჩია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარები.

საკუთარ კომპიუტერზე ბიტკოინის მოპოვების დადებითი მხარეა ის, რომ გამოყენებული ვიდეობარათების ხელმეორედ გამოყენება შეიძლება ნებისმიერი კრიპტოვალუტის მოსაპოვებლად, შესაძლებელია მოწყობილობის დისკონტით გაყიდვა და სხვ. უარყოფითი მხარე კი ისაა, რომ მეტია მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლის ალბათობა, დიდია მოწყობილობის მუშაობასთან დაკავშირებული ხმაური, მაღალია ელექტროენერგიის მოხმარების სიდიდე (ბიტკოინის ღირებულების 90% ელექტრენერგიის ხარჯია) და სხვ.

კრიპტოვალუტის მაინინგისთვის დღეისთვის შექმნილია ბევრად უფრო სრულყოფილი მოწყობილობა, სახელწოდებით ASIC (Aplication Specific Integradet Circuit) სპეციალური დანიშნულების ინტეგრალური სქემა). აღნიშნული მოწყობილობა შეიქმნა ჩინეთში 2016 წელს. იგი წარმოადგენს ბიტკოინის მაინინგის სპეციალურ მოწყობილობას.

2022 წლის საუკეთესო მაინერებია: Bitmain Antminer Pro + Hyd, Bitmain Antminer E9, Bitmain Antminer S19 95Th, MicroBT Whatsminer M30S+, Bitmain Antminer Z15 (лучшие майнеры на 2022 год, 2022) და სხვ.

მაინინგის მეორე ხერხი გულისხმობს ბიტკოინის მოპოვებას ღრუბლოვანი ტექნოლოგიით. ღრუბლოვანი მაინინგი არის ციფრული ფულის გამოშვების ახალი მოდელი, რომელსაც იყენებენ ჯგუფები (პულები) დიდი შემოსავლების მიღების მიზნით. კრიპტოვალუტის მაინინგი ხდება მეიჯარის მოწყობილობებზე, საკუთარი მოწყობილობების გამოყენების გარეშე.

ღრუბლოვანი მაინინგის დადებითი მხარეა ის, რომ ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას წყვეტს მეიჯარე. იგი წარმოადგენს ბიტკოინებისა და ალტკოინების გამარტივებულ მაინინგს, რომელიც ათავისუფლებს მაინერებს ელექტროენერგიის დანახარჯებისგან და საკუთარ მოწყობილობებზე პროგამული უზრუნველყოფის დაყენებისაგან.

ღრუბლოვანი მაინინგის უარყოფითი მხარეა ის, რომ შეიძლება შემოგვთავაზონ არარსებული სიმძლავრეები, გართულებულია გამომუშავებული საშუალებების კონტროლი, შეუძლებელია ერთი სახის ვალუტიდან მეორეზე გადასვლა და სხვ.

კრიპტოვალუტის ეკოსისტემაში ერთიმეორისაგან უნდა განვასხვავოთ ორი ტერმინის (მოპოვება და გამომუშავება) მნიშვნელობა. კრიპტოვლუტის ეკოსისტემაში მოპოვება გულისხმობს ახალი ვირტალური მონეტის მაინინგს. ხოლო გამომუშავების დროს ხდება არსებული ვირტუალური მონეტების გადაცემა ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირისგან მეორესადმი, ვაჭრობის ან კრანის (Что такое краны криптовалют: лучшие краны и как они работают?) გზით. კრიპტოვალუტის კრანი – არის საიტი, რომელიც მის მნახველს (სტუმარს) აძლევს ფულს განსაზღვრული დავალებების: სარეკლამო გვერდზე შესვლა, ვიდეოს დათვალიერება, კაპჩის (კაპჩა – არის ავტომატურად გენერირებული ტესტი, რომელიც ამოწმებს, ადამიანია თუ კომპიუტერი მომხმარებელი) შესრულებისთვის. ხშირად აღნიშნულ ტერმინებს თანაბარი მნიშვნელობით ხმარობენ, რაც არასწორია.

მრავალ ადამიანს აქვს სურვილი გამოიმუშავოს კრიპტოვალუტა კაპიტალდაბანდების გარეშე. რისი განხორციელებაც შესაძლებელია ორი მეთოდით: ბირჟაზე კრიპტოვალუტით ვაჭრობის გზით (მომხმარებელი კრიპტოვალუტას გამოიმუშავებს კრიპტოვალუტის ბირჟაზე ვაჭრობით, კურსის ცვლილების საფუძველზე) და ეგრეთწოდებული კრიპტოვალუტის კრანების მეშვეობით.

ბიტკოინის ეკოსისტემის საფულეები, ბირჟები და ეროვნული კრიპტოვალუტები

მარკეტში ან ბაზარში პროდუქტებით ვაჭრობა, ინტერნეტში მუშაობა, ტრანსპორტით სარგებლობა და ა.შ. საჭიროებს დღეისთვის არსებული სხვადასხვა სახის საფულეებიდან ერთ-ერთის გამოყენებას. ციფრული ეკონომიკის პირობებში ვირტუალური ვალუტის გამოყენება შეუძლებელია ელექტრონული საფულეს გარეშე. ამისათვის საჭიროა ელექტრონული საფულის გახსნა, რომელიც წარმოადგენს კომპიუტერულ პროგრამას და იძლევა ინტერნეტით (Online) ან ინტერნეტის გარეშე ოფლაინ (Offline) ანგარიშსწორების განხორციელების საშუალებას (Термин: Онлайн-офлайн). იგი წარმოადგენს საბანკო ანგარიშის ანალოგს, რომელიც არ ექვემდებარება ბანკის მხრიდან კონტროლს, ასრულებს ტრადიციული საფულეს ყველა ფუნქციას და დამატებით გააჩნია ციფრული ვალუტის უნიკალური თვისებები.

ბიტკოინის ეკოსისტემის მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს კრიპტვალუტის ბირჟები, რომელთა რაოდენობა სწრაფად იზრდება. დღეისთვის მსოფლიოში რამდენიმე ასეული კრიპტო-

ბირჟა ფუნქციონირებს. მათ შორის ყველაზე საუკეთესოა: **Capital**, **OKX, eToro, Binance, Bitinex, Bithumb, Cex.io, Kraken, Poloniex.** (Панычев, 2022).

კრიპტობირჟები იმით განსხვავდებიან ჩვეულებრივი ბირჟებისაგან, რომ მათი მართვა დეცენტრალიზებულია. ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება მათი რეგულირება. კრიპტოვალუტის ბირჟებისთვის დამახასიათებელია: დეცენტრალიზებული მართვა, მაღალი ვალანტილობა, განსაზღვრული სტატუსის უქონლობა და სხვ.

2021 წლის 13 მარტის 2 საათზე და 54 წუთზე ბიტკოინის კაპიტალიზაციამ გადააჭარბა ერთ ტრილიონ დოლარს. ამ მომენტისთვის კრიპტობირჟა Coindesk-ის მონაცემებით ერთი ბიტკოინის ფასი გახდა 56 658 აშშ დოლარი, ხოლო ამავე წლის 13 მარტს 18 საათზე და 25 წუთზე ერთი ბიტკოინის ფასმა მიაღწია რეკორდულს – 60 000 აშშ დოლარს (Капитализация Bitcoin превысила триллион долларов, 2021).

დღეისათვის, კერძოდ, 2022 წლის 25 სექტემბერის მონაცემებით ერთი ბიტკოინის საბაზრო ღირებულებამ დაიწია 19134,71 ამერიკულ დოლარამდე (1 биткоин (BTC) в долларах США (USD) на сегодня, 2022).

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღე-ღამის განმავლობაში ბიტკოინის კურსი შეიძლება რამდენიმეჯერ შეიცვალოს, რაც მაღალი რისკის ქვეშ აყენებს ტრეიდერებს (მოვაჭრეებს).

კრიპტოვალუტის პოპულარობამ მსოფლიოში ისეთ დონეს მიღწია, რომ მრავალი ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა გამოუშვას საკუთარი კრიპტოვალუტა, რათა აიცილოს ფიატნური ფულის დამზადებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული დიდი ხარჯები, სხვა სახელმწიფოს ზემოქმედების შესაძლებლობა ფულად აქტივებზე (მათი „გაყინვა“ საზღვარგარეთის ქვეყნებში და ეკონომიკაში წარმოქმნილი პრობლემები). მრავალი სპეციალისტის აზრით, ეროვნული კრიპტოვალუტა ბევრ ქვეყანაში შეიძლება აღიარებულ იქნას საგადამხდელო საშუალებად, რაზედაც მიუთითებს სხვადასხვა ქვეყნებში ონლაინ-მაღაზიებში და სერვისების გადასახდელად კრიპტოვალუტის გამოყენება. დღეისათვის შექმნილია ეროვნული კრიპტოვალუტების შემდეგი სახეობები: ქართული კრიპტოვალუტა – „ოქროს საწმისი“, ბელორუსული კრიპტოვალუტა „ტალერი“, ისლანდიის კრპტოვალუტა – Auroracoin (AUR), ვენესუელას კრიპტოვალუტა – El Perto, იაპონიის კრიპტოვალუტა – I-Coin და სხვ.

მიუხედავად ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონიძიებებისა, შეაჩერონ ან აკრძლონ კრიპტოვალუტის მიმოქცევა, ადამიანები მაინც განაგრძობენ მათ გამოყენებას: მოიპოვებენ, ვაჭრობენ, ინახავენ და სხვ.

ვირტუალური ვალუტის მფლობელთა სერვისის გაუმჯობესების მიზნით იქმნება სხვადასხავა საშუალებები, მოწყობილობები და პროგრამები. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა ბანკომატი, რომლის მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს განახორციელოს კრიპტოვალუტის შეტანა-გამოტანისა და გადაცვლის ოპერაციები.

ბოლო წლებში კრიპტოვალუტა საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. კრიპტოვალუტის ახალი ტერმინალები დაყენებულია თბილისში, რესტორან **New York Burger**-ში და შალვა დადიანის ქუჩაზე. ამ ტერმინალის საშუალებით შესაძლებელია ბიტკოინების ყიდვა-გაყიდვა ლარებში.

კრიპტოვალუტების ბანკომატების დაყენება მიმდინარეობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

2022 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის მსოფლიოს 77 ქვეყანაში ფუნქციონირებდა 39000-ზე მეტი კრიპტობანკომატი. ყველაზე მეტი კრიპტობანკომატი ფუნქციონირებს აშშ – 34299, ანუ მსოფლიოში არსებული კრიპტობანკომატების 87%. ევროპაში დაყენებულია კრიპტობანკომატების საერთო რაოდენობის – 3,8%. კანადაში კი ორჯერ მეტი (Количество криптобанкоматов в мире уже превышает 39 тыс, 2022).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, მსოფლიო მასშტაბით ფუნქციონირებადი ბანკომატების რაოდენობა კატასტროფულად არასაკმარისია.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ბანკებში კრიპტოვალუტის ანგარიშების გახსნამ და კრიპტოვალუტის აქტივების მართვამ შეიძლება ბანკებს მოუტანოს დიდი სარგებელი საკომისიო გადასახადის სახით. 2020 წლიდან აშშ-ს ბანკებს იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის კრიპტოვალუტის ანგარიშების გახსნის ნება დართეს (Безруков, В. 2022).

კრიპტოვალუტის რეგულირება მსოფლიოში

ახალი ტექნოლოგიის გამოჩენა ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ კანონებს. წარმოშობს გამოწვევებს იმ სფეროში, სადაც გათვალისწინებულია მისი დანერგვა. ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი ვირტუალური ვალუტის – ბიტკოინისა და სხვა ალტკოინების მიმართ. მათმა გამოჩენამ ფინანსურ სივრცეში წარმოშვა პრობლემები. კერძოდ, ციფრული ვალუტა უპირისპირდება ფიატნურ ვალუტას. იგი შექმნილია ფიატნური ვალუტის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა: მიმოქცევასთან დაკავშირებული დიდი დანახარჯები, ნებისმიერი სავალუტო ოპერაციის განხორციელებაში ბიუროკრატიული შუამავლების მონაწილეობის აუცილებლობა, ტრანზაქციისათვის გაზრდილი საკომისიო გადასახადი, ტრანზაქციისთვის საჭირო დიდი დრო, ფიატნური ფულის მიმოქცევის ოპერაციებთან დაკავშირებული უსაფრთხოება და სხვ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები ვირტულური ვალუტის სტატუსის განსაზღვრის მიმართულებით. სხვადასხვა ქვეყნების დამოკიდებულება ვირტუალური ვალუტისადმი არაერთგვაროვანია. ქვეყნების ერთმა ნაწილმა (იაპონია, შვეიცარია, სალვადორი, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, ვენესუელა ჩილე, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა და სხვ.) ციფრული ვალუტა აღიარა როგორც საგადამხდელო საშუალება. ქვეყნების მეორე ნაწილმა აკრძალა მისი გამოყენება (ბანგლადეში, ვიეტნამი, ეგვიპტე, ინდონეზია, თურქეთი და სხვ.) (Государственное регулирование рынка криптовалют, 2022).

ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ნეპალი, ბანგლადეში ალჟირი და სხვა ვირტუალური ვალუტის გამომყენებელი ისჯება და ემუქრება თავისუფლების აღკვეთა (Семь стран, в которых запрещены криптовалюты, 2021). არიან ქვეყნები, სადაც კრიპტოვალუტის მიმოქცევა არც აკრძალულია და არც ნებადართული.

დასკვნები და რეკომენდაციები

ბიტკოინის მოპოვებისა და მიმოქცევის ეკოსისტემის გაფართოების მიზნით საჭიროა:

- მოხდეს ბიტკოინის მიმოქცევის რეგულირება და გაუქმდეს ის შეზღუდვები, რომელიც კრძალავს ქვეყნებში მის გამოყენებას.
- საწყის ეტაპზე სახელმწიფომ, ფიატნური ვალუტის პარალელურად, საგადამხდელო საშუალებად უნდა აღიაროს კრიპტოვალუტა.
- სახელმწიფომ ან სახელწოფოთა გაერთიანებებმა ფიატნური ფულის მიმოქცევის პარლელურად უნდა შეიმუშაონ ერთიანი კრიპტოვალუტა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ფიატნური ფულის დამზადებისა და მიმოქცევის ხარჯებს.
- ცალკეულმა სახელმწიფოებმა უნდა გამოუშვან საკუთარი კრიპტოვალუტა, მოახდინონ მისი რეგულირება, განსაზღვრონ ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარებისთვის საჭირო რა-

ოდენობა და დააწესონ კონტროლი მის ემისიაზე, რათა თავი დაიცვან სხვა სახელმწიფოების მხრიდან ისეთი ზეწოლისაგან, როგორიცაა საზღვარგარეთის ბანკებში ფულის „გაყინვა“.

- მოსახლეობის მიერ კრიპტოვალუტით სარგებლობის გაადვილების მიზნით სახელმწიფოებმა უნდა გაზარდონ კრიპტოვალუტის ბანკომატებისა და გადამცვლელი პუნქტების რაოდენობა და კრიპტოვალუტების ბირჟების უსაფრთხოება, რათა შემცირდეს ჰაკერების მხრიდან დაყაჩაღების შემთხვევები, რაც აამაღლებს ხალხის ნდობას კრიპტოვალუტის ბირჟებისადმი და, შესაბამისად, გაზრდის კრიპტოვალუტის მომხმარებელთა რაოდენობას.
- სრულყოფილ იქნას კრიპტოვალუტის მოპოვების არსებული ხერხები, რათა შემცირდეს მისი მოპოვებისთვის საჭირო ელექტროენერგიის რაოდენობა, რომელზედაც მოდის კრიპტოვალუტის მოპოვებაზე გაწეული ხარჯების უდიდესი წილი.
- გაფართოვდეს იმ საქონლისა და მომსახურების წრე, რომელთა შეძენაც შესაძლებელი გახდება კრიპტოვალუტით.
- სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში კრიპტოვალუტის საფუძველზე პროექტების შემუშავებას და დანერგვას.
- მოხდეს ბლოკჩეინტექნოლოგიის სრულყოფა იმ მიმართულებით, რომ შესაძლებელი გახდეს შეცდომით განხორციელებული ტრანზაქციების შესწორება და იმ ბიტკოინების რეანიმირება, რომლის მისამრთებზეც წვდომა შეუძლებელია.
- ტრანზაქციის განხორციელებისას დადგინდეს კრიპტოვალუტის ტრანზაქციის ზედა ზღვარი, რათა მოხდეს კრიპტოვალუტის წარმოშობის წყაროს დასაბუთება, რომელიც შეამცირებს საზღვარგარეთ უკანონოდ კაპიტალის გატანას, ფულის გათეთრებას, იარაღით ვაჭრობას, ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვას, ტერორისტების დაფინანსებას და სხვ.
- სახელმწიფომ კრიპტოვალუტის ემისიისას გაითვალისწინოს ქვეყანაში არსებული ოქროს რეზერვები, რათა კრიპტოვალუტას ჰქონდეს ეკონომიკური მხარდაჭერა, რაც დღეისათვის მისი ყველაზე დიდი ნაკლია.
- კრიპტოვალუტის მოპოვება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს დაკვეთით. წინააღმდეგ შეთხვევაში აზრს ჰკარგავს მისი მოპოვება, ვინაიდან ამ შემთხვევაში გაურკვეველი იქნება თუ რა რაოდენობის კრიპტოვალუტა იქნება საჭირო ძალოვანი სტრუქტურებისთვის, სახელმწიფო აპარატის შესანახად, მეცნიერებისა და განათლების სფეროებისთვის, პენსიების უზრუნველსაყოფად, რეზერვების შესაქმნელად და სხვ.

ლიტერატურა:

1. Научно-Технический Энциклопедический Словарь. https://dic.academic.ru/dic.nsf/ntes/5654/ЭКОСИСТЕМА/.
2. Петров, 2019. https://3commas.io/ru/blog/top-crypto-2019.
3. Новые минимумы: как для криптовалют начался 2022 год. https://www.rbc.ru/crypto/news/61dd3e139a79479557fa856e.
4. Количество Биткоинов на данный момент – сколько осталось добыть? 2017, https://bit.ly/2AL5omk.
5. Майнинг не умрет долгие годы. Что будет после добычи всех биткоинов. https://www.rbc.ru/crypto/news/615b01ec9a7947050cbc26f8).
6. სიჭინავა, დ. მაღრაძე, მ. (2018). კრიპტოვალუტის მაინინგი: არსებული მდგომარეობა და პერპექტივები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. შრომების კრებული, 347-351.

7. лучшие майнеры на 2022 год, 2022. https://ibmm.ru/news/top-asici-miner-in-russia-2022.
8. Что такое краны криптовалют: лучшие краны и как они работают?, (2018). https://tehnoobzor.com/cryptolife/o-kriptovaljutah/2756-chto-takoe-krany-kriptovalyut-luchshie-krany-i-kak-oni-rabotayut.html.
9. Термин: Онлайн-офлайн. https://bit.ly/3e6iSNM.
10. Панычев Е. (2022). Лучшие Биржи Криптовалют в 2022 – Рейтинг. https://www.business2community.com/ru/kriptovalyuta/birzhi-kriptovalyut.
11. Капитализация Bitcoin превысила триллион долларов, 2021. https://dzen.ru/news/story/Bitcoin_snova_obnovil_rekord--e6f54dc1324e8a53d28a9728fccd6543?issue_tld=kz&persistent_id=135452533.
12. 1 биткоин (BTC) в долларах США (USD) на сегодня, 2022. https://bit.ly/3r9hH3f.
13. Количество криптобанкоматов в мире уже превышает 39 тыс, 2022. https://officelife.media/news/34820-kolichestvo-kriptobankomatov-v-mire-uzhe-prevyshaet-39-tys/.
14. Безруков, В. Банк плюс криптовалюта равно… Какие банки создают криптосервисы, 2022. https://plusworld.ru/journal/2022/plus-6-2022/bank-plyus-kriptovalyuta-ravno-kakie-banki-sozdayut-kriptoservisy/.
15. Государственное регулирование рынка криптовалют, 2022. https://ria.ru/20220120/kriptovalyuty-1768803020.html.
16. Семь стран, в которых запрещены криптовалюты, 2021. https://vestikavkaza.ru/analytics/sem-stran-v-kotoryh-zapreseny-kriptovaluty.html.
17. პაპავა ვლადიმერი. ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. ჟურნალი „ გლობალიზაცია და ბიზნესი“. №6, 2018, 15-27).
18. ჭყოიძე ნ., ტომარაძე გ. ვირტუალური/კრიპტოგრაფიული ვალუტა და მისი თავისებურებები. ვალუტების რეგულირება (BitCoin-ის მაგალითზე),(2014). ჟურნალი „ეკონომიკა და საბანკო სქმე“, ტომი 2, №3, 42-57.
19. სიჭინავა დ., მაღრაძე მ. ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამძღვრები და პრობლემები. გლობალიზაცია და ბიზნესი. №6 2018. 177-183.
20. ლეკაშვილი ე., მამალაძე ლ. კრიპტოგრაფიული ვალუტა, როგორც სავალუტო პოლიტიკის გამოწვევა: საქართველოს მაგალითი, 2018, ტ. 7, 87-97. (Lekashvili, E. and Mamaladze, L. Monetary policys crypto currency challenge: the case of).

Cryptocurrency Bitcoin Ecosystem, Existing Condition and Development Prospects

Murtaz Maghradze
Doctor of Economic Sciences, Professor, Emeritus
Demur Sichinava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Professor

The article explains the term Bitcoin ecosystem. The factors that led to the need to replace fiat money with cryptocurrency are studied. The pros and cons of Bitcoin are shown. Ways to main and earn Bitcoin are given. The necessary conditions for the functioning of the Bitcoin ecosystem are analyzed – exchanges, Bitcoin ATMs, exchange points, cryptowallets, etc., current situation and prospects for their development. At the end of the article, the conclusions are given and the necessary recommendations for the improvement of the cryptocurrency Bitcoin ecosystem are formulated.

Keywords: Bitcoin ecosystem; Bitcoin wallet; Bitcoin exchanges; Bitcoin mining; national cryptocurrencies; Cryptocurrency regulation.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების მიმოხილვა

ნინო მაღრაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვანი როლი შეიძინა საერთაშორისო ეკონომიკაში. მათ შესასწავლად და გასაანალიზებლად საჭიროა იმ ძირითადი მოტივების ცოდნა, რომლებიც განაპირობებს კომპანიების გადაწყვეტილებას, ინვესტიციები განახორციელონ საზღვარგარეთ, ან საერთაშორისო ბაზარზე გავიდნენ ექსპორტის საშუალებით; აგრეთვე, საინტერესოა გადაწყვეტილებები იმის შესახებ, რომელ ქვეყანაში და რომელ დარგში განახორციელონ ინვესტიცია.

ნაშრომში განხილულია რამდენიმე თეორია, რომლებიც შემუშავებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დასახასიათებლად და ასახსნელად. ინვესტიციებთან დაკავშირებული თეორიები ორ ჯგუფად იყოფა: 1. სრულყოფილ ბაზრებზე დაფუძნებული თეორიები და 2. არასრულყოფილ ბაზრებზე დაფუძნებული თეორიები. თითოეულს თავისი ახალი ელემენტი შემოაქვს ლიტერატურაში და ამავდროულად, აკრიტიკებს წინა თეორიას. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეორიებს განსხვავებული მიდგომები აქვთ, ყველა მათგანი ეთანხმება მოსაზრებას, რომ კომპანია გადის საზღვარგარეთ, რათა მიიღოს გაზრდილი სარგებელი სხვადასხვა სახით.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინტერნალიზაცია, ეკლექტიკური თეორია, პროდუქტის ციკლი, ოლიგოპოლიური რეაქცია.*

თანამედროვე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისადმი ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ეს ინტერესი განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით, რომელთაგან ერთ-ერთია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ნაკადების სწრაფი ზრდა, რასაც ნათლად ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა, კერძოდ: 2001 წლის 773 მლრდ აშშ დოლარიდან 2021 წლის 1.6 ტრლნ აშშ დოლარამდე ზრდა[1]. მიიჩნევა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის მნიშვნელოვანი ელემენტი ეკონომიკის განვითარებისათვის ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, რადგან მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსები, მაშინ, როდესაც ბევრ მათგანს საკმაოდ შეზღუდული წვდომა აქვს დაფინანსების სხვა წყაროებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანას არ შეუძლია მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და არც ყველა ინვესტორი რისკავს, განახორციელოს ინვესტიციები, მიმღებ ქვეყანაში არსებული პირობების გაცნობის გარეშე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესასწავლად, პირველ რიგში, უნდა გვესმოდეს ის ძირითადი მოტივები, რაც უბიძგებს კომპანიებს, დააბანდონ საკუთარი ფინანსები საზღვარგარეთ და არა ეროვნულ წარმოებაში.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების ძირითადი ტენდენციები, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და ამ კვლევებში მიღებული დასკვნები.

[1] UNCTAD - United Nations Conference on Trade and Development
https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=96740

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ თეორიები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახსნის პირველი მცდელობა წარმოდგენილია რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიაში. იგი ეფუძნება ორ ქვეყანას, ორ პროდუქტს და ადგილობრივ დონეზე ფაქტორების სრულყოფილ მობილურობას. ამ თეორიის თანახმად, არ არსებობს რისკი და ბარიერები კაპიტალის მოძრაობის დროს. მაგრამ ეს დაშვება რეალობაში საფუძველს მოკლებულია და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ახსნა შეუძლებელია ამ თეორიით (Denisia, 2010).

დღესდღეობით სხვადასხვა ავტორის მრავალი თეორია და ჰიპოთეზა არსებობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციის ასახსნელად. ინვესტიციების შესახებ თეორიები განხილულია აგარვალის (1980), კალვეტის (1981), ჰელეინერის (1989), კანტველის (1991), მეიერის (1998), მარკუზენის (2002) ფაეტის (2009) და დენისიას (2010) და სხვათა გამოკვლევებში (Zeqiri & Bajrami, 2016). მაგალითად, მეცნიერი აგარვალი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულ თეორიებს, რომლებშიც დახასიათებულია ინვესტიციების განმსაზღვრელი ფაქტორები, ორ ჯგუფად ჰყოფს: პირველი – სრულყოფილ ბაზრებზე დაფუძნებული თეორიები, სადაც ყურადღება გამახვილებულია უკუგების დიფერენციალურ განაკვეთებზე, პორტფელის დივერსიფიკაციაზე და ბაზრის ზომაზე; მეორე – თეორიები, რომლებიც ეფუძნება არასრულყოფილ ბაზრებს და ხაზს უსვამს ინდუსტრიული ორგანიზაციების როლს, ინტერნალიზაციას, პროდუქტის ციკლს და ოლიგოპოლიურ რეაქციას (Agarwal, 1980).

სრულყოფილ ბაზრებზე დაფუძნებული თეორიები

უკუგების დიფერენციალური განაკვეთები

უკუგების დიფერენციალური განაკვეთების თეორია არის ერთ-ერთი უძველესი თეორია, რომელიც ცდილობს იმის გარკვევას, თუ რატომ გადადის ზოგიერთი კომპანია ახალ ბაზრებზე. ამ თეორიის მთავარი იდეა და ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალი მიედინება დაბალი უკუგების განაკვეთის მქონე ქვეყნებიდან უფრო მაღალი უკუგების განაკვეთის მქონე ქვეყნებისკენ (Zeqiri & Bajrami, 2016). ითვლება, რომ კომპანიები საინვესტიციო გადაწყვეტილებების შეფასებისას, მოსალოდნელ ზღვრულ შემოსავალს უთანაბრებენ კაპიტალის ზღვრულ დანახარჯებს. თუ მოსალოდნელი ზღვრული შემოსავალი უფრო მაღალია საზღვარგარეთ, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში და თუ ვივარაუდებთ, რომ კაპიტალის ზღვრული დანახარჯები იგივეა ორივე ინვესტიციის შემთხვევაში, მაშინ არსებობს სტიმული, ინვესტიცია განხორციელდეს საზღვარგარეთ და არა სამშობლოში (Lizondo, 1991).

ცხადია, რომ ეს თეორია ითვალისწინებს რისკის ნეიტრალიტეტს და მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, თუ რატომ აირჩია უცხოელმა ინვესტორმა კონკრეტული ადგილი ან ინვესტიციის ტიპი, მიიჩნევს მხოლოდ უკუგების განაკვეთს. ამ დაშვებიდან გამომდინარე, ეროვნული და უცხოური ინვესტიციები სრულყოფილი ჩამნაცვლებლებია (Zeqiri & Bajrami, 2016).

ამ თეორიამ ფართო აღიარება მოიპოვა 1950-იანი წლების ბოლოს, როდესაც მკვეთრად გაიზარდა აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროპის მრეწველობის დარგში. იმ დროისათვის, ამერიკულ მრეწველობაში ინვესტირებას უფრო ნაკლები სარგებელი მოჰქონდა, ვიდრე ევროპაში ინვესტირებას. თუმცა, ეს კავშირი არასტაბილური აღმოჩნდა. 1960-იან წლებში აშშ-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროპაში კვლავ აგრძელებდა ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ

უკუგების განაკვეთი ევროპის მრეწველობაში უფრო დაბალი იყო, ვიდრე ამერიკულ მრეწველობაში (Lizondo, 1991).

აღნიშნული თეორიის მთავარი ჰიპოთეზის პრობლემა არის ის, რომ ქვეყნებში ერთდროულად ხდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და გადინება. ამ თეორიის მიხედვით, კაპიტალი მიედინება დაბალი უკუგების განაკვეთის მქონე ქვეყნებიდან უფრო მაღალი უკუგების განაკვეთის მქონე ქვეყნებისკენ. მაშასადამე ის მიედინება ერთი მიმართულებით – მხოლოდ მაღალი უკუგების განაკვეთის მქონე ქვეყნებისკენ და არა პირიქით, რაც არ შეესაბამება არსებულ რეალურ მდგომარეობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თეორიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული, რადგან კაპიტალის მოძრაობის წინაპირობად შემოთავაზებულია უკუგების მაჩვენებელი (Zeqiri & Bajrami, 2016).

პორტფელის დივერსიფიკაცია

ვინაიდან მოსალოდნელი შემოსავალი არ აღმოჩნდა საკმარისი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადეკვატური ახსნისათვის, ამიტომ ყურადღება გამახვილდა რისკის როლზე. კომპანია, სხვადასხვა ხელმისაწვდომ პროექტს შორის არჩევანის გაკეთების დროს, სავარაუდოდ, იხელმძღვანელებს როგორც მოსალოდნელი შემოსავლით, ასევე რისკის შემცირების შესაძლებლობით. იმის გამო, რომ სხვადასხვა ქვეყანაში საქმიანობებიდან მიღებულ შემოსავალს, სავარაუდოდ, არ აქვს სრულყოფილი კორელაცია, კომპანიას შეუძლია შეამციროს საერთო რისკი ერთზე მეტ ქვეყანაში პროექტების განხორციელებით. აქედან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საერთაშორისო პორტფელის დივერსიფიკაცია კორპორატიულ დონეზე.

ამ თეორიის შესამოწმებლად ერთ-ერთი მიდგომა იყო ქვეყნების ჯგუფში შემავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილის შეფასება ინვესტიციების საშუალო შემოსავლისა და ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის გათვალისწინებით. მაგრამ ამ ცდების შედეგებს მხოლოდ სუსტი მხარდაჭერა ჰქონდა პორტფელის დივერსიფიკაციის თეორიისათვის, როგორც ნაჩვენებია აგარვალის კვლევაში. ძლიერი ემპირიული მხარდაჭერის ნაკლებობა შესაძლებელია ნაწილობრივ გამოწვეული იყოს მოსალოდნელი მოგებისა და რისკის გაზომვასთან დაკავშირებული სირთულეებით, მაგრამ ამ მიდგომასთან დაკავშირებით უფრო მეტად თეორიული პრობლემები არსებობს. პორტფელის დივერსიფიკაციის თეორია უკეთესია უკუგების დიფერენციალური განაკვეთების თეორიასთან შედარებით, იმ თვალსაზრისით, რომ რისკის ფაქტორის გათვალისწინებით, მას შეუძლია შეაფასოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაც და გადინებაც ერთდროულად ქვეყნებისათვის. თუმცა ის ვერ ხსნის, რატომ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად კონცენტრირებული ზოგიერთ ინდუსტრიაში, ვიდრე სხვაში (Lizondo, 1991).

ბაზრის ზომა

ბაზრის ზომის თეორია ხსნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას და მიმართულებებს მასპინძელი ქვეყნის ბაზრის ზომის გათვალისწინებით. თეორიის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ დიდ ბაზარს დადებითი გავლენა ექნება ინვესტიციებზე, რადგან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის მასპინძელი ქვეყნის ბაზრის „სიდიდის“ ფუნქცია, რომელიც ჩვეულებრივ იზომება მთლიანი სამამულო პროდუქტით (Zeqiri & Bajrami, 2016).

ეს ჰიპოთეზა შემოწმებულია სხვადასხვა გზით. ერთ-ერთი მიდგომის მიხედვით შეამოწმეს, იყო თუ არა მოცემული ქვეყნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ცალკეული მასპინძელი ქვეყნის შემოსავლის დონესთან კორელაციაში. ჩატარებული ემპირიული კვლევები მხარს

უჭერს მოსაზრებას, რომ მასპინძელი ქვეყნის შემოსავლის უფრო მაღალი დონე ან შემოსავლის ზრდა ასოცირდება გაზრდილ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან.

აღსანიშნავია, რომ ეს მხარდაჭერა ყურადღებით უნდა იქნას განმარტებული. ზოგიერთი მტკიცებულების თანახმად, კომპანიების გადაწყვეტილებები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, შეიძლება ნაკარნახევი იყოს სხვადასხვა მოსაზრებით, იმის მიხედვით, არის თუ არა ეს კომპანიის საწყისი ინვესტიცია ქვეყანაში. ამ შემთხვევაში, არასწორი იქნება ერთი და იმავე ცვლადების გამოყენება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ყველა სახეობის ასახსნელად (Lizondo, 1991).

არასრულყოფილ ბაზრებზე დაფუძნებული თეორიები

ზემოთ განხილულ თეორიებში არ არის მოცემული კონკრეტული ვარაუდი ბაზრის არასრულყოფილების ან ბაზრის წარუმატებლობის შესახებ. ჰაიმერი იყო ალბათ პირველი ანალიტიკოსი, რომელმაც აღნიშნა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახსნის დროს მთავარ როლს ასრულებს ბაზრების სტრუქტურა და კომპანიის სპეციფიკური მახასიათებლები (Lizondo, 1991).

ინდუსტრიული ორგანიზაციის მიდგომა

1960 წელს ჰაიმერმა თავის სადოქტორო დისერტაციაში განავითარა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიის ინდუსტრიული ორგანიზაციის მიდგომა, რომლის თანახმად, საზღვარგარეთ მოქმედ კომპანიებს უწევთ კონკურენცია ადგილობრივ კომპანიებთან, რომლებიც ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან კულტურის, ენის, სამართლებრივი სისტემის და მომხმარებლის უპირატესობის ცოდნის თვალსაზრისით. გარდა ამისა, უცხოური კომპანიები ასევე ექვემდებარებიან სავალუტო რისკს. ეს მინუსები უნდა იყოს კომპენსირებული საბაზრო ძალაუფლების გარკვეული ფორმით, რათა საერთაშორისო ინვესტიციები მომგებიანი გახდეს. საბაზრო ძალაუფლების წყარო შეიძლება იყოს პატენტით დაცული ტექნოლოგიური უპირატესობა, ბრენდების სახელები, მარკეტინგისა და მენეჯმენტის უნარები, მასშტაბის ეკონომია და ფინანსების იაფი წყაროები (Nayak & Choudhury, 2014).

ინდუსტრიული ორგანიზაციის თეორია არ არის სრულყოფილი თეორია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული კომპანიისათვის სპეციფიკური უპირატესობების არსებობა განმარტავს, თუ როგორ შეუძლია უცხოურ კომპანიას წარმატებით გაუწიოს კონკურენცია შიდა ბაზარზე კომპანიებს, ასეთი უპირატესობები არ ხსნის იმას, თუ რატომ უნდა მიიღოს ამ კონკურენციამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ფორმა. უცხოურ კომპანიას ასევე შეუძლია განახორციელოს ექსპორტი შიდა ბაზარზე, ან მიყიდოს თავისი სპეციალური უნარები ადგილობრივ კომპანიებს (Lizondo, 1991).

ინტერნალიზაციის თეორია

ინტერნალიზაციის თეორია ცდილობს ახსნას ტრანსნაციონალური კომპანიების და მათი მოტივაციის ზრდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად. ბაკლი და კასონი, რომლებმაც განავითარეს თეორია, აჩვენებენ, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები ისე გეგმავენ თავიანთ შიდა საქმიანობას, რომ ჰქონდეთ კონკურენტული უპირატესობები, რომელსაც შემდგომში გამოიყენებენ (Buckley & Casson, 1976). აღნიშნული თეორია საშუალებას იძლევა ავხსნათ, თუ რატომ ანიჭებენ კომპანიები უპირატესობას საზღვარგარეთის ბაზრებზე გასვლას ინვესტიციების საშუალებით იმის ნაცვლად, რომ მათ გამოიყენონ თავიანთი კონკურენტული უპი-

რატესობა საერთაშორისო ბაზარზე სხვა მეთოდებით, როგორიცაა, ექსპორტი, ფრენშაიზინგი, უცხოური კომპანიების მიერ ლიცენზიის გაყიდვა მათი ტექნოლოგიების სარგებლობისათვის. თეორიის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, თუ კონტრაქტის დადების, მოლაპარაკების წარმოების, კონტრაქტში არსებული პირობების შესრულებაზე კონტროლისა და კონტრაქტის მოქმედებაში მოყვანის ხარჯები მეტია იმ ხარჯებზე რომელსაც მოითხოვს კაპიტალის პირდაპირი დაბანდება საზღვარგარეთულ საწარმოში. მაგალითად, კომპანია Toyota-ს ძირითადი კონკურენტული უპირატესობაა გამოშვებული პროდუქტის მაღალი ხარისხი და წარმოების მოწინავე ტექნოლოგიები. ასეთი უპირატესობის მიღწევა უცხოურ საწარმოებში სხვა კომპანიებთან კონტრაქტის დადების საშუალებით შესაბამისი სამუშაოების შესრულებაზე შედარებით რთულია. შესაბამისად, კომპანია Toyota უპირატესობას ანიჭებს საწარმოო სიმძლავრეების განთავსებას საზღვარგარეთის ქვეყნებში (სიხარულიძე, 2011).

ეკლექტიკური თეორია

ეკლექტიკური თეორია არის პროფესორ დანინგის მიერ შემუშავებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამი განსხვავებული თეორიის ნაზავი. იგი ამტკიცებდა, რომ სამი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს, რათა კომპანიამ განახორციელოს ინვესტიციები საზღვარგარეთ: 1. საკუთრების ფლობის უპირატესობა: ეს არის უცხოელი ინვესტორებისთვის საკუთრების ფლობის სპეციფიკური უპირატესობის სისტემა ნაციონალურ ოპერატორებთან მიმართებით, რომლებიც ძირითადი კონკურენტებია; 2. ადგილმდებარეობის უპირატესობები: ადგილობრივი ფაქტორების წარმოების და გასაღების ბაზრის სისტემა და სპეციფიკური პირობები, რომლებსაც სთავაზობენ ცალკეული ქვეყნები უცხოელ ინვესტორებს, მაგალითად, ბაზრის დაცვის კონიუქტურა და კონტროლის სხვა მრავალი შესაძლებლობა; 3. ინტერნალიზაციის უპირატესობები, რაც ნიშნავს კერძო უპირატესობების კონტროლს. ამ უპირატესობების ანალიზის საფუძველზე დანინგმა დაასკვნა, ის, რომ კომპანიისთვის უცხოეთში ინვესტირების სტიმულია საკუთრების ფლობის უპირატესობა, მაგრამ პირდაპირი ინვესტირებისთვის კონკრეტული ქვეყნის ასარჩევად მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის უპირატესობები (ჯვარშეიშვილი, 2021).

პროდუქტის ციკლის თეორია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება ასევე შესაძლებელია აიხსნას პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიის საშუალებით, რომელიც 60-იან წლებში დაამუშავა ფრანგმა ეკონომისტმა ვერნონმა. მოცემული თეორია ემყარება საქონლის მიერ ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის გავლის შესახებ პოსტულატს, რომელიც მოიცავს სამ თანმიმდევრულ ფაზას: 1. ინოვაცია, 2. სიმწიფე, 3. სტანდარტიზაცია. ინოვაციურ ფაზაში კომპანია, რომელიც არის მოცემული საქონლის პიონერი, იძენს კონკურენტულ უპირატესობას და ფარავს დანახარჯებს სამეცნიერო- კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე. მეორე და მესამე ფაზაში წარმატებული კონკურენციისათვის კომპანია იძულებულია მიმართოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიას. სიმწიფის ფაზაში შიგა ბაზარზე გაყიდვათა შემცირება იწვევს საზღვარგარეთ მოცემული საქონლის ექსპორტის გადიდებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტს საფრთხე ემუქრება, ანუ სტანდარტიზაციის ფაზაში, როდესაც საქონლის წარმოება ტექნოლოგიისა და ხარისხის მიხედვით იძენს საბოლოო სტანდარტულ ფორმებს, კონკურენტული უპირატესობის მიღების მიზნით, უფრო ხელსაყრელია დანახარჯების ეკონომიით კვლავწარმოებითი პროცესის ციკლის სხვადასხვა სტადიის გადატანა იმ ქვეყანაში, სადაც დაბალია ცვალებადი ხარჯები, საბაჟო ბარიერების გვერდის ავლის, უცხოელ მონოპოლიებთან პოზიციების გაძლიერების შესაძლებლობით (სიხარულიძე, 2011).

ოლიგოპოლიური რეაქციის თეორია

ნიკერბოკერმა ჩამოაყალიბა თავისი თეორია ბაზრის არასრულყოფილებაზე დაყრდნობით. ეკონომიკურ ლიტერატურაში დამტკიცებულია, რომ არსებობს ორი მნიშვნელოვანი მოტივი კონკრეტული ქვეყნის არჩევისთვის: 1. კომპანიები ეძებენ გაზრდილ წვდომას მასპინძელი ქვეყნის ბაზარზე და 2. კომპანიებს სურთ გამოიყენონ ამ ქვეყანაში არსებული შედარებით უხვი ფაქტორები. ნიკერბოკერი ასევე გვთავაზობს მესამე მოტივს ადგილმდებარეობის ასარჩევად: კომპანიებმა შეიძლება ინვესტიციები განახორციელონ კონკრეტულ ქვეყანაში, რათა შეესაბამებოდნენ კონკურენტი კომპანიის მოძრაობას (Knickerbocker, 1973). სხვა სიტყვებით რომ ითქვას, კომპანიები ხშირად ავლენენ იმიტაციურ ქცევას, ანუ მიჰყვებიან კონკურენტების ინტერნაციონალიზაციას, რათა არ დაკარგონ თავიანთი სტრატეგიული უპირატესობა. კერძოდ, ნიკერბოკერი ამტკიცებდა, რომ ოლიგოპოლიური ბაზრის პირობებში, კომპანიები მიდრეკილნი არიან მიჰყვნენ ერთმანეთის გადაწყვეტილებას ადგილმდებარეობის არჩევისას. იგულისხმება, რომ კომპანიები, რომლებიც ვერ ერკვევიან ქვეყნის წარმოების ხარჯებში, სადაც ისინი ამჟამად ექსპორტს ახორციელებენ, ემუქრებათ რისკი. კონკურენტის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმიტირებით, მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ ზარალი (Nayak & Choudhury, 2014).

ამ თეორიის მნიშვნელობა არის ის, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცესი თვითშეზღუდულია, რადგან ერთმანეთის შიდა ბაზარზე შეჭრა გაზრდის კონკურენციას და შესაბამისად, შეამცირებს ოლიგოპოლიური რეაქციის ინტენსივობას. თუმცა, მაშინ, როდესაც პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა გაზარდა კონკურენცია ბევრ ინდუსტრიაში, ამას არ მოჰყოლია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესაბამისი შემცირება. ეს თეორია ასევე გააკრიტიკეს, რადგან არ არის ნაჩვენები, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი უცხოური ბაზრების მომსახურების რამდენიმე მეთოდს შორის. გარდა ამისა, არ არის განმარტებული პირველადი ინვესტიციის მიზეზი, რომლითაც იწყება უცხოური საინვესტიციო პროცესი.

დასკვნა

ეკონომიკურ ლიტერატურაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დასახასიათებლად და ასახსნელად არ არსებობს ერთიანი, უნიკალური, ფართოდ მიღებული თეორია. ამის ნაცვლად, არსებობს მრავალი ჰიპოთეზა, სადაც მოცემულია სხვადასხვა მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ფაქტორი, რომლებიც არიან ინვესტიციების სავარაუდო განმსაზღვრელები. მათი ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ახსნან ის მიზეზები, რაც განაპირობებს კომპანიის საზღვარგარეთ გასვლის გადაწყვეტილებას. ამ ჰიპოთეზთა უმეტესობას აქვს გარკვეული ემპირიული მხარდაჭერა, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის საკმარისად გამყარებული, რომ სხვების უარყოფა შეძლოს.

მიუხედავად მათი განსხვავებული მიდგომებისა, ყველა ეს თეორია ეთანხმება მოსაზრებას, რომ კომპანია ახორციელებს ინვესტიციებს საზღვარგარეთ, რათა მიიღოს გაზრდილი სარგებელი სხვადასხვა სახით.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., მაღრაძე ნ. (2018). საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფიული სტატისტიკა. თსუ, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“.
2. სიხარულიძე დ. და სხვები (2011). საერთაშორისო ბიზნესი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრის მიერ მომზადებული ლექციების კურსი. გამომცემლობა „უნივერსალი“.
3. ჯვარშეიშვილი ს. (2021). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განვითარების ტენდენციები. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“.
4. Agarwal, J. P. (1980). Determinants of foreign direct investment: A survey.
5. Buckley, P.J. & Casson, M.C. (1976). The Future of the Multinational Enterprise. Homes & Meier: London.
6. Denisia, V. (2010). Foreign Direct Investment Theories: An Overview of the Main FDI Theories. European Journal of Interdisciplinary Studies, No. 3.
7. Knickerbocker, F.T. (1973). Oligopolistic reaction and multinational enterprise. Division of Research, Harvard University, Cambridge, MA, United States.
8. Lizondo, J. S. (1991). Determinants and Systemic Consequences of International Capital Flows – Foreign Direct Investment. International Monetary Fund.
9. Nayak, D. & Choudhury, R. N. (2014). A selective review of foreign direct investment theories. ARTNeT Working Paper Series No. 143, Bangkok, ESCAP.
10. UNCTAD – United Nations Conference on Trade and Development https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=96740
11. Zeqiri, N. & Bajrami, H. (2016). Foreign Direct Investment (FDI) Types and Theories: The Significance of Human Capital. UBT International Conference.

An Overview of Foreign Direct Investment Theories

Nino Maghradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PHD Student

SUMMARY

Foreign Direct Investment acquired an important role in the international economy in the second half of the twentieth century. In order to study and analyze investments, it is necessary to know the main motives that determine companies' decisions to invest abroad or enter the international market through export; Decisions about which country and which sector to invest in are also interesting.

The article discusses several theories that have been developed to characterize and explain foreign direct investment. The theories related to investments are divided into two groups: 1. Theories Assuming Perfect Markets and 2. Theories Based on Imperfect Markets. Each brings its own new element to the literature and, at the same time, criticizes the previous theory. Although these theories have different approaches, they all agree that a company moves abroad to obtain increased benefits in various ways.

Keywords: Foreign Direct Investments, Internalization, The Eclectic Theory, Product Cycle, Oligopolistic Reaction.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსების როლი საქართველოს უმაღლესი განათლების გლობალიზაციაში

მარიამ მელიქიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

თუკი გავითვალისწინებთ მსოფლიოში არსებულ ვითარებას, ცალსახად აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პროცესებმა დიდი ზეგავლენა იქონია მთელს მსოფლიოსა და ქვეყნებს შორის არსებულ სავაჭრო-საგარეო ურთიერთობებზე. ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების მიუხედავად დიდი გამოწვევა აღმოჩნდა ახალ კორონავირუსთან გამკლავება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენმა უცხოელმა პარტნიორებმა გამოავლინეს დიდი მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის გაძლიერების საქმეში. გაუმჯობესდა ეკონომიკური პარამეტრები, დიდი პროგრესი იგრძნობა ქვეყნისთვის სხვადასხვა გრანტებისა და თანადაფინანსებული პროექტების რიცხოვნობის ზრდის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო მზადაა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ყველა ეტაპისთვის. ამ საკითხებში უსათუოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო პარტნიორების დახმარება. ჩვენ უნდა შევძლოთ, დონორების დახმარების გზით ეროვნულ პრიორიტეტებს შევუსაბამოთ ჩვენი პოლიტიკა, როგორც დახმარების ეფექტურობის საერთაშორისო პრინციპებითა და მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებული ვალდებულებებითაა გათვალისწინებული.

უმაღლესი განათლების ხარისხი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყნის ბიზნესის, ეკონომიკისა და სოციალური განვითარების საქმეში. იმისათვის, რომ ადეკვატურად შეფასდეს ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განათლების სექტორში, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომლის საშუალებითაც გავაანალიზებთ იმ ფაქტორებს, რომლებიც, ქმნის ქვეყნის ბიზნესკლიმატს, გვეხმარება მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში.

საკვანძო სიტყვები: *საგანმანათლებლო სისტემა, უმაღლესი განათლება, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები*

საქართველოს განათლების სისტემის განვითარება გლობალიზაციის კონტექსტში და საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI)

განათლების როლი ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში სულ უფრო იზრდება, სცილდება სახელმწიფოს ეროვნულ საზღვრებს და ხდება საერთაშორისო ინსტიტუტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციის კვალდაკვალ მნიშვნელოვნად იზრდება ცოდნის მუდმივად განახლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროება. მნიშვნელოვანია განათლების სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები, რომლის განხორციელების ეფექტურობაზეა დამოკიდებული ქვეყნის პროგრესული განვითარება. სახელმწიფო, მოსახლეობა მთლიანად და თითოეული ადამიანი ცალ-ცალკე დაინტერესებულია განათლების სისტემის განვითარებითა და სრულყოფით, რათა მან შეძლოს როგორც საგანმანათლებლო, ასევე სოციალური ფუნქციების მიზანმიმართული და თანმიმდევრული რეალიზება.

რამდენად ეფექტურად ასრულებს უმაღლესი განათლება ამ ფუნქციებს? ამართლებს თუ არა უმაღლეს განათლებაში ჩადებული მზარდი კერძო და სახელმწიფო ინვესტიცია? უმაღლესი განათლების სისტემის ეფექტურობა პირველ რიგში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად პასუხობს იგი გარემოში არსებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, უმაღლესი განათლების სისტემის ამონაგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის მონიტორინგი დღეისათვის სისტემის ეფექტურობის შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. (https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-globaluri-konkurentunarianobis-reitingshi/)

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის 2020 წლის ინდექსი (GSC index 2020) ტრანსეროვნულმა ორგანიზაციამ SolAbility გამოაქვეყნა. ანგარიში მსოფლიოს 180 ეკონომიკის მდგრად კონკურენტუნარიანობას აფასებს. GSC index 2020-ის რეიტინგში საქართველო 37-ე ადგილზე გავიდა, შეფასების ქულა წინა წელთან შედარებით გაიუმჯობესა და 51.2 ქულით საუკეთესო ისტორიული შედეგი დააფიქსირა. საქართველო რეიტინგში უსწრებს, ისეთ მოწინავე ეკონომიკებს, როგორიცაა ჩინეთი, სინგაპური, ავსტრალია, ისრაელი, საბერძნეთი, მალტა, ჩილე, კვიპროსი და ა.შ. რეიტინგში საქართველო ყველა მეზობელ ქვეყანას უსწრებს, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი მხოლოდ ბალტიის ქვეყნებს ჩამორჩება. საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში შემავალი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოს ყველაზე მაღალი ქულა – 89.6 საბანკო სექტორის სტაბილურობაში აქვს. ასევე მაღალი ქულა აქვს ელექტროენერგიასა და წყალზე ხელმისაწვდომობაში – 89.2. ყველაზე დაბალი ქულარ – 23.8, საქართველოს კვლევებსა და განვითარებაში აქვს. საქართველოს საკმაოდ დაბალი ქულა – 32.7 აქვს ასევე ინოვაციებში. რეიტინგის მიხედვით, საქართველო ყველაზე დაბალ პოზიციაზე, 125-ე ადგილზე (141 ქვეყნიდან) სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონით არის.

მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსი აერთიანებს 5 აგრეგატში გაერთიანებულ 127 ინდიკატორს და ეფუძნება გაეროს, მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის, OECD-ის და მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ცენტრების პროფილურ გამოკვლევებს (World Bank Indicator database, various UN agencies (UNDP, UNEP, UNICEF, FAO, WHO, WMO, www.data.un.org), the International Monetary Fund (IMF), and other nongovernmental organizations (including Transparency International, Reporters without Borders, The New Economics Foundation, The Institute for Economics and Peace, The Fund For Peace, the Joint Global Change Research Institute). (https://bm.ge/ka/article/globaluri-mdgradi-konkurentunarianobis-indeqsis-mixedvit-saqartvelo-40-sauketeso-qveyanas-shorisaa/70317)

დახმარების უდიდესი ნაწილი მრავალმხრივ დახმარებაზე მოდის და სესხებსა და საინვესტიციო სესხებზე ნაწილდება. ამჟამად, მრავალმხრივი დახმარების უმსხვილესი ნაწილი გაცემულია ევროკავშირის ინსტიტუტების (27.13%), აზიის განვითარების ბანკისა (22.67%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (10.02%) მიერ. საქართველოსთვის გამოყოფილი ორმხრივი ოფიციალური განვითარების დახმარების უდიდესი ნაწილი მოდის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრებზე, რომლებიც განვითარების დახმარების კომიტეტს (DAC) შეადგენენ. უმხვილესი ორმხრივი დონორები არიან გერმანია (13.28%), საფრანგეთი (3.23%), და აშშ (3.02%). (მთავრობის დადგენილება №238, 1 ივნისი, 2015. 7 მსოფლიო ბანკი, ქვეყნების ახალი კლასიფიკაცია შემოსავლის დონის მიხედვით: 2019-2021).

დიაგრამა 1.

10 უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპის მიხედვით



ცხრილი 1.

2020 წლის 10 უმსხვილესი დონორი მოცულობის მიხედვით

დონორი	თანხა (€)	თანხა ($)	წილი
EU ინსტიტუტები	7 200 013 164.48 €	$5 531 483 555.86	27.13%
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	6 014 366 723.70 €	$2 406 318 181.30	22.67%
გერმანია	3 523 207 642.42 €	$1 274 976 208.21	13.28%
ევროპის რეკონსტრუქციისადა განვითარების ბანკი (EBRD)	2 659 741 121.88 €	$919 883 010.93	10.02%
მსოფლიო ბანკი	2 479 486 815.43 €	$1 015 025 491.50	9.34%
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	1 570 800 000.00 €	$660 000 000.00	5.92%
საფრნაგეთი	857 019 846.59 €	$278 370 132.71	3.23%
ამერიკის გაერთიანებული შტატები (აშშ)	800 115 326.20 €	$321 248 245.84	3.02%
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი(AIIB)	750 489 888.00 €	$263 715 000.00	2.83%
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	679 728 332.00 €	$359 200 000.00	2.56%
ჯამი	**26 534 968 860.71 €**	**$13 030 219 826.35**	**100%**

სამუშაო ძალის უნარების გასავითარებლად და შედეგების გასაზრდელად საშუალოვადიან პერიოდში, უმნიშვნელოვანესია განათლებისა და პროფესიული გადამზადების ხარისხის გაუმჯობესება. ამჟამად, საქართველო აღასრულებს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას (2017-2021). სტრატეგია ეფუძნება უწყვეტი განათლების (Lifelong learning) პრინციპს და მიზნად ისახავს განათლების მაღალი ხელმისაწვდომობისა და ხარისხის უზრუნველყოფას ყველა დონეზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, განვითარების პარტნიორების მხარდაჭერით, დაიწყო მუშაობა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი 2022-2032 წლების სტრატეგიაზე, რომელიც ასევე მოიცავს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სამოქმედო გეგმას (2021-2025).

საქართველოს საგანმანათლებლო ურთიერთობები პარნტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციები და უმაღლესი განათლების გლობალური პოლიტიკის სივრცე

განათლებასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ აქტუალურია და ბევრ საინტერესო მიმართულებას მოიცავს. არსებობს განათლების ბევრი ფორმა და თითოეულს ახასიათებს გარკვეული სპეციფიურობა. მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სახელმწიფოს როლზე განათლებაში. ადამიანები შრომობენ როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. მართლაც, განვითარებულ ქვეყნებში, ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ფიზიკურთან შედარებით ხელფასის განსაზღვრის დროს. ამ მიზეზით, ინვესტიციები, რომლებიც ამაღლებს ადამიანის ინტელექტს, სხვა სიტყვებით, განათლების დონეს, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმაა. განათლება ადამიანური კაპიტალის შექმნაში ინვესტიციაა. ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების მსგავსად, ისიც შეიძლება ძვირადღირებული იყოს.

დიაგრამა 2.

უმსხვილესი დონორები მოცულობის მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)



ცხრილი 2.

მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობისა და OECD სექტორების მიხედვით (სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება)

სექტორი	ოდენობა
ჯანმრთელობა	1 829 591 400.35
მულტისექტორული სწავლება	454 539 871.10
სკოლამდელი/ დაწყებითი განათლება	138 127 673.07
კულტურა და დასვენება	121 048 141.50
დასაქმების პოლიტიკა	82 990 247.55
უმაღლესი განათლება	10 650 886.17
საშუალო განათლება	2 016 310.01
სოფლის განვითარება	1 540 582.63
სოციალური სერვისები	1 176 800.00
პროფესიული მომზადება	985 543.89
ურბანული განვითარება	388 500.00

უმაღლესი განათლების ეფექტიანობა სახელმწიფოს თვალსაზრისით, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს საზოგადოების დემოკრატიულობის დონის გათვალისწინებით, რაც არის მოქალაქეთა დამოუკიდებლობის ხარისხის მაჩვენებელი. რაც გულისხმობს დამოუკიდებელი, გააზრებული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობებს, მათ შორის ძალაუფლების სხვადასხვა ხარისხის მქონე სტრუქტურების ფორმირებას. ამიტომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და ასევე, სოციალური გარემო საზოგადოებაში, მთლიანობაში, მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული დამოუკიდებელი, განვითარებული პიროვნების ფორმირებაზე.

მსოფლიოს უმაღლესი განათლების ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენებენ სპეციალურ მაჩვენებელს – უმაღლესი განათლების უკუგების ნორმას. ის იქნა შემუშავებული მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და ადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა შემოსავლებსა და საშუალო განათლების მქონე პირთა შემოსავლებს შორის სხვაობის თანაფარდობას უმაღლესი განათლების დანახარჯების ოდენობასთან. ეს გვიჩვენებს ადამიანის მიერ განათლებაში განხორციელებული ინვესტიციების გამოსყიდვის დონეს, მსგავსად იმისა, თუ როგორ ხსნის მოგების ნორმა კაპიტალდაბანდების გამოსყიდვის ხარისხს. რაც უფრო მეტია უკუგების ნორმის მაჩვენებელი,რ მით უფრო ეფექტიანია უმაღლეს განათლებაში ინვესტირება.

ამრიგად, განათლება ადამიანის დახელოვნებასა და მწარმოებლურობას ზრდის, რის გამოც მას შეუძლია უფრო ეფექტიანად გამოიყენოს ხელთარსებული რესურსები, უფრო გონივრულად მიიღოს გადაწყვეტილებები, იპოვოს წარმოების ახალი გზები და გაიუმჯობესოს ცხოვრება. (დევიდ ნ. უეილი. ეკონომიკური ზრდა)

ინსტიტუციონალური დონის პროგრამები და ორგანიზაციული სტრატეგია უმაღლესი განათლების სფეროს განვითარებისთვის და სახელმწიფოს როლი განათლებაში

რასაკვირველია, იქ სადაც ქვეყნის ეკონომიკურ ფონს ვახსენებთ, აუცილებელია ყურადღების გამახვილება სახელმწიფოს როლზე განათლებაში. სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს განათლებით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ონლაინ სწავლებასთან შესაბამისობის მიზნით, მოდიფიცირდა სასწავლო გეგმები, გადაიხედა სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები. უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს შესაბამისი გზამკვლევები და ვიდეოინსტრუქციები სტუდენტებისა და ლექტორებისთვის. აგრეთვე, ონლაინ ლექცია/სემინარების ჩანაწერები იტვირთება შესაბამის პლატფორმაზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი განათლება ავითარებდეს იმ კომპეტენციებს, რომლებიც ხელს შეუწყობს პიროვნული განვითარებისა და სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. შესაბამისად, უმაღლესი განათლების კურიკულუმში უნდა აისახოს დემოკრატიული ღირებულებების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების, პიროვნული თავისუფლებისა და მეწარმეობის განვითარების საკითხები.

სოციალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების პარალელურად, უმაღლესი განათლება უნდა უქმნიდეს ინდივიდს ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას, თუმცა რეალობა მკვეთრად განსხვავებულია და საგანმანათლებლო პროგრამები აცდენილია შრომის ბაზრის მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია ჩატარდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა, საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირდეს შრომის ბაზართან, უნივერსიტეტებში გაძლიერდეს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრები.

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროექტები, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელ სააგენტო – ფულადი გრანტის/მიზნობრივი დაფინანსების გამცემი (დონორი) ორგანიზაცია, რომელმაც მიმდინარე პერიოდში „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებშირ(პროგრამული კოდი: 32 04 03 01) განახორციელა მიზნობრივი დაფინანსება 9,450.00 ევროს ოდენობით.

ასევე, საქართველოს განათლების სისტემამ ევროპული კომისიის მიერ მიიღო მიზნობრივი გრანტი, ოდენობით 3,760,000.00 ევრო პროგრამის „საერთაშორისო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა ჩართულობის ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 32 05 01 03)რფარგლებში.

აგრეთვე, კვლევების აღმასრულებელი სააგენტო (REA)-სგან მიღებულია მიზნობრივი გრანტი პროგრამის „მეცნიერების პოპულარიზაცია“ (პროგრამული კოდი 32 05 05) ფარგლებში, 197,500.00 ევროს ოდენობით.

პროგრამა „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტირდ საქართველო I2Q (IBRD)“ (შემდგომ – პროგრამა) ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამა მიზნად ისახავს: სასკოლო მზაობაზე წვდომის გაზრდას, ასევე, განათლების ხარისხისა და საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესებას. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის მიერ 2018-2023 წლების განათლების რეფორმის დღის წესრიგის უზრუნველყოფას, მათ შორის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამის დანერგვას. პროგრამა შესაბამისობაშია მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობის 2019-2022 ჩარჩო-დოკუმენტთან. პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოეწერა

საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის. სასესხო ხელშეკრულებით პროექტის ჯამურ ღირებულებად 104,805,001 ევრო განისაზღვრა, საიდანაც IBRD 90,000,000 ევროს ინვესტიციას განახორციელებს.

„თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის – პროექტი (ADB)“ პროგრამაა, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) მიერ აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით. პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდასა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით იმ შვიდ პრიორიტეტულ ეკონომიკურ სექტორში, რომელიც თანხვედრაშია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. პროგრამა გააძლიერებს პროფესიული განათლების ქვესექტორის შესაძლებლობას, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდასა და პრიორიტეტულ სექტორებში სამუშაო ადგილების შექმნას. ასევე, დანერგავს ინოვაციებს პროფესიული განათლების ხარისხის ასამაღლებლად და ხელს შეუწყობს მის ბაზრის საჭიროებებზე მორგებას, მათ შორის საჯარო-კერძო პარტნიორობის, დახელოვნების ცენტრების, დარგობრივი უნარების საბჭოების და პროფესიული საგანმანათლებლო ინსტიტუტების კავშირების განვითარების გზით. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია 2021-2027 წლებში.

უმაღლესი განათლების,რ ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სოციალური ორგანიზაციის, ეფექტიანობა განიხილება ორ სიბრტყეზე – საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებასთან მიმართებაში. აშკარაა მათი ურთიერთდამოკიდებულება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია მათი ცალ-ცალკე შესწავლა, როგორც დამოუკიდებელი, ერთიანი სისტემის შემადგენელი ცალკეული ელემენტი, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული მახასიათებელი ნიშნები.

განათლება, საბოლოო ჯამში, სამუშაო ძალის აღწარმოების გზით, უზრუნველყოფს მთლიანობაში საზოგადოების აღწარმოებას, რაც, თავის მხრივ, ავითარებს საწარმოო ურთიერთობებსა და საწარმოო ძალებს ნებისმიერ სფეროში, მით უფრო სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი არ არის მხოლოდ მომუშავის მიერ პროფესიული ვალდებულებების შესრულების შედეგი. ამიტომ უმაღლესი განათლების ეკონომიკური ღირებულება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებით. წარმოებაში დასაქმებულთა საგანმანათლებლო და კვალიფიციური პოტენციალის ამაღლება გამოიხატება როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი შემოსავლების ზრდით. შესაბამისად, განათლებას აქვს პირდაპირი ეკონომიკური სარგებელი.

უმაღლესი განათლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის

თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით უმაღლესი განათლების ძირითადი ფუნქცია არის პიროვნების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. უმაღლესი განათლების ანალიზისას გამოყოფენ მის სხვა ფუნქციებსაც. პირველი ფუნქცია პირობითად შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოების გენეტიკური კოდის გადაცემა. ეს გულისხმობს მომავალი თაობებისათვის არა მხოლოდ დაგროვილი ცოდნის და უნარების, სამეცნიერო კვლევებისა და იდეების გადაცემას, არამედ, აგრეთვე საზოგადოებაში მიღებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მორალური, ეთიკური და ტრადიციული ნორმების გადაცემას.

უმაღლესი განათლების ეკონომიკური ფუნქცია უმაღლესი განათლების სისტემაში მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის უნარების საზოგადოებრივ საქონლად და ეროვნულ სიმ-

დიდრედ გადაქცევაში გამოიხატება. ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება პრაქტიკაში კვალიფიციური კადრების მიერ მათი მომზადების დონისა და ხარისხის შესაბამისად. საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალი ეს არის საზოგადოების საწარმოო ძალა, რომელიც ფლობს უმაღლესი განათლების სისტემის მიერ მოწოდებულ ცოდნას.

განათლების პროცესი – პროდუქტიული პროცესია, რის შედეგაც ხდება ცოდნის შეთვისება, შენახვა და შევსება. ამრიგად, განათლებასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა იქნეს განხილული როგორც პროდუქტიული კაპიტალდაბანდება იმ პირობით, რომ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა თავისი შინაარსით და მოცულობით პასუხობს საზოგადოებრივი წარმოების ობიექტურ მოთხოვნებს.

განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სტრატეგიის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებმა, დონორმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, UNICEF-ი და აშშ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტი. სტრატეგიაში ასევე გათვალისწინებული იქნა მსოფლიო ბანკისა და USAID-ის მიერ შემუშავებული ანალიტიკური დოკუმენტები.

განათლებასა და მეცნიერებას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. მაღალი ხარისხის განათლება და მეცნიერება არის სოციალური კონსოლიდაციისა გარანტი. მაღალი ხარისხის განათლება ხელს უწყობს კეთილდღეობის ამაღლებას და პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამ მიზნების მისაღწევად, საგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი და ქვეყნის ყველა მოქალაქე უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით. უმაღლესი განათლების ხარისხის შენარჩუნებისა და ამაღლების პროცესში, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერება, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელთან (ENQA) თანამშრომლობის გაღრმავება. ENQA-ს სრულფასოვანი წევრის სტატუსის მოპოვება იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი ევროპის ერთიან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისთვის და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ცნობადობის გაზრდასა და მისდამი ნდობის ამაღლებას.

საერთაშორისო ორგანიზაციების გასული და მიმდინარე აქტივობები განათლების სფეროში, არსებული ვითარების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევები

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) ინტეგრირების, განათლების ხარისხის განვითარების და ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული: ამოქმედდა უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, შეიქმნა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, გაჩნდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობა.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე გადამუშავდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ამოქმედდა ბაკალავრიატის პრიორიტეტული მიმართულებების პროგრამული დაფინანსების მექანიზ-

მი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა, უმაღლესი განათლების სისტემაში ახალგაზრდების მოზიდვის მიზნით ამოქმედდა დოქტორანტების დაფინანსების პროგრამები, შეიცვალა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და კრიტერიუმები და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურები. თუმცა აღნიშნული ცვლილებები საკმარისი არ არის თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ. საჭიროა რეფორმის პროცესში საკანონმდებლო ბაზის გადამუშავება.

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ღიაა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 170-მდე უცხოენოვანი პროგრამა მოქმედებს, სადაც 10 000-მდე უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ($140 მლნ) ფარგლებში 2015 წლიდან სან-დიეგოს უნივერსიტეტი საქართველოში სამი ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს STEM (Science, Technology, Engineering and Mathematics) მიმართულებით. პირველად საქართველოში გაიცემა როგორც ქართული, ისე ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომები.

საქართველო აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამაში ERASMUS+ და 131 პარტნიორ ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს წარმატებული პროექტების კუთხით. 2016 წელს ERASMUS+ მობილობის პროგრამებში საქართველომ მოიპოვა 1465 სტიპენდია. 2017 წელს აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით. ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით დაფინანსდა 5 პროექტი. კრედიტების მობილობის პროგრამით მოპოვებულია 1333 სტიპენდია.

უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია ეხება უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის პროცესში კვლევის როლის განსაზღვრას. უმაღლესი განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ასევე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია ეროვნული სისტემების ნაყოფიერებისა და განვითარების ერთ-ერთი ეფექტური გზაა.

სამეცნიერო კვლევაზე დაფუძნებული განათლება მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ახალი ცოდნის შექმნა და გადაცემა, ინოვაციები და ტექნოლოგიები უმაღლესი განათლების დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სწავლებასა და სწავლასთან სამეცნიერო კვლევების ინტეგრირების ხელშეწყობისათვის საჭიროა როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ასევე პერსონალის დასაქმების შესაბამისი შიდა პროცედურების დახვეწა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ერთობლივ ხარისხებსა და პროგრამებს, როგორც უმაღლესი განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მდგრად მექანიზმს. ასევე, განხორციელდება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშემწყობი ღონისძიებები და პროგრამები. აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოში ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას ქართველი სტუდენტებისათვის და მოიზიდავს უცხოელ სტუდენტებს, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბებას.

ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია თანამედროვე და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია დასრულდეს აკრედიტაციის სტანდარტების განახლება და დარგობრივი მახასიათებლების განახლება/შემუშავება. ასევე მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა.

ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა სოციალური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ თვალსაზრისით, სტრატეგია განიხილავს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ორ ძირითად ასპექტს: ინკლუზიურობას და ფინანსურ ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების **(STI)** სისტემის მართვა რეგულირდება შემდეგი კანონებით: მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონი, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონი, გრანტების შესახებ საქართველოს კანონი და განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონი.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსების გავლენა საქართველოს უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე

ევროკავშირისა და ზოგადად, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში საქართველოს მეცნიერების ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ჩარჩო პროგრამებში და სამეცნიერო პროექტებში, (Horizon 2020, Cooperation in Science and Technology (COST) actions, Joint Research Center-ის პროგრამები) კვლევითი უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და კვლევითი ჯგუფების აქტიური ჩართულობა და საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობით ორმხრივი, მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი და ტექნოლოგიური პროექტების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობა აშშ-სთან, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებთან ღრმავდება და ერთობლივი სამეცნიერო აქტივობის ინდიკატორები ყოველწლიურად უმჯობესდება, ქართველი მეცნიერები კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ ორმხრივ და მრავალმხრივ პროგრამებში.

ქართველ მეცნიერებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურაზე და ბაზებზე, მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი თანამშრომლობს ELSEVIER-თან (წვდომა ელექტრონულ ჟურნალებსა და მონაცემებზე 21 საჯარო დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტისა და კვლევით უნივერსიტეტისგან შემდგარი კონსორციუმისთვის) და იხდის წლიურ საწევრო გადასახადს ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციისა (CERN) და დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტისთვის (DUBNA).

კონკურენტუნარიანი, ხარისხიანი კვლევების წარმოებისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის ეფექტური ინიცირებისათვის, აგრეთვე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში არსებული სამეცნიერო აპარატურისა და აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, შენახვის, ოპერირებისა და გამოყენების საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და მიდგომების დანერგვა და შესაბამისი საგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირება.

გლობალური ცოდნისა და ინოვაციების განვითარების გაზიარება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოსთვის. იმისათვის, რომ მსოფლიოში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემაში დაგროვილი ცოდნა ხელმისაწვდომი გახდეს და ჩვენი ქვეყნის სისტემა ჩაერთოს მსოფლიოში არსებულ მნიშვნელოვან ინოვაციურ ცენტრებსა და ბაზრებში, აუცილებელია კვლევისა და ტექნოლოგიების სფეროში საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის ინტერნაციონალიზაცია. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემაში ჩართულმა სამიზნე ჯგუფებმა და ძირითადმა მოთამაშეებმა უნდა მოიძიონ ინოვაციისთვის ყველაზე შესაფე-

რისო გარემო, გამოცდილი პერსონალი და მიიღონ წვდომა სტრატეგიულ კლიენტებსა და ბაზრებზე. მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების პოლიტიკის მხრივ, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადგილობრივი მონაწილეების დაკავშირება მსოფლიოს წამყვან ცოდნისა და ინოვაციების სისტემებთან.

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით, ასევე, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების ასიგნებების ფარგლებში.

ლიტერატურა:

1. იაკობაძე მ. (2019). *უმაღლესი განათლების დაფინანსების უცხოური გამოცდილება და საქართველოს პრაქტიკა, გვ 9*
2. მაჩაბელი გ. (ივლისი 2020). განათლების სახელმწიფო პოლიტიკა და რეფორმების სტრატეგიული დაგეგმვა. განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი.
3. ჯოჯუა. ნ (2020). *უმაღლესი განათლების როლი და ფუნქცია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის,* ეროვნული თავდაცვის აკადემია.
4. ჩახაია ლ. (2020). *უმაღლესი განათლებისა და კვლევის* დაფინანსება და და *ფინანსური მართვა.*
5. საქართველოს ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში, 2020
6. ფინანსთა სამინისტრო, 2020 წლის კვარტალური ეკონომიკური მიმოხილვა, გვ.7
7. საერთაშორისო სავალუტო ფონდი თანამშრომელთა ანგარიში ქვეყნების შესახებ 2020 (მე-7 გადახედვა)
8. მსოფლიო ბანკი, ბოლოდროინდელი ეკონომიკური სიახლეების მიმოხილვა
9. ბიზნესის წარმოების ინდექსი, 2020
10. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
    www.mes.gov.ge;
    http://mes.gov.ge/uploads/files/ganatleba-prezentacia.pdf?fbclid=IwAR2PcFjVIDMDK14BGKiS610KWFnNvpZqdfpUkwmuYMybhN47-PGIhIWdR7M
12. Heritage.org 2020 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი
13. საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 2021 წლის სტატისტიკა ცხოვრების დონის შესახებ
14. მთავრობის დადგენილება №238, 1 ივნისი, 2015.
15. მსოფლიო ბანკი, ბოლოდროინდელი ეკონომიკური სიახლეები მიმოხილვა
16. მსოფლიო ბანკი, ქვეყნების ახალი კლასიფიკაცია შემოსავლის დონის მიხედვით: 2019-2020
17. შრომის ეკონომიკა, ავტორთა კოლექტივი, თსუ,თბილისი, 2016 წ, 160 გვ.
18. დევიდ ნ. უეილი. ეკონომიკური ზრდა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა – 2016 წ. (წიგნი ხელმისაწვდომია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში), 297 გვ.
19. Jones, P. W. (1999). *Globalisation and the UNESCO mandate: Multilateral prospects for educational development.* International Journal of Educational Development, 19(1), 17-25.
20. Little, A. W. (1996). *Globalization and educational research: Whose context counts? International Journal of Educational Development*, 16(4), 427-438.

21. Alexis H. (April 2020). *Global education sector urged to face pandemic challenges together.* Daily global newspaper.
22. Private higher education establishments in Europe — the present condition and prospects of development / [ed. by Jozef Szablowski]. — Bialystok, 2005. — 220 p.
23. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98
24. https://www.lbcnews.co.uk/uk-news/cambridge-university-announced-move-to-hold-all-le/?fbclid=IwAR1p0ooCcl8_g6Z11hePtN76aaQcgl611P5jAY64T8m-3zC0PpzwIVJncDU
25. https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-globaluri-konkurentunarianobis-reitingshi/
26. https://www.radiotavisupleba.ge/a/25376568.html

The Role of Financing by International Donor Organizations in the Globalization of Georgian Higher Education

Mariam Melikidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

Education is no longer viewed as critical only to the economic and social development of a country – in a globalized world, its impact extends to the international arena. International aid agencies, therefore, have a stake in ensuring that developing countries take the necessary steps to provide education to their citizens. Donors can support efforts by developing countries to reduce such obstacles as regulatory and administrative barriers, fees and financial requirements, corruption in public administration, socio-cultural attitudes and lack of key business services.

In general, the patterns of international financial assistance to Georgia demonstrate the coherence with the major reform priorities of the country, Improving the quality of education and vocational training remains key to increasing the skills of the labor force and raising potential output in the medium term. Georgia is currently implementing the Unified Strategy of Education and Science (2017-2021) and the Strategy of Vocational Education and Training (2013-2020). The strategies are based on the principle of lifelong learning and aim at achieving a high level of accessibility and quality of education at all levels.

The Ministry of Education and Science of Georgia, with the support of the development partners, started actively working on the unified strategy and action plan for education and science for 2022-2032 that also includes the new TVET strategy (2021-2025). The unified strategy for 2022-2032 will be the main policy document of the Ministry, which will cover all areas of the education system: pre-school education, general, vocational and higher education, adult education and science.

Donors should provide technical assistance and capacity building targeted at supporting the formulation of competition policy and strengthening institutions responsible for enforcing competition law. A great deal of

hard work on the part of donors and governments has gone into the development of the education sector plans. In this context, the government needs to take charge of the development agenda to utilize donor support strategically.

This article traces the role donors have played in the development of national education policies and reform agendas over the decades. It also identifies key turning points at the national and international levels that have led to the introduction of new initiatives or a change in the direction of donor support.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის ინსტიტუციური გამოწვევები საქართველოში და მათი დაძლევის გზები

მელუა დავითი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას, რომლის მთავარი ინსტრუმენტი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელია. იგი ფართოდ გამოიყენება ევროკავშირში, როგორც ტერიტორიული უთანაბრობის შემცირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებას ასეთი უთანაბრობის შემცირებისთვის. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია ემყარება მუნიციპალიტეტების წამყვან როლს განვითარების დაგაგმვის პროცესის წარმართვასა და მონაწილების უზრუნველყოფაში. ხორვატიის, პოლონეთის და ლიეტუას გამოცდილება მოწმობს, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია: ძლიერი მუნიციპალიტეტები, კოორდინაციის გამართული სისტემა და თანამშრომლობა ადგილორბივ ბიზნესსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გამოცდილება საქართველოში მოკრძალებეულია და ძირითადად საერთაშორისო პროექტებით შემოიფარგლება. მთავარი გამოწვევაა სუსტი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილებანი და ფინანსები. სუსტია კოორდინაცია ხელისუფლების რგოლებს შორის და მოქალაქეთა მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში. გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია მუნიციპალიტეტების ფინანსური უფლებამოსილებების გაზრდა, ისევე, როგორც სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების გარდაქმნა ადგილობრივი განვითარების კოორდინაციის ეფექტიან რგოლად.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება, ადგილობრივი თვითმმართველობა.*

XXI საუკუნის განვლილმა ორმა ათწლეულმა ნათლად აჩვენა გლობალიზაციის და მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ახალი გამოწვევები. პოლიტიკურ წრეებში სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა კაპიტალის, საქონლის და სამუშაო ძალის გლობალიზაციის შედეგების შესახებ. აკადემიურ წრეებში ეს დისკუსია არახალია და ბევრი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფალ ვაჭრობას ჰყავს „გამარჯვებულები“ და „წაგებულები“, მაგრამ მთავარი გამოწვევაა არა მათი არსებობა, არამედ ის, რომ პოლიტიკის ინსტრუმენტები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ გლობალიზაციის ბენეფიციართა მაღალი სარგებლის გამოყენებას იმ დანაკარგის კომპენსირებისთვის, რაც ამ პროცესის სხვა მონაწილეებმა განიცადეს.

პოლიტიკის ინსტრუმენტების ჩავარდნა მწვავედ გამოიხატება ტერიტორიული განვითარების უთანაბრობაში სახელმწიფოთა შიგნით და ეს შეინიშნება, როგორც განვითარებად, ისევე მდიდარი ეკონომიკის მქონე ქვეყნებშიც. ტერიტორიული განვითარების უთანაბრობის საკითხი ევროკავშირის გაზრდილი ყურადღების საგანია. აქ ტერიტორიული პოლიტიკა ორიენტირებულია წევრ სახელმწიფოთა რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირებაზე. ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რასაც ევროკავშირი იყენებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელია.

რეგიონთა შორის უთანაბრობის შემცირება ევროპასთან ინტეგრაციის მთავარი წინაპირობაა, ამ კუთხით ცალკე გამოიყოფიან ქვეყნები, რომელთაც ასოცირებული წევრების სტატუსი აქვთ. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების 372-ე მუხლის ძალით საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებაა რეგიონული განვითარების პოლიტიკის მეთოდების ფორმულირება და იმპლემენტაცია. იმავე მუხლის მეორე პარაგრაფის ძალით საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს „მრავალდონიანი მმართველობის გაძლიერება იმდენად, რამდენადაც იგი დადებით გავლენას ახდენს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალური დონის მმართველობაზე, განსაკუთრებული აქცენტით ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ინტენსიფიკაციის გზებზე“ (The EU-Georgia AA). ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (LED) არის სწორედ ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად პასუხობს ამ ვალდებულების პირობებს.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კონცეფციის განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ცვლილებებთან და უწინარესად გლობალიზაციის ტენდენციის გაძლიერებასთან (Rogerson, 2015). შესაბამისად, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება განისაზღვრება როგორც პროცესი, რომელიც ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას აკავშირებს ადგილობრივ თავისებურებებთან და შესაძლებლობათა მასშტაბთან (Conti & Giaccaria, 2009). იგი არ აღმოცენებულა აკადემიურ წრეებში, როგორც ახალი თეორია, არამედ წარმოიშვა მრავალი აქტორის პრაქტიკული საქმიანობიდან ადგილობრივ დონეზე (Brikholzer, 2005). ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია გამოიხატება ფრაზით *„ადგილობრივი მუშახელისთვის სამუშაო საცხოვრებელ ადგილზე და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით“* (Robertson, 1985).

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესის შედეგიანობისთვის აუცილებელია შემდეგი პირობები: ა) ძლიერი და ქმედითი ადგილობრივი ხელისუფლების არსებობა; ბ) აქტიური ადგილობრივი საზოგადოება, რომელსაც აქვს ძლიერი თვითიდენტიფიკაცია ადგილობრივ თემთან და მზაობა საერთო საქმეში მონაწილეობისთვის (Brikholzer, 2005); გ) ისეთი რესურსების არსებობა, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კონკურენტული უპირატესობა; დ) მობილიზებული ადგილობრივი ბიზნესი, რომელსაც შეუძლია გაერთიანდეს საერთო სარგებლის მიღებისა და საკუთარი ინტერესების დასაცავად.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში მთავარი როლი ეკუთვნის ადგილობრივ ხელისუფლებას, განსაკუთრებით ახალგაზრდა დემოკრატიებში, სადაც საზოგადოება ფრაგმენტირებულია, ხოლო ადგილობრივი ბიზნესი ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ ფენას. ამ სტატიაში ჩვენი განხილვის საგანია არა მთლიანად ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგაგმვის და განხორციელების პროცესი, არამედ ამ პროცესის ინსტიტუციური ნაწილი.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ევროპული გამოცდილება

ევროკავშირში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გამოცდილების გაცნობისთვის სამი ქვეყანა შევარჩიეთ. ესენია: 1. ხორვატია, სადაც რეგიონები ომის შედეგად დაზარალდნენ და ევროკავშირში გაწევრიანებამდე არსებული ეკონომიკის სტრუქტურა წააგავს საქართველოს რეალობას; 2. პოლონეთი, როგორც ტერიტორიული განვითარების საუკეთესო მაგალითი აღმოსავ-

ლეთ ევროპაში და 3. ლიეტუა, რომლის ადგილობრივი ხელისუფლების სისტემა საქართველოს სისტემის მსგავსია.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელი ხორვატიის რესპუბლიკაში – აქ ადგილობრივი თვითმმართველობის ორდონიანი სისტემაა. პირველ დონეზე ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება 123 ქალაქსა და 428 სასოფლო თემში, სადაც აირჩევა მუნიციპალური საბჭო და მერი. მეორე დონეს განეკუთვნება 21 რაიონი *(Zupanije*), რომელსაც ჰყავს საკუთარი არჩეული საბჭო და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

ცხრილი 1. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობათა პროცენტული განაწილება წყაროების მიხედვით ხორვატიის რესპუბლიკაში

შემოსავლის წყარო		წილი %
საგადასახადო შემოსავლები		61.14
შემოსავალი ქონების ოპერირებიდან		7.93
ადმინისტრაციული ჯარიმები		18.41
სესხები		3.78
გრანტები და სუბსიდიები		8.74
	ჯამი	100

წყარო: CG31(2016)11final, Coe

ორივე დონის ადილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში. ხორვატიის კანონდებლობით რაიონს აქვს მინიჭებული ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და მართვის უფლებამოსილება. პირველი დონის ერთეულები პასუხისმგებელნი არიან მუნიციპალურ სამსახურებზე, სოციალურ სფეროზე, სივრცით განვითარებასა და მშენებლობაზე და სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხზე. რაიონული რგოლის უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი ეკონომიკა, დასაქმების ხელშეწყობა, სამუშაო ძალის განვითარება და პროფესიული განათლება.

ადგილობრივ თვითმმართველობას ძლიერი ფინანსური ბაზა აქვს. ამ სიძლიერის მთავარი ფაქტორი არის ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ადგილობრივი გადასახადია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკრეფილი ამ გადასახადის 76% მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტში, 16.5% რაიონის ბიუჯეტში, დარჩენილი ნაწილი მიემართება ფინანსური გათანაბრების ფონდში, საიდანაც ტრანსფერს იღებენ ღარიბი მუნიციპალიტეტები. ადგილობრივ ბიუჯეტებში რჩება მოგების გადასახადის 20%. ცხრილი 1 აჩვენებს, რომ ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტების მთლიანი შემოსულობების 61% პროცენტზე მეტი საგადასახადო შემოსავლებია, ხოლო შემოსულობათა 87% ზე მეტი საკუთარი წყაროებიდან მიღებული სახსრებია, რაც ერთერთი საუკეთესო მაჩვენებელია ევროპის კავშირში. პირველი დონის ბიუჯეტების 18% და მეორე დონის ბიუჯეტების 39% ხმარდება ეკონომიკურ განვითარებას და ბიზნესის ხელშეწყობას (CG3, 2016).

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესი ხორვატიის რესპუბლიკაში ორგანიზებულია ინტერ-მუნიციპალური თანამშრომლობის ფორმით. მუნიციპალიტეტები ქმნიან ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სააგენტოებს, რომელთა მმართველ საბჭოებში შედიან ორივე დონის მერები. ამ სააგენტოს აპარატი შერჩეულია პროფესიული ნიშნით და მათ აქვთ მუნიციპალური მოხელის სტატუსი. სააგენტოს მუშაობაში მონაწილეობენ ცენტრალური სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლები. სააგენტოს საქმიანობა მოიცავს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებას, სამუშაო ძალის და ბიზნესის კვლევას, ადგილობრივი ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელებას, მცირე საწარმოების მხარდაჭერას საკრედიტო რესურსებზე წვდომისთვის და სხვა. სააგენტო კოორდინაციის უწევს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესს. ამ პროცესის შედეგად მიღებული გეგმები მტკიცდება მმართველი საბჭოს მიერ, სხდომაში სათათბირო ხმით მონაწილეობენ დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენლები, სააგენტო ადგილობრივი და სახელმწიფო ბი-

უჯეტებიდან ფინანსდება. ცენტრალურ დონეზე შექმნილია ადგილობრივი განვითარების სააგენტოების ეროვნული საბჭო, რომლის მიზანია მოახდინოს სააგენტოების მიერ მიღებული გეგმების ჰარმონიზაცია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასთან და კოორდინაცია ხელისუფლების დონეებს შორის.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პოლონური მოდელი – აქ გადამწყვეტი როლი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკუთვნით და მუნიციპალიტეტები თავად წარმართავენ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავების და განხორციელების პროცესს. პოლონეთში ადგილობრივი თვითმმართველობის ორდონიანი სისტემაა, პირველი დონე მოიცავს 2, 478 ქალაქს და სასოფლო თემს (Gminy). მეორე დონეს წარმოადგენს 388 რაიონი (Powiaty). ორივე დონეზე არის არჩეული საბჭო და მერი. პოლონეთში მუნიციპალიტეტებს ფართო მანდატი აქვთ, რომელიც საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებებიდან შედგება. პირველი დონის უფლებამოსილებანი ფართოა და მოიცავს როგორც კომუნალურ სფეროს, ასევე ენერგოეფექტურობის, გარემოს დაცვის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის, ურბანულ გავითარებას და სხვა ადგილობრივ საკითხებს. მუნიციპალიტეტებს დელეგირებული აქვთ სამოქალაქო რეგისტრაცია და საჯარო რეესტრის წარმოება. ადგილობრივი ეკონომიკის საკითხები მეორე დონის თვითმმართველობის გამგებლობას განეკუთვნება. რაიონის უფლებამოსილებათა შორისაა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, დასაქმების ხელშეწყობა და შრომითი რესურსების გაძლიერება, პროფესიული განათლება და ადილობრივი ეკონომიკის ყველა ის საკითხი რომელთა გადაწყვეტა ცალკეული მუნიციპალიტეტის შესაძლებლობას აღემატება. საშემოსავლო გადასახადის 38% რჩება მუნიციპალიტეტის, ხოლო 10% რაიონის ბიუჯეტში, მოგების გადასახადის 7% მუნიციპალიტეტის, ხოლო 1.5% რაიონის ბიუჯეტში მიემართება. ცხრილი 2 აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 50% ადგილობრივი შემოსავლებია და დანარჩენი ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებული სახსრები.

ცხრილი 2. პირველი დონის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობათა პროცენტული განაწილება წყაროების მიხედვით პოლონეთის რესპუბლიკაში

შემოსავლის წყარო	წილი %
ზიარი გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი	19
ქონების გადასახადი	18
ადმინისტრაციული ჯარიმები და მოსაკრებლები	2
შემოსავალი ქონების ოპერირებიდან	4
გრანტები საერთაშ. ორგანიზ. და ევროკავშირდან	7
სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური დახმარება	18
მიზნობრივი ტრანსფერი	32
ჯამი	100

წყარო: CG36(2019). COE

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესს ქალაქის და სასოფლო თემის დონეზე წარმართავს პირველი დონის თვითმმართველი ერთეული, რაიონის დონეზე კი რაიონული თვითმმართველობა. კანონის „განვითარების

ცხრილი 3. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობათა პროცენტული განაწილება წყაროების მიხედვით ლიეტუაში

შემოსავლის წყარო	წილი %
საშემოსავლო გადასახადი	46
ქონების გადასახადი	4
გარემოზე ზემოქმედების მოსაკრებელი	3
მუნიციპალური მომსახურების მოსაკრებლები	5
შემოსავალი ქონების ოპერირებიდან	1
ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო გრანტები	1
სესხები	3
ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	37
ჯამი	100

წყარო: CPL35(2018), Coe

დაგეგმვის შესახებ“ ძალით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს რაიონის სტრატეგიას, ეს უკანასკნელი კი რეგიონის განვითარების სტრატეგიას. თავის მხრივ რეგიონების სტრატეგიები ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული

განვითარების სტრატეგიის ნაწილია. ყველა დონის გეგმა მტკიცდება წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ და აქვთ ნორმატიული აქტის სტატუსი.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელი ლიეტუაში – ქვეყანა დაყოფილია 60 დიდ მუნიციპალიტეტად, 40 ათასი მოსახლით საშუალოდ ერთ მუნიციპალიტეტზე. მუნიციპალიტეტები ქმნიან განვითარების რეგიონს, რომლის ამოცანაა მუნიციპალიტეტების კონკრეტული ჯგუფისთვის საერთო ადგილობრივი განვითარების გეგმების შემუშავება. რეგიონს ჰყავს რეგიონული განვითარების საბჭო რომელიც შედიან მუნიციპალიტეტების მერები, მუნიციპალური საბჭოების დელეგაცია, ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლები. საბჭოს შემადგენლობის 1/3 დაკომპლექტებულია ადგილობრივი ბიზნესის და სოციალური პარტნიორების წარმომადგენლებით. ლიეტუაში მუნიციპალიტეტთა 10 ასეთი გაერთიანებაა.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სფეროში მუნიციპალიტეტებს ფართო უფლებამოსილებანი გააჩნიათ, მათ შორის ადგილობრივი ბიზნესის და ტურიზმის მხარდაჭერა ისევე, როგორც სამუშაო ძალის განვითარება და შრომის ბაზრის გაუმჯობესება. ფართო უფლებამოსილებები გამყარებულია მაღალი ფინანსური შესაძლებლობებით. ადგილობრივი ბიუჯეტები იღებენ ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის 75%-ს, ასევე მუნიციპალიტეტის შემოსავლებს მიეკუთვნება მოსაკრებლების ფართო ჩამონათვალი. ცხრილი 3 აჩვენებს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის თითქმის 2/3-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს, რაც მუნიციპალიტეტების მაღალ ავტონომიურობას განაპირობებს. ლიეტუაში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესი რეგულირდება საკანონმდებლო აქტით, რომლის ძალითაც განსაზღვრულია რეგიონული განვითარების საბჭოს ამოცანები. საბჭოსთან იქმნება რეგიონული კომპეტენციის ოფისი, რომელშიც ადგილობრივი მოხელეების გარდა შედიან სახელმწიფო სააგენტოების წარმომადგენლები. ადგილობრივი და რეგიონული გეგმების ჰარმონიზაცია ხდება რეგიონის განვითარების საბჭოს მიერ. ცენტრალურ დონეზე შექმნილია ადგილობრივი განვითარების ფონდი, საიდანაც ფინანსდება კონკრეტული პროექტები. ცალკე არსებობს ორმხრივი საბჭო, სადაც წარმოდგენილია ლიეტუის მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლების ასოციაცია. ამ საბჭოს ამოცანაა კონსულტაციის გამართვა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ადგილობრივი განვითარების პროცესის კოორდინაციისა და დაფინანსების საკითხებზე.

სამივე მაგალითიდან იკვეთება შემდეგი საერთო ფაქტორები: ა) ადგილობრივი ეკონომიკური განვითრების დაგეგმვის პროცესი საჭიროებს ძლიერ მუნიციპალიტეტებს; ბ) აუცილებელია ეფექტური კოორდინაციის მექანიზმების არსებობა და გ) ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა ძირითადად ხდება თვითმმართველობის მეორე დონეზე ან მსხვილი მუნიციპალიტეტებში.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელის გამოყენება საქართველოში

2013 წლიდან მუნიციპალიტეტებში აქტიურად დაიწყო ადგილობრივი განვითარების გეგმების შემუშავების პროცესი, 2014 წლიდან შეიქმნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები, რეგიონის განვითარების სტრატეგიები დამტკიცებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. შეიქმნა რეგიონული განვითარების პროგრამა და საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა, შეიცვალა სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონებში დასაფინანსებელი პროექტების ფონდის ათვისების პროცედურები მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერების მიმართულებით, შეიქმნა მუნიციპალიტეტების საინვესტიციო პროფილები. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტუქტურის სამინისტროსთან შექმნილია „ადგილობრივი განვითარების კონცეფციის შემუშავების ეროვნული ჯგუფი“. ამრიგად, ადგილობრივი ეკონომიკური გავითრე-

ბის მიმართულებით მრავალი ნაბიჯი იქნა გადადგმული, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მოდელის გამოყენება მაინც ფრაგმენტულია და იგი ვერ გახდა ეკონომიკური მმართველობის ინსტრუმენტი. მთავარი მიზეზი, რაც ამ შედეგს განაპირობებს, არის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინსტიტუციური გამოწვევები კერძოდ: ა) განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესის ჩაკეტილობა ბ) სუსტი კოორდინაცია ხელისუფლების რგოლებს შორის და გ) სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა.

განვითარების პოლიტიკის შემუშავების პროცესის ჩაკეტილი და ერთჯერადი ხასიათი – პოლიტიკის შემუშავების პროცესი არ არის განხილული როგორც დემოკრატიული მმართველობის კომპონენტი. 2014 წელს შექმნილ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებში არ არის ადგილორბივი ბიზნესის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობა. არც ეროვნულ დონეზეა რაიმე ქმედითი მონაწილეობის ინსტრუმენტი. შედეგად, პოლიტიკის დოკუმენტები ემსახურება მოკლევანიან მიზნებს და არ არის შექმნილი აღსრულებისთვის. ამის მაგალითია რეგიონული განვითარების სტრატეგიები რომელთა განახლებაც კი არ მომხდარა.

სუსტი კოორდინაცია ხელისუფლების რგოლებს შორის – სამხარეო საკონსულტაციო საბჭოები ასეთად ვერ განიხილება, ვინაიდან 2014 წლიდან დღემდე არცერთ საბჭოს უმსჯელია ქვეყნის ეკონომიკური თუ რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე. მათი საქმიანობა მხარეში ინფრასტრუქტურის პროექტების სიის ავტომატური დამტკიცებით შემოიფარგლება. შედეგად ვიღებთ რეალობას, როცა ძალზე სუსტია ბმა მთავრობის პროგრამას „განახლებული რეგიონები“ და ამავე მთავრობის მიერ დამტკიცებულ 9 რეგიონის განვითარების სტრატეგიებს შორის.

ცხრილი 4. დ.ღ,გ და სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების წილი ადგილობრივი ბიჯეტების მთლიან შემოსავლებში 6 მუნიციპალიეტეტის მაგალითზე

მუნიცი-პალიტეტი	მლიანი შემოსა-ვლები (ათასი ლარი)	მათ შორის საგადა-სახდო (ათასი ლარი)	საგადა-სახადო შემოსავლები ს წილი მთლიან შემოსა-ვლებში %	დ.ღ.გ (ათასი ლარი)	დ.ღ. წილი საგადა-სახდო შემოსა-ვლებში %	დ.ღ.გ წილი მთლიან შემოს-ავლებ-ში %	ტრანსფერე ბი ცენტრ. ბიჯეტიდან (ათასი ლარი)	დ.ღ.გ. და გრანტების ერთიანი წილი მთლიან შემოსავლებში %
თბილისი	1 230 318.2	757 869.4	61.5	547 869.4	72	44.5	269 005	66
ბათუმი	225 417.0	76 162.6	34	47 162.6	62	20	111 000	70
მარნნეული	36 409.8	26 969.8	74	21 169.8	78	58	280	59
ჩოხატაური	11 761.8	7 700.5	65	5 500.5	71	46	1 813	62
ლენტეხი	5 349.7	4 879.7	91	4 839.7	99	90	120	92
ადიგენი	12 558,9	8 778.5	70	7 828	89	62	3 180	88

წყარო: www.matsne.gov.ge

სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობა – დეცენტრალიზაციის მრავალი ტალღის მიუხედავად, მუნიციპალიტეტები რჩებიან საჯარო მმართველობის სუსტ რგოლად. საქართველოში მუნიციპალიტეტებს არა აქვთ განვითარების პოლიტიკის ლოკალიზაციის უფლებამოსილება. ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (მე-16-ე მუხლი პარაგრაფი 4) მუნიციპალიტეტებს მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების ხელშეწყობის მანდატს აძლევს. ტე-

რიტორიით და მოსახლეობით საქართველოს მუნიციპალიტეტები შეესაბამებიან ხორვატიის და პოლონეთის მეორე დონის თვითმმართველობას, თუმცა, უფლებრივად ამ ქვეყნების სოფლების თვითმმართველობასაც კი ვერ უტოლდებიან. უფრო მძიმე საკითხია ფინანსური დამოუკიდებლობა და თვითკმარობა, მხოლოდ ქონების გადასახადი ვერ უზრუნველყოფდა ფინანსურ მდგრადობას. 2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით დამატებული ღირებულების გადასახადი (დ.ღ.გ) გამოცხადდა ზიარ გადასახადად, გაანგარიშებით, რომ დ.ღ.გ-დან მიღებული თანხის 19% გადაეცემოდა მუნიციპალიტეტებს. რეფორმის არგუმენტი იყო, რომ დ.ღ.გ მიბმულია ეკონომიკურ ზრდასთან და მუნიციპალიტეტები მიიღებენ დამატებით შემოსავალს. ამ რეფორმის განხორციელების პროცესში აღმოჩნდა, რომ საუბარია არა ზიარ გადასახადზე, არამედ დ.ღ,გ-დან მიღებული თანხის 19 %-ის განაწილებაზე მუნიციპალიტეტებს შორის და ამ ფონდის თითქმის ნახევარი (46%) თბილისს მიაქვს.

რეფორმის ხარვეზები რომ ვაჩვენოთ ჩვენ შევარჩიეთ 6 მუნიციპალიტეტი, 3 ყველაზე მდიდარი და 3 ყველაზე ღარიბი და ვნახეთ თუ როგორ აისახა დ.ღ.გ.-ს განაწილება მათ ფინანსურ მდგრადობაზე. ცხრილი 4-ს მიხედვით გამოდის, რომ ფინანსურად ყველაზე მდგრადი და განვითარებადი ეკონომიკის მქონეა ლენტეხის მუნიციპალიტეტი, დეპოპულაციის წინაშე მდგარი მაღალმთიანი დასახლება, ხოლო ყველაზე სუსტია ქალაქი ბათუმი, სიდიდით მეორე ქალაქი და დასავლეთ საქართველოს ურბანული ცენტრი. ცხადია, რომ ეს აბსურდია და მას ერთი ახსნა აქვს, არანაირი ზიარი გადასახადი საქართველოში არ გვაქვს, ეს არის დ.ღ.გ.-დან მიღებული თანხების 19%-ის გამოყენება ადგილობრივი ბიუჯეტების დეფიციტის შესავსებად და თავისი არსით ეს არის ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დ.ღ.გ-ს განაწილების ეს მოდელი უზრუნვეყოფს მხოლოდ იმას, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ავტომატურად ხდება ადგილობრივი ბიუჯეტის კორექტირება და ფინანსთა სამინისტროს ზედმეტი ჩარევები აღარ სჭირდება. ეს დადასტურდა კიდეც COVID 19 პანდემიის დროს, როცა პერმანეტულად ხდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტების კორექტირება (ჯიბუტი, 2020).

ქართული დილემა – დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი?

რატომ ვერ ხერხდება გამოწვევების დაძლევა, რა არის დასკვნა? პასუხი ცხადია – ცენტრალიზებულ სისტემებში იოლია ადმინისტრირება. ეს აზრი სწორია თუ ხელისუფლება ორიენტირებულია მოკლევადიანი, ერთი საარჩევნო ციკლის ამოცანების გადაჭრაზე. არამონაწილეობითი პროცესი საშუალებას აძლევს ხელისუფლებას საქმიანობა კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს მოარგოს. ცენტრალიზებული ფინანსები საშუალებას იძლევა სწაფად მიმართოს სახსრები ერთი ამოცანიდან მეორეზე; გაასწოროს მმართველობის ერთი დონის ჩავარდნა მეორე დონიდან სახსრების მობილიზების ხარჯზე. ხელისუფლების დონეებს შორის კოორდინაციის ვალდებულების არ ქონა შესაძლებელს ხდის ერთპიროვნული და სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას. ეს ყველაფერი კი განსაკუთრებით მიმზიდველია, თუ ფულადი სახსრები შეზღუდულია. დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე ყველა ხელისუფლება სწორედ ამ ტოქსიკური მიმზიდველობის მსხვერპლია.

რატომ არის ეს მიმზიდველობა ტოქსიკური? იმიტომ, რომ ცენტრალიზებული და არამონაწილეობითი პროცესები კლავენ განვითარების შესაძლებლობას. მონაწილეობითი პროცესის არარსებობა მთავრობას ადექვატურობას აკარგვინებს, კოორდინაციის არარსებობა დროის და ფულის ფლანგვას იწვევს, სუსტი ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობა ცენტრალურ მთავრობაზე ზეწოლას გაზრდას იწვევს, რასაც, ადრე თუ გვიან, პოლიტიკურ კრიზისში შევყავართ. შედეგად მცირდება რესურსები და იზრდება ცენტრალიზაციის ინერცია. ანუ იქმნება მოჯადოებული

წრე, რომლის გარღვევა პოლიტიკურ ნებას და სისტემურ რეფორმებს საჭიროებს. ყველა მთავრობისთვის ცხადია, რომ ეს ძნელ და შორეულ ამოცანებზე კონცეტრირებას საჭიროებს. ანუ მათთვის დგას დილემა – დღევანდელი კვერცხი ამჯობინონ თუ ხვალინდელი ქათამი, როგორც წესი, ბაზარზე კვერცხი უფრო მოთხოვნადია.

რაც დრო გადის, უფრო თვალნათლივი ხდება ცენტრალიზებული სისტემის ჩავარდნები და ეკონომიკური პოლიტიკის ახალი მიდგომების საჭიროება. ამასვე ითხოვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. ადგილობრივი განვითარების ინსტიტუციური გამოწვევების დასაძლევად საჭიროა:

ა) რეალური ზიარი გადასახადების შემოღება, უპირვილესად ეს უნდა შეეხოს ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს და დაიწყოს მუშაობა მუნიციპალიტეტების ფისკალური გათანაბრების სისტემის შექმნაზე.

ბ) მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, ბიზნესის ხელშეყობასა და შრომის ბაზრის გაუმჯობესებაში.

გ) აუცილებელია განვითარების დაგეგმვის შესახებ სამართლვებრივი ბაზის ფორმირება და სამხარო საკონსულტაციო საბჭოს რეფორმირება რათა ის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის რეალურ მაკოორდირებელ რგოლად იქცეს.

ლიტერატურა:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის
2. ჯიბუტი, მ. (2020) COVID 19 პანდემიის გავლენა მუნიციპალურ ბიუჯეტებსა და შემოსავლებზე საქართველოში. UNDP
3. Christian M. Rogerson, in International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences (Second Edition), 2015
4. S. Conti, P. Giaccaria, in International Encyclopedia of Human Geography, 2009
5. Sylvain Guguere (2007). Local Innovations for Growth in Central and Eastern Europe. Retrieved from https://read.oecd-ilibrary.org/urban-rural-and-regional-development/local-innovations-for-growth-in-central-and-eastern-europe/local-innovations-for-growth-in-central-and-eastern-europe_9789264038523-3-en#page1
6. Birkhölzer, K, (2006) Local Economic Development and its potential: Technologie-Netzwerk Berlin e.V
7. Robertson, J, (2005) The new economics of sustainable development a briefing for policy makers: Kogan page publishing
8. CG31(2016)11final Local and regional democracy in Croatia: CoE. Retrieved from https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=0900001680718dbe
9. Rodriguez-Pose, A (2001) Local economic development in the war-torn areas of Croatia, Supporting the transition towards a participatory and decentralized market economy: The Landon School of Economics.
10. CG36(2019)13final Local democracy in Poland, Coe retrieved from https://rm.coe.int/local-and-regional-democracy-in-poland-monitoring-committee-rapporteur/1680939003
11. Sienkiewicz, M.W. (2014) Citation: Local economic development policy in Poland: Determinants and outcomes. Journal Zbornik radova Ekonomskog fakulteta Rijeka. University of Rijeka. vol. 32(2). 405-427

12. Zrobek, S. et all (2016). Some Aspects of Local Real Estate Taxes as an Instrument of Land Use Management. Real Estate Management and Valuation. 24. 10.1515/remav-2016-0024.
13. The Government of Lithuania (2017). Lithuanian regional policy white paper – for harmonious and sustainable development 2017–2030
14. CPL35(2018) Local democracy in Lithuania, Coe. retrieved from https://vrm.lrv.lt/uploads/vrm/documents/files/LT_versija/Naujienos/Local%20democracy%20in%20Lithuania%20(2018).pdf

Institutional Challenges of Local Economic Development in Georgia and Ways of Mitigation

David Melua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

In the resent word balanced territorial development is on the top of the political agenda, that is based on the model of the local economic development (LED). This Method is used in the European Union within its development programs as one of the instruments for reduction of territorial disparities, the Georgia – EU Association agreement stipulate specific commitments taken by the government of Georgia in the field of regional development. The concept of LED is based on citizen participation and multilevel governance and projects municipalities an

driving force of local economic development. LED concept was not developed within the academic circles but from the practitioners who worked at the community level on the development planning. there are three basic preconditions to any successful LED projects: a) existence of strong and capable local authorities, b) mobilized local civil society that has strong self-identification with the community and c) capable local business that can unite for protection of local interests and d) existence of competitive advantages and unique resource that can be used for local development. Experience of Croatia, Poland and Lithuania show that LED process is a complex and varies from country to country, it is based on intermunicipal cooperation in Croatia while municipalities play more active role in LED planning and implementation, Regional Development Councils play critical role in local development in Lithuania and there are well institutionalized consultations between central government and local authorities. LED is relatively new concept for Georgia, some LED activities have already been organized by international organizations however these activities are fragmented and less efficient as there are no string and financially viable local authorities in Georgia, mechanisms for coordination among the levels of public administration are simply missing and citizen participation is extremely low especially in remote settlements. Resent initiatives of the government of Georgia on sharing of the Value Added Tax with municipalities does not provide financial sustainability to municipalities and Political decision makers face a dilemma to be concentrated on solving of ongoing issues or work for achievement of long-term development objectives.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების პროცესის შეფასება

თინა მელქოშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მაია გიორგობიანი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
მზია ტიკიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ნაშრომში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მიერ სწავლის პროცესის შეფასების შესახებ შედგენილი კითხვარების დამუშავების საფუძველზე მიღებული კვლევის შედეგები. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე შრომის ბაზარი საჭირო უნარებისა და ცოდნის მქონე კადრებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ციფრული განათლების ხელშეწყობა, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ზოგადად უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოჩენა, რათა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით, ნაშრომში შესწავლილია ისეთი საკითხები როგორიცაა: უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მუშაობენ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად; არსებობს თუ არა კავშირი სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელსა და დასაქმებას შორის, ეროვნული გამოცდების შედეგებით მიღებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და უნივერსიტეტში სწავლის საშუალო შეფასებას შორის, თსუ-ში სწავლის საშუალო შეფასებასა და დასაქმების დროს მიღებულ ანაზღაურებას შორის.

მოცემული საკითხების კვლევის შედეგების საფუძველზე სტატიაში გამოტანილია შესაბამის დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *კურსდამთავრებული, დასაქმება, GPA-ს გავლენა დასაქმებაზე და ხელფასზე.*

ახალ ტექნოლოგიებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ქვეყნის მდგრადი განვითარების სფეროში და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ციფრული ეკონომიკის განვითარება ითხოვს აბსოლუტურად ახალ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ციფრული უნარების მქონე ადამიანური კაპიტალის არსებობას.

ჩვენი კვლევის ობიექტია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე შრომის ბაზარი საჭირო უნარებისა და ცოდნის მქონე კადრებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ციფრული განათლების ხელშეწყობა, ციფრული ინფრასტრუქტურის განვითარება და სწავლების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა. მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ზოგადად უნივერსიტეტებში ამ მიმართულებით არსებული პრობლემების აღმოჩენა, რათა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათ აღმოსაფხვრელად. არაერთი სტატიაა გამოქვეყნებული

უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის მართვის სრულყოფის საკითხებსა (მელქოშვილი, უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის მართვის სრულყოფის საკითხები თსუ-ს მაგალითზე, 2016) და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით (მელქოშვილი, კურსდამთავრებულთა დასაქმება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით., 2018). თუმცა ჯერ არ ჩატარებულა კვლევა, რომელიც სტუდენტთა მიერ სასწავლო პროცესის შეფასებაზეა ორიენტირებული. სწორედ ამგვარ კვლევას ასახავს მიმდინარე სტატია.

კვლევის ამოცანას წარმოადგენს :

- დაადგინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მუშაობენ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად;
- დაადგინოს არსებობს თუ არა კავშირი სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელსა და დასაქმებას შორის
- დაადგინოს არსებობს თუ არა კავშირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მიღებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობასა და უნივერსიტეტში სწავლის საშუალო შეფასებას შორის
- დაადგინოს არსებობს თუ არა კავშირი თსუ-ში სწავლის საშუალო შეფასებასა და დასაქმების დროს მიღებულ ანაზღაურებას შორის
- დაადგინოს დასაქმების დროს რომელ სტრუქტურას ანიჭებენ უპირატესობას – კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურებს

ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხების გამოკვლევას საფუძვლად დაედო ანკეტა-კითხვარი, რომელიც შევსებული იქნა თსუ-ს 561 კურსდამთავრებულის მიერ. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავებისთვის და ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამული პაკეტი – SPSS (UCLA: Statistical Methods and Data Analytics, Accesssed 22 October, 2022). კვლევის შედეგების საფუძველზე გამოტანილ იქნა შესაბამისი დასკვნები.

ცვლადთა შორის კავშირების არსებობის დასადგენად, ცვლადთა ტიპებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ტესტები, შედეგების ვიზუალიზაციისთვის კი – გრაფიკული ანალიზი.

კვლევის ჩატარებისას – უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები მუშაობენ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად და გამოადგათ თუ არა უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა დასაქმების დროს, გამოიკვეთა შემდეგი: (იხ.დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



რესპონდენტების უმეტესობა (47%) დასაქმებულია პროფესიის მიხედვით, თუმცა არც თუ ისე მცირე პროცენტული წილით გამოირჩევა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც არ არიან პროფესიის მიხედვით დასაქმებულნი (31%).

რაც შეეხება რესპონდენტებს, რომლებსაც გამოადგათ თსუ-ში მიღებული ცოდნა დასაქმების დროს, მათი ოდენობა შეადგენს 37%-ს, რაც არ არის მაღალი მაჩვენებელი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრილი1) ასახავს დამოკიდებულებას პროფესიის მიხედვით დასაქმებასა და დასაქმების დროს თსუ ში მიღებული ცოდნის გამოდგომას შორის.

ცხრილი 1

			პროფესიის მიხედვით ხართ დასაქმებული?		
			კი	არა	ნაწილობრივ
გამოგადგათ თუ არა თსუ-ში მიღებული ცოდნა დასაქმების დროს?	კი	Count	113	46	33
		Row N %	59%	24%	17%
	არა	Count	51	46	31
		Row N %	40%	36%	24%
	ნაწილობრივ	Count	75	59	54
		Row N %	40%	32%	29%

როგორც ცხრილიდან ჩანს, უმრავლესობას (59%) პროფესიის მიხედვით დასაქმებისას გამოადგა თსუ-ში მიღებული ცოდნა, თუმცა საკმაოდ დიდი პროცენტული წილით (40%) სახელდება ის კატეგორია, რომელთაც არ გამოადგათ მიღებული ცოდნა.

კვლევისას დადგინდა, რომ პროფესიის მიხედვით დასაქმებასა და თსუ-ში მიღებულ ცოდნას შორის არსებობს მჭიდრო სტატისტიკური კავშირი 0,01 დონეზე (P= 0.001, ხოლო ხი-კვადრატ კოეფიციენტი ტოლია 18644-ის), რასაც ასაბუთებს ცხრილი 2-ში მიღებული ხი კვადრატ ტესტის შედეგები.

ცხრილი 2

Pearson Chi-Square Tests

		პროფესიის მიხედვით ხართ დასაქმებული?
გამოგადგათ თუ არა თსუ-ში მიღებული ცოდნა დასაქმების დროს?	Chi-square	18.644
	df	4
	Sig.	.001

საინტერესოა აგრეთვე ფაკულტეტების ჭრილში დასაქმებისა და ხელფასის ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც აისახება ცხრილი 3-ში.

როგორც ცხრილიდან ჩანს კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში (გარდა იურიდიული და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისა). ამასთან შესამჩნევია ის ფაქტი, რომ მაღალანაზღაურებადი ხელფასით (>2000) კურსდამთავრებულები ასევე დასაქმებულნი არიან კერძო სექტორში.

ცხრილი 3

ფაკულტეტი	ხელფასი	დასაქმება			
		სახელმწიფო სექტორი		კერძო სექტორი	
		Row N %	Column N %	Row N %	Column N %
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	<=500	20.0%	25.0%	80.0%	22.2%
	501-1000	8.3%	25.0%	91.7%	61.1%
	1001-1500	50.0%	50.0%	50.0%	11.1%
	1501-2000	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	2000>	0.0%	0.0%	100.0%	5.6%
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	<=500	22.2%	22.2%	77.8%	35.0%
	501-1000	28.6%	44.4%	71.4%	50.0%
	1001-1500	50.0%	33.3%	50.0%	15.0%
	1501-2000	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	2000>	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	<=500	33.3%	50.0%	66.7%	46.2%
	501-1000	37.5%	50.0%	62.5%	38.5%
	1001-1500	0.0%	0.0%	100.0%	7.7%
	1501-2000	0.0%	0.0%	100.0%	7.7%
	2000>	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი	<=500	0.0%	0.0%	100.0%	15.1%
	501-1000	10.7%	60.0%	89.3%	47.2%
	1001-1500	6.7%	20.0%	93.3%	26.4%
	1501-2000	20.0%	20.0%	80.0%	7.5%
	2000>	0.0%	0.0%	100.0%	3.8%
იურიდიული ფაკულტეტი	<=500	20.0%	18.2%	80.0%	50.0%
	501-1000	62.5%	45.5%	37.5%	18.8%
	1001-1500	66.7%	36.4%	33.3%	12.5%
	1501-2000	0.0%	0.0%	100.0%	6.3%
	2000>	0.0%	0.0%	100.0%	12.5%
მედიცინის ფაკულტეტი	<=500	42.9%	75.0%	57.1%	40.0%
	501-1000	16.7%	25.0%	83.3%	50.0%
	1001-1500	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	1501-2000	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	2000>	0.0%	0.0%	100.0%	10.0%
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი	<=500	50.0%	16.7%	50.0%	25.0%
	501-1000	50.0%	33.3%	50.0%	50.0%
	1001-1500	100.0%	33.3%	0.0%	0.0%
	1501-2000	100.0%	16.7%	0.0%	0.0%
	2000>	0.0%	0.0%	100.0%	25.0%

კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან მაღალანაზღაურებადი ხელფასით გამოირჩევა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის და იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად სახელდება ხელფასის მეორე კატეგორია 501-1000 ლარამდე ხელფასით (61,1%).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად დომინირებს ხელფასის მეორე კატეგორია 501-1000 ლარამდე ხელფასით (50%).

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად სახელდება ხელფასის პირველი კატეგორია 501 ლარამდე ხელფასით (46,2%).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად დომინირებს ხელფასის მეორე კატეგორია 501-1000 ლარამდე ხელფასით (47,2%).

იურიდიული ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად სახელდება ხელფასის პირველი კატეგორია 501 ლარამდე ხელფასით (50%).

მედიცინის ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად დომინირებს ხელფასის მეორე კატეგორია 501-1000 ლარამდე ხელფასით (50%).2

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კერძო სექტორში დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან ყველაზე მეტად დომინირებს ხელფასის მეორე კატეგორია 501-1000 ლარამდე ხელფასით (50%).

ამასთან ყურადღება მისაქცევია ის ფაქტი, რომ მაღალანაზღაურებადი ხელფასით (2000-ზე მეტი) ყველაზე მეტად გამოირჩევა ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი (რესპონდენტების 25%).

ცხრილი 4 ასაბუთებს რომ ფაკულტეტი გავლენას ახდენს დასაქმებასა და ხელფასზე, ამასთან ფაკულტეტს ორივე ცვლადთან გააჩნია მაქსიმალური სტატისტიკური კავშირი (P სტატისტიკური მნიშვნელოვანება არ აღემატება 0.001-ს). თუმცა ხი კვადრატ კოეფიციენტის მიხედვით ჩანს, რომ ფაკულტეტი უფრო მეტ გავლენას ახდენს ხელფასზე, ვიდრე დასაქმებაზე.

ცხრილი4

Test Statistics

	დასაქმება	თქვენი ყოველთვიური ხელფასი
Chi-Square	32.916	50.623
df	6	6
Asymp. Sig.	.000	.000

კვლევის დროს გამოიკვეთა აგრეთვე, რომ სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი მაქსიმალური სტატისტიკური კავშირით (P არ აღემატება 0.001-ს) გავლენას ახდენს სწავლის საშუალო შეფასებასა (GPA) და დასაქმებაზე, რაც საბუთდება ხი კვადრატ ტესტის შედეგებიდან (იხ. ცხრილი 5). თუმცა ხი კვადრატ კოეფიციენტის მიხედვით ჩანს, რომ სახელმწიფო სასწავლო გრანტი ბევრად მეტ გავლენას ახდენს (Chi-Square=107.207) სწავლის საშუალო შეფასებაზე (GPA), ვიდრე დასაქმებაზე (Chi-Square=36.223).

ცხრილი 5

Test Statistics

	დასაქმება	GPA
Chi-Square	36.223	107.207
df	3	3
Asymp. Sig.	.000	.000

სახელმწიფო სასწავლო გრანტის, სწავლის საშუალო შეფასების (GPA) და დასაქმების ურთიერთკავშირი ვიზუალურად გამოისახება შემდეგ დიაგრამაზე (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



დიაგრამიდან ჩანს, რომ რაც უფრო მაღალია სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სწავლის საშუალო შეფასება, მით უფრო მაღალია სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. იკვეთება ასევე ის გარემოება, რომ ნულოვანი გრანტის შემთხვევაში მაღალია უმუშევრობის დონე. 50% გრანტის მქონე კურსდამთავრებულთა შემთხვევაში დომინირებს კერძო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა. 70% გრანტის მქონე კურსდამთავრებულთა შემთხვევაში მაღალი GPA-ის მქონე სტუდენტებში დომინირებს კერძო სექტორი, – სახელმწიფო სექტორი. 100% გრანტის მქონე კურსდამთავრებულებიდან 3.5-ზე მეტი GPA-ის შემთხვევაში დომინირებს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

გენდერულ ჭრილში ხელფასისა და GPA-ის დამოკიდებულებაში იკვეთება შემდეგი გარემოება: მდედრობითი სქესის 3-დან 4-მდე GPA-ის მქონე რესპონდენტებისთვის ყველაზე მეტი სიხშირით სახელდება ხელფასის მეხუთე (>2000) კატეგორია, ხოლო მამრობითი სქესის 3-დან 4-მდე GPA-ის მქონე რესპონდენტებისთვის ყველაზე მეტი სიხშირით სახელდება ხელფასის მეოთხე (1501-2000) კატეგორია. (ცხრილი6).

ცხრილი 6

GPA		სქესი									
		მდედრ					მამრ				
		ხელფასი					ხელფასი				
		<= 500	501-1000	1001-1500	1501-2000	2000 >	<= 500	501-1000	1001-1500	1501-2000	2000 >
<1.45	Row N %	25.0%	25.0%	37.5%	0.0%	12.5%	16.7%	83.3%	0.0%	0.0%	0.0%
	Column N %	4.9%	3.3%	9.4%	0.0%	25.0%	6.7%	14.7%	0.0%	0.0%	0.0%
1.45-1.99	Row N %	0.0%	66.7%	0.0%	0.0%	33.3%	37.5%	37.5%	25.0%	0.0%	0.0%
	Column N %	0.0%	3.3%	0.0%	0.0%	25.0%	20.0%	8.8%	16.7%	0.0%	0.0%
2-2.44	Row N %	28.6%	42.9%	19.0%	9.5%	0.0%	16.7%	66.7%	8.3%	0.0%	8.3%
	Column N %	14.6%	14.8%	12.5%	40.0%	0.0%	13.3%	23.5%	8.3%	0.0%	33.3%
2.45-2.99	Row N %	25.0%	68.8%	6.3%	0.0%	0.0%	9.1%	45.5%	27.3%	9.1%	9.1%
	Column N %	9.8%	18.0%	3.1%	0.0%	0.0%	6.7%	14.7%	25.0%	50.0%	33.3%
3-3.44	Row N %	20.0%	46.7%	26.7%	6.7%	0.0%	15.4%	46.2%	30.8%	0.0%	7.7%
	Column N %	14.6%	23.0%	25.0%	40.0%	0.0%	13.3%	17.6%	33.3%	0.0%	33.3%
3.45-3.99	Row N %	35.2%	38.9%	20.4%	1.9%	3.7%	37.5%	43.8%	12.5%	6.3%	0.0%
	Column N %	46.3%	34.4%	34.4%	20.0%	50.0%	40.0%	20.6%	16.7%	50.0%	0.0%
4	Row N %	36.4%	18.2%	45.5%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
	Column N %	9.8%	3.3%	15.6%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%

არსებობს თუ არა სტატისტიკური კავშირი გენდერულ ჭრილში ხელფასსა და GPA-ს შორის, გვიჩვენებს ხი კვადრატ ტესტის შედეგები (ცხრილი 7).

ცხრილი 7

Pearson Chi-Square Tests

		სქესი	
		მდედრ	მამრ
		თქვენი ყოველთვიური ხელფასი	თქვენი ყოველთვიური ხელფასი
GPA	Chi-square	96.212	41.204
	df	24	20
	Sig.	.000	.004

გენდერულ ჭრილში ხელფასსა და GPA-ს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი 0.01 დონეზე (მდედრობითი სქესის რესპონდენტთათვის P არ აღემატება 0.001-ს, Chi-square=96.212, მამრობითი სქესის შემთხვევაში კი P=0.004 და Chi-square=41.204). მაშასადამე, გენდერულ ჭრილში იკვეთება განსახვავებული ტენდენციები ხელფასის კატეგორიების მიმართ.

ამრიგად, ყველა ზემოხსენებული კვლევიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარკვეულწილად აკმაყოფილებს სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა უფრო მეტად გამოადგეს კურსდამთავრებულს დასაქმების და მუშაობის პროცესში, საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მეტი ყურადღება გაამახვილოს იმაზე, რომ სწავლება მორგებული იყოს სამუშაო ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე (Kharadze N.; Melkoshvili T.; Giorgobiani M;, 2021)

აღნიშნული საჭიროებების აუცილებლობა აჩვენა პანდემიის დროს დისტანციური სწავლების დროს გამოვლენილმა ხარვეზებმა (გიორგობიანი, ტიკიშვილი, & ფირცხალაიშვილი, 2021).

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რამდენადაც სწავლის საშუალო შეფასება დასაქმებისა და მაღალი ანაზღაურების ხელშემწყობი ფაქტორია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლების პროცესის წახალისების და სტიმულირების ხელშემწყობი ღო-

ნისძიებების შემუშავებას და განხორციელებას: თანამედროვე ელექტრონული სასწავლო პორტალების ჩართვა სწავლების პროცესში, სწავლის პროცესის დამფინანსებელი პროგრამების მოცულობის გაზრდა, უნივერსიტეტის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების ტრენინგკურსების გამოყენებით და ა.შ.

ლიტერატურა:

1. Kharadze N.; Melkoshvili T.; Giorgobiani M;. (2021). Effective strategies to manage the teacher intellectual work productivity in distance learning;. *of Eastern European and Central Asian Research (Vol. 8)*, 653-665.
2. Tikishvili, M. (2021). General Analysis Using of Digital Communication Tools by Students in Distance Learning, Caused by Coronavirus. *Innovative Economic Management* , 82-91.
3. UCLA: Statistical Methods and Data Analytics. (Accesssed 22 October, 2022). *What statistical analysis should I use? Statistical analyses using SPSS.* from https://stats.oarc.ucla.edu/spss/whatstat/what-statistical-analysis-should-i-usestatistical-analyses-using-spss/: UCLA.
4. გიორგობიანი, მ., ტიკიშვილი, მ., & ფირცხალაიშვილი, დ. (2021). პანდემია და დისტანციური სწავლება – პროფესორ მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხედულებების შედარებითი ანალიზი. *V! საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია*, 65-74.
5. მელქოშვილი, თ. (2016). უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის მართვის სრულყოფის საკითხები თსუ-ს მაგალითზე. *სოციალური ეკონომიკა“ „N5-6,სტუ*, 52-54.
6. მელქოშვილი, თ. (2018). კურსდამთავრებულთა დასაქმება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. *III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.* (pp. 254-258). https://www.tsu.ge/data/File db/economist faculty/konference.pdf: თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.

Teaching process estimate by graduates of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tina Melkoshvili
Doctor of Business Administration, Associate Professor
Maia Giorgobiani
Doctor of Economics, Associate Professor
Mzia Tikishvili
Doctor of Economics, Assistant Professor

SUMMARY

The current research of the learning process by graduates showed us that the knowledge gained at TSU affects on the employment of graduates. However, the modern labor market, due to high competition, requires even more professionally prepared personnel. Accordingly, it is important to develop supporting measures for raising the quality of professional education: inclusion of modern electronic learning portals in the teaching process, increasing the volume of funding programs for the learning process, raising the qualifications of academic staff using teaching training courses, etc.

ეკონომიკის ფინანსებიზაცია: ბოროტება თუ სიკეთე?

ელგუჯა მექვაბიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ეკონომიკის ფინანსებიზაცია თანამედროვე ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა. იგი განპირობებულია ეკონომიკის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძვლებში განხორციელებული თვისებრივი ძვრებით, რამაც წინა პლანზე წამოწია სამეურნეო სისტემის ფინანსური პარამეტრების განსაკუთრებული მნიშვნელობა. ფინანსებიზაცია დამახასიათებელია, როგორც გლობალური, ისე პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკებისათვის. ფინანსებიზაცია რთული და მრავალწახნაგიანი პროცესია, რომელიც იწვევს მთელ რიგ პრობლემებს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია კაპიტალისტური ეკონომიკის „ფინანსური სიმყიფის" (ჰ. მინსკი) გაძლიერება და მისგან გამომდინარე მწვავე ფინანსური კრიზისების წარმოქმნის საფრთხის გაზრდა. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა მოსაზრებებიც, რომლებიც ეკონომიკის ფინანსებიზაციის უარყოფითი მხარეების იგნორირებას ახდენს და მას მხოლოდ დადებითი კონტექსტით განიხილავს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ახალი რაოდენობრივი თეორია" (MMT), რომელიც „ახალი ფინანსური რეალობის" შექმნის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად განიხილება. წარმოდგენილი ნაშრომი ეკონომიკის ფინანსებიზაციასთან დაკავშირებული ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებათა ანალიზს ეძღვნება და ავტორის საკუთარ პოზიციასაც გვთავაზობს.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკის ფინანსებიზაცია, დერივატივიზაცია, „ახალი რაოდენობრივი თეორია", „ახალი ფინანსური რეალობა", გლობალური ფინანსური კრიზისი, კორონომიკური კრიზისი.*

გლობალიზაციამ და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ არსებითად შეცვალა თანამედროვე ეკონომიკური სისტემების სტრუქტურა, რომლის ერთერთ მთავარ გამოხატულებას წარმოადგენს ფინანსური სექტორის როლის არნახული გაზრდა და მისი პრიორიტეტულობა ეკონომიკის რეალურ სექტორთან მიმართებით. აღნიშნულმა კანონზომიერებამ სამეცნიერო ლიტერატურაში მიიღო ეკონომიკის ფინანსებიზაციის სახელწოდება. ცნობილია, რომ ისტორიულად, ფინანსური სექტორი რეალურ სექტორს იყო დაქვემდებარებული და მის ნორმალურ ფუნქციონირებას ემსახურებოდა. ამგვარი დადებითი კორელაცა ორ სექტორს შორის გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებამდე არსებობდა. 1970-იანი წლებიდან დაიწყო ათი ერთმანეთისგან დაცილება და ამჟამად ეკონომიკის ფინანსური სექტორი იმდენადაა ჰიპერტროფირებული, რომ იგი არა მხოლოდ საკუთარი შინაგანი ლოგიკით ვითარდება, არამედ ბევრ შემთხვევაში რეალური სექტორის ფუნქციონირების წესს და განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს.

ეკონომიკის ფინანსებიზაციის მიმართ ეკონომისტების დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთი მათგანი მას თანამედროვე ეკონომიკის „ფინანსურ სიმყიფიდან" (ჰ. მინსკი) გამომდინარე როგორც რეგიონული, ისე გლობალური ფინანსური კრიზისების წარმოქმნის მთავარ მიზეზად მიიჩნევს. არსებობს მოსაზრებები, რომლის თანახმადაც ფინანსებიზაცია ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად განიხილება. სწორედ ამ დაპირისპირებული შეხედულებების ანალიზია მოცემული ჩვენს ნაშრომში.

ეკონომიკის ფინანსებიზაციის არსი, გამოხატულების ფორმები და წინააღმდეგობები

ეკონომიკის ფინანსებიზაციას რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები გააჩნია. ამ პროცესის რაოდენობრივ ასპექტზე, ჩვენი აზრით, ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები (მექვაბიშვილი, 2018, 92-93):

- 1970-იან წლებში საფინანსო ინსტიტუტების მიერ იქმნებოდა აშშ-ს ეკონომიკაში წარმოქმნილი მოგების დაახლოებით 15%, ამჟამად კი 50%-ზე მეტი;
- 1980-2005 წლებში ფინანსური სექტორის მოგება რეალურ გამოხატულებაში 800%-ით გაიზარდა, რეალურ სექტორისა კი 250%-ით;
- მსოფლიო ფინანსური ბაზრების კაპიტალიზაცია 2002-2007 წლებში თითქმის სამჯერ გაიზარდა და 47 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2007 წლის გლობალური მშპ-ის 272% იყო, 2002 წლის 204,7%-ის ნაცვლად; ამ თვალსაზრისით ყველაზე გამოირჩევა აშშ, სადაც თანაფარდობა შეადგენს 445%-ს.
- ბოლო რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში მუდმივად მცირდებოდა ეკონომიკის რეალურ სექტორში წარმოებული დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი. კერძოდ: 1959 წელს იგი იყო 55%, 1987 წელს – 52%, 1995 წელს – 48%, 2000 წელს – 41%, 2008 წელს კი -35%; სამაგიეროდ იზრდებოდა ფინანსურ სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი. მაგალითად, აშშ-ში 2009 წელს იგი შეადგენდა 67%-ს;
- ყველაზე მაღალი მოგების მქონე 500 ამერიკული კომპანიიდან 1995 წლამდე ყველა ეკონომიკის რეალურ სექტორში ოპერირებდა, 2007 წელს კი ყველაზე მომგებიანი კომპანიების პირველ ათეულში მხოლოდ ფინანსური კომპანიები შედიოდა;
- 1980-იან წლებში ფინანსური კორპორაციების ხვედრითი წილი აშშ-ის კომპანიებში 10%, ხოლო 2007 წელს – 40% იყო.

შეუძლებელია, რომ ზემოაღნიშნულ გიგანტურ ცვლილებებს არ გამოწვევია ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში ძირეული ძვრები, რაც გამოიხატა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ფინანსური სექტორის ფუნქციებისა და როლის პრინციპული შეცვლით. როგორც ფ. ლოკიე და დ. ბლეიდსი აღნიშნავენ (ლოკიე, ბლეიდსი, 2018, 485): თანამედროვე პირობებში „ფინანსები ტირანულ ძალად გადაიქცა და ეკონომიკაში იმ სტრუქტურულ პოზიციას იკავებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს საკუთარი წესები და ლოგიკა თავს მოახვიოს სხვა სტრუქტურულ ელემენტებს.“

ეკონომიკის ფინანსებიზაცია რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი (Binswager, 1999):

ა. „გამოდევნის ეფექტი“: ინვესტორები ამჯობინებენ ფინანსურ სექტორში ინვესტირებას, ვინაიდან ამ სფეროში შესაძლებელია უფრო მაღალი მოგების უფრო სწრაფად მიღება. რესურსების შეზღუდულობის პირობებში, რომელიც ეკონომიკის ფუნქციონირების უნივერსალური კანონზომიერებაა, ბუნებრივია, რომ ეს რესურსები აკლდება რეალურ სექტორს და ხელს უშლის მის სწრაფ განვითარებას. გამოდევნის ეფექტის განსაკუთრებით უარყოფითი ზეგავლენა მრეწველობის დარგის განვითარებაზე მთელი სიცხადით გამოიკვეთა ე.წ. პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში. ასე მაგალითად, გადამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი ამ მაჩვენებლის მთელ მოცულობაში შეადგენდა: აშშ, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში დაახლოებით 10%-ს, ესპანეთში 12%-ს. ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო ჩინეთში – 33% და

ე.წ. „ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში“ – სამხრ. კორეაში – 29%, მალაიზიაში 25% და ა.შ. (Фридман Дж., Краус В. 2010.123).

ბ. „ფინანსური დომინირების ჰიპოთეზა.“ ფინანსური სპეკულაციები სულ უფრო მზარდ ზეგავლენას ახდენს ისეთ ფუნდამენტურ ეკონომიკურ ცვლადებზე, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთები და სავალუტო კურსები. ფინანსური სექტორის დომინირებიდან გამომდინარე ფინანსური მაჩვენებლები ხშირ შემთხვევაში რეალური სექტორისთვის ქმნის ყალბ ორიენტირებს და არასწორი მიმართულებით უბიძგებს პროცესებს.

საბოლოო ანგარიშით, ზემოაღნიშნული მიმართულებები გამოიხატება ჰ. მინსკის „კაპიტალიზმის ფინანსური სიმყიფის“ ორიგინალურ თეორიაში, რომლის თანახმადაც ფინანსური სექტორის დომინირებით გამოწვეულია კაპიტალიზმის სისტემური არასტაბილურობა, როგორც მისი იმანენტური თვისება: „მანამ, ვიდრე ეკონომიკა კაპიტალისტური რჩება, იგი ყოველთვის ფინანსურად არამყარი იქნება“ (Minsky H., 1994, 224).

გ. ეკონომიკის დერივატიზაცია და „დერივატული“ კაპიტალიზმი. ზემოაღნიშნული დისბალანსი ეკონომიკის რეალურ და ფინანსურ სექტორებს შორის ნიშანდობლივია არა მხოლოდ მთელი სისტემისთვის, არამედ იგი შეინიშნება საკუთრივ ფინანსური სექტორის შიგნით და გამოიხატება მკვეთრი დისპროპორციით პირველად საბაზისო ფასიან ქაღალდებს (აქციები, ობლიგაციები, საინვესტიციო სერთიფიკატები და ა.შ.) და წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ანუ დერივატივებს შორის. ეკონომიკის ფინანსებიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა ამჟამად დერივატივების ფეთქებადი ზრდაა, რაზედაც ნათლად მოწმობს შემდეგი მონაცემები: 2008 წლის შუა პერიოდისთვის (საუბარია გლობალური ფინანსური კრიზისის ყველაზე აქტიურ და მწვავე ფაზაზე) დერივატივების გლობალურმა კაპიტალიზაციამ 683 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10-ჯერ აღემატებოდა იმ პერიოდის გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტს. დერივატივების ბრუნვის წლიური მოცულობა კი საერთოდ ფანტასტიკური სიდიდე იყო – 1,5 კვადრო (ათასი ტრლნ) აშშ დოლარი (მექვაბიშვილი, 2018, 100). დერივატივები ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია აშშ-ს ფინანსურ ბაზარზე, რასაც შემდეგი მონაცემებიც ადასტურებს: 2007 წელს ბირჟის გარეთ დერივატივებით ვაჭრობა ამ ქვეყანაში შეადგენდა 24 ტრლნ დოლარს ანუ დერივატივებით მსოფლიო ვაჭრობის 40%-ს, ხოლო ბირჟაზე დერივატივებით ვაჭრობის მოცულობა 814 მლრდ აშშ დოლარს, ანუ გლობალური მოცულობის 50,8%-ს. იმავე პერიოდში აშშ-ს მსპ იყო გლობალური მშპ-ს 21,3% (მექვაბიშვილი, 2018, 101).

დერივატივები მეტად რთული და წინააღმდეგობრივი ინსტრუმენტია. ერთი მხრივ, მათი გამოყენებით საგრძნობლად უმჯობესდება ინვესტირების მახასიათებელი პარამეტრები: იზრდება ეკონომიკური აგენტების გადახდისუნარიანობა, ჩქარდება ფინანსური ნაკადების მოძრაობა, მაღლდება ლიკვიდურობა და ა.შ. დერივატივების ინტენსიური გავრცელების მთავარ მიზეზად ეკონომისტები მაღალი მოგების სწრაფად მიღებას თვლიან. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური რისკების ხარისხის შემცირების შესაძლებლობა დერივატივების გამოყენების საფუძველზე (Allen F., Galle D. 2014). თუმცა ზოგიერთი ეკონომისტი ეჭვის ქვეშ აყენებს დერივატივების პოზიტიურ როლს ფინანსური რისკების შემცირების საქმეში. ისინი აღნიშნავენ, რომ ხშირად დერივატივები ძალიან ნაკლებად ან საერთოდ არ ექვემდებარებიან შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების ზემოქმედებას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ხდება არა რისკების თავიდან აცილება, არამედ მათი გადანაწილება მრავალრიცხოვან ინვესტორს შორის, რის გამოც უაღრესად გართულებულია და რიგ შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელია პოტენციურად გადახდისუუნარო მსესხებლის დროული გამოვლენა (Stiglitz J., 2008).

ზოგიერთი ეკონომისტის აზრით (Krugman P., 2007), ის გარემოება, რომ დერივატივების მიმდინარე საკურსო ღირებულებას მომავალში მისგან მიღებული შემოსავლის სიდიდე განსაზღ-

ვრავს, განაპირობებს მათ პირდაპირ დამოკიდებულებას სპეკულატიურ ოპერაციებზე და ბაზარზე ფინანსური ბუშტების გაბერვას, რომელთა პერიოდული ჩაფუშვა და ფინანსური კრიზისების დაწყება გარდაუვალია. აწმყოსა და მომავლის ამგვარი დაპირისპირება იწვევს ჰ. მინსკისეულ „კაპიტალიზმის ფინანსურ სიმყიფეს“ და როგორც სამართლიანად შენიშნავს ნობელიანტი ეკონომისტი კ. ეროუ: „ფინანსურ სფეროში ადამიანთა მოტივაცია სულ უფრო მეტადაა ორიენტირებული მომავალზე, მაშინ როცა ბაზარი აწმყოში ცხოვრობს“ (Гринберг Р., Рубинштейн А. 2010, 16). დერივატივების უკიდურესად ნეგატიურ შეფასებას გვთავაზობს ცნობილი მულტი მილიარდერი ინვესტორი უ. ბაფეტი, რომელიც მას უწოდებს „მასობრივი განადგურების ფინანსურ იარაღს“ (Баффет У., Кларк, Д. 2006). ჯ. სოროსიც ასევე აკრიტიკებს დერივატივებს და აღნიშნავს, რომ თუმცა „თავისუფალი ბაზრის ერთგვარ უპირატესობადაა მიჩნეული, ისინი ფინანსურ ბაზარზე აუცილებლად წარმოშობს სერიოზულ არასტაბილურობას“ (Сорос, 2001).

ეკონომიკის ფინანსებიზაცია დერივატიზაციის მექანიზმით უკავშირდება ფინანსური სეკურიტიზაციის ფენომენს, რომელიც გულისხმობს ძველი ვალების სხვადასხვა წარმოებულ ფასიან ქაღალდებად გარდაქმნას და მათ მიყიდვას ინვესტორებზე. ეს ინსტრუმენტი პირველად აშშ-ში გამოიყენეს 1970-იან წლებში და იგი განიხილებოდა ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში გრძელვადიან ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციის საშუალებად. გლობალური ფინანსური კრიზისის წინა პერიოდში სეკურიტიზაციის განსაკუთრებით ფართო გამოყენებამ ფინანსური ინსტიტუტები ლიკვიდურობის მიმწოდებლიდან მის მომხმარებლად გადააქცია. მან ასევე გამოიწვია ფინანსური ორგანიზაციების ბალანსებზე რთული და ძნელად შესაფასებელი აქტივების დიდი რაოდენობით დაგროვება, მთლიანად ფინანსური სისტემის გართულება და უკიდურესი გაუმჭირვალობა. მასობრივად ემიტირდა სახსრები, რომლებიც უზრუნველყოფილი იყო არა საბანკო აქტივებით (კრედიტით, იპოთეკით და ა.შ.), არამედ დერივატივებით, რაც თავისთავად დიდი საფრთხის შემცველი იყო მთელი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის სტაბილურობისთვის. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით წერდა პროფ. პ. კრუგმანი, რომ 2007-2008 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი წარმოადგენდა „სეკურიტიზაციის პირველ კრიზისს“ (Krugman, 2012).

ამრიგად, ეკონომიკის გლობალიზაციამ, რომელსაც 1980-იანი წლების ბოლოდან და 1990-იანი წლების დასაწყისიდან თან სდევდა ეკონომიკის ფინანსებიზაცია, არსებითად შეცვალა როგორც გლობალური ეკონომიკის, ისე პოსტინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურა და ფუნქციონირების კანონზომიერებები. თანამედროვე ეკონომიკურმა სისტემამ ამოყირავებული პირამიდის ფორმა მიიღო: ჰიპერტროფირებული ფინანსური სექტორი მისი „მწვერვალია“, ატროფირებული რეალური სექტორი კი – „ფუნდამენტი“. ამგვარმა გარემოებამ სისტემა უაღრესად მოწყვლადი გახადა სხვადასხვა გარე თუ შიდა შოკების მიმართ. სწორედ ამით შეიძლება, ჩვენი აზრით, აიხსნას გლობალიზაციის ეპოქაში მომრავლებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების სიღრმე და სიმწვავე.

შემზღუდავი ფულად-საკრედიტო პოლიტიკიდან წამახალისებელ პოლიტიკაზე გადასვლა, როგორც ეკონომიკის ფინანსებიზაციის ფაქტორი

1960-იანი წლების შუა პერიოდიდან აშშ-ში დაიწყო წამახალისებელი ფულად საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. ეს უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო კენზიანურ მოდელზე დამყარებული დოქტრინით, რასაც აშშ-ის იმჟამინდელი მთავრობა მისდევდა. წამახალისებელი

ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან ერთად, რომელიც საპროცენტო განაკვეთების შემცირებაში გამოიხატებოდა, ტარდებოდა ერთობლივი მოთხოვნის წახალისების ფისკალური პოლიტიკაც: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა უზარმაზარი თანხები, რომელიც ხმარდებოდა როგორც გრანდიოზული სამთავრობო სოციალური პროგრამების დაფინანსებას, ისე ვიეტნამში მიმდინარე ომთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურებას საბოლოო ანგარიშით აშშ-ში გაძლიერდა ინფლაციური პროცესები,[1] რომლებიც მოგვიანებით სტაგფლაციაში გადაიზარდა. ამ პირობებში ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა ნომერი პირველი პრობლემა გახდა, რომელშიც გადამწყვეტი როლი დაეკისრა ფედერალურ სარეზერვო სისტემას და მის მიერ მკაცრად შემზღუდავი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას. ეს პოლიტიკა სხვადასხვა ინტენსიურობით 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებამდე გაგრძელდა. მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელი კომპანიების ფასიანი ქაღალდების ბაზრის კრიზისმა, რომელიც ე.წ. „dotcom"-ის კრიზისის სახელწოდებითაა ცნობილი. სწორედ მას შემდეგ განხორციელდა ფინანსური სახსრების მასობრივი გადადინება მაღალი ტექნოლოგიების წარმოების სფეროდან საბინაო მშენებლობის სფეროში, რომელიც იმ დროს არნახულ აღმავლობას განიცდიდა. „dotcom"-ის კრიზისიდან გამოწვეული ხანგრძლივი რეცესიის მოლოდინის შიშით, აშშ-ს მთავრობამ დაიწყო მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარება, რაც სავსებით ლოგიკური იყო, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის დაახლოებით 80% ერთობლივი მოთხოვნის გაზრდაზე მოდიოდა. წამახალისებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ახორციელებდა აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემაც. ასე მაგალითად, სადისკონტო განაკვეთი 2002წლის 6.5%-იდან 2006წლის 1,25%-მდე შემცირდა (Супяи, 2009, 14).

საბოლოო ანგარიშით, აშშ-ს ფინანსურ ბაზარზე ჩამოყალიბდა ჭარბი ლიკვიდურობა, რომელიც 2007 წლის შუა პერიოდში საბინაო ბაზარზე განვითარებული პროცესების გამო ლიკვიდურობის კრიზისში გადაიზარდა, შემდეგ კი პერმანენტულად ფართოვდებოდა შემდეგი ლოგიკით: საბინაო ბაზრის კრიზისი -> საბანკო და საინვესტიციო დაწესებულებების კრიზისი -> ფინანსური კრიზისი -> გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი.

ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს სახელმწიფო და ზესახელმწიფო დონეებზე განხორციელებული ანტიკრიზისული პოლიტიკის ჩარჩოებში საბიუჯეტო და ფულად საკრედიტო პოლიტიკის მეტამორფოზები. კრიზისის პერიოდში გაკოტრების წინაშე მდგარ ბანკებს, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიებს სახელმწიფოს მხრიდან გაეწია უმნიშვნელოვანესი ფინანსური დახმარება, რომელიც შემდეგი მიმართულებით განხორციელდა:

ა. ე.წ. „რბილი ნაციონალიზაცია", ანუ კომპანიების აქციების მნიშვნელოვანი ნაწილის სახელმწიფოს ხელში გადასვლა;

ბ. რეკაპიტალიზაცია, რომელიც სამი მეთოდით განხორციელდა:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირი ფინანსური დახმარება;
- სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ცუდი" ანუ „ტოქსიკური" აქტივების მასობრივი შეძენა;
- სახელმწიფოს თანამონაწილეობა უფრო მსხვილი და ფინანსურად ძლიერი ბანკების მიერ პრობლემური ბანკების არასაბაზრო ნომინალური ღირებულებებით შესყიდვის პროცესში.

[1] „1970-იან წლებში, როდესაც აშშ-ში ინფლაციის დონე მაღალი იყო, საზოგადოებრივ გამოკითხვებში ინფლაცია ქვეყნის წინაშე მდგარ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა. პრეზიდენტი ფორდი ამ პრობლემას იმით გამოეხმაურა, რომ ინფლაციას „საზოგადოების ნომერ პირველი მტერი" უწოდა და საზოგადოების წინაშე სპეციალური წინსაფრით წარდგა, რომელზედაც ეწერა: „ახლავე აღმოვფხვრათ ინფლაცია" (მენქიუ 2008, 630). ცნობილი ამერიკელი მონეტარისტი ეკონომისტი კ. მელტცერი წერდა, რომ „ამერიკის ეკონომიკა ინფლაციის ღრმა ორმოში ჩავარდა" (მექვაბიშვილი, 2015, 20).

აშშ-ში სხვადასხვა სამთავრობო პროგრამების ჩარჩოში აღნიშნული მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო დაახლოებით 3 ტრლნ აშშ დოლარი.

„რბილი“, წამახალისებელი პოლიტიკა აშშ-ში გაგრძელდა პოსტკრიზისულ პერიოდში და გამოიხატა ფედის მიერ ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის (Quantity Easig -QE) დაწყებით. იგი ითვალისწინებდა ცენტრალური ბანკის რესურსის ფართო გამოყენებას აქტივების შესაძენად სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების გზით. QE-ს განხორციელების პირველ ეტაპზე ფედმა 1,7 ტრლნ აშშ დოლარი გამოუყო კომერციულ ბანკებს სახელმწიფო ფინანსური ქაღალდების შესაძენად. 2011 წლის შუა პერიოდიდან დაიწყო QE-2-ის ეტაპი, რომელიც მოიცავდა ფედის მიერ ფინანსთა სამინისტროს სავალო ვალდებულებების (სახაზინო ფასიანი ქაღალდების) შესყიდვას 600 მლრდ აშშ დოლარის მოცულობით. 2012 წლის აგვისტოში QE-3-ის ფარგლებში ფედმა კიდევ 85 მლრდ დოლარი გამოჰყო ფასიანი ქაღალდების შესაძენად.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რაოდენობრივი შერბილების პროგრამას უპირობო მოწონება და მხარდაჭერა არ ჰქონია. ამ პროგრამის კრიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ მისმა რეალიზებამ გამოიწვია აქციებსა და რესურსებზე ფასების ხელოვნური „გაბერვა“, დაკრედიტების ხარისხის გაუარესება, დოლარის კურსის დაწევა და სხვა. თუმცა, ამ პროგრამამ თავისი მთავარი ამოცანა წარმატებით შეასრულა: ხელი შეუწყო ეკონომიკის გამოცოცხლებას და დასაქმების ზრდას ისე, რომ ამას ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა არ მოჰყოლია. 2014 წლის ოქტომბერში ფედმა მიიღო გადაწყვეტილება რაოდენობრივი შერბილების პროგრამის დასრულების შესახებ, თუმცა შესაძლებლად მიიჩნია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რეფინანსირების დაბალი განაკვეთის შენარჩუნება 0-0,25%-ის ფარგლებში. კოვიდ 19-ი პანდემიისა და პოსტპანდემიურ პერიოდში წამყვანი ქვეყნების საფინანსო პოლიტიკამ უფრო ღრმა და კომპლექსური ხასიათი შეძინა, რამაც ზოგიერთ ეკონომისტს საფუძველი მისცა ისაუბროს ახალ ფინანსურ პოლიტიკაზე (Rajan R.G. (2021), რომელიც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

- ემისიის ზრდას;
- სამთავრობო ვალდებულებების მოცულობის გადიდებას;
- უარყოფით სარგებლის განაკვეთებს.

ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია იმ გარემოებებზე ხაზგასმა, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკის ფინანსებიზაციის გაძლიერება საკითხისადმი ტრადიციულ მიდგომასთან განსხვავებით, განიხილება არა როგორც კონიუქტურული ფაქტორებით განპირობებული უპირატესად უარყოფითი შედეგების მომტანი პროცესი, არამედ გლობალურ კონკურენციაში ქვეყნის მიერ უპირატესობების მოპოვების ძლიერი საშუალება (Иноземцев, 2021). პანდემიის პირობებში, ისე როგორც ეს მოხდა „დიდი რეცესიის“ დროს, მთავრობებმა და მონეტარულმა ხელისუფლებებმა მიიღეს უპრეცედენტო პროგრამები ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად, რაც მათ მოახერხეს როგორც სახელმწიფო ვალის გაზრდის, ისე ეკონომიკის ცალკეული დარგების და სექტორების საფინანსო ექსპანსიის გზით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ „განვითარებული ქვეყნების თანამედროვე ფინანსური სისტემა შექმნილია ეკონომიკური განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე და ემყარება ფუნდამენტურ ტრენდებს“ (Иноземцев, 2021, 199). შესაბამისად, პროფ. ვ. ინოზემცევის აზრით, „ტრადიციული საბიუჯეტო შეზღუდვების პოლიტიკა მომავალში ისტორიის კუთვნილება გახდება“ (Иноземцев, 2021, 99).

ამერიკელი მკვლევარის ს. კელტონის (Kelton, 2020) აზრით, მეინსტრიმული თეორიისთვის შოკისმომგვრელი თეზა-ბიუჯეტის მზარდი დეფიციტი გამაჯანსაღებელ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე, სულ უფრო მისაღები ხდება ბევრი ეკონომისტისთვის, თუ პოლიტიკოსისთვის. რეიჩელი და სამერსი უარყოფითი საპროცენტო განაკვეთებს და სახელმწიფო ვალის ზრდას თუმცა

უარყოფით კონტექსტში განიხილავენ, მაგრამ ამასთანავე ისინი ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სწორედ ამ გზით მოხერხდა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების „საუკუნოვანი სტაგნაციიდან“ გამოყვანა (Rachel, Sammers et al 2019).

ეკონომიკის ფინანსებიზაციის პოზიტიურ კონტექსტით ინტერპრეტაცია რამდენიმე თანამედროვე ეკონომიკური თეორიისთვისაა ნიშანდობლივი. მათ შორის პირველ რიგში დავასახელებთ „თანამედროვე მონეტარულ თეორიას (MMT)“ (ჩიქოვაბა, კაკულია, ლაზარიაშვილი 2022; Kolton, 2020; Rabbit, 2022), რომელიც წარმოიშვა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, როგორც კრიზისიდან გამოსვლის პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი. მოგვიანებით იგი გამოყენებული იქნა კორონომიკური კრიზისის მწვავე ეკონომიკური და სოციალური შედეგების დასაძლევად. MMT-ს მომხრეთა აზრით, მთავრობა არ უნდა შეუშინდეს საბიუჯეტო დეფიციტის გაზრდას (რასაც ისინი „დეფიციტოფობიას“ უწოდებენ) და ინფლაციის ტემპის ამაღლებას მანამ, ვიდრე საზოგადოება არ მიაღწევს ისეთ მიზნებს, როგორიცაა დასაქმების გაზრდა, ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღება და ა.შ. (Kelton, 2020). MMT ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებაზეა ორიენტირებული და მისი მიმდევრების აზრით, ჯერ-ერთი, ფული სახელმწიფოს პროდუქტია და არა ბაზრის და მეორე, „ბიუჯეტის დეფიციტი პრობლემა არ არის, ვიდრე იგი არ იწვევს ინფლაციის (Kelton, 2020). პროფ. დ. როდრიკი მიიჩნევს, რომ მოსალოდნელია ახალი პოლიტიტეკონომიური პარადიგმების აღმოცენება, რომელმაც შეიძლება ჩაანაცვლოს ნეოლიბერალიზმი. ახალი პარადიგმის არსი, მისი აზრით, ის არის, რომ მთავრობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უფრო მეტ ვალდებულებებს აკისრებს ინვესტიციებისა და წარმოების საკითხებში. პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებად მეცნიერის მიერ მაღალი საბიუჯეტო ხარჯები და დაბალი საპროცენტო განაკვეთებია მიჩნეული. ამ ახალ პარადიგმას ავტორი „პროდუქტივიზმს“ უწოდებს (Rodvik, 2022).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჩვენი აზრით, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეკონომიკის ფინანსებიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები და მისგან გამომდინარე საფრთხეები უკვალოდ გაქრა. პირიქით, უკვე საგრძნობია სპეკულატური ბუშტების წარმოქმნა აქტივების ბაზრების ზოგიერთ სეგმენტში, განსაკუთრებით კი – საცხოვრებელი ბინების (სახლების) ბაზარზე. თუკი ეს პროცესი გაგრძელდება ეს გარდაუვლად მიგვიყვანს ახალ ფინანსურ კრიზისამდე. ასევე მეტად მნიშვნელოვანია კრიპტოვალუტებზე ფასების დინამიკის უწყვეტი მონიტორინგი, რათა ეს ინსტრუმენტიც არ გახდეს ახალი კრიზისის დაწყების წყარო. მნიშვნელოვანია ინვესტორთა წახალისება, რათა მათ საკუთარი სახსრები დააბანდონ წარმოებაში და არა სპეკულატიურ ოპერაციებში, რომლებიც (სპეკულატიური ოპერაციები) უნდა დაექვემდებაროს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს.

დასკვნა

მოცემული სტატიის ფარგლებში ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სათაურში გამოტანილ ერთგვარად დრამატიზირებულ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია, და ალბათ, შეუძლებელიც. ფინანსებიზაცია თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა და მის ტექნოლოგიურ საფუძვლებში მიმდინარე სიღრმისეული ძვრების შედეგია, რომელთა შორის პირველ რიგში, ეკონომიკის ვირტუალიზაცია და გაციფრიანება („დიჯიტალიზაცია“) უნდა დავასახელოთ. ამასთანავე, ეკონომიკის ფინანსებიზაცია საკუთარ თავში შეიცავს როგორც კონსტრუქციულ, ისე დესტრუქციულ ელემენტებს. პირველის მაქსიმალური შეზღუდვა, მეორის ეფექტიანი გამოყენება და მისი საზოგადოების განვითარების ინტერესებში ჩაყენება შესაძლებელია ამ ფენომენის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, რომელშიაც წამყვანი როლი თეორიულ ეკონომიკას ენიჭება.

ლიტერატურა:

1. **მექვაბიშვილი ე. (2018).** გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. „ინტელექტი“.
2. **ლოკიე ფ., ბლეიდსი (2015) დ.** ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვისწავლოთ და გავიგოთ. თბილისი
3. **Binswager M. (1999).** Co-evolution between the Real and Financial Sectors: The Optimistic “New Growth Theory” View Versus the Pessimistic “Keynsian” View
4. **Фридман Дж., Краус В. (2010).** Рукотворный финансовый кризис. ИР ИСЭН „Мысль“
5. **Minsky H**. (1994). The Financial Instability Hypothesis: Capitalist Processes and the Behavior of the Economy.
6. **Stiglitz J. (2008).** Markets Can’t Rule Themselves. Neuswek, 2008, 31 December
7. **Баффет У., Кларк Д. (2006).** Бафетология. Минск: Попури.
8. **Гринберг Р., Рубенштейн А. (2010).** Теория, инновации и контуры будушей экономики в диалоге с Кеннетом Эроу//Вопросы экономики. N 10.
9. **Сорос Дж. (2001).** Омкрытое общество. Реформируя Глобальный Капитализм.
10. **Krugman P. (2012)** End This Depression Now! New-York_london, 2012.
11. **მენქიუ გრ. (2008).** ეკონომიკის პრინციპები. გამომც. „დიოგენე“
12. **მექვაბიშვილი ე. (2015).** გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია//ეკონომიკა და ბიზნესი. ტ. VIII
13. **Супян В. (2009).** Кризис в США: экономический контекст // Вестник Института Кенана в России. Выпуск 15.
14. **Rajan R.G. (2012)** Monetary and Inflationary tramps. Project Syndicate, November 23. http://www.project-syndicate.org/commentary/fed-inflation-policy-framework-has-become-a-trap-by-raghuram-rajan02021011
15. **Иноземцев В. Л. (2021).** Экономика без догм. Как США создаём новый экономический порядок. М. Альпина Паблишер.
16. **Kolton S. (2020).** The Deficit Myth: Modern Monetary Theory and the Birth of the People’s economy. New-York: Public Affairs.
17. **Rachell, Sammers et al (2019).** On failing real rates, fiscal policy and the risk of secular stagnation. BPEA Conference Drafts, March.
18. **ჩიქობავა მ., კაკულია, ლაზარაშვილი თ. (2022).** თანამედროვე მონეტარული თეორიის შესახებ ეკონომიკა და ბიზნესი, ტომი XIV 3, 2022.
19. **Rabbit T (2020).** Modern Monetary Theory. Economics Honors Papers. 2020 (31). URL: https://digitalcomments.control/edi/cgi/viewcontent.cgi?article=1035&context=econht
20. **Rodvik D.** Getting Productivism Right-mail google.com/mail/u/o/#inbox/p3?projector=1

Financialization of the Economy: Evil or Good?

Elguja Mekvabishvili
Professor and the Doctor of Economical Science of the
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Financialization of the economy is the most important regularity of the modern economic system. It is due to the qualitative changes in the technical-technological foundations of the economy, which brought to the fore the special importance of the financial parameters of the economic system. Financialization is typical for the economies of both global and post-industrial countries. It is a complex and multifaceted process that causes a number of problems. Among them, the strengthening of the "financial fragility" (H. Minsky) of the capitalist economy and the increased danger of acute financial crises arising from it should be noted. In the modern scientific literature, opinions have appeared that ignore the negative aspects of the financialization of the economy and consider it only in a positive context. Among them, the "New Quantitative Theory" (MMT) is particularly noteworthy, which is considered the theoretical-methodological basis for the creation of the "New Financial Reality".

The main postulates of the mentioned theory are critically evaluated in the paper. Special attention is focused on the threat of inflation strengthening, taking into account the economic consequences of the “Corona Crisis” and the Russia-Ukraine war.

„ლიდერი მსახურის“ ზოგიერთი ასპექტი ბიბლიის მიხედვით

მერაბ მიქელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მრავალრიცხოვანი ლიდერობის თეორიებიდან, ჩვენი აზრით, ლიდერის იდეალს, ყველაზე კარგად შეესაბამება მაღალზნეობრივი ლიდერის მოდელი, ე.წ. ლიდერი-მსახურის თეორია.

ლიდერობა-მსახურება პირველად აღწერა რობერტ გრინლიფმა – ეს არის ლიდერობა ზემოდან ქვევით, რადგან ლიდერის პირადი ინტერესები ფართოვდება სხვა ადამიანების მსახურების მიმართულებით. კარიერული მისწრაფებები ასეთი ლიდერისთვის შეესაბამება „მსახურებას“ რომელსაც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ე. შეინი შემდეგნაირად აღწერს – ასეთი ადამიანებისთვის დამახასიათებელია სოციალური აღიარების მოტივაცია. მთავარ ღირებულებებად ასეთი ორიენტაციის დროს გვევლინება „ადამიანებთან მუშაობა – კაცობრიობის მსახურება, ადამიანების დახმარება, სურვილი დედამიწა უკეთესი გახადონ და ა.შ. ასეთი ორიენტაციის ადამიანი ეძებს შესაძლებლობას, იმუშაოს ამ მიმართულებით იმ შემთხვევაშიც, როცა ის სამსახურს იცვლის. ის არ იმუშავებს იქ, სადაც არ იზიარებენ მის ღირებულებებს და არ აძლევენ ჩანაფიქრის განხორციელების საშუალებას.

ლიდერობა არის მსახურება, იესო ქრისტეს მიმბაძველობა; ლიდერი არის ის, ვინც არის პასუხისმგებელობის მაგალითი, ქრისტეს მიმდევარი, ის ვინც ხედავს მიზანს, ვინც იცის როგორ დააწესოს და შეინარჩუნოს დისციპლინა, ვისაც შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ეთიკურია კომუნიკაციაში, შეუძლია საკუთარი თავის მართვა, შეუძლია ადამიანების დარწმუნება, მიესალმება ცვლილებებს, ვისაც ენდობიან და ვისაც აქვს გუნდის შექმნის უნარი.

საკვანძო სიტყვები: *ლიდერობა, ლიდერი მსახური, ზნეობრივი ლიდერობა*

ლიდერობის ფილოსოფია ხსნის მიდგომებს ლიდერობისადმი, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და რწმენას. ღირებულებები განსაზღვრავენ მიზნებს, რომლებისკენაც ესწრაფვიან ლიდერები. ფილოსოფია ხსნის ძალაუფლების წყაროსა და შინაარსს.

ლიდერობის სტილი შედარებით ვიწრო შინაარსის მატარებელია, რომელიც ახასიათებს ლიდერის ქცევას სხვადასხვა სიტუაციებში.

აღნიშნული მოდელები გვთავაზობენ ლიდერობასთან დაკავშირებული ფართო სპექტრის თეორიების შესწავლის სასარგებლო სტრუქტურას. ისინი წარმოადგენენ ლიდერობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა შეხედულებებსა და ასპექტებს, ამიტომ ჩვენს მიერ მხოლოდ ერთი ასპექტის გამოყენება აუცილებლად გამოიწვევს დაბნეულობას და არასრულყოფილების განცდას. ამიტომ ყოველთვის საჭიროა თავიდანვე იმაზე შეთანხმება, რომელ მოდელზე დაყრდნობით ვახორციელებთ ანალიზს.

რაში მდგომარეობს ლიდერობის ფენომენი? რა არის მისი მდგენელი? არსებობს თუ არა შესაძლებლობა, საკუთარ თავში გავააქტიუროთ ლიდერის თვისებები? თუ არსებობს, მაშინ როგორ შეიძლება ამის მიღწევა?

ლიდერობის ფენომენი უძველესი და უბერებელი თემაა. და მაინც, რა არის ლიდერობა, როგორია მისი ფილოსოფია? ვინ არის ლიდერი?

პირველ რიგში, ეს არის ის, ვინც გამოირჩევა ჯგუფიდან.

ეს ლოგიკა, შეიძლება ერთი შეხედვით არაკორექტულია, მაგრამ სრულიად გასაგებია: თუ არის ფარა, აუცილებლად იქნება ყოჩიც. და ლიდერი სწორედ ის ადამიანია, რომელსაც მიჰყვები-

ან სხვები, რადგან მან იცის, საით უნდა იმოძრაოს. ყოფით ენაზე რომ ვთქვათ, ლიდერი არის თავი, ცოდნა, ინტუიცია. სწორი იქნებოდა გვეთქვა ლიდერში რაციონალური აზროვნებისა (ლოგიკა) და ირაციონალური აზროვნების (ინტუიცია) შერწყმის შესახებ, რადგან მან არა მხოლოდ იცის, არამედ გრძნობს კიდეც, საით უნდა წაიყვანოს ჯგუფი.

მეორეც, ლიდერი დარწმუნებულია, რომ შეუძლია ჯგუფის მიყვანა სასურველ მიზნამდე. აქ უნდა გამოვყოთ ლიდერის მტკიცე რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა და სიმართლის შესახებ, რომელიც გულისხმობს რწმენას ენერგიის საკმარის მარაგზე და არჩეული გზის ჭეშმარიტებაზე.

სინამდვილეში ადამიანმა შეიძლება იცოდეს, რა მიმართულებით უნდა იმოძრაოს, მაგრამ ენერგეტიკული სისუსტის გამო არ სჯეროდეს საკუთარი ძალების. ხშირად ინტელექტუალები, რომლებიც რაციონალურად თვლიან განვითარების მიმართულებას, იმის გამო, რომ არ ფლობენ პიროვნულ თვისებებსა და ქარიზმატულობას, რჩებიან მრჩევლების, მაგრამ არა ლიდერების როლში. ანუ ყოველი ქარიზმატული და საკუთარ თავში დარწმუნებული ლიდერის უკან დგას მრჩეველი, რომელიც მას გარკვეული მიმართულებით სიარულს ურჩევს.

ლიდერობაში ყველაზე მთავარია იმის ცოდნა, როდის უნდა დაიწყო მოძრაობა. საუბარია სიტუაციის სწორად აღქმაზე. რასაკვირველია, შეიძლება იცოდეთ, საით უნდა წახვიდეთ და გქონდეთ თანდაყოლილი უნარი ადამიანების მიზიდვისა, მაგრამ თუ ლიდერი შეარჩევს არასწორ დროს, ის მარცხისთვის გაწირავს იმ ჯგუფს, რომელსაც წარმართავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინ გაქცევაც ისეთივე ცუდია, როგორც დაგვიანება. საუბარია დროის შეგრძნებაზე და ინტუიციის განვითარებით შესაბამისი უნარების ფორმირებაზე. ამის გარეშე დიდია რეპუტაციული ზიანის მიღების რისკი.

ამგვარად, ლიდერი არის ადამიანი:

- ✓ რომელმაც იცის და გრძნობს მოძრაობის მიმართულებას;
- ✓ რომელიც ზუსტად საზღვრავს მიზნისკენ სვლის დაწყების მომენტს;
- ✓ რომელიც დარწმუნებულია იმაში, რომ ეყოფა ენერგია სასურველი მიზნის მისაღწევად იმ ადამიანებთან ერთად, რომლებმაც მას ნდობა გამოუცხადეს.

თუ გამოვიყენებთ მეტაფორას მწყემსზე, რომელიც მართავს ცხვრის ფარის მოძრაობის პროცესს, ჩვენ შეიძლება მოვახდინოთ ორი სხვადასხვა ვარიანტის კონსტატაცია: ერთ შემთხვევაში მწყემსი ფარას მიუძღვება წინ და მას მისდევს ცხვრის ფარა და სხვა შემთხვევაში მწყემსი ცხვრის ფარის უკანაა და თვითონ მისდევს მათ. არსებობს თუ არა კორელაცია მართვის ამა თუ იმ სტილსა და შედეგის ეფექტიანობას შორის? როგორც აღმოჩნდა, მეორე შემთხვევაში ცხვრის მატყლი 20%-ით მეტია პირველთან შედარებით და რადგან ყველა პირობა იდენტურია, ერთი და იგივე კლიმატი, ერთი და იგივე ბალახი და ა.შ., გამოდის, რომ სწორედ ცხვრის ფარის მართვის სტილი – მწყემსი წინ ან მწყემსი უკან, გავლენას ახდენს მთელი სამუშაოს საბოლოო შედეგზე. იმ შემთხვევაში, როცა მწყემსი ცხვრის ფარას უკან მიჰყვება, ეფექტიანობა 20%-ით მეტია და რის ხარჯზე ხდება ეს? რაში მდგომარეობს ძირეული განსხვავება ლიდერობის ამ ორ განსხვავებულ მოდელს – მწყემსი წინ ან მწყემსი უკან – შორის?

იმ შემთხვევაში, როდესაც მწყემსი ცხვრის ფარას წინ მიუძღვის, ამ მართვის მოდელის პლუსები თვალსაჩინოა:

- ✓ ყველას ესმის და ყველა ხედავს, ვინაა ლიდერი;
- ✓ ლიდერი თვითონ განსაზღვრავს მიმართულებას და მოძრაობის ტემპს;
- ✓ ლიდერი პირველი იღებს ინფორმაციას – ის დროულად ხედავს ნებისმიერ საფრთხეს.

განვიხილოთ ალტერნატიული მმართველობითი მოდელი – მწყემსი უკან. ამ შემთხვევაში მწყემსს შეუძლია ფარის კონტროლი მთლიანობაში: მას შეუძლია იყოს პირველი, ვინც მიიღებს ინფორმაციას მისდამი მინდობილ ჯგუფში მიმდინარე ყველა შიდა პროცესზე. ის ყველაფრის საქმის

კურსშია, ყველაფერს ნათლად აცნობიერებს და გრძნობს მაჯისცემას. სწორედ ის მწყემსი, რომელიც წინ მიუძღვის ცხვრის ფარას და ყურადღებას გარე ფაქტორებზე ამახვილებს, ხშირ შემთხვევაში იძულებულია შემობრუნდეს, რათა გაიგოს, რა ხდება თავად ფარაში.

ყველაზე მთავარი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ იმ შემთხვევაში, როცა მწყემსი უკანაა, თვითონ ჯგუფის შიგნით ჩნდება კიდევ ერთი პერსონაჟი (ან პერსონაჟები), ერთგვარი შიდა ლიდერი, რომელიც გვევლინება მეთაურის როლში და ნებაყოფლობით იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ოპერატიულ გადაწყვეტილებებზე. აქ კი საქმე გვაქვს თანამედროვე მართვის საკვანძო პრობლემასთან – დელეგირებასთან. ეს პრობლემა ყველაზე თვალსაჩინოა მოდელში „მწყემსი წინ“ – ასეთი ლიდერი არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ მისი არყოფნის შემთხვევაში, მისი მითითების გარეშე არავინ არ გადადგამს ნაბიჯს წინ. ამგვარად, უფლებამოსილების დელეგირების გარეშე ჩვენ დაქვემდებარებულებს არ ვაძლევთ განვითარების

ადამიანი მხოლოდ მაშინ ვითარდება, როცა იღებს ისეთ დავალებას, რომელიც მის შესაძლებლობებს აღემატება.

ამგვარად, მართვის მოდელის „მწყემსი უკან“ თვალსაჩინო უპირატესობები შემდეგში მდგომარეობს:

- ✓ ლიდერი ხედავს ზოგად სურათს, მთლიან კონტექსტს – როგორც გარეგანს, ასევე შინაგანს;
- ✓ ლიდერს შეუძლია სიტუაციაზე ოპერატიული რეაგირება;
- ✓ ლიდერის გვერდზე ჩნდება კიდევ ერთი ძლიერი ლიდერი (ან ლიდერთა გუნდი), რომელიც ეხმარება ჯგუფს წინსვლაში.

რა თქმა უნდა, მოდელს „მწყემსი უკან“ აქვს თავისი მინუსები: შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჯგუფის წევრებს არა აქვთ საკმარისი მოტივაცია და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების უნარი, ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ ლიდერის უფლებამოსილებების დელეგირება უნდა მოხდეს ფრთხილად და გონივრულად, რომ ადამიანებმაც შეძლონ განვითარება და საქმეც არ დაზარალდეს. აქ ერთი მთავარი მომენტია ხაზგასასმელი – გუნდში გაჩენილ „მეთაურებზე“ უფლებამოსილებების დელეგირების დროს, ლიდერს უჩნდება თავისუფალი დრო სტრატეგიული ხედვის ფორმირებისთვის.

მოდელების „მწყემსი წინ“ და „მწყემსი უკან“ საკვანძო განსხვავებები შეგვიძლია განვიხილოთ, ერთი მხრივ, დელეგირების და მეორე მხრივ, კონტროლის, როგორც კომპონენტების თანაფარდობის საფუძველზე.

ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ მოდელში „მწყემსი წინ“ კონტროლი უკიდურესად დაბალია, ისევე როგორც დელეგირება.

თუ გადავალთ მოდელზე „მწყემსი უკან“, მაშინ შეგვიძლია დელეგირების მაღალი ხარისხის კონსტატაცია, რომელიც იმავდროულად უზრუნველყოფს როგორც ადამიანებზე, ასევე მთლიანად სიტუაციაზე კონტროლის მაღალ ხარისხს.

ერთი შეხედვით, მოდელი „მწყემსი წინ“ უფრო მიმზიდველია, რადგან ნათელია, ვინ არის ლიდერი, მაგრამ მოდელში „მწყემსი უკან“ ლიდერი ფაქტობრივად უშუალოდ არ არის დაკავებული ოპერატიული მართვით, რაც ყოფით დონეზე აღიქმება სწორედ მართვად. შესაბამისად, ნამდვილი ლიდერი ყოველთვის უკან იმყოფება, კონცენტრირებულია სტრატეგიულ საკითხებზე და დროს არ აცდენს მიმდინარე რუტინაზე. ამასთან, ლიდერის ფუნქცია ოპერატიული მართვის კონტექსტში დელეგირებულია ჯგუფის წევრებზე, რომლებიც დამოუკიდებლად ესწრაფვიან კარიერული წინსვლისკენ. ამ ვარიანტში ლიდერი გვერდზე გადადის, ხოლო სისტემა აგრძელებს მუშაობას მისი უშუალო მონაწილეობის გარეშე.

არსებობს შუალედური სიტუაციები, როცა კონტროლი მაღალია, მაგრამ დელეგირება არ ხდება. ასეთ სიტუაციას შეიძლება ეწოდოს დესპოტური – ხელმძღვანელი ყველაფერს წყვეტს თვითონ და შესაბამისად კონტროლის ხარისხიც ძალიან მაღალია. უფლებამოსილებების დელეგირების არ არსებობის პირობებში ჯგუფის წევრებს განვითარების საშუალება არ ეძლევათ. არსებობს საპირისპირო სიტუაციები, როცა ადამიანებს ზომაზე მეტად ენდობიან და ამასთან, არ აკონტროლებენ. ასეთ სიტუაციას ეწოდება ანარქია, არ არსებობს შემზღუდველი ნორმები და ყველა აკეთებს იმას, რაც მოესურვება. შედეგად ეფექტიანობა ვარდება და ჯგუფიც იშლება.

დელეგირების პროცესში ადამიანს უნდა დაუტოვოთ შეცდომის უფლება. არარეალურია დელეგირება იმ დათქმით, რომ თურმე საქმე აუცილებლად წარმატებულად დამთავრდება, რადგან ადამიანი ბანალურად შეიძლება ვერ მოერიოს საქმეს. დელეგირების გვერდითი ეფექტი არის ჯგუფის წევრების პიროვნული ზრდა და თანდათან პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღება.

ლიდერული დელეგირების პრინციპებია:

- ✓ მოხდეს მხოლოდ იმის დელეგირება, რისი გაკეთებაც ადამიანს რეალურად შეუძლია;
- ✓ მოხდეს არა მხოლოდ დავალებების გაცემა, არამედ ამ დავალებების შესასრულებლად საჭირო რესურსების გადაცემა;
- ✓ დაუტოვოთ ადამიანს შეცდომის უფლება;

ცნობილი ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგი ალბერტ ბანდურა თვლიდა, რომ თვითეფექტურობა იზრდება, პირველ რიგში, არა თვითჰიპნოზით („მე ვფიქრობ, რომ შევძლებ“) ან საკუთარი თავის განდიდებით („მე გენია ვარ! მე ეს გავაკეთე!“), არამედ გამოწვევების მიღებით, რეალისტური მიზნების დასახვით და მათი მიღწევით.

ლიდერობის განსაზღვრება და აღწერა ვარიაციულია. ლიდერობა ჰგავს სილამაზეს- რთულია მისი განმარტება, მაგრამ როცა მას ხედავთ, თქვენ იცით, რა არის თქვენს წინაშე. და მაინც, რა არის ლიდერობა? არის თუ არა ის ტექნიკური მოდელი? იქნებ ის ქცევაა? ან იქნებ ეს არის სტილისა და ფილოსოფიის საკითხი?

ლიდერობის მოდელი, როგორც ლიდერობის სტრუქტურის ინსტრუმენტი, გვეხმარება ლიდერობის შესწავლაში და მის პრაქტიკულ გამოყენებაში. ლიდერობის ფილოსოფია ხსნის მიდგომებს ლიდერობისადმი, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და რწმენას. ღირებულებები განსაზღვრავენ მიზნებს, რომლებისკენაც ესწრაფვიან ლიდერები. ფილოსოფია ხსნის ძალაუფლების წყაროსა და შინაარსს.

ლიდერობის ერთ-ერთი მთავარი ბიბლიური გამოსახულება არის ლიდერი, როგორც მწყემსი, რადგან სწორედ მწყემსია თავის ადგილზეა მხოლოდ ცხვრების გულისთვის, ხოლო ცხვარები არ არიან ფარაში მწყემსის გულისთვის. სწორედ მწყემსს აქვს გადადებული საკუთარი სიცოცხლე ცხვრებისთვის:

„11 მე ვარ მწყემსი კეთილი: კეთილი მწყემსი თავის სულს დადებს ცხვრებისთვის.

12 ხოლო მოქირავე, ვინც არ არის მწყემსი და ვისიც არ არიან ცხვრები, მომავალი მგლის დანახვისას მიატოვებს ცხვრებს და გარბის; მგელი კი წარიტაცებს და გაფანტავს ცხვრებს.

13 მოქირავე იმიტომ გარბის, რომ მოქირავეა და არ ედარდება ცხვრები.

14 მე ვარ მწყემსი კეთილი, და ვიცნობ ჩემს ცხვრებს, ჩემები კი მიცნობენ მე.

15 როგორც მე მიცნობს მამა, ასევე ვიცნობ მეც მამას, და დავდებ ჩემს სულს ცხვრებისთვის.“ (იოანეს სახარება, თავი მეათე, 11:15)

მაგრამ, როგორც კი მწყემსები საკუთარი თავის მწყემსობას დაიწყებენ, მაშინვე ცრუ მწყემსებად იქცევიან:

„2. ადამის ძევ! იწინასწარმეტყველე ისრაელის მწყემსებზე, იწინასწარმეტყველე და უთხარი მათ მწყემსებს, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: ვაი. ისრაელის მწყემსებს, რომლებიც საკუთარ თავს მწყესავენ! განა ცხვარს არ უნდა მწყესავდნენ მწყემსები?

3. ქონს ჭამთ, მატყლით იმოსებით, ნასუქალს ხოცავთ, ცხვარს კი არ მწყემსავთ!

4. დაუძლურებულთ არ აძლიერებთ, დასნეულებულთ არ განკურნავთ, ჭრილობებს არ შეუხვევთ, გატაცებულს უკან არ აბრუნებთ, დაკარგულს არ ეძებთ, მძლავრობით და სისასტიკით ბატონობთ მათზე.

5. გაიფანტნენ უმწყემსოდ დარჩენილნი, მინდვრის მხეცების კერძნი გახდნენ, გაიფანტნენ! (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, თავი ოცდამეთოთხმეტე, 2:5)

ჭეშმარიტი ლიდერი თავისი სიკეთითა და სამართლიანობით ასწავლის თავის მიმდევრებს, აჩვენებს რა მათ ღვთისმოსაობის, ერთგულების და სიყვარულის მაგალითს. ასეთი მაგალითი ყველასთვის იყო, არის და იქნება იესო ქრისტე. მან დატოვა მიმდევრები, მოგვცა მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ლიდერი-მსახური და რა თვისებებს უნდა ატარებდეს იგი:

- ✓ ლიდერი მსახურისთვის უპირველესია მათი ინტერესი, ვისაც ხელმძღვანელობს. ლიდერებს უნდა ესმოდეთ საკუთარი მიმდევრების, რათა იცოდნენ რა არის მათი მთავარი ინტერესი. ეს საშუალებას აძლევს მათ სწორად გაანაწილონ პრიორიტეტები და დააყენონ ის საკუთარ ინტერესებზე მაღლა. მწყემსის ბიბლიურ მსახურებას ახასიათებს თავდადება და თავგანწირვა.

„27 ჩემს ცხვრებს ჩემი ხმა ესმით; მე ვიცნობ მათ, და ისინიც მომდევენ.“ (იოანეს სახარება, თავი მეათე, 27)

- ✓ ლიდერი მსახურის კმაყოფილება დამოკიდებულია, მისი მიმდევრების განვითარებასა და ზრდაზე. იგი, ისე როგორც არავინ დაინტერესებულია საკუთარი მიმდევრების განვითარებით. ის გულწრფელად უნდა ხარობდეს საკუთარი მიმდევრების სულიერი ზრდით

„3. მოვალენი ვართ, ძმანო, მარადჟამ ვმადლობდეთ ღმერთს თქვენთვის, როგორც ჯერარს, ვინაიდან უმეტესად იზრდება თქვენი რწმენა და მრავლდება ყოველი თქვენგანის სიყვარული ერთურთის მიმართ.

4. ასე რომ, თვითონვე ვიქადით თქვენით ღვთის ეკლესიებში, თქვენი მოთმინებისა და რწმენის გამო ყოველგვარ დევნილობასა და გასაჭირში, რასაც იტანთ“ (მეორე თესალონიკელთა მიმართ, თავი პირველი, 3:4)

- ✓ ლიდერი უყოყმანოთ უნდა იღებდეს იმ ვალდებულებებს, რომელსაც მას უფალი აკისრებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი არჩევანის თავისუფლებას ემხრობიან. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ლიდერს ავიწყდება, რომ ის მსახურია და არა ბატონი. მსახურს არა აქვს პრობლემები ვალდებულებებისა და მოვალეობების მიმართ, რადგან ისინი მიჩვეული არიან მათ შესრულებას არა იმის გამო, რომ მათგან ამას ითხოვენ, არამედ იმიტომ, რომ ეს მათი მსახურების ნაწილია. ეს კარგად ჩანს პავლე მოციქულის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ:

„14. ბერძენთა და ბარბაროსთა, ბრძენთა და უგუნურთა მოვალე ვარ.“

- ✓ ლიდერი მსახური ყოველთვის სიამოვნებით აბარებს ანგარიშს, ისინი მიჩვეული არიან ამას, რადგან აინტერესებთ კმაყოფილი არიან თუ არა მათი მსახურებით ისინი, ვისაც ემსახურებიან. ანგარიშვალდებულება არ არის ლიდერების ბუნებრივი მიდრეკილება. ისინი უფრო დამოუკიდებელნი და თავისუფალი მოქმედებისკენ მიდრეკილნი არიან, ამიტომ ლიდერების დამოკიდებულება ანგარიშვალდებულების მიმართ ხშირად კარგი ინდიკატორია იმისა, აქვთ თუ არა მათ ნამდვილი მსახურის გული.

- ✓ ლიდერი – მსახური მზრუნველი სიყვარულითაა გამსჭვალული მათ მიმართ, ვისაც ხელმძღვანელობს. ის გამოხატულია მოქმედებაში და მიმართულია ადამიანების საჭიროებებზე, მათ გრძნობებზე, მოხერხებულობასა და სარგებლიანობაზე. სწორედ აქ ერწყმის ლიდერის, როგორც მწყემსის, ბიბლიური გამოსახულება წინამძღოლის, როგორც მამის იმიჯს, რადგან უპირველეს ყოვლისა, მამა არის მზრუნველი სიყვარულის წყარო, რომელმაც იცის საჭიროებები მანამდეც კი, სანამ მათ სთხოვენ:

„8 ნუ ემსგავსებით მათ, ვინაიდან მამამ თქვენმა, ვიდრე სთხოვდეთ, მანამდეც იცის, რა გჭირდებათ.“

(მათეს სახარება თავი მეექვსე, 8)

„11. ხოლო თუ თქვენ, უკეთურთ, შეგიძლიათ კეთილი საბოძვარი მისცეთ თქვენს შვილებს, რაოდენ უფრო მეტ სიკეთეს მისცემს მამა თქვენი ზეციერი მის მიმართ მთხოვნელთ?“ (მათეს სახარება თავი მეშვიდე, 11)

- ✓ ლიდერი მსახურს უყვარს მოსმენა. მსახურები უსმენენ, რადგან უნდა გაარკვიოან თუ რა უნდა გააკეთონ. მაგრამ ხშირად ლიდერები არ უსმენენ – ისინი საუბრობენ და ისმენენ სხვები, ეს ეწინააღმდეგება მსახურების არსს, რომლის მაგალითს გვაძლევს იესო. ის, როგორც უფლის მსახური, მესია-მეფე ამბობს:

„4 უფალმა ღმერთმა მომცა სწავლულთა ენა, რომ შემეძლოს დამაშვრალის სიტყვით გამხნევება. ის აღვიძებს, ყოველი დილით აღვიძებს ჩემს ყურს, რომ მესმოდეს, როგორც სწავლულებს ესმით.

5 უფალმა ღმერთმა გამიხსნა სასმენელი და მე არ გავურჩებულვარ, უკან არ მივქცეულვარ.“ (ესაია წინასწარმეტყველი, თავი ორმოცდამეათე 4:5)

- ✓ მსახურ ლიდერებს აქვთ ნამდვილი თავმდაბალი გული და ამის წყალობით მათ აქვთ რეალისტური და საღი ხედვა თავიანთ შესაძლებლობებსა და ნაკლოვანებებზე, იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ კარგად და რისი გაკეთება არ შეუძლიათ.

დასკვნა

ლიდერი-მსახურის საქმიანობა ხორციელდება ორ დონეზე: ის მიმართულია, ერთი მხრივ, დაქვემდებარებულების მიზნების და, მეორე მხრივ, თვით ორგანიზაციის მისიისა და სტრატეგიული მიზნის შესრულებისკენ. ამ ტიპის ხელმძღვანელი ახდენს უფლებამოსილების დელეგირებას, ცვლის იდეებსა და ინფორმაციებს კოლეგებთან, აღიარებს თანამშრომელთა მიღწევებს და ენდობა მათ. ასეთი ხელმძღვანელები აფასებენ სხვა ადამიანების პროფესიოალიზმს, ასტიმულირებენ მათ სწრაფვას განათლებისკენ, ზრდისა და შემოქმედებისკენ, თვითშეფასების ამაღლებისკენ, ახალისებენ მათ მონაწილეობას პრობლემების გადაჭრაში. ისინი უფრო მეტს ფიქრობენ ორგანიზაციის ინტერესებზე, ვიდრე საკუთარზე.

ლიტერატურა:

1. ბიბლია, თბილისი, „პალიტრა L“, 2013
2. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/igavni/igavni-30.htm
3. THE OXFORD BIBLE COMMENTARY, John Barton, Oriel and Laing Professor of the Interpretation of Holy Scripture, University of Oxford, John Muddiman, Fellow of Mansfield College, Oxford, Oxford University Press 2001
4. Derek Prince, BIBLICAL LEADERSHIP, 1991 by Derek Prince Ministries–International
5. Нравственные и духовные аспекты лидерства / под. ред. А. И. Негрова, — СПб.:Санкт-Петербург. христианский ун-т, 2014

Some Aspects based on The Bible

Merab Mikelashvili

Professor at Georgian Technical University, Academic Dictor of Economics

SUMMARY

From the theories of plural leadership, we believe that moral leader model leader-servant theory – represents the ideal of the leader. Servant Leadership was first described by Robert Greenleaf; the theory means leadership top-down – the private interests broaden towards serving other people. This phenomenon is described by an American scientist E. Seign as follows – such people are motivated by social recognition; main values in these cases are working with people, serving people, helping people, desire to make the world a better place, etc. Such people is searching for an opportunity to work like this even he/she changer the job and will reject a job which doesn’t give such possibilities.

Leadership is serving, imitating Jesus Christ; A leader is the definition of responsibility, Christ’s follower, the one who has the vision, one who knows how to set and maintain the discipline, who’s the decision-maker, is ethical in communication, can manage oneself, can assure people, is open to changes, who is trusted and can create a team.

Keywords: Leadership, Servant Leadership, Moral Leadership

The Role of Sector Accounts in the Progressive Alignment of Georgia with the European Statistical System

Marine Mindorashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lia Dzebisauri
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract. *The development of sector accounts within the system of national accounts is the high on the Development Strategy of the National System of Official Statistics of Georgia and the global policy agenda as well. The System of National Accounts (SNA) is a comprehensive, consistent and flexible set of macroeconomic accounts to meet the needs of government, policy-makers, decisions-takers and private-sector analysts. National accounts provide information to analyze the structure of economies and their development over time. SNA promotes the integration of economic and related statistics in a system that is based on consistent economic and statistical concepts and methods. As such, it allows domestic and international comparative analysis, helps economists to measure the level of economic development and the rate of economic growth, the change in consumption, saving, investment, debts and wealth for not only the total economy but also each of its institutional sectors. Institutional sector accounts present a complete and consistent set of data for sectors, which combine institutional units with broadly similar characteristics and behavior. The role of sector accounts is extremely important in constructing the comprehensive system of national accounts of any countries. As Georgian statistics is on its starting point to develop sector accounts, current abstract emphasizes the needs of sharing the best practice of the EU countries in compilation of sector accounts and making comprehensive analysis. Furthermore, progressive alignment of the statistical system of Georgia with the European Statistical System is defined by the EU-Georgia Association Agreement in order to ensure integrity and comparability of official statistics at the global level.*

Keywords: *System of National Accounts (SNA), Sector accounts, Statistics*

Introduction

The System of National Accounts (SNA) is the internationally agreed standard set of recommendations on how to compile measures of economic activity. The SNA describes a coherent, consistent and integrated set of macroeconomic accounts in the context of a set of internationally agreed concepts, definitions, classifications and accounting rules.

In addition, the SNA provides an overview of economic processes, recording how production is distributed among consumers, businesses, government and foreign nations. It shows how income originating in production, modified by taxes and transfers, flows to these groups and how they allocate these flows to consumption, saving and investment. Consequently, the national accounts are one of the building blocks of macroeconomic statistics forming a basis for economic analysis and policy formulation.

National accounts provide information to analyse the structure of economies and their development over time. They contain a wide range of statistics describing an economy in various ways. It should be highlighted that the National Accounts data is more than just GDP.

The SNA helps economists to measure the level of economic development and the rate of economic growth, the change in consumption, saving, investment, debts and wealth (or net worth) for not only the total economy but also each of its institutional sectors such as government, public and private corporations, households and non-profit institutions serving households.

Sector accounts provide more detailed information for analysis and expand the scope of economic policy and forecasting opportunities. It can be said that the indicators obtained on the basis of sector reports show the country's economy, its development dynamics and trends in a different way.

Sector accounts present a breakdown of economic activity for all resident institutional sectors in a complete and consistent set of quarterly data. They provide comprehensive information not only on the economic activities of households, non-financial corporations, financial corporations and government, but also on the interactions between these sectors and the rest of the world. This information allows for an analysis of the institutional structure and behaviour of every institutional sector in the economy.

Sector accounts derive for each institutional sector value added, primary income, disposable income, final consumption expenditure, saving, gross capital formation, net lending (+) or net borrowing (-) like those of the whole economy.

Results

The European sector accounts aim to provide a comprehensive and comparable overview of the European economy as a whole. They record all “transactions” between economic agents grouped by “sector”. The system forms a sequence of interlinked accounts.

Obviously, European sector accounts also provide us with detailed information about economic development according to institutional sectors.

Sector accounts consist of financial and non-financial accounts. They link financial and non-financial statistics, thereby allowing for an integrated analysis of non-financial economic activities (such as gross fixed capital formation) and financial transactions (such as the issuance of debt).

In order to show the comprehensiveness of sector accounts, to see how detailed information can be obtained for each of them in euro area, which is extremely valuable information for evidence-based decision making, we will present a few examples.

Gross capital formation, also known as Investments, is a major factor in changing the values of non-financial assets in the economy, consists of resident producers' acquisitions, less disposals, of fixed assets during a given period plus certain additions to the value of non-produced assets. These assets acquired are intended for use in processes of production.

The diagram below shows the growth of euro area gross fixed capital formation and contributions by sector. Following the outbreak of the COVID-19 pandemic, gross fixed capital formation (GFCF) in the euro area fell very rapidly in the first quarter of 2020, much faster than at the height of the global financial crisis.

Diagram 1

Growth of euro area gross fixed capital formation and contributions by sector

(annual percentage changes and percentage point contributions)



As for gross disposable household income, it is the amount of money that individuals in the household sector can spend or save after income distribution measures. At the macro level, disposable personal income is closely monitored as one of the key economic indicators used to gauge the overall state of the economy. The diagram below shows the growth of households' gross disposable income and contributions by income component.

During the first quarter of 2022, household gross disposable income (in nominal terms, seasonally adjusted) increased by 1.8% in the euro area, which is fundamentally explained by the large positive contribution of compensation of employees.

Diagram 2

Growth of households' gross disposable income and contributions by income component

(annual percentage changes and percentage point contributions)



Non-financial corporations' gross operating surplus increased at lower annual rate of 4.2% in the 1st quarter of 2022 (see Diagram 3). It was mostly contributed by the net value added.

Diagram 3

Growth of operating surplus of non-financial corporations and contributions by component

(annual percentage changes and percentage point contributions)



Conclusions and Recommendations

SNA promotes the integration of economic and related statistics in a system that is based on consistent economic and statistical concepts and methods. As such, it allows domestic and international comparative analysis, helps economists to measure the level of economic development and the rate of economic growth, the change in consumption, saving, investment, debts and wealth for not only the total economy but also each of its institutional sectors. Institutional sector accounts present a complete and consistent set of data for sectors, which combine institutional units with broadly similar characteristics and behavior.

The share of each sector in the key indicators of the Eurozone differs significantly from one another.

The role of sector accounts is extremely important in constructing the comprehensive system of national accounts of any countries. As Georgian statistics is on its starting point to develop sector accounts, current abstract emphasizes the needs of sharing the best practice of the EU countries in compilation of sector accounts and making comprehensive analysis. Furthermore, progressive alignment of the statistical system of Georgia with the European Statistical System is defined by the EU-Georgia Association Agreement in order to ensure integrity and comparability of official statistics at the global level.

List of References

Journal articles:

1. Mindorashvili, M., The role of household sector key indicators in macroeconomic analysis. shorturl.at/qszW3 Scientific Publication, Teaching Statistics and Statistical Researches in Georgia, 2018. 131-134.

E-references:

1. Bank of International Settlements, Development of financial sectoral accounts, https://www.bis.org/ifc/publ/ifcwork15.pdf
2. Eurostat, GDP and main aggregates-international data cooperation annual data, https://ec.europa.eu/eurostat/web/sector-accounts
3. European Central Bank (ECB), Statistics for all institutional sectors in Euro area, https://www.ecb.europa.eu/press/pdf/ffi/ecb.eaefd_full2022q2_annex_1~214cb411f5.en.pdf
4. Geostat, National Strategy for the Development of Official Statistics of Georgia, https://www.geostat.ge/media/30076/NSDS-2020-2023-_ENG.pdf
5. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), *Non-financial Accounts*, https://www.oecd.org/sdd/na/
6. United Nations (UN), *National Accounts: a practical introduction,* (NY) 2003, https://unstats.un.org/unsd/publication/SeriesF/seriesF_85.pdf
7. United Nations Statistics Division (UNSD)*, The System of National Accounts 2008,* (NY) 2009*, https://unstats.un.org/unsd/nationalaccount/docs/SNA2008.pdf*

სიღარიბე, როგორც სოციალური
პრობლემა და მისი შეფასების სირთულეები

მიქიაშვილი ნინო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სოციალური სახის პრობლემები მსოფლიო დონის გამოწვევების რანგში რჩება. განსაკუთრებით მწვავეა ეკონომიკურ უთანასწორობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სიღარიბის საკითხი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით გადაუჭრელია. სოციალური პრობლემების უმრავლესობის მიზეზი და საწყისი სიღარიბესა და სიღატაკეშია. სწორედ ამიტომ, მსგავს ჯგუფებზე ზემოქმედება და მათი რიცხოვნობის შემცირება თანმდევად გაამარტივებს სოციალური პრობლემების მოგვარებას. ღარიბი ადამიანი ან ოჯახი მოკლებულია საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. სიღარიბე სხვადასხვა კრიტერიუმით ფასდება და მნიშვნელოვანია შეფასების სისტემა ადეკვატურად ასახავდეს რეალურ მდგომარეობას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები, თუმცა, ამასთან, აუცილებელია კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის თავისებურებების გათვალისწინება. სიღარიბის შეფასების დროს შერჩევითი ერთობლიობის მიხედვით ჩატარებული კვლევის მონაცემების ექსტრაპოლაცია გენერალურ ერთობლიობაზე ხდება შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების საშუალებით. როგორც წესი, გაითვალისწინება დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მონაცემები. არსებული დიფერენციაციის შედარებით შეჯერებული შემფასებელია ე.წ. კორექტირებული (ეკვივალენტური) მასშტაბის მეთოდი, ხოლო სიღარიბის გავრცობის ხარისხი დგინდება დაბალი შემოსავლების (გასავლების) დეფიციტის, სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის ინდექსების საშუალებით, რეგრესიული მოდელებით კი ხორციელდება სიღარიბის შეფასება და პროგნოზირება. სიღარიბის შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება გამოწვეულია იმ პრობლემებით, რომელიც თავს იჩენს კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ისინი მხოლოდ კომპლექსური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად დაიძლევა, რაშიც მნიშვნელოვან როლს მეცნიერულად დასაბუთებული შეფასების სისტემაც ასრულებს.

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბე, სიღარიბის კლასიფიკაცია, სიღარიბის შეფასება, სიღარიბის ინდექსები*

სოციალური სახის პრობლემების მოგვარება ყოველთვის იყო და დარჩება საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხთა რიგში. სოციალური პოლიტიკის პროგრამები შეძლებისდაგვარად ცდილობენ სოციალური სამართლიანობის, თანასწორობის და სოლიდარობის პრინციპებზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შექმნის უზრუნველყოფას. სიღრმისეულად შეფასებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების უმრავლესობა საერთაშორისო მასშტაბით, სამწუხაროდ, ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ჯგუფების ცხოვრების დონის მოსალოდნელ გაუმჯობესებას. ცხადია, არსებობს გამონაკლისებიც, სადაც აშკარადაა გამოკვეთილი დადებითი ტენდენციები. ამიტომ, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება (მაგალითად, Abramo et al, 2019; Social Programes, 2022), რათა სიღარიბის დაძლევის ღონისძიებებმა სასურველი შედეგი მოიტანოს. თითოეული სოციალური პროგრამის (ადრეული საბავშვო ასაკის პირთა მზრუნველობა, განათლება K-12, უმაღლესი განათლება, დასაქმება და კეთილდღეობა, საცხოვრისი/უსახლკარობა, ქრონიკული და გადამდები დაავადებების პროფილაქტიკა, ნარკოდამოკიდებულების პროფილაქტიკა და მკურნალობა, დანაშაულის/ძალადობის პრევენცია.

თვითმკვლელობების თავიდან აცილება და სხვ.) (https://evidencebasedprograms.org/) წარმატება გარკვეულწილად უკავშირდება სიღარიბისა და სიღატაკის დაძლევას.

სიღარიბედ შეიძლება ჩაითვალოს უუნარობის და უსახსრობის გამო ცხოვრების იმ წესიდან ჩამოშორება, რომელსაც სასურველად მიიჩნევს კონკრეტული საზოგადოება დროის გარკვეულ პერიოდში. აქვე აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ცნების ცალსახა განმარტება არ არსებობს, რადგან ის უპირატესად შედარებითი ხასიათისა. ღარიბი ადამიანი ან ოჯახი მოკლებულია საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას (Mankiw, 2016). სიღარიბის მაჩვენებლის საშუალებით დგინდება მოსახლეობის პროპორცია, რომელთა მოხმარების (შემოსავლის) დონე არის სიღარიბის გარკვეულ ზღვარს ქვემოთ. სიღარიბის ზღვარი შემოსავლის (დანახარჯის) დონეა, რომლის ქვემოთ შეუძლებელია ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება.

განასხვავებენ აბსოლუტურ, ზომიერ, შეფარდებით, რეგისტრირებულ, სიტუაციურ, მემკვიდრეობით, ურბანულ და არაურბანულ, სოციალურ და ა.შ. (კაკულია და სხვ., 2017). *აბსოლუტური* სიღარიბის დროს ძირითადი მოთხოვნილებები (მათ შორის, საკვებზე, საცხოვრისზე, ელემენტარულ საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე) მოთხოვნად ვერ ფორმირდება, *ზომიერი* სიღარიბის დროს, ინდივიდის ან საოჯახო მეურნეობის შემოსავალი და მოხმარება ბევრად აღემატება სასურსათო კალათის ღირებულებას, მაგრამ ვერ აღწევს კეთილდღეობის უმდაბლეს დონეს. *ფარდობითი* სიღარიბის შემთხვევაში ადამიანი (ოჯახი) ვერ სარგებლობს მთავრობის მიერ განსაზღვრული ცხოვრების მინიმალური სტანდარტით. ცხადია, ეს უკანასკნელი განსხვავდება ქვეყნებისადა მიხედვით. საქართველოს პირობებში დაიანგარიშება მედიანური მოხმარების 60%-ს და 40%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). იგი იმდენად მავნე არ არის, როგორც აბსოლუტური სიღარიბე, თუმცა ემოციური და ფსიქოლოგიური კვალის დატოვება, შეუძლია. რაც შეეხება *რეგისტრირებულ* სიღარიბეს, მისი სიზუსტე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის მოწესრიგებული ქვეყანაში აღრიცხვიანობა და ამასთან, ღარიბ ადამიანს აქვს თუ არა მსგავს ბაზაში დარეგისტრირებული სტიმული. საქართველოში, ამ კატეგორიაში შედის საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა.

სიტუაციური სიღარიბე ეკონომიკურ არასტაბილურობას და არსებული მდგომარეობის გაუარესებას უკავშირებს გარკვეულ გაუთვალისწინებელ გარემოებებს (სამსახურის დაკარგვა, განქორწინება, ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება და ა.შ.). *მემკვიდრეობითია* სიღარიბე, თუ ოჯახის ორ თაობაზე მეტი ცხოვრობს სიღარიბეში. იგი ხშირად ცხოვრების წესში მკვიდრდება და მანკიერ წრეს ქმნის, რომლისგანაც თავის დაღწევა საკმარისზე მეტ ძალისხმევას მოითხოვს. *ურბანული* სიღარიბე მეტწილად გამოიხატება სტრუქტურული სახის პრობლემებში (როგორიცაა, საცხოვრებელი და უსაფრთხოება, ჭარბმოსახლეობა, ეკოლოგიური დაბინძურება და სხვ.). *არაურბანული* სიღარიბე თანამედროვე ეტაპზე დაკავშირებულია ტექნოლოგიებისადმი, საბავშვო და სასკოლო დაწესებულების მომსახურების მიუწვდომლობასთან და ა.შ. *სოციალური* სიღარიბე ფაქტობრივად აერთიანებს აბსოლუტურ, შედარებით და მემკვიდრეობით სიღარიბეს, რადგან გავლენას ახდენს სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილების მხრივ საკუთარი თავისა და სხვების აღქმაზე, იწვევს კარ და ემოციურ ჩაკეტილობას და სხვ. სოციალურ სიღარიბე მოიცავს *საგანმანათლებლო* (განათლების ხელმისაწვდომობა და პროფესიული მომზადების არარსებობა) და *ფიზიკურ-ემოციურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ* (არასათანადო კვება და დაავადებები იწვევს ფიზიკურ და ფსიქიკურ პრობლემებს, უკიდურეს შემთხვევაში ლეტალური გამოსავალიც შეიძლება დადგეს) სიღარიბეს (Dean & Prydz, 2017).

სიღარიბის შედარებით ახალ მაჩვენებლად მიიჩნევა სოციალური გარიყულობის, ანუ დეპრივაციის ხარისხი (Smith et al, 2020). იგი სიღარიბის გაზომვის ევროპული სტანდარტია და მოითხოვს არამარტო მატერიალური, არამედ სოციალური ინდიკატორის გათვალისწინებას, რათა განისაზღვროს ხარისხობრივი „ზღვარი“, რომლის ქვემოთ ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის შემცირება

მკვეთრად აჩქარებს ცხოვრების დონის კლებას. მსგავსი ანალიზის შრომატევადობის მიუხედავად, მისი შედეგები ბევრად ინფორმატიულია ტრადიციულ მიდგომასთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ გარკვეული სახის დეპრივაცია, როგორიცაა საყვარელი საკვების, ჟურნალის და სხვ. უსახსრობის გამო უარის თქმა, დასვენების დროის ხარისხის დაქვეითება, ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაზე უარი და ა.შ. თანდათან ასოცირდება სიღარიბესთან.

პრაქტიკული და თეორიული მიზნებისთვის შესაძლებელია დაბალი შემოსავლების საფუძველზე სიღარიბის დადგენის მეთოდების გაერთიანება და მოხმარების უკმარისობის შეფასება, რის მიხედვითაც გამოიკვეთება და შეისწავლება *ქრონიკულ* სიღარიბეში მყოფი ის საოჯახო შინამეურნეობები, რომელთა შემთხვევაშიც ფინანსური ხელმოკლეობა გარდაიქმნება სოციალურ გარიყულობაში, საყოველთაოდ მიღებული ცხოვრების წესიდან გადახვევაში. რაც შეეხება *სულიერი* სიღარიბეს, იგი ფსიქო-ფიზიოლოგიური ხასიათისაა და ადამიანს აკარგვინებს თვითრწმენას და თვითგანვითარების სტიმულს.

სიღარიბის განმარტებიდან ჩანს, იგი უპირატესად ფინანსურ შესაძლებლობებთან ასოცირდება, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფსიქოლოგიური, მენტალური, ეთიკური, ზნეობრივ-მორალური, რელიგიურ-კულტურული და სხვა ფაქტორები.

ყოველ ქვეყანას სიღარიბის საკუთარი დეფინიცია აქვს, თუმცა მსოფლიო ბანკი პერიოდულად აქვეყნებს დეტალურ ინფორმაციას მსოფლიოში არსებული სიღარიბის და სიღატაკის შესახებ. ნიშნულად აღებულია ყოველდღიური მოხმარება, რომელიც უტოლდება ან 1,9, ან 3,2, ან 5.5 აშშ დოლარს. ბოლო წლების მონაცემების მიხედვით, 2010 წლიდან 2016 წლამდე სამივე კრიტერიუმით შეიმჩნევა კლების შედარებით მკვეთრი ტენდენცია, 2016 წელს ზრდა მოხდა 1,9$-ისა და 3,2$-ის მიმართ, ხოლო 5,5$-ის მიმართ კვლავ შენარჩუნდა კლების ტენდენცია. 2020 წელს, როცა პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგები შოკურ ეფექტს ახდენდა ეკონომიკასა და მოსახლეობაზე, გამოვლინდა აბსოლუტური სიღარიბის ყველა მაჩვენებლის ზრდა, თუმცა ცვლილების განსაკუთრებით შესამჩნევი ეფექტი 5,5$-ის წილობრივ მაჩვენებელშია ასახული. 2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის შემცირება სახეზეა, რაც სასურველია მიმდინარე და მომდევნო წლებშიც შენარჩუნდეს.

დიაგრამა 1.

საერთაშორისო კრიტერიუმებით აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი საქართველოს მოსახლეობის წილი (%)



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონის პოზიტიური დინამიკა მყისიერად ვერ გამოიწვევს სიღარიბის მნიშვნელოვან შემცირებას. საქართველოს შემთხვევაში სიღარიბის მაჩვენებლების შედარება დროსა და სივრცეში რთულია, რადგან საარსებო მინიმუმის ზღვარი მუდმივად იცვლება.

ღარიბი საოჯახო მეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა: დასახლების ტიპი (ქალაქი, სოფელი), მეურნეობის ტიპი (მარტოხელა, უშვილო, ბავშვებთან ერთად), ბავშვებისა და მოზრდილების, დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობა, ოჯახის უფროსის სოციალური მდგომარეობა და განათლება, დაკავებული საცხოვრებლის ტიპი და ფართობის ზომა, ქონებრივი მდგომარეობა, გრძელვადიანი მოხმარების საქონლისადმი ხელმისაწვდომობა, შემოსავლის სტრუქტურა (შემოსავლის წყაროს მიხედვით) და ხარჯები (საკვები, არასასურსათო პროდუქტების შეძენა, მომსახურების გადახდა), საკვები პროდუქტების მოხმარება, მათ შორის კერძო ნაკვეთებში წარმოებული პროდუქტების, საკვების კალორიულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის სუბიექტური შეფასება და ა.შ.

სიღარიბის განსაზღვრა-შეფასებისთვის მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი. განარჩევენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფობის მიხედვით დროებით (3 თვემდე), ნახევრად მუდმივ (4-9 თვე) და მუდმივ (10-12 თვე) სიღარიბეს. „სიღარიბის პორტრეტით“ კი დგინდება სოციალური დახმარების მიზნობრიობა და ზომა.

სიღარიბის მასშტაბის და სიღრმის გასაზომად, საჭიროა სიღარიბის ზღვრის ზუსტი განსაზღვრა, გასაანალიზებელია მონაცემები მოსახლეობის შემოსავლების (ხარჯების) განაწილების შესახებ. მოსახლეობის სიღარიბის შეფასების და ანალიზის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საოჯახო მეურნეობების კვლევების მასალები. ქვეყნის მოსახლეობის სიღარიბის შეფასების სანდოობის გასაზრდელად შემუშავებულია სპეციალური მეთოდები, რათა მინიმუმამდე დავიდეს შერჩევითი ერთობლიობის კვლევის შედეგებიდან მიღებული მაჩვენებლების შეფასებების გადახრები (გელაშვილი, 2019). ერთ-ერთი დასაბუთებულ მეთოდად ითვლება კვლევის მონაცემების ექსტრაპოლაცია გენერალურ ერთობლიობაზე სტატისტიკური შეწონის მეთოდის საშუალებით, ასევე, სიმულაციური მოდელირების მეთოდი. სტატისტიკური შეწონა შეიძლება მოხდეს ადგილმდებარეობის, საოჯახო მეურნეობის, სქესის, ასაკის და ა.შ. მიხედვით. იმავდროულად გაითვალისწინება დემოგრაფიული სტატისტიკის (სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა, წონის დაკალიბრების მეთოდი) და სოციალური სტატისტიკის (ინსტიტუციური მოსახლეობის რაოდენობა, ადგილმდებარეობა) მონაცემები. ამ შემთხვევაში სიმულაციური მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შერჩევითი ერთობლიობის ემპირიული განაწილება გარდაიქმნას გენერალური ერთობლიობას შესაბამის განაწილებად.

ზოგიერთ ქვეყანაში სიღარიბე ფასდება როგორც საოჯახო მეურნეობების, ასევე ცალკეული პირების მიხედვით. საოჯახო მეურნეობები უნდა განირჩეოდეს ერთმანეთისგან ზომით და შემადგენლობით, რადგან მათი მთლიანი მოხმარების ანალიზის გარეშე შეუძლებელია ადეკვატური დასკვნის გამოტანა. დიფერენციაციის შედარებით შეჯერებული შეფასებისთვის გამოიყენება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემოთავაზებული კორექტირებული (ეკვივალენტური) მასშტაბი (სკალა) (OECD (2011), სადაც: ოჯახის მოზრდილ პირველ წევრს (ოჯახის უფროსს) ენიჭება კოეფიციენტი 1.0, მეორე და შემდგომ უფროს წევრს – 0.5, 14 წლამდე ბავშვებს – 0.3. მსგავსი მიდგომა შეფასების მეტ სიზუსტეს უზრუნველყოფს, მაგრამ უნივერსალური შემაჯერებელი მეთოდი მაინც არ არის, რადგან ეკონომიკის განვითარების დონე და ოჯახის მოწყობის ტრადიცია უდავოდ გასათვალისწინებელია.

დადგენილი სიღარიბის დონის ქვემოთ მყოფი ადამიანების რაოდენობის, ისევე როგორც მოსახლეობაში მათი წილის დადგენა, ვერ განსაზღვრავს, თუ რამდენად ღარიბია ესა თუ ის პიროვნება (ცარციძე, 2022). სიღარიბის გავრცობის ხარისხის შესაფასებლად უპირატესად გამოიყენება

დაბალი შემოსავლების (გასავლების) დეფიციტის (განისაზღვრება როგორც ფულადი სახსრების ჯამი, რომელიც აუცილებელია ნაკლებუზრუნვეყოფილი მოსახლეობის საარსებო მინიმუმამდე (სიღარიბის ზღვრამდე) მისაყვანად), სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის ინდექსები.

ფოსტერ-გრიერ-ტორბეკის სიღარიბის სიღრმის ინდექსით (Foster et al, 2010) გაიანგარიშება შემოსავლების (გასავლების) გადახრა საარსებო მინიმუმიდან. იგი გამოისახება მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის შემოსავლის დეფიციტით. სიღარიბის სიმწვავის ინდექსი გაიანგარიშება როგორც:

$$In_{sp} = \frac{1}{N} * \sum_{j=1}^{n} \left(\frac{L_{mnj} - I_j}{L_{\min j}} \right)^p * 100$$

სადაც: N აღნიშნავს საოჯახო მეურნეობების რაოდენობას; n – საარსებო მინიმუმზე მცირეშემოსავლიანი გამოკითხული საოჯახო მეურნეობების რაოდენობა; L_{minj} – საარსებო მინიმუმი j-ური საოჯახო მეურნეობისთვის; Ij – მცირეშემოსავლიანი (საარსებო მინიმუმამდე) j-ური საოჯახო მეურნეობის ფაქტობრივი შემოსავალი; p=1, თუ გამოსათვლელია სიღარიბის სიღრმე, p=2, თუ გამოსათვლელია სიღარიბის სიმწვავე.

აღნიშნული ინდექსი, ასევე, შეიძლება გამოითვალოს ცალკეული ინდივიდისთვის.

სიღარიბის პრობლემის, ისევე როგორც უმრავლესი ეკონომიკური ხასიათის პრობლემის შესწავლის დროს, ცხადია, გასათვალისწინებელია განუზღვრელობა, რომელიც სტატისტიკური მონაცემის ცდომილების, სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების და ა.შ. მიზეზით გავლენას ახდენს სიღარიბის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. სიღარიბის დონის შესაფასებლად გამოიყენება რეგრესიული ანალიზის შესაძლებლობები (ანანიაშვილი, 2012). ეგზოგენურ ფაქტორებად მიიჩნევა: მოსახლეობის შემოსავლები, საარსებო მინიმუმი, საოჯახო მეურნეობის ზომა, უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე და მსგავსი მაჩვენებლები. მსგავსი დამოკიდებულების შესასწავლად კლასიკურ წრფივ რეგრესიულ მოდელთან ერთად მიზანშეწონილია არამკაფიო (Fuzzy) რეგრესიული მოდელი. იგი საშუალებას იძლევა სამომავლოდ ეკონომიკურ პარამეტრებთან მიმართებაში განისაზღვროს უფრო ზუსტი პროგნოზი არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. არამკაფიო წრფივი რეგრესია ჰ.ტანაკამ დაამუშავა ს.უეჯიმთან, კ.ასაიმთან და ი.ვატადამთან ერთად ([Tanaka et. 1982] და [Tanaka & Watada, 1988]). ამ რეგრესიით აღიწერება ცვლადებს შორის ნაკლებად ზუსტი და ბუნდოვანი კავშირები არამკაფიო პარამეტრებით. ყალიბდება წრფივი პროგრამირების ამოცანა ცხადად განსაზღვრული დამოკიდებული ცვლადისთვის და არაცხადი (არამკაფიო) დამოუკიდებელი ცვლადისთვის. მიზნის ფუნქცია გულისხმობს თანაფარდობის, მთლიანი გაფანტულობა/არამკაფიო რეგრესიის, მინიმუმის განსაზღვრას. მოდელს შემდეგი სახისაა:

$$\tilde{y}_i = \tilde{A}_0 + \tilde{A}_1 x_{i1} + \tilde{A}_2 x_{i2} + ... + \tilde{A}_k x_{ik} \qquad \mathrm{i} = 1,...,\mathrm{n}$$

სადაც: $\tilde{y}_i = (y_i, e_i)$ არის მოცემული სიმეტრიული სამკუთხა არაცხადი გამოსავალი i ცენტრით y და მარჯვენა/მარცხნივ $e_i (e_i \geq 0)$ გაფანტულობით, $x_i = (x_{i1}, x_{i2}, ..., x_{ik})^T$ – მოცემული შემავალი i-ური ვექტორი, $\mathrm{i} = 1,..,\mathrm{n}$, $\overleftrightarrow{A}_i$ – სიმეტრიული სამკუთხა არაცხადი კოეფიციენტი ცენტრით α_j და გადახრით $c_i (c_i \geq 0)$, $\mathrm{j} = 1,...,\mathrm{k}$.

აღნიშნული მოდელისთვის გადაიჭრება წრფივი პროგრამირების ამოცანა და განისაზღვრება კავშირი სიღარიბის დონესა და მასზე მოქმედ ძირითად ფაქტორებს შორის.

სიღარიბის გაზომვის და შესაბამისად, შეფასების სრულყოფილი მეთოდი არ არსებობს. მაგალითად, ფარდობითი სიღარიბის შეფასებისას არსებული პროპორციის შემცირება შეიძლება გამოიწვიოს კეთილდღეობის რეალურმა ზრდამ ან მედიანური დონის შემცირებამ. აბსოლუტური სიღარიბის მანიპულირება მარტივია სასურსათო კალათის კალორიული შემცველობის ან სხვა კრი-

ტერიუმით. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასაბუთებულ, შეჯერებულ და ადეკვატურ შეფასების სისტემას.

სიღარიბის შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები სუსტდება, თუ: მეტადაა გათვალისწინებული ეროვნული და რეგიონული თავისებურებები; მაჩვენებლების სანდოობის გასაუმჯობესებლად მუშავდება და იხვეწება სიღარიბის შემფასებელი სტატისტიკური და მათემატიკური მოდელები და სხვ.

დასკვნები. მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევა საჭიროებს ღარიბი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირების შემადგენლობის ანალიზი სქესის, ასაკის, განათლებისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მათ გაღატაკებას, ასევე სიღარიბიდან გამოსვლას.

ღარიბი საოჯახო მეურნეობების მატერიალური კეთილდღეობის დონის ამსახველი ინდიკატორებით დგინდება სიღარიბის მატერიალური წყაროები და მატერიალური დახმარების ეფექტიანობა.

სიღარიბის დასაბუთებული შეფასებები მნიშვნელოვანია ანალიტიკური ანგარიშების, სტატისტიკური ბიულეტენებისა და ა.შ. მოსამზადებლად.

სხვადასხვა ქვეყნის სიღარიბის გაზომვისა და შეფასების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებებია სიღარიბის გაზომვისა და შეფასების კონცეპტუალურ მიდგომებში. უმეტეს ქვეყნებში გამოიყენება აბსოლუტური მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი ან სიღარიბის ზღვარი.

ცხოვრების ღირებულებით შეფასებისას მნიშვნელოვანი განსხვავებებია სამომხმარებლო კალათის შემადგენლობაში, რაც გამოწვეულია ეროვნული, კლიმატური და სხვა თავისებურებით, იგივე ითქმის შეფასების კრიტერიუმზე: რიგ ქვეყნებში ეს არის სამომხმარებლო ხარჯები ან გაანგარიშების მეთოდოლოგიით მათთან ახლოს მდგომი ინდიკატორი, ზოგან კი ფულადი ხარჯების საფუძველზე გამოთვლილი მაჩვენებლებია. გარდა ამისა, სიღარიბის გამოთვლისას გამოიყენება ეკვივალენტურობის სხვადასხვა მასშტაბი ოჯახში ცხოვრების ეფექტის შესაფასებლად. OECD-ის მიერ რეკომენდებული კორექტირებული მასშტაბი მისაღები არ არის ყველა ქვეყნისთვის მათი ამჟამინდელი ფორმით და საჭიროებს გაუმჯობესებას ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით.

სიღარიბის ინდიკატორების გამოთვლის მეთოდოლოგიაში განსხვავებები ართულებს ქვეყნებს შორის შედარებით ანალიზს, რადგან ქვეყნებში სიღარიბის დონის ძირითადი ინდიკატორების შედარება მთლად სწორი არ არის მოხმარების საქონლისა და მომსახურების შემადგენლობის სხვაობის გამო.

ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდების და მოდელების სრულყოფის კვალობაზე სიღარიბის შეფასების მექანიზმიც დაიხვეწება, რაც სიღარიბის პრობლემის უფრო ღრმა შესწავლის და ანალიზის საფუძველი გახდება.

ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი, ი. (2012). *ეკონომეტრიკა*. თბილისი. მერიდიანი
2. გელაშვილი, ს. (2019). *შესავალი სტატისტიკურ პროგნოზირებაში.* თბილისი. უნივერსალი
3. კაკულია, მ., კაპანაძე, ნ., ქურხული, ლ. (2017) *ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა.* საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. თბილისი.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოძიებულია https://geostat.ge -დან.
5. ცარციძე, მ. (2022). *უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში*. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა

6. Abramo, L., Cecchini, S.. & Morales, B. (2019). *Social programmes, poverty eradication and labour inclusion Lessons from Latin America and the Caribbean.* ECLAC Books, United Nations. Retrieved from https://repositorio.cepal.org/bitstream/handle/11362/44622/1/S1900004_en.pdf
7. Allen, R. C. (2020). *Poverty and the Labor Market: Today and Yesterday*. Annual Review of Economomics.
8. Dean, J & Prydz, E. (2017). *Societal poverty: a relative and relevant measure*. Policy Research working paper; no. WPS 8073, Washington, D.C. : World Bank Group.
9. Foster, J., Greer, J., & Thorbecke, E. (2010). *The Foster–Greer–Thorbecke (FGT) poverty measures: 25 years later*. The Journal of Economic Inequality. 8 (4)
10. Mankiw, G. (2016). *Principles of Economics*. Boston. Cengage.
11. OECD (2011), Divided We Stand – Why Inequality Keeps Rising, Paris. Retrieved from www.oecd.org/social/inequality.htm/www.oecd.org/fr/social/inegalite.
12. Smith, H., Pettgrew, T., & Huo, I. (2020). *Relative Deprivation Theory: Advances and ApplicationsAdvances and Applications*. In book: Social Comparison, Judgment, and Behavior.
13. Social Programs (2022). Governmant of Canada. Retrieved from https://www.sac-isc.gc.ca/eng/1100100035072/1521125345192
14. Social Programs That Work. Retrieved from https://evidencebasedprograms.org/
15. Shapiro, A. F. (2005) *Fuzzy regression models*. ACM, Penn State University.
16. Tanaka, H., Uejima, S., & Asai, K. (1982). *Linear regression analysis with fuzzy model.* IEEE Transactions on Systems, Man, and Cybernetics, Vol. 12.
17. Tanaka, H., & Watada, J. (1988). *Possibilistic linear system and their application to the linear regression model. Fuzzy Sets and Systems*, Vol. 27.
18. World Bank. (2022). *Poverty.* Retrieved from https://www.worldbank.org/en/topic/poverty

Poverty as a Social Problem and the Difficulties of its Assessment

Nino Mikiashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

Social problems remain world-class challenges. The cause and origin of most social problems lie in poverty and poverty. Poverty is assessed according to various criteria, and it is important that the assessment system adequately reflects the real situation. Certain recommendations are offered by international organizations, but it is necessary to take into account the specifics of a particular country or region. When assessing poverty, extrapolation of data from studies conducted on a sample population on population by statistical weighting is carried out, and the simulation method is also used. As a rule, demographic and social statistics are taken into account. A relatively balanced assessment of the existing differentiation is the so-called Adjusted (equivalent) scales, as well as the prevalence of poverty, which are determined by subtracting the indices of low-income (expenditure) deficit, severity and depth of poverty. Regression models are used to estimate and predict poverty. The variety of methods for assessing poverty is due to problems that arise at certain times and in certain spaces. They can be overcome only as a result of complex and purposeful work, in which a scientifically based assessment system plays an important role.

Keywords: Poverty, Poverty Classification, Poverty Assessment, Poverty Indices.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის
როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ბაბულია მღებრიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ეკატერინე ურუტაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
მაია ვეშაგური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

სტატიაში დახასიათებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები სამი მიმართულებით: მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების დაცვა, გარემოს დაცვა, საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა. სტატიაში, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ნაჩვენებია ბიზნესის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობა საქართველოში. ამ კუთხით ყურადღება გამახვილებულია ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხზე გარემოს დაცვაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სამთავრებო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებას. სტატიის ავტორების აზრით, საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ბიზნესის როლის ამაღლება დაეხმარება როგორც ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს, ისე მომხმარებლებსა და მთელ საზოგადოებას კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებაში.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური პასუხისმგებლობა, მარკეტინგული ეთიკა, გარემოს დაცვა.*

COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო უდიდესი გლობალური პრობლემის წინაშე დააყენა, რამაც ბიზნესის წარმართვაზეც გავლენა იქონია. შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში ბიზნესის თითქმის ყველა სფერო მეტ-ნაკლებად დაზარალდა. პოსტკოვიდური საზოგადოებაში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რატომღაც „როგორც საზოგადოებრივი აზრი, ასევე, თავად ბიზნესკომპანიები კორპორაციულ პასუხისმგებლობას მეტწილად მსხვილი კომპანიების საქმედ მიიჩნევენნ (ხოფერია & ჩხეიძე, 2018). სინამდვილეში ეს ასე არ არის. ასეთი აზროვნება კორპორაციული პასუხისმგებლობის „კონცეფციის უმართებულო გააზრების შედეგია“ (ხოფერია & ჩხეიძე, 2018). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებას დადებითი შედეგი მოაქვს როგორც საზოგადოებისთვის, ისე კომპანიებისთვისაც. როგორც წესი, პასუხისმგებლობით მომუშავე კომპანიები საზოგადოებაში მაღალი იმიჯით სარგებლობენ, რაც, ასევე, დადებითად აისახება მათი მუშაობის შედეგებზე.

საქართველოსთვის მცირე და საშუალო ბიზნესის გააქტიურება სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში არსებული საწარმოების უმეტესობა,

სწორედ, ამ კატეგორიის საწარმოებს წარმოადგენს. 2017 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს გრადაცია, რომლის თანახმადაც მცირე ზომის საწარმოებში დასაქმებულთა საშუალოწლიური რაოდენობა და წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 დასაქმებულსა და 12 მლნ ლარს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში კი, შესაბამისად, 249 დასაქმებულსა და 60 მლნ ლარს. მსხვილად ითვლება საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა 249 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა კი 60 მლნ ლარს აღემატება (ბიზნესსექტორი საქართველოში 2020, გვ.14). მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღევანდელ საქართველოში სწორედ მცირე ზომის საწარმოებშია დასაქმებული. ასე, მაგალითად, 2019 წლისთვის საქართველოს მცირე ზომის საწარმოებში მუშაობდა 339 152 კაცი, საშუალო ზომისაში 152 156, ხოლო მსხვილ საწარმოებში კი 265 184 კაცი (ბიზნესსექტორი საქართველოში 2020, გვ.109). სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა სიდიდის მიხედვით განსხვავებული საწარმოების სავაჭრო ბრუნვის მხრივ. ამ წელს სავაჭრო ბრუნვამ ქვეყანაში 109 024,3 მლნ ლარი შეადგინა (ბიზნესსექტორი საქართველოში 2020, გვ. 27). მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 55,5% (60 504,6 მლნ ლარი) მოდიოდა მსხვილ საწარმოებზე, 19,3% (21 065,6 მლნ ლარი) – საშუალო ზომის საწარმოებზე, ხოლო 25,2% (27 454,2 მლნ. ლარი) კი მცირე ზომის საწარმოებზე. ე.ი. საშუალო და მცირე ზომის საწარმოების როლი მნიშვნელოვანი იყო როგორც მოსახლეობის დასაქმების (65%), ისე სავაჭრო ბრუნვის (44,5%) მხრივ. ასეთ პირობებში, საშუალო და მცირე ზომის საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობას შეუძლია დიდი წვლილის შეტანა ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევასა და კორონავირუსული პანდემიის შედეგად გამოწვეული პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცხადია, ამ ტიპის საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა დადებითად აისახება საწარმოებში დასაქმებული 490 ათასზე მეტი ადამიანისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრებაზე, ხოლო საწარმოს გარეთ კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს გარემოს დაცვის უზრუნველყოფასა და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში. ამასთან, საჭიროა უფრო მეტი დაინტერესება და ახალი გზების გამონახვა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის გასააქტიურებლად. ეს, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია დღეს, როცა საწარმოთა ნაწილის მფლობელები და მენეჯერები სიტყვით აღიარებენ პოსტკოვიდური სიძნელეების დაძლევის აუცილებლობას, საქმით კი ხშირად საპირისპიროდ იქცევიან. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალური პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების ძიება აქტუალური პრობლემაა.

კვლევის მეთოდოლოგია. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის აუცილებლობის საკითხებზე თანამედროვე შეხედულებებისა და პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის გასარკვევად გამოყენებულია კვლევის ზოგადი მეთოდები, კერძოდ, ანალიზი და სინთეზი, აგრეთვე, მარკეტინგის რაოდენობრივი კვლევის მეთოდი-დაკვირვება. ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე, აღნიშნული საკითხის შესახებ შექმნილი ლიტერატურული წყაროებიდან გამოყოფილი და შესწავლილია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი სახეები და საკანონმდებლო ბაზა. სოციალური პასუხისმგებლობით ბიზნესის მუშაობის შედეგების შესაფასებლად, საჭიროების შემთხვევაში, ვისარგებლეთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ინდექსებით. სტატიაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა, აგრეთვე, პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის ამსახველი სხვადასხვა სახის პუბლიკაციები. სტატიის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების როლი შეასრულა, პრობლემასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ ადრე გამოქვეყნებულმა სტატიებმა, აგრეთვე, სხვა ავტორების ნაშრომებმა (Mghebrishvili, 2010; Mghebrishvili, 2014; Mghebrishvili & Urotadze, 2016; Todua et al., 2016; ჭილაძე, 2017; Todua, 2018; Todua & Jachi, 2018; Todua & Mghebrishvili, 2018; Mghebrishvili, 2018; Mghebrishvili, 2019; Todua, 2019; Mghebrishvili, 2020; Mghebrishvili et al., 2020; Wang & Bian 2022).

კვლევის შედეგები. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება (Jamali & Karam, 2018; Ali et al, 2022), რომელთაგან, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

- მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების აქტიურად დაცვა;
- გარემოს დაცვის საკითხების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა;
- საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა.

მარკეტინგული ეთიკა, რომელიც ბიზნესით დაკავებული ადამიანების ქცევის სტანდარტებს და მორალურ ფასეულობებს გულისხმობს, ზოგჯერ ყურადღების მიღმა რჩება. ცხადია, ეთიკურად ქცევა არ მოეთხოვებათ მხოლოდ მარკეტოლოგებსა და უმაღლესი დონის მენეჯერებს, ის ბიზნესში დასაქმებული ყოველი ადამიანის მოვალეობაა როგორც ცნობილია, მარკეტინგული ეთიკა, ისევე როგორც ეთიკა, საერთოდ, ორ პრინციპს ემყარება. პირველი პრინციპის მიხედვით „ბიზნესში ქცევის ნორმები უნდა დაეფუძნოს თავისუფალ ბაზარს და სამართლებრივ სისტემას. მეორე პრინციპის შესაბამისად, ყოველმა საწარმომ და მისმა მარკეტინგის მენეჯერებმა თვითონ უნდა დაამუშაონ სოციალური პასუხისმგებლობისა და მორალური ქცევის კონცეფცია, რომელიც შინაგან წესიერებას, კორპორაციულ სინდისს და გრძელვადიან პერსპექტივაში მომხმარებელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფას დაემყარება (Todua & Mghebrishvili, 2009). ჩვენი აზრით, პირველი პრინციპი ქართულ ბიზნესში, ძირითადად, დაცულია. საწარმოები სამართლებრივი სისტემის მოთხოვნების დაცვას ცდილობენ, რადგან, მათი დაუცველობის შემთხვევაში, პასუხს აგებენ კანონმდებლობით დადგენილი სანქციების შესაბამისად. ყველა ნორმალურ ქვეყანაში მოქმედებს კანონმდებლობა, რომელიც ბიზნესს არეგულირებს და მას სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს. ცხადია, ასეთი კანონმდებლობა შექმნილია და ფუნქციონირებს საქართველოშიც. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა სულ უფრო იხვეწება და შესაბამისობაში მოდის ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ბიზნესის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ მომხმარებელს მიეწოდოს უსაფრთხო პროდუქცია, რომლის ნიშან-თვისებებისა და მოხმარების წესების შესახებ ის სწორად უნდა იყოს ინფორმირებული (Mghebrishvili & Urotadze, 2016; Todua, Mghebrishvili & Urotadze, 2016; Todua & Mghebrishvili, 2018; Mghebrishvili, 2018). საქართველოში მოქმედი ბიზნესის მარეგულებელი კანონმდებლობიდან ჩვენ, პირველ რიგში, გამოვყოფთ შემდეგ ნორმატიულ აქტებს: საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"; საქართველოს „კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი"; საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესინ; ტექნიკური რეგლამენტი მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების – სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ. ამ ნორმატიულ აქტებთან ერთად, არსებობს უამრავი წესი და სხვა ნორმატიული აქტი, რომლებიც ბიზნესის სხვადასხვა სფეროს სწორი მიმართულებით წარმართვას უზრუნველყოფს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეული ბიზნესიც, მორალური კუთხით, აზარალებს ადამიანებს. მაგრამ, მარკეტინგული ეთიკის მეორე პრინციპის მიხედვით, ბიზნესი არ კონტროლდება. ამ პრინციპის მიხედვით მუშაობა ბიზნესის კეთილი ნებაა. თუმცა, ბიზნესის მხრიდან აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ მორალური და ეთიკური ნორმების უგულებელყოფა მისთვის შეიძლება დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. მორალურად და ეთიკურად არასწორი ქმედებები აზარალებს ბიზნესის იმიჯს, რაც საწარმოთა უმეტესობას გაცნობიერებული აქვს, მაგრამ, ისინი, ძირითადად, მსხვილი კომპანიებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო და მცირე სიდიდის

საწარმოებს მიაჩნიათ, რომ სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა მხოლოდ მსხვილ ბიზნესს შეუძლია, რაც, სრულიად, არასწორია. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ საზოგადოების მორალური დონის ამაღლებისათვის საჭიროა მუშაობის გააქტიურება სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. პოლიტიკური არასტაბილურობის, ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკორონავირუსული პანდემიის პირობებში საკმაოდ ბევრი ადამიანის მორალური ფასეულობები მკვეთრად შეირყა, რაც აშკარაა. ასეთი ადამიანები, ცხადია, ბიზნესსაც მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად არ წარმართავენ.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო იზრდება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის კუთხით. ამ მიმართულებით მუშაობა საქართველოშიც დიდი ხანია დაიწყო. უკვე 1996 წელს მიიღეს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. ამ კანონმა მიღების შემდეგ დიდი ცვლილებები განიცადა, განსაკუთრებით, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. გარემოს დაცვის უზრუნველყოფაში დიდი როლის შესრულება აკისრია ნარჩენების მართვის კოდექსს. ორივე კანონის მოთხოვნების დაცვით, საქართველოს შეუძლია ბუნებრივი რესურსები დაიცვას ისე, რომ მომავალმა თაობებმაც შეძლონ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში, გარემოს დაცვის კუთხით, ბევრი რამ გაკეთდა, რეალური მდგომარეობის ამსახველი ინდექსები გვიჩვენებს, რომ მდგომარეობა ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელია. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაანგარიშებული ზოგიერთი ინდექსი. ლონდონში არსებული ლეგატუმის ინსტიტუტის მიერ ქვეყნების მიხედვით გაანგარიშებული კეთილდღეობის ინდექსის ერთ-ერთი კომპონენტია (ქვეინდექსია) გარემოს დაცვის ინდექსი. ამ ინდექსის მიხედვით, 2016-2017 წლებში, საქართველოში არ იყო სახარბიელო მდგომარეობა. საქართველოს 149 ქვეყანას შორის ორივე წელს 124-ე ადგილი ეკავა (Mghebrishvili, 2019). 2018-2119 წლებში, აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველოში მდგომარეობა, გარემოს დაცვის კუთხით, ჯერ გაუმჯობესდა, შემდეგ კი გაუარესდა. თუმცა, 2020 წლისთვის მდგომარეობა კვლავ ქვეყნისთვის ხელსაყრელი გახდა. საქართველო ამ წელს, ლეგატუმის ინდექსში შემავალი ბუნებრივი გარემოს დაცვის ქვეინდექსით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან უმეტესობას ჩამორჩებოდა. ასე, მაგალითად, 2020 წლისთვის, ლეგატუმის ინდექსის მიხედვით, გარემოს დაცვის მხრივ, ლატვია იყო მე-7 ადგილზე, ესტონეთი მე-10, ლიეტუვა 24-ე, ყირგიზეთი 65-ე, რუსეთი 77-ე, ბელორუსი 82-ე, სომხეთი 91-ე, ყაზახეთი 104-ე, უკრაინა კი 110-ე ადგილზე. საქართველოს მხოლოდ აზერბაიჯანი, მოლდოვა, თურქმენეთი და უზბეკეთი ჩამორჩებოდა. მათ გარემოს დაცვის ქვეინდექსში ეკავათ, შესაბამისად, 136-ე, 140-ე, 150-ე და 157-ე ადგილები (The Legatum Prosperity Index, 2020). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში გარემოს დაცვის მიმართულებით კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მართალია, გარემოს დაცვის საკანონმდებლო ბაზა შექმნილია, მაგრამ, მას აღსრულება არა მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურების, არამედ ბიზნესის და ცალკეული ადამიანების მხრიდანაც სჭირდება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვის კუთხით, უნდა ამაღლდეს. უნდა გაიზარდოს მოქალაქეთა პასუხისმგებლობის დონეც. ცალკეული ადამიანი არა მხოლოდ თვითონ უნდა იცავდეს გარემოს დაბინძურებისგან, არამედ ბიზნესსაც უნდა დაეხმაროს სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის დაინტერესების ამაღლებაში. ყოველმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს, რომ, ყიდვის პროცესში ჯანსაღი პროდუქტების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანით, ის ხელს უწყობს სოციალური პასუხისმგებლობის კომპანიებს შემდგომ გაფართოებასა და მომგებიანად მუშაობის უზრუნველყოფაში (Mgebrishvili,2019). საქართველოში მოსახლეობაში ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად ჯანსაღი კვების მიმართ ინტერესი მაღალია (Todua, 2018; Todua & Jashi, 2018; Todua, 2019; Mgebrishvili, 2019). ამდენად, მოსახლეობის ხელშია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობისკენ ბიძგის მიცემის შესაძლებლობები, რაც აუ-

ცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. მდგრადი მოხმარება მდგრად განვითარებას განაპირობებს (Mgebrishvili, 2020). ეს უნდა გააცნობიეროს ფართო საზოგადოებამ, რაშიც დიდი როლი მდგრადი მარკეტინგის პრინციპების პროპაგანდამ უნდა შეასრულოს. ამრიგად, მომხმარებლის მარკეტინგიც მდგრადი უნდა იყოს, რაც კარგი გაკვეთილი იქნება უპასუხისმგებლო კომპანიებისთვის და უბიძგებს მათ საქმიანობის სოციალური პასუხისმგებლოდით განხორციელებისკენ (Mgebrishvili, 2019).

გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მთელი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა არა იმდენად გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შექმნით, რამდენადაც, გარემოს დაცვის პრობლემებით, მთელი საზოგადოების დაინტერესების დონის ამაღლებით. შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობა „თავისთვის დარჩება“, თუ მას არ გაითავისებენ საზოგადოების ფართო ფენები. საზოგადოების გარემოს დაცვის საკითხებით დასაინტერესებლად საჭიროა მისი სისტემატურად ინფორმირება იმგვარად, რომ გარემოს დაცვა ყოველი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცეს. ეს დასტურდება მოსახლეობის გამოკითხვებით (Mghebrishvili et al., 2020).

ჩვენი დაკვირვებით, ბიზნესი უფრო მეტს აკეთებს გარემოს დასაცავად, ვიდრე ცალკეული ადამიანი, თუმცა, სიტყვიერად ყველა გარემოს დაცვის აუცილებლობას აღიარებს. ბიზნესის მფლობელებისა და მენეჯერების ნაწილი სულ უფრო მეტად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ გარემოს დაცვა მათი იმიჯის შექმნაში დადებით როლს ასრულებს და ცდილობს, ეს ფაქტორი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენოს. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთისთვის ეს შინაგანი მოთხოვნილებაა, ზოგისთვის კი მხოლოდ პოზიტიური იმიჯის შექმნის „იარაღი“. ორივე შემთხვევაში ქვეყანა და მთელი საზოგადოება მოგებული დარჩება, მიუხედავად იმისა, რომ გარემოს დასაცავად გადადგმული ნაბიჯი პირველ შემთხვევაში ეთიკურია, მეორე შემთხვევაში კი არა (Mghebrishvili, 2010).

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებაში ბიზნესის მონაწილეობის დონე წარმოადგენს (Todua & Gigauri, 2012). ბიზნესმა, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, უნდა გააქტიუროს საქმიანობის სამივე ასპექტი-ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი. ბიზნესის სოციალური კუთხით გააქტიურების შედეგები გამოვლინდება „მისი თანამშრომლების კეთილდღეობაში, მომხმარებლის კმაყოფილების მაღალ მაჩვენებლებში, პროდუქტისა და მომსახურების უსაფრთხოებაში“ (ხოფერია & ჩხეიძე, 2018). სოციალური პასუხისმგებლობით მომუშავე ბიზნესი გამორიცხავს „მოგების მიღებას“ და „სიმდიდრის დაგროვებას“ საკუთარი თანამშრომლებისა და მომხმარებლების ხარჯზე. ამასთან, ის ეხმარება თანამშრომლებს, რომ ადვილად გადაიტანონ კორონავირუსული პანდემიით მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალი. მომხმარებლის კმაყოფილების მიღწევას ბიზნესი უზრუნველყოფს მისთვის არა მარტო უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებით, არამედ ნდობის აღმძვრელი და სასიამოვნო ატმოსფეროს ჩამოყალიბებითაც მასთან ურთიერთობისთვის. გონიერი ბიზნესმენები დიდი ხანია მიხვდნენ, რომ საკუთარი თანამშრომლებისა და მომხმარებლების კეთილდღეობაზე ზრუნვა, მთელი საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობის მიღება, მარტო ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, ის ბიზნესისთვისაც სარგებლობის მომტანია. ისინი აცნობიერებენ, რომ მათი იმიჯი დამოკიდებულია არა მხოლოდ მიღებული მოგების სწორად განაწილებაზე, არამედ იმაზეც, თუ რა გზებით მიიღება მოგება. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, მოგების მიღების გზებისა და საშუალებების სწორად შერჩევაში ვლინდება. თუ ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით წარიმართება, არც მასში დასაქმებული ადამიანები დაზარალდებიან და არც მომხმარებლები და მთელი საზოგადოება. ასეთ პირობებში, საბოლოოდ, ბიზნესიც მოგებული რჩება.

სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობის შესაძლებლობა ნებისმიერი ზომის კომპანიას აქვს. ამასთან, სოციალური პასუხისმგებლობით ბიზნესის წარმართვა, მცირე ზომის საწარმოებში, არა მარტო შესაძლებელი, არამედ უფრო მარტივიცაა. მხედველობაში გვაქვს საკუთარი თანამშრომლების მოთხოვნილებების გარკვევისა და გათვალისწინების მეტი შესაძლებლობები, მსხვილ კომპანიებთან შედარებით. ისიც ცხადია, რომ მცირე ზომის საწარმოები მომხმარებლებთან, ძირითადად, ახლო ურთიერთობებს ამყარებენ, ვინაიდან იციან, რომ კონკურენციის პირობებში თავის გადარჩენა მხოლოდ მომხმარებლების შენარჩუნების პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მცირე ზომის საწარმოები თანამშრომლებთან და მომხმარებლებთან ურთიერთობებს, ძირითადად, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით ამყარებენ, თუმცა, ეს, ხშირად, მათ არც კი აქვთ, სათანადოდ, გაცნობიერებული. ამასთან, ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ მცირე ზომის საწარმოები ნაკლებად არიან დაკავებული გარემოს დაცვის საკითხებით. ასეთი სახის საწარმოების რაოდენობა კი საქართველოში ბევრად აღემატება მსხვილი და საშუალო ზომის საწარმოთა რაოდენობას. ასე რომ, ქვეყნისთვის, გარემოს დაცვის მიმართულებით, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები დიდი სარგებლობის მომტანი იქნება.

ბოლო წლებში, საქართველოში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით ბიზნესის წარმართვის პროპაგანდის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. მათ შორის გამოვყოფთ კონკურსებს სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიების გამოსავლენად. 2021 წელს სოციალური პასუხისმგებლობით მომუშავე კომპანიების გამოსავლენად ჩატარდა კონკურსი „Meliora 2020“. მისი მიზანი იყო იმ პროექტებისა და ინიციატივების გამტარებელი კომპანიების გამოვლენა, რომლებიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელდა კორონავირუსული პანდემიით გამოწვეულ კრიზისთან საბრძოლველად (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2020). ამასთან, აღსანიშნავი აის ფაქტი, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი განაცხადების რაოდენობა იყო მცირე, რაც ამ მიმართულებით საქმიანობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობაზე მიუთითებს. მხედველობაში გვაქვს როგორც სოციალური პასუხისმგებლობით მომუშავე კომპანიების რაოდენობის გაზრდა, ისე მათი დაინტერესება, რათა ისინი, სოციალური კუთხით, წარმატებით მომუშავე კომპანიების რიგებში იყვნენ და ეს ცნობილი იყოს მთელი საზოგადოებისთვის. ვფიქრობთ, ასეთი მიდგომის პირობებში, კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან საზოგადოების დადებითი განწყობა სტიმულს მისცემს კომპანიებს, უფრო მეტად იზრუნონ საკუთარი თანამშრომლების, მომხმარებლების და, საერთოდ, მთელი საზოგადოების ინტერესებზე.

დასკვნები და რეკომენდაციები. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არსებული ლიტერატურული წყაროებისა და სამართლებრივი აქტების შესწავლის, აგრეთვე, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დონის ამაღლების აუცილებლობის სიღრმისეულად გააზრებისა და ამ მიმართულებით პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა ზრდის, ერთი მხრივ, დანახარჯებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამაღლებს საკუთარი თანამშრომლების, მომხმარებლებისა და მთელი საზოგადოების დადებითი განწყობის დონეს საწარმოთა საქმიანობის მიმართ. ასეთ დროს, დანახარჯების ზრდის მიუხედავად, ხელსაყრელი პირობები იქმნება მომგებიანად მუშაობისთვის. ეს კარგად გააცნობიერა საქართველოში ბიზნესით დაკავებული ადამიანების ნაწილმა, რაც სოციალური პასუხისმგებლობით მომუშავე კომპანიების რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს.

- კორონავირუსულმა პანდემიამ უდიდესი პრობლემების წინაშე დააყენა ქართული ბიზნესი. ასეთ პირობებში დაზარალდა არა მხოლოდ ბიზნესი, არამედ იქ დასაქმებული ადამიანები და მათი მომხმარებლებიც. ამან ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა კიდევ უფრო აქტუალური გახადა. ეს, პირველ რიგში, იმ საწარმოებს ეხებათ, რომლებმაც შეძლეს ახალ პირობებთან ადაპტაცია და საქმიანობის ნორმალურად გაგრძელება. მათი ვალია სახელმწიფოსა და საზოგადოების მხარდაჭერა პანდემიისგან გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში. დღეს სხვა გამოსავალი არ არის. რეალურად, ეს ასეც ხდება და ამის ბევრი მაგალითი არსებობს.
- თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას იძენს ბიზნესის მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად მუშაობა. მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების დაცვა, სამათლებრივი კუთხით, იძულებით ხასიათს ატარებს. ის კონტროლს ექვემდებარება და საწარმოებიც ცდილობენ, სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციონ თავიანთი საქმიანობა. მორალური და ეთიკური ნორმების დაცვა ბიზნესის კეთილი ნებაა. ის ვერ გაკონტროლდება. ამ მიმართულებით ბიზნესის გააქტიურება მისი მფლობელებისა და მენეჯერების დაინტერესებით არის შესაძლებელი. საქართველოში ასეთი მუშაობა ხორციელდება, მაგრამ მეტი აქტიურობაა საჭირო როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან. ეთიკური ნორმების დაცვით მომუშავე ბიზნესი უნდა წახალისდეს მორალურად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სისტემატურად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მოსახლეობას და ამით ხელი უნდა შეეწყოს სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესის პროდუქციის რეალიზაციას.
- ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის დამაკმაყოფილებელი და მოითხოვს მუშაობის კიდევ მეტად გააქტიურებას სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან. ნარჩენების გადამუშავების სექტორი საქართველოში, მართალია, ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე ბევრ კომპანიას აერთიანებს. ისინი გადაამუშავებენ და მოხმარებისთვის საჭირო პროდუქტებად გადააქცევენ ქაღალდს, მინას, პლასტმასს, საბურავებს და ა.შ. საჭიროა ამ მიმართულებით სახელმწიფო სტრუქტურების გააქტიურება, რათა ბიზნესის დაინტერესების დონე ამაღლდეს.
- სახელმწიფომ მორალურად უნდა წაახალისოს ის საწარმოები, რომლებიც აქტიურობენ საზოგადოების წინაშე მდგომი სოციალური პრობლემების გადაჭრაში.
- საჭიროა შესაბამისი სტრუქტურების (სკოლამდელი დაწესებულებებები, სკოლა, კოლეჯები, უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროები, სხვადასხვა სახის სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები) გააქტიურება გარემოს დაცვის კუთხით, რათა ამ საქმეში ადამიანების მეტი რაოდენობა ჩაერთოს.

ლიტერატურა:

1. ბიზნესსექტორი საქართველოში 2020. https://www.geostat.ge/media/35014/Krebuli-2020.pdf.
2. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, თბილისი,1996.
3. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, თბილისი, 2014.
4. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, თბილისი, 2012.

5. საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესი“, თბილისი, 2014.
6. საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, თბილისი, 2012.
7. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (2020). https://meliora.ge/uploads/faqs/Guide%20for%20the%20Applicants%202020%20GEO.pdf
8. ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების – სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“, თბილისი, 2016.
9. ჭილაძე, ი. (2017). ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ქრისტიანობა. https://www.researchgate.net/publication/320566372_biznesis_sotsialuri_pasukhismgebloba_da_kristianoba
10. ხოფერია, ლ., ჩხეიძე, ე. (2018). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო მცირე და საშუალო კომპანიებისათვის. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG). თბილისი, საქართველო. https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/b9a/5cdc9bb9af642992668335.pdf
11. Ali, W., Wilson, J., & Husnain, M. (2022). Determinants/motivations of corporate social responsibility disclosure in developing economies: A survey of the extant literature. *Sustainability*, *14*(6), 3474.
12. Jamali, D., & Karam, C. (2018). Corporate social responsibility in developing countries as an emerging field of study. *International journal of management reviews*, *20*(1), 32-61.
13. Mghebrishvili, B. (2010). Contradictory Nature of Marketing Ethic. *Journal of Economics and Business*, Iv.Javakhishvili Tbilisi State University, pp.135-140.
14. Mghebrishvili, B. (2014). The Ethics and Retail Management EE. In *Proceedings of 2nd International Scientific and Practical Conference –Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2018).* Kiev, Ukraine, pp. 42-44.
15. Mghebrishvili, B. (2018). Some Aspects of Social Marketing Development in Georgia. In *Proceedings of 4th International Scientific and Practical Conference –Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2018).* Kiev, Ukraine, 345-351.
16. Mghebrishvili, B. (2019). Situation of Health and Welfare in Georgia in the Context of Sustainable Development and Sustainable Marketing. *Ecoforum.*
17. Mghebrishvili, B. (2020). Some Legal Aspects of Achievement of Sustainable Consumption and Production in Georgia. In *Proceedings of Business Systems Laboratory-7th International Symposium-Socio-Economic Ecosystems: Challenges for Sustainable Development in the Digital Era.* University of Alikante, Spain.
18. Mghebrishvili, B., Mghebrishvili, A., & Atoshvili, T. (2020). Care about Environment Protection in the Conditions of Effectiveness of Sustainable Development Conception (Example of Georgia). In *Proceedings of 5th International Scientific and Practical Conference –Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2020).* Kiev, Ukraine, pp. 345-351.
19. Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2016). Characteristics of Food Products Labeling in Georgia. In *Proceedings of International Scientific Symposium „Economics, Business & Finance“*, Jurmala, Latvia, pp. 135-138.
20. The Legatum Prosperity Index (2020). Retrieved from https://www.prosperity.com/
21. Todua, N. (2018). Impact of food labeling on buying behavior regarding to healthy nutrition. *Globalization & Business*. 5(1), 45-52.

22. Todua, N. (2019). Attitude of Georgian Consumers to Healthy Nutrition. In *Proceedings of 46th International Academic Conferences.* International Institute of Social and Economic Sciences. At Sapienza University of Rome, Italy, pp. 208-219.
23. Todua, N., & Gigauri, N. (2012). Aspects of Social Responsibility of Marketing in the Georgian Consumer Market. Economics and Business, 6 , 113-134.
24. Todua, N., & Mghebrishvili B. (2009). Essentials of Marketing (Textbook), Tbilisi, Georgia.
25. Todua, N., & Mghebrishvili B. (2018). Legal Fundamentals of Food Provisions in Georgia. *Journal of International Academic Research.* 1(1), 9-16.
26. Todua, N., Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2016). Main aspects of formation of legal environment of the Georgian food market. In *Proceedings of International Conference: Challenges of Globalization in Economics and Business*. Tbilisi, Georgia, pp. 250-256.
27. Todua, N. & Jashi, Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian Academy of sciences,* 12 (2), 183-190.
28. Wang, X., & Bian, W. (2022). Analyzing the Role of Corporate Social Responsibility for Sustainable Environmental Performance: Mediating Roles of Environmental Strategy and Environmental Outcomes. *Frontiers in Psychology*, 3139.

The Role of Social Responsibility of Business in the Development of Georgian Economy

Babulia Mghebrishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ekaterine Urotadze
Doctor of Economics, Associate Professor
Maia Veshaguri
Doctor of Economics, Assistant Professor

SUMMARY

The article describes the issues of social responsibility of business in three directions: compliance with the requirements of marketing ethics, protection of the environment, participation in the solution of social problems of society. The article, based on the analysis of the current situation, shows the necessity of raising business responsibility in Georgia. In this regard, attention is focused on the issue of increasing the responsibility of individual citizens in environmental protection, which, in turn, requires the activation of governmental structures and non-governmental organizations. According to the authors of the article, increasing the role of business in solving the social problems facing the society will help both the people employed in the business, as well as consumers and the whole society to compensate for the material and moral losses caused by the coronavirus pandemic.

Keywords: Social responsibility, marketing ethics, environmental protection.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების აქტუალური საბიუჯეტო პრობლემები და გამოწვევები საქართველოში

გივი ნადირაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნაშრომში გამოვლენილია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლებთან, დანახარჯებთან და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, მიზეზები და თანმდევი შედეგები. იდენტიფიცირებულია საბიუჯეტო შემოსავლებისა და განკარგვის ნაკლოვანებები, ხარჯეფექტიანობის, მიზნობრივი ტრანსფერებისა და გადასახად-მოსაკრებლების თავისებურებები. სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის სტრატეგიის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია მწვავე პრობლემები და გამოვლენილია გადასაჭრელი საკითხები. შეფასებულია ქვეყნის აქტივების სახელმწიფო მფლობელობის დონე, მისი განკარგვის პრობლემები და მუნიციპალურის ნაცვლად, სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრების დონე. ცალკეულ შემთხვევებში, ადგილობრივი რეალობა შედარებულია ევროპულ პრაქტიკას, რომლის საფუძველზე, შემუშავებულია სარეკომენდაციო წინადადებები და ის მოქმედებები, რომელთა განხორციელება სასურველია.

საკვანძო სიტყვები: *მუნიციპალური ბიუჯეტი; რეგიონული განვითარება; დეცენტრალიზაციის სტრატეგია; საბიუჯეტო შემოსულობები; ხარჯ-სარგებლიანობა.*

სახელმწიფოს დეცენტრალიზებული მმართველობის პირობებში, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საბიუჯეტო სისტემას, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სტრუქტურას, შემოსავლების წყაროებს, დანახარჯთა მეთოდოლოგიას, ცენტრალური ხელისუფლებისგან დაკისრებულ და დელეგირებულ უფლებამოსილებებსა და თვითკმარობისათვის საჭირო სხვა არაერთ პარამეტრს. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საბიუჯეტო სისტემის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსავლების ზრდისა და მათი გამოთანაბრებისათვის გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, მუნიციპალიტეტთა უმრავლესობაში დღესაც აქტუალურია სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების პრობლემები. დეცენტრალიზაცია თავის მხრივ სახელმწიფოს მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტზე გადაცემული ან დელეგირებულია ის უფლებამოსილებები, რომელთა შესრულება ლოკალურ დონეზე გაცილებით მიზანშეწონილი, დროული და შესაბამისად, ხარჯეფექტურია, რაც შესაბამის რესურსებს საჭიროებს. გამომდინარე იქიდან, რომ ცალკეული მუნიციპალიტეტის თითოეული პრობლემა ზოგადსახელმწიფოებრივი გამოწვევების ცალკეული ელემენტია, დეცენტრალიზაცია არ გულისხმობს სუბეროვნული პრობლემების ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობისგან იზოლირებასა და მმართველობითი ვერტიკალის სხვა დონისგან მოწყვეტას. ამრიგად, დეცენტრალიზაციის მიზანია არა სახელმწიფო ძალაუფლების დასუსტება და მმართველობითი ვერტიკალის დონეების წინააღმდეგობრივი ქმედებები, არამედ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დემოკრატიული არჩევნების გზით შერჩეული ლოკალური ხელისუფლების ხელშეწყობა სოციალური ფორმების გაჯანსაღებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. საგულისხმოა, რომ დეცენტრალიზაციის მაღალეფექტურობა მოითხოვს მმართველობითი იერარქიის დონეებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური კოორდინაციის მაღალ ხარისხსა და შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, რაც ბოლო 3 ათწლეულის გამოწვევაა საქართველოში.

განაწილებითი დამატებული ღირებულების გადასახადი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო შემოსულობების ერთ-ერთი წყაროა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის, დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლების 19%, რომელიც მუნიციპალურ ბიუჯეტებზე ნაწილდება ქვეყნის განსაზღვრული სტატისტიკური მონაცემებისა და შესაბამისი წონების მიხედვით (მაცნე, 2022).

საყურადღებოა, რომ განაწილებითი დამატებული ღირებულების გადასახადით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საბიუჯეტო შემოსავლები მოწყვლადია ეკონომიკური რეცესიების, ისევე, როგორც სხვადასხვა ეგზოგენური ფაქტორებით გამოწვეული გლობალური თუ რეგიონული მაკროეკონომიკური რყევების მიმართ, ვინაიდან მოდელი მოიაზრებს მუნიციპალურ ბიუჯეტთა შემოსულობების ზრდას, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, თუმცა, ცხადია, ვერ იქნება უგულებელყოფილი გარე შოკები და შესაბამისად, ზრდასაც ვერ ექნება პერმამენტული სახე. Covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის პირობებში, შემცირდა დამატებული ღირებულების გადასახადიდან სახელმწიფო ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, აისახა მუნიციპალურ შემოსავლებზე. შედეგად, გარდაუვალი იყო ბიუჯეტის სეკვესტრი და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს არაერთგზის მოუწიათ დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირება და ხარჯების მნიშვნელოვნად შეკვეცა. სახელმწიფო ორიენტირდა კაპიტალური, სოციალური და სხვა იდენტური დანახარჯების უცვლელობაზე და შესაბამისად, მთავრობის განკარგულებით, მუნიციპალიტეტებს დაევალათ შიდა სახელმწიფო ვალების აღება, რაც დაკავშირებულია დამატებით ტრანზაქციულ და სხვა რესურსთა დანახარჯებთან. საყურადღებოა, რომ ბიუჯეტის კორექტირების შემდეგი ეტაპი, შესაძლოა, სოციალურ და სხვა ხსენებულ დანახარჯებსაც შეხებოდა, რაც შებოჭილი ეკონომიკური გარემოს პირობებში, კიდევ უფრო გააუარესებდა საზოგადოებრივ კეთილდღეობას (ჯიბუტი, 2020).

ქონების გადასახადი და სახელმწიფო ქონება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა მნიშვნელოვან შეღავათებს აწესებს ერთადერთ ადგილობრივ – ქონების გადასახადზე, როგორც საკუთარი შემოსავლების ფორმირების წყაროზე, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს მუნიციპალური ბიუჯეტის სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების შემცირებაში. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის განაკვეთი განსხვავებულია დასაბეგრი პირის წლიური დარიცხული შემოსავლისა და მუნიციპალიტეტის მიხედვით, საგულისხმოა, რომ მისი განსაზღვრა ხდება დასაბეგრი ქონების საბაზრო/ნარჩენი საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების არაუმეტეს 1% ოდენობით, განურჩევლად სუბიექტის/ოჯახის წლიური შემოსავლების სიდიდისა (მაცნე, 2022). ამასთან, არ არსებობს საბაზრო ღირებულების განსაზღვრების მკაფიო ჩარჩო, ისევე, როგორც ოჯახების ქონების გადასახადით დაბეგვრას დაქვემდებარების მონიტორინგის, გადამოწმებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ფართო ხედვა, რაც, შესაძლოა, დასაბეგრი ბაზის შემცირების მოტივატორი იყოს ფიზიკური პირებისთვის. ამასთან, მუნიციპალიტეტთა უმეტესობაში, მთლიან ადგილობრივ საბიუჯეტო შემოსავლებში საკმაოდ მწირია ქონების გადასახადით მიღებული ფულადი ნაკადების ხვედრითი წილი, რომლის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი განმაპირობებელი ფაქტორი ქვეყნის ძირითადი რესურსების (მიწა, ტყე, საბჭოთა მემკვიდრეობით მიღებული შენობა-ნაგებობები, სხვა) სახელმწიფო მფლობელობაა. ამასთან, სახელმწიფო მფლობელობაში ზემოხსენებული რესურსების უმეტესი წილის მესაკუთრეა ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო მუნიციპალიტეტის მფლობელობა ძალზედ მწირია (ჩხაიძე&გერლიანი&მაკალათია&გარდავა&სირბილა-

ძე&ფანცულაია&კრიალაშვილი, 2021), რაც, მეორე მხრივ, საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული იჯარითა და მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავლების სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში განაწილების პროპორციების შესაბამისად (მაცნე, 2022), იმაზე ნაკლებ შემოსავალს აძლევს მუნიციპალიტეტებს, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეღავათია 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით საკუთრებაში არსებული 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწების ქონების გადასახადით დაბეგვრისგან განთავისუფლება. ამასთან, პოსტპანდემიურ პერიოდში, ტურისტული და მასთან გათანაბრებული სექტორში დასაქმებული მეწარმეები 2021 წელზე სრულად განთავისუფლდნენ ქონების გადასახადისგან, რაც ჯამში 40 მლნ ლარს უტოლდებოდა. ნიშანდობლივია, რომ დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული აქტივების აღრიცხვის შესადარისობა ერთი და იმავე პერიოდისათვის, მათ შორის, სახელმწიფო და კერძო საკუთრების თანაფარდობის სიზუსტე. მნიშვნელოვნად განსხვავებულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ხელთ არსებული მონაცემები და ინფორმაცია. აღნიშნული განაპირობებს ქვეყნის რესურსების სრულყოფილი ინვენტარიზაციის აუცილებლობასა და შესადარისი ბაზის ფორმირებას, ასევე, შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებს შორის კოორდინაციის მაღალ ხარისხსა და აღრიცხვის კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიის შეჯერებას. 2021 წლის გასაშუალოებული მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სახელმწიფო მფლობელობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 50%-ის ფარგლებშია (ჩხაიძე&გერლიანი&მაკალათია&გარდავა&სირბილაძე&ფანცულაია&კრიალაშვილი, 2021), საიდანაც მუნიციპალური მფლობელობის საშუალო ხვედრითი წილი 0.01%-დან 1%-მდე მერყეობს, რაც, ცხადია, იმაზე ნაკლებ შემოსავლიანია მუნიციპალიტეტებისთვის იჯარით გაცემიდან, ვიდრე მუნიციპალური მფლობელობის გაზრდილი ხვედრითი წილის პირობებში იქნებოდა. ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო მფლობელობა 90%-მდეც კი აღწევს.

დიაგრამა 1:

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით მუნიციპალურ ჭრილში 2021 წლის მდგომარეობით(%) (ჩხაიძე&გერლიანი&მაკალათია&გარდავა&სირბილაძე&ფანცულაია&კრიალაშვილი, 2021)



დიაგრამა 2:

სახელმწიფო ქონების იჯარით, სარგებლობის უფლებით გადაცემიდან და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში (მლნ ლარი) და მუნიციპალიტეტთა მთლიანი შემოსულობების წილი (ავტორი; (მაცნე, 2022); (ხაზინა, 2015-2022))



ინტერესს იწვევს ევროპული და რეგიონული პრაქტიკა, კერძოდ (BDO, 2021); (UIPI, 2013) (AES, 2022) (Payers, 2022):

- ბელგიაში ქონების გადასახადის განაკვეთი ცალკეულ მუნიციპალიტეტში განისაზღვრება დედაქალაქის განაკვეთისა და საკუთარი დანამატის ჯამით.
- დიდ ბრიტანეთში მოქმედებს პროგრესული გადასახადი და ქონების მნიშვნელოვნად დიდი საბაზრო ღირებულების შემთხვევაში, 15%-მდეც აღწევს (0 – 40 000 GBP: 0%; 40 001 – 125 000 GBP: 3%; 125 001 – 250 000 GBP: 5%; 250 001 – 925 000 GBP: 8%; 925 001 – 1 500 000 GBP: 13%; 1 500 001 და მეტი: 15%).
- პროგრესული გადასახადის სისტემაა კვიპროსშიც: 0 – 85 340 EUR: 3%; 85 341 – 170 860 EUR: 5%; 170 861 და მეტი: 8%.
- უნგრეთში გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია აქტივის ტიპზე: მიწები – 0.67 EUR 1 კვადრატულ მეტრზე; შენობა-ნაგებობები – 3.68 EUR 1 კვადრატულ მეტრზე.
- სომხეთის მიერ გატარებული საგადასახადო რეფორმით, გაუქმდა მანამდე მოქმედი მნიშვნელოვანი შეღავათები. ქონების გადასახადი განისაზღვრება დადგენილი მინიმალური გადასახადისა და საბაზრო ღირებულების საპროცენტო განაკვეთის მიხედვით, კერძოდ: 14 000$ – 46 000$: 7$ + ღირებულების 0.1%; 46 001$ – 100 000$: 39$ + ღირებულების 0.2%; 100 001$ – 170 000$: 147$ + ღირებულების 0.4%; 170 001$ – 240 000$: 427$ + ღირებულების 0.6%; 240 001$ – 400 000$: 847$ + ღირებულების 1%; 400 001$.

მოსაკრებლები

ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობა განისაზღვრება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, რომელიც სრულად მიემართება მუნიციპალურ ბიუჯეტში. მიუხედავად ამისა, მოსაკრებლების სახეებსა და მათ მაქსიმალურ განაკვეთებს განსაზღვრავს საქართველოს კა-

ნონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, სადაც მოსაკრებლების საკმაოდ მწირი ფორმებია და ამგვარად, მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ გონივრული მოსაკრებლების დამოუკიდებლად შემოღებას.

მსოფლიოში მოსაკრებლების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ტურისტული გადასახადია, რომელიც ღამის გასათევი ფართის დღიური ღირებულების საპროცენტო განაკვეთით ან ფიქსირებული გადასახადით განისაზღვრება და სრული ოდენობით მიემართება კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ფონდში, საიდანაც ფინანსდება რეკრეაციული სივრცეების მოწყობა, ღირშესანიშნაობების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა, ტურიზმის ხელშეწყობა და სხვა. განაკვეთები განსხვავდება ქვეყნებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით. ცალკეული ევროპული ქვეყნებში შემდეგი განაკვეთებია (Tourism, 2022):

- ავსტრია: 1 პირზე სასტუმროს ღირებულების 0.15-3.02 ევრო, 15 წლამდე ბავშვები უფასოდ;
- ბელგია: 1 პირზე 1 ღამე – ფიქსირებული 2.39 ევრო, 12 წლამდე ბავშვები უფასოდ;
- საფრანგეთი: 1 პირზე 1 ღამე – 0.2 – 4 ევრო, მუნიციპალიტეტის მიხედვით;
- უნგრეთი: საცხოვრებელი ფართის დღე-ღამის ღირებულების 4%;
- გერმანია: 0.5 – 5 ევრო 1 პირზე ან საცხოვრებელი ფართის დღე-ღამის ღირებულების 5%;
- პორტუგალია: 1 პირზე 1 ღამე – ფიქსირებული 1 ევრო, 13 წლამდე ბავშვები უფასოდ;
- რუმინეთი: საცხოვრებელი ფართის დღე-ღამის ღირებულების 1%;

მუნიციპალური განვითარების სახელმწიფოს ხედვა, მიზნობრივი ტრანსფერები და დელეგირებული უფლება-მოსილებები

მუნიციპალური განვითარებისა და გამოთანაბრებისათვის, საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილებით დაამტკიცა დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგია. დოკუმენტი ასახავს არსებულ გამოწვევებს, პრობლემებს, მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერებისა და შესაბამისი მატერიალურ-ფინანსური რესურსების გაზრდის აუცილებლობასა და მათ გზებს.

საყურადღებოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ დოკუმენტში ასახულია ფაქტი, რომ მიმდინარე ეტაპისთვის თვით სახელმწიფოს არ გააჩნია მუნიციპალური განვითარების გრძელვადიანი ხედვა. აღნიშნული ფაქტი მეტად სავალალოა, განსაკუთრებით დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 3 ათეული წლის გასვლის შემდეგ, რაც მიანიშნებს, რომ წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა არ იყო ორიენტირებული გრძელვადიან პერიოდზე, რომლის თანმდევი სახელმწიფო რესურსებისა და ფინანსური დანახარჯების უმეტესობა არათუ მსჯელობის საგანი, არამედ მეტწილად არაეფექტიანი უნდა იყოს, რაც დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თვითმმართველობის კოდექსით მუნიციპალიტეტებისთვის მინიჭებული თავისუფალი და დამოუკიდებელი მოქმედების უფლების საპირისპიროდ, ცალკეული ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე, უწევთ განსაზღვრული ჩარჩოებისა და მკაცრი რეგულაციების პირობებში მოქმედება, რაც ამცირებს მათ ეფექტიანობასა და საჭიროებს დიდ დროით რესურსებს. უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტთა ჰორიზონტალური კოორდინაციის დაბალი ხარისხი, ასევე, საკანონმდებლო კოლიზიების პრობლემა, კერძოდ, დარგობრივ-სექტორული და ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი კანონმდებლობის წინააღმდეგობრიობა, უფლება-მოსილებების მფლობელი უწყებების ბუნდოვანება.

სტრატეგიის მიხედვით, პრობლემურია ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ქონების გადაცემის პროცესი, რთული და წინააღმდეგობრივი რეგისტრაციის პროცედურები. დელეგირებული უფლებამოსილებები არ ფინანსდება შესაბამისი ოდენობის მიზნობრივი ტრანსფერებით, რასაც მუნიციპალურ დონეზე ხარჯეფექტიანობის პრობლემა ემატება.

სტრატეგია მიზნად ისახავს, ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფილ იქნენ საჭირო მატერიალურ-ფინანსური რესურსებით, კერძოდ, ლოკალურ ბიუჯეტში აკუმულირებული ფინანსური სახსრები და მათი უფლება-მოვალეობები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში, არასაგადასახადო საკუთარი შემოსულობების ჩამონათვალის გაფართოებითა და მათი საერთო შემოსულობების მშპ-სთან არანაკლებ 7%-იანი განსაზღვრებით (2015-2020 წლებში 5%-5.7% ფარგლებში მერყეობდა). ფინანსურ-ეკონომიკური რისკების იდენტიფიცირებითა და გათვალისწინებით, უნდა გამარტივდეს გრანტებისა და ვალდებულებების დამოუკიდებლად მოზიდვის შესაძლებლობები და პროცედურები.

დოკუმენტში 2025 წლისთვის დასახული მიზანია მუნიციპალურ ტერიტორიებზე არსებული დაურეგისტრირებელი სრული ქონების მუნიციპალურ მფლობელობაში გადაცემა. თუმცა, მიმდინარე ეტაპისთვის, მკვეთრი პროგრესი არ შეიმჩნევა. ამასთან, არაერთი რეფორმის მიუხედავად, ადგილობრივ თვითმმართველობათა საბიუჯეტო შემოსავლების უთანაბრობა დღემდე აქტუალურია, რის საფუძველზეც, მთავრობა მიზნად ისახავს მუნიციპალური შემოსავლების გათანაბრების დამატებითი ინსტრუმენტის შემოღებას.

განსაკუთრებით საინტერესოა სტრატეგიაში გაწერილი SWOT ანალიზი, რომელიც მუნიციპალური განვითარების ეფექტიანობასა და დროულობაზე საგანგაშო შემაფერხებელ დეტერმინანტებს ავლენს:

- დელეგირებულ უფლებამოსილებებზე არ ტარდება CBA ანალიზი;
- მუნიციპალურ საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სუსტი ბერკეტები;
- არაჰარმონიზებული და წინააღმდეგობრივი ნორმატიული აქტები;
- დარგობრივი სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციების დუბლირება, გაუმიჯნაობა და ბუნდოვანება;
- ადგილობრივ საჯარო მოხელეთა დაბალი კვალიფიკაცია;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არასრულფასოვანი ინვენტარიზაცია;
- მასშტაბური რეფორმისათვის სახელმწიფო რესურსების სიმწირე;

დასკვნები და რეკომენდაციები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გაძლიერების არაერთი რეფორმით მცდელობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტების წინაშე მდგარი პრობლემები დღემდე აქტუალური და უცვლელია, ცალკეულ ასპექტებში მიღწეული შედეგების მიუხედავად. მუნიციპალიტეტთა განვითარების გრძელვადიანი ხედვის არ არსებობას, ბიუჯეტებიდან გაწეულ დანახარჯებთან მიმართებით, იმაზე ნაკლები უკუგება აქვს, ვიდრე გრძელვადიანი ხედვისა და ორიენტირის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. სხვადასხვა დანიშნულების მიწებისა და აქტივების ძირითადი ნაწილის სახელმწიფო მფლობელობა (ნაცვლად მუნიციპალურისა) დღემდე გამოწვევაა. ქონების გადასახადზე დაწესებული მნიშვნელოვანი შეღავათები წლების განმავლობაში არ შეცვლილა, რაც ამცირებს პოტენციურ საბიუჯეტო შემოსავლებს. მწირია ადგილობრივი მოსაკრებლების ფორმები და მცირეა განაკვეთები. ამასთან, მუნიციპალიტეტები მკაცრი ჩარჩოების ფარგლებში მოქმედებენ და არ აქვთ გრანტებისა და ვალდებულებების გარკვეულ ზღვრებში დამოუკიდებლად მოზიდვის სა-

შუალება, რასაც ემატება ადგილობრივ საჯარო მოხელეთა დაბალი კვალიფიკაცია, ხარჯ-ეფექტიანობის პრობლემა და ცენტრალური ხელისუფლების ზედამხედველობის სუსტი მექანიზმები. დელეგირებული უფლება-მოსილებებს შესრულებისათვის ადგილი აქვს მიზნობრივი ტრანსფერების სახით თანმდევი ფინანსურ-მატერიალური რესურსებით არასრულფასოვან მომარაგებას, ამასთან, არ ტარდება ხარჯ-სარგებლიანობის (CBA) ანალიზი, რომელიც გამოავლენს უფლება-მოსილების დელეგირების მიზანშეწონილობასა და რენტაბელობას.

მოკვლეული პრობლემების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდებული ან/და სასურველია შემდეგი ქმედებები:

- მუნიციპალური განვითარების გრძელვადიანი ხედვის მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისა და დარგის ექსპერტების მონაწილეობით;
- დარგობრივი და მუნიციპალური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, საკანონმდებლო კოლიზიების ელიმინაცია;
- მუნიციპალიტეტთათვის კანონით მინიჭებული ავტონომიურობის უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი საჯარო მოხელეების სრულფასოვანი გადამზადება;
- სახელმწიფო მფლობელობაში არსებული აქტივების პრივატიზაცია და მეტწილად მუნიციპალიტეტთათვის გადაცემა;
- მოსაკრებლების ფორმებისა და განაკვეთების გაზრდა;
- ტურიზმის მოსაკრებლის (ღამის გათენების) სულ მცირე მინიმალური განაკვეთის შემოღება;
- ქონების გადასახადზე დაწესებული შეღავათების მინიმიზაცია, პროგრესული გადასახადის შემოღება;
- ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის, ვალდებულებას დაქვემდებარებული პირების (ოჯახების) დეკლარაციის წარდგენის მონიტორინგის, ასევე, შესაბამისობის დადგენის მექანიზმების დახვეწა;
- მუნიციპალურ ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით (გარდა ქონების გადასახადისა), რამაც გრძელვადიან პერიოდში მულტიპლიკატორის ეფექტი უნდა შეასრულოს;
- სულ მცირე, მოკლევადიანი პერიოდისთვის საშემოსავლო გადასახადის განაწილებითი პრინციპის აღდგენა;
- ეკონომიკური ცენტრის (დედაქალაქი) დეცენტრალიზაცია და რეგიონული ინფრასტრუქტურული განვითარება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, 2022 წლის კონსოლიდირებული (ბოლო) ვერსია;
2. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, 2022 წლის კონსოლიდირებული (ბოლო) ვერსია;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2022 წლის კონსოლიდირებული (ბოლო) ვერსია;

4. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 2022 წლის კონსოლიდირებული (ბოლო) ვერსია;
5. სახელმწიფო ხაზინა, „საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები“, 2015-2021
6. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1, ბოლოს ნანახია: 10.10.2022
7. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „ავტონომიური რესპუბლიკების 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების 2015 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, 2016;
8. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „ავტონომიური რესპუბლიკების 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების 2016 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, ივლისი 2017;
9. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „ავტონომიური რესპუბლიკების 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების 2017 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, ივლისი 2018;
10. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „ავტონომიური რესპუბლიკების 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების 2018 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, ივლისი 2019;
11. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „ავტონომიური რესპუბლიკების 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების 2020 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, ივლისი 2021;
12. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, „ავტონომიური რესპუბლიკების 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულებისა და საქართველოს მუნიციპალიტეტების 2021 წლის ბიუჯეტების შესრულების მიმოხილვა, ივლისი 2022;
13. ჩხაიძე ი., გერლიანი რ., მაკალათია ი., გარდავა მ., სირბილაძე ნ., ფანცულაია ო., კრიალაშვილი ქ., „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები, სახელმწიფო ქონება, კვლევა, თბილისი, 2021;
14. ჯიბუტი მ., „Covid-19-ის პანდემიის გავლენა მუნიციპალურ ბიუჯეტებსა და შემოსავლებზე საქართველოში“, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, კვლევა, დეკემბერი 2020;
15. AES, “2022 Expat Guide to Property Tax in the UK”, FEB 2022;
16. BDO International, Property Ownership in EUROPE, European Property Tax Guideline Brochure, 2021;
17. Gary W. Cox, Dincecco Mark, “The Budgetary Origins of Fiscal-Military Prowess”, The Journal of Politics, ISSN: 0022-3816, Vol. 83, №3, pp. 851-866, 2021;
18. The World Bank, Municipal Finances, A Handbook for Local Governments, Washington D.C;
19. Property Tax Payers and the New Rates in Armenia from 2021, 2020, https://ampop.am/en/roperty-tax-system-reforms-in-armenia/
20. Interrailing Packages, European Tourist Tax, https://www.interrailingpackages.com/european-tourist-tax-explained/, Last seen: 20.10.2022

Actual Budgetary Problems and Challenges of

Local Self-governing units in Georgia

Givi Nadiradze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

The article reveals actual problems and challenges, causes and consequences related to budget revenues, expenditures and regulatory normative acts of local self-governing units, also deficiencies in budget revenues and expenditures, cost efficiency, targeted transfers and taxation. Based on the state's decentralization strategy, acute problems and issues to be resolved are identified. The level of state ownership of the country's property, the problems of its disposal and the level of funds allocated to the state budget instead of the municipal budget are partially evoluated. In some cases, local reality is compared to the European practice, on the basis of which recommendations and the actions are developed that it is desirable to implement.

Keywords: Municipal budget; Regional development; Decentralization strategy; Budget revenues; Cost-Benefit.

Digital Transformation of Azerbaijan's Economy

Zumrud Nadjafova
The Lecturer and dissertator of the "Economy" department
Azerbaijan State University of Economics, UNEC

The article explores and analyzes the processes of digital transformation of the Azerbaijani economy, the study of the reasons for the diversity of definitions of the digital economy; the main approaches to understanding the role of the digital economy in public society are structured and summarized: the digital economy as part of the state economy, the digital economy as a transition to a new type of economy; digitalization of the economy. The characteristic features of each of the described approaches are highlighted. Proposal of the transition process from the digital economy as part of the economy to the digitalization of the economy. It is substantiated that digitalization is an effective subsystem of the economic system. Presentation of the project for the creation of the digital manat. Conclusions are drawn about the key role and digital economy in the private information society.

Key words. *digitalization of the economy, specializing in telecommunications, Digital HUB, digital manat, Azerbaijan*

Introduction. The development of digital technologies opens up new horizons of progress for humanity. Currently, the world is entering the Fourth Industrial Revolution ("Industry 4.0"). This means automation and robotization of production, the widespread use of artificial intelligence, the introduction of digital technologies in all spheres of the economy. "Industry 4.0" is closely connected with digitalization and the construction of technological infrastructure, leads to the introduction of innovations in a variety of industries and to development.

Today, the countries of the world are entering a new stage of development, putting forward new digitalization initiatives. During this period, topics such as the introduction of digital technologies, especially the digitalization of the economy and the construction of a digital economy are the most actively discussed issues.

Since technological progress is not the same in different regions, states are at different levels of digitalization, being divided according to this indicator into several groups: digitalization leaders, the main group, laggards, novice leaders and catching up countries. If the group of leaders includes countries such as South Korea, Denmark, the United Kingdom, China, and the main group includes the United States, Japan, India, as well as the countries of the European Union, then other countries are respectively classified as lagging, novice leaders and catching up countries[1].

Today, Azerbaijan is also joining the "Industry 4.0" – a country known in the world as an energy and transport center, making a worthy contribution to the energy security of the European Union and a number of other countries.

The new era challenges Azerbaijan to respond to the calls of the times and reach new frontiers of economic development. As in highly developed countries, for Azerbaijan, the digitalization of the economy, the construction of a digital economy, and the introduction of innovations are among priorities. Azerbaijan has all the opportunities for digitalization of the economy, building a digital economy, and sustainable development. The unique geographical location and natural resources of the country, its human potential, as well as the state programs, decrees and orders of Mr. President Ilham Aliyev adopted in recent years create all the conditions for this.

Building a digital economy is closely linked to a sustainable infrastructure

The digitalization of the economy and the construction of a digital economy are closely related to the formation of a stable and secure infrastructure. Since without a stable and secure infrastructure, as a rule, neither the digitalization of the economy, i.e. the use of ICT in the economy, economic relations, nor the transition to the digital economy and its creation, i.e. the production of digital products based on digital technologies, is possible. It is the modern technological infrastructure that serves as the main component of digitalization and the digital economy. The rapidly developing Internet of Things (IoT), 5G technologies, robotics, cyber security, and the introduction of artificial intelligence all over the world today also require the construction and updating of an appropriate backbone infrastructure. Without a stable fixed infrastructure, it is impossible to ensure the provision of both interstate and domestic communication services (connectivity) at the level of advanced standards. Currently, communication services are developing rapidly all over the world, and the number of users of both broadband and mobile Internet is growing. Every year operators face the need to invest new investments in infrastructure. According to the British consulting company Analysys Mason, specializing in telecommunications, technology and media, since 2014, operators have invested more than 300 billion in Internet infrastructure. US dollars.

Research shows that there will be an increase in the number of devices connected to the Internet. Thus, according to the report “The Mobile Economy 2019” of the Association of Mobile Operators (GSMA), over the period 2018-2025, the number of Internet of Things connections in the world will triple and reach 25 billion. Over the same period, the amount of income from the Internet of Things will grow 4 times and reach 1.1 trillion US dollars. Digitalization and infrastructure development will lead to an increase in the number of mobile Internet users. According to the report, if in 2018 there were 3.6 billion mobile Internet users in the world, then in 2025 their number will reach 5 billion.

It should be noted that digitalization and **building a digital economy brings the issue of building a sustainable ICT infrastructure to the agenda in Azerbaijan** as well. The modernization of the fixed technological base and the construction of a new technological infrastructure are important for the improvement of international communication services and the growth of the number of Internet users. This idea is at the heart of the Azerbaijan Digital HUB program, which has begun to be implemented, aimed at turning Azerbaijan into a regional Digital center. Within the framework of this program, implemented by AzerTelecom, a backbone Internet provider, which is a subsidiary of Bakcell, the first mobile operator of Azerbaijan, the construction of a sustainable infrastructure is a priority. In this regard, our company is working on the construction of technological infrastructure both in the country and abroad. Thus, the project implemented jointly with Azerbaijan Railways CJSC provides for the laying of main fiber-optic cable lines along the protective strips of railways inside the country and, thus, will ensure the construction of network connections with telecommunications operators of neighboring countries in the North-South and East-West directions. And the creation of a Digital Silk Road along the historical Silk Road between Europe and Asia within the framework of the "Digital HUB" program and the laying of the "Trans-Caspian Highway" from Azerbaijan to Central Asia under the same project along the bottom of the Caspian Sea is an integral part of the project of building a backbone infrastructure outside Azerbaijan. The implementation of these projects will ensure the formation of a fixed technological base in Azerbaijan at the level of modern requirements and at the same time the transformation of Azerbaijan into a transit one, and at a subsequent stage, with the transformation of Baku into an Internet Traffic Exchange Center and the creation of a regional data center in Azerbaijan, and into a central country when transferring Internet and content to Asian countries.

“Azerbaijan Digital HUB" – a favorable platform for the digital economy

The Digital HUB program is not limited to creating new opportunities for the development of Azerbaijan in terms of infrastructure. It should be emphasized that ultimately this program is aimed at the formation of a digital ecosystem. For among the main components of the program, along with building a sustainable infrastructure and improving communication services, there is also the opening of representative offices of major content operators in our country, such as Facebook, Google, Netflix, Amazon, Alibaba, Tencent, the construction of a regional data center, the opening of new jobs, the development of small and medium-sized businesses in line with digital business, and in the future, the export of digital services under the brand “Made in Azerbaijan" to neighboring regions. All this will create conditions for the formation of a digital ecosystem in Azerbaijan, the development of the digital economy, for our country to occupy higher places in international rankings, to advance in the innovation rating, and as a result, to increase GDP.

Research shows that the development of the digital economy has a positive effect on the increase in the country's GDP. When considering the economic indicators of various countries, it becomes obvious that the share of the digital sector in the economy of South Korea is 12%, Sweden – 8.6%, Finland – 8.3%, the USA - 7.4%, the UK – 7.1%. According to the World Economic Forum, in the next decade 70% of new values in the economy will be created on the basis of digital platforms. According to Google's forecasts, the volume of the digital economy in Southeast Asian countries will triple by 2025 and reach $240 billion.

Today, countries such as the USA, Great Britain, France, Norway, Qatar, China, Russia pay special attention to the construction of a digital economy, which even create specialized bodies, adopt national programs in this area, achieving greater efficiency of digital transformation processes.

Currently, reforms are being implemented in Azerbaijan, and large-scale programs are being implemented by the public and private sector, which form a solid basis for building a digital economy. Having the status of a regional energy and transport hub, Azerbaijan has real opportunities, relying on its resources and advanced foreign experience, to build its digital economy in a short period of time and turn into a Regional Digital Center.

"Digital manat": possible contribution of electronic money to the country's economy

Recently, interest in digital currency (central bank digital currency – CBDC) in different countries has grown significantly. Governments that previously had a negative opinion about this are already moving from theoretical research to more specific discussions, talking about the advantages of digital money. Companies like “Facebook” have a great contribution in this matter. So, in the middle of last year, Facebook introduced steblkoin (a cryptocurrency linked to another asset) called “Libra”. After that, it began to be understood how serious consequences for the world monetary system will occur as a result of the transformation of a network with 2.7 billion users into a central bank.

Today, the European Central Bank, as well as the central banks of many countries, is engaged in comprehensive analysis and research of creating a separate digital currency. After the announcement of the pilot project on the digital yuan in China, neighboring Japan also took it as a financial threat and accelerated work in this direction.

According to the most optimistic assumptions as a whole, digital money can replace traditional money in 10-15 years.

Coronavirus outbreak

As it turned out, the COVID-19 pandemic has significantly increased interest in online and contactless payments throughout the world. In January – March, the volume of non-cash payments increased by 40 per cent compared to the same period last year.

This trend is expected not to decrease even after the pandemic. The share of non-cash payments in Azerbaijan is gradually increasing. According to the CBA, the number of such operations in January-October this year exceeded 182 million manat, and the volume exceeded 23.3 billion manat (Table 1).

Since the end of 2017, digital payments have been consistently promoted within the framework of the "cashless Azerbaijan" concept, which the CBA has implemented jointly with partner agencies. The effectiveness of this can be clearly seen from the above graph. This year, payment transactions are significantly accelerated and simplified by the system of instant payments. The benefit to the economy is unequivocal[5].

The main advantage of digital currencies (for some, on the contrary, a drawback) is that all financial operations are open to state control. In this sense, digital currencies are becoming an important tool to eradicate corruption by providing complete transparency by phasing out retail-controlled cryptocurrencies such as bitcoin and etherium. Although a lot also depends on the application of digital money through user accounts or digital tokens. But in any case, complete confidentiality of transactions is put an end.

Table 1



Advantages and disadvantages

The introduction of digital money in the initial period is associated with positive aspects, as well as negative ones. For example, many people avoid transparency in the Financial Field. Or the introduction of digital money is relatively expensive, although non-cash transactions are cheaper. The fact that all operations are transparent and controlled by the state is often negatively perceived. For example, in Ecuador and Venezuela, the introduction of digital currency was first announced, but in both cases this issue did not take place due to the distrust of the larger population of central banks. As for cheapness, the costs of both the preparation and transportation of cash and security measures are envisaged here. Also, let's not forget that

banknotes remain in circulation from 1 to 15 years, and coins-up to 30 years. Here, both the production of new money and the destruction of old ones are associated with costs.

On the other hand, an appropriate infrastructure must be created for the introduction of digital money and non-cash transactions. However, the number of POS-terminals in the country decreased from 67.5 thousand to 57 thousand this year. At the same time, branches of banks or non-bank credit organizations do not operate everywhere. And this is often cited as a factor hindering entrepreneurial activity. Although the internet coverage of about 80 percent is favorable for the distribution of payments through mobile applications.

The solution of these issues can be accelerated by extensive information work. Thus, there are those who are unaware of the digital currency, who cannot use it by being aware of it, or who cannot but show confidence. That is, in order to convey to the population the benefit, the necessity of switching to digital money, the government will have to do a lot of work.

Non-cash payments give an impetus not only to trade, but also to the economy as a whole. According to the results of the study conducted by" Moody's " in 2016, as a result of the introduction of digital payments in Azerbaijan in 2011-2015, GDP increased by 70 million USD, and consumer spending by 0.06%.

Also in 2020, when travel restrictions were introduced due to the coronavirus epidemic, the number of online trade operations in the country increased from 34.7 million to 54.78 million, and the volume increased by 27 percent to 2.95 billion manat(table 2).

Table 2



Digital money is also necessary to pursue a more flexible monetary policy by providing real-time information. At the same time, this issue stipulates the introduction of changes to many normative documents and the creation of a new regulatory framework.

Work on non-cash payments is carried out consistently in Azerbaijan. In this direction, digital payments are encouraged, the necessary legal framework is created. For example, the announcement of the strategic partnership between" Visa "and" Azericard " today is a clear result of the work done. Within the framework of this partnership, new forms of payment and digital emission issues will be developed in the country.

It is too early to say what the “digital manat” will be like. The CBA can resolve the issues in this regard itself, involve commercial banks as partners or entrust all the work to them. Digital infrastructure can operate through a single database or through limited access retail registry technology. The future digital manat can only be used domestically or internationally. In all cases, the introduction of “digital manat”is necessary. This is necessary by what is happening in the world.

Conclusions and Recommendations

To form a national strategy in the field of digitalization and the digital economy, it is important to take into account that the relevance of digitalization is due to the growing scale of social communications carried out through networks and digital platforms, which increase the speed and variety of exchanges and open up fundamentally wider opportunities for the development of the economy and society . Suppliers and consumers are increasingly interacting with each other without intermediaries, and price factors linking supply and demand are being replaced by new mechanisms of cooperation, which, in turn, expands markets in terms of the composition of participants and product diversity, leads to accelerated application of technical and organizational innovations in enterprises that are becoming more flexible and maneuverable. At the same time, a distributed model of coordination of relationships between producers and consumers through network nodes (hybrid network order) is being formed, which allows systems of all levels to increase their adaptability to changes in the external environment

Results

The formation of the digital economy of Azerbaijan is characterized by the increasing importance of information and digital media in public and financial life. Practice shows that there is a real need for such technologies, intended in the future for the so-called "Facebook generation" – young people literally living on the Web, which forces businesses to become digital in the future. Today we can say with confidence that digitalization is already a ubiquitous reality, and examples of the use of digital technologies are different. The most advanced companies use the "digital economy" in the media, retail and banking sectors. At the same time, digitalization also penetrates into such traditional industries as oil and gas production, in the educational sphere it manifests itself in the development and implementation of an electronic educational innovative product in order to increase the potential of a future graduate. The use of a digital strategy integrated with business and personnel management strategies in the modern world is necessary to ensure the future competitiveness of the company through its transition from traditional to technological. Such technologies in human resource management contribute to increased productivity, continuous development and improvement of the quality of working life of employees. As research proves, it is necessary to create an infrastructure, an institutional environment, the development of digital culture, human resources and the commission of the so-called "Digital Revolution" (Digital Disruption). For "full-fledged" interaction, all subjects and objects of the economy must acquire a significant digital component, thanks to which its consumer properties and security, which make up more than half of its value, are significantly improved. Over time, a significant part of the cost of most goods and services will be determined by such a component. Such products are designed to significantly improve their basic properties (for example, the safety of the car increases and its operating costs decrease), or new ones appear (voice control, remote control via the Internet or from a mobile phone, etc.)

References:

1. McKinsey (2014). Global flows in a digital age: How trade, finance, people, and data connect the world economy. McKinsey Global Institute
2. The Digital Economy Nicolas Colin, Augustin Landier, Pierre Mohnen, Anne Perrot In Notes du conseil d'analyse économique Volume 26, Issue 7, 2015
3. A. Məmmədov, "Azərbaycanda "E-hökumətin" tətbiqi prosesində mövcud vəziyyətin analizi, yaranan sualların beynəlxalq təcrübə əsasında həlli yolları və təkliflər.," Baku, 2018.
4. "Information Society: The State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan," 04 10 2019. [Online]. Available: https://www.stat.gov.az/source/information_society/?lang=en. [Accessed 23 01 2020].
5. "General Information: E-Government," [Online]. Available: https://www.e1gov.az/en/content/read/2. [Accessed 23 01 2020]

ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზრის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა: – გერმანული გამოცდილება და ქართული რეალობა

ნანული ოქრუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო ფარესაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია თანამედროვე პირობებში ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების არსებული მდგომარეობა და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი წარმოადგენს მსოფლიოში აგრარული სექტორის ერთერთ ყველაზე დინამიურად განვითარებად მიმართულებას. ავტორიტეტული ექსპერტული შეფასებებით წლების განმავლობაში შენარჩუნდება მისი მაღალი ზრდის ტემპი – 15-16 %. ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება დღეისათვის მიჩნეულია ცალკეული ქვეყნის ეკოსისტემისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნების, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებისა და გარემოზე ზრუნვის უმნიშვნელოვანეს პირობად. სწორედ ამიტომ ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება უპირობოდ შეიძლება მივიჩნიოთ ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს აგრარული სექტორის და შესაბამისად, მთელი ეკონომიკის მდგრადი განითარების უმთავრეს ფაქტორად. სტატიაში განხილულია ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სფეროში უდიდესი გამოცდილებისა და მიღწევების მქონე ქვეყნის – გემანიის გამოცდილება, რომლის გათვალისწინება ხელს შეუწყობს ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნას საქართველოში. ავტორების მიერ შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც ბიძგს მისცემს ქვეყანაში ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მდგრად განვითარებასა და შეუქცევად ზრდას.

საკვანძო სიტყვები: *ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება; ორგანული პროდუქციის ბაზარი; ორგანული პროდუქციის წარმოების განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკა.*

ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვით ქართველ მომხმარებელთა მზარდი ინტერესი უკავშირდება ჯანსაღი ცხოვრების წესის მზარდ პოპულარიზაციას. საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანსაღი კვების პრობლემების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება ფართოდაა შესწავლილი და გამოკვლეული ქართველ მეცნიერების მიერ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია პროფესორების – ნ. თოდუას, ჩ. ჯაშის, ე. ურუტაძის, ბ. მღებრიშვილის წვლილი და სამეცნიერო სტატიები, რომლებიც განიხილავენ მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემებს, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ჯანსაღი საკვების მოხმარების პოპულარიზაციის მზარდ ტენდეციებს. საქართველოს აგრარული სექტორისა და კერძოდ ორგანული პროდუქციის ბაზრის განვითარების არსებული მდგომარეობის შესწავლისას აღსანიშნავია ქართველ მკვლევართა – პროფესორ ე. ხარაიშვილის, გ. ერქომაიშვილის, მ. ჩავლეიშვილის, თ. ლაზარიაშვილის, ი. ნაცვლიშვილის, მ. ნაცვალაძის, ნ. ფარესაშვილის, მ. სეთურის

– შრომები, რომლებიც განიხილავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პერსპექტივებს.

უკანასკნელ ათწლეულის განმავლობაში მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებში, სწრაფად იზრდება მოთხოვნა ორგანულ პროდუქტებზე. საქართველოში მომხმარებელთა სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი აცნობიერებს ორგანული, ანუ ქიმიური ნივთიერებების გარეშე მოყვანილი პროდუქტის სიკეთეს. ორგანული წარმოება დღეისათვის უპირობოდ მიიჩნევა, როგორც აგრარული სფეროს მდგრადი განვითარების უალტერნატივო მიმართულებად. ის წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მართვის სრულყოფილ სისტემას, რომელიც ხელს უწყობს აგროეკოსისტემებისრ შენარჩუნებასრ და უზრუნველყოფსრ მათ სიჯანსაღეს, ამავდროულად მოიცავს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ბიოლოგიურ ციკლებს და ნიადაგის ბიოლოგიურ აქტიურობას.

აგროსასურსათო სექტორში მიმდინარე გლობალური მასშტაბის ტენდეციას – ორგანულ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას – მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება ჯანსაღი ცხოვრების წესი. სწორედ აღნიშნული გარემოების გამოძახილს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობასა და კვების ინდუსტრიაში გაჩნდა ახალი მიმართულება – ბიოპროდუქტების ანუ ორგანულ პროდუქტის წარმოება. მათი წარმოება თანამედროვე პირობებში წარმოადგენს აგროინდუსტრიის პერსპექტიულ მიმართულებას, რომლის განვითარების ტემპები დღეისათვის ნათლადაა გამოხატული.

ორგანული პროდუქციის მოთხოვნაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა COVID -19 პანდემიამ, რომლის დროსაც მომხმარებლებმა სულ უფრო მეტად გააცნობიერეს ჯანსაღი კვების მნიშვნელობა. საქართველოში არ ხდება ორგანული ბაზრის მოცულობისა და ორგანული საკვები პროდუქციის მოხმარების შესახებ მონაცემთა განზოგადება, თუმცა, ორგანული პროდუქციის პოპულარობა და გაყიდვების ზრდა ქართულ ბაზარზე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. მართალია საქართველოში აგროსასურსათო ბაზრის ე. წ. „ბიო“ სეგმენტი ახლა იწყებს ჩამოყალიბებას, თუმცა, სხვადასხვა ექპერტული შეფასებით დასავლური ცხოვრების წესისა და მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მოსალოდნელია „ბიო“ სეგმენტის შემდგომი გაფართოება განვითარებად ქვეყნებშიც და მათ შორის საქართველოშიც.

უკანასკნელ პერიოდში მთელ მსოფლიოში გამოიხატა ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ზრდის მაღალი ტემპი. აღნიშნულზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები:

2015 წელს ორგანული სოფლის მეურნეობა გამოიყენება 179 ქვეყანაში, ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწა შეადგენს – 50,9 მილიონ ჰექტარს, ორგანული ფერმერული მეურნეობის რაოდენობა – 2,4 მილიონს. Organic Monitor-ის მონაცემებით, ორგანული საკვებისა და სასმელის გლობალურმა გაყიდვებმა 2015 წელს 81,6 მილიარდ აშშ. დოლარს მიაღწია.

2018 წლისათვის ორგანული სოფლის სამეურნეო არეალი მოიცავდა 186 ქვეყანას, ორგანული ფერმერული მეურნეობისათვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო მიწა 71,5 მილიონ ჰექტარს, ორგანული ფერმერული მეურნეობის რაოდენობა – 2,8 მილიონს. ორგანული საკვებისა და სასმელის გლობალურმა გაყიდვებმა კი 2018 წელს – 96 მილიარდ ევროზე მეტს მიაღწია. (FiBL & IFOAM, 2019).

2019 წელს ორგანული სოფლის მეურნეობა გამოიყენებოდა 187 ქვეყანაში, 72,3 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა ორგანულად იმართებოდა სულ მცირე 3,1 მილიონი ფერმერის მიერ. ორგანული საკვებისა და სასმელის გლობალურმა გაყიდვებმა კი 2019 წელს 106 მილიარდ ევროზე მეტი მიაღწია. (FiBL & IFOAM, 2021).

2020 წელს ორგანული სოფლის მეურნეობა გამოიყენება 190 ქვეყანაში, ორგანულად დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწა თითქმის 75 მილიონ ჰექტარს შეადგენს, ორგანული ფერმე-

რული მეურნეობის რაოდენობა – 3,4 მილიონს. ორგანული საკვებისა და სასმელის გლობალურმა გაყიდვებმა 2020 წელს 120 მილიარდ ევროზე მეტი მიაღწია. (FiBL & IFOAM, 2022)

ცალკეული ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, აგრარული ბაზრის მდგომარეობაზე უშუალოდ აისახება მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე არსებული რეალობა. გლობალიზაცია, რამდენიმე ათეული წელია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს, ერთ-ერთ გადამწყვეტ ძალას, რომელიც უკავშირდება პლანეტის არსებობის შენარჩუნების უმთავრეს პირობას – ადამიანთა საკვებით უზრუნველყოფის აუცილებლობას. სწორედ ამიტომ, ძალზედ აქტუალურია თანამედროვე გლობალური გამოწვევებისა და შესაძლებლობების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენების კონკრეტული გზების განსაზღვრა, რომელიც დააჩქარებს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე.

ორგანული წარმოების საერთაშორისო სტანდარტზე (IFOAM) ევროკავშირის სამართლებრივ რეგულაციებზე დაყრდნობით, საქართველოში 2006 წელს დამტკიცდა საქართველოს კანონი ბიოლოგიურ აგროწარმოების განხორციელების შესახებ, 2007 წელს მიღებულ იქნა სტანდარტი – „ძირითადი მოთხოვნები და წესები ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ“ (SST 86:2007). სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ფარგლებში ნებადართული ნივთიერებების სია. 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ განკარგულება, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული რეგულაცია ეფუძნება ევროკავშირის ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის კანონმდებლობას: ორგანული წარმოების წესებს. ორგანული წარმოების წესები, რაც თავის მხრივ ბიომეურნეობის წესების დაცვას ნიშნავს, შექმნილია ზოგად და სპეციფიკურ პრინციპებზე დაყრდნობით, რათა ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას და მომხმარებელთა ნდობას ორგანული პროდუქტების მიმართ. ეს რეგულაციები ეხება ორგანული წარმოების ყველა სფეროს და ეფუძნება უამრავ ძირითად პრინციპს, როგორიცაა: გმო-ს გამოყენების აკრძალვა; ხელოვნური სასუქების, ჰერბიციდების და პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა; ჰორმონების გამოყენების აკრძალვა და ანტიბიოტიკების გამოყენების შეზღუდვა.

როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების FIBL-ის (ორგანული აგროპროდუქტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) და IFOAM-ის (ორგანული აგროწარმოების საერთაშორისო ფედერაცია) IFOAM-ის ოფიციალური მონაცემები, ისე საქართველოში ბიოსერტიფიცირების ადგილობრივი ორგანოს – შპს „კავკასსერტი“-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ორგანული აგროპროდუქციის წარმოების მოცულობის შესახებ ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად ჩამორჩება საქართველო ამ მხრივ არა მარტო განვითარებულ, არამედ განვითარებად, მათ შორის მეზობელ ქვეყნებს. ორგანული მიწების რაოდენობის მიხედვით საქართველო მსოფლიოში ერთერთ ყველაზე დაბალ პოზიციებზე იმყოფება. IFOAM-ის ინფორმაციის მიხედვით, 2020 წელს საქართველოში ორგანული მიწების რაოდენობა შეადგენდა 1570 ჰექტარს, მისი წილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო რაოდენობაში კი – 0,1 %-ს. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, არამედ მეზობელ აზერბაიჯანს, რომლის ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა შეადგენს 38 080 ჰა-ს. მსოფლიო მასშტაბით კი ეს მაჩვენებელი საშუალოდ -1,5%-ს შეადგენს. ამ მხრივ კი საქართველო წლების განმავლობაში ინარჩუნებს მეტად დაბალ მაჩვენებელს. ქვეყანაში მეტად არასახარბიელო ვითარებაა არა მხოლოდ მიწის ფართობის სიმცირის, არამედ ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწების კლების ტენდენციის თვალსაზრისით. ცხრილში N1 ნაჩვენებია, რომ მართალია 2020 წელს, ორგანული მიწების ფართობი 120 ჰექტარით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს, მაგრამ სამწუხაროდ 10 წლის, ანუ 2010 წლის მაჩვენებელზე – 428 ჰექტარით ნაკლებია, რაც 21,5%-იან კლებას შეადგენს. ცხრილში N1 მოყვანილი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის გერმანიის, მონაცემები ნათლად წარმოაჩენს ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას.

ცხრილი N 1.

ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ზრდა საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნებში

ქვეყანა/ტერიტორია	ორგანული სას. სამ. მიწა 2019 (ჰა)	ორგანული სას. სამ. მიწა 2020 (ჰა)	ზრდა ერთ წელში (ჰა)	ზრდა ერთ წელში (%)	10 წელში ზრდა (ჰა)	10 წლში ზრდა (%)
საქართველო	1.45	1.57	120	8.3%	-428	-21.5%
გერმანია	1.61	1.70	88.46	5.5%	686.61	67.6%
ლატვია	289.80	291.15	1.35	0.5%	107.05	58.2%
დანია	285.53	300.00	14.47	5.1%	137.83	85.0%
აზერბაიჯანი	37.63	38.08	450	1.2%	16.12	73.4%
არაბთა გაერთიანებული საამიროები	4.64	5.42	777	16.7%	4.46	465.7%
მოლდოვა	26.70	27.62	921	3.5%	5.52	25.0%

წყარო: დამუშავებულია FiBL-ისა და IFOAM-ის 2022 წელს გამოქვეყნებული მასალების საფუძვლებზე

დღეისათვის ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწების სიმცირესთან ერთად, მეტად მცირეა სერტიფიცირებულ მეწარმეთა რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი არიან ბიოწარმოებით. „კავკასსერტი"-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით 2013 წელს საქართველოში ბიო სერტიფიკატი ჰქონდა მხოლოდ 12 საწარმოს. 2020 წელს ბიოწარმოებაში ჩართული მეწარმეების რაოდენობამ 48 შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, კავკასსერტის ბიო სერტიფიცირების მქონე მეწარმეების სია 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 131 მეწარმით, ის ფაქტი, რომ ორგანულ საწარმოთა რიცხვი გასცდა ორნიშნა რიცხვს, მიანიშნებს იმას, რომ საქართველოში ფერმერები, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უკვე აცნობიერებენ ორგანული პროდუქციის სიკეთესა და სარგებლიანობას, რაც უახლეს პერიოდში ბიოპროდუქციის ზრდის გარკვეულწილად დამაიმედებელ სურათს გვაძლევს.

კავკასსერტის ოფიციალურ საიტზე ასევე მოცემულია იმ ექვსი მეწარმის სია, რომლებსაც გაუუქმდათ სერტიფიცირება და ასევე 103 მეწარმის სია, რომლებსაც შეუწყდათ ხელშეკრულება ან ჩამოერთვათ სერტიფიკატი. მეტად სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სერტიფიცირების მქონე მეწარმეთა რაოდენობა თითქმის უტოლდება იმ მეწარმეთა რაოდენობას, რომლებსაც ჩამოერთვათ ან შეუჩერდათ ბიოსერტიფიკატი.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოში ორგანული სასოფლო-სამეუნეო პროდუქციის წარმოების სფერო საერთოდ ვერ პასუხობს აგრარულ სფეროში იმ არსებულ გამოწვევებსა და მოთხოვნებს, რომელიც უკვე მესამე ათეული წელია გამოიხატა მსოფლიოში. რაც შეეხება ქართულ ბიოსაწარმოთა საქმიანობის მიმართულებებს, ეს არის მევენახეობა, მეღვინეობა, ველურად მოზარდი მცენარეების შეგროვება, მეჩაიობა, კენკროვანი კულტურებისა და მარცვლოვნების მოყვანა, მეხილეობა, ვარდის ზეთის წარმოება და მეფუტკრეობა. აღსანიშნავია ბიომეწარმეთა შორის ნახევარი ბიომეფუტკრე საწარმოა. ბიომეფუტკრეობის განვითარების არსებული ტენდენცია მეტად პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. მეფუტკრეობის, როგორც საქართველოს ტრადიციული და უძველესი დარგის განვითარება, ბიომეწარმეობის მიმართულებით უდავოდ გაზრდის ქართული თაფლის კონკურენტუნარიანობას როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. ბუნებრივია რომ ორგანული სასოფლო-წარმოების სფეროს განვითარების მოკრძალებული ტემპები ასევე ასახვას პოვებს ორგანული პროდუქციის

ექსპორტის სიდიდეზე, რომელიც ასევე არ გამოირჩება სასურველი მოცულობით. კერძოდ, 2013 წელს ბიოპროდუქციის ექსპორტის მოცულობა შეადგენდა 50 ტონას, 2017 წელს ექსპორტზე გავიდა – 233,3 ტონისა და 923 402 ევროს ღირებულების პროდუქცია, 2018 წლისათვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგინა შესაბამისად 450,4 ტონა და 1 411 650 ევრო, 2019 წლისათვის ეს მაჩვენებელი არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა და 445 ტონა შეადგენა.

ევროკავშირისთვის ორგანული პროდუქტების მიმწოდებელთა საერთო რეიტინგში საქართველო 76-ე ადგილზეა. ბიოპროდუქციის ექსპორტი ძირითადად ხორციელდება გერმანიაში, მცირე ნაწილი ჩეხეთის რესპუბლიკაში და დანიაში. რაც შეეხება ექსპორტირებული ბიოპროდუქციის სასაქონლო სტრუქტურას, ის წარმოდგენილია შემდეგი სახით: ღვინო, ჩაი, მოცვის ხილი, ველური კოლექცია, ველური ვაშლი, ძირტკბილა, ჭინჭრის ფოთლები, მაყვლის ფოთლები, მოცვის ნაყოფი, მწვანილი, ვარდის თესლი, თაფლი.

ვფიქრობთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ორგანულ პროდუქციაზე გადასვლის ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი სამომავლო ღონისძიებების შემუშავებისას გერმანიის ორგანული აგროპროდუქციის ბაზრის და ქვეყანაში ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანი მენეჯმენტის მდიდარი გამოცდილების განხილვა. 2020 წლისთვის გერმანიის ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი სასოფლო-სამეურნეო მიწების 9,6 %-ს შეადგენდა (დაახლოებით 1.7 მილიონი ჰექტარი). აღნიშნული მაჩვენებლით გერმანია წინ უსწრებს ევროკავშირის ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც – 9,1%-ს შეადგენს. აღნიშნული მდგომარეობის მიღწევა იმ მუდმივი ზრუნვისა და ძალისხმევის შედეგია, რომელსაც გერმანიის მთავრობა ახორციელებდა ორგანული აგროწარმოების მუდმივი მხარდაჭერისა და სტიმულირების გზით, რის საფუძველზე გერმანია 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ორგანული აგრო პროდუქციის ბაზრის შემდგომ განვითარებას აღწევდა (იხ. ცხრილი N2). დღეისათვის გერმანია წარმოადგენს ორგანული საკვების უდიდესი ბაზრის მქონე ქვეყანას, რომელსაც ასევე ლიდერული პოზიცია უკავია ერთ სულ მოსახლეზე ორგანული პროდუქციის ყველაზე მაღალი მოხმარების ტოპ 10 ქვეყნის სიაში (იხ.დიაგრამა N1 და დიაგრამა N2)

დიაგრამა N1.

ორგანული საკვები პროდუქტების უმსხვილესი ბაზრის მქონე ქვეყნები 2020 წელს



წყარო: დამუშავებულია FiBL-ისა და IFOAM-ის 2022 წელს გამოქვეყნებული მასალების საფუძვლებზე

დიაგრამა N2.

ერთ სულ მოსახლეზე ორგანული პროდუქციის ყველაზე მაღალი მოხმარების მსოფლიოს ტოპ 10 ქვეყანა 2020 წელს



წყარო: დამუშავებულია FiBL-ისა და IFOAM-ის 2022 წელს გამოქვეყნებული მასალების საფუძვლებზე

გერმანიას ორგანული პროდუქციის წარმოების მდიდარი გამოცდილება და შესაბამისად, უდიდესი მიღწევები აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შედეგები სახელმწიფოს მხრიდან გაწეული მეტად ინტენსიური და პროდუქტიული ღონისძიებების შედეგია. გერმანია ამ მიმართულებით უდავოდ პიონერი და ლიდერია. პირველად, 1971 წელს სწორედ დასავლეთ გერმანიის ფერმერებმა შექმნეს ასოციაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ბიოორგანული მიწათმოქმედებისა და მებაღეობის განვითარების ხელშეწყობას. მოგვიანებით, 1978 წელს, გაერთიანებას „ბიოლანდი“ უწოდეს. დღეისათვის აღნიშნული ასოციაცია აერთიანებს 5719 წევრს, და ითვლება, რომ „ბიოლანდის“ მიერ სერტიფიცირებული ნებისმიერი ორგანული საკვები არათუ აკმაყოფილებს ევროკავშირის ორგანულ საკვებისადმი არსებულ მოთხოვნებს, არამედ აღემატება მას.

2002 წელს შეიქმნა გერმანიის ორგანული მეურნეობის ფედერალური სისტემა ქვეყანაში ორგანული მეურნეობის ზოგადი პირობების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პროექტი გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 2010 წლის 26 ნოემბერს მიღებული რეზოლუციის საფუძვლზე გაფართოვდა. გერმანიის ორგანული მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ფედერალური სისტემა (BÖLN) მიზნად ისახავდა ორგანული აგრო-სასურსათო სექტორისთვის ზოგადი პირობების გაუმჯობესებას და ორგანული საკვები პროდუქტების მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებული გაფართოების ხელშეწყობას. ამასთან, ორგანული პროდუქციის მწარმოებელ ფერმერთა მხარდაჭერის ღონისძიებათა სისტემა ეხებოდა ორგანული აგროწამოების სფეროს მიწოდების ჯაჭვის ყველა რგოლს – დაწყებული სასოფლო სამეურნეო წარმოებიდან, გადამუშავებიდან და მონაცემთა შეგროვებიდან, დამთავრებული ვაჭრობით, მარკეტინგით და მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვით. პროგრამის დაწყებიდან, გერმანიის მთავრობის მიერ 200 მილიონი ევრო გამოიყო კვლევითი პროექტების მხარდასაჭერად. გარდა ამისა, 50-ზე მეტი ღონისძიება იქნა შემუშავებული და განხორციელებული, მათ შორის ორგანული მეწარმეობის შესახებ ცოდნის გადაცემის პროგრამა, რომელიც წარმოდგენილი იყო რამდენიმე ასეული სემინარით ორგანული მეწარმეობის მიწოდების ჯაჭვის წარმომადგენლებისთვის. 2005 წლიდან მოყოლებული სავაჭ-

რო ბაზრობებზე 2500 კომპანიას გაეწია სახელმწიფო მხარდაჭერა. შემუშავდა და პრაქტიკულად განხორციელდა 185 საინფორმაციო პროექტი ორგანული მეურნეობის შესახებ და დაახლოებით 720 ჰოლდინგს გაეწია დახმარება ორგანულ მეურნეობაზე გადაყვანის მთელი პროცესის განმავლობაში. 2019 წლიდან ორგანული მეურნეობის მომავლის სტრატეგიის განხორციელების პროცესში ძირითადი აქცენტი გაკეთდა ორგანული პროდუქციის ღირებულების ჯაჭვების გაძლიერებაზე. BÖLN-ის თანმიმდევრული პროექტების შემადგენლობაც და ინდივიდუალური ღონისძიებებიც მუდმივად ადაპტირდება მოწინავე გამოცდილებისა და ცვალებადი პირობების გათვალისწინებით.

2002 და 2003 წლებში ორგანული პროდუქციის წარმოების სფეროს მხარდასაჭერად გერმანიის მთავრობა ყოველწლიურად 35 მილიონ ევროს გამოყოფდა. შემდგომ წლებშიც გაგრძელდა ანალოგიური დახმარება და დაფინანსება. ამ მიზნით, 2004-2006 წლებში ყოველწლიურად 20 მილიონი ევრო, 2007-2012 წწ. კი ყოველწლიურად 16 მილიონი ევრო გამოიყო. 2013 წლიდან მხარდამჭერი სახსრები შეადგენდა 17 მილიონ ევროს წელიწადში. 2017 ფინანსური წლისთვის ფინანსური მხარდაჭერა გაიზარდა 20 მილიონ ევრომდე, ხოლო 2018 წლისთვის 30 მილიონ ევრომდე. 2021 წელს, BÖLN-ის მხარდამჭერი ღონისძიებებისათვის საჭირო ფინანსებმა ჯამში 33.38 მილიონი ევრო შეადგენა. (Organic farming in Germany, 2022).

ორგანული მეურნეობის მხარდაჭერა არ გულისხმობს კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის სისუსტეს. გერმანიაში არსებული კანონმდებლობა, ჩამოყალიბებული მექანიზმები და ინსტიტუციები ახდენენ ორგანული აგროპროდუქციის მწარმოებელ ფერმერთა შორის სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენციის, მათ მიერ არსებული სტანტარტების უპირობოდ დაცვას და მომხმარებელთა მოტყუებისა და ცრუ ინფორმირების პრაქტიკის აღკვეთას, რაც კიდევ უფრო ზრდის მომხმარებელთა ნდობას სერტიფიცირებულ ბიომწარმოებელთა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მიმართ 2021 წლის დეკემბერში გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვით დაახლოებით ორ ევროდან ერთი გამოყენებული იქნას გარემოს, კლიმატის და ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნებისთვის, მეტი თანხა დაიხარჯება ორგანული მეურნეობის მხარდაჭერაზე, როგორც ორგანული ფერმერებისთვის ნებაყოფლობით „ეკო-სქემებზე“ წვდომის მინიჭებით. არსებული ბიუჯეტის დაახლოებით 20% მხოლოდ ორგანული მეურნეობის ხელშეწყობისთვისაა განკუთვნილი რათა მიაღწიონ ორგანული აგრონარმოების 25 -%-იან წილს 2030 წლისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროკავშირის მწვანე შეთანხმებით და 30 %-იან წილს, რომელიც მითითებულია გერმანიის მთავრობის კოალიციურ შეთანხმებაში.

ცხრილი N 2.

ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ფერმერული მეურნეობის საერთო რაოდენობის ზრდა გერმანიაში 1994-2020 წლების განმავლობაში

წელი	ორგანული მეურნეობის ფართობი (ჰა)	ორგანული ფერმერული მეურნეობის საერთო რაოდენობა	ორგანული სასოფლო-სამეურნეო მიწების ზრდა (%)	ორგანული ფერმერული მეურნეობების ზრდა (%)
1994	272,139	5,866	1,6	1
1995	309,487	6,642	1,8	1,1
1996	354,171	7,353	2,1	1,3
1997	389,693	8,184	2,3	1,5
1998	416,518	9,213	2,4	1,7

1999	452,327	10,425	2,6	2,2
2000	546,023	12,74	3,2	2,9
2001	634,998	14,702	3,7	3,3
2002	696,978	15,626	4,1	3,6
2003	734,027	16,475	4,3	3,9
2004	767,891	16,603	4,5	4,1
2005	807,406	17,02	4,7	4,3
2006	825,538	17,557	4,9	4,6
2007	865,336	18,703	5,1	5
2008	907,786	19,813	5,4	5,3
2009	947,115	21,047	5,6	5,7
2010	990,702	21,942	5,9	7,3
2011	1,015,626	22,506	6,1	7,5
2012	1,034,355	23,032	6,2	7,7
2013	1,044,955	23,271	6,3	8,2
2014	1,047,633	23,398	6,3	8,2
2015	1,088,838	24,736	6,5	8,7
2016	1,251,320	27,132	7,5	9,9
2017	1,373,157	29,395	8,2	11
2018	1,498,027	31,713	9	12
2019	1,613,834	34,11	9,7	12,9
2020	1,701,895	35,396	10,3	13,5

წყარო: დამუშავებულია გერმანიის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე

დასკვნა. საქართველოს ბუნებრივი პირობები ბიომეურნეობების შექმნისა და ბიოაგროწარმოების განვითარების უნიკალურ საშუალებას აძლევს. საქართველოს ბიომეურნეობების განვითარების უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია. ბიომეურნეობა აგრარულ სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციაა. ბიომეურნეობა აერთიანებს და ჰარმონიულად განავითარებს საზოგადოების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებს. ბიომეურნეობების განვითარება მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტო შემოსავლების ზრდას, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყნისათვის არსებულ მწვავე პრობლემას – უარყოფით სავაჭრო სალდოს. ეს კი ჩვენი აზრით, დიდად უკავშირდება იმას, თუ რამდენად გამოიყენებს საქართველო უნიკალური შანსს, რათა მან გლობალურ ბაზარზე დაიმკვიდროს თავი როგორც ორგანული პროდუქციის მწარმოებელმა ქვეყანამ.

ქვეყნის აგრარული სექტორის, უპირატესად, ორგანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე გადართვის სწორი და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისას საქართველოს მთავრობის მიერ უნდა მოხდეს ორგანული პროდუქციის ბაზრის განვითარების გერმანული გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება. საქართველოში ორგანული აგროპროდუქციის წარმოების სტიმულირებაზე უდავოდ დადებით როლს შეასრულებს საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე წლის პირველი აგვისტოდან ამოქმედებული „ბიოწარმოების პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა დაეხმარება ფერმერებს ბიოსერტიფიცირების კონვერსიის პროცესის განმავლობაში

და სერტიფიცირების ფინანსურ უზრუნველყოფაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება: ფერმერებს უწევთ საკუთარი ფინანსებით მოიპოვონ ბიომწარმოებლის სერტიფიკატი, რომელსაც სახელმწიფო შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ აუნაზღაურებს 70-60%-ის ფარგლებში. ფერმერთა, ისევე როგორც ეკონომიკურ სუბიექტთა უმრავლესობის წინაშე კი სწორედ ფინანსური სახსრების დეფიციტურობის პრობლემა დგას.

ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად ორგანული აგროსამეურნეო პროდუქტების წარმოება მიიჩნევა, რომელიც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს დარგის ეფექტიან და მდგრად განვითარებას. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია ორგანული პროდუქტის წარმოების განვითარების მხარდამჭერი სისტემის სახელმწიფოებრივ დონეზე განხილვა-შემუშავება. კერძოდ, აუცილებელია ფერმერთათვის ორგანული პროდუქტების წარმოების უპირატესობების შესახებ ინფორმაციული ბაზის შექმნა და მიწოდების სერვისის უზრუნველყოფა, საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, საგადასახადო და საკრედიტო შეღავათების შეთავაზება, ასევე მარკეტინგული მხარდაჭერა. ასეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება შესაძლებელს გახდის ქვეყანამ აქტიურად გამოიყენოს ის უდიდესი აგრარული პოტენციალი, რაც მას გააჩნია და ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო აგროსასურსათო ბაზარზე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში მომზადდეს ორგანული სოფლის მეურნეობის სპეციალიზებული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო კურსები, რომელიც შესაძლებელს გახდის ორგანული წარმოების შესწავლას მეცნიერულ კონტექსტში. ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოცდილებად კვლავ გერმანული უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის გათვალისწინება მიგვაჩნია. 2019 წელს გერმანიის განათლების სახელმწიფო სტანდარტებში შევიდა ორგანული წარმოება – საკურსო მოდულების ვრცელი რაოდენობით. ამ კურსის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მიიღონ ხუთსაფეხურიანი სწავლის პროფესიული სერტიფიკატი, როგორც ორგანულ სოფლის მეურნეობაში, ასევე ორგანული კულტურების ან მეცხოველეობის წარმოებაში. ორგანული წარმოების შემდგომი პოპულარიზაციისა და განვითარების თვალსაზრისით, ასევე მეტად მნიშვნელოვანი და პროდუქტიული იქნება გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობა საგანმანათლებლო კუთხით, კერძოდ კი, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების სტაჟირების პროგრამების განხორციელება გერმანიაში ორგანული წარმოების შესახებ ცოდნის შეძენისა და გაღრმავების მიზნით.

ლიტერატურა

1. FAO, WHO. (2007). Codex Alimentarius: organically produced food. Third edition. Rome, http://www.fao.org/3/a1385e/a1385e00.pdf
2. Jashi, C., Todua, N. (2013). Behavior Changing through of Social marketing (Georgian Case). *Proceedings of third World Social Marketing Conference. Toronto (Canada)*. pp. 95-97 https://www.academia.edu/20705131/Behavior_Changing_through_of_Social_marketing_Georgian_Case_
3. Jashi, C., (2017). Changing Health Behavior of Youth through Social Marketing (Georgian Case*). Ecoforum Journal.* Vol. 6, https://www.academia.edu/64206270/Changing_Health_Behavior_of_-Youth_Through_Social_Marketing_Georgian_Case_

4. Kharaishvili E., Erkomaishvili G., Chavleishvili M., (2019). Trends of Agri-Food Production and Export Stimulating Economic Policy in Georgia. *International Journal of Economics and Management Engineering*. Vol: 13, No: 1.
5. Kharaishvili, E., Natsvlishvili, I. (2019). Markets of Georgian Agro-Food Products and Export Stimulating Economic Policy. *Globalization And Business*, №8, pp. 44-53 https://www.eugb.ge/uploads/content/N8/Eter-Kharaishvili.pdf
6. Kharaishvili, E., Lazariashvili T., Natsvlishvili, I, (2019). Global experience of Bio product Market and Its challenges in Georgia in the Context of Sustainable well-Being , *Business Systems Laboratory- Book of Abstracts,* 6 th Int. Symposium – Pavia
7. Paresashvili, N., Damenia, N., (2019). The Mechanisms of State Management in Agricultural Sector of Georgia, *Journal Intellectual Economics,* Volume 13, Issue 2, Pages 105-116, 2020 https://ojs.mruni.eu/ojs/intellectual-economics/article/view/5294
8. Mghebrishvili, B., Urotadze, E. (2016). Characteristics of Food Products Labeling in Georgia. *Journal of International Economic Research*. Vol. 2, No. 1, pp. 129-133. https://www.researchgate.net/publication/319880704_Characteristics_of_Food_Products_Labeling_in_Georgia
9. Natsvaladze M., (2015). Sustainable Agriculture Development Problems in the Context of Providing food security in Georgia. *16th International Academic Conference*, ISBN 978-80-87927-09-0, IISESAt: Amsterdam. https://www.researchgate.net/publication/280576857_SUSTAINABLE_AGRICULTURE_DEVELOPMENT_PROBLEMS_IN_THE_CONTEXT_OF_PROVIDING_FOOD_SECURITY_IN_GEORGIA
10. Organic Food Market- Global Opportunity Analysis and Industry Forecast (2020-2027) report. (2020). https://www.meticulousresearch.com/product/organic-food-market-5122
11. Okruashvili N., Paresashvili N. (2018). Production of Organic Products – Important Condition of Growth of Georgia's Export Potential, *Journal of Management Policy and Practice*, 19(2), pp. 144-152 http://t.www.na-businesspress.com/JMPP/JMPP19-2/OkruashviliN_19_2.pdf
12. Okruashvili N., Seturi M.,(2016), Current Condition of Agro Food Market in Georgia and inthe World, The International Scientific Conference: Challenges of Globalization in Economics and Business Proceedings, Tbilisi, pp.402-409
13. Organic farming in Germany. (2022). https://www.bmel.de/SharedDocs/Downloads/EN/Publications/Organic-Farming-in-ermany.pdf?__blob=publicationFile&v=4
14. Todua, N. (2017). Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers. *Ecoforum Journal*. Vol. 6, No. 2.
15. Todua N., (2017). The Impact of Globalization on the Attitude of Georgian Consumers to Healthy
16. Willer H., Lernoud J., (2019) The World of OrganicAgriculture. Statistics and Emerging Trends 2019 FiBL, Frick, and, IFOAM – Organics International, Bonn https://shop.fibl.org/CHen/mwdownloads/download/link/id/1202/?ref=1
17. Willer H., , (2019) The adventure of collecting data on organic agriculture worldwide, http://orgprints.org/33355/3/willer-2019-history.pdf
18. Willer H., Lernoud J. (2020) The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends.https https://www.fibl.org/fileadmin/documents/shop/2020-organic-world-2019.pdf
19. Willer H., Trávníček J., Meier C. and Schlatter B. (2021) The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends 2021 https://www.fibl.org/fileadmin/documents/shop/1150-organic-world-2021.pdf

20. Willer H., Trávníček J., Meier C. and Schlatter B. (2022) The World of Organic Agriculture. Statistics and Emerging Trends 2022
https://www.fibl.org/fileadmin/documents/shop/1344-organic-world-2022.pdf

The modern State of Organic Agricultural Products Market Development:

– German Experience and Georgian Reality

Nanuli Okruashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Nino Paresashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

The objective of the present paper is to study the real situation on the organic agricultural products market development in Georgia. The article discusses the experience of Germany which has the greatest experience and achievements in the field of organic agricultural production. the consideration of it will contribute to the creation of an effective mechanism for stimulating the market of organic agricultural products in Georgia.

Key words: production of organic agricultural products; organic products market; State policy promoting the development of organic production.

ადამიანური რესურსების მართვა საინფორმაციო-ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების პირობებში

კახაბერ პაიჭაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

სტატიაში გაანალიზებულია ადამიანური რესურსების მართვის განვითარების ეტაპები და თანამედროვე ტენდენციები.განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანური რესურსების მართვაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და იმ თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენებისას.

საკვაძო სიტყვები: *ადამიანური რესურსები, ადამიანური რესურსების მართვა, რეკრუტინგი, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები.*

სტატიაში განხილულია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მართვის განვითარების ეტაპები, ფუნქციები და თანამედროვე ტენდენციები; კომუნიკაციის სფეროში მიღწევებთან დაკავშირებული სიახლენი ადამიანური რესურსების მართვაში; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით პერსონალთან მუშაობის თავისებურებანი და სხვ.

დასასრულ, ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, ავტორი მოუწოდებს ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებულ შრომით კოლექტივებში ადამიანური რესურსების მართვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

ადამიანური რესურსების მართვა ესაა ყველა ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი მმართველობითი საქმიანობა. მისი მთავარი მიზანია ორგანიზაციათა მაღალკვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა და მისი რაციონალური გამოყენების საფუძველზე შრომის მაღალი ეფექტიანობის მიღწევა.

ადამიანური რესურსების მართვა ორგანიზაციათა (დაწესებულებების, საწარმოების, ფირმების და ა. შ.) წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია., რამდენადაც იგი, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს მათ (ორგანიზაციათა) წარმატებულ საქმიანობას. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების სფეროში რომელშიაც ადამიანური კაპიტალი თამაშობს განსაკუთრებულად დიდ როლს. (როლანდ ჯ.ერენბერგი, რობერტ ს. სმიტი, 2020)

ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგია არ შეიძლება გავაიგივოთ კადრებთან მუშაობასთან, რამდენადაც ამ უკანასკნელში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არამატერიალურ აქტივებს და ინტელექტუალურ კაპიტალს, რომლებიც არ ექვემდებარება საკადრო და საბუღალტრო აღრიცხვას. თუმცა, ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების გამართული მართვა არ მოიცავდეს საკადრო მუშაობასა და გამართულ საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციას.

ადამიანური რესურსების მართვის განვითარებაში გამოყოფენ ორ მთავარ ეტაპს: კადრების მართვასა და ადამიანური რესურსების მართვას. XX საუკუნის მეორე ნახევარში პერსონალის

მართვის საკადრო ფუნქციის გადაზრდა ადამიანური რესურსების მართვაში გამოიწვია ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა: წარმოების მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური და სტრუქტურული ცვლილებები, კონკურენციის დონისა და საწარმოთა მოქნილობის ზრდა, რომელსაც თან ახლავს საწარმოთა დეცენტრალიზაცია და პრივატიზაცია. ადამიანური რესურსების მართვის მთავარი დებულება ისაა, რომ დღეს მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორებია არა მიწა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები, როგორც ამას კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები თვლიდნენ, არამედ მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსები და სამეცნიერო ბაზა. ცხადია, ყოველივე ეს არ ამცირებს კაპიტალის, მიწისა და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას (პაიჭაძე ნ., ადამიანური რესურსების მართვა, 2019).

ადამიანური რესურსები მართვის თანამედროვე ტედენციებია:

1) ადამიანური რესურსების მართვის ტრანსფორმაცია საკადრო ფუნქციიდან ადამიანური რესურსების სტრატეგიულ მართვაში;

2) ადამიანური რესურსების მართვის მაღალი პროფესიული დონე;

3) ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციების ინტერნაციონალიზაცია;

4) ადამიანური რესურსების მართვაში სოციალური პარტნიორობისა და შრომით ურთიერთობათა წილის გაძლიერება და ა. შ.

იმდენად, რამდენადაც ადამიანური რესურსების მართვის მთავარი მიზანია ორგანიზაციებში შრომის ეფექტიანობის ამაღლება. იგი, დამქირავებლის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს ორგანიზაციაში მომუშავე ადამიანების მართვაზე.

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში შედის ორგანიზაციების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

1) პერსონალის დაგეგმვა, მათ შორის სტრატეგიული;

2) პერსონალის მოზიდვის წესებისა და საშუალებების განსაზღვრა;

3) პერსონალის მარკეტინგი;

4) პერსონალის განვითარების მართვა;

5) საქმიანი კარიერის მართვა;

6) პერსონალის შერჩევა, დაქირავება და განლაგების ორგანიზაცია;

7) შრომის ანაზღაურებისა და პერსონალის ქცევის მართვა;

8) პერსონალზე დანახარჯების მართვა;

9) პერსონალის ქცევის მართვა;

10) პერსონალის აუდიტი;

11) კონფლიქტებისა და სტრესების მართვა და ა. შ. (Маикл Армстронг.Управление человеческими ресурсами. 2012; Веснин Р. Управление персоналом. 2011).

XX საუკუნის ბოლოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში მიღწევებმა მნიშვნელოვნად აამაღლა სამუშაო ძალის მობილურობა და მუშაობაში მომუშავეთა ურთიერთთანამშრომლობა. ამაღლდა თითოეული მომუშავის როლი ორგანიზაციის მიერ წარმატების მოპოვებაში, ძირეულად შეიცვალა ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის მათდამი (მომუშავეებისადმი) მიდგომა. ორგანიზაციებმა (კორპორაციებმა, კომპანიებმა, ფირმებმა, საწარმოებმა და ა. შ.) დაიწყეს თავიანთ თანამშრომელთა ჩათვლა არა „ვინტიკებად“, როგორც ამას მანამდე ჰქონდა ადგილი, არამედ აქტივად. ბოლო წლებში, ადამიანური რესურსების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქ-

მებისა და შრომითი კანონმდებლობის დაცვას, მომუშავეთა ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებას (Мушко Е. Управлеие персоналом. 2016).

უკანასკნელ წლებში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა. წარმოიშვა პერსონალთან მუშაობის ახალი მიმართულება – რეკრუტინგი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ორგანიზაციების მაღალპროფესიულ კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება და მაღალპროფესიულ სპეციალისტთა მოძიება. რეკრუტინგის სპეციალისტები პასუხს აგებენ ნიჭიერი მუშაკების (ტალანტების) მოძიებასა და დაქირავებაზე. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში ფართოდ იყენებენ „ტალანტების მართვის“ ტექნოლოგიას, რომლის დანიშნულებაა – მოიზიდონ, განავითარონ და შეინარჩუნონ განსაკუთრებით ნიჭიერი თანამშრომლები ან მაღალი პოტენციალის მქონე სპეციალისტები.

რეკრუტინგი ძირითადად მოქმედებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. წინათ რეკრუტინგის სპეციალისტები უმეტესად იყენებდნენ პრესაში არსებულ ინფორმაციებს და კონფედენციალურ ინფორმაციას. მოცემულ პირობებში ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებს არ ჰქონდათ ფართო პუბლიკაციის გაცნობისა და დიდი რაოდენობის ადამიანებთან წვდომის საშუალება. ცხადია, ყოველივე ამის შედეგად ახალ თანამშრომელთა მოძიებაზე საჭირო დრო იყო ხანგრძლივი.

ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების გამოყენებამ ახალი შესაძლებლობანი შექმნა, მათ შორის, ელექტრონული რეკრუტინგული საშუალებები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ინფორმაცია სამუშაო ადგილების ვაკანსიების შესახებ განაათავსონ შესაბამის სტენდებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ა.შ. და, ამასთან ერთად, აღრიცხონ სამუშაოს მაძიებლები. გარდა ამისა, სამუშაოს მაძიებელთა მახასიათებლების ყველა წყება, ისეთების, როგორიცაა: სქესი, ასაკი, განათლება, პროფესიული დახასიათება, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში აქტიურობა, ოჯახური მდგომარეობა, ნასამართლობა, ნარკოდამოკიდებულება და სხვ._შეიძლება განთავსდეს ინტერნეტში. ეს კი შესაბამის სპეციალისტებს საშუალებას მისცემს დიდი რაოდენობის სამუშაოს მაძიებლები შეისწავლოს სწრაფად და ადვილად, ვიდრე ეს წინათ იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ წინადადებები ვაკანსიებზე მისაწვდომი გახდა ყველასათვის, ვისაც აქვს ინტერნეტზე წვდომა. დღეს, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებს შესაძლებლობა აქვთ სოციალურ ქსელში ააგონ კომპანიის ბრენდი ამ უკანასკნელის საქმიანობის შესახებ.

საინფორმაციო სისტემების საფუძველზე პერსონალთან მუშაობას გააჩნია. თავისებურებანი. საქმე ისაა, რომ თანამედროვე საინფორმაციო სისტემების საფუძველზე პერსონალთან მუშაობისას, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტებს უხდებათ დიდი რაოდენობის მნიშვნელოვანი დოკუმენტების დამუშავება. მონაცემთა დამუშავება წარმოდგენილია ფართო სპექტრით: მათი შექმნიდან ან შემოსვლიდან მათ შესრულებამდე და სათანადო დანაყოფებისათვის გადაცემამდე.

საინფორმაციო სისტემების საფუძველზე პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფაილის სახით, რაც, ცხადია მოითხოვს დროის მნიშვნელოვან პერიოდს. დღეს, ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა შეინახონ და გამოიყენონ ფაილები ელექტრონულ ფორმატში. ეს კი საშუალებას იძლევა ნებისმიერ მომენტში მნიშვნელოვნად გაიზარდოს პერსონალთან მუშაობის ოპერატიულობა და ინფორმაციისადმი წვდომა. ადამიანური რესურსების მართვის ინფორმაციულ სისტემებს შეუძლია შეინახოს მილიონობით ფაილი. მისი უპირატესობა ისიცაა, რომ იგი სხვსდასხვა გეოგრაფიულ წერტილში მიმოფანტულ ფაილებზე წვდომის სა-

შუალებას იძლევა. ამასთან, სხვადასხვა არქივებში რუტინული მუშაობის ნაცვლად მისი საშუალებით შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის მიღება წამებში. ამასთან, შესაბამის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა სასწალო პროგრამებზე მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა სამსახურში მიიღონ ახალი თანამშრომლები მათთან წინასწარი შეხვედრის გარეშე.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ,რომ ადამიანური რესურსების მართვის მთავარი მიზანია ორგანიზაციებში შრომის ეფექტიანობის ამაღლება. XX საუკუნის ბოლოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში მიღწევებმა მნიშვნელოვნად აამაღლა თითოეული მომუშავის როლი ორგანიზაციის მიერ წარმატების მოპოვებაში.

უკანასკნელ წლებში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა. წარმოიშვა პერსონალთან მუშაობის ახალი მიმართულება_რეკრუტინგი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ორგანიზაციების მაღალპროფესიულ კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებამ ახალი შესაძლებლობანი შექმნა, მათ შორის, ელექტრონული რეკრუტინგული საშუალებები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ათასობით სამუშაო ადგილზე არსებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია განათავსონ შესაბამის სტენდებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ა.შ., ასევე სრულად აღრიცხონ სამუშაოს მაძიებლები. ადამიანური რესურსების მართვისას თანამედროვე საინფორმაციო სისტემების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა პერსონალთან მუშაობის ოპერატიულობა და ინფორმაციული წვდომა.

სამწუხაროდ, საქართველოში ორგანიზაციათა მნიშვნელოვან ნაწილში, ჩვენი დაკვირვებით, ჯერ კიდევ ნაკლებადაა გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სამუშაოები, ხშირად, ჯერ კიდევ სრულდება ძველი მეთოდებით, რაც, ცხადია, ამცირებს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობას და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია შესაბამისმა ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

ლიტერატურა:

1. როლანდ ჯ. ერენბერგი, რობერტ ს. სმიტი, (2020) თანამედროვე შრომის ეკონომიკა, თეორია და სახელმწიფო პოლიტიკა (მეთორმეტე გამოცემა), თარგმანი ინგლისურიდან, თბ.,.
2. პაიჭაძე ნ. (2019).ადამიანური რესურსების მართვა, თბ.,
3. Маикл Армстронг. (2012) Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. М.,.
4. Веснин В. (2011).Управление персоналом. Теория и практика. М.,
5. Мушко В. (2016) Управление человеческими ресурсами.Московский государственный университет. М.,.

Human Resources Management in the conditions of Modern Achievements of Information Technology

Kakhaber Paichadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

In this article are discussed issues related to human resource management, such as: stages of human resource management development, trends and functions; human resources management practice using modern information technologies; new practice of working with personnel – recruiting; Peculiarities of working with personnel using modern information technologies, etc.

Finally, it is recommended that heads of organizations should manage human resources using modern information technologies.

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები: არსი, შემუშავება და დანერგვა

ნუგზარ პაიჭაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დღეს მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორია მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების სწორ განსაზღვრასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებას. მოცემულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანური რესურსები, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგია, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების დამუშავების მეთოდოლოგია, გადმოცემა და რეალიზაცია.*

შესავალი. სტატიში განხილულია ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების განსაზღვრასა და მათ პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების არსი, მათი დამუშავების პროცესის წარმართვა და მიდგომები ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიათა დამუშავების მეთოდოლოგია, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების გადმოცემა და რეალიზაცია.

*

ადამიანური რესურსები ნებისმიერი საზოგადოების მთავარი სიმდიდრეა. მისი ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია. სწორედ ამითაა განპირობებული ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების სწორი განსაზღვრისა და მათი პრაქტიკული გამოყენების დიდი მნიშვნელობა (პაიჭაძე ნ., 2019, გვ.131).

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიებში იგულისხმება ორგანიზაციის განზრახულობანი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის სხვადასხვა მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებზე.

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების ფორმირების პროცესი რთულია. მასზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ბიზნეს-სტრატეგია. ამასთან, ადამიანური რესურსების განვითარების მისაღები სტრატეგიები შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომით კოლექტივს სათავეში უდგას მაღალგანვითარებული ხელმძღვანელი, რომელიც კარგად ფლობს ადამიანთა მართვის ხელოვნებას. ამასთან ერთად, ადამიანური რესურსების სტრატეგიების ეფექტიანი ფორმირება დიდადაა დამოკიდებული ხაზობრივ მენეჯერებსა და ადამიანური რესურსების მართვაში დასაქმებულ პერსონალზე.

ადამიანური რესურსების სტრატეგიების ფორმულირება ბიზნეს-სტრატეგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესია. ამასთან, მართალია, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები ბიზნეს-სტრატეგიისაგან წარმოიშობა, მაგრამ ამ უკანასკნელში მას შეუძლია შეიტანოს

მნიშვნელოვანი წვლილი – მოახდინოს მისი მოდიფიცირება და სრულყოფა (Майкл Армстронг, 2012, с.131).

დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების დამუშავების პროცესის სწორ წარმართვას. აუცილებელია ისინი დამუშავდეს სათანადო კვლევებისა და დეტალური ანალიზის საფუძველზე, რომელშიაც აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ როგორც ტოპ-მენეჯერები, ასევე, ხაზობრივი მენეჯერები და, ამასთან ერთად, გათვალისწინებულ იქნეს ორგანიზაციის თანამშრომელთა აზრი.

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების დამუშავებისას სასტარტო წერტილია მისი შესაბამისობა ბიზნეს-სტრატეგიასა და ორგანიზაციულ კულტურასთან. ეს კი ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიებისადმი ე. წ. სამი მიდგომის საშუალებას იძლევა, რომლებიც მოცემულ პრობლემაზე მომუშავე მკვლევრების **დილერისა და დოტის** მიერ (Delery J. E., Doty N.D., 1996) იდენტიფიცირებული იყო როგორც **უნივერსალური, „ექსტრენული“** და **„კონფიგურაციული“** მიდგომები. **რ. რიჩარდსონმა და მ. ტომპსონმა** პირველ- ორ მათგანს სხვაგვარი განმარტება მისცეს, პირველ მათგანს უწოდეს **საუკეთესო პრაქტიკული გადაწყვეტის,** ხოლო მეორე მათგანს **– საუკეთესო შესაბამისობის** მიდგომა (Richardson R., Thompson M.,1999).

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიებზე გავლენას ახდენს ბიზნესის შემდეგი საკვანძო პრობლემები.:

1) მოსაზრებები, რომლებიც ეხება დაკავებული პოზიციების განმტკიცებას, ინვესტიციებს, პროდუქციის დამუშავების პროცესს, ბაზრების განვითარებას და ა. შ.;

2) წინადადებები კონკურენციული უპირატესობის განმტკიცების თაობაზე;

3) მუშაობის ხარისხის ამაღლებასთან, ორგანიზაციული კულტურის მართვის გაუმჯობესებასთან, თანანმშრომელთა ორგანიზაციისადმი ერთგულების ამაღლებასთან, თანამდებობრივ დელეგირებასთან დაკავშირებული მოსაზრებები და ა. შ.

თავის მხრივ, ბიზნესის სტრატეგიები უნდა ეყრდნობოდეს ორგანიზაციაში არსებულ ორგანიზაციულ კულტურას, ან გამიზნული უნდა იყოს ამ უკანასკნელის შეცვლაზე სასურველი მიმართულებით. ეს აუცილებელია მათი ფორმირების სტადიაზე, ხოლო შემდგომ – მათი პრაქტიკული განხორციელების სტადიაზე საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმ რეალურ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება ორგანიზაციაში წარმოიშვას ახალი ინიციატივების დანერგვისას.

მიდგომები ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას

პრაქტიკაში გავრცელებულია ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების შემუშავების შემდეგი ძირითადი მეთოდები: 1) საუკეთესო პრაქტიკული გადაწყვეტილებანი; 2) საუკეთესო შესაბამისობა; 3) „ერთ კვანძში შეკვრა“.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საუკეთესო პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. მოცემული მიდგომა ემყარება რწმენას, რომ არსებობს ადამიანური რესურსების მართვის საუკეთესო პრაქტიკული გადაწყვეტილებების ნაკრები და რომ მათი გამოყენება მიგვიყვანს ორგანიზაციის მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლამდე. ამ მიდგომის სახელწოდებას მრავალი ავტორი ეწინააღმდეგება.მაგალითად, **კაპელი და კროკერ-ჰეფტერი** (Cappelli R.,Crocker-Hefter A.,1996) ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ერთ „საუკეთესო პრაქ-

ტიკულ გადაწყვეტილებათა ნაკრებზე წარმოდგენები გადამეტებულია, რომ სინამდვილეში სხვადასხვა ორგანიზაციაში პრაქტიკოსები იყენებენ სრულიად სხვადასხვა პრაქტიკულ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს კონკურენტულ ბრძოლაში ფირმის გამარჯვებას.

გარდა სემოაღნიშნულისა, შემთხვევითობის თეორიის შესაბამისად, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ორგანიზაციებისა და ირგვლივმყოფი გარემოს ურთიერთობაზე, ძნელია ირწმუნო „საუკეთესო პრაქტიკული გადაწყვეტილების“ მეთოდის უნივერსალობა. ის, რაც კარგად მუშაობს ერთ ორგანიზაციაში, არაა აუცილებელი კარგად იმუშაოს სხვა ორგანიზაციაში, რამდენადაც შეიძლება იგი არ შეესაბამებოდეს სხვა ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, მართვის სტილს, ტექნოლოგიას, მუშაობის პრაქტიკას და ა. შ.

საუკეთესო შესაბამისობის მეთოდისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანური რესურსების განვითარების შესაბამისობას ორგანიზაციაში არსებულ სიტუაციასთან, მის კულტურასთან, წარმოებრივი პროცესებისა და ირგვლიმყოფი გარემოს მოცვით. ამასთან ერთად, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების კონკრეტული საჭიროებანი. მოცემულ პრობლემაზე მომუშავე ავტორთა მნიშვნელოვან ნაწილს მიაჩნია, რომ „საუკეთესო შესაბამისობა“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „საუკეთესო პრაქტიკული გადაქყვეტილებანი“

„ერთ კვანძში შეკვრა“ (კონფიგურაცია). როგორც **რიჩარდსონი** და **ტომსონი** ამტკიცებენ „ერთ კვანძში შეკვრის“ მეთოდი ეყრდნობა „ვერტიკალური“ ან გარეგანი შესაბამისობის შეხამებას „ჰორიზონტალურ“ ან შინაგან შესაბამისობასთან. მათ გააკეთეს დასკვნა იმაზე, რომ ფირმას, რომელსაც ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკული მეთოდები დაკავშირებული აქვს „ერთ კვანძში“, უნდა გააჩნდეს ეფექტიანობის უფრო მაღალი დონე. „ერთ კვანძში შეკვრის“ სტრატეგიისას აქცენტს აკეთებენ ადამიანური რესურსების მართვის რამდენიმე პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა ერთობლივ დამუშავებასა და პრაქტიკულ გადაწყვეტილებაზე.

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიათა ფორმირების მეთოდოლოგია

ადამიანური რესურსების სტრატეგიათა ფორმირების დამუშავების მეთოდოლოგია დამუშავდა **გ. დაიერისა და გ. ჰოლდერის** მიერ (Dyer L.,Holder G. W., 1998). მას დაახლოებით ასეთი სახე აქვს:

1) სტრატეგიის გამოყენების შესაძლებლობის შეფასება:

2) სტრატეგიის სასურველობის განსაზღვრა;

3) სტრატეგიის მიზნების განსაზღვრა;

4) სტრატეგიის მისაღწევი საშუალებების განსაზღვრა.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია ითვალისწინებს ე. წ. სტრატეგიული მიმოხილვის ჩატარებას. მისი დანიშნულებაა სისტემატურად შეაფასოს სტრატეგიის მოთხოვნები, მიმდინარე და მომავალი ბიზნესისა და დასაქმებულთა მოთხოვნებიდან გამომდინარე. მან პასუხი უნდა გასცეს შემდეგ სამ კითხვას:1) სად ვიმყოფებით ჩვენ ახლა?; 2) სად გვინდა ვიმყოფებოდეთ 1, 2, 3 და ა. შ. წლის შემდეგ?; 3) როგორ ვფიქრობთ ჩვენ დასახული მიზნის მიღწევას?

სტრატეგიული მიმოხილვის სტადიებია:

I-ანალიზი:

1) როგორია ბიზნესის სტრატეგია და მოთხოვნები?

2) კულტურისა და ირგვლივმყოფი გარემოს რომელი ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ?

3) რომელია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი სისუსტეები და პრობლემები?

4) როგორი ხარვეზი შეიმჩნევა, ჩვენ რას ვაკეთებთ და რაა საჭირო მათ შორის?

II. დიაგნოსტიკა:

1) რატომ არსებობს ადამიანური რესურსების სისუსტეები და პრობლემები?

2) რაში მდგომარეობს ხარვეზის მიზეზი?

3) რომელი ფაქტორები მოქმედებს სიტუაციაზე? (ირგვლივმყოფი გარემო, კონკურენცია, პოლიტიკა და ა. შ.)

III. მოქმედების გეგმა:

1) როგორი მოქმედებები უნდა განვახორციელოთ, რომ შესრულდეს შემოთავაზებული წინადადებები?

2) რომელ პრობლემებს შეიძლება შევეჯახოთ და როგორ გადავწყვეტთ ჩვენ მათ?

3) როდის და ვინ განახორციელებს ამ მოქმედებებს?

4) როგორ შეგვიძლია გარანტირებულად გვყავდეს ერთგული და უნარიანი მენეჯერები?

IV. დასაგეგმი რესურსები:

1) როგორი რესურსები დაგვჭირდება (ფული, ადამიანები, დრო)?

2) როგორ მივიღებთ ამ რესურსებს?

3) როგორ დავარწმუნებთ ჩვენ ხელმძღვანელობას ამ რესურსების აუცილებლობაში?

4) რა დამხმარე პროცესები იქნება საჭირო?

V. დანახარჯები და დასკვნები:

1) როგორ დანახარჯებს გასწევს და სარგებელს მიიღებს ორგანიზაცია შემოთავაზებული წინადადებების რეალიზაციიდან?

2) როგორ სარგებელს მოუტანს ეს წინადადებები მომუშავეებს?

3) როგორ შეუძლია მათ დააკმაყოფილოს ბიზნესის მოთხოვნები?

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების გადმოცემა და რეალიზაცია

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების გადმოცემა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

I. საფუძველი:

1) საწარმოს მოთხოვნები ბიზნესის სტრატეგიის ელემენტების თვალსაზრისით;

2) ირგვლივმყოფი გარემოს ფაქტორები და მისი ანალიზი;

3) კულტურის ფაქტორები.

II. ძირითადი შინაარსი – ადამიანური რესურსების განვითარების შეთავაზებულ სტრატეგიაზე დაწვრილებითი ინფორმაცია;

III. ლოგიკური დასაბუთება – მოცემული სტრატეგიის მხარდამჭერი არგუმენტები;

IV. დანერგვის გეგმა:

1) მოქმედებათა პროგრამა;

2) ცალკეული ეტაპის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები;

3) აუცილებელი რესურსები;

4) კომუნიკაციების, კონსულტაციების, მონაწილეობისა და სწავლების სფეროებში შემოთავაზებული ღონისძიებები;

5) პროექტის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები;

V. დანახარჯების ანალიზი. განსაზღვრული გეგმის რეალიზაციისათვის აუცილებელი რესურსების შეფასება (სხვადასხვა მატერიალური დანახარჯები, ადამიანები, წარმოებრივი სიმძლავრეები და ა. შ.

იმის გამო, რომ ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები, როგორც წესი, გამოიხატება აბსტრაქტულ ფორმაში, საჭიროა მათი გარდაქმნა პროგრამებად, ნათლად ფორმირებული მიზნებითა და რეალური ამოცანებით. ცხადია ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების რეალიზაცია კონკრეტული მოქმედებებით რთული პროცესია.

წინააღმდეგობები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების რეალიზაციისას ხშირად გამოწვეულია მოცემული საწარმოს სტრატეგიულ მოთხოვნათა გაუგებრობით, რომლის გამოც მოცემული ინიციატივები კონკრეტულ პირობებთან გამოიყურება შეუთავსებლად. აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება, როცა გარემოსა და კულტურის ფაქტორები მხედველობაში არ მიიღება ან, როცა ცუდად მოფიქრებული ინიციატივები (შესაძლებელია იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენს მოკლევადიან გატაცებებს ან იმიტომ, რომ ცუდად ჩატარდა „საუკეთესო პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა“ ანალიზი) არ შეესაბამება მოცემული ორგანიზაციის მოთხოვნებს. ცხადია, პრაქტიკაში არსებობს სხვა მიზეზებიც, რომლებითაც გამოწვეულია წინააღმდეგობები ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების რეალიზაციისას. მათ შორისაა ორგანიზაციათა ისეთი ხელმძღვანელების (განსაკუთრებით უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლთა) არსებობა, რომლებიც ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ახალი ინიციატივების დანერგვას.

დასკვნები და წინადადებები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანისაციებში შრომის ეფექტიანობის ამაღლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების დამუშავების პროცესის სწორ წარმართვასა და მათი გამოყენების გამართულ ტექნოლოგიას. სტატიაში სათანადო ყურადღება ექცევა ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების გადმოცემასა და მათ რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დასასრულ, სტატიაში განხილულ საკითხებზე მსჯელობიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას და მათ რეალიზაციისას წარმოშობილ წინააღმდეგობათა გადასალახად მოცემულია გარკვეული რეკომდაციები. მათ შორისაა: 1) ყურადღებით ჩატარდეს ბიზნეს-მოთხოვნების პირველსაწყისი ანალიზი; 2) ბიზნესის მოთხოვნებიდან და წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებისა და მისი განვითარების დონიდან გამომდინარე, ფორმირებულ იქნეს ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიები; 3) საჭირო შემთხვევაში, მომზადდეს არსებულ წინააღმდეგობათა გადასალახად მოქმედებათა გეგმები; 4) დროდადრო, წარმოების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიებში შეტანილ იქნეს კორექტივები და ა. შ.

ლიტერატურა:

1. პაიჭაძე ნ. ადაქმიანური რესურსების მართვა, თბ.,2019.
2. АрмстронгМ.Управление человеческими ресурсами. 10-е издание. Перевод с анлийского. М., 2012.
3. Delery J. E., Doty H. D. Modes of theorizinq in strategic human resource manaqement: tests of universality, contingency and configurational perfomanse predictions, International Journal of Human Resource Management, 6,pp.656-670, 1996.
4. Richardson R., Thompson M. The Impact of People Management Practices on, 1999.
5. Cappelli P., Crocker-Hefter A., Distinctive human resources are firms' core competencies, Organizational Dynamics, winter, pp.7-22, 1996.
6. Dyer L., Holder G. W. Strategic human resource management and planning, in L. Dyer (ed) Human Resource management: Evolving roles and responsibilities, Bureau of National Affairs, Washington, DC, 1998.

Strategies of Human Resource Development

Nugzar Paichadze

Doctor of Economic Science, Associated Professor

at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In this article are analyzed such issues of human resources, which are related to the Strategies of Human Resource Development, as: the essence of the Strategies of Human Resource Development, approaches to processing the Strategies of Human Resource Development (the best practical decisions , the best compliance method, "To bundle in one knot"), methodology for processing human resource development strategies, their presentation and implementation.

.,

ON THE FUNCTIONAL TYPES OF GLOBALIZATION

Vladimer Papava
Professor, Doctor of Economic Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The article studies the functional types of globalization in the context of the COVID-19 pandemic and the confrontation between Russia and the West. It is shown that during the pandemic, turbulent globalization took place which was perceived by many as the beginning of the process of deglobalization. Russia's war in Ukraine, and especially Western economic sanctions against Russia, have exacerbated the confrontational nature of the world economy which marked the replacement of turbulent globalization by confrontational globalization. For its part, turbulent globalization was preceded by hyper-globalization and confrontational globalization will be replaced by globalization with economic security.

Keywords: *globalization, hyper-globalization, turbulent globalization, confrontational globalization, globalization with economic security*

The problem of globalization has been the subject of many studies and relevant publications. Among them, the books of Joseph Stiglitz, the Nobel Prize winner in economics, stand out (Stiglitz, 2002, 2007). Globalization as such, as well as its benefits and negative consequences, have deep historical roots (e.g., Lutkevich, 2021).

The discussion of issues related to the types of globalization, as a rule, is limited to those areas of human activity that are covered by this process. According to a narrower classification of globalization, its types are distinguished as economic globalization, political globalization and cultural globalization (e.g., Lutkevich, 2021); as for the broader classification of globalization, there are types of globalization such as economic globalization, social globalization, cultural globalization, political globalization, environmental globalization, technological globalization and geographic globalization (Multiplier, n.d.). For its part, each of the listed types of globalization has its own subtypes. A clear example of this is economic globalization (Ruettimann, 2014).

As you know, the COVID-19 pandemic began in 2020 and on February 24, 2022, Russia's war against Ukraine began which entailed economic sanctions imposed by the West against Russia because of this war. These events had a strong impact on the world economy which directly affected the processes of globalization. Let us consider this problem in more detail.

The accumulated experience of the course of the COVID-19 pandemic indicates that both national governments and international organizations were in fact fundamentally unprepared for the onset of a pandemic. Moreover, they, one might say, were in some confusion as the coronavirus appeared unexpectedly and began to spread rapidly. As a result of the uncoordinated actions of national governments and, especially, the unwillingness of international organizations to quickly respond to the main challenges of the pandemic, they contributed to the formation of an opinion that the process of globalization was over. To be fair, even before the start of the COVID-19 pandemic, significant steps towards initiating the process of deglobalization were taken by US President Donald Trump (Sachs, 2017; Stiglitz, 2017). Brexit, the exit of the UK from the EU, also fits into this context of deglobalization (e.g., O'Rourke, 2019).

Due to the need to significantly limit the rapid spread of the coronavirus, the national governments of many countries resorted to a forced measure of temporary lockdown of the functioning of a significant part of the companies. The result of this forced measure was a rupture in global supply chains. Not surprisingly, this situation gave the impression of the beginning of an isolationist process (Derviş & Strauss, 2020).

It is obvious that overcoming the pandemic, which is essentially a global phenomenon, is fundamentally impossible on the basis of isolationism (Stiglitz, 2020).

The essence of the issue is that the end of the pandemic, as a global phenomenon, is achievable only through a set of coordinated actions of national governments both among themselves and international organizations (Mazzucato & Torreele, 2020).

Following the same logic, it is obvious that the post-pandemic development of the world economy based on deglobalization (not to mention isolationism) is fundamentally impossible (Fung, 2020). We unequivocally believe that the COVID-19 pandemic has not actually led to real deglobalization but only to the process of pseudo-deglobalization (Papava, 2021).

Pseudo-deglobalization, at the same time, meant the end of the globalization that everyone knew well (Pisani-Ferry, 2021).

Based on the accumulated experience of the COVID-19 pandemic, pseudo-deglobalization is characterized by some inconsistency and spasmodic globalization process. Thus, I qualify this pseudo-deglobalization as *turbulent globalization* (Papava, 2022c). The development and widespread distribution of a vaccine against COVID-19 has been of great importance in reducing the turbulent nature of globalization.

Against the background of pseudo-deglobalization, which was perceived by many as deglobalization, the question of the so-called a new "wave" of globalization which means a qualitative renewal of the globalization process which can only take place at a higher and fundamentally improved level (El-Erian, 2020). It should be emphasized that in the context of the renewal of globalization, a special place is occupied by the problems of economic, and, in particular, energy (UN, 2021) and food security (Blair, Kalibata, 2020).

Russia's war in Ukraine (during the formally unfinished COVID-19 pandemic) and especially the economic sanctions against Russia imposed by the West (BBC, 2022), have obviously changed the contours of the global economy (Furman, 2022; Roubini, 2022) and the world order (Krugman, 2022).

Naturally, qualitatively new problems have appeared on the economics agenda which require a rethinking of the functioning of the world economy in the conditions of the noted economic sanctions (Papava, 2022a). The priority problem is to study the process of transformation of the architecture of the world economy as well as the impact of this transformation on both the global economy and the economies of national states (Papava, 2022b).

As a result of the introduction of economic sanctions against Russia, the world economy was divided into countries that introduced and also supported the noted economic sanctions against Russia and countries that maintain a certain neutrality in this confrontational economic scheme (e.g., Israel, Turkey, China, India).

As expected, the confrontational nature of today's global economy has particularly exacerbated problems in such economic sectors as energy (Montgomery, 2022) and food (Farrer, 2022).

It can be stated that in both sectors of the economy, a phenomenon alien to a market economy has emerged – a deficit, which has become a large-scale challenge for the entire global economy (Kung, 2022). Unfortunately, in addition to the Russian war in Ukraine, there are two global confrontations that have been named the "Oil War" (Bugriy, 2022) and the "Food War" (Frum, 2022).

Against this background, doubts about the continuation of the globalization process reappeared and the discussion of deglobalization issues began again (Goldberg, 2022; Moyo, 2022; Stiglitz, 2022).

In fact, the process of globalization is irreversible (Kołodko, 2022a, 2022b). The most striking argument for this fact is the globalization of illegal economic activities (for example, the drug business or the illegal arms trade). Despite the fact that both national governments and international organizations (for example, Interpol) act against it, illegal economic activity in many cases remains globalized.

There is no doubt that confrontation is the main feature of the modern world economy. It should be noted that confrontation and globalization are by no means mutually exclusive but quite compatible. As confirmation of this idea, we note that economic sanctions against Russia are inadequate since some EU countries, along with the introduction of economic sanctions against Russia, still continue to purchase Russian energy resources (Dodman, 2022). At the same time, many countries of the world, as noted above, did not join the sanctions against Russia at all and continue to actively cooperate with it and not only in the economy. Consequently, the confrontational nature of the modern world economy, as it were, "distorts" globalization and does not exclude it. As a result, we can conclude that at present the confrontation between Russia and the West is *confrontational globalization* (Papava, 2022c).

Thus, if the COVID-19 pandemic contributed to the formation of turbulent globalization then later, due to the confrontation between Russia and the West, it outgrew confrontational globalization.

The high level of universal globalization, which has covered almost all spheres of human activity, is qualified as *hyper-globalization* (Rodrik, 2021). Due to the COVID-19 pandemic, it turned into a *turbulent globalization* and at the beginning of the confrontation between Russia and the West, it was replaced by *confrontational globalization*. As noted above, a new wave of globalization is coming which can conditionally be called the "better globalization" (Rodrik, 2022). This "better globalization," in my deep conviction, will proceed from the principles of economic security (as described above). In other words, a new type of globalization that will replace confrontational globalization can be called *globalization with economic security*.

References:

1. BBC. (2022). What Sanctions are being Imposed on Russia over Ukraine Invasion? *BBC*, September 30. Retrieved from https://www.bbc.com/news/world-europe-60125659
2. Blair, T., & Kalibata, A., (2020). Building Food Security During the Pandemic. *Project Syndicate*, May 7. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0
3. Bugriy, M. (2022). The Oil War: Facing EU Embargo, Russia Targeted Ukraine's Supplies. *Eurasia Review*, May 20. Retrieved from https://www.eurasiareview.com/20052022-the-oil-war-facing-eu-embargo-russia-targeted-ukraines-supplies-analysis/
4. Derviş, K., & Strauss, S. (2020). What COVID-19 Means for International Cooperation. *Project Syndicate*, March 6. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03
5. Dodman, B. (2022). Baltic States End Russian Gas Imports – But Can the Rest of Europe Follow Suit? *France 24*, April 5. Retrieved from https://www.france24.com/en/business/20220405-baltic-states-end-russian-gas-imports-%E2%80%93-but-can-the-rest-of-europe-follow-suit
6. El-Erian, M.A. (2020). Navigating Deglobalization. *Project Syndicate*, May 11. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0

7. Farrer, M. (2022). Ukraine War has Stoked Global Food Crisis that Could Last Years, Says UN. *The Guardian*, May 19. Retrieved from https://www.theguardian.com/world/2022/may/19/ukraine-war-has-stoked-global-food-crisis-that-could-last-years-says-un
8. Frum, D. (2022). The Food War. *The Atlantic*, March 8. Retrieved from https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/03/rising-food-prices-ukraine-russia-war/626967/
9. Fung, V.K. (2020). The Trade Cure for the Global Economy. *Project Syndicate*, April 22. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crisis-revive-multilateralism-open-trade-by-victor-k-fung-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=871db40e9f-sunday_newsletter_26_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-871db40e9f-93567601&mc_cid=871db40e9f&mc_eid=e9fb6cbcc0
10. Furman, J. (2022). The Economic Consequences of the Ukraine War. *Project Syndicate*, February 25. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/economic-consequences-of-ukraine-war-by-jason-furman-2022-02
11. Goldberg, P.K. (2022). What Stopped Globalization? *Project Syndicate*, September 20. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/ukraine-war-end-of-globalization-by-pinelopi-koujianou-goldberg-2022-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=6947b386f7-sunday_newsletter_09_25_2022&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-6947b386f7-93567601&mc_cid=6947b386f7&mc_eid=e9fb6cbcc0
12. Kołodko, G.W. (2022a). *Political Economy of New Pragmatism: Implications of Irreversible Globalization*. Cham: Springer
13. Kołodko, G.W. (2022b). The Irreversibility of Globalization. *Project Syndicate*, September 5. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/globalization-and-multilateral-cooperation-not-ending-by-grzegorz-w-kolodko-2022-09
14. Krugman, P. (2022). How the Putin Shock Might Affect the World Economy. *The New York Times*, March 8. Retrieved from https://www.nytimes.com/2022/03/08/opinion/putin-russia-ukraine-economy-sanctions.html
15. Kung, C. (2022). Bracing for the Era of Economic Shortage. *Eurasia Review*, March 24. Retrieved from https://www.eurasiareview.com/24032022-bracing-for-the-era-of-economic-shortage-analysis/
16. Lutkevich, B. (2021). Globalization. *Tech Target*, July. Retrieved from https://www.techtarget.com/searchcio/definition/globalization
17. Moyo, D. (2022). Why Deglobalization Makes US Inflation Worse. *Project Syndicate*, October 7. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/why-deglobalization-makes-us-inflation-worse-by-dambisa-moyo-2022-10
18. Mazzucato, M., & Torreele, E. (2020). How to Develop a COVID-19 Vaccine for All. *Project Syndicate*, April 27. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/universal-free-covid19-vaccine-by-mariana-mazzucato-and-els-torreele-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=64d8372856-sunday_newsletter_03_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-64d8372856-93567601&mc_cid=64d8372856&mc_eid=e9fb6cbcc0
19. Montgomery, S.L. (2022). War in Ukraine is Changing Energy Geopolitics. *The Conversation*, March 3. Retrieved from https://theconversation.com/war-in-ukraine-is-changing-energy-geopolitics-177903
20. Multiplier. (n.d.). Types Of Globalization: A Thorough Overview. *Multiplier*. Retrieved from https://www.usemultiplier.com/blog/types-of-globalization
21. O'Rourke, K. (2019). *A Short History of Brexit: From Brentry to Backstop*. London: Penguin

22. Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains and Role of Georgia. *Eurasia Review*, October 18. Retrieved from https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/
23. Papava, V. (2022a). On Sanctionomics. *Eurasia Review*, March 14. Retrieved from https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/
24. Papava, V. (2022b). On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy. *Eurasia Review*, March 31. Retrieved from https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/
25. Papava, V. (2022c). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. Retrieved from https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/
26. Pisani-Ferry, J. (2021). The End of Globalization as We Know It. *Project Syndicate*, June 28. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/future-of-globalization-national-priorities-international-threats-by-jean-pisani-ferry-2021-06
27. Rodrik, D. (2021). The G7 Tax Clampdown and the End of Hyper-Globalization. *Project Syndicate*, June 7. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/g7-corporate-tax-agreement-end-of-hyper-globalization-by-dani-rodrik-2021-06
28. Rodrik, D. (2022). A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes. *Project Syndicate*, May 9. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05
29. Roubini, N. (2022). Russia's War and the Global Economy. *Project Syndicate*, February 25. Retrieved from https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02
30. Ruettimann, B.G. (2014). Economic Globalization: The Five Basic Globalization Types. *Globalistics and Globalization Studies. Aspects & Dimensions of Global Views*. Retrieved from https://www.sociostudies.org/almanac/articles/economic_globalization-_the_five_basic_globalization_types/
31. Sachs, J. (2017). Global Cooperation is the Only Way Forward for the US. *World Economic Forum*, January 6. Retrieved from https://www.weforum.org/agenda/2017/01/jeffrey-sachs-global-cooperation-is-the-only-way-forward-for-the-us/
32. Stiglitz, J. E. (2002). *Globalization and Its Discontents*. New York: W. W. Norton & Company
33. Stiglitz, J. E. (2007). *Making Globalization Work*. New York: W. W. Norton & Company
34. Stiglitz, J. E. (2017). *Globalization and Its Discontents Revisited: Anti-Globalization in the Era of Trump*. New York: W. W. Norton & Company
35. Stiglitz, J.E. (2020). Plagued by Trumpism. *Project Syndicate*, March 9. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0
36. Stiglitz, J.E. (2022). Getting Deglobalization Right. *Project Syndicate*, May 31. Retrieved from https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-and-its-discontents-by-joseph-e-stiglitz-2022-05

37. UN. (2021). Enhancing Energy Security in the Context of the Coronavirus Disease Pandemic for a Greener, More Resilient and Inclusive Energy Future in the Region. *UN Economic and Social Council*, February 1. Retrieved from https://www.unescap.org/sites/default/d8files/event-documents/ESCAP_77_17_E.pdf

გლობალიზაციის ფუნქციონალური ტიპების შესახებ

ვლადიმერ პაპავა
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია

სტატია იკვლევს გლობალიზაციის ფუნქციონალურ ტიპებს COVID-19-ის პანდემიისა და რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების კონტექსტში. ნაჩვენებია, რომ პანდემიის დროს ტურბულენტური გლობალიზაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ბევრმა დეგლობალიზაციის პროცესის დასაწყისად აღიქვა. რუსეთის ომმა უკრაინაში და განსაკუთრებით დასავლეთის ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ მსოფლიო ეკონომიკის კონფრონტაციული ბუნება გაამძაფრა, რამაც ტურბულენტური გლობალიზაციის კონფრონტაციული გლობალიზაციით ჩანაცვლება გამოიწვია. თავის მხრივ, ტურბულენტურ გლობალიზაციას წინ ჰიპერგლობალიზაცია უძღოდა, ხოლო კონფრონტაციულ გლობალიზაციას კი გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით ჩაანაცვლებს.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ჰიპერგლობალიზაცია, ტურბულენტური გლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია, გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით.

Financial Aspects of the Innovation and Investment Program of Agro-Industrial Production Development

Olena Ribeiro Ramos
Associate Professor, Ph.D. in Economics
Mariupol State University
Shota Shaburishvili
Associate Professor, Doctor of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Under conditions of imperfect competition, the turbulence of the environment, and unexpected agro-food market challenges derived from the global spread of COVID-19, and food insecurity caused by hostilities in Ukraine, the progressive activity of agro-industrial production should be ensured by the most effective selection of the optimal innovation and investment program. Such a program must be adapted to today's realities, and provide effective innovation projects and financial resources for their implementation. The unstable market of venture capital, limited access to loans, and higher interest rates make agro-industrial enterprises look for additional reserve funds for innovation; which can be acquired by the formation of a comprehensive innovation and investment program for diverse projects taking into account the required amount of funds at all stages of high-risk innovative activity. In this regard, the article aims to comprehend the introduction of the innovation and investment program for agro-industrial enterprises using an adaptive optimal selection model of the most effective projects by choosing the optimal financial strategy for innovation support.

To achieve this aim, we used the following methods: observation – to monitor the specifics of the activities of enterprises of the agro-food industry; system analysis – to understand definitions of project analysis; economic, mathematical, and experimental modelling – to develop a model for optimal selection of investment projects; abstract and logical method – to make conceptual synthesis and formulate conclusions and recommendations; graphical method – to represent a structure of innovation and investment program of agro-industrial production development.

The economic and mathematical selection model for effective projects developed by the authors can be used for agro-food enterprises. This model enables us to determine a forward-looking strategy of innovative development and shape target programs for financial support under limited resources and agro-food market changes.

Keywords: *Innovation and Investment Project, Economic and Mathematical model, Experimental modelling, Intrusion, Agro-Industrial Production, COVID-19.*

Introduction. Agriculture and food market are affected by several negative trends caused by COVID-19 quarantine measures and diverse restrictions resulting from the hostilities in Ukraine. Agriculture businesses face obstacles selling their products due to logistics disruptions, shrinking income and purchasing power of their customers, rising prices for lubricating and fuel materials, closed borders for Ukrainian potential male workers in the agricultural sector of the EU, persons with complementary protection and a huge influx of refugees from Ukraine; all these lead to increased food insecurity and reduction in national agricultural reserves. The pandemic and lockdowns caused crisis and recession even in the developed countries: Germany, Great Britain, Japan, Singapore, South Korea, Italy, Poland, the Baltic States, etc. The military actions in Ukraine challenge the international order and exert indirect pressure on grain prices, making it impossible to use

Ukrainian agricultural lands, attract investments and grants, and create obstacles to the sale of products. In this regard, the globalization of the world food market is further strengthening the competition between agro-food enterprises in some countries, which requires the development of such a strategy of consolidation in agribusiness and agricultural trading, which would help entrepreneurs to create new and update existing innovative products in the most effective ways (robots, services) and to promote further intrusion on the consumer market.

Thus, the conceptualization of the innovation and investment program introduction into agro-industrial enterprises implies constant engagement of the required funds for innovation intrusion and production diversification with the purpose of the fastest technological upgrade of agribusiness.

Literature overview and problem statement. The process of selection of optimal innovation projects provided with the necessary funding for their successful implementation has been studied in different scientific papers, including the mathematical optimization model to predict long-term investment solutions and expand capacities of agro-industrial enterprises (Stevanato, et al., 2020); the mathematical model of linear programming maximizes cash flows for innovative projects in the agro-industrial segment (Martins, 2017). From the methodology point of view, when evaluating how efficient the innovative projects are, there are destructive components in the investment structure for agrarian enterprises in Ukraine such as unreasonable overestimation of external and underestimation of internal sources of financing for investment projects (Goncharov, Zos-Kior, & Rakhmetulina, 2013); the positive contribution of foreign direct investment to economic growth depends on its synergy with domestic direct investment, as well as the form of the investment (Samborskyi, et al., 2020). The optimization management of innovation projects takes into account resource conservation, so the selection of energy and resource-saving measures for a particularly innovative project should be based on identifying the maximum economic efficiency and minimum level of risk of each of them (Zos-Kior, et al., 2020). To conclude how well the enterprise is supplied with all the resources necessary for the implementation of the innovation project, the innovation activity provides an aggregate indicator of relevance (Hnatenko, et al., 2020), although a set of indicators for assessing how effective the management system of agricultural enterprises is should also take into account the environmental factor (Ribeiro Ramos, 2020).

The importance of the introduction of diverse innovative projects in the agro-industrial market has been reflected (Shahbaz, et al., 2020); (Cardoso, Gonçalves, Carvalho, & Carvalho, 2020), also the impact of the financial literacy of entrepreneurs on the effective investment decisions regarding the implementation of innovations in agriculture has been studied (Liu, Wang, Chan, & Fung, 2020). Innovation management is one of the main means of ensuring enterprise effective development, which is determined by the ability of businesses to create new products and transform their production, which is possible only with the availability of sufficient financial investment resources (Ganushchak-Efimenko, et al., 2020). L. Ganushchak-Efimenko reflected on how to optimize the investment management model at innovative agricultural enterprises.

From the management point of view, researchers examined how top managers impacted the effective implementation of innovation and investment programs at small and medium-sized enterprises in India, considered the specifics of the peripheral systems of eco-innovations of agri-food enterprises and the specifics of their investment support. The investment in innovation is influenced by top managers' perceptions of how attractive an innovation opportunity is, as well as their ability to appropriate innovation investment value (Collins & Reutzel, 2017). The analysis of how the introduction of innovations in the production of agricultural enterprises impacted the financial performance of business entities in the agri-food sector of China has been depicted but can be used with limited institutional context (Luo, Guo, & Jia, 2017). Effective personnel management will have a positive impact on the formation and use of labour resources and profit of an

agricultural enterprise (Makarenko & Ribeiro Ramos, 2020). According to the studies mentioned above, it is necessary to continue the research about the optimal selection of expedient innovation projects, as well as financial support needed to create innovations, diversification of production, and intrusion of developed innovations into the market.

Purpose of work. The purpose of this study is to generalize the funding aspects of agro-industrial production development's innovation and investment program using the adaptive model of optimal selection of effective projects or diversification of existing ones for agro-food enterprises. The object of this study is to specify how innovative agro-industrial enterprises function under economic changes, limitations, and depletion of resources necessary for production. The subject of this study is the mechanism of making optimal management decisions in the process of selecting innovative investment programs for the development of agro-industrial enterprises.

Results. The result is presented as the optimization assessment model of expediency and prospects of diverse innovation projects and diversification of innovation activity. The innovation intrusion on the market can be applied by business entities to define an adaptive strategy of innovation development and shaping target programs for their financial support under conditions of limited resources and market changes in agriculture.

Development and implementation of innovative and investment programs which consists of optimal selection of the most effective projects or modernization of existing innovative products and planning of their intrusion on the consumer market using determination of optimal financial strategy to support the innovation activity, guarantee successful and profitable functioning of agro-food enterprises in uncertain conditions and imperfect competition.

We consider it necessary to divide the process of implementation of the innovation and investment program into several levels. In addition, each of them could be either efficiently implemented or be unsustainable, which depends on many factors, that influence at some point in time and trigger positive or negative synergy effects on agro-food enterprises. We will introduce certain imperative conditions that stakeholders should fulfil in the process of program implementation.

In particular, the segment distribution of financial resources attracted from venture capital funds or other investors for the implementation of the proposed program takes place under the condition of innovation or diversification activities being the priority in attracting financial resources according to the market conditions and market fluctuation. According to the final principle, the rest of the money is directed to intrusion projects in the industry to spread innovative products over the market. The logic of these conditions is based on the fact that due to effective commercialization of the demanded innovations the necessary part of the profit is directed to further cash coverage of diversification production projects or updating innovative products features, which are already produced by an enterprise, or developing fundamentally new innovations, that are demanded on the market.

This way financial costs are continuously covered at all stages of innovation activity, the innovation and investment program of agro-industrial production development is presented as a simplified structure, Figure 1.

Figure 1

The multi-level implementation structure of the Innovation and Investment Program of Agro-Industrial Production Development



To optimize the application of the economic and mathematical model for optimal selection of projects which create new innovative products or upgrade exciting ones and intrusion off-the-shelf innovations on the market with full financing, we need to specify a course of action.

Suppose, an agro-industrial enterprise has planned to implement *n* variants of investment projects that innovate or upgrade existing products (I_{cr}), which will be mastered by a stakeholder during a certain time *t* of a separate cycle of innovation activity. Thus, the Net Present Value for a separate innovation cycle in each of the mentioned projects ($NPV_n^{I_{cr}}$) is calculated as:

$$NPV_n^{I_{cr}} = -\sum_{t=1}^{n=1} \frac{C_{Inv}^{I_{cr_n}}}{(1+d)^t} + \sum_{t=1}^{n=1} \frac{C_{Prof}^{I_{cr_n}}}{(1+d)^{t'}} \quad (1)$$

where $C_{Inv}^{I_{cr_n}}$ – the amount of attracted investment to the activity of the agro-industrial enterprise, which is directed to realization *n-type* of the project to create new or upgrade existing innovative products or services;

$C_{Prof}^{I_{cr_n}}$ – the operating income received from the realization *n-type* of the project to create new or upgrade existing innovative products or services;

d – the interest rate used for recalculation of the future cash flows into its present value;

t – a period or a separate innovation cycle expressed in the time dimension, during which *n-type* of the project to create new or upgrade existing innovative products or services.

According to formula 1, the calculation of the Total Net Present Value for all *n – types* of projects to create new or upgrade existing innovative products or services ($NPV_{i_{cr_n}}^{total}$) taking into account a backup redistribution of the part of the profit received from an intrusion off-the-shelf innovative projects on the market, will be the following (see formula 2):

$$NPV_{i_{cr_n}}^{total} = -\sum_{n=1}^{1} F_{add}^{i_{cr_n}} + \sum_{n=1}^{1} NPV_{i_{cr_n}}, \tag{2}$$

where $F_{add}^{i_{cr_n}}$ – a part of the profit received by an enterprise from the intrusion of off-the-shelf innovative projects on the market; this will lead to funds redistribution to provide additional cash support to the creation of innovation or production diversification (which provides for updating of product characteristics of the enterprise). Moreover, $F_{add}^{i_{cr_n}}$ is calculated as the planned share of the Net Present Value received by stakeholders from intrusion of off-the-shelf innovative projects on the market (see formula 3):

$$F_{add}^{i_{cr_n}} = i * \sum_{k=1}^{1} NPV_{i_{int_k}}, \tag{3}$$

where i – the part of the profit received by stakeholders from intrusion of off-the-shelf innovative projects on the market;

$NPV_{i_{int_k}}$ – the Net Present Value from the implementation of *k-number* of projects for intrusion off-the-shelf innovations on the market. This indicator can be calculated in the following way (see formula 4):

$$NPV_{i_{int_k}} = -\sum_{t=1}^{k=1} \frac{C_{Inv}^{i_{int_k}}}{(1+d)^t} + \sum_{t=1}^{n=1} \frac{C_{Prof}^{i_{int_k}}}{(1+d)^t} => \\ => NPV_{i_{int_k}}^{total} = \sum_{k=1}^{1} NPV_{i_{int_k}} \tag{4}$$

where $C_{Inv}^{i_{int_k}}$ – the amount of financial resources invested in the implementation of *k-type* of intrusion off-the-shelf innovative project on the market;

$C_{Prof}^{i_{int_k}}$ – the amount of operating profit obtained from the implementation of *k-type* intrusion off-the-shelf innovative project on the market;

$NPV_{i_{int_k}}^{total}$ – the cumulative amount of net discounted income for all intrusion off-the-shelf innovative projects on the market presented by the stakeholder.

The proposed economic-mathematical model has certain limitations, and its implementation assumes a sufficient level of cash flows that the enterprise spends during the entire innovation cycle (see formula 5-6):

$$NPV_{i_{cr_n}}^{total} + NPV_{i_{int_k}}^{total} \rightarrow max \tag{5}$$

$$\sum_{n=1} C_{Inv}^{I_{cr_n}} + \sum_{k=1} C_{Inv}^{I_{int_k}} \leq F_{res}^{total}, \tag{6}$$

where F_{res}^{total} – a sufficient level of funds determined by the successful implementation of investment projects. A sufficient level of funds is the sum of financial resources involved in investment support for the creation of innovations, production diversification or improving the characteristics of already finished products ($F_{res}^{I_{cr_n}}$) and intrusion of innovative projects on the consumer market ($F_{res}^{I_{int_k}}$) (see formula 7):

$$F_{res}^{total} = F_{res}^{I_{cr_n}} + F_{res}^{I_{int_k}} \tag{7}$$

Minding the mentioned above, let's consider the application of the proposed model on a specific example. Let's assume that investment funds of a total value of USD 65.00 thousand are involved in the innovative activity of an agro-industrial enterprise (of which USD 40.00 thousand is the amount of funds spent by the enterprise for the intrusion of innovative projects into the market; USD 25.00 thousand is the amount of funds, spent by the enterprise for the implementation of *n-type* of the project to create new or diversify the current production to update existing goods or services). It should be taken into account that to implement the proposed model, the stakeholder needs to select among 5 intrusion off-the-shelf innovative projects on the market, and the implementation period of these projects must be carried out within 7 years. The other 4 projects will be carried out for 5 years. The discount rate for all projects is 10%. The percentage of income from intrusion off-the-shelf innovative projects, which will be allocated to additional financial support for projects to create innovations or upgrade existing products, is 5%. The indicated data are shown in Table 1 and Table 2.

Table 1

Estimated data on net cash flows of off-the-shelf innovations market intrusion projects, in USD thousands

Time interval	Intrusion off-the-shelf innovative projects on the market				
	I_{int_1}	I_{int_2}	I_{int_3}	I_{int_4}	I_{int_5}
t_1	-18.00	-20.00	-	-	-
t_2	15.00	-5.00	-12.00	-	-
t_3	10.00	19.00	10.00	-6.00	-20.00
t_4	11.00	21.00	13.00	7.00	10.00
t_5	15.00	23.00	26.00	12.00	20.00
t_6	-	27.00	32.00	15.00	30.00
t_7	-	-	-	22.00	35.00
$NPV_{I_{int_k}}$	20.35	35.56	40.42	27.32	38.85
$NPV_{I_{int_k}}^{total}$	162.50				

Based on the data depicted in Table 1, and taking into account the availability of financial sources to cover intrusion off-the-shelf innovative projects on the market with a value of USD 40.00 thousand,

it is possible to form an optimal set for the innovative investment program from projects $I_{int_3}, I_{int_4}, I_{int_5}$ and receive net discounted income with a value of USD 106.59 thousand.

Let's consider the initial data how net cash flows of projects to create innovations or modernize existing ones were formed.

Table 2

Estimated data on net cash flows of projects to create innovations or modernize existing ones, in USD thousands

Time interval	Projects of creation or modernization of existing innovations			
	I_{cr_1}	I_{cr_2}	I_{cr_3}	I_{cr_4}
t_1	-7.00	-9.00	-8.00	-6.00
t_2	-1.00	-7.00	-6.00	-6.00
t_3	12.00	14.00	-5.00	-1.00
t_4	17.00	26.00	4.00	9.00
t_5	-	-	12.00	12.00
$NPV_{I_{crn}}$	13.36	14.18	-5.85	2.37
$F_{add}^{I_{crn}}$	8.10			
$NPV_{I_{int_k}}^{total}$	18.22			

Given the information displayed in Table 2, and taking into account the availability of financial sources to fund projects for the creation of innovations or the modernization of existing products with a value of USD 25.00 thousand, it is possible to form an optimal set of projects for the innovation and investment program from the I_{cr_1}, I_{cr_2} project and obtain net discounted income with a value of USD 27.54 thousand.

Thus, the proposed model allows stakeholders, when planning an innovation-investment program for the development of agro-industrial production, to redistribute and effectively spend financial resources at all stages of innovative activity under unstable conditions for the agro-food market. As a result of the calculation of economic and mathematical modelling, an optimal innovation and investment program was formed, which included the creation of innovations or modernization of existing I_{cr_1}, I_{cr_2} and intrusion of off-the-shelf innovative projects on the market $I_{int_3}, I_{int_4}, I_{int_5}$. At the same time, the total discounted income received from the implementation of the specified program is USD 134.13 thousand. From this amount, at the expense of projects of creation of innovations or diversification of existing ones, we received USD 27.54 thousand, and at the expense of intrusion off-the-shelf innovative projects on the market – USD 107.59 thousand.

Conclusions and Recommendations. Financial resources management in implementing projects to create innovations or modernize existing ones and their effective introduction to the consumer market will ensure the activities of agro-food enterprises with competitive advantages and increase food security. At the same time, the limited access of enterprises to financial resources makes the joint interaction of innovative and investment programs for the realization of projects with their full financing urgent without the allocation of separate components.

According to the result of the research, the concept of innovation and investment program introduced into the activities of agro-industrial enterprises was realized using the mathematical optimization model for selecting the most effective projects or diversification of existing innovative products and planning intrusion of innovations on the market by choosing the optimal supporting financial strategy of innovation activity. This program can be used in the process of planning a promising adaptation strategy for the innovative development of agro-food enterprises and the formation of effectively targeted programs of their financial support in conditions of imperfect competition and limited resources necessary for production activity or diversification.

References:

1. Cardoso, H., Gonçalves, A., Carvalho, G., Carvalho, H. (2020). Evaluating innovation development among Brazilian micro and small businesses in view of management level: Insights from the local innovation agents program. *Evaluation and Program Planning 80*. Retrieved from https://doi.org/10.1016/j.evalprogplan.2020.101797
2. Collins, J. D.& Reutzel, C. R. (2017). The role of top managers in determining investment in innovation: The case of small and medium-sized enterprises in India. *International Small Business Journal*, *35* (5), 618–638.
3. Ganushchak-Efimenko, L., Hnatenko, I., Kozhushko, R., Rębilas, R., Rubezhanska, V., Krakhmalova, T. (2020). Optimization models of investment management in the activities of innovative enterprises. *Management Theory and Studies for Rural Business and Infrastructure Development*, *42* (3), 225-234.
4. Goncharov, V., Zos-Kior, M., Rakhmetulina, Zhibek B. (2013). The investment component of Ukrainian agrarian enterprises' development in conditions of land reform. *Actual problems of the economy*. *10* (148), 118-125.
5. Hnatenko, I., Orlova-Kurilova, O., Shtuler, I., Serzhanov, V., Rubezhanska, V. (2020). An Approach to Innovation Potential Evaluation as a Means of Enterprise Management Improving. *International Journal of Supply and Operations Management*, *7* (1), 112-118.
6. Liu, B., Wang, J., Chan, K. C., Fung, A. (2020). The impact of entrepreneurs's financial literacy on innovation within small and medium-sized enterprises. *International Small Business Journal*. Retrieved from https://doi.org/10.1177/0266242620959073
7. Luo, J., Guo, H., Jia, F. (2017). Technological innovation in agricultural co-operatives in China: Implications for agro-food innovation policies. *Food Policy, 73*, 19-33.
8. Makarenko, N., Ribeiro Ramos, O. (2020) Management peculiarities of personnel flows in the logistics systems of agricultural enterprises. *Actual problems of innovative economy, 4,* 25-31. Retrieved from http://apie.org.ua/wp-content/uploads/2021/07/apie_2020_r04_a05.pdf
9. Martins, P. (2017). Integrating financial planning, loaning strategies and project scheduling on a discrete-time model. *Journal of Manufacturing Systems, 44*, 217-229
10. Ribeiro Ramos, O. (2020) Accounting and Informational Evaluation of the Financial and Economic Efficiency of Agricultural Enterprises Environmental Management. *Management of Economy: Theory and Practice. Chumachenko's Annals 12*. Retrieved from https://doi.org/10.37405/2221-1187.2020.204-215
11. Samborskyi, O., Isai, O., Hnatenko, I., Parkhomenko, O., Rubezhanska, V., Yershova, O. (2020). Modeling of foreign direct investment impact on economic growth in a free market. *Accounting*, *6* (5), 705-712.

12. Shahbaz, M., Raghutla, C., Song, M., Zameer, H., Jiao, Z. (2020). Public-private partnerships investment in energy as new determinant of CO2 emissions: The role of technological innovations in China. *Energy Economics 86*. Retrieved from https://doi.org/10.1016/j.eneco.2020.104664
13. Stevanato, N., Lombardi, F., Guidicini, G., Rinaldi, L., Balderrama, S., Pavičević, M., Quoilin S., Colombo, E. (2020). Long-term sizing of rural microgrids: Accounting for load evolution through multi-step investment plan and stochastic optimization. *Energy for Sustainable Development, 58*, 16-29.
14. Zos-Kior, M., Hnatenko, I., Isai, O., Shtuler, I., Samborskyi, O., Rubezhanska, V. (2020). Management of efficiency of the energy and resource saving innovative projects at the processing enterprises. *Management Theory and Studies for Rural Business and Infrastructure Development*, *42* (4), 504–515.

ხელშეკრულების მნიშვნელობა
ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენაში

ლევან საბაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
ნადექდა კვატაშიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სახელშეკრულებო ურთიერთობები შემოსავლების და სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარების საფუძველია. ამასთან დაკავშირებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) არსებით საკითხად მიიჩნევს ხელშეკრულების იდენტიფიკაციისა და ასახვის წესებს. ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მნიშვნელოვანია ახალი, „ციფრული" ხელშეკრულებების სამართლებრივი ასპექტების გააზრება, რამდენად არის თანხვედრაში საბჭოს მიერ განსაზღვრულ „ტრადიციული" ხელშეკრულების იდენტიფიკაციის კრიტერიუმებთან, რომელთა აღიარება-ასახვას შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიან წარდგენაზე.

მიზანი და ამოცანები: *ფასს 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" განსაზღვრული ხელშეკრულების კრიტერიუმების იდენტიფიკაციის და მოდიფიკაციის წესების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში; ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებით წარმოქმნილი ციფრული ხელშეკრულებების („ჭკვიანი კონტრაქტების") არსისა და სამართლებრივი ასპექტის გაცნობიერება.*

მეთოდოლოგია: *კვლევის დროს გამოყენებულია ამ საკითხებთან დაკავშირებული ციფრული ტექნოლოგიების სპეციალისტების და სამართალმცოდნეების სამეცნიერო სტატიები, სახელმძღვანელო-სარეკომენდაციო მასალები,*

შედეგები: *განხილულია ფასს 15-ის შესაბამისად ხელშეკრულების იდენტიფიკაციის კრიტერიუმები და ხელშეკრულების მოდიფიკაციის ასახვის წესები; გაანალიზებულია „ჭკვიანი კონტრაქტების" არსი და სამართლებრივი ასპექტები.*

საკვანძო სიტყვები: *ხელშეკრულება, ხელშეკრულების მოდიფიკაცია, განცალკევებით გასაყიდი ფასები, სმარტ-კონტრაქტები, კრაუდ-კონტრაქტები.*

I შესავალი

ვალდებულებებისა და შემოსავლების აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმია ხელშეკრულების იდენტიფიკაცია, რომელიც განსაზღვრულია ფასს 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან". ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში ხელშეკრულებები ახალ ფორმებს იძენენ. ასე, უკანასკნელ წლებში შეიქმნა ციფრული ხელშეკრულება, ე.წ. „ჭკვიანი კონტრაქტები" – „სმარტ-კონტრაქტები" და „კრაუდ-კონტრაქტები". საჭირო ხდება მათი იდენტიფიკაცია და იმის გააზრება, თუ რამდენად არიან ისინი შესაბამისობაში სამართლებრივ ხელშეკრულებასთან და ბასს 15-ის ხელშეკრულებად ინდენტიფიციკაციის მოთხოვნებთან.

II ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

ფასს 15-ის თანახმად ხელშეკრულება არის შეთანხმება ორ ან რამდენიმე მხარეს შორის, რომელიც წარმოქმნის იურიდიული ძალის მქონე უფლებებსა და ვალდებულებებს. მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია იდენტიფიცირებული, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

- მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და აიღეს სახელშეკრულებო ვალდებულება;
- შესაძლებელია თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;
- შესაძლებელია გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია საწარმოს სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის რისკების, ვადების და სიდიდის ცვლილება); და
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებაც მოპოვებულია მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

ხშირ შემთხვევაში ხელშეკრულების იდენტიფიკაციისათვის საჭიროა პროფესიული განსჯა. ხელშეკრულების გაფორმების მომენტში საწარმო აფასებს და ადგენს შესასრულებელ თითოეულ ვალდებულებას. მათ შორის, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არსებულ განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას. განსხვავებული საქონლის ან მომსახურების მიწოდების შეთანხმება იდენტიფიცირდება განსხვავებულ ვალდებულებად.

მყიდველისათვის მისაწოდებელი საქონელი ან მომსახურება განსხვავებულად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ორივე კრიტერიუმი:

ა) მყიდველს საქონლიდან ან მომსახურებიდან სარგებლის მიღება შეუძლია განცალკევებით ანუ შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების გამოყოფა; და

ბ) საწარმოს მიერ მისაწოდებელი საქონელი ან მომსახურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობებისგან განცალკევებით იდენტიფიცირებადია.

ფასს 15 ითხოვს იმის დადგენას, საჭიროა თუ არა რამდენიმე ხელშეკრულების გაერთიანება. საწარმომ უნდა გააერთიანოს ერთსა და იმავე მომხმარებელთან ერთდროულად ან თითქმის ერთსა და იმავე დროს გაფორმებული ორი ან რამდენიმე ხელშეკრულება და აღრიცხოს, როგორც ერთი ხელშეკრულება, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან ერთი ან რამდენიმე:

- ✓ ხელშეკრულებებზე მოლაპარაკება წარმოებს, როგორც ერთი კომერციული მიზნის პაკეტზე;
- ✓ ფასი ურთიერთდაკავშირებულია, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გადასახდელი ანაზღაურების ოდენობა დამოკიდებულია სხვა ხელშეკრულების ფასზე ან შესრულებაზე (შედეგებზე); ან
- ✓ საქონელი ან მომსახურება ერთი შესასრულებელი ვალდებულების ნაწილია.

III ხელშეკრულების მოდიფიკაცია

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება შეთანხმების შეცვლა: ემატება ახალი სერვისები, იცვლება მოცულობა და ფასები. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: ხელშეკრულების ცვლილება უნდა განიხილებოდეს, როგორც ახალი ხელშეკრულება და მისგან მიღებული შემოსავალი ცალკე აღიარდეს, თუ განხილულ იქნეს როგორც ძველი ხელშეკრულების გაგრძელება? ამდენად, მოდიფიკაციის შედეგებია:

- ცალკე ხელშეკრულების შექმნა, როგორც თავდაპირველი ხელშეკრულების დამატება;
- თავდაპირველი ხელშეკრულების გაუქმება და ახალი ხელშეკრულების შექმნა, რომელიც გაუქმებული თავდაპირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შეუსრულებელ ვალდებულებებს მოიცავს;
- მოდიფიკაცია თავდაპირველი ხელშეკრულების ფარგლებში.

ხელშეკრულების მოდიფიკაციის ასახვის წესი დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად განსხვავებულია დამატებითი საქონელი/მომსახურება და მათი განცალკევებითი ფასები. საქონლის და მომსახურების **განცალკევებითი გასაყიდი ფასი** არის ფასი, რომლითაც საწარმო ცალკე გაყიდდა მომხმარებელზე დაპირებულ საქონელს ან მომსახურებას.

ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები ექვემდებარება **ცალკე ხელშეკრულებად იდენტიფიკაციას,** თუ შემდეგი **ორივე** პირობა დაკმაყოფილებულია:

✓ ხელშეკრულების საგანი ფართოვდება **განსხვავებული დაპირებული საქონლის** ან მომსახურების დამატების სახით;

✓ ხელშეკრულების ფასი იზრდება ანაზღაურების ოდენობით, რომელიც ასახავს საწარმოს მიერ დამატებით დაპირებული საქონლის ან მომსახურების **განცალკევებით გასაყიდ ფასებს** (IASB, 2022).

თუ დარჩენილი **საქონელი ან მომსახურება განსხვავდება** ხელშეკრულების მოდიფიკაციის თარიღით ან თარიღამდე გადაცემული საქონლის ან მომსახურებისგან, საწარმომ ხელშეკრულების მოდიფიკაცია ისე უნდა ასახოს, თითქოს იგი არსებული ხელშეკრულების შეწყვეტა და ახალი ხელშეკრულების შექმნა.

სქემა 1



თუ დარჩენილი საქონელი ან მომსახურება განსხვავებული არ არის და ერთი შესასრულებელი ვალდებულების ნაწილია, საწარმომ ხელშეკრულების ამგვარი მოდიფიკაცია ისე უნდა ასახოს, როგორც არსებული ხელშეკრულების ნაწილი. ხელშეკრულების მოდიფიკაციის გავლენა გარიგების ფასსა და ვალდებულების შესრულების ხარისხზე უნდა აღიარდეს, როგორც ამონაგების კორექტირება (როგორც ამონაგების ზრდა ან შემცირება) ხელშეკრულების მოდიფიკაციის თარიღისთვის (ანუ, ამონაგების კორექტირება ეყრდნობა კუმულაციურ მიდგომას).

✓ **ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე**

ხელშეკრულება არ არსებობს, თუ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს აქვს მისი ცალმხრივად შეწყვეტის უფლება. ხელშეკრულების არც ერთი ნაწილი შესრულებული არ არის, თუ შემდეგი კრიტერიუმებიდან დაკმაყოფილებულია ორივე:

ა) საწარმოს მომხმარებლისთვის ჯერ არა აქვს გადაცემული დაპირებული საქონელი ან მომსახურება; და

ბ) საწარმოს, დაპირებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ, ჯერ არ მიუღია ანაზღაურება და არც ანაზღაურების მიღების უფლება არ მოუპოვებია.

ცნობილია, რომ შემოსავლის აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმია **ანაზღაურება,** რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ მოიპოვებს. როდესაც შესაძლებელია ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა და არ არსებობს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ასეთი ხელშეკრულება ფასს 15-ით არ იდენტიფიცირდება (არ აღიარდება) ხელშეკრულებად.

✓ **ხელშეკრულების კომერციული შინაარსი**

შემოსავლების აღიარების ერთ-ერთი კრიტერიუმია ხელშეკრულების კომერციული შინაარსი, ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკები.

✓ **ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები**

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ისეთი დანახარჯები, **რომლებსაც საწარმო მაინც გასწევდა** ხელშეკრულების გაფორმების მიუხედავად, ხარჯის სახით უნდა აღიარდეს მათი გაწევისთანავე. ხელშეკრულების გაფორმების **დამატებითი დანახარჯები** ისეთი დანახარჯებია, რომლებსაც საწარმო ეწევა მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით და **არ გასწევდა ამ დანახარჯებს, ხელშეკრულების გაფორმების გარეშე** (მაგალითად, გაყიდვის საკომისიო).

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები **აქტივის სახით** აღიარდება, თუ საწარმო მოელის აღნიშნული დანახარჯების ანაზღაურებას. საწარმოს შეუძლია ხელშეკრულების გაფორმების დანახარჯები პერიოდის ხარჯად აღიაროს მათი გაწევისთანავე, თუ ხელშეკრულების პერიოდი ერთ წელს არ აღემატება (Vardiashvili M., Maisuradze M., 2016).

IV „ჭკვიანი“ (სმარტ) კონტრაქტები

ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარება ახალ შესაძლებლობებს უქმნის მომხმარებლებს ტრანზაქციების სფეროში, ანგარიშსწორება ხორციელდება ოფლაინში (ავტომატურად), ადამიანის ჩარევის გარეშე ე.წ. „ჭკვიანი/სმარტ კონტრაქტების“ (Smart Contract) საშუალებით. სმარტ კონტრაქტებში ბლოკჩეინის ტექნოლოგიებით პროგრამულად არის გაწერილი გარკვეული ქმედებების შესრულების ალგორითმი. კერძოდ, ციფრულად გაწერილია კონტრაქტის მონაწილეთა მიერ შესასრულებელი ვალდებულებები, შესრულების პერიოდი და ის ვალდებულებები (სან-

ქციები), რომელიც მათ დაეკისრება ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამ კონ-ტრაქტებში ვერცერთი მხარე ვერ განახორციელებს ცვლილებებს და პირობების დარღვევას. შეცდომის დაშვების ალბათობა გამორიცხულია, თუ კონტრაქტის კოდი სწორად არის დაწერილი. შეთანხმება ორ მხარეს შორის ინახება ბლოკჩეინ მონაცემთა ბაზაში.

სმარტ კონტრაქტები ციფრული კონტრაქტებია, რომლებიც დაწერილია პროგრამული ენით და დეცენტრალიზებულად, მესამე მხარის ჩარევის გარეშე გააჩნია ავტომატური მოქმედების უნარი. ციფრულ კონტრაქტებს შეუძლია ჩაანაცვლოს ისეთი დიდი ინსტიტუტები, როგორებიცაა ბანკი, ნოტარიუსი, დაზღვევა, კრაუდფანდინგი და ა.შ.

ბლოკჩეინზე დაფუძნებული ციფრული კონტრაქტები არის ტექნოლოგიური ურთიერთობების ახალი ფორმა, რომელსაც აქვს შემდეგი უპირატესობები: დეცენტრალიზაცია – მესამე მხარის გარეშე ურთიერთობის წარმოება; უსაფრთხოება – პროგრამულად არიან დაზღვეულები სამართლებრივი და ფინანსური რისკებისაგან; დაცულია გარიგების მონაცემთა კონფიდენციალურობა.

✓ **კრაუდ-კონტრაქტები**

სმარტ კონტრაქტების უპირატესობებმა განაპირობა ახალი დეცენტრალიზებული ფინანსების ბაზრის წარმოქმნა DeFi (Decentralized Finance). ამ კონტრაქტების გამოყენების ერთ-ერთი სფეროა კრაუდფანდინგი. კრაუდფანდინგის ერთიანი განმარტება არ არსებობს, საბაზო განმარტება ასეთია: კრაუდფანდინგი (Crowdfunding) არის პროექტის დაფინანსება მცირე ფულადი სახსრების შეგროვებით მონაწილეთა დიდი რაოდენობის მიერ, როგორც წესი, ინტერნეტით (TIM SMITH, 2022).

სტარტაპის, სამეცნიერო, შემოქმედებითი, საქველმოქმედო, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა პროექტებისა და იდეების რეალიზაციისა და მხარდაჭერისათვის ფულადი სახსრების მოზიდვა (დაფინანსება) ხდება ნებაყოფლობით გაერთიანებულ ადამიანების მიერ. ვინაიდან პროექტების დაფინანსება ნებაყოფლობითია, მას უწოდებენ „ხალხის დაფინანსებას“, ანუ კრაუდფანდინგს (Crowdfunding, crowd – ხალხმრავლობა/ხალხი, funding – დაფინანსება).

პროფესორი სტივენ ბრედფორდი (C. Steven Bradford) გამოყოფს კრაუდფანდინგის 5 საბაზო მოდელს: 1) საქველმოქმედო მოდელი; 2) არაფინანსური ანაზღაურების მოდელი; 3) წინასწარი შეკვეთის მოდელი; 4) სასესხო კაპიტალის მოზიდვის მოდელი; 5) სააქციო კაპიტალის მოზიდვის მოდელი. თავისი შინაარსით კრაუდფანდინგი არის კრაუდსორსინგი[1] და ალტერნატიული დაფინანსება (TIM SMITH, 2022). კრაუდ-პროექტების შეთავაზება ხდება კრაუდ-პლატფორმებით. პირველ სამ მოდელს უწოდებენ „პატრონაჟულს“, მათ ინვესტორებს კი – „ბეკერებს“ (დონორები, სპონსორები) (C. Steven Bradford , 2011). ხოლო მეოთხე და მეხუთეს – საინვესტიციო კრაუდფანდინგს, რომელთა მიზანია სასესხო და სააქციო კაპიტალის მოზიდვა.

მსოფლიო პრაქტიკაში ჭკვიანი კონტრაქტები გამოიყენება არა მხოლოდ ფინანსურ ბაზარზე, მათ შორის საბანკო და სადაზღვევო საქმეებში, არამედ საჯარო ადმინისტრირებაში, საცალო ვაჭრობაში, ჯანდაცვაში, ტოკენების პირველად შეთავაზებაში (ICO – Initial Coin Offering).

ICO, ანუ ტოკენების პირველადი განთავსება, არის ინვესტიციების მოზიდვის შედარებით ახალი ფორმა, კრიპტოვალუტის ახალი ერთეულების ფიქსირებული რაოდენობის გაყიდვით. სხვაგვარად, ეს არის კრაუდფანდინგი კრიპტოვალუტაში. კრაუდ-კამპანიის მთავარი ამოცანაა გაყიდოს საკმარისი ტოკენები ძირითადად თავისი სტარტაპ-პროექტის განვითარებისთვის. ტოკენების ემისია ხდება სხვადასხვა პირობებით. ზოგიერთ შემთხვევაში მყიდველები იძენენ ტოკენებს – ახალ (ციფრულ) ვალუტას, ხოლო ზოგჯერ ტოკენი აქციის როლს ასრულებს. შესაბამისად, მყიდ-

[1] **კრაუდსორსინგი** – კრეატიული ადამიანების ჯგუფის მიერ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად ორგანიზებულ მუშაობას გულისხმობს.

ველები სხვადასხვა სახით ღებულობენ სარგებელს, რომელიც გათვალისწინებულია ICO პროექტის ინიციატორების მიერ. იმის მიხედვით, თუ როგორი კატეგორიისა კარუდფანდინგი, ინვესტორი სხვადასხვა სახით ღებულობს სარგებელს (გარდა საქველმოქმედო კრაუდფანდინგისა): პრიზებს, ფასდაკლებას სერვისების, საქონლის ან მომსახურების შეძენის დროს; სასესხო პროექტიდან – პროცენტს პროექტიდან მიღებული მოგებიდან; აქციების კრაუდფანდინგიდან – წილს პროექტში და დივიდენდებს; ICO – სტარტაპების მიერ გამოშვებული კრიპტოვალუტის გაცვლით სხვა პოპულარულ ვალუტაზე ბიტკოინსა (Bitcoin) ან ეთერიუმზე(Ethereum).

- ✓ **ჭკვიანი (სმარტ) კონტრაქტის სამართლებრივი მახარე**

სმარტ კონტრაქტების ზრდადი პოპულარობიდან გამომდინარე, მნიშნელოვანია მისი არსისა და სამართლებრივი მხარის შესწავლა. მიჩნეულია, რომ ტერმინი „სმარტ-კონტრაქტი“ შემოთავაზებულია მისი ავტორის – ნიკ საბოს (Nick Szabo) მიერ და ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობს ტრანზაქციულ პროტოკოლს (კოდს), რომელიც იძლევა **კონტრაქტის პირობების შესრულების საშუალებას.** ამავდროულად ის აღნიშნავდა, რომ ეს არ არის დამოუკიდებელი კონტრაქტის ნაირსახეობა, არამედ წარმოადგენს მის ფორმას.

დღეის მდგომარეობით არ არსებობს სმარტ კონტრაქტების ერთიანი განმარტება, მაგრამ არსებობს რამდენიმე კონცეფცია. ასე, ყველაზე გავრცელებული მიდგომით სმარტ კონტრაქტი არის პროგრამული კოდი. ამ მიდგომის მხარდამჭერები კონტრაქტებს განიხილავენ ტექნოლოგიური მიღწევებისა და პროგრამული უზრუნველყოფის ჭრილში, რომელიც იძლევა დასმული მიზნების მიღწევის და შესაბამისი კომერციული ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობას. ასეთი მოსაზრებით, სმარტ კონტრაქტები **შესაბამისი ვალდებულების აღსრულების საშუალებაა.**

ანალოგიურად, სმარტ კონტრაქტები არ არის ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისი კონტრაქტი და მიჩნეულია პროგრამულ კოდად, რომელშიც წინასწარ დაპროგრამებულია ნაბიჯების შესრულება, მოქმედებების თანმიმდევრობა. ის არსებობს პროგრამის ენაზე და **გააჩნია ასლი ბუნებრივი ენით, ტრადიციული ფორმით.** ტერმინი „კონტრაქტი“ აღნიშნავს შეთანხმებას, რომელიც მიღწეულ იქნა მხარეთა შორის სამართლებრივად აღსრულებადი უფლებებისა და ვალდებულებების შედეგად. ტერმინი „სმარტ/გონიერი“ ამ კონტექსტში ეხება ავტომატიზებულების თვისებას – ე.ი. კომპიუტერული პროგრამის შესაძლებლობას, განახორციელოს გარკვეული ქმედებები ავტომატიზებული პროცესის შედეგად (ზ. გაბისონია , 2020).

პროფ. მ. კაულარტცს და დ. ჰეკმანს მიაჩნიათ, რომ სმარტ კონტრაქტებით სახელშეკრულებო ურთიერთობები პროგრამირდება და რეალიზდება, მათში გადაკვეთილია საინფორმაციო ტექნოლოგიები და ხელშეკრულების იურიდიული დიზაინი (Markus Kaulartz, J. Heckmann, 2016). **სმარტ კონტრაქტში პროგრამული კოდი არ ემსახურება სახელშეკრულებო უფლებების გამოხატვას.** შეუძლებელია სმარტ კონტრაქტის გაიგივება ტრადიციულ დოკუმენტთან, რომელიც ასახავს მხარეთა უფლებების შინაარსს, ის მხოლოდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს (Mateja Durovic, 2019). შესაბამისად, სმარტ კონტრაქტი ვალდებულების შესრულების ხერხია (ალგორითმი).

სმარტ კონტრაქტები უბრალოდ ბლოკჩეინზე შენახული პროგრამებია, რომლებიც მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებისას. ისინი, როგორც წესი, გამოიყენება ხელშეკრულების აღსრულების ავტომატიზაციისთვის, რათა ყველა მონაწილემ დაუყოვნებლივ იყოს დარწმუნებული შედეგში, შუამავლის ჩარევის ან დროის დაკარგვის გარეშე. მათ ასევე შეუძლიათ სამუშაო ნაკადის ავტომატიზაცია, რაც გამოიწვევს შემდეგ მოქმედებას, როდესაც პირობები დაკმაყოფილებულია (IBM, 2022).

დასკვნა

- ხელშეკრულება საფუძვლად უდევს ვალდებულებების აღიარებას, რომელთა გამიჯვნის კრიტერიუმია საქონლის და მომსახურების განსხვავებულობა. ხელშეკრულებების მოდიფიკაციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფასს 15-ის მოთხოვნების ასახვის წესის პრაქტიკაში გამოყენება. ეს სამეურნეო სუბიექტისაგან მოითხოვს დამატებითი საქონლის და მომსახურების განცალკევებითობის კრიტერიუმის იდენტიფიცირებას – მათგან სარგებლის ცალკე მიღების შესაძლებლობას.
- ციფრული კონტრაქტი თავისი შინაარსით არის კომპიუტერული პროგრამა და სამართლებრივად არ შეესაბამება ტრადიციულ ხელშეკრულებებს. ესეთი კონტრაქტები **„თანდართულია“ ტრადიციულ ხელშეკრულებაზე** და უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებას, შესრულებას და შეწყვეტას. ამდენად, როგორც კომპიუტერული პროგრამა, ციფრული კონტრაქტი უნდა იქნეს გამიჯნული იმ ხელშეკრულებისგან, რომლის დადებას, შესრულებასა და შეწყვეტას ის უწყობს ხელს.

ციფრული კონტრაქტების სამართლებრივი აღიარება საჭიროებს სამართლებრივი და საკანონმდებლო გარემოს შექმნას, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი ხელშეკრულებების შედგენის, დადების, შესრულების და შესრულების აღსრულების ავტომატიზების პროცესს.

ლიტერატურა:

1. C. Steven Bradford . (2011). Crowdfunding and the Federal Securities Laws . *COLUMBIA BUSINESS LAW REVIEW*, 150. Retrieved from http://ssrn.com/abstract=1916184
2. IASB. (2022, July 22). *https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/580.* Retrieved from https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/580.
3. IBM. (2022, October 21). *https://www.ibm.com/topics/smart-contracts#:~:text=Smart%20contracts%20are%20simply%20programs,intermediary's%20involvement%20or%20time%20loss.* Retrieved from https://www.ibm.com/topics/smart-contracts#:~:text=Smart%20contracts%20are%20simply%20programs,intermediary's%20involvement%20or%20time%20loss.
4. Markus Kaulartz, J. Heckmann. (2016). Smart Contracts – Anwendungen der Blockchain-Technologie. *Computer und Recht*, 618.
5. Mateja Durovic. (2019, October 25). *https://www.cambridge.org/core/books/abs/cambridge-handbook-of-smart-contracts-blockchain-technology-and-digital-platforms/formation-of-smart-contracts-under-contract-law/5935C0C4FE5AB265B25697D8107D8D25*. Retrieved from https://www.cambridge.org/core/books/abs/cambridge-handbook-of-smart-contracts-blockchain-technology-and-digital-platforms/formation-of-smart-contracts-under-contract-law/5935C0C4FE5AB265B25697D8107D8D25.
6. TIM SMITH. (2022, July 14). *https://www.investopedia.com/terms/c/crowdfunding.asp*. Retrieved from https://www.investopedia.com/terms/c/crowdfunding.asp.
7. Vardiashvili M., Maisuradze M. (2016). On accounting the revenue-related contracts according to international standards. *Innovative Economy and Problems of its Formation in Post-Communist Countries* (pp. pp. 396-399). Tbilisi: Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics.
8. ზ. გაბისონია . (2020). „გონიერი კონტრაქტის“ (Smart Contract) სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. . *შედარებითი სამართლის ჟურნალი*, 45-59.

Significance of the Contract for the Fair Presentation of Financial Statements

Levan Sabauri
Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nadejda Kvatashidze
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

• The contract is based on the recognition of obligations, the selection criterion of which is the difference between goods and services. In case of modification of contracts, it is important to apply the rule to reflect the requirements of IFRS 15 in practice. This requires the economic entity to identify the criterion for the separation of additional goods and services – the possibility of receiving benefits from them separately.

• The content of the digital contract is a computer program and does not legally correspond to traditional contracts. These contracts are "**attached" to the traditional contract** and provide for the conclusion, performance and termination of the contract. Thus, a digital contract as a computer program should be separated from the contract in that it facilitates the conclusion, performance and termination.

• Legal recognition of digital contracts requires the creation of a legal and legislative environment that automates the process of drafting, concluding, performing and enforcing legal contracts

Key words: contract, crowd-contracts, modification of the contract, prices for selling separately, smart-contracts,

საქართველოს სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ანალიზი

დავით სიხარულიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
შოთა შაბურიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლეილა ქადაგიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი
თეა მუნჯიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ზვიად სიგუა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოს მიერ დასავლური ფასეულობებისაკენ აღებულ საგარეო კურსს ალტერნატივა არ გააჩნია. ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე რთული პერიოდი გამოიარა. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველომ დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს შენება. რეფორმების შედეგად თანდათან დაიწყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევა. საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვს, რეგიონში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ვაჭრობასა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში. ეს თავისთავად შემოსავლების და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა. ამასთანავე, ბაზრის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელია მისი რეგიონულ და საერთაშორისო ბიზნესში ფართო ჩართულობა.

საქართველო ლიბერალური პოლიტიკის გზას ადგას და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არეალის გაფართოებას ცდილობს. ამ ასპექტით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის იმ სექტორების იდენტიფიცირებას, რომელიც გამოირჩევა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოპოვების პოტენციალით. ამასთან მკვლევარები ხშირად მიუთითებენ მრეწველობის მაღალი დამატებული ღირებულების, ტექნოლოგიატევადი დარგების განვითარების მნიშვნელობაზე ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის საქმეში. ნაშრომში განხორციელებულია საქართველოს სამრეწველო სასაქონლო პოზიციების კონკურენტული პოზიციების მიხედვით რანჟირება. სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) სია კლასიფიცირებული RCA ინდექსისა და ტექნოლოგიური პარამეტრების მიხედვით. კერძოდ ტექნოლოგიური ტევადობის კრიტერიუმით გამოყოფილია ბუნებრივ რესურსებზე, დაბალ, საშუალო და მაღალტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტები, ხოლო კონკურენტული პოზოციების მიხედვით – საფრთხის ქვეშ მყოფი, განვითარებადი და სუსტად პოზიცირებული სასაქონლო პოზიციები.

საკვანძო სიტყვები: *სამრეწველო საქონელი, ექსპორტი, კონკურენტუნარიანობა, შეფარდებითი უპირატესობა.*

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა დიდად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარ ვექტორს. ეს გამოწვეულია ეკონომიკური განვითარების და-

ბალი დონით, ტექნიკური, ტექნოლოგიური ჩამორჩენილებით და ინვესტიციების ნაკლებობით. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება ახასიათებს. ამასთან, გამოწვევას წარმოადგენს ექსპორტის გეოგრაფიული დივერსიფიკაცია და საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა, რაც ბუნებრივია წლების განმავლობაში განხორციელებული სავაჭრო პოლიტიკის კონკურენტუნარიანობის კონტექსტით შეფასების აუცილებლობაზე მიუთითებს.

კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა და მისი ამაღლების საკითხი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა გლობალიზაციის პირობებში, რადგან ამ შემთხვევაში კონკურენტულ ბრძოლაში სულ უფრო მეტი ქვეყნები და კომპანიები ერთვებიან. ისტორიულად კონკურენტუნარიანობის კონცეფცია ეროვნული ეკონომიკების შეფარდებით უპირატესობებს ეფუძნება, რომლებიც მათ წარმოექმნებათ იაფი მუშახელით, უხვი ბუნებრივი რესურსებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებით, ინფრასტრუქტურით და ა.შ. წარმოების ფაქტორებითა და რესურსებით განპირობებული უპირატესობები დამახასიათებელი იყო ინდუსტრიული საზოგადოებისათვის, თანამედროვე პირობებში კი კონკურენტუნარიანობას უპირატესად უახლესი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ინოვაციები და „“”‣-‰-‣“ განსაზღვრავს. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს მის როლს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში, კერძოდ, მსოფლიო ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის უნარს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომის მიზანია RCA მოდელის გამოყენებით ტექნოლოგიურ ჭრილში გავაანალიზოთ საქართველოს სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) ექსპორტის კონკურენტუნარიანობა.

ლიტერატურის ანალიზი

შეფარდებითი უპირატესობის ტრადიციული სავაჭრო თეორიები (Heckscher-Ohlin) გულისხმობს კონკურენტული სპეციალიზაციის მიღწევას ინტენსიური წარმოების ფაქტორების საშუალებით. დევიდ რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიის მიხედვით (1817), რომელიც დაფუძნებულია შრომის ღირებულების თეორიაზე, საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობის მოპოვების საფუძველს სამუშაო ძალის პროდუქტიულობა წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანა უნდა დასპეციალიზდეს და განახორციელოს იმ საქონლის ექსპორტი, რომლის წარმოებაც შეფარდებით ეფექტიანად შეუძლია. საქონლის ფასი განისაზღვრება წარმოების პროცესში შრომითი დანახარჯებით. ჰაბერლერმა (1936) ახსნა შეფარდებითი უპირატესობა ალტერნატიული დანახარჯების თეორიაზე დაყრდნობით. ამ იდეამ დიდი პოპულარობა მოიპოვა და შეფარდებით უპირატესობას ზოგჯერ ალტერნატიული დანახარჯების კანონს უწოდებენ.

ჰეკშერმა (1919) და ოლინმა (1952) ხელახლა განსაზღვრეს შეფარდებითი უპირატესობა ჭარბ ფაქტორებთან მიმართებით, რომელიც ცნობილია როგორც ჰეკშერ-ოლინის (H-O) თეორია. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ვაჭრობაში ჩართულობა და კონკურენტული სპეცილიზაციის მიღწევა შესაძლებელია დარგში არსებული ჭარბი ფაქტორების ინტენსიური გამოყენებით. ეს თეორიები მხოლოდ თეორიულ არგუმენტს წარმოადგენენ და ვაჭრობის შესახებ ლიტერატურაში საჭიროა შეფარდებითი უპირატესობის საზომი (სალვატორი, 2013). ბალასამ (1965) შეავსო იგი RCA-ს კონცეფციის შემოღებით, შერჩეულ დარგში შეფარდებითი უპირატესობის გაზომვით, ვაჭრობის სტრუქტურისა და ეფექტიანობის საფუძველზე. შესაბამისად, ქვეყნის სავაჭრო მოდელი ასახავს

როგორც შეფარდებით ხარჯებს, ასევე განსხვავებებს ფაქტორების სიჭარბეში და ამგვარად, შეფარდებით უპირატესობას.

სავაჭრო პოლიტიკის განსაზღვრისას საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზომვა განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი თემაა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო და ეროვნული კონკურენციის მნიშვნელოვანი გაძლიერების გამო. გლობალიზაციისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურაში ფუნდამენტურმა ცვლილებებმა მრავალი გამოწვევა მოუტანა დაბალ სპეციალიზებულ განვითარებად ეკონომიკებს და მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის გაზომვისა და ზრდის მნიშვნელობა ძირითად სავაჭრო ბაზრებზე.

საყურადღებოა დიურანდის, ჯორნოს და სხვების (1987; 1992) მიერ შემოღებული ინდიკატორები OECD-ის ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გასაზომად. მათ შემოიღეს ცალკეული ინდიკატორები იმპორტის, ექსპორტის და საერთო კონკურენტუნარიანობის ურთიერთდაკავშირების მოდელში. იმპორტის კონკურენტუნარიანობის ინდიკატორები ეფუძნება განსხვავებას მწარმოებლებისა და მათი კონკურენტების საბაზრო ფასებს შორის, ხოლო ექსპორტის – ქვეყნის საექსპორტო ფასსა და კონკურენტების ფასებს შორის სხვაობას. ფასების დონე მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში. ბემსი და ჯონსონი (2012), ბაიუმი და სხვ. (2013) თვლიან, რომ ქვეყნების კონკურენტუნარიანობა შეიძლება შეფასდეს საქონლის ფასით, რომელიც ასახავს საქონლის წარმოებისთვის გაწეულ დანახარჯებს.

ბალასას (1965) მიერ შემოთავაზებული RCA ინდექსი არის პოპულარული ინდიკატორი დარგის კონკურენტუნარიანობის გასაანალიზებლად, რომელიც ეფუძნება ექსპორტის შედეგებს. შიდა პროდუქტიულობის ზრდა და მოთხოვნის ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ბალასას ინდექსში.

ადრეულ კვლევებში, ბალასა და ნოლანდი (1989) ცდილობდნენ შეესწავლათ შეფარდებითი უპირატესობის ცვლილება იაპონიასა და აშშ-ს შორის 1967 წლიდან 1983 წლამდე. მათ გამოთვალეს RCA ინდექსი 57 პირველადი და 167 სამრეწველო საქონლისათვის. შედეგმა აჩვენა, რომ იაპონიის საერთაშორისო სპეციალიზაციამ გადაინაცვლა დაბალი დამატებული ღირებულების მქონე შრომატევადი საქონლიდან კაპიტალტევადზე. შეერთებულმა შტატებმა შეინარჩუნა არსებული სპეციალიზაცია კაპიტალტევადი საქონლის სფეროში. ლი (1995) ცდილობდა შეესწავლა კორეის კონკურენტუნარიანობა კაპიტალტევად დარგებში, 1965-1992 წლებში, ბალასას RCA ინდექსის გამოყენებით (1965). ავტორს მიაჩნდა, რომ კაპიტალტევად დარგებში სპეციალიზაციის მიღწევა ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელია. კვლევამ დაასკვნა, რომ კორეამ მოიპოვა დინამიური შეფარდებითი უპირატესობა კაპიტალტევადი დარგების მართვით, მაშინ როდესაც ჭარბი სამუშაო ძალა გააჩნდა ეკონომიკაში. შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ კორეამ სწრაფად მოიპოვა კონკურენტუნარიანობა მსუბუქ, საშუალო და მძიმე მრეწველობის ზოგიერთ დარგებში.

ბოლო კვლევებში ბენდერმა და ლიმ (2002) შეისწავლეს მრეწველობის ეფექტიანობა აზიისა და ლათინური ამერიკის ცალკეულ ქვეყნებში. RCA ინდექსის გამოყენებით დაადგინეს შეფარდებითი უპირატესობა აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკებს შორის. მათმა დასკვნებმა აჩვენა, რომ ძლიერი საექსპორტო მაჩვენებლების მიუხედავად, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები კარგავენ შეფარდებით უპირატესობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკის ქვეყნებთან მიმართებაში. აჩარია (2008) ცდილობდა გამოეკვლია შვიდი განვითარებული ქვეყნის RCA ინდექსი, რომელიც შეადგენდა მსოფლიო საქონლის ექსპორტის 80 პროცენტს 1996-1997 წლიდან 2006-2007 წლამდე. შედეგებმა აჩვენა, რომ კანადამ, აშშ-მ და იაპონიამ დაკარგა შესაბამისი საექსპორტო სპეციალიზაცია მსოფლიოსთან მიმართებაში, ხოლო ჩინეთში სამჯერ გაიზარდა. აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებისა და მექსიკის

ვაჭრობის სქემა არცერთი მიმართულებით არ შეცვლილა. აბიდინი და ლოკე (2008) ცდილობდნენ შეესწავლათ მალაიზიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოდელები სამრეწველო დარგებში RCA ინდექსის გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ მალაიზიას აქვს შეფარდებითი უპირატესობა ელექტრო, ელექტრონულ საქონელსა და მანქანათმშენებლობაში. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მალაიზიის ექსპორტის სტრუქტურა თანდათან გადავიდა არარესურსებზე დაფუძნებულ დარგებიდან რესურსტევადზე.

ფეტჩერინმა და სხვ. (2012) გააანალიზეს ინდოეთის ექსპორტის კონკურენტუნარიანობა მრავალგანზომილებიანი მოდელის საშუალებით. კვლევამ აჩვენა, რომ ინდოეთის ეკონომიკის დარგების უმეტესობა დინამიურია და იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე მსოფლიო ექსპორტი 2001-2005 წლებში. კატურიამ (2013) გამოიკვლია ინდოეთის და ბანგლადეშის მსუბუქი მრეწველობის დარგების ექსპორტის კონკურენტუნარიანობა მსოფლიოსთან მიმართებაში RCA ინდექსის გამოყენებით. კვლევამ აჩვენა, რომ ინდოეთის შეფარდებითი უპირატესობა ტანსაცმლის დარგში გაიზარდა 23-დან 29 პროდუქტამდე, ხოლო ბანგლადეში – 21-დან 29-მდე. ჰუომ (2014) გამოიკვლია განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა. RCA ინდექსი გამოყენებული იქნა ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შესასწავლად. ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით ქვეყნის დონიზე შესწავლილი იქნა შრომის ანაზღაურების, სარწყავი მიწის ფართობის, სასურსათო ფასების ინდექსის, შიდა მოხმარების და გაცვლითი კურსის გავლენა ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე. შედეგმა აჩვენა, რომ სარწყავი მიწის ფართობი და გაცვლითი კურსი დადებითად აისახება ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე, ხოლო შრომის ღირებულება და შიდა მოხმარება უარყოფითად.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს RCA ინდექსის (Balassa's 1965) გამოყენებით საქართველოს საქართველოს სამრეწველო საქონლის ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ანალიზს და შეფასებას 2010-2020 წლებში. ბალასამ (Balassa, B., & Noland, M. 1989) შემოგვთავაზა RCA ინდექსის კონცეფცია სექტორის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, რომელიც ეფუძნება შეფარდებითი ექსპორტის ეფექტიანობას. ავტორის მოსაზრებით შეფარდებითი ექსპორტის სტრუქტურა ავლენს ფარდობით განსხვავებებს ფაქტორებით უზრუნველყოფაში და შესაბამისად, შეფარდებიტ უპირატესობას. ბალასას RCA-ს ინდექსი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

$$RCA_{iP} = \frac{X_{iP}}{X_{tP}} / \frac{X_{iw}}{X_{tw}}$$

სადაც: $0 \leq RCA \leq \infty$ X_{iP} – არის საქართველოს ექსპორტის წილი i, ხოლო X_{tP} არის საქართველოს მთლიანი ექსპორტი; ანალოგიურად, X_{iw} არის i სექტორის საექსპორტო წილი მსოფლიოში w, ხოლო X_{tw} არის მთლიანი მსოფლიო ექსპორტი. RCA იღებს ნებისმიერ მნიშვნელობას ნულიდან დადებით უსასრულობამდე. ამბობენ, რომ ქვეყანას აქვს შეფარდებითი უპირატესობა შერჩეულ საქონელში, თუ ინდექსის ღირებულება აღემატება ერთს (RCA > 1), ხოლო ერთზე დაბალი მნიშვნელობა (RCA < 1) მიუთითებს შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობას. განსხვავება ან ცვლილება RCA-ში საკმაოდ კარგ საზომს წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ან დარგის კონკურენტული პოზიციის დასადგენად.

RCA-ს ბალასას ინდექსი ფართოდ გამოიყენებოდა ქვეყნების დარგობრივი სპეციალიზაციის დასადგენად. თუმცა, (Leromain და Orefice 2014) აღნიშნავდნენ, რომ ბალასას ინდექსი

როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ კონტექსტში განიცდის სისუსტეს. მათი მოსაზრებით RCA ინდექსი არ ემთხვევა შეფარდებითი უპირატესობის თავდაპირველ რიკარდოს იდეას. ისინი ასევე ასაბუთებდნენ, რომ რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობა ეფუძნება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შინაგან ბუნებას – უფრო ეფექტურად აწარმოოს გარკვეული საქონელი, მაშინ როდესაც ბალასას ინდექსი დაფუძნებულია ორმხრივი სავაჭრო ნაკადების ფაქტიურ რეალიზაციაზე.

RCA ინდექსების გამოყენება შესაძლებელია დარგში პროდუქტის პოზიციის გამოსავლენად, რომლებიც ამჟამად ავლენენ შედარებით ნაკლებ კონკურენტუნარიანობას მაგრამ აქვთ პოტენციალი მიაღწიონ ექსპორტის კონკურენტუნარიანობას დროთა განმავლობაში. ამის მიღწევა შესაძლებელია ქვეყნის საექსპორტო სტრუქტურის კატეგორიზაციის გზით, SITC სასაქონლო პოზიციების საფუძველზე. შესაბამისად ცალკეული სასაქონლო პოზიციისათვის ხდება RCI პროფილის დაჯგუფება შემდეგნაირად (Mahmood, A., & Nishat, M. 2004).

სასაქონლო პოზიციის კონკურენტული მდგომარეობა

ამ სასაქონლო პოზიციების RCA-ის მნიშვნელობა ერთზე მეტია და დროთა განმავლობაში მათი მდგომარეობა უმჯობესდება ხელსაყრელი გარე და შიდა პირობების გავლენით. ამ კატეგორიის სასაქონლო პოზიციებისათვის განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმები:

- სასაქონლო პოზიციის RCA ინდექსი „i“ მეტია 1-ზე განსაზღვრული წლისათვის. მაგალითად $(RCA^i)_{2021} > 1$
- განსხვავება სასაქონლო პოზიციების RCA "i" 2021 წელს და უაკანასკნელი სამი წლის საშუალო RCA-ს შორის არის დადებითი, ანუ (RCAi)2021 – (RCAi) საშუალო (2018–2020)>0

საფრთხის ქვეშ მყოფი სასაქონლო პოზიციები

ამ სასაქონლო პოზიციების RCA-ის მნიშვნელობა ერთზე მეტია, მაგრამ ინდექსები დროთა განმავლობაში მცირდება არასასურველი შიდა გარემოს და/ან გლობალური კონკურენტული ზეწოლის გამო. ამ კატეგორიის სასაქონლო პოზიციებისათვის განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმები:

- სასაქონლო პოზიციის RCA ინდექსი „i“ მეტია 1-ზე განსაზღვრული წლისათვის. მაგალითად $(RCA^i)_{2021} > 1$
- განსხვავება სასაქონლო პოზიციების RCA "i" 2021 წელს და უაკანასკნელი სამი წლის საშუალო RCA-ს შორის არის დადებითი, ანუ (RCAi)2021 – (RCAi) საშუალო (2018–2020)<0

განვითარებადი სასაქონლო პოზიციები

ამ სასაქონლო პოზიციების RCA ინდექსები ერთზე ნაკლებია, თუმცა მათი შედარებითი გლობალური პოზიცია საექსპორტო ბაზარზე უმჯობესდება. ეს სასაქონლო პოზიციები მიუთითებს მომავალი საექსპორტო პოტენციალის შესახებ. ანალიზისათვის RCA ინდექსის მიხედვით გამოყოფენ განვითარებადი სასაქონლო პოზიციების ორ ჯგუფებს:

ჯგუფი 1

- სასაქონლო პოზიციის RCA ინდექსი „i“ ნაკლებია 1-ზე განსაზღვრული წლისათვის. თუმცა ტოლია ან მეტია 0,5-ის. მაგალითად $(RCA^i)_{2021} < 1$ და მეტია 0,5-ის

- განსხვავება სასაქონლო პოზიციების RCA "i" 2021 წელს და უკანასკნელი სამი წლის საშუალო RCA-ს შორის არის დადებითი, ანუ (RCAi)2021 – (RCAi) საშუალო (2018–2020)>0

ჯგუფი 2

- სასაქონლო პოზიციის RCA ინდექსი „i“ ნაკლებია 0,5-ზე განსაზღვრული წლისათვის. მაგალითად $(RCA^i)_{2021}$ <0,5.
- განსხვავება სასაქონლო პოზიციების RCA "i" 2021 წელს და უაკანასკნელი სამი წლის საშუალო RCA-ს შორის არის დადებითი, ანუ (RCAi)2021 – (RCAi) საშუალო (2018–2020)>0

სუსტად პოზიციონირებული სასაქონლო პოზიციები

ამ სასაქონლო პოზიციების RCA ინდექსები ერთზე ნაკლებია და კლებულობს არახელსაყრელი გარე და შიდა გარემო ფაქტორების ზემოქმედებით. RCA ინდექსის მიხედვით გამოყოფენ სუსტად პოზიციონირებულ სასაქონლო პოზიციების ორ ჯგუფებს:

ჯგუფი 1

- სასაქონლო პოზიციის RCA ინდექსი „i“ ნაკლებია 1-ზე განსაზღვრული წლისათვის. თუმცა ტოლია ან მეტია 0,5-ის. მაგალითად $(RCA^i)_{2021}$ <1 და მეტია 0,5-ის
- განსხვავება სასაქონლო პოზიციების RCA "i" 2021 წელს და უაკანასკნელი სამი წლის საშუალო RCA-ს შორის არის უარყოფითია ანუ (RCAi)2021 – (RCAi) საშუალო (2018–2020)<0

ჯგუფი 2

- სასაქონლო პოზიციის RCA ინდექსი „i“ ნაკლებია 0,5-ზე განსაზღვრული წლისათვის. მაგალითად $(RCA^i)_{2021}$ <0,5.
- განსხვავება სასაქონლო პოზიციების RCA "i" 2021 წელს და უაკანასკნელი სამი წლის საშუალო RCA-ს შორის არის დადებითი, ანუ (RCAi)2021 – (RCAi) საშუალო (2018–2020)<0

აღწერილ მოდელს, რომელიც მრავალ კვლევებში (Lee (1986); Reza (1983); Peterson (1988); Craft (1989); Ray (1999); Richardson and Zhang (1999) და სხვები) გამოიყენება აქვს ორი უპირატესობა: პირველი, მოდელის საშუალებით შესაძლებელია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ძლიერი და სუსტი მხარეები იდენტიფიკაცია წლების მიხედვით, მეორე – საშუალებას იძლევა შეფასდეს საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია მონაცემები ექსპორტის საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) სასაქონლო პოზიციების მიხედვით. მონაცემთა ნაკრები მოიცავს სამრეწველო პროდუქტის 52 სასაქონლო პოზიციას.

კვლევის შედეგები

საქართველოს მრეწველობაში ექსპორტის სპეციალიზაცია არასახარბიელოდ გამოიყურება. აღნიშნული ტენდენცია მოცემულია ცხრილი 1-ში, სადაც ნაჩვენებია სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) სია კლასიფიცირებული RCA ინდექსისა და ტექნოლოგიური პარამეტრების მიხედვით. ცხრილიდან ჩანს, რომ სამრეწველო საქონლის ექსპორტის სტრუქტურაში სასაქონლო პოზიციე-

ბის მიხედვით დომინირებს ბუნებრივ რესურსებსა და დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მრეწველობა.

ცხრილი 1

საქართველოს სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) ექსპორტის ტექნოლოგიური კლასიფიკაცია და RCA ინდექსი[1]

		2019	2020	2021	ტექნოლოგიური კლსიფიკაცია
1	[611] ნატურალური ტყავი	0,57	0,24	0,23	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
2	[612] ტყავის ან კომპოზიციის წარმოება ტყავი, N.E.S.; უნაგირი და აღკაზმულობა	0,01	0,00	0,00	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
3	[621] რეზინის მასალები (ფირფიტები, ფურცლები, ზოლები და სხვა)	0,08	0,10	0,14	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
4	[625] რეზინის საბურავები, შიდა მილაკები .	2,27	1,33	0,69	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
5	[629] რეზინის ნაწარმი, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	0,17	0,32	0,56	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
6	[633] საცობები ან მხშობების წარმოება	0,52	0,36	0,54	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
7	[634] მერქანი, დიქტი , სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	1,04	0,99	1,36	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
8	[635] ხის წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	2,05	2,76	1,72	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
9	[641] ქაღალდისა და მუყაო.	0,17	0,14	0,22	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
10	[642] ქაღალდისა და მუყაოს ნაწარმი, დაჭრილი ზომებად ან ფორმებად, რულონებად ან ფურცლებად,.	0,98	1,08	1,36	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
11	[651] ტექსტილის ნართი	0,98	0,40	0,33	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
12	[652] ბამბის ქსოვილები	0,18	0,80	0,41	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
12	[653] ქსოვილები, ნაქსოვი, ხელოვნური ქსოვილებისგან	0,08	0,24	0,32	საშუალო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
13	[654] ტექსტილის სხვა ქსოვილები, ნაქსოვი	0,00	0,02	0,00	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
14	[655] მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტრიკოტაჟის ტილოები, დანარჩენი	0,09	0,20	0,17	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
15	[656] ტიულები, სამკაულები, მაქმანები, ლენტები და სხვა პატარა ნაწარმი	0,14	0,07	0,08	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
16	[657] სპეციალური ნართი, სპეციალური ტექსტილის ქსოვილები	0,43	0,73	1,27	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება

[1] United Nations conference on trade and Development. Revealed comparative advantage index, annual https://unctadstat.unctad.org/wds/TableViewer/tableView.aspx?ReportId=157975

17	[658] ტექსტილის მასალისაგან დამზადებული ნაწარმი რომელიც არ შედის სხვა კატეგორიაში	0,18	0,20	0,84	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
18	[659] იატაკის საფენები და სხვა	0,23	0,22	0,22	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
19	[661] კირი, ცემენტი და დამუშავებული სამშენებლო მასალები (მინისა და თიხის მასალების გარდა)	0,50	0,53	0,47	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
20	[662] თიხის კონსტრუქცია, რეფრაქტო. სამშენებლო მასალები	0,08	0,09	0,06	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
21	[663] მინერალური მასალების წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	0,65	0,64	0,45	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
22	[664] მინა	0,08	0,09	0,24	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
23	[665] მინის ნაწარმი	1,17	0,78	0,48	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
24	[666] ჭურჭელი	0,12	0,10	0,06	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
25	[667] მარგალიტები, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები	0,0001	0,0014	0,0010	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
26	[671] თუჯი, რიალა თუჯის ფხვნილები, შავი ლითონების, ფერომანგანუმი	39,78	37,25	45,25	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
		-10,80	-10,47	3,40	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
27	[672] ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან	4,95	2,41	2,72	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
28	[673] ბრტყელი ნაგლინი რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, მიუტკეცავი, გალვანური ან სხვა დაფარვის გარეშე, შემდგომი დამუშავების გარეშე	0,01	0,01	0,01	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
29	[674] ბრტყელი ნაგლინი რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, გალვანური ან სხვა დაფარვით მოთუთიებული, მოთუთიებული სხვა ხერხით	0,14	0,05	0,00	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
30	[675] ნაგლინი, ფოლადის ბრტყელი ნაგლინის პროდუქტები	0,00	0,00	0,01	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
		0,00	0,00	0,01	
31	[676] რკინის და ფოლადის ზოლები, წნელები, კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები	0,83	0,67	0,57	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
		-1,24	-0,94	-0,46	
32	[677] რელსები და სარკინიგზო ლიანდაგის რკინისა ან ფოლადისაგან	0,05	0,54	3,45	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
33	[678] რკინის ან ფოლადის მავთული	0,09	0,14	0,04	საშუალო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
34	[679] მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, ფიტინგები, რკინისა და ფოლადისაგან	1,06	0,52	0,50	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
35	[682] სპილენძი	0,03	0,02	0,01	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
36	[684] ალუმინი	0,49	0,51	0,62	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება

37	[685] ტყვია	7,18	6,21	6,71	ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული წარმოება
38	[691] რკინის,ფოლადის, ალუმინის კონსტრუქციების და ნაწილები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	0,45	0,27	0,84	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
39	[692] ლითონის კონტეინერები შენახვის ან ტრანსპორტირებისთვის	0,56	0,18	0,17	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
40	[693] მავთული, დახვეული საგვერგვე ფოლადი ან ბრტყელი ცალფა მავთული, ეკლიანი ან უეკლო, თავისუფლად დაგრეხილი ორმაგი მავთული ღობეებისათვის,მავთულის გისოსები, ბადეები	0,20	0,08	0,09	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
41	[694] ლურსმნები, ხრახნები, ჭანჭიკები და ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი სპილენძისაგან და ალუმინისაგან	0,08	0,12	0,06	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
42	[695] ხელის ინსტრუმენტები და ინსტრუმენტები ჩარხისათვის	0,15	0,12	0,12	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
43	[696] მჭრელი ნაწარმი	1,74	0,55	0,22	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
44	[697] ლითონის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	0,19	0,27	0,23	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება
45	[699]არაძვირფასი ლითონების წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	0,19	0,09	0,12	დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება

ექსპორტის 42 სასაქონლო პოზიციიდან 2019-2021 წლებში შეფარდებითი უპირატესობა (RCA>1) ჰქონდა 9 სასაქონლო პოზიციას:

- [625] რეზინის საბურავები, შიდა მილაკები ...
- [634] მერქანი, დიქტი , სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი ...
- (635) ხის წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი;
- [642] ქაღალდისა და მუყაოს ნაწარმი, დაჭრილი ზომებად ან ფორმებად, რულონებად ან ფურცლებად;
- [657] სპეციალური ნართი, სპეციალური ტექსტილის ქსოვილები;
- [671] თუჯი, რიალა თუჯის ფხვნილები, შავი ლითონების, ფერომანგანუმი;
- [672] ნახევარფაბრიკატები რკინის ან არალეგირებული ფოლადისაგან,
- [677] რელსები, სარკინიგზო ლიანდაგი რკინის ან ფოლადისაგან;
- [685] ტყვია.

აღნიშნული სასაქონლო პოზიციები მიეკუთვნება ბუნებრივ რესურსებზე და დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ წარმოებას. მოცემული ცხრილი ცხადყოფს, რომ საქართველოში მრეწველობის სტრქუტურული ტრანსფორმაციის, დაბალი დამატებული ღირებულებიდან ტექნოლოგიურად ინტენსიური მაღალი დამატებული ღირებულების წარმოებაზე გადასვლის პროცესი, შენელებულია.

საქართველოს სამრეწველო საქონლის (ნაწარმი) ექსპორტის კონკურენტული პოზიცია სასაქონლო პოზიციის კონკურენტული მდგომარეობა

საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) – სასაქონლო პოზიციების მიხედვით სამრეწველო პროდუქტის 52 სასაქონლო პოზიციიდან მყარი კონკურენტული პოზიცია უკავია ტყვიას (685). 2019-2021 წლებში კონკურენტული პოზიციის გამყარების ტენდენციით ხასიათდებიან შემდეგი სასაქონლო პოზიციები: მერქანი, დიქტი (634), ხის წარმოება (635), ქაღალდისა და მუყაოს ნაწარმი (642), სპეციალური ნართი, სპეციალური ტექსტილი (657), თუჯი, პრიალა თუჯის ფხვნილები (671), რელსები, სარკინიგზო ლიანდაგი რკინისა და ფოლადისაგან (677), მილები მილაკები და ღრუ პროფილები (679). მიუხედავად მათი კონკურენტული პოზიციებისა, აღნიშნული სასაქონლო პოზიციების წარმოება დაფუძნებულია ბუნებრივ რესურსებსა და დაბალ ტექნოლოგიებზე, რომელშიც ძირითადად დასაქმებულია დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა.

ცხრილი 1

RCA ინდექსის მიხედვით სასაქონლო პოზიციების კონკურენტული პოზიციების კლასიფიკაცია[1] [2]

წელი		**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
სასაქონლო პოზიციები		**CP**	**TP**	**EPI**	**EPII**	**WPI**	**WPII**	**WPII**
[611] ნატურალური ტყავი	RCA	1,25	1,10	0,71	0,48	0,57	0,24	0,23
	RCA საშუალო	0,02	-0,13	-0,49	-0,54	-0,19	-0,35	-0,20
		WPII	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[612] რკისნი სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი; უნაგირი და აღკაზმულობა	RCA	0,00	0,00	0,00	0,00	0,01	0,00	0,00
	RCA საშუალო	-0,02	-0,02	-0,02	0,00	0,00	0,00	0,00
		WPII	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**EPII**
[621] რეზინის მასალები (ფირფიტები, ფურცლები, ზოლები და სხვა)	RCA	0,03	0,07	0,18	0,07	0,08	0,10	0,14
	RCA საშუალო	-0,05	0,03	0,13	-0,02	-0,03	-0,01	0,05
		CP	**CP**	**CP**	**CP**	**TP**	**TP**	**WPI**
[625] რეზინის საბურავები, შიდა მილაკები	RCA	1,96	2,00	2,32	2,63	2,27	1,33	0,69
	RCA საშუალო	1,25	0,68	0,59	0,54	-0,04	-1,07	-1,39
		WPI	**EPI**	**EPI**	**WPI**	**WPI**	**EPI**	**EPI**
[629] რეზინის ნაწარმი, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან	RCA	0,17	0,34	0,34	0,19	0,17	0,32	0,56
	RCA	-	0,16	0,09	-0,09	-0,12	0,08	0,33

[1] გათვლები განხორციელდა ავტორთა მიერ.

[2] CP - სასაქონლო პოზიციის კონკურენტული მდგომარეობა; TP - საფრთხის ქვეშ მყოფი სასაქონლო პოზიციები; EM (I) - განვითარებადი სასაქონლო პოზიციების პირველი ჯგუფი; EM (II) - განვითარებადი სასაქონლო პოზიციების მეორე ჯგუფი; WP (I) - სუსტად პოზიციონირებული სასაქონლო პოზიციების პირველი ჯგუფი; WP (II) - სუსტად პოზიციონირებული სასაქონლო პოზიციების მეორე ჯგუფი.

ჩაურთველი	საშუალო							
		EPI	**WPI**	**WPI**	**WPI**	**EPI**	**EPI**	**EPI**
[633] საცობები ან მხშობების წარმოება	RCA	0,49	0,36	0,15	0,23	0,52	0,36	0,54
	RCA საშუალო	0,15	-0,02	-0,32	-0,11	0,27	0,06	0,17
		TP	**WPI**	**CP**	**WPI**	**TP**	**WPI**	**CP**
[634] მერქანი, დიქტი , სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	RCA	1,01	0,89	1,42	0,97	1,04	0,99	1,36
	RCA საშუალო	-1,03	-0,49	0,34	-0,13	-0,06	-0,16	0,36
		EPII	CP	CP	CP	TP	CP	TP
[635] ხის წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	RCA	0,44	2,18	2,52	2,04	2,05	2,76	1,72
	RCA საშუალო	0,26	1,91	1,58	0,33	-0,20	0,56	-0,57
		EPII	**WPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**
[641] ქაღალდისა და მუყაო.	RCA	0,08	0,03	0,03	0,05	0,17	0,14	0,22
	RCA საშუალო	0,01	-0,05	-0,03	0,00	0,13	0,06	0,10
		WPI	**EPI**	**EPI**	**WPII**	**CP**	**CP**	**CP**
[642] ქაღალდისა და მუყაოს ნაწარმი დაჭრილი ზომებად ან ფორმებად, რულონებად ან ფურცლებად, ნაწარმი	RCA	0,64	0,63	0,56	0,44	0,98	1,08	1,36
	RCA საშუალო	-0,12	0,10	0,05	-0,17	0,44	0,42	0,53
		EPII	**EPI**	**EPI**	**CP**	**EPI**	**WPII**	**WPII**
[651] ტექსტილის ნართი	RCA	0,26	0,57	0,81	1,10	0,98	0,40	0,33
	RCA საშუალო	0,24	0,47	0,52	0,55	0,16	-0,56	-0,50
		WPII	**WPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPI**	**EPII**
[652] ბამბის ქსოვილები,	RCA	0,02	0,00	0,00	0,02	0,18	0,80	0,41
	RCA საშუალო	-0,01	-0,02	-0,01	0,01	0,17	0,73	0,08
		EPII	**WPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**
[653] ქსოვილები, ნაქსოვი, ხელოვნური ქსოვილებისგან	RCA	0,07	0,01	0,04	0,06	0,08	0,24	0,32
	RCA საშუალო	0,04	-0,02	0,00	0,02	0,05	0,18	0,20
		WPII	**EPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**EPII**	**WPII**
[654] ტექსტილის სხვა ქსოვილები, ნაქსოვი	RCA	0,03	0,01	0,02	0,03	0,00	0,02	0,00
	RCA საშუალო	0,02	0,00	0,00	0,01	-0,02	0,00	-0,02
		WPII	**WPII**	**EPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**
[655] მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტრიკოტაჟის ტილოები, დანარჩენი	RCA	0,03	0,02	0,05	0,01	0,09	0,20	0,17
	RCA საშუალო	-0,01	-0,01	0,03	-0,02	0,06	0,15	0,07
		EPII	**EPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**

[656] ტიულები, სამკაულები, მაქმანები, ლენტები და სხვა პატარა ნაწარმი	RCA	0,02	0,04	0,03	0,48	0,14	0,07	0,08
	RCA საშუალო	0,00	0,03	0,01	0,44	-0,04	-0,14	-0,15
		WPII	**EPII**	**EPII**	**WPII**	**EPII**	**CP**	**CP**
[657] სპეციალური ნართი, სპეციალური ტექსტილის ქსოვილები . .	RCA	0,03	0,08	0,05	0,05	0,43	0,73	1,27
	RCA საშუალო	-0,01	0,04	0,00	-0,01	0,37	0,55	0,87
		EPII	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**	**EPI**
[658] ტექსტილის მასალისაგან დამზადებული ნაწარმი რომელიც არ შედის სხვა კატეგორიაში	RCA	0,18	0,07	0,11	0,15	0,18	0,20	0,84
	RCA საშუალო	0,14	-0,02	0,01	0,02	0,06	0,06	0,67
		WPII	**WPII**	**EPII**	**EPI**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[659] იატაკის საფენები და სხვა	RCA	0,03	0,03	0,13	0,70	0,23	0,22	0,22
	RCA საშუალო	-0,07	-0,06	0,09	0,64	-0,05	-0,13	-0,17
		WPII	**WPII**	**WPI**	**WPI**	**WPI**	**WPI**	**WPII**
[661] კირი, ცემენტი და დამუშავებული სამშენებლო მასალები (მინისა და თიხის მასალების გარდა)	RCA	0,33	0,67	0,79	0,56	0,50	0,53	0,47
	RCA საშუალო	-5,58	-2,50	-0,50	-0,04	-0,17	-0,09	-0,05
		EPII	**WPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[662] თიხის კონსტრუქცია, რეფრაქტო. სამშენებლო მასალები	RCA	0,20	0,13	0,36	0,42	0,08	0,09	0,06
	RCA საშუალო	0,06	-0,06	0,16	0,19	-0,22	-0,20	-0,14
		WPI	**WPI**	**WPI**	**WPI**	**WPI**	**WPI**	**WPII**
[663] მინერალური მასალების წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	RCA	0,72	0,73	0,62	0,69	0,65	0,64	0,45
	RCA საშუალო	-0,53	-0,27	-0,27	0,00	-0,03	-0,01	-0,21
		EPII	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**
[664] მინა	RCA	0,21	0,11	0,12	0,07	0,08	0,09	0,24
	RCA საშუალო	0,11	-0,04	-0,04	-0,08	-0,02	0,01	0,16
		CP	**CP**	**TP**	**CP**	**TP**	**WPI**	**WPI**
[665] მინის ნაწარმი	RCA	1,81	1,72	1,37	2,00	1,17	0,78	0,48
	RCA საშუალო	1,31	0,73	-0,04	0,36	-0,52	-0,73	-0,83
		EPII	**EPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**
[666] ჭურჭელი	RCA	0,12	0,16	0,08	0,14	0,12	0,10	0,06
	RCA საშუალო	0,00	0,02	-0,05	0,02	0,00	-0,02	-0,06
		WPII	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[667] მარგალიტები,	RCA	0,0000	0,0000	0,0006	0,0011	0,0001	0,0014	0,0010

ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები	RCA საშუალო	-0,0005	-0,0002	0,0005	0,0009	-0,0004	0,0008	0,0001
		CP	**CP**	**CP**	**TP**	**TP**	**TP**	**CP**
[671] თუჯი, პრიალა თუჯის ფხვნილები, შავი ლითონების, ფერომანგანუმი	RCA	50,88	48,37	54,86	48,51	39,78	37,25	45,25
	RCA საშუალო	2,88	0,31	5,03	-2,86	-10,80	-10,47	3,40
		TP	**TP**	**TP**	**TP**	**CP**	**TP**	**TP**
[672] ნახევარფაბრიკატები რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან,	RCA	6,68	4,57	5,89	3,48	4,95	2,41	2,72
	RCA საშუალო	-0,94	-4,46	-0,87	-2,23	0,30	-2,37	-0,89
		EPII	**WPII**	**EPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**
[673] ბრტყელი ნაგლინი რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, მიუტკეცავი, გალვანური ან სხვა დაფარვის გარეშე, შემდგომი დამუშავების გარეშე, გარდა ცხლად გლინვისა	RCA	0,03	0,00	0,01	0,00	0,01	0,01	0,01
	RCA საშუალო	0,03	-0,01	0,00	-0,01	0,01	0,00	0,00
		WPII	**WPII**	**WPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[674] ბრტყელი ნაგლინი რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, გალვანური ან სხვა დაფარვით მოთუთიებული, მოთუთიებული სხვა ხერხით	RCA	0,19	0,24	0,27	0,30	0,14	0,05	0,00
	RCA საშუალო	-0,05	-0,06	-0,09	0,07	-0,13	-0,19	-0,16
		WPII	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[675] ნაგლინი, ფოლადის ბრტყელი ნაგლინის პროდუქტები	RCA	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,01
	RCA საშუალო	0,00	-0,01	0,00	0,00	0,00	0,00	0,01
		TP	**TP**	**TP**	**TP**	**WPI**	**WPI**	**WPI**
[676] რკინის და ფოლადის ზოლები, წნელები, კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები.	RCA	2,29	2,24	2,42	1,58	0,83	0,67	0,57
	RCA საშუალო	-2,42	-1,76	-0,70	-0,74	-1,24	-0,94	-0,46
		WPII	**WPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**EPI**	**CP**
[677] რელსები და სარკინიგზო ლიანდაგის რკინისა ან ფოლადისაგან	RCA	0,09	0,12	0,21	0,15	0,05	0,54	3,45
	RCA საშუალო	-0,02	-0,02	0,08	0,01	-0,11	0,40	3,20
		WPII	**WPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**EPII**	**WPII**
[678] რკინის ან ფოლადის მავთული	RCA	0,16	0,14	0,15	0,05	0,09	0,14	0,04
	RCA საშუალო	0,00	-0,06	0,02	-0,10	-0,02	0,04	-0,05
		EPI	**WPI**	**WPI**	**CP**	**CP**	**WPI**	**WPI**
[679] მილები, მილაკები და	RCA	0,61	0,71	0,68	1,22	1,06	0,52	0,50

ღრუ პროფილები, ფიტინგები, რკინისა და ფოლადისაგან	RCA საშუალო	-0,62	-0,56	-0,16	0,55	0,19	-0,47	-0,43
		WPII	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[682] სპილენძი	RCA	0,00	0,00	0,01	0,06	0,03	0,02	0,01
	RCA საშუალო	0,00	-0,01	0,00	0,06	0,01	-0,02	-0,03
		EPII	**EPI**	**EPI**	**WPI**	**WPII**	**WPI**	**EPI**
[684] ალუმინი	RCA	0,49	0,57	0,75	0,59	0,49	0,51	0,62
	RCA საშუალო	0,16	0,18	0,27	-0,01	-0,15	-0,10	0,09
		CP	**CP**	**CP**	**CP**	**CP**	**CP**	**CP**
[685] ტყვია	RCA	3,85	6,09	5,26	5,27	7,18	6,21	6,71
	RCA საშუალო	2,22	3,45	1,16	0,20	1,64	0,31	0,49
		WPII	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**EPI**
[691] რკინის,ფოლადის, ალუმინის კონსტრუქციების და ნაწილები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	RCA	0,12	0,09	0,24	0,72	0,45	0,27	0,84
	RCA საშუალო	-0,07	-0,08	0,12	0,57	0,10	-0,19	0,36
		EPII	**EPII**	**EPII**	**EPI**	**EPI**	**WPII**	**WPII**
[692] ლითონის კონტეინერები შენახვის ან ტრანსპორტირებისთვის	RCA	0,20	0,21	0,46	0,90	0,56	0,18	0,17
	RCA საშუალო	0,07	0,05	0,28	0,62	0,04	-0,46	-0,38
		EPII	**WPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[693] მავთულის ნაწარმი (ელექტროტექნიკის გამოკლებით) და შემოღობვის მავთულები	RCA	0,19	0,09	0,19	0,73	0,20	0,08	0,09
	RCA საშუალო	0,09	-0,03	0,06	0,57	-0,14	-0,29	-0,24
		EPII	**WPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**
[694] ლურსმნები, ხრახნები, ჭანჭიკები და ქანჩები და ანალოგიური ნაწარმი სპილენძისაგან და ალუმინისაგან	RCA	0,11	0,05	0,06	0,12	0,08	0,12	0,06
	RCA საშუალო	0,03	-0,04	-0,02	0,05	0,00	0,03	-0,04
		EPII	**EPII**	**WPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**
[695] ხელის ინსტრუმენტები და ინსტრუმენტები ჩარხისათვის	RCA	0,08	0,19	0,09	0,17	0,15	0,12	0,12
	RCA საშუალო	0,04	0,14	-0,01	0,05	0,00	-0,02	-0,03
		WPII	**WPII**	**EPII**	**EPI**	**CP**	**WPI**	**WPII**
[696] მჭრელი ნაწარმი	RCA	0,14	0,06	0,14	0,65	1,74	0,55	0,22
	RCA საშუალო	-0,06	-0,12	0,04	0,53	1,46	-0,30	-0,75
		WPII	**WPII**	**WPII**	**EPII**	**WPII**	**EPII**	**WPII**

[697] ლითონის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	RCA	0,36	0,25	0,23	0,36	0,19	0,27	0,23
	RCA საშუალო	-1,09	-0,76	-0,36	0,08	-0,09	0,01	-0,04
		WPII	**EPII**	**EPII**	**EPII**	**WPII**	**WPII**	**WPII**
[699] არაძვირფასი ლითონების წარმოება, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი	RCA	0,16	0,21	0,34	0,29	0,19	0,09	0,12
	RCA საშუალო	-0,02	0,05	0,17	0,06	-0,09	-0,18	-0,07

საფრთხის ქვეშ მყოფი სასაქონლო პოზიციები

საფრთხის ქვეშ მყოფი სასაქონლო პოზიციების ჯგუფს მიეკუთვნება: რეზინის საბურავები, შიდა მილაკები (625), ნახევარ ფაბრიკატები რკინისა და არალეგირებული ფოლადისაგან (672). თუმცა სასაქონლო პოზიცია 625-ის მდგომარეობა 2021 წლისათვის უარესდება და ინაცვლებს სუსტად პოზიციონირებულ სასაქონლო პოზიციების პირველი ჯგუფში. 2019 წელს საფრთხის ქვეშ მყოფი სასაქონლო პოზიციების ჯგუფს მიეკუთვნებოდა მერქანი, დიქტი (634). 2018-2019 წლებში ამ ჯგუფს მიეკუთვნებოდა თუჯი, პრიალა თუჯის ფხვნილები (671). მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის სასაქონლო პოზიციებს აქვთ შეფარდებითი უპირატესობა, მათი მდგომარეობა უარესდება უკანასკნელი სამი წლის RCA-ს საშუალო მაჩვენებლის შემცირებით.

განვითარებადი სასაქონლო პოზიციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ განვითარებადი სასაქონლო პოზიციები იყოფა ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ის სასაქონლო პოზიციები, რომლებიც მიდრეკილნი არიან მოხვდნენ კონკურენტული უპირატესობის მქონე სასაქონლო პოზიციების ჯგუფში. ცხრილიდან ჩანს, რომ 2021 წლისათვის 45 სამრეწველო საქონლიდან განვითარებადი სასაქონლო პოზიციების პირველ ჯგუფს მიეკუთვნება – 9 პროცენტი. ამ კატეგორიაში შედის შემდეგი სასაქონლო პოზიციები: რეზინის ნაწარმი (629), საცობები და მხშობების წარმოება (633), ტექსტილის მასალისაგან დამზადებული ნაწარმი (658), ალუმინი (684).

სასაქონლო პოზიციების 15 პროცენტი განეკუთვნება მეორე ჯგუფს. სადაც შედის: რეზინის მასალები (612), ქაღალდი და მუყაო (641), ბამბის ქსოვილები (652), ქსოვილები, ნაქსოვი (653), მანქანით ან ხელით ნაქსოვი ტრიკოტაჟის ტილოები (655), მინა (664), ბრტყელი ნაგლინი რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან (673). მცირე შეფარდებითი უპირატესობის მიუხედავად, ამ ჯგუფის უკანასკნელი სამი წლის საშუალო მაჩვენებელი უარყოფითი იყო.

სუსტად პოზიციონირებული სასაქონლო პოზიციები

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2021 წლისათვის 45 სამრეწველო საქონლიდან სუსტად პოზიციონირებული სასაქონლო პოზიციების პირველ ჯგუფი წარმოადგენს სასაქონლო პოზიციების 5 პროცენტს, ხოლო მეორე ჯგუფი – 49 პროცენტს. მეორე ჯგუფის სასაქონლო პოზიციებს არ აქვთ

შეფარდებითი უპირატესობა და ამავე დროს ზრდის პოტენციალიც დაბალია, ვინაიდან RCA-ს და უკანასკნელი სამი წლის RCA საშუალო მაჩვენებელს შორის სხვაობა ნულზე ნაკლებია. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ნატურალური ტყავი (611), ტყავის ან ტყავის კომპოზიციის წარმოება (612), ტექსტილის ნართი (651), ტექსტილის სხვა ქსოვილები, ნაქსოვი (654), ტიულები, სამკაულები, მაქმანები (656), იატაკის საფენები (659), კირი, ცემენტი და დამუშავებული სამშენებლო მასალები (661), თიხის კონსტრუქცია (663), ჭურჭელი (666), ბრტყელი ნაგლინი, ბრტყელი ნაგლინი რკინისა ან არალეგირებული ფოლადისაგან, გალვანური ან სხვა დაფარვით მოთუთიებული (674), ნაგლინი, ფოლადის ბრტყელი ნაგლინის პროდუქტები (675), რკინის ან ფოლადის მავთული (678), სპილენძი (682), ლითონის კონტეინერები შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის (692), ლურსმნები, ხრახნები ჭანჭიკები (694), ხელის და ჩარხის ინსტრუმენტები (695), მჭრელი ნაწარმი (696), არაძვირფასი ლითონების წარმოება (699).

დასკვნა

ამრიგად, შეფარდებითი უპირატესობის RCA მოდელის გამოყენებით, ტექნოლოგიური განვითარების ჭრილში, ჩატარებული სამრეწველო საქონლის ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეფარდებითი უპირატესობის მქონე საექსპორტო სასაქონლო პოზიციების დიდი ნაწილი მიეკუთვნება ბუნებრივ რესურსებზე და დაბალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ წარმოებას. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოში მრეწველობის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პოზიტიური პროცესი, ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

ლიტერატურა:

1. Abidin, M.Z. and Loke, W.H. (2008), “Revealed comparative advantage of Malaysian exports: the case of changing export composition”, Asian Economic Papers, Vol. 7 No. 3, pp. 130-147.
2. Acharya, R.C. (2008), “Analysing international trade patterns: comparative advantage for the world’s major economies”, Journal of Comparative International Management,Vol.11No.2, pp. 33-53.
3. Balassa, B. (1965), “Trade liberalisation and revealed comparative advantage”, The Manchester School, Vol. 33 No. 2, pp. 99-123
4. Balassa, B. and Noland, M. (1989), “Revealed’ comparative advantage in Japan and the United States”, Journal of International Economic Integration, Vol. 4 No. 2, pp. 8-22.
5. Bems, R. and Johnson, R.C. (2012), “Value-added exchange rates”, National Bureau of Economic Research, NBER WP No. 18498.
6. Bender, S. and Li, K.W. (2002), “The changing trade and revealed comparative advantages of Asian and Latin American manufacture exports”, Economic Growth Center, Yale University, Discussion Paper No. 843.
7. Crafts, N. F. (1989). Revealed comparative advantage in manufacturing, 1899-1950. *Journal of European Economic History*, *18*(1), 127.
8. Fetscherin, M., Alon, I., Johnson, J.P. and Pillania, R.K. (2012), “Competitiveness: review, reflections and directions”, Global Business Review, Vol. 22 No. 3, pp. 188-206.

9. Gaganidze G. Growth of Export:The Need To Create New Export Products. Globalization & Business, 7, 2019; 24-32;
10. Gaganidze, G; Arefeev, Igor; Munjishvili, Tea. (2021)The development of a systematic and analytical model for foreign trade forecasting. DSpace Repository. https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/831.
11. Haberler, G. (1936), The Theory of International Trade, William Hodge, Edinburgh.
12. Heckscher, E. (1919), "The effect of foreign trade on the distribution of income", Ekonomisk Tidskrift, pp. 497-512.
13. Huo, D. (2014), "Impact of country-level factors on export competitiveness of agriculture industry from emerging markets", Competitiveness Review, Vol. 24 No. 5, pp. 393-413.
14. Hye, Q.M.A. (2012), "Long-term effect of trade openness on economic growth in case of Pakistan",
15. Kathuria, L.M. (2013), "Analyzing competitiveness of clothing export sector of India and
16. Lee, J. (1995), "Comparative advantage in manufacturing as a determinant of industrialization: the korean case", World Development, Vol. 23 No. 7, pp. 1195-1214.
17. Lee, Y. S. (1986). Changing export patterns in Korea, Taiwan and Japan. *Weltwirtschaftliches Archiv*, *122*(1), 150-163.
18. Mahmood, A., & Nishat, M. (2004). Export Competitiveness and Comparative Advantage of Pakistan's Non-agricultural Production Sectors: Trends and Analysis [with Comments]. *The Pakistan Development Review*, 541-561.
19. Munjishvili T, Gaganidze G. Development of the specific gravitational model describing foreign trade between two countries with simulation method. Atlantic press. https://www.atlantis-press.com/proceedings/smtesm-19/125917618
20. Ohlin, B. (1952), Interregional and International Trade: Revised Edition, Harvard University Press, Cambridge, MA. Quality and Quantity, Vol. 46 No. 4, pp. 1137-1149.
21. Peterson, J. (1988). Export shares and revealed comparative advantage. A study of international travel. *Applied Economics*, *20*(3), 351-365.
22. Ray, D. (2000). How Competitive is Indonesia in the Emerging Global Knowledge Economy. *Preparing for*, 286-298.
23. Reza, S. (1983). Revealed comparative advantage in the South Asian manufacturing sector: some estimates. *Indian Economic Journal*, *31*(2), 96-106.
24. Richardson, J. D., & Zhang, C. (2001). Revealing comparative advantage: chaotic or coherent patterns across time and sector and US trading partner?. In *Topics in Empirical International Economics: A Festschrift in Honor of Robert E. Lipsey* (pp. 195-232). University of Chicago Press.
25. Salvatore, D. (2013), International Economics, 11th ed., John Wiley & Sons, USA. Vol. 23 No. 2, pp. 131-157.

Analysis of the Competitiveness of the Export of Industrial Goods (production) of Georgia

Davit Sikharulidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Shota Shaburishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Leila Kadagishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor
Tea Munjishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Zviad Sigua
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

Since regaining its independence, Georgia has been following the principles of liberal policy and is striving to expand the area of foreign trade relations. In this aspect, it is crucial to identify the sectors of the economy that have the potential to gain international competitiveness. In addition, researchers often point to the importance of the development of high value-added, technology-intensive industries for the development of the country's economic well-being. The paper provides the ranking of the industrial commodity groups of Georgia according to their competitiveness. The list of the industrial goods (production) is classified according to the RCA index and technological parameters. In particular, products based on natural resources, low, medium and high technologies are grouped based on technological capabilities, while the commodity positions being under threat, developing and weakly positioned are grouped according to their competitiveness.

Keywords: Manufactured goods, export, competitiveness, comparative advantage.

კრიპტოგრაფიული აქტივების სამართლებრივი რეგულირებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხები

ნანა სრესელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ლია კოზმანაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

ციფრული ტექნოლოგიებისა და რთული კრიპტოგრაფიის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკის ციფრული სეგმენტის – კრიპტობიზნესის ფორმირებას. ბლოკჩეინის რთული ტექნოლოგია სატოში ნაკამოტომ ჩამოაყალიბა, რომლის საფუძველზეც მან 2008 წელს შექმნა პირველი კრიპტოგრაფიული ვალუტა – ბიტკოინი (Bitcoin BTC). იდეა, რომელმაც კრიპტოარქიტექტორ სატოში ნაკამოტოს კრიპტოვალუტა-ბიტკოინის შექმნისკენ უბიძგა, იყო მონეტარული სისტემების ფუნქციონირების ტრანსფორმაცია, კონკრეტულად კი – ფულადი ტრანზაქციების დეცენტრალიზებული ფორმით ანუ შუამავლების გარეშე განხორციელება.

კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვებამ – „მაინინგმა", კრიპტოვალუტით ტრანზაქციების განხორციელებამ და მათმა დეცენტრალიზებულ სისტემებში დამუშავებამ ბრუნვაში მოაქცია აქტივების ახალი კლასი ე.წ. კრიპტოაქტივები, რომელთაგანაც პირველი სწორედ კრიპტოვალუტა – ბიტკოინია.

თანამედროვე ეტაპზე, კრიპტოაქტივების სამართლებრივი რეგულირების საკითხები საკმაოდ სუსტი და ბუნდოვანია, რაც განაპირობებს რისკების წარმოქმნას. მოსალოდნელი რისკებისა და საფრთხეების აცილება საჭიროებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განახორციელებას, ვინაიდან ანონიმურმა და დაურეგულირებელმა გაცვლამ და კონტროლის მექანიზმების არარსებობამ, შეიძლება ფარული და უკანონო შემოსავლების მიღებისა და სხვა ფინანსური დანაშაულის ჩადენის საფრთხეები წარმოქმნას პერსპექტივაში.

კვლევის მიზანია კრიპტოგრაფიული აქტივების კერძოდ, კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში კროპტოვალუტის სამართლებრივი რეგულაციებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხების კვლევა და ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *ბლოკჩეინი, ბიტკოინი, მაინინგი, კრიპტოგრაფიული აქტივების დაბეგვრა, კრიპტოგრაფიული ვალუტა.*

ვირტუალური აქტივი აქტივების ახალი და ვრცელი კლასია. იგი წარმოადგენს ღირებულების ციფრულ გამოსახულებას. კრიპტოაქტივი შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაცემის ან გადახდის საშუალებად. ვირტუალური აქტივების ფლობას, შენახვას და გადაცემას უზრუნველყოფს ვირტუალური ვალუტის საფულე. ვირტუალური აქტივი არ მოიცავს ფიატურ ვალუტას (ფულს). კრიპტოგრაფიით დაცული, დეცენტრალიზებული ვირტუალური აქტივი არის კრიპტოგრაფიული ვალუტა. კრიპტოვალუტის გამოყენება შესაძლებელია გაცვლის, გადაცემის, შენახვის ან ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის საშუალებად.

კრიპტოგრაფიულ ვალუტას აქვს დაცვის ძლიერი მექანიზმები და შესაბამისად, დაცვის მაღალი ხარისხი, რომელიც მის გაყალბებას თეორიულ დონეზეც კი გამორიცხავს. მიუხედავად ამისა, კრიპტოვალუტის სუსტი სამართლებრივი სტატუსის პირობებში, მასთან მიმართებაში გარკვეული

რისკები მაინც არსებობს. რისკებსა და გაურკვევლობებს კი ის განაპირობებს, რომ დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემის პირობებში სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ კრიპტოაქტივების ბაზარი არ რეგულირდება, ასეთ ბაზარს კი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები არა აქვს; ასევე, არ და ვერ ხორციელდება კრიპტოვალუტის ბაზრის მონიტორინგი, რაც ზღუდავს ბაზრის გამჭვირვალობას; აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ისეთი საფრთხეებისა და რისკების წარმოქმნა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უკანონო შემოსავალების მიღების, ფულის გათეთრების, ფასებით მანიპულირების, თაღლთობისა და სხვა ფინანსური დანაშაულების სტიმულირება.

კრიპტოაქტივების სტაბილური ზრდის პირობებში, გადახდებისთვის კრიპტოვალუტის მიღება დაშვებული აქვთ მსოფლიოს წამყვან კომპანიებს, რომელთა შორისაც არიან: Mikrosoft – 2014 წლიდან, Starbusks-ი – 2019 წლიდან, აგრეთვე, ჰოლდინგ გიგანტები – Tesla Voyager Digital LTD, რომლებსაც თავიანთ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კრიპტოგრაფიული აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი აქვთ ასახული.

შრომაში განხილულია კრიპტოგრაფიული აქტივების (კრიპტოვალუტის) სამართლებრივი რეგულირების საკითხები საერთაშორისო დონეზე და საქართველოში. პრაქტიკული მონაცემების სიმცირის გამო, რეალურად არსებული მოვლენებისა და გარემოებების შესწავლა და მათი სიღრმისეული ანალიზი ვერ შევძელით. შესაბამისად, კვლევაში წარმოდგენილი დასკვნები ძირითადად ლიტერატურული წყაროების ანალიზზეა დაფუძნებული. ნაშრომში ასევე განხილულია კრიპტოგრაფიული ვალუტით ტრანზაქციების საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკა საქართველოში.

1. კრიპტოვალუტის ლეგალიზაციის შესახებ

მსოფლიო მასშტაბით, კრიპტოვალუტების და მ.შ. ბიტკოინის გამოყენება თითქმის 111 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც ლეგალურია, მაგრამ კრიპტოვალუტები გადახდის კანონიერ საშუალებებს არ წარმოადგენს. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც დაუშვა პრეცედენტი და ბიტკოინი კანონიერი გადახდის საშუალებად აღიარა, არის ელ სალვადორი. ქვეყნებში, სადაც კრიპტოვალუტა ლეგალიზებულია, მოსალოდნელი რისკების აღმოფხვრის მიზნით მიმდინარეობს ფულის გათეთრებისა და თაღლითობის საწინააღმდეგო კანონების შემუშავება. კერძოდ, საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ მიღებულია 2019 წელს.

ქვეყნების ერთმა ნაწილმა, კრიპტოვალუტებისა და ბიტკოინის დეცენტრალიზებული ბუნებიდან გამომდინარე, ფინანსური სისტემების საფრთხეებისგან დაცვის მიზნით, კრიპტოვალუტის გამოყენება აკრძალა, ხოლო ქვეყნების მეორე ნაწილმა კი – კრიპტოვალუტას იურიდიული შეზღუდვები დაუწესა ანუ დაშვებული არ არის კრიპტოვალუტით ვაჭრობა და გადახდისთვის მათი გამოყენება. კრიპტოვალუტების აკრძალვა, სწორედ მათი დეცენტრალიზებული ბუნებიდან გამომდინარეა შეუძლებელი, თუმცა, მიღწევადი არის ქვეყანაში ინტერნეტის აკრძალვის შემთხვევაში. ასევე, არიან ქვეყნები „გადაწყვეტილების გარეშე“, სადაც კრიპტოვალუტა და ბიტკოინი არც ლეგალურია და არც აკრძალული. ამ ქვეყნებში დაშვებულია კრიპტოვალუტის ფლობა, მაგრამ კრიპტოვალუტის სტატუსთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები ჯერ არ არის შემუშავებული.

საქართველოში შექმნილია კრიპტობიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო, რაც შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა, კერძოდ, კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ – კომპანიებს, რომლებიც აღნიშნულ ზონებში ფუნქციონირებენ, მოგების, ქონებისა და

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდისგან ათავისუფლებს. ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა ხელსაყრელს ხდის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში კრიპტოვალუტის მსხვილი მწარმოებლების ოპერირებას. კრიპტობიზნესი მომგებიანია ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებშიც. ციფრული ვალუტით ტრანზაქციები ზოგადად, საკმაოდ ენერგოტევადია, კერძოდ, ერთი ტრანზაქცია 215 კვტ/სთ ელექტროენერგიას მოიხმარს (სიჭინავა დ.& მაღრაძე მ. 2018). მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა გათავისუფლებულია ელექტროენერგიის გადასახადისაგან ან სარგებლობს მნიშვნელოვანი შეღავათებით. შესაბამისად, აღნიშნულ რეგიონებში არსებულმა მდგომარეობამ განაპირობა კრიპტოვალუტის მოპოვების – მაინინგის სწრაფი და გარკვეულწილად უკონტროლო განვითარება. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ მაინინგი უარყოფით გავლენას ახდენს გარემოზე, კერძოდ, მაინინგის პროცესში ბუნებაში დიდი რაოდენობით CO^2 გამოიყოფა, ერთი ბიტკოინის მოპოვებისას მაინინგ-ფერმა გარემოში 8,000-დან 13,000-მდე კგ CO^2-ს, ხოლო ერთი საათის მუშაობის პირობებში კი – 24,000-დან 40,000 -მდე კგ CO^2-ს გამოყოფს, რაც სათანადო რეგულირებასა და კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

2. კრიპტოვალუტის სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა

პრაქტიკაში ამჟამად კრიპტოგრაფიული ვალუტის ათასობით სახე არსებობს, რომელთა უმეტესობა მიმოქცევაში „მაინინგის“ პროცესით შედის. მიმოქცევაში არსებული კრიპტოვალუტები ძირითადად ოთხ ტიპად კლასიფიცირდება, ესენია:

ბიტკოინები, ალტკოინები ანუ ყველა კრიპტოვალუტა, რომელიც ბიტკოინის შემდეგ არის შექმნილი, სტაბილკოინები – იგივე ალტკოინები, რომლებიც უზრუნველყოფილია ძლიერი ფიატის ვალუტებით (ევრო, აშშ დოლარი) ან საქონლით (ოქრო) ან სხვა კრიპტოვალუტებით და ტოკენები – ფაქტობრივად ციფრული ქვითარი ანუ ჟეტონი მისი შემქმნელისგან, რომელიც ვალდებულია მის მფლობელს მიაწოდოს რაიმე.

კრიპტოაქტივების სფეროში არსებული სუსტი სამართლებრივი რეგულაციების საერთაშორისო პრაქტიკა, დამახასიათებელია მთელი რიგი ქვეყნებისა და მ.შ. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც. ვინაიდან, ევროკავშირის ფარგლებში კრიპტოგრაფიული ვალუტების სამართლებრივი სტატუსი საკმაოდ გაურკვეველი იყო, შესაბამისად, ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ კრიპტოვალუტის რეგულირება მოქცეულიყო ევროპარლამენტისა და საბჭოს შემდეგი ორი – 2007 წლის 13 ნოემბრის 2007/64/EC და 2009 წლის 16 სექტემბრის 2009/110/EC დირექტივის მოქმედების ჩარჩოებში. ამათგან, 2009 წლის 16 სექტემბრის 2009/110/EC დირექტივა არეგულირებს საკითხებს – „ელექტრონული ფულის ინსტიტუტების საქმიანობის აღების, განხორციელების და გონივრული ზედამხედველობის შესახებ“, ხოლო 2007 წლის 13 ნოემბრის 2007/64/EC დირექტივა კი საკითხებს – „შიდა ბაზარზე გადახდის სერვისების შესახებ“.

იმ მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, რომელიც არსებობს კრიპტოვალუტისა და ელექტრონული ფულის მოპოვების კრიტერიუმებსა და ანგარიშსწორების პრინციპებს შორის, ამ დირექტივებით განსაზღვრული რეგულაციების კრიპტოვალუტის რეგულირების პროცესებზე გავრცელება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული.

სუსტი სამართლებრივი რეგულაციების პირობებში, უაღრესად აქტუალურია კრიპტოვალუტის და საერთოდ, კრიპტოგრაფიული აქტივების აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის საკითხების მარეგულირებელი ინდივიდუალური სტანდარტის შემუშავება,

რადგან ამჟამად მოქმედი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან (ფასს) არცერთი მათგანი კონკრეტულად არ არეგულირებს კრიპტოაქტივების აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ მოქმედი ფასს-ით ნებადართულია შემდეგი: თუ სპეციალურად მოცემული ოპერაციის მიმართ არ არსებობს სტანდარტი, შესაძლებელი და დასაშვებია ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს შესაფერისი და საიმედო ინფორმაციის მიღებას (ბასს 8.10). ამდენად, ფასს-ის თანახმად (ბასს 38 - არამატერიალური აქტივები), ბიზნესის მიერ კრიპტოაქტივის შეძენისა და ფლობის მოტივის გათვალისწინებით, ის შეიძლება მიჩნეული იქნას:

- არამატერიალურ აქტივად, თუ შეძენილია გრძელვადიან პერსპექტივაში შესანარჩუნებლად და აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და
- მარაგად, თუ შეძენილია ერთ წლამდე ფლობისა და გადაყიდვის მიზნით.

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა 2015 წელს წარადგინა ანგარიში – „Virtual currency schemes – a further analysis“ („ვირტუალური ვალუტის სქემები – შემდგომი ანალიზი“), რომელშიც კრიპტოვალუტა განმარტებულია, როგორც „...ღირებულების ციფრული გამოხატულება, რომლის ემისია არ ხდება ცენტრალური ბანკის, საკრედიტო ან ელექტრონული ფულის გამომშვები დაწესებულების მიერ და რომელიც გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ფულის ალტერნატივა“ (საჯარო გადაწყვეტილება № 201,მ. 2). ამ განმარტებით ევროპის ცენტრალური ბანკი აკეთებს იმის დაშვებას, რომ გარკვეულ შემთხვევებში კრიპტოვალუტა არის ფულის ალტერნატივა და ამდენად, ის არის საანგარიშსწორებო ურთიერთობის ინსტრუმენტი.

კრიპტოვალუტასთან მიმართებაში, რეზოლუცია შემუშავებულია ასევე, ევროპის იუსტიციის სასამართლოს მიერ. რეზოლუციით დადგენილია, რომ ბიტკოინი უნდა განიხილებოდეს, როგორც ვალუტა და არა როგორც საქონელი. ამრიგად, აღნიშნული რეზოლუციით ევროპის იუსტიციის სასამართლომ ბიტკოინი აღიარა, როგორც ეროვნული ვალუტების ბუნებრივი ალტერნატივა და ამ გადაწყვეტილებით კრიპტოვალუტა – ბიტკოინი ტრადიციულ ფიატის ვალუტებს გაუტოლდა.

ევროპის იუსტიციის სასამართლოს რეზოლუცია ბიტკოინთან მიმართებაში არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თუნდაც საგადასახადო მიზნებისთვის, რადგან „ბიტკოინის ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციები ტრადიციულ ფიატის ვალუტებზე, აღარ წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ (Kaplan, 2015).

ამრიგად, ევროპის იუსტიციის სასამართლოს გადაწყვეტილებამ უზრუნველყო ბიტკოინის (კრიპტოვალუტის) პოზიციების გაძლიერება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს კრიპტობაზარზე, რადგან საგადასახადო „ტვირთით“ (დღგ-ს ნაწილში) ფასების ზრდა იწვევს ევროპული ბიტკოინის ბიზნესის განვითარების პროცესის შენელებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ევროპის იუსტიციის სასამართლოს რეზოლუციაში გათვალისწინებულია ცალკეული ქვეყნის უფლება, რადგან, გადაწყვეტილების მიღებისას თითოეული მათგანი მოქმედებს საკუთარი მოსაზრებით. სწორედ ამის საფუძველზე, გაერთიანებული სამეფოს საგადასახადო ორგანოები ბიტკოინს მიიჩნევენ ვალუტად, ხოლო შვედეთში ფიქრობენ, რომ ბიტკოინს გააჩნია საქონლისა და მომსახურების თვისებები, რის გამოც, იგი საგადასახადო დაბეგვრას უნდა დაექვემდებაროს.

კრიპტოსექტორის სამართლებრივი რეგულირების კუთხით, მნიშვნელოვანია, 2022 წლის ივლისში მიღებული ევროპარლამენტის დადგენილება კრიპტოაქტივების ბაზრების (MiCA) რეგულაციების შესახებ. დადგენილების რეგულაციები კრიპტოაქტივების ბაზრების გარდა, შეეხო კრიპტოაქტივებს ე.წ. სტაბილკოინებს (stablecoin), ასევე, სავაჭრო პლატფორმებსა და კრიპტო საფულეებს. ამრიგად, ევროპამ ისტორიაში პირველად რეგულაციები დააწესა კრიპტოვალუტის,

კრიპტოაქტივების გამომშვებებისა და კრიპტოსერვისების მიმწოდებლების მიმართ. ევროპარლამენტის 2022 წლის ივლისის დადგენილების რეგულაციები მიზნად ისახავს კრიპტოინვესტორების დაცვას თაღლითური სქემებისგან, კრიპტობიზნესში ინოვაციების განხორციელების ხელის შეწყობასა და კრიპტოსექტორის მიმზიდველობის გაზრდას ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

კრიპტოაქტივების სამართლებრივი რეგულირების ერთიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სისტემის არარსებობის პირობებში, რიგი ქვეყნები მიზანშეწონილად მიიჩნევენ კრიპტოსექტორში გარკვეული რეგულაციების შემოღებას. ცალკეული ქვეყნების მიერ შემუშავებული რეგულაციები ძირითადად კრიპტოვალუტების სტატუსსა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხებს ეხება, რადგან არ არსებობს ჩამოყალიბებული და გარკვეული პასუხი კითხვაზე – როგორ უნდა დაიბეგროს ბიტკოინი.

ლიტერატურულ წყაროებში მკვლევარი-ეკონომისტები განიხილავენ საერთშორისო პრაქტიკაში საგადასახადო დაბეგვრის (გერაძე, 2019) შემდეგ მიდგომებს:

პირველი მიდგომა ორიენტირებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრაზე. ამ შემთხვევაში შემოსავალი კრიპტოვალუტის მოპოვებიდან და ვაჭრობიდან განხილულია, როგორც „სხვა ეკონომიკური აქტივობა“ და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით (მაგ.: ევროპის ქვეყნების უმეტესობა, ლათინური ამერიკა, აზიის ქვეყნების ნაწილი);

მეორე მიდგომა ეფუძნება კაპიტალზე მოგების გადასახადს და ეხება ყველა ტრეიდერს, რომელმაც განახორციელა ინვესტიციები კრიპტოვალუტაში მოგების მიღების მიზნით;

მესამე – ე.წ. „შერეული“ მიდგომის მიხედვით კი, ცალკეული ქვეყნები ტრეიდერებს – საბირჟო ვაჭრობის მონაწილეებს ბეგრავენ საშემოსავლო გადასახადით, ხოლო ინვესტორებს – მოგების გადასახადით (მაგ.: დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ავსტრალია).

3. კრიპტოვალუტის საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკა საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა კრიპტოაქტივების და კრიპტოვალუტის სამართლებრივ დეფინიციას, რადგან, ცალკე კანონი კრიპტოაქტივების რეგულირების შესახებ არ არსებობს. თუმცა, კვლევის საკითხებთან დაკავშირებით ცალკეული ინტერპრეტაციები და განმარტებები წარმოდგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის, კანონების – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, ასევე, 28.06.2019 წლის ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება №201-ის – „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე“ მასალებში.

კერძოდ, საჯარო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „კრიპტოაქტივი არის ციფრული აქტივი, რომლის შენახვა და გავრცელება ხორციელდება ელექტრონულად ერთრანგიანი (დეცენტრალიზებული, Peer-to-peer) ქსელით, არ საჭიროებს სანდო შუამავალს და ფუნქციონირებს კომპიუტერების ქსელში მომუშავე განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის (Distributed ledger technology) პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც იყენებს კრიპტოგრაფიულ მეთოდებს“ (მ.1,პ.2).

საჯარო გადაწყვეტილება, როგორც ნორმატიული აქტი, არეგულირებს კრიპტოაქტივების მიწოდების, კრიპტოაქტივების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლებისა და კრიპტოაქტივების მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) დაბეგვრის საკითხებს და საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული დებულებების ინტერპრეტაციებს, კერძოდ:

საჯარო გადაწყვეტილების მიხედვით, დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) იბეგრება კრიპტოაქტივის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდება, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიმღები პირი რეგისტრირებულია საქართველოში ან აქვს მუდმივი დაწესებულება საქართველოში (მ.1,პ.2გ).

ასევე, საჯარო გადაწყვეტილების საფუძველზე, ფიზიკური პირის მიერ კრიპტოაქტივების მიწოდების ოპერაცია ითვლება ვირტუალურ მიწოდებად საზოგადოების ვირტუალურ წევრებს შორის, ამიტომ იგი არ წარმოადგენს საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს და გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან (მ.1,პ.2ბ).

საჯარო გადაწყვეტილება ასევე განმარტავს, რომ კრიპტოაქტივის მიწოდება და მისი ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაზე გაცვლის ოპერაცია, დაბეგვრის მიზნებისთვის, ითვლება ფულზე საკუთრების უფლების გადაცემად და მომსახურებას არ წარმოადგენს, შესაბამისად, გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან (მ.1,პ.2ა);

საჯარო გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომები და რეგულაციები შესაბამისობაშია საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებებთან. კერძოდ, ის რომ „....ფულზე, აგრეთვე კრიპტოგრაფიულ ვალუტაზე (კრიპტოაქტივებზე) საკუთრების უფლების გადაცემა, არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას“ (მ.160¹,პ.4ბ); რომ „.... ფული, ... აგრეთვე, კრიპტოგრაფიული ვალუტა (კრიპტოაქტივი) საქონლად არ განიხილება“ (მ.160,პ.2) და რომ კრიპტოვალუტის მიწოდება წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) არ იბეგრება.

ამრიგად, აღნიშნული მიდგომებით საქართველოს კანონმდებლობა იზიარებს ევროპის იუსტიციის სასამართლოს რეზოლუციის დადგენილებას, რომელიც ბიტკოინს განიხილავს როგორც ტრადიციული ფიატური ვალუტის ბუნებრივ ალტერნატივას და არა როგორც საქონელს.

იმედის მომცემია ის გარემოება, რომ ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსის მოპოვების პროცესში, ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების გაზიარებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან კონვერგენციის საფუძველზე, საქართველო შეიმუშავებს კრიპტოაქტივების სამართლებრივი რეგულაციების პროგრესულ კანონმდებლობას.

დასკვნა

ამრიგად, კრიპტოგრაფიული ვალუტის (კრიპტოაქტივის) სამართლებრივი რეგულირებისა და საგადასახადო დაბეგვრის საკითხების საკანონმდებლო – ნორმატიული აქტების ანლიზისა და პრაქტიკაში არსებული მწირი მონაცემების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ:

- კრიპტოგრაფიული ვალუტა საქართველოში არის ლეგალური, მაგრამ გადახდის კანონიერ საშუალებას არ წარმოადგენს. კრიპტოგრაფიული ვალუტა ასევე არ არის ელექტრონული ფული;
- კრიპტოგრაფიული ვალუტა საქართველოს კანონმდებლობით საქონლად არ განიხილება და მისი მიწოდება საგადასახადო დაბეგვრის ობიექტს არ წარმოადგენს;
- კრიპტოგრაფიულ ვალუტაზე საკუთრების უფლების გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით არ წარმოადგენს მომსახურების გაწევას;
- კრიპტოგრაფიული ვალუტის მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით ითვლება ვირტუალურ მიწოდებად საზოგადოების ვირტუალურ წევრებს შორის. შესაბამისად, იგი არ არის

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალი და საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი, ამდენად, გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან;

- კრიპტოგრაფიული ვალუტის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდება საქართველოს კანონმდებლობით არის დაბეგვრის ობიექტი და იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ);
- საქართველოში მოქმედი საგადასახადო პოლიტიკიდან გამომდინარე, კრიპტოსექტორი მიმზიდველია ინვესტიციების განთავსებისთვის; ეკონომიკის ციფრული სექტორის განვითარებას ასევე უზრუნველყოფს საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო პოლიტიკა და მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის მიერ ენერგორესურსებით სარგებლობის მიმართ დამკვიდრებული პრაქტიკა;
- კრიპტოსექტორის განვითარებისა და სამართლებრივი რეგულირების საკითხებიდან მნიშვნელოვანია კრიპტოგრაფიული ვალუტის მოპოვების თანმდევი ეკოლოგიური ფაქტორის – ბუნებაში ჭარბი CO^2-ს გამოყოფის ნორმალიზაცია, რაც სერიოზული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

ლიტერატურა:

1. ბასს 38 – არამატერიალური აქტივები. 2021. ლურჯი წიგნი. https://saras.gov.ge
2. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. 2021. ლურჯი წიგნი.
3. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა: საფუძვლები ნაწილი 7: ვირტუალური აქტივები. FATF სტანდარტები, სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური. https://www.fms.gov.ge/geo/fatf/
4. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (23/09/2022 საგადასახადო კოდექსის ცვლილებებით). https://matsne.gov.ge
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო გადაწყვეტილება № 201 „კრიპტოაქტივის და მის მოსაპოვებლად გამოთვლითი სიჩქარის (სიმძლავრის) მიწოდების ოპერაციების გადასახადებით დაბეგვრის თაობაზე (2019 წლის 28 ივნისი). https://matsne.gov.ge
6. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, თბილისი, 30.10. 2019 წ. № 5226- Iს. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=3
7. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“,თბილისი, 09.09.2022, № 1790-IXმს-Xმპ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5562437?publication=0
8. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, (ინიციატორი: საქართველოს მთავრობა, ავტორი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკი). https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304462
9. სიჭინავა დ. მაღრაძე მ. (2018) „ელექტრონულ ფულზე გადასვლის წანამძღვრები და პრობლემები“ – საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ № 6,2018, გვ.177-183. https://www.eugb.ge/archive.php

10. სიჭინავა დ.(2019) „კრიპტოვალუტა – მომავლის საგადამხდელო საშუალება“ – ეკონომიკა და ბიზნესი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი. ტომი 11, №1.2019. გვ. 55-69.
11. გერაძე რ. (2019). „კრიპტოვალუტის რეგულირების რა ეტაპზეა დღეს მსოფლიო? https://forbes.ge/blogs/e1-83-99-e1-83-a0-e1-83-98-e1-83-9e-e1-83-a2-e1-83-9d-e1-83-95-e1-83-90-e1-83-9a-e1-83-a3-e1-83-a2-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-a0-e1-83-94-e1-83-92-e1-83-a3-e1-83-9a-e1-83-98-e1-83-a0-e1-83-94-e1-83-91
12. ტოპკომპანიები, რომლებიც ამჟამად იღებენ ბიტკოინ გადახდებს. https://forexdigital.net/ka/principais-empresas-que-atualmente-aceitam-pagamentos-com-bitcoin
13. ბიტკოინი ლეგალურია? ქვეყნები, სადაც კრიპტოვალუტები ლეგალური და არალეგალურია. https://forexdigital.net/ka/o-bitcoin-e-legal
14. Explanatory card on the draft law of Georgia "On the promotion of prevention of money laundering and financing of terrorism" regarding amendments to the law of Georgia (initiator: Government of Georgia, author: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and National Bank of Georgia). https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304462
15. Directive 2007/64/EC of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on payment services in the internal market amending Directives 97/7/EC, 2002/65/EC, 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 97/5/EC (Text with EEA relevance). https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32007L0064
16. Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the taking up, pursuit and prudential supervision of the business of electronic money institutions amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC (Text with EEA relevance). https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32007L0064
17. ACCOUNTING OF CRYPTO ASSETS IN THE SYSTEM OF NATIONAL ACCOUNTS –INTERIM GUIDANCE, WEBINAR ON DIGITALIZATION, SEPTEMBER 14, 2020, ORGANIZERS: USA AND EUROSTATHTTPS://UNECE.ORG/FILEADMIN/DAM/STATS/DOCUMENTS/ECE/CES/GE.20/2020/MTG1/3.3_WORKING_PAPER_ON_RECORDING_OF_CRYPTO_ASSETS_-_JUNE_2020__RU_.PDF
18. Kaplan,A.(2015). „The European Court recognized bitcoin as a currency and exempted it from VAT“ https://forklog.com/evropejskij-sud-priznal-bitkoin-valyutoj-i-osvobodil-ego-ot-nds/
19. Digital Finance: Agreement Reached on Regulation of European Crypto Assets (MICA) (2022). https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/30/digital-finance-agreement-reached-on-european-crypto-assets-regulation-mica/
20. NAKAMOTO,S.(2008):“Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System”.https://bitcoin.org/bitcoin.pdf
21. Prochazka, D.(2018): ”Accounting for Bitcoin and Other Cryptocurrencies under IFRS: A Comparison and Assessment of Competing Models” The international Journal of Joutnal Digital Accounting Research Vol.18,2018,pp.161-188. https://bitcoin.org/bitcoin.pdf
22. Nicol E.Original Bloomberg article https://businessformula.ge/News/7006
23. ISDA (2022): „Accounting for Digital Assete:Key Considerations” https://www.isda.org/a/88VgE/Accounting-for-Digital-Assets-Key-Considerations.pdf
24. Venter H. Principal autohor. (2018): Digital currency – A case for standard setting activity.A perspective by the Australian Accounting Standards Board (AASB). https://ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2018/may/eeg/ap2d-digital-currencies-paper.pdf

References:

1. IAS 38 Intangible Assets, 2021 Blue Book https://saras.gov.ge
2. Conceptual Foundations of Financial Reporting 2021 Blue Book. https://saras.gov.ge
3. Anti-Money Laundering Policy: Basics Part 7: Virtual Assets. FATF standards, Financial Monitoring Service of the State of Georgia https://www.fms.gov.ge/geo/fatf/
4. Law Tax Code of Georgia https://matsne.gov.ge
5. Public Decision No. 201 of the Ministry of Finance of Georgia – "On Taxation of Crypto Assets and Computing Speed (Power) Supply Operations for Mining" (June 28, 2019) https://matsne.gov.ge
6. Law of Georgia "On Promotion of Prevention of Money Laundering and Financing of Terrorism", Tbilisi, 30.10. 2019 № 5226- Ihttps://matsne.gov.ge/ka/document/view/4690334?publication=3
7. The Organic Law of Georgia "On the National Bank of Georgia" on Amendments to the Organic Law of Georgia",Tbilisi,09.09.2022, № 17901xMS- xMP https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5562437?publication=0
8. Explanatory card on the draft law of Georgia "On the promotion of prevention of money laundering and financing of terrorism" regarding the amendment to the law of Georgia (initiator: Government of Georgia, author: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and National Bank of Georgia). https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304462
9. Sichinava D. Maghradze M. (2018) "Preconditions and problems of transition to electronic money" – international scientific-practical journal "Globalization & Business" № 6, 2018, pp. 177-183. https://www.eugb.ge/archive.php
10. Sichinava D. (2019) "Cryptocurrency – A Futurethe Medium of Exchange" – Economics and Business, a refereed and peer-reviewed international scientific practical journal of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business. Volume 11, №1, 2019, p. 55-69.
11. Geradze R.(2019): „At what stage of cryptocurrency regulation is the world today?“ https://forbes.ge/blogs/e1-83-99-e1-83-a0-e1-83-98-e1-83-9e-e1-83-a2-e1-83-9d-e1-83-95-e1-83-90-e1-83-9a-e1-83-a3-e1-83-a2-e1-83-98-e1-83-a1-e1-83-a0-e1-83-94-e1-83-92-e1-83-a3-e1-83-9a-e1-83-98-e1-83-a0-e1-83-94-e1-83-91/
12. Top Companies Currently Accepting Bitcoin Paymentshttps://forexdigital.net/ka/principais-empresas-que-atualmente-aceitam-pagamentos-com-bitcoin
13. bitcoin legal? Countries where cryptocurrencies are legal and illegalhttps://forexdigital.net/ka/o-bitcoin-e-legal
14. Explanatory card on the draft law of Georgia "On the promotion of prevention of money laundering and financing of terrorism" regarding amendments to the law of Georgia (initiator: Government of Georgia, author: Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and National Bank of Georgia) https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304462
15. Directive 2007/64/EC of the European Parliament and of the Council of 13 November 2007 on payment services in the internal market amending Directives 97/7/EC, 2002/65/EC, 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 97/5/EC (Text with EEA relevance) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32007L0064
16. Directive 2009/110/EC of the European Parliament and of the Council of 16 September 2009 on the taking up, pursuit and prudential supervision of the business of electronic money institutions amending Directives 2005/60/EC and 2006/48/EC and repealing Directive 2000/46/EC (Text with EEA relevance) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32007L0064

17. ACCOUNTING OF CRYPTO ASSETS IN THE SYSTEM OF NATIONAL ACCOUNTS –INTERIM GUIDANCE, WEBINAR ON DIGITALIZATION, SEPTEMBER 14, 2020, ORGANIZERS: USA AND EUROSTATHTTPS://UNECE.ORG/FILEADMIN/DAM/STATS/DOCUMENTS/ECE/CES/GE.20/2020/MTG1/3.3_WORKING_PAPER_ON_RECORDING_OF_CRYPTO_ASSETS_-_JUNE_2020__RU_.PDF
18. Kaplan,A.(2015): „The European Court recognized bitcoin as a currency and exempted it from VAT“https://forklog.com/evropejskij-sud-priznal-bitkoin-valyutoj-i-osvobodil-ego-ot-nds/
19. Digital Finance: Agreement Reached on Regulation of European Crypto Assets (MICA) (2022) https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/06/30/digital-finance-agreement-reached-on-european-crypto-assets-regulation-mica/
20. NAKAMOTO,S.(2008):“Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System”.https://bitcoin.org/bitcoin.pdf
21. Prochazka, D.(2018): ”Accounting for Bitcoin and Other Cryptocurrencies under IFRS: A Comparison and Assessment of Competing Models” The international Journal of Joutnal Digital Accounting Research Vol.18,2018,pp.161-188. https://bitcoin.org/bitcoin.pdf
22. Nicol E.Original Bloomberg article https://businessformula.ge/News/7006
23. ISDA (2022): „Accounting for Digital Assete:Key Considerations” https://www.isda.org/a/88VgE/Accounting-for-Digital-Assets-Key-Considerations.pdf
24. Venter H. Principal autohor. (2018): Digital currency – A case for standard setting activity.A perspective by the Australian Accounting Standards Board (AASB). https://ifrs.org/content/dam/ifrs/meetings/2018/may/eeg/ap2d-digital-currencies-paper.pdf

Legal Regulation of Cryptographic Assets and Taxation Issues

Nana Sreseli
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor
Lia Kozmanashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor

SUMMARY

The development of digital technologies and complex cryptography started the formation of the digital segment of the economy – crypto business. Complex blockchain technology was developed by Satoshi Nakamoto, on the basis of which he created the first cryptographic currency – Bitcoin (Bitcoin BTC) in 2008. The idea that led the crypto-architect Satoshi Nakamoto to create the cryptocurrency – Bitcoin, was to transform the functioning of monetary systems, namely, to implement monetary transactions in a decentralized form, i.e. without intermediaries.

The acquisition of cryptographic currency – "mining", implementation of cryptocurrency transactions and their processing in decentralized systems introduced a new class of assets into circulation, the so-called crypto assets, the first of which is the cryptocurrency – Bitcoin.

At the present stage, the issues of legal regulation of crypto assets are sufficiently weak and vague, which leads to the occurrence of risks. Avoiding expected threats and risks requires the implementation of important measures, because anonymous and unregulated exchange of crypto-assets, as well as the absence of control

mechanisms, can create threats of obtaining hidden and illegal income and committing other financial crimes in the future.

The purpose of the study is the study and analysis of the international practice of legal regulation of cryptographic assets (cryptocurrency), as well as legal regulation and taxation issues related to cryptocurrency in Georgia.

In Georgia, there is also a favorable environment for the development of crypto-business, which is due to the following circumstances, in particular, in accordance with the law "On free industrial zones", companies operating in specified zones are exempt from profit, property and value added tax. Liberal tax policy allows large cryptocurrency producers to work in free industrial zones. Crypto business is profitable even in high-mountain regions of the country. Digital currency transactions are generally quite energy-intensive, in particular, one transaction consumes 215 kWh of electricity (Sichinava D. & Maghradze M. 2018). The population of the high-mountain region is exempt from electricity tax or enjoys significant benefits. Accordingly, the situation in the regions led to a violent and somewhat uncontrolled development of cryptocurrency mining. It is also important to consider that the extraction of minerals has a negative impact on the environment, as in the process a large amount of CO^2 is released into nature. In particular, in the process of mining one Bitcoin, the mining farm emits from 8,000 to 13,000 kg of CO^2 into the environment and during one hour of operation – from 24,000 to 40,000 kg of CO^2, which should be subject to proper regulation and control.

In the article, the issues of legal regulation of cryptographic assets (kryptovalyuta) at the international level and in Georgia are considered. Due to the lack of practical data, we could not conduct an in-depth analysis of real events and circumstances, and the conclusions presented in the study are mainly based on the analysis of literary sources. The article also considers the state of taxation of cryptocurrency operations (cryptoactives) in Georgia.

Keywords: Blockchain, Bitcoin, mining, Cryptographic assets taxation, Cryptocurrency.

ეკონომიკის პოსტკრიზისული რეგულირების სოცილურ-ეკონომიკური სტრატეგია

მარინა ტაბატაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

ქვეყნის განვითარების გარანტი ხელისუფლებაა, მისი უსაფრთხოებისთვის პოლიტიკურ სტაბილურობასთან ერთად, მან ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება უნდა უზრუნველყოს. მთავრობის ფუნქცია მკვეთრი რყევებისაგან ეკონომიკის დაცვა და ამ გზით, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, ხელისუფლების როლი განსაკუთრებით იზრდება არაორდინალურ გარემოში, ცენტრალიზებული მართვის ფუნქციები მკვეთრად აქტიურდება კრიზისულ ვითარებაში. გლობალურმა პანდემიურმა პროცესებმა სახელმწიფოს ეკონომიკური არსის, მისი მმართველობითი კონცეფციის კიდევ უფრო მეტი აქტუალიზება მოახდინა, მისმა დიდმა მასშტაბებმა მეცნიერული კვლევების ერთობლივი განხორციელება და ხელისუფლებების თანამშრომლობის აუცილებლობა მოითხოვა. სხვადასხვა ქვეყნის ანტიკრიზისული გეგმის ურთიერთკოორდინირებული შემუშავება პროცესების ეფექტური მართვის გადამწყვეტი წინაპირობა გახდა.

სტატიაში გაანალიზებულია ხელისუფლების ანტიკრიზისული სტრატეგიის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, განხილულია სახელმწიფოს როლი სტაბილიზაციის მიღწევაში. სსფ-ის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე, გაანალიზებულია კრიზისის მართვის სამთავრობო რეგულაციები და მისი სხვადასხვა სცენარის სავარაუდო შედეგები. სტატიაში განხილულია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის, სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სოციალური გარემოს ცვლილების ძირითადი ტენდენციები საქართველოში, კრიზისის მართვის საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებების საპროგნოზო შედეგები და ეკონომიკის პოსტკრიზისული სტაბილიზაციის გეგმები.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია; მდგრადი ეკონომიკური ზრდა; სახელმწიფოს მმართველობითი კონცეფცია; კრიზისის მართვის სამთავრობო რეგულაციები; კოორდინირებული ანტიკრიზისული გეგმა.*

კრიზისიდან გამოსვლის დინამიკა ხელისუფლების მიერ რეფორმების ეფექტიან გატარებაზე და მოსალოდნელი შედეგების სწორ პროგნოზირებაზეა დამოკიდებული, ანტიკრიზისულმა სტრატეგიამ ეკონომიკური უსაფრთხოება, განვითარების პროცესის თანაბარი დინამიკა, ცხოვრების დონის სტაბილიზაცია და სოციალური დაძაბულობის შენელება უნდა უზრუნველყოს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ბიზნესის მხარდაჭერაზე, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე, მან ხელი უნდა შეუწყოს შემოსავლების გამოთანაბრებას და მის სამართლიან განაწილებას, სოციალური შემწეობების თანაბრად ხელმისაწვდომობას, სიღარიბის დაძლევას და სხვა.

ინტეგრაციული აქტივობების პირობებში ხელისუფლებამ უნდა შექმნას ქვეყნის ინტერესების შესაბამისი სამართლებრივ-ინსტიტუციური ბაზა, მან უნდა შეძლოს გაზრდილ რისკებზე ეფექტური რეაგირება, ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, ანტიკრიზისული ბერკეტების სწორი გამოყენება (ტაბატაძე, 2016). სახელმწიფოს ანტიკრიზისული პროგრამა კრიზისების პრევენციის ფუნდამენტურ პრინციპებს და გლობალური ინსტიტუციების რეკომენდაციებს უნდა შეე-

საბამებოდეს. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები და კრიზისის მართვის მექანიზმები უნდა ტრანსფორმირდეს მიმდინარე პროცესების სპეციფიკიდან და ეკონომიკის სტაბილური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე. ანტიკრიზისული გეგმა უნდა ასახავდეს საზოგადოების როლს განვითარების პროცესში და მის მენტალურ ცვლილებებს კრიზისის პირობებში.

საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით შეიცვალა ეკონომიკური მსოფლმხედველობები, განსხვავებული მიმართულებები შეიძინა განვითარების კონცეპტუალურმა საფუძვლებმა, მიმდინარეობს ქვეყნების განვითარების ბაზისის მკაფიო დივერგენცია, მსოფლიო ეკონომიკა ფრაგმენტირდება, ყალიბდება ახალი მაკროეკონომიკური ზონები საკუთარი გავლენის ცენტრებით, ტრანსფორმირდება და ახლებურ კონფიგურაციას იძენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური სტატუსი გლობალურ სისტემაში (Tabatadze, 2020).

ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი პოლიტიკის სტაბილურობა, და გეოპოლიტიკური საფრთხეების შემცირებაა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს არა განვითარების მასშტაბების ზრდა, არამედ მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა, ე.ი. თავად განვითარების პროცესის პროგნოზირებადობა შეადგენს. ქვეყნების მომავალი უპირატესად, უცხოურ ვალუტაზე გახდა დამოკიდებული. პუი, ტრანსფერი, ტურიზმი, – განვითარებადი ქვეყნების არსებობის ფუნდამენტურ წყაროდ იქცა, რამაც ეს ქვეყნები, ძირითადად, გლობალური ეკონომიკის განვითარების ტენდენციებზე, მათი ეკონომიკის დისპროპორციები კი, გარე შოკებზე გახადა დამოკიდებული.

კრიზისის მართვის სამთავრობო რეგულაციები

განვითარებული საზოგადოებისთვის ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა და სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის გააქტიურებაა დამახასიათებელი. ქვეყნების ეკონომიკური ზრდის დიფერენცირებულმა ფაქტორებმა და რადიკალურად განსხვავებულმა პოტენციალმა, განვითარების პერსპექტივების და მათი სტრატეგიების რესურსულ უზრუნველყოფაში არსებითი სხვაობა გამოიწვია. ევროსაბჭოს ეკონომიკის კომისარი **პაოლო ჯენტილონი** მიიჩნევს, რომ „მომდევნო ორი წლის პერსპექტივა არის სტაბილური, მაგრამ სუსტი ეკონომიკური ზრდა, რაც პოზიტიური მოვლენაა სამუშაო ადგილების შექმნისა და შენარჩუნებისათვის, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობები კვლავ ნარჩუნდება, რაც საწარმოო სექტორის პერსპექტივებს ამცირებს“ (Gentiloni, 2020).

თანამედროვე ლიბერალური იდეოლოგიის მიმდევრები კეინზიანური სკოლის საპირისპიროდ, პრინციპულად უარყოფენ ეკონომიკაში სახელმწიფოს არსებითი ჩარევის აუცილებლობას. მათი მოსაზრებით, ცენტრალიზებული მმართველობა მოთხოვნა-მიწოდებაზე კორექტირებად გავლენას ახდენს, რითაც იგი ცვლის ბაზრის შესახებ რეალურ ინფორმაციას. ფ.ჰაიეკი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში კრიზისებს იწვევს, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ საბაზრო მექანიზმებითაა შესაძლებელი, მისი აზრით, „სახელმწიფოს ნებისმიერი ჩარევა სპონტანური ძალების თამაშში – ტოტალიტარიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯია“ (Левина, 2002).

სახელმწიფოს ფუნქციები მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდება კრიზისულ გარემოში. ეკონომიკის უახლესი პერიოდის გლობალურმა რყევებმა და განვითარების მკაფიოდ გამოხატულმა ციკლურმა ხასიათმა მისი მარეგულირებელი ფუნქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა რისკების პრევენციის და კომპლექსური ანტიკრიზისული სტრატეგიის შემუშავების პროცესში. სისტემური რისკების მართვამ მდგრადი ეკონომიკის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი კომ-

პონენტების რეგულირებაში სახელმწიფოს აქტიური ჩართულობა და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება მოითხოვა (Kondratenko & Kostadinoska-Miloseska, 2017).

კრიზისის მართვის ახალი ტენდენციები, მასში ხელისუფლების ჩართულობის მნიშვნელოვანი ზრდა და მმართველობითი ინტეგრაციის სრულიად ახლებური მიდგომები ჩამოყალიბდა პანდემიური კრიზისის მართვის პროცესში, გამოიკვეთა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის და ანტიკრიზისული ღონისძიებების კოორდინაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა. პრიორიტეტად ხელისუფლებისათვის პოსტკრიზისული რეაბილიტაცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის სტრატეგია განისაზღვრა. ადამიანურ კაპიტალზე მკვეთრად გაზრდილმა სპეციფიკურმა მოთხოვნებმა პრიორიტეტული გახადა განათლების სფეროს უპირატესი მხარდაჭერა, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა სახელმწიფო ინვესტიციებმა უმუშევრთა გადამზადებაზე და ახალი სპეციალობების ათვისებაზე, სპეციფიკურ გარემოში მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენაზე, დაბალშემოსავლიანი შინამეურნეობებისათვის ფულად დახმარებებზე, უმუშევართა შემწეობებზე და სხვა.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ სტრატეგიაში განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა მისი სახელმწიფო **მხარდაჭერის პოლიტიკა,** მან მოიცვა ადგილობრივი წარმოების პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, სწორი დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა, საყოველთაო კეთილდღეობის ზრდა, ენერგოდამოუკიდებლობის პოლიტიკაზე აქცენტირება. ანტიკრიზისული პროგრამის წარმატება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული 2020-2021წწ. პანდემიური პროცესების მართვის სტრატეგიით გათვალისწინებული ეკონომიკის ოპტიმალურ შეზღუდვებზე (განხორციელებული შეზღუდვების მასშტაბით **საქართველო** 184 ქვეყნიდან მე-15 ადგილზე იყო, – 86 ქულა 100-დან). საერთო დანახარჯებმა 2021 წ. მშპ-ის 25% შეადგინა, სახელმწიფო ბუჯეტიდან ანტიკრიზისული პროგრამისთვის 2 მლრდ. ლარი გამოიყო, რაც ორ პრიორიტეტულ მიმართულებაზე წარიმართა, – სახელმწიფო სოციალური პროექტების დაფინანსება (შემწეობების გაცემა, მოსახლეობის სოცდაცვის პროექტების დაფინანსება, პედაგოგების ხელფასების ზრდა, პენსიების ინდექსაცია) და ბიზნესის ხელშეწყობა (430 მლნ.ლარი).

კრიზისის მართვის დასაწყისიდანვე ფისკალური პოლიტიკა საქართველოში წარმატებულად შეფასდა, რამდენადაც, მაკროეკონომიკური წონასწორობისთვის საჭირო ძირითადი შიდა რესურსები სახელმწიფომ შეინარჩუნა, რამაც უკვე 2021 წელს ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენის უპრეცედენტო ტემპები განაპირობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საერთაშორისო დახმარების პროგრამებმა არასიცოცხლისუნარიანი კომპანიებიც გადაარჩინეს, რამაც, თავის მხრივ, მომავალში შეიძლება საერთო მწარმოებლურობის და ზრდის ტემპის შემცირება გამოიწვიოს (IMF, 2020).

აღნიშნული პარამეტრები ემყარება **„ევროკავშირის ფისკალურ წესს“,** რომლის ძრითად მოთხოვნებად ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლი, ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდა, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირება და მისი არამდგრადობის პრევენცია განისაზღვრა. საქართველოში კრიზისის მართვის პროცესში საბიუჯეტი სახსრებთან ერთად, გადამწყვეტი როლი შეასრულა მსოფლიო ფინანსურმა ინსტიტუტებმა და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულმა პარტნიორებმა, მათ შორის 2020 წელს ევროკავშირმა პანდემიასთან საბრძოლველად საქართველოს 1.5 მლრდ.ევრო გამოუყო, აქედან 2/3 – გრანტი და 1/3 – ხელსაყრელი კრედიტი იყო, სულ მისმა დახმარებამ ამ წელს 1.9 მლრდ.ევრო შეადგინა (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო), ამ თანხიდან 1 მლრდ.ლარი მაკროეკონომიკური წომასწორობის უზრუმველსაყოფად გამოიყო. დღეისათვის ევროკავშირი საქართველოში 500 მლნ. ევროს ბიუჯეტის 200 მიმდინარე პროექტს ანხორციელებს. 2021-2027 წწ. შემუშავდება ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი სტრატეგიული **დოკუმენტი, – „მრავალწლიანი ინდიკატიური**

პროგრამა – MTP“, რომელიც ამ თანამშრომლობის უფრო ფართო მასშტაბებს და ახალ პარტნიორულ მიმართულებებს ითვალისწინებს (European Parliament, 2020).

არასტანდარტულმა პანდემიურმა კრიზისმა მის ტრანსნაციონალურ ბუნებას გაუსვა ხაზი, კრიზისის მმართველობითი სტრუქტურების სახელმწიფოთაშორისი კოორდინაცია და საერთო ინფორმაციული ქსელის შექმნა ანტიკრიზისული მართვის ძირითადი თავისებურება გახდა. პრობლემებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ფინანსური ბაზრების სტაბილურობის საკითხი, მ.შ. დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის გატარების, კაპიტალის მობილობის უზრუნველყოფის და გაცვლითი კურსის სტაბილურობის პრობლემები.

საქართველოში სისტემური რისკების შესამცირებლად მაკროპრუდენციული პოლიტიკა 2019 წლიდან ფინანსური რისკების იდენტიფიცირებას ითვალიწინებს, რაც ბაზრების პროციკლურობის შემცირებას და ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას ემსახურება. 2020 წ. ოქტომბრიდან სებ-მა სავალუტო ვაჭრობის ახალი მექანიზმი, – ბლუმბერგი აამოქმედა, რაც ფართო ინფორმაციული მომცველობის გამო, ეკონომიკურ პროცესებს უფრო პროგნოზირებადს ხდის. საბანკო სისტემაში რისკების მართვის გასაუმჯობესებლად განხორციელდა ევროკავშირის საზედამხედველო ჩარჩოსთან ასოცირება, დაინერგა ლიკვიდურობის უსაფრთხოებისადმი ბაზელი-3 სტანდარტები.

მრავალი განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, დღეს საქართველოსთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა **დოლარიზაციის მაღალი დონეა,** რამდენადც იგი მაღალ ინფლაციას იწვევს, ამასთან, ზრდის ფინანსურ რისკებს და, ზოგადად, ეკონომიკის არასტაბილურობას განაპირობებს. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის, რომ დედოლარიზაციაზე გამოდევნებით ხელოვნურად იზრდება ლარზე მოთხოვნა, რაც მის გაძვირებას იწვევს და, შედეგად, – წონასწორობის ახლებურ კონფიგურაციას აყალიბებს, მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყნები პანდემიურ კრიზისში დიდი **საგარეო ვალით** შევიდნენ, რისი მართვა ხელისუფლებისათვის უდიდესი გამოწვევაა და პრობლემის მსოფლიო თანამეგობრობასთან კომპლექსურ კოორდინირებას მოითხოვს. საგარეო ვალის საკითხი განსაკუთრებით პრობლემატურია სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის, სავალო კრიზისის თავიდან ასაცილებლად მათთვის ვალის სტრუქტურის ცვლილების ახალი პლატფორმა – **G-20** შემუშავდა, ეს ჩარჩო-პროგრამა დავალიანებების ეფექტურ რესტრუქტურიზაციას დაედება საფუძვლად.

კრიზისის დროს ეკონომიკის სტიმულირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად სახელმწიფო ექსპანსიურ **ფისკალურ პოლიტიკას** იყენებს. სსფ-ის შეფასებით, საქართველოს ფისკალური სისტემა სტაბილურია და მისი ინდექსები არ აჭარბებს მდგრადობის ზღვრულ დონეს, რაც შეეხება ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხის მახასიათებელს, მისი განსაზღვრისათვის მსოფლიო ბანკი რამოდენიმე კრიტერიუმს იყენებს, მ.შ. ძირითადია საერთო შემოსულობების მიხედვით დეცენტრალიზაციის ხარისხი, რაც საქართველოში 10%-ია, ხარჯვით კომპონენტში, -17%, საგადასახადო შემოსულობების ნაწილში კი 33%, სამივე პარამეტრის მიხედვით, საქართველო საშუალო დონის დეცენტრალიზაციის ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება.

გლობალურმა პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა **სიღარიბის მაჩვენებლები,** რომლის წინააღმდეგ ბრძოლას მსოფლიომ ბოლო ათწლეულების მანძილზე დიდი ადგილი დაუთმო, პანდემიურმა კრიზისმა საკითხის ახლებური გააზრება მოითხოვა და სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ცივილიზებული სამყარო. არსებითი ცვლილებები შევიდა ქვეყნების ბიუჯეტის სტრუქტურაში, გაიზარდა რა სოციალური პროექტების დაფინანსების წილი და ბევრი მათგანი ახალი სტანდარტის სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

საქართველომ გლობალური კრიზისის მართვის ერთ-ერთი საუკეთესი შედეგი აჩვენა მსოფლიოში, ჩვენი გამოცდილება პრეცედენტული გახდა სხვა ქვეყნებისთვის. წარმატების ძირითადი

ფაქტორი მთავრობის მიერ პანდემიის მართვასა და ეკონომიკური ზიანის მინიმიზაციის ფაქტორებს შორის სწორი ბალანსის დაცვა იყო. ეფექტური ანტიკრიზისული სტრატეგია მთელი რიგი დადებითი ტენდენციის წინაპირობა გახდა, კერძოდ ქვეყანაში ფუნქციონირება არ შეუწყვეტია არცერთ მსხვილ საწარმოს, საერთაშორისო რეზერვები 11.5%-ით და ადგილობრივი ექსპორტი 3.5%-ით გაიზარდა, 1 056 მლნ. დოლარით გაუმჯობესდა სავაჭრო დეფიციტი და 4.7 მლრდ.დოლარი შეადგინა, სებ-ის ეფექტური მონეტარულო პოლიტიკის შედეგად, 2021 წელს საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, საქართველო სტაბილურ BB კატეგორიაში დარჩა. 2021 წელს საქართველოს ეკონომკის ზრდამ 10.6% შეადგინა, რაც რეგიონში სუკეთესო, ევროპაში კი მეორე მაჩვენებელია. სსფ-ის გათვლებით საშუალოვადიანი პერიოდისათვის (2021-2025წწ.) საქართველოს რეგიონში და ევროპაში ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა ექნება (34.5%) (IMF, 2020).

2021 წლის პოზიტიურმა ეკონომიკურმა პროცესებმა არსებითი ცვლილებები შეიტანა გლობალურ ანტიკრიზისულ სტრატეგიაში და მისი ახლებური დივერგენცია მოითხოვა. კრიზისის მართვის პროცესი ატიპიური ფორმებიდან, გარკცეულწილად, მის კლასიკურ მეთოდებს დაუბრუნდა, საწყის ეტაპზე სრულიად არაპროგნოზირებადმა პროცესმა კრიზისის სტანდარტული ნიშნები შეიძინა (სავალო კრიზისის განსაკუთრებული გამწვავება, ბიუჯეტის ხარჯების ზრდა, სტაგფლაციის პროცესი, სტრუქტურული ძვრები სასაქონლო ბაზრებზე) და მისი მართვაც 2021 წლიდან დადგენილი სქემით წარიმართა. ექსპერტების მოსაზრებით, კრიზისიდან გამოსვლის პროცესზე არსებით გავლენას იქონიებს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის სტრატეგია, რისთვისაც ევროკავშირმა 2021 წ. 1 ტრლნ. ევრო გამოყო, პრიორიტეტებად კლიმატ და ენერგოდამზოგავი მიმართულებები, ციფრული ბაზარი, „ჭკვიანი განვითარების" დარგები განისაზღვრა. ეკონომიკური განვითარების ძირითად მიზნად თვითკმარ ეკონომიკაზე გადასვლის სტრატეგიაა მიჩნეული,

გლობალიზაცია ობიექტურად იწვევს მსოფლიო ვაჭრობაში სურსათის მწარმოებელი ქვეყნების დომინირებას, რადგანაც **სასურსათო უსაფრთხოების** უზრუნველყოფა ქვეყნების პოლიტიკური სტრატეგიის განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება, მაგრამ განსხვავებულია მის მიმართ ქვეყნების დამოკიდებულება, განვითარებულ ქვეყნებს იგი ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალურ დონეზე აქვთ აყვანილი და მონოპოლიზებული აქვთ მსოფლიო სასურსათო ბაზრები, განვითარებადი ქვეყნებისთვის კი, ხელისუფლების ეკონომიკური სტრატეგია პირველ რიგში, **თვითკმარ სასურსათო უზრუნველყოფას** ეფუძნება. დღეს მხოლოდ სამი ათეული ქვეყანა აკმაყოფილებს სურსათზე საკუთარ მოთხოვნას, მ.შ. არ არის საქართველო, სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოება ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება, რამდენადაც, მართალია, სოფლად მოსახლეობის 41% ცხოვრობს, მაგრამ სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის სექტორის წილი მშპ-ში, მხოლოდ 7.0%-ია (European Commission, 2020a).

ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის პოლიტიკა (იმპორტშემცვლელი და ენერგოდამზოგავი დარგების პრიორიტეტი), ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს როგორც სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, ისე მმართველობით უნარებს. აუცილებელია ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, რაც სახელმწიფოს ეკონომიკიური ფუნქციის გააქტიურებას და „სახელმწიფო-ბიზნესის" სისტემის კარგ კოორდინირებას მოითხოვს, ეს პირველ რიგში ეხება საკუთრების უფლების დაცვას, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფას და სხვ. მნიშვნელოვანია ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების შემუშავება და ინვესტორებთან აქტიური თანამშრომლობა, ფინანსური ბაზრების სტაბილიზაცია და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფა (პუი-ს არსებითი ზრდა, რეინვესტირების გაფართოება, ვალუტის შემდგომი გამყარება და ინფლაციის ტემპის შენელება).

გლობალიზაცია ზრდის უცხოურ კაპიტალზე ქვეყნების დამოკიდებულებას, რამდენადაც ეკონომიკური აღმავლობის ძირითადი ფაქტორი, სწორედ **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები** ხდე-

ბა, ინვესტორების მოტივაციისათვის აუცილებელია გაცილებით მასშტაბური შეთავაზებები, – ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება, სტაბილური გეოპოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფა და გადაწყვეტილებების თითოეული პორტფელიოდან გმომდინარე, ინდივიდუალურად მიღება. პანდემიის პერიოდში საქართველოში ინვესტიციები 24%-ით შემცირდა, (European Commission, 2020a; საქსტატი, 2022), რაც ასეთ ვითარებაში კანონზომიერია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეკონომიკური გუნდის მხრიდან. პრეფერენციების სისტემასთან ერთად, უცხოელ ინვესტორთა დაინტერესების პროცესი აუცილებლად მოითხოვს სათანადო ჰეჯირების სისტემის და სახელისუფლებო გარანტიების მექანიზმების დანერგვას საქართველოში.

დასკვნა და რეკომენდაციები

მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ახლებური მიდგომები იკვეთება. ინტეგრაციის უნიფიცირებული სტანდარტები ადგილს ქვეყნების ინდივიდუალიზმს და დეგლობალიზებულ ავთენტურობას უთმობს, რის გამოც კრიზისების მართვის სტრატეგია სტაბილიზაციის პროგრამების განხორციელებას ინდივიდუალურად, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის, კრიზისის ტიპის და სიმწვავის გათვალისწინებით მოითხოვს. განვითარებად ქვეყნებს, განსაკუთრებით პანდემიური კრიზისის შედეგად არსებითად გაზრდილი ვალის გათვალისწინებით, მცირე რესურსი აქვთ დიდ პოლიტიკაში დამოუკიდებელი მანევრირებისთვის, ამ ქვეყნებში კრიზისის შემდგომი გამწვავების და სიღარიბის ზრდის პრევენციის მიზნით, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარება გრანტების, შეღავათიანი სესხების გაცემის და სავალო ტვირთის შემსუბუქების გზით.

სწრაფადცვლადი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო ობიეტურად მოითხოვს ეკონომიკის პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პროცესში ხელისუფლების ჩართულობას და რეგულირების ცენტრალიზებული ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებას. ეკონომიკის ძირითადი თავისებურება მსოფლიო ერთიანი მართვის სისტემის დეცენტრალიზაციის ფონზე, ქვეყნებს შიგნით ცენტრალიზებული მართვის ელემენტების გააქტიურება გახდა, ასეთი არაორდინალური გარემო მსოფლიო თანამშრომლობის ახლებურ ხედვას და სრულიად განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს, რაშიც ინტეგრაციის მოთხოვნები დაბალანსებული იქნება ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული განვითარების აუცილებლობით.

ლიტერატურა:

1. CIEC, გლობალური ეკონომიკის მონაცენები. (2021a). 2020 წლის სამომხმარებლო ხარჯები https://www.ceicdata.com/en/indicator/private-consumption-expenditure
2. CIEC, გლობალური ეკონომიკის მონაცენები. (2021b). ინვესტიციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp
3. European Commission. (2020a). *2021-2027 Long-term EU budget & NextGenerationEU*. Retrieved from https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en
4. European Commission. (2020b). *The State Aid Temporary Framework*. Retrieved from https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2022-06/Temporary_framwork.pdf

5. European Parliament, News. (2020). *Covid-19: 10 things the EU is doing for economic recovery.* Retrieved from https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/eu-affairs/20200625STO82007/covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery
6. Gentiloni, P. (2020). Eurogroup meeting Press conference, January 20, 2020, European Council.
7. Georgieva, K., Pazarbasioglu, C. & Weeks-Brown, R. (2020). Reform of the International Debt Architecture is Urgently Needed, IMF blog, October 1, 2020, Retrieved from https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2020/10/01/blog-reform-of-the-international-debt-architecture-is-urgently-needed
8. Huidumac-Petrescu, C-E. & Popa, A. C. (2016). Macroeconomic strategies for the prevention of economic and financial crisis, Theoretical and Applied Economics, 8(1), 171-182
9. International Monetary Fund. (2020). მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, Retrieved from https://www.imf.org/en/Countries/GEO
10. International Monetary Fund. (2021). Managing divergent recoveries, World economic outlook update, Retrieved from https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021
11. Kondratenko, V. & Kostadinoska-Miloseska, S. (2017). Anti-crisis role of the monetary policy in the new European Union member states. *Economic Development / Ekonomiski Razvoj,* 19(1/2), 167-180.
12. Krugman, P. (2021). Working Out: Money Isn't Everything. *New York Times,* December 3, Retrieved from https://www.nytimes.com/2021/12/03/opinion/inflation-friedman-money-
13. Левина, РЯ. (2002). *История экономических учений, в вопросах и ответах.* Учебно-методическое пособие М., Инфра-М. Редактор З.К. Зазулина
14. საფრანგეთის ბანკი. (2020). Survey on the impact of Covid, Retrieved from https://www.banque-france.fr/sites/default/files/media/2020/10/07/enquete-impact09-29.pdf
15. ტაბატაძე, მ. (2016). სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში. თსუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 480-483, Retrieved from http://eprints.tsu.ge/1499/1/Country%27s%20 political%20strategy %20during%20the%20unstable%20economical%20environment.pdf
16. Tabatadze, M. (2020). Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation. *Journal of International Economic Research (JIER)*, 6(1), 13-22, ISSN 2500-9737
17. www geostat.ge. 21.03.2022

Socio-Eeconomic Strategy of Post-crisis Regulation of Economy

Marina Tabatadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor

SUMMARY

Government is the guarant of country's development. Along with country's political stability and security, it must ensure the development of an effective economic policy and its implementation. One way to do so, is to protect the economy from sharp fluctuations and, in this way, ensure sustainable economic growth. This requires considering the peculiarities of the global economy, achieving macroeconomic balance, perfecting the structural and institutional environment, development of priority sectors, and creation of a democratic and free entrepreneurial environment.

The role of the government especially increases in a non-extraordinary environment and the functions of centralised management becomes particularly active in a crisis situation. The global pandemic processes put the emphasis on the economic role of a state and on the importance of its management concept. The large scale of the current pandemic determined the need for joint scientific research on the one hand, and for the cooperation of governments, on the other hand. Mutually coordinated development of anti-crisis plans of different countries has become a crucial prerequisite for effective management of process economy.

The article analyses the impact of government's anti-crisis policy on the functioning of socio-economic systems and the state's role in achieving socio-economic and political stabilization. Based on the analysis of the recommendations of the IMF and the World Bank, the article studies governmental regulations of crisis management in several EU countries and the probable consequences of different scenarios. It analyses the main trends of the pandemic-induced economic decline, structural transformation, and changes in the social environment in Georgia.

Key words: Security of development; Political and economic stabilization; Sustainable economic growth; Government concept of the state; Coordinated anti-crisis plan; Government regulations for crisis management.

აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მახასიათებლები გლობალიზაციის პირობებში

ნინო ტალიკაძე
ეკონომიკის დოქტორი

პროდუქტის კონკურენტუნარიანობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და თითოეულის ანალიზი დამოუკიდებელ კვლევის საგანს წარმოადგენს. მსოფლიოს ცვალებად გარემოში მომხმარებელთა პრეფერენციების დროული გამოვლენა შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მეწარმისთვის. მოცემული სტატიის მიზანი არის აგროსასურსათო პროდუქტის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მთავარი მახასიათებლების გამოვლენა ქართველ მომხმარებლებში. ამ მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გამოიკითხვა 1200 ზრდასრული ინდივიდი, რომელთაც გააჩნდათ ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი. კვლევის შედეგად მომხმარებლების მხრიდან გამოვლინდა აგროსასურსათო პროდუქტის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მთავარი მახასიათებლები. პირველი ადგილი ერთმნიშვნელოვნად მოიპოვა ხარისხმა, მას ირჩევს გამოკითხულთა 74%. ფასი მხოლოდ მეორეხარისხოვანია და მას ირჩევს მომხმარებელთა 21%. ამასთან, ასაკის და შემოსავლის ზრდასთან ერთად ხარისხის მნიშვნელოვნება იზრდება. დადგინდა, რომ აგროსასურსათო პროდუქტების შერჩევის პროცესში მომხმარებლებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს სერვისს და შეფუთვას. ასევე, დამატებით, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოკითხულთა 42%-ზე აგროსასურსათო პროდუქტების შესახებ რეკლამა მეტ-ნაკლებად ზემოქმედებს. ამრიგად, დროა მწარმოებლებმა გაითვალისწინონ ახალი სტატუსკვო და რესურსების დიდი ნაწილი დაუთმონ ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო სახელმწიფომ შექმნას ამისთვის ხელსაყრელი გარემო.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენტუნარიანობა, აგროსასურსათო პროდუქტი, მომხმარებელთა ქცევა, შესყიდვის ფაქტორები, მომხმარებლის პრეფერენციები*

პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ქვეყნის ცალკეული დარგისთვის და შესაბამისად, მთლიანი ეკონომიკისთვის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. თითოეულ დარგს თავისი როლი აქვს და საკუთარი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, რაც დაკავშირებულია დარგში არსებული რესურსების ეფექტიანად და რაციონალურად გამოყენებასთან. იმისათვის, რომ პროდუქტი მყიდველისთვის მისაღები იყოს, მას გარკვეული მახასიათებლების ნაკრები უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებმა შეისწავლეს პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ფაქტორები სხვადასხვა კუთხით, მხოლოდ მცირე რაოდენობის კვლევები არსებობს, რომლებშიც განხილულია პროდუქტის მახასიათებლების გავლენა მის კონკურენტუნარიანობაზე. თანამედროვე პირობებში აბრაამ მასლოუს თეორიის გამოყენება წარმოადგენს მენეჯერებისა და მარკეტოლოგების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი: (1) თანამედროვე ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ უფრო მაღალი დონის მოთხოვნილებაზე გადასვლა ხდება, თუ წინა დონის მოთხოვნილება უკვე დაკმაყოფილებულია 70%-ით (მასლოუს მიხედვით – 100%-ით) და (2) კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქია უნიკალურია. ის იცვლება ადამიანიდან ადამიანამდე და ერთი და იმავე ადამიანისთვის განსხვავებულია მისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებში (McLeod, 2007). მასლოუს თეორიაზე დაფუძნებული „კონკურენტუნარიანობის დონეების პირამიდა“ (მომხმარებლის პოზიციიდან) მოიცავს იმ ეტაპებს, რომლის მიხედვითაც მყიდველი აფასებს კონკრეტულ პროდუქციას : 1. ფასი (ძირითადი ფაქტორი) 2. ფასი + ხარისხი 3. ფასი +

ხარისხი + დამატებითი ფაქტორები 4. ინოვაციური ლიდერი (უნიკალურობა, სიახლე) 5. ბრენდი. (Dima, Man, & Kot, 2010). მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პირობებში იცვლება ადამიანთა მსოფლმხედველობა, შეხედულებები, რაც აისახება მომხმარებელთა ქცევაში. გლობალიზაციის სწრაფმა ტემპებმა COVID-19 პანდემიასთან ერთად გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები მომხმარებელთა ქცევაში.

წინამდებარე ნაშრომი საშუალებას იძლევა რაოდენობრივი კვლევის საფუძელზე გამოვლინდეს თუ კონკურენტუნარიანობის დონეების პირამიდის, რომელ დონეზე იმყოფება ქართველი მომხმარებელი და პასუხი გასცეს შეკითხვას: რა არის პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ის მახასიათებელი, რომელსაც მომხმარებლები ითვალისწინებენ აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას.

რას ნიშნავს პროდუქტის კონკურენტუნარიანობა და რას განსაზღვრავს პროდუქტის კონკურენტუნარიანობას? ამ შეკითხვებზე პასუხის ძიებაში ჩვენთვის ცნობილია ძალიან ბევრი მეცნიერის მოსაზრება. მაგალითად, პორტერი (Porter, 1980), აბოტი და ბრედალი (Abbott & Bredahl, 1994), კრუგმანი (Krugman, 1994), ჩო და სხვ. (Cho et al 2000), ატკინსონი (Atkinson, 2013), ბურკინსკი და სხვ. (Burkynskyi et al, 2019), ნურიაკინი და მარიატი (Nuryakin & Maryati, 2020), ბავაკიილენუო და აგბელი (Bawakyillenuo & Agbelie, 2021), ლიუ და სხვ. (Liu, Qin & Zhang, 2021). იკვლევენ კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხებს. უშუალოდ აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის საკითხს სწავლობენ შემდეგი მეცნიერები: მასტერსი (Masters et al, 1995), გოპინათი (Gopinath et al, 1997), ჟუ (Zhu et al, 2008), პაპაგეორგიუ და პეტროპულოსი (Papageorgiou & Petropoulos, 2010), ლატრუფე (Latruffe, 2010), ბოინეცი და ფერტო (Bojnec & Ferto, 2015), შელდონი (Sheldon, 2017), დოვგალი (Dovgal, 2017), შესტაკოვსკა (Shestakovska, 2018), ვილსონი (Wilson, 2018), ოზეროვა (Ozerova et al, 2019), ალტუხოვი (Altukhov, 2019), სავჩენკო და სხვ. (Savchenko et al, 2019), მასლოვა და სხვ. (Maslova et al, 2019), ლოგოდაშკი (Logodashki, 2020), ზახარჩენკო და სხვ. (Zakharchenko et a,. 2020), რასტორგუევი (Rastorgouev, 2020) და ბორისოვი (Borisov, 2021).

ამდენად, მკლევართა ერთი ჯგუფის აზრით, „პროდუქტის კონკურენტუნარიანობა ფართო გაგებით არის „საქონლის ხარისხი“ და „საქონლის ტექნიკური დონე“. ხოლო მკვლევართა მეორე ჯგუფის აზრით, კონკურენტუნარიანობა არის ფირმის უნარი აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია თავისი კონკურენტული უპირატესობით სხვა ფირმებთან მიმართებაში. მაგალითად, ჰამბრიკმა (Hambrick, 2017) და მილერმა (Miller, 2017) შემოგვთავაზა კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ხუთი განზომილება, სადაც მთავარი პოზიცია ინოვაციურობას უკავია. ინოვაციის გარდა, ფასი, ღირებულება და ბრენდი, ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე. თუმცა, შეიძლება არსებობდეს პროდუქტის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი სხვა ფაქტორებიც, მაგალითად, მომხმარებლისთვის პროდუქციის მიმზიდველობის ძალა, სხვადასხვა, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი, მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხი, არსებული მოთხოვნების პრიორიტეტულობა, რომელიც დამოკიდებულია როგორც პროდუქტის სახეობაზე, ისე მის მომხმარებელსა და კონკურენტუნარიანობის დინამიკური ხასიათზე. შეუძლებელია დღეს პროდუქტის კონკურენტუნარიანობა რომელიმე ერთი პარამეტრით განისაზღვროს, ის მრავალი ფაქტორის ურთიერთზემოქმედების შედეგია, ხოლო თითოეული მათგანი კონკრეტულ სიტუაციაში უნიკალურია. კონკურენტუნარიანობა მხოლოდ ყველა ფაქტორისა და პარამეტრის ეფექტიანად შერწყმის შემთხვევაში მიიღწევა (Gagnidze, 2012). ვფიქრობთ, კონკურენტუნარიანობის უნივერსალური და აბსოლუტურად დამაკმაყოფილებელი ახსნა არ არსებობს. ჭეშმარიტება გარკვეულწილად ყოველ მათგანშია. გაანალიზებული მასალებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გლობალიზაციის პირობებში პროდუქტის კონკურენტუ-

ნარიანობა ეს არის პროდუქტის უნარი, უპასუხოს კონკურენციული ბაზრის მოთხოვნებს, მყიდველთა სურვილებს ბაზარზე წარმოდგენილ სხვა ანალოგიურ პროდუქტთან შედარებით.

სტატიის მიზანია გამოავლინოს მომხმარებელთა პრეფერენციები აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას. ასევე, დაადგინოს გარკვეული კანონზომიერებები, რომლებიც არსებობს მომხმარებელთა სხვადასხვა ნიშნით დაყოფილი სეგმენტისთვის.

მომხმარებელთა გამოკითხვა ჩატარდა 2021 წელის 9 დეკემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით. სულ გამოიკითხა 1200 რესპონდენტი, მათგან 75,3% (903) ქალი და 24,8% (297) მამაკაცი. რაც მთავარია, 1200 რესპონდენტიდან მისი 46,7% იღებს მთავარ ადაწყვეტილებას აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას, 39,2%-ში ხდება გადაწყვიტების გაზიარება და მხოლოდ 14,2% არ იყო მთავარი გადაწყვეტილების მიმღები შეძენისას. ეს ჩვენს კვლევას ხდის უფრო რეპრეზენტატიულს. ასევე, გამოიკითხა ყველა ასაკის რესპონდენტი, პროცენტები შემდეგნაირად გადანაწილდა: 18-24 წელი – 41,5%, 25-34 წელი – 27,8%, 35-54 წელი – 24,3%, 55-64 წელი – 5,4% და 65 და მეტი წელი – 1%. ხოლო რესპონდენტთა განაწილება მათი ყოველთვიური შემოსავალით შემდეგია: 0-500 ლარი – 25,6%, 501-1000 ლარი – 26%, 1001-1500 ლარი – 17,7%, 1501-2000 ლარი – 9,8% და 2001 და მეტი ლარი – 20,9%. საინტერესო იქნება პასუხების განხილვა როგორც ასაკობრივ, ისე შემოსავლების ჭრილში, თუმცა, მანამდე განვიხილოთ ერთიანი აგრეგირებული შედეგები 1200 რესპონდენტის მიხედვით, თუ რას აქცევენ პირველ რიგში ყურადღებას მომხმარებლები აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას.

შეკითხვაზე თუ რომელი ფაქტორები უბიძგებდათ შეერჩიათ ორი მსგავსი დანიშნულების პროდუქტიდან ერთ-ერთი, გამოკითხულთა უმრავლებისთვის პირველ ადგილს იკავებს ხარისხი (73,5%) და მხოლოდ მეორე ადგილი უკავია ფასს (21%). ხოლო როდესაც დაკონკრეტდა პროდუქტის სახეობა და განისაზღვა აგროსასურსათო პროდუქტი და გაიზარდა პასუხების შესაძლო ვარიანტებიც, ფასმა მეორე ადგილიდან გადაინაცვლა მესამე ადგილზე 600 ხმით. ხოლო მყარად პირველ ადგილზე, კვლავ ხარისხი მოგვევლინა 800 ხმით (იხ. დიაგრამა 1).[1]

დიაგრამა 1-დან ჩანს, რომ მომხმარებელთა არჩევანს აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას ძირითადად განაპირობებს ხარიხსი, პირადი გამოცდილება, ფასი, გემოვნური მახასიათებლები, უსაფრთხოება და სარგებლიანობა. მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: სხვისი რეკომენდაცია, ბრენდი, შეფუთვა, სერვისი, სერტიფიკატები და დიზაინი.

რესპონდენტებს, ასევე, შეეძლოთ შეეფასებინათ კონკრეტული ფაქტორები/მახასიათებლები აგროსასურსათო პროდუქტების შერჩევისას შესაბამისი ქულებით 1-დან 5-მდე (1-ყველაზე დაბალი, 5-ყველაზე მაღალი) მათი მნიშვნელოვნების მიხედვით. აქაც ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება გვეძლევა. შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: ხარისხი, ჯამში 5 183 ქულით (საშუალო ქულა 4,3 ყველაზე ახლოს 5-თან), შემდეგ უსაფრთხოება 5 016 ქულით (საშუალო ქულა 4,2), გემოვნური მახასიათებლები – 4 949 ქულა (საშუალო ქულა 4,1), პირადი გამოცდილება – 4 868 ქულა (საშუალო ქულა 4,1), სარგებლიანობა – 4 851 ქულა (საშუალო ქულა 4,0) და ფასმა გადაინაცვალა უკვე მესამე პოზიციიდან მეექვსე პოზიციაზე 4 321 ქულით (საშუალო ქულა 3,6). და ისევ, შედარებით ბოლო პოზიცებს 3,5 საშუალოზე დაბალი ქულით იკავებენ სერვისი, ბრენდი, სხვისი რეკომენდაცია, სერტიფიკატები, შეფუთვა და დიზაინი. საინტერესოა ისიც, რომ რეალურად სხვადასხვა სერტიფიკატის ქონა ადასტურებს მოცემული პროდუქტის შესაბამისი, ან მაღალი ხარისხის დადასტურებას.

[1] შეკითხვაში ერთ-ერთი პირობა იყო რომ შეერჩიათ მაქსიმუმ 3 სავარაუდო ვარიანტი, ამდენად, პროცენტული გადანაწილება აჭარბებს 100%-ს.

დიაგრამა 1.

პასუხი შეკითხვაზე: ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ფაქტორები განსაზღვრავს თქვენს არჩევანს აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას? შეარჩიეთ მაქსიმუმ 3 სავარაუდო პასუხი



წყარო: აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით

მომხმარებელთა მოცემული გამოკითხვის მიზანი იყო შეგვეფასებინა მათი გადმოსახედიდიან როგორც პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გამსაზღვრელი ფაქტორები, ისე, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა ეროვნულ ბაზარზე. გამოკითხულთა 70,6% მიიჩნევს, რომ ქართული აგროსასურსათო პროდუქტები ხასიათდებიან საშუალო კონკურენტუნარიანობით. ჩვენ ასევე, დავინტერესდით ახდენდა თუ არა მომხმარებელზე გავლენას აგროსასურსათო პროდუქტების შესახებ რეკლამა. გამოკითხვით დადგინდა, მომხმარებელთა დაახლოებით 42%-თვის რეკლამა მათ არჩევანზე მეტ-ნაკლებ ზეგავლენას ახდენს. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერ-

თი მინიშნება მწარმოებლებისთვის, რომ მათ დიდი ძალისხმება არ მიმართონ რეკლამაზე და პირველ ადგილზე დააყენონ პროდუქტის ხარისხი.

გამოკითხვის ანალიზის შემდეგი ნაბიჯი იყო პასუხებიდან გამოგვერიცხა ის 170 ადამიანი, რომელიც არ იყო მთავარი გადაწყვეტილების მიმღები და პასუხები განგვეხილა უკვე ასაკობრივ ჭრილში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1.

შედეგები კითხვაზე: ზოგადად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი გიბიძგებთ შეაჩეროთ თქვენი არჩევანი ორი მსგავსი დანიშნულების პროდუქტიდან ერთ-ერთზე? დანახული ასაკობრივ ჭრილში

	18-24 წელი	25-34 წელი	35-54 წელი	55-64 წელი	65 წელი და მეტი
ფასი	25.7%	24.8%	10.6%	17.2%	8.3%
სერვისი	4.0%	5.8%	8.2%	4.7%	0.0%
ხარისხი	70.4%	69.4%	81.2%	78.1%	91.7%

წყარო: აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილიდან 1 ძალიან საინტერესო დამოკიდებულება ჩანს. ზოგადად, პროდუქტის შერჩევისას, რაც უფრო იზრდება ასაკი, იზრდება პასუხებში ხარისხის წილობრივი მაჩვენებელიც, ხოლო ფასის უმეტეს შემთხვევაში მცირდება და ანუ, იგი არ არის გამსაზღვრელი ფაქტორი არჩევნის გაკეთებისას. ყოველ შემთხვევაში ის ზოგადი ტენდენცია რომ ხარისხი არის მთავარი ფაქტორი შესყიდვისას ვლინდება ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის. ამასთან, თუ შეამჩნევთ ფასს ყველაზე მაღალი წილი თითქმის 26% უკავია 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში. ეს სავარაუდოდ განაპირობა იმან, რომ მოცემული ასაკობრივი კატეგორიის 45%-ის საშუალოთვიური ხელფასი შეადგენს მხოლოდ 0-500 ლარს.

ცხრილი 2.

შედეგები კითხვაზე: ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ფაქტორები განსაზღვრავს თქვენს არჩევანს აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას? შეარჩიეთ მაქსიმუმ 3 სავარაუდო პასუხი. დანახული ასაკობრივ ჭრილში

	18-24 წელი	25-34 წელი	35-54 წელი	55-64 წელი	65 წელი და მეტი
ფასი	61%	51%	39%	31%	25%
ხარისხი	67%	64%	64%	77%	83%
სარგებლიანობა	30%	30%	34%	28%	67%
უსაფრთხოება	33%	31%	35%	28%	17%
გემოვნური მახასიათებლები	52%	47%	37%	39%	25%
სერტიფიკატები	5%	5%	5%	2%	0%

შეფუთვა	11%	7%	3%	3%	8%
პირადი გამოცდილება	69%	64%	61%	73%	75%
სხვისი რეკომენდაცია	20%	16%	12%	9%	0%
სერვისი	7%	8%	6%	2%	0%
დიზაინი	8%	4%	1%	0%	0%
ბრენდი	15%	12%	10%	13%	0%

წყარო: აგებულია ავტორის მიერ გამოკითხვის მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილიდან 2 ჩანს რომ აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას 18-24 წლის, 25-34 წლის და 35-54 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მთავარი ფაქტორებია პირადი გამოცდილება, ხარისხი და ფასი (ფასი ისევ, მხოლოდ მესამე პოზიციას სჯერდება ამ ჩამონათვალშიც). ხოლო ცვლილებებს უკვე ვხედავთ 55-64 წლის და 65 და მეტი წლის კატეგორიებში როდესაც ფასი უკვე აღარ არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი და მას ერთ შემთხვევაში ანაცვლებს გემოვნური მახასიათებლები, ხოლო მეორე შემთხვევაში სარგებლიანობა.

ცხრილი 3.

შედეგები კითხვაზე: ზოგადად, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი გიბიძგებთ შეაჩეროთ თქვენი არჩევანი ორი მსგავსი დანიშნულების პროდუქტიდან ერთ-ერთზე? დანახული შემოსავლების ჭრილში

	0-500 ლარი	501-1000 ლარი	1001-1500 ლარი	1501-2000 ლარი	2001 და მეტი ლარი
ფასი	32.8%	22.6%	22.3%	11.7%	8.3%
სერვისი	4.3%	4.7%	5.7%	7.8%	7.0%
ხარისხი	62.9%	72.0%	72.6%	80.6%	84.6%

ცხრილში 3 განხილულია მომხმარებელთა პასუხები უკვე შემოსავლების ჭრილში. ამდენად, პროდუქტის შერჩევისას, რაც უფრო იზრდება ინდივიდის შემოსავალი იზრდება პასუხებში ხარისხის წილობრივი მაჩვენებელიც, ხოლო ფასის მცირდება და ანუ, სხვა სიტყვებით, როდესაც შემოსავალი არის სოლიდური, ფასს გადამწყვეტი მნიშვნელობა აგროსასურსათო პროდუქტის შერჩევისას არ ენიჭება. ამასთან, ზოგადი ტენდენცია რომ ხარისხი არის მთავარი ფაქტორია შესყიდვისას ვლინდება ყველა შემოსავლის ჯგუფისთვის. თუ დავაკვირდებით ფასს ყველაზე მაღალი წილი თითქმის 33% უკავია 0-დან 500 ლარამდე ყოველთვიური შემოსავლის მქონე ინდივიდებში, ხოლო ყველაზე დაბალი, დაახლოებით 8% – 2001 და მეტი ლარის შემოსავლის მქონე პირებისთვის. შესაბამისად, ხარისხსს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამავე კატეგორიის პირთა თითქმის 85%. ხოლო აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას 0-500 ლარის, 501-1000 ლარის, 1001-1500 ლარის, 1501-2000 ლარის ყოველთვიური შემოსავლების კატეგორიაში მთავარი ფაქტორებია: ხარისხი, პირადი გამოცდილება და ფასი (ფასი ისევ, მხოლოდ მესამე პოზიციას სჯერდება ამ ჩამონათვალშიც). ხოლო ცვლილებებს უკვე ვხედავთ 2001 და მეტი ყოველთვიური შემოსავლის კატეგორიაში, როდესაც ფასი უკვე აღარ არის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი და მას ანაცვლებს

გემოვნური მახასიათებლები. საინტერესოა, რომ პროდუქტის ბრენდმა სწორად მოცემული შემოსავლების კატეგორიაში მიიღო ყველაზე მაღალი გამოხმაურება, დაახლოებით 17%. ამასთან, შეგვიძლია შევნიშნოთ ისიც, რაც უფრო იზრდება პიროვნების შემოსავალი, იზრდება მის არჩევანში ბრენდის მნიშვნელობაც (Talikadze & Kharaishvili, 2022).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონკურენტუნარიანობის მთავარი განმსაზღვრელი მახასიათებელია ხარისხი და მასთან ერთად ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა უსაფრთხოება, გემოვნური მახასიათებლები და პირადი გამოცდილება. საჭიროა მწარმოებლებმა მიიღონ ეს ახალი მდგომარეობა და თავიანთ ძალისხმევა მიმართონ თავიანთი პროდუქტის ხარისხის, სარგებლიანობის გაუმჯობესებისაკენ. და ბოლოს, სახელმწიფომ ამ კუთხით შეიძლება შეასრულოს შუამავლის როლი, რომელიც დაეხმარება მეწარმეებს საჭირო რესურსების თუ პროექტების განხორციელებაში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა სწორად აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიაონობის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგადად, ორი მსგავსი დანიშნულების პროდუქტიდან ერთ-ერთის არჩევის მთავარი ბერკეტი არის ხარისხი. ამის მსგავსად, მომხმარებელთა არჩევანს აგროსასურსათო პროდუქტების შეძენისას ძირითადად განაპირობებს მისი ხარისხი და შემდეგი პირადი გამოცდილება. ჩვენი კვლევის მიხდევით, ბოლო პოზიციებს იკავებს დიზაინი და შეფუთვა. საინტერესოა, რომ მომხმარებლზე აგროსასურსათო პროდუქტების შესახებ რეკლამა, მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს. მომხმარებელთა პასუხების ანალიზმა ასაკობრივ ჭრილში მოგვცა საინტერესო შედეგი. კერძოდ, რაც უფრო იზრდება მყიდველის ასაკი, მისთვის აგროსასურსათო პროდუქტის შეძენის გადაწყვეტილებაში მთავარ როლს ხარისხი თამაშობს. შესაბამისად, მცირდება ფასზე დამოკიდებულება. 55-64 წლის და 65 და მეტი წლის კატეგორიებში ფასს ანაცვლებს გემოვნური მახასიათებლები და სარგებლიანობა. როცა, პასუხები დაჯგუფდა საშუალოთვიური შემოსავლის მიხედვით, მიღებულია მსგავსი შედეგები, შემოსავლის ზრდასთან ერთად, პროდუქტის შეძენის მთავარი ფაქტორი ხდება ხარისხი. ფასი შედარებით გადამწყვეტი ხდება დაბალი შემოსავლის მქონე რესპონდენტებისთვის.

პროდუქტის კონკურენტუნარიანობაზე პროდუქტის მახასიათებლების ზემოქმედების მექანიზმს უფრო მეტი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის და ამ მექანიზმის შესახებ კვლევა სასურველია მომავალშიც განმტკიცდეს.

ლიტერატურა:

1. Abbott, P. C., & Bredahl, M. E. (1994). *Competitiveness: Definitions, Useful Concepts, and Issues.* In Competitiveness in International Food Markets p. 25.. CRC Press.
2. Altukhov, A. I., Drokin, V. V., & Zhuravlev, A. S. (2019) *Increasing competitiveness the agro-food complex is impossible without its rational territorial organization.* IOP conference series: earth and environmental science. IOP Publishing, Vol. 274, No. 1.
3. Atkinson, R. D. (2013). *Competitiveness, innovation and productivity: cleaning up the confusion.* The Information Technology & Innovation Foundation.
4. Bawakyillenuo, S., & Agbelie, I. S. (2021). *Environmental Consciousness of Entrepreneurs in Ghana: How Do Entrepreneur Types, Demographic Characteristics and Product Competitiveness Count?* Sustainability, 13(16), 9139.
5. Bojnec, Š., & Fertő, I. (2015). *Agri-Food Export Competitiveness in European Union Countries.* Journal of Common Market Studies JCMS., Volume 53, Issue 3, 476-492.

6. Borisov, P., Stoeva, T., & Dirimanova, V. (2021). *Methodology for Assessing The Competitiveness of Agricultural Enterprises.* Scientific Papers Series Management, Economic Engineering in Agriculture and Rural Development.
7. Burkynskyi, B., Alyokhin, A., Brutman, A., Sokolovska, Z., & Khumarova, N. (2019). *Competitiveness and Related Concepts: A Logical Approach to Definition.* Икономически изследвания, Issue No: 4, 18-44.
8. Cho, D., & Moon, H. C. (2000). *From Adam Smith To Michael Porter: Evolution Of Competitiveness Theory.* Singapore: World Scientific Publishing.
9. Dima, I. C., Man, M., & Kot, S. (2010). *Use of Abraham Maslow's motivation theory for setting consumers' satisfaction-non-satisfaction.* Polish Journal of Management Studies, 2, 132-138.
10. Dovgal, O. V., Kravchenko, M. V., Demchuk, N. I., Odnoshevnaya, O. A., Novikov, O. Y., Andrusiv, U. Y., Popadynets, I. R. (2017). *Methods of competitiveness assessment of agricultural enterprise in eastern Europe.* Regional Science Inquiry, Vol. IX, 2., 231-242.
11. Gagnidze, I. (2012). *Country Competitiveness and Clusters: History and Modernity.* Universali. Tbilisi.
12. Gopinath, M., Arnade, C., Shane, M., & Roe, T. (1997). *Agricultural competitiveness: The case of the United States and major EU countries.* Agricultural Economics, Volume 16, Issue 2, 99-109.
13. Hambrick, D. C. (2017). *High Profit Strategies in Mature Capital Goods Industries: A Contingency Approach.* Academy of Management Journal, Vol. 26, No. 4.
14. Krugman, P. (1994). *Competitiveness: A dangerous Obsession.* Foreign Affairs, Vol. 73, No. 2.
15. Latruffe, L. (2010). *Competitiveness, Productivity and Efficiency in the Agricultural and Agri-Food Sectors.* OECD Food, Agriculture and Fisheries Working Papers, No. 30, OECD Publishing.
16. Liu, Z., Qin, C. X., & Zhang, Y. J. (2021). *Mining product competitiveness by fusing multisource online information.* Decision Support Systems, 143, 113477.
17. Logodashki, N. (2020). *Competitiveness And Competitive Strategies In Wine Production*. Икономика и управление, 17(2) 72-83.
18. Maslova, V., N. Zaruk, C. Fuchs, and M. Avdeev. (2019). *Competitiveness of agricultural products in the Eurasian Economic Union.* Agriculture, 9(3) 61.
19. Masters, W. A., & Winter-Nelson, A. (1995). *Measuring the Comparative Advantage of Agricultural Activities: Domestic Resource Costs and the Social Cost-Benefit Ratio.* American Journal of Agricultural Economics, Volume 77, Issue 2, 243-250.
20. McLeod, S. (2007). *Maslow's Hierarchy of Needs.* Retrieved from https://www.simplypsychology.org/maslow.html
21. Miller, D. (2017). *Relating Porter's Business Strategies to Environment and Structure: Analysis and Performance Implications.* Academy of Management Journal Vol. 31, No. 2.
22. Nuryakin, N., & Maryati, T. (2020). *Green product competitiveness and green product success.* Why and how does mediating affect green innovation performance? Entrepreneurship and Sustainability Issues, 7(4), 3061.
23. Ozerova, M. G., Sharopatova, A. V., & Olentsova, J. A. (2019). *Improving the competitiveness of agricultural products as a basis for solving import replacement issues.* IOP Conference Series: Earth and Environmental Science, Volume 315, Issue 2. IOP Publishing.
24. Papageorgiou, A., & Petropoulos, D. P. (2010). *The competitiveness of agricultural products in domestic and international markets 1981-2007.* Sustainable agriculture and food production: adaptations to a changing social, economic and institutional environment pp. 89-103.. Thessaloniki, Greece: Hellenic Association of Agricultural Economists.

25. Porter, M. E. (1980). *Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors.* New York: The Free Press.
26. Rastorgouev, P.V. (2020). *Methodological bases for assessing competitiveness of agri-food products according to quality Parameters.* Proceedings of the National Academy of Sciences of Belarus. Agrarian Series, 58(2) 164-175.
27. Savchenko, T., N. Basiurkina, O. Rodina, and A. Kwilinski. (2019). *Improvement of the assessment methods of product competitiveness of the specialized poultry enterprises.* Management theory and studies for rural business and infrastructure development, vol. 41, no. 1 43-61.
28. Sheldon, I. M. (2017). *The Competitiveness of Agricultural Product and Input Markets: A Review and Synthesis of Recent Research.* Journal of Agricultural and Applied Economics, Volume 49 Issue 1, 1-44.
29. Shestakovska, T., Durglishvili, N., & Kushnir, S. (2018). *Competitiveness of the agrarian business in the context of maintenance of leadership positions on the market.* International Conference on Social, Economic and Academic Leadership ICSEAL. pp. 177-184. Advances in Social Science, Education and Humanities Research, Vol. 217.
30. Talikadze N., Kharaishvili E. (2022). *Competitiveness characteristics of agri-food products – what does the consumer choose? (Case of Georgia).* Innovative Marketing , 18(1), 195-207.
31. Wilson, S. (2018). *Assessing export competitiveness of food manufacturers in SIDS.* Competitiveness Review, Vol. 28 No. 4 408-432.
32. Zakharchenko, O.V., O.O. Alieksieichuk, A. V. Kliuchnyk, N. Y. Shyriaieva, and I. V. Kudlai. (2020). *State support of agricultural producers as a factor in increasing the competitiveness of the agricultural sector*. Entrepreneurship and Sustainability Issues, 8(1) 687.
33. Zhu, X., Demeter, R. M., & Lansink, A. G. (2008). *Competitiveness of dairy farms in three countries: the role of CAP subsidies.* International Congress. Ghent, Belgium: European Association of Agricultural Economists EAAE.

Determining Characteristics of Competitiveness of Agro-Food Products in the Conditions of Globalization

Talikadze Nino
Doctor of Economics

SUMMARY

This paper discusses the determinants of product competitiveness and the *Doctor of Economics* views of researchers in this area. The author draws conclusions about what can be the key to the competitiveness of agri-food products, opinions are supported by the results of quantitative and qualitative research: A total of 1,200 consumers were interviewed. The survey was conducted by sending a questionnaire through digital channels. 74% of consumers named quality as the main characteristic of competitiveness. The price comes only in second and it is chosen by 21% of consumers. With increasing age and income, the importance of quality increases. It was found out that service and packaging are not crucial for consumers in the process of selecting

agri-food products. In addition, it should be noted, that for 42% of respondents are more or less impacted by advertising for agri-food products. Thus, producers need to devote a large portion of their resources to quality improvement, while the state should create a favorable environment for this.

Research has shown that in general, quality is the main factor for choosing one of two similar products. Similarly, consumers' choice in purchasing agri-food products is largely determined by its quality and subsequent personal experience. So, the Georgian consumer is in the transition stage of the 2nd and 3rd levels of competitiveness Pyramid.

The analysis of customer responses categorized by age groups revealed an interesting result. In particular, as the age of the buyer increases, quality plays a major role in the decision to purchase an agri-food product. Consequently, price dependence decreases. In the age categories of 55-64 years old and 65 years old and over, the price is replaced by taste characteristics and utility. When the answers were grouped based on average monthly income, similar results were received, with the increase in income, quality becomes the main factor to purchase the product. Price becomes relatively crucial for low-income respondents.

Consumers evaluate Georgian agro-food products as having average competitiveness. Thus, it is important for manufacturers to focus on improving the quality of their products. However, competitiveness cannot be achieved at the product level unless certain preconditions are created at the state level to ensure it.

The conducted research will give an opportunity to the interested persons to introduce the peculiarities of product competitiveness in the agro-food market of Georgia and help them to determine the right production strategy. Thus, the study contains few limitations, which should be solved in the future researches. Limitations are following: the sample size was limited by 1200 respondents. More significant number of consumers can be included into the study in the future. The online survey method was the only method used, which should be further combined with field and experimental investigations.

ეკონომიკური ღირებულებები სოციალურის საპირწონედ სამეწარმეო პოლიტიკაში

მაცაცო ტეფნაძე
თსუ ეკონომიკის დოქტორანტი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის გზაზე, გლობალური პანდემიის პირობებში, ადგილობრივი რესურსების მობილიზება და ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური სამეწარმეო პოტენციალის განვითარება კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს. სამეწარმეო პოტენციალის ათვისებისა და რეგიონების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესში ხშირად, სამთავრობო პროგრამაში ხვდება ისეთი პროექტები, როგორიცაა ტურისტული კლასტერები, სივრცითი მოწყობის, ურბანული თუ სამეწარმეო ინიციატივები, რომელთა შესახებ კვლევები და დასაბუთება ეკონომიკურ გათვლებს და ბიზნეს მოდელირებას ეყრდნობა. თუმცა, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საკითხები მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ ასპექტებსაც, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში წინააღმდეგობაშია. მაშასადამე, საჭიროა კრიტიკულად შეფასდეს თუ რამდენად სოციალურად სარგებლიანი და დაბალანსებულია ასეთი ინიციატივის ეკონომიკური ასპექტები. როგორც ინოვაციური მიდგომა, კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ რა სოციალური ასპექტები, რომელი ხარისხობრივი ცვლადები და ემპირიული ინდიკატორები არსებობს და როგორ მონაწილეობს ინიდივიდის სოციალური პრეფერენციები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეკონომიკური ცვლადების გვერდით. სტატიაში განხილულია სოციალური კაპიტალის არსი, ნორმები, მათი როლი ბუნებრივი რესურსების მართვის, სასოფლო ტურიზმისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში და შემოთავაზებულია გაზომვის ემპირიული მეთოდი, რაც ეყრდნობა ექსპერიმენტულ თამაშებს. თამაშის დიზაინი შეიცავს ტესტს, რომელიც ზომავს სამიზნე ჯგუფში სოციალური კაპიტალის ემპირიულ ინდიკატორებს, რაც ხარისხობრივად ავსებს რაოდენობრივი შეფასების კრიტერიუმებს და ქმნის ამა თუ იმ სამეწარმეო პროექტის მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური კაპიტალი, რეგიონული ეკონომიკა, ექსპერიმენტი, ემპირიული ინდიკატორი, მეწარმოება*

ადგილობრივი რესურსული პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისა და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების გამოსავლენად, მთავრობები მიმართავენ მასშტაბურ სივრცითი მოწყობის, სამეწარმეო ტურისტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნება-განახლებისა და ურბანული განვითარების პროექტებს, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდას და მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას. პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა, შეზღუდული და გაძვირებული მიწოდების ბაზრებით ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მთელი მსოფლიო და საქართველო, რომელმაც გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და მათ შორის სურსათის უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა ეროვნული რესურსების მობილიზება და რეგიონებში არსებული ეკონომიკური სამეწარმეო პოტენციალის განვითარება. ამ ფონზე, ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის სამრეწველო მიმართულებების და შესაძლებლობების ათვისება კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა. სამეწარმეო პოტენციალის ათვისებისა და რეგიონების ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესში ხშირად, სამთავრობო პროგრამაში ხვდება ისეთი პროექტები, როგორიცაა: ტურისტული

კლასტერები (ტეფნაძე, 2020), სივრცითი მოწყობის, ურბანული თუ სამეწარმეო ინიციატივები, რომელიც ძირითადად ეკონომიკურ სარგებელზეა გათვლილი და შესაბამისად, პროექტების დასაბუთება მეტწილად ეკონომიკურ გათვლებს და მათემატიკურ მოდელირებას ეყრდნობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პროექტები ხშირად აზრთა სხვადასხვაობის გამო გამოწვევას ქმნის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი კონფლიქტურ პირობებში მიმდინარებს. სწორედ ამიტომ ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა არ მოიცავს მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის ასპექტს და აუცილებელია ბალანსი იქნას დაცული სოციალურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებს შორის. თუმცა, ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მეცნიერების მიერ აქამდე შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები და მეთოდური სახელმძღვანელოები ძირითადად საკითხების მათემატიკურ მოდელირებასა და ოპტიმიზაციის მოდელებს ეყრდნობოდა, მაშინ როცა ეკონომიკური პროცესების სიღრმეში სოციალური პრეფერენციებიც არსებობს. ასეთი დამხმარე სახელმძღვანელოები მრავალმხრივი გლობალური გამოწვევების კვალდაკვალ კარგავს პრაქტიკულ ორიენტირს და ცდება რეალურ საჭიროებებს. კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკის ზრდისა და განვითარების განსაზღვრებები დამოკიდებულია ამა თუ იმ ინდივიდის თუ ინდივიდთა ჯგუფის სოციალურ პრეფერენციებზე და სტრატეგიული თანამშრომლობის ნება-სურვილზე. მაგ.: დევრისი & ვოსი, 2018 განმარტავენ სოციალურ ასპექტებს, როგორც სოციალური ღირებულებებს, პრიორიტეტებს და აღქმებს (De Vries & Voß, 2018). სკოტი მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ პროცესებში მონაწილე ინდივიდებს აქვს ადგილობრივი რესურსების მიმართ სუბიექტური ხედვა, რომელიც გავლენას ახდენს რესურსების მენეჯმენტის პროცესში ინდივიდუალურ ქცევასა და გადაწყველიტებაზე (Scott, 2003). პასაკარნიკი & მალიენი, 2020 წერენ, რომ ინდივიდის ქცევას არ განსაზღვრავს მხოლოდ ეკონომიკური ღირებულებები და რეგულაციები. მაშასადამე, სოციალური ასპექტები სერიოზულად და თანაბრად მნიშვნელოვნად უნდა იქნას აღქმული და გათვალისწინებული ეკონომიკური პროგრამების დანერგვის პროცესში (Pasakarnis & Maliene, 2020).

ნაშრომის მომდევნო ნაწილში განვიხილავთ სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას, ასპეტებს, სოციალური კაპიტალის ნორმებს და მათ მნიშვნელობას და როლს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. როგორც სიახლე, მესამე ნაწილში განვიხილავთ სოციალური კაპიტალის გაზომვის ექსპერიმენტულ მეთოდებს, რომელსაც თამაშების დიზაინი აქვს. ნდობის თამაში (Trust game) და თამაში „საზოგადოებრივი საქონელი“ (Public Good game), რომელიც ზომავს სოციალური კაპიტალის ნორმებს: ნდობასა და თანამშრომლობას ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში.

მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა კონცეპტურალურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე დისციპლინას. შესაბამისად ნაშრომისთვის ავირჩიეთ კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდი, რომელიც მოიცავს კვლევითი ნაშრომების გაცნობას სოციალური კაპიტალის, ექსმერიმენტული ეკონომიკის, თამაშების დიზაინის მიმართულებით. ჩატარებული აქტივობები მოიცავს ლიტერატურის ძიებას და იდენტიფიკაციას, წინასწარ განხილვა-ფილტრაციას შესაბამისობისა და სანდოობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, შერჩეული დოკუმენტების კრიტიკული განხილვა, ანალიზი და სინთეზი, კვლვევის შედეგების შეჯამება და დასკვნების მომზადება.

სოციალური კაპიტალის როლი განვითარების სხვადასხვა კონტექსტში. ბოლო პერიოდში, კომპლექსური პოლიტიკური საკითხებისადმი მაღალი სიზუსტის გამო, სოციალური კაპიტალის კონცეფციამ მოიპოვა პოპულარობა (Auer, et al, 2020). აქამდე ჩატარებული კვლევების ანალიზმა აჩვენა, რომ სოციალურ კაპიტალსა და კოლექტიურ აქტივობებს შორის არსებობს პოზიტიური კორელაცია. მაგალითად, სოციალური კაპიტალის განზომილებები ეფექტიანად ემსახურება ფერმერული ბიზნესის მრავალმხრივი განვითარების მიზნებს (Cofre-Bravo et al, 2019.) გარდა ამისა, მეცნიერები აუერი და სხვები, 2020 მიუთითებენ, რომ ნდობა და კავშირები და სოციალური ქსელები ზრდის მწარმოებლურობის ეფექტიანობას და აუმჯობესებს ბუნებრივი კაპიტალის კონსერ-

ვაციისა და მართვის პროცესს (Auer et al, 2020). მეცნიერებს სოლარდი (Soulard, 2018), გალენტი (Gallent, 2015), ბაი (Bae, 2020), ბინი და სხვები (Bin et al, 2019), რივერა და სხვები (Rivera et al, 2018), კუპიდურა და სხვები (Kupidura et al, 2014) მიაჩნიათ, რომ სოციალურ კაპიტალს დადებითი ეფექტი გააჩნია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში რომელიც ეხება კონფლიქ-ტების მართვას, სასოფლო ტურიზმს, და სოფლის განვითარების თუ ურბანული განახლების პრო-ექტებს (იხ. ცხრილი №1) . მაშასადამე, მიზანშეწონილია სოციალური კაპიტალის გათვალისწინე-ბა ისეთ პროგრამებსა თუ პროექტებში, სადაც მრავალმხრივი საზოგადოებრივი ინტერესის გა-დაკვეთა იწვევს დაძაბულობას.

ცხრილი 1.

სოციალური კაპიტალის ეფექტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროებზე

სოციალურ-ეკონომიკური განვითრების სფეროები	**სოციალური კაპიტალის ეფექტი (დადებითი/უარყოფითი)**	**ქვეყნები**
ფერმერულ ბიზნესსა და ინოვაციურ პროცესებზე ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	ჩილე
ტურიზმის კლასტერსა და ტურისტული დანიშნულების მართვის გეგმებზე ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	აშშ
სეზონურ მაცხოვრებლებლების ეფექტი როგორც დამაკავშირებელი რგოლი ადგილობრივი დასახლებების მოდერნიზაციასა და თემის განვითარების პროცესში.	დადებითი, უარყოფითი	იტალია
მრავალკულტურულ გარემოში სტრესსა და დეპრესიულ სიმპტომებზე ზეგავლენის ეფექტი	უარყოფითი	სამხრეთ კორეა
ბუნებრივი კაპიტალის კონსერვაციისა და მართვის პროცესში ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	ჩილე
საკოორდინაციო ეფექტიანობაზე ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	ჩილე
ასიმეტრიულ ინფორმაცია და განუსაზღვრელობაზე ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	ჩილე
ლანდშაფტის ესთეტიურ ღირებულებაზე ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	პოლონეთი

სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაზე ზეგავლენის ეფექტი	დადებითი	გერმანია, ესპანეთი, იტალია, ლიტვა, ლატვია, დანია, ისრაელი

ცხრილი 2. სოლარდი (Soulard, 2018), გალენტი (Gallent, 2015), ბაი (Bae, 2020), ბინი და სხვები (Bin et al, 2019), რივერა და სხვები (Rivera et al, 2018), კუპიდურა და სხვები (Kupidura et al, 2014), ადაპტირებული მაცაცო ტეფნაძის მიერ

საზოგადოებრივი კაპიტალი მოიცავს კაპიტალის სხვადასხვა კომპონენტებს, რომელშიც ცენტრალური ადგილი აქვს სოციალურ კაპიტალს (Soulard et al, 2018). ყველა საზოგადოება ფლობს კაპიტალის სხვადასხვა კომბინაციებს, რომელიც მოიცავს ადამიანურ, ფიზიკურ, ფინანსურ, ბუნებრივ და სოციალურ კაპიტალის სახეობებს, რომელთა შორის დამაკავშირებელი ფუნქცია აქვს სოციალურ კაპიტალს (იხ. სქემა 1).

სქემა 1.

კაპიტალის სახეობები და კავშირები (Soulard et al, 2018)



სოციალური კაპიტალი ეს არის კონცეფცია სოციალური კავშირების შესახებ, რომელიც აკავშირებს საზოგადოების წევრებს ერთობლივი სოციალური, ფიზიკური, ბუნებრივი, ადამიანური და ფინანსური კუთვნილებებით (Putnam, 2000). ეს არის კონცეპტუალური რეზერვი, სოციალური ნდობის, კავშირების და ღირებულებების, რომელსაც ეყრდნობიან საზოგადოების წევრები რათა განახორციელონ საერთო მიზნები და აიმაღლონ ეკონომიკური კეთილდღეობა.

სოციალური კაპიტალის ნაირსახეობას წარმოადგენს ე.წ. „მორალური რესურსები“, რომელთა მოცულობა მოხმარების პროცესში კი არ მცირდება, არამედ იზრდება, ხოლო ამოიწურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ გამოიყენება (სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრი,

1998). სოციალური კაპიტალი იყოფა ორ დაკავშირებულ კომპონენტად, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ და ნორმატიულ კომპონენტებს (Nenadovic & Epstein, 2016). სოციალური კაპიტალის სტრუქტურული კომპონენტები შედგება შემაკავებელი (bonding), შემაერთებელი (bridging) და დამაკავშირებელი (Linking) სოციალური კაპიტალისგან, მაშინ როცა ნორმატიული კომპონენტები მოიცავს ისეთ ცნებებს როგორიცაა: ნდობა, ორმხრივი (Reciprocal) ალტრუიზმი და თანამშრომლობა (MacGillivray, 2018).

აუერი და სხვები. 2020 აკეთებენ სოციალური კაპიტალის კლასიფიკაციას, როგორც შემაკავებელი და შემაერთებელი სოციალური კაპიტალი (Auer et al, 2020). შემაკავებელი სოციაური კაპიტალი გულისხმობს სოციალური ჯგუფის შიგნით, შედარებით ჰომოგენურ ინდივიდებს შიგნით კავშირებს, როგორიცაა ოჯახი, მეგობრები და მეზობლები). შემაერთებელი სოციალური კაპიტალი გულისხმობს საზოგადოებისა და სოციალური ჯგუფის გარე წევრებს შორის ურთიერთობას და კავშირებს. McGillivray, 2018 თავის კვლევაში საუბრობს სოციალური კაპიტალის მესამე – დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის (linking social capital) კომპონენტზე, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ძალაუფლების და ინსტიტუციური კუთვნილების ადამიანებს, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს ხელი მიუწვდებოდეთ იმ კაპიტალურ რესურსებზე, რომელზე წვდომაც შეზღუდულია შემაკავებელი და შემაერთებელი კაპიტალით. აღსანიშნავია, რომ შემაკავებელ სოციალურ კაპიტალში არსებული კავშირები მყარია და ძლიერი, მაშინ როცა შემაერთებელ სოციალური კაპიტალში კავშირები სუსტია. გარდა ამისა შემაკავებელ სოციალური კაპიტალისთვის დამახასიათებელია თანამშრომლობა არაფორმალური და გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნის, ადამიანური რესურსების თუ ტრადიციული ტექნიკური გადაწყვეტის გაზიარებით, მაშინ როცა, შემაერთებელი და დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს კვლევასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე წვდომას. მაშასადამე, შემაკავებელი სოციალური კაპიტალი გავლენას ახდენს სოციალურ ჯგუფში ეკონომიურობის გაუმჯობესებაზე, თუმცა სოციალური ჯგუფის შიგნით ამოწურვადი კაპიტალური რესურსების თვალსაზრისით ერთგვარად შეზღუდულია. შემაერთებელი და დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის კონცეფცია გულისხმობს კაპიტალური რესურსის პოტენციალის გაფართოებას და პროდუქტიულობის ზრდას მეტი რესურსის უკეთესი რესურსების და უკეთესი ტექნოლოგიების მოზიდვით. კაპიტალის სტრუქტურული კონპონენტები შეჯამებულია ცხრილი №2-ში.

სოციალური კაპიტალი	მოკავშირეები	მხარდაჭერის სახეები
Bonding სოციალური კაპიტალი	ოჯახის წევრები, მეგობრები	ემოციური მხარდაჭერა და მოტივაცია, პრობლრმის გადაწყვეტაში მხარდაჭერა და ადაპტირება
Bridging სოციალური კაპიტალი	ორგანიზაციის თანამშრომლები, დამოუკიდებელი მრჩევლები, დარგობრივად მონათესავე მეწარმეები და საწარმოები	გამოცდილების, ცოდნის, იდეის გაზიარება და მხარდაჭერა, რჩევებისა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა
Linking სოციალური კაპიტალი	ბანკები, ასოციაციები, კვლევითი ცენტრები, სამთავრობო სააგენტოები	ცოდნის გაზიარება საერთაშორისო მასშტაბით, ახალი ცოდნისა და ახალი სერვისების, ახალი რესურსების მოძიებაშ მხარდაჭრა

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ჯგუფები, რომელსაც გააჩნიათ მეტ-ნაკლები კომბინაცია სოციალური კაპიტალისა, ავლენენ განსხვავებული ქცევას ამა თუ იმ ეკონომიკურ ურთიერთობებში. მაგ.: სოციალური ჯგუფები, რომელსაც აქვს დაუბალანსებელი კომბინაცია – მაღალი შემაკავებელი და დაბალი შემაერთებელი კაპიტალი, ახასიათებთ ცვლილებების მიმართ სიხისტე. ასევე კომბინაციაში ორივე კომპონენტის სიმწირე, სოციალურ ჯგუფს ახასიათებს, როგორც უკონტროლო, ქაოსის მიმართ მიდრეკილს. ასევე, სოციალური ჯგუფები, დაუბალანსებელი კომბინაციით – დაბალი შემაკავებელი და მაღალი შემაერთებელი კაპიტალი, ახასიათებთ კლიენტელიზმი რაც ნიშნავს არასიმეტრიული ურთიერთობების ფორმის მქონე ორმხრივი გაცვლის მექანიზმი პატრონსა და კლიენტ სოციალურ ჯგუფებს შორის.

სოციალური კაპიტალის გაზომვის მეთოდები და ინსტრუმენტები. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ნდობა როგორც სოციალური კაპიტალის ერთერთი ნორმა, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში, თუმცა ნდობის გაზომვის საკითხი არც თუ ისე მოწესრიგებულია. ადრეულ კვლევებში ნდობის გაზომვისთვის იყენებდნენ გამოკითხვის მეთოდს (Cofre-Bravo, et al 2019; Villalonga- Olives, et al. 2016; Fitzsimons et al, 2019). ასევე, გამოკითხვის მეთოდი ფართოდ გამოიყენება აშშ-ის სოციალური კვლევების ცენტრის და მსოფლიო ღირებულებების კვლევის ცენტრების მიერ (American General Social Survey,6[1] World Values Survey[2]), რომელიც ზომავს ნდობის ინტერკულტურულ თავისებურებებს და მახასიათებლებს. გარდა ამისა, გერმანიის სოციალური ეკონომიკური პანელი[3] იყენებს ნდობის, Risk aversion და betrayal aversion – გასაზომად გამოკითხვის მეთოდს.

გამოკითხვის მეთოდისგან განსხვავებით, ექსპერიმენტული თამაშები წარმოადგენს ნდობის ნორმის ქცევით გაზომვის ინსტრუმენტს, რომელიც მოიპოვებს უფრო მაღალი სიზუსტისა და სანდოობის ინფორმაციას რესპონდენტებისგან (Fehr, 2009). იმისათვის, რომ გავზომოთ სოციალური კაპიტალის ნორმები – ნდობა და თანამშრომლობის პოტენციალი ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში, ექსპერიმენტული თამაშის დიზაინი შედგება ორი თამაშისგან როგორიცაა „ნდობის“ თამაში (trust game) და თამაში „საზოგადოებრივი საქონელი“ (public good game).

ბოლო პერიოდის სამეცნიერო კვლევები მიუთითებს სოციალური კაპიტალსა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს შორის კავშირებზე. კერძოდ სოციალური კაპიტალის სტრუქტურული და ნორმატიული კომპონენტები გავლენას ახდენენ ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობაზე, მდგორადობასა თუ პროდუქტიულობაზე. აღსანიშნავია, რომ სოციალური კაპიტალის სტრუქტურული კომპონენტების კომბინაციები შესწავლა და გაზომვა ხელს უწყობს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში ქცევის თავისებურების გამოვლენას და ქმნის დაწყებული ეკონომიკური ინიციატივის მდგრადი განვითარების წინაპირობებს. ჩვენს მიერ სისტემურად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული თანამედროვე მეცნიერების მიერ ბოლო წლებში სხვადასხვა სფეროებზე სოციალური კაპიტალის დადებითი გავლენის მასშტაბი, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს როგორიცაა ტურისტული დანიშნულების ადგილების მართვა, ფერმერული ბიზნესი, ბუნებრივი რესურსების, ლანდშაფტის ესთეტიური ღირებულებისა და მართვის პროცესი, სოფლის მეურნეობის, სოფლის განახლებისა და ურბანიზაციის პროექტები. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სოციალური კაპიტალის ემპირიული ინდიკატორები გაზომვა და ეკონომიკურ მოდელში ინტეგრირება განსაკუთრებით მომგებიანი იქნება ქვეყნის რეგიონებში ისეთი კომპლექსური პროექტების განხორციელებისთვის, რომელიც არსებული რესეურსების, მათ შორის არსე-

[1] https://gss.norc.org/
[2] https://www.worldvaluessurvey.org/wvs.jsp
[3] https://www.diw.de/de/diw_01.c.412809.de/presse/glossar/sozio_oekonomisches_panel_soep.html

ბული სოციალულრი კაპიტალის მაქსიმალურ მობილიზებას და ადგილობრივი სამეწარმეო პოტენციალის განვითარებას შეუწყობს ხელს (Wang et al., 2020). ასეთი პროექტებია ტურისტული კლასტერები, რეგიონებში მეწარმეობის განვითარებისა თუ მდგრადი ურბანული სივრცითი განვითრების პროექტები, სადაც ამა თუ იმ ადგილობრივი სოციალური ჯგუფებში არსებული სოციალური კაპიტალის რესურსი ოპტიმალურად მოერგება პროექტის სტრატეგიული მართვის პროცესს. რეკომენდაცია, რომელიც ჩატარებული მოკვლევის შემდეგ გამოიკვეთა, მდგომარეობს კვლევითი ექსპერიმენტის ინიცირების გეგმაში, რომელიც თავის არსით არის ინოვაციური, თანხვედრაშია სამეწარმეო უნივერსიტეტის განვითარების და კვლევის სისტემურ მოდელთან (Gagnidze, 2018) და მიზნად ისახავს სოციალური კაპიტალის ემპირიული ინდიკატორების გაზომვას. მიზანშეწონილია საველე ექსპერიმენტი ჩატარდეს საქართველოში, კახეთის რეგიონში, კვლევის ობიექტად კი განისაზღვროს აგრარული სამრეწველო სექტორი. კერძოდ აგრარული პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და კომერციალიზაციის შესაძლებლობების კვლვევის მიზნით 8 მუნიციპალიტეტში მოხდება ადგილობრივი მეწარმე ფერმერების შერჩევა, დაჯგუფება და საველე ექსპერიმენტის განხორციელება.

მიზანშეწონილია თამაშის დიზაინს დაემატოს ისეთი კომპონენტები, რომელიც ხელს შეუწყობს მიზნობრივ სოციალურ ჯგუფებში არსებული სოციალური კაპიტალის კომპონენტებისა და მათი კომბინაციების გამოთვლას. მაგალითად, ასეთი თამაშები მოიცავს ტესტს ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა რისკის მიმართ დამოკიდებულება. დროთი პრეფერენციები, ალტრუიზმი. მსგავსი თამაშის დიზაინი ასევე შესაძლებელია დაჯგუფდეს კითხვარებთან რაც ხელს შეუწყობს ხარისხობრივი კვლევის რაოდენობრივ ჭრილში ტრანსფორმაციას. ამასთან, ემპირიული ინდიკატორები უნდა დაწყვილდეს რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ სამეწარმეო პროექტებთან პილოტირების რეჟიმში და მოეწყოს მდგრადობის ინდიკატორებზე შემდგომი დაკვირვება.

ლიტერატურა:

1. Gagnidze, I. (2018), The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development (Systemic Approach), Kybernetes. Vol. 47 Issue: 2, pp. 409-424. https://doi.org/10.1108/K-03-2017-0114
2. Tepnadze M, (2020), Agriculture and Rural Development Policies and Institutional frameworks, Proposed Mapping for Wine tourism in Georgia, Proceedings of the 9th International Scientific Conference Rural Development, Issued: Research and Innovation for Bio economy. DOI: http://doi.org/10.15544/RD.2019.075
3. Wang, Ch., Deyu X., Yi, Y. The Impact of Social Capital on University Students' Entrepreneurial Opportunity Recognition (January 2020, DOI:10.2991/aebmr.k.201211.092, Conference: Fifth International Conference on Economic and Business Management (FEBM 2020)
4. De Vries, W.T. & Voß, W. 2018. Economic versus Social values in land and property management: Two sides of the same coin? *Raumforsch Raumordn Spat Res Plan (2018)* 76:381–394. DOI:10.1007/s.13147-018-0557-9
5. Scott, A. 2003. Assessing public perception of landscape: From practice to policy. *Jounrnal of Environmental policy and planning. 5:2,* 123-144, DOI: 10.1080/1523908032000121193
6. Soulard, J, Knollenberg, W., Boley, B.B. Perdue, R.R. McGehee, N.G. 2018. Social capital and destination strategic planning. *Elsevier, Tourism Management 69, 169*-200. DOI: 10.1016/j.tourman.2018.06.011

7. Putnam, R.D. 2000. Bowling alone: The Collapse and revival of Americal community, *Simon and Schuster, New York.* URL: https://www.socialcapitalgateway.org/content/book/putnam-r-d-2000-bowling-alone-collapse-and-revival-american-community-new-york-simon-sc
8. Auer, A., Von Below, J., Nahuelhual, L., Mastrangelo, M., Gonzalez, A., Gluch, M., Vajellos, M., Staiano, L., Laterra, P., Paruelo, J. 2020. Role of Social Capital and collective actions in Natural capital conservation and management. *Elsevier, Environmental Science and Policy 107,* 168-178. DOI: 10.1016/j.envsci.2020.02.024
9. Cardenas C.J., & Carpenter, J. 2008. Behavioural Development Economics: Lessons from Field Labs in the Developing World. *The Journal of Development Studies, 44:3,* 311-338, DOI: 10.1080/00220380701848327
10. Cofre-Bravo, G., Klerkx, L., Engler, A. 2019. Combinations of bonding, bridging, and linking social capital for farm innovation: How farmers configure different support networks. *Elsevier, Journal of Rural Studies 69 (2019)* 53-64. DOI: 10.1016/j.jrurstud.2019.04.004
11. Villalonga- Olives, E., Adams, I., Kawachi, I. 2016. The development of a bridging social capital questionaire for use in population health research. *Elsevier, SSM- Population Health 2(2016),* 613-622. DOI: 10.1016/j.ssmph.2016.08.008
12. Fitzsimons E., Rodríguez-Lesmes P., Stein D. Et al. Building social capital: Poor impacts or poor measurements? working paper, *El Colegio de México*. 2019. 17 URL: https://sistemas.colmex.mx/Reportes/ LACEALAMES/LACEA-LAMES2019_paper_257.pdf
13. Soulard, J, Knollenberg, W., Boley, B.B. Perdue, R.R. McGehee, N.G. 2018. Social capital and destination strategic planning. *Elsevier, Tourism Management 69, 169*-200. DOI: 10.1016/j.tourman.2018.06.011
14. Gallent, N. 2015. Bridging social capital and resource potential of second homes:Case of Stintino, Sardinia. *Elsevier, Journal of Rural Studies 38*, 99-108. DOI: 10.1016/j.jrurstud.2015.02.001
15. Bae, S.M. 2020. Relationship between social capital, acculturative stress and depressive symptoms in multicultural adolescents: Verification using multivariate latent growth modeling. *Elsevier, International Journal for International Relations 74*, 117-135. DOI: 10.1016/j.ijintrel.2019.11.007
16. Bin, W., Linghui, L., Carter, C.J. 2019. Bridging social capital as a resource for rural revitalization in rural China? A survey of community connection of university students with home villages, *Elsevier, Journal of Rural Studies.* DOI: 10.1016/j.jrurstud.2019.05.008
17. Rivera, M., Knockel, K., Diaz-Puente, J.M., Afonso, A. 2018. The role of social capital in agriculture and rural development: Lessons learnt from case studies in eight countries. *Sociologia Ruralis*, DOI: 10.1111/soru.12218
18. Putnam, R.D. 2000. Bowling alone: The Collapse and revival of Americal community, *Simon and Schuster, New York.* URL: https://www.socialcapitalgateway.org/content/book/putnam-r-d-2000-bowling-alone-collapse-and-revival-american-community-new-york-simon-sc
19. Nenadovic, M., Epstein, G. 2016. The relationship of social capital and fishers' participation in multi-level governance arrangements. *Elsevier, Envirnmental Science and Policy 61* (2016) 77-86. DOI: 10.1016/j.envsci.2016.03.023
20. MacGillivray, A. 2018. Leadership as practice meets knowledge as flow: Emerging perspectives for leaders in knowledge-intensive organizations. *Journal of Public Affairs. 2018;18: e1699.* DOI: 10.1002/pa.1699
21. Pasakarnis, G., Maliene, V., Dixon-Gough, R., Malys, N., 2020. Decision support framework to rank and prioritize the potential land areas for comprehensive land consolidation. *Elsevier, Land Use Policy 100*.DOI: 10.1016/j.landusepol.2020.104908

22. Fehr, E. 2009. On the economics and biology of trust. *Journal of the European Economic Association*, 7(2-3):235-266. DOI: 10.1162/JEEA.2009.7.2-3.23
23. სამოქალაქო საზოგადოება: ფონდ ევრაზიის გრანტის C97-0124 საფუძველზე / [რედ.: ლევან ბერძენიშვილი და გიგა ბოკერია] ; სამოქალაქო განვითარების საერთაშ. ცენტრი – თბ., 1998

Economic VS Social Values in Entrepreneurial Policy

Matsatso Tepnadze
PhD candidate in Economics at TSU,
Affiliated Associate Professor in Economics at Caucasus School of Business at the CU

SUMMARY

Insights in social-economic developments suggest that enhancing the economic benefits of rural development is not necessarily a conditional requirement to enhance domestic resource mobilization, as this contains also social aspects. Hence, a critical assessment of the conditions under which development initiatives can be beneficial socially is necessary. The aim of this article is to identify what sort of values and qualitative indicators should be employed to measure the social dimension of large scale entrepreneurial projects, and to assess whether with such indicators one can optimize analytical tools in decision making process. we induce how one can apply game applications of experimental economics to measure empirical indicators of social capital. Hence, if we apply games as a way to explore scenarios we are better able to address sustainable solutions in rural development sector.

სტრატეგიული დაგეგმვისა და სტრატეგიული მენეჯმენტის არსის მართებულად გაგებისათვის

მირონ ტუღუში
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო კვლევებში, მათ შორის სახელმძღვანელოშიც კი გვხვდება „სტრატეგიული მენეჯმენტისა“ და „სტრატეგიული დაგეგმვის“ ცნებების მნიშვნელოვნად განსხვავებული, ზოგჯერ დაუსაბუთებელი განმარტებებებიც, რაც სათანადო შეფასებას საჭირობს. მაგალითად, ცნობილი ავტორები ფრედ რ. დევიდი და ფორესტ რ. დევიდი მათ მიერვე შექმნილ სახელმძღვანელოში – „სტრატეგიული მენეჯმენტი“ აღნიშნულია, რომ „ტერმინს – „სტრატეგიული მენეჯმენტს“ ამ წიგნში სტრატეგიული დაგეგმვის სინონიმად ვიყენებთო“(3,გვ.41). საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა სტრატეგიული მენეჯმენტის უმიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომელიც სტრატეგიის ფორმულირებით შემოიფარგლება და ის სტრატეგიული მენეჯმენტის მთელ პროცესს (სტრატეგიის ჩამოყალიბება, სტრატეგიის დანერგვა-განხორციელება და სტრატეგიის შეფასება) არ მოიცავს. ამიტომ, აღნიშნული ცნებების იდენტურ ცნებებად გამოცხადება მიუღებელია. სამწუხაროდ, ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში დასაბუთებული არაა ავტორებმა, თუ რის საფუძველზე გააკეთეს ასეთი დასკვნა. ისიც ფაქტია, რომ სახელმძღვანელოს ავტორები, როცა მენეჯმენტის ფუნქციებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის ელემენტების ურთიერთმიმართებას განიხილავენ სამართლიანად აღნიშნავენ, რომ სტრატეგიის ფორმულირება „დაგეგმვის“ ფუნქციას შეესაბამება, სტრატეგიის იმპლემენტაცია – „ორგანიზების“, „მოტივაციისა“ და „პერსონალის მართვის“ ფუნქციებს, სტრატეგიის შეფასება კი „კონტროლის“ ფუნქციას და ეს ყველაფერი საფუძვლიანადაა არგუმენტირებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი „სტრატეგიულ დაგეგმვისა“ და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ ცნებებს შორის არსებულ განსხვავებებს სრულად აცნობიერებენ და მათი ზემოაღნიშნული „იდენტურობა“ საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილია და გაუგებრობას იწვევს.

საკვაძო სიტყვები: *სტრატეგიული მენეჯმენტი, სტრატეგიული დაგეგმვა, მენეჯმენტის ფუნქციები, სტრატეგიის ფორმულირება, იმპლემენტაცია და შეფასება.*

თანამედროვე პირობებში კომპანიების სწრაფი ტემპით განვითარება დიდადაა დამოკიდებული სტრატეგიული მენეჯმენტის ყველა საბაზო ფუნქციის წარმატებულად განხორციელებაზე, ზოგადად კი მართვის ეფექტიანობის ამაღლებაზე. სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიული მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რომლის დროსაც მრავალი ალტერნატივიდან შეირჩევა, სამომავლოდ, ორგანიზაციისათვის ყველაზე უფრო მისაღები ხედვის, მისიისა და მიზნების საუკეთესო ნაკრები, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება კომპლექსური გეგმა. თუ მარტივად ვიტყვით, სტრატეგიული დაგეგმვა ოპტიმალური სტრატეგიული გეგმის ფორმულირებას, სტრატეგიული მენეჯმენტი კი მასთან ერთად, აღნიშნული გეგმის რეალიზაცია-დანერგვასა და შეფასებას გულისხმობს. ოპტიმალური სტრატეგიული გეგმის შედგენა მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ მისი რეალიზაციის პროცესი სათანადოდ არ წარიმართება საერთო წარმატება ვერ მიიღწევა.

ამიტომაც არის, რომ უკანასკნელ ხანს მენეჯმენტის (მართვის), მათ შორის სტრატეგიული მენეჯმენტისადმი ყურადღება მნიშნელოვნად გაიზარდა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან მეტად გართულდა ორგანიზაციების შიგა და გარე გარემო, მზარდი და ინტენსიური ცვლილებების ეპოქაში მეტ ყურადღებას საჭიროებს ერთი მხრივ, შესაძლებლობებისა და საფრთხეების, მეორე

მხრივ კი, ძლიერი და სუსტი მხარეების კვლევა და შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება. ამ ფონზე მენეჯმენტის (მართვის), მათ შორის სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის სწორად გააზრება დიდ მნიშვნელობას იძენს და ამა თუ იმ სფეროს ორგანიზაციის ეფექტიანი საქმიანობის ანგარიშგასაწევი ფაქტორი ხდება.

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში, მენეჯმენტის ფუძემდებლების ფ. ტეილორის, ა. ფაიოლის, ასევე ცნობილი ავტორების ი. ანსოფის, მ. მესკონის, მ. ალბერტის, ფ.ხედოურის, რ. დაფტის და სხვების მიერ ფორმულირებული მენეჯმენტის მრავალი ფუნქცია, გაერთიანდა – გამსხვილდა და მივიღეთ ოთხი საბაზო ფუნქცია: **დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია და კონტროლი.** რამდენიმე ათეული წლის წინ გამოცემულ მენეჯმენტის სახელმძღვანელოებში (რ. დაფტი, ასევე, ს. რობინსისა და მ. კოულტერის „მენეჯმენტი", და სხვ.) მოტივაციის ფუნქცია ფორმალურად სხვა ფუნქციით – „ლიდერობით", „ხელმძღვანელობით", „პერსონალის მართვით" ჩაანაცვლეს, თუმცა, ამის მიუხედავად „მოტივაციის საკითხებს", მისი უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო, გვერდი მაინც ვერ აუარეს. ფრედ რ. დევიდი, და ფორესტ რ. დევიდი სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმღვანელოში დაგეგმვას, ორგანიზებას, მოტივაციასა და კონტროლს საბაზო ფუნქციებად აღიარებენ, მაგრამ მათთან ერთად, მეხუთე საბაზო ფუნქციად პერსონალის მართვასაც ასახელებენ. ჩვენ, 2015 წელს გამოცემულ სტატიაში (ტუღუში მ., 4) შევეცდეთ დაგვესაბუთებინა მენეჯმენტის საბაზო ფუნქციებში მოტივაციის ფუნქციის შენარჩენებისა და „ლიდერობის" როგორც ეფექტიანი მენეჯმენტის საერთო საფუძვლად აღიარების მართებულობა და მასზე აღარ შევჩერდებით. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მართვის პროცესის ეფექტიანად წარმართვა, მართვის მეთოდებსა და პრინციპებთან ერთად, ყველა ზემოჩამოთვლილი ფუნქციის სრულად განხორციელებას და არა ერთი რომელიმე ფუნქციისთვის (მაგალითად, დაგეგმვისათვის) უპირატესობის მინიჭებას და სხვა ფუნქციების დაკნინებას ან საერთოდ უგულვებელყოფას გულისხმობს. ასეთი განცდის საფუძველს ქმნის ცნობილი ავტორების **ფრედ რ. დევიდისა და ფორესტ რ. დევიდის** სახელმძღვანელოს – **„სტრატეგიული მენეჯმენტის"** (ქართულენოვანი თარგმანი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, თსუ-ს გამომცემლობა, 2017) ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება: **„ტერმინს – სტრატეგიული მენეჯმენტი – ამ წიგნში სტრატეგიული დაგეგმვის სინონიმად ვიყენებთ. ის უფრო ხშირად იხმარება ბიზნესწრეებში, ხოლო პირველი კი – აკადემიურ სამყაროში". ზოგჯერ სტრატეგიული მენეჯმენტი სტრატეგიის ჩამოყალიბების, განხორციელების და შეფასების პროცესის აღსანიშნავად გამოიყენება, ხოლო სტრატეგიული დაგეგმვა კი მხოლოდ სტრატეგიის ჩამოყალიბებას გულისხმობს"** (ფრედ რ. დევიდი და ფორესტ რ. დევიდი, 3, გვ.41). პირდაპირ შეიძლება ითქვას, ასეთი მოსაზრებები, სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე, ბევრ კითხვას ბადებს: ჯერ ერთი, გაუგებარია მკვლევარები და ბიზნესის წარმომადგენლები „სტრატეგიული მენეჯმენტისა" და „სტრატეგიული დაგეგმვის" ტერმინებს სინონიმებად რატომ განიხილავენ, მეორე, აკადემიურ წრეებში ტერმინი „სტრატეგიული დაგეგმვა" იშვიათად გამოიყენება?; მესამე, სტრატეგიული მენეჯმენტი სტრატეგიის ჩამოყალიბების, განხორციელების და შეფასების აღსანიშნავად ზოგჯერ გამოიყენება?. სანამ აღნიშნულ საკითხებზე ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელოს ავტორები **ფრედ რ. დევიდი და ფორესტ რ. დევიდი** ამავე გვერდზე, ჩვენი აზრით, სრულიად მართებულად აღნიშნავენ, რომ „სტრატეგიული მენეჯმენტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც კვეთფუნქციური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების, განხორციელებისა და შეფასების ხელოვნება და ამავდროულად, მეცნიერება, რომელიც ორგანიზაციას მიზნების მიღწევის შესაძლებლობას აძლევს. იგი მოწოდებულია ორგანიზაციული წარმატების მიღწევის მიზნით ერთმანეთს მოარგოს მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები და აღრიცხვა, წარმოება და ოპერაციები, კვლევები, განვითარება და საინფორმაციო სისტემები.. . სტრატეგიული მენეჯმენ-

ტის არსი კონკურენტული უპირატესობის მოპოვებასა და მის შენარჩუნებაში მდგომარეობს“ (ფრედ რ. დევიდი და ფორესტ რ. დევიდი, 3, გვ. 41).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს 220-ე გვერდზე მოტანილ 6.3 ცხრლში, როცა **ფრედ რ. დევიდი და ფორესტ რ. დევიდი** მენეჯმენტის ფუნქციებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის ელემენტების ურთიერთმიმართებას განიხილავენ, აღნიშნავენ, რომ სტრატეგიის ფორმულირება „დაგეგმვის“ ფუნქციას შეესაბამება, სტრატეგიის იმპლემენტაცია – „ორგანიზების“, „მოტივაციისა“ და „პერსონალის მართვის“ ფუნქციებს, სტრატეგიის შეფასება კი „კონტროლის“ ფუნქციას და ეს ყველაფერი საფუძვლიანადაა არგუმენტირებული. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი სრულად აცნობიერებენ „სტრატეგიულ დაგეგმვისა“ და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ ტერმინებს შორის არსებულ განსხვავებებს, რაც „სტრატეგიული დაგეგმვისა“ და „სტრატეგიული მენეჯმენტის“ სინომიმებად, იდენტურ ცნებებად განხილვის მცირე შესაძლებლობასაც კი გამორიცხავს. აღნიშნულ საკითხებზე საინტერესოა მსოფლიოში ცნობილი ავტორების მოსაზრებები.

ს. რობინსი და მ. კოულტერი იზიარებენ მოსაზრებას, რომ „სტრატეგიული მენეჯმენტი არის ის, რასაც მენეჯერები მიმართავენ ორგანიზაციების სტრატეგიების განსავითარებლად. ეს მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის ყველა საბაზო ფუნქციას-დაგეგმვას, ორგანიზებას, ლიდერობასა და კონტროლს. რა არის სტრატეგიები? ესაა გეგმები, როგორ წარიმართოს ორგანიზაციის საქმიანობა, რა სახეობის ბიზნესსაც არ უნდა ეწეოდეს; როგორ განახორციელოს კონკურენცია წარმატებით და როგორ მოიზიდოს და დააკმაყოფილოს მომხმარებელი, რომ თავის მიზნებს მიაღწიოს“. (რობინსი ს, და კოულტერი მ, 2, გვ.289).

ტომპსონისა და სტრიკლენდის აზრით სტრტეგიული მენეჯმენტი 5 ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას მოითხოვს, ესენია: 1. სტრატეგიული ხედვისა და მისიის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ხანგრძლივი პერიოდისათვის კომპანიის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა; 2. სტრატეგიული მიზნების ფორმულირება; 3. სტრატეგიების დამუშავება; 4. სტრატეგიების დანერგვა-რეალიზაცია; 5. შედეგების შეფასება, ხედვებისა და მიზნების კორექტირება. საკუთრივ სტრატეგიული დაგეგმა კი გულისხმობს პირველი სამი ამოცანის გადაწყვეტას, ანუ 1. სტრატეგიული ხედვისა და მისიის განსაზღვრას; 2. სტრატეგიული მიზნების ფორმულირებას; 3. სტრატეგიების დამუშავებას (Томпсон А, Стрикленд А, 8, გვ.35);

მესკონის, ალბერტის და ხედოურის მიხედვით სტრტეგიული დაგეგმვა ესაა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ დამუშავებული სპეციფიური სტრატეგია, კომპლექსური გეგმა, კომპლექსური პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულია ორგანიზაციის მისია და მიზნები (Мескон М., Альберт М., Хедоури Ф., 5, გვ. 256-258).

რობერტ ბ. და ჯენეტ ვ. დენჰარტების აზრით სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზაციას გარემოს სავარაუდო მოთხოვნებისადმი საკუთარი მიზნებისა და შესაძლებლბების მორგებასა და ამ მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმის შექმნაში ეხმარება. მათი აზრით სტრატეგიული დაგეგმვის საფეხურებია: 1. მისიის განსაზღვრა; 2. გარემოს ანალიზი; 3.ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; 4. ორგანიზაციის ლიდერების ფასეულობები; 5. ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავება (დენჰარტი რ, დენჰარტი ჯ, 1, გვ.300)

რ. დაფტი: სტრატეგიული მენეჯმენტი ესაა სტრატეგიის ფორმულირებისა და დანერგვის მიზნით მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ნაკრები, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს გარე გარემოში კომპანიის საუკეთესო კონკურენტული მდგომარეობა და დასახული მიზნების მიღწევა (Дафт Р., 6, გვ.241).

„სტრატეგიული მენეჯმენტის“ და „სტრატეგიული დაგეგმვის“ ზემოაღნიშნული განმარტებებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მათი იდენტურ ცნებებად განხილვა მიუღებელია, რადგან ყველა

მათგანში (განმარტებაში) ნათლად ჩანს, რომ „სტრატეგიული დაგეგმვა“ სტრატეგიის ფორმულირებით შემოიფარგლება, „სტრატეგიული მენეჯმენტი“ კი, სხვასთან ერთად, სტრატეგიის დანერგვას, შეფასებას და მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებასაც გულისხმობს.

დასკვნის სახით გვსურს კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულად ვეთანხმებით ფრედ რ. დევიდისა და ფორესტ რ. დევიდის მიერ მათივე სახელმძღვანელოში 220-ე გვერდზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სტრატეგიის ფორმულირება „დაგეგმვის“ ფუნქციას შეესაბამება, სტრატეგიის იმპლემენტაცია და შეფასება კი მენეჯმენტის სხვა საბაზო ფუნქციებს, კერძოდ, კი როგორიცაა: „ორგანიზება“, „მოტივაცია“ და „კონტროლი“, რაც, ნებისმიერ კონტექსტში, „სტრატეგიული მენეჯმენტისა“ და „სტრატეგიული დაგეგმვის“ იდენტურ ცნებებად განხილვის შესაძლებლობას სრულად გამორიცხავს. დასანანია, რომ ასეთ საინტერესო და მრავალი სიახლის შემცველ სახელმძღვანელოში, ჩვენი აზრით, ასეთი პრინციპული ხასიათის უზუსტობა გაიპარა. აქვე დავძენთ, რომ აკადემიურ წრეებში ტერმინი „სტრატეგიული დაგეგმვა“ საჭიროებისამებრ გამოიყენება (და არა იშვიათად), სტრატეგიული მენეჯმენტი კი სტრატეგიის ჩამოყალიბების, განხორციელების და შეფასების აღსანიშნავად ყოველთვის გამოიყენება და არა ზოგჯერ, როგორც ეს აღნიშნულია დევიდების ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში. ზემოაღნიშნული ცნებების „იდენტურობის“ დაშვება ან საფუძვლიან ახსნა-განმარტებებს საჭიროებს (რაც ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია), ან კიდევ მის უარყოფას, რითაც ყოველგვარი გაუგებრობა მარტივად მოიხსნება.

ლიტერატურა:

1. **რობერტ ბ. დენჰარტი, ჯენეტ ვ. დენჰარტი,** (2012), **საჯარო მართვა,** მოქმედების კურსი (დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოს წიგნის თარგმნის პროგრამის მიერ, გამოსცა ილიას სახელობის უნივერსიტეტმა);
2. **ს. რობინსი, მ. კოულტერი,** (2019), **მენეჯმენტი,** (სახელმძღვანელო ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტის ფარგლებში და გამოსცა ამავე უნივერსიტეტის გამომცემლობამ);
3. **ფრედ რ. დევიდი, ფორესტ რ. დევიდი,** (2017) **სტრატეგიული მენეჯმენტი,** (სახელმძღვანელო ინგლისურიდან ქართულად ითარგმნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სახელმძღვანელოების თარგმნის პროექტის ფარგლებში და გამოსცა ამავე უნივერსიტეტის გამომცემლობამ;
4. **ტუღუში მ,** (2015), **marTvis funqciebis marTebulad gagebisaTvis,** სტატია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებულში: „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. თბ., 10-11 ივლისი;
5. **Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф**. ,(2005), **Основы менеджмента**: пер. С англ. Под ред. Л.И. Евенко. – М., Дело;
6. **Ричард Л. Дафт**, (2008) **Менеджмент.** Питер, **Стивен Робинз, Мери Коултер**, (2007) **Менеджмент.** Москва, Санкт-Петербург-Киев,
7. **St. P.Robbins, Mary Coulter**, (2014),**Management.** Twelfth Edition, eleqtronuli versia.
8. **Томпсон – АА.А. мл.,. Стрикленд А. Дж Ш.** (2006) ., **Стратегический Менеджмент**., Москва- Санкт Петербург-Киев,

For Correctly Understanding of the Essence of Strategic Planning and Strategic Management

Miron Tugushi
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

Strategic planning is the most significant function of strategic management, during which from many alternatives is selected the best set of vision, mission and goals which should be the most acceptable for the organization , on the basis of which a complex plan will be formed. Strategic management also considers its realization-implementation and evaluation along with planning.

It is known that during some time, many of the functions of management formulated by the founders of management F. Taylor, A. Fayoli, as well as famous authors I. Ansof, M. Meskoni, M. Alberti, F. Khedouri, R. Dafti and others have been combined and expanded to form the four basic functions: planning, organizing, motivating, and controlling. In the scientific literature, there are attempts to replace the function of "motivation" with "leadership" and "Guidenance" (Daft, Robbins and others), but none of the authors could justify the need to ignore the real essence of motivation. The basis of such a feeling is created by famous authors Fred R. David and Forrest R. David .The opinion expressed on page 41 of David's textbook – "Strategic Management": "We use the term – strategic management – in this book as a synonym for strategic planning." It can be said directly, such opinions without proper explanation are unacceptable and raise many questions.

Here it should also be said that in Table 6.3 placed on page 220 of the above-mentioned manual, when Fred R. David and Forrest R. David discusses the relationship between management functions and elements of the strategic management process, noting that strategy formulation corresponds to the "planning" function, strategy implementation corresponds to the "organizing", "motivation" and "personnel management" functions, and strategy evaluation corresponds to the "control" function and all this is thoroughly argued, which we fully agree with. The differences between the terms "strategic planning" and "strategic management" are recognized and shared by world-famous authors (Robbins, Coulter, Thompson, Strickland, Mescon, Albert, Khedour, and others.)

In conclusion, it should be said that assuming the identity of the above-mentioned concepts requires either thorough explanations (which is impossible by our opinion), or even needs its denial, thus all misunderstandings will be easily removed.

მიგრაციული პროცესები საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში

მირიან ტუხაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო მუნივერსიტეტის პროფესორი

XX საუკუნის პირველი ნახევარი გამოირჩევა საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის დიდი ინტენსიურობითა და შედეგიანობით. ამ პერიოდში მოხდა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირება და დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ გრანდიოზული სოციალური გარდაქმნები, დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია და ინტენსიური იმიგრაციული პროცესების განვითარება. იმავდროულად, მიმდინარეობდა ურბანიზაცია, ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოხდა საომარი მოქმედების ზონებიდან მოსახლეობის მასობრივი ჩამოსახლება და ცნობილი დეპორტაციები, გერმანელებისა და „თურქი მესხების" გადასახლებაყაზახეთსა და შუა აზიაში. მათ ადგილზე საქართველოს მთიანი რეგიონების მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება; ჩრდილოეთ კავკასიიდან დეპორტირებული ხალხის სამშობლოს ნაწილის საქართველოს საზღვრებში მოქცევა და ახლად შექმნილ ქლუხორისა და ახალხევის რაიონებში ქართველ მთიელთა ჩასახლება, მიგრაციული პროცესების გავლენით მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურა;შემცირდა ძირითადი ეთნოსების – ქართველებისა და აფხაზების წილი და გაიზარდა დიასპორათა, განსაკუთრებით, რუსების ხვედრითი წონა. XX საუკუნის პირველი ნახევარი შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს მოსახლეობის ფორმირებაზე მიგრაციის ძლიერი ზეგავლენის მნიშვნელოვან პერიოდად.

საკვანძო სიტყვები: *მიგრაცია, მოსახლეობა, ეროვნება, საქართველო.*

ჩვენი მიზანია მოსახლეობის აღწერებისა და მიგრაციის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ლოგიკური და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაანალიზდეს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის გადაადგილებათა გამომწვევი მიზეზები და დემოგრაფიული შედეგები XX საუკუნის პირველ ნახევარში. ისტორიის ეს მონაკვეთი გაჯერებულია დიდი ისტორიული მოვლენებით, მსოფლიო და სამოქალაქო ომებით, აღმშენებლობითა და ნგრევით, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმებით, მასშტაბური დეპორტაციებით, ომების შედეგად მოსახლეობის მასობრივი განადგურებით, ორგანიზებულ გადასახლებათა მაღალი ინტენსიურობით, დემოგრაფიული გადასვლის ფაზათა მონაცვლეობით, განსახლების სისტემის ტრანსფორმაციის მაღალი ტემპით.

აღნიშნული პერიოდის ინფორმაციული წყაროები მოსახლეობის ტერიტორიულ გადაადგილებათა შესახებ არცთუ მდიდარია. ანალიზისას გამოყენებულია 1897, 1926, 1939, 1959წწ. ჩატარებული საყოველთაო აღწერების მასალები, 1900-1917წლებში ყოველწლიურ გამოცემა „კავკასიის კალენდარში" არსებული მასალა, აგრეთვე, ცალკეულ მკვლევართა ნაშრომები.

შესასწავლი პერიოდის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის შედარებით უკეთ გააზრების მიზნით შევეცადეთ, მოგვეხდინა მიგრაციული პროცესების პერიოდიზაცია. ამას საფუძვლად დავუდეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საქართველოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების მკვეთრი ცვლილებები, რაც, ფაქტობრივად, განსაზღვრავდა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის მიმართულებებსა და ინტენსიურობას. რასაკვირველია, მოცემული

პერიოდიზაცია გარკვეული პირობითობის მატარებელია, მაგრამ მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის ისტორიულ პლანში გააზრებისათვის შეიძლება მისაღებად მივიჩნიოთ. ეს პერიოდებია: 1)პირველი მსოფლიო ომის წინა წლები;2)პირველი მსოფლიო ომის, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსა და საბჭოთა წლების პირველი არასტაბილური პერიოდი;3)მეორე მსოფლიო ომის წინა სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდი; 4) მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი აღდგენითი პერიოდი.

<u>პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდი.</u> ამ დროს ეკონომიკა შედარებით სტაბილურად ვითარდება. სტოლიპინის ცნობილმა აგრარულმა რეფორმებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა სოფლად კაპიტალიზმის განვითარებაზე, სწრაფად მატულობდა სოფლის მოსახლეობა. დაიწყო ცენტრალური რუსეთიდან მოსახლეობის ორგანიზებული გადასახლება პერიფერიებში. ამ დროს საქართველოში ძლიერდება როგორც იმიგრაციული, ისე ემიგრაციული პროცესები. საქართველოში გაიზარდა ბუნებრივი მატება, მათ შორის, მთიანეთში, ამ რეგიონების დემოგრაფიული გაჯერების მაჩვენებელმა პიკს მიაღწია. მაგალითად, 1897-1910 წწ. რაჭის მოსახლეობა 25,5 ათასით გაიზარდა და 85,8 ათასსმიაღწია(2014 წელს ამ რეგიონის მოსახლეობა არ აღემატებოდა 15,3 ათას კაცს). ამ შეზღუდული ბუნებრივი რესურსების მქონე რეგიონიდან მეტად ინტენსიური გახდა მიგრაციული პროცესები, როგორც საქართველოს ბარში, ისე მის გარეთაც, შავი ზღვის გუბერნიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში. მთის დემოგრაფიული ტევადობისა და ამით გამოწვეულმა მიგრაციის საკითხმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს მიიქცია ილია ჭავჭავაძის ყურადღება(ჭავჭავაძე. ი. 1981;გვ.301-304). ხოლო ვაჟა- ფშაველა XX საუკუნის დასაწყისში უშუალო მოთავე გახდა აღმოსავლეთ მთიანეთიდან შირაქის აუთვისებელ ნოყიერ მიწებზე მოსახლეობის ჩამოსახლებისა. 1910 წლისათვის ზემო ქედსა და ქვემო ქედში 3265 მცხოვრები იყო(ვაჟა-ფშაველა, 1959).

პირველი მსოფლიო ომისწინა პერიოდში გრძელდებოდა საქართველოში კოლონიზაციის პროცესი, მოსახლეობის შესვლა გარედან, რაც, ნაწილობრივ, დაკავშირებული იყო ეკონომიკის შედარებით სწრაფ ზრდასთან და ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებასთან, 1897-1914 წწ. თბილისის მოსახლეობა 180 ათასიდან 345 ათასამდე გაიზარდა, ქუთაისისა -33 ათსიდან 58 ათასამდე, სოხუმისა -8 ათასიდან 17 ათასამდე, ბათუმისა – 29 ათასიდან 39 ათასამდე (Кавказский календарь на1915 год. 1914. с.189-281). ეს იმანაც განაპირობა, რომ განხილულ პერიოდში სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობამ დიდი ტემპით იმატა და გაჩნდა ე.წ. აგრარული ჭარბმოსახლეობა.

<u>პირველი მსოფლიო ომის, დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსა და გასაბჭოების პირველი წლები.ეს</u> პერიოდი ხასიათდება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობით. ბუნებრივია, ეს მიგრაციულ ვითარებაზეც აისახა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თურქეთში მომხდარი სომეხთა გენოციდი. საყოველთაო დარბევებმა 1,5 მლნ სომეხი იმსხვერპლა. ლტოლვილთა დიდი ნაკადი მოაწყდა საქართველოს. როგორც მკვლევრები ანგარიშობენ, მაშინ საქართველოს 60-80 ათასამდე დევნილი მოაწყდა (თეთვაძე შ, თეთვაძე ო.1997.გვ.90-91). ამავე პერიოდში საქართველოდან გავიდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონიდან ახლად შემოსული მოსახლეობა. 1914-1917წწ. საქართველოს ტერიტორიის გარემიგრაციული სალდო უარყოფითი გახდა (ჯაოშვილი ვ., 1984. გვ.97).

რუსეთის იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ეკონომიკის მოშლისა და სოციალური ვითარების უკიდურესი დამძიმების პირობებში ემიგრაციული პროცესების ინტენსიურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოსახლეობის ის ნაწილი, ვისი სამშობლოც რუსეთი იყო, გაემართა თავისი ისტორიული სამშობლოსკენ. ემიგრაციის შედეგი განსაკუთრებით ქალაქებს დაეტყო. როგორც პ. გუგუშვილი მიუთითებს, აღნიშნულპერიოდში თბილისის მოსახლეობა 100 ათასით შემცირდა.(გუგუშვილი პ.,1973. გვ.168). იმდროინდელი ანალიტიკოსი გ. ფერაძე მიმოიხილავს 1917 წლის მოსახლეობის აღწერის ინფორმაციას, თბილისის მოსახლეობის ეთნოს-

ტრუქტურას და აღნიშნავს, რომ ამ ქალაქში მცხოვრებთაგან მხოლოდ მეოთხედი (25,3%) აღმოჩნდა ქართველი, მათზე მეტი იყო რუსი (28,1%) და სომეხი (33,7%). იგი წერს, რომ „მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ისინი, ვინც ორგანულად არ იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან -გაიფანტნენ. პირიქით, დღიდან საქართველოს სახელმწიფოს გამოცხადებისა, თავი მოიყარა აუარებელმა ქართველობამ, რომელიც ამიერიდან ჩაებაპოლიტიკურ ცხოვრებაში და შეუდგა სახელმწიფოს შენებას ამ სახელმწიფოს ცენტრში" (ფერაძე გ,1921, გვ. 26).

პოლიტიკური ვითარების შემდგომმა შეცვლამ, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ ახალი საფუძველი შეუქმნა იმიგრაციული პროცესების განვითარებას. 1922 წელს რუსეთში შიმშილობამ იფეთქა, რამაც 35 მლნ კაციით დასახლებული ხორბლის რეგიონები მოიცვა. ერთი მილიონი კაცი დაიღუპა. სხვა მიზეზებთან ერთად, ამის გამოც საქართველოდან ახლადწასულთა ნაწილი რეემიგრირდა (СССР: Демографический диагноз,1990; с. 243). საქართველო დატოვა საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე პოლიტიზებული მოსახლეობის ნაწილმა. მიგრაციის სალდო თანდათან დადებითად შეიცვალა. მაგალითად, 1923-1927 წწ. თბილისის მოსახლეობა 92 ათასი კაცით გაიზარდა. აქედან მიგრაციაზე 74% მოდიოდა. მოსახლეობა გადმოვიდა რუსეთ – უკრაინიდან და სომხეთიდან. ევროპულ საზღვარგარეთთან კი სალდო აშკარად უარყოფითი იყო (კარბელაშვილი ლ. 1929, გვ.33).

<u>XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან მეორე მსოფლიო ომამდელი პერიოდი</u> ხასიათდება სწრაფი ეკონომიკური აღმავლობით, წარმოების, როგორც ინტენსიური, ისე ექსტენსიური განვითარებით. მეორე მსოფლიო ომამდელი ხუთწლედები ითვალისწინებდა განაპირა მხარეების და ნაციონალური რესპუბლიკების დაჩქარებულ განვითარებას, იქ ინვესტიციების გადანაწილებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უმთავრესად მრეწველობაში. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მრეწველობის მთლიანი პროდუქტი 1913 წელთან შედარებით 1940 წლისათვის ათჯერ იყო გაზრდილი. სწრაფად შეიქმნა სამუშაო ადგილები, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამებოდა ადგილობრივი სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურას.ამიტომ ვერ ხერხდებოდა აქაური სამუშაო ძალით მოთხოვნის დაკმაყოფილება. იმავდროულად რუსეთსა და უკრაინაში მოუსავლიანობისა და მეურნეობის ტოტალური ტრანსფორმაციის ვითარებაში დაშვებული შეცდომების გამო1930-იანი წლების დასაწყისში (1932-1933წწ.) მასობრივმა შიმშილობამ იფეთქა. ზოგიერთი ავტორის(ბ. ანდერსონი, რ.სილვერი, რ. კონვერსტი, ვ. უიტკროფტი, რ. მედვედევი, ვ. დანილოვი) შეფასებით, შიმშილით დაიღუპა 2-7 მლნ ადამიანი (СССР: Демографический диагноз,1990, с.243). განხილულ პერიოდში რუსეთ – უკრაინიდან საქართველოს მიგრანტთა დიდი ტალღები მოაწყდა და აქ დამკვიდრდა. ამითაცაა გამოწვეული, რომ 1926-1939 წწ. მოსახლეობის აღწერათაშორის პერიოდში საქართველოს მთელ მოსახლეობაში რუსი ეროვნების მოსახლეობის წილი 3,6%-დან 8,7% -მდე გაიზარდა. 1927-1938წწ. სხვა რესპუბლიკებიდან საქართვლოს ქალაქებში მუდმივ საცხოვრებლად 182 ათასი კაცი გადავიდა (Джаошвили В., 1978, с.141).

მეორე მხრივ, ომისწინა ხუთწლედების პერიოდი აღინიშნება როგორც ქალაქის, ისე სოფლის სწრაფი ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებით. სოფლად შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებში წარმოქმნა ჭარბმოსახლეობა. საქმე იქამდე მივიდა, რომ, განხილული პერიოდის დასაწყისში სოფლის მოსახლეობის ნაწილმა რესპუბლიკის გარეთაც კი დაიწყო საშოვარზე სიარული(იაშვილი ა. 1928). გაჩნდნენ საქართველოს სოფლის მოსახლეობის ორგანიზებული გადასახლების თავგამოდებული მკვლევრებიც (ოქროპირიძე გ.,1929).

1927-1938 წლებში საქართველოს სოფლის მოსახლეობის მიგრაციამ ქალაქად შეადგინა 104 ათასი კაცი, ანუ რესპუბლიკის გარედან ჩამოსულთა მხოლოდ 57%. ამრიგად, მიუხედავად მოსახლეობის შიგა მიგრაციისინტენსიურობის რამდენჯერმე ზრდისა, მეორე მსოფლიო ომისწინა ხუთ-

წლედებში საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის მთავარი ნიშანი რესპუბლიკის ფარგლებს გარედან დიდი მასშტაბით შემოსვლაა. ქართველთა წილმა მთლიან მოსახლეობაში ისტორიულ მინიმუმს მიაღწია (ცხრილი 1).

ცხრილი 1.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა მოსახლეობის

აღწერების მიხედვით (პროცენტობით მთელ მოსახლეობასთან)

ეროვნება	ქართველი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	ებრაელი	ოსი	აფხაზი	უკრაინელი	სხვ	სულ
1897	69,4	10,3	5,3	4,2	2,0	0,9	4,2	2,2	_	1,3	100
1926	66,8	11,5	3,6	5,4	2,0	1,1	4,2	2,1	0,5	2,8	100
1939	61.4	11,7	8,7	5,3	2,4	1,2	4,2	1,6	1,3	2,2	100
1959	64,3	11,0	10,1	3,8	1,8	1,3	3,5	1,6	1,3	1,3	100

წყარო: შესაბამისი წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერები

მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი აღდგენითი პერიოდი. იგი აღინიშნა დიდი მასშტაბის იძულებითი მიგრაციებით. სსრკ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებით განხორციელდა XIX საუკუნეში ჩამოსახლებული გერმანელებისა და სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ე.წ. „თურქი მესხების“ (60-100 ათასი კაცი) დეპორტაცია შუა აზიასა და ყაზახეთში, მათ ადგილზე კი, ძირითადად, საქართველოს ჩრდილო მთიანეთიდან ჭარბი მოსახლეობის ჩასახლება. ორგანიზებული ჩასახლება მოხდა იმ დროისათვის საქართველოსთან შემოერთებულ ქლუხორისა და ახალხევის რაიონებში. მეორე მსოფლიო ომის წლებში საქართველოში ევაკუირდა რუსეთ-უკრაინის მოსახლეობის დიდი კონტინგენტი, რომელიც მაქსიმალურად ჩაება ადგილობრივ წარმოებაში, მათ შორის, მრეწველობაში. ომისშემდგომ პერიოდში მათი ნაწილი საცხოვრებლად საქართველოში დარჩა. ამით აიხსნება, ძირითადად, 1939-1959 წწ. საქართველოს მოსახლეობაში რუსების წილის 8,7% დან 10,1%-მდე მატება.

დასკვნა. XX საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოს განვითარებაში ხასიათდება მრავალმხრივი – ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნებით, რაც პირდაპირ აისახა მიგრაციულ პროცესებზე. ზოგადი ტენდენცია – საქართველოს ტერიტორიის გარედან მოსახლეობის იმიგრაცია დამოუკიდებელი საქართველოს წლებში შეიცვალა ემიგრაციული პროცესების გაძლიერებით. შემდგომ კი,სწრაფმა ეკონომიკურმა აღმავლობამ მოითხოვა სსრკ სხვა რესპუბლიკებიდან დამატებითი სამუშაო ძალის იმიგრაცია. ამის შედეგად საქართველოს ეთნოსტრუქტურაში ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა ისტორიულ მინიმუმამდე დავიდა.

ლიტერატურა:

1. გუგუშვილი პ. (1973). საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი.
2. ვაჟა-ფშაველა (1959). ქართველთა ახალშენი შირაქში; მთის ვითარება; შინაური ამბები. თხზ. ტ.VII. თბილისი.
3. თეთვაძე შ. თეთვაძე ო.(1997). სომხები საქართველოში. თბილისი.
4. იაშვილი ა. (1928). სოფლის მოსახლეობის გასვლა გარე სარეწავზე 1924-1925 და 1925-1926 წლებში. „საქართველოს ეკონომისტი“. №7-8. გვ.97-100
5. კარბელაშვილი ლ. (1929). ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა. „საქართველოს ეკონომისტი“ № 2. გვ.33-39
6. ოქროპირიძე გ. (1929). გადასახლების საჭიროება და შესაძლებლობა საქართველოში. „საქართველოს ეკონომისტი“. №3. გვ.27-34
7. ფერაძე გ. (1921) საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით. დემოგრაფიული მიმოხილვა. „საქართველოს სტატისტიკური მოამბე“. №1
8. ჭავჭავაძე ი.(1981) იმიგრაცია საქართველოდან. თხზ.ტ.VIII. თბილისი.
9. ჯაოშვილი ვ. (1984). საქართველოს მოსახლეობაXVIII-XX საუკუნეში. თბილისი.
10. Джаошвили В. (1978). Урбанизация Грузии.Тбилиси
11. Кавказский календарь на 1915 год. (1914).Часть 1. Тифллис. с.189-281
12. СССР: Демографический диагноз(1990).Москва.

Migration processes in Georgia in the first half of the 20th Century

Mirian Tukhashvili

Doctor of Economic Sciences,

Professor at Ivane JavakhishviliTbilisi State University

SUMMARY

The first half of the 20th century was distinguished by the unstable socio-economic development of Georgia and therefore, by the variety of directions of territorial movement. The *Stolypin agrarian reforms* carried out in the Russian Empire resulted in large-scale territorial displacements, which led to intense immigration processes in Georgia. Subsequently, during the First World War and the period of the Democratic Republic of Georgia, the migration vector was reversed. Against the background of the economic crisis and the sharp decline in the standard of living, as well as the situation where the formation of politically independent Georgian state was underway, the emigration processes became more intense. After the annexation of Georgia by Soviet Russia and Georgia`s inclusion in the USSR, the economic growth dramatically increased the demand for skilled workforce in Georgia. This caused intense waves of immigration from outside the Republic of Georgia. The immigration was fostered by the famine in Russia and Ukraine in the 1930s and the migration of the population from there to Georgia. Finally, in the first half of the 20th century, as a result of migration processes, the share of native Georgians in the entire population decreased to 61.4%.

ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამოწვევები გლობალიზაციის პირობებში

რამაზ ფუტკარაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში განხილულია ჩინეთის ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები, ჩინეთის მიღწევები ეკონომიკური რეფორმების დაწყების შემდეგ, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები, ჩინეთის როლი ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. ჩინეთი ბოლო ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა მსოფლიოში.

ჩინეთი წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. მისი როლი შეიძლება სასარგებლო იყოს მთლიანი მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის ზრდისთვის. ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩინეთი გახდა მსოფლიო ეკონომიკური ზრდის მთავარი ძრავა. ჩინეთში სწრაფი ზრდა შესაძლებელი გახდა ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების, ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და შიდა ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის გამო.

1979 წელს ჩინეთის მსპ-მა მიმდინარე ფასებში მოსახლეობის ერთ სულზე 200 აშშ დოლარს არ აღემატებობა, ხოლო 2021 წელს – 12556 აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთში 2020 წელს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ 4.5 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ჩინეთი წარმოადგენს საქონლის N1 ექსპორტიორ და N2 იმპორტიორ ქვეყანას, მასზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის14.7% და იმპორტის 11.54%. ჩინეთი გახდა მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით).

ჩინეთის როლი მსოფლიო ეკონომიკაში მზარდია. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ჩინეთის წილი მსოფლიო ეკონომიკაში და ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩინეთს შეუძლია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გლობალური ეკონომიკური ზრდისთვის.

საკვანძო სიტყვები: *ჩინეთის ეკონომიკა, ეკონომიკური რეფორმები, ეკონომიკის ისტორია, ეკონომიკური ინტეგრაცია, ვაჭრობა, საქართველო.*

ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების შესახებ

1979 წლამდე ჩინეთი ინარჩუნებდა ცენტრალიზებულ გეგმიან ეკონომიკას. ქვეყნის რესურსების დიდ ნაწილს აკონტროლებდა სახელმწიფო, რომელიც ადგენდა წარმოების მიზნებს, აკონტროლებდა ფასებს და ანაწილებდა რესურსებს ეკონომიკის უმეტეს ნაწილზე. 1950-იან წლებში ჩინეთის ყველა ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო მეურნეობა კოლექტივიზებული იყო დიდ კომუნებად. სწრაფი ინდუსტრიალიზაციის მხარდასაჭერად, ცენტრალურმა მთავრობამ 1960-1970-იან წლებში განახორციელა ფართომასშტაბიანი ინვესტიციები. შედეგად, 1978 წლისთვის სამრეწველო პროდუქციის თითქმის სამი მეოთხედი წარმოებული იყო ცენტრალიზებული კონტროლირებად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოებში.

ქვეყანაში აკრძალული იყო კერძო საწარმოები და უცხოური ინვესტიციების მქონე კომპანიები. ჩინეთის მთავრობის ცენტრალური მიზანი იყო ჩინეთის ეკონომიკა შედარებით თვითკმარი გამხდარიყო. საგარეო ვაჭრობა ზოგადად შემოიფარგლებოდა იმ საქონლის იმპორტით, რომლის დამზადება ან მიღება ჩინეთში შეუძლებელი იყო. ასეთმა პოლიტიკამ ეკონომიკაში პრობლემები გამოიწვია. ვინაიდან ეკონომიკის უმეტეს ასპექტს მართავდა და მართავს ცენტრალური მთავრობა, არ არსებობდა საბაზრო მექანიზმები რესურსების ეფექტიანად გადანაწილებისთვის და, შესაბამისად, მცირე სტიმული იყო ფირმებისთვის, მუშებისთვის და ფერმერებისთვის, გამხდარიყვნენ უფრო პროდუქტიულები ან დაინტერესებულიყვნენ ხარისხით. ისინი აწარმოებდნენ მთავრობის მიერ დასახული საწარმოო მიზნების შესაბამისად.

ჩინეთის მთავრობის სტატისტიკის მიხედვით, ჩინეთის რეალური მსპ გაიზარდა საშუალო წლიური ტემპით 6,7% 1953 წლიდან 1978 წლამდე, თუმცა ამ მონაცემების სიზუსტეს ეჭვქვეშ აყენებს ბევრი მეცნიერი და ექსპერტი. ჩინეთის ეკონომიკამ განიცადა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ვარდნა 1961-1962 წლებში. 1950 წლიდან 1978 წლამდე, ჩინეთის მსპ მოსახლეობის ერთ სულზე მართალია გაიზარდა, მაგრამ იგი მხოლოდ 156 აშშ დოლარს შეადგენდა. (შედარებისთვის აღნიშნულ პერიოდში მსგავსი მაჩვენებელი აშშ-ში იყო 10565, იაპონიაში – 9104, გერმანიაში – 9482 აშშ დოლარი.)

ცხრილი 1

ჩინეთის ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი

მოსახლეობის რიცხოვნობა (მლნ კაცი) 2021	1,444
ფართობი (კვ კმ)	9,424,702.9
მთლიანი სამამულო პროდუქტი (მსპ), (მიმდინარე ფასებში) მლრდ აშშ დოლარი, 1979	178.28
მთლიანი სამამულო პროდუქტი, (მიმდინარე ფასებში) ტრლნ აშშ დოლარი	17.73
ჩინეთის წილი მსოფლიო მშპ-ში (%), 1979	1.8
ჩინეთის წილი მსოფლიო მშპ-ში (%), 2021	18.45
მსპ, მოსახლეობის ერთ სულზე, 1979 აშშ დოლარი	185
მსპ, მოსახლეობის ერთ სულზე, 2020, აშშ დოლარი	12,556.3

წყარო: World Bank Statistics (2021).

1979 წლიდან ჩინეთში დაიწყო ეკონომიკური რეფორმები. ცენტრალურმა მთავრობამ წამოიწყო ფასების და საკუთრების სტიმულირება ფერმერებისთვის, რამაც მათ საშუალება მისცა წარმოებული საქონლის ნაწილი თავისუფალ ბაზარზე გაეყიდათ. გარდა ამისა, მთავრობამ დააარსა ოთხი სპეციალური ეკონომიკური ზონა ქვეყნის სანაპიროზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტის გაზრდისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ჩინეთში იმპორტის წახალისების

მიზნით. დამატებითი რეფორმები, რომლებიც ეტაპობრივად გატარდა მნიშვნელოვანი იყო ვაჭრობაში. სხვადასხვა საწარმოების კონტროლი გადაეცა პროვინციულ და ადგილობრივ მთავრობებს, რომლებსაც, უფლება ჰქონდათ ემოქმედათ და კონკურენცია გაეწიათ თავისუფალი ბაზრის პრინციპებით, ვიდრე სახელმწიფო დაგეგმვის პირობებში. მოქალაქეები წაახალისეს საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში.

ქვეყნის სანაპირო რეგიონებსა და ქალაქებს შესაძლებლობა მიეცათ ექსპერიმენტები ჩაეტარებინათ თავისუფალი ბაზრის პრინციპებით და შესთავაზეს საგადასახადო და სავაჭრო შეღავათები უცხოური ინვესტიციები. ასევე, ეტაპობრივად გაუქმდა სახელმწიფო ფასების კონტროლი პროდუქციის ფართო სპექტრზე. ვაჭრობის ლიბერალიზაცია ასევე იყო ჩინეთის ეკონომიკური წარმატების მთავარი გასაღები. სავაჭრო ბარიერების მოხსნამ ხელი შეუწყო კონკურენციას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ჩინეთის მიერ ეკონომიკური რეფორმების ეტაპობრივი განხორციელება ცდილობდა დაედგინა, თუ რომელმა პოლიტიკამ მოიტანა ხელსაყრელი ეკონომიკური შედეგები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი განხორციელება ქვეყნის სხვა ნაწილებში.

ჩინეთის ეკონომიკური ზრდა

მას შემდეგ, რაც ჩინეთმა დაიწყო ეკონომიკის გახსნა და რეფორმა 1978 წელს, მსპ-ის ზრდა წელიწადში საშუალოდ 9 პროცენტზე მეტი იყო და 800 მილიონზე მეტმა ადამიანმა თავი დააღწია სიღარიბეს. ამავე პერიოდში ასევე ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სერვისების ხელმისაწვდომობა (https://www.worldbank.org/en/country/china/overview). ეკონომიკური რეფორმების შემდეგ ჩინეთის ეკონომიკა უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე რეფორმამდელ პერიოდში. 1979 წლიდან 2018 წლამდე ჩინეთის წლიური რეალური მსპ საშუალო ზრდა 9.5% იყო. ანუ საშუალოდ ჩინეთი ყოველ რვა წელიწადში ერთხელ ახერხებდა თავისი ეკონომიკის გაორმაგებას.

გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 2008 წელს დაიწყო, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩინეთის ეკონომიკაზე. აღნიშნულ პერიოდში ჩინეთის მთავრობამ 586 მლრდ დოლარის ეკონომიკის სტიმულირების პაკეტის განხორციელებით, რომლის ძირითადი მიზანი ქვეყნის ინფრასტრუქტურის დაფინანსება და მონეტარული პოლიტიკის წახალისება და საბანკო სესხების გაზრდა. ამგვარმა პოლიტიკამ ჩინეთს საშუალება მისცა ეკონომიკური ზრდა გაეგრძელებია, ასევე ხელი შეეწყო ექსპორტის ზრდასაც.

ჩინეთის მშპ-ის ზრდა 2007-2019 წლებში



წყარო: World Bank Statistics.

ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას უკავშირებენ ორ ძირითად ფაქტორს: მსხვილ ინვესტიციებს და პროდუქტიულობის სწრაფ ზრდას. სწორმა ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა ეკონომიკის ზრდა. შესაბამისად ქვეყანაში გაიზარდა გამომუშავება, რამაც გაზარდა რესურსები ეკონომიკაში დამატებითი ინვესტიციებისთვის.

ქვეყანაში რეფორმების შემდეგ ჩინეთი ისტორიულად ინარჩუნებდა დანაზოგის მაღალ მაჩვენებელს. შიდა დანაზოგი მსპ-ს პროცენტულად შეადგენდა 32%-ს. ეკონომიკურმა რეფორმებმა, რომელიც მოიცავდა ეკონომიკური წარმოების დეცენტრალიზაციას, გამოიწვია ჩინეთის საოჯახო დანაზოგების მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად, ჩინეთის მთლიანი დანაზოგი მსპ-ს პროცენტულად ერთ-ერთი ყველაზე. შიდა დანაზოგების მაღალმა დონემ ჩინეთში ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას მაღალი იყო. პროდუქტიულობის ზრდა კიდევ ერთი მთავარი ფაქტორია ჩინეთის ეკონომიკურ ზრდაში. პროდუქტიულობის გაუმჯობესება ძირითადად გამოწვეული იყო რესურსების უფრო პროდუქტიული გადანაწილებით, განსაკუთრებით იმ სექტორებში, რომლებსაც ადრე ძლიერ აკონტროლებდა ცენტრალური მთავრობა, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურება და სხვ.

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის რეფორმებმა გაზარდა წარმოება, რამაც გაათავისუფლა შრომითი რესურსები უფრო პროდუქტიული წარმოების სექტორში დასაქმებისთვის. ჩინეთის ეკონომიკის დეცენტრალიზაციამ განაპირობა კერძო ფირმების რაოდენობის ზრდა, რომლებიც უფრო პროდუქტიულ საქმიანობას ატარებდნენ და იყვნენ უფრო ბაზარზე ორიენტირებული. დაიწყო ჩინეთის ტექნოლოგიური განვითარება და განვითარებულ ქვეყნებთან დაახლოება. ჩინეთი ატარდებდა საკუთარი ინდუსტრიების დაცვის ღონისძიებებს. სწრაფი ეკონომიკური განვითარებამ და ზრდამ ქვეყანაში გამოიწვია ექსპორტის გაზრდა.

1979 წელს ჩინეთის მსპ-მა მიმდინარე ფასებში მოსახლეობის ერთ სულზე 200 აშშ დოლარს არ აღემატებობა, ხოლო 2001 წელს – 1000 აშშ დოლარს გადააჭარბა, 2011 წელს – 5614, 2021 წელს – 12556 აშშ დოლარი შეადგინა. ჩინეთში 1989 წელს მშპ-ის მოცულობამ 1 ტრლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2009 წელს – 5, 2017 წელს – 10, ხოლო 2021 წელს 17.7 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა (World Bank, 2021). თავის მხრივ მსოფლიოს პირველ და მეორე ეკონომიკებს შორის უფსკრული მნიშვნელოვნად მცირდება.

ჩინეთი და გლობალური ეკონომიკა

ჩინეთის ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ გააჩინა ლოგიკური კითხვა, გაუსწრებს თუ არა და როდის ჩინეთი აშშ-ს, როგორც მსოფლიოს პირველ ეკონომიკას. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ჩინეთის მშპ 2021 წელს მიმდინარე ფასებში აშშ დოლარში იყო 17.73 ტრილიონი, რაც აშშ-ის ეკონომიკის ზომის 77% იყო. 2021 წელს ჩინეთის მსპ-მა მიმდინარე ფასებში მოსახლეობის ერთ სულზე 12556 აშშ დოლარი შეადგინა, რაც აშშ-ის მაჩვენებლის 18.1%-ს შეადგენს (აშშ – 69 288 აშშ დოლარი).

ცნობილია, რომ ჩინეთი იყო მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკა 1820 წელს, რომელიც შეადგენდა გლობალური მსპ-ს დაახლოებით 32,5%-ს. თუმცა, საგარეო და საშინაო ფაქტორებმა, არასწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა ჩინეთის წილი გლობალურ მსპ-ში მნიშვნელოვნად შემცირდა. 1952 წლისთვის ჩინეთის წილი გლობალურ მსპ-ში დაეცა 5,2%-მდე, ხოლო 1978 წლისთვის 4,9%-მდე შემცირდა. 1979-იანი წლების ბოლოს ჩინეთის მიერ ეკონომიკური რეფორმების მიღებამ გამოიწვია ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ზრდა და ხელი შეუწყო ჩინეთის, როგორც მთავარი გლობალური ეკონომიკური ძალის წარმატებას.

მსოფლიო ბანკის 2016 წლის მონაცემებით ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი ყიდვითი უნარის პარიტეტით, 2016 წელს გაუტოლდა აშშ-ის მაჩვენებელს და 18.71 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2021 წელს კი აშშ-ის მშპ-ის მოცულობამ ყიდვითი უნარის პარიტეტით მიხედვით 27.31 ტრლნ აშშ დოლარი შეადგინა (მსოფლიო მშპ-ის 18.6%) აშშ-23 ტრლნ აშშ დოლარი. 2021 წელს ჩინეთის მსპ-მა (PPP) მოსახლეობის ერთ სულზე 19338 აშშ დოლარი შეადგინა, რაც აშშ-ის მაჩვენებლის 28%-ს შეადგენს (World Bank Statistics).

გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ჩინეთის ეკონომიკის განვითარებას. ჩინეთმა ასევე ახალი იმპულსი შეიტანა გლობალიზაციაში. განსაკუთრებით ჩინეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების შემდეგ, მოწინავე ტექნოლოგიების მიღება და მართვის გამოცდილება, გარე კონკურენცია და ტექნოლოგიური ინოვაციებმა გაზარდა ჩინეთის მთლიანი ფაქტორების პროდუქტიულობა და ეკონომიკური ზრდა. გლობალიზაციისგან სარგებლობასთან ერთად ჩინეთმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალურ ზრდაში.

აშშ-ჩინეთის ეკონომიკური კავშირები არსებითად გაფართოვდა მას შემდეგ, რაც ჩინეთმა ეკონომიკის რეფორმა დაიწყო და მისი სავაჭრო რეჟიმის ლიბერალიზაცია 1970-იანი წლების ბოლოს. აშშ-ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 2 მლრდ აშშ დოლარიდან 1979, 636 მლრდ აშშ დოლარამდე 2017 წელს. ჩინეთი არის ამჟამად აშშ-ის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი (Martin M., 2018). გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ვაჭრობას და ინვესტიციებს, გააძლიერა ზეწოლა კაპიტალის ნაკადებზე. რეფორმებისა და ეკონომიკური გახსნის შემდეგ ჩინეთში გაიზარდა საგარეო ვაჭრობა. ჩინეთში 2020 წელს საქონლის იმპორტისა და ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ 4.5 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ჩინეთი წარმოადგენს საქონლის N1 ექსპორტიორ და N2 იმპორტიორ ქვეყანას, მასზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის14.7% და იმპორტის 11.54%. ასევე, ჩინეთის სავაჭრო და საინვესტიციო რეფორმებმა გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ქვეყანაში. ინვესტიციები ჩინეთის პროდუქტიულობის ზრდისა და სწრაფი ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის მთავრობამ 2015 წელს წამოიწყო „დამზადებულია ჩინეთში 2025“ ინიციატივა, რომელიც გამოცხადდა 2015 წელს, არის ერთ-ერთი რამდენიმე ბოლო გამოცხადებული ამბიციური პროექტიდან, რომელიც მიზნად ისახავს ჩინეთის ინდუსტრიების კონკურენტუნარიანობის გაზრდას, ჩინური ბრენდების ხელშეწყობას, ინოვაციების გაძლიერებას და ჩინეთის უცხოურ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულების ეტაპობრივად შემცირებას.

ჩინეთი მიზნად ისახავს გახდეს მსოფლიოში წამყვანი სატელეკომუნიკაციო, რკინიგზისა და ელექტროენერგეტიკული აღჭურვილობის მწარმოებელი 2025 წლიდან. „დამზადებულია ჩინეთში 2025“, სახელმწიფოს მიერ წარმართული ინდუსტრიული პოლიტიკაა, რომელიც ცდილობს ჩინეთის დომინანტი გახადოს გლობალურ მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში. პროგრამა მიზნად ისახავს სახელმწიფო სუბსიდიების გამოყენების საშუალებით ქვეყანა დაუახლოვოს დასავლურ ტექნოლოგიურ უნარს მოწინავე ინდუსტრიებში.

ჩინეთის მიზანია შეამციროს ჩინეთის დამოკიდებულება უცხოურ ტექნოლოგიებზე და ხელი შეუწყოს ჩინელ მაღალტექნოლოგიურ მწარმოებლებს გლობალურ ბაზარზე. ნახევარგამტარები განსაკუთრებული პრიორიტეტული სფეროა. 2025 წლისთვის ჩინეთი მიზნად ისახავს მიაღწიოს 70 პროცენტიან წარმოებას მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიებში, ხოლო 2049 წლისთვის – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ასი წლისთავისთვის – ცდილობს წამყვან პოზიციას გლობალურ ბაზრებზე.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე ჩინეთი მსოფლიოს N1 ექსპორტიორი, უდიდესი სავალუტო რეზერვების მქონე, მეორე უდიდესი ეკონომიკის და უმსხვილესი დადებითი სავაჭრო სალდოს მქონე ქვეყანაა. მისი სავაჭრო პოზიციები და გლობალურ ეკონომიკაში წილი მნიშვნელოვნად იზრდება. ქვეყნას ეკონომიკური რეფორმებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ლიბერალიზაციის დაწყებამდე ნაკლებად იყო ინტეგრირებული გლობალური ეკონომიკაში. საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების გახსნისა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შემდეგ, ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკებს შორისაა.

2001 წლის 1 დეკემბრიდან ჩინეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრია. ეკონომიკურმა ზრდამ და ექსპორტის გაზრდამ შესაძლებელი გახადა ქვეყანაში ასეულობით მილიონი ადამიანის სიღარიბიდან გამოყვანა. ჩინეთში ცხოვრობს ყველაზე მეტი ადამიანი, ჩინეთი გახდა მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით).

1980-იანი წლებიდან ჩინეთმა განიცადა მაღალი ეკონომიკური ზრდა და მისი წილი გლობალურ ვაჭრობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა ბოლო პერიოდში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ნელდება. თავის მხრივ ჩინეთის როლი მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანია და შეუძლია გავლენა მოახდინოს გლობალურ ზრდაზე.

ამრიგად, ჩინეთის მზარდი გლობალური ეკონომიკური გავლენა და წარმატებული ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთელს მსოფლიოზე, როგორც განვითარებულ (აშშ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ), ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებზე.

ლიტერატურა:

1. Martin M. (2018). What's the Difference? – Comparing U.S. and Chinese Trade Data, CRS Report RS22640.
2. IMF (2021). World Economic Outlook Database.
3. Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH *Seria: AdministracjaiZarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. ZeszytyNaukowe* UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie, Poland.
4. Putkaradze R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
5. Wayne M. Morrison M. *(2018).* China-U.S. Trade Issues, CRS Report RL33536.
6. World Bank Statistics (2021): GDP, GDP per capita. *http://data.worldbank.org*
7. World Bank (2022), China Overview.
8. კრუგმანი პ. ობსტფელდი მ. მელიტცი მ. (2018). საერთაშორისოეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. მეათე გამოცემა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი, ავთანდილ სილაგაძე. თბილისი. თსუ გამომცემლობა. გვ. 753
9. ნილი ნ., კემერონი რ. (2022). მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია. მეხუთე გამოცემა. ქართული გამოცემის სამეცნიერო და მთავარი რედაქტორი აკადემიკოსი, ავთანდილ სილაგაძე. თბილისი. თსუ გამომცემლობა. გვ. 484,
10. პაპავა ვ., სილაგაძე ა. (2018) ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – "Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ. „ეკონომიკა და ბიზნესი", ტ. 11, N1.
11. http://www.worldbank.org/en/country/china/overview.
12. https://www.wto.org/
13. https://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/china_e.htm

Challenges of China's Economic Development in Terms of Globalization

Ramaz Putkaradze
Doctor of Economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

The present paper discusses the current issues of China's economic development, China's achievements since the launch of economic reforms, economic growth prospects of the country and its role in terms of economic globalization. China has been one of the outstanding countries in terms of economic growth during the recent decades.

China is one of the important centers of the global economy. Its role can be beneficial to the whole world economy and the growth of trade. In recent decades, China has become the main drive to the economic growth globally. China's rapid growth is due to the country's accession to the World Trade Organization, trade liberalization, and the growth of investment in the domestic economy.

Currently, China is the world's number one exporting country, the country with the largest foreign exchange reserves; it is the second largest economy and has the highest positive trade balance. Before the launch of economic reforms and significant trade liberalization, the country was less integrated into the global economy. After the country was open for foreign trade and foreign investment and the implementing of economic reforms, China has become one of the fastest growing economies around the world. Economic growth and increased exports made it possible to lift thousands of people out of poverty in the country.

Since 1980s, China has experienced high economic growth and its share in global trade has significantly increased. However, China's economic growth has been slowing down recently. The paper provides the overview of the historical aspects of China’s economic development. On the other hand, China's role in the world economy is important and can influence global growth.

China's growing global economic influence and successful economic and trade policies have a significant impact on the economies of both developed (US, EU, etc.) and developing countries around the world.

In 1979, China's GNP per capita (at current prices) did not exceed $200, and in 2021 it amounted to $12,556. In 2020, the total import and export of goods in China exceeded $4.5 trillion. China is the number one exporter and the second largest importer of goods, accounting for 14.7% of world exports of goods and 11.54% of imports. China has become the world's largest economy (by purchasing power parity).

Consequently, China's role in the world economy is growing. Based on the above, China's share in the world economy and trade will increase significantly. China can play an even more important role in global economic growth.

Keywords: economy of China, history of economics, economic reforms, globalization, economic integration, foreign trade.

ფულადი ბაზარი და მისი ფუნქციონირების თავისებურებები (ქართული და უცხოური გამოცდილება

ნინო ქავთარაძე
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
მზევინარ ნოზაძე
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
მედეა ჭელიძე
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

ცნობილია, რომ ფულადი ბაზარი წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური ბაზრის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ფულად ბაზარზე წარმოებს ფულით და მოკლევადიანი (ერთ წლამდე ვადით) ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. ფულადი ბაზრის მონაწილეები არიან: ფულის გამსესხებელი – კრედიტორები; მსესხებლები, რომლებიც სესხულობენ ფულს გარკვეული პირობებით; ფინანსური შუამავლები. თუმცა, ფულადი ბაზრის ოპერაციები შესაძლებელია განხორციელდეს ფინანსური შუამავლების გარეშეც. ფულადი ბაზრის მონაწილეთა ინტერესია – ფულადი ბაზრის სხვადასხვა ოპერაციებით, რომელიც ძირითადად უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების მიმოქცევას – შემოსავლის მიღება. კრედიტორები იღებენ შემოსავალს გადარიცხულ თანხაზე პროცენტის სახით. მსესხებლები იღებენ შემოსავალს ნასესხები სახსრების გამოყენებით მიღებული დამატებითი მოგების სახით. ფინანსური შუამავლები იღებენ შემოსავალს საკომისიოს სახით ან სხვაობის საპროცენტო განაკვეთებს შორის სახსრების მოზიდვისა და განთავსებისთვის. ფულად ბაზარს მკაფიო სტრუქტურა არ გააჩნია. პირობითად იგი წარმოდგენილია, როგორც: 1) ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი; 2) მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების ბაზარი; 3) სავალუტო ფასიანი ქაღალდების ბაზარი: სავალუტო ფიუჩერსების და სავალუტო ოფციონების ბაზრის სახით.

ფულადი ბაზრების ფუნქციონირება დაკავშირებულია ქვეყნების ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების დონესთან, შესაბამისად, საქართველოსა და უცხოეთის ფულადი ბაზრების ფუნქციონირება, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები და მათი მიმოქცევა არის განსხვავებული.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს ფულადი ბაზარი, უცხოეთის ქვეყნების ფულადი ბაზარი, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები, ფულადი ბაზრის რეგულირება.*

საქართველოს ფინანსური ბაზარი შედგება ფულადი ბაზრის, სავალუტო ბაზრის, ფასიანი ქაღალდების ბაზრისგან და წარმოადგენს ფინანსური სისტემის ძირითად ელემენტებს. ფინანსურ ბაზარზე ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით ხდება მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევა. ფულადი ბაზარი (ინგლ. Money market) – ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილია, სადაც ვაჭრობენ საკმაოდ ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებით, აქ ყიდვა-გაყიდვის ობიექტია ლიკვიდური ფინანსური ინსტრუმენტები. ისინი წარმოადგენენ მაღალლიკვიდურს (ფულადი ეკვივალენტები) თავისი არსით, ამიტომ მათი გამოსყიდვის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.

ძირითადი ნაწილი.ფულადი ბაზრის მონაწილეები არიან: ცენტრალური ბანკები; კომერციული ბანკები; არასაფინანსო ინსტიტუტები და ფულადი ბაზრის შუამავლები. „დღეისათვის სასაქონლო და ფინანსური ბაზრის მაღალი განვითარების პირობებში საბანკო სისტემების სტრუქტურა გართულებულია. გაჩნდა და ჩნდება ფინანსური დაწესებულებების ახალი სახეობები, ახალი ტიპის საკრედიტო დაწესებულებები, კლიენტურის მომსახურების უახლესი ინსტრუმენტები და მეთოდები“ [1, 31]. ცნობილია, რომ ფინანსურ ბაზარზე რომელიც წარმოადგენს ორი სახეობის ბაზრის: ფულადი ბაზრის და კაპიტალის ბაზრის ერთიანობას, მიმოიქცევა შედარებით ფართო სპექტრის ფინანსური ინსტრუმენტები. „ფულადი ბაზრის ძირითადი ინსტრუმენტებია: სახაზინო ვალდებულებები; სადეპოზიტო სერტიფიკატები; ბანკთაშორისი კრედიტები; რეპო-გარიგებები“ [2, გვ. 81].

სახაზინო ვალდებულებები (ინგლ.Treasury Bills) – ეს არის მოკლევადიანი (3; 6; 9; 12 – თვემდე) ფასიანი ქაღალდი, რომლის ემიტენტი არის ქვეყნის ცენტრალური ბანკი. სახაზინო ვალდებულებების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულება არის ფინანსთა სამინისტროს მიწერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით. ერთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები იყიდება აუქციონის მეშვეობით, რომელიც ტარდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარ გამოცხადებული აუქციონის თარიღებში. ფასიანი ქაღალდების მფლობელი შეიძლება იყოს: რეზიდენტები და არარეზიდენტები, ფიზიკური და იურიდიული პირები.

სადეპოზიტო სერტიფიკატი (ინგლ. Certificate of deposit) – შედარებით „ახალგაზრდა“ ფასიანი ქაღალდია. პირველად ისინი შემოღებული იქნა ამერიკაში, ერთ-ერთი კომერციული ბანკის “City Bank”-ის მიერ. შემდეგ გავრცელდა დიდ ბრიტანეთში და მოგვიანებით კი – მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ პერიოდიდან სადეპოზიტო სერტიფიკატებმა თანდათანობით დაიკავეს გარკვეული სეგმენტი ფულად, და ზოგადად, ფინანსურ ბაზრებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი დებუ-ლების მიხედვით განისაზღვრება მოკლევადიანი დისკონტური სადეპოზიტო სერტიფიკატების (შემდგომში – სადეპოზიტო სერტიფიკატები) გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციის და დაფარვის წესი. „სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით, სისტემა-ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი. სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და დაიფარება ნომინალური ღირებულებით. საქართველოს ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატებს ყიდის მხოლოდ სათავო-კომერციულ ბანკებზე“. [3]

ბანკთაშორისი კრედიტები. ბანკთაშორისი კრედიტების გაცემა ხდება ბანკთაშორის სავალუტო ბაზრებზე, რომელიც თავის მხრივ, ფულადი ბაზრის შემადგენელი ნაწილია. ცნობილია, რომ კომერციულ ბანკებს გააჩნიათ ფულის მოზიდვის რამდენიმე წყარო. მათ შორის ერთ-ერთია სესხი სხვა კომერციული ბანკიდან. „ბანკთაშორისი დაკრედიტების მეშვეობით ხდება ფინანსურ ბაზარზე საკრედიტო რესურსების გადანაწილება ბანკთაშორისი კრედიტების და დეპოზიტების სახით-.დიტო რესურსების ფასს, ანუ კრედიტზე საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც რეგულირდება ბანკთაშორისი ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების და ცენტრალური ბანკის ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთების დონით. „ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე გავლენას ახდენს საკრედიტო რესურსების მსხვილ საერთაშორისო ბაზრებზე არსებული საპროცენტო განაკვეთე-

ბის სიდიდე, ძირითადად კი – LIBOR (ინგლ. London Interbank Offered Rate) – ლონდონის ბანკთა-შორისი შეთავაზების ინდექსი“ [2, გვ. 90].

რეპო ოპერაციები (ინგლ. Repurchase Agreement, Repo) – რეპო არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა შემდგომში იმავე ან მსგავსი ფასიანი ქაღალდების (თამასუქები, სადეპოზიტო სერტიფიკატები) წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან ყიდვის (გამოსყიდვის) ვალდებულებით. რეპო ოპერაციები წარმოადგენს როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ფულადი ბაზრის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. ბანკებისთვის რეპო გარიგებები, თავისი შინაარსით არის ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით ფულადი სახსრების გასესხების საშუალება, იმ განსხვავებით, რომ რეპოს შემთხვევაში მყიდველს აქვს ნაყიდი ფასიანი ქაღალდების შეუზღუდავად განკარგვის უფლება.

რეპო ოპერაციების წარმოებისთვის, საქართველოში არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მაღალ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა: – გარიგებისათვის: ბლუმბერგის ელექტრონული სავაჭრო სისტემა, სადაც გარიგების დადება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში ანგარიშსწორებისათვის: CSD სისტემა (სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა).

რაც შეეხება **საერთაშორისო ფულად ბაზარს** (ინგლ. Intrenational Money Market, IMM), იგი ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილია, სადაც ვაჭრობენ ფულით და საკმაოდ ლიკვიდური ფასიანი ქაღალდებით. ფულადი ბაზრის გარიგებების დროს, ფული იცვლება სხვა ლიკვიდურ აქტივებზე და სწორედ ეს არის მისი სპეციფიკა. საერთაშორისო ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებს მიეკუთვნება: სახაზინო ვალდებულებები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი); ფედერალური სააგენტოების (აშშ) ფასიანი ქაღალდები; სადეპოზიტო სერტიფიკატები; კომერციული ფასიანი ქაღალდები; საბანკო აქცეპტები; ფედერალური სარეზერვო ფონდები. საერთაშორისო ფულადი ბაზარი რეგულირდება სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული მონეტარული კანონმდებლობის და საერთაშორისოდ აღიარებული კანონმდებლობის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე გლობალურ ფულად ბაზრებზე გარიგებების გარკვეული ნაწილი ხორციელდება კრიპტოვალუტაში. „ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაჩნდა ფულადიანგარიშსწორების ციფრული ინფრასტრუქტურა, რომელთა საშუალებითაცხორციელდება საბანკო ანგარიშების ჩანაწერებში მომხდარი ცვლილებების მყისიერი-გაცვლა მსოფლიოს ყველა კონტინენტზე“ [4, 21]. შესაბამისად, ფულის მხოლოდ მცირენაწილი არსებობს მიმოქცევაში ქაღალდის ფულის სახით, მისი დიდი ნაწილი ფულად ბაზარზე ციფრული ჩანაწერების ფორმით მოძრაობს.

ამერიკის შიდა ფულად ბაზარზე, სხვა ქვეყნების შიდა ფულადი ბაზრებისაგან განსხვავებით, ხორციელდება ყველაზე მეტი გარიგება. აღნიშნული ბაზრის მონაწილეები არიან: ფინანსური და არაფინანსური კომპანიების ყველაზე მრავალფეროვანი ჯგუფი, რომელიც გვხვდება ნებისმიერი ქვეყნის ფულად ბაზარზე. ამასთან, ეს ბაზარი გეოგრაფიულად ნაკლებად ცენტრალიზებულია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყნის ფულადი ბაზარი. აშშ-ის ფულად ბაზარზე ძირითადად ხორციელდება 15 სახის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტით ვაჭრობა. მათგან თითოეული აკმაყოფილებს სხვადასხვა მყიდველის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ფულადი ბაზრის განსხვავებული ინსტრუმენტები გამოიყენება მყიდველების ფინანსური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასე მაგალითად, ზოგიერთი განკუთვნილია ბანკებისა და მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების, ზოგი კი ბიზნეს-სუბიექტებისათვის. თანამედროვე ეტაპზე „აშშ-ის ფულად ბაზარზე ძირითადად გავრცელებულია შემდეგი სახის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები: Commercial Paper (ფასიანი ქაღალდები); Discount Window (საკრედიტო სარკმელი); Certificates of Deposit (სადეპოზიტო სერტიფიკატები); Eurodollars (ევროდოლარები); Bankers Acceptances (საბანკო აქცეპტები); Backup Line of

Credit (საკრედიტო ხაზი); Treasury Bills (სახაზინო ვალდებულებები); Municipal Notes (მუნიციპალური ობლიგაციები); Swaps (სვოპები); Futures (ფიუჩერსები); Option (ოფციონები)“ [4, გვ. 247].

დიდი ბრიტანეთის ფულადი ბაზარი შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ბაზრისგან, რომელიც კონცენტრირებულია ლონდონში. 12 სპეციალიზებულ ბანკს, რომლებსაც ფასდაკლების სახლები (ინგლ. The discount houses) უწოდეს, ყველაზე დიდი ისტორია აქვთ, როგორც ფულადი ბაზრის ინსტიტუტებს. დასაწყისში აღნიშნული დაწესებულებები დაკავებულები იყვნენ თამასუქების ყიდვა-გაყიდვით ფასდაკლების (დისკონტის) პირობით, სწორედ აქედან წარმოდგება მათი სახელწოდებაც. „მე-20 საუკუნის დასაწყისში ფასდაკლების სახლები ვაჭრობდნენ როგორც თამასუქებით, ასევე სახაზინო ვალდებულებებით და მოკლევადიანი სახელმწიფო ობლიგაციებით“ [4, გვ. 247]. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2000 წლისათვის დიდი ბრიტანეთის ფასდაკლების სახლებმა, როგორც ცალკეულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა შეწყვიტეს არსებობა ან გარდაიქმნენ კომერციულ ბანკებად.

ფულადი ბაზრის ფონდები (ინგლ. Money Market Funds, MMFs) არის ბრიტანეთში არსებული ფონდები, რომელიც ინვესტირებას ახორციელებს მოკლევადიან ფინანსურ ინსტრუმენტებში, როგორიცაა: სახაზინო ვალდებულებები, კომერციული ფასიანი ქაღალდები და სადეპოზიტო სერთიფიკატები. „MMFs – წარმოადგენს ფულადი ბაზრის მნიშვნელოვან დაწესებულებას და მოკლევადიანი დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს ფინანსური ინსტიტუტების, კორპორაციებისა და მთავრობებისათვის“ [4, გვ. 248].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე ფულადი ბაზრის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სავალუტო ბაზარი FOREX-ი. სადაც ხორციელდება სავალუტო გარიგებების დიდი წილი. აღნიშნულ სავალუტო ბაზარზე ვაჭრობენ როგორც სხვადასხვა ქვეყნის ვალუტით, ასევე სავალუტო ფასიანი ქაღალდებით: სავალუტო, ფიუჩერსებით, სავალუტო სვოპებით და სავალუტო ოფციონებით.

დასკვნები და რეკომენდაციები. ამრიგად, საქართველოს და უცხოეთის სავალუტო ბაზრების ფუნქციონირების შედარებითი მიმოხილვა გვაძლევს შემდეგი დასკვნების და რეკომენდაციების გაკეთების საფუძველს:

ნებისმიერი ქვეყნის ფულადი ბაზრის ფუნქციონირება წარმოებს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მონეტარული კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოეთის ქვეყნების ფულად ბაზრებზე მონაწილე სუბიექტებს ტრადიციული საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების გარდა მიეკუთვნება: ტრანსნაციონალური ბანკები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. დღეს უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ფულადი ბაზრის გარიგებების ნაწილი აქტიურად ხორციელდება კრიპტო-ვალუტაში. ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სავალუტო ბაზრებზე თანდათანობით გავრცელდა და პოპულარული გახდა სავალუტო ბაზრის ფინანსური ინსტრუმენტები – კრიპტოდერივატივები – წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა საბაზო აქტივს წარმოადგენს კრიპტოვალუტა.

ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი., *კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა*. გამომცემლობა „თბილისი“, 2014.
2. ნოზაძე მ. *ფინანსური ინვესტიციები.* გამომცემლობა „დანი“, თბილისი, 2019.
3. ხიდეშელი მ. *საერთაშორისო ფინანსების ფინანსების ზოგადი თეორია.* აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2017.

4. *საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციის და დაფარვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.* 05.09. 2006.
5. ნოზაძე მ. *საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები.* გამომცემლობა „დანი". თბილისი, 2021.

Money Market and Characteristics of its Functioning

(Georgian and Foreign Experience)

Nino Kavtaradze
Georgian Technical University, Faculty of Business Technologies,
Professor, Ph.D Degree in Business Administration
Mzevinar Nozadze
Georgian Technical University, Faculty of Business Technologies,
Associated Professor, Doctor of Economics
Medea Chelidze
Georgian Technical University, Faculty of Business Technologies,
Professor, Doctor of Economics

SUMMARY

Money is the main asset in the money market. Financial institutions collect (mobilize) asset and then issue it as a loan to individuals and legal entities.

The paper discusses the money market of Georgia and foreign countries and the financial instruments common to these markets. It is noted that the development of monetary markets is related to the level of socio-economic development of the country, so that the monetary and financial markets of developed countries are distinguished by their operational experience and a wide range of financial instruments.

ორგანიზაციული კულტურის
თავისებურებებზე მოქმედი ფაქტორები

თამარ ღამბაშიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საბაზრო ეკონომიკის განვითარება შესაძლებლობას აძლევს საწარმოებს საკუთარი კანონებით და პრინციპებით განვითარდნენ. ამ კანონების და პრინციპების შესაბამისად განვითარდება და ჩამოყალიბდება საწარმოს კულტურა. ამგვარად, თითოეული ორგანიზაცია ხდება უნიკალური კულტურის მფლობელი, რომელიც განსაზღვრავს ყველა თანამშრომლის ქცევას, საქმიანობას და ურთიერთქმედებას, როგორც საწარმოში, ასევე მის გარეთ, გარემოსთან. კულტურის თავისებურებები, მისი ელემენტები წარმოიქმნება როგორც რეაქცია წარმოქმნილ პრობლემებზე და ატარებს ფუნქციურ დატვირთვას ამ პრობლემების უარყოფითი შედეგების გადაჭრის ან ნიველირების მიზნით. გარემომცველი საზოგადოების პირობები, დაწყებული მოსახლეობის ცხოვრების დონით და სოციალური ინფრასტრუქტურით და დამთავრებული საზოგადოების განწყობილებებით, საზოგადოების და მმართველი ორგანოების მხრიდან ამ საწარმოსადმი დამოკიდებულებით.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური ინფრასტრუქტურა, ნაციონალური კულტურა, პერსონალის რეაქცია, პროფესიული კოდექსი, ტექნოლოგიური თავისებურება.*

კულტურის თავისებურებები, მისი ელემენტები წარმოიქმნება როგორც რეაქცია წარმოქმნილ პრობლემებზე და ატარებს ფუნქციურ დატვირთვას ამ პრობლემების უარყოფითი შედეგების გადაჭრის ან ნიველირების მიზნით. გარემომცველი საზოგადოების პირობები, დაწყებული მოსახლეობის ცხოვრების დონით და სოციალური ინფრასტრუქტურით და დამთავრებული საზოგადოებისგანწყობილებებით, საზოგადოების და მმართველი ორგანოების მხრიდან ამ საწარმოსადმი დამოკიდებულებით.

გამოიყოფა შემდეგი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლებზე:

პერსონალური – ორგანიზაციის შემადგენლობაში არსებული ადამიანების სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლების გავლენა ორგანიზაციული კულტურის მახასიათებლებზე. უდიდეს გავლენას, რა თქმა უნდა, ახდენენ გამოკვეთილი, აქტიური, წამყვანი (ლიდერი) პიროვნებები, მაგრამ სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ გარემოში აღზრდილი სხვა თანამშრომლების პიროვნული მახასიათებლების ურთიერთქმედება ასევე ქმნის ორგანიზაციული კულტურის ელემენტების უნიკალურ შინაარსს.

სოციალური – გარემომცველი საზოგადოების პირობები, დაწყებული მოსახლეობის ცხოვრების დონით და სოციალური ინფრასტრუქტურით და დამთავრებული საზოგადოების განწყობილებებით, საზოგადოების და მმართველი ორგანოების მხრიდან ამ საწარმოსადმი დამოკიდებულებით.

ტექნიკური – ტექნოლოგიებისა და ტექნიკის განვითარების დონე ძირითადად განსაზღვრავს საწარმოში გამოყენებული სამუშაო ძალის ხარისხს: განათლების დონეს, თანამშრომელთა ერთმანეთთან ურთიერთქმედების ხარისხს და ხასიათს; შრომის ორგანიზაციის საჭირო ფორმები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ტექნოლოგიური თავისებურებები.

ეკონომიკური – ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრავს, თუ რამდენად ადეკვატური ხელფასი შეუძლია კომპანიას შესთავაზოს თავის თანამშრომლებს, ეს გავლენას ახდენს სამუშაოს მიმართ დამოკიდებულებაზე, პერსონალის დენადობის მაჩვენებელზე.

პროფესიული – პროფესიის მახასიათებლები კვალს ტოვებს ადამიანური ურთიერთობების ხასიათზე, ღირებულებით ორიენტაციებზე, მოითხოვს გარკვეულ მორალურ თვისებებს (პროფესიული კოდექსი, ჰიპოკრატეს ფიცი). დარგობრივი კუთვნილება, სამუშაოს ხასიათი განაპირობებს ორიენტაციას ისეთ ფასეულობებზე, რომლებიც ორგანიზაციის გადარჩენას უწყობს ხელს.

ნაციონალური – ნაციონალური კულტურის გავლენა ორგანიზაციის კულტურაზე. ეს შეიძლება იყოს თითოეული ერისთვის დამახასიათებელი ქცევის თავისებურებები, განსაკუთრებული მენტალიტეტი, ისტორიული განვითარებით განპირობებული ტრადიციები, კლიმატის, გეოგრაფიული მდებარეობის, სივრცის თავისებურებები. ამ ფაქტორის ზემოქმედებისგან თავის არიდება ყველაზე რთულია, ვინაიდან ორგანიზაციის თითქმის ყველა თანამშრომელი ექვემდებარება მის გავლენას.

შიდა – მოცემული ორგანიზაციის, მისი შიდა გარემოს თავისებურებებით განპირობებული, არის ყველაზე მართვადი და პროგნოზირებადი. მაგალითად – საკადრო პოლიტიკა, ორგანიზაციის სტრუქტურა, ხელმძღვანელობის გაბატონებული სტილი.

გარე (გარეგანი) – ეხება გარემოს ფაქტორებს და საჭიროებს უფრო ღრმა ანალიზს მათ შესაბამისობაში მოსაყვანად, ასევე ფაქტორებს, რომლებზეც რთულია ზემოქმედება, მაგრამ მათ დიდი და ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ .ეს არის კანონები, მოცემული ინდუსტრიის საწარმოსთან მიმართებაში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გატარებული პოლიტიკა.

ობიექტური – წარმოიქმნება და მოქმედებს ჩვენი ნებისა და სიტუაციის აღქმისგან დამოუკიდებლად.

სუბიექტური – პირდაპირ არის დამოკიდებული ორგანიზაციული კულტურის ფორმირების პროცესის თითოეული მონაწილის მხრიდან სიტუაციის აღქმაზე და მის იდეალის შესახებ წარმოდგენებზე.

კონტროლირებადი (მართული) – მიზანმიმართულ ქმედებებს შეუძლია გააძლიეროს ან შეასუსტოს მათი გავლენა, ზოგჯერ უბრალოდ ფაქტების ან თავისი პოზიციის, დამოკიდებულების დაფიქსირებით, შესაძლებელია ფაქტორების შინაარსის შეცვლა (მაგალითად, ორგანიზაციული სტრუქტურა, კორპორატიული საკადრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიმე კანონ-პროექტის ლობირება).

არაკონტროლირებადი (უმართავი) – ფაქტორების უკონტროლობა შეიძლება იყოს მათი არსებობის შესახებ ინფორმაციის უქონლობის შედეგი. ასეთ შემთხვევაში პრობლემა წყდება მარტივი დიაგნოსტიკური კვლევით, თუმცა ფაქტორის მოქმედება (ეფექტი) შეიძლება იყოს ნაწილი უფრო გლობალური პროცესის გამოწვევა.

ფორმირებადი – შემუშავებული, კონსტრუირებული ფაქტორები, შექმნილი ორგანიზაციული კულტურის პარამეტრებზე განსაზღვრული მიმართულებით ზემოქმედებისთვის. მაგალითად, სპეციალური, ოჯახური, სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა მიკუთვნებულობის, ინტერესთა ერთიანობის, კოლეგების მხარდაჭერის და ბედში მონაწილეობის გრძნობის ფორმირებისთვის.

არაფორმირებადი – წარმოიქმნება სპონტანურად, პერსონალის რეაქციის დაგეგმვის და პროგნოზირების გარეშე ან კონკრეტული მიზნის მისაღწევად, მაგრამ არა ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისთვის.

მაღალი ღირებულების (ხარჯიანი) – ფაქტორები, რომელთა მოქმედებაში მოყვანა, გავლენის შემცირება, მოფიქრება და ფორმირება, მოითხოვს დიდ დანახარჯებს, რაც ყოველთვის გამარ-

თლებული არ არის. ფაქტორის ასეთად, მაღალ ღირებულების მქონედ, შეფასება ხდება მისი მოქმედების მოსალოდნელი ეფექტიანობის და გამოყენების ღირებულების საფუძველზე.

საშუალო ღირებულების – ფაქტორები, რომლებიც მათ გასააქტიურებლად, გავლენის შესამცირებლად, დასამუშავებლად და ფორმირებისთვის საჭიროებენ საშუალო ღირებულების დანახარჯებს. საშუალო დანახარჯებისას არსებობს გარკვეული დადებითი შედეგი.

დაბალი ღირებულების – ფაქტორები, როდესაც დაბალი, მცირე დანახარჯის ფასად, არის გარკვეული დადებითი შედეგი. მაგალითად, ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის შექმნა, ბრძანებების, ინსტრუქციების, განცხადებების გარკვეული მიმართულებით ფოკუსირება და ა.შ.

პირდაპირი – ფაქტორები რომლებიც უშუალოდ ახდენენ ორგანიზაციული კულტურის ელემენტების პარამეტრების და შინაარსის ფორმირებას. ასეთი ფაქტორები იქნება ორგანიზაციის წესდება, ხელმძღვანელობის სტილი, ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციაში მიღებული ხარისხის სტანდარტები, წახალისების სისტემა და ა.შ.

არაპირდაპირი (ირიბი) – მათი გავლენა ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაზე, მისი ელემენტების შინაარსზე არის არაპირდაპირი, ირიბი. მაგალითად, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR) სამსახურის საქმიანობა, რეკლამა, სტანდარტების დაცვის მოთხოვნები, მენეჯერების ქცევა.

ეფექტიანი – შედეგები ბევრად აღემატება ხარჯებს. ეს შეიძლება იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელის პირადი მაგალითი, როდესაც ის მუდმივად, სხვადასხვა გარემოებებში, აჩვენებს ქცევას, რომელიც შეესაბამება გაცხადებულ მიზნებს, პრინციპებს, ღირებულებებს.

არაეფექტიანი – შედეგები უმნიშვნელოდ აღემატება, ტოლია ან არსებითად დაბალია დანახარჯებზე და ზოგჯერ მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით, ვიდრე ეს იყო დაგეგმილი.

გრძელვადიანი ზემოქმედების – ფაქტორის ზემოქმედების სიხშირის და ხანგრძლივობის მიუხედავად, მისი გავლენა დიდი ხნის განმავლობაში გრძელდება (მაგალითად, მოტივაცია).

მოკლევადიანი – ფაქტორის გავლენა დიდხანს არ გრძელდება ან ობიექტზე პირდაპირი ზემოქმედების შემდეგ უცბადვე წყდება (მაგალითად, სტიმული).

მუდმივი – ფაქტორები რომლებიც მოქმედებს მუდმივად, შეიძლება თავად საწარმოს მახასიათებლებით განისაზღვრებოდეს (სამუშაო პირობები – მუდმივი ხმაური ან ვიბრაცია, სამუშაო ადგილების განლაგება და იზოლირება) ან იყოს უფრო გლობალური ხასიათის, როგორიცაა, მაგალითად, კანონები.

ხანმოკლე – ფაქტორი, რომლის ზემოქმედება შეიძლება იყოს ერთჯერადი, ასევე შესაძლებელია ზოგჯერ ხელახლა გამოჩნდეს, მაგრამ მისი გამოჩენის მოლოდინმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს საქმიანობაზე, პრინციპებზე, ღირებულებებზე, ნორმებზე და ორგანიზაციის სტრუქტურაზეც კი. ასეთია მაგალითად, კრიზისი.

კანონზომიერი – ფაქტორები რომლებიც ასახავს და შეესაბამება სოციალური პროცესების და მოვლენების განვითარების ზოგად კანონებს. მსგავსი ფაქტორების რიგშია პროგნოზირებადი ფაქტორები.

შემთხვევითი – ფაქტორები რომლებიც არ არის დაკავშირებული ცნობილ კანონზომიერებებთან (შაბლონებთან) და მოვლენებთან, არის მოულოდნელი და მათი გამოჩენის მენეჯერებისთვის ხილული წინაპირობების გარეშე.

ბუნებრივი – ფაქტორები რომლებიც საზოგადოების, ორგანიზაციის ბუნებრივი განვითარების პროცესში წარმოიშვა. მაგალითად, ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა, საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპები.

ხელოვნური – ნებისმიერი მიზნისთვის სპეციალურად შექმნილი ფაქტორები. მაგალითად, შავი პიარი, საკადრო პოლიტიკის გარკვეული მიმართულება (თანამშრომლის მაქსიმალურად გამოყენება და მერე გადაგდება ან ოჯახური იდილია).

ლიტერატურა:

1. Organisational Culture, (2003) ICFAI Centre for Management Research, ECCH Collection, http://www.ecch.cranfield.ac.uk. 3M's Annual Report (2006) 'Working Our Magic', USA:3M,
2. http://solutions.3m.com/wps/portal/3M/en_US/our/compa ny/information/ 3M McKnight Principles, 3M Leadership, History, CEO and Corporate Officers .
3. http://solutions.3m.com/wps/portal/3m/en_US/our/compa ny/information/history/
4. Yasas Pathiranage-Organizational Culture and Business Performance: An Empirical Study-University of Kelaniya,2019

Factors affecting the Reguliarities of Organizational Culture

Tamar Gambashidze

Associate Professor at Georgian Technical University

SUMMARY

The development of a market economy enables enterprises to develop according to their own laws and principles. The culture of the enterprise will be developed and formed in accordance with these laws and principles. in this way, each organization becomes the owner of a unique culture that determines the behavior, activities and interactions of all employees, both in the enterprise and outside it, with the environment. Reculiarities of culture, its elements arise as a reaction to the problems that arise and carry a functional load to solve or level the negative consequences of these problems. influence of different personal characteristics of people in the organization on the characteristics of organizational culture. The greatest influence, of course, is exerted by prominent, active, leading (leader) personalities, but the interaction of the personal characteristics of other employees brought up in different social and cultural environments also creates a unique content of elements of organizational culture. The conditions of the surrounding society, starting with the living standards and social infrastructure and ending with the mood of the society, the attitude of the society and the governing bodies towards this enterprise. Reculiarities of culture, its elements arise as a reaction to the problems that arise and carry a functional load to solve or level the negative consequences of these problems. The characteristics of the profession leave traces on the nature of human relations, value orientations, require certain moral qualities.

ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები და პროდუქტები: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

ლეილა ღუდუშაური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

თანამედროვე მსოფლიოში ინოვაციურობა ნებისმიერი კომპანიისთვის განვითარებისა და წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სწორედ ციფრული ტექნოლოგიები ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ქმედით ინსტრუმენტად, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს როგორც ეკონომიკურ, ასევე ბიზნეს სექტორზე და განაპირობოს მათი სამომავლო განვითარება.

ინვესტიცია ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბანკო სექტორის მუშაობაზეც. ბანკის როლი ამ საუკუნეში არის არა მხოლოდ მეწარმეების კრედიტით უზრუნველყოფა, არამედ ინოვაციების შექმნა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, რათა გადარჩეს და დარჩეს კონკურენტუნარიანი ტურბულენტურ, კომპლექსურ და კონკურენტულ გარემოში.რ

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია: ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები და ციფრული პროდუქტები; Covid–19 პანდემიასთან დაკავშირებით დისტანციური საბანკო მომსახურების დანერგვისა და განვითარების თავისებურებანი; ინოვაციურ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და კიბერ-უსაფრთხოების კონტროლის თანამედროვე მექანიზმები და გამოთქმულია მოსაზრება მათი შემდგომი დახვეწის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციური საბანკო ტექნოლოგიები; ციფრული საბანკო პროდუქტები; Covid-19 პანდემია და დისტანციური საბანკო მომსახურება; კიბერ რისკები და კიბერ უსაფრთხოება.*

თანამედროვე სამყაროში ფინანსური ოპერაციების განხორციელება წარმოუდგენელია მოწინავე საინფორმაციო სისტემებისა და უახლესი ტექნოლოგიების გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკები და საკრედიტო კავშირები საგრძნობლად ჩამორჩებიან ინდუსტრიის ლიდერებს, რაც უარყოფითად აისახება მომხმარებელთა კმაყოფილებაზე, ოპერაციულ ეფექტიანობასა და შემოსავლების ზრდაზე.

ტექნოლოგიური რევოლუცია, საბანკო საქმიანობის გლობალიზაცია, მომხმარებელთა მუდმივად მზარდი და ამავე დროს ცვალებადი მოთხოვნები, კონკურენციის ზეწოლა, რესურსების ღირებულების ზრდა და სხვა გლობალური ტენდენციები (მაკროფაქტორები) აიძულებს ბანკებს გამოძებნონ კონკურენტული უპირატესობის ახალი წყაროები, აითვისონ და დანერგონ თანამედროვე ინოვაციები. საბანკო სექტორი, ერთი მხრივ, გამოწვევების წინაშე დგება, მეორე მხრივ, კი უჩნდება მრავალი შესაძლებლობა – მიაღწიოს ბაზარზე წარმატებას ინოვაციური პროდუქტების დანერგვითა და მათი მომხმარებლებისათვის შეთავაზების გზით.

ტექნოლოგიურ ინოვაციებს საბანკო სექტორი ძირითადად იყენებს ხელოვნური ინტელექტისა და კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად, რადგან ის ეხმარება ბანკებს გააუმჯობესონ თავიანთი სერვისები და ხარჯების ეფექტიანობა, ვინაიდან საჭიროა ნაკლები თანამშრომელი და ნაკლებად ტრადიციული ფილიალები. ის ასევე ამცირებს ტრანზაქციის ხარჯებს, კლიენტებს აძ-

ლევს შესაძლებლობას განახორციელონ თავიანთი ფინანსური ოპერაციები ნებისმიერ დროსა და ადგილას.

„Covid-19 პანდემიის პირობებში განსაკუთრებით დაჩქარდა ე.წ. დისტანციური საბანკო პროდუქტების განვითარება და დანერგვა. ამავდროულად, გაიზარდა ციფრული მომსახურების რაოდენობა, რაც, ნაწილობრივ, ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული პანდემიით იყო განპირობებული“ – აღნიშნულია საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის ანგარიშში [სებ, წლიური ანგარიში, 2020, გვ. 142].

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ნათლად ცხადყო ინოვაციური საბანკო პროდუქტების საჭიროება და მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი არასტანდარტულ, კრიზისულ სიტუაციებში.

საქართველოს კომერციულ ბანკებში დანერგილი ინოვაციები

ბოლო წლებში საქართველოს კომერციულ ბანკებში დანერგილი ინოვაციები და მათი როლი ეკონომიკაში განვიხილოთ საქართველოს ბანკის მაგალითზე.

საქართველოს ბანკმა 2018 წელს, ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, სრულიად ახალი ინოვაციური გადახდის მეთოდი – **QR-გადახდები** დანერგა და მალევე მომხმარებელს მარტივი და სწრაფი **QR-განვადებაც** შესთავაზა. იმავე წელს, საქართველოს ბანკი პირველი იყო რეგიონში, რომელმაც **ღია ბანკინგის** სტრატეგია წარადგინა, რომელიც გულისხმობს ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას შორის, მომხმარებლის ინიციატივით, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას. ესაა ფინანსურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უსაფრთხო გზა მასში ჩართული ყველა მხარისათვის.

2019 წელს საქართველოს ბანკმა მეტი კომფორტის შესაქმნელად მომხმარებელს გადახდის სრულყოფილი სისტემა – **Apple Pay** წარუდგინა და **Apple Wallet**-ით თანხის გამოტანის შესაძლებლობა მისცა. ამასთან, ონლაინ გადახდების მიმართულებით ახალი, ინოვაციური პროდუქტი – **iPay** გახადა ხელმისაწვდომი [საქართველოს ბანკი, Apple Pay, 2019]. იმავე წელს, ბანკმა **ბიზნესისთვის ახალი ინტერნეტბანკი** შექმნა (2020 წელს Business iBank-ში დამატებული ფუნქციებია: ბიზნეს ფინანსების მართვა, სახელფასო მართვა, ბიზნესის ციფრული ონბორდინგი. Business mBank კი დაინერგა 2021 წლის პირველ კვარტალში).

2020 წელს, მთელს რეგიონში პირველად, მეტროში საპილოტედ ე.წ. **Face Recogniton**-ით, იგივე „ღიმილით გადახდა“ გახადა შესაძლებელი. გარდა ამისა, ბანკმა ბიზნეს მომხმარებელს ინოვაციური პროდუქტი – **„ჭკვიანი პოსტერმინალი“** შესთავაზა, რომელიც ორი სხვადასხვა აპარატის – პოსტერმინალისა და სალარო აპარატის ფუნქციებს აერთიანებს. ასევე, მომხმარებლის ინტერესების დაკმაყოფილებისა და ინოვაციური, პერსონალიზებული ციფრული ბანკინგის განვითარების მიზნით, 2019 წლის ბოლოს, mBank-სა და Business Internet Bank-ს დაემატა **პერსონალური ფინანსური მენეჯერის** (PFM) ინსტრუმენტი, ხოლო 2020 წელს – **ბიზნესის ფინანსური მენეჯერი** (BFM) [საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, გვ.102].

ჯერ კიდევ 2019 წელს, საქართველოს ბანკმა 2020 წელი ინოვაციების წლად გამოაცხადა. შესაბამისად, 2020 წელს, ბანკმა მომხმარებელს კიდევ მეტი ციფრული გადაწყვეტა შესთავაზა. პირველად საქართველოში, საქართველოს ბანკმა ანდროიდ სისტემაზე მომუშავე ტელეფონი გადახდის ტერმინალად აქცია. ე.წ. **„გატერმინალების“** მეშვეობით, მომხმარებლისთვის შესაძლებელი გახდა გადახდის განხორციელება ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მანამდე მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორება ხდებოდა. ხოლო მეწარმეებისა და ბიზნესის წარმომადგენელებისთვის კიდევ უფრო მოსახერხებელი და მარტივი გახდა გადახდების მიღება, რაც, ბუნებრივია, აისახა გაყიდვებზე და

ბიზნესის წარმატებაზე [ფინტექი, გატერმინალება-ინოვაციური გადახდის სისტემა ბიზნესისთვის, 2020].

საქართველოს ბანკი იყო პირველი, რომელმაც კვების ობიექტებში, იქნება ეს კაფე, ბარი თუ რესტორანი, უნაღდო ანგარიშსწორებით ე.წ. „თიფის", იგივე **„სამადლობლის"** დატოვება გახადა ხელმისაწვდომი, ხოლო კიდევ უფრო მეტი კომფორტისთვის, მომხმარებელს **ტერმინალით განაღდების** შესაძლებლობაც შესთავაზა [Businessfeed, საქართველოს ბანკის ინოვაცია, 2021].

ბანკმა ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, 2020 წელს დისტანციურ არხებში სხვა მრავალი სიახლეც დანერგა: ბიზნეს-მომხმარებელს საქმიანობის გამარტივების მიზნით ახალი ინოვაციური თანხის მიმღები აპარატი – **cash box**-ი და ასევე **ფაქტორინგი ციფრულ ეკოსისტემაში** შესთავაზა.

2020 წელს საქართველოს ბანკმა **მობაილ და ინტერნეტბანკის ონლაინ აქტივაცია** უზრუნველყო, კლიენტის დისტანციური იდენტიფიკაციის მეშვეობით – კლიენტი გადის დისტანციურ იდენტიფიკაციას, ე.წ. სელფისა და დოკუმენტების დასკანერების მეშვეობით, რის შემდეგაც მას ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს ავტორიზაციის მონაცემები (username, password), შევიდეს ციფრულ არხებში და ისარგებლოს ინტერნეტ და მობაილბანკით (მათ შორის, ბიზნეს ინტერნეტბანკით) და მიიღოს ეს სერვისები დისტანციურად. 2021 წლის პირველ ნახევარში ინტერნეტ და მობაილბანკში დაემატა **„ჩატის"** ფუნქცია. ამასთან, ბანკმა ე.წ. **ცენტრალური ავტორიზაციის სისტემა** (SSO) დანერგა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ბანკის მომხმარებლისათვის ბანკის ნებისმიერ ციფრულ არხში ერთი იუზერითა და პასვორდით გახდა შესვლა შესაძლებელი, მათ შორის ბიზნეს მობაილბანკში.

საქართველოს ბანკმა პირველმა შექმნა **ციფრული ბარათი** და ასევე პირველმა შესთავაზა მომხმარებელს მობაილბანკში **თანხის გაყოფისა და მოთხოვნის** ინოვაციური ფუნქციონალი. 2021 წელს კი ბანკმა **სესხის განაცხადის შევსებისა და ლიმიტის დამტკიცების პროცესი** კიდევ უფრო გაამარტივა. მომხმარებელს შესაძლებლობა მიეცა რამდენიმე წუთში მობაილბანკში, ინტერნეტბანკსა და ვებგვერდზე – **bog.ge** გაეგო რა შესაძლებლობები აქვს საკრედიტო ჭრილით ნებისმიერ პროდუქტზე (სამომხმარებლო სესხი, იპოთეკური სესხი, განვადება, საკრედიტო ბარათი) და სურვილის შემთხვევაში, თავადვე გაეაქტიურებინა შესაბამისი საბანკო პროდუქტი ონლაინ.

ამავე წელს ბანკმა **ონლაინ განვადება** დანერგა, რაც გულისხმობს იმას, რომ ტექნიკის, ტანსაცმლის თუ სხვა ტიპის პროდუქტების ონლაინ შეძენისას, მომხმარებელს მიეცა შესაძლებლობა მარტივად, ვებგვერდის დატოვების გარეშე, განვადებით შეეძინა სასურველი ნივთი [საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები, შუალედური მმართველობითი ანგარიშგება, 2021, გვ. 14].

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტი საქართველოს ბანკისაგან – 2021 წლიდან უკვე შესაძლებელია ქართულ ენაზე აშშ-ს საფონდო ბირჟებზე ინვესტირება და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, სწრაფად, მარტივად, ნებისმიერი ადგილიდან Online ბანკის მეშვეობით. განსაკუთრებით პანდემიის დროს ე.წ. რევოლუციური მოძრაობა დაიწყო – ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საცალო ინვესტორი გამოვიდა (თუ ამ დრომდე იყვნენ მხოლოდ საინვესტიციო ფონდები და ინსტიტუციონალური ინვესტორები), პლათფორმად იქნა გამოყენებული საქართველოს მობაილბანკი, რომელშიც ჩაშენებულია შესაბამისი სავაჭრო პროგრამა. რეგიონში პირველად დაინერგა წილადობრივი ფასიანი ქაღალდების ყიდვის ფუნქცია – შესაძლებელია, მაგალითად, ერთი აქციის წილის შესყიდვა. გამარტივებულია საკომისიოების სტრუქტურა, არის მხოლოდ ორი საკომისიო: 1 ტრანზაქცია – 1$ და 1 თვის გადასახადი – 2$.

Covid–19 პანდემია და დისტანციური საბანკო მომსახურება

საქართველო. ზემოაღნიშნული სიახლეები მხოლოდ ნაწილია იმ მრავალფეროვანი ინოვაციებისა, რომელსაც დღეს საბანკო სექტორი გვთავაზობს. საინტერესოა, როგორ შეიცვალა ციფრული მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობა და აქტივობა Covid–19 პანდემიის პერიოდში წინა წლებთან შედარებით. განვიხილოთ აღნიშნული საქართველოს ბანკის მაგალითზე:

პანდემიის ადრეულ ეტაპზე (ორი თვის განმავლობაში 2020 წლის გაზაფხულზე გამოცხადებული „ლოქდაუნის" დროს) საქართველოს ბანკმა, საცალო მომხმარებლების მიერ ციფრული არხების გამოყენების წახალისების მიზნით, დროებით გააუქმა საკომისიო გადასახადი ონლაინ და მობილური საბანკო პლატფორმების მეშვეობით შესრულებულ გადახდებზე; დაინერგა mBank (მობილური საბანკო აპლიკაცია) მონაცემთა პაკეტის გარეშე, რაც კლიენტებს საშუალებას აძლევს, ჰქონდეთ წვდომა mBank-ზე ინტერნეტ კავშირის ან მობილური ინტერნეტის გარეშე; შემუშავებულ და გაზიარებულ იქნა საგანმანათლებლო ვიდეორგოლები, რათა უფრო მეტმა მომხმარებელმა გამოიყენოს mBank და ისარგებლოს მასში ჩაშენებული ინსტრუმენტებითა და ფუნქციებით.

აღსანიშნავია, რომ პანდემიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ციფრული მომხმარებლების რაოდენობა და შესაბამისად გაიზარდა მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების რაოდენობაც – მობაილ და ინტერნეტბანკის *მომხმარებლების რაოდენობა* 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, 34%-ით გაიზარდა და 760 ათასი შეადგინა (იხ. სქემა 1):

სქემა 1.

mBank და iBank-ის აქტიური მომხმარებლების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, გვ.55, https://gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf

რაც შეეხება მობაილ და ინტერნეტბანკით განხორციელებული *ტრანზაქციების მოცულობას,* ამ შემთხვევაში დაფიქსირდა 62%-იანი ზრდა, 2019 წელთან შედარებით და 66.7 მილიონი ლარი შეადგინა (იხ. სქემა 2):

სქემა 2.

mBank and iBank ტრანზაქციების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, გვ. 55, https://gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf

განტვირთვის კოეფიციენტი კი(ციფრული არხებით განხორციელებული ტრანზაქციების წილი მთლიან ტრანზაქციებში) 2020 წელს 95%-ზე მეტს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით მაღალია (იხ. სქემა 3):

სქემა 3.

ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტი



წყარო: საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, გვ. 55, https://gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf

2020 წელს მიღწეულ იქნა განტვირთვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები (იხ. სქემა 4):

სქემა 4.

განტვირთვის მაჩვენებელი 2020 წელს



წყარო: საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, გვ. 48, https://gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს საქართველოს ბანკის საცალო ფილიალების რაოდენობა შემცირებულია 272 ერთეულიდან 201 ერთეულამდე. აღნიშნული შესაძლებელია ჩაითვალოს დისტანციური მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობის ზრდისა და გააქტიურების თანმდევ პროცესად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამჟამად კორპორატიული საბანკო ოპერაციების 99% ციფრულ რეჟიმში ხორციელდება [საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, გვ. 51].

2020 წელს, Global Finance Magazine-ის მიერ, საქართველოს ბანკი მომხმარებლისთვის საუკეთესო ციფრულ ბანკად დასახელდა, 2020 წელს ბანკმა ასევე მიიღო ჯილდო საუკეთესო ონლაინ პროდუქტის შეთავაზებებისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ანალოგიური ჯილდოებით აღინიშნა ბანკის საქმიანობა 2021 წელსაც.

დღეს, უკონტაქტო გადახდის რაოდენობის მხრივ, საქართველო რეგიონის ლიდერებს შორისაა. Mastercard-ის კვლევის თანახმად, POS ტერმინალებით გადახდილი თანხის 98%, ხოლო ტრანზაქციების 70% უკონტაქტოა. სმარტფონი გლობალური მასშტაბით გადახდის ყველაზე სასურველ მოწყობილობად ითვლება. კვლევის თანახმად, ევროპელთა თითქმის 80% იყენებს მობილურ ტელეფონს, როგორც გადახდის საშუალებას [ნეტგაზეთი, 16 სექტემბერი, 2020].

მსოფლიო გამოცდილება. ციფრულ მომსახურებაზე Covid–19 პანდემიის ზეგავლენისა და არსებული ტენდენციების შესასწავლად საყურადღებოა დელოიტის (Deloitte) მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, რომლის მიხედვითაც გვაქვს შემდეგი სტატისტიკა:

- 2020 წელს აშშ-ში მომხმარებელთა 35%-მა გაზარდა ონლაინ ბანკის მოხმარება;
- 2020 წელს Visa-ს მომხმარებლების რიცხვი ლათინურ ამერიკაში 13 მილიონით გაიზარდა;
- Mastercard-მა მსოფლიო მასშტაბით დააფიქსირა უკონტაქტო ტრანზაქციების 40%-ზე მეტი ზრდა პანდემიის პერიოდში;
- ევროპაში მხოლოდ ციფრულ (Digital-only) ბანკებს აქვთ დანახარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობის 47%-იანი მაჩვენებელი, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ტრადიციულ საბანკო დაწესებულებებთან შედარებით, სადაც იგივე მაჩვენებელი 73%-ს უტოლდება.

PNC ბანკის აღმასრულებელი დირექტორი, უილიამ დემჩაკი აღნიშნავს, რომ ბანკის ციფრული გაყიდვები 25%-დან ნახტომისებურად გაიზარდა და მიაღწია 75%-ს. მიზანი, რომელიც 10 წლიან სტრატეგიაში შეიძლება ყოფილიყო გაწერილი, მიღწეულ იქნა 2 თვეში [Deloitte, 2020]. სა-

ქართველოს ბანკის მაგალითზე, 2021 წლის ივნისის თვის მონაცემებით, აღნიშნული მაჩვენებელი 21%-ს უტოლდება [საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები, 2021, გვ.14].

მაკკინსის (Mckinsey) ანალიზში აღნიშნულია, რომ პანდემიამ დააჩქარა მომხმარებელთა და ბიზნესის მიერ ციფრული ათვისების იმ დონის მიღწევა, რასაც, სავარაუდოდ, ხუთი წელი დასჭირდებოდა, დაახლოებით რვა კვირაში. პანდემიის დაწყების შემდეგ მომხმარებელთა ნაკადი, რომელიც ადრე ასრულებდა საბანკო ოპერაციებს ბანკის ფილიალებში, გადავიდა ციფრულ ბანკინგზე. გარდა ამისა, მომხმარებლებმა, რომლებიც ადრე სარგებლობდნენ ონლაინ ბანკინგის გარკვეული ფორმით – ფულის გადარიცხვით ან გადასახადების გადახდით, პანდემიის პერიოდში მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი ონლაინ აქტივობა [Cohen M., 2021].

ციფრულ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული რისკები

ინოვაციური საბანკო პროდუქტის დანერგვა დაკავშირებულია სხვადასხვა სახეობის რისკთან, რომელთა შორის აღსანიშნავია: კიბერ რისკი, სტრატეგიული, ლიკვიდურობის, საოპერაციო, შესაბამისობისა და მესამე მხარის რისკები. აფრიკის ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის – კენიის მაგალითზე აღნიშნული რისკები 2020 წლის კვლევის შედეგად შემდეგი სახით გადანაწილდა (იხ. სქემა 5):

სქემა 5.

ციფრულ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული რისკები (კენიის მაგალითზე)



წყარო: CENTRAL BANK OF KENYA BANKING SECTOR INNOVATION SURVEY, 2020, https://www.afi-global.org/wp-content/uploads/2021/09/Banking-Sector-Innovation-Survey-2020.pdf

როგორც ვხედავთ, კიბერ რისკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. საქართველოს, მიუხედავად პანდემიისა, კიბერ უსაფრთხოების დარღვევისგან და IT მომსახურების შეფერხებისგან მომავალი საოპერაციო დანაკარგები საბანკო სექტორში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. COVID-19-ის გავრცელების საწყისი ეტაპიდან მოყოლებული, გლობალური მასშტაბით, კიბერ შეტევები ფინანსურ სექტორზე სხვა სექტორებთან შედარებით უფრო მეტად გაიზარდა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისა და ციფრული სერვისების

გამოყენების ზრდის მიუხედავად, ქართულ ფინანსურ სისტემაში კიბერ რისკები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, თუმცა, ფიქსირდებოდა „ფიშინგისა“ და DdoS (მომსახურების განაწილებული უარყოფა) სახის შეტევის მცირე რაოდენობის მცდელობები.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალურად კიბერ შეტევების მატება, გარკვეულწილად, საქართველოსაც უზრდის რისკებს ამ მიმართულებით, ამიტომ საბანკო სექტორს, კიბერ უსაფრთხოების დადგენილი საზედამხედველო მოთხოვნების ფარგლებში, კიბერ უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების დანერგვა და რეგულარული შეფასება მოეთხოვება [სებ, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2021, გვ. 62].

დასკვნები

ყოველივე ზემოაღნიშნულის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი დასკვნები:

- ელექტრონული საბანკო სერვისების მომხმარებელთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა და მათი აქტივობა მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული მიმართულება ბანკის სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული გამოწვევაა და კონცენტრაცია მის მუდმივ სრულყოფაზე საკრედიტო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას განაპირობებს;
- მოთხოვნა ციფრულ საბანკო პროდუქტებზე სწრაფი ზრდის ტემპით ხასიათდება;
- ციფრული საბანკო მომსახურება იწვევს დროის ეკონომიას;
- თითოეული ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვა პოზიტიური სიგნალია მომხმარებელთათვის და ზრდის მათ დაინტერესებასა და აქტიურობას;
- საბანკო დაწესებულებების მოქნილობა, ცვლილებებთან სწრაფი ადაპტირება, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში (მაგალითად, როგორიცაა Covid–19 პანდემია) სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება აისახება მომხმარებელთა ლოიალობასა და კმაყოფილებაზე და, შესაბამისად, ბანკის მომგებიანობაზე;
- მიუხედავად იმისა, რომ ფიშინგისა და საბანკო თაღლითობების ფაქტები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა პანდემიის პერიოდში, იგი მაინც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, აღნიშნული კი იწვევს უნდობლობას ონლაინ საბანკო სერვისების მიმართ და აფერხებს პოტენციური მომხმარებლების მოზიდვას;
- მომხმარებელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი ქმნის ფასეულობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას.

რეკომენდაციები

- მიზანშეწონილია, ბანკებმა განახორციელონ მეტი საგანმანათლებლო ღონისძიება დანერგილ ინოვაციებთან დაკავშირებით, სახელდობრ, განათავსონ ვიდეორგოლები მომხმარებლების მიერ ახალი ციფრული პროდუქტებით სარგებლობისა და კიბერთაღლითობისაგან დაცვის წესების შესახებ;
- მობაილ და ინტერნეტბანკის ინტერფეისი სასურველია იყოს მაქსიმალურად მარტივად აღსაქმელი და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული;

- მიუხედავად ინოვაციური პროდუქტის დანერგვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დანახარჯებისა, ბანკებმა უარი არ უნდა თქვან მათზე, რადგან უკუგება გრძელვადიან პერიოდში ბევრად აღემატება აღნიშნულ პროდუქტზე გაწეულ ხარჯებს;
- ბანკებს სასურველია გააჩნდეთ ციფრული პროდუქტისა და მომსახურების მოცულობის ზრდის რეზერვები, რათა კრიზისულ სიტუაციებში შეეძლოთ მომხმარებელთა მოთხოვნების უეცარ ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირება;
- ბანკებს უნდა ჰქონდეთ მოქნილი პოლიტიკა და ალტერნატიული სამოქმედო გეგმა არასტანდარტული გარემოებების (მაგალითად, როგორიცაა Covid–19 პანდემია) ეფექტიანი მართვის მიზნით.

ლიტერატურა:

1. Businessfeed, საქართველოს ბანკის ინოვაცია: დაუტოვე სამადლობელი ბარათით ან პოსტერმინალით, 2021, https://businessfeed.ge/saqarthvelos-bankis-inovatsia-dautove-samadlobeli-barathith-an-posterminalith/?fbclid=IwAR19BlhI5CvwGzaI-LYTt7mLEPk5BtFnQKVWzmrKbmGjZYPrkyaJvvOOb9Y
2. ნეთგაზეთი, Mastercard საქართველოში უნაღდო გადახდების განვითარების სათავეშია, 16 სექტემბერი, 2020, https://netgazeti.ge/news/482113/
3. საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები, შუალედური მმართველობითი ანგარიშგება,2021, https://gse.ge/upload/d945c550_436d_46f6_99e7_e853175349b4_3eedde01.pdf
4. საქართველოს ბანკი, Apple Pay – გადახდის სრულყოფილი სისტემა საქართველოს ბანკშია, 2019, https://bankofgeorgia.ge/ka/retail/digital-bank/applepay
5. საქართველოს ბანკი, მმართველობითი ანგარიშგება, 2020, https://gse.ge/upload/JSC_BOG_Group_Management_Report_2020_GEO_312802c8.pdf
6. საქართველოს ბანკი, წლიური ანგარიში, 2018, https://bankofgeorgiagroup.com/reports/annual/15/download
7. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2021, https://cutt.ly/ZUIBBCx
8. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2020, https://cutt.ly/UUIHRum
9. ფინტექი, გატერმინალება – ინოვაციური გადახდის სისტემა ბიზნესისთვის, 2020, https://www.fintech.ge/news/details?id=120
10. CENTRAL BANK OF KENYA BANKING SECTOR INNOVATION SURVEY, 2020,
11. https://www.afiglobal.org/wpcontent/uploads/2021/09/Banking-Sector-Innovation-Survey-2020.pdf
12. Cohen M., Covid Has Catalyzed Banking Innovation: The Challenges and Opportunities that Remain, 05 January, 2021, https://www.finextra.com/blogposting/19714/covid-has-catalyzed-banking-innovation-the-challenges-and-opportunities-that-remain
13. Deloitte, Realizing the digital promise, COVID-19 catalyzes and accelerates transformation in financial services, 2020, https://www2.deloitte.com/content/dam/Deloitte/global/Documents/Financial-Services/gx-fsi-realizing-the-digital-promise-covid-19-catalyzes-and-accelerates-transformation.pdf

Innovative Banking Technologies and Products: Challenges and development prospects

Leila Ghudushauri
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Associate Professor, Doctor of Economics

SUMMARY

The 21st century is the era of technology, the rapid development of technology creates new significant opportunities in terms of accessibility, convenience and efficiency of financial products. Technological innovations are mainly used by the banking sector to create competitive information and competitive advantage, as they help banks improve their services and cost efficiency, as fewer employees and less traditional departments are required, which allows them to provide customers with much faster service at a lower price.

Banks have been promoting digital opportunities for several years, but the Covid-19 crisis has brought the problem to the fore, requiring a quick adjustment of expectations, time frames and scope of use. As a result, banks are forced to solve online tasks faster and more decisively, including security, communication with clients and development of new services on request.

The pandemic has also threatened the growth of competing banks as smaller institutions try to capture market share using innovative digital services. The financial insecurity that many people are experiencing now has prompted them to prefer larger institutions, because they believe that they are better prepared to weather the storm. This will probably lead to further consolidation in the banking sector – larger banks will swallow smaller ones. Consolidation can lead to the development of digital services, but on the other hand, consolidation can mean less competition and, therefore, less innovation. How this will affect the market of financial services will show.

One thing is clear, clients are looking for safe and stable banks, but convenience is no less important for them, so financial services institutions realize that innovation and digital transformation have become necessary not only for survival, but also for ensuring future growth.

The article discusses and analyzes: innovative banking technologies and digital products: Features of the development and implementation of remote banking services in connection with the Covid-19 pandemic; Modern mechanisms for risk assessment and cybersecurity control in relation to innovative banking products and an opinion is expressed in the direction of their further improvement.

ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე მულტიკულტურული ფაქტორების ზეგავლენა

თეიმურაზ შენგელია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გლობალიზაციის შედეგად ინოვაციები გახდა მსოფლიოს მოწინავე ქვეყანების ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების წყარო. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო კომპანიები ხასიათდებიან ურთიერთანამშრომლობისა და კოორდინაციის მაღალი დონით და ორიენტაციას იღებენ გლობალურ ინოვაციებზე, რაც ერთის მხრივ არის ტექნოლოგიური პროგრესის, ხოლო მეორეს მხრივ მათი მოგების ზრდის მნიშვნელოვანი წყარო.

საქართველოში ინოვაციური განვითარების წინაპირობებად მიჩნეულია: შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განვითარება, დაფინანსების წყაროების მოძიება, მარაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო კადრების ფორმირება, ქვეყნის ტექნოლოგიური პროგრესი, ამასთან, ბიზნესკულტურა როგორც ინოვაციური პროგრესის წყარო ბოლომდე არ არის შესწავლილი. ეს მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ დომინირებს მოსაზრება რომლის მიხედვითაც ინოვაციების ტექნოლოგიური კომპონენტი უფრო მნიშვნელოვნია, ვიდრე კულტურული. ბაზრებისა და დარგების გლობალიზაციის კონტექსტში ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორების შესწავლა და ანალიზი სულ უფრო აქტუალური ხდება.

საკვანძო სიტყვები: გლობალური ინოვაცია, კულტურული ფაქტორი, ეკონომიკური პროგრესი, საქართველო, ინოვაციური განვითარება.

გლობალიზაციის ეპოქაში ინოვაციური განვითარება მიჩნეულია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პროგრესიის ძირითად წყაროდ. საქართველოს დამკვიდრება მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციური პროდუქციის წარმოების გარეშე. თუ გავითვალისწინებთ „აზიური ვეფხვების“ გამოცდილებას, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ მათი „ეკონომიკური ნახტომის“ საწინდარი არა მხოლოდ ღია, ლიბერალური ეკონომიკა, არამედ ღრმად გააზრებული და პროგრესული ინოვაციური პოლიტიკაა. ორიენტაცია იმ დარგების განვითარებაზე, რომლებიც ხასიათდებიან სწრაფი ეკონომიკური უკუგებით (მაგ. ტურიზმი) არ იძლევა ხანგრძლივი ეკონომიკური ეფექტისა და ინვესტიციების სწორი, მიზნობრივი განაწილების შესაძლებლობას. მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლებითა და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მზარდი დინამიკით ხასიათდებიან, პრიორიტეტულ ადგილს იმკვიდრებენ მეცნიერებატევადი დარგები.

საქართველო არ ხასიათდება ინოვაციური განვითარების მაღალი დონით, რაზეც მეტყველებს ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის დაბალი მაჩვენებელი. ამის მიზეზები უნდა ვეძებოთ ის უსისტემო რეფორმებში, რომლებიც ბოლო წლებში ტარდება, რასაც მოჰყვა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის სისტემური ნგრევა. ბოლომდე გაუაზრებელი პრივატიზაციის პოლიტიკის შედეგად, ათობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გასხვისდა, რამაც მიგვიყვანა გამოყენებითი, ფუნდამენტური კვლევების სიმცირემდე, ქვეყნის ტექნოლოგიურ დეგრადაციამდე. ამ პირობებში, ქვეყანა ფაქტობრივად მომსახურების დარგებიდან მიღებული შემოსავლების იმედად დარ-

ჩა. საექსპორტო პოტენციალში ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხოლო პროგრესირებად დარგად მიჩნეულია ტურიზმი, რაც არასაკმარისია ქვეყნის მონეტარული სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, რის გამოც ადგილობრივი ვალუტა – „ლარი“ განიცდის მნიშვნელოვან რყევებს. ინოვაციების დარგში გაუაზრებელი სახელმწიფო პოლიტიკა არ იძლევა ხანგრძლივ პერიოდზე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების განჭვრეტის შესაძლებლობას.

არასახარბიელოა საქართველოს პოზიციები ინოვაციათა გლობალურ ინდექსში (იხ.დიაგრამა 1). 2020 წლის მაჩვენებლებით, ქვეყნის რეიტინგი 15 ადგილით გაუარესდა და ის 63-ე ადგილზე აღმოჩნდა.

დიაგრამა 1.

საქართველოს რეიტინგი ინოვაციათა გლობალურ ინდექსში 2014-2020 წლებში



წყარო: www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf

ინოვაციათა გლობალური ინდექსის გაუარესების ერთ-ერთ დამატებით მიზეზად მკვლევარები კოვიდ-19 პანდემით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისს ასახელებენ. რგაუარესებულია საქართველოს რეიტინგი ამ ინდექსის 7-დან 5 კატეგორიაში. ესენია: საბაზრო განვითარება, სადაც (ქვეყანა მე-15 ადგილიდან 39-ე ადგილზე) აღმოჩნდა, ბიზნესის განვითარება 70-დან 79- ადგილზეა, შემოქმედებითობის 58-დან 68-ადგილზე, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარების კატეგორიაში 72-დან 81-ზე. გაუარესებულია ცოდნა და ტექნოლოგიების მაჩვენებლებიც. რუსეთი, უკრაინა და საქართველო რეიტინგში შესაბამისად, 46-ე, 37-ე და 63-ე ადგილს იკავებენ, მაშინ როდესაც 2019 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი შესაბამისად 46, 47 და 48 იყო. ანალიზიდან ჩანს, რომ საქართველოს მაჩვენებელი 15 ქულით გაუარესდა [www.wipo.int _2020.pdf]. ინსტიტუტების კატეგორიაში, ქვეყანას წამყვანი პოზიცია უკავია ბიზნესის დაწყების სიმარტივის თვალსაზრისით.რთუმცა, ბიზნესგანვითარების დონის მიხედვით შეინიშნება უმაღლეს სასწავლებლებსა და კერძო სექტორს შორის კვლევითი თანამშრომლობის სიმწირე და კლასტერული განვითარების დაბალი დონე.

საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- ინოვაციურ პროდუქციაზე მოთხოვნის დაბალი დონე;
- სამეცნიერო პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია;
- ტექნოლოგიური ბაზრის განუვითარებლობა;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდანრ მეცნიერების დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი;

- არაფორმალური ინვესტორების ქსელის განუვითარებლობა;
- კრაუდფანდინგის, როგორც ფულადი სახსრების მოზიდვის ინსტრუმენტის, გავრცელების დაბალი მაჩვენებელი;რ
- გამოგონებების სიმცირე და სხვა.

ინოვაციის გლობალური ინდექსის ანალიზის შედეგები თვალსაჩინოს ხდის ქვეყანაში არსებულ სტაგნაციას. ინოვაციური შესაძლებლობები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში, შესაბამისად აუცილებელია ამ სექტორში არსებულ გამოწვევებისადმი კომპლექსური და ყოვლისმომცველი მიდგომა.

ინოვაციების ქვეშ, როგორც წესი, ესმით ტექნოლოგიური ინოვაციები. თუმცა, ისინი მხოლოდ საერთო ინოვაციური პროცესის ნაწილია და როგორც პრაქტიკა მეტყველებს, ეს პროცესი არ შეიძლება წარმატებული იყოს კულტურული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე.

გლობალიზებულ ბიზნესგარემოში ინოვაციური პროცესი ტრადიციულისგან განსხვავებით მოითხოვს ინოვაციების უფრო ფართო და ინკლუზიური განხილვას. ამ პროცესისადმი ინტეგრირებული, მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული მიდგომა საშუალებას გვაძლევს პასუხი გავცეთ მრავალ კითხვას, რომელიც საქართველოს რეალობის გათვალისწინებით აქტუალურია. ტექნიკური ინოვაციების პრობლემა დღეს სცილდება ახალი პროდუქტების განვითარების ჩარჩოებს, აქცენტი გადატანილია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბიზნესმოდელი, კორპორაციული სტრუქტურა, ღირებულებათა ჯაჭვის შექმნის, მომსახურება, ბრენდი, დამკვეთის გამოცდილება [Andrew, 2009, p. 8].

ცნობილი მკვლევარი მ. მაქკეონი [McKeown, 2008, p. 341] წარმოგვიდგენს ინოვაციური პროცესის შემდეგ თანმიმდევრობას:

1. იდეის ფორმირება;
2. განაწილება;
3. პრაქტიკული რეალიზაცია;
4. სიახლის შექმნა.

გლობალიზაციის პირობში ინოვაციურმა პროცესმა შეიძლება მოიცვას რამდენიმე ორგანიზაცია. შესაბამისად, ინოვაცია რომელიც ხორციელდება ერთი ორგანიზაციის მიერ არის ლოკალური, ხოლო ის, რომელიც ხორციელდება რამდენიმე ორგანიზაციის მიერ გლობალურია. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო კომპანიები ხასიათდებიან ინოვაციების დარგში ურთიერთანამშრომლობისა და კოორდინაციის მაღალი დონით და ორიენტაციას იღებენ გლობალურ ინოვაციებზე, რაც ერთის მხრივ არის ტექნოლოგიური პროგრესის, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის მნიშვნელოვანი წყარო.

ამდენად, გლობალური ინოვაციები შეიძლება განვიხილოთ როგორც მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია განვითარებული, თანამედროვე საბაზრო პირობების მქონე ქვეყნებისთვის, რომლებიც გამოირჩევიან ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მაღალი ხარისხით. საქართველო ასეთ ქვეყანათა რიცხვს არ მიეკუთვნება, რის გამოც ის არ მონაწილეობს გლობალური ინოვაციურ პროცესში, ამ მიზეზით იზღუდება ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტორიდან ქვეყნის შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. ცხადია ისიც, რომ ეს მიზეზი განსაზღვრავს საქართველოს პერიფერიულ ადგილს მსოფლიოს ტექნოლოგიურ განვითარებაში.

ჰ. ჩესბროუს [Chesbrough, 2006, p. 403] სწორად მიაჩნია, რომ გლობალური ინოვაციები ბევრად არის „დამოკიდებული იდეებისა და ტექნოლოგიების საშუამავლო ბაზრების განვითარებაზე“. საქართველოში ასეთი საშუამავლო ბაზარი არა თუ განვითარებული, არამედ ფორმირებულიც კი არ არის. ღია ინოვაციების ბიზნესმოდელები განპირობებულია ისეთი ობიექტური ფაქტო-

რებით, როგორიცაა ბაზრების გლობალიზაცია და გლობალური კონკურენცია, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის შემცირება, ახალი ტექნოლოგიების შექმნის მზარდი სირთულე (შესაბამისად იზრდება ხარჯები და რისკები), ტექნოლოგიების, პერსონალისა და ფინანსური გადაწყვეტილებების ბაზრების განვითარება.

თანამედროვე პირობებში ინოვაციები განსხვავებულ კულტურულ გარემოში იბადებიან და ვითარდებიან. შესაბამისად, ინოვაციური პროცესზე კულტურის ზეგავლენა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

საქართველოში ინოვაციური პროცესის კულტურის ფაქტორი ნაკლებად შესწავლილია. ინოვაციების კონტექსტში ეროვნული და ბიზნეს კულტურა, თითქმის არ განიხილება. ეს მოტივირებულია იმითაც, რომ ინოვაციების ტექნოლოგიური კომპონენტი უფრო მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, ვიდრე ჰუმანიტარული. ამავდროულად, ბაზრების, დარგების და ინოვაციების გლობალიზაციის კონტექსტში ინოვაციების მულტიკულტურული ფაქტორების გათვალისწინება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ინოვაციაში ტექნიკურ შემადგენელთან ერთად აუცილებელია მისი კულტურული საწყისის განხილვა, რამეთუ კულტურა განსაზღვრავს ინოვაციური პროცესის სპეციფიკასა და თავისებურებებს. გლობალური ინოვაციური პროცესის წარმატება მოითხოვს ერების მულტიკულტურული თავისებურებების გათვალისწინებას, სახელმწიფოს დომინანტი ფუნქციის სწორ აღქმას, ინოვაციებისადმი რელიგიური მიდგომების შესწავლას. ლ.ჰარისონმა შეისწავლა ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების კულტურულ თავისებურებები. მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყნებში გაბატონებულ სიღარიბესა და უსამართლობას ღრმა კულტურული ფესვები აქვს და ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიამ, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესმა დეტერმინანტმა. „ზოგიერთი რელიგია უკეთ არის ორიენტირებული პერსონალურ პასუხისმგებლობაზე, მეწარმეობაზე, განათლებაზე და ნდობაზე ვიდრე სხვები. რაც შეეხება დემოკრატიას, კეთილდღეობასა და კანონის უზენაესობას, პროტესტანტული საზოგადოებები, მნიშვნელოვნად უსწრებენ კათოლიკურს. კონფუციურმა საზოგადოებებმა (იაპონია, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჩინეთი) მიაღწიეს ტრანსფორმაციულ ეკონომიკურ ზრდას. ისლამური ქვეყნები, თუნდაც ნავთობით მდიდარ რეგიონებში, კვლავაც გამოირჩევიან ეკონომიკური განვითარების შენელების ტემპით“ [Harrison, 2006.,p.134]. რელიგიის ფაქტორით შეიძლება აიხსნას ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რაც დასაბუთებულია მაქს ვებერის ნაშრომში: „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (Weber, 2002). საეკლესიო რეფორმაციამ, რომელიც შთაგონებული იყო კალვინიზმის, ლუთერანიზმის იდეებით, გამოიწვია ევროპის ეკონომიკის ძლიერი და პროგრესული ბიძგი.

ლ.ჰარისონი, რომელიც კაპიტალიზმს დემოკრატიასა და თავისუფლებას უკავშირებს, ასევე გამოყოფს ორთოდოქსული ეკლესიის როლს, რომელმაც ხელი შეუწყო ანტი-კაპიტალისტურ ტენდენციებს მართმადიდებლურ ქვეყნებში, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენდა ამ რეგიონების ინოვაციურ განვითარებაზე [Harrison, 2006.,p.108]. მეცნიერს მიაჩნია, რომ დროთა განმავლობაში კულტურული ტრანსმისიის შედეგად, შესაძლებელია განავითარდეს ცალკეული ერის კულტურა – რაც თავის მხრივ გამოიწვევს პოლიტიკურ პლურალიზმს და ეკონომიკურ პროგრესს. ამ ცვლილებების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები ასახულია ნახაზ 1-ში:

ნახაზი 1

კულტურული ცვლილებების ინსტრუმენტები ლ. ჰარისონის მიხედვით:



წყარო: Harrison L., (2006) The Central Liberal Truth: How Politics Can Change a Culture and Save It from Itself. Oxford University Press, 2006. -288 pp.

1. განათლება, ხელს უწყობს დემოკრატიული და სამეწარმეო ღირებულებების განვითარებას;
2.რელიგიური რეფორმა, ხელს უწყობს კულტურული ღირებულებების ტრანსფორმაციას
3. ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესება, ხელს უწყობს კულტურული ღირებულებების ფორმირებას.

ტექნოლოგიური პროგრესის კულტურულ ფაქტორებს შორის, ბრიტანელი მკვლევარი გ.გელადე გამოყოფს ღია ინტელექტუალურ გარემოს, ინტელექტუალურ ავტონომიასა და სოციალურ თანასწორობას [Gelade, 2008, p. 712]. ამერიკელი მკვლევარი ს.შანე [Shane, 1993. p. 51] აღნიშნავს, რომ გაურკვევლობისადმი დამოკიდებულება (როგორც რისკისა და ცვლილებებისადმი მზაობა), ინდივიდუალიზმი (როგორც ავტონომია, დამოუკიდებლობა და თავისუფლება), და ხელისუფლების დისტანციის ნაკლებობა (როგორც იერარქიისა და ავტორიტარიზმის ანტიპოდი) ასოცირებულიდება ერების მაღალ ინოვაციურობასთან. „ინოვაციათა ეროვნული მაჩვენებლები განპირობებულია უფრო ფუნდამენტური ძალებით, ვიდრე ეკონომიკური პირობებით. სოციალური ცვლილებები აუცილებელი შეიძლება იყოს იმისათვის, რომ ნაკლები ინოვაციური საზოგადოება უფრო ინოვაციური გახდეს“ [Shane, 1993. p. 38]. ს.შემანის აზრით, ქვეყნის განვითარება განპირობებულია ისეთი კულტურული ფაქტორებით, როგორიცაა საგარეო იდეების გახსნილობა და ერის უცხოელებთან თანამშრომლობის სურვილი [Sheman, 2009, p.178]. ლ.ჰარისონის მიხედვით, „ზოგიერთი კულტურა პროგრესისადმი უფრო მიდრეკილია, სხვები კი არა.“ თავის წიგნში (The Central Liberal Truth. 2006, pp. 36-37) მეცნიერმა წარმოადგინა პროგრესისადმი მიდრეკილი და პროგრესის საწინააღმდეგო კულტურების შედარებითი თვისებები. კულტურის ფაქტორები გაერთიანებულია 4 ჯგუფში – „სამყაროზე წარმოდგენა“, „ღირებულებები“, „ეკონომიკური ქცევა“, „სოციალური ქცევა“.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურა ინოვაციებისადმი რეზისტენტულია, ის ეწინააღმდეგება პროგრესს. ქვეყნის საბაზისო სამართლებრივი, ეკონომიკური, დემოკრატიული პირობები არ შეესაბამება ქვეყნის კულტურული რეფორმაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოთხოვნებს.

კულტურა მოიცავს აბსტრაქტულ და მატერიალურ ელემენტებს. აბსტრაქტული ელემენტები მოიცავს ღირებულებებს, ნორმებს, იდეებს. კულტურის ყველა კომპონენტი ურთიერთდაკავშირებულია. მაგალითად, ს.შემანი მიიჩნევს, რომ დემოკრატია შეუძლებელია ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს არ აღემატება 10000 აშშ.დოლარს [Sheman, 2009., p.71].

კულტურას, საზოგადოების კეთილდღეობის დონესა და საჯარო ინსტიტუტებს შორის კავშირზე მიუთითებს ჯ. მოვენი [Mowen, 1995., p.702). მეცნიერმა ჩამოაყალიბა კულტურის სამგანზომილებიან მატრიცა (იხ:ნახ. 2):

ნახაზი 2.

ჯ.მოვენის კულტურის სამგანზომილებიანი მატრიცა

წყარო: Mowen J., Consumer Behavior. 4-th ed. Macmillan Publishing Co., 1995. – 862 pp.

1) კულტურული ფასეულობებში მეცნიერი გულისხმობს: ინდივიდუალიზმს, მიღწევებს, ინფორმატიულობას, თანასწორობას, პროგრესს, მატერიალიზმს;
2) მატერიალური გარემოში: ეკონომიკურ განვითარებას, გეოგრაფიულ მახასიათებლებს, ბუნებრივ რესურსებს, ტექნიკურ/სამეცნიერო დონეს;
3) ინსტიტუციურ/სოციალური გარემოში: პოლიტიკურ, რელიგიურ, ბიზნეს სუბკულტურას.

იმისათვის, რომ მოხდეს ქართული ბიზნესის გლობალურ ინოვაციებში მონაწილეობის აქტივიზაცია, მულტიკულტურული ბარიერების დაძლევის მიზნით აუცილებლია:

1. ინოვაციათა ბაზრის ფორმირება, საქართველოში მისი განვითარების ინსტიტუციური პირობების შექმნა.
2. ქვეყანაში ინოვაციათა შუამავლების ინსტიტუტის ფორმირება, ამ ფუნქციის დაკისრება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსადმი.
3. გლობალური ინოვაციების სფეროში კულტურული რელატივიზმის პრინციპების დანერგვა.
4. კულტურული ტოლერანტიზმისა და სხვა კულტურების პატივისცემის იდეის დანერგვა და მისი აქტიური პროპაგანდა მოსახლეობაში.
5. განათლებისა და ბიზნესის, მეცნიერების სფეროების ინტერნაციონალიზაცია, მათი ღიაობის პრინციპების დაცვა.

6. ინოვაციური ღირებულებების პროპაგანდა, მეცნიერ-ინოვატორების მატერიუალური და მორალური წახალისების პირობების შექმნა.
7. ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის წახალისების ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ფინანსური პირობების შექმნა.

ამ და სხვა ღონისძიებების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის, რომ საქართველო არაინოვაციური ქვეყნების რიგებიდან ინოვაციურ ქვეყანათა კატეგორიას შეუერთდეს, რაც თავის მხრივ, შეიძლება გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

დასკვნა

ინოვაციები არის საქონლის, მომსახურებისა და იდეების გლობალიზაციის, დინამიური და მაღალი კონკურენტუნარიანი ბაზრების განვითარების შედეგი. გლობალური ინოვაციები კვეთენ ქვეყნებისა და კონტინენტების საზღვრებს და ამის გამო მათზე არსებით ზეგავლენას ახდენს კულტურულ კონტექსტი. საქართველოს ფართო მასშტაბიანი ინტეგრაცია გლობალურ ინოვაციურ ქსელებში გულისხმობს ქართული საზოგადოების კულტურათაშორისი კომპეტენციების ამაღლებას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმ კულტურული ღირებულებების შესწავლა და ანალიზი, რომლებმაც დასავლეთის ქვეყნები ინოვაციურ პროგრესამდე მიიყვანა.

ლიტერატურა:

1. Andrew J., (2009). The Innovation Imperative in Manufacturing. How the United States Can Restore Its Edge. BCG, MI, NAM. March, .
2. McKeown, M., (2008). *The Truth About Innovation*. London, UK: Prentice Hall,-249 p.
3. Chesbrough H., (2006). Open Business Models. Cambridge, Massachusetts: Harvard Business Press. – 256 pp.
4. Harrison L., (2006) The Central Liberal Truth: How Politics Can Change a Culture and Save It from Itself. Oxford University Press. -288 pp.
5. Weber, Max (2002)*The Protestant Ethic and "The Spirit of Capitalism"*. Roxbury Publ. Co.
6. Gelade G., (2008) IQ, cultural values, and the technological achievement of nations. // Intelligence. Volume 36, Issue 6, November-December, pp. 711-718
7. Shane S., (1993)Cultural influences on national rates of innovation.// Journal of Business Venturing. Volume 8, Issue 1, January 1993, Pages 59-73.
8. Sheman S., (2009)Yegor Gaidar, the Man Who Killed the Command Economy. The New York Times, December 22.
9. Mowen J., (1995)Consumer Behavior. 4-th ed. Macmillan Publishing Co. – 862 pp.
10. Shengelia T., (2018).Influence of Cultural Determinants on the Process of Business Innovations Management. Ecoforum Journal 7 (1)
11. Shengelia T., (2016). Culture, as „Perceptual Prism “of Knowledge Generation and its Role in International Business. T Shengelia,Age 5 (62), 5

12. Kozak Y., Shengelia T., Gribincea A., (2020). The current state of the world economy, international economic relations and the paradigm of global issues. World economy and international economic relations 3, 5-11
13. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf
14. https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2020.pdf
15. https://idfi.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index

Influence of Multicultural Factors on

Innovative Development of the Counry

Teimuraz Shengelia
Doctor of Economics, Professor at Ivane Javakhishvili's Tbilisi State University

SUMMARY

Innovations are the phenomenon of globalizing, dynamic and highly competitive markets of goods, services and ideas. Open innovations cross the borders of companies, of countries and of continents and because of it are regarded as cross-cultural process. Georgia's wide-scale integration into global innovation networks supposes the development of cross-cultural competencies for Georgia society. The knowledge and understanding at least, and possibly, the adoption of cultural values of the nations – global innovation leaders – are important.

„შეიცან თავი შენი“ – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სწავლებანი საზოგადოების სინერგიული განვითარებისა და მართვის შესახებ

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი

სტატიაში ასახულია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება საზოგადოების სინერგიული განვითარებისა და მართვის შესახებ, გადმოცემული თავის ეპისტოლეებში მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის მიერ საპატრიარქო ტახტზე მოღვაწეობის პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: *შეიცან თავი შენი. პიროვნული და სოციალური სინერგიზმი. სინერგიული განვითარება და მართვა. ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.*

დღიდან აღსაყდრებისა (1977 წლის 25 დეკემბერი) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაუცხრომლად იღვწის ეკლესიის მისიის განხორციელებისათვის, საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისა და ღვთივსულიერი, სინერგიული განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი სულიერი ზესვლაა. რელიგიასთან ერთად, ამ სფეროს განეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა. მხოლოდ ღვთაებრივ, ეკლესიურ საწყისებთან მისი სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე არის შესაძლებელი ჭეშმარიტი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე.

ეკლესიის უმთავრეს იარაღს რწმენისმიერი სიტყვა და ღვივსათნო საქმე წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ლოცვით, ეპისტოლეებით, ქადაგებით, შეგონებებით, ლოცვა-კურთხევებით და დაუცხრომელი, თავდადებული პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბოძებულ მისიას.

ტექსტი შედგენილია პატრიარქის ეპისტოლეებიდან თემატურად გამოკრებილ სწავლებათა პერიფრაზირების მეთოდის მეშვეობით.

„შეიცან თავი შენი“ – ფუძემდებლური სწავლებანი პატრიარქის ეპისტოლეებში

(ეს სწავლება-მოწოდება ეხება ყველას – ყოველ ცალკეულ ადამიანს, ოჯახს, ეკლესიას, ერს, სასწავლებლებს, საზოგადოებას, ეკონომიკას, სახელმწიფოს, მსოფლიოს)

1980 წლის საშობაო ეპისტოლე

სოციალური სინერგიზმის თეორიის თანახმად, მთელი სოციუმის უმთავრეს მიზნად უნდა იქცეს ადამიანური ურთიერთობების _ პირადი, ოჯახური, საზოგადოებრივი, საერთაშორისო ურთიერთობების ქრისტიანულ პრინციპებზე დაფუძნება-დამყარება.

1982 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ქრისტიანული სწავლებით, ადამიანი მოწოდებულია დაამყაროს კავშირი ღმერთთან. თუ ადამიანის ნება სინერგიულობის საფუძველზე ერწყმის ღვთის ნებას, მაშინ მისი სიცოცხლე ღვთიურია. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიაში. ეკლესიის წევრები ატარებენ რჩეულთა ბეჭედს არა იმიტომ, რომ მხოლოდ მათ დაიმკვიდრონ საუკუნო ნეტარება, არამედ რათა შეცვალონ და გააერთიანონ მთელი კაცობრიობა, დაყოფილი ცოდვითა და ეგოიზმით.

1984 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ხატება ღვთისა თითოეულ პიროვნებაშია, როგორც ჩამოყალიბებულ კანონთა წესი. იგი წარმოადგენს მისი ყოფის აუცილებელ პირობას, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს მსგავსება უფლისადმი. სწორედ ეს არის ადამიანის ცხოვრების მიზანი.

1986 წლის საშობაო ეპისტოლე

კაცობრიობის ისტორიის ღვთისმეტყველური გააზრებისათვის საჭიროა ღვთაებრივი და ადამიანური ძალების თანაქმედების სინერგიული აღქმა.

1993 წლის სააღდგომო ეპისტოლე

იდეა უნდა ჰქონდეს ერსაც; მას ღვთისმეტყველურად, ცხადად და გარკვეულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საუკუნეთა მანძილზე უპირველესად რას ემსახურა. ჩვენი ხალხის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ ღვთისკენ სწრაფვის ძირითად იდეას, უპირველეს ყოვლისა, მოყვასის სიყვარულით ვახორციელებდით და მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც ვახორციელებთ. ეს სიყვარული ადუღაბებს და ამთლიანებს სრულიად საქართველოს.

უფალი ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს: პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რას ემსახუროს – ცოდვას თუ სიკეთეს, ბოროტებას თუ სიყვარულს. სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოვება, რადგან ცოდვასთან ბრძოლით და მასზე გამარჯვებით ხდება ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება – სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების გადარჩენისა.

1995 წლის სააღდგომო ეპისტოლე

თავისი ფუნქციის სწორად შეფასებას და შესრულებას ინტელიგენცია შეძლებს მხოლოდ მაშინ, თუ თავის ცოდნას რწმენას დაუკავშირებს. ოდენ ამ შემთხვევაში მიაღწევს ის დიდ და სასურველ შედეგებს.

2001 წლის სააღდგომო ეპისტოლე

დედამიწა მრავალრიცხოვან, მრავალფეროვან ერთ ოჯახად იქცა. ძლიერ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს ბრძოლა გაბატონებისთვის. საქართველოსთვის ყველაზე სწორი პოზიცია, ნეიტრალიტეტია. თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერება და განათლება აუცილებლად უნდა გამომდინარეობდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან.

2006 წლის საშობაო ეპისტოლე

აუცილებელია მოხდეს სინერგია, ანუ უფლისა და ადამიანის ნების თანხვედრა.

ქართველი ერის მთელი ისტორია სულიერი გზაა ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ. საქართველო აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება. გავხდეთ უფლის ნების თანაზიარნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი.

უნდა ვიცოდეთ ჟამი როგორც შრომისა, ისე ლოცვისა, აღსარებისა და ზიარებისა. შვიდგზის ლოცვის გაძლიერება დასაწყისია საქართველოს გაბრწყინებისა.

2009 წლის საშობაო ეპისტოლე

ცოდვა, ვნება, _ ეს ჩვენი სულის დაჩირქებული, გახრწნილი ზედნადებია, რომელიც უნდა მოვიკვეთოთ სინანულით, აღსარებითა და ზიარებით (ასევე სხვა საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებით). მაგრამ, ამ საიდუმლოს მისაღებად განსაკუთრებულად უნდა მოემზადოს ახალგაზრდაც და ასაკოვანიც, ხელისუფალიც და ინტელიგენტიც, მუშაც, გლეხიც და სასულიერო პირიც, რათა არ ექცეს იგი სასჯელად.

საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა.

საქართველო ბოლოჟამს გაბრწყინდება, რაც გულისხმობს მთელი ერის სულიერ ამაღლებას. საქართველო აუცილებლად გამთლიანდება და გაბრწყინდება.

2014 წლის საშობაო ეპისტოლე

სწორი წარმოდგენა და სათანადო პასუხი უნდა გვქონდეს ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. უნდა შევინარჩუნოთ წინაპრების თავგანწირვის ფასად დღემდე მოტანილი ჩვენი მეობა.

ფსევდო-ლიბერალური სეკულარული იდეოლოგიის მიხედვით ყოველი ინდივიდი ღმერთისაგან დამოუკიდებელი და პიროვნულ ინსტიქტებს დაქვემდებარებული არსებაა. წუთისოფლის კვარცხლბეკზე ცოდვებით დამძიმებული, მორალურ-სულიერი ორიენტირდაკარგული ადამიანია დაყენებული. გაშლილია ბრძოლა ეკლესიის, ტრადიციული შეხედულებების, აღზრდისა და ზნეობის წინააღმდეგ.

საქართველო თავისი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია. ევროგაერთიანებამ, ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინონ ცალკეული ქვეყნების ტრადიციები და აზროვნების წესი.

ოჯახი ერის, სახელმწიფოს, საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედია. ოჯახი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი – „მცირე ეკლესია“. კარგი ოჯახი ქვეყნის გადარჩენის გარანტიაა. მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა.

2014 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო ღმერთისა და მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს.

შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ. პირველ რიგში შვილებს ღვთის სიყვარული და იმედი შთავუნერგოთ. მშობლების პირად მაგალითს უდიდესი ძალა და მნიშვნელობა აქვს. ქართველი ქალი ოჯახის დედა-ბოძია.

სახელმწიფოს ვალდებულებაა ბავშვების დაცვა მავნე ზეგავლენებისაგან.

2016 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ჩვენს მიზნად უნდა იქცეს ცოდვასთან სრული განშორება და აზროვნების და ცხოვრების წესის შეცვლა. მუდმივად უნდა ვლოცულობდეთ და უფალს ვუხმობდეთ. გაჭირვების ჟამს უფალსვე უნდა მივმართოთ, სულიერი ღვაწლი განვაძლიეროთ და პრობლემები მალევე დაიძლევა.

აუცილებელია მცირე ბიზნესის განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება და მოსახლეობის დასაქმება. უნდა გაძლიერდეს ოჯახური მეურნეობები და წახალისდეს სხვა კერძო ინიციატივები.

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკის განვითარებით ხალხში შრომის სიყვარული აღდგება და ქვეყანაც აღორძინდება.

2017 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ქრისტეს მადლითა და ძალით აღვსილთ ძალგვიძს ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამარცხება. მაცხოვრის მეორედ მოსვლისას და საყოველთაო განკითხვისას სიკვდილი საბოლოოდ განქარდება, მატერიალური ცხოვრებაც დასრულდება და ყოველი ადამიანის სულიც, თავის უნივთო სხეულთან შეერთებული საბოლოო ხვედრს განიკუთვნებს. მართალთ მოელის მარადიული ნეტარება, ცოდვილთ – მარადიული სატანჯველი.

ეკლესიის მეოხებით, ახლობელთა მხურვალე ლოცვით, წუთისოფლიდან გასულთა სახელზე აღსრულებული ქველმოქმედებით შესაძლებელია თვით ჯოჯოხეთიდან გამოვიხსნათ გარდაცვლილთა სულები.

2018 წლის საშობაო ეპისტოლე

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შედეგად, ღვთის მადლის გარეშე დარჩენილი კაცობრიობა და ცალკეული ადამიანები უფსკრულის წინაშე აღმოჩნდნენ.

აუცილებელია, შემუშავდეს ისეთი ნარკოპოლიტიკა, რომელიც ახალგაზრდებს დაიცავს და შექმნის უარყოფით განწყობას ამ უმძიმეს სენთან მიმართებით. უნდა აშენდეს ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრები.

ქვეყანა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას და ყველას განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს.

2018 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ღვთისგან გაუცხოებული ცხოვრების წესით გამოწვეულმა პრობლემებმა ჩვენს დროში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა. ეკლესიაზე შემოტევით ცდილობენ, შეურყიონ ხალხს მისდამი სიყვარული. უფლის სამეფო დედამიწაზე ქრისტეს ეკლესიაა. ჩვენი უმთავრესი მიზანი, ამოცანა და მოვალეობა ცათა სასუფევლის მიღწევაა.

აუცილებელია აბორტის, როგორც უმძიმესი ცოდვის, საწინააღმდეგო განწყობის შექმნა და მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს საზოგადოების მოწყობის ისეთი წესები, რაც ცათა სასუფეველთან არ დაგვაპირისპირებს. დეზორიენტირებული საზოგადოება ქაოსისა და სახელმწიფოებრივი დეგრადაციის მორევში აღმოჩნდება.

ქვეყნის შენების საქმეში ეკლესია და სახელმწიფო აუცილებლად უნდა თანამშრომლობდნენ და ეს ურთიერთობა შეიძლება შეედაროს ადამიანის სულისა და სხეულის კავშირს.

2019 წლის საშობაო ეპისტოლე

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე. მოსწავლეები ეროვნული სულისკვეთებით უნდა აღიზარდონ, რათა ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ. სახელმწიფომ და სკოლამ უნდა იტვირთონ სწავლებისა და აღზრდის ფუნქცია.

ოჯახი, ანუ მცირე ეკლესია ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას.

2019 წლის სააღდგომო ეპისტოლე

იესო ქრისტე გახდა დასაბამი კაცობრიობის მკვდრეთით აღდგომისა. მაცხოვრის მეორედ მოსვლის შემდეგ სიკვდილი აღარ იარსებებს და იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

ჩვენი რწმენა, სიყვარული და ცხოვრების წესი განსაზღვრავს როგორც პირადად ჩვენს მომავალს, ასევე ქვეყნის და მსოფლიოს ხვედრსაც. სინანულის უდიდესი საიდუმლოსა და გულწრფელი აღსარების მადლით უფალი ღირსგვყოფს წმინდა ზიარების დაუსჯელად მიღებასა და ცოდვების აღხოცვას.

ნებისმიერი ღირსეული პიროვნებისთვის სამშობლოს ისტორიის ცოდნა აუცილებელი პირობაა; სახელმწიფოსთვის კი, – სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი.

განმღრთობა არის ნებისმიერი ადამიანის მთავარი დანიშნულება, უფლისმიერი მოწოდება, რომლის წინაშე ყველა სხვა მიწიერი ზრუნვა, სურვილი და განსაცდელი უნდა გაუფერულდეს.

2020 წლის სააღდგომო ეპისტოლე

ჭეშმარიტი რწმენისა და მონდომების მეშვეობით ქრისტიანი დაძლევს ცხოვრებისეულ განსაცდელებს, შეცდომებსა და დაცემებს, მიაღწევს წინსვლას, განწმენდას და აუცილებლად მოიპოვებს გამარჯვებას.

აღდგომის დიდებულ დღეს უფერულდება განსაცდელი, რომელსაც ამჟამად ჩვენი ქვეყანა და მსოფლიო მოუცავს და ყველას ასე აშფოთებს. კოვიდ-პანდემიამ დაგვანახა, რომ საქართველოსთვის, პირველი რიგის ამოცანად იქცა ადგილობრივი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება. ახალი ვირუსის პრობლემამ პლანეტის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში დიდი შიში დანერგა და მათი მზერა ღვთისკენ მიმართა. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს განსაცდელის. ქრისტიანი პრობლემებს მადლიერებით იღებს, ყველაფერში ღვთის ხელს ხედავს და ცდილობს გამოძებნოს სწორი გამოსავალი არსებულ ვითარებაში.

მთავარია, შევინარჩუნოთ ზომიერება, სულის სიმშვიდე და ღმერთთან სიახლოვის სიხარული, რაც ლოცვით და რწმენით მიიღწევა. არ უნდა შევშინდეთ და ყველაფერში ავიღოთ სარწმუნოების ფარი, რითაც შევძლებთ ბოროტების გახურებულ ისართა დაშრეტას.

სარწუნოების გარეშე შეუძლებელია სათნო ვეყოთ ღმერთს. მადლობა უფალს, საქართველოში მრევლთან ერთად ტაძრებში წირვა-ლოცვა არ შეჩერებულა, არც აღდგომის ღამეს.

2021 წლის საშობაო ეპისტოლე

უფალმა ადამიანი შექმნა განღმრთობისათვის, ღვთაებრივ სიკეთეთა მიღებისა და ღვთის წინაშე მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. უმთავრესია საკუთარ თავში განწმენდა საღვთო ხატებისა და მიმსგავსება ღვთისა.

დღეს ჩვენთანაც და მთელ მსოფლიოშიც ბაბილონსა და ნინევიას ემსგავსება ცხოვრება. ხდება წახალისება თავშეუკავებლობის, გარყვნილების, ცილისწამების, სიცრუის, ავსიტყვაობის, უზნეობის, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის, ათეიზმის, ხოლო ამის მოქმედთა მიმდევრობა მისაბაძ საქმედ ითვლება.

ღმერთი სხვადასხვა გზით გვწვრთვნის და საუფლო დიდებისთვის გვამზადებს, ამიტომ ყველაფრისთვის უნდა ვმადლობდეთ მას. პრობლემები, რაც პანდემიამ დღევანდელ მსოფლიოს მოუტანა, ღვთის დაშვებით მოხდა. ვირუსის უცნაურმა ბუნებამ აიძულა ადამიანები გარკვეულ რეგულაციებს დამორჩილებოდნენ. ეს აუცილებელია, მაგრამ აუცილებელია თითოეული ჩვენგანის ღმერთთან მეტი სიახლოვეც, რადგან არავინ იცის, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

ბიბლია შეგვაგონებს: „შვილო, შენს სნეულებაზე თვალს ნუ დახუჭავ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს. განაგდე ცთუნება და გაისწორე ხელი და გული განიწმინდე ყოველგვარი ცოდვისგან“

2021 წლის სააღდგომო ეპისტოლე

სულიერ ფასეულობებს ემყარება ნებისმიერი მიწიერი სახელმწიფო, რის გამოც იგი ზეციური ხელმწიფების თავისებურ აჩრდილს წარმოადგენს. ამიტომაც ხელისუფლება რამდენადაც ხელს შეუწყობს სულიერების აღორძინებას, მით უფრო განმტკიცდება ქვეყანა.

თუ დავიცავთ ზეციური მეუფის, მაცხოვრის, კანონებს, შევძლებთ ამქვეყნადვე გავხდეთ ცათა სასუფევლის მოქალაქენი, რათა, გარდაცვალების შემდეგ, დავიმკვიდროთ იგი და მარადიულად ღვთის დიდებაში დავრჩეთ, განურჩევლად იმისა, რომელ ქვეყანაში ვმკვიდრობთ და რა ეროვნებისანი ვართ. უფლის მსგავსად, თავგანწირული, უშურველი სიყვარულით უნდა შევიყვაროთ მოყვასი.

ათეისტური თანამედროვე აზროვნება სხვა რეალობის შესაქმნელად ემზადება და ცდილობს კონტროლისა და ძალაუფლების ახალი, აქამდე უცნობი ფორმები დაამკვიდროს. თანამედროვე პოსტ-ჰუმანისტურ მსოფლიოში და, კერძოდ, საქართველოში გარკვეული ძალების მიერ მიზანმიმართულად ხდება ზოგადად არსებული ნორმების რღვევა და ყოველგვარი ეროვნული, რელიგური და ზნეობრივი ფასულობების დაკნინება-ამოძირკვა-გაქრობა.

ტექნიკური მიღწევები უღვთო და სულიერებისაგან დაცლილი პიროვნებების ხელში სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. ამასთან, საერთო ეკონომიკური გაჭირვებიდან ქვეყანა ათწლეულებია ვერ გამოდის.

გამოსავალი შემდეგშია: მთელი არსებით უნდა მივიქცეთ ღვთისკენ – ყოვლადწმინდა სამებისკენ და ჩვენი ცნობიერება მის უზენაესობას დავუმორჩილოთ. ამასთანავე, რაკი ღვთისაგან ყველაფერი სიყვარულით და სიყვარულისთვის შეიქმნა, ასეთივე გრძნობით უნდა ვუპასუხოთ შემოქმედს და გარე სამყაროსაც.

2022 წლის საშობაო ეპისტოლე

ჩვენში რომ მოხდეს სინერგია, აუცილებელია, შევძლოთ საკუთარი თავისა და ღმერთის, ჩვენი შესაძლებლობისამებრ, შეცნობა.

დღევანდელ მსოფლიოში უმთავრესი აქცენტი ყველას მიერ გადატანილი უნდა იქნას ადამიანზე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს იმ ღირებულებებმა, რაც მას შემოქმედთან დააახლოებს; ზეადამიანად გახდომის ამპარტავნული სურვილი კი დაღუპვის წინაპირობად გვექცევა.

მორწმუნეთათვის ეს ნიშნავს მცნებების დაცვით უფლის მიმსგავსებას, მაღალზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ნიშნავს ღვთის სადიდებლად სხვისთვის ცხოვრებას, რათა შემდეგ ცათა სასუფევლის მკვიდრნი გავხდეთ და მარადიულად ღმერთთან ვმყოფობდეთ. საკუთარ ცოდვათა შემცნობი ადამიანი ფრიად სათნოა ღვთისთვის.

არის საერთო განსაცდელებიც. მაგალითად, დღეს პანდემიაა ასეთი. ხალხი დაითრგუნა მუდმივი უარყოფითი ინფორმაციით, ჩაკეტვით, სიკვდილიანობით ... მართალია, მსხვერპლი დიდია და სიფრთხილე ყოვლადაუცილებელი, მაგრამ სასოწარკვეთას არ უნდა მივეცეთ და არც შევშინდეთ. უნდა განგვამტკიცოს რწმენამ იმისა, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს არსებობის შეწყვეტას, რად-

გან ადამიანის სული უკვდავია. მთავარია, სულიერი სიკვდილის, მარადიული ტანჯვის მსხვერ-პლნი არ გავხდეთ.

უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის გარედან შეხედვა, ჩვენი ქმედებების სხვისი თვალით შეფასება და ობიექტური განსჯა. სწორად მოიქცევი, თუ შეძლებ, იაზროვნო ისე და აკეთო ის, რაც მარადიული ცხოვრებისთვის იქნება სარგებლის მომტანი. ამიტომაც, ორიენტირად ღმერთი და მისი ღირებულებები აირჩიე, იგია მხოლოდ უცვალებელი, ზედროული და ჭეშმარიტი. შენ ხარ მოწოდებული, რათა იყო შემოქმედის თვალშეუდგამი ნათლის თანაზიარი.

2022 წლის სააღდგომო ეპისტოლე

უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს, ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა. ლოცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არსებობს მარტივი ლოცვა, რომელიც დიდად შეეწევა ადამიანს, თუკი რწმენით აღასრულებს მას. ეს არის „უფალო, შეგვიწყალენ“. თქვენი ყოველდღიური ლოცვების გარდა, იმეორეთ იგი გულში ყველგან და ყოველთვის, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ.

ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისან (1 კორინ. 6, 19-20); იღვაწეთ, რომ, წუთისოფელში თქვენი დროებითი მყოფობა ზესთასოფელში დაუსრულებელი მყოფობის წინაპირობად იქცეს, იცხოვრეთ მარადიული სიცოცხლისათვის, იცხოვრეთ ქრისტესთვის!

დასკვნა

მთლიანობაში, დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულით აღსავსე, თავისი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებითა და დაუცხრომელი, თავდადებული მოღვაწეობით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წარმოგვიდგება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის კომპლექსული ეროვნული და გლობალური პრობლემატიკის მართლმადიდებლური სინერგიული გააზრებისა და შესაბამის ქმედებათა მასწავლებელი; სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი სინერგიული მოწოდებებით და დალოცვით: შეიცან თავი შენი! ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! ქართველნო, ერთად ღვთისაკენ! ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის! იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!

ლიტერატურა:

1. გ. შიხაშვილი. სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ეპისტოლეებში. თბილისი, „მერიდიანი“, 2021, 448 გვ.

„Get to know yourself“ – the Teachings of Catholicos-Patriarch Ilia II of Georgia on the Synergistic Development and Management of Society

Giorgi Shikhashvili
Doctor of Economics, Visiting Professor at TSU

SUMMARY

The article reflects the teachings of the Orthodox Church on the synergistic development and management of society, conveyed in his epistles by His Holiness and Beatitude Ilia II during his tenure on the patriarchal throne.

პანდემიის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე – გამოწვევები და შესაძლებლობები

მარინა ჩავლეიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი

ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, კერძოდ, წარმოდგენილია პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები (2018-2021წწ), ასევე, შეფასებულია საექსპორტო აგრარული პროდუქტების წარმოების შესაძლებლობები; განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სოფლის განვითარების ანტიკრიზისული გეგმა, მისი დადებითი მხარეები და გავლენა სექტორის განვითარებაზე; შეფასებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პროექტები; კვლევის საფუძველზე გამოვლინდა პანდემიის პერიოდში დარგში განვითარების დადებითი ტენდენციები. პანდემიამდე, პანდემიის პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის სამომავლო განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: *სოფლის მეურნეობა, აგროპროდუქციის წარმოება, ანტიკრიზისული გეგმა, პანდემიის გავლენა სოფლის მეურნეობაზე, ექსპორტის დინამიკა.*

გავრცელებულმა *COVID-19-ის* პანდემიამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა მსოფლიოს და ქვეყნების დიდი უმრავლესობა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა. პანდემიის გავლენა აისახა ეკონომიკის ყველა სექტორზე და მათ შორის, სოფლის მეურნეობაზე, სასურსათო უსაფრთხოებასა და კვებაზე, სურსათის მიწოდების ჯაჭვზე, პროდუქტის წარმოებასა და მის უვნებლობაზე. პანდემიის შედეგები უარყოფითად აისახა როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მწარმოებლების, ასევე მომხმარებლებზე. საფრთხე შეექმნა სურსათის უსაფრთხოებას და მოსახლეობის კეთილდღეობას. დაბრკოლებები შეიქმნა ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე სურსათის მიწოდებას. თავდაპირველად, პანდემიის ტალღამ გამოიწვია ღრმა გლობალური ეკონომიკური რეცესია და გააღრმავა ქრონიკული სასურსათო დაუცველობა (FAO, 2021). პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესამცირებლად და შესაბამისი სტრატეგიის შესამუშავებლად აუცილებელი გახდა სურსათზე ხელმისაწვდომობისა და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა (Wasito, Hermawan H., Mulyono J., 2021).

ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის მონაცემებით შეიმჩნევა მუშახელის ნაკლებობა, შეფერხებები მოსახლეობის სურსათით მომარაგების პროცესში და სხვა. მთავრობებმა შეიმუშავეს კრიზისიდან გამოსვლის და ეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმები. მაგალითად, გერმანიაში დამუშავდა ეკონომიკის სტაბილიზაციის ღონისძიებათა პაკეტი 1,6 მლრდ ევროს ოდენობით, ამერიკამ გამოყო 19 მლრდი დოლარი ფერმერების დასახმარებლად.

ბუნებრივია მიმდინარე კრიზისის უარყოფითი გავლენა აისახა ქართული სურსათის მიწოდების ჯაჭვზე და შესაბამისად, ბაზარზეც. დაწესებულმა შეზღუდვებმა სოფლის მეურნეობის პროდუქტებსა და სურსათზე გამოიწვია მოთხოვნის ცვლილებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 7-8% ხორციელდება სასოფლო სამეურნეო საწარმოებში, ხოლო 93-94% ოჯახურ მეურნეობებში იწარმოება. 2021 წლის მონაცემებით, მეურნეობების 5.9% პროდუქტების 90%-ს აწარმოებენ გაყიდვისთვის. 2021 წელს 2019 წელთან შედარებით აღნიშნული ტიპის მეურნეობების წილი 68%-ით არის გაზრდილი (საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2022, 29). პროდუქტის მწარმოებლებს ხშირად უწევთ რისკებთან გამკლავება, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან, როგორიცაა ბაზრებზე ფასების ცვალებადობა, ინფლაცია, ბუნებრივი პირობები, ინფრასტრუქტურა, შეზღუდული ფინანსები და სხვა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის გავლენის სიმწვავე დიდწილად არის დამოკიდებული მასზე რეაგირების ეკონომიკური პოლიტიკაზე როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში. ამდენად, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ პანდემიის შედეგები სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, არსებული გამოწვევები და წარმოვადგინოთ განვითარების პერსპექტივები.

2019 წლიდან დღემდე პანდემიამ არაერთი ეკონომიკური საქმიანობა შეაფერხა, თუმცა, სოფლის მეურნეობა და მასთან დაკავშირებული დარგობრივი საქმიანობები მთავრობის მიერ არ ყოფილა შეზღუდული. მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა არსებული კრიზისიდან გამოსვლის გეგმა განახორციელა სხვადასხვა დახმარებების სოფლის მეურნეობის დარგში. მაგალითად, ფულადი დახმარება, გადასახადისაგან განთავისუფლება, სამუშაო ვიზების გაგრძელება და სხვა სახის დახმარებები. 2020 წლის მარტში საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა,რრომელიც ასახავდა სოფლის მეურნეობის სექტორზე პანდემიის გავლენის შემცირების გზებს. საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის სოფლისა და სოფლის მეურნეობის დახმარების პაკეტის ფარგლებში დაიგეგმა ღონისძიებები, რომლებიც გარკვეულ შეღავათებს მოიცავდა, კერძოდ, შეღავათიან აგროკრედიტში (იაფი აგროსესხი) განხორციელდა შემდეგი ცვლილებები (ანტიკრიზისული გეგმა, 2020): ა) ძირითადი საშუალებებისრთანადაფინანსების პროცენტი გაიზარდა 8%-დან 11%-მდე, ხოლო აგროლიზინგის თანადაფინანსების პროცენტი 9%-დან 12%-მდე; ბ) დაემატარერთწლიანი კულტურებისრთანადაფინანსებისრკომპონენტი და სესხის თანხის დაბრუნება მიღებული მოსავლის რეალიზაციის შემდეგ; გ) სოფლის-მეურნეობის გადამუშავების კუთხით დაემატა ქვე-კომპონენტი, რაც ითვალისწინებდა სესხის საპროცენტო განაკვეთისრთანადაფინანსებასრ10%-ით, 24 თვის განმავლობაში. ასევე,რმნიშვნელოვანია იყო აგროლიზინგირსასურსათო მრეწველობის კუთხით, სესხის პროცენტის 12%-ის დაფინანსება 24 თვის განმავლობაში; დაიგეგმა IFAD-ის მხარდაჭერით დაწყებულირმეცხოველეობაში მერძევეობისრპროექტის გაფართოება; ასევე, „აგროდაზღვევის“ პაკეტის შეძენა ფერმერისათვის 3-წლიანი გახდა; განახლდა „აგროწარმოების სახელმწიფო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს რსასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობისრ გაზრდას და დახურულ გრუნტში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობას (დაფინანსდება ტრაქტორების შეძენა, სათბურებისა და სარწყავი სისტემების მოწყობა); როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის გაუქმდარსარწყავი წყლის გადასახადირ2020 წლის განმავლობაში და ჩამოიწერა 2013-2019 წლებში დაგროვილი გადასახადები. მომდევნო 3 წელში უნდა განხორციელდეს მიწის სისტემური რეგისტრაცია; „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში,რსოფლად მცირე გრანტებისრპროექტების დაფინანსების ბიუჯეტი 30000 ლარამდე გაიზარდა და სხვა.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმით სახელმწიფომ სექტორს შესთავაზა პირდაპირი (მოკლევადიანი გამოწვევები) და სექტორული მხარდაჭერა (ძველი და ახალი პროგრამების მხარდაჭერა), რომლის მიზანია დარგში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა.

მიუხედავად, არსებული პანდემიით მსოფლიოში არსებული მძიმე მდგომარეობისა, საქართველოს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში არ შემცირებულა,

კერძოდ, მისი წილი 2018 წელთან შედარებით 2020 წელს გაზრდილია 7.8%-დან 8.3 %-მდე (საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2022, 19). მცირედი კლებაა დაფიქსირებული 2021 წელს (7.0%) თუმცა, შენარჩუნებულია ბოლო წლების ტენდენცია იხ. დიაგრამა №1

დიაგრამა №1

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილი % (2018-2021წწ)



აგებულია ავტორის მიერ

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პანდემიის პერიოდში საქართველოში არ გაუარესებულა სოფლად წარმოების შესაძლებლობები. 2021 წელს 2019 წელთან შედარებით პროდუქტის გამოშვება გაზრდილია დაახლოებით 4%-ით, უნდა აღინიშნოს, რომ ზრდა დაფიქსირებულია მეცხოველეობის ქვედარგში. ამავე პერიოდში, მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია (1%-ით) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების წილი შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში.

2022 წელს 2019 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ერთწლიანი, ასევე მარავალწლიანი კულტურების კულტურების ნათესი ფართობები, კერძოდ, ერთწლიანი ნათესი ფართობი 2019 წელს 203.0 ათასი ჰექტრიდან 211.8 ათას ჰექტრამდე. შესაბამისად, გაზრდილია პროდუქტის წარმოებაც, კერძოდ, მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება 2021 წელს, კერძოდ, იგი 2019 წელთან შედარებით 35%-ით არის გაზრდილი. იხ. დიაგრამა №2

დიაგრამა №2

ერთწლიანი კულტურების წარმოება, ათ. ტონა, (2018-2021წწ.)



აგებულია ავტორის მიერ

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2021, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018-2021 წლებში შენარჩუნებულია მრავალწლიანი კულტურების წარმოების დინამიკაც, 2019 და 2021 წელა შეინიშნება შედარებით კლებადი დინამიკა, მაგრამ 2018 წელთან შედარებით წარმოება დაახლოებით 10%-ით არის გაზრდილი. იხ. დიაგრამა №3.

დიაგრამა №3

მრავალწლიანი კულტურების წარმოება, ათ. ტონა, (2018-2021წწ.)



აგებულია ავტორის მიერ

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2021, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოების მაჩვენებლები გაზრდილია ძირითადი მრავალწლიანი ხილის წარმოების მიმართულებით, ასევე მნიშვნელოვანია საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების წარმოება. თხილის წარმოება 2021 წელს 2018 წელთან შედარებით 17. ათას ტონიდან 46 ათას ტონამდე, ხოლო ყურძნის წარმოება 259.9 ათასი ტონიდან 271.6 ათას ტონამდეა გაზრდილი. იხ. ცხრილი №1

ცხრილი №1

ხილის წარმოება სახეობების მიხედვით, ათასი ტონა, 201802021 წწ

წელი	*თესლოვანი*	*კურკოვანი*	*კაკლოვანი*	*კენკროვანი*	*სუტროპიკული*	*ყურძენი*	*ციტრუსი*
2018	93.3	54.2	23.1	1.8	16.0	259.9	66.3
2019	52.7	38.5	30.9	2.0	20.3	293.8	64.0
2020	102.1	60.7	40.8	2.7	22.3	316.9	56.8
2021	86.3	66.7	53.9	4.0	23.1	271.6	61.6

შედგენილია ავტორის მიერ

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2021, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში უმსხვილეს საექსპორტო ათეულში 2021 წელს თხილს და სხვა კაკლოვანებს 2.3%, ხოლო ღვინოს 5.6% უკავია. 2021 წელს საექსპორტო პროდუქცია საქართველოს ადგილობრივ ექსპორტში შემდგი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი: ღვინო 238 მლნ. დოლარი, თხილი და კაკალი 116 მლნ.დოლარი, სპირტი და სპირტიანი სასმელი 104 მლნ.დოლარი (საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2021, 16). კრიზისის ფონზე სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადობა შენარჩუნებულია, კერძოდ, პირველ წელს ფიქსირდება აგროპროდუქტებით ვაჭრობის შემცირება,

მომდევნო წლებში კი, ჯერ კლებადი ზღვრული უკუგებით, შემდეგ კი ზრდადი ზღვრული უკუგებით ზრდა (ხარაიშვილი ე., ლობჟანიძე ნ., 2021, 228).

პანდემიამ დასაწყისში, 2019-2020 წლებში ფერმერთა საქმიანობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, არსებული ძირითადი გამოწვევების დროულად შეფასების მიზნით, ჩაატარა კვლევა – „Covid-19-ის გავლენა სოფლის მეურნეობაზე". აღნიშნული კვლევის ანალიზით პანდემიის მწვავე პრობლემად გამოვლინდა პროდუქციის რეალიზაცია. ფერმერთა ასოციაციამ ამ მიმართულებით გააძლიერა მუშაობა, კერძოდ, სადისტრიბუციო კომპანიებთან, სარეალიზაციო ქსელებთან კომუნიკაციით დაეხმარა ფერმერებს პროდუქტის რეალიზაციაში. ასოციაციამ 2020 წელს განაახლა მობილური აპლიკაცია „აგრონავტი", რათა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ყველა საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაზრდილიყო.

პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფერმერულ მეურნეობებში პირადი ჰიგიენის დაცვისა და სურსათის უვნებლობის საკითხები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო „გეოგაპ"-ის სამუშაო ჯგუფის მონაწილეობით ფერმერთა ასოციაციის მიერ შექმნილი 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის გამოწვეული კრიზისული მდგომარეობის გათვალისწინებით, ფერმერული მეურნეობისთვის საჭირო სამოქმედო გეგმა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია აქტიურად მუშაობდა მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად, კერძოდ, ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და შემოსავლების ზრდას. ასევე, წარმატებული პროექტები იყო „აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში". პროექტის მიზანს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში აგროტურიზმის განვითარება წარმოადგენს. პროექტი ხორციელდება სომხეთის და აზერბაიჯანის თანამშრომლობით. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პროექტი „ქართული ტრადიციული აგროსასურსათო პროდუქტების ადგილობრივი შესყიდვების გაუმჯობესებან, რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან" პარტნიორობით. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ტურიზმსა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირების დამყარებას, ტრადიციული ადგილობრივი წარმოების განვითარებასა და საწარმოო ჯაჭვის მონაწილეებს შორის სარგებლის განაწილებას (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის 2020-2021 წლის ანგარიში).

ამდენად, ჩატარებულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა ჩამოვაყალიბოთ გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები:

- მიუხედავად სოფლის მეურნეობაში არსებული გამოწვევებისა, 2020 წელს დარგის წილი მშპ-ში გაიზარდა, კერძოდ, პირველ სამ კვარტალში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 3%-ით გაიზარდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, 2020), მომდევნო ეტაპზე კი შენარჩუნებულია პანდემიამდე არსებული ტენდენცია;
- აგროპროდუქტების წარმოების მაჩვენებლები 2018-2021 წწ-ში გაზრდილია, განსაკუთრებით დადებითი ტენდენცია შეინიშნება საექსპორტო პოტენციალის მქონე პროდუქტების წარმოების მიმართულებით. აღნიშნული ზრდა შეიძლება განპირობებული იყო როგორც კლიმატური პირობებით, ასევე, სახელმწიფოს მხარდამჭერით, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სააგენტოს (RDA) მიერ ბოლო წლებში განხორციელებული და მიმდინარე პროგრამებით; პერსპექტივაში მნიშვნელოვანია გაიზარდოს სახელმწიფოს მხრიდან, საექსპორტო შესაძლებლობის მქონე პროდუქტების წარმოებისთვის მხარდაჭერა;

- პანდემიის საწყის პერიოდში საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომელიც ძირითადად შეეხო სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. აღნიშნული პრობლემა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტების, მათი კომუნიკაციით უცხოელ პარტნიორებთან და მთავრობის მიერ შემუშავებული სოფლის ანტიკრიზისული გეგმის დახმარებით წარმატებით იქნა დაძლეული; თუმცა, ამ მიმართულების უნდა გაფართოვდეს მარკეტინგული კვლევა და დამატებით საექსპორტო ბაზრების მოძიება, რაც შესაძლებლობას მისცემს ფერმერებს შემცირდეს პროდუქტის რეალიზაციაში არსებული პრობლემები;
- 2021 წელს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების 0.1% მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე, რაც დაბალი მაჩვენებელია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დარგში მაღალია რისკის ფაქტორი; მიუხედავად არსებული პრობლემისა ინვესტიციების მოზიდვა ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა გახდეს;
- მართალია პანდემიამ სერიოზული პრობლემები შექმნა სოფლის მეურნეობასა და სასურსათო სექტორში, თუმცა, მოიტანა ახალი გამოწვევები და შესაძლებლობებიც. პანდემიის პერიოდში შეიცვალა მომხმარებელთა ქცევაც, რომელიც ძირითადად სურსათზე დანახარჯებზე აისახა. ბევრი ადამიანი დაუბრუნდა სოფელს და დაიწყეს არსებობისთვის პროდუქტების წარმოება და დამზადება და სხვა. გამომდინარე აქედან, არსებული პრობლემის პირობებში, სოფლის მეურნეობაში პანდემიით დაზარალება, ეკონომიკის სხვა დარგებთან მიმართებაში განსხვავებულ შედეგებში აისახა. ასევე, გამოიკვეთა სიახლეები, რომელიც პანდემიამდე პერიოდში არ იყო აქტუალური, კერძოდ, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ფერმერის ბაზართან დასაკავშირებლად, უსაფრთხოების ქსელის შესაქმნელად და სხვა, რომელიც ხელ შეუწყობს სექტორის მდგრადობას. მომავალში სექტორში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები უფრო მეტად უნდა გაიზარდოს, რომელიც ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას, წარმოების პროცესის წინსვლას, გააუმჯობესებს რეალიზაციას და სხვა. საბოლოოდ, აღნიშნული პრობლემების მოგვარება გაზრდის დარგის მწარმოებლურობას.

ლიტერატურა:

1. კუნჭულია ი., კოჭლამაზაშვილი რ., კორონავირუსის გავლენა სოფლის მეურნეობაზე: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ანტიკრიზისული გეგმები, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, https://gfa.org.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D/
2. ხარაიშვილი ე., ლობჟანიძე ნ., აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობა: გამოწვევები და შესაძლებლობები COVID-19 პანდემიის პირობებში, 2021. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/2022---%20konferencia.pdf
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, გვ., 19, 29. https://www.geostat.ge/ka/single-archive/3371
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2021, https://www.geostat.ge/ka/single-archive/3371

5. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2021, https://www.geostat.ge/media/46988/External-Merchandise-Trade-2021_publication.pdf
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვარტალური მონაცემები, 2020.
7. ანტიკრიზისული გეგმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020. https://mepa.gov.ge/Ge/Page/AntiCrisisPlan
8. საქართველოს ფერმერთა ასოციაციის 2020-2021 წლის ანგარიში. https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2022/03/GFA_REPORT_2021_GE.pdf
9. США выделят 19 млрд долларов на поддержку фермеров https://www.dw.com/ru/%D1%81%D1%88%D0%B0-%D0%B2%D1%8B%D0%B4%D0%B5%D0%BB%D1%8F%D1%82-19-%D0%BC%D0%BB%D1%80%D0%B4-%D0%B4%D0%BE%D0%BB%D0%BB%D0%B0%D1%80%D0%BE%D0%B2-%D0%BD%D0%B0-%D0%BF%D0%BE%D0%B4%D0%B4%D0%B5%D1%80%D0%B6%D0%BA%D1%83-%D1%84%D0%B5%D1%80%D0%BC%D0%B5%D1%80%D0%BE%D0%B2-%D0%B8%D0%B7-%D0%B7%D0%B0%D0%BA%D0%BE%D1%80%D0%BE%D0%BD%D0%B0%D0%B2%D0%B8%D1%80%D1%83%D1%81%D0%B0/a-53170538
10. Wasito, Hermawan H., Mulyono J., Sirnawati E., Sihombing Y., Ratri D. (2021). Covid-19: impact on agricultural and anticipate strategies. E3S Web of Conferences 306, 02016 https://doi.org/10.1051/e3sconf/202130602016
11. FAO. (2021). "AGRICULTURAL TRADE & POLICY RESPONSES DURING THE FIRST WAVE OF THE COVID-19PANDEMIC IN 2020". Food and Agriculture Organization of the United Nations Rome, 2021 https://www.fao.- org/3/cb4553en/cb4553en.pdf

The Impact of the Pandemic on

Georgian Agriculture – Challenges and Opportunities

Marina Chavleishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

The paper analyzes the development trends of agriculture during the COVID-19 pandemic. In particular, the main indicators of agricultural development before and during the pandemic in 2018-2021 are presented. Also, the possibilities of production of agricultural products for export are evaluated. The anti-crisis plan for rural development adopted by the Government of Georgia, its positive aspects and impact on the development of the sector are discussed. Projects implemented in Georgian agriculture are evaluated. Based on the research, positive trends of development in the field during the pandemic were identified. Based on the analysis of agricultural development indicators before the pandemic and during the pandemic, conclusions are made and recommendations are developed that determine the future development of agriculture.

Key words: agriculture, agricultural production, anti-crisis plan, impact of the pandemic on agriculture, export dynamics.

მონეტარული თეორიის ახალი
პარადიგმა და თანამედროვე გამოწვევები

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო პუბლიკაციებში მონეტარული ურთიერთობების პრობლემებზე, თანამედროვე მონეტარული თეორია განმარტებულია, როგორც შეხედულებათა სისტემა, რომლებიც ჩამოყალიბებულია ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამერიკელი და ავსტრალიელი ეკონომისტების ჯგუფის, ძირითადად, უნივერსიტეტის პროფესორების მიერ. თანამედროვე მონეტარული თეორიის განვითარებისა და პოპულარიზაციის მთავარ სტიმულად იქცა ამერიკული ეკონომიკის ისეთი პრობლემების დაძლევის მეცნიერული კონცეფციის შექმნის აუცილებლობა, როგორიცაა უზარმაზარი სახელმწიფო ვალის დაგროვება, ქრონიკული ბიუჯეტის დეფიციტი და უმუშევრობის მაღალი დონე. აღნიშნული თეორია გვთავაზობს ამ პრობლემების უნივერსალურ გადაწყვეტას.

მოცემულ სტატიაში ნაჩვენებია, თუ რამდენად ძალუძს აღნიშნულ თეორიას თანამედროვე გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან გამკლავება; სტატიაში გაანალიზებულია ასევე თანამედროვე მონეტარული თეორიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

საკვანძო სიტყვები: *თანამედროვე მონეტარული თეორია, ჩარტალიზმი, ფულის მარქსისტული თეორია, კეინზიანური თეორია, ნეოკლასიკური თეორია, მეინსტრიმული მიმდინარეობა, ფისკალური პოლიტიკა, მონეტარული თეორია, სახელმწიფოს მონეტარული სუვერენიტეტი, სახელმწიფო ვალი, ინფლაცია, გარანტირებული დასაქმება.*

- - - - - - - - - -

1990-იან წლებში თანამოაზრე-პოსტკეინზიანელთა შემადგენლობა გაერთიანდა სამეცნიერო სკოლაში, რამაც გამოიწვია MMT-ის ფორმალიზება და პოპულარიზაცია. მის მომხრეთა რიცხვში შედიან, უპირატესად, ამერიკელი და ავსტრალიელი ეკონომისტები. აშშ-ში მას წარმოადგენენ უ. მოსლერი, რომელიც არის კანზას-სიტის მისურის უნივერსიტეტთან არსებული სრული დასაქმებისა და ფასების სტაბილურობის ცენტრის თანადამფუძნებელი; რ. რეი, ბარდ-კოლეჯთან არსებული ლევის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ს. კელტონი, სტოუნ-ბრუკის ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი; პ. ჩერნევა – ბარდ-კოლეჯიდან. მათ ემხრობა პროფესორი ჯ. გელბრეიტი ოსტინის ტეხასის უნივერსიტეტიდან (გამოჩენილი ეკონომისტის, ჯონ კენეტ გელბრეიტის შვილი). თეორიის მომხრეთა რიცხვს ავსტრალიაში მიეკუთვნებიან ეკონომიკის პროფესორები უ. მიტჩელი და მ. უოტსი. ამერიკელი ეკონომისტები წარმოადგენენ ერთი ალმა მატერის – კანზას-სიტის მისურის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს. ავსტრალიაში MMT ვითარდება მიტჩელისა და ნიუკასლის უნივერსიტეტის მისი სტუდენტების მიერ. ამგვარად, MMT მხარდაჭერილია ეკონომისტების რეგიონული ჯგუფების მიერ, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი წამყვან აკადემიურ დაწესებულებებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

MMT-ში მიღებულია რამდენიმე დაშვება, რომელიც აშორებს მას მწვავე პრაქტიკული საკითხებისგან. თეორია აღწერს დახურულ ეკონომიკას, სადაც არ არსებობს საგარეო ვაჭრობა, კაპიტა-

ლის ტრანსსასაზღვრო მოძრაობა და ვალუტის კურსის რყევების პრობლემები. ცენტრალურ ბანკს ჩამორთმეული აქვს დამოუკიდებლობა და მოქმედებს, როგორც მთავრობის აგენტი, რომელიც აფინანსებს მის ხარჯებს. ინფლაციური მოლოდინები და განუსაზღვრელობის ფაქტორები, რომლებსაც შეეძლოთ სამომხმარებლო ფასების ზრდის დაჩქარება, არ არსებობს. სახელმწიფო ბიუჯეტი ქრონიკულად დაუბალანსებელია, სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება ხორციელდება ფასების დონის სამართავად და არა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. ხელისუფლებას ფართო გაგებით, საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების ჩათვლით, გააჩნიათ გრძელვადიანი პრიორიტეტები, თავს არიდებს პოპულიზმს და სარფიან მოკლევადიან გადაწყვეტილებებს, ემხრობა დროში შეთანხმებულ პოლიტიკას, აგრეთვე სარგებლობს ნდობითა და რეპუტაციით. სახელმწიფო დანახარჯები ეფექტიანია და იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას. ერთობლივი მოთხოვნის მართვა სრულად ემყარება საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკას.

ჩერნევამ შემოგვთავაზა MMT-ის პირველი მათემატიკური მოდელი. მის ნაშრომში განიხილება ფულად ემისიაზე სახელმწიფო მონოპოლია და ფასების დონის მართვის ხელისუფლების შესაძლებლობა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით. ისტორიული მაგალითის რანგში ჩერნევას მოჰყავს ევროპული კოლონიები აფრიკაში, სადაც ფულზე მოთხოვნა პრიმიტიულ ეკონომიკაში განისაზღვრებოდა გადასახადების გადახდის ვალდებულებით მეტროპოლიების ვალუტაში. დახურული ეკონომიკის მარტივ სტრუქტურულ მოდელში ნაჩვენებია სახელმწიფო, რომელიც აწესებს გადასახადებს და ფლობს ფულად ემისიაზე მონოპოლიას, თუ როგორ ახდენს გავლენას სასაქონლო ფასებზე. გადასახადებით დაბეგვრის დონის რეგულირებით, ხელისუფლებას შეუძლია ერთდროულად მხარი დაუჭიროს ფასების სტაბილურობას და უზრუნველყოს სრული დასაქმება, ასკვნის ჩერნევა (Tcherneva, 2002).

მთლიანობაში MMT-ისათვის დამახასიათებელია რამდენიმე თავისებურება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის შემთხვევაში. პირველი, სახელმწიფო სექტორის შემადგენლობაში კონსოლიდირებულია ფინანსთა სამინისტრო (ფისკალური ხელისუფლება) და ცენტრალური ბანკი (მონეტარული ხელისუფლება). ისინი განიხილებიან, როგორც ერთიანი ინსტიტუციური სექტორი. მეორე, შემოღებულია განსხვავება ე.წ. „ვერტიკალურ ტრანსაქციებს“ შორის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებს შორის, აგრეთვე „ჰორიზონტალურ ტრანსაქციებს“ შორის არასახელმწიფო სექტორს (ბანკები, შინამეურნეობა და ფირმები) შორის. ქრონიკული უმუშევრობა განიხილება სუსტი ვერტიკალური ტრანსაქციების პროდუქტად. სახელმწიფო ვალის გაფართოებით მთავრობამ უნდა შექმნას წმინდა ფინანსური აქტივების საკმარისი მოცულობა არასახელმწიფო სექტორისთვის. მესამე, სუვერენულ ეკონომიკაში, სადაც მთავრობა ახდენს სახელმწიფო ვალის ემისიას ეროვნულ ვალუტაში, ითვლება, რომ მთავრობის დეფოლტი შეუძლებელია, ხოლო ინვესტორების შეზღუდვა არავითარ როლს არ თამაშობს. საბოლოოდ, მეოთხე, სახელმწიფო ინვესტიციების გაფართოების ტრადიციულ კეინზიანურ პოლიტიკას არ ძალუძს უზრუნველყოს სრული დასაქმება და მაკროეკონომიკური სტაბილურობა ინფლაციის საწინააღმდეგო მექანიზმის არარსებობის გამო (Nesiba, 2013. გვ. 48).

MMT-ის რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკისათვის უფრო პრაგმატულია, ვიდრე მისი თეორიული გათვლები. მაკროეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზნად ითვლება სრული დასაქმება. მისი მიღწევა საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ როგორც კეთილდღეობის (ფაქტობრივ და პოტენციურ GDP-ის შორის ნულოვანი გარღვევა), ისე ფასების სტაბილურობის პრობლემა. სრული დასაქმების უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ბოლო ინსტანციის სამუშაოს მიმცემის როლი და შესთავაზოს ყველა დაუსაქმებელ მოქალაქეს შრომითი მოწყობის გარანტიები, რომლებიც განეკუთვნებიან შრომისუნარიან მოსახლეობას. მთავრობას უწევს გაზარდოს ხარჯები და გააფართოვოს დაქირავებები სახელმწიფო სექტორში, ვიდრე უმუშევრობა

არ მიაღწევს ბუნებრივ დონეს. ორიგინალური იდეა მომდინარეობს კალიფორნიის უნივერსიტეტის კონფერენციაზე *ჰაიმან მინსკის* გამოსვლიდან (Minsky, 1965), რომელიც საბოლოოდ ფორმალიზებულ იქნა *მიტჩელის* მიერ (Mitchell, 1998).

მოსახლეობის დროებითი ჩართვა ეკონომიკურ აქტივობაში განიხილება, როგორც ბუფერული დასაქმება. შრომითი რეზერვი შემცირდება ბუმის პერიოდში და გაფართოვდება ვარდნის პერიოდში. იმისათვის, რომ შრომის მიგრაცია მოხდეს კერძო სექტორის სასარგებლოდ, სახელმწიფო სექტორში ხელფასი ფიქსირდება და მყარდება მინიმალურ დონეზე. სახელმწიფო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების დაფინანსებისათვის მთავრობას არ უწევს მიმართოს სესხებს ან ახალ გადასახადებს, რადგანაც რეცესიის პირობებში ისინი მხოლოდ აღრმავებენ ეკონომიკურ პრობლემებს და იწვევენ საპროცენტო განაკვეთების ზრდას, კერძო ინვესტიციების გამოდევნას და პროდუქციის გამოშვების შემცირებას.

დაფინანსება უნდა განხორციელდეს პირდაპირ ცენტრალური ბანკის ხარჯზე. ინფლაციის თავიდან არიდების მიზნით სახელმწიფო სექტორში დასაქმებულების ხელფასი არ ინდექსირდება.

MMT-ში ნავარაუდევია, რომ არსებობს რომელიღაც ოპტიმალური თანაფარდობა ბუფერულ და საერთო დასაქმებას შორის. ეს წონასწორული მდგომარეობაა, რომლის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური შედეგები. მონეტარიზმში უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის ანალოგიურად, MMT-ს შემოაქვს ცნება „ბუფერული დასაქმების ნორმა“, რომლის დროსაც არ ჩქარდება ინფლაცია (non-accelerating inflation buffer employment ratio, NAIBER). გარდა ამისა, MMT-ის მომხრეები გვთავაზობენ შევცვალოთ მიდგომა შრომის ბაზარზე სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ. ნაცვლად კერძო სექტორში შრომითი მოწყობის სტიმულირებისა კადრების მომზადების ხარჯზე, სახელმწიფო თავად უნდა გამოვიდეს სამუშაოს მიმცემი.

მიუხედავათ იმისა, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია არ თვლის დასაქმების გარანტიებს ეფექტიან ინსტრუმენტად, ისინი, მიუხედავად ამისა, თავის გამოყენებას პოულობენ. კერძოდ, 2002-2005 წლებში არგენტინაში მოქმედებდა პროგრამა «Jefas y Jefes de Hogar Desocupados» („შინამეურნეობების უმუშევარი უფროსები“), რომელიც სამუშაოთი უზრუნველყოფდა ოჯახების უფროსებს, რომლებსაც ჰყავდათ შვილები, ინვალიდები ან ორსული ქალები. 2005 წელს ინდოეთში მიღებულ იქნა „მაჰათმა განდის სახელობის ეროვნული კანონი დასაქმების გარანტიებზე სოფლად“. ამ კანონის მიხედვით, ყოველ არაკვალიფიცირებულ მუშაკს სოფლის ადგილებში ეძლევათ 100-დღიანი ანაზღაურებადი სამუშაო წელიწადში. თუ განცხადების წარდგენის შემდეგ 15 დღის განმავლობაში არ ხდება მუშაკის უზრუნველყოფა ანაზღაურებადი სამუშაოთი, მაშინ ის ღებულობს უმუშევრობაზე შემწეობის უფლებას. ითვლება, რომ სრული დასაქმების გარანტია წარმოადგენს მოსახლეობისათვის „უპირობო საბაზისო შემოსავლის“ გადახდის ალტერნატივას (მოქალაქის შემოსავლის დონის მიუხედავად და რაიმე სამუშაოს შესრულების ვალდებულების გარეშე).

თუ სახელმწიფო ხარჯებისა და ერთობლივი მოთხოვნის გაფართოება გამოიწვევს ინფლაციურ ზეწოლას, მაშინ დეზინფლაციური პოლიტიკის ტვირთი დააწვება ფისკალურ ხელისუფლებას. ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს დაბალი საპროცენტო განაკვეთები, რათა არ შეზღუდოს ეკონომიკური ზრდა. ერთობლივი მოთხოვნა შემცირდება გადასახადების ამაღლებითა და ღია ბაზარზე სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვით. ამგვარად, საგადასახადო პოლიტიკა განიხილება არა როგორც მთავრობის საქმიანობის დაფინანსების მეთოდი, არამედ როგორც ინფლაციისა და უმუშევრობის მართვის ინსტრუმენტი. იდეალურ შემთხვევაში, გადასახადებით დაბეგვრა შეიძლება არ არსებობდეს სრულიად არასაჭიროობის გამო, მაგრამ, MMT-ის მომხრეების აზრით, მიზანშეწონილია მისი დატოვება, სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად და ინფლაციის გასაკონტროლებლად. უპასუხოდ რჩება კითხვა: გაზრდის თუ არა მთავრობა დასაქმებას სახელ-

მწიფო სექტორში, თუ მზარდი გადასახადების გავლენით კერძო სექტორი ამცირებს თავის პერსონალს?

ცენტრალურ ბანკს ენიჭება დახვეწილი მარეგულირებელი ოპერატორის როლი, რომელმაც უნდა მართოს საბანკო სექტორის ლიკვიდობის დროებითი პროფიციტი ან დეფიციტი. ბუნებრივი (წონასწორული) რეალური საპროცენტო განაკვეთი გათანაბრებულია ნულთან. სრული დასაქმების მიღწევის დროს ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთი ინფლაციის იდენტურია. თავად ცენტრალური ბანკი არ მართავს ფულის მიწოდებას: მას მთავრობა ადგენს. ფისკალური და მონეტარული ხელისუფლებების ურთიერთქმედების აღწერა MMT-ში ნაწილობრივ გვაგონებს რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკას. წამყვანი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა შეისყიდეს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა მთავრობის ვალის რეფინანსირებას. მაგრამ, მიმდინარე პრაქტიკისაგან განსხვავებით, როცა ცენტრალური ბანკი მართავს ფულის მიწოდებას, მონეტარული მარეგულირებლის როლი გადაეცემა ფისკალურ ხელისუფლებას. ის მართავს ფულის მიწოდებას, როცა ფარავს ან უშვებს სახელმწიფო ვალის ახალ მოცულობებს.

მიუხედავად იმისა, რომ აშკარა ფორმით ეს არ ხმოვანდება, დეზინფლაციურმა საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკამ MMT-ის თანახმად, სავარაუდოდ უნდა შეაფერხოს ფულის ბაზრის თანმიმდევრული ფუნქციონირება. თანამედროვე პირობებში მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების ზრდის შემთხვევაში ცენტრალური ბანკი ახდენს ლიკვიდურობის ინექციას საბანკო სექტორში, ვიდრე განაკვეთები არ შეწყვეტს ზრდას. ფულადი ბაზრის განაკვეთების რყევების ლიმიტები შეზღუდულია ცენტრალური ბანკის საპროცენტო დერეფნით. ლიკვიდურობის (ფულის მიწოდების) მოცულობა იცვლება, უცვლელი რჩება საპროცენტო განაკვეთები, ამით მათი თარგეტირება განსხვავდება ფულის მიწოდების თარგეტირებისაგან. მაგრამ, რა მოხდება, თუ ცენტრალური ბანკი თავს შეიკავებს ლიკვიდურობის ზრდისგან, ხოლო ფულის მიწოდების მართვის უფლებამოსილება გადაეცემა მთავრობას? მან პასიურად უნდა ადევნოს თვალი გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების ზრდას, ვიდრე მთავრობა რამდენიმე კვარტალის (ან წლის) განმავლობაში არ გაზრდის თავის ხარჯებს? და პირიქით: საპროცენტო განაკვეთების ვარდნის დროს შეიკავებს თავს ცენტრალური ბანკი ფულადი სტერილიზაციისგან, ვიდრე მთავრობა არ გაზრდის გადასახადებს? სამწუხაროდ, MMT-ში ოპერაციული საკითხები ჩრდილში რჩება, თუმცა თეორია შეიძლება გულისხმობდეს პასუხისმგებლობის განაწილებას ფულად და ფისკალურ ხელისუფლებებს შორის მოკლე- და საშუალოვადიან პერიოდებში. ცენტრალურ ბანკს შეუძლია ფულის მასის მართვა რამდენიმე კვარტალის განმავლობაში, ხოლო ფინანსთა სამინისტროს – ჰორიზონტზე ერთი წლიდან. თუმცა, ფისკალური მულტიპლიკატორი მონაწილეობს ეკონომიკის უხეშ რეგულირებაში, რის შედეგადაც, მონეტარული და ფისკალური ხელისუფლების კოორდინაცია სიბნელეში ერთმანეთისკენ მიმავალ გემებს ემსგავსება.

MMT-ის გასვლამ პოლიტიკური დებატების სცენაზე მძაფრი რეაქცია გამოიწვია პროფესიონალთა საზოგადოებაში. 2019 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებულმა ბუტის სახელობის ბიზნეს-სკოლამ ჩაატარა 38 ცნობილ ეკონომისტებს შორის გამოკითხვა (რომელთა შორის შედიოდნენ *ა. ალესინა, ბ. ეიჰენგრინი, უ. ნორდჰაუსი* და მაკროეკონომიკის სხვა სპეციალისტები) იმის თაობაზე, თუ რამდენად იზიარებდნენ ისინი MMT-ის ავტორების შეხედულებებს. არცერთმა მათგაგანმა მხარი არ დაუჭირა MMT-ის იდეას (IGM, 2019). ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატმა *პ. კრუგმანმა* გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსის“ სვეტში MMT-ის წარმომადგენლებთან კამათი შეადარა „კალვინბოლს“ (თამაშს კომიკსში „კალვინი და ჰონსი“, რომელშიც მოთამაშეები თამაშის წესებს საკუთარი შეხედულებისამებრ ცვლიან): ყოველ ჯერზე, როცა პროფესიონალი მაკროეკონო-

მისტები „მემარცხენე“ კოლეგებს იჭერდნენ შეუსაბამობაზე, ისინი ამბობდნენ, რომ მათ არასწორად გაიგეს (Krugman, 2019a).

მარტივ IS-LM კეინზიანურ მოდელში თეორია აუცილებლად აწყდება სხვადასხვა წინააღმდეგობას. მთავრობას შეუძლია გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ხარჯების ზრდა იწვევს ეკონომიკის გადახურებას და ინფლაციის ამაღლებას. მაშასადამე, სამთავრობო ხარჯები დასაქმებაზე შეუძლებელია იყოს დროში უსაზღვრო. დასაქმებასა და ინფლაციას შორის კავშირს აღწერს ფილიპსის მრუდი და ფრიდმან-მოდილიანის უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის მოდელი. მაგრამ, უმუშევრობის ოპტიმალური დონის განსაზღვრა სულაც არაა ტრივიალური ამოცანა, განსაკუთრებით, მისი დინამიკური ხასიათის გათვალისწინებით. ცენტრალური ბანკების ინფლაციური ორიენტირებისგან განსხვავებით, ოპტიმალური დასაქმება პირდაპირ არ შეინიშნება და ის აბსტრაქტული ხასიათისაა – მისი სიდიდე დამოკიდებულია მოდელის სპეციფიკაციაზე. გარდა ამისა, უმუშევრობა და ეკონომიკური ზრდა ღრმად ინერტიულებია, ხოლო ინფლაცია და ინფლაციური მოლოდინები მრავალჯერ უფრო სწრაფად ვითარდება. თუ ცენტრალური ბანკი, რომელიც თვალყურს ადევნებს ინფლაციას, მასზე რეაგირებას ახდენს ყოველკვარტალური სიხშირით, დასაქმების თარგეტირების ჰორიზონტი შეადგენს წლებს. ოპერაციული პრობლემები ეჭვის ქვეშ აყენებს დასაქმებისა და ინფლაციის ერთდროულად მართვის შესაძლებლობას მხოლოდ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით. *იან ტინბერგენის* წესის მიხედვით, პოლიტიკის ინსტრუმენტების რიცხვი არ უნდა იყოს მაკროეკონომიკური მიზნების რიცხვზე ნაკლები. შეუსაბამობა აიხსნება იმით, რომ MMT ემყარება გამარტივებულ ანალიზს და ამცირებს თავისი რეკომენდაციების პოლიტიკური შედეგების რისკებს. მცურავი გაცვლის კურსის მქონე ღია ეკონომიკაში MMT-ის შესაბამისი პოლიტიკა იწვევს ინფლაციას და ვალუტების გაუფასურებას, ხოლო ფიქსირებული კურსის მქონე ეკონომიკაში მთავრობა აწყდება საბიუჯეტო შეზღუდვებსა და ნდობის პრობლემას. MMT-ის ლოგიკურად არასწორი გათვლები ნაწილობრივ უკავშირდება საერთო წონასწორობის სრულფასოვანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების არარსებობას – MMT-ის მომხრეების უმრავლესობა ეყრდნობა აღწერილობით დასკვნებს.

კრუგმანმა აღნიშნა, რომ საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება იმყოფებოდეს საპირისპირო ფაზებში და მოგვცეს საწინააღმდეგო შედეგები. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოს სრული დასაქმება, თუმცა არც ისე დიდი, რომ გამოიწვიოს ინფლაციური გადახურება. ეს იყო გონიერი მიდგომა, რომელმაც იმუშავა 1930-იან წლებში დიდ დეპრესიასთან ბრძოლაში. მაგრამ, ის არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს გრძელვადიან პერიოდში, რამდენადაც დაკავშირებულია სახელმწიფო ვალის უსასრულო ზრდასთან. არასაბაზრო პროექტებზე (გზები, ხიდები, არხები, სკოლები, სავადმყოფოები და სხვ.) დანახარჯები ნაკლებად ეფექტიანი იქნება, ვიდრე კერძო სექტორის ინვესტიციები კომერციულ პროექტებში. შედეგად, სახელმწიფო ვალის ზრდის ტემპები გადააჭარბებს GDP-ის ზრდის ტემპებს. სახელმწიფო ვალის გაფართოება თანდაყოლილია ბიუჯეტის ერთობლივ დანახარჯებში საპროცენტო დანახარჯების წილის ზრდით. ადრე თუ გვიან, მთავრობა იძულებული გახდება გაზარდოს გადასახადები ან, – რასაც MMT უარყოფს, – გამოაცხადოს დეფოლტი თავის ვალდებულებებზე ცენტრალური ბანკის მიმართ. თუ ვალდებულებების ნაწილი შეადგენს კერძო სექტორის აქტივებს, მაშინ სახელმწიფო ვალის ზრდა თანდაყოლილი იქნება საპროცენტო განაკვეთების ზრდით თავდაპირველად „ურისკო“ აქტივებზე, შემდეგ კი ყველაზე. ამგვარად, მასტიმულირებელი ეფექტი შეიძლება აღმოჩნდეს მოკლევადიანი. გამოთქმული მოსაზრებები განიხილებოდა *ა. ლერნერის* ფუნქციონალური ფინანსების კონცეფციის ფარგლებში და კრუგმანის გამოთქმით,

ყველა ისინი „უსარგებლოს ხდის სრული დასაქმების დაფინანსებას სახელმწიფო ვალის ხარჯზე“ (Krugman, 2019b).

MMT-ის მომხრეების აზრით, ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც ახდენენ საკუთარი ვალუტების ემისიას, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს, არ გააჩნიათ მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვები, რადგანაც მათ შეუძლიათ უბრალოდ დაბეჭდონ ფული დანახარჯების დასაფარავად. მცირე ღია ეკონომიკებში ფულად „ფოკუსს“ წარმატების შანსი არ გააჩნია. MMT-ის სულისკვეთების პოლიტიკა ხორციელდებოდა ჩილეში (1970-1973 წლებში), პერუში (1985-1990 წლებში), არგენტინაში (2003-2015 წლებში), ვენესუელაში (199 წლიდან) და სხვ.. ყველა მთავრობა ამართლებდა პოპულისტური მიზნებით სახელმწიფო ხარჯების ზრდას, რომლებიც ნაზღაურდებოდა ცენტრალური ბანკის მიერ. თუმცა, ყველა ექსპერიმენტი სავალალო შედეგებით დასრულდა: შეუკავებელი ინფლაციით, ეროვნული ვალუტების გაუფასურებითა და მოსახლეობის რეალური შემოსავლების ვარდნით. ევროპული ცენტრალური ბანკის მთავარმა ეკონომისტმა *პ. პრატმა* ასეთი კომენტარი გააკეთა თავის დამოკიდებულებაზე MMT-ის მიმართ: „იდეა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ვალი შეიძლება დაფინანსდეს ცენტრალური ბანკების მიერ, ძალზე სახიფათოა. ადრე ამას მივყავდით ჰიპერინფლაციასთან და ეკონომიკის მკვეთრ რყევებთან. აი, რატომაა ცენტრალური ბანკები დამოუკიდებლები“ (Praet, 2019).

MMT-ის მომხრეები კრიტიკაზე საპასუხოდ ამტკიცებენ, რომ საზოგადოება მოძველებული ეკონომიკური დოქტრინების მასობრივი მარკეტინგის მსხვერპლი გახდა. კრიტიკოსებს ან ბოლომდე არ ესმით MMT-ის საკვანძო იდეები, ან შეგნებულად იყენებენ ფრეიმინგის ხერხებს – კოგნიტური დამახინჯებისა, რომლის დროსაც ინფორმაციის მიწოდების ფორმა გავლენას ახდენს ამ თეორიის ნეგატიურ აღქმაზე („უპასუხისმგებლო დანახარჯები“, „ბიუჯეტის შავი ხვრელი“, „ფული დასრულდა“, „ქვეყანა-ბანკროტი“, „ვალის სახიფათო დონე“ და სხვ.) (Connors, Mitchell, 2017). MMT-ის მიმდევრებს სწამთ, რომ მათი თეორია ზუსტად აღწერს ფულადი სისტემის რეალურ ფუნქციონირებას. ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა – ილუზიაა, რადგანაც ის მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფინანსთა სამინისტროზე. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ცენტრალური ბანკი გვევლინება სახელმწიფო ვალის მთავარ მფლობელად. მიუხედავად მისი მასშტაბური შესყიდვებისა, ფასების სტაბილურობა რეცესიის ბოლო ეპიზოდებში შენარჩუნებულ იქნა.

კომპანია Bridgewater Associates-ის მმართველმა დამფუძნებელმა *რ. დალიომ,* რომელიც სიმპატიითაა განწყობილი MMT-ის მიმართ, 2018 წელს გამოსცა წიგნი „წიგნი ნავიგაციისათვის დიდ სავალო კრიზისებში“. მასში ის ახდენს ცენტრალური ბანკების ნაბიჯეტის დოკუმენტირებას კრიზისების პერიოდში. მწვავე ფაზაში ისინი ახდენენ სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტული მუხლების დაფინანსებას. ნათელი მაგალითია მეორე მსოფლიო ომი, როცა აშშ-ის მოკლედ და გრძელვადიანი ობლიგაციების ზღვრული შემოსავლიანობა იზღუდებოდა, ხოლო აშშ-ის ფედ-ი ყიდულობდა სახელმწიფო ვალის სულ უფრო მეტ მოცულობას სამხედრო მოქმედებების დასაფინანსებლად. ყველაზე დიდი რისკები, *დალიოს* ვარაუდით, დაკავშირებულია არა თვით სახელმწიფო ვალთან, არამედ პოლიტიკოსების უუნარობასთან მიიღონ მართებული გადაწყვეტილებები შეზღუდული ცოდნის ან უფლებამოსილების არარსებობის გამო (Dalio, 2018. გვ. 64). ქრონიკული დეფიციტისა და მზარდი სახელმწიფო ვალის საფრთხეს MMT-ის მიმდევრები მიიჩნევენ რეალურად, მაგრამ მათი წარმომადგენლები ამ თეორიის მომხრეების ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მიზნად ისახავენ „წესრიგის დამყარებას ფისკალურ სახლში“, – განაცხადა *კელტონმა* გაზეთ “Barron’s”-თან ინტერვიუში (Walsh, 2018). მთლიანობაში, MMT-ის ავტორების აზრით, პოლიტიკის ცვლილებისგან პოტენციური სარგებელი ჩრდილავს შესაძლო რისკებს. „ორთოდოქსული ეკონომიკური რიტორიკა სპეკულირებას ახდენს მაკროეკონომიკური რეალიების არასრულ გაგებაზე და სარგებლობს მძლავრი მეტაფორებით, რათა დაფაროს ისინი“, – აღნიშნავს *მიტჩელი* თანაავტო-

რებთან ერთად. დომინირებადი მაკროეკონომიკური თეორია „ბავშვებს ართმევს მომავალს და საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებს აყვავების შანსს“ (Connors, Mitchell, 2017. გვ. 259).

MMT-ის გარშემო დებატები, რომლებიც წააგავს აჟიოტაჟს თავსმოსახვევ სამომხმარებლო რეკლამაში, ატარებს უპირატესად ლოკალურ ხასიათს. ის მოიცავს მხოლოდ ინგლისურენოვან ქვეყნებს – აშშ-ს, ავსტრალიას, კანადასა და დიდ ბრიტანეთს და გვერდს უვლის ევროკავშირის ქვეყნებსა და იაპონიას. როგორც ჩანს, მათ შედეგებს ექნებათ შეზღუდული ხასიათი. დამოუკიდებლად MMT ვერასოდეს შეძლებდა აშშ-ის საშუალო დასავლეთის პროვინციული აუდიტორიების ფარგლებიდან გასვლას. მაგრამ სახელოვანმა პროფესორებმა, მიაქციეს რა მას განსაკუთრებული ყურადღება, თავად გაიყვანეს ის საყოველთაო მიმოხილვაზე. Bloomberg-თან ინტერვიუში *კელტონი* აღნიშნავდა MMT-ის მიერ ახალი სიმაღლეების დაპყრობას: „თავდაპირველად ისინი [ოპონენტები] ახდენენ ჩვენს იგნორირებას, შემდეგ დაგვცინიან, ხოლო ამის მერე იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ... და მაშინ თქვენ იმარჯვებთ“ (Coy et al., 2019). შედეგად, MMT-ის სულისკვეთების პოლიტიკა, რომელიც მხარდაჭერილია მემარცხენე დემოკრატების მიერ, 2020 წელს ამერიკის საპრეზიდენტო მარათონის ეპიცენტრში აღმოჩნდა. დიდი ბრიტანეთის მემარცხენე პოლიტიკოსები არ ჩამორჩებიან თავიანთ ოკეანისგადაღმელ კოლეგებს: ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა *ჯ. კორბინმა* მოუწოდა შემოღებულ იქნეს „სახალხო რაოდენობრივი შერბილება“, რათა ინგლისის ბანკმა უარი თქვას ფინანსური სექტორის რეფინანსირებაზე და დააფინანსოს მუნიციპალური საცხოვრებელი ბინები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი (Stone, 2015). MMT აღმოცენდა ძალიან მოსახერხებელი, რომელიც პასუხობს მიმდინარე პოლიტიკურ განწყობებს.

2019 წლის აპრილში პრეს-კონფერენციაზე MMT-ის შესახებ კითხვაზე – შეუძლია თუ არა ეკონომიკას დაბალი ინფლაციის შემთხვევაში თავის თავს მისცეს ბევრად მეტი ვალის აღების უფლება – საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორმა *ქ. ლაგარდმა* უპასუხა: „ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ MMT პანაცეაა. არსებობს ძალზე შეზღუდული გარემოებები, რომლებშიც მას შეეძლო ამოქმედება. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მიმდინარე გარემოებებში მოიძებნება რომელიღაც ქვეყანა, სადაც ეს თეორია შეძლებს აჩვენოს მდგრადი და კარგი შედეგებინ (IMF, 2019). რომელ შეზღუდულ გარემოებას ახსენებს *ლაგარდი?* პრაქტიკული თვალსაზრისით, MMT მაკროეკონომიკური ამოცანების კერძო გადაწყვეტაა, რომელიც რეალიზდება დროის შეზღუდულ პერიოდში. უპირველეს ყოვლისა, ეს დიდი ღია ეკონომიკაა, რომელშიც დეფლაცია, და არა ინფლაცია წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მთავარ პრობლემას. მონეტარული ხელისუფლებების საპროცენტო პოლიტიკა არაეფექტიანია „ლიკვიდურობის ხაფანგის“ გამო, შედეგად, ცენტრალური ბანკი თავდაპირველად ყიდულობს სახელმწიფო ვალს, ხოლო შემდეგ კერძო ვალს და არასაფინანსო კომპანიების აქციებს. ეს არის ეკონომიკა მცურაცი სავალუტო კურსით, რომელშიც მცირეა არარეზიდენტების, საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის როლი. გარდა ამისა, ის განკარგავს განვითარებულ ფინანსურ ბაზრებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ვალის ლიკვიდურ და ტევად ბაზრებს, რომლებშიც ტონის მიმცემი შიდა ინსტიტუციური ინვესტორებია. საბოლოოდ, ეკონომიკა უნდა შევიდეს რეცესიაში, უნდა განიცდიდეს პოტენციური GDP-ის უკიდურესად დაბალ ზრდის ტემპებს ან მნიშვნელოვან უმუშევრობას.

ჩამოთვლილ პირობებში MMT-ის რჩევებს შეუძლიათ პოზიტიური შედეგების მოცემა არახანგრძლივი დროის განმავლობაში. გრძელვადიან პერიოდში მთავრობა გადააწყდება ეფექტიანობის პრობლემას, რომელიც განპირობებულია მეგაპროექტების დაფინანსებით სახელწმიფო ვალის ხარჯზე, მაგალითად, კლიმატის გაუმჯობესება ცხადი ეკონომიკური უკუგების გარეშე. თამაშის ინსტიტუციური წესების ცვლილებები – ცენტრალური ბანკის დაქვემდებარება ფინანსთა სამინისტროზე – სახიფათო ხდება მთავრობის მოკლევადიანი ამოცანების შესრულების შემდეგ. საემისიო დაფინანსების მომავალშიც გამოყენების ცდუნება, გამოცხადებული ამოცანების გადაჭრის

შემდეგ, როგორც წესი, გამოდევნის ჯანსაღ აზრს. ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც გამოყენებადია MMT-ის დებულებები, მცირეა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, შვეიცარია, ანუ, სარეზერვო ვალუტების ემიტენტები. განვითარებადი ეკონომიკის სამყაროში, MMT-ის რეცეპტები მოახდენს ხელისუფლების მიმართ ნდობის ვარდნის, დოლარებისკენ გაქცევისა და ინფლაციის პროვოცირებას. ეს ნაწილობრივ განმარტავს იმას, თუ რატომ არ სცდება MMT-ის გარშემო არსებული პოლემიკა შეერთებული შტატების ფარგლებს.

ამ ნაწილში თანმიმდევრულად განვიხილავთ პროტესტებს MMT-ის წინააღმდეგ, დაწყებული არამართებულ ინტერპრეტაციაზე აგებულით და მათზე შესაძლო პასუხებით „MMT-ის სულისკვეთებიდან გამომდინარენ, შემდეგ კი შევჩერდებით MMT-ის იმ დებულებებზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით, კრიტიკამ ყურადღება არ მიაქცია.

1. *MMT-ის ავტორები თვლიან, რომ დაკრედიტება შეზღუდულია მსესხებლის კრედიტუნარიანობით და კრედიტებსა და დეპოზიტებზე პროცენტებს შორის საკმარისი მარჟის არსებობით. მაგრამ, თანამედროვე ეკონომიკაში დაკრედიტების შემზღუდველად გვევლინება ლიკვიდურობისა და კაპიტალის საკმარისობის ნორმატივები [Андрюшин, 2020].*

მართლაც, სახელმძღვანელოში ნორმატივების როლს ბანკების მიერ დაკრედიტებაზე გადაწყვეტილებების მიღებაში განკუთვნილი აქვს არასაკმარისი ადგილი. მიუხედავად ამისა, მათ როლს MMT აღიარებს, თუმცა მას მეოხარისხოვნად თვლის,[1] შესაძლოა იმის გამო, რომ ნებისმიერი თანამედროვე ცენტრალური ბანკი ვალდებულია დააკმაყოფილოს ბანკების მოთხოვნა რეზერვებზე (მათ შორის, რომლებიც წარმოიქმნება ახალი ნორმატივების შემოღების გამო) სრული მოცულობით.

2. *MMT არ შეესაბამება სახელწოდებას – ის არ არის თანამედროვე, არც ფულადი და არც თეორია: ის ემყარება XIX საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის შუა პერიოდამდე არსებულ კონცეფციებს, ემხრობა ფისკალური და არა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიმატს, წარმოადგენს სხვადასხვა მტკიცებულებების ნაკრებს – ერთიანი მოდელი მასში არ არსებობს [Моисеев, 2019].*

MMT-ის მომხრეები შეეწინააღმდეგობდნენ ამას – ის თანამედროვეა იმ აზრით, რომ აღწერს თანამედროვე ფიატურ ფულად სისტემას, რომელიც, როგორც მტკიცდება, ფუნქციონირებს პრინციპულად სხვანაირად, ვიდრე ფულადი სისტემა ოქროს სტანდარტის ეპოქაში (ამავე დროს, მეინსტრიმის ფარგლებში კვლევების უმრავლესობა ეძღვნება დე-ფაქტო სისტემებს ან ფულის გარეშე, ან ოქროს სტანდარტს).

MMT-ში აქცენტი გაკეთებულია ფისკალურ პოლიტიკაზე, ვინაიდან ის პირდაპირ და უფრო ძლიერად ახდენს გავლენას ეკონომიკაზე, უფრო მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ფულად სფეროზე (ფულად მასასა და საბანკო რეზერვებზე). ამასთან, MMT-ში ცენტრალური ბანკი და ფინანსთა სამინისტრო ითვლება ერთიანი მთლიანის ნაწილებად, ამიტომ აზრი არ აქვს მათ დაპირისპირებას.

თეორიის გაიგივე მოდელთან (მოდელებთან) – ეს ერთ-ერთი შესაძლო თვალსაზრისია, რომელიც შეესაბამება ტრადიციას, გამომდინარე ლეონ ვალრასისგან, რომლის პოპულარიზაციაც თავის დროზე მოახდინეს რობერტ ლუკასმა, ედვარდ პრესკოტმა და სხვებმა [Де Фрей, 2019]. მასში მთავარია „თეორიულად დასაბუთებული“ (აშკარად არარეალისტური, მაგრამ მოდელირებისათვის მოსახერხებელი) წინაპირობების არსებობა. მსგავსი თეორია ვერასოდეს შეძლებს აღწეროს რეალური ეკონომიკა, უკეთეს შემთხვევაში მას შეუძლია შექმნას გარეგნულად დამაჯერებელი იმიტაცია. MMT კი სწორედაც რომ ისწრაფვის რეალობის რეპროდუცირებისკენ. გარკვეული აზრით, ის მისდევს ალფრედ მარშალის ტრადიციებს, რომლებიც განავითარეს ჯონ მეინარდ კეინზმა, მილტონ ფრიდმანმა, რობერტ სოლოუმ და სხვა არანაკლებ ცნობილმა ეკონომისტებმა. შესაბამისად, MMT-ში გამოიყენება არა ოპტიმიზაციის მაგვარი სამოდელო ტექნიკები, რომლებიც იშვიათად

[1] Mitchell W. Lending Is Capital—Not Reserve-Constrained. http://bilbo.economicoutlook.net/blog/?p=9075/.

გვხვდება „ცხოვრებაში“, არამედ ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, რომლებიც ასახავს რეალური ეკონომიკური პროცესების არსს. MMT – ისეთივე თეორიული კონსტრუქციების ერთობლიობაა, როგორც ინსტიტუციონალიზმი, ავსტრიული სკოლა, მარქსიზმი ან პოსტკეინზიანელობა. ის ემყარება გარკვეულ კანონზომიერებებს და არ იკვლევს სხვადასხვა მოვლენას ყოველ ჯერზე ხელახლა – როგორც ეს მიღებულია სუფთა პრაქტიკოსებთან.

3. *მთავრობას არ შეუძლია უსასრულოდ დააგროვოს ვალი – ადრე თუ გვიან საპროცენტო ხარჯების წილი სახელმწიფო ხარჯებში ძალზე მაღალი გახდება და საჭირო იქნება ან გადასახადების ზრდა, ან დეფოლტის გამოცხადება [Моисеев, 2019].*

თეზისი ემყარება ვარაუდს, რომ არსებობს სახელმწიფო ვალზე გადახდების რომელიღაც ზღვრული სიდიდე. ისტორიაში ნამდვილად შეიძლება ვიპოვოთ მრავალი მაგალითი ქვეყნებისა, რომლებმაც ასეთი ზღვრული სიდიდეების მიღწევის დროს მკვეთრად შეცვალეს პოლიტიკა ბიუჯეტის დასტაბილურობის მიზნით. თუმცა, ეს გამოწვეული იყო ინფლაციის ერთდროული აჩქარებით ან ხელისუფლების სურვილით დაეცვათ დაბალანსებული ბიუჯეტის დოქტრინა. თუ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალის პირობებშიც კი ინფლაცია სტაბილურად დაბალი დარჩება, ასეთი საჭიროება არ წარმოიქმნება. სიტუაცია დარჩება სტაბილური მანამ, ვიდრე ეკონომიკური ზრდის ტემპები გადააჭარბებს ვალის მომსახურების ღირებულებას. შესაძლოა, ვალის მაღალი დონეების პირობებში ფუნქციონირება – ეს უბრალოდ ახალი რეალობაა, რომელთანაც ადაპტაცია საჭირო იქნება.

4. *უმუშევრობის ოპტიმალური კოეფიციენტის დადგენა რთულია, ეს დამოკიდებულია მის შესაფასებლად გამოყენებული მოდელის სპეციფიკაციაზე [Моисеев, 2019].*

მართლაც, NAIRU-ს შეფასების თაობაზე კონსენსუსი არ არსებობს. ამავე დროს რთულია დაჯერება (არა მხოლოდ MMT-ის მომხრეებისა, არამედ სხვა კეინზიანელი ეკონომისტებისა, მათ შორის, მეინსტრიმის წარმომადგენლებისა) იმაში, რომ წონასწორული უმუშევრობის არსებობა 7-10-12%-ის დონეზე ჯანსაღი სიტუაცია და ეკონომიკური სისტემის ადეკვატური ფუნქციონირების შედეგია. ამ „წონასწორული“ უმუშევრობის დიდ ნაწილს გააჩნია იძულებითი ხასიათი.

5. *MMT არასაკმარისად აფასებს სახელმწიფო ჩარევის ზრდის საშიშროებას (დანახარჯები, რომლებიც აჭარბებს ეკონომიკის ფისკალურ შესაძლებლობებს, გამოიწვევს ინფლაციისა და დევალვაციის სწრაფ ზრდას) [Андрюшин, 2020].*

ეს შენიშვნა ნაწილობრივ სამართლიანია: არა „ვირტუალურ“ ფინანსური, არამედ რეალური შეზღუდულობის დაძლევის თემა, განსაკუთრებით ფორმირებადი ბაზრების ქვეყნებში, არასაკმარისადაა დამუშავებული. ამასთან, MMT-ში გაწერილია ფისკალური ექსპანსიის შეზღუდვები (ეკონომიკის საწარმოო შესაძლებლობების შესაბამისობა მოთხოვნასთან) და შემოთავაზებულია მექანიზმი ინფლაციური შედეგების ნიველირებისათვის (გარანტირებული დასაქმება).

ჩვენი აზრით, MMT-ის მიმდევრების თვალსაზრისი არასაკმარისადაა დასაბუთებული ფულად სისტემებზე დისკუსიის მთელ რიგ საკითხებზე. MMT უარყოფს გამოდევნის ეფექტის შესაძლებლობას თანამედროვე ფულად სისტემაში (ნომინალურ გამოხატულებაში). MMT-ის ლოგიკის თანახმად, მთავრობა უშვებს ობლიგაციებს არა იმისთვის, რათა დააფინანსოს ბიუჯეტის დეფიციტი, არამედ იმისთვის, რათა დაეხმაროს ცენტრალურ ბანკს საპროცენტო განაკვეთების მართვაში: ობლიგაციის გამოშვება იწვევს საბანკო რეზერვების ამოღებას, რაც განაკვეთზე ზრდის მიმართულებით ახდენს ზეწოლას, ამავდროულად, თუ ობლიგაციები შეისყიდება მხოლოდ ბანკების მიერ, ფულადი მასა არ მცირდება. ოპერაციების საბალანსო ასახვის კორექტულობაში ეჭვის შეტანის გარეშე აღვნიშნავთ სახელმწიფო ობლიგაციების ემისიის რამდენიმე მახასიათებელს. პირველი, MMT-ის ინტერპრეტაცია ასახავს ამერიკულ რეალობას და არა უნივერსალურ კანონზომიერებებს. და მაინც, ცენტრალური ბანკებისა და მთავრობების უმრავლესობა სახელმწიფო ობლიგაციების ემისიას განიხილავს, როგორც საგარეო ფაქტორს (საბანკო სექტორის ლიკვიდურობის მართვის არსებითად ტექ-

ნიკური პროცესისთვის), და არა როგორც ინსტრუმენტს. მეორე, სახელმწიფო ობლიგაციებს ხშირად ყიდულობენ არაბანკებიც (რაც იწვევს ფულადი მასის მოკლევადიან შემცირებას), ხოლო ბანკების მიერ ობლიგაციების შეძენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ საკრედიტო პოლიტიკაზე (მთელ რიგ შემთხვევებში ობლიგაციებს შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც კრედიტების სუბსტიტუტებმა). ეს ეფექტი MMT-ში არ განიხილება – როგორც ჩანს, იმის საფუძველზე, რომ MMT-თვის უფრო მნიშვნელოვანია დანახარჯების დინამიკა, ვიდრე ფულადი მასისა. მიუხედავად ამისა, შეიძლება დავეთანხმოთ იმას, რომ არაბანკების მიერ სახელმწიფო ობლიგაციების შეძენამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდენოს კომერციული ბანკების განაკვეთებზე, რადგანაც ისინი განისაზღვრება ცენტრალური ბანკის განაკვეთებით.

თუ სახელმწიფო დანახარჯები იქნება ძალზე დიდი, ინფლაციის დაჩქარება მიგვიყვანს კერძო ინვესტიციების შემცირებასთან რეალურ გამოხატულებაში ან ცენტრალური ბანკების მიერ განაკვეთების ზრდასთან. პირველ შემთხვევას („გამოდევნის ეფექტს რეალურ გამოხატულებაში") MMT-ის მიმდევრები აღიარებენ და მოუწოდებენ მასთან საბრძოლველად.[1] მეორე შემთხვევაში განაკვეთების ზრდა ხელოვნური და არასავალდებულოა – აკი ინფლაციურ საფრთხესთან MMT-ის თანახმად უკეთესია ბრძოლა ფისკალური ინსტრუმენტებით.

გარდა ამისა, საკამათოდ გამოიყურება MMT-ის მიმდევრების შემდეგი განცხადებები.

1. „ბანკთაშორისი დაკრედიტების ბაზარი „არ არის საჭირო" და შესაძლოა მისი წარმატებით ჩანაცვლება ცენტრალური ბანკის ოპერაციებით".[2] თანამედროვე რეალიებში ბანკებს შეიძლება საკუთარი ლიკვიდურობის მართვის უნარის ატროფირება დაემართოთ, რაც მათ ქცევას უფრო სარისკოს გახდის და შემდგომში გამოიწვევს ფინანსური სტაბილურობის პრობლემებს (ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში ლიკვიდურობის მართვა წარმოადგენს ბანკში რისკების მართვის საერთო სისტემის ნაწილს, რომელიც არბილებს რისკისადმი ბანკების პრეფერენციის რყევას [Грищенко, 2018]). MMT-ს, როგორც ჩანს, მსგავსი სიტუაცია არ აწუხებს, ვინაიდან აქტიურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ის არ გულისხმობს.

2. „ნომინალური („ბუნებრივი", „წონასწორული") ნეიტრალური განაკვეთი ნულის ტოლიან. MMT-ის თანახმად, თუ სახელმწიფოს ეკონომიკა აჰყავს სრული დასაქმების დონეზე ბიუჯეტის დეფიციტის მონეტარული დაფინანსებით, განაკვეთი „ბუნებრივი სახით" დაეცემა ნულამდე ჭარბი საბანკო რეზერვების გაჩენის გამო. ამ მტკიცებულებაში ასევე იგრძნობა ამერიკული რეალიების გავლენა (ფედ-ს, სხვა მრავალი ცენტრალური ბანკისგან განსხვავებით არ გამოუყენებია არც საპროცენტო განაკვეთების კორიდორის სრულფასოვანი სისტემა, არც ტრადიციული სისტემა ფიქსირებული ქვედა საზღვრით – floor system). იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ბანკების უმეტესობას აქვს ლიკვიდობის ამოღების მუდმივი მოქმედების ოპერაციები, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ნეიტრალური განაკვეთი ტოლია არა ნულის, არამედ, მაგალითად, ცენტრალურ ბანკში ოვერნაით დეპოზიტებზე განაკვეთის (რაც იმთავითვე ეჭვქვეშ აყენებს ამგვარი განაკვეთის „ბუნებრივობას").

გარდა ამისა, MMT-ის მიხედვით ნეიტრალური განაკვეთის აღწერაში ფაქტობრივად საუბარი ეხება ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო სექტორის ლიკვიდურობის რეგულირებაზე უარის თქმას. ლიკვიდურობის სიტუაციაში ჩაურევლობა მაინც შეიძლება გაიგივდეს ბანკებისთვის „ბუნებრივი" პირობების უზრუნველყოფასთან. მაგრამ, იქნება კი ის „ბუნებრივი" ეკონომიკისათ-

[1] Mitchell W. Saturday Quiz–August, 7 2010–Answers and Discussion. http://bilbo.economicoutlook.net/blog/?p=11022.

[2] Mosler W. Proposals for the Banking System. http://moslereconomics.com/2009/09/16/proposals-for-the-banking-system-treasury-fed-and-fdic-draft/.

ვის? „ბუნებრივი“ სიტუაცია, რომელიც აღწერილია MMT-ში, შეიძლება შეესაბამებოდეს როგორც ჭარბ, ისე არასაკმარის სახელმწიფო დანახარჯებსა და დასაქმებას.

3. „ფულზე მოთხოვნას ქმნის გადასახადები“ [Mitchell et al., 2019]. გადასახადები გადახდების მხოლოდ მცირედ ნაწილს შეადგენს – ფულადი მასის დიდი ნაწილიც ასე ფასდება, თუმცა ყოველთვის იქნება მიმოქცევაში კერძო სექტორში; მრავალ გადასახადს იხდის დამქირავებელი (მუშაკმა შეიძლება არც კი იგრძნოს, რომ მას ჭირდება ფული გადასახადების გადასახდელად); მთლიანობაში, ეს კონცეფცია ძალზე ბუნდოვანია, არაფორმალიზებულია (გადასახადები არ წარმოადგენს ფულზე მოთხოვნის ფუნქციის არგუმენტს) – გაუგებარია, ფულის ფასეულობა და გადასახადებით დაბეგვრის დონე როგორ უკავშირდება ერთმანეთს, როგორ ავლენს საკუთარ თავს განსხვავება ფულზე მოთხოვნას შორის, გადასახადებით დაბეგვრის სხვადასხვა დონის ქვეყნებში და ა.შ.; არსებობს ლათინურამერიკული ქვეყნების მაგალითები, სადაც მოთხოვნა ეროვნულ ფულზე ეცემოდა იმისდა მიუხედავად, რომ მხოლოდ ისინი გამოიყენებოდა გადასახადების გადასახდელად (ოლივერა-ტანზის ეფექტი). მთლიანობაში, MMT-ის სულისკვეთებას უფრო შეესაბამება თეზისი, რომლის მიხედვითაც ფულზე მოთხოვნას ქმნის თავად ვალის გაჩენის ფაქტი (ფულის მოძიების პერსპექტივით მომავალში ვალის დასაფარავად) – არა აუცილებლად სახელმწიფოს წინაშე არსებული ვალის (გადასახადები), ეს შეიძლება იყოს ვალი ეკონომიკის სხვა სუბიექტების მიმართაც (არაბანკების მიმართ).

დასკვნა

2020 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი ფისკალურ მდგრადობაზე სტანდარტული წარმოდგენების შოკური გადახედვის ტრიგერი გახდა. ცვალებად პირობებში MMT-ის მომხრეთა ხმები სულ უფრო ხმამაღლა ისმის, ვიდრე ოდესმე ისმოდა აქამდე. მაკროეკონომიკური რეალობის ზოგიერთი მახასიათებლები (უპირველეს ყოვლისა, განვითარებულ ქვეყნებში) დღეს სრულად შეესაბამება MMT-ის პრინციპულ მდგომარეობას, რომლებიც განიხილება სტატიაში. კერძოდ, ფისკალური დეფიციტის მზარდი მასშტაბები და ცენტრალური ბანკების ბალანსზე სახელმწიფო ვალის შეძენა ერთდროულად აჩვენებს ინფლაციური რისკების მეორად ხასიათს ნეგატიურ დეფლაციურ ეფექტებთან შედარებით ერთობლივი მოთხოვნის ვარდნისა და მონეტარულად სუვერენული სახლემწიფოსთვის ფინანსური შეზღუდვების არარსებობის შემთხვევაში მოქალაქეებისა და ბიზნესის მხარდასაჭერად (ციკლის ფაზისგან დამოუკიდებლად).

რა თქმა უნდა, ნაადრევია საუბარი დომინირებადი თეორიული პარადიგმების შეცვლაზე, რომლის ფარგლებში ანალიზდება საბიუჯეტო პოლიტიკა, ან მით უფრო MMT-რევოლუციაზე. ალბათ, მაკროეკონომიკური სიტუაციის ნორმალიზაციის დროს დღის წესრიგში დაბრუნდება ზედმეტად ჭარბი დეფიციტების აღმოფხვრა და ფისკალური კონსოლიდაციის ახალი რაუნდი (მაგალითად, რუსეთის მთავრობის მიერ ის უკვე დაგეგმილია 2021-2023 წლებს შორის პერიოდში). ამ შესაძლებლობის გათვალისწინებით და იმისდა მიუხედავად, რომ მეინსტრიმის მრავალი წარმომადგენელი გააგრძელებს MMT-ის გამოყენებითი რეკომენდაციების შეფასებას სერიოზული სკეპტიციზმით ან თუნდაც უარყოფით, შეიძლება ითქვას, რომ თეორიის მარგინალობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო მისი აქტუალობა არანაკლებ წონიანი გახდება მომავალში. რაც შეეხება MMT-ის კრიტიკას, განსაკუთრებით რუსულ ლიტერატურაში წარმოდგენილს, ჩვენი აზრით, ის მაინც არ არის საკმარისი MMT-ის „გასაბათილებლად“, იმიტომ, რომ იგი გვერდს უვლის კონცეფციის მთელ რიგ საკამათო დებულებებს.

ლიტერატურა:

1. *Connors L., Mitchell W.* (2017). Framing Modern Monetary Theory. Journal of Post Keynesian Economics, Vol. 40, No. 2, pp. 239-259. https: doi.org 10.1080 0 1603477.2016.1262746
2. *Knapp G.* (1905). Staatliche Theorie des Geldes. Leipzig: Duncker und Humblot.
3. *Krugman P.* (2019a). Running on MMT (Wonkish). The New York Times, 25 February.
4. *Krugman P.* (2019b). What's wrong with functional finance? (Wonkish). The New York Times, 12 February.
5. *Mitchell W., Wray R., Watts M.* (2019). Macroeconomics. London: Macmillan Education.
6. *Nesiba R.* (2013). Do institutionalists and post-ICeynesians share a common approach to Modern Monetary Theory (MMT)? European Journal of Economics and Economic Policies: Intervention, Vol. 10, No. 1, pp. 44-60. https: doi.org 10.4337 ejeep.2013.01.05
7. *Praet P.* (2019). Twitter Q&A with Peter Praet. European Central Bank, 12.03. https: twitter.com i moments 1105523805248778246
8. *Rogoff K.* (2019). Modern monetary nonsense. Project Syndicate, March 4. https: www.project-syndicate.org commentary federal-reserve -modern-monetary- theory-danger s-by- kenneth-rogof f-2 019-03
9. *Samuelson P.* (1990). Economics. New York: McGraw-Hill.
10. *Stone J.* (2015). Plough quantitative easing cash into building homes and infrastructure, says Jeremy Corbyn. The Independent, 9 July.
11. *Tcherneva P.* (2002). Monopoly money: The state as a price setter. Oeconomicus, Vol. 5, pp. 124-143.
12. *Моисеев, С. Р. Хайп вокруг (не)денежной (не)теории, Вопросы экономики. – 2019. – N.9. – С. 112-122. https://institutiones.com/theories/3440-haip-vokrug-denezhnoi-teorii.html*
13. *Грищенко Вадим, Остапенко Всеволод, Ткачев Василий, Тунёв Виктор, Современная денежная теория (MMT): новая парадигма или набор рекомендаций для макроэкономической политики? Экономическая политика. 2021. Т. 16. № 3. С. 8–43, https://institutiones.com/theories/3836-sovremennaya-denezhnaya-teoriya.html*

A New Paradigm of Monetary Theory and Contemporary Challenges

Malkhaz Chikobava
Doctor of Economics
Associate professor at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In scientific publications on the problems of monetary relations, modern monetary theory is defined as a system of views that have been formed over the past twenty years by a group of American and Australian economists, mostly university professors. The main impetus for the development and popularization of modern monetary theory was the need to create a scientific concept for overcoming such problems of the American economy as the accumulation of huge public debt, chronic budget deficits and high unemployment. This theory offers a universal solution to these problems.

This article shows how this theory is able to cope with the current global financial and economic crisis; The article also analyzes the strengths and weaknesses of modern monetary theory.

Keywords: modern monetary theory, chartalism, Marxist theory of money, Keynesian theory, neoclassical theory, mainstream current, fiscal policy, monetary theory, monetary sovereignty of the state, public debt, inflation, guaranteed employment.

კრიზისული მოვლენების თეოლოგიურ-ეკონომიკური გააზრების საკითხისათვის

ნიკოლოზ ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; ქუთაისის უნივერსიტეტი;
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს ს/მ აკადემიის ნამდვილი წევრი

სხვადასხვა სახის კრიზისული მოვლენები ეკონომიკაში არა მხოლოდ XIX-XX საუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი, არამედ ბიბლიური ფესვები გააჩნია. წმინდა წერილში არაერთგზის მოიხსენიება ადამიანის მიერ შექმნილი დოვლათის მოცულობის მკვეთრი შემცირების შესახებ, აღწერილია მეთოდები, რომლითაც ადამიანები ცდილობდნენ მათ დაძლევას. ასევე, მინიშნებულია პრევენციული ღონისძიებების შესახებაც. ამასთან, ძველი აღთქმის მიხედვით, ციკლურობა ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღვთივდადგენილი ნორმაა – კეთილდღეობა და დაცემა ურთიერთმონაცვლეობენ და ორივე პერიოდი მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბიბლია; კრიზისი; შრომა; მარაგი; სურსათი.

საზოგადოების განვითარების ისტორიაში სხვადასხვა ხასიათისა და სიმწვავის კრიზისული მოვლენები არახალია. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანები სხვადასხვა თეორიებით ცდილობდნენ აეხსნათ საქმიანი აქტივობის რყევები (Чихладзе, Хидашели, 2015)

თანამედროვე ეკონომიკური აზრი კრიზისების მიზეზად საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის რღვევას მიიჩნევს. ეს პროცესი თვითონ არის გარკვეული ბუნებრივი, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების შედეგი. თუ ამ ლოგიკას ვაღიარებთ, მაშინ ეკონომიკური კრიზისის ფესვები საზოგადოების განვითარების უფრო სიღრმისეულ მოვლენებში უნდა ვეძებოთ, ვიდრე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დარღვევაა. (ლომინაშვილი, 2010)

რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და პირველ რიგში, სასურსათო პროდუქციის გაძვირება გამოიწვია. ომამდე, 2020-2021 წლებში იყო პანდემია, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკაში უარყოფითი ძვრები მოჰყვა. ნეგატიური მოვლენები აისახა გლობალური ეკონომიკური ჯაჭვების რღვევაში, მიწოდების შემცირებასა და შესაბამისად, ფასების ზრდაში.

ეჭვგარეშეა კრიზისიდან გამოსვლის ღონისძიებების გატარების მნიშვნელობა. ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მიზეზების დადგენა და ფაქტების ანალიზი, არამედ სიღრმისეული განხილვა, ამ ეკონომიკური და სოციალური ფენომენის განმაპირობებელი მოვლენის ფესვების ძიება, წინა თაობების როგორც ნორმატიული, ისე პოზიტიური ეკონომიკური აზრის გათვალისწინება (Лукин, 2009)

ძირითადი ნაწილი

პირველი ადამიანები მიწოდების კრიზისის (ნაკლებწარმოების ეკონომიკური კრიზისის) პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ცოდვით დაცემამ. მან შეცვალა დამოკიდებულება ადამიანსა და ბუნებას შორის. საწყის პერიოდში ბუნება იოლად ემორჩილებოდა ადამიანს. ეს იყო ფაქტობრივად ერთიანობა, მთლიანობა. ადამიანის ღვთისაგან განდგომამ სასიამოვნო შრომა შეცვალა ბუნებასთან ბძოლით და მტრული დამოკიდებულებით. ადამიანი იძულებული შეიქმნა სამეურნეო სისტემის შექმნაზე, საქონლის წარმოებაზე, პირველ რიგში კვების პროდუქტების მოპოვებაზე ეზრუნა (ჩიხლაძე, 2015)

ცოდვით დაცემის შემდეგ უფალმა ადამს უთხრა: „მიწა დაიწყევლოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე. ძეძვი და ეკალი აღმოგიცენოს და მინდვრის ბალახი იყოს შენი საზრდო. პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი“ (დაბ. 3:17–19).

ამდენად, მიწოდების კრიზისის მიზეზად შეიძლება დასახელდეს უფლის მიერ მინიჭებული თავისუფლების ბოროტად გამოყენება. ღმერთის განაჩენით ადამიანის მთელი ამქვეყნიური ცხოვრება გარდაიქმნა განუწყვეტელ შრომად, ტანჯვად და მწუხარებად. წმ. იოანე ოქროპირი ხაზს უსვამს უფლის მოწყალებას: „უფალი ყოველნაირად ცდილობს შეამსუბუქოს ეს სასჯელი: დაადო რა განუწყვეტელი შრომის ტვირთი, მის შესამსუბუქებლად ადამიანებს დაუტოვა სხვადასხვა პირუტყვი“ (საქართველოს იმედი, 2014)

ოფლითა და შრომით ლუკმაპურის მოპოვების საკითხი წარმოჩენილია ძველი აღთქმის დასაწყისშივე. ურჩობის შედეგად ადამი მიწის მხვნელი გახდა და მიწის ნაყოფს უკვე მძიმე შრომით იღებდა. უფლის წყევამ და მსჯავრმა ადამზე მიაღწია. როგორც ცნობილი ღვთისმეტყველი ა. ლოპუხინი განმარტავს, ადამიანის არსებობა ერთგვარ შრომით გმირობას დაექვემდებარა. ამდენად, შრომის უფლება, შრომის აუცილებლობა ადამიანმა ღმერთის დაწყევლის შემდეგ მოიპოვა. (Лопухин, 1904-1913)

მიწოდების კრიზისის შემდგომი ეპიზოდი კაენს და მის შთამომავლობას უკავშირდება. დაბადებაში ვკითხულობთ, რომ კაენი დაიწყევლა უფლისაგან ძმისმკვლელობის მძიმე დანაშაულის გამო: „ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან“ (დაბ.4:11). კაენი, შეიძლება ითქვას, ჩამოშორდა მიწათმოქმედებას, რადგან ღვთის სასჯელის გამო მისთვის ამ საქმიანობის გაგრძელება აზრს კარგავდა: „დაამუშავებ მიწას, მაგრამ აღარ მოგცემს იგი თავის ძალას, დევნილი და მიუსაფარი იქნები ამ ქვეყანაზე“ (დაბ. 4:12).

კაენის შთამომავალი იძულებული გახდა სხვა საარსებო წყაროები ეძებნა. შვილის, ენოქის დაბადების შემდეგ კაენი აშენებს ქალაქს, რომლის ფარგლებშიც ჩნდება სხვადასხვა პროფესიები. კაენის ჩამომავალთაგან იაბალი იყო „კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა,“ ანუ აბელის „კოლეგა“. იაბალის ძმა იუბალი „იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა“, ხოლო ლამექის შვილი მეორე ცოლიდან (ცილადან) თუბალ-კაენი, „რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ იყო (დაბ. 4:16-22). კაენის ჩამომავალთაგან იაბალი იყო „კარავში მცხოვრებთა და მეჯოგეთა მამა“, ანუ აბელის „კოლეგა“. იაბალის ძმა იუბალი „იყო მეჩანგეთა და მესტვირეთა მამა“, ხოლო ლამექის შვილი მეორე ცოლიდან (ცილადან) თუბალ-კაენი, „რვალისა და რკინის საჭურველთა მჭედელი“ იყო (დაბ. 4:16-22).

ამდენად, მიწოდების კრიზისი, რომელიც მძიმე ცოდვას უკავშირდებოდა, გახდა შრომის დანაწილების, ახალი წარმოებისა და ტექნოლოგიების წარმოქმნის წანამძღვარი.

დაბადებაში ვხვდებით იოსების მიერ ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და აღსრულების უძველეს და შესანიშნავ მაგალითს: როდესაც ეგვიპტეს 7 შიმშილიანი და მოუსავლიანი წელი ელოდა, იოსებმა განაწესებიანა ზედამხედველები ფარაონს და შვიდი მოსავლიანი წლის მანძილზე მეხუთედი (20%) ახდევინეს ეგვიპტის ქვეყანას: „დააგროვონ და ამ მომავალი ბედნიერი წლების მთელი საზრდო დაახვავონ ხორბალი ფარაონის გამგებლობაში ქალაქთა საზრდოდ და შეინახონ. იყოს ეს მარაგად

ქვეყნისათვის შვიდი მოუსავლიანი წლის მანძილზე“ (დაბ. 41:35-36).

ამ გადაწყვეტილებით იოსებმა სურსათის სარეზერვო მარაგი შექმნა, ხორბალი კი ამ ღონისძიების შედეგად იმდენი დაგროვდა, რომ „აღარ იყო სათვალავი“ (დაბ. 41:49), რამაც ეგვიპტე ფაქტობრივად შიმშილისა და გენოციდისაგან იხსნა. სხვა ქვეყნებში, ვერ გაატარეს რა გონივრული ეკონომიკური პოლიტიკა, ყველა ქვეყანა მოვიდა ეგვიპტეში იოსებთან პურის საყიდლად.

შეიძლება მოვიტანოთ ანალოგია ეკონომიკურ ციკლებთან დაკავშირებითაც. ზემოთ დასახელებული პერიოდები განსაზღვრავდნენ ამა თუ იმ დასახლების ან ქალაქის სივრცობრივ განფენილობას, ინფრასტრუქტურას და ეკონომიკურ აქტივობას, რასაც ბუნებრივია შრომის რიტმი განაპირობებდა. დასახელებული ანალოგია ფიქსირდება თანამედროვე გაგებით ეკონომიკურ ციკლებთან მიმართებითაც: განმეორებადი მდგომარეობა, დიდი (ორმოცდაათწლიანი) და მცირე პერიოდებისათვის სწორედ ეკონომიკურ ციკლებზე გვაფიქრებინებს. თანამედროვე ეკონომიკური ტერმინოლოგიით, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო დაცემისა და დეპრესიების პერიოდები. ამ პერიოდებისათვის დამახასიათებელია წარმოების მოცულობის შემცირება (დასახელებული პერიოდისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრი ატროფია და მოუსავლიანობა), უმუშევრობის ზრდა (მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება მაღალი სიკვდილიანობის გამო) და ა.შ. ღირს ვიფიქროთ, რომ ეკონომიკური ციკლებიც, ანუ ეროვნული ეკონომიკის რეგულარულად განმეორებადი მდგომარეობაც, რაც უპირველესად წარმოების მოცულობის ცვლილებით (ზრდით ან შემცირებით) გამოიხატება, სათავეს სწორედ ძველაღთქმისეული პერიოდიდან იღებს. (ჩიხლაძე, 2013)

ციკლების მიმდინარეობის პერიოდში გარკვეული რყევების არსებობა, ეპოქალური სირთულეების გათვალისწინებით, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, პოლიტიკური ცვლილებები, საომარი მოქმედებები, ახალი აღმოჩენები და გამოგონებები და ა.შ. შვიდწლიანი იყო ეგვიპტეში მოუსავლიანი პერიოდი (თანამედროვე მიდგომით, საქმიანი აქტივობის ციკლი 7-11 წელს გრძელდება); ძველაღთქმისეული ორმოცდაათწლიანი განმეორებადობა ახლოა დიდ ციკლთან, რომელიც 50-60 წელს გრძელდება: „კონდრატიევის დიდი ციკლი“ 48-55 წელიწადს გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ „უძველესი ციკლები“ მკაცრად იყო „გაწერილი“.

ძველი აღთქმის მიხედვით, ციკლურობა ინდივიდის ცხოვრებაში, ბუნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღვთივგანგებულებას უკავშირდება. ღვთის ნებით, კეთილდღეობა იცვლება დაქვეითებით, ხოლო დაქვეითება (უბედურება) – კეთილდღეობით. ორივე პერიოდს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის. „კეთილდღეობისას იბედნიერე, ძნელბედობისას ფრთხილად მოიქეც! ესეც და ისიც ღმერთმა შექმნა ერთმანეთის საპირისპიროდ, რათა კაცმა მის უკან ვერაფერი შეიცნოს. (ეკლ. 7:14) – მოგვიწოდებს ეკლესიასტე. კეთილდღეობის და სიდუხჭირის მონაცვლეობას მხოლოდ სარგებელი მოაქვს ადამიანისათვის. (Лукин, 2009)

ახალ აღქმაშიც არის ასახული კრიზისული მოვლენები. მართლმადიდებლური სწავლების მიხედვით, ბოლო ჟამს ადამიანთა ჭირი განმრავლდება და სხვადასხვა უბედურებებიც მოიმატებს. თუმცა, ქრისტიანისათვის მაინც უმთავრესია ცათა სასუფევლის ძიება და იგი ამის სანაცვლოდ ამქვეყნიურ ჭირსაც ეგუება. წმინდა პავლე მოციქული ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში აღნიშ-

ნავს: „გაჭირვებაც ვიცი რა არის და დალხინებაც, ყველაფერი გამომიცდია: სიმაძღრეც და შიმშილიც, სიმწირეც და სიუხვეც. ყველაფერი შემიძლია ჩემს განმამტკიცებელ ქრისტეში“. (ფილ. 4:11-13)

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება ყველაზე უკეთ წინასწარმეტყველებს კრიზისულ მოვლენებს. მეექვსე თავში აღნიშნულია: „და აჰა ცხენი შავი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა ჴელთა მისთა უღელი. და მესმა ჴმაჲ შორის ოთხთა მათ ცხოველთაჲსა, რომელი იტყოდა: სამადგანი იფქლი – დრაჰკნის, და სამი სამადგანი ქერი – დრაჰკნის, და ღჳნოსა და ზეთსა ნუ ავნებ“. (გამოცხ. 6:5-6).

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: იმ პერიოდისათვის დრაჰკანი იყო დღიური არაკვალიფიციური მუშის შრომის სარგო: „და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაჴსა თჳსსა“ (მთ. 20.2), ხოლო სამადგანი (საწყაო) – დაახლოებით 1,04-1,14 ლიტრი. გამოდის რომ დღიური შრომით შესაძლებელი იყო ამ ოდენობის პურის/იფქლის გამომუშავება, რაც ერთი ადამიანის პურის მხოლოდ დღიური ნორმაა. ამით კი შეუძლებელია ოჯახის გამოკვება.

წმინდა წერილის განმმარტებელთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ აქ საუბარია სურსათის ნაკლებობით გამოწვეულ შიმშილზე. მაგალითად, ა. ლოპუხინი განმარტავს, რომ შავი (ადამიანთა შეჭირვების სიმბოლო) ცხენი მიანიშნებს ადამიანური საჭიროებების (საკვების) დეფიციტს, პირველ რიგში შიმშილს. ამასთან, მხედრის ხელში სასწორი ნიშნავს „არა მარტო სიზუსტეს, არამედ ძალიან მოგვაგონებს სურსათის შეზღუდვას და შიმშილს“ (აპოკალიპსისი, 2021)

გამოცხადებაში ასევე აღწერილია ბაბილონის დაცემაც (თავი XVIII), რომელსაც მოყვება სხვადასხვა საქონელზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირება: „და ვაჭარნი ქუეყანისანი ტიროდიან და იგლოვდენ მის ზედა, რამეთუ ტჳრთსა მათსა არღარავინ იყიდდეს“. (18:11) ეს საქონელი ძირითადად ხორციელი ვნებებისათვის არის განკუთვნილი და გარეგნული სარგებლობისათვის. წმ. ანდრია კესარიელი ამ ნაწილს ასეთ განმარტებას აძლევს: „ვინაიდან ამ ქალაქის დიდი მთავრები აღარ იქნებიან ისინი, ვინც სიძლიერესა და სიმაძღრეში ცხოვრობდნენ, მაშინ უსარგებლო იქნება ასეთი ძვირფასი საგნების ყიდვა და მათი ბოროტად გამოყენება“ (აპოკალიპსისი, 2021)

კაპიტალიზმამდელი ფორმაციებისათვის უპირატესად დამახასიათებელი იყო ნაკლებწარმოების ეკონომიკური კრიზისები, რაც ვლინდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დეფიციტში. ნიშანდობლივია, რომ წმინდა წერილში მოტანილ პრევენციულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს ხშირად ვხვდებით XIX-XX საუკუნეებში.

კრიზისების თეორიული კვლევა შესაძლებელია მრავალი ასპექტით. ჩვენ ყურადღებას მივაპყრობთ სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობასა და საქართველოს კონტექსტზე.

ნებისმიერი ქვეყნის უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი მის რესურსულ უზრუნველყოფას ენიჭება. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) უზრუნველყოფა. იგი ობიექტურად ექცევა აგროსასურსათო პოლიტიკის და ფართო მასშტაბით, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ეპიცენტრში.

2020-2021 წლები მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისული წლები იყო. პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ პრობლემებს რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული პრობლემებიც დაემატა. კერძოდ, გლობალური ეკონომიკური ჯაჭვიდან ამოვარდა უკრაინა, რომელიც თავს იცავს და რუსეთი, რომელსაც დასავლეთის ქვეყნებმა ეკონომიკური სანქციები დააკისრეს. ცხადია, ეს ყველაფერი მსოფლიო ეკონომიკაზეც აისახა. რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად არსებული კრიზისი მრავალმხრივ ნეგატიური შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს (პაპავა, 2022)

რუსეთი და უკრაინა მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის მასიური მწარმოებლები არიან. რუსეთი აწარმოებს პლანეტის ხორბლის დაახლოებით 10%-ს, ხოლო უკრაინა დაახლოებით 4%-ს (Frum, 2022). სასურსათო უსაფრთხოების კუთხით შექმნილი საშიშროება რეალურია, რადგან 2021 წლის თებერვლამდე ხორბლის მსოფლიო ექსპორტის 25% უკრაინასა და რუსეთზე მოდიოდა. უკრაინა ვერ ახორციელებს ხორბლის ექსპორტს. რუსეთმა ხორბალი გამოიყენა, როგორც იარაღი და მსოფლიოში გაჩნდა ასეთი ტერმინი – „სასურსათო ომი". დღეს ყველა ქვეყანა დგას „სასურსათო ომის" წინაშე და სულაც არ არის მოულოდნელი, რომ მსოფლიოში შიმშილის პრობლემა გაჩნდეს (Papava, 2022).

ეს ორი ქვეყანა ერთობლივად აწარმოებდა სიმინდის გლობალური ექსპორტის 17%-ს, ქერის 27%-ს და მზესუმზირის ზეთის 55%-ს. საკვები კალორიებით გლობალურ ვაჭრობაში მათი ხვედრითი წილი 12%-ს უახლოვდებოდა (European Parliament, 2021).

საქართველოს მოსახლეობა არ გამოირჩევა მაღალი მყიდველობითი უნარით და მისი შემოსავლის დიდი ნაწილი სურსათზე მიდის. თუ გავითვალისწინებთ იმპორტის მაღალი ხვედრითი წილი სასურსათო ბალანსში კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.

სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე მოსახლეობის მიერ გაწეულმა საშუალოთვიურმა ფულადმა ხარჯებმა 2020 წელს 42,1% ხოლო 2021 წელს 43,7% შეადგინა (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

საქართველოს ბიოგეოკლიმატური პოტენციალი 10 მლნ ადამიანის გამოკვებაა. ამ პოტენციალის გამოუყენებლობა დანაშაულის ტოლფასია. სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ქვეყანას შეუძლია 2027 წლისათვის მიაღწიოს გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს და სასურსათო თვითუზრუნველყოფის 85%-ან დონეს (კოღუაშვილი, არჩვაძე და ჩიხლაძე, 2022).

საქართველომ 2020 წელს აგრარული და სასურსათო პროდუქტის იმპორტზე – 1.2 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი, რაც აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის ექსპორტს თითქმის 1.3-ჯერ (28.7%-ით) აღემატება. 2021 წელს ხორბლის იმპორტის წილი საქართველოს სასურსათო რესურსების ფორმირებაში 78%-ია, ბოსტნეულიასა – 42%, ხოლო ხორცისა – თითქმის 54%. (წელიწდეული, 2022)

ნახაზი 1

სურსათის ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები 2016-2021 წლებში (საქსტატი, 2022)



მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევების დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს

როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე, თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია, კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭირო და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

დასკვნა

წმინდა წერილის განმმარტებლების მიხედვით, ეკონომიკაში არსებულ კრიზისულ მოვლენებთან დაკავშირებით გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ კრიზისულ ვითარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ საზოგადოების წევრთა სულიერი მდგომარეობა. ძველი აღთქმის მიხედვით ბუნების, საზოგადოებრივი ყოფის და ინდივიდის ცხოვრების ციკლურობა ღვთივდადგენილია. როგორც დაცემის (ვარდნის) და კეთილდღეობის მონაცვლეობის პერიოდებს დიდი მნშვნელობა აქვს ადამიანისათვის.

ახალაღთქმისეული მიდგომით ბოროტების ზრდა განაპირობებს ეკონომიკური კრიზისების გამრავლებით მოვლენილ უბედურებებს, რომელიც ბოლო ჟამს განმრავლდება. ახალი აღთქმის ქრისტიანი ცდილობს ეკონომიკურ კონიუნქტურაზე მაღლა დადგეს და შეეცადოს ნაკლები ყურადღება დაუთმოს როგორც დეფიციტს, ისე სიუხვეს და პირველ რიგში, ცათა სასუფეველი ეძიოს.

ლოცვითი კანონი შრომასთან ჰარმონიულადაა შერწყმული. ამიტომ, შრომა და ლოცვა ნებისმიერი კრიზისის დაძლევის წინაპირობაა. კრიზისებმა არაერთხელ გვიჩვენა, რომ მატერიალური წარმოება, მიწასთან კავშირი და გონივრული ქმედებები გარდაუვალია მათ დასაძლევად.

ლიტერატურა:

1. აპოკალიპსისი – გამოცხადება იოანე ღვთისმეტყველისა (ბიბლია განმარტებებით I ნაწილი), რედ. თ. მამაცაშვილი. თბ., „პალიტრა L“, 2021. გვ. 206.
2. კოღუაშვილი პ., არჩვაძე ი., ჩიხლაძე ნ., (2022) სასურსათო უშიშროება – ეროვნული უშიშროების საფუძველი. ეკონომიკური პროფილი. ტომი 17, 1(23), DOI: https://doi.org/10.52244/ep.2022.23.02 გვ. 115.
3. ლომინაშვილი შ., (2010) ეკონომიკური კრიზისების ისტორია, მიზეზები და პარალელები. ეკონომიკური პროფილი. N7, 2010. გვ.51. URL:http://economicprofile.org/article/1171
4. პაპავა ვ., ტურბულენტური მსოფლიო – "სასურსათო ომი" და ხორბალი, როგორც იარაღი...ჟურნ. „გზა“, 15.06.2022. URL:http://gza.kvirispalitra.ge/kveqana/9566-turbulenturi-msoplio-sasursato-omi-da-xorbali-rogorc-iaragi/?fbclid=IwAR13QwLxX8oelMwAy0pQkqbz-i3pd7FUil2qM4RL_NWRSkBaOLgurnkzvis
5. საქართველოს იმედი II. „პალიტრა L“, თბ., 2014, გვ. 46.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. შინამეურნეობების ხარჯები, 2022. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi

7. სტატისტიკური წელიწდეული. თბ., 2022, გვ. 111-122. https://www.geostat.ge/media/46404/soflis_meurneoba_2021.pdf
8. ჩიხლაძე ნ., (2015) შრომის გააზრების მართლმადიდებლური და ეკონომიკური საკითხები. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ. 122.
9. ჩიხლაძე ნ., (2013) მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 66.
10. European Parliament. Russia's war on Ukraine: Impact on food security and EU response. 2021. https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/ATAG/2022/729367/EPRS_ATA(2022)729367_EN.pdf
11. Papava V. (2022) On Sanctionomics and the Externalities of Economic Sanctions. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* vol.16, no.2. http://science.org.ge/bnas/vol-16-2.html გვ.143.
12. Frum D. (2022) The Food War. The Atlantic, March 8. URL:https://www.theatlantic.com/ideas/archive/2022/03/rising-food-prices-ukraine-russia-war/626967/
13. Лопухин А., (1904-1913) Толковая Библия *или* комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета. – URL:http://www.bible.in.ua/underl/Lop/
14. Лукин, С., (2009) Ветхозаветный и новозаветный взгляд на кризисные явления в экономике. Проблемы современной экономики. №4. URL: http://www.m-economy.ru/art.php?nArtId=2932
15. Чихладзе Н., Хидашели М., (2015) К вопросу осмысления природы бизнес-цикла. Журнал «Интеллект. Инновации. Инвестиции». №3. URL:https://elibrary.ru/item.asp?id=25225978, http://intellekt-izdanie.osu.ru/arch/3_2015.pdf გვ.75.

On the Question of Theological-Economic Understanding of Crisis Phenomena

Nikoloz Chikhladze
Doctor of Economic Science, Doctor of Theology, Professor of Kutaisi University,
Professor of Ak. Tsereteli State University
Paata Koguashvili
Doctor of Economic Science, Professor of Georgian Technical University,
Full Member of Georgian Academy of Agricultural Sciences

SUMMARY

According to interpreters of Holy Scripture, regarding the crisis events in the economy, some held the view that the crisis situation is significantly determined by the spiritual state of members of this society

The law of prayer is harmoniously combined with work. Therefore, work and prayer are a prerequisite for surviving any crisis. Crises have repeatedly shown that material production, connection to the earth and reasonable actions are inevitable for surviving these crises.

Keywords: The Bible; food; stock; work; crisis.

მინიმალური ხელფასი საქართველოში

მურმან ცარციძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება შრომის მწარმოებლურობის, მისი ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდას. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფასა და მის ოპტიმალურ სახელმწიფო რეგულირებას. აღნიშნულ სფეროში სახელმწიფოს როლი უფრო სოციალურია და მის ძირითად ფუნქციას მოსახლეობის შემოსავლების მინიმალური დონის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი უნდა განხორციელდეს რეალური საარსებო მინიმუმის, მინიმალური ხელფასის დადგენისა და მათ შორის ოპტიმალური თანაფარდობის დამყარების გზით. განვითარებულ ქვეყნებში მინიმალური ხელფასის რეგულირება ხორციელდება ეკონომიკური განვითარების, შრომის მწარმოებლურობის, საშუალო ხელფასის დონისა და მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის რეალური ღირებულების გათვალისწინებით. მინიმალური ხელფასის კონკრეტული სიდიდე ეროვნულ დონეზე დგინდება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ხოლო მისი სიდიდე ცალკეულ დარგში ან რეგიონში განისაზღვრება მეწარმეთა კავშირებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის რადგანაც აქ დღემდე არ არსებობს მინიმალური ხელფასის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილი მექანიზმი და მისი განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზა. ნაშრომში წარმოდგენილია მინიმალური ხელფასის ფორმირებისა და მისი რეგულირებას თავისებურებების, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ანალიზი საქართველოში. ჩამოყალიბებულია მინიმალური ხელფასის ფორმირების ძირითადი პრინციპები, მიზანი და ამოცანები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მინიმალური ხელფასის საკანონმდებლო წესით დადგენასთან დაკავშირებით მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას. დასკვნით ნაწილში მოცემულია მინიმალური ხელფასის გაანგარიშებისა და მისი სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზარი, სოციალური პოლიტიკა, მინიმალური ხელფასი, საარსებო მინიმუმი.*

განვითარებული ქვეყნების თანამედროვე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ შრომითი ურთიერთობების კოლექტიურ-სახელშეკრულებო რეგულირება ეფექტიანად ხორციელდება, როგორც სახელმწიფი, ისე დარგობრივ, ტერიტორიულ-რეგიონულ და ფირმის დონეზე, რის საფუძველზეც ფორმდება გენერალური, დარგობრივი, ტერიტორიული და საფირმო კოლექტიური ხელშეკრულებები. მათი ყველა ძირითადი პირობა განისაზღვრება სოციალური პარტნიორების (სახელმწიფო ორგანოები, პროფკავშირები, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებები) აქტიური მონაწილეობით და შემდეგ ეტაპზე საფუძვლად ედება კომპანიაში კონკრეტული შრომითი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრას, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი შრომის ანაზღაურებას უკავია. შესაბამისად, განვითარებულ ქვეყნებში, კერძო სექტორში ხელფასის რეგულირება ხორციელდება სოციალური პარტნიორობის გზით, რომელიც ითვალისწინებს რეგიონალური სატარიფო შეთანხმებებისა და კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას. ხოლო ზოგადად ხელფასის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება შემდეგი მიმართულებით: ხელფასის გარანტირებული მინიმუმის (მი-

ნიმალური ხელფასი) დადგენა; ხელფასზე და სხვა შემოსავლებზე მტკიცე საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება; ფასების ზრდის, ინფლაციის პირობებში შემოსავლების კომპენსაცია-ინდექსაციის ან სხვა ღონისძიებათა სისტემის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხელფასის რეალური შინაარსისა და როლის ამაღლებას; სახელმწიფო სექტორში ხელფასის პირდაპირი რეგულირება; პირდაპირი სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის შემოღება ხელფასის სრულ და დადგენილ ვადებში გადახდის თაობაზე, ხელფასის სრული სახელმწიფო გარანტიების რეალიზაციის თაობაზე.

როგორც ვხედავთ შრომის ანაზღაურების სფეროში სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მინიმალური ხელფასის განსაზღვრა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პრობლემა განვითარებული ქვეყნების სამთავრობო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (შსო) არაერთხელ განიხილა და მიიღო კონვენციები და რეკომენდაციები დაქირავებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაში მინიმალური გარანტიების შესახებ. ამ კუთხით ყველაზე სრულყოფილია შსოის N131-ე კონვენცია „მინიმალური ხელფასის დადგენის შესახებ განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მონაწილეობით“ **(ilo.org),** რომელიც ძალაში შევიდა 1972 წლის 29 აპრილიდან. კონვენცია ავალდებულებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შემოიღონ მინიმალური ხელფასის დადგენის სისტემა, რომელიც მოიცავს დაქირავებულ მომუშავეთა ყველა ჯგუფს, შრომის პირობებს და ეს საკითხები უნდა გადაწყდეს მეწარმეთა ორგანიზაციებისა და მშრომელთა დაინტერესებულ წარმომადგენლებთან შეთანხმებით. მინიმალური ხელფასის კონკრეტული სიდიდე ეროვნულ დონეზე დგინდება ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მინიმალური ხელფასი ცალკეულ დარგში ან რეგიონში დგინდება მეწარმეთა კავშირებსა და პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგანაც აქ დღემდე არ არსებობს მინიმალური ხელფასის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილი მექანიზმი და მისი განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზა.

მინიმალური ხელფასის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები საქართველიოში

მინიმალური ხელფასი არის შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ღირებულების ქვედა ზღვარი, რომელიც შეესაბამება ჯანმრთელობისათვის ნორმალურ პირობებში შესასრუ-ლებელი ნაკლებად რთული (მარტივი) სამუშაოს შრომის ანაზღაურებას **(ცარციძე, 2022:73).** თეორიული პოზიციებიდან მინიმალური ხელფასის სიდიდე უნდა იყოს საკმარისი ერთი მომუშავის მინიმალურად აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. მინიმალური ხელფასის ეკონომიკური არსი მდგომარეობს მომუშავის მიერ მწარმოებლური შრომის უნარის შენარჩუნებასა და სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოების უზრუნველყოფაში. მინიმალური ხელფასი დგინდება როგორც კანონმდებლობით, ისე არაფორმალურად. მაგალითად, სატარიფო შეთანხმებების საფუძველზე პროფკავშირებსა და კონსოლიდირებულ დამსაქმებლებს შორის დარგობრივი შეთანხმებების ხელმოწერის გზით.

საქართველოში 90-იან წლებში მოქმედი ჯერ კიდევ ძველი შრომის კანონთა კოდექსის, 76-ე მუხლის შესაბამისად: „მინიმალური ხელფასი არის სოციალურ-ეკონომიკური ნორმატივი, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების დასაშვებ მინიმალურ დონეს. მინიმალური ხელფასის ოდენობა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, არ უნდა იყოს საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმზე ნაკლები“ **(შრომის კოდექსი, 1973); (კანონი №1678, 1998); (კანო-**

ნი №2130, 2003). კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად ყველა საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება (მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), ვალდებულია დაიცვას მინიმალური ხელფასის ოდენობა, ანუ არცერთი კატეგორიის მომუშავეთა თვიური ანაზღაურება არ უნდა იყოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლები. თუმცა, უნდა აღინიშნოს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე 1999 წლის ივნისიდან მისი სიდიდე ძალზე მიზერული თანხით 20 ლარით განისაზღვრა, რაც სამწუხაროდ დღემდე ძალაში რჩება **(ბრძანებულება N351, 1999); (ბრძანებულებ N767, 2006).** აღნიშნულ პერიოდში განსხვავებული მიდგომა იქნა შემუშავებული აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ თანამდებობის პირებსა და მოსამსახურეებთან მიმართებაში. მათგან პირველ კატეგორიას ცალკეული თანამდებობების მიხედვით დაუდგინდათ კონკრეტული სახელფასო განაკვეთები. ხოლო 2005 წლის 24 იანვრიდან აღნიშნულ სფეროში დასაქმებულ მოსამსახურეთა მინიმალური თანამდებობრივი სარგო 115 ლარის დონეზე განისაზღვრა **(ბრძანებულება N43, 2005),** რომელიც 2007 წლის 24 ნოემბრიდან 135 ლარამდე გაიზარდა **(ბრძანებულება N661, 2007).** რაც შეეხება საქართველოში სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს შრომის კოდექსს, 2006 წელს და შემდეგ 2010 წელს მიღებულ ახალ ვარიანტში **(კანონი N3132, 2006)** და **(კანონი N4113, 2010)** მინიმალური ხელფასისა და მისი სამართლებრივი რეგულირების შესახებ არანაირი ინფორმაცია აღარ იქნა შეტანილი. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მხოლოდ 2021 წლის სექტემბრიდან „დასაქმების ხელშეყობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად განისაზღვრა გარკვეული კავშირი საარსებო მინიმუმსა და შრომის ანაზღაურების მინიმალურ დონეს შორის. კერძოდ, დადგინდა, რომ სრულგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებისთვის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმს ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს **(კანონი N6819, 2020).** თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საარსებო მინიმუმის დონის მაჩვენებელი საქართველოში 2022 წლის ოქტომბრის თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 247.3 ლარი იყო, აღნიშნული პერიოდიდან ქვეყანაში შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე 494.6 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუმცა მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სრულგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებაზე. მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ აღნიშნული ზღვრული მინიმალური თანხა დაწესებულიყო მინიმალური ხელფასის სახით 550 ლარის დონეზე, რაც შესაბამისობაში იქნებოდა რეალური საარსებო მინიმუმის მაჩვენებელთან **(Tsartsidze M.., 2022:60).** ცალკეული კვლევის შედეგების მიხედვით კი „მინიმალური ხელფასის იდეას საქართველოში მხარს ფართოდ უჭერენ. ხოლო რესპონდენტების მიერ დასახელებული მინიმალური ხელფასის გონივრული რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი 1208 ლარს შეადგენს" **(სიჭინავა, 2021:7).**

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლის ოქტომბერში საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ მოამზადა კანონპროექტი „მინიმალური ხელფასის შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოში მინიმალური ხელფასი სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირებისათვის 320 ლარით უნდა განსაზღვრულიყო. ხოლო არასრულ განაკვეთზე მომუშავეთა საათობრივი მინიმალური ხელფასი 2 ლარით განისაზღვრა. კანონპროექტი მიზნად ისახავდა დასაქმებულთა სოციალურ დაცვასა და ქვეყანაში არსებულ სიღარიბის დონის შემცირებას **(ჯალაღონია, 2019).** შემდეგი ინიციატივა იყო 2019 წლის ბოლოს დეპუტატ ბექა ნაცვლიშვილის მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომლის მიხედვით, საქართველოში მინიმალური ხელფასის სიდიდე 520.91 ლარი უნდა გამხდარიყო. კანონპროექტი ითვალისწინებდა სრულ განაკვეთზე დასაქმებული პირისთვის საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის არანაკლებ 45.0%-ის ოდენობას **(ტყეშელაშვილი, 2019).** კანონპროექტის მიზანი იყო დასაქმებულთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ითვალისწინებდა საჯა-

რიმო სანქციებს, მისი ძირითადი ნორმების, მოთხოვნების და მინიმალური ხელფასის ოდენობის დარღვევისათვის.

ბოლო ინფორმაციით, მიმდინარე პერიოდში დეპუტატ ლევან იოსელიანის ინიციატივით, ფინანსთა სამინისტროსთან და შესაბამის სტრუქტურებთან ერთად მზადდება ახალი კანონპროექტი მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით, რომლის ძირითადი მიზანია დასაქმებულთა ინტერესების დაცვა **(მურუსიძე, 2021).** აღნიშნული მცდელობების მიუხედავად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს მინიმალური ხელფასის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილი მექანიზმი და მისი განმსაზღვრელი ნორმატიული-საკანონმდებლო ბაზა.

მინიმალური ხელფასის დინამიკა საქართველოში

საბჭოთა პერიოდიდან დაწყებული საქართველოში მინიმალური ხელფასის რეგულირება ხდებოდა ცენტრალიზებულად მოხმარების საგნებზე ფასების ცვლილებასთან კავშირში. ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მინიმალური ხელფასის სიდიდე შეადგენდა 70 მანეთს 1985 წელს, ხოლო 80 მანეთს 1990 წელს **(ცარციძე, 1999:28).** მოხმარების საგნებზე ფასების მომატებასთან ერთად სახელმწიფო ახდენდა მინიმალური ხელფასის ზრდასა და შესაბამისად სახელმწიფო სატარიფო განაკვეთების კორექტირებას, რაც ხორციელდებოდა არა ხელფასის ინდექსაციის მექანიზმის, არამედ ფასების სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე. 1990 წლის შემდეგ მინიმალური ხელფასი გაიზარდა თავდაპირველად 200, ხოლო შემდეგ 300, 500, 650, 850 და 1700 მანეთამდე. მაგრამ მან ვერ უზრუნველყო ცხოვრების ღირებულების გაძვირების სრული კომპენსაცია. 1985 წელს მინიმალური ხელფასის დონე შეადგენდა საარსებო მინიმუმის 74.0%-ს, ხოლო საშუალო ხელფასი 2.36-ჯერ აღმატებოდა ამ უკანასკნელს. 1990 წელს საარსებო მინიმუმით მოსახლეობის უზრუნველყოფის დონე შეადგენდა 71.0%-ს, ხოლო საშუალო ხელფასი 2.6-ჯერ მეტი იყო მასზე. 1991 წლის მაისისათვის დადგენილი მინიმალური ხელფასი მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის (მსბ) მხოლოდ 40.0%-ია, ხოლო საარსებო მინიმუმის დონე საშუალო ხელფასის 60.7%-ს შეადგენს. როგორც ვხედავთ, შესაბამისობა ქვეყანაში საკანონმდებლო წესით დადგენილ მინიმალურ ხელასსა და რეალურ საარსებო მინიმუმს შორის მკვეთრად უარესდებოდა. აღნიშნულმა შესაბამისობამ კრიტიკულ დონეს მიაღწია 1994 წლის იანვრისათვის და შეადგინა 0.15%. იგივე პერიოდში საშუალო ხელფასის თანაფარდობის დონე საარსებო მინიმუმთან 0.48%-მდე დაეცა **(ცარციძე, 2004:199).** პრობლემა გრძელდება, ლარის შემოღების შემდგომ პერიოდშიც. თუ 2000 წელს აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის თანაფარდობა 7.65% და 27.7%-ი იყო, 2006 წელს იგი შესაბამისად 35.44% და 85.6%-ს შეადგენდა. 2021 წელს კი დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი 148.8%-ით აღემატება ჩვენს მიერ გაანგარიშებული მსბ-ის ღირებულებას. 2018 წლის სექტემბრიდან გაანგარიშებაში მინიმალური ხელფასის ოდენობა ჩვენს მიერ აღებულ იქნა 250.0 ლარის დონეზე, იმ მოსაზრებით რომ იგი აღნიშნული პერიოდიდან რეალურად იქნა უზრუნველყოფილი ქვეყანაში, რაც გაცილებით ადრე უნდა განხორციელებულიყო მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად **(ბრძანებულება N192, 2002).**

2021 წლის დეკემბრის თვეში ჩვენს მიერ გაანგარიშებული იქნა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი, რომლის მინიმალური ღირებულება განისაზღვრა 550.0 ლარის დონეზე (საშუალოდ 178.0 აშშ დოლარის ექვივალენტი, რადგან გაანგარიშების მო-

მენტში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად 1 აშშ დოლარი-3.09 ლარი)[1]. აღ-ნიშნულის გათვალისწინებით 2021 წლის ბოლოსათვის მინიმალური ხელფასი მინიმალური სამომ-ხმარებლო ბიუჯეტის 45.45%-იყო **(ცარციძე, 2022:75), (იხ.სქემა-1).**

სქემა 1.

მინიმალური და საშუალო ხელფასის თანაფარდობა მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტთან საქართველოში 1995-2021 წლებში (პროცენტებში)



	1995	2000	2005	2010	2015	2020	2021
მინიმალური ხელფასისა და მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის თანაფარდობა (%)	2,51	7,65	36,65	36,94	32,36	50,51	45,45
საშუალო ხელფასისა და მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის თანაფარდობა (%)	11,4	27,7	65,1	166,7	215,8	250,4	248,8

წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვა ოფიციალური ორგანიზაციების მონაცემების გამოყენებით.

[1] მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი (მსბ) გაანგარიშებულია კვების პროდუქტების მოხმარების დადგე-ნილი ნორმების საფუძველზე, მიმდინარე პერიოდის საბაზრო ფასების მიხედვით. გაანგარიშების პრო-ცესში ჩვენს მიერ გათვალისწინებული იქნა საშუალო ვარიანტი. კერძოდ, კვების პროდუქტების წილი გა-ნისაზღვრა ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში (რუსეთი, ბელორუსი, უკრაინა) მიღწეული მაჩვენებლის საშუალო დონეზე-50.0%-ი. ანუ, სამომხმარებლო კალათის სტუქტურაში თანაფარდობა სასურსათო და არასასურსათო კალათის ღირებულებას შორის 50%/50%-ზეა.

თუ შევადარებთ ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმდინარე პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს, მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის აღნიშნულ დონეს უახლოვდება რუსეთის ფედერაცია (158.0 აშშ დოლარი) და ტაჯიკეთი (147.0 აშშ დოლარი), ხოლო დანარჩენ ქვეყნებში იგი შედარებით დაბალია. განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით კი აღნიშნული მაჩვენებელი მინიმუმ 4-ჯერ (ესპანეთთან) და მაქსიმუმ 14-ჯერ დაბალია ლუქსემბურგთან შედარებით **(ცარციძე, 2022:103-104).** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმების მიხედვით, მინიმალური ხელფასი არ უნდა იყოს 3.0 აშშ დოლარზე ნაკლები საათში (აშშ-ში 5.5 დოლარი), რაც მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით უზრუნველყოფს 10.0 ათასი კვტ.საათი ელექტროენერგიის ანაზღაურებას, 600 კგ. პურის შეძენას თვის განმავლობაში **(wikipedia.org).** საქართველოს ფასებთან შესაბამისობაში, ყველაზე მინიმალური ფასებისა და ტარიფების შესაბამისად (0.18041 ლარი 1 კვტ.საათი ელექტროენერგიაზე და 2.15 ლარი კილოგრამ პურზე) მინიმალური ხელფასი უნდა იყოს არა 20, 250 ან 550 ლარი, არამედ 3094.10 ლარი. როგორც ვხედავთ საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის დონე ძალზე დაბალია გაეროს მიერ დადგენილ აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში. პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ევროპის ქვეყნებში, სადაც მინიმალური ხელფასი, როგორც წესი, განისაზღვრება მთავრობის კანონმდებლობით და ვრცელდება ქვეყნის ყველა, ან თითქმის ყველა მუშაკზე. ზოგიერთ ქვეყანაში მინიმალური ხელფასი დგინდება ერტი საათის, დღის, კვირის ან თვის სამუშაოსთვის. შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე შესაბამისი სამთავრობო კანონმდებლობით დადგენილია შემდეგ ქვეყნებში: ბელგია, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, ესპანეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესტონეთი. რაც შეეხება ევროკავშირის ექვს ქვეყანას: ავსტრია, დანია, იტალია, კვიპროსი, ფინეთი, შვედეთი, მათ არ აქვთ სამთავრობო დონეზე დადგენილი მინიმალური ხელფასი. თუმცა ამ ქვეყნებში მოქმედებს კანონმდებლობა მინიმალური ხელფასის შესახებ გარკვეული პროფესიებისთვის, ან მინიმალური ხელფასი განისაზღვრება დარგობრივი კოლექტიური ხელშეკრულებებით. აღნიშნულის მიუხედავად მიმალური ხელფასის სიდიდე მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით. მაგალითად, ბულგარეთს აქვს ყველაზე დაბალი მინიმალური ხელფასი 332.3 ევრო, ხოლო ლუქსემბურგს ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასი 2201.9 ევრო **(ცარციძე, 2022:103-104)**. რაც შეეხება საქართველოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1999 წლიდან პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად **(ბრძანებულება N351, 1999)** მისი სიდიდე 20 ლარია (5.43 ევრო). „დასაქმების ხელშეყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით **(კანონი N6819, 2020),** 2021 წლის სექტემბრიდან სრულგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებისთვის ქვეყანაში შრომის ანაზღაურების მინიმალური დონე 450.0 ლარზე (122.26 ევრო), ხოლო ჩვენი გაანგარიშებით 550.0 ლარზე (149.43 ევრო) ნაკლები არ უნდა იყოს[1] **(იხ. სქემა 2).**

[1] გაანგარიშების მომენტისათვის ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ეროვნული ბანკის მონაცემების შესაბამისად შეადგენდა: 1€=3.6806 ლარი.

სქემა 2.

მინიმალური ხელფასი საქართველოში 2021 წელს (ევრო)



წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა ოფიციალური წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, ჩვენც მიერ გაანგარიშებული მინიმალური ხელფასიც კი (149.43 ევრო) საკმაოდ დაბალია ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, ამ ქვეყნებიდან ყველაზე დაბალ დონეს (ბულგარეთი 332.3 ევრო) 2.22 ჯერ, ხოლო ყველაზე მაღალ დონეს (ლუქსემბურგი 2201.93 ევრო) 14.74-ჯერ ჩამორჩება. სწორედ ამიტომ, ცალკეული სპეციალისტები მივიდნენ საკმაოდ სამწუხარო დასკვნამდე, რომ საქართველოში „მინიმალური ხელფასი დიდწილად ჩამორჩება დადგენილ საარსებო მინიმუმს, თანხვედრაში არაა მის ძირითად მიზნებთან, ასევე ხელს უწყობს დასაქმებულთა ექსპლუატაციას, ვერ უზრუნველყოფს დაბალ ანაზღაურებადი პირთათვის მინიმალური საცხოვრებელი სტანდარტებით უზრუნველყოფას, სამართლიანი სახელფასო სტრუქტურის შეძლებისდაგვარად ჩამოყალიბებას, სიღარიბის აღმოფხვრა-სა და საშუალო ფენის შექმნას“ **(Commersant.ge).**

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. ქვეყანაში არსებული რეალური ვითარებიდან გამომდინარე, პირველ რიგში აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი და შესაბამისი ნორმატიული-საკანონმდებლო აქტები მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით, სადაც უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი საკითხები: მინიმალური ხელფასის შინაარსი, როლო და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლები; მინიმალური ხელფასის სახელმწიფო რეგულირების სფერო და საზღვრები; მინიმალური ხელფასის ინდექსაცია სამომხმა-

რებლო საქონელზე ფასების ზრდის შესაბამისად; მომუშავეთა კატეგორიები რომელთაც ეხებათ გარანტირებული მინიმალური ხელფასი; მინიმალური ხელფასის განმსაზღვრელი ორგანოები; კოლექტიური ხელშეკრულების საფუძვლად მისაღები მინიმალური ხელფასის დონე და სხვა.

2. მინიმალური ხელფასის განსაზღვრის ძირითადი პრინციპები უნდა იყოს: მომუშა-ვეთა სოციალური დაცვა; „ხელფასის სამართლიანი დონის" მიღწევა; მისი სათანადო დონეზე შენარჩუნება; „თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების" პრინციპის დამკვიდრება; ინფლაციის ტემპების შესაბამისად მინიმალური ხელფასის სისტემატუ-რი რეგულირება; ხელფასის საერთო დონეზე გავლენის მოხდება. ამ თვალსაზრისით ხელფასის მინიმალური დონე შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური სტაბი-ლიზაციისა და შემოსავლების განაწილების ცვლილებების უზრუნველყოფისაკენ მიმა-რთული ქმედითი მექანიზმი.

3. მინიმალური ხელფასის გაანგარიშება უნდა მოხდეს რეალური მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის საფუძველზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ადამიანის მინიმალური მოთხოვნილებების, მისი ნორმალური ქმედუნარიანობის უზრუნველყოფისათვის საჭირო, აუცილებელი საქონლის (მომსახურების) ნაკრების ღირებულებას. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის კვების პროდუქტების, სამრეწველო საქონლისა და მომსახურების ნაკრებს (კვების პროდუქტები; ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი; სანიტარიისა და ჰიგიენის ნივთები; მედიკამენტები; სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნები; საცხოვრებელი ბინა, კომუნალური მომსახურება, სათბობი; საყოფაცხოვრებო მომსახურება; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; სოციალურ-კულტურული მომსახურება, დასვენება) აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სავალდებულო გადასახადები და ანარიცხები, რომლის გარეშეც დღეს ადამიანიც ცხოვრება წარმოუდგენელია.

4. მიმდინარე გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ეტაპზე, მინიმალურ ხელფასს შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოების უზრუნველყოფაში. კერძოდ: იგი განსაზღვრავს მარტივი შრომის საფასურად მომუშავის სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის მინიმალურად აუცილებელი მატერიალური სიკეთისა და მომსახურების მოცულობას და იძლევა მისი მიღების გარანტიას; მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის დონეზე დადგენილი მოხმარების ასეთი მოცულობა განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის განვითარებასთან შესაბამისობაში; მინიმალური ხელფასი, ხელფასის რეალური დიფერენციაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან გავლენას ახდენს როგორც საშუალო და მინიმალური ხელფასის, ისე ცალკეული კვალიფიკაციური ჯგუფების ანაზღაურების ურთიერთშესაბამისობაზე, აგრეთვე შრომის ანაზღაურების მინიმალურ და მაქსიმალურ ზომაზე; მინიმალური ხელფასი გავლენას ახდენს ხელფასის სტრუქტურაზე, მასში მუდმივი და ცვალებადი ნაწილების ურთიერთშესაბამისობაზე და მთლიანად ხელფასის ორგანიზაციაზე საწარმოში. მინიმალური ხელფასის დადგენისას აუცილებელია მისი უარყოფითი მომენტების გათვალისწინებაც.

5. სახელმწიფო რეგულირების ფუნქციას უნდა მიეკუთვნებოდეს არა მარტო მინიმა-ლური სამომხმარებლო ბიჯეტისა და ხელფასის განსაზღვრა, არამედ მისი სისტემატუ-რი გადასინჯვა. ის კრიტერიუმები, რომლითაც მთავრობამ უნდა იხელმძღვანელოს გადასინჯვისას, შემდეგია: სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდა, ინფლაციის ტემპები; საშუალო ხელფასის ზრდა, სამუშაო ძალის ბაზრის კონიუნქტურა; საერთო ეკონომიკური პირობები და სხვა. აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავენ გადასინჯვის პერიოდსაც. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას და ინფლაციის ტემპებს, ასეთი გადასინჯვა უნდა მოხდეს კვარტალში ერთხელ მაინც.

ლიტერატურა:

1. **მექვაბიშვილი ე. (2020).** გლობალური კორონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე". *„ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი XII, N2;*
2. **პაპავა ვ. (2020).** კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;
3. **პაპავა ვ. (2015).** *საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები.* გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი;
4. **მურუსიძე ი. (2021).** „ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც კი მინიმალური ხელფასი განსაზღვრულია" – ლევან იოსელიანის ინიციატივა. BM.GE;
5. მინიმალური ხელფასი საქართველოში – პრობლემები და გამოწვევები" – „პროგრესის ცენტრი". Commersant.ge;
6. **სიჭინავა დ. (2021).** მინიმალური ხელფასი საქართველოში. ორწლიანი ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის შეფასება. *შრომა და სოციალური სამართლიანობა.* new_minimum_wage_2021_GEO.pdf;
7. **ტუხაშვილი მ. (2008).** „აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა", „მიგრაცია" N2, თსუ გამომცემლობა „უნივერსალი";
8. **ტყეშელაშვილი შ**. 520 ლარი და 91 თეთრი – მინიმალური ხელფასის მოცულობა ბექა ნაცვლიშვილის კანონპროექტით. BM.GE;
9. **ღაღანიძე გ. (2020)** მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. *„ეკონომიკა და ბიზნესი",* ტომი XII, N2.
10. **ცარციძე მ. (2022).** მინიმალური ხელფასის ფორმირებისა და რეგულირების თავისებურებანი საქართველოში. *სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი", N13,* ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი. გვ.73-82. https://doi.org/10.35945/gb.2022.13.011.Murman Tsartsidze.pdf (eugb.ge);
11. **ცარციძე მ. (2022).** *უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში.* მონოგრაფია. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი;
12. **ცარციძე მ. (2012).** შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები საქართველოში. *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტომი 10, გამომცემლობა „სიახლე",* თბილისი;
13. **ცარციძე მ. (1999).** *სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შრომის ანაზღაურება ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში.* მონოგრაფია, თსუ გამომცემლობა;
14. **ცარციძე მ. (2004).** *შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვლავწარმოება საქართველოში.* სადოქტორო დისერტაცია. თსუ, თბილისი;
15. **Tsartsidze M. (2022).** Determining and regulating the subsistence level Peculiarities in Georgia. *თსუ-ის რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", "Ekonomics and Business"* ტომი XIV, N1, გვ. 37-66. ekonomikadabiznesi1_22.pdf (tsu.ge);
16. **ჯალაღონია დ.** მინიმალური ხელფასი საქართველოში 320 ლარი გახდეს – პროფკავშირების კანონპროექტი. BM.GE;

კანონონები და სხვა ნორმატიული აქტები:

1. International Labour Organization (ILO). Convention C131-Minimum Wage Fixing Convention, 1970 (No. 131) (ilo.org);
2. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 7, 30/07/1971. (matsne.gov.ge);
3. საქართველოს 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონი №1678 – სსმ I, №4, 20.11.1998წ., მუხ.38; (matsne.gov.ge);
4. საქართველოს 2003 წლის 7 მაისის კანონი №2130 – სსმ I, №15, 04.06.2003წ., მუხ.99. (matsne.gov.ge);
5. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივნისის N351 ბრძანებულება "მინიმალური ხელფასის ოდენობის შესახებ". https://matsne.gov.ge/ka/document/view/ 112786?publication=0;
6. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №43 „აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" 2005 წლის 24 იანვარი. https://matsne.gov.ge/ka/document /view/94168?publication=0;
7. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N3132. 25 მაისი 2006 წელი. (matsne.gov.ge);
8. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);
9. საქართველოს კანონი N6819-სრ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ", ქ. თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი (matsne.gov.ge);
10. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე", ქ.თბილისი 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);
11. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N192, 2002 წლის 22 აპრილი „მინიმალური ხელფასისა და საარსებო მინიმუმის თანაფარდობის გაუმჯობესების 2002-2005 წლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ". https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/115780?publication=0.

Minimal Wage in Georgia

Murman Tsartsidze
Doctor of Economic Sciences,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

In the conditions of the current global crisis, priority is given to the growth of labor productivity, its quality and efficiency. The successful solution of this task requires perfecting the organization of labor remuneration and its optimal state regulation. The role of the state in mentioned field is more social and its main function is to ensure the minimum level of income of the population. This last one, should be carried out by establishing a real subsistence minimum, a minimum wage and establishing an optimal ratio between them. In developed countries, the minimum wage is regulated on the basis of economic development, labour productivity, the level of average wages and the real value of the minimum consumer budget. The specific amount of the minimum

wage is set at the national level by the legislature of the country, and its size in a particular area or region is determined by agreements concluded between trade unions and representatives of trade unions. This problem is particularly relevant for our country, because there is still no complete mechanism for the state regulation of the minimum wage and its defining legal framework. In the article is presented the analysis of formation the minimum wage and the peculiarities of its regulation, as well as the related legal framework in Georgia. Is formed basic principles of minimum wage formation, purpose and tasks. Special attention is paid to the evaluation of its advantages and disadvantages in connection with the establishment of the minimum wage by law. In the final part is given the main directions for the calculation of the minimum wage and the improvement of its state regulation in Georgia.

Key words: Labour market; Social policy; Minimal salary; Subsistence level.

Dependence on Russia – Statistically Critical Goods

Lia Dzebisauri
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia's highest economic dependence on Russia and a high concentration of the market is threatening, as Russia has repeatedly used economic leverage against Georgia and other countries since the collapse of the Soviet Union. As historical tendency of Georgia's trade shows that Russian market is extremely attractive for Georgian exporters and importers with the view of prices of products and logistical issues. But at the same time it's highly risky from the perspective of sustainability of partnerships. For example, in 2006 Russia first cut off natural gas and electricity supplies to Georgia, then virtually banned the export of products from Georgia to Russia. In this abstract two critical goods are analyzed for Georgia's exports and imports such as wine and wheat by reviewing the top producers and consumers of the given products in the world. According to the official statistics, at the end of 2021 Russia ranked 1st place in export of Georgian wine with the share of 54.7% in total export of wine, while The share of the top 10 countries amounted to 92.6% of the total wine export. Observing the dynamics of imports of wheat from Russia to Georgia throughout the last year (2021) reveals that imports of wheat from Russia (93.7%) has been the main source of imported wheat by a considerable margin. Therefore, it is extremely important to know the level of dependence of the Georgian economy on Russia and the tendency to strengthen resilience in the face of possible threats.

Keywords: *Statistics, export, import, dependence, Russia*

Introduction

Considering Georgia's historically high dependence on exports and imports of essential goods it is noteworthy to analyze Georgia's reliance on external market with regards to major food products. Also to take into account that Russia is the prominent player in the global trade of food and agricultural products and top trading partner of Georgia, it is worthwhile to see the dependence of Georgia on Russia.

In January-June 2022, the export of Georgian products to Russia decreased by 2.8% and amounted to USD 256 million, while the import increased by 51% and reached USD 706 million. Despite such an increase, the share of trade with Russia in the total trade balance of Georgia decreased from 11.8% to 11.4%. The reason for this was the greater growth of Georgia's foreign trade with other countries. However, the share of imports from Russia taken separately was 11.9% of total imports, which is the highest in the last 15 years.

In this abstract we would analyze two critical goods for Georgia's exports and imports such as wine and wheat by reviewing the top producers and consumers of the given products in the world.

As households' expenditure on food consumption is growing y-o-y (for instance, share of food consumption expenditure in total household consumption expenditure increased from 41.4% in 2017 up to 47.4 % in 2020[1]) in Georgia, to have a comprehensive picture of the pattern of a country's food supply during a specified reference period, extremely important to analyze food security issue and namely food balance sheets in order to find out weaknesses in self-sufficiency ratio and accordingly to search of alternative markets for ensuring secured food provision of population and reducing dependence of Georgia on Russia and to define where and how selected products can be diversified.

Diversification of export and import is vitally important for the further development of Georgian economy.

Georgia has the highest dependence on exports and imports from Russia and a high concentration of the market. As historical tendency of Georgia's trade shows that Russian market is extremely attractive for Georgian exporters and importers with the view of prices of products and logistical issues. But at the same time it's highly risky from the perspective of sustainability of partnerships. The war that started in Ukraine at the end of February 2022 made the monitoring of Georgia's economic dependence on Russia even more relevant. The harsh sanctions imposed on Russia are leading to a decrease in its economy, which also affects the countries that have close economic relations with it.

Results

Export of wine. We well remember the embargo imposed by Russia on export of Georgian wine, mineral waters and agricultural products in 2006 and its dire consequences for our country. At that time, Russia was Georgia's largest trading partner and the most attractive foreign market for the effective realization of the country's export potential. That is why there was a heavy blow from Russia to a sudden embargo on Georgian exports. Both the government and the exporters met this circumstance unprepared. As a result, most wine exporters suffered. The embargo was a push for the government of our country to take active actions to explore new export markets. In this regard, Georgian government started negotiations with the EU and signed Deep and Comprehensive Free Trade Agreement in order to minimize economic damage caused by the embargo. The embargo was canceled in 2013 and since that time Georgian wine has returned to Russian market.

In 2021, 55% of wine exported from Georgia (worth USD 131 million) went to Russia. Russia occupied 2nd place in top export partners after China with 14.4% of share in total export of Georgia2, while the EU's (with 27 member countries) share is 16.9% in total.

At the end of 2021 Russia ranked 1st place in export of Georgian wine (see chart 1) with the share of 54.7% in total export of wine (it should be mentioned that the share is decreased by 9.4% compared to the previous year), followed by Ukraine, while the share of the EU reached its historical maximum 11.7%. The share of the top 10 countries amounted to 92.6% of the total wine export. To look at the food balance sheet, throughout 2012-2020 average share of self-sufficient ratio of grape is 147%[3], accordingly Georgia has a high potential for exporting wine.

Chart 1.



Finally, considering Georgia's lack of export diversification in the reviewed product, some of the other major global exporters of the covered products are worth mentioning. The chart below (chart 2) shows opportunities for export diversification for Georgian wine indicating demand and easiness of trade[4].

Countries with the highest demand are the USA, China, UK, Hong Kong and Canada. Export Potential Map should be used as a starting point in a decision-making process and be complemented with further research and stakeholder consultations.

Import of wheat. Georgia's dependence on Russian wheat and wheat flour has been also traditionally high. In 2021, 319,000 tonnes of wheat worth USD 87 million were imported from Russia, which was 94% of Georgia's wheat imports.

As for the import – major and most important food product for Georgia is a wheat. According to the food balance sheet the self-sufficient ratio for wheat is extremely low not exceeding 15% during last several years and historically average ratio equaled 12%, while the same ratio for maize is 80% and potato 95%.

Chart 2.



In the wheat and meslin sector, where the top seven exporters combined accounted for 79 percent of international trade in 2021, the Russian Federation stands out as the top global wheat exporter, shipping a total of 32.9 million tonnes of wheat and meslin (in product weight), or the equivalent of 18 percent of global shipments (see figure 6). Ukraine stood as the sixth largest wheat exporter in 2021, exporting 20 million tonnes of wheat and meslin and with a 10 percent global market share.

According to the UN Comtrade Database and ICT calculations[5] as for 2021 Russia is the biggest exporter of wheat in the world (chart 3) with the share of 13.09% followed by the USA with 13.06%. Russian wheat has a relatively low average annual price (USD 0.27/KG), compared to the USA (USD 0.30/ KG).

Observing the dynamics of imports of wheat from Russia to Georgia throughout the last year (2021) reveals that imports of wheat from Russia (93.7%) has been the main source of imported wheat by a considerable margin followed by the USA with 5% of share in total import of wheat. This can be explained by

the combination of the relatively low price of wheat from Russia and the relatively low transportation costs of importing. It must be mentioned that the share of Russia is still remains at a high level, reaching the maximum of 99.9 in 2016 and 99.6% in 2020, but in 2021, compared to 2020, the value of wheat imports from Russia declined significantly by 18.6% and the absolute volume by 30.3%. Since 2022, wheat imports have been replaced by wheat flour imports. Due to Russia's increased tax on wheat exports, importers have chosen to import wheat flour instead, which was ultimately cheaper.

Chart 3.



It will be necessary to slightly increase domestic production of wheat. Russia currently has restrictions on wheat exports to other countries, including Georgia, and has already forced several countries to import flour instead of higher-priced wheat.

Focusing on Ukraine would be the best option for import diversification, but Russia's invasion of Ukraine has led to imposing restrictions on wheat exports by Ukraine.

Conclusions and Recommendations

The critical role that the Russian Federation and Ukraine play in global agriculture is all the more evident from an international trade perspective. At present, the high dependence of wine exports on the Russian market and wheat imports from Russia remain the main challenge for Georgia's economic security.

Georgia's economic dependence on Russia is not just an economic issue, it is a challenge to the country's security. The goal of the Georgian government should be to minimize economic dependence on Russia.

To reduce the trade with Russia the Government of Georgia should start working more actively and expeditiously on concluding free trade agreements with all strategic partners with whom we do not yet have such an agreement. Although such agreements will have positive effects in the long term, given the current situation, Georgia can more actively demand to accelerate the process of signing them.

It will be necessary to slightly increase domestic production of wheat. Russia currently has restrictions on wheat exports to other countries, including Georgia, and has already forced several countries to import flour instead of higher-priced wheat.

It is extremely important to know the level of dependence of the Georgian economy on Russia and the tendency to strengthen resilience in the face of possible threats.

References

Journal articles:

1. Marshava, K. & Dzebisauri, L. (2013). *The Perspective of the Market of Russia – Illusion or Reality?* Journal Economics (11-12), 2013. 23-39. https://scholar.bpengi.com/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90/2013/11-12/%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90_2013_11-12_p023-p039.html
2. Marshava, K. & Dzebisauri, L. (2016) *Perspective and tendencies of Russian market for Georgia after embargo*. The International Scientific Conference. 337-344. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/globaliz.pdf

E-references:

1. Transparency international Georgia. *Georgia's economic dependence on Russia: Trade, tourism, remittances, and Russian companies in Georgia*. 10 March 2022, https://cutt.ly/4ZEuNwg
2. Geostat, household expenditure statistical data, https://www.geostat.ge/en/modules/categories/51/households-expenditures
3. Geostat, external trade portal, http://ex-trade.geostat.ge/en
4. Geostat, food security statistical data, https://www.geostat.ge/en/modules/categories/297/food-security
5. https://exportpotential.intracen.org/en/exporters/analyze?whatMarker=k&what=1001Xa&fromMarker=i&toMarker=j&market=268
6. UN Comtrade Database. https://comtradeplus.un.org/TradeFlow

საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების ურთიერთკავშირის ასპექტები

იზოლდა ჭილაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კვლევის მიზანია საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლის არსისა და როლის ანალიზის საფუძველზე დამტკიცება იმისა, რომ ამ მაჩვენებელს არ შეუძლია და გაუმართლებელია შეცვალოს საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებელი.

კვლევის საგანია საწარმოთა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) და საწარმოთა საქმიანობის მომგებიანობის მაჩვენებლები.

შრომაში გამოყენებულია ლოგიკური აზროვნების, საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის, ეკონომიკური ზრდის და სააქციო კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლების შედარებითი და ლოგიკური ანალიზის მეთოდები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: *საკუთარი კაპიტალი, სააქციო კაპიტალი, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, საწარმოთა მომგებიანობა.*

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC) არის საშუალო განაკვეთი, რომელსაც ბიზნესი იხდის თავისი აქტივების დასაფინანსებლად. ის გამოითვლება კომპანიის კაპიტალის ყველა წყაროს (როგორც ვალის, ასევე კაპიტალის) საშუალო განაკვეთის საფუძველზე, შეწონილი თითოეული კომპონენტის პროპორციით.

ასევე აუცილებელია აქტივების მომგებიანობის მაჩვენებლის მართვა და კონტროლი, რადგან, დაფინანსების წყაროების ანუ საკუთარი და მოზიდული კაპიტალისაგან მიღებული სარგებელი დამოკიდებულია მათი საშუალებით შეძენილი რესურსების (ანუ აქტივების) გამოყენების ეფექტიანობაზე.

სტატიაში გადმოცემულია კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) და მომგებიანობის შედარებითი დახასიათება და გაკეთებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

1. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების არსი და გამოთვლის მეთოდიკა

სააქციო საზოგადოების ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშნელოვანი ამოცანაა გაზარდოს აქციონერების ქონება. **კომპანიის საბაზრო ღირებულება, როგორც წესი** მისი დაფინანსების წყაროების: სკუთარი კაპიტალისა და აღებული სესხების საბაზრო ღირებულებების ჯამის ტოლია.

დაფინანსების თითოეული ტიპის საბაზრო ღირებულება უნდა უდრიდეს ინვესტორების უკუგების მიმდინარე ღირებულებას, სადაც დისკონტირების კოეფიციენტი მათი საერთო მოთხოვნილი უკუგებაა.

კომპანიის მიერ მისი მოგების სრულად განაწილების შემთხვევაში, კომპანიის მთლიანი საბაზრო ღირებულება უდრის ინვესტორებისათვის ხელმისაწვდომი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას, სადაც დისკონტირების კოეფიციენტს წარმოადგენს მათი საერთო მოთხოვნილი უკუგება ან კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება.

კომპანიის მთლიანი საბაზრო ღირებულება უდრის ფულადი რესურსების მომავალი ნაკადის ფარდობას კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებასთან. ცნობილია, რომ თუ შევძლებთ კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების შემცირებას, მივიღებთ უფრო მაღალ საბაზრო ღირებულებას (წმინდა მიმდინარე ღირებულებას) და შესაბამისად, აქციონერთა ქონების გაზრდას (ფინანსურ მართვა. 2017).

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC – Weighted average cost capital) წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოყენებული დაფინანსების წყაროების საშუალო შეწონილს. რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება (ფინანსური მართვა. 2017. გვ. 496):

$$WACC = r_e * (E/V) + r_d * (D/V) * (1-t),$$ **სადაც,**

r_e – არის სააქციო კაპიტალის მოთხოვნილი განაკვეთი

E – ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის მოცულობა

V – საკუთარი კაპიტალის მოცულობა

D – ნასესხები კაპიტალის მოცულობა

r_d – ნასესხები კაპიტალის მოზიდვის საპროცენტო განაკვეთი

t – საანალიზო საწარმოს მოგების გადასახადის განაკვეთი

სააქციო კაპიტალზე დივიდენდის გაცემა და აღებულ სესხებზე საპროცენტო გადასახადების გადახდა უპირობოდ მოითხოვს, რომ კომპანია უნდა იყოს მომგებიანი. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრო მაღალი იქნება ნულზე და სტაბილური, პოტენციური ინვესტორი, კომპანიის აქციების შესყიდვით მით მეტად დაინტერესდება.

საანალიზო საწარმოს მაგალითზე, თუკი r_e = 20%, r_d = 12% და t =15%, მაშინ, მიიღება შემდეგი შედეგი:

$$WACC = 0,2 * 10360 /(10360+9600) + 0,12 * 9600 / (10360+9600) * (1- 0,15) = 0,1529$$

მაშასადამე, განხილულ საანალიზო საწარმოში კაპიტალის საშუალო შეწონილი ფასი არის 15,29%. ეს ნიშნავს, რომ თუკი სააქციო კაპიტალზე მოთხოვნილი განაკვეთი (r_e) არის 20%, მაშინ, მომგებიანობა არ უნდა იყოს 15.29%-ზე ნაკლები. ჩვენი აზრით, ვინაიდან WACC-ის გამოთვლებში არ მონაწილეობს პრივილეგირებული აქციები და მოკლევადიანი სესხები. ჩვენი აზრით, ვინაიდან, საწარმოები სარგებელს პრივილეგირებულ აქციებზე და მოკლევადიან სესხებზეც იხდიან, ეს მაჩვენებლებიც ფორმულაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს. ასეთ შემთხვევაში კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება უფრო მაღალი იქნება და მომგებიანობის საჭირო დონეც გაიზრდება.

ვინაიდან, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გამოთვლა დამყარებულია ფირმის სესხისა და საკუთარი კაპიტალის მიმდინარე ღირებულებებზე, ამიტომ, მისი გამოყენება მართებულია ისეთი პროექტების შეფასებისას, როცა (ფინანსური მართვა.2017. გვ. 497):

- სესხისა და საკუთარი კაპიტალის არსებული პროპორცია არ შეიცვლება,
- ფირმის საოპერაციო რისკი არ შეიცვლება,

- დაფინანსება არ არის პროექტისთვის სპეციფიური, ე.ი. პროექტის დაფინანსება ხდება კომპანიის ერთობლივი რესურსებიდან,
- ან პროექტი იმდენად მცირეა კომპანიასთან მიმართებაში, რომ ნებისმიერი ცვლილება უმნიშვნელოა.

თუ ამ პირობებიდან რომელიმე ერთი არ სრულდება, მაშინ, პროექტის შესაფასებლად კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების გამოყენება არამართებულია.

2. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების შედარებითი დახასიათება

ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ საკუთარი კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებელი ძალიან მალე შეცვლის საწარმოთა მომგებიანობის მაჩვენებელს (ჯიქია მ., 2022), რასაც ვერ ვეთანხმებით.

პირველ რიგში შევნიშნავთ, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) საბჭოს ოდნავი მინიშნებაც კი არა აქვს გამოქვეყნებული, რომ საწარმოებისათვის საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგებ/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია ან ეს უკანასკნელი მეორეხარისხოვანი გახდა და რომ, მენეჯმენისათვის მისი მართვა და კონტროლი აქტუალური აღარაა.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრო მაღალი იქნება ნულზე და სტაბილური, პოტენციური ინვესტორი, კომპანიის აქციების შესყიდვით მით მეტად დაინტერესდება. ამიტომ იგი პოტენციური ინვესტორებისათვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია.

როგორც საკუთარი კაპიტალი, ასევე ვალები გავლენას ახდენს კომპანიის საკუთარი კაპიტალის საშუალო შეწონილ ხარჯებზე. თუმცა, WACC-ის დაკვირვებისას, ვალების და საკუთარი კაპიტალის საბაზრო ღირებულება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე რეალური (ისტორიული) ან საბალანსო ღირებულება. აქედან გამომდინარე, WACC იღებს თითოეული სახის კაპიტალის წყაროს როგორც საბაზრო ღირებულებისა და რეალური ღირებულების პროდუქტს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საშუალო შეწონილი ღირებულების მერყეობა საბაზრო ღირებულებების ცვლილებისას.

წინა საკითხში მოცემული მაგალითის საფუძველზე, სააქციო კაპიტალის საშუალო ფასი არის 15,29%. რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმომ რომ შეძლოს სააქციო კაპიტალზე მოთხოვნილი განაკვეთის – 20%-ის გაცემა, მომგებიანობა არ უნდა იყოს 15.29%-ზე ნაკლები. გარდა ამისა, საწარმოს კიდევ უნდა დარჩეს მოგება შიდა რეზერვების ფორმირებისათვის.

ამდენად, მენეჯმენტი, როგორც წესი, იყენებს ამ თანაფარდობას, რათა გადაწყვიტოს, გამოიყენოს კომპანიამ ვალი თუ საკუთარი კაპიტალი ახალი შესყიდვების დასაფინანსებლად.

თუმცა, WACC-ს გააჩნია რიგი შეზღუდვები. როგორიცაა:

ა). ეს თანაფარდობა ძალზე ყოვლისმომცველია, რადგან ის საშუალოდ ასახავს კაპიტალის ყველა წყაროს. როგორიცაა: გრძელვადიანი ვალები, ჩვეულებრივი აქციები და ობლიგაციები.

ბ). ბევრი ინვესტორი და კრედიტორი არ ამახვილებს ყურადღებას ამ მაჩვენებელზე, როგორც კაპიტალის ფასის ერთადერთ ინდიკატორზე.

გ). კაპიტალის ღირებულების შეფასება ეფუძნება რამდენიმე განსხვავებულ დაშვებას, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს ინვესტორებს შორის.

დ). WACC-ის გაანგარიშება საკმაოდ რთულია, რადგან რამდენიმე სხვადასხვა ნაწილია ჩართული, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ორი ელემენტია დამაბნეველი: კაპიტალის ღირებულების

დადგენა და ვალის ღირებულება. მას შემდეგ რაც გაირკვევა ეს ორი რიცხვი, WACC-ის გამოთვლა ადვილია (ფინანსური მართვა. 2017).

ე). კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება შეეხება ჩვეულებრივ სააქციო კაპიტალს და გრძელვადიან სესხებს. მაშასადამე, იქ გათვალისწინებული არაა, პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი, რომელზეც ასევე დივიდენდის გაცემაა საჭირო.

ვ). არ ითვალისწინებს კომპანიის ეკონომიკურ ზრდას, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლა:

$$\text{ეკონომიკური ზრდა} = \frac{\text{მოგებიდან შექმნილი რეზერვები + გაუნაწილებელი მოგება}}{\text{სააქციო და საემისო კაპიტალის ჯამი წლის ბოლოს}}$$

ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი ლარის მოგების რეინვესტირება მოხდა საწარმოში სააქციო კაპიტალის ყოველ ერთ ლარზე და ახასიათებს აქციონერების პოლიტიკას, რამდენად აფართოებენ ბიზნესს, რასაც დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოაქვს, როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

აქციონერებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე სააქციო კაპიტალის ფასის მაჩვენებელი, რომელზეც დივიდენდების სიდიდე ახდენს გავლენას.

$$\text{სააქციო კაპიტალის ფასი (CC)} = \frac{\text{ჩვეულებრივი აქციების მთლიანი დივიდენდი}}{\text{ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი (CC) აჩვენებს, აქციონერისათვის რამდენი ლარი შემოსავალი მოაქვს სააქციო კაპიტალში ავანსირებული ღირებულების ყოველი ერთ ლარს.

გ). მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის დანახარჯების საშუალო შეწონილი სიდიდე შეიძლება იყოს ღირებული ინსტრუმენტი წმინდა მომგებიანობის შეფასებისას, კაპიტალის უფრო რთულმა სტრუქტურებმა შეიძლება მოითხოვონ ვრცელი გამოთვლები. ამან შეიძლება WACC-ის გამოსათვლელად მეტი დრო მოითხოვოს.

დ). WACC კიდევ ერთი შეზღუდვა არის ის, რომ იგი ვარაუდობს, რომ კომპანიებმა დაადგინეს კაპიტალის წყაროები. ეს ყოველთვის ასე არ არის, რადგან საბაზრო ღირებულებების, ხარჯებისა და გადასახადების განაკვეთების რყევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს კაპიტალის სტრუქტურაზე. ამ გამოწვევების გამო, კომპანიებმა შეიძლება ზოგჯერ გამოიყენონ შესწორებული პროცენტული ღირებულება, რომელიც ითვალისწინებს ცვალებადობას აქციებსა და ვალებში. WACC-ის ოპტიმიზაციისთვის, რათა ის უფრო ზუსტი იყოს, კომპანიების მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

კაპიტალის ღირებულების R_e - ზუსტად გაზომვა ძნელია. ბაზარზე აქციების ფასი ხან ძალიან დაბალია, ხან ძალიან მაღალი. როგორც წესი, ინვესტორები ყიდულობენ აქციებს, თავიანთი ინვესტიციის დაფარვის მოლოდინით. ამიტომ, ინვესტორები მათ სასურველ დივიდენდს ითხოვენ. თუ კომპანია ამას არ გადაიხდის, ინვესტორები გაყიდიან აქციებს და სხვაგან განახორციელებენ ინვესტიციებს. ამით, შეიძლება აქციის ფასი დაეცეს და შეამციროს კომპანის ღირებულება.

კაპიტალის ღირებულება არის თანხის ოდენობა, რომელიც კომპანიამ უნდა დახარჯოს ინვესტორების ანაზღაურების საჭირო განაკვეთის დასაკმაყოფილებლად და აქციების ფასის სტაბილურად შესანარჩუნებლად.

მაშასადამე, WACC ეხმარება კომპანიის მენეჯმენტს, შეაფასოს, დააფინანსოს თუ არა კომპანიამ ახალი აქტივების შეძენა სესხით, სააქციო კაპიტალით ან ორივეთი ერთდროულად. ახალი შესყიდვების დაფინანსებამ ვალით ან საკუთარი კაპიტალით, შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს კომპანიის მომგებიანობაზე და მთლიანი აქციების ფასზე. მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს განტოლება აქციების ფასის, ინვესტორების დაბრუნების მოლოდინების და აქტივების შეძენის მთლიანი

ღირებულების დასაბალანსებლად. საწარმოთა მენეჯმენტი და დირექტორთა საბჭო იყენებენ შეწონილ საშუალოს, რათა განსაჯონ, მიზანშეწონილია თუ არა მათი შერწყმა.

თავის მხრივ, ინვესტორები და კრედიტორებიც იყენებენ WACC-ს, რათა შეაფასონ, ღირს თუ არა კომპანიაში ინვესტირება ან ფულის გასესხება. ვინაიდან – WACC – წარმოადგენს ფულის სესხის საშუალო ღირებულებას ყველა საფინანსო სტრუქტურაში, უფრო მაღალი საშუალო შეწონილი პროცენტები ნიშნავს, რომ კომპანიის დაფინანსების საერთო ღირებულება უფრო მაღალია და კომპანიას ექნება ნაკლები თავისუფალი ნაღდი ფული მის აქციონერებზე გასანაწილებლად ან დამატებითი დავალიანების დასაფარად. როცა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება იზრდება, კომპანიამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ შექმნას დამატებული ღირებულება (ანუ მოგება) და ინვესტორები და კრედიტორები შეეცდებიან ეძებონ სხვა შესაძლებლობები.

ამდენად, კომპანიამ საშუალო ხარჯების მატებასთან ერთად, თანაბრად უნდა გაზარდოს თავისი მოგება და უფრო მაღალი ხარჯების გაწევის უნარები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორები ვერ მიიღებენ დივიდენდებს და კრედიტორებს ვერ დაუბრუნდებათ გაცემული ვალები. როგორც საბაზრო ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი კატეგორია, მოგება ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს. ჩვენ არ შეგვიძლია დღეს განვსაზღვროთ რა მოხდება დავუშვათ სამასი წლის შემდეგ. შესაძლოა ბიზნესმა საერთოდ უარი თქვას მოგებაზე და პროდუქტის თვითღირებულება და ფასი ერთმანეთის ტოლი იყოს, მაგრამ, თანამედროვე ეპოქაში ეს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

პირველ რიგში, მოგება ახასიათებს სამეწარმეო საქმიანობის ფინანსური შედეგიანობის დონეს. ის არის მაჩვენებელი, რომელსაც შეუძლია გაზომოს წარმოების ეფექტიანობის დონე. მოგების მაჩვენებლები უმნიშვნელოვანესია კომპანიის საწარმოო და საფინანსო საქმიანობის შეფასებისათვის. იგი პასუხობს კითხვაზე: რამდენად ოპტიმალურად იქნა გამოყენებული საკუთარი კაპიტალის და სესხების ხარჯზე შეძენილი აქტივები. კომპანიების მენჯმენტის და მთელი მისი პერსონალის უმნიშვნელოვანესი მიზანია, რესურსები რაც შეიძლება უდანაკარგოდ იქნეს გამოყენებული და მიაღწიონ მომგებიანობის რაც შეიძლება მაღალ დონეს, რაც კომაპანიას საშუალებას აძლევს დააკმაყოფილოს არა მხოლოდ აქციონერებისა და კრედიტორების მოთხოვნები, არამედ, მთელი დასაქმებული პერსონალის მოთხოვნები პრემიების, ხელფასების ზრდის, კვალიფიკაციის ამაღლების, ეკოლოგიური უსაფრთხოების და სოციალური ვალდებულებების შესრულებისა და ბიზნესის ეკონონმიკური ზრდის მიმართულებებით, რაც აგრეთვე მთელი საზოგადოების ინტერესებშიც შედის.

მოგების მიხედვით განისაზღვრება ავანსირებული ღირებულების უკუგების დონე და საწარმოს აქტივებში ფულის დაბანდების შემოსავლიანობა. მოგება საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის ისეთი კომპლექსური, უზოგადესი მაჩვენებელია, რომელშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ასახულია არა მხოლოდ მატერიალური და ფინანასური რესურსების გამოყენებაში მომხდარი ცლილებები, არამედ, თანამშრომელთა ურთიერთობებისა და მათი ეთიკური ქცევების ხარისხიც კი.

მოგება აგრეთვე ასრულებს მასტიმულირებელ ფუნქციას – იგი ერთდროულად არის საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი და დაფინანსების ყველაზე უსაფრთხო ინსტრუმენტი, მეორე მხრივ. თვითდაფინანსების უზრუნველყოფა სწორედ მიღებული მოგებით არის შესაძლებელი.

გარდა ამისა, მოგება წარმოადგენს სახელმწიფოს სხვადასხვა დონეზე ბიუჯეტების ფორმირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. მისი ნაწილი მიემართება ბიუჯეტებში გადასახადების სახით, შემდგომში კი აკუმულირებული თანხები გამოიყენება საერთო საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის, მისი საინვესტიციო, სოციალური და სხვა პროგრამების განხორციელებისა და საბიუჯეტო და საქველმოქმედო ფონდების ფორმირებისათვის. ყველა ამ ჩამოთვლილ ფუნქციებს კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებელი ვერ შეასრულებს. მისი მიზანია მხოლოდ ერთი რამ: შეძლებს თუ არა კომპანია, დაფაროს ინვესტორების მიერ მოთხოვნილი დივიდენდები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს საწარმოთა ხელმძღვანელებისა და ფინანსური მენეჯმენტის მიერ საწარმოს მოგების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების მართვის თანამედროვე სამართლიანი განაწილების პოლიტიკის დამკვიდრება. ამასთანავე, დღეს საგრძნობლად იზრდება პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებების დროულობასა და ხარისხზე.

მოგების ფორმირების ეფექტიანი მართვა ითვალისწინებს შესაბამისი ორგანიზაციულ-მეთოდური სისტემების დანერგვას საწარმოებში, მოგების ფორმირების ძირითადი მექანიზმების ცოდნას, მისი დაგეგმვისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას.

გარდა მოგების ფორმირებისა, ნებისმიერ საწარმოში უნდა არსებობდეს მოგების განაწილების პროგრესული მენეჯმენტი. ამ დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის ფაქტი, რომ საანგარიშგებო პერიოდის მოგების განაწილების ყოველი ციკლი – ეს ამავე დროს, მომავალი პერიოდისათვის მოგების გაზრდილი მასშტაბით ფორმირების ეფექტიანი პირობების უზრუნველყოფისა და საწარმოს სტრატეგიული განვითარების მიზნების რეალიზაციის პროცესია. მომგებიანობა საწარმოთა მენეჯმენტს საშუალებას აძლევს შეაფასოს და განახორციელოს ეკონომიკის ზრდა-განვითარების პერსპექტივები.

დასკვნა

ამრიგად, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება აჩვენებს მენეჯმენტის მიერ წინა წელს მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგს. ეს მაჩვენებელი გამოიყენება მისაღები პროექტების შედარებითი დახასიათებისა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მისაღებად. კერძოდ, მენეჯმენტმა დამატებით გამოუშვას აქციები თუ პირიქით, ბრუნვიდან ამოიღოს გამოშვებული აქციების გარკვეული რაოდენობა.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება რაც უფრო მაღალი იქნება ნულზე და სტაბილური, პოტენციური ინვესტორი, კომპანიის აქციების შესყიდვით მით მეტად დაინტერესდება. ამიტომ იგი პოტენციური ინვესტორებისათვის არის მეტად მნიშვნელოვანი.

ამასთან, საწარმოს ხემძღვანელები პასუხისმგებლები არიან მათზე მინდობილი რესურსების ეფექტიან მართვაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესი უნდა ფარავდეს ხარჯებს და დამატებით იღებდეს ფინანსურ ნამეტს ანუ მოგებას.

სააქციო კაპიტალზე დივიდენდის გაცემა და აღებულ სესხებზე საპროცენტო გადასახადების გადახდა უპირობოდ მოითხოვს, რომ კომპანია უნდა იყოს მომგებიანი. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულიდანაც ნათლად სჩანს, რომ მოგება გავლენას ახდენს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე და თვით კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.

ამასთან, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება უნდა იყოს მოთხოვნილი დივიდენდის საპროცენტო განაკვეთზე მაღალი. ხოლო, მომგებიანობა უნდა იყოს კაპიტალის საშუალო შეწონილ ღირებულებაზე მაღალი, რათა კომპანიებმა შეძლონ ყველა დანარჩენი ხარჯის (წარმოების ზრდა, პერსონალის სტიმულირება, ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა) დაფარვა. ამ მიზნის მისაღწევად, WACC – ის გაანგარიშებაში ჩართული უნდა იქნეს პრივილეგირებული აქციები და მოკლევადიანი სესხებიც, რაც კოფიციენტს უფრო სრულყოფს და ყველა სესხისა და დივიდენდის დაფარვის კონტროლის ხარისხს გააძლიერებს. ხოლო, თვით მომგებიანობის მაჩვენებლის შეცვლა კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების მაჩვენებლით, გაუმართლებელია. მსოფლიოში სულ უფრო აქტუალური ხდება რაც შეიძლება მაღალი ეფექტიანობით იქნეს გამოიყენებული მატერიალური რესურსები, რომელიც დედამიწაზე ამოწურვადია.

ლიტერატურა:

1. Chiladze Izolda (2018) Theoretical and practical aspects of profitability factorial analysis. 11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. Journal: Science and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. http://erd.asu.lt/ssaf/article/view/269
2. ჭილაძე იზოლდა (2018), ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მწიგნობარი“.
3. ჭილაძე იზოლდა (2020), ბიზნესის ფინანსური სტაბილურობის თანამედროვე გამოწვევები, ჟურნალი: გლობალიზაცია და ეკონომიკა, N9. გვ: 136-147. http://ekonomisti.tsu.ge/doc/2020konf.saboloo.pdf).
4. ჯიქია მერაბ (2022), პანდემიის პირობებში, საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე: კონცეფცია – მოგების მაქსიმიზაცია თუ კომპანიის ღირებულების გაზრდა!? უნივერსიტეტის დაარსებისა და ეკონომიკის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. „კოვიდ 13 პანდემია და ეკონომიკა“. გვ: 483-488
5. ფინანსური მართვა (2017) ACCA.
6. Stephen H. Penman (2013), Financial statement analysis and security valuation.

Aspects of the Relationship Between the Weighted Average cost of Capital and Profitability Indicators of Enterprises

Izolda Chiladze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

SUMMARY

The article discusses the indicators of the weighted average cost of enterprise capital (WACC) and the profitability of enterprise activities.

The weighted average cost of capital (WACC) is the average rate a business pays to finance its assets. It is calculated based on the average rate of all sources of capital (both debt and equity) of the company, weighted by the proportion of each component.

The higher the weighted average cost of capital is above zero and the more stable a potential investor is, the more interested he will be in buying the company's shares. Therefore, it is very important for potential investors.

In addition, the managers of the enterprise are responsible for the effective management of the resources entrusted to them, which means that the business must cover the costs and additionally receive a financial surplus or profit.

It is also necessary to manage and control the asset utilization ratio. The article presents a comparative characterization of the weighted average cost of capital (WACC) and profitability. Draws relevant conclusions.

საჯარო შესყიდვების ბარიერები მცირე და საშუალო ბიზნესში: მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივა

ეთერ ხარაიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში დასაბუთებულია საჯარო შესყიდვების მნიშვნელობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, ბიბლიოგრაფიული კვლევის საფუძველზე შეფასებულია ბარიერების შესახებ ჩამოყალიბებული სხვადასხვა განმარტებითი თეორია და ჰიპოთეზა. თვრამეტი ლიდერი ქვეყნის მაგალითზე გაანალიზებულია მცირე და საშუალო ბიზნესში საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული გამოცდილება.

საჯარო შესყიდვების წვლილი მშპ-ის ზრდაში შესწავლილია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორით, მათ შორისაა: საჯარო შესყიდვების შესახებ ინფორმირებულობა, საჯარო შესყიდვებში ჩართულობის დონე, ფულადი სახსრების მენეჯმენტი, საგადასახადო პროცედურები, მონაცემებზე წვდომა, უსაფრთხოება და სხვა. დასახელებული ინდიკატორების მიხედვით შეფასებულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ბარიერები საჯარო შესყიდვებში.

სტატიაში გამოვლენილია საჯარო შესყიდვების ძირითადი ბარიერები, შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივებზე.

საკვანძო სიტყვები: *მცირე და საშუალო ბიზნესი, საჯარო შესყიდვები, შესყიდვის ბარიერები, საჯარო შესყიდვებზე ხელმისაწვდომობა, მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივა.*

მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალებით განხორციელდა მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა, უმუშევრობის დონის შემცირება, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, მოსახლეობის საშუალო ფენის ფორმირება, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვა და სხვა. შესაბამისად, ეროვნული მთავრობები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ამ სფეროს დახმარების ფორმებსა და პროგრამებზე.

გლობალურ დონეზე შესყიდვების პრაქტიკის გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებზე ხელმისაწვდომობის მხარდასაჭერად მრავალმხრივი პროგრამა და სერვისი მოქმედებს (SME Procurement Experts, 2022), განსაკუთრებული ფოკუსირება კი მონაცემთა ბაზების შექმნისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების, საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების სფეროში ხდება (SME Procurement Experts, 2022). მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში დაახლოებით 85000 მცირე ან საშუალო საწარმოა, სადაც დასაქმებულია 450 000-მდე ადამიანი. ირლანდიის მთავრობა ყოველწლიურად 22.8%-ს ხარჯავს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საჯარო შესყიდვების მხარდაჭერასა და გაუმჯობესების ღონისძიებების გატარებაზე (*Public Procurement: removing the barriers to SMEs*, 2004).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა ქვეყანაში მთავრობა ბაზრის მნიშვნელოვანი მოთამაშეა და ისინი მონაწილეობენ შესყიდვებში. ზოგადად, საჯარო შესყიდვების წილი მშპ-ში ქვეყნების მიხედვით 13%-დან 20%-მდე მერყეობს. 2020 წლის მონაცემებით მასზე გაწეული გლობა-

ლური დანახარჯები დაახლოებით 9,5 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს (*Global Public Procurement Database: Share, Compare, Improve*, World Bank, 2020). საჯარო შესყიდვები ევროკავშირის მთლიანი შიგა პროდუქტის 16%-ია (Brammer S. & Walker H. 2011). ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესება მცირე და საშუალო საწარმოების საჯარო შესყიდვებში მონაწილეობის გზითაც არის შესაძლებელი.

საქართველოში ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების, კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების, კერძო მეწარმეობის განვითარების, სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბიზნესის ამ სფეროს დიდი როლის შესრულება შეუძლია დარგობრივი კლასტერებისა და რეგიონულ განვითარებაში. როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში, მთავრობები და მიმწოდებლები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, ეხმარებიან შესყიდვების განხორციელებაში. ამ გზით ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესებას აბრკოლებს საჯარო შესყიდვებში არსებული ბარიერები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საჯარო შესყიდვებში არსებული ბარიერების გამოვლენა და მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტიულ მიმართულებებზე რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესში საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული ბარიერების გამოვლენა, მათი დაძლევისა და საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესების გზებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული და ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია, ანალიზის, სინთეზის, შედარების, ინდუქციისა და სხვა მეთოდები. რანჟირების მეთოდით გაანალიზებულია საჯარო შესყიდვებში გამოყენებული კრიტერიუმები, ფაქტორული ანალიზით გამოვლენილია საჯარო შესყიდვების ინდიკატორები, ბარიერების დაძლევისა და მომსახურების გაუმჯობესების პერსპექტივის დასაზუსტებლად ჩატარებულია თვისებრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუებით.

სტატიაში გამოყენებულია საქართველოს ეკონომიკური პროფილის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები, ანალიტიკური მასალები, ასევე, პრობლემის შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციები.

საჯარო შესყიდვების პრობლემებისა და ბარიერების ანალიზი

მცირე და საშუალო ბიზნესი ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, შესაბამისად, აღნიშნული ბიზნესი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეროვნული ეკონომიკური მიზნების მიღწევაში (დასაქმება, ინოვაციებისა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, სიღარიბის შემცირება, დაბალი საინვესტიციო დანახარჯებით ადგილობრივი წარმოების განვითარება და სხვა). თუმცა, ამავდროულად, მცირე და საშუალო ბიზნესი განიხილება როგორც მაღალი რისკ-ჯგუფი, რადგან ახასიათებს მოწყვლადობა, გააჩნია არასაკმარისი სახსრები, ძლიერია დამოკიდებულება სხვადასხვა კლიენტზე, განიცდის გირაოს ან საკრედიტო ისტორიის ნაკლებობას და სხვა. ამ მიზეზების გამო კონკურენტულ ბაზარზე გადარჩენისთვის

მცირე და საშუალო ბიზნესს ჭირდება მხარდაჭერა. ნაშრომებში შესწავლილია საჯარო შესყიდ-ვებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესაძლებლობები და საჯარო შესყიდვების პრინციპების იმპლემენტაციის გზები (*SME Needs Analysis in Public Procurement,* 2021). ზოგა-დად, საჯარო შესყიდვები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შესაძლებელია განვიხილოთ რო-გორც საწარმოთა განვითარების ერთ-ერთი შესაძლებლობა (Glover, A. 2008).

მცირე და საშუალო ბიზნესის დადებითი გავლენა ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეო-ბის კეთილდღეობაზე, მეცნიერთათვის სადავო არ არის. დისკუსია ძირითადად მიმდინარეობს იმ პრობლემებზე, რომლებსაც ეს სფერო აწყდება საჯარო შესყიდვების დროს.

სამეცნიერო ნაშრომებში, მცირე და საშუალო ბიზნესში საჯარო შესყიდვების ბარიერების შე-სახებ, ჩამოყალიბებულია სხვადასხვა განმარტებითი თეორია და შემოთავაზებულია ჰიპოთეზე-ბი. კვლევებით დასაბუთებულია, რომ ინფორმაციის გაურკვევლობა, სატენდერო წინადადებების მომზადების უნარების ნაკლებობა, პროცედურების იგნორირება, შესყიდვების შრომატევადი და მკაცრი პროცესი საჯარო შესყიდვების მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორებია. ამასთან, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ინფორმაციის გაურკვევლობისა და უუნარობის ფაქტორები უმთავრეს ბარიერებად აღიქმება (Temidayo O. et al, 2013). თუმცა, ხშირ შემთხვევაში საჯარო შესყიდვებისადმი ინტერესი და ნდობაც დაბალია სატენდერო პროცესების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პირობების, ადმინისტრაციული ტვირთის, სამართლებრივი და სხვა მიზეზების გამო (*SME Needs Analysis in Public Procurement* 2021).

საჯარო შესყიდვების სისტემის შესწავლას მცირე და საშუალო ბიზნესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განვითარებად ქვეყნებში, რადგან ამ ქვეყნებში დაბალია შესყიდვებში მონა-წილეობის დონე. მკვლევარების მიერ, ასევე, შეფასებულია საჯარო შესყიდვების გამჭვირვალო-ბის დონე, ტენდერებში დაშვების კრიტერიუმები (Solomon Bamidele Olusegun & James Olalekan Akinbode, 2016); ნაჩვენებია, რომ მსხვილ ტენდერებზე გავლენას ახდენს პოლიტიკური ჩარევე-ბი (Musanzikwa M., 2013). ნაშრომებში განხილულია შესყიდვების ბარიერების აღმოფხვრის შესაძ-ლებლობებიც (*Public Procurement: removing the barriers to SMEs*, 2004).

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე გამოწვევების ფართო სპექტრია. კონტრაქტების მართვა შესყიდვების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია (*Contract Management*, The world Bank, 2018). თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ კონტრაქტების გაფორმებისას, საჯა-რო ორგანიზაციებს მსხვილ ფირმებთან ურთიერთობა ურჩევნიათ. მეცნიერები ხაზგასმით აღ-ნიშნავენ იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია შესყიდვების შესახებ ინფორმა-ციის მოპოვების სირთულეებთან, მცირე და საშუალო საწარმოების შეუძლებლობასთან დააკმა-ყოფილონ შესყიდვების პირობები და კრიტერიუმები, პრობლემებია ტენდერზე რეაგირებისათვის არასაკმარის დროზეც და სხვა (Pittaway, L. & Rose, M. B. 2006).

ზოგადად, საჯარო სექტორი წახალისებულია მდგრად შესყიდვებსა და სტიმულირებაზე, თუმცა, ნაკლებად არის გამოკვლეული კერძო სექტორის სტიმულირების პრობლემები საჯარო შესყიდვებში. პასუხი გასაცემია კითხვაზეც: როგორ რეაგირებს საერთაშორისო დონეზე საჯარო და კერძო სექტორი მდგრადი შესყიდვების მექანიზმებზე (Walker, H. & Brammer, S., 2007)?

გასათვალისწინებელია, რომ პანდემიის პერიოდში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარე-ბაზე განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა მოახდინა საჯარო შესყიდვების მიმართულებით არსე-ბულმა პრობლემებმა, მათ შორის საჯარო შესყიდვების ბაზარზე შეზღუდულმა წვდომამ, საინ-ვესტიციო რესურსების გარემოს გაუარესებამ, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების და-ბალმა დონემ, შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების დეფიციტმა და სხვა. შესაბამისად, მდგრადი საჯარო შესყიდვები მოითხოვს ინვესტიციების განხორციელებასაც ამ სფეროში არსე-ბული გამოწვევების პრიორიტეტების მიხედვით (Kharaishvili, E. & Atanelishvili T. 2022).

მეცნიერთა მიერ შემოთავაზებულია საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე არსებული ბარიერების დაძლევის ზოგიერთი გზა (Nicola Villa, 2022). თუმცა, საჯარო შესყიდვის პრობლემები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია და შესაბამისად, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლითა და საუკეთესო მაგალითების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს.

მცირე და საშუალო ბიზნესში საჯარო შესყიდვების უცხოური გამოცდილება

მრავალ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებულ ფუნქციონირებას მნიშნელოვნად განაპირობებს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და ღონისძიებები საჯარო შესყიდვების მიმართულებით. მაგალითად, კვლევაში, რომელიც დაფუძნებულია საჯარო შესყიდვების ლიდერი თვრამეტი სახელმწიფოს (არგენტინა, კანადა, ჩილე, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, იაპონია, მექსიკა, ნიდერლანდები, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა, საუდის არაბეთი, ესპანეთი, უკრაინა, არაბთა გაერთიანებული საამიროები და გაერთიანებული სამეფო) მონაცემების ანალიზზე, შეფასებულია, ერთი მხრივ, საჯარო შესყიდვების წვლილი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში, მეორე მხრივ, შესყიდვების ინდიკატორები. გლობალურ დონეზე საჯარო შესყიდვების წილი მშპ-ში საშუალოდ 12-18%-ს შეადგენს, თუმცა, ეს მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

საჯარო შესყიდვების პროცენტული წილი მშპ-ში ქვეყნების მიხედვით
(SME Procurement Experts, 2022)



დიაგრამიდან ჩანს, რომ მშპ-ში საჯარო შესყიდვების წილით გამოირჩევა ინდონეზია, ნიდერლანდები და ინდოეთი.

საჯარო შესყიდვების წვლილი მშპ-ის ზრდაში განპირობებულია რამდენიმე ძირითადი ინდიკატორით, მათ შორისაა საჯარო შესყიდვების შესახებ ინფორმირებულობა, საჯარო შესყიდვებში ჩართულობის დონე, ფულადი სახსრების მენეჯმენტი, საგადასახადო პროცედურები, მონაცემებ-

ზე წვდომა, უსაფრთხოება. საჯარო შესყიდვების შეფასება ძირითადად დასახელებული ინდიკატორების მიხედვით ხდება. ლიდერი ქვეყნების მიხედვით შეფასების ინდიკატორები დიფერენცირებულია (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2.

საჯარო შესყიდვების შეფასება ძირითადი ინდიკატორების მიხედვით მცირე და საშუალო ბიზნესში, ქულა (SME Procurement Experts, 2022)

(ლიდერი ქვეყნების მაგალითზე)



საჯარო შესყიდვების სფეროში ლიდერი ქვეყნები შეფასებულია ქულების მიხედვით 0-დან 1-მდე. 0 ქულა მიიღო იმ ქვეყანამ, რომელსაც ინდიკატორების მიხედვით ჰქონდა საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი, 0,5 ქულა – საშუალო მაჩვენებელი, 1 ქულა – საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული შეფასების სისტემისა და ინდიკატორების გათვალისწინებით ლიდერი სახელმწიფოები შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ინფორმირებულობა და ხელმისაწვდომობა – ინდოეთი, იაპონია, სამხრეთ აფრიკა;
- ჩართულობა – ჩილე;
- ფულადი სახსრების მენეჯმენტი – გერმანია;
- საგადასახადო პროცედურები – იტალია;
- მონაცემებზე წვდომა – კანადა, დიდი ბრიტანეთი;
- უსაფრთხოება – ნიდერლანდები.

საჯარო შესყიდვებში ლიდერი სახელმწიფოების გამოცდილების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეფექტიანი შესყიდვების განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესია ელექტრონული პორტალის არსებობა. აღსანიშნავია, რომ კვლევაში ჩართული სახელმწიფოებიდან მხოლოდ ნიგერიას არ გააჩნდა საჯარო შესყიდვების ელექტრონული პორტალი. თავის მხრივ, პორტალი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს ელექტრონულად, მარტივად დარეგისტრირდნენ მიმწოდებლად. მაგალითად, არგენტინაში ფუნქციონირებს პლატფორმა COMPR.AR, რომელმაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი დანახარჯების შემცირებას, ასევე, შემცირდა საჯარო შესყიდვების ხანგრძლივობა. იმ ქვეყნებში, სადაც საჯარო შესყიდვებში ელექტრონულ პორტალს იყენებდნენ, სამართლიანი კონკურენცია ჩამოყალიბდა.

ელექტრონული პორტალის გამოყენების მთელი რიგი დადებითი მახასიათებლების მიუხედავად, ზოგიერთ ქვეყანაში გაჩნდა ე.წ. „ციფრული განხეთქილების“ შესაძლებლობა, რაც ძირითადად ინტერნეტის არათანაბარი განვითარებით იყო გამოწვეული. აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით იტალიამ და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ შექმნეს მცირე და საშუალო ბიზნესის საჯარო შესყიდვების პორტალის სასწავლო პროგრამები. მათგან განსხვავებით, იაპონიამ ელექტრონულთან ერთად კვლავ განაგრძო სატენდერო წინადადებების მიღება დოკუმენტების მატერიალურად წარდგენის გზითაც.

საჯარო შესყიდვებში მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების პროგრამას იყენებს ჩილე, სადაც საჯარო შესყიდვების პორტალი (Mercado Público) ითვალისწინებს დაბალი ფასის შეთავაზების შემთხვევაში ჯილდოს გაცემას.

Covid-19-ის პანდემიის ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, ჩართულობის ინდიკატორის მიხედვით, ლიდერი პოზიცია დაიკავა ინდონეზიამ. ქვეყანამ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შეიმუშავა სპეციალური, სიმარტივით გამორჩეული პორტალი – Bela Pengadaan, სადაც შესყიდვის თითოეული პროცედურა დეტალურად და მკაფიო ინსტრუქციებით არის წარმოდგენილი. ასევე, შესაძლებელია კონტრაქტების გაფილტვრა ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით.

საჯარო შესყიდვების დროს ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია ელექტრონულ სისტემაში ჩართულობა (შესვლა და რეგისტრაცია). მაგალითად, საუდის არაბეთში მოქმედებს პლატფორმა – Etimad, რომელიც რეგისტრაციის პროცედურის მკაცრი და დამღლელი პროცედურებით ხასიათდება. ამ თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკაა ე.წ. „ერთხელ გვითხარი“ პოლიტიკა, რაც გულისხმობს მონაცემების ინტეგრირებას სხვადასხვა პლატფორმასა თუ მოდულზე და დეტალური ინფორმაციების შეყვანას მხოლოდ ერთხელ. მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მსგავსი პლატფორმა (TenderNed) აქვს ჰოლანდიას.

ჩართულობისა და ინფორმაციებზე წვდომის პროცედურასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქვეყნების მიხედვით ეს ინდიკატორებიც დიფერენცირებულია (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3.

საჯარო შესყიდვების ტენდერზე წვდომა და ჩართულობა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის (SME Procurement Experts, 2022)



ჩილეს, იტალიას და ესპანეთს ინფორმაციებზე წვდომის მიხედვით თითქმის თანაბარი პოზია აქვთ, თუმცა, ჩართულობის მიხედვით მათი მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია. გაერთიანებული სამეფოში მცირე და საშუალო ბიზნესი საჯარო შესყიდვებში ჩართულობის მაღალი დონით გამოირჩევა, თუმცა, წვდომის დაბალი დონით ხასიათდება.

ამრიგად, ლიდერი ქვეყნების გამოცდილების შესწავლა საშუალებას იძლევა სხვა ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ, გაითვალისწინოს საჯარო შესყიდვების ჭრილში არსებული საუკეთესო მაგალითები. ნათელია, რომ მთავრობებმა, რომლებმაც უზრუნველყო ეფექტიანი ელექტრონული პლატფორმების შექმნა გამარტივებული ციფრული მონაცემთა სერვისებით, გაზარდა ტენდერზე წვდომის შესაძლებლობა, შეამცირა საჯარო შესყიდვების ბარიერები და ახალი შესაძლებლობები მისცა მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებისათვის.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზისა და ფოკუს-ჯგუფებთან შეჯერებული საკითხების შესაბამისად გამოიკვეთა საქართველოში საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული ძირითადი ბარიერები.

მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საქართველოში ერთ-ერთ ძირითად ბარიერს წარმოადგენს საჯარო შესყიდვებში ჩართულობისა და ინფორმაციებზე წვდომის დაბალი დონე. ამ ბარიერის გამომწვევი მთავარი მიზეზია ასიმეტრიული ინფორმაცია. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები შეზღუდულები არიან ინფორმაციებზე წვდომის თვალსაზრისით. თავის მხრივ, აღნიშნული შეიძლება განპირობებული იყოს ელექტრონული საჯარო შესყიდვების პორტალზე დარეგისტრირების ბუნდოვანი ინსტრუქციებით. საჯარო შესყიდვებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების შექმნაც, რომელიც მთავრობასა და მიმწოდებლებს შორის ოპტიმალურ თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

საჯარო შესყიდვების პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მცირე და საშუალო ბიზნესისთვის პრობლემები იქმნება ფულადი სახსრების მართვის თვალსაზრისითაც, მაღალია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები, შეზღუდულია იაფფასიან კრედიტებზე წვდომის შესაძლებლობები (Kharaishvili E., 2018). გამჭვირვალე და ღია მონაცემთა ბაზების შექმნა და მისი ინოვაციურ ტექნოლოგიებთან დაწყვილება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯების შემცირებასა და კრედიტებზე წვდომის პროცესის გამარტივებას.

დასკვნები და რეკომენდაციები

- მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საჯარო შესყიდვებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი ელექტრონული პლატფორმების შექმნა. პლატფორმების ფუნქციონირება მთავრობასა და მიმწოდებლებს შორის ოპტიმალურ თანამშრომლობას უზრუნველყოფს. მიზანშეწონილია, სახელმწიფომ განახორციელოს ინვესტიცია ელექტრონული შესყიდვების პორტალის განვითარებაში.
- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ბარიერს წარმოადგენს საჯარო შესყიდვებში ჩართულობის რთული პროცესი და ასიმეტრიული ინფორმაცია. მიზანშეწონილია ელექტრონულ საჯარო შესყიდვების პორტალზე დარეგისტრირებისათვის მარტივი და სრულყოფილი ინსტრუქციებით ინფორმაციების მიწოდება. ასევე, რეკომენდებულია მთავრობამ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის გამოიყენოს საჯარო სატენდერო წინადადებების წარდგენასა და კონტრაქტების გაფორმებაზე სტიმულირების პროგრამები.
- საჯარო შესყიდვების პროცესი მოითხოვს შრომატევადი დოკუმენტაციის მომზადებას, ხოლო საჯარო შესყიდვების კონტრაქტების მოძიებისას გამოყენებულია არაპროპორციული

კრიტერიუმები. საჭიროა შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებას კონტრაქტთან დაკავშირებულ პროცედურებში. აუცილებელია შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების განხორციელება.

- მცირე და საშუალო ბიზნესში გამოიკვეთა საჯარო შესყიდვების შესაძლებლობებზე წვდომის დაბალი დონე. შესყიდვებზე წვდომის გაადვილება გააუმჯობესებს ზოგად ეკონომიკურ გარემოს, განაპირობებს რესურსებზე ხელმისაწვდომობას, გამოიწვევს სამართლიან კონკურენციას, უზრუნველყოფს ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას.
- საჯარო შესყიდვების ჭრილში მცირე და საშუალო ბიზნესს პრობლემები აქვს ფულადი სახსრების მართვაში, ასევე, იაფფასიან კრედიტებზე წვდომის მხრივ. შესაბამისად, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება დაგვიანებული გადახდები. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად ითხოვენ ინვოისების ელექტრონულად წარდგენას, ყოველთვის არ არის მიწოდებული შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ასევე, გამოვლინდა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შედარებით ეფექტიანია დაბალი ღირებულების მქონე გადახდების მართვა. აუცილებელია გამჭვირვალე და ღია მონაცემთა ბაზის შექმნა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯების შემცირებას და კრედიტზე წვდომის პროცესის გამარტივებას. ამასთან, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესმა დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით გაითვალისწინოს მსხვილ და გამოცდილ კომპანიებთან კონსორციუმებში ან ტენდერებში თანამონაწილეობის შესაძლებლობები. აღნიშნული შეამცირებს საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ რისკებსაც.

ლიტერატურა:

1. Brammer S. Walker H. (2011). *Sustainable procurement in the public sector*: *An international comparative study.* https://www.researchgate.net/publication/241674602_Sustainable_procurement_in_the_public_sector_An_international_comparative_study
2. Glover, A. (2008). *Accelerating the SME Economic Engine: Through Transparent, Simple and Strategic Procurement*, London: HM Treasury.
3. Kharaishvili, E. Atanelishvili T. (2022). *Sustainable State Procurements and Business and Investment Environment in Georgia (In the Context of SMEs)*. Bulletin, V.16, n.3.
4. Kharaishvili E. (2018). *The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia*. Ecoforum, 7(1).
5. Musanzikwa M., (2013), *Public Procurement System Challenges in Developing Countries. International Journal of Economics, Finance and Management Sciences*, 1(2): 119-127. https://www.sciencepublishinggroup.com/journal/paperinfo.aspx?journalid=173&doi=10.11648/j.ijefm.20130102.18
6. Nicola Villa (2022), *How To Overcome Barriers Faced by SMEs in Public Procurement*. Article retrieved for – https://www.public.io/blog-post/how-to-overcome-barriers-faced-by-smes-in-public-procurement
7. Pittaway, L. Rose, M. B. (2006). *Learning and relationships in small firms. International Small Business Journal* 24(3), 227–231.
8. Procurement Guidance, *Contract Management*. The world Bank (2018). . https://thedocs.worldbank.org/en/doc/277011537214902995-0290022018/original/ProcurementContractManagementGuidance.pdf

9. Public Procurement: removing the barriers to SMEs (2004). http://unpcdc.org/media/3684/pp%20sme.pdf
10. SME Procurement Experts (A. F. et al, 2022), *Global SME Procurement Benchmark*. https://www.public.io/report-post/global-sme-procurement-benchmark
11. Solomon Bamidele Olusegun. James Olalekan Akinbode (2016), *Determinant of Small and Medium Enterprises (SMEs) Low Participation in Public Procurement in Lagos, Nigeria. European Journal of Business and Management*. https://core.ac.uk/download/pdf/234627593.pdf
12. *SME Needs Analysis in Public Procurement* (2021), Final Report. file:///C:/Users/user/Downloads/sme%20needs%20analysis%20in%20public%20procurement-ET0921178ENN.pdf
13. Temidayo O. Akenroye. Oluseyi Aju (2013), *Barriers to SMEs participation in public procurementin Nigeria: some preliminary results*. https://www.researchgate.net/publication/262561294_Barriers_to_SMEs_participation_in_public_procurement_in_Nigeria_Some_preliminary_results;
14. Walker, H., Brammer, S., (2007). *Sustainable procurement inthe United Kingdom public sector*. https://www.researchgate.net/publication/241145206_Sustainable_procurement_in_the_United_Kingdom_public_sector;
15. World Bank (2020), *Global Public Procurement Database: Share, Compare, Improve.* https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/03/23/global-public-procurement-database-share-compare-improve#:~:text=Public%20procurement%20is%20the%20process,%25%20to%2020%25%20of%20GDP

Public Procurement Barriers in SMEs: Service Improvement Perspective

Eter Kharaishvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article substantiates the importance of public procurement in the development of small and medium-sized enterprises, based on bibliographic research, various explanatory theories and hypotheses about barriers are evaluated. On the example of eighteen leading countries, the experience in the field of public procurement in small and medium-sized enterprises is analyzed.

The contribution of public procurement to GDP growth is studied by several key indicators, including: awareness of public procurement, level of involvement in public procurement, cash management, tax procedures, access to data, security and others. According to the named indicators, the barriers of small and medium-sized enterprises in public procurement in Georgia are evaluated.

The article identifies the main barriers to public procurement, develops relevant conclusions and offers recommendations on perspective for service improvement in this regard.

Keywords: SMEs, public procurement, procurement barriers, access to public procurement, service improvement perspective.

უმაღლესი განათლების რეფორმის შედეგების შესაბამისობა საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ბალტიისპირეთის ქვეყნებში

მედეა ხარაიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ადამიანისეული კაპიტალი არის შემოქმედებითი პროფესიონალები, ინტელექტი, ცოდნა, მაღალი ხარისხის და მაღალპროდუქტიული შრომა და ცხოვრების მაღალი ხარისხი. ადამიანისეული კაპიტალი ღირებულების თვალსაზრისით არის ინოვაციური ეკონომიკის წილი და მისი უზრუნველყოფა ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში. ადამიანისეული კაპიტალის ყველა დონეზე, მოიცავს დამატებით კვალიფიციურ შრომით რესურსებს, ცხოვრების ხარისხს, ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული HC-ის კონკურენტული უპირატესობების განხორციელებას, HC-ის ეფექტურ ფუნქციონირებას, როგორც ინტენსიური ფაქტორი ინოვაციებში, ინტელექტუალურ შრომასა და განვითარებაში. ეროვნული ადამიანურისეული კაპიტალი ყალიბდება აღზრდაში, განათლებაში, კულტურაში, საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, პროფესიონალიზმის, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებაში ინვესტიციების გზით. ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ადამიანისეული რესურსები ამ ქვეყნების ყველაზე ღირებული აქტივებია. როგორც პატარა ქვეყნები შედარებით შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით, ბალტიისპირეთის ქვეყნების მომავალი დამოკიდებული იქნება მათი ხალხის ცოდნასა და უნარებზე. შესაბამისად, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განათლების რეფორმა თითოეული ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანისეული კაპიტალი, განათლების პოლიტიკა, შრომის ბაზარი, ბალტიისპირეთის ქვეყნები.*

სტატია მიზნად ისახავს შეაფასოს დასაქმების დაცვის რეგულირების კონტროლი, შრომის ბაზრის მოქნილობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი და მისი ფაქტობრივი აღსრულების ხარისხი, ბალტიისპირეთის ქვეყნებისთვის. გაკეთებულია დასკვნები ბალტიისპირეთის ქვეყნებში განათლების სისტემის დონის შესაბამისობის თაობაზე შრომის ბაზრის საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ბალტიისპირეთის ქვეყნები ხშირად გაერთიანებულია ერთად, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა განათლების პოლიტიკაში. თითოეულ ქვეყანას აქვს უნიკალური ისტორია და ურთიერთობა სხვა ერებთან და კულტურებთან, რომლებსაც აქვთ მუდმივი გავლენა ეროვნულ პერსპექტივებსა და პოლიტიკაზე. მაგალითად: ესტონური, ლატვიური და ლიეტუვური სამი ძალიან განსხვავებული ენაა.

რეფორმის ეტაპები:

1980-იანი წლების ბოლოს დაწყებული განათლების რეფორმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყველაზე კარგად არის გაგებული ფაზების თვალსაზრისით. თითოეული ქვეყნის რეფორმებს შეიძლება მივაკვლიოთ 1988 წლის ინიციატივებში, რომლებიც განხორციელდა ახალი გამოღვიძების, „პერესტროიკის“ სულისკვეთებით, ხოლო საბჭოთა ინსტიტუტების ჩამოშლის შედეგად, თითოეულმა ქვეყანამ განიცადა პედაგოგების უპრეცედენტო ჩართულობა ახალი შესაძლებლობების გამოსაკვლევად.

1990-1992 წლებში სამივე ქვეყანამ აღადგინა დამოუკიდებლობა და მიიღო კონსტიტუციები (ძირითადად ადრინდელ კონსტიტუციებზე დაფუძნებული) და დაადგინა განათლების საწყისი სამართლებრივი ბაზა. ისინი ამოქმედდა 1991 წლის სწრაფად განვითარებად ვითარებაში, ეს საწყისი კანონები შემდგომ წლებში საჭიროებდა დახვეწას.

1992-1994 წლებში, ბალტიისპირეთის თითოეული სახელმწიფო აღმოჩნდა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, რომელიც გამოიხატებოდა ეკონომიკური სტაბილურობის მოპოვებისა და ახალი სამართლებრივი ჩარჩოებისა და ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბებაში.

1995-1996 წლებში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პოზიტიურ მოვლენებს დროებითი შეჩერება მოჰყვა, ვინაიდან საბანკო კრიზისმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ყურადღება და ენერგია მიიპყრო განათლების რეფორმისგან. ქვეყანა ცდილობდა ახალი სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, გარკვეული წესრიგი უზრუნველყოფდა ადრე ძირითადად დეცენტრალიზებულ და ხშირად ფრაგმენტულ რეფორმებს. 1996–1998 წლებში სამივე ქვეყანამ განიცადა ეკონომიკური აღორძინებისა და ზრდის ყველაზე ძლიერი პერიოდები. თითოეულმა ქვეყანამ გააფართოვა განათლების რეფორმის კონცეპტუალური საფუძველი და შეიმუშავა მეორე თაობის საკანონმდებლო ბაზა. განათლების შესახებ კანონები, რომლებიც პირველად 1991–1992 წლებში ამოქმედდა, ან მნიშვნელოვნად შეიცვალა.

1998 წლის ბოლოს, რუსეთის ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც დაიწყო 1998 წლის 17 აგვისტოს რუბლის დევალვაციით, შეანელა ეკონომიკური ზრდა, ისევე როგორც წინა ორი წლის განათლების რეფორმის ტემპი სამივე ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, რეფორმებისადმი ერთგულება კვლავ მტკიცე რჩებოდა.

საერთო თემები:

ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფომ დიდი ნაბიჯები გადადგა თავისი უმაღლესი განათლების სისტემების რესტრუქტურიზაციაში მას შემდეგ, რაც 1988 წელს დაიწყო ძირითადი ცვლილებები.

დემოკრატიული პრინციპები და პროცესები დამკვიდრდა მთელ უნივერსიტეტებში. შეიქმნა ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის ავტონომიას, ასევე ახალ კვლევით ინფრასტრუქტურას, ხარისხის უზრუნველყოფის მონახაზს და დიფერენცირებული უმაღლესი განათლების სისტემას. აღმოიფხვრა წინა შეზღუდვები შინაარსობრივ და პედაგოგიურ საკითხებში, განსაკუთრებით სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ისევე როგორც სამხედრო მომზადებაში, როგორც სასწავლო გეგმის სავალდებულო ნაწილი. ძირეული ცვლილებები განხორციელდა აკადემიურ პროგრამებში სტუდენტების მოთხოვნის ცვალებადობისა და გადასახადის გადამხდელი სტუდენტებისგან დამატებითი შემოსავლის გამომუშავების საჭიროების საპასუხოდ, სახელმწიფო დაფინანსების შეზღუდვების კომპენსაციის მიზნით. ვიწრო საბჭოთა ხარისხის სტრუქტურამ ადგილი დაუთმო ჯილდოს სტრუქტურას, რომელიც არა მხოლოდ უფრო მოქნილია, არამედ შეესაბამება დასავლურ მოდელებს და მზარდ მოლოდინებს საერთო სტრუქტურების მიმართ ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით.

გაუქმდა სამეცნიერო – კვლევითი ორგანიზაციები და ჩამოყალიბდა როგორც საპატიო საზოგადოებები. კვლევა ინტეგრირებული იყო უნივერსიტეტებში, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი მიღწევები კვლევებში და მნიშვნელოვნად გააძლიერა უნივერსიტეტები.

უმაღლესი სწავლება გაძლიერდა, განსაკუთრებით კვლევისა და დოქტორანტურაში სწავლების ინტეგრაციის გზით. ვიწრო საბჭოთა ხარისხის სტრუქტურამ ადგილი დაუთმო ისეთ სტრუქ-

ტურას, რომელიც არა მხოლოდ უფრო მოქნილი იყო, არამედ დასავლურ მოდელებთან შესაბამისობაშიც მოდიოდა.

ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოჩნდნენ აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში სახელმწიფოები ყოფილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკიდან და იდეოლოგიებიდან ახალი განათლების დასამკვიდრებლად. მათ ასევე შექმნეს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი პოლიტიკა და ინსტიტუტები. გასული ათწლეულის უმაღლესი განათლების რეფორმების მუდმივი პროგრესი იქნება ამ სახელმწიფოების შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ევროპასა და გლობალურ ცოდნის ეკონომიკაში.

ბალტიისპირეთის ქვეყნებმა – ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ – შთამბეჭდავი პროგრესი განიცადეს 1990-იანი წლების დასაწყისიდან. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შრომის ბაზრისა და სოციალური პოლიტიკის ელემენტების უმეტესობა საფუძვლიანად რეფორმირებულია. თუმცა, ცვალებადი ეკონომიკური პირობების საპასუხოდ საჭიროა რამდენიმე რთული პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა. OECD-ის პოლიტიკის ეს მიმოხილვა აანალიზებს იმ ძირითად საკითხებს, რომელთა წინაშეც დგას თითოეული ქვეყანა მისი სპეციფიკური ეკონომიკური და სოციალური ტენდენციების გათვალისწინებით. იგი იღებს როგორც პოზიტიურ, ასევე უარყოფით პოლიტიკურ გაკვეთილებს OECD-ის გამოცდილებიდან. იგი ასევე განსაზღვრავს ბალტიისპირეთის პოლიტიკის ინიციატივებს, როგორიცაა საპენსიო რეფორმები, რომლებიც უფრო მოწინავეა, ვიდრე OECD-ის უმეტეს ქვეყნებში მიღებული. მაღალი უმუშევრობის, მოკრძალებული შემოსავლების და შემოსავლების უფრო არათანაბარი განაწილების წინაშე, ვიდრე ბევრ ევროპულ ქვეყანაში, ბალტიისპირეთის პოლიტიკის შემქმნელებს აქვთ შეზღუდული მანევრირების ადგილი. დასაქმების პოლიტიკაში უმთავრესი მიზანი უნდა იყოს იყოს ინოვაციებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესება. სოციალური ხარჯები უნდა იყოს შეზღუდული, რადგან გადასახადები და სოციალური დაზღვევის შენატანები შედარებით მაღალია, რაც მძიმე ტვირთად აწევს დასაქმებას (OECD, 18 Mar. 2003).

იზრდება ზეწოლა შრომის ბაზრის მოქნილობისთვის როგორც ევროკავშირის ამჟამინდელ წევრ ქვეყნებში, ასევე კანდიდატ ქვეყნებში. შრომის ბაზრები და ინსტიტუტები საჭიროა გახდნენ უფრო მოქნილი, რათა არ გამოიწვიოს საბაზრო დისბალანსი. თუმცა, უფრო მაღალი მოქნილობისთვის ზეწოლა ასევე წარმოიქმნება უმუშევრობის მაღალი დონისა და დასაქმების დაბალი დონისა და დიდი ზომის არაფორმალური ეკონომიკის მქონე გარდამავალ ქვეყნებში. შრომის ბაზრის მოქნილობის მრავალგანზომილებიანი კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ასპექტია დასაქმების ხელშეწყობის რეგულირება. იგი მოიცავს თანამშრომლების დაცვას სამსახურიდან გათავისუფლებისგან, დროებითი დასაქმების ფორმების გამოყენების შეზღუდვებს, სამუშაო საათების რეგულაციას, ფართო გაგებით ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვას, თანამშრომლების დაცვას არახელსაყრელი პირობებისგან.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიომ მძიმე ფინანსური კრიზისი განიცადა. საწყის მდგომარეობამდე მიღწევის ნდობა ჯერ კიდევ სუსტია და არსებობს მუდმივი გამაფრთხილებელი სიგნალები რეცესიის, მუდმივი შენელებისა და აღდგენის შეწყვეტის შესახებ. უმუშევრობამ მიაღწია უპრეცედენტო დონეს, მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნებსა და რეგიონებს შორის. განსაკუთრებით მტკივნეულად მაღალია ახალგაზრდების უმუშევრობა. სიღარიბე ასევე კვლავაც ძალიან სერიოზულ პრობლემად რჩება ევროპაში.

ბალტიისპირეთის ქვეყნები ქმნიან სპეციალურ რეგიონალურ კლასტერს. ამ რეგიონმა საკმაოდ შესამჩნევ პროგრესს მიაღწია ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის, ახალ ბაზრებზე ორიენტირებისა და რესურსების ახალ სექტორებზე გადანაწილების საკითხში, ასე რომ, მნიშვნელოვანია გამოკვლეული იყოს, რამდენად შეუწყო ხელი ამ მოვლენებს შრომის მოქნილობამ. რამდენად წარ-

მატებული იყო საბაზრო ეკონომიკისთვის საჭირო ინსტიტუციების მშენებლობა და რამდენად შეესაბამება მათი შრომის რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციას. ზოგადი წონასწორობის თეორიის თვალსაზრისით, სრულყოფილი მოქნილობა შეიძლება გავიგოთ, როგორც სიტუაცია, როდესაც მოცემულ ბაზარზე ყველა რესურსი ნაწილდება პარეტოს ეფექტური გზით (Hahn,1998).

ზოგადად, ბალტიისპირეთის ქვეყნების მართლმსაჯულების სისტემაში შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების წყაროებია:

1. საერთაშორისო კონვენციები;
2. კონსტიტუცია;
3. კანონები;
4. ადმინისტრაციული ორგანოების განკარგულებები;
5. კოლექტიური ხელშეკრულებები.

ბალტიისპირეთის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების რეგულირება ძირითადად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ვინაიდან ILO-ს უფრო მნიშვნელოვანი კონვენციები ძირითადად რატიფიცირებულია და კანონმდებლობა უზრუნველყოფს დასაქმებულთა ძირითადი უფლებების დაცვას სამუშაო დროის, ანაზღაურების, შვებულების, ხელშეკრულების შეწყვეტის და დასაქმებულთა დაცვას ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში და ა.შ. Carley, M. (2002)

ბალტიისპირეთის ქვეყნების შრომითი კანონმდებლობა ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსია, მეორეს მხრივ, ასევე არის გარკვეული განსხვავებები. აღსანიშნავია, რომ შრომის კანონმდებლობის მიხედვით დასაქმებულს შესაძლებელია უფრო ხელსაყრელი პირობები შეექმნას კოლექტიური ხელშეკრულების საშუალებით, თუმცა შრომითმა რეგულაციებმა შეიძლება, გარკვეულწილად მაინც, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბალტიისპირეთის ქვეყნების შრომის ბაზრის მოქნილობაზე. მეორეს მხრივ, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა უკვე მიაღწიეს დიდ პროგრესს შრომის რეგულაციების ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გზაზე.

ლიტერატურა:

1. Bertola, G., Boeri, T. and S. Cazes (1999), “Employment protection and labour market adjustment in OECD countries: Evolving Institutions and variable enforcement”.
2. Carley, M. (2002), “Industrial relations in the EU Member States and Candidate Countries.”
3. Hahn, F. (1998), “Labour market flexibility and welfare”, Quaderni del Dipartimento di Economia Politica No. 223, Universita degli Studi di Siena.
4. Labour Market and Social Policies in the Baltic Countries (OECD, 18 Mar. 2003).
5. World Economic Forum. The Future of Jobs Report 2020
6. კაცარციძე მ. (2019), ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში;
7. ლეჟავა დიანა, ამაშუკელი მარიამ. (2015) აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში (კვლევის ანაგარიში);
8. https://www.oecd.org/estonia/labourmarketandsocialpoliciesinthebalticcountries.htm

Compliance of Higher Education Reform Results

with International Labor Market Requirements in the Baltic Countries

Medea Kharaishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
PhD student

SUMMARY

At all levels of human capital, includes additional qualified labor resources, quality of life, tools and technologies that ensure the implementation of competitive advantages of national HC, effective functioning of HC as an intensive factor in innovation, intellectual work and development. National human capital is formed through investments in upbringing, education, culture, public health, professionalism, raising the standard and quality of life of the population.

The human resources of Estonia, Latvia and Lithuania are the most valuable assets of these countries. As small countries with relatively limited natural resources, the future of the Baltic countries will depend on the knowledge and skills of their people.

The article aims to assess the control of employment protection regulation, one of the most important aspects of labor market flexibility, and the degree of its actual enforcement, for the Baltic States. Conclusions are made regarding the compliance of the level of the education system in the Baltic countries with the international requirements of the labor market.

Progress in education reform in the Baltic counters depends on reforms in other areas of public policy. These areas include public administration reform, alignment of public service policy and public financial policy with education reform.

The regulation of labor relations in the Baltic counters generally complies with international standards. As for laws, most regulations are due to special laws on labor relations, and labor relations are regulated by labor contracts.

გლობალური ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები Covid-19 პანდემიის კრიზისის შესამცირებლად

ლალი ხიხაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია და მართლწესრიგი. კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია მაღალგანვითარებული ქვეყნების -აშშ-ის, ევროკავშირის, იაპონიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკებზე. ფაქტობრივი მონაცემებით COVID-19 პანდემიამ მსოფლიო ეკონომიკაზე და გლობალურ ბიზნესზე დამანგრეველი ზეგავლენა მოახდინა, თუმცა პანდემიის ზეგავლენის ხარისხი და მასშტაბები დღემდე დაუდგენელია ამომწურავი ინფორმაციის არ არსებობის გამო. დღესაც კაცობრიობა ებრძვის პანდემიის მიმდინარე პროცესებს.

COVID-19-ის პანდემია გლობალური კრიზისის განვითარების თვალსაზრისით მსოფლიოსათვის ისტორიული და უპრეცენდენტო მოვლენაა. COVID-19 პანდემიამ მწვავე ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკასა და გლობალურ ბიზნესს, მათ შორის საქართველოს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ევროკავშირი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ჩინეთი, რუსეთი, უკრაინა, და სხვ. COVID-19 პანდემიით გამოწვევულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ზიანმა(დღეისათვის შეუფასებელი, დაუთვლელია ზარალის ოდენობა და დანახარჯები), როგორც გლობალურ ეკონომიკაში, ასევე საქართველოში ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შენელება და ბოლო წლების პოზიტიური შედეგების მინიმუმადე შემცირება გამოიწვია.

საკვანო სიტყვები: *COVID-19-ის პანდემია, ეკონომიკური კრიზისი, გლობალური მიწოდებათა ჯაჭვი, ციფრული ტექნოლოგიები, ელექტრონული კომერცია, ბიზნესმოდელები.*

COVID-19-ის გლობალურმა პანდემიამ ნათლად დაგვანახა, რომ თანამედროვე მსოფლიო მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებულია, რაც მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში არსებული პრობლემები გლობალურ გადაწყვეტასა და ეფექტიან მართვას საჭიროებს.

აზიის განვითარების ბანკის ანალიზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, COVID-19-ის პანდემია 77 (0.08% მშპ) მლრდ. აშშ დოლარიდან 347მლრდ. დოლარამდე (0.4% მშპ) ზარალს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 9 მარტს გაკეთებული ანალიზით, COVID-19-ის პანდემიის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. პანდემიის გახანგრძლივების შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. საპროგნოზო ვარაუდებით ყველაზე დიდი ზიანი ნავთობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება, რომელთა ეკონომიკური ზრდის ტემპი კი შეიძლება მინიმუმ 1%-ით შემცირდეს.

მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდო მოლოდინები განსხვავებულია, ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდა: მთავარ ეკონომიკურ დარტყმები მიიღო იმ ქვეყნებმა, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, აგრეთვე იმ ქვეყნებმა,რრომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებუ-

ლი ტურიზმზე, ნავთობისა და სტრატეგიული მნიშვნელობის საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გავრცელდა.

ეკონომიკური შედეგები, რაც COVID-19-ის გავრცელებას მოჰყვა, ძალიან მძიმედ აისახა ჩინეთის ეკონომიკაზე. აზიის განვითარების ბანკის პროგნოზის მიხედვით ჩინეთის ეკონომიკას COVID-19-ის პანდემია ყველაზე უარეს შემთხვევაში 42 მლრდ. დოლარი დაუჯდება და მშპ-ს ზრდის ტემპი 1.74%-ით შემცირდება. უფრო ნეგატიურ შედეგებს ელოდებიან რაბო ბანკის ანგარიშშის მონაცემებით, რომლის მიხედვითაც ჩინეთის ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება ნავარაუდევი 5.7% ზრდის ნაცვლად.

მძიმე ეკონომიკურ შოკი და ზარალი განიცადა ევროკავშირსა და ევროზონაში შემავალმა ქვეყნებმა. სრულად ევროკავშირის ეკონომიკა პანდემიისაგან თავის დაღწევას მხოლოდ 2022 წლის ბოლოსათვის მოახერხებს.

2020-2021 წლის მონაცემებით, COVID-19-ის პანდემიამ ყველაზე მძიმე გავლენა ევროპულ ქვეყნებს შორის იტალიაზე იქონია. იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებით 2020 წლის მარტიდან ქვეყანა სრულ კარანტინზე გადავიდა. ეუთოს ანგარიშის მიხედვით იტალიის ეკონომიკა სტაგნაციას გააგრძელებს და 0% ზრდა დააფიქსირა 2020 წელს, მანამდე კი არსებობდა მოლოდინი, რომ იტალიის ეკონომიკა 0,4%-ით გაიზრდებოდა. გაცილებით უფრო ნეგატიურია რაბო ბანკის მოლოდინები და პროგნოზები, რომელიც იტალიის ეკონომიკის შემცირებას -1,6%-ით პროგნოზირებს.

იტალიის მთავრობამ 28 მლრდ. ევრო გამოყო პანდემიის კრიზისის შესამცირებლად. რაც გამიზნული იყო ჯანდაცვის სერვისების დაფინანსებისათვის, ოჯახებისა და დასაქმებულების სოციალური შემწეობისა და დაცვისათვის.[1]

COVID-19-ის პანდემიის დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობის მიხედვით(ყოველდღიურად 20-25 ათასზე მეტი ვირუსით დაინფიცირებული) ევროპულ ქვეყნებში გერმანია, საფრანგეთი და ესპანეთი ლიდერობს. ეკონომიკის ვარდნა და სტაგნაცია განსაკუთრებით გამოიკვეთა 2020-2021 წლებში, თუმცა ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის რეაბილიტაცია და პირვანდელ ნიშნულებთან დაახლოება 2022 წლის მიწურულისათვის იქნება შესაძლებელი.

COVID-19-ის ნეგატიური ზეგავლენა რუსეთის ეკონომიკაზე უკვე საგრძნობია. ეუთო-ს 2020 წლის მარტის ანგარიშში, რუსეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი გადაიხედა და შემცირდა. თუ წლის დასაწყისში მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 1.6% იყო, ახლა ის ოთხი მეათედით შემცირდა. შესაბამისად 2020 წლისთვის რუსეთის ეკონომიკის 1.2% ზრდა იყო პროგნოზიებული. 2020 წლის 18 მარტს 24%-ით შემცირდა ამერიკული ნავთობის ფასი (West Texas Intermediate crude) და ბარელის ღირებულება 20.37$-მდე დაეცა, რაც 2002 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი ნიშნულია. საერთაშორისო ნავთობის (Brent crude) ფასი 14%-ით შემცირდა და ბარელის ფასი 24.52$ შეადგინა.[2]

რუსეთის ეკონომიკის მსგავსად, ნავთობის ფასის ვარდნა მძიმე ზეგავლენას მოახდენს ირანის ეკონომიკაზეც. თუმცა ირანის შემთხვევაში ეკონომიკური მოლოდინები კიდევ უფრო მძიმეა. ამერიკული სანქციებით, დასუსტებული ეკონომიკა, დიდ ზიანს მიიღებს ნავთობის ბაზრის შემცირებით. Focus Economics-ის მოლოდინით ირანის ეკონომიკა 2021 წელსაც განაგრძობს ტენდენციას და 1.3%-ით შემცირდება.

გლობალური პანდემიის ზემოქმედების შედეგად განსაკუთრებით მოწყვლადი აღმოჩნდა განვითარებადი სახელმწიფოები და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე. ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათ-

[1] ავტორის ლალი ხიხაძის მსჯელობა აზიის განვითარების ბანკის(ADB) 2020 წლის მარტის ანგარიშის მიხედვით
[2] ეუთოს 2020 წლის მარტის ანგარიში.

დებოდა და ეს განსაკუთრებით 2019 წელს გამოჩნდა. კერძოდ, 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდა – 5.0%. ტურიზმიდან ქვეყნის ეკონომიკაში გენერირებულმა შემოსავალმა 3.3 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 18.7%), საქონლის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა – 3.8 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 21.7%), ხოლო წმინდა ფულადმა გზავნილებმა 1.5 მლრდ აშშ დოლარი (მშპ-ს 8.6%) შეადგინა. აღნიშნულის შედეგად ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა ისტორიულ მინიმუმს მიაღწია და მშპ-ის 5.5% შეადგინა. მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდისა და საგარეო სექტორის მონაცემების გაუმჯობესებამ განაპირობა საბიუჯეტო შემოსავლების დაგეგმილზე მეტად ზრდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ კაპიტალურ ინვესტიციებს გადაეჭარბებინა მშპ-ის 8%-სთვის და ამავე დროს ნაერთი ბიუჯეტის წლის გათვალისწინებული) დაგეგმილი 2.7%-დან შეგვემცირებინა 2%-მდე.

2020 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია. 2020 წლის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) განახლებულ „მსოფლიო ეკონომიკურ მიმოხილვაში“ 2020 წლის მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განსაზღვრა -4.4 პროცენტით.[1]

ამასთან ერთად საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, თებერვლის თვეში უკვე შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 0.7%-ით წინა წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა გაიზარდა ტურისტულ ვიზიტორთა რაოდენობა 4%-ით.[2]

ტურისტების შემცირება ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად. ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში, 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 000 ადამიანია დასაქმებული; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის მცირე ბიზნესის სფეროში ჩართულია 187,6 ათასი ადამიანი და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: 2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური შოკები შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. პანდემიის ზეგავლენის შედეგად ეს რისკები კიდევ უფრო მძიმე და აქტუალურია.

ფულადი გზავნილების წილი საქართველოს მშპ-ში 13.5 %-ს შეადგენს (2019 წლის საქსტატის მონაცემები). ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილები, მთლიანი ფულადი გზავნილების 41.7%-ია. ყველაზე მეტ ფულად გზავნილს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველო იტალიიდან (15.8%) და საბერძნეთიდან (12%) იღებს. ასევე მნიშვნელოვანი 10.4%-იანი წილი მოდის აშშ-ზე. რუსეთიდან (20.9%) და ისრაელიდან (10.5%) მიღებული გზავნილები დაახლოებით მთლიანი გზავნილების 1/3-ს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ გზავნილების მოცულობა არ შემცირებულა, პანდემიის გავრცელებას ევროპასა და ამერიკაში, სავარუდოდ, მძიმე ნეგატიური გავლენა ექნება ფულადი გზავნილების მოცულობაზეც.

მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანა(აშშ, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია და სხვა) აწარმოებს საკუთარი მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქტს და სერვისს, მაგრამ ქვეყნების უმრავლესობას

[1] საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2020წლის „მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა“.
[2] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები.

ნაკლები წვდომა გააჩნია მედიკამენტებზე, სამედიცინო აპარატურაზე, სამომხმარებლო საქონელზე, ჯანდაცვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქონელზე. ამდენად COVID-19-ის პანდემიის ზეწოლას განიცდიან გლობალური ეკონომიკები, ფინანსური ინსტიტუტები და მჭიდროდ დაკავშირებული ლოჯისტიკური მიწოდებათა ჯაჭვები.

2020 წლის თებერვლის თვიდან დაფიქსირდა მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნა პროდუქტზე, უმუშევრობის გარდაუვალი ზრდა, სიღარიბის მაჩვენებლის გაზრდა, ეროვნულ ვალუტაზე სხვადასხვა ფაქტორების ზეწოლა, ტურიზმისა და საერთაშორისო გზავნილების შემცირება – ეს ის ხილული ეკონომიკური ეფექტებია, რომელთა გამოცდა საქართველოს მოსახლეობამ საკუთარ თავზე გამოცადა.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მსგავსი ქვეყნები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და ცვლილებებზე. საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის, არამედ ეკონომიკური სტაგნაციის დაძლევის აუცილებელი პირობა უნდა გახდეს. ამდენად საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივების გამოჩენა და თვითორგანიზება ახალი ტიპის სერვისებისა და პროდუქტების შემუშავებისათვის, რომლებიც არსებულ მოთხოვნებსა და გამოწვევებს მაქსიმალურად უპასუხებს.

მიუხედავად გლობალური ეკონომიკური კრიზისა პანდემიით განპირობებული გამოწვევები და სირთულეები შეიძლება გადაიქცეს რეალურ შესაძლებლობებად და განვითარების დამაჩქარებლად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის. მიმდინარე ეტაპზე ქვეყნებს ეძლევათ ახალი შესაძლებლობები, რათა პირველი შემსრულებლები გახდნენ ბიზნესის კეთების კუთხით და არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მოდერნიზების თვალსაზრისით-რეფორმატორები, ამასთან ყურადღების ცენტრში მოაქციონ მანამდე უგულველყოფილი აქტუალური საკითხები.

ისეთი სფეროები, როგორიცაა ელექტრონული მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის წარმოება სარგებელს დისტანციური მუშაობის გაზრდილი ტენდენციიდან მიიღებენ. საპირისპიროდ, ისეთი დარგები, რომლებმაც მძიმე დარტყმა მიიღეს COVID19-ის პანდემიის გამო, მაგალითად ტურიზმი, მომსახურების სექტორი, სამშენებლო ბიზნესი, საავტომობილო და აეროკოსმოსური წარმოება, სავარაუდოდ კონსოლიდაციისკენ წავლენ, რაც თავის მხრივ გავლენას იქონიებს პოტენციურ საინვესტიციო სტრატეგიებსა და ბიზნეს ლოკაციის შერჩევაზე.

საქართველოსათვის მეორე მნიშვნელოვანი გასათვალისწინებელი შესაძლებლობა- ელექტრონული კომერციის, დისტანციური მუშაობისა და სხვა ციფრული ბიზნესმოდელების დანერგვაა, რადგანაც ბიზნესის მიერ კარანტინის პირობებთან ადაპტაციამ, ბევრი ისეთი ფუნქცია, რომელიც პირისპირ ხორციელდებოდა დისტანციურად ინტერნეტ სივრცეში გადაიტანა. ამ ცვლილებამ დრამატულად დააჩქარა ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ბიზნესმოდელების დანერგვა. ისეთმა ტენდენციებმა, როგორიცაა ელექტრონული კომერცია, დისტანციური მუშაობა, მობილ-ბანკით გადახდები, სახლში მიწოდების სერვისები(Volvo,Wolt და სხვა), რომელმაც შექმნა შესაძლებლობები შემუშავდეს ახალი, დამატებითი ღირებულების შემქმნელი სერვისები. მოსალოდნელია, რომ COVID-თან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების და მოხსნის შედეგად, ზემოთაღნიშნული ტენდენციები შენელდება. მიუხედავად ამისა, ეს მიდგომები უფრო მნიშვნელოვან ადგილს შეინარჩუნებენ ეკონომიკის ფუნქციონირებაში, ვიდრე ეს პანდემიის დადგომამდე იყო. წინასწარი კლვევების მიხედვით, ელექტრონული კომერციის გავრცელება 2022 წლის ბოლოსთვის ორჯერ უფრო მეტი იქნება, ვიდრე ეს COVID-მდე პერიოდში იყო. გარდა ამისა, გამო-

კითხული ტოპ-მენეჯერების 50-დან 75%-მდე გეგმავს, რომ დასაქმებულებს მუდმივად შეუნარჩუნოს დისტანციურად მუშაობის არჩევანი.[1]

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს, მის მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, გააჩნია რიგი უპირატესობებისა, კერძოდ: გეოპოლიტიკური მდებარეობა, ბიზნესის კეთების სიმარტივე, გამჭვირვალე და ლიბერალური საგადასახადო სისტემა, მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ხელშკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ(ევროკავშირთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, ჩინეთთან, თურქეთთან, რუსეთთან და სხვა სავაჭრო პარტნიორებთან), COVID-ზე წარმატებული რეაგირება, რაც მას აძლევს შესაძლებლობას გახდეს რეგიონული საინვესტიციო, სავაჭრო და ლოჯისტიკური ჰაბი. ეს ის შესაძლებლობები და უპირატესობებია, რომლებიც საქართველომ მცირე ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური პროგრესისათვის უნდა გამოიყენოს.

ქართული კომპანიების კონცენტრაცია მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ინოვაციების ფართომასშტაბიანად დანერგვის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია: კერძოდ, მცირერიცხოვანი მოსახლეობა-(2020 წლის სტატისტიკური მონაცემებით-3 716 023 ადამიანი), მინიმალური ბაზრის ტევადობა, მომხმარებელთა დაბალი მყიდველუნარიანობა და სხვა). მსგავსი მდგომარეობა არ უბიძგებს ბიზნეს კომპანიებს ინოვაციებისა და ძირეული ინვესტიციების განხორციელებისკენ, არამედ ისინი მათთვის კარგად ნაცნობი და შეზღუდული ბაზრისთვის, ნაკლებად კონკურენტული პროდუქციის შეთავაზებით შემოიფარგლებიან. შედეგად, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის რთულია რეგიონული და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციაში ჩართვა, რაც თავის მხრივ, მათი ადგილობრივ ბაზარზე დამკვიდრებასა და შენარჩუნებას იწვევს.

საერთაშორისო ბაზრებზე დივერსიფიკაცია და ეკონომიკური ზრდის ახალი შესაძლებლობების მოპოვება, საუკეთესო ეკონომიკურ გარემოშიც კი, საკმაოდ რთული პროცესია. საქართველომ აქცენტი პრიორიტეტული დარგების ხელშეწყობაზე უნდა გააკეთოს და ამასთან მაქსიმალურად თანაბარი თამაშის წესები შეინარჩუნოს ყველა დარგისთვის. ის მაღალპოტენციური დარგები და მცირე ბიზნესის საწარმოები, რომელთა საშუალებითაც საქართველო გლობალურ მიწოდების ჯაჭვებში შეძლებს ჩართვასა და ამავდროულად გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შეუძლიათ. ამასთან ობიექტური აუცილებლობაა საქართველო შემდეგი კრიტერიუმის ერთობლიობას უნდა აკმაყოფილებდეს:

- **მენეჯმენტისა და კრიზისისული გარემოებების ეფექტიანი მართვის გამოცდილება;**
- **მაღალინტელექტუალური და იაფი ადამიანური რესურსი;**
- **საერთაშორისო რეიტინგი, ლიბერალური საინვესტიციო და სავაჭრო რეჟიმები;**
- **მზარდი ჰარმონიზაცია ევროკავშირთან, სხვა საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან;**
- **უხვი და იაფი განახლებადი რესურსების მაღალი პოტენციალი;**
- **ბიზნესის წარმოების სიმარტივე და გამჭვირვალობა;**
- **მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობა და ბუნებრივი გარემო;**
- **ღია ეკონომიკის პრინციპების აღიარება და ღია საზოგადოება;**
- **თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების სიმრავლე და გლობალურ ეკონომიკებთან-(ევროკავშირთან, ჩინეთთან, აშშ-თან, დსთ-თან, თურქეთთან, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან და სხვა) მჭიდრო თანამშრომლობა**

ეს უპირატესობები, გარკვეულწილად მიანიშნებენ, რომ აქცენტი უმჯობესია მატერიალური პროდუქციის წარმოებაზე გაკეთდეს, ვიდრე ინტელექტუალურ (ცოდნაზე-დაფუძნებულ) სერვი-

[1] USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-19 ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020, 31 აგვისტო.

სებზე, ვინაიდან მატერიალურ წარმოებას ხელს უწყობენ იაფი ენერგო და ადამიანური რესურსები, საქართველოს გლობალური იმიჯი, თავისუფალი ვაჭრობის საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა.

საქართველოში კერძო ბიზნესის სტრუქტურა მრავალფეროვანია, მრავალი სეგმენტი ჯერ კიდევ ახალია და მცირე მასშტაბის. საჭიროა მოქნილი პოლიტიკის სწრაფად შემუშავების აუცილებლობა და ხუთი ძირითადი სეგმენტის გამორჩევა, რომელსაც მოკლე ვადაში მაქსიმალური შედეგის მოტანის პოტენციალი გააჩნია:

ფარმაცევტული და პირადი ჰიგიენის საშუალებები: ფარმაცევტულმა და პირადი ჰიგიენის საშუალებებმა 2019 წელს საქართველოს ექსპორტის 6% შეადგინა და ადგილობრივი მოხმარების იმპორტის მესამე უმსხვილეს კატეგორიაში მოხვდა სპილენძისა და ნავთობპროდუქტების შემდეგ. ადგილობრივი ინდუსტრია მოიცავს მცირე ბიზნესის მწარმოებლების მზარდ და მრავალფეროვან ჯგუფს, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან უპატენტო მედიკამენტების, მცენარეული მედიკამენტების, პარფიუმერული და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებაში. საქართველოს აქვს გამოცდილება ფარმაცევტული კომპანიების მიერ ადგილობრივი ბაზრისთვის ლოჯისტიკაში და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების კუთხით, დარგის განვითარებას ასევე ხელს უწყობს საქართველოს იმიჯი, როგორც ბიოფაგების კვლევის და მკურნალობის ცენტრი.[1]

COVID-19-მა ნოყიერი ნიადაგი შექმნა ფარმაცევტული დარგის განვითარებისთვის. პანდემიის განმავლობაში მოთხოვნა ფარმაცევტულ პროდუქციაზე შენარჩუნდა და სავარაუდოდ ეს ტენდენცია პანდემიის შემდგომაც გაგრძელდება, ვინაიდან გაიზრდება ყურადღება პირადი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის სერვისების მაქსიმალურად გამოყენებაზე.

გრძელვადიანი მოხმარების ელექტრონული ტექნიკა, ინსტრუმენტები და მოწყობილობები: ხანგრძლივი სარგებლობის ელექტრონული ტექნიკის, ინსტრუმენტების და მოწყობილობების წარმოება მოიცავს ინდუსტრიულ და საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ელქტრონული კომპონენტების შემცველ მოწყობილობებს, გარდა მასშტაბზე დამოკიდებული სამომხმარებლო ტექნიკისა (მაგალითად მობილური ტელეფონი, ტელევიზორი). საქართველოში ამჟამად არსებული წარმოება მცირე მასშტაბისაა და დანაწევრებულია. აქტივობა სამი ძირითადი სეგმენტის გარშემო კონცენტრირდება, რომლებსაც COVID-19-ის შემდგომ ეტაპზე განვითარების პოტენციალი გააჩნიათ. ეს სეგმენტებია: სამედიცინო ტექნიკა და მოწყობილობები, ენერგო და ჰაერის გაგრილების დანადგარები, ტექნიკა და სატელეკომუნიკაციო დანადგარები. ყველა ამ სეგმენტის განვითარებას, ხელი შეეწყობა პანდემიის შემდგომ ჩამოყალიბებული ისეთი ტენდენციებით, როგორიცაა ჯანდაცვისადმი გაზრდილი ყურადღება, შენობების გაუმჯობესება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით. ამ სეგმენტში მოქმედი კომპანიების მხარდაჭერა DCFTA-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, დაეხმარება მათ ჩაერთონ რეგიონული და გლობალური მიწოდების ჯაჭვებში.[2]

საკვები და სასმელი პროდუქტები: სასმელები და ალკოჰოლური სასმელები უკვე წარმოადგენენ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს საექსპორტო პროდუქციას და მცირე ბიზნესის წარმოების სეგმენტებს, რომლებმაც 2019 წლის შიდა წარმოების ექსპორტის 20%-ს შეადგინეს. ქართული ღვინის მზარდი პოპულარობა და პანდემიის პერიოდში საკვები და სასმელი პროდუქტების მოხმარების დონის შენარჩუნება, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სეგმენტებს გაფართოების პოტენციალი აქვთ და მათი საშუალებით შესაძლებელია სხვა, შედარებით მცირე ზომის მზა და დამუშავებული საკვები პროდუქტების სეგმენტების განვითარება. საქართველოს თხილის სეგმენტი, უკვე კარგად არის ინტეგრირებული საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვებში. ამ სეგმენტის სა-

[1] USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-19 ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020, 31 აგვისტო;
[2] იქვე

შუალებით შესაძლებელია საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაზრდა და წარმოების პროცესის სხვადასხვა რგოლის საქართველოში განვითარება. რაც, თავის მხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებას გაამარტივებს.

ავეჯი, ტექსტილი და ტანსაცმელი: ავეჯი, ტექსტილი და ტანსაცმელი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ წარმოებასა და საექსპორტო სეგმენტს, ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის წარმატებულ სამიზნეს და ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიმპორტო კატეგორიას. ზოგიერთმა ბიზნესმა ალღო აუღო ბაზარზე გაჩენილ ახალ შესაძლებლობებს, განსაკუთრებით სამოსის სეგმენტში, სადაც რამდენიმე მწარმოებელმა ნიღბების წარმოება და ექსპორტზე გატანა დაიწყო ევროპაში და აშშ-ში. თუმცა, დარგის ფრაგმენტაციის გათვალისწინებით, კერძო ბიზნესს მხარდაჭერა დასჭირდებათ განვითარებისთვის და ბაზრის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში. სწორედ USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მიერ მხარდაჭერილია ბიზნესების პროაქტიულ თანამშრომლობა, რათა შეძლონ ახალ ბაზრებზე გასვლა და სარგებლის მიღება.[1]

სამშენებლო და საგზაო მასალების წარმოება: საქართველო მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან მკაცრი კონკურენციის პირობებში იმყოფება დაბალი ღირებულების სამშენებლო მასალების წარმოების მხრივ, ქვეყანაში არსებობს ადგილობრივი მწარმოებლების ნიშა, რომლებიც ადგილობრივ და საექსპორტო ბაზრებს ემსახურებიან სხვადასხვა სამშენებლო პროდუქციით და მასალებით, მათ შორის გზების მშენებლობისთვის საჭირო მასალებით და ბოჭკოთი, ხის მასალებით და მოწყობილობებით. ინვესტიციები ინფრასტრუქტურის სფეროში, როგორც ჩანს, ცენტრალურ როლს ასრულებს COVID-19-ის აღდგენის გეგმებში მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოშიც. რიგმა ევროპულმა ქვეყნებმა უკვე განაცხადეს, რომ გეგმავენ მილიარდობით ინვესტიციის განხორციელებას ინფრასტრუქტურის განვითარებაში, კერძოდ ევროკავშირის ინიციატივის „ახალი მწვანე გარიგების“ მხარდასაჭერად, რომელსაც შეუძლია გაზარდოს მოთხოვნა ისეთ მასალებსა და ინფრასტრუქტურაზე, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნების შესრულებას. ადგილობრივი ბაზრის განვითარების და ზრდის ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია საქართველოში მცირე ბიზნესის საწარმოების პოტენციალის წარმოჩენა ამ მიმართულებით. საქართველოში არსებული სამშენებლო მასალების რესურსული პოტენციალი მაქსიმალური შესაძლებლობებით უნდა გამოიყენონ ქართულმა კომპანიებმა სამშენებლო – საგზაო მასალების წარმოების დარგის განვითარებისათვის და დივერსიფიცირებული ბაზრის სეგმენტების განვითარებისათვის.[2]

საქართველოს ექსპორტირებადი ეკონომიკა ძირთადად კონცენტრირებულია ტურიზმში, შემდეგ მოდის წარმოება (ძირითადად მადნეული, შენადნობები და მინერალური პროდუქტები, სასმელები და სურსათი) და მოყვება ტრანსპორტისა და უძრავი ქონების დარგები, რომლებიც ტანდემში ფართოვდება. 2019 წლის მონაცემებით ტურიზმი მშპ-ს 12%-ს შეადგენდა, რაც მომსახურების ექსპორტის ღირებულის 70%-ს და მთლიანი ექსპორტის თითქმის 40%-ია, რაც სხვა შესადარებელი ქვეყნების ეკონომიკასთან შედარებით ორჯერ მეტი მაჩვენებელია.35 უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, რომელიც ტურიზმის ზრდასთან ერთად სტაბილურად იზრდებოდა, მშპ-ს 11,5% -ს შეადგენდა და მშენებლობასთან ერთად წარმოადგენდა ეკონომიკის მეხუთედზე მეტს. სოფლის მეურნეობამ, მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ს მხოლოდ 7.2% და საქონლის ექსპორტის 7% შეადგინა, ოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის მთლიანი დასაქმების თითქმის 40% უზრუნველყო, ხოლო რეალურად უფრო მეტი, არაფორმალური დასაქმების არსებობიდან გამომდი-

[1] USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020, 31 აგვისტო.
[2] იქვე

ნარე. სამთომოპოვებითი და შენადნობების წარმოება, საკვებისა და სურსათის წარმოებასთან ერთად ინდუსტრიის მიერ დამატებული ღირებულების 50%-ს წარმოადგენდა, მთლიანი საქონლის ექსპორტის – 50% -ს და ადგილობრივი საქონლის ექსპორტის – თითქმის 70% -ს.[1]

COVID-19-ის ეპიდემიამ და თანმდევმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი შეაჩერა. მარტისა და აპრილის თვეებში, საკარანტინო პერიოდის პიკის პერიოდში, მთლიანად სამომსახურეო და სავაჭრო ბიზნესებმა დიდი საშემოსავლო დანაკარგი და სამუშაო ადგილებიდან მასობრივი გათავისუფლებები განიცადეს. „ფრაის უოთერჰაუს კუპერსის“ (PWC) მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად სასტუმროების და კვების ბიზნესების თითქმის 80%-ს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 50%-ზე მეტით შეუმცირდა შემოსავალი, მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა ტრანსპორტირებისა და საწყობებით მომსახურების (69%), საბითუმო და საცალო ვაჭრობის (68%) და სხვა მომსახურებებში (68%). ამ დარგებში პერსონალის დათხოვის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა, სასტუმრო და კვების ბიზნესის წარმომადგენლების 46% – ის განცხადებით მათთან კადრების 100% -იანი შემცირება მოხდა, 28% ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაში, 25% საბითუმო და საცალო ვაჭრობაში და 40% მომსახურების სხვა სექტორებში.[2]

პანდემიის ზეგავლენით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში გაციფრულების მასშტაბები. გაციფულება მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევისთვის, ასევე ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებისთვის. გარდა ამისა, გლობალურ ეკონომიკაში წარმატებული მონაწილეობისთვის, დღიდითღე უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს იმ შესაძლებლობების გამოყენება რომელსაც ელექტრონული კომერცია და გაციფრულება იძლევა.

ციფრული ტექნოლოგია პასუხობს პანდემიის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნებს, ვინაიდან მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ინფორმაციის მოგროვება და მართვა, მაგალითად ისეთი მეთოდების გამოყენებით როგორიც არის ხელოვნური ინტელექტი, საოპერაციო სისტემების ინტეგრაცია და ა.შ. COVID-მა ასევე ავტომატიზაციის პროცესის დაჩქარებაც გამოიწვია, რაც ციფრული ტექნოლოგიების კიდევ უფრო მასშტაბურად გავრცელებას შეუწყობს ხელს. ფრაის უოთერჰაუს კუპერსის (PWC) კვლევის თანახმად ბიზნეს აღმასრულებლების 44% თვლის, რომ COVID-თან დაკავშირებული დისტანცირების შეზღუდვების შედეგად დაჩქარდება ავტომატიზაცია და სამუშაოსადმი სხვა, ახლებური მიდგომების შემოღება.[3] შედარებით დაბალია მომსახურების, პროგრამული უზრუნველყოფის და სხვა დამხმარე მოწყობილობების გავრცელების მასშტაბი და მოხმარება[4].

ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ინვესტიციებს მოითხოვს, რომელთა განხორციელება, მხოლოდ მუდმივი ეკონომიკური გაფართოების შედეგად მიღებულ ლიკვიდურ ბაზრებშია შესაძლებელი. ასე რომ, საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა და ციფრული ტექნოლოგიების მასშტაბური დანერგვა, ერთიანი, ინტეგრირებული სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს. 2019 წელს, ICT-ს დარგი ყველა სხვა ქვე-19სეგმენტზე მეტად განვითარდა და 15.4% – იან ზრდას მიაღწია, რაც ამ სექტორში ზრდის პოტენციალზე მიუთითებს.[5]

---

[1] USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-ის ეკონომიკური პოლიტიკა, გვ.,36, 2020, 31 აგვისტო,

[2] „პრაის უოთერ ჰაუს კუპერსი“ (PWC), “ქართული ბიზნესი COVID-19 პანდემიის პირისპირ,” 2020 წლის ივნისი.

[3] „პრაის უოთერ ჰაუს კუპერსი“ (PWC), “ქართული ბიზნესი COVID-19 პანდემიის პირისპირ,” 2020 წლის ივნისი.

[4] იქვე

[5] USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-19 ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020, 31 აგვისტო.

დასკვნა

ინდუსტრიაზე მდგრადი ზემოქმედების გარდა, კერძოდ, საქართველომ უნდა მიიღოს ზომები ტურიზმის სექტორის მდგრადი, საბაზარო პრინციპებზე დაფუძნებული აღდგენის ხელშეწყობისთვის, ასევე გადადგას ნაბიჯები სოფლის მეურნეობის სექტორის ცენტრალიზაციისა და მოდერნიზაციისთვის თითოეული ამ სექტორის პრიორიტეტი უნდა იყოს „ბორკილების“ მოხსნა COVID-მდე აქტივობისთვის (მაგ., სტრატეგიული ფრენების განახლება) და სექტორში მოქმედი ბიზნესებისთვის დახმარების აღმოჩენა ადაპტირების თვალსაზრისით.

ტურიზმი არის და დარჩება საქართველოს ეკონომიკისა და კერძო სექტორის მნიშვნელოვან ნაწილად და განვითარებისაკენ მიმავალ გზად. ალტერნატიულ დარგებზე ფოკუსირება არ გულისხმობს ტურიზმის, როგორც საქართველოს აღდგენის გეგმის ნაწილის უკუგდებას. საქართველომ უნდა გააგრძელოს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც ტურიზმის ინდუსტრიას სწრაფი, მაგრამ უსაფრთხო აღორძინების საშუალებას მისცემს. ეს მოიცავს ამ ინდუსტრიის ბიზნესების პოზიციონირებას ისე, რომ ისარგებლონ მრავალმხრივი რეფორმებით და გააგრძელონ მიზნობრივი ზომები, რომლებიც უკვე ხორციელდება:

- ადგილობრივი ტურიზმის მხარდაჭერა;
- იმ ფრენის მარშრუტების გახსნა, რომლებიც საქართველოს იმ პრიორიტეტულ სამიზნე ბაზრებთან აკავშირებს, რომლებმაც შეძლეს COVID-ის შემთხვევების კონტროლი;
- საქართველოს, როგორც მუშაობისა და დასვენებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი დანიშნულების ადგილის მარკეტირება და რეკლამირება;
- COVID-19 გარემოზე მორგებული ნიშური ტურისტული მომსახურების მხარდაჭერა – მაგ., აგროტურიზმი, სამედიცინო ტურიზმი, კონფერენციები, დისტანციური სამუშაო • ლატენტური ტურიზმის ინფრასტრუქტურის ჩართვა COVID რეაგირების მიზნებისთვის (მაგ., საკარანტინო ზონები). მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის განმეორებით გახსნა უნდა განხორციელდეს, რაც შეიძლება მიზანშეწონილად, მან ფრთხილად უნდა დააბალანსოს ქვეყნის შესაძლებლობები COVID-ის გავრცელების კონტროლის თვალსაზრისით.

COVID-19-ის პანდემიის არსებობას, სავარაუდოდ, ხანგრძლივი გავლენა ექნება ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის სექტორების მუშაობაზე, რაც ბიზნესის ადაპტაციას მოითხოვს. მთავრობის პოლიტიკას შეუძლია და მან ხელი უნდა შეუწყოს ამ რეფორმას ბიზნესის და დარგობრივ დონეზე. ტურიზმის ბიზნესის ფინანსური და საკონსულტაციო მხარდაჭერის სამიზნე უნდა იყოს გაციფრულება, ინოვაციები და სხვა ისეთი ინვესტიციების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს მცირე და საშუალო ბიზნესს უკეთ დააკმაყოფილონ მომხმარებელთა შეცვლილი მოთხოვნები და გლობალური ბიზნესის ტენდენციების კვალდაკვალ განახორციელონ ადაპტაცია.

COVID-19 პანდემიით განპირობებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ცხადყო, მიუხედავად ეკონომიკური აქტივობის შემცირებისა 2020-2021 წლებში, საქართველოში წარმოება კარგად გაუმკლავდა სირთულეებს, ვიდრე მომსახურების სექტორი. მნიშვნელოვანია COVID-19-ის პანდემიის შედეგად წარმოშობილი შესაძლებლობის გამოყენება და ინვესტიციების დაბანდება საქართველოს ინდუსტრიული ბაზის გაფართოებაში და ინფრასტრუქტურაში, რათა საქართველოს ეკონომიკამ და ბიზნეს სექტორმა უკეთ შეძლოს მომავალი კრიზისების მართვა და რეგულაციები, საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირება და მდგრადობის შენარჩუნება.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ხედვა და 2019-2020-2021 წლის მასალები;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019-2020-2021 წლის სტატისტიკური მასალები;
3. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა, პოსტ-COVID-19-ის ეკონომიკური პოლიტიკა, 2020, 31 აგვისტო;
4. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2020 ;
5. მსოფლიო ინვესტირების ანგარიში, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე- UNCTAD, 2020;
6. საერთაშორისო სავალუტო ფონდის(IMF)2020-2021 წლის მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა;
7. აზიის განვითარების ბანკის(ADB)2020 წლის ანგარიშის მონაცემები;
8. „პრაის უოთერ ჰაუს კუპერსი“ (PWC), „ქართული ბიზნესი COVID-19 პანდემიის პირისპირ,“ 2020 წლის ივნისი.
9. ლ.ხიხაძე. „COVID-19 პანდემიით გამოწვეული ტენდენციები და საქართველოს შესაძლებლობები გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვში ინტეგრირებისათვის,“
10. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულში „COVID- 19 პანდემია და ეკონომიკა“, თსუ, 2021 თებერვალი
11. https://www.geostat.ge
12. https://www. economy.ge
13. https://www.nbg.gov.ge

Contemporary Trends in Global Business Development and Georgia's Opportunities to Mitigate the Covid-19 Pandemic Crisis

Lali Khikhadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

The new coronavirus (COVID 19) pandemic in the world has changed the trend of world economic development and the legal order. The negative shock caused by the coronavirus has affected the economies of highly developed countries – the United States, the European Union, Japan, China, South Korea, India and other countries. According to actual data, the COVID-19 pandemic has had a devastating impact on the world economy and global business, although the degree and extent of the impact of the pandemic is still unknown due to the lack of comprehensive information. Even today, humanity is struggling with the ongoing processes of the pandemic.

The COVID-19 pandemic is a historic and unprecedented event for the world in terms of the development of a global crisis. The COVID-19 pandemic has severely damaged the world economy and global business, including Georgia's trade partner countries, such as the European Union, Azerbaijan, Turkey, China, Russia, Ukraine, etc. The economic crisis and damage caused by the COVID-19 pandemic (to date, the amount of damage and costs are unestimated), both in the global economy and in Georgia, have caused a sharp slowdown in economic activity and minimized the positive results of recent years.

The global pandemic of COVID-19 has clearly shown us that the modern world is closely interconnected and integrated, indicating that the problems in the world require global solutions and effective management.

Keywords: COVID-19 pandemic, Economic crisis, Global supply chain, Digital technologies, e-commerce, Business models.

.

შობადობის და მოკვდაობის

სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მკვლევარი

შობადობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქების გასაყარზე აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს. 1990 წელს შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2,15 შეადგენდა. როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დემოგრაფიული მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და უკვე 1990 წლის შემდეგ შობადობის დონე საქართველოში (გამონაკლისი რამდენიმე წლის გარდა) ვეღარ უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას. მოსახლეობის აღწარმოების 1990 წლის რეჟიმის, შენარჩუნების პირობებში საქართველოს მოსახლეობა 2015 წლისთვის შეწყვეტდა ზრდას და გახდებოდა სტაციონარული 6 798,3 ათასი მცხოვრებით, რაც სრულიად საკმარისი იქნებოდა ერის გენოფონდის შენარჩუნების და სახელმწიფოს წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

შობადობის შემცირებამ და მოსახლეობის არნახულმა ემიგრაციამ კატასტროფულად შეამცირა მოსახლეობის რიცხოვნობა და შესაბამისად შეასუსტა ქვეყნის ეკონომიკურ-დემოგრაფიული და სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი.

კრიზისმა ასევე გაზარდა მოკვდაობაც ,გაიზარდა ჩვილთა მოკვდაობა, რომელიც დღეისთვის უკვე შემცირებულია, მაგრამ ძალაში დარჩა ისეთიუარყოფითი მდგომარეობა,როგორიცაა: მსოფლიოს ქვეყნებთან შედარებით ჩვილთა მაღალი მოკვდაობა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი განსხვავებაა ქალების და კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის.კორონავირუსის გავლენა-შესასწავლია, თუმცა წინასწარი შედეგებით 2020-2021 წლებში მიღებული დემოგრაფიული ზარალი ყველა წინა ეპოქებზე ნაკლები არ უნდა იყოს

საკვანძო სიტყვები: *შობადობა, მოვდაობა, კორონავირუსი, სტატატისტიკა, პოსტსაბჭოთა, საქართველო*

დემოგრაფიული ვითარება პოსტსაბჭოთა საქართველოში მკვეთრად გაუარესდა, რაც ლოღიკურად მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებულ უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს. მოსალოდნელი ნეგატიური ტენდენციების შესახებ ჩვენ ვწერდით უკვე 1990-იანი წლების დასაწყისში.

მოვიტანთ სრულ ციტატას – „საქართველოში 1990 წლის შემდგომმა სოციალურ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ეროვნებათაშორის ურთიერთობების კრიზისმა რადიკალურად გააუარესა ამ დროისათვის ისედაც არასასურველი დემოგრაფიული მდგომარეობა. 1993 წლისთვის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 12.0‰, მოკვდაობის – 10,1‰, ხოლო ბუნებრივი მატება ‰-მდე დაეცა. აღნიშნული მდგომარეობა მომავალს კიდევ უფრო გააუარესებს. ასეთი პესიმიზმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების შემოსვლა და დამკვიდრება საქართველოში მოასწავებს დასაქმების დონის შემცირებას, რამდენადაც დასაქმებაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება სამუშაო ძალის ხარისხობრივ და არა რაოდენობრივ მხარეზე. ამიტომ მომავალში საზოგადოებას დასჭირდება უდიდესი ძალისხმევა მოსახლეობის დეფორმირებული აღწარმოების რეჟიმის გამოსწორებისათვის [ხმალაძე, 1995].

მოკვდაობა პოსტსაბჭოტა საქართველოში გაცილებით ნეგატიურია, ვიდრე შობადობა.

შობადობა

საქართველოს მოსახლეობის 1990 წლის სტაციონარული მოსახლეობის მოდელის თანახმად (მოდელი გულისხმობდა მოსახლეობის 1990 წლის აღწარმოების რეჟიმის უცვლელად შენარჩუნებას), საქართველოს მოსახლეობა შეწყვეტდა ზრდას და გახდებოდა სტაციონარული 6 798,3 ათასი მცხოვრებით, 2015 წელს. რეალობა აღმოჩნდა სავარაუდოზე გაცილებით, მრავალგზის უარესი. საქართველოს მოსახლეობამ 1992 – წლიდან დაიწყო შემცირება შობადობის შემცირების და საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის მანამდე არნახული ემიგრაციის შედეგად. 2015 წელს საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 3721,9 ათასამდე.

შობადობის სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში გვაქვს 1994 წლიდან ყოველწლიურად, საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

1990-1994 წლებში დაბადებულთა რიცხვი 92,8-დან 57,3 ათასამდე, ე.ი. 38,3%-ით, ხოლო შობადობის კოეფიციენტი17,1-დან 11,8 პრომილემდე, ე.ი. 31%-ით შემცირდა. 1990-1994 წლებში სახეზე გვაქვს მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება.

შობადობის დონე საქართველოში 1994 წლის შემდეგაც განაგრძობდა შემცირებას და საქართველოს სტატისტიკურ ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია 2002 წელს, როდესაც დაიბადა 45,1 ათასი ბავშვი, ხოლო შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 11,3‰-მდე დაეცა. 2002 წლის შემდეგ შობადობის დონე თანდათანობით იზრდებოდა და 2009-2017 წლებში აკმაყოფილებდა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს, რის შემდეგაც ისევ შემცირდა შეკვეცილი აღწარმოების დონეზე. შობადობის დონის დინამიკაზე უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა შობადობის კოეფიციენტები ხუთწლიანი ინტერვალებით.

ცხრილი 1

შობადობის საშუალოწლიური ზოგადი კოეფიციენტები საქართველოში 1995-2020 წლებში ქალაქ-სოფლის მიხედვით

	სულ საქართველოში	მათ შორის		% % ქალაქი სოფელთან
		ქალაქად	სოფლად	
1995-1999	12,1	13,8	10,2	135,3
2000-2004	11,6	14,1	8,4	170,0
2005-2009	13,0	16,2	8,7	186,2
2010-2014	14,3	14,6	13,9	105,0
2015-2019	14,4	14,4	14,4	100,0
2020	12,5	12,7	12,2	104,1

ცხრილი გაანგარიშებულია: დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, 2019. თბ., 2020, გვ.36. geostat ge

შობადობა 2010-2019 წლებში აკმაყოფილებს მოსახლეობის მარტივი აღწარმოების მოთხოვნებს, თუმცა არ შეიძლება 2010-2019 წლები ჩაითვალოს საკომპენსაციო პერიოდად, რადგან ოდნავადაც ვერ უახლოვდება შობადობის 1990-იანი წლების დონეს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შობადობის დონის მკვეთრი დაცემა 2019-2020 წლებში კორონავირუსის ეპიდემიის შედეგად. კერძოდ, 2019 წელს საქართველოში დაიბადა 48,3 ათასი ბავშვი, 2020 წელს – 46,5 ათასი, ხოლო შობადობისკოეფიციენტი 13,0‰-დან შემცირდა 12,5‰-მდე.

1990-იანი წლების შემდეგ სახეზე გვაქვს საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიაში არარსებული უპრეცედენტო მდგომარეობა. კერძოდ, 1995 წლიდან დღემდე (ერთი ორი გამონაკლისი წლის გარდა), შობადობის კოეფიციენტი ქალაქად აღემატება სოფლის შესაბამის მაჩვენებელს. საქართველოში შობადობის კოეფიციენტები ქალაქის და სოფლის მიხედვით გაგვაჩნია 1940 წელს და 1950 წლიდან ყოველწლიურად, მაგრამ არც ერთ წელს ქალაქში შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სოფელთან შედარებით არათუ მეტობა, არამედ ტოლობაც არ ფიქსირდება.

აღნიშნულ პერიოდში ქალაქად შობადობის კოეფიციენტის გადამეტება შეიძლება ავხსნათ ორი გარემოებით: 1. სოფლად შიგა და გარე მიგრაციის შედეგად მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გაუარესებით, რაც აისახა ახალგაზრდობის ხვედრი წილის შემცირებაში. შედეგად, ქალაქის მოსახლეობა სოფელთან შედარებით ხასიათდება უფრო ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურით, რამაც განაპირობა შობადობის უფრო მაღალი კოეფიციენტი. 2. როგორც ჩანს, 1990-იანი წლების შემდგომმა საყოველთაო კრიზისმა ქალაქთან შედარებით გაცილებით უარყოფითი დემოგრაფიულიშედეგები გამოიწვია სოფლის მოსახლეობაში.

პოსტსაბჭოთა პერიოდში არსებითი ცვლილებები განიცადა შობადობის ასაკობრივმა მაჩვენებლებმა. 1990-იანი წლების შემდეგ(იხ. ცხრილი 2), შობადობის სპეციალური კოეფიციენტი მკვეთრად კლებულობს და 1989-2005 წლებში 67,6‰-დან მცირდება 39,7‰-მდე, ე.ი. 27,9‰-ით (41,3%-ით). 2005 წლის შემდეგ მაჩვენებელი იზრდება და 2015 წელს აღწევს 58,2‰-მდე, რის შემდეგაც ის თანდათანობით მცირდება 49,4‰-მდე 2020 წელს.

ცხრილი 2

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები საქართველოში
1989-2020 წლებში
(დაბადებულთა რიცხვი შესაბამისი ასაკის 1000 ქალზე)

	15-49	მათ შორის							შობადობის ჯამური კოეფიციენტი
		15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	
1989	67,6	58,8	171,4	109,7	57,2	22,6	5,7	0,4	2,13
1995	41,7	65,7	116,0	67,9	42,7	16,9	4,3	0,3	1,57
2000	40,1	43,7	120,6	80,8	46,3	20,5	5,3	0,5	1,59
2005	39,7	45,1	111,7	86,3	49,9	20,8	4,8	0,3	1,59
2010	50,2	52,2	132,6	111,0	67,0	29,1	6,8	0,3	1,99
2015	58,2	48,4	144,1	128,0	87,7	41,5	10,6	0,7	2,30
2019	50,8	29,4	112,1	121,3	81,2	44,6	12,4	1,5	2,01
2020	49,4	27,3	103,3	121,8	81,6	44,4	13,3	1,7	1,97

წყარო: დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. 2019, თბ., 2020, გვ. 38. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020. თბ., 2021, გვ. 31. მერაბ ხმალაძე. ქეთევან ჩიტალაძე. დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 2020, გვ.134. geostat ge

რა თქმა უნდა, შობადობის შემცირება მნიშვნელოვნად განპირობებულია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების დონის დინამიკით. ამასთან, ეს უკანასკნელი პოსტსაბჭოთა პერიოდში არაორდინარული „ქცევით“ გამოირჩევა, რაც მანამდე მათ არ ახასიათებდა. საქმე ისაა, რომ ისტორიულად, როგორც წესი, შობადობის საერთო დონის შემცირების პარალელურად, იზრდება შობადობა ახალგაზრდა, 15-24 წლის ასაკებში, რაც ოჯახის ფორმირების დაჩქარების შედეგია და მცირდება შობადობა 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში. შესაბამისად, შობადობის შემცირების ძირითადი მიზეზი საბჭოთა საქართველოში (და საერთოდ, ყველგან) იყო შობადობის შემცირება 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში.

რაში მდგომარეობს შობადობის დინამიკის არაორდინარულობა პოსტსაბჭოთა საქართველოში?

1) მთლიანობაში, პოსტსაბჭოთა პერიოდში, შობადობის შემცირების პარალელურად იზრდება შობადობის დონე 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში, რაც საბჭოთა პერიოდში არ დაფიქსირებულა. კერძოდ, 1989-2020 წლებში შობადობის დონე გაიზარდა ასაკების მიხედვით:

2000 წლიდან დაწყებული დღემდე, შობადობის დონემ 30-34 წლის ასაკში გადააჭარბა შესაბამის მაჩვენებელს 15-19 წლის ასაკში, რასაც მანამდე ადგილი არ ჰქონია. ამასთან მეტობა წლების მიხედვით იზრდება და შეადგენს; 2000 წელს – 105,9%, 2005 წ. – 110,6%, 2010წ. – 128,4%, 2015წ. – 181,2% და 2020წ. – 300,0%, ე.ი 3 -ჯერ. ასეთი პარადოქსული დინამიკა შობადობაში, როდესაც მისი დონე ქალების ასაკის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება, აქამდე საქართველოს დემოგრაფიულ სტატისტიკას არ დაუფიქსირებია და მით უმეტეს, მისი ახსნა სტატისტიკურად, სტსტისტიკური მეთოდებით შეუძლებელია. ვითარების ახსნ აუნდა მოხდეს ფართომასშტაბიანი კომპლექსური სტატისტიკურ-დემოგრაფიული-სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე. აღნიშნული ფორმატის გაშლილი შინაარსია: შერჩევითი სტატისტიკური კვლევის საშუალებით მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის შესწავლა. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ შობადობის შემცირება ახალგაზრდა ასაკებში და მისი ზრდა უფროს ასაკებში, გამოიწვია ახალი ეკონომიკურ-დემოგრაფიული ფასეულობების გავრცელებამ. კარიერული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებამ უკანა პლანზე გადასწია შვილიანობისადმი მოთხოვნილება.

2) დასკვნის სახით: 1990-იან წლებამდე შობადობის დონის შემცირებას საქართველოში ძირითადად განაპირობებდა შობადობის შემცირება 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში. პოსტსაბჭოთა საქართველოში პირიქით, შობადობის დონის შემცირებას განაპირობებს შობადობის დონის შემცირება ახალგაზრდა, 15-24 წლის ასაკის ქალებში. 1989-2020 წლებში დაბადებულთა რიცხვი ქვეყანაში 91,1 ათასიდან შემცირდა 46,5 ათასამდე და რომ არა ასაკობრივი სტრუქტურის დადებითი გავლენა, ის შემცირდებოდა 23,7 ათასამდე.

მოკვდაობა

შობადობასთან ერთად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება მოკვდაობაც. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1991 წელს შეადგენდა 9,6 ხოლო 1992 წელს 10,2 პრომილეს. ამის შემდეგ მაჩვენებელი იზრდება და 2021 წელს 16,2 აღწევს. მოკვდაობის მაჩვენებელი უფრო სწრაფად იზრდება სოფლად, რაც მისი ქალაქთან შედარებით დემოგრაფიული დაბერების უფრ ომაღალი დონით უნდა აიხსნას.

1921 წელს დაფიქსირდა კატასტროფული მდგომარეობა. დაიბადა 45,9 და გარდაიცვალა 59,9 ათასი ადამიანი. უარყოფითმა ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 14 ათასი, უარყოფითმა ბუნებრივი მატების კოეფიციენტმა შეადგინა 3,8 პრომილე .პოსტსაბჭოთა საქართველოში უარყოფითი ბუ-

ნებრივი მატება დაფიქსირდა 20070და 2020 წლებშიც, მაგრამ 2007 წელს კოეფიციენტი ტოლი იყო მხოლოდ მინუს 0,4, ხოლო 2020 წელს მინუს 1,1 პრომილის.

საქართველოს რეგიონებიდან მოკვდაობის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევიან: გურია-16,4, იმერეთი-17,6 რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-26,2 პრომილე(2020 წელი). ეს უკანასკნელი საქართველოს რეგიონებიდან დემოგრაფიულად ყველაზე მეტადაა დაბერებული, რაც განაპირობებს მოკვდაობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს.

ქვეყნის სოციალური მდგომარეობის ერთ-ერთი ინდიკატორია ჩვილთა მოკვდაობა. 1992 წლისთვის ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი(1 წლამდე გარდაცვლილთა რიცხვი 1000 დაბადებულზე გაანგარიშებით) შეადგენდა 12,4. 1995 წელს მან მიაღწია 25-ს, ხოლო 2005წელს-29,8-ს. ჩვილთა მოკვდაობა კლებას იწყებს 2010 წლიდან. 2015 წელს იგი ტოლია 8,2-ის, 2020 წელს 7,4-ის, 2021 წელს-8,5-ის.

ჩვენი გამოთვლებით,ჩვილთა მოკვდაობიდან ნეონატალურ (0-27 დღე) მოკვდაობაზე 1995-2021 წლებში საშუალოდ მოდის 73,6%, ხოლო პოსტნეონატალურზე (28-365 დღე) -26,4%.საერთოდ კი 3 დღემდე ასაკის გარდაცვლილებზე მოდის გარდაცვლილ ჩვილთა 27,2%, რაც მეტად დამაფიქრებელი ფაქტია.

საქართველოს ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა კაცების მაღალი მოკვდაობა ქალებთან შედარებით. 2021 წლისთვის მოკვდაობის კოეფიციენტმა ქალებში 8,5, ხოლი კაცებში 9,4 პრომილე შეადგინა. მოკვდაობა კაცებში მაღალია ქალებთან შედარებით ყველა ასაკში,რაც განაპირობებს კაცების დაბალ სიცოცხლის ხანგრძლივობას. 2021 წელს ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 75,4 წელს, კაცების-67,45 წელს. სხვაობაა 7,95 წელი. ასეთი სხვაობა დაფიქსირებულია მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში.სიცოცხლის ხანგრძლივობა საბჭოთა საქართველოსთან შედარებით შემცირდა 1990 წელს 72,7 წლიდან 71,36 წლამდე 2021წელს.

საქართველოს მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა კორონავირუსმა. ამ მიზეზით 2020 წელს გარდაიცვალა 2587 ადამიანი, ხოლო 2021 წელს-11280. კორონამ ძირითადად ზიანი მიაყენა 40 წლის შემდგომ ასაკებს. 40 წლამდე მოდის გარდაცვლილთა მხოლოდ 1,2%. გარდაცვალების ყველაზე მაღალი ხვედრი წილი მოდის 70-84 წლის ასაკზე რამაც შეადგინა 48,3%.

კოვიდის საერთო შედეგის შესაფასებლად გამოვთვალეთ კოვიდით მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, რომელმაც 2020 წელს შეადგინა 0,7 პრომილე, რაც საერთო მოკვდაობის(13,6) 5,1% შეადგენს.2021 წელს მაჩვენებელი გაუტოლდა 3პრომილეს, რაც საერთო მოკვდაობის(16,2) 18,5%-ია.

დასკვნები და რეკომენდაციები

- შობადობის დონე 1992 წლიდან დღემდე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების მოთხოვნებს;
- კორონავირუსის ეპიდემიის შედეგად, 2019-2021 წლებში დაბადებულთა რიცხვი 48,3 ათასიდან 45,9 ათასამდე შემცირდა;
- პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა მანამდე არარსებული ვითარება. კერძოდ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტები ქალაქში აღემატება სოფლისას;
- პოსტსაბჭოთა პერიოდში შემცირდა შობდობა 25 წლამდე და გაიზარდა 25 წლის და უფროსი ასაკის ქალებში, რაც საბჭოთა პერიოდში არ შეიმჩნეოდა.

ლიტერატურა:

1. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2019 წელს. თბ., 2020.
2. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2020 წელს. თბ., 2021.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006. თბ., 2007.
4. მერაბ ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები დაეკონომიკური შდეგები. დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1995.
5. მერაბ ხმალაძე. ქეთევან ჩიტალაძე. დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 2020.
6. Geostatge

Birth and Death Statistics in Post-Soviet Georgia

Merab Khmaladze

Doctor of Economic Sciences, Associate Professor,

Researcher at the Faculty of Economics and Business of TSU

SUMMARY

- The sharp decline in the birth rate began in 1992, which reached the lowest point in the history of Georgia in 2002. Despite a slight increase since then, it still fails to meet the extended reproduction requirements of the population;
- As a result of the COVIC-19 pandemic, the number of births in 2019-2020 decreased from 48.3 thousand to 46.5 thousand;
- A situation that did not exist before was established in post-Soviet Georgia.In particular, general birth rates are higher in urban areas than to compare with the rural areas;
- In the post-Soviet period, the birth rate decreased in women aged below 25 years and increased in women aged 25 and older, which was not observed in the Soviet period. It seems that the pursuit of a career has shifted the age of childbearing and marriage, which has also increased significantly. Birth rate would be significantly lower if not for the positive impact of age structure;
- The current demographic situation requires implementation of both short-term and long-term active demographic policies;
- Average life expectancy has deteriorated in post-Soviet Georgia;
- The difference in life expectancy between women and men has increased;
- Coronavirus hit the country hard in 2020-2021.

თამბაქოს პოლიტიკისა და კონტროლის ფინანსური საკითხები

ლალი ხურცია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
ვანო ცერცვაძე
პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ჯიპა

თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საერთო მიზანი თამბაქოს მოხმარების პრევალენტობის შემცირება და თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაავადებების თავიდან აცილებაა. საკანონდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების პარალელურად, საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თამბაქოს დაბეგვრის სფეროში. სტატია დამუშავებულია საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოლიტიკის ჩარჩოს მიხედვით. მასში შესწავლილია საგადასახადო განაკვეთების გავლენა თამბაქოს პროდუქტების მოხმარებაზე, ჩანაცვლების ეფექტი, ქართული მონაცემები შედარებულია უკრაინისა და მოლდოვას ანალოგიურ მონაცემებს. თამბაქოს პოლიტიკა გაანალიზებულია ხელმისაწვდომობის, ინფლაციისა და გაზრდილი შემოსავლების გათვალისწინებით. შემოთავაზებულია ე.წ. ეარმარკინგის მოდელი და მიზნობრივი ჯანდაცვის ფონდის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: *თამბაქო, აქციზი, საგადასახადო, პოლიტიკა, ჯანდაცვა, შემოსავალი, ბიუჯეტი, ეარმარკინგი, მიზნობრივი ფონდი, ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, თუთუნი, სიგარეტი*

თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საერთო მიზანი საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, არის თამბაქოს მოხმარების პრევალენტობის შემცირება და ამით თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაავადებების თავიდან აცილება. ამ მიზნების მისაღწევად აქტიურად გამოიყენება თამბაქოს მოთხოვნისა და მიწოდების შემცირების ღონისძიებები.

2017 წლიდან, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის ზემოქმედებისა და ეკონომიკური დანახარჯების შემცირების მიზნით, საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი ცვლილებები საკანონმდებლო სივრცეში (კანონები „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი). ახალი საკანონმდებლო ზომებით აიკრძალა მოწევა საზოგადოებრივ ადგილებში; აიკრძალა თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარების ან/და თამბაქოს მოხმარების მოწყობილობების ყველა სახის რეკლამა; თამბაქოს მწარმოებლებს შეეზღუდათ ნებისმიერი აქტივობის სპონსორობა; სიგარეტის კოლოფებზე გამოსახული ჯანმრთელობის გაფრთხილების ვიზუალის ფართობი 30%-დან 65%-მდე გაიზარდა. 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდება ახალი რეგულაცია „თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზაციის შესახებ“ და საქართველოში გასაყიდად განკუთვნილი ყველა თამბაქოს ნაწარმი სტანდარტიზებულ ტექნიკურ მახასიათებლებს დაექვემდებარება (შეფუთვის ფერი, ყუთის ზომა, წონა და წარწერა).

თამბაქოს დაბეგვრის საგადასახადო სტრუქტურა საქართველოში

საკანონმდებლო შეზღუდვებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თამბაქოს დაბეგვრის სფეროში. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (188-ე მუხლი) და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა განსაზღვრავს თამბაქოს ნაწარმის შემდეგ სახეობებს, რომლებიც სხვა ქვეყნების მსგავსად გაერთიანებულია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის კოდებში. საქართველოში თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრის სტრუქტურა მარტივია. გამოიყენება გადასახადების შემდეგი ოთხი ტიპი: დღგ, ფიქსირებული აქციზი, ადვალური აქციზი და იმპორტის გადასახადი. ყველა გადასახადი და მათი განაკვეთები განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

დღგ – დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც ვრცელდება ყველა საქონელზე, მათ შორის თამბაქოზე. დღგ-ის გამოთვლის საფუძველია თამბაქოს ნაწარმის საცალო ფასი და ის შეადგენს 18%-ს.

იმპორტის გადასახადი – მისი გაანგარიშების საფუძველია CIF ღირებულება, რომელიც შეადგენს 12%-ს თამბაქოს ყველა ნაწარმზე.

აქციზი – ფიქსირებული და ადვალური. აქციზი არის ეფექტური ინსტრუმენტი თამბაქოს პოლიტიკის მენეჯმენტში. საქართველოში, 1991-1997 წლებში, არ არსებობდა აქციზის გადასახადი არც ადგილობრივად წარმოებულ და არც იმპორტირებულ სიგარეტზე. სიტუაცია შეიცვალა 1997 წლიდან, როდესაც იმპორტირებულ სიგარეტზე დაწესდა სპეციალური აქციზი და იმპორტის გადასახადი (0.25 ლარი იმპორტირებულ ფილტრიან სიგარეტზე და 0.19 ლარი იმპორტირებულ უფილტრო სიგარეტზე, რაც 1997 წლის გაცვლითი კურსის მიხედვით შეადგენდა – 0.17 ევროს და 0.13 ევროს, შესაბამისად). ადგილობრივი წარმოების სიგარეტი კი, თავის მხრივ, დაექვემდებარა აქციზის გადასახადს, რომელიც ადგილობრივი სიგარეტის წარმოების ხარჯების 100 პროცენტი იყო. მომდევნო წელს, როგორც იმპორტირებულ, ისე ადგილობრივ სიგარეტზე დაწესდა სპეციალური აქციზის გადასახადი, რომელიც ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისთვის მნიშვნელოვნად დაბალი იყო. საქართველოში თამბაქოს დაბეგვრის ახალი ხანა დაიწყო 2010 წელს, როდესაც მთავრობამ გაათანაბრა ფიქსირებული აქციზის განაკვეთები იმპორტირებულ და ადგილობრივ წარმოებულ სიგარეტებზე, ადგილობრივი სიგარეტის აქციზის განაკვეთის იმპორტულის დონემდე აწევით. მეორე მხრივ, ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე გადასახადის განაკვეთებს შორის სხვაობა კვლავ შენარჩუნდა, რამაც, მოწევის შემცირების ნაცვლად სტიმული მისცა მოხმარების გადასვლას სიგარეტის შედარებით მდარე პროდუქტზე (უფილტრო სიგარეტზე).

2015 წელს საქართველომ შემოიღო თამბაქოს შერეული გადასახადის სისტემა აქციზში ადვალური კომპონენტის დამატებით. ადვალური გადასახადის გამოთვლის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით ყოველწლიურად დადგენილი საცალო ფასები.

2015-2019 წლებში მოხდა თამბაქოს სააქციზო განაკვეთების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის მიზანი იყო თამბაქოს ფასები ეტაპობრივად მიახლოებოდა ევროკავშირის საგადასახადო დონეს (მინიმუმ. 90 ევრო 1000 სიგარეტზე ან 1.8 ევრო კოლოფზე 2025 წლისთვის). აქციზის ზრდამ გამოიწვია გადასახადის უფრო მაღალი წილი თამბაქოს პროდუქციის საცალო ფასში და გაზარდა საგადასახადო შემოსავალი. 2019 წლის იანვრის მდგომარეობით დღემდე, ყველა სახის იმპორტირებულ და ადგილობრივ სიგარეტის 20 ღერიან კოლოფს ეკისრება ფიქსირებული აქციზის გადასახადი 1,70 ლარის ოდენობით (2019 წელს 0,63 ევრო). გარდა ამისა, თითოეული კოლოფი ასევე იბეგრება 30 პროცენტიანი ადვალური აქციზით.

აქციზის გადასახადი ასევე ეკისრება ყალიონით მოსაწევი ან გასახვევი თამბაქოს ნაწარმს 60 ლარის ოდენობით კილოგრამზე (22 ევრო 2019 წელს). თუ მოვახდენთ ნედლი თამბაქოს კონვერტირებას სიგარეტის ღერებსა და კოლოფებში (თუ ვივარაუდებთ, რომ ერთი ღერი სიგარეტი არის 0.8-1.0 გრ. თამბაქოს ეკვივალენტი), მაშინ ნედლი თამბაქოს ამგვარად კონვერტირებული აქციზი 1 კოლოფზე 1 ლარს უტოლდება (€0,37 – 2019), რაც ჩვეულებრივი სიგარეტის განაკვეთზე დაბალი განაკვეთია (1,7 ლარი კოლოფზე – 0,63 ევრო).

თამბაქოს დაბეგვრის ევოლუცია საქართველოში მოცემულია ქვემოთ ცხრილში 1.

		1997	1998	2001	2005	2006	2010	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019 2022
სიგარეტი (1 კოლოფი/20 ღერი, GEL)	იმპ. ფილტრიანი, ფიქსირებული აქციზი	0.25	0.25	0.4	0.9	0.6	0.6	0.75	0.75	0.9	1.1	1.7	1.7	1.7
	იმპ. უფილტრო, ფიქსირებული აქციზი	0.19	0.19	0.2	0.25	0.15	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.6	0.6	1.7
	ადგილ-ობრივი ფილტრიანი, ფიქსირებული აქციზი	წარმოების ღირებულე ბის 100%	0.15	0.2	0.7	0.4	0.6	0.75	0.75	0.9	1.1	1.7	1.7	1.7
	ადგილ-ობრივი უფილტრო, ფიქსირებული აქციზი	წარმოების ღირებულე ბის 100%	0.05	0.07	0.15	0.1	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.6	0.6	1.7
	ადვალური აქციზი %									5%	10%	10%	10%	30%
ყალიონით მოსაწევი /გასახვევი თამბაქო	ფიქსირებული აქციზი (ლარი 1 კგ-ზე.)									20	25	35	35	60
გახურებადი თამბაქო	ფიქსირებული აქციზი											1.7	1.7	1.7
	ადვალური აქციზი. %											10%	10%	30%
ელექტრო სითხეები	ფიქსირებული (ლარი 1 მლ-ზე)											0.2	0.2	0.2

ცხრილი 1. *თამბაქოს პროდუქტის აქციზის განაკვეთების ევოლუცია საქართველოში (ლარი)*

მეტი სიცხადისთვის, საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე გადასახადები (ფიქსირებული აქციზი, ადვალური აქციზი და დღგ) შედარებულია უკრაინასა და მოლდოვას ანალოგიურ მაჩვენებლებთან. შედარებითი მიზნებისთვის ამ სახელმწიფოების მაჩვენებლების გვერდიგვერდ განხილვა განპირობებულია სამივე ქვეყნის მიერ ევროკავშირში გაწევრიანების გაცხადებული სურვილით, რაც თავისთავში გულისხმობს ევროკავშირთან სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების ჰარმონიზაციას, მათ შორის თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრის თანხვედრას ევროკავშირის მოთხოვნებთან.

გადასახადი	თამბაქოს საქონელი			საგადასახადო განაკვეთი		
	GEO	**UKR**	**MDA**	**GEO**	**UKR**	**MDA**
დღგ	ექვემდებარება თამბაქოს ყველა სახეობა			18%	20%	20%
ფიქსირებული აქციზი	2401* – ნედლი თამბაქო; თამბაქოს ნარჩენები		-	€ 17.00 1 კგ	€ 43,00 1 კგ	-
	2402 10 000 01 – სიგარები, სიგარები მოჭრილი ბოლოებით, რომლებიც შეიცავს თამბაქოს;		-	€ 0.50 1 სიგარა	€ 43,00 1 კგ	-
	2402 10 000 02 სიგარილოები, რომლებიც შეიცავს თამბაქოს;	2402100090 სიგარილოები , რომლებიც შეიცავს თამბაქოს;	-	€ 30.0 - 1000 ცალი	€ 34,22 - 1000 ცალი	-
	2402 20*– თამბაქოს შემცველი სიგარეტი			€ 22.5 - 1000 ცალი	€ 34,22 - 1000 ცალი	€ 29,68 - 1000 ცალი
	2403* (გარდა 2403 99 9*) – ყალიონით მოსაწევი, ჰომოგენიზებული ან აღდგენილი თამბაქო, თამბაქოს საღეჭი ან საწუწნი			€ 17.0 1 კგ	€ 43,00 1 კგ	€ 7,54 1 კგ
	2403 99 9* – გახურებადი თამბაქო			€ 22.5 - 1000 ცალი	€ 45,78 - 1000 ცალი	€ 39,87 - 1000 ცალი
	3824 90 980 01 სითხეები, ნიკოტინით ან მის გარეშე, ელექტრონულ სიგარეტთან გამოსაყენებლად	3824909720 სითხეები, ნიკოტინით ან მის გარეშე, ელექტრონულ სიგარეტთან გამოსაყენებლად	-	€ 52.94 - 1000 მლ	€ 94,31 - 1000 მლ	-
ადვალორი აქციზი	2402 20* – თამბაქოს შემცველი სიგარეტი			30%	12%	13%
	-	2402100090 სიგარილოები, რომლებიც შეიცავს თამბაქოს;	240210000 სიგარილოები, რომლებიც შეიცავს თამბაქოს;	-	12%	41%
	-	-	2402 10 000 00 სიგარილები, რომლებიც შეიცავს თამბაქოს;	-	-	41%

ცხრილი 2. *საგადასახადო განაკვეთები საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში 2021 წელს. წყარო: საგადასახადო კოდექსი, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. ცხრილში გამოყენებულია ანგარიში: "Налогообложение Табачных Изделий: Опыт Украины и Рекомендации для Молдовы" 2021*

საგადასახადო ტვირთის სიმძიმე

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, საქართველოში საგადასახადო განაკვეთები უფრო დაბალია უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ საგადასახადო ტვირთის წილს თამბაქოს საცალო ფასში, მაშინ სურათი სხვაგვარად წარმოგვიდგება. საქართველოში სიგარეტის, როგორც საქონლის საგადასახადო ტვირთი 72-76% ფარგლებში მერყეობს. იმავე ბრენდის სიგარეტებზე საგადასახადო ტვირთი უფრო დაბალია მოლდოვაში (57-68%) და უკრაინაში (63-66%). ერთადერთი გამონაკლისი არის საგადასახადო ტვირთი გახურებად თამბაქოზე უკრაინაში, რომელიც შეადგენს 78%-ს და მოიცავს საერთო და საცალო აქციზს, დღგ-ს და საბაჟო გადასახადს (ცხრილი 3).

ქვეყნები	საცალო ფასი და საგადასახადო ინგრედიენტები	სიგარეტის ბრენდები			
		Winston	Sobranje	Parliament	გახურებადი თამბაქო
საქართველო	**საცალო ფასი**	**€ 1.73**	**€ 2.00**	**€ 2.00**	**€ 1.73**
	იმპორტი	€ 0.06	€ 0.08	€ 0.08	€ 0.06
	ფიქსირებული აქციზი	€ 0.45	€ 0.45	€ 0.45	€ 0.45
	ადვალური აქციზი	€ 0.52	€ 0.6	€ 0.6	€ 0.52
	დღგ	€ 0.26	€ 0.30	€ 0.30	€ 0.26
	საგადასახადო ტვირთი	**75%**	**72%**	**72%**	**75%**
უკრაინა	**საცალო ფასი**	**€ 1.98**	**€ 2.31**	**€ 2.28**	**€ 2.15**
	იმპორტი	0	0	0	€ 0.32
	ფიქსირებული აქციზი	€ 0.92	€ 0.95	€ 0.94	€ 0.92
	ადვალური აქციზი	€ 0.29	€ 0.39	€ 0.41	€ 0.34
	დღგ	€ 0.09	€ 0.11	€ 0.11	€ 0.10
	საგადასახადო ტვირთი	**66%**	**63%**	**64%**	**78%**
მოლდოვა	**საცალო ფასი**	**€ 1.73**	**€ 2.36**	**€ 2.46**	**1.88**
	იმპორტი	€ 0.06	€ 0.06	€ 0.06	€ 0.10
	ფიქსირებული აქციზი	€ 0.82	€ 0.90	€ 0.91	€ 0.80
	ადვალური აქციზი	€ 0.29	€ 0.39	€ 0.41	€ 0.31
	დღგ	0	0	0	0
	საგადასახადო ტვირთი	**68%**	**57%**	**56%**	**64%**

ცხრილი 3. *საცალო ფასი, საგადასახადო ინგრედიენტები და საგადასახადო ტვირთი საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში. წყარო: მონაცემები აღებულია ანგარიშიდან "Налогообложение Табачных Изделий: Опыт Украины и Рекомендации для Молдовы" 2021. ამ ანგარიშში, საერთო ჯამში გაანალიზებულია 15 სხვადასხვა სახეობის სიგარეტის ფასი. ცხრილი 3-ში შედარებულია საქართველოში პოპულარული ოთხი ტიპის ბრენდი, უკრაინისა და მოლდოვის ანგარიშის ანალოგიურ ბრენდებთან.*

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ტვირთი საქართველოში ზემოთდასახელებულ ქვეყნებთან მიმართებაში მაღალია, თამბაქოს დაბეგვრის განაკვეთები საქართველოში უცვლელი რჩება 2019 წლიდან. ამან გამოიწვია ორი არასასურველი შედეგი 2021 წლისთვის. ჯერ ერთი, თამბაქოს ნაწარმის ხელმისაწვდომობა გაიზარდა 2020 და 2021 წლებში და მეორე, დაუბალანსებელი საგადასახადო განაკვეთები ჩვეულებრივ სიგარეტზე (მათ შორის გახურებად თამბაქოზე) და თამბაქოს სხვა ნაწარმზე, ამცირებს დაბეგვრის ეფექტს და ასტიმულირებს მომხმარებლებს გადავიდნენ თამბაქოს ნაწარმის იაფ ჩამანაცვლებლებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ საგადასახადო

ტვირთი გასახვევი თამბაქოს პროდუქტებსა და ელექტრონულ სითხეებზე საკმაოდ დაბალია: გასახვევი თამბაქო-56%, ელექტრო სითხეები (1მლ) – 40%, ერთჯერადი ელექტრონული სიგარეტი (2მლ, 500 ნაფაზი) – 17% (ცხრილი 4).

სიგარეტის შემცვლელები	**საცალო ფასი**	**ფიქს. აქციზი**	**ადვალ. აქციზი**	**დღგ**	**გადასახადის წილი**
გასახვევი თუთუნი (სიგარეტის ეკვივალენტი კოლოფი – 20 ღერი)	2.2	0.9	0	0.34	56%
ელექტრო-სითხე (1მლ)	0.8	0.2	0	0.12	40%
ერთჯერადი ე-სიგარეტი (2მლ, 500 ნაფაზი)	18	0.4	0	2.75	17%

ცხრილი 4. *სიგარეტის შემცვლელების საგადასახადო ტვირთი*

ხელმისაწვდომობა

ხელმისაწვდომობა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია თამბაქოს დაბეგვრისა და ფასების განხილვისას. ხელმისაწვდომობა გამოითვლება როგორც ერთ სულზე მშპ-ს წილი, რომელიც საჭიროა 100 კოლოფი სიგარეტის შესაძენად. ცხრილი 4 აჩვენებს, რომ ხელმისაწვდომობა გაიზარდა 2020 წლიდან 2021 წლამდე ყველა სახის თამბაქოს ნაწარმზე, გარდა გასახვევი თამბაქოს და ელექტრონული სითხეების (მრავალჯერადი სისტემებისთვის) პროდუქტისა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი იყიდება უფრო დაბალ ფასებში (და, შესაბამისად, უფრო ხელმისაწვდომის) თამბაქოს სხვა ნაწარმთან შედარებით.

ხელმისაწვდომობა 100 კოლოფ სიგარეტზე						**ხელმისაწვდომობა: ელექტრო სითხეები**	
წელი	ადგილობრივი უფილტრო	ადგილობრივი ფილტრიანი	იმპორტული ფილტრიანი	გახურებადი თამბაქო	გასახვევი თუთუნი*	50 ცალი ერთჯერადი გამოყენების, 2მლ, 500 ნაფაზი	100 მლ ელექტრო სითხე (მრავალ-ჯერადი სისტემებისთვის)
2017	1.21%	2.98%	3.77%				
2018	2.31%	3.34%	4.18%				
2019	2.66%	3.40%	4.15%				
2020	2.80%	3.63%	4.53%	4.91%	1.37%	6.80%	0.60%
2021	2.41%	3.10%	4.02%	4.02%	1.41%	5.57%	0.74%

ცხრილი 4. *ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები თამბაქოს საქონელზე საქართველოში*

* *გასახვევი თუთუნის ხელმისაწვდომობის გამოსათვლელად თუთუნის წონა გადაყვანილია სიგარეტის ღერებში (0.8-1.0 გრ = 1 ღერი). ცხრილში მოყვანილი ინდიკატორი აჩვენებს ხელმისაწვდომობას 20 ღერიან 100 კოლოფ თუთუნზე.*

ხელმისაწვდომობისა და საგადასახადო ტვირთის კომბინაცია აჩვენებს თუ საით გადაინაცვლებს მოთხოვნა – არსებული შეფასებები აჩვენებს, რომ თუთუნი შეიძლება გახდეს პროდუქტი, რომელზეც უფრო მაღალი მოთხოვნა იქნება. 2015 წლიდან თუთუნის იმპორტის მონაცემები ადასტურებს ამ პროგნოზს (სურათი 1). სურათი 1 ასევე აჩვენებს, რომ ხელმისაწვდომობის ზრდა ხელს უწყობს გახურებადი თამბაქოს იმპორტის გაზრდის ტენდენციას.



სურათი 1. *იმპორტირებული გასახვევი თუთუნი და გახურებადი თამბაქო საქართველოში (ათასი აშშ დოლარი). წყარო: საქსტატი.*

და ბოლოს, სურათი 2 ნათლად აჩვენებს საქართველოს თამბაქოს დაბეგვრის პოლიტიკის დადებით და უარყოფით შედეგებს და მის გავლენას მოხმარებასა და ბიუჯეტის შემოსავლებზე. 2020 წლამდე აშკარად შეიმჩნევა როგორც თამბაქოს მოხმარების შემცირება, ასევე საგადასახადო შემოსავლების ზრდა. თამბაქოს მოხმარება 2020 წელს 2015 წელთან შედარებით 34%-ით შემცირდა, ხოლო ბიუჯეტის შემოსავლები 2015 წლიდან წლამდე იზრდებოდა. თუმცა, თამბაქოს მოხმარების მაჩვენებლები 2021 წელს გაუარესდა. პრევალენტობის ზრდის სტიმულირების მთავარ ფაქტორებს შორის არის აქციზის გაყინული განაკვეთები და თამბაქოს ნაწარმის მეტი ხელმისაწვდომობა, რომელიც თავის მხრივ წახალისებულია ინფლაციისა (საშუალო წლიური მაჩვენებელი 9% 2021 წელს) და ერთ სულზე გაზრდილი შემოსავალების (13% მეტი 2021 წელს, ვიდრე წინა წელს) გამო. პლატოს მრუდები 2017-2018 წლებში ასახავს შემცვლელების გავლენას თამბაქოს მოხმარებაზე. ფილტრიან სიგარეტზე აქციზის გაზრდის გამო მომხმარებელი თუთუნზე გადავიდა. თუმცა, 2019 წელს თუთუნის აქციზის (71%-ით მეტი 2018 წელთან შედარებით) და უფილტრო სიგარეტის (2018 წელთან შედარებით 183%-ით მეტი) აქციზის ერთდროულმა ზრდამ გამოიწვია ამ ტიპის საქონელზე მოხმარების კლების ტენდენცია. სამაგიეროდ, 2019 წლის შემდეგ, აქციზის განაკვეთი უცვლელი დარჩა ყველა სახის თამბაქოზე და აღნიშნულმა ფაქტორებმა, გაზრდილმა ინფლაციამ, ერთ სულზე შემოსავლებმა და ხელმისაწვდომობამ, კვლავ განაპირობა მოხმარების ზრდა 2021 წელს.



სურათი 2. *ბიუჯეტის შემოსავლები (აქციზი, მლნ ლარი), თამბაქოს მოხმარება (მლნ კოლოფი) და მოწევის პრევალენტობა საქართველოში. წყარო: საქსტატი, ISSA 2020.*

ეარმარკინგი

თამბაქოს გადასახადის მიზნობრივი განაწილება ანუ ეარმარკინგი თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული პრობლემების მოგვარების კიდევ ერთი ფისკალური ინსტრუმენტია. გადასახადების განაწილება გულისხმობს შემოსავლების ნაწილის მიმართვას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონკრეტული ღონისძიებებისთვის. თამბაქოს გადასახადებისგან შემოსული თანხების მიზნობრივი განაწილების შედეგად ხდება ჯანდაცვის პირდაპირი (მკურნალობა) და არაპირდაპირი (დაკარგული მწარმოებლურობა და ნაადრევი სიკვდილიანობა) ხარჯის დაფინანსება.

მსოფლიოში 40 ქვეყანა, რომლებიც ახორციელებს თამბაქოს კონტროლის შესაბამის ღონისძიებებს, ჯანმრთელობის სექტორისა და ჯანმრთელობის პროგრამების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, იყენებს თამბაქოს გადასახადის მიზნობრივი განაწილების მექანიზმს. აქედან უმრავლეს მათგანში გადასახადების განაწილება მიმართულია ჯანდაცვის მიზნებისკენ, რაც ხშირად კომბინირებულია თამბაქოს ან არაგადამდები დაავადებების კონტროლთან და სპორტისა და კულტურის წახალისებასთან.

გადასახადების ამგვარი განაწილება წარმოადგენს პროგრესული გადასახადის ტიპს. მაშინ, როცა დაბალშემოსავლიანი თამბაქოს მომხმარებლები თამბაქოს გაზრდილი გადასახადის საპასუხოდ წყვეტენ ან ამცირებენ თამბაქოს მოხმარებას, თამბაქოს გადასახადის სახით გადახდილი თანხა ეზრდება მათ, ვინც აგრძელებს მოხმარებას. ანუ სხვა სიტყვებით, გადასახადის ამგვარი განაწილების შედეგად მკურნალობისა და პრევენციული პროგრამების დაფინანსების ტვირთი გადადის მომხმარებლებზე, რომლებიც ასეთი გადასახადით აფინანსებენ მოწევით გამოწვეული საკუთარი ჯანმრთელობის გაზრდილ რისკებს. იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო აფინანსებს საზოგადოებრივ ჯანდაცვას, ეს წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან მწეველების ჯანმრთელობის პრობლემების დაფინანსების ვალდებულების მნიშვნელოვან შემსუბუქებას.

თამბაქოს მოხმარების შედეგად გამოწვეული ავადობის მკურნალობის პირდაპირი ხარჯი საქართველოში ჯანდაცვის სექტორში საერთო ხარჯის 13%-ია (NCDC, გაეროს განვითარების პროგრამა, 2018). ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვადასხვა საბიუჯეტო ინდიკატორული მაჩვენებლები, მათ შორის ჯანდაცვის საბიუჯეტო ხარჯები 2015-2021 წლებში სოციალური დაცვის მუხლების ხარჯებისა და 2020-21 წლებში კოვიდის პრევენციისა და მკურნალობის ხარჯების გამოკლებით; ასევე ამ წლებში თამბაქოს აქციზით შემოსული თანხები. აღსანიშნავია, რომ თამბა-

ქოს აქციზით შემოსული თანხა სხვადასხვა პროგრამულ საბიუჯეტო ხარჯებზე ნაწილდება, საიდანაც მხოლოდ თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობასა და პრევენციაზე გაწეული ხარჯის წილი 1.2%-ის ფარგლებშია. რაც ნიშნავს რომ თამბაქოს უშუალო მოხმარების შედეგად მობილიზებული თანხების მიზერულად მცირე წილი ხმარდება ამავე თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ზიანის შედეგებთან ბრძოლას. ამასთან აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბიუჯეტი ღიად ითვალისწინებს მხოლოდ ჯანმრთელობის ხელშეწყობის – თამბაქოს პრევენციული ღონისძიებების ხარჯებს. მაშინ როცა თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ჯანმრთელობის მკურნალობა ჯანდაცვის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში ხორციელდება. ცხრილი №5-ში ასახულია თამბაქოს მოხმარების შედეგად მკურნალობის პირდაპირი ხარჯი, რაც ჯანდაცვის მთლიანი ბიუჯეტის 13%-ია (ეს მაჩვენებელი ეყრდნობა ექსპერტულ შეფასებას (NCDC, გაეროს განვითარების პროგრამა, 2018). შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის შედეგად ხარჯ-ეფექტურობის თავალსაზრისით სიტუაცია კიდევ უფრო დრამატული ხდება თუ თამბაქოს მოხმარების პირდაპირ ხარჯთან ერთად გავითვალისწინებთ ნაადრევი სიკვდილიანობითა და პროდუქტიულობის დაკარგვით გამოწვეულ არაპირდაპირ ხარჯებსაც, რაც 2018 წლისთვის 800 მილიონ ლარს აჭარბებდა (NCDC, გაეროს განვითარების პროგრამა, 2018) და აღემატებოდა თამბაქოს აქციზით მობილიზებულ შემოსავლებს. ასეთი კუთხიდან დანახული შედარება თამბაქოს აქციზიდან შემოსული თანხებისა და თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯებისა, გვაჩვენებს რომ აქციზით მიღებული ზღვრული სარგებლიანობა ჩამოუვარდება თამბაქოს ზიანით გამოწვეულ ჯანმრთელობის ზღვრულ ხარჯებს. ეფექტურობის მისაღწევად გამოსავლის პირველი ნაბიჯი არის სააქციზო განაკვეთში ეარმარკინგის კომპონენტის დამატება თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული ზიანის პირდაპირი დანიშნულებით დასაფინანსებლად.

მლნ ლარებში	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
სახელმწიფო ბიუჯეტი	9620.00	10292.23	11764.84	12590.18	13469.69	16174.64	19796.13
თამბაქოს აქციზით შემოსული თანხები	377.35	548.62	672.38	669.26	724.40	792.13	878.44
ჯანდაცვის ბიუჯეტი (სოციალის გარეშე)*	872.21	1008.53	1046.19	1115.94	1285.01	1522.37*	1750.00*
ჯანმრთელობის ხელშეწყობა (მხოლოდ თამბაქოს პრევენცია)	0.09	0.10	0.04	0.80	0.86	0.39	0.34
თამბაქოს მოხმარების პირდაპირი ხარჯი – მკურნალობა	4.45	6.99	7.78	7.75	9.03	9.71	10.11
აქციზის შემოსავლის წილი თამბაქოს მკურნალობა/პრევენციაში	**1.18%**	**1.27%**	**1.16%**	**1.16%**	**1.25%**	**1.23%**	**1.15%**

ცხრილი 5. *საქართველოს ბიუჯეტი, თამბაქოს პრევენციის ხარჯები და მკურნალობის წილი*

*** შენიშვნა:** ჯანდაცვის ბიუჯეტში არაა გათვალისწინებული მოსახლეობის სოციალური დაცვის 27 02 კოდით გათვალისწინებული ხარჯები. ასევე 2020-2021 წლებში ჯანდაცვის ბიუჯეტიდან გამოკლებულია კოვიდის მკურნალობისთვის გამოყოფილი სახსრებიც.

სხვა ქვეყნებში, სადაც ეარმაკინგის სქემა დანერგილია და მუშაობს, მიზნობრივი სახსრების მობილიზება ძირითადად ხდება აქციზურ განაკვეთზე ეარმარკინგის წილის დამატებით. დამატებული განაკვეთი მთლიანი აქციზის 2%-ის ფარგლებშია. თუ ანალოგიურ მოდელს გადმოვიტანთ საქართველოში, ეარმარკინგის წილი ასევე შესაძლოა ასახულ იქნას აქციზში, საიდანაც იგი მიმართული იქნება მიზნობრივ ფონდში. მაგალითად, თუ ყველა ფაქტორი უცვლელი დარჩება (ფასისა და სხვა ჩამანაცვლებლების მიმართ ელასტიკურობა, ინფლაცია, შემოსავალი, ხელმისაწვდომობა), მაშინ მიმდინარე ფიქსირებული აქციზის ზრდა 5%-ით გამოიწვევს შემოსავლების მატებას 3%-ით (დაახლოებით 30 მლნ ლარით), საიდანაც ერთი მესამედი ანუ აქციზის გაზრდილი ახალი კომპონენტის 1.6% შესაძლოა განაწილდეს ეარმარკინგის ფონდში და მოხმარდეს თამბაქოს მკურნალობასა და პრევენციას, ხოლო დანარჩენი -ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვა ხარჯებს. ასეთი განაწილების ეფექტურობა აშკარაა, ვინაიდან, გარდა ბიუჯეტის შემოსავლების მატებისა, მოხდება თამბაქოს მკურნალობისა და პრევენციის ღონისძიებების დაფინანსების გაორმაგება, ხოლო მეორეს მხრივ ადგილი ექნება მოხმარების შემცირებას 1%-ის ფარგლებში, რაც თავის მხრივ ზეგავლენას იქონიებს მკურნალობის ხარჯების შემცირებაზეც.

	2021 წელი	აქციზის ზრდა და ეარმარკინგის წილი						
აქციზის ზრდა	**0.00%**	**1.00%**	**2.00%**	**3.00%**	**4.00%**	**5.00%**	**7.00%**	**10.00%**
სიგარეტის ფასების ზრდა (საშუალო)	0.00	0.53%	1.05%	1.58%	2.11%	2.63%	3.68%	5.26%
მოხმარების შემცირება (ელასტიურობა -0.5)	0.00	-0.27%	-0.53%	-0.79%	-1.06%	-1.32%	-1.84%	-2.63%
რეალიზებული თამბაქო კოლოფებში, მლნ კოლოფი	439	438	437	436	434	433	431	427
აქციზიდან შემოსავალი (ფიქსირებული+ადვალური), მლნ ლარი	878	884	891	897	903	910	922	940

ცხრილი 6. *აქციზში ეარმარკინგის წილის დამატებით გამოწვეული ცვლილებები მოხმარებასა და შემოსავლებში*

წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფიქსირებულ აქციზში ეარმარკინგის კომპონენტის მატება, და ის გავლენა, რასაც ამგვარი მატება ცვლილება მოახდენს მოხმარებისა და შემოსავლების ოდენობაზე.

დასკვნა

სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა ნათლად აჩვენა დაბეგვრის ეფექტურობა თამბაქოს მოხმარებისა და მისი მავნე შედეგების შესამცირებლად. საქართველოს თამბაქოს საგადასახადო პოლიტიკის ანალიზიც ნათლად ადასტურებს, რომ აქციზის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც იწვევს თამბაქოს ფასების ზრდას, თამბაქოს მოხმარების შემცირების ყველაზე ეფექტური მექანიზმია.

2017 წლიდან მოყოლებული, აქციზის მნიშვნელოვანი ზრდის გავლენა თამბაქოს მოხმარებაზე გაძლიერდა ისეთი პოლიტიკის ზომებით, როგორიცაა ყოვლისმომცველი მოწევის პოლიტიკა ყველა საჯარო სივრცეში, თამბაქოს რეკლამის სრული აკრძალვა, თამბაქოს კომპანიების პოპულარიზაცია და სპონსორობა, მკაცრი შეზღუდვები. თამბაქოს შეფუთვა და ა.შ.

თამბაქოს მაღალი გადასახადების საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს შემოსავლის ზრდის ტემპი და ინფლაცია, რაც იწვევს თამბაქოს ნაწარმის ხელმისაწვდომობის გაზრდას. საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ თამბაქოს მოხმარება იზრდება შემოსავალთან ერთად და რამდენადაც შემოსავალი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე თამბაქოს ნაწარმის ფასები, ეს პროდუქტები უფრო ხელმისაწვდომი ხდება. ხელმისაწვდომობის შესამცირებლად, გადასახადების ზრდა უნდა აისახოს რეალური ფასებში. გადასახადების ზრდა თამბაქოს საქონელზე, რეალური შემოსავლის ზრდაზე მაღალი უნდა იყოს. მეორე მხრივ, აქციზის განაკვეთის ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას. საქართველოს მაგალითმა დაამტკიცა, რომ გადასახადების გაზრდის პოლიტიკამ, მათ შორის 2019 წელს, მნიშვნელოვნად გაზარდა ბიუჯეტის შემოსავლები.

საქართველოს მთავრობამ ასევე უნდა გაითვალისწინოს თამბაქოს ყველა პროდუქტზე დაბეგვრის გაზრდის მნიშვნელობა შესადარებელ საფუძველზე. მხოლოდ ერთი ტიპის პროდუქტის დაბეგვრის გაზრდა იწვევს შედარებით ნაკლებად ძვირადღირებული პროდუქტებით ჩანაცვლებას. თამბაქოს ყველა პროდუქტზე გადასახადების შედარებითი ზრდა მაქსიმალურად გაზრდის თამბაქოს გადასახადის ზრდის გავლენას საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, ჩანაცვლების შესაძლებლობების მინიმიზაციის გზით და გამოიწვევს შემოსავლების უფრო დიდ ზრდას.

ეარმარკინგის მოდელის დანერგვა ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მკურნალობისა და პრევენციული ღონისძიებების ეფექტურ დაფინანსებასა და აღსრულებას, ხოლო მეორეს მხრივ დადებითად იმოქმედებს მოხმარების მაჩვენებლების შემცირებაზე იმ პირობით, რომ ეარმარკინგის კომპონენტის დამატებას, თან უნდა ახლდეს დაბალანსებული საგადასახადო განაკვეთების მატება თამბაქოს ყველა ჩამანაცვლებელზე.

ლიტერატურა:

1. NCDC, გაეროს განვითარების პროგრამა. (2018). თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საინვესტიციო შემთხვევა. საქართველო: გაეროს განვითარების პროგრამა, RTI international, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნო.
2. საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია. 2022 წელი
3. საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია. 2022 წელი
4. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. კონსოლიდირებული ვერსია. 2021 წელი
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. კონსოლიდირებული ვერსია. 2022 წელი
6. საქართველოში გასაყიდად განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და მათი შეფუთვის სტანდარტიზაციის ტექნიკური რეგლამენტი. 18/05/2022
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კონსოლიდირებული ვერსია. 2022 წელი
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გარე საქონლის ვაჭრობა. ამოღებულია https://www.geostat.ge/en/modules/categories/765/external-merchandise-trade 25/09/2022
9. ISSA. თამბაქოს მოხმარების კვლევა საქართველოში, 2020. სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი.
10. Tsertsvadze V., Khurtsia L. Success and challenges of Georgian tobacco taxation policy. Journal of Politics and Democratization. Vol 5. Issue 3. Jul 2022. E-ISSN 2449-2671

11. Council directive 2011/64/eu of 21 june 2011 on the structure and rates of excise duty applied to manufactured tobacco (codification). Official journal of the European Union 05/07/2011
12. Association agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their member states, of the one part, and Georgia, of the other part. Official journal of the European Union. Legislation. Volume 57. 30 August 2014. English edition.
13. Little M, Ross H, Bakhturidze G, Kachkachishvili I. Analysis of the illicit tobacco market in Georgia in response to fiscal and non-fiscal tobacco control measures. Tob Control. 2021 Jun 10. Epub ahead of print. PMID: 34112646.
14. Pavlo Yavorsky. Tobacco taxation: Ukrainian experience and recommendations for Moldova. Kyiv School of economics (Kyiv, school of economics). Report. 2021
15. WHO. WHO technical manual on tobacco tax policy and administration. 2021

Financial Issues of Tobacco Policy and Control

Lali Khurtsia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor, Doctor of Economics
Vano Tsertsvadze
Professor, Doctor of Social Sciences, GIPA

SUMMARY

The overall goal of tobacco control policies is to reduce the prevalence of tobacco use and prevent tobacco-related deaths and illnesses. Along with the changes implemented at the legislative level, significant steps were taken in the field of tobacco taxation in Georgia. The article was prepared according to the Health Promotion Policy Framework of the Center for Disease Control of Georgia. It studies the impact of tax rates on the consumption of tobacco products, the effect of substitution, Georgian data is compared with similar data of Ukraine and Moldova. Tobacco policy is analyzed in terms of affordability, inflation and increased income. The article analyses earmarking model and the creation of a targeted healthcare fund.

ეკოლოგიური უსაფრთხოება, როგორც მდგრადი განვითარების ფაქტორი: ბენელუქსის ქვეყნების გამოცდილება

მამუკა ხუსკივაძე
ეკონომიკის დოქტორი,
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, განყოფილების გამგე
ლია თოთლაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

მდგრადი განვითარება, როგორც საზოგადოების განვითარების სისტემა, რომლის მიზანია საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით ადამიანის კეთილდღეობის, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდა, ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. იგი უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საზოგადოების რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი უზრუნველყოფაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნების პრიორიტეტული ამოცანად შეიძლება მივიჩნიოთ.

ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ ინდიკატორებს თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში. ბენელუქსის ქვეყნების მოდელი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ და საინტერესო მოდელად და ამიტომ ნაშრომში გაანალიზებულია ბენელუქსის ქვეყნების გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ეკოლოგიური უსაფრთხოების თავისებურებები და შესაბამისი ინდიკატორები.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება; ეკოლოგიური უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი მდგრადობის ინდექსი; ეკო-ინოვაციის ინდექსი.*

მდგრადი განვითარების კონცეფცია განსაკუთრებული აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულებში. მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები შეიცავს დებულებას მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების აქტივიზაციას, რათა თაობებიდან თაობებამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი, უსაფრთხოება და გადაწყდეს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების, ანუ კოევოლუციის ამოცანა (ხუსკივაძე მ., 2017).

ნათლადაა განსაზღვრული მდგრადი განვითარების მიზნებიც (SGI). მდგრადი განვითარებისრარსებული მდგომარეობის შესაფასებლად გაეროს მიერ „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ მეთოდიკის შესაბამისად, გაიანგარიშება კრიტერიუმები და ინდიკატორები მდგრადი განვითარების ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ასპეტების შესაფასებლად. ესაა თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები, რომელთა მნიშვნელობების მიხედვითაც შესაძლებელია შეფასდეს თუ რამდენად აქტიურად უწყობენ ხელს მთავრობები შიდა შესაძლებლობებს და გლობალური საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფას.

აღნიშნული მეთოდიკის შესაბამისად,რმდგრადი განვითარება ეკონომიკურ ასპექტში იზომება მაჩვენებლებით: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი; The Hezitage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით;

მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტები კი ფასდება ინდექსებით: გაეროს ადამიანის განვითარების ინდექსი; ცხოვრების ხარისხის ინდექსი რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს საერთაშორისო ორგანიზაცია Internacional living;

მდგრადი განვითარების შეფასება ეკოლოგიურ ჭრილში ხდება: ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსით EPI – იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცენტრის, კოლუმბიის უნივერსიტეტის, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის და ევროკომისიის კვლევითი ცენტრის ერთობლივი პროექტი; ევროკომისიის ეკო-ინოვაციის ინდექსით;

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვეყნების ხელმძღვანელობის მიერ როგორც ეკონომიკური და სოციალური, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს. როგორც ზოგადად მიზანმიმართული პოლიტიკის გატარების, ასევე მიმდინარე პოლიტიკის სწორად შეფასების და მონიტორინგის კონტექსტში. აღსანიშნავია ევროკავშირის ქვეყნების კოოორდინირებული პოლიტიკა. გაერთიანებაში შემავალი ყველა ქვეყანა იზიარებს ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. საინტერესოა ეკოლოგიური უსაფრთხოების შესაბამისი ინდექსები, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენენ კომპლექსურ საზომებს.

გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსი (EPI) არის სახელმწიფოს პოლიტიკის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების რაოდენობრივი შეფასების მეთოდი. EPI შემუშავდა იელის უნივერსიტეტის (იელის გარემოსდაცვითი სამართლისა და პოლიტიკის ცენტრი) და კოლუმბიის უნივერსიტეტის (დედამიწის მეცნიერების საერთაშორისო საინფორმაციო ქსელის) მიერ, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან და ევროკომისიის ერთობლივ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით. პროექტის მიზანია გარემოსდაცვითი მდგრადობის შეფასება. ინდექსი ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ ინდიკატორებს და გამოიყენება როგორც საორიენტაციო ინდექსი, რომელსაც იყენებენ პოლიტიკის შემქმნელები, გარემოს შემსწავლელი მეცნიერები, ფართო საზოგადოება. ზოგჯერ ამ ინდექსს მოიხსენიებენ როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობის ინდექსს (ESI), რომელიც გარემოს მდგრადობის მიმართულებით პროგრესის საზომია (Wolf, M. J., Emerson, J. W., Esty, D. C., de Sherbinin, A., Wendling, Z. A., *et al.* (2022)).

ევროკავშირის შესაბამისი სტრუქტურების მიერ ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისათვის შემუშავდა ინდიკატორი – ეკო-ინოვაციის ინდექსი. ეკო-ინოვაციის ინდექსი არის კომპოზიტური ინდექსი, დაფუძნებული 16 ინდიკატორზე და ასახავს ეკო-ინოვაციების ეფექტიანობას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. იგი ეკო-ინოვაციების სხვადასხვა ასპექტებს გამოხატავს ხუთ განზომილებაში დაჯგუფებული 16 ინდიკატორის გამოყენებით: 1. ეკო-ინოვაციების მიწოდება; 2. ეკო-ინოვაციური აქტივობები; 3. ეკო-ინოვაციების შედეგები; 4. რესურსების ეფექტიანობა 5. სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ეკო-ინოვაციების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად მუშაობენ ცალკეული წევრი სახელმწიფოები ეკო-ინოვაციების სხვადასხვა განზომილებაში და წარმოაჩენს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. იგი ასევე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ეკონომიკურ, გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ ჰოლისტიკური ხედვის განვითარებას.

ეკო-ინოვაციების მიწოდება. ეკო-ინოვაციების მიწოდება მოიცავს ინვესტიციებს (ფინანსურ და/ან ადამიანურ რესურსებს), რომლებიც მიზნად ისახავს ეკო-ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას. იგი მოიცავს სახელმწიფო დანახარჯებს გარემოსდაცვით კვლევებსა და განვითარებაზე (მსპ-ს %), R&D პერსონალსა და მკვლევარებს (დასაქმებულთა %); მწვანე ინვესტიციების ჯამურ ღირებულებას (USD/capita);

ეკო-ინოვაციური აქტივობები მოიცავს უშუალოდ კომპანიების მიერ განხორციელებული ეკო-ინოვაციური აქტივობების მონიტორინგის ინდიკატორებს. ეს კომპონენტი ფოკუსირებულია კონკრეტულ აქტივობებზე და არა ინოვაციური საქმიანობის შედეგებზე. მაგალითად, განიხილება ინდიკატორები: რესურსების ეფექტური მოხმარების იმპლიმენტაცია მცირე და საშუალო საწარმოებში (ქულა); მდგრადი პროდუქტების დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში (გამოკითხული ფირმების %); ISO 14001 სერთიფიკატების რაოდენობა (მლნ მოსახლეზე).

ეკო-ინოვაციების შედეგები. ეკო-ინოვაციის შედეგები აღწერს ეკო-ინოვაციების საქმიანობის უშუალო შედეგებს. ამ კომპონენტის ინდიკატორები გამოიყენება იმის მონიტორინგისთვის, თუ რამდენადაა დაკავშირებული ბიზნესისა და მკვლევარების მიერ წარმოებული ცოდნის შედეგები ეკო-ინოვაციებთან. ინდიკატორებია ეკო-ინოვაციებთან დაკავშირებული პატენტები (მლნ მოსახლეზე); ეკო-ინოვაციებთან დაკავშირებული აკადემიური პუბლიკაციები (მლნ მოსახლეზე); ეკო-ინოვაციებთან დაკავშირებული მედია პროდუქტი (მლნ მოსახლეზე).

ეკო-ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ეკო-ინოვაციების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ასახავს ეკო-ინოვაციური საქმიანობის ეფექტებს. იგი მოიცავს დასაქმების, ბრუნვის ან ექსპორტის ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკო-ინოვაციური აქტივობების განხორციელებასთან. ინდიკატორებია: პროდუქციის ექსპორტი ეკო ინდუსტრიებიდან (მთლიანი ექსპორტის %); დასაქმება გარემოს დაცვისა და რესურსების მართვის საქმიანობებში (სამუშაო ძალის %); გარემოს დაცვისა და რესურსების მართვის აქტივობებში წარმოქმნილი დამატებული ღირებულება (მსპ-ის %);

ეკო-ინოვაციური რესურსების ეფექტიანობის შედეგები. რესურსების ეფექტიანობის შედეგები უკავშირდება ეკო-ინოვაციების გავლენის შეფასებას რესურსების პროდუქტიულობის გაუმჯობესებაზე. ეკო-ინოვაციას შეუძლია ორმაგად დადებითი გავლენა მოახდინოს რესურსების ეფექტიანობაზე: მას შეუძლია გაზარდოს ეკონომიკური ღირებულება და ამავე დროს შეამციროს ზეწოლა ბუნებრივ გარემოზე. ინდიკატორებია მატერიალური პროდუქტიულობა (მსპ/მასალების შიდა მოხმარება); წყლის პროდუქტიულობა (მსპ/მტკნარი წყლის მთლიანი მოცულობა); ენერგიის პროდუქტიულობა (მსპ/მთლიანი შიდა ენერგიის მოხმარება); სათბურის გაზების ემისიების ინტენსივობა (CO2e/GDP).

როგორც ვხედავთ ზემოთ აღწერილი ინდიკატორები საკმაოდ სრულყოფილად აღწერს და ასახავს ქვეყნის ეკოლოგიურ მდგომარეობას, გვაძლევს როგორც არსებული მდგომარეობის ნათელ სურათს, ასევე გარემოსდაცვითი ღონისძიებების მასშტაბს, ეფექტიანობას და პექსპექტივებს. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ საკმაოდ მაღალია კორელაცია ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასებისათვის გამოყენებულ ამ იმდექსსა და ერთ სულ მოსახლზე გაანგარიშებულ მთლიან სამამულო პროდუქტს შორის.

ნახ.1.

დამოკიდებულება ერთ სულ მოსახლზე გაანგარიშებულ მსპ-ს და EPI შორის



წყარო: https://epi.yale.edu

როგორც იელის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული კვლევებიდან კარგად ჩანს ეკონოლიური მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით საუკეთესო შედეგებით გამოირჩევიან ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები.

საინტერესოა აგრეთვე ბენილუქსის ქვეყნების გამოცდილებაც, რომლებიც ატარებენ მიზანმიმართულ და გონივრულ ეკოლოგიურ პოლიტიკას. ამ ქვეყნების შეფასებისათვის რა თქმა უნდა შეგვიძლია დავეყრდნოთ ზემოთაღწერილ ინდიკატორებსაც, ვინაიდან დღეისათვის სწორედ ამ ინდექსების რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით მარტივადაა შესაძლებელი არა მხოლოდ ქვეყნების მდგომარეობის შეფასება, არამედ მათი შედარებაც.

ბენილუქსი ცდილობს იყოს ლიდერი როგორც ევროპულ თანამშრომლობაში, ასევე თანამედროვე გამოწვევების კონტექსტში, როგორიცაა COVID-19 კრიზისიდან მწვანე აღდგენა. ბენილუქსის კავშირმა წარმოადგინა თავისი ერთობლივი სამუშაო პროგრამა 2021-2024 წლებისთვის. ხელშეკრულება განსაზღვრავს მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს, იყოს „ცოცხალი ლაბორატორია ევროპისთვის“ და უახლოესი წლების გეგმები ეხმიანება სწორედ ამ ამბიციას. თუ გავითვალისწინებთ მწვანე შეთანხმების მნიშვნელოვან როლს ევროკავშირისათვის, მდგრად ეკონომიკაზე გადასვლა იქნება მომავალი წლების სამი ძირითადი პრიორიტეტიდან ერთ-ერთი ბენელუქსში ბელგიის პრეზიდენტობის პირობებში. იმის გამო, რომ ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი მიიჩნევენ, რომ მდგრადობა მათი უნიკალური ეკონომიკური მოდელის ბირთვია, ბენელუქსი წელს დაიწყებს „ბენელუქსის მწვანე გარიგების“ რეალიზაციას. მათი მიზანია ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების სფეროში ტრანსსასაზღვრო პილოტური პროექტების დანერგვა, რაც მათი მოსაზრებით „ბენელუქსის მწვანე გარიგება“ მოდელის განხორციელებას ასევე შესაძლებელს გახდის ევროკავშირის მასშტაბით.

ლუქსემბურგი საკმაოდ წარმატებულია გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით. ქვეყანამ პროგრესს მიაღწია ემისიების შემცირების თვალსაზრისით, თუმცა მისი ამჟამინდელი მიზანი – 2005 წელთან შედარებით 40%-იანი შემცირება, რომელიც 2030 წლისთვის უნდა მიღწეულიყო, საკმაოდ ამბიციური ჩანს. სახელმწიფომ მომხმარებლებისთვის უფასო გახადა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, აფართოებს ტრამვაის ქსელს და მხარს უჭერს ელექტრონული ველოსიპედების შეძენას. საწვავის მოხმარება კლებულობს. განხორციელებული სტრატეგიის შედეგად, მომავალი ემისიების შემცირების მიზნები მიიღწევა CO2-ზე გადასახადის, საავტომობილო მოძრაობის ელექტროფიკაციის, ახალი საცხოვრებელი კორპუსების ენერგოეფექტურობის უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვით და ნავთობის გათბობის განახლებადი ენერგიის წყაროებით ჩანაცვლების გზით. რაც შეეხება გარემოსდაცვითი ეფექტურობის ინდექსს (EPI) ლუქსემბურგი მსოფლიო რანგით მე-6 ადგილზე, ხოლო ინდექსის მნიშვნელობა კი 72,3 (https://epi.yale.edu).

ლუქსემბურგი უსწრებს ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებს და 2021 წლის ეკო-ინოვაციის ინდექსში 175 ქულით პირველ ადგილს იკავებს, 2017 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 157 (https://ec.europa.eu/environment/ecoap/indicators/index_en). ქვეყანამ ბოლო პერიოდში გააუმჯობესა 2019 წლის ხუთკომპონენტიანი ინდექსის თითქმის ყველა მაჩვენებელი და გადააჭარბა ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს. ლუქსემბურგში არსებობს ინიციატივები საკვების ნარჩენების გადანაწილებიდან და მეორადი ტანსაცმლისა და ავეჯის გამოყენებიდან აგროეკოლოგიამდე, რომელთა რეალიზაციაც ხელს უწყობს ქვეყნის მოწინავე პოზიციებზე ყოფნას. ორგანული პროდუქტების მაღაზიებში პროდუქცია იყიდება პაკეტების გარეშე, სუბსიდირება ელექტრო მანქანები და ველოსიპედები. აღსანიშნავია აგრეთვე ლუქსემბურგის პირველი ეკო-სოფელის არსებობაც. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პოლიტიკის კონტექსტში, 2020 წლის დეკემბერში **ლუქსემბურგმა** მიიღო კლიმატის კანონი, რომლის მიხდვითაც განისაზღვრა კლიმატის ნეიტრალიტეტის სამიზნე მაჩვენებელი 2050 წლისთვის და 55%-იანი ემისიების შემცირების სამიზნე ნაჩვენებელი 2030 წლისთვის.

კლიმატის ცვლილებისა და კლიმატთან ადაპტაციის პოლიტიკით **ნიდერლანდები** მოწინავე რიგებშია. მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს ევროკავშირის ძალისხმევას გლობალური გარემოსდაცვითი რეჟიმების განვითარებაში. ნიდერლანდები მსოფლიოში პირველ ადგილზეა მატერიალური რესურსების ხელახალი გამოყენების თვალსაზრისით: პირველ რიგში ეს ეხება ნარჩენების მენეჯმენტს. ნიდერლანდების პოლიტიკა ამ მიმართულებით შეიძლება ჩაითვალოს სამაგალითო მოდელად დანარჩენი მსოფლიოსთვის. ნიდერლანდების მდგრადი განვითარების მიზანმიმართული პოლიტიკა აისახება ჭკვიანი ქალაქის სტრატეგიაშიც. ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და მრეწველობის სფეროების მიმართულებით გაწეული ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, ნიდერლანდების მდგრადი ინფრასტრუქტურა ორიენტირებულია ნახშირორჟანგის გამოყოფის შემცირებაზე. გარდა ამისა, ქვეყანა უზრუნველყოფს კომპანიებს და ინდივიდებს განახლებადი რესურსებით მდიდარ ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელ ადგილებით. ნიდერლანდები დასახელდა ევროპის ყველაზე მწვანე ქვეყანად მოგზაურობისთვის (ამას არაფერი აქვს საერთო ველოსიპედის სიყვარულთან). ნიდერლანდების სტატისტიკის თანახმად, განახლებადი ენერგიის მოხმარებამ შეადგინა 2020 წელს ჰოლანდიის მთლიანი ენერგიის მოხმარების 11.1 პროცენტი (www.sgi-network.org;).

ნიდერლანდების გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კლიმატის ცვლილების ზეგავლენის თვალსაზრისით, ქვეყნის პოლიტიკა უკავშირდება სანაპირო ზონის დაცვასაც. კლიმატის ცვლილება სანაპირო რეგიონებზე ახდენს სამი ძირითადი ტიპის ზემოქმედებას: წყალდიდობა ქარიშხლის დროს, სანაპირო ეროზია და დაკარგვა ან გადაადგილება ბუნებრივი ჭარბტენიანი ტერიტორიების შიგნით. მოსალოდნელი ზეგავლენა დაკავშირებულია აგრეთვე მიწისქვეშა წყლების დონის აწევასა და ნიადაგისა და მიწისქვეშა წყლების დამლაშებასთან. კლიმატის ცვლილებასთან

საბრძოლველად, ნიდერლანდების მთავრობას სურს შეამციროს ნიდერლანდების სათბურის გაზების ემისიები 49%-ით 2030 წლისთვის, 1990 წელთან შედარებით და 95%-ით 2050 წლისთვის. ეს მიზნები დასახულია კლიმატის აქტში, რომელიც მიღებულია 2019 წლის 28 მაისს. ნიდერლანდები ინდექსით, რომელიც 62,6-ის ტოლია, მსოფლიო რანჟირებულ ცხრილში მე-11 ადგილზეა, ხოლო ეკო-ინოვაციიის ინდექსი 2021 წლისათვის კი 124-ია (ინდქსის მნიშვნელობა 2017 წლისათვის შეადგენდა 106)

ნიდერლანდებში არქტიკაში კლიმატის ცვლილების შედეგები ასევე განიხილება როგორც გლობალური დათბობის გავლენის გამოხატულება. ასევე, განიხილება ზღვის დონის აწევა, თუმცა ეს უფრო გრძელვადიანია პრობლემაა. ნიდერლანდების სამეფო მეტეოროლოგიური ინსტიტუტი ზღვის დონის აწევას პროგნოზირებს ჰოლანდიის სანაპიროზე 2050 წლისთვის მაქსიმუმ 40 სმ და 2085 წლისთვის მაქსიმუმ 80 სმ. 2100 წლისთვის ზღვის დონის მაქსიმალური ზრდა შეიძლება იყოს 1 მეტრი. უახლესი მაჩვენებლები გვიჩვენებს არქტიკისა და ანტარქტიდის ყინულის უფრო სწრაფ დნობას წინა მონაცემებთან შედარებით. ამინდის ცვალებადობამ და ზღვის დონის აწევამ შეიძლება გამოიწვიოს მეტი დატბორვა, რასაც გავლენა ექნება სოფლის მეურნეობაზე, ბუნებაზე, ტურიზმსა და ჯანმრთელობაზე. 2017 წელს მიღებული ახალი ნორმებით განისაზღვრა ღონისძიებები დინებისა და დიუნების გასამაგრებლად და 2019 წელს დაიწყო ახალი პროგრამის განხორციელება ამ საკითხების მოგვარებისათვის.

ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგისაგან განსხვავებით, გარემოსდაცვითი პოლიტიკის არათანმიმდევრული სტრატეგიები გამო, **ბელგია** საერთაშორისო რეიტინგში 26-ე ადგილს იკავებს. მთავრობის კლიმატის პოლიტიკა ძირითადად არაეფექტურია. 2009-2012 წლების კლიმატის ეროვნული გეგმა რჩება მიმდინარე პოლიტიკად, ხოლო ეროვნული ენერგეტიკა-კლიმატის გეგმა 2021-2030 წლებში არ იყო დასრულებული 2019 წლის ვადის მიუხედავად. ჰაერის დაბინძურება ქალაქებში სერიოზული პრობლემაა. ამის გამო ბრიუსელის გეგმაა 2035 წლისთვის აკრძალოს წიაღისეული საწვავზე მომუშავე მანქანები. ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის მიხედვით, **ბელგიამ** განსაზღვრა ეროვნული მიზანი 2030 წლისთვის, რაც ითვალისწინებს სათბურის გაზების ემისიების 35%-ით შემცირებას. გეგმა მოიცავს როგორც რეგიონულ ძალისხმევას/მიზნებს სათბურის გაზების ემისიების შესამცირებლად, ასევე ფედერალურ ზომებს, თუ მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდება რეგიონულ დონეზე (https://www.sgi-network.org).

რაც შეეხება რაოდენობრივ ასპექტებს: ბელგიის გარემოს მდგრადობის ინდექსი 58,2 (https://global-reports.23degrees.eu/epi2022/root), ხოლო ეკო-ინოვაციის ინდექსი – კი შეადგენს 107.

ნახ. 2.

ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდიკატორები ბენელუქსის ქვეყნებში

ქვეყანა	*EPI*	*ეკო-ინოვაციის ინდექსი*
ბელგია	*58,2*	*107*
ლუქსემბურგი	*72,3*	*175*
ნიდერლანდები	*62,6*	*124*

წყარო: https://epi.yale.edu

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არსებული მდგომარეობიდან და სამომავლო ამბიციური გეგმებიდან გამომდინარე, თავისი რეგიონალური და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობით, ბენელუქსს შეუძლია აჩვენოს, თუ როგორ შეიძლება ეფექტურად განხორციელდეს საკმაოდ მაღალი სტანდარტების ევროპული კლიმატის პოლიტიკა ეკონომიკის მწვანე აღდგენისთვის. ეს აქცევს ბენილუქსს ევროკავშირის პოლიტიკის სამაგალითო ადგილად მდგრადობის სფეროში, რაც, რა თქმა უნდა, შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროკავშირის მასშტაბით ევროპის მწვანე შეთანხმების განსახორციელებლად უახლოეს ათწლეულებში.

ლიტერატურა:

1. ხუსკივაძე მ. (2017) საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა მდგრადი განვითარების კონტექსტში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2017.
2. Dick Zandee, Kimberley Kruijver and Adája Stoetman (2020). The Netherlands and Arctic security. http://www.jstor.com/stable/resrep24676.8
3. Wolf, M. J., Emerson, J. W., Esty, D. C., de Sherbinin, A., Wendling, Z. A., *et al.* (2022). *2022 Environmental Performance Index.* New Haven, CT: Yale Center for Environmental Law & Policy. epi.yale.edu;
4. https://global-reports.23degrees.eu/epi2022/root;
5. https://ec.europa.eu;
6. https://ec.europa.eu/environment/ecoap/indicators/index_en
7. https://www.sgi-network.org;

Environmental Security as a Factor of Sustainable Development: The Experience of the Benelux Countries

Mamuka Khuskivadze
Doctor of Economics, Principal Research Fellow, Paata Gugusvili Institute of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lia Totladze
Doctor of Economics, Associate Professor at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Sustainable development as a development system, the purpose of which is to increase human well-being and quality of life, is based on the principle that the needs of the present must be met without endangering future generations. It is primarily focused on the provision of natural resources and environment protected from the quantitative and qualitative changes of the society. Based on the above, ensuring environmental security can be considered a priority task for the countries.

The paper discused economic, social and ecological security indicators of sustainable development. Special attention is paid to ecological indicators in theoretical and practical terms. The model of the Benelux Countries is considered as one of the successful model. Therefore, the paper analyzes the features of the environmental policy, ecological security and the relevant indicators of the Benelux Countries.

Keywords: Sustainable Development; Environmental Security; Environmental Performance Index; Eco-Innovation Index;

დამატებული ღირებულების გადასახადის რეგულირება საქართველოში: ცვლილებების ანალიზი, გამოწვევა

დავით ჯალაღონია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროფესორი
იური პაპასქუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან თეზიაშვილი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების დოქტორანტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყარო გადასახადებია. ქვეყნის ბიუჯეტში აკუმულირებული საერთო თანხის 90%-ი სწორედ, გადასახადებზე მოდის, მათ შორის კი, 40-45%-ი დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) უჭირავს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურაში დღგ-ის უპირატესი როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში დღგ-ის რეგულირების ცალკეული საკითხის შეფასება და მათი სრულყოფის მიმართულებებზე ავტორთა მოსაზრებები; ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესწავლილი, გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში დღგ-ის რეგულაციებთან დაკავშირებით შესული ცვლილებები; ფორმულირებულია და დამოწმებულია ჰიპოტეზა, რომ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, დღგ-ის რეგულირების შემდგომი სრულყოფა ხელს შეუწყობს ბიზნესსაქმიანობის გაფართოებას საქართველოში, დღგ-ით დასაბეგრი ბაზის მოცულობის ზრდას და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მეტი თანხის მობილიზებას.

საკვანძო სიტყვები: *დღგ, გადასახადების ადმინისტრირება, საუკეთესო პარაქტიკა*

სახელმწიფოს სტაბილური და დინამიური განვითარება ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო სისტემის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული. მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული დაბეგვრის რეგულირება ხელს უწყობს მეწარმე სუბიექტისთვის ბიზნესის გაფართოების მოტივაციის ამაღლებას, სამუშაო ადგილის შექმნას, საბოლოოდ კი, სახელმწიფო ბიუჯეტში მეტი შემოსავლების მოზიდვას და საზოგადოების მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

საქართველოს საგადასახადო სისტემა, პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან შედარებით უკეთესი პოზიციების მიუხედავად, ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას, გამარტივებას. მისი სრულყოფის მიმართულებებში გადასახადების ადმინისტრირების საერთაშორისო პრაქტიკის, უწინარესად კი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული გამოცდილების გათვალისწინების რესურსები ამოწურული არაა, მითუფრო არაპირდაპირი დაბეგვრის სფეროში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულები ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს.

აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა დღგ-ის ადმინისტრირების შემდგომი სრულყოფის საკითხებით ჩვენი დაინტერესება.

ნაშრომის მიზანი დღგ-ის ადმინისტრირების შემდგომი სრულყოფის რესურსების შესწავლა, ანალიზი, მიღებული შედეგების შეფასება და მისი შემდგომი გაუმჯობესების წინადადებების შემუშავებაა. კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი, ასევე, სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზისა და შედარების მეთოდები.

დღგ-ის გადამხდელი საბოლოო მომხმარებელია, შესაბამისად, მთელი საგადასახადო ტვირთი, არაპირდაპირი გზით, მასზე გადადის.

საქართველომ დღგ 1992 წლის 15 მარტიდან შემოიღო და მის ჰარმონიზაციას ევროკავშირის მოთხოვნებთან მაქსიმალურად ცდილობს.

დღგ-ის შემოღება, უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევია ბიზნესაქმიანობაში მოტივაციის ამაღლებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის აუცილებლობით. ამ მხრივ, დადებითი გამოვლინებები, მართლაც, სახეზეა, თუმცა როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, დღგ-ს თაღლითობისა და თავის არიდების ყველაზე მეტი შემთხვევა უკავშირდება, რაც მისი ადმინისტრირების სრულყოფის აუცილებლობაზეც მიანიშნებს.

შენიშნულია, რომ საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების გამო, მშპ-ის კორექტირება ხდება დაახლოებით 3%-ით, რომელთაგან 2.5%-ი დოკუმენტებთან დაკავშირებული თვალთმაქცობაა, 0.5%-ი – გადაუხდელი დამატებული ღირებულების გადასახადი [1, გვ.150]. თუ აღნიშნული კორელაციური კავშირით ვიხელმძღვანელებთ, მარტივი გაანგარიშების საფუძველზე, შესაძლოა, წლების მიხედვით, საქართველოში საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების გამო, მშპ-ის კორექტირების შედეგი წარმოვიდგინოთ (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კორექტირება საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადისაგან თავის არიდების გამო (მილიონი ლარი, მიმდინარე ფასებში)[1]

	2017	2018	2019	2020	2021[2]*
მშპ	40 761.7	44 599.3	49 252.7	49 266.7	60 231.6*
მშპ კორექტირებული	1 222.8	1 337.9	1 477.5	1 478.0	1 806.9

წყარო: საქსტატი

როგორც ირკვევა, საგადასახადო თაღლითობისა და დღგ-ის გადაუხდელობის გამო, 2017-2021 წლებში, მშპ-ის კორექტირების თანხამ შეადგინა – 7323.1 მილიონი ლარი, რაც ერთობ დიდი ციფრია.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ცნობილი მეცნიერები [2] ასაბუთებდნენ, რომ აშშ-ში სამომხმარებლო და სხვა უცვლელი გადასახადების გარდა, აუცილებელია სამართლიანი, მოხერხებული და ბიზნესის წახალისებაზე ორიენტირებული დღგ-ის შემოღება. თუმცა იყვნენ მოწინააღმდეგებიც – ოპონენტები აკრიტიკებენ დღგ-ის შემოღების იდეას, რამდენადაც მიაჩნდათ, რომ დღგ-ი მთავრობის ხელში იქნებოდა ფულის მანქანა; დღგ-ს სახით სამომხმარებლო გადასახადი გახდებოდა რეგრესიული; სამომხმარებლო გადასახადი ხელს შეუშლიდა სახელმწიფო საგადასახადო ბაზის ფორმირებას. ასეთ მოსაზრებას საფუძველი გამოეცალა მას შემდეგ, რაც ეკონომი-

[1] ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის მონაცემთა საფუძველზე;
[2] *დასაზუსტებელი მონაცემებით.

კური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შემოსავლების სტატისტიკაზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ დღგ-ის დაწესება შესაძლებელია მთავრობისათვის ფულის მანქანად გადაქცევის გარეშეც. მაგრამ დღემდე არსებობს მოსაზრება, რომ დღგ მძიმე ტვირთად აწვება სამართლიანად მომუშავე გადამხდელ მეწარმე პირს [3].

დღგ-ის ადმინისტრირების მექანიზმში არსებითია საგადასახადო განაკვეთის ზღვრულ დონეზე მომქმედი ფაქტორების განსაზღვრა. არის მოსაზრება, რომ საგადასახადო განაკვეთების საერთო დიაპაზონში ცვლილებების გავლენა საგადასახადო შემოსავლებსა და გეოგრაფიული ცვალებადობის ეფექტებს უკავშირდება [4]. დღგ-ის რეგულაციების ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის აუცილებლობიდან გამომდინარე [5] ცალკეული ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისთვის ინტეგრაციულ გაერთიანებებში საგადასახადო განაკვეთებთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებული განსხვავებების ხელისშემშლელ როლზე. საბოლოოდ, ყველა აღიარებს, რომ დღგ საგადასახადო თაღლითობასთან ბრძოლის ქმედითი ინსტრუმენტია. ამასთან, ხაზს უსვამენ საერთაშორისო დონეზე მისი ჰარმონიზაციის აუცილებლობას [6]. მიჩნეულია, რომ არაპირდაპირი გადასახადები დანიშნულების ან წარმოშობის პრინციპის მიხედვით უნდა დაწესდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში უპირატესობა უნდა მიენიჭოს დანიშნულების პრინციპს. აღნიშნულის მოტივაციას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა განაპირობებს.

სივრცითი ფასების გამოთვლის მეთოდოლოგიით დასაბუთებულია, რომ შედარებით ნაკლებად განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, დასაშვებია არაპირდაპირი გადასახადების გადანაწილება.

დღგ-ის ადმინისტრირების სრულყოფის მიზნებისთვის, აუცილებელია დასაბეგრი ოპერაციების გამოკვეთა, საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა და ევროკავშირის ქვეყნების საგადასახადო სისტემებთან მისი ჰარმონიზაცია. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამ [7] განსაკუთრებული ბიძგი მისცა ამ პროცესს და ზოგადად, ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას საგადასახადო სფეროში.

ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოში ჰარმონიზაციის, როგორც გლობალური, ასევე, ნაწილობრივი მიდგომების გამოყენების პირველი ეტაპი, ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული [8]. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფის, მათ შორის, დღგ-ის საპროცენტო განაკვეთის [9] მოცულობის ოპტიმიზაციისთვის, გამოიკვეთა და საჭირო გახდა საზღვარგარეთის, უპირველეს ყოვლისა კი, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების შემდგომი შესწავლა და გაზიარება, რაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა. საგადასახადო კანონმდებლობაში პერიოდულად იცვლებოდა დღგ-ის რეგულაციები და იხვეწებოდა მისი ადმინისტრირების პრაქტიკა. თავდაპირველად საქართველოში დღგ-ის საპროცენტო განაკვეთი 25% იყო, 1997 წელს განხორციელებული ცვლილებით გახდა 20%-ი, 2005 წლიდან კი, 18%-ია.

დღგ-ის ადმინისტრირების სრულყოფის მიმართულებით 2020 წელს [11], განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას. 2021 წელს წინა წელთან შედარებით მშპ-ის მოცულობა გაიზარდა 22%-ით და 49 266.7 მილიონი ლარიდან 60 231.6 მილონ ლარს მიაღწია (იხ. ცხრილი 1). ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ის მოცულობაც **(იხ. ცხრ. 2).**

ცხრილი 2

დამატებული ღირებულების გადასახადი საერთო გადასახდში (ათასი ლარი)

დასახელება	2016	2017	2018	2019	2020
გადასახადები, სულ:	7 986 750.3	8 991 307.4	9 695 962.2	9 665 567.6	9 364 779.4
მათ შორის: დღგ	3 286 393.4	4 122 612.8	4 426 909.8	4 243 606.7	3 918 159.1

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამისნისტრო/ matsne.gov.ge/ka/document/view/4734727?publication=2

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ 2016-2019 წლებში დღგ-ს ზრდის 30%-იანი დინამიკა ფიქსირდება. 2020 წელს ზრდის ტემპის ოდნავ შემცირება დაკავშირებულია Covid -19 პანდემიასთან, რომელმაც მსოფლიო ეკონომიკა შეარყია.

ისევე, როგორც ევროკავშირში, საქართველოში მოქმედებს დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია. ნებადართულია დღგ-ის გადამხდელად პირის ნებაყოფლობითი რეგისტრაციაც. დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია: დასაბეგრი ოპერაცია; იმპორტი; ექსპორტი; რეექსპორტი; დროებით შემოტანა [12].

დღგ-ის მიზნებიდან გამომდინარე, სსკ-ში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად განისაზღვრა: სამეწარმეო საქმიანობა; საქონლის მიწოდების/მომსახურების გამწევი პირის საქმიანობა; რეგულარული შემოსავლის მიღების, ხოლო ერთჯერადად, არარეგულარული ხასიათის ოპერაციების განხორციელებისას, გარდა არასაცხოვრებელი დანიშნულების ქონების მიწოდებისა, ქონების გამოყენება განთავისუფლდა დღგ-ით დაბეგვრისაგან. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციას მიეკუთვნება დასაბეგრი პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ანაზღაურების სანაცვლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა, აგრეთვე, საქონლის იმპორტი. ამასთან, დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად აღარ განიხილება აქტივების, მათ შორის მომსახურების მიწოდება საწარმოს მიერ ყველა აქტივის მიწოდებისას, რეორგანიზაციისას ან კაპიტალში შეტანისას. საქონლის დროებითი შემოტანაც აღარ განიხილება დასაბეგრ ოპერაციად. საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება დღგ-ით იბეგრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პირს გაწეულ ხარჯზე დღგ სრულად ან ნაწილობრივ აქვს ჩათვლილი. მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა დღგ-ით იბეგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა არ გამომდინარეობს გადამხდელის საქმიანობის მიზნებიდან ან გაწეულია თანამშრომლის პირადი სარგებლობისთვის. ყველა სახის უწყვეტი და რეგულარული ტიპის მომსახურებაზე მიღებული ავანსი იბეგრება დღგ-ით, ამასთან, ამ გადასახადით არ დაიბეგრება კავშირგაბმულობა, სატელეკომუნიკაციო მომსახურება, ელექტროენერგიის, გაზის, წყლის და სხვა მსგავსი საქონლის მიწოდება. ლიზინგით განსაზღვრული ვადით ან საქონლის განვადების პირობით მიწოდებისას, დღგ-ის მიზნებისათვის საქონლის მიწოდებად განიხილება საქონლის ფაქტობრივი გადაცემა. შესაბამისად, ლიზინგის ოპერაცია საქონლის ფაქტობრივად გადაცემიის მომენტში დაიბეგრება დღგ-ით. მომსახურების გაწევის ადგილის განსაზღვრა დაეფუძნება ორ ძირითად პრინციპს:

ა. ბიზნესის (დასაბეგრი პირის) მიერ ბიზნესისათვის (დასაბეგრი პირისათვის) მომსახურების გაწევის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება მომსახურების შეძენის ადგილი;

ბ. ბიზნესის (დასაბეგრი პირის) მიერ მომხმარებლისათვის (არადასაბეგრი პირისათვის) მომსახურების გაწევის ადგილად განიხილება მიმწოდებლის დაფუძნების ადგილი.

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეხო საქმიანობებს, რომლებიც ვერ ისარგებლებენ ჩათვლის უფლებით, თუმცა განთავისუფლდებიან დღგ-ით დაბეგვრისაგან. გაფართოვდა და დაზუსტდა საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დღგ-ის ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ღია ზღვაში საქონლის მიწოდების ცალკეული ოპერაციები, ასევე, საზღვაო და საჰაერო ხომალდის მიწოდება, შეკეთება, გადაკეთება, ტექნიკური მომსახურება, ფრახტი, იჯარა. ხომალდზე დამონტაჟებული ან გამოყენებული მოწყობილობის მიწოდება, იჯარა, შეკეთება ან ტექნიკური მომსახურება და ა.შ.

ბიზნესსაქმიანობის მოტივაციის გაზრდასთან დაკავშირებით, საქართველომ ბევრ კომპონენტში გაუსწრო ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მოთხოვნებს. მაგალითად, თუ კი სლოვაკეთში, საფრანგეთში, ჩეხეთში და ა.შ. ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებში სამედიციონო, საგანმანათლებლო მომსახურება/საქონელი იბეგრება დღგ-ის შემცირებული განაკვეთებით, საქართველოში აღნიშნული საქონელი და მომსახურება გათავისუფლებულია დღგ-ის დაბეგვრისაგან, ამასთან, ლუქსენბურგის შემდეგ (17%) საქართველოში მალტასთან ერთად, დღგ-ის საპროცენტო განაკვეთი ყველაზე დაბალი 18%-ია.

ეკონომიკისა და ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოში უკვე მოქმედებს დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების ავტომატიზირებული სისტემა – სპეციალური პროგრამის მეშვეობით, დაზუსტებული დასაბრუნებელი ზედმეტობა, გადასახადის გადამხდელთა პირად საბანკო ანგარიშზე აისახება ავტომატურად, დამატებითი მოთხოვნის წარდგენის გარეშე. 2020 წელს, დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროგრამის გამოყენებით დაბრუნდა მილიარდ ლარზე მეტი, რაც 466 მლნ. ლარით აღემატება 2019 წელს დაბრუნებული დღგ-ის ოდენობას[1].

2021 წლიდან, საგადასახადო კანონმდებლობაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც კომპანიების მხრიდან სავალდებულოა დაქირავებულ პირთა ელექტრონული რეესტრის შევსება. მონაცემთა ახალი ბაზის ფორმირება ითვალისწინებს დაქირავებულ პირთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის თავმოყრას და შექმნილია სხვადასხვა ევროპული ქვეყნის პრაქტიკის შესაბამისად. ამასთან, ამოქმედდა **„დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელის სტატუსინ,** რომელიც საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის დახვეწას, თაღლითური სქემების რისკების მართვას, ასევე, არამიზნობრივად დღგ-ის რეგისტრაციისა და შესაბამისი დოკუმენტების არამართლზომიერად გამოწერის შემცირებას ემსახურება.

დღგ-ის „საშუალო“ სიდიდის გადამხდელებისთვის ამოქმედდა სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი, რაც გულისხმობს, საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისთვის გადასახადის აღრიცხვასა და ასახვას იმ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი პერიოდის დეკლარაცია არა აქვს წარმოდგენილი.

დასკვნები და რეკომენდაციები

ამრიგად, გვაქვს საუძველი შევჯერდეთ მასზედ, რომ დღგ ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა. სწორედ ამიტომ, მუდმივად საყურადღებოა დღგ-ის ადმინისტრირების სრულყოფაზე ზრუნვა, ცვლილებების შედეგების ანალიზი, შეფასება და შესაბამისი კორექტივები.

[1] წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

უკვე ყველასთვის ნათელია, რომ დღგ-ის რეგულაციების დაახლოებამ ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებთან ხელი შეუწყო სავაჭრო ბრუნვის მოცულობის და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას. 2016 წელთან შედარებით 2019 წელს დღგ-ის სახით შემოსავლები ბიუჯეტში გაიზარდა თითქმის 30%-ით და შეადგინა 4 243 606.7 ათასი ლარი. 2020 წელს კი წინა წელთან შედარებით თითქმის 7%-იანი შემცირების მიუხედავად, დღგ კვლავ დარჩა ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის ძირითად წყაროდ. გადასახადების მთლიან მოცულობაში 2020 წელს დღგ-ის ხვედრითი წილმა შეადგინა 42% და წინა წლის მაჩვენებელს მხოლოდ 2%-ით ჩამორჩა.

კვლევით დადასტურდა, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ჯერ კიდევ გადაულახავ ბარიერად რჩება დღგ-ის ადმინისტრირებაში უკავშირდება საგადასახადო თაღლითობისა და გადასახადებისგან თავის არიდებას, რაც აზიანებს ბიუჯეტის შემოსავლებსა და უარყოფითად აისახება მშპ-ს მოცულობაზე. სწორედ ამ მიზეზით, 2017-2021 წლებში, 7 323.1 მილიონ ლარს შეადგენს მშპ-ის კორექტირების თანხა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დღგ-ის ადმინისტრირების სრულყოფა განუწყვეტელი პროცესია.

ლიტერატურა:

1. ფრანსუა ლოკიე, დერეკ ბლეიდსი – ეროვნულ ანგარიშთა სისტემა: როგორ ვასწავლოთ და გავიგოთ, მეორე გამოცემა, თარგმანი, რედაქტორები: ფროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ქეთევან მარშავა, 2015; გვ. 150;
2. John R. McGowan; B. Anthony Billings; An analysis of the European community VAT: Implications for U.S. tax policy; ournal of International Accounting, Auditing and Taxation, Volume 6, Issue 2, 1997, Pages 131-148;
3. Pavel Semerád; Lucie Bartůňková; VAT Control Statement as a Solution to Tax Evasion in the Czech Republic; 19th International Conference Enterprise and Competitive Environment 2016, ECE 2016, 10–11, March 2016, Brno, Czech Republic; Procedia – Social and Behavioral Sciences 220 (2016) 417 – 423;
4. Yoshiaki Ohsawa; A spatial tax harmonization model; European Economic Review; Volume 47, Issue 3, June 2003, Pages 443-459;
5. Krasnov, A.; Okanova, A.; Yeraliyeva, Y.; Kozhakhmetova, M.; Karshalova, A.; Aitkazina, M. 2020. Development of the financial policy of the Eurasian economic union countries: tax harmonization, *Entrepreneurship and Sustainability Issues* 8(1): 138-149;
6. Michael Keen; Sajal Lahiri; Pascalis Raimondos-Møller; Tax principles and tax harmonization under imperfect competition: A cautionary example; European Economic Review; Volume 46, Issue 8, September 2002, Pages 1559-1568;
7. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის – 27/06/2014;
8. Paola Conconi; Carlo Perroni; Raymond Riezman; Is partial tax harmonization desirable? Journal of Public Economics, Volume 92, Issues 1–2, February 2008, Pages 254-267;
9. Steffen Osterloh Friedrich Heinemann; The political economy of corporate tax harmonization — Why do European politicians (dis)like minimum tax rates?; European Journal of Political Economy, Volume 29, March 2013, Pages 18-37;

10. **Кадомцева С.В., Золотарева Ю.О.** Налоговая гармонизация в условиях развития международных экономических объединений//Научные исследования экономического факультета. Электронный журнал. 2017. Том 9. Выпуск 3. С. 28-45;
11. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №326, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; ქ. თბილისი; 2020 წლის 30 დეკემბერი;
12. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია;

Regulation of Value Added Tax in Georgia: Analysis of Changes, Challenge

David Jalagonia
Sokhumi State University Professor of Business Administration
Iuri Papaskua
Sokhumi State University Professor of Business Administration
Levan Teziashvili
Sokhumi State University Doctoral student of business administration

SUMMARY

Taxes are the main source of income formation in the state budget of Georgia. 90% of the total amount accumulated in the country's budget comes from taxes, and among them, 40-45% is held by value added tax (VAT).

Based on the predominant role and importance of VAT in the structure of state budget revenues, the paper presents an assessment of the separate issue of VAT regulation in Georgia and the authors' opinions on the directions of their improvement; Based on empirical data, the changes made in the tax legislation of Georgia regarding VAT regulations have been studied, analyzed and evaluated; The hypothesis has been formulated and verified that in accordance with the best international practice, the further improvement of VAT regulation will contribute to the expansion of business activities in Georgia, the increase in the volume of the VAT taxable base and, accordingly, the mobilization of more money in the state budget.

Key words: VAT, tax administration, best practice

ბიზნესის მასობრივი კრიმინალიზაციის ნიშნები საქართველოში

მიხეილ ჯიბუტი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

პრევენცია, აღმოჩენა და სანქცირება ეკონომიკური ცხოვრების მუდმივი ელემენტებია. ის ემსახურება ისეთი იდეალური მდგომარეობის მიღწევას, როდესაც ბიზნესის მიერ ხორციელდება ეფექტიანი საქმიანობა, ხარისხიანი პროდუქციის/მომსახურების წარმოება და გადასახადების/ მოსაკრებლების დროული და კეთილსინდისიერი გადახდა. ამისათვის, „დანაშაული“ და „სასჯელი“ უნდა იყოს ერთმანეთთან ისეთ გონივრულ თანაფარდობაში, როდესაც დანაშაული დაუსჯელი არ რჩება და სასჯელიც არ უნდა იყოს ისეთი (ან უმნიშვნელო, ან შესასრულებლად მიუწვდომელი), რომელიც არ მოქმედებს, ნეიტრალურია დანაშაულის ჩადენისადმი. წინამდებარე კვლევის ობიექტია ასეთი, საქართველოს მიკროეკონომიკაში მეწარმეობის მასობრივი კრიმინალისაზიის საფრთხის შემცველი, მდგომარეობა. კერძოდ, ესაა დიდი შეუსაბამობა, დისპროპორცია ერთი მხრივ, საწარმოების საგადასახადო შემოწმების შედეგად. დამატებით გადასახდელად დარიცხულ თანხების დიდ ზომასა და მეორე მხრივ, ამ თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში სანქციებით მიღებულ შემოსავლებს სიმცირეს შორის. ამ შემცირების მიზეზების შესახებ საჯაროდ ცნობილი არაა, გარდა სანქცირებული საწარმოების გამართლების შედეგად შემცირების ზომისა. 2021 წელს საგადასახადო შემოწმების აქტებით დარიცხული 707 მლნ.ლარიდან შემცირებამ 351 მლნ.ლარი შეადგინა. ე.ი 50 %-მდე სანქცირება იყო „სასჯელის“ არასწორი დაკისრება. ნაჩვენებია, რომ „ჭარბსასჯელიანობას“ მრავალი მიზეზი იწვევს. მათ შორის, ერთი მხრივ , ხელისუფლების მიერ შექმნილი კანონმდებობის ნაკლოვანებები და მეორე მხრივ, ბიზნესის წარმომადგენელთა არასათანადო ცოდნიდან და უნარებიდან გამომდინარე უპასუხისმგებლობა.

საკვანძო სიტყვები: *მეწარმეობის კრიმინილიზაცია, საგადასახადო სანქციები, დისპროპორცია სანქციებით დარიცხულ და სანქციებიდან მიღებულ შემოსავლებს შორის*

ბიზნესის ნორმალური წარმოების შემთხვევაში მას არ უნდა ჰქონდეს პრობლემები კანონმდებლობასთან და საზოგადოებასთან. ის უნდა იცავდეს არა მარტო კანონმდებლობის, არამედ ეთიკის ნორმებს. უფრო სწორად, ბიზნესის მთავარი ეთიკური ნორმა კანონმდებლობის დაცვაა. უამრავი შემთხვევიდან, შევჩერდებით ერთზე, სადაც ბიზნესის სამართლებრივი და მორალურ – ეთიკური პასუხისმგებლობა ემთხვევა. ესაა, ბიზნესის მიერ ეფექტიანი საქმიანობა, ხარისხიანი პროდუქციის/მომსახურების წარმოება და გადასახადების/ მოსაკრებლების დროული და კეთილსინდისიერი გადახდა. ასეთი იდეალური მდგომარეობისაკენ მუდმივი სწრაფვა საზოგადოების ერთ – ერთი უმთავრესი ამოცანაა. მის მისაღწევად აუცილებელია მუდმივი თვალყურის დევნება, რომ დროულად იქნას აღმოჩენილი კოლიზიის საფრთხეები და გატარდეს პრევენციული ღონისძიებები. წინამდებარე კვლევის ძირითადი მიზანი ასეთი საფრთხეების არსებობა / არარსებობის დადგენაა საქართველოს მიკროეკონომიკაში. იმ შემთხვევაში სადაც არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად საკმარისი ინფორმაცია არაა, ანალიზთან ერთად, ამ ინფორმაციული ვაკუუმის შესავსებად, დასმულია მნიშვნელოვანი ამოცანა, მომავალში პასუხის გასაცემი საჭირო კითხვების მიგნება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემების (ცხრილი 1) მიხედვით 2019-2020 წლებში 9603 ბიზნეს – სუბიექტს საგადასახადო აუდიტორული შემოწმების შედეგად დამატებით გადასახდელად დაერიცხათ 2 547 150 ათასი ლარი, აქედან, ძირითადი 1 240 600 ათასი ლარი, ხოლო ჯარიმის სახით 1 306 610 ათასი ლარი. საშუალოდ, თითოეულ სუბიექტზე დარიცხული თანხის ოდენობა შეადგენს 265 ათას ლარზე მეტი.

ცხრილი 1.

საგადასახადო შემოწმების მონაცემები

	საგადასახადო პერიოდი (წელი)	
	2019	2020
შემოწმებული სუბიექტები	4847	4756
შემოწმების შედეგად დამატებით გადასახდელად დარიცხული თანხა (ათასი ლარი)	1 306 600	1 240 550
მ.შ. ძირითადი(ათასი ლარი)	644 350	596 250
მ.შ. ჯარიმა(ათასი ლარი)	662 310	644 300

წყარო: საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ანგარიშგებები

შემოწმების შესახებ ანგარიშგებებიდან არ ჩანს შემოწმებულ სუბიექტთა კატეგორიები ზომის (მცირე, საშუალო, მსხვილი), მეწარმეობის ფორმის მიხედვით. რა არის მათ შორის საერთო და თუ კი არის, რამდენია ინდივიდუალური მეწარმე, ან კოოპერატივი? ეს ანალიზისათვის კარგი იქნებოდა. თუმცა, მისი არ არსებობა არ ცვლის იმ მდგომარეობას, რომ თავისთავად დარიცხული თანხის ოდენობა ძალიან დიდია. ის შეადგენს შესაბამისად 2019 და 2020 წლების მშპ-ს (მუდმივ 2015 წლის ფასებში) 3,25 და 3,3 %-ს.

საინტერესოა საგადასახადო შემოწმების შედეგები გასვლითი და კამერალური ტიპების მიხედვით. 2019 წელს 4847 შემოწმებიდან გასვლითი შემოწმება ჩატარდა 333 შემთხვევაში. შემოწმების შედეგად დამატებით გადასახდელად დარიცხულმა თანხამ შეადგინა სულ 229 170 ათასი ლარი, აქედან ძირითადი იყო 148 870 ათასი ლარი, ხოლო ჯარიმა – 80 300 ათასი ლარი. 2020 წლისათვის იგივე მონაცემები შესაბამისად შეადგენდა: 4752, 724, 253 550 ათასი ლარი,162 250 ათასი ლარი, 91 300 ათასი ლარი. მონაცემებიდან ჩანს, რომ გასვლითი შემოწმებები უფრო ეფექტიანია, მიუხედავად იმისა რომ ის მეტ ადმინისტრაციულ (მ.შ. აუდიტორების დრო) რესურსებს მოითხოვს. 2019 წელს გასვლითმა შემოწმებებმა შეადგინა მთლიანი შემოწმებების 6%, ხოლო 2020 წელს – 15% , რომლის დროსაც დარიცხულ იქნა შესაბამისად მთლიანი დარიცხული თანხის 17,54 და 20,44%, მათ შორის ძირითადში 23,1 და 27,1%, ხოლო ჯარიმებში 12,1 და 14,17%.

ყურადსაღებია დარიცხული ძირითადი და ჯარიმის თანხების თანაფარდობა. 2019 წელს გასვლითი შემოწმების დროს ძირითადად დარიცხულ ყოველ 1 ლარზე მოდიოდა ჯარიმის 0,54 ლარი, კამერალური შემოწმებისას კი – ყოველ ძირითადად დარიცხულ 1 ლარზე 1,18 ლარი ჯარიმა მოვიდა. 2020 წლისათვის ტენდენცია შენარჩუნდა: გასვლითი შემოწმებისას ძირითადი თანხის შემთხვევაში 1 ლარზე ჯარიმის 0,64 ლარი მოდიოდა, კამერალური შემოწმებისას კი 1 ლარზე -1, 27 ლარი. ინფორმაციის უქონლობის გამო აღნიშნული ფაქტის ახსნა ძნელია, თუმცა ამოცანის დასმა საგადასახადო სამსახურებისათვის შეიძლება: გაირკვეს, რატომაა გასვლითი შემოწმება ეფექტია-

ნი შემოწმების შედეგად ძირითადი თანხის, ხოლო კამერალური შემოწმება – ჯარიმების დარიცხვის ნაწილში?

მონაცემების მიხედვით ადგილი აქვს მეწარმე სუბიექტების მიერ მასშტაბურ კანონდარღვევას, თუმცა არ ვიცით მიზეზები. ფაქტია, რომ ქართულ სინამდვილეში, ბენჯამინ ფრანკლინის აფორიზმი: ცხოვრებაში ორი რამის – სიკვდილისა და გადასახადების გარდაუვალობის შესახებ, გადასახადების ნაწილში ბოლომდე არაა განხორციელებული, თუმცა ძალას იკრებს.

რითია შექმნილი სიტუაცია გამოწვეული? შეიძლება იყოს რამოდენიმე ვარიანტი: 1. ბიზნესის წარმოების ჩვევები არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა შემოწმების შესაძლებლობები საგადასახადო სამსახურის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით; 2. შეიცვალა საკანონმდებლო ბაზა, რომელსაც ჩამორჩა ბიზნესი ორგანიზაციულად და კადრების კვალიფიკაციით; 3. ბიზნესი შეგნებულად (მერკანტილისტური მიზანი) მიდის დარღვევებზე, რადგანაც ამის გარეშე არა თუ რენტაბელობას ვერ აღწევს, არამედ ლიკვიდური თანხების შენარჩუნებასა და ბიზნესის შენარჩუნება/გაფართოებას ვერ ახერხებს; 4. ბიზნესი შეგნებულად მიდის დარღვევებზე იმ გათვლებით, რომ სასჯელს თავიდან აიშორებს სხვადასხვა არაფორმალური გზებით, ან სქემებით; 5. ჩამოთვლილი ვარიანტების სხვადასხვა კომბინაცია.

როგორიც არ უნდა იყოს მიზეზი, საგანგაშოა გადასახადის გადაუხდელობის გამო დარიცხული თანხების ზრდის ტენდენცია. 2018 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა საგადასახადო შემოწმების შედეგად ბიზნეს-სუბიექტებს დამატებით გადასახდელად დაარიცხა 632 412 ათასი ლარი, რასაც 2,06 და 1,96-ჯერ აღემატება შესაბამისად 2019 და 2020 წლებში დარიცხული თანხები. ბიზნესის უწესრიგობისადმი მიდრეკილების გამოხატულებაა აღრიცხვის წესების იგნორირება. სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის 9148 პირის საგადასახადო მონიტორინგის შედეგად დარიცხულმა სანქცია/ჯარიმამ შეადგინა 2018-2021 წლებში 44 182 ათასი ლარი. თითოეულ პირზე საშუალო სიდიდე 4830 ლარი თითქოს არაა საგანგაშო მნიშვნელობის, მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს პირთა რაოდენობას და დარღვევის საყოველთაობას.

ნებისმიერი მიზეზის, ან მიზეზთა ჯგუფის შემთხვევა წარმოაჩენს ბიზნეს-სუბიექტების მიერ კანონდარღვევის გამართულებელ, ან ხელისშემწყობ ფაქტორს, მაგრამ ვერ გამოდგება მის გასამართლებლად.

არსად ისე არ იკვეთება საზოგადოებრივი ინტერესები და კერძო ინტერესები ისეთი სიხშირით როგორც ბიზნესის დროს. ამიტომ, აქ ცდუნება დიდია, მაგრამ საზოგადოება უნდა იყოს დონეზე და ამისთვის ქირაობს ხალხი მთავრობას, რომ ხარისხი და წესრიგი იყოს უზრუნველყოფილი! ბიზნესის მიერ კანონის დარღვევას, მათ შორის გადასახადების დაფარვას, აქვს გარე უარყოფითი ეფექტი მთელი მოსახლეობისა და საზოგადოებისათვის, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებითა და იქედან საზოგადოებისათვის საჭირო პროგრამების დაუფინანსებლობაში აისახება.

ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ვინ ახორციელებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას? დიდ ფირმებში ასეთი ამორალური ქცევებისათვის შეიძლება არსებობდეს მთელი ჯგუფი ე.წ. გადასახადების ოპტიმიზაციისათვის, ანუ კანონისათვის გვერდის ავლის სქემების შესამუშავებლად. აქ გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მ.შ. საგადასახადო ოაზისები „ოფშორების“, „თავისუფალი ეკონომიკური“ ზონების სახით და სხვ. მცირე და საშუალო ბიზნესის შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო ქმედება ხორციელდება ფირმის მესაკუთრე/მენეჯერებისა და ბუღალტრების მიერ. გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მათ შორის შემოსავლების კერძო ინტერესებისათვის დაფარვის შედეგი, შეიძლება ეს იყოს ბუღალტერებზე პირდაპირი დავალება დამალოს (არ უჩვენოს)/ხელოვნურად შეამციროს შემოსავლები. ეს ხშირად გამოწვეულია იმით, რომ ესაა ერთადერთი გზა საჭირო ლიკვიდური თანხების მისაღებად, როდესაც მიზნის მისაღწევად საშუალებების კანონიერება-

ზე შემოწმებით შერჩევა არ ხდება. ზემოთმოყვანილ ციფრებში აშკარად ჩანს ფინანსური ანგარიშგებისა და პრობლემები. დროული და ხარისხიანი ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მენეჯმენტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენ წერტილს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას. ფინანსური ანგარიშგების გარკვეული სტანდარტების სრულფასოვნად ანალიზი და დანერგვა მნიშვნელოვანია საგადასახადო და ბიზნეს რისკების სამართავად.

უკვე არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ვერავითარი კანონდაღვევა ვერ გამართლდება დასმული ამოცანების მიღწევის სურვილით.

ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) შედგენილი ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს პროფესიონალი ბუღალტერი, მათ შორის, იმ შემთხვევაში თუ ფირმის საქმიანობა დაუპირისპირდა საზოგადოებრივ ინტერესებს და არსებობს რისკები კანონმდებლობის დარღვევისათვის. პროფესიული ეთიკა, გადაწყვეტილების მიღებისას, ინვესტორების, კრედიტორების, საზოგადოებრივი ინტერესების, ფირმის ხელმძღვანელობის ინტერესებზე მაღლა დაყენებას მოითხოვს. მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნება ფირმის შიგნით კანონდარღვევის პრევენციისათვის მოქმედების ყველა შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, „პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ დაუყონებლივ აცნობოს საკითხის შესახებ შესაბამის ორგანოს, ამგვარი დარღვევის შედეგების შერბილების მიზნით“ (ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა 2022).

ფინანსური ანგარიშგებების წარმოუდგენლობის უკიდურესად მაღალი მაჩვენებელი, თუ მათ დავუკავშირებთ გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის მდგომარეობას, იძლევა იმის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ზემოთმოტანილი ჩატარებული საგადასახადო შემოწმების

მასშტაბები, არც რაოდენობრივად, არც დარღვევათა გამოვლენით არ შეესაბამება რეალურ დარღვევათა მასშტაბებს. შესაბამისად ალბათობა იმისა, რომ დარღვევათა გამომჟღავნება ძალიან დაბალია – დიდია. როგორ ჩანს, დიდია დისპროპორცია ჩადენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსა და მათ გამომჟღავნებას შორის. გამჟღავნებული დანაშაული ისჯება სასტიკად, თუმცა ისეთივე დანაშაულისათვის უმრავლესობა რჩება დაუსჯელი.

საგადასახადო შემოწმების შედეგად სანქცირებული საწარმოების ნაწილი მართლდება დავების საბჭოს მეშვეობით. 2019 წელს 4847 შემოწმებული საწარმოდან დავების საბჭოს მიმართა საჩივარით 2452 საწარმომ, საიდანაც სრულად, ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 1367 (55,8%). 3480 საწარმოდან 1354 საწარმოს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით დამნაშავედ ცნობილ იქნა 2018 – 2020 წლებში 3082 პირი. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ეკონომიკური და ფინანსური დანაშაულის სახეების მიხედვით. მნიშვნელოვანია ეკონომიკური დანაშაულისა და სასჯელის პოლიტიკის საკითხი. სხვადასხვა ქვეყნებში ეს საკითხი სხვადასხვანაირად რეგულირდება. ჩვენი აზრით, პოლიტიკა უნდა იყოს ეკონომიკური დანაშაულის უპირატესად ეკონომიკურად დასჯის სასარგებლოდ და უკიდურეს შემთხვევაში უნდა გადავიდეს ის სისხლის სამართლებრივი დევნის სფეროში. გადასახადის გადაუხდელობა ერთნაირად უნდა ისჯებოდეს მათი ზომის მიუხედავათ. ოღონდაც თავიდან ეკონომიკური დანაშაული უნდა დაისაჯოს ეკონომიკურად, ხოლო შემდეგ უკვე გადაუხდელობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი გადაყვანა სისხლის სამართალში და აქ შეიძლება სხვადასხვა დიფერენცირება, ზარალის ზომის მიხედვით, რაც მიადგა სახელმწიფოს. ეკონომიკური დანაშაულისათვის ეკონომიკური სასჯელის პოლიტიკა იმ გაგებითაც მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას ააშორებს საბიუჯეტო ხარჯებს ეკონომიკური დანაშაულის გამო პატიმრობაში მყოფთა შენახვისათვის შესანახად. წესრიგის დამკვიდრებისათვის მკაცრ დასჯაზე უფრო ეფექტიანია, ყველა დანაშა-

ულისათვის აუცილებლად განხორციელებული სამართალი, რაც ჯერჯერობით სამომავლო ამოცანაა საქართველოსათვის.

კანონმდებლობის შეუსრულებლობისათვის დასჯა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. კანონმდებლობის დარღვევისათვის სასჯელის დაკისრებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს დაკისრებული სასჯელის აღსრულებას. მოცემულ შემთხვევაში ლოგიკურად ისმის კითხვა: რა გზას გაივლის საგადასახადო სანქციები მისი დაკისრებიდან აღსრულებამდე? ორი შემთხვევა – გამართლება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განვიხილეთ. რჩება საგადასახადო სანქციების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზების შემთხვევა: როგორ აისახება ისინი ბიუჯეტში? ბიუჯეტის კლასიფიკატორით მათი ასახვა ხდება: ძირითადი დარიცხული თანხის – შესაბამისი გადასახადების მუხლებში, ხოლო დამატებით დარიცხული ჯარიმებისა და საურავების სპეციალურად „სხვა შემოსავლებში“ სპეციალური კოდით – „სანქციები (ჯარიმები და საურავები).“

წლები	შემოსავლები სულ, ათასი ლარი	სხვა შემოსავლები ათასი ლარი	% მთლიან შემოსავალში	სანქციები (ჯარიმები და საურავები) ათასი ლარი	% სხვა შემოსავლებში
2018	10.595.649,4	495.672,5	4,68	72.248,4	15,79
2019	10.675.037,7	519.834,8	6,35	98.139,2	18,88
2020	10.490.370,0	666.039,4	6,37	71.928,2	10,80
2021	12.549.040,0	800. 000,0	6,37	100.000,0	12,50
2022	14.560.418,0	795. 000,0	5,46	110.000,0	13,84

წყარო: საქართველოს კანონები 2019/2020/2021/2022 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში სხვა და მათ შორის სანქციებით მიღებული შემოსავლები როგორც ჩანს, შემოწმების შედეგად საურავების სახით დარიცხულ თანხებსა და ბიუჯეტში ჩარიცხულ თანხებს შორის დიდი სხვაობაა. საურავებში საერთოდ რა შედის? გზაში ბიუჯეტამდე ვერ აღწევს დარიცხული საურავების 80-85 %-ზე მეტი! ექსპერტული შეფასებით აქედან ნახევარი ვერ აღწევს ცნობილი მიზეზებით, ხოლო მეორე ნახევარის საკითხი ღიაა. ყველაზე მცირე სკეპტიკური მიდგომით, დაახლოებით 200 -300 მილიონი ლარის ოდენობით კორუფციული პოტენციალის შემცველია და არსებობს რისკი, რომ სწორედ ამის გამო ვერ ხვდება ამ ოდენობის თანხა ბიუჯეტში ყოველწლიურად! ამ საკითხზე პასუხი გაცემა საქართველოს ფინანსური ხელისუფლების ვალია ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფით. ინფორმაციის ღიაობა ეხება ,უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანებების ინფორმაციის საჯაროობას. ღია წყაროებით ეს ინფორმაცია, გაუგებარი მიზეზით , ხელმიუწვდომელია.არადა საკითხი ეხება

ბიუჯეტის კუთვნილ თანხებს. ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს როგორც აჯამებული, ისე სამეწარმეო სუბიექტების ჭრილში.

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით შემოსავლების პროგნოზი შეადგენს 17 193 290 ათას ლარს, აქედან სხვა შემოსავლები 960 000 ათასი ლარია. ამ უკანასკნელში სანქციები 125 000 ათასი ლარი, ანუ სხვა შემოსავლების 13 %.

2021 წლისათვის 5852 დასრულებული შემოწმება, აქედან გასვლითი 9% (527), ხოლო კამერალური 91% (სრული 48, თემატური 43 პროცენტი). დაარიცხეს 707 მლნ. (შემოწმების ყოველ სუბიექტს საშუალოდ 120 ათასი ლარი) დავების შემდეგ დარჩა 351მლნ., რაც სანქციებიდან საბიუჯეტო შემოსავლებს, ეს უკანასკნელი რომ მხოლოდ საგადასახადო სანქციებს წარმოადგენდეს, 2,9-ჯერ აღემატება.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე გაუგებარია ე.წ. დავალიანებათა ჩამოწერის მასშტაბები.

ჯერ ერთი, საგადასახადო დავალიანებების ყველა ჩამოწერა დიდი ალბათობით მოიცავს მაღალი ალბათობით დაუსჯელი კორუფციის შესაძლებლობას. მეორე, ასეთი ჩამოწერები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებენ იმ პირებს ვინც კეთილსინდისიერად გადაიხადა გადასახადები და მოსაკრებლები. მესამე, აჩვენებს ქვეყანაში ვალაუვალობის, ანუ გაკოტრების კანონის უმოქმედობას. არ შეიძლება გროვდებოდეს გადაუხდელი გადასახადები თუ გაკოტრების მექანიზმი ჩართულია და მუშაობს. მეოთხე, ქვეყანას არ გააჩნია ფიზიკური პირების გაკოტრების შესახებ კანონი.

ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი ბიზნეს-ერთეულისათვის როდესაც ის შეგნებულად მიდის კანონმდებლობის დარღვევაზე. გარდა ამისა, ბიზნეს ერთეულის დამფუძნებლებს არაფერი არ უშლის ხელს, დააფუძნონ სხვა იურიდიულ პირი და გააგრძელონ ჩვეულებრივი საქმიანობა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით[1] გათვალისწინებულია (მუხლი 252, პუნქტი 1) საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ეს – „მიმდინარე პროცედურების ჩატარების, სასაქონლო – მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესი“ დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №994 ბრძანებით. თვალშისაცემია, რომ საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის გადაწყვეტილება მრავალეტაპიანი პროცედურაა, სადაც თავიდანვე ჩართულია სხვადასხვა დონეზე „საბჭოები“, „კომისიები“[2]. ასეთი „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ სისტემა ერთგვარი თავდაცვაა სახელმწიფო მოხელეებისათვის, ვინც იღებს გადაწყვეტილებას საბიუჯეტო დავალიანებების ჩამოწერის თაობაზე. ასეთი სისტემის დროს გამქრალია პერსონალური პასუხისმგებლობა და ამიტომაც მას პროფესიულ წრეებში „კოლექტიურ უპასუხისმგებლობის“ ზედმეტსახელით მოიხსენიებენ. კანონმდებლობით უნდა იყოს მაქსიმალურად სრული ჩამონათვალი დებიტორული დავალიანების იმ ნიშნების – უიმედო, ვადაგადაცილებული, სასარჩელე სიძველე და სხვა, როდესაც უნდა მოხდეს მისი ჩამოწერა. ასეთ შემთხვევაში, პროცესი სწრაფად განვითარდება და არ იქნება/ნაკლებად იქნება დამოკიდებული სუბიექტურ განწყობებზე. მით უმეტეს, თუ ასეთ კრიტერიუმებში ჩაერთვება ბანკროტობის/ვალაუვალობის საკითხი, როგორც იურიდიული ,ისე ფიზიკური პირებისათვის.

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=183
[2] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167835?publication=0

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“ პროექტი – https://parliament.ge/legislation/24742
2. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2018 -21 წლების წლიური ანგარიშები – https://www.rs.ge/Media/Default/Docs
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური-(ფინანსური პოლიცია). 2018-21 წლების წლიური ანგარიშები. – http://is.ge/Portals/0/Reports/AR
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
5. ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა (2022) http://baf.ge/site/files/news/WORD%2C%20PDF%20failebi/2020/Exploring-the-IESBA-Code-Installment.pdf
6. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისათვის.(2019).თბილისი:საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური- https://saras.gov.ge/Content/files/IESBA_HANDBOOK_CODE_OF_ETHICS_2018_GEO.pdf
7. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) https://www.riis.org.ge/?page=finanses&id=10
8. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) https://saras.gov.ge/ka/Ifrs
9. ანგარიშგების პორტალი 2020. https://reportal.ge/ka/Stats

Signs of Mass Criminalization of Business in Georgia

Micheil Jibuti
Ph.D. in Economics, Academician, National Academy of Sciences of Georgia

SUMMARY

Prevention, identification and sanctions are the constants of economic life. Their goal is to achieve the ideal state in which business operates effectively, produces quality products and services, and pays taxes and other levies honestly and in a timely manner. The ratio between "Crime" and "Punishment" must be reasonable to ensure that the crime will not go unpunished. At the same time, the punishment should not be inconsequential, hard to enforce, or neutral to the offense committed. The goal of the research is to better understand the Georgian environment that poses a threat of criminalization of entrepreneurship in Georgia specifically, a significant inconsistency and disproportion between the substantial additional amounts accrued as a result of tax inspection on the one hand, and the dearth of revenues obtained by the state budget as a result of fines. Except in cases where the amounts were decreased as a result of the acquittal of sanctioned companies, the reasons for such sum decreases are not known to the public. Out of the accrued GEL 707 million, the reduced sum totaled GEL 351, indicating that 50% of the sanctions were improperly imposed. Excessive penalties can be caused by a number of factors, including flaws of legislation on the one hand and negligent and irresponsible corporate behavior brought on by a lack of knowledge and abilities on the other.

Key words: criminalization of businesses, tax sanctions, disproportion between the sums accrued as a result of sanctions and the revenues received by the state budget.

ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდის გამოყენების უპირატესობები მმართველობით ანალიზში

მერაბ ჯიქია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ანალიზური კვლევებისას მათემატიკური მეთოდებისა და თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებამ მნიშვნელოვნად აამაღლა მათი დონე და როლი. მმართველობითი ანალიზი გახდა უფრო სიღრმისეული და კომპლექსური, შეიძლება ჩატარდეს უფრო ოპერატიულად, მოიცვას უფრო მეტი რაოდენობის ობიექტები და შეისწავლოს მნიშვნელოვნად მეტი ინფორმაცია.

ვინაიდან კომპანიების ბიუჯეტები ნორმატიული დანახარჯების საფუძველზე მზადდება, ნორმატიულ დანახარჯებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გადახრების გამოთვლასა და ანალიზში. გადახრების ანალიზი ხელმძღვანელობისათვის გარკვეული „მარეგულირებელი“ მექანიზმის როლს თამაშობს, ვინაიდან გვიჩვენებს, რამდენად კარგად ან ცუდად მუშაობს კომპანია.

სისტემური მიდგომა მმართველობით ანალიზში აუცილებელს ხდის ფაქტორები შესწავლილ იქნეს მათი შიგა და გარე კავშირების, ურთიერთქმედებისა და თანადაქვემდებარების იერარქიის გათვალისწინებით, რაც მიიღწევა ფაქტორების სისტემატიზაციით. განასხვავებენ დეტერმინირებულ და სტოხასტიკურ ფაქტორულ სისტემებს. დეტერმინირებული ფაქტორული სისტემის შექმნა ნიშნავს შესასწავლი მოვლენა წარმოვადგინოთ რამდენიმე ფაქტორის ალგებრული ჯამის, განაყოფის ან ნამრავლის სახით, რომლებიც განსაზღვრავენ მის სიდიდეს და იმყოფებიან მასთან ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში.

მმართველობითი ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ამოცანას წარმოადგენს საკვლევ მაჩვენებლებზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის ზუსტი გაზომვა. ამისათვის, დეტერმინირებული ანალიზისას, გამოიყენება შემდეგი ხერხები: ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი, ინტეგრალური მეთოდი, ლოგარითმული მეთოდი და სხვა.

საკვანძო სიტყვები: *ფაქტორები, ნორმატიული დანახარჯი, მულტიპლიკატიური მოდელი, ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი, ინტეგრალური მეთოდი, ლოგარითმული მეთოდი.*

კომპანიათა სამეურნეო საქმიანობის ყველა მოვლენა და პროცესი იმყოფება ურთირთკავშირში, ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთგანპირბულობაში. მათი ერთი ჯგუფი უშუალოდ, პირდაპირ არის ერთმანეთზე დამოკიდებული, ხოლო მეორე ჯგუფი კი – არაპირდაპირ.

ყოველი მოვლენა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მიზეზი ან შედეგი. თუ ანალიზის პროცესში ესა თუ ის მაჩვენებელი განიხილება როგორც ერთი ან რამდენიმე მიზეზის შედეგი და წარმოგვიდგება როგორც კვლევის ობიექტი, მაშინ ურთიერთკავშირის შესწავლისას მას უწოდებენ საშედეგოს, ხოლო მაჩვენებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ საშედეგო მაჩვენებლის თვისებათა ქცევებს, უწოდებენ ფაქტორულ მაჩვენებლებს.

ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება ფაქტორთა გავლენის გამოსაანგარიშებლად დეტერმინირებული ფაქტორული მოდელების ყველა ტიპისათვის (ადიტიური, მულტიპლიკატიური, ჯერადი

და კომბინირებული). მაშასადამე, ჯაჭვური ჩასმის ხერხი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საშედეგო მაჩვენებლებსა და მასზე მოქმედ ფაქტორებს შორის არსებობს ფუნქციონალური კავშირი. ამ ხერხის (ასევე აბსოლუტური და ფარდობითი სხვაობის ხერხების) გამოყენების ძირითადი მოთხოვნაა, რომ პირველ რიგში, განისაზღვრება საშედეგო მაჩვენებელზე რაოდენობრივი ფაქტორების გავლენა, ხოლო შემდგომ – ხარისხობრივის. ჯაჭვური ჩასმის ხერხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ფაქტორის მნიშვნელობათა იმ ჯაჭვში, რომელშიც ყველა რგოლის, ანუ ყველა ფაქტორის მნიშვნელობა გეგმურია, თანმიმდევრობით, თითოეული ცალკე ფაქტორის მიხედვით, რიგრიგობით ისმება ფაქტორთა ფაქტობრივი მნიშვნელობები, მიღებულ ყოველ გაანგარიშებას აკლდება მისი წინა გაანგარიშება. მიღებული სიდიდე იქნება მოცემული ფაქტორის გავლენა საშედეგო მაჩვენებელზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი და ციფრობრივი მონაცემები ავიღოთ ACCA-ის მმართველობითი აღრიცხვის საგამოცდო სავარჯიშოებიდან (ამოცანა N332).

ცხრილი N1

მაჩვენებლები	პირობითი აღნიშვნა	გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა (+ , -)
1.მასალების მთლიანი დანახარჯი, აშშ დოლარი	Q	25 500	25 839	+339
2.გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ერთეული	X	600	580	-20
3. მასალის ერთეულის (1კგ.) ფასი, აშშ დოლარი	Y	17,0	16.5	-0,5
4. პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯი (კგ.)	Z	2, 5	2.7	+0.2

ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებისას გვექნება შემდეგი გაანგარიშებები:

1. $X_0*Y_o*Z_0=Q_0$ **შენიშვნა:** 0-ებით აღნიშნულია გეგმური მაცვენებლები;

2. $X_1*Y_o*Z_0=Q^1$ 1-ებით აღნიშნულია ფაქტობრივი მაჩვენებლები;

3. $X_1*Y_1*Z_0=Q^{11}$ პრიმებით – აღნიშნულია შუალედური მაჩვენებლები

4. $X_1*Y_1*Z_1=Q_1$

I. ფაქტორი – გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების გავლენა:

$$X_0*Y_o*Z_0=Q_0$$

$$X_1*Y_o*Z_0=Q^1$$

$$\pm\Delta_1= Q^1 - Q_0 = 580 * 17.0 * 2,5 - 600 * 17,0 * 2,5 = - 850$$ **აშშ დოლარი;**

II. ფაქტორი – მასალის ერთეულის (1კგ-ს) ფასის ცვლილების გავლენა:

$$X_1*Y_o*Z_0=Q^1$$

$$X_1*Y_1*Z_0=Q^{11}$$

$$\pm\Delta_2= Q^{11} - Q^1 = 580 * 16,5 * 2,5 - 580 * 17,0 * 2,5 = - 725$$ **აშშ დოლარი;**

III. ფაქტორი – პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯის ცვლილების გავლენა:

$$X_1 * Y_1 * Z_0 = Q^{11}$$

$$X_1 * Y_1 * Z_1 = Q_1$$

$$\pm\Delta_3 = Q_1 - Q^{11} = 580 * 16,5 * 2,7 - 580 * 16,5 * 2,5 = +1914 \text{ აშშ დოლარი.}$$

$$\pm\Delta = \pm\Delta_1 \pm\Delta_2 \pm\Delta_3 = -850 - 725 + 1914 = +339 \text{ აშშ დოლარი.}$$

აბსოლუტური სხვაობის ხერხი გამოიყენება საშედეგო მაჩვენებელზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის გასაანგარიშებლად დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზისას მხოლოდ მულტიპლიკატიურ ($Y=X_1*X_2*X_3*\ldots X_n$) და მულტიპლიკატიურ-ადიტიური ტიპის მოდელებისას: $Y=(a-b)*c$ და $Y=a*(b-c)$. მართალია, მისი გამოყენება შეზღუდულია, მაგრამ მეთოდიკის სიმარტივის გამო, იგი ფართოდ გამოიყენება მმართველობითი ანალიზი ჩატარებისას.

აბსოლუტური სხვაობის ხერხის პრინციპის თანახმად, საშედეგო მაჩვენებელზე ცალკეულ ფაქტორის გავლენის სიდიდის გასაზომად საჭიროა ვიპოვოთ სხვაობა მოცემული ფაქტორის ფაქტობრივ და გეგმურ მაჩვენებლებს შორის, მიღებული სიდიდე ჯერ გადავამრავლოთ ამ ფაქტორის წინ მდგომ ფაქტორთა ფაქტობრივ მაჩვენებლებზე და შემდეგ – შემდგომ ფაქტორთა გეგმურ მაჩვენებლებზე. ამ ხერხის გამოყენებისას, მსგავსად ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენების პრინციპისა, ჯერ განისაზღვრება საშედეგო მაჩვენებელზე რაოდენობრივი ფაქტორების გავლენა, ხოლო შემდგომ ხარისხობრივის. ამასთან, გაანგარიშება უფრო მარტივი და მოსახერხებელია, თითოეული გაანგარიშება უკვე იძლევა პასუხს კითხვაზე, მაშინ როცა ჯაჭვური ჩასმის ხერხის გამოყენებისას თითოეული ფაქტორის გავლენის სიდიდის გასაზომად საჭირო იყო ორი გაანგარიშება.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ ვისარგებლოთ N1 ცხრილის მონაცემებით, საიდანაც თითოეული ფაქტორის გავლენა ფორმულების მიხედვით შემდეგნაირად გამოისახება:

I. ფაქტორი – გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების გავლენა:

$$\pm\Delta_1 = (X_1 - X_0) * Y_0 * Z_0 = (580 - 600) * 17,0 * 2,5 = -850 \text{ აშშ დოლარი;}$$

II. ფაქტორი – მასალის ერთეულის (1კგ-ს) ფასის ცვლილების გავლენა:

$$\pm\Delta_2 = (Y_1 - Y_0) * X_1 * Z_0 = (16,5 - 17,0) * 580 * 2,5 = -725 \text{ აშშ დოლარი;}$$

III. ფაქტორი – პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯის ცვლილების გავლენა:

$$\pm\Delta_3 = (Z_1 - Z_0) * X_1 * Y_1 = (2,7 - 2,5) * 580 * 16,5 = +1\,914 \text{ აშშ დოლარი;}$$

$$\pm\Delta = \pm\Delta_1 \pm\Delta_2 \pm\Delta_3 = -850 - 725 + 1\,914 = +339 \text{ აშშ დოლარი.}$$

ინტეგრალური მეთოდი გამოიყენება ფაქტორთა გავლენის გასაზომად მულტიპლიკატიურ, ჯერად და ჯერად-ადიტიურ მოდელებში. მისი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ფაქტორთა გავლენის უფრო ზუსტი შედეგები, ვიდრე ამას ვღებულობთ ჯაჭვური ჩასმის ან აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებისას, რამდენადაც ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგად საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ცვლილება უერთდება არა ბოლო ფაქტორს, არამედ თანაბრად ნაწილდება მათ შორის. ამასთან, საშედეგო მაჩვენებელზე რაოდენობრივი ან ხარისხობრივი ფაქტორების გავლენის განსაზღვრისას მათ ადგილმდებარეობას მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნუ-

ლის საილუსტრაციოდ განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი (ცხრილი N2) რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ფაქტორული ანალიზისთვის.

ცხრილი N2

მაჩვენებლები	პირობითი აღნიშვნა	გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა (+ , –)
1. რეალიზებული პროდუქციის ღირებულება, აშშ დოლარი	Q	107 500	180 000	+ 72 500
2. პროდუქციის მოცულობა (ერთეული)	X	250	400	+150
3. პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასი, აშშ დოლარი	Y	430	450	+20

მოცემულ მაგალითში რეალიზებული პროდუქციის ღირებულება Q არის ორი ცვლადის ფუნქცია. კერძოდ, იგი პროდუქციის რაოდენობისა (X) და პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასის (Y) ნამრავლია. აღნიშნული ფუნქცია წარმოადგენს მულტიპლიკატიური მოდელის ტიპს, რადგან წარმოდგენილია ორი თანამამრავლის სახით.

რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ცვლილება საანგარიშგებო პერიოდში შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$Q_1 - Q_0 = X_1 * Y_1 - X_0 * Y_0$$

საშედეგო მაჩვენებლის ცვლილება შეიძლება შემდეგნაირადანაც გამოვსახოთ:

$$\Delta Q = \Delta Q_x - \Delta Q_y$$

რეალურად საშედეგო მაჩვენებლის ცვლილება საანგარიშგებო პერიოდში ყალიბდება არა ორი, არამედ სამი ელემენტის მიხედვით:

$$\Delta Q = Q_1 - Q_0 = (X_0 + \Delta X) * (Y_0 + \Delta Y) - X_0 * Y_0$$

$$\Delta Q = \Delta X * Y_0 + \Delta Y * X_0 + \Delta X_0 * \Delta Y_0$$

აღნიშნულ ფორმულაში შევიტანოთ მონაცემები მე-2 ცხრილიდან:

ΔQ = 150 * 430 + 20 * 250 + 150 *20 = 64 500 + 5 000 + 3 000 = **72 500 აშშ დოლარი**.

როგორც გაანგარიშებიდან ჩანს, პროდუქციის რაოდენობის ცვლილებით რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 64 500 აშშ დოლარით, პროდუქციის ერთეულის სარეალიზაციო ფასის ცვლილებით – 5 000 აშშ დოლარით, ხოლო, რაც შეეხება ბოლო ელემენტი – 3 000 აშშ დოლარი, ორივე ფაქტორის ერთდროული მოქმედების შედეგია, რომელსაც ხშირად გაუნაწილებელ ნაშთსაც უწოდებენ. მისი განაწილების ყველაზე გავრცელებული ხერხია თანაბრად განაწილება მოქმედ ფაქტორებზე. აქედან გამომდინარე, პირველი ფაქტორის გავლენა ტოლი იქნება 66 000 აშშ დოლარის (64 500 + 1 500), ხოლო მე-2 ფაქტორის 6.500 აშშ დოლარის (5 000 + 1 500).

ორფაქტორიანი მოდელის (Q = X * Y) დროს გაანგარიშების ალგორითმს შემდეგი სახე აქვს:

$$\Delta Q_x = 1/2\ \Delta X(Y_0 + Y_1)\ ; \qquad \Delta Q_y = 1/2\ \Delta Y(X_0 + X_1);$$

ჩვენი მაგალითის მიხედვით:

ΔQ_x = 1/2 * 150(430 + 450) = **66 000 აშშ დოლარი;**

ΔQ_y = 1/2 * 20(250 + 400) = **6 500 აშშ დოლარი.**

სამფაქტორიანი მოდელის(Q=X * Y * Z) დროს გაანგარიშების ალგორითმს შემდეგი სახე აქვს:

$$\Delta Q_x = 1/2\ \Delta X(Y_0 * Z_1 + Y_1 * Z_0) + 1/3\ \Delta X * \Delta Y * \Delta Z;$$

$$\Delta Q_y = 1/2\ \Delta Y(X_0 * Z_1 + X_1 * Z_0) + 1/3\ \Delta X * \Delta Y * \Delta Z;$$

$$\Delta Q_z = 1/2\ \Delta Z(X_0 * Y_1 + X_1 * Y_0) + 1/3\ \Delta X * \Delta Y * \Delta Z.$$

აღნიშნულ ფორმულებში თუ შევიტანთ N1 ცხრილის მონაცემებს, მაშინ ფაქტორთა გავლენებს შემდეგი მნიშვნელობები ექნება:

I. **ფაქტორი –** გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების გავლენა:

$\pm\Delta_1$ = 1/2 * (- 20) (17,0 * 2,7 + 16,5 * 2.5) + 1/3 * (-20) * (-0,5) * 0.3 **= - 870,8 აშშ დოლარი;**

II. **ფაქტორი -** მასალის ერთეულის (1კგ-ს) ფასის ცვლილების გავლენა:

$\pm\Delta_2$ = 1/2 * (-0.5) (600 * 2,7 + 580 * 2,5) + 1/3 * (-20) * (-0,5) * 0.3 **= - 766,8 აშშ დოლარი;**

III. **ფაქტორი -** პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯის ცვლილების გავლენა:

$\pm\Delta_3$ = 1/2 * (0,2)(600 * 16,5+ 580 * 17,0) + 1/3 * (-20) * (-0,5) * 0.3 **= + 1 976,6 აშშ დოლარი;**

$\pm\Delta = \pm\Delta_1 \pm\Delta_2 \pm\Delta_3$ **= - 870,8 -766,8 + 1 976,6 = 339 აშშ დოლარი.**

ინტეგრალურთად შედარებით **ლოგარითმული ხერხი** უზრუნველყოფს გაანგარიშებათა უფრო მაღალ სიზუსტეს. თუ ინტეგრალური მეთოდის გამოყენებისას ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგად საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ცვლილება თანბარზომიერად ნაწილდება მოქმედ ფაქტორთა შორის, ლოგარითმული ხერხის პირობებში ფაქტორთა ერთობლივი ქმედების შედეგი საშედეგო მაჩვენებლის დონეზე ნაწილდება ყოველი ცალკეული ფაქტორის იზილირებული გავლენის ხვედრითი წონის პროპორციულად.

როგორც აღვნიშნეთ, დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზისას ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული ხერხების (ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი) გამოყენების მეთოდიკა მოითხოვს ჯერ რაოდენობრივი, ხოლო შემდგომ ხარისხობრივი ფაქტორების განსაზღვრას. იმ შემთხვევაში თუ მოვახდენთ მათი ადგილების გადანაცვლებას, მაშინ კონკრეტულ ფაქტორთა გავლენის სიდიდეები შეიცვლება. ასეთი ცვლილებები (ფაქტორთა ადგილების გადანაცვლებით) არ ეხება ფაქტორთა გავლენის სიდიდეებს ინტეგრალური და ლოგარითმული ხერხის გამოყენებისას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი ჩვენს მიერ პირველ ცხრილში მოყვანილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების (მე-2 და მე-3 ფაქტორების) ადგილმდებარეობის გადანაცვლების საფუძველზე.

პირველი ცხრილის მონაცემებით, **ადგილმდებარეობის შეცვლამდე** მე-2 ფაქტორის (მასალის ერთეულის, 1კგ-ს ფასის) ცვლილების გავლენა შესაბამისად, **აბსოლუტური სხვაობის** ხერხით და **ინტეგრალური** მეთოდით ტოლია:

$$\pm\Delta_2 = (Y_1 - Y_0) * X_1 * Z_0 = (16,5 - 17,0) * 580 * 2,5 = -725 \text{ აშშ დოლარი;}$$

$$\pm\Delta_2 = ½\ \Delta Y\ (X_0 Z_1 + X_1 Z_0) + 1/3 \Delta X\ \Delta Y \Delta Z = -766,8 \text{ აშშ დოლარ.;}$$

მონაცემები მასალების მთლიანი დანახარჯის ფაქტორული ანალიზისთვის

ცხრილი N3

მაჩვენებლები	**პირობითი აღნიშვნა**	**გეგმით**	**ფაქტობრივად**	**გადახრა(+, -)**
1. მასალების მთლიანი დანახარჯი, აშშ დოლარი	Q	25 500	25 839	+339
2.გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ერთ,	X	600	580	-20
3. .პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯი (კგ.)	Y	2.5	2,7	+ 0,2
4.მასალის ერთეულის (1კგ.) ფასი, აშშ დოლარი	Z	17,0	16,5	-0,5

მე-3 ცხრილის მონაცემებით, **ადგილმდებარეობის შეცვლის შემდეგ,** უკვე მე-3 ფაქტორის (მასალის ერთეულის, 1კგ-ს ფასის) ცვლილების გავლენა შესაბამისად, **აბსოლუტური სხვაობის** ხერხით და **ინტეგრალური** მეთოდით ტოლია:

$$\pm\Delta_3 = (Z_1 - Z_0) * X_1 * Y_1 = -0,5 * 580 * 2,7 = -783 \text{ აშშ დოლარი;}$$

$$\pm\Delta_3 = ½\ \Delta Z\ (X_0 Y_1 + X_1 Z_0) + 1/3\ \Delta X\ \Delta Y \Delta Z = -766,8 \text{ აშშ დოლარი.}$$

კომენტარი:

ა) აბსოლუტური სხვაობის ხერხით რაოდენობრივი ფაქტორის გავლენა შეიცვალა **(-725** აშშ დოლარი შეიცვალა **– 783** აშშ დოლარით);

ბ) ინტეგრალური მეთოდით რაოდენობრივი ფაქტორის გავლენა უცვლელი დარჩა (**766,8** აშშ დოლარი).

როგორც გაანგარიშებებიდან ჩანს, ფაქტორთა ადგილმდებარეობის შეცვლით მათი გავლენის სიდიდე შეიცვალა აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებისას, ხოლო ინტეგრალური მეთოდით უცვლელი დარჩა.

ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მასალების, შრომითი დანახარჯებისა და ცვლადი ზედნადები ხარჯების მთლიანი გადახრებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების გავლენების სიდიდეების ზუსტი განსაზღვრა და გაანალიზება.

ასე მაგალითად, ACCA-ის მიხედვით მასალების დანახარჯების გადახრების გამომწვევი ორი მიზეზი არსებობს:

- სხვაობა შესყიდვის ფასში;
- სხვაობა გამოყენებული მასალის რაოდენობაში.

მასალების მთლიანი გადახრა არის სხვაობა (განსხვავება):

ფაქტობრივი წარმოებისთვის საჭირო მასალის ნორმატიულ დანახარჯსა და პირდაპირი მასალის ფაქტობრივ დანახარჯს შორის.

მასალების ფასის გადახრა = (შესყიდვის ფაქტობრივი რაოდენობა * ფაქტობრივი ფასი) – (შესყიდვის ფაქტობრივი რაოდენობა * ნორმატიული ფასი);

მასალების გამოყენების გადახრა = (ფაქტობრივად გამოყენებული მასალების რაოდენობა * ნორმატიული ფასი) – (ფაქტობრივი წარმოებისათვის გამოყენებული მასალების ნორმატიული რაოდენობა * ნორმატიული ფასი);

ან

(1) ფაქტობრივი რაოდენობა * ფაქტობრივი ფასი
ფასის გადახრა (სხვაობა (1)-სა და (2) ხაზებს შორის)

(2) ფაქტობრივი რაოდენობა * ნორმატიული ფასი
გამოყენების გადახრა (სხვაობა (2)-სა და (3) ხაზებს შორის)

(3) ნორმატიული რაოდენობა * ნორმატიული ფასი
(ფასისა და გამოყენების გადახრების ჯამი).

შენიშვნა: ჩვენი აზრით, მთლიანი გადახრის უკეთესად გასაანალიზებლად უმჯობესია მე-2 შესაკრებს გამოვაკლოთ პირველი (ანუ პირდაპირი მასალის ფაქტობრივ დანახარჯს უნდა გამოვაკლოთ ფაქტობრივი წარმოებისათვის საჭირო მასალის ნორმატიული დანახარჯი). თუ სხვაობა დადებითი რიცხვია, ე.ი. გვაქვს გადახარჯვა, ანუ არახელსაყრელი გადახრა და პირიქით, თუ სხვაობა უარყოფითი რიცხვია, ე.ი. გვაქვს ეკონომია, ანუ ხელსაყრელი გადახრა.

განვიხილოთ **ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში** ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტქსტში მოყვანილი **მე-3 საილუსტრაციო მაგალითი** და მივცეთ სათანადო **კომენტარი.**

შემდეგი მონაცემები ეხება **X** პროდუქტის წარმოებას:

ამონარიდი X პროდუქტის ნორმატიული დანახარჯების აღრიცხვის ბარათიდან:

პირდაპირი მასალები (40 კვ.მ. * $ 5,30 ერთ კვ.მ-ზე) $212

პირდაპირი მასალების ხარჯვის ფაქტობრივი შედეგები – წარმოებული იყო 1 000 ერთეული გამოყენებული იყო 39 000 კვ.მ მასალა $ 210 600 ღირებულების.

მოგეთხოვებათ:

გამოთვალოთ მოცემული პერიოდის მასალების მთლიანი გადახრა, ასევე მასალების ფასებისა და გამოყენების გადახრები X პროდუქტისთვის.

ამოხსნა:

ფაქტობრივი რაოდენობა * ფაქტობრივი ფასი		$ 210 600	
	ფასის გადახრა		$ 3 900 (ა)
ფაქტობრივი რაოდენობა * ნორმატიული ფასი 39 000 * $ 5.30		$ 206 700	
	გამოყენების გადახრა		$ 5 300 (ბ)
ნორმატიული რაოდენობა * ნორმატიული ფასი (ფაქტობრივი წარმოებისათვის) 1 000 * 40 * $ 5.30		$212 000	
	მთლიანი გადახრა		$ 1 400 (ბ)

მე-3 საილუსტრაციო ამოცანა ამოვხსნათ აბსოლუტური სხვაობის ხერხით და ინტეგრალური მეთოდით. (**შენიშვნა:** X პროდუქციის გეგმური და ფაქტობრივი წარმოების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა).

ამოხსნა აბსოლუტური სხვაობის ხერხით:

ცხრილი N3

მაჩვენებლები	პირობითი აღნიშვნა	გეგმით	ფაქტობრივად	გადახრა (+ , –)
1.მასალების მთლიანი დანახარჯი, აშშ დოლარი	Q	212 000	210 0	-1 400
2.გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ერთეული	X	1 000	1 000	0
3. მასალის ერთეულის (1კვ.მ.) ფასი, აშშ დოლარი	Y	5.3	5.4	+0.1
4. პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯი (კვ.მ.)	Z	40	39	-1

ვინაიდან მასალების მთლიანი გადახრის გაანგარიშებაში მონაწილე ორივე მაჩვენებელი იანგარიშება პროდუქციის წარმოების ფაქტობრივი მოცულობიდან გამომდინარე, აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებისას, სამფაქტორიან მოდელში (**Q = X * Y * Z**), პირველი ფაქტორის გავლენის სიდიდე ფაქტობრივად იგნორირებულია (ანუ გავლენის სიდიდე ნულია), ხოლო მე-2 და მე-3 ფაქტორების გავლენების ჯამმა უნდა მოგვცეს მასალების მთლიანი გადახრის სიდიდე.

მთლიანი გადახრა = 1 000 * 5.4 * 39 – 1 000 * 5.3 * 40 = 210 600 – 212 000 = **– 1 400 აშშ დოლარი (ხელსაყრელი გადახრა).**

ა) ფაქტორი – გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების გავლენა:

$\pm\Delta_1 = (X_1 - X_0) * Y_0 * Z_0 = (1\,000 - 1\,000) * 5{,}3 * 40 = 0$ **აშშ დოლარი;**

ბ) ფაქტორი – მასალის ერთეულის (1კგ-ს) ფასის ცვლილების გავლენა:

$\pm\Delta_2 = (Y_1 - Y_0) * X_1 * Z_0$ = (5,4 – 5,3) * 1 000 * 40 = **4 000 აშშ დოლარი (არახელსაყრელი გადახრა);**

გ) ფაქტორი – პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯის ცვლილების გავლენა:

$\pm\Delta_3 = (Z_1 - Z_0) * X_1 * Y_1 =$ (39 – 40) * 1 000* 5,4 = **– 5 400 აშშ დოლარი (ხელსაყრელი გადახრა);**

მთლიანი გადახრა = 4 000 – 5 400 = **-1 400 აშშ დოლარი (ხელსაყრელი გადახრა).**

ამოხსნა ინტეგრალური მეთოდით:

ა) ფაქტორი – გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების გავლენა:

$\Delta Q_x = 1/2\ \Delta X(Y_0 * Z_1 + Y_1 * Z_0) + 1/3\ \Delta X * \Delta Y * \Delta Z = 0$ (გეგმური და ფაქტობრივი წარმოების მოცულობა ერთმანეთს ემთხვევა);

ბ) ფაქტორი – მასალის ერთეულის (1კგ-ს) ფასის ცვლილების გავლენა:

$\Delta Q_y = 1/2\ \Delta Y(X_0 * Z_1 + X_1 * Z_0) + 1/3\ \Delta X * \Delta Y * \Delta Z =$

$= 1/2 * (0,1)\ (1\ 000 * 39 + 1\ 000 * 40) + 1/3 * (0) * (0.1) * (-1)$ **= + 3 950 აშშ დოლარი(არახელსაყრელი გადახრა);**

გ) ფაქტორი – პროდუქციის ერთეულზე მასალის დანახარჯის ცვლილების გავლენა:

$\Delta Q_z = 1/2\ \Delta Z\ (X_0 * Y_1 + X_1 * Y_0) + 1/3\ \Delta X * \Delta Y * \Delta Z =$

$1/2 * (-1)(1\ 000 * 5,4 + 1\ 000 * 5,3) + 1/3 * (0) * (0,1) * (-1)$ **= -5 350 აშშ დოლარი (ხელსაყრელი გადახრა);**

მთლიანი გადახრა = 3 950 – 5 350 = **-1 400 აშშ დოლარი(ხელსაყრელი გადახრა).**

კომენტარი: ფაქტორების გავლენის სიდიდეები იგივე მიიღება ჯაჭვური ჩასმისა და ფარდობითი სხვაობის ხერხის გამოყენებით, რასაც ვღებულობთ აბსოლუტური სხვაობის ხერხით). ანუ ეკონომიკური ანალიზის ძირითადი სამუშაო ხერხებით განსაზღვრული ფაქტორთა გავლენის სიდიდეები არ ემთხვევა **ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში** ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტექსტსა და საგამოცდო სავარჯიშოებში გამოყენებული მეთოდიკის მიხედვით მიღებულ მონაცემებს, როგორც მასალებისა და შრომითი დანახარჯების გადახრების ფაქტორული ანალიზის, ასევე ცვლადი ზედნადები ხარჯების გადახრების ანალიზის მიხედვით. ამასთან განსხვავებულია ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდით განსაზღვრული ფაქტორთა გავლენის სიდიდეებიც.

ბუნებრივად იბადება კითხვა, რომელი მეთოდიკის მიხედვით განსაზღვრულ ფაქტორთა გავლენის სიდიდეებს დავეყრდნოთ? ან რატომ არის განსხვავება ფაქტორთა გავლენის სიდიდეებში!? ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნება თუ დავეყრდნობით ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდით გაანგარიშებულ ფაქტორთა გავლენის სიდიდეებს. ამასთან, ფაქტორთა გავლენის სიდიდის დასადგენად მთავარია, ამოცანის პირობიდან გამომდინარე, სწორად შევადგინოთ ანალიზური ცხრილი, ხოლო შემდეგ თუ, რომელი ხერხით ამოვხსნით ამოცანას ეს ჩვენზე ან ამოცანის პირობაზეა დამოკიდებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა ასახსნელად და გასაგებადაც უფრო მარტივია, ვიდრე ის რასაც გვთავაზობს **ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში** ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტექსტი.

რეზიუმე

საბაზრო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რთული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობა გახდა მძლავრი სტიმული მათემატიკური მოდელირების გამოყენებისათვის ეკონომიკურ ანალიზში.

სტატიაში განვიხილეთ, დეტერმინირებული ფაქტორული ანალიზისას, საკვლევ მაჩვენებელზე ცალკეულ ფაქტორთა გავლენის სიდიდის დასადგენად გამოყენებული სხვადასხვა ხერხის (ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი, ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდი) დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ცალკეული ხერხების (ჯაჭვური ჩასმის ხერხი, აბსოლუტური სხვაობის ხერხი, ფარდობითი სხვაობის ხერხი) გამოყენებისას თავდაპირველად (თანმიმდევრობით) განისაზღვრება საშედეგო მაჩვენებელზე რაოდენობრივი ფაქტორების გავლენა, ხოლო შემდგომ – ხარისხობრივის. რაც შეეხება ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდების გამოყენებისას რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების გავლენის სიდიდე საშედეგო მაჩვენებელზე მათი ადგილმდებარეობის მიხედვით არ იცვლება.

ინტეგრალური მეთოდი გამოიყენება ფაქტორთა გავლენის გასაზომად მულტიპლიკატიურ, ჯერად და ჯერად-ადიტიურ მოდელებში. მისი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ ფაქტორთა გავლენის უფრო ზუსტი შედეგები, ვიდრე ამას ვღებულობთ ჯაჭვური ჩასმის, აბსოლუტური სხვაობის ან ფარდობითი სხვაობის ხერხების გამოყენებისას, რამდენადაც, გარდა ზემოაღნიშნულისა, ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგად საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ცვალებადობა უერთდება არა ბოლო ფაქტორს, არამედ თანაბრად ნაწილდება მათ შორის.

ინტეგრალურთად შედარებით ლოგარითმული ხერხი უზრუნველყოფს გაანგარიშებათა უფრო მაღალ სიზუსტეს. თუ ინტეგრალური მეთოდის გამოყენებისას ფაქტორთა ურთიერთქმედების შედეგად საშედეგო მაჩვენებლის დამატებითი ცვლილება თანბარზომიერად ნაწილდება მოქმედ ფაქტორთა შორის, ლოგარითმული ხერხის პირობებში ფაქტორთა ერთობლივი ქმედების შედეგი საშედეგო მაჩვენებლის დონეზე ნაწილდება ყოველი ცალკეული ფაქტორის იზილირებული გავლენის ხვედრითი წონის პროპორციულად.

ეკონომიკური ანალიზის ძირითადი სამუშაო ხერხებით განსაზღვრული ფაქტორთა გავლენის სიდიდეები არ ემთხვევა **ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში** ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტექსტსა და საგამოცდო სავარჯიშოებში გამოყენებული მეთოდიკის მიხედვით მიღებულ მონაცხემებს (ასევე განსხვავებულია ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდით განსაზღვრული ფაქტორთა გავლენის სიდიდეებიც).

ჩვენი აზრით, უფრო ზუსტი იქნება თუ დავეყრდნობით ინტეგრალური და ლოგარითმული მეთოდით გაანგარიშებულ ფაქტორთა გავლენის სიდიდეებს. ამასთან, ფაქტორთა გავლენის სიდიდის დასადგენად მთავარია, ამოცანების პირობებიდან გამომდინარე, სწორად შევადგინოთ ანალიზური ცხრილი, ხოლო შემდეგ თუ, რომელი ხერხით ამოვხსნით ამოცანას ეს ჩვენზე, ან ამოცანის პირობაზე იქნება დამოკიდებული. ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა ასახსნელად და გასაგებადაც უფრო მარტივია, ვიდრე ის რასაც გვთავაზობს **ACCA-ის მმართველობით აღრიცხვაში** ნორმატიული დანახარჯებით კალკულაციის სასწავლო ტექსტი.

REFERENCES:

1. ACCA Management accounting (MA/FMA), Kaplan Limited, 2018;
2. Jikia.M(2019).some Aspects of Improving the Methodology of Economic Analysis. Ecoforum Journal 8 (1);
3. Jikia.M.Kharabadze.E.(2018).Evaluation an Analysis of the rational structure of sources for assets formation.Archives of Business Research 6 (7);
4. Kharabadze.E,Jikia.M(2018).Determining relevant an alternative costs while decision making.International Journal of Social Science and Economic Research 3 (5).
5. Jikia.M,Kharabadze.E. (2018) Analyzing decisions under intlation. International Journal of Advances in Management and Economics 7(2) 25-28.
6. Jikia.M,Kharabadze.E (2018)Certain aspects of account receivable and payable analysis. Archives of Buisness Research 6(6)
7. Jikia.M (2017)Reserves of cost reduction of goods in the production of essential oils in Georgia. International Journal of Social Science and Economic Research 2(8)
8. Jikia.M(2019).PECULIARITIES AND ADVANTAGES OF THE COST CALCULATION METHOD ACCORDING TO THE TYPES OF ACTIVITES. Ecoforum Journal 8(2)

Advantages of using the Integral and Logarithmic Method in Management Analysis

Merab Jikia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Associate Professor

SUMMARY

A need to solve complex economic tasks at the modern stage of development of a market economy has become a powerful incentive for the use of mathematical modeling in economic analysis.

The article discusses the advantages and disadvantages of different methods (chain insertion method, absolute difference method, relative difference method, integral and logarithmic method) used for determining the magnitude of the influence of individual factors on the study indicator.

When using separate methods (chain method, absolute difference method, relative difference method), the influence of quantitative factors on the resultant factors indicators is determined initially (in sequence), and later – qualitative. When using integral and logarithmic methods, the magnitude of the influence of quantitative and qualitative factors on the relative indicator does not change depending on their location.

The integral method is used to measure the impact of factors in multiplicative, multiple and multiplicative-aditive models. Its use allows to obtain more accurate results of the impact of factors than we get when using chain insertion or absolute difference method, since as a result of the interaction of factors an additional change in the resultant indicator joins not the last factor, but is evenly distributed between them.

Compared to the integral integral method the logarithmic method provides higher accuracy of calculations. If, as a result of the interaction of factors when using the integral method, additional changes in

the resultant indicator are distributed evenly among the acting factors, under the logarithmic method, the result of the joint action of factors at the level of the resultant indicator is distributed in proportion to the specific weight of the isolated impact of each individual factor.

The magnitude of the influence of factors determined by the main working methods of economic analysis does not coincide with the data obtained according to the study text of the calculation of regulatory costs in the **ACCA management accounting** and the methodology used in the examination exercises (magnitude of the influence of factors determined by Integral and logarithmic methods is also different).

In our opinion, it will be more accurate if we rely on the values of the influence of factors calculated by Integral and logarithmic methods. However, to determine the magnitude of the influence of factors, the main thing, depending on the condition of the task, is to correctly compile an analytical table, and then, by which way we solve the task, it depends on us or on the condition of the task. We think that this approach is simpler to explain and understand than what is offered by the study text on calculation of regulatory costs in the **ACCA management accounting.**

ეკონომიკური მოდელების თეორიული საფუძვლები

მერაბ ჯულაყიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ეკონომიკა შეზღუდული რესურსების გადანაწილებას განიხილავს სხვადასხვა ალტერნატიულ შესაძლებლობებს შორის. ამ პროცესის ასახნელად ეკონომისტები რეალური სიტუაციიდან აბსტრაგირების მეშვეობით მარტივ ეკონომიკურ მოდელებს შეიმუშავებენ, რომლებიც ბაზრის მხოლოდ აუცილებელ მახასიათებლებს შეიცავენ და მათემატიკური საფუძველი აქვთ. ნაშრომში განხილულია ასეთი ეკონომიკური მოდელების აგების თეორია და აგების პროცესში წარმოშობილი პრობლემები. თუმცა არ არსებობს მოდელი, რომელიც სრულყოფილად ასახავს რეალობას, მთავარი საკითხია გავარკვიოთ მიღებული მოდელი შეიძლება თუ არა ჩაითვალოს კარგ მოდელად. ასევე განხილულია ექსპერიმენტულ მონაცემების გამოყენებით ემპირიული კვლევების ჩატარების ახალი მიდგომა, რომელშიც ეკონომისტები ცდილობენ ბუნებრივი ექსპერიმენტი იპოვონ, რათა ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აჩვენონ.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური მოდელი, მიზეზობრიობა, სხვა თანაბარი პირობები, ოპტიმიზაცია, საველე ექსპერიმენტი.*

ეკონომიკური მოდელები გამარტივებულ სქემებს გვაძლევენ თუ როგორ იღებენ ინდივიდები გადაწყვეტილებებს, როგორ იქცევიან ფირმები და რა გზით ხდება ამ ორი ჯგუფის ურთიერთობით ბაზრის ფორმირება. ყველა მოდელი კარგი ვერ იქნება. სამეცნიერო კვლევების მიზანია ცუდი მოდელი კარგისგან გაარჩიოს. ეკონომიკური მოდელის შემოწმებისათვის ძირითადად ორ მეთოდს იყენებენ: **პირველი,** ცდილობს დაასაბუთოს დაშვებები, რაც მოდელში გამოიყენება, **მეორე,** ცდილობს მოდელის მართებულობის დასადასტურებლად აჩვენოს, რომ გამარტივებული მოდელი სწორად აკეთებს რეალური სამყაროს მოვლენების პროგნოზირებას.

ამჟამად დიდი რაოდენობის ეკონომიკური მოდელები გამოიყენება. სპეციფიკური დაშვებები, რომელთა საფუძველზეც აიგება მოდელები, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან და კონკრეტულ პრობლემაზეა დამოკიდებული. მიუხედავად განსხვავებისა ყველა ეკონომიკური მოდელი სამ საერთო ელემენტს მოიცავს: **პირველი დაშვება** – სხვა თანაბარი პირობები; **მეორე დაშვება** – პირები, რომლებიც ეკონომიკურ აქტიობებში მონაწილეობენ, მიისწრაფვიან რაიმეს ოპტიმიზაციისაკენ და **მესამე დაშვება** – მკვეთრი განსხვავება პოზიტიურ და ნორმატიულ მიდგომას შორის: პოზიტიური ეკონომიკა განსაზღვრავს რესურსების რეალურ განაწილებას, ხოლო ნორმატიული ანალიზი იძლევა სრულიად განსხვავებულ დირექტივებს თუ რა უნდა გაკეთდეს.

სოციალურ მეცნიერებებში (მათ შორის ეკონომიკაში) ჰიპოთეზები ძირითადად სხვა თანაბარი პირობების სახითაა წარმოდგენილი. როცა ორ ცვლადს შორის დამოკიდებულებას ვსწავლობთ, ყველა სხვა არსებითი ფაქტორი დაფიქსირებული უნდა იყოს. ვინაიდან სოციალურ მეცნიერებებში შეგროვილი მონაცემები უმეტესად არაექსპერიმენტული ბუნებისაა, მიზეზობრივი კავშირის დადგენა დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

ეკონომიკური თეორიის ტესტირებისას და სამთავრობო პოლიტიკის შეფასებისას ეკონომისტის მიზანია დაადგინოს ერთი ცვლიდის (მაგალითად, განათლება) მიზეზობრივი გავლენა მეორე ცვლადზე (მუშაკის მწარმოებლურობა). ორ ან მეტ ცვლადს შორის კავშირის მხოლოდ გამოვლენა შესაძლოა რაიმეზე მიუთითებდეს, მაგრამ მიზეზობრიობის ჩამოყალიბების გარეშე ის უმეტესად

სარწმუნო არ იქნება. ცნება „სხვა თანაბარ პირობებშინ მიზეზობრიობის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ეკონომიკურ საკითხთა უმრავლესობა სხვა თანაბარი პირობების ბუნებისაა. მაგალითად, სამომხმარებლო მოთხოვნის ანალიზისას გვაინტერესებს საქონლის ფასის ცვლილების გავლენა მოთხოვნილი საქონლის რაოდენობაზე ყველა სხვა ფაქტორის: შემოსავალი, აქტივების ფლობა, გემოვნება და ა.შ., უცვლელობისას. თუ სხვა ფაქტორები არ დავაფიქსირეთ ვერ დავადგენთ ფასის ცვლილების მიზეზობრივ გავლენას საქონლის მოთხოვნილ რაოდენობაზე.

სხვა ფაქტორების დაფიქსირებას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის ანალიზის დროს. მაგალითად, შეიძლება გვაინტერესებდეს ტრენინგის კიდევ ერთი დამატებითი კვირის გავლენა ხელფასზე ყველა სხვა კომპონენტის (განათლება, გამოცდილება) უცვლელობისას. თუ ყველა სხვა ფაქტორის დაფიქსირების შემდეგ სამუშაო ტრენინგსა და ხელფასს შორის კავშირს აღმოვაჩენთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამუშაო ტრენინგს მუშაკის მწარმოებლურობაზე მიზეზობრივი გავლენა აქვს. თუმცა ყველა სხვა ფაქტორის უცვლელად შენარჩუნება იშვიათი შემთხვევის გარდა შეუძლებელია. ემპირიული კვლევების დროს ისმება ასეთი კითხვა: მიზეზობრივი დასკვნის გამოსატანად გვაქვს კი საკმარისი რაოდენობის სხვა ფაქტორები უცვლელი? ამ კითხვაზე პასუხის გარეშე ეკონომეტრიკული კვლევა იშვიათად შეფასდება.

განვიხილოთ ზოგიერთი პრობლემა, რომელიც ეკონომიკაში მიზეზობრივი კავშირების დადგენის მცდელობისას შეიძლება წარმოიშვას. ამ მსჯელობისას განტოლებებს არ გამოვიყენებთ. თითოელი მაგალითისათვის მიზეზობრიობის დასკვნის გამოტანის პრობლემა მოიხსნება თუ შესაბამისი ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობა იქნება. სასურველია აღვწეროთ თუ როგორ შეიძლება ასეთი ექსპერიმენტის ორგანიზება და დავინახოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ექსპერიმენტული მონაცემების მოპოვება არაპრაქტიკულია. ასევე საჭიროა დავფიქრდეთ რატომ არა აქვს ხელმისაწვდომ მონაცემებს ექსპერიმენტულ მონაცემთა სიმრავლის მნიშვნელოვანი თვისებები.

მოსავლიანობაზე სასუქის გავლენა. დავუშვათ ვიხილავთ სოიოს კულტურის მოსავლიანობაზე სასუქის გავლენას (სხვა ფაქტორები: ნალექების მოცულობა, ნიადაგის ხარისხი, პარაზიტების არსებობა დაფიქსირებულად უნდა განვიხილოთ). ამ მიზეზობრივი გავლენის განსაზღვრის ერთი საშუალებაა ექსპერიმენტის ჩატარება: რამდენიმე მიწის ნაკვეთზე სხვადასხვა რაოდენობის სასუქი შევიტანოთ და შემდეგ გავზომოთ მოსავლიანობაზე სასუქის გავლენა. ვერ ვიტყვით, რომ ეს კარგი ექსპერიმენტია, რადგან იდენტური ნაკვეთების შერჩევა ადვილი არ არის. ასევე მიწის ხარისხს ბოლომდე ვერ დავაკვირდებით. საიდან ვიცით, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგები სხვა თანაბარ პირობებში მოსავლიანობაზე სასუქის გავლენის საზომად შეიძლება გამოვიყენოთ? თუ სასუქის რაოდენობა მიწის ნაკვეთებზე განაწილდა მოსავლიანობაზე გავლენის მქონე მიწის ნაკვეთების სხვა თვისებებისგან დამოუკიდებლად, ანუ მიწის ნაკვეთების სხვა მახასიათებლებს სრულად უგულებელვყოფთ, მაშინ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ყველაფერი გვაქვს. შემდეგი მაგალითი უკეთესად გვიჩვენებს იმ სირთულეებს,რომლებიც ეკონომიკაში მიზეზობრივი კავშირის გამოყვანისას წარმოიშვება.

განათლებიდან შემოსავლის გაზომვა. შრომის ეკონომისტებს და პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს დიდი ხანია აინტერესებს განათლების შემოსავალი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ პოპულაციიდან არჩეულ პირს დამატებით ერთი წლის განათლებას მივცემთ, რამდენით გაიზრდება მისი ხელფასი? ამ შემთხვევაში ყველა სხვა ფაქტორი დაფიქსირებულია, როცა პირის განათლება ერთი წლით იზრდება. წარმოვიდგინოთ ექსპერიმენტი ამ საკითხის გასარკვევად. დავუშვათ მოცემულ მომენტში სოციალურ მგეგმავს ნებისმიერი ინდივიდისათვის განათლების ნებისმიერი დონის მინიჭების უნარი აქვს. მგეგმავი შეარჩევს ინდივიდთა ჯგუფს და თითოეულ ინ-

დივიდს შემთხვევითი წესით მიანიჭებს განათლების დონეს: ზოგს 9 კლასის განათლება მიეცემა, ზოგს – საშუალო, ზოგს – ბაკალავრის განათლება. შემდეგ მგეგმავი ზომავს ამ პირთა ხელფასებს. თუ განათლება მწარმოებლურობაზე გავლენის მქონე სხვა მახასიათებლებიდან (გამოცდილება და თანდაყოლილი უნარები) დამოუკიდებლად არის მინიჭებული, მაშინ ანალიზი, რომელშიც ყველა ეს ფაქტორი უგულებელყოფილია, სასარგებლო შედეგებს მოგვცემს.

ამ მაგალითში ექსპერიმენტის ჩატარება შეუძლებელია. ეთიკური პრობლემები, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ დანახარჯებზე, ინდივიდთა ჯგუფებისათვის განათლების დონეების შემთხვევით განსაზღვრასთან დაკავშირებით არსებითია. როგორც ლოგისტიკური საკითხი, შეგვეძლო ვინმესთვის არ მიგვეცა მხოლოდ ცხრა კლასის განათლება, თუ მას უკვე აქვს უმაღლესი განათლება.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ექსპერიმენტული მონაცემები განათლების უკუგების გასაზომად არ შეიძლება იქნეს მიღებული, შეგვიძლია არაექსპერიმენტული მონაცემები შევაგროვოთ განათლების დონისა და ხელფასის შესახებ დიდი ჯგუფების შემთხვევითი შერჩევის წესით მოსახლეობის დასაქმებული ნაწილიდან. სხვადასხვა გამოკითხვიდან ასეთი მონაცემები ხელმისაწვდომია, რომელიც შრომის ეკონომიკაში გამოიყენება, მაგრამ ამ მონაცემთა ნაკრებს აქვს თავისებურება, რაც სხვა თანაბარ პირობებში განათლების უკუგების შეფასებას ართულებს. ადამიანები განათლების საკუთარ დონეს *ირჩევენ;* მაშასადამე, განათლების დონე სავარაუდოდ ყველა სხვა ფაქტორისგან დამოუკიდებლად არ განსაზღვრავს ხელფასზე გავლენას. ეს პრობლება ის თავისებურებაა, რომელიც ექსპერიმენტული მონცემების უმრავლესობას ახასიათებს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ხელფასზე გავლენას ახდენს, სამუშაო ძალის გამოცდილებაა. მიისწრაფვის რა უფრო მაღალი დონის განათლების მიღებისაკენ, როგორც წესი, ინდივიდი მუშაობის დაწყებას გადადებს და უფრო მაღალი დონის განათლების მქონენი ჩვეულებრივ ნაკლები გამოცდილებით ხასიათდებიან. ამიტომ ხელფასის და განათლების შესახებ ექსპერიმენტულ მონაცემთა ნაკრებში განათლება უარყოფითად იქნება დამოკიდებული საკვანძო ცვლადზე, რომელიც ასევე გავლენას ახდენს ხელფასზე. იგი ასევე ნიშნავს, რომ ადამიანები მეტი თანდაყოლილი უნარით ხშირად განათლების უფრო მაღალ დონეს ირჩევენ. რადგანაც მაღალ უნარს მაღალ ხელფასამდე მივყავართ, ისევ გვაქვს კორელაცია განათლებასა და კრიტიკულ ფაქტორს შორის, რომელიც ხელფასზე ახდენს გავლენას.

ცვლადის (განათლება) სხვა თანაბარი პირობების ეფექტის შეფასებისას სხვა დაუკვირვებადი ფაქტორების გამოყოფა შედარებით მარტივია. ასევე თავისი არსით დაუკვირვებადი ფაქტორების გამოყოფა, როგორიცაა უნარი, უფრო პრობლემატურია. სამართლიანი იქნება ვთქვათ, რომ ეკონომეტრიკული მეთოდების მიღწევები ეკონომეტრიკულ მოდელებში დაუკვირვებად ფაქტორებთან საქმის ქონის მცდელობასთანაა დაკავშირებული.

მინიმალური ხელფასის გავლენა უმუშევრობაზე. მნიშვნელოვანი და შესაძლო სადაო პოლიტიკის საკითხია მინიმალური ხელფასის გავლენა უმუშევრობის დონეზე მუშაკთა სხვადასხვა ჯგუფისათვის. თუმცა ეს პრობლემა სხვადასხვა მონაცემთა ნაკრებისათვის შეისწავლება (სივრცობრივი, დროითი მწკრივის ან პანელური მონაცემები), დროითი მწკრივის მონაცემები ხშირად გამოიყენება, რომ ვნახოთ ერთობლივი ეფექტი. მოთხოვნის და მიწოდების სტანდარული ანალიზი ნიშნავს, როგორც კი მინიმალური ხელფასი გაიზრდება საბაზრო კლირინგული (გაწმენდილი) ხელფასის ზევით, შრომაზე მოთხოვნის მრუდზე გადაადგილება მოხდება ზემოთ და მთლიანი დასაქმება შემცირდება (შრომის მიწოდება შრომაზე მოთხოვნას აჭარბებს). ამ ეფექტის რაოდენობრივად შესაფასებლად შევისწავლით კავშირს დასაქმებასა და მინიმალურ ხელფასს შორის დროის მიხედვით. ზოგიერთ სპეციალურ სირთულეების გარდა, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დროითი მწკრივის მონაცემებზე მუშაობისას, კიდევ შეიძლება იყოს შესაძლო პრობლემები მიზეზობრი-

ობის დადგენისას. შეერთებულ შტატებში მინიმალური ხელფასი ვაკუუმში (ცარიელ სივრცეში) არაა განსაზღვრული. სხვადასხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ძალები ცდილობენ დააკანონონ ფინალური მინიმალური ხელფასი ყოველ მოცემულ წელში (შრომის ანაზღაურების მინიმალური ზომა, ერთხელ განსაზღვრული, სავალდებულოა რამდენიმე წლის განმავლობაში, თუ მისი ინდექსაცია არ ხდება ინფლაციის გათვალისწინებით). ამრიგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ მინიმალური ხელფასის ოდენობა დაკავშირებული იყოს სხვა ფაქტორებთან, რომლებიც დასაქმების დონეზე გავლენას ახდენენ.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ მთავრობა ექსპერიმენტს ატარებს დასაქმებაზე მინიმალური ხელფასის გავლენის დასადგენად (იმის ნაცვლად, რომ ზრუნავდეს დაბალი ხელფასის მქონე მუშაკთა კეთილდღეობაზე). მინიმალური ხელფასის ზომა შემთხვევითი წესით შეიძლებოდა დადგენილიყო მთავრობის მიერ ყოველ წელს და შემდეგ დასაქმების დონე ცხრილში შეგვეტანა. ექსპერიმენტული დროითი მწკრივის მონაცემების შედეგები შეიძლება გაანალიზებული იქნას საკმაოდ მარტივი ეკონომეტრიკული მეთოდებით. მაგრამ ეს სცენარი ვერ აღწერს თუ როგორ დაწესდეს მინამალური ხელფასი.

თუ დასაქმებათან დაკავშირებულ საკმაო რაოდენობის ფაქტორების კონტროლს შევძლებთ, მაშინ ვიმედოვნებთ სხვა თანაბარ პირობებში მინიმალური ხელფასის დასაქმებაზე გავლენა შევაფასოთ.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეკონომიკური გამოკვლევების მეთოდოლოგიური გარემო არსებითად შეიცვალა. გაიზარდა ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენებით ემპირიული კვლევების წილი წმინდა თეორიულ მოდელირებაზე დაფუძვნებული კვლევების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე. თუმცა ექსპერიმენტული და ქცევითი ეკონომიკის ფარგლებში საუბარი უმეტესად არის ლაბორატორიული ექსპერიმენტის შესახებ, რომელთა შედეგები ყოველთვის არ შეიძლება გავრცელდეს მასშტაბურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე. რადგან კლასიკური რანდომიზირებული ექსპერიმენტების გამოყენება (მაგალითად, ახალი წამლის ტესტირება მედიცინაში) სოციალურ მეცნიერებებში გართულებულია, ეკონომისტების არსენალში ძირითადად რჩება ბუნებრივი(საველე) ექსპერიმენტები, როცა თვითონ ცხოვრება ქმნის პირობებს ლაბორატორიულთან მიახლოებულს. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში „წმინდა“ ბუნებრივი ექსპერიმენტის მიღწევა ვერ ხერხდება (თუნდაც იმის გამო, რომ წაშლილია ზღვარი ტესტირებას დაქვემდებარებულ და საკონტროლო ჯგუფებს შორის). ბუნებრივი ექსპერიმენტების კორექტულად ჩატარების და შედეგების ინტერპრეტაციის მიზნით საჭირო გახდა სპეციალური ანალიტიკური მიდგომების დამუშავება.

სოციალურ მეცნიერებათა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებულია მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან. იმიგრაცია როგორ გავლენას ახდენს ანაზღაურების და დასაქმების დონეზე? განათლების მეტი წლები როგორ გავლენას ახდენს მათ მომავალ შემოსავალზე? ამ კითხვებზე პასუხი რთულია, რადგან შესადარი მაჩვენებლები აშკარად არ იკვეთება. ჩვენ არ ვიცით რა მოხდება თუ იმიგრაცია შემცირდება, ან თუ ინდივიდმა სწავლა აღარ გააგრძელა. თუმცა ამ წლის ლაურეატებმა აჩვენეს, რომ ამ და მსგავს კითხვებზე პასუხი შეიძლება მივიღოთ ბუნებრივი ექსპერიმენტების საშუალებით. საკვანძო მომენტი არის სიტუაციის გამოყენება, რომელშიც შემთხვევით მოვლენებს ან პოლიტიკის ცვლილებას მივყავართ იმასთან, რომ ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვა მიმართების ქვეშ ექცევიან, რაც მედიცინაში კლინიკური გამოცდის მსგავსია.

კონტროლირებად ბუნებრივ-მეცნიერულ ექსპერიმენტებში მკვლევარებს შეუძლიათ დააფიქსირონ „სხვა თანაბარინ პირობები, რათა გამოყონ ერთი ფაქტორის გავლენა. ბუნებრივ ექსპერიმენტებში ეს გაცილებით რთულია. ეკონომიკაში ბოლო 30 წლის განმავლობაში რევოლუცია მოხდა ემპირიულ გამოკვლევებში და მონაცემთა ანალიზში მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლე-

ნის და უბრალო კორელაციისგან მისი გამოცალკავების კუთხით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამების შეფასების თვალსაზრისით. ნობელიანტებმა მოიფიქრეს დახვეწილი და ინტუიციურად გასაგები ხერხები, როგორ დავადგინოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ხელისუფლების „ჩარევას“ და რომელიმე მაკროეკონომიკური პარამეტრის ცვლილებას შორის.

იმ რეგიონებში, სადაც მიგრანტები მასიურად ჩადიან, საშუალო ხელფასის მაჩვენებელს თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ იგი უფრო სწრაფად იზრდება იმ რეგიონებთან შედარებით, სადაც მიგრანტები არ არიან. მიგრანტები შეიძლება წავიდნენ იმ რეგიონებში, რომლებიც სწრაფად იზრდება და ადვილია სამუშაოს პოვნა. ისმის კითხვა: შრომის ბაზარი რეაგირებს მიგრანტეზე თუ მიგრანტები – შრომის ბაზარზე? ზოგადი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ დამოკიდებულება (კორელაცია) არ ნიშნავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, თანამედროვე ეკონომეტრიკული გამოკვლევების მთავარი დევიზია. ასეთი კავშირების შესაფასებლად ბევრ მეცნიერებაში გამოიყენება რანდომიზირებული ექსპერიმენტები, რომელშიც ერთი ჯგუფი ექვემდებარება ექსპერიმენტატორის ზემოქმედებას, ხოლო მეორე (საკონტროლო ჯგუფი) – არა. თითოეული ჯგუფის არჩევა შემთხვევითობის პრინციპით ხდება. მაგალითად, ვაქცინის ეფექტიანობის შეფასება, რომლის დროსაც ორი ჯგუფის შედეგი შედარდება, რომელთაგან ერთმა მიიღო ვაქცინა, მეორემ – არა. თუმცა ასეთი ექსპერიმენტი ყველთვის არ შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ეთიკური მოსაზრებით. ლაურეატებმა შემოგვთავაზეს მეთოდების სიმრავლე როგორ ვიპოვოთ არსებულ მონაცემებში ვარიაცია, რომელიც რანდომიზირებულ ექსპერიმენტს გავს, და ასეთი ექსპერიმენტი გამოყენებულ იქნეს შეფასებისათვის.

1990-იანი წლების დასაწყისში **დევიდ ქარდმა** და **ალან კრუგერმა** გაანალიზეს მინიმალური ხელფასის, იმიგრაციის და განათლების გავლენა შრომის ბაზარზე და ხელფასზე. ამ გამოკვლევებმა შეცვალეს აღიარებული შეხედულებები და მიგვიყვანეს დამატებით აღმოჩენამდე. კვლევებმა აჩვენა, რომ მინიმალური ხელფასის ამაღლება აუცილებლად არ იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას. მანამდე ეკონომიკური კონსენსუსი მდგომარეობდა იმაში, რომ მინიმალური ხელფასის ზრდა აუცილებლად იწვევს უმუშევრობის ზრდას. ქარდის კვლევა ეყრდნობოდა თითქმის „იდეალურ“ ნატურაურ ექსპერიმენტს. მან გაანალიზა მინიმალური საათობრივი ხელფასის გაზრდა $4,25-დან $5,05-მდე(+19%) ნიუ-ჯერსის შტატში. მიღებული ეფექტი მან შეადარა მეზობელ პენსილვანიის შტატის შედეგთან, სადაც ხელფასის გაზრდა არ მომხდარა. შესადარად აღებული იქნა ამ ორი შტატის მოსაზღვრე რაიონები. მინიმალური ხელფასის გაზრდა სწრაფი კვების რესტორნების მაგალითზე განიხილა.

რომ შეფასდეს მინიმალური ხელფასის გაზრდის ეფექტი ნიუ-ჯერსის შტატში აღებული იქნა დასაქმების მაჩვენებლებს შორის სხვაობა ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ და მას გამოაკლეს პენსილვანის შტატის ანალოგიური მაჩვენებლებს შორის სხვაობა. ამ მეთოდმა მიიღო სახელწოდება „სხვაობების სხვაობა“. როგორც აღმოჩნდა ხელფასის გაზრდამ სამუშაო ადგილების რაოდენობის შემცირება არ გამოიწვია. შტატების შედარებამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის თვალყურის მიდევნების შესაძლებლობა გამოაჩინა და არა მხოლოდ უბრალოდ კორელაციის დანახვა. ეს კლასიკურ გამოკვლევად იქცა, როცა ახალი მეთოდოლოგია იქნა შემოთავაზებული. ქარდმა გამოიყენა მიდგომა, რომელიც ახლა ორიენტირად ითვლება: ეკონომისტები ცდილობენ იპოვონ ბუნებრივი ექსპერიმენტი, რათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი აჩვენონ. გამოკვლევამ დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ საზოგადოებაზე. 1992 წლს ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის წევრთა 79% თვლიდა, რომ მინიმალური ხელფასის კანონი ზრდის უმუშევრობას ახალგაზრდებსა და დაბალკვალიფიციურ მუშაკებს შორის, ხოლო 2000 წელს ასეთი უკვე 46% აღმოჩნდა.

შრომითი მიგრანტების მოზღვავება როგორ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე. ქარდმა ასევე აჩვენა, რომ იმიგრაციისას შემოსავლები ეზრდებათ ქვეყნის ადგილობ-

რივ მოქალაქეებს. ხოლო რისკის ზონაა იმიგრანტები, რომლებიც ქვეყანაში მანამდე ჩავიდნენ. მან გაანალიზა მიგრაცია მაიამიში კუბიდან 1980 წელს, როცა კუბელებს კუნძულის დატოვების უფლება მიეცათ. მიგრაციამ მაიამიში 7%-ით(+125 ათასი კაცი) სამუშაო ძალის ზრდამდე მიგვიყვანა, რამაც შრომის ბაზრის შოკი გამოიწვია, რომელსაც საგარეო მიზეზი ჰქონდა(ეგზოგენური შოკი). ქარდმა მაიამის შრომის ბაზრის მონაცემები შეადარა ოთხი სხვა ქალაქის მონაცემებთან, სადაც მიგრაცის არ შეიმჩნეოდა. დადგინდა, რომ მიგრაცია ნეგატიურ გავლენას არ ახდენს ამერიკელების შემოსავლებზე და შრომის მიწოდებაზე. ხელფასის და დასაქმების ზრდის შედარებით ოთხ სხვა ქალაქში ქარდმა უარყოფითი შედეგები ვერ აღმოაჩინა დაბალი განათლების მქონე მაიამის მცხოვრებლებისათვის. შემდგომმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იმიგრაციის ზრდა დადებითად აისახება ამ ქვეყანაში დაბადებულთა შემოსავლებზე. ამის მიზეზი ისაა, რომ იმიგრანტებისთვის ადვილი არაა სამუშაო ადგილებზე ამერიკელები ჩაანაცვლონ, თუნდაც განათლების დონის გამო. მაგრამ ასეთი მიგრაციის დროს დაზარალდნენ მუშაკები, რომლებიც ადვილად ჩანაცვლებადია, ასეთები კი აღმოჩნდნენ უფრო ადრე იმიგრირებულები.

რამდენი წელი უნდა ისწავლონ სკოლაში: სწავლის წლები და ხელფასის დონე. ეკონომისტებმა **ჯოშუა ანგრისტმა და ალან კრუგერმა** განათლებასა და შემოსავალს შორის კავშირის ანალიზი განახორციელეს. ისინი გამოდიოდნენ იქიდან, რომ სწავლის წლების რაოდენობასა და შემოსავლის დონეს შორის არსებობს მჭიდრო კორელაცია. მათ აინტერესებდათ ეს ფაქტი მიუთითებდა თუ არა განათლებასა და შემოსავალს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობაზე? მათ აიღეს წლების რაოდენობა, რომელსაც ბავშვები ამერიკის სკოლებში ატარებენ. საქმე იმაშია, რომ იმის და მიხედვით ბავშვი დაიბადა წლის დასაწყისში თუ წლის ბოლოს, ისინი სწავლობენ 11 ან 12 წელს. როგორც აღმოჩნდა, ვინც სკოლაში 12 წელი სწავლობდა 11-ის ნაცვლად, ჰქონდათ 12%-ით მეტი შემოსავალი. ვინც 16 წელი სწავლობდა 65%-ით მეტი გამომუშავება ჰქონდათ, ვიდრე ვინც 11 წელი სწავლობდა. ამავე დროს სწავლის შემდგომი წლები შემოსავლის არსებით ზრდას არ მოასწავებდა. მეცნიერებმა შეიმუშავეს მეთოდოლოგია, რომელმაც ნატურალური ექსპერიმენტის ანალიზის და მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. სკოლის რესურსი მოსწავლის შრომის ბაზარზე შემდგომი წარმატებისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აქამდე ითვლებოდა.

განათლების გავლენა მთელ შემდგომ საქმიანობაზე საკმაოდ არსებითი აღმოჩნდა. ინდივიდები, რომლებიც უფრო მეტხანს სწავლობენ, ზრდასრულ ცხოვრებაში მეტს გამოიმუშავებენ, განსხვავება 9 პროცენტს აღწევს. მათი კვლევის შედეგად მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ ბუნებრივი ექსპერიმენტები სერიოზულად აღიქვა და თავიანთ კვლევებში აქტიურად იყენებენ მათ. ცხადი გახდა ყველაზე უკეთესად როგორ მოხდეს მათი დასკვნების ინტერპრეტაცია.

ეკონომიკა ადამიანური სახით. უკანასკვნელ წლებში მსოფლიო ეკონომიკა ხდება ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებული და უფრო მეტად მიმართულია ადამიანური კაპიტალის გაზრდისკენ. ეკონომიკის საკვანძო საკითხებზე (დასაქმება, კეთილდღეობა) მოქმედებს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორისაა ფსიქოლოგია და სოციალური ჩვევები. მათი გათვალისწინება სტანდარტულ მოდელებში შეუძლებელია, ამიტომ ასეთი ექსპერიმენტები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ფუნდამენტურ მეცნიერებაში, რადგან ექსპერიმენტები ბუნებაში ცოდნის მდიდარი წყაროა.

დასკვნები საქართველოსთვის. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ხარისხიან მონაცემებს და ეკონომიკურ გამოკვლევებს უნდა ეყრდნობოდეს. ეს კვლევა საქართველოსთვის სტანდარტად უნდა იქცეს. როცა ეკონომისტები ცდილობენ შეისწავლონ თუ ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება როგორ გავლენას მოახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე – უნდა ვიფიქროთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის თვალსაზრისით. ეს მიდგომები დაგვეხმარებიან გავიგოთ როგორი რეგული-

რება, ხელისუფლების როგორი გადაწყვეტილებები მუშაობენ საქართველოს ეკონომიკის გასაძ-ლიერებლად. სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანობის შეფასება საშური საქმეა, მაგრამ ამი-სათვის ეკონომისტებს არ ჰყოფნით მონაცემები, ხოლო სამთავრობო ორგანოებს არ ჰყოფნით მე-თოდიკები ასეთი გამოკვლევებისათვის.

ლიტერატურა:

1. Card, David; Krueger, Alan B. (1995). Myth and Measurement: The New Economics of the Minimum Wage. Princeton: Princeton University Press. ISBN 0-691-04823-1.
2. Angrist, Joshua D.; Krueger, Alan B. (1991). "Does Compulsory School Attendance Affect Schooling and Earnings?". The Quarterly Journal of Economics. 106 (4): 979–1014. doi:10.2307/2937954. JSTOR 2937954. S2CID 153718259
3. Wooldridge M. Jeffrey. (2009) Introductory Econometrics. A Modern Approach. Michigan State University. Fourth Edition**.**

The Theoretical Foundations of Economic Models

Merab Julakidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Associate Professor

SUMMARY

Economics is about the distribution of limited resources among alternative uses. To explain this process, economists develop simple economic models by abstracting from reality. These models have some mathematical foundations and encompass only the necessary characteristics of the market. The study discusses the theory behind the development of such models and the problems encountered in the process. As no model describes reality perfectly, the question is to tell whether a model is good enough. Moreover, the study discusses a new method of conducting empirical research by utilizing experimental data, where economists try to find natural experiments and show causal relationships between variables.

Keywords: economic model, causation, ceteris paribus, optimization, field experiment.

დამკაბადონებელი **ხათუთა ბადრიძე**

გარეკანის დიზაინერი **ნინო ებრალიძე**

0128 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house